3-25

იამზე ვაშაკიძე, ტარიელ ფუტკარაძე

ქართული ენის პრაქტიკული კურსი

დამხმარე სახელძღვანელო
სტუდენტებისა და აბიტურიენტებისათვის

2019

811.353.1(076-3)+37-016+023.074
3-

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის
ქართველოლოგიის ცენტრი

იამზე ვაშაკიძე, ტარიელ ფუტკარაძე

ქართული ენის პრაქტიკული კურსი

დამხმარე სახელძღვანელო
სტუდენტებისა და აბიტურიენტებისათვის

ბიბლიოთეკა
№ 6002135

თბილისი
2019

„ქართული ენის პრაქტიკული კურსი“ შექმნილია პროფ. ტარიელ ფუტკარაძის თეორიული დებულებების საფუძველზე, შესაბამისად, საინტერესო სიახლეებია ლოგიკური გრამატიკული წესების, ქართული სალიტერატურო ენის სწავლების პრინციპებისა და ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. წარმოდგენილი სახელმძღვანელო მსგავსი გამოცემებისაგან განსხვავდება იმითაც, რომ მრავალფეროვანი პრაქტიკული მართლწერის წესები, ნორმატიულ და არანორმატიულ ფორმათა შეპირისპირებითი ცხრილები, თეორიული ნაწილის აღსაქმელი სავარჯიშოები და ტესტები შედგენილია პროფ. იამზე ვაშაკიძის მრავალწლიანი სასკოლო და საუნივერსიტეტო გამოცდილების გათვალისწინებით, რაც აიოლებს ქართული სამწიგნობრო ენის სწავლების პროცესს.

ვფიქრობთ, ახლებური მიდგომებით შექმნილი **„ქართული ენის პრაქტიკული კურსი“** დაინტერესებულ პირს მისცემს საშუალებას, ნათლად გაიაზროს მრავალსაუკუნოვანი ქართული ენის სტრუქტურა და შეისწავლოს ქართული სამწიგნობრო ენა.

რედაქტორი

პროფესორი მერაბ ნაჭყებია

ფილოლოგიის დოქტორი

რეცენზენტები

პროფესორი რუსუდან ზექალაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მაია ინასარიძე

ევროპული სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე

მაია მიქაძე

ქართული ენის მასწავლებელი

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“
ISBN 978-9941-9650-6-7

სარჩევი

წინასიტყვაობა 9
შესავალი 11
0.1. სამწერლობო კულტურის სათავეები 11
0.2. ქართული დამწერლობის საკითხები 13
0.2.1. თვალსაზრისები ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ 13
0.2.2. ქართული ანბანის სახესხვაობები 14
0.2.3. ქართული დამწერლობის ადრეული ნიმუშები 14
0.3. ძველი ქართველი მწიგნობრების ღვაწლი 16
0.4. ილია ჭავჭავაძე და სამწიგნობრო ენის რეფორმა 19
0.5. პირველი ქართული უნივერსიტეტი და თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენის ნორმალიზაცია-სისტემატიზაციის დასაწყისი 20
0.6. სალიტერატურო ნორმის დადგენის პრინციპები 22
0.7. „რა ენა წახდეს“ 24
0.8. ქართველთა სამწიგნობრო ენა და დიალექტები 28
ფონეტიკა 33
1. სამეტყველო ბგერა და მარცვალი 33
ტესტი N 1 37
2. ზეპირი მეტყველების გავლენით წერაში დაშვებული შეცდომები 39
ტესტი N 2 45
3. უცხო ენების გავლენით შეპირობებული დარღვევები. უცხო ბგერებისა და ბგერათკომპლექსების ქართულად გადმოცემა 47
ტესტი N 3 53
4. ვ ბგერის დაკარგვის, შენარჩუნებისა და განვითარების შემთხვევები 55
ტესტი N 4 66
მორფოლოგია 68
5. არსებითი სახელი 68
5.1. არსებითი სახელის რაობა და ჯგუფები 68
5.2. სახელის ფუძე; სიტყვამაწარმოებელი და ფორმამაწარმოებელი აფიქსები 69
5.3. ქართული ენის ბრუნვათა სისტემა 70
5.4. ფონეტიკური ცვლილებები მარტივ ბრუნვებში. სახელის რიცხვის ფორმები 70
ტესტი N 5.1- 5.4 73
5.5. არსებითი სახელის ბრუნება 75
5.5.1. საზოგადო სახელები 75
5.5.1.1. კუმშვადი და უკუმშველი სახელები 75
5.5.1.2. კვეცადი, კუმშვად-კვეცადი და უკვეცელი სახელები 77
5.5.1.3. საზოგადო სახელთა ბრუნების თავისებურებანი 80
5.5.1.4. რთული ბრუნვის ფორმები 84
5.5.1.5. ბრუნვები ცალკე მდგომი თანდებულებით 88
ტესტი N 5.5.1. 90
5.5.2. საკუთარ სახელთა ბრუნება 93
5.5.2.1. პირთა სახელები 93
5.5.2.2. გვარები 95

5.5.2.3. სახელისა და გვარის / ზედწოდების ერთად ბრუნება 98
5.5.2.4. პროფესიის აღმნიშვნელი სახელის პირის სახელთან/გვართან ერთად ბრუნება 102
5.5.2.5. სათაურები და სახელწოდებები 103
5.5.2.6. გეოგრაფიული სახელები 105
ტესტი N 5.5.2. 108
5.6. არსებით სახელთა წარმოება 111
5.6.1. -ება და -ირ+ება აფიქსებით ნაწარმოები სახელები 111
5.6.2. მრავლობითის -ებ სუფიქსით ნაწარმოები სახელები 114
ტესტი N 5.6. 116
6. ზედსართავი სახელი 117
6.1. ზედსართავი სახელის რაობა და ჯგუფები 117
6.2. ზედსართავი სახელის ბრუნება 117
6.3. ზედსართავ სახელთა წარმოება 120
6.3.1. -ურ-სუფიქსიანი სახელები 120
6.3.2. ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმები 125
ტესტი N 6 128
7. რიცხვითი სახელი 131
7.1. რიცხვითი სახელის რაობა და ჯგუფები 131
7.2. რიცხვით სახელთა წარმოება 131
7.3. რიცხვითი სახელების ბრუნება 136
ტესტი N 7 139
8. ნაცვალსახელი 142
8.1. ნაცვალსახელის რაობა და ჯგუფები 142
8.2. ნაცვალსახელთა წარმოება და ბრუნება 142
8.2.1. I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნების სქემა 142
8.2.2. ნაცვალსახელები: ეს, ეგ, ის/იგი 143
8.2.3. კითხვითი ნაცვალსახელები: ვინ? რა? 146
8.2.4. კუთვნილებითი ნაცვალსახელები 148
8.2.5. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები 151
8.2.6. მიმართებითი ნაცვალსახელები 153
ტესტი N 8.1 – 8.2.6. 155
8.2.7. ურთიერთობითი ნაცვალსახელები 159
8.2.8. უარყოფითი ნაცვალსახელები 160
8.2.9. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები 161
8.2.10. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები 163
8.2.11 ნაცვალსახელთა რთული ბრუნვის ფორმები 164
8.2.12. ნაწილაკიანი ნაცვალსახელები 166
ტესტი 8.2.7. – 8.2.12. 169
9. ზმნიზედა 172
9.1. ზმნიზედის რაობა და ჯგუფები 172
9.2. ზმნიზედის წარმოება 175
ტესტი N 9 181
10. ზმნა 183

10.1. ზმნის რაობა და პირითადი კატეგორიები 183
10.2. პირისა და რიცხვის ფორმები 184
10.2.1. პირის დახასიათება. პირთა პირითადი კომბინაციები. ობიექტური პირების გარჩევა ..184
ტესტი N 10.1– 10.2.1. 187
10.2.2. ზმნის რიცხვი. პირისა და რიცხვის ნიშანთა ცხრილი 189
10.2.3. პირის ნიშნები მარტივფუძიან ზმნურ ფორმებში 190
ტესტი N 10.2.2. – 10.2.3. 203
10.2.4. პირის ნიშნები რთულფუძიან ზმნურ ფორმებში 205
10.3. რიცხვში მონაცვლე ზმნები 207
ტესტი N 10.2.4.– 10.3. 210
10.4. ზმნისწინი 211
10.4.1. ზმნისწინის რაობა და ჯგუფები 211
10.4.2. ზმნისწინიან ფორმათა მართლწერა 212
ტესტი N 10.4. 216
10.5. ზმნის მწკრივის ფორმები 218
10.5.1. მწკრივის რაობა. მწკრივთა წარმოება; მწკრივის კომპონენტები: დრო, კილო, ასპექტი, გზისობა 218
10.5.2. მწკრივის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსები (თემის ნიშნები) 221
ტესტი N 10.5. 227
10.6. ზმნური ყალიბები და მათი წარმოება 230
10.6.1. ზმნურ ყალიბთა რაოდენობა 230
10.6.2. კაუზატივის (შუალობითი კონტაქტის) ფორმები 230
10.6.3. "დავბადებულვარ", "დავბადებიყავ", „დავბადებოდი“ ტიპის ფორმები 233
10.6.4. "გაკეთებულ იქნა" ტიპის ფორმები 235
ტესტი N 10. 6 239
11. ზმნისაგან ნაწარმოები სახელები (საწყისი და მიმღეობა) 241
11.1. საწყისის წარმოება და მართლწერა 241
11.2. მიმღეობის წარმოება და მართლწერა 246
ტესტი N 11 254
12. კომპოზიცია 258
12.1. კომპოზიტის რაობა და ჯგუფები 258
12.2. კომპოზიტების წარმოება და მართლწერა 258
ტესტი N 12 262
13. სიტყვათშემოკლება და აბრევიატურა 264
13.1. სიტყვათშემოკლებათა მართლწერა 264
13.2. აბრევიატურის მართლწერა 265
ტესტი N 13 267
სინტაქსი 269
14. სინტაგმა 269
14.1. სინტაქსური კავშირის სახეები 269
14.2. მსაზღვრელი და საზღვრული 272
14.2.1. შეთანხმებული მსაზღვრელი 272
14.2.2. მართული მსაზღვრელი 275

14.3. რამდენიმემსაზღვრელიანი შესიტყვება 277
14.4. ქვემდებარესა და დამატებასთან ზმნის რიცხვში შეთანხმება 280
ტესტი N 14 282
15. წინადადება 285
15.1. ზმნური კონსტრუქციების ცვლილება 288
15.2. კორელატის (მისათითებელი სიტყვისა) და წევრ-კავშირის ზოგიერთი კონსტრუქცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში 290
15. 3. მისამართი სიტყვისა და "რომელ" წევრ-კავშირის ადგილის განსაზღვრა და რიცხვში შეთანხმება 293
15.4. მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების აღრევა 295
15.5. სინტაქსური ასიმილაცია 297
15.6. რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და პირიქით 298
15.7. ორმაგი უარყოფა 299
ტესტი N 15 302
16. პუნქტუაცია 305
16.1. წერტილი 305
16.2. მძიმე 307
16.3. წერტილ-მძიმე 311
16.4. ორწერტილი 313
16.5. მრავალწერტილი 314
16.6. კითხვის ნიშანი 315
16.7. ძახილის ნიშანი 316
16.8. კითხვით-ძახილის ნიშანი 317
16.9. დეფისი 318
16.10. ტირე 319
16.11. ფრჩხილები 320
16.12. ბრჭყალები 322
16.13. სასვენი ნიშნის ადგილი ფრჩხილებისა და ბრჭყალების გამოყენებისას 323
ტესტი N 16 325
17. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის გადმოცემა 328
ტესტი N 17 333
18. სიტყვების ისტორია; ტერმინოლოგია 335
18.1. საერთოქართველური სიტყვები 335
18.2. საყოველთაოდ გავრცელებული და დიალექტური ლექსიკა 336
18.2.1. ტერიტორიული დიალექტების ლექსიკა 337
18.2.2. სოციალური დიალექტების ლექსიკა 339
18.3. ნასესხები სიტყვები 341
18.4. საერთაშორისო სიტყვები 342
18.5. კალკი 344
18.6. ბარბარიზმები 346
18.7. ძირეული, წარმოქმნილი და რთული სიტყვები. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები 347
18.8. ტერმინები 351
18.9. ნეოლოგიზმები 357

18.10. არქაიზმები და ისტორიზმები 360
ტესტი N 18.1 –18.10. 364
18.11. სიტყვა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა, დავიწროება და გაფართოება....367
18.12. სიტყვათა მყარი შეხამებანი....369
18.13. სინონიმები....374
18.14. ანტონიმები....377
18.15. ომონიმია....380
18.16. ევფემიზმები და დისფემიზმები. ტაბუდადებული სიტყვები. ვულგარიზმები. პარონიმები და პარონომაზიული გამოთქმები....384
18.17. ლექსიკურ-სტილისტური ხარვეზები....386
ტესტი N 18.11. – 18. 16....390
19. სტილისტიკა და სტილი....394
19.1. სტილის რაობა. სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინა; მისი შესწავლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა....394
19.2. სტილისტიკის კავშირი სხვა დისციპლინებთან. სტილისტიკური კვლევის ძირითადი მიმართულებები....396
19.3. სტილისტიკის ისტორიიდან; „სამი სტილის“ თეორია ქართულ მწერლობაში....397
19.4. ენა და მეტყველება. მეტყველების ფორმა....400
19.5. მეტყველების სტილები. თანამედროვე სტილური ნაირსახეობები და მათი კლასიფიკაცია....400
19.6. მხატვრული სტილის სპეციფიკა. ტროპული მეტყველების ძირითადი სახეები....403
19.7. სამეცნიერო სტილი....407
19.8. პუბლიცისტური სტილი....410
19.9. ოფიციალურ-საქმიანი სტილი. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაცია: განცხადება, პატაკი, ახსნა-განმარტება, მოხსენებითი ბარათი, სამოტივაციო წერილი, ავტობიოგრაფიული მონაცემები (CV)....414
ტესტი N 19....429
20. აკადემიური ტექსტის სტრუქტურა....435
20.1. აკადემიური ტექსტის ზოგადი დახასიათება....435
20.2. იდეების „რუკა“....436
20.3. აბზაცი. აბზაცის შედგენილობა და ტიპები....437
20.4. ტრანზიტულ-მაკავშირებელი სიტყვები და წინადადებათა გადაბმის ხერხები აბზაცში / აბზაცებს შორის....442
20.5. რჩევები აბზაცის სწორად აგებისათვის. აბზაცის გამოყოფის ტექნიკა....444
ტესტი N 20....446
21. არგუმენტირებული ესე. თვალსაზრისის დასაბუთების კულტურა....448
21.1. ესეს ზოგადი ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება. არგუმენტირების სისტემა....448
21.2. ესეს სტრუქტურა. შესავალი ნაწილის სპეციფიკა....449
21.3. ესეს ძირითადი ნაწილი: ავტორის შეხედულების დასაბუთება; საწინააღმდეგო პოზიციების გაბათილება....452
21.4. ესეს დასკვნა. ესეს შემოწმება....458
ტესტი N 21....461

ბიბლიოგრაფია.....463
ინტერნეტმასალა.....467
შემოკლებათა განმარტება.....469
ტესტების პასუხები.....470

წინასიტყვაობა

მსოფლიოს ენათა შორის ქართულ ენას ყველაზე ხანგრძლივი **უწყვეტი სამწიგნობრო ისტორია** აქვს: V საუკუნიდან დღემდე ქართული სალიტერატურო ენა ასახავს ქართველთა აზროვნებას, ფილოსოფიას, კულტურას, ლიტერატურულ გემოვნებას... ქართული (/ქართველური) **ენობრივი სისტემა არსებითად განსხვავდება სხვა ენებისაგან,** შესაბამისად, ენის სწავლების პრინციპებისა თუ მეთოდოლოგიის ასპექტით ნაკლებგამოსადეგია სხვათა გამოცდილება. გარდა ამისა, ითვლება, რომ ქართული ენის შესწავლას აძნელებს მისი სირთულეც. ყველა ენას აქვს „რთული“ თუ „მარტივი“ წახნაგები; ვფიქრობთ, ქართული ენის შესწავლას აბრკოლებს არა ენის „სირთულე“, არამედ ქართული ენის ბუნებაზე ორიენტირებული **ლოგიკური გრამატიკული წესების სინაკლულე.**

ნორმალურ ქვეყანაში აუცილებელია სახელმწიფო ენის სწავლება. ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ სახელმწიფო ენის ისტორიის ზოგადი საკითხები და გამართული წერითი და ზეპირი მეტყველება; შესაბამისად, საქართველოშიც **სკოლის პერიოდიდანვე** უნდა ისწავლებოდეს არა მხოლოდ ქართული ენის გრამატიკის ფრაგმენტები, არამედ: ქართველთა სამწიგნობრო ისტორიის ძირითადი წახნაგები, ქართული სალიტერატურო ენა და მისი მიმართება ქართველურ დიალექტებთან, ქართული ენის ლექსიკურ-გრამატიკული შესაძლებლობები, ნორმირებული, სტილისტურად გამართული წერა და მეტყველება, სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის ძირითადი ამოცანები, უცხოენობრივი მასალის შერჩევა და დამუშავება, სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების პერსპექტივები და სხვ. განათლების სისტემა **სკოლის პირველი კლასიდანვე** მიმართული უნდა იყოს ასეთი საკითხების კომპლექსურად და ეტაპობრივად სწავლებისკენ, რათა საფუძველი მისცეს **ახალ თაობაში სწორი ენობრივი ორიენტირების ჩამოყალიბებას.** სამწუხაროდ, ბოლო პერიოდის ქართული საჯარო სკოლა ამ მიმართულებით კრიტიკას ვერ უძლებს.

სახელმწიფო ენის აკადემიური ცოდნა მოქალაქეთა სახელმწიფოებრივი თვითშეგნების განმტკიცებისა და დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ 1978 წლის ცნობილი მოვლენების შედეგად, საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში დაინერგა ქართული ენის პრაქტიკული კურსის სწავლება და შეიქმნა შესაბამისი სახელმძღვანელოები.

პოსტსაბჭოთა პერიოდში უნივერსიტეტებში **„ქართული ენის პრაქტიკული კურსი“** თუ **„ქართული მეტყველების კულტურა“** გაუმართლებლად ჩანაცვლდა **„აკადემიური წერით“**. ეს უკანასკნელი ახალგაზრდებს უვითარებს პრეზენტაციის უნარებს, ნაშრომის მომზადების კულტურას, მაგრამ არ არის ორიენტირებული სამწიგნობრო ენის ნორმებზე, სახელმწიფო ენის ისტორიაზე, პროფესიულ ტერმინოლოგიაზე... ზოგადად, ენის პრაქტიკული კურსით გათვალისწინებულ პრობლემურ საკითხებზე; იქმნება აშკარა წინააღმდეგობა:

ვასწავლით **საკუთარი თვალსაზრისის წარდგენას** (პრეზენტაციას), მაგრამ არ ვასწავლით ნორმირებულ წერით თუ ზეპირ მეტყველებას; **ისმის კითხვა:** რა აზრი აქვს პრეზენტაციის სწავლებას სამწიგნობრო ენის ნორმათა ცოდნის გარეშე?

უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა სასიკეთო ტენდენცია: საქართველოს პარლამენტის ინიციატივით, დაისვა საკითხი, რომ საჯარო მოხელეებს მოეთხოვოთ სალიტერატურო ენის ცოდნა შესაბამისი დონეების მიხედვით; ვიმედოვნებთ, რომ ამ ტენდენციის განვითარება

სამომავლოდ შეაპირობებს **„ქართული ენის პრაქტიკული კურსის“**, როგორც სავალდებულო დისციპლინის აღდგენას უმაღლესი სკოლების საგანმანათლებლო პროგრამებში.

წინამდებარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლის პირველკურსელებს, აბიტურიენტებს, უფროსკლასელებს და, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირებს მისცემს ზოგად ცოდნას ქართული სამწიგნობრო ენის ისტორიის, ლექსიკისა და ტერმინოლოგიის, მართლწერის, პუნქტუაციის, ტექსტის აგების შესახებ და ხელს შეუწყობს ზეპირი თუ წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებას.

სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია წინა თაობებისა და თანამედროვე მკვლევართა გამოცდილება, თუმცა ბევრი საინტერესო სიახლეა თეორიული დებულებებისა თუ ლოგიკური გრამატიკული წესების თვალსაზრისით. ავტორთა ადრინდელი სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, წარმოდგენილ გამოცემაში დამატებულია ცოდნის შესამოწმებელი ტესტები, სალიტერატურო/არასალიტერატურო ფორმათა შეპირისპირებითი ცხრილები და მრავალფეროვანი სავარჯიშოები.

შესავალი

0.1. სამწერლობო კულტურის სათავეები

სამწერლობო კულტურის დასაწყისი წერის გრაფიკული (ნახაზით შესრულებული) სისტემის განვითარებას უკავშირდება, რომელსაც წინ უძღოდა სხვადასხვა სახის პრიმიტიული სისტემები. ამის მაგალითებად ცნობილია: კლდეებსა და გამოქვაბულის კედლებზე შესრულებული მხატვრობა (საგანთა გამოსახულებები), ე.წ. **ვამპუმები** (სხვადასხვა ფერისა და ფორმის ნიჟარების კომბინაციები), **კიპუ** (განასკვული ზონრების კომბინაციები) და სხვ., რომლებიც ხელს უწყობდა ინფორმაციის გადაცემასა თუ დამახსოვრებას (თ გამყრელიძე). საკუთრივ, დამწერლობის ისტორიაში მეცნიერები გამოყოფენ ხუთ საფეხურს:

- **პიქტოგრაფიული დამწერლობა** – წერა ნახატების საშუალებით, როცა ერთი ნახატი ერთი დასრულებული აზრის – წინადადების – ეკვივალენტია. პირობითობა იმდენად სუსტია პიქტოგრაფიაში, რომ ის ერთნაირად გასაგებია ყოველი ერის წარმომადგენლისათვის („ინტერნაციონალური“ წერა). როგორც ცნობილია, დამწერლობის ამ სახეობას, მაგ., ჩრდილოამერიკელი ინდიელები XIX საუკუნის ბოლომდე იყენებდნენ;
- **იდეოგრაფიული დამწერლობა** – პიქტოგრაფიული დამწერლობის განვითარებული სახე, რომელშიც ნახატი განზოგადებულია, უფრო სიმბოლური სახე აქვს და არა მთელ წინადადებას, არამედ ცალკეულ სიტყვებს მიემართება. წმინდა იდეოგრაფიული დამწერლობა ფართოდ ვერ გავრცელდა; ფაქტობრივად, ის იყო გარდამავალი საფეხური წინა (პიქტოგრაფიული) დამწერლობიდან მომდევნო (ლოგოგრაფიულ-სილაბურ) დამწერლობაზე გადასასვლელად. იდეოგრაფიულ დამწერლობას იყენებდნენ: შუმერები (ძვ. წ. III ათასწლ.), ამერიკისა და აფრიკის გარკვეული ტომები, ჩრდ. აღმ. ციმბირის მკვიდრნი და სხვ.;
- **ლოგოგრაფიულ-სილაბური** (სიტყვიერ-მაცვლოვანი) დამწერლობა; როგორც მიუთითებენ, ეს სისტემა ყველაზე მეტად გავრცელებულია და დღესაც იხმარება (ჩინეთში). მისი საფუძველია **იდეოგრამა** – ცნების აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი, რომლის კონკრეტულ სიტყვებთან დაკავშირებაც ხდება სპეციალური აფიქსებით (სართებით) და ბგერითი ერთეულების გამომხატველი დამატებითი გრაფიკული ნიშნებით. სიტყვასთან დაკავშირებულ იდეოგრაფიულ ნიშანს ლოგოგრამა ეწოდება; ლოგოგრამებით გადმოიცემოდა ზოგჯერ მარცვალთა, ზოგჯერ კი თანხმოვანთა თანმიმდევრობა სიტყვაში. ლოგოგრაფიულ-სილაბური დამწერლობებია:

– ძვ. ეგვიპტური, რომლის ნიმუშებიც, ძირითადად, ეგვიპტის ფარაონების აკლდამებსა და პაპირუსის გრაგნილებზეა შემორჩენილი (ძვ. წ. IV ათასწლ.);

– შუმერული (შუამდინარეთში – მდ. ტიგროსსა და ევფრატს შორის ტერიტორიაზე, ძვ. წ. III ათასწლ. დასაწყისიდან), რომლის საფუძველზეც განვითარდა **ლურსმული** (სოლისებური) დამწერლობა (სახელწოდება მიიღო წერის სპეციფიკის გამო: სრულდებოდა სველ თიხის ფირფიტებზე საგანგებოდ წაწვეტებული ჩხირებით, რომლებიც სოლისებურ კვალს ტოვებდა; შემდეგ ამ ფირფიტებს გამოწვავდნენ გამძლეობისთვის). ეს დამწერლობა შეითვისეს და თანდათან სრულყვეს ძველი მსოფლიოს სხვა ხალხებმა: ბაბილონელებმა, ასურელებმა, ხეთებმა, ურარტუელებმა, სპარსელებმა...

– ჩინური (ძვ. წ. II ათასწლ. შუა ხანიდან), რომელიც, ძველეგვიპტურისა და შუმერულისგან განსხვავებით, დღესაც მოქმედია. თავდაპირველად ამ დამწერლობის ნიმუშები სრულდებოდა ხის ტაბულებზე, შემდეგ – ქსოვილებზე, ხოლო ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან –

ქაღალდზე, რომელიც თვითონ ჩინელებმა გამოიგონეს და ეროვნულ მონოპოლიად აქციეს, სანამ მისი დამზადების საიდუმლო მსოფლიოსთვის არ გახდა ცნობილი (VIII ს.).

• სილაბური ანუ მარცვლოვანი დამწერლობა – ისეთი სისტემა, რომელშიც გრაფიკული ნიშანი აღნიშნავს მარცვალს. მეცნიერთა აზრით, სილაბური დამწერლობები მიღებული უნდა იყოს იყოს ორი გზით:

– ლოგოგრაფიულ-სილაბური სისტემების გამარტივების საფუძველზე;

– კონსონანტურ (მხოლოდ თანხმოვნებისგან შემდგარ, წარმოშობით – სილაბურ) დამწერლობაში გახმოვანების მეორეული სისტემის შემოტანით.

აღნიშნული სისტემის დამწერლობები გავრცელებული იყო ინდოეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში;

• ანბანური დამწერლობა – ბგერების გამომხატველ ნიშანთა (ასოთა) სისტემა, რომლის უპირატესობა თანამედროვე ტექნიკურმა პროგრესმა და კომპიუტერულმა ქსელმაც ვერ დაჩრდილა.

მსოფლიოში პირველ ფონეტიკურ დამწერლობად ითვლება **ფინიკიური ანბანი** (ძვ. წ. XV–XIV სს.), რომელიც კონსონანტურ სისტემას წარმოადგენდა – მხოლოდ თანხმოვნებისაგან შედგებოდა და იწერებოდა მარჯვნიდან მარცხნივ. ძვ. წ. IX ს-დან ფინიკიური ანბანი გავრცელდა მსოფლიოში; დასავლეთში საფუძვლად დაედო **არქაულ ბერძნულს,** ხოლო აღმოსავლეთში – **სემურ-არამეულს**.

არქაული ბერძნული დამწერლობა ფინიკიურის მსგავსი იყო; ეს გამოიხატებოდა, მაგ., ხმოვანთა სისტემის არქონასა და წერის მიმართულებაში – მარჯვნიდან მარცხნივ, რომელიც მოგვიანებით შეცვალა გარდამავალმა სახეობამ – „ბუსტროფედონმა“ (ეს იყო წერის ორი მიმართულების მონაცვლეობა: ჯერ მარჯვნიდან მარცხნივ, ხოლო მომდევნო სტრიქონზე პირიქით – მარცხნიდან მარჯვნივ). ძვ. წ. 403 წელს, არქაული ბერძნულის საფუძველზე, შემუშავდა **კლასიკური ბერძნული დამწერლობა**. ამ უკანასკნელს, წინა სისტემისაგან განსხვავებით, უკვე ჰქონდა ხმოვნები და წერის მიმართულება – მარცხნიდან მარჯვნივ. მოგვიანებით, კლასიკური ბერძნულის მიხედვით, განვითარდა **ლათინური დამწერლობა**, ხოლო ეს უკანასკნელი საფუძვლად დაედო **ევროპულ ანბანებს**. აღმოსავლეთ სამყაროში, სემურ-არამეულის საფუძველზე, შემუშავდა **არაბული, ებრაული და სირიული დამწერლობები**, რომლებმაც დღემდე შეინარჩუნეს კონსონანტური (თანხმოვნითი) სისტემა და წერის მიმართულება მარჯვნიდან მარცხნივ (ქართული ენა /ენციკლოპედია/ 2008, გვ. 133; ძიძიგური, 1982, გვ. 124-126).

თანამედროვე მსოფლიოში სულ 14 ანბანია. მათ შორის ერთ-ერთია ქართული, რომელიც სამი ვარიანტის სახით არსებობს: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. უძველესია ასომთავრული (ვრცლად იხ. ქვემოთ). სხვა ანბანებთან (მაგ., ბერძნულთან, სომხურთან, რუსულთან...) შედარებით, ქართული ანბანი უფრო სრულყოფილია: ქართულ დამწერლობით სისტემაში გრაფემებით (ასონიშნებით) ასახულია ყველა სამეტყველო ბგერა, **უ** და **ი** ხმოვნების უმარცვლო ვარიანტებიც კი.

0.2. ქართული დამწერლობის საკითხები

0.2.1. თვალსაზრისები ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ

ქართული ანბანის წარმოშობაზე საყურადღებო ცნობას გვთავაზობს „ქართლის ცხოვრება“, რომელიც დროდადრო იქმნებოდა ძველი ქართველი მემატიანეების მიერ (დღემდე მოღწეულია XI საუკუნის მოღვაწის, ლეონტი მროველის მიერ რედაქტირებული ვარიანტი); კერძოდ, მათი ცნობით, ქართული ანბანი შეიქმნა დაახლოებით 23-24 საუკუნის წინ; ხელნაწერში ვკითხულობთ: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და **ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული**“ („ქართლის ცხოვრება“).

არანაკლებ მნიშვნელოვანია თეიმურაზ ბაგრატიონის (XVIII-XIX სს.) შრომებში დადასტურებული ტრადიციული ცნობა, რომ ქართველებს ფარნავაზამდეც (ძვ. წ. III ს.) ჰქონიათ დამწერლობა; ის შეუდგენიათ ქართველ ქურუმებს ებრაულ და ქალდეურ დამწერლობათა საფუძველზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართული ანბანი **წარმართული ეპოქის** ძეგლია. ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც თავის კაპიტალურ ნაშრომში: „ქართული პალეოგრაფია“ (1926) დაწვრილებით შეისწავლა ეს საკითხი, ქართული ანბანის ფესვები **ფინიკიურ-სემურ** დამწერლობას დაუკავშირა (ჯავახიშვილი, 1926, გვ. 233). მეცნიერის ჰიპოთეზა გაამყარა 1940 წელს ჩატარებული მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების შედეგებმა, კერძოდ:

- აღმოჩნდა წარწერებიანი ქვა – **არმაზის ბილინგვა**, რომელმაც, ისტორიკოს გ. წერეთლის დაკვირვების თანახმად, დაადასტურა ქართული ანბანის ფინიკიურ-სემურთან დამაკავშირებელი „შუამავალი“ ანბანის – არმაზული დამწერლობის არსებობა;
- დადგინდა, რომ ზოგ შემთხვევაში ქართული ასოები უფრო არქაული იყო, არმაზულ ასოებთან შედარებით; აქედან გამომდინარე, გაკეთდა დასკვნა, რომ არ შეიძლება ქართული ანბანი არმაზული დამწერლობის განვითარების მომდევნო საფეხურად ჩაითვალოს, იგი მონათესავეა არმაზულისა და ორივე სათავეს უნდა იღებდეს საერთო წყაროდან – ფინიკიურ-სემურიდან (წერეთელი, 1960, გვ. 47-48).

ხმოვანთა ჩამოყალიბებული სისტემის ქონა, ასევე, ასოების ძირითადი თანმიმდევრობისა (რიგის) და რიცხვითი მნიშვნელობების მსგავსება ბერძნულ ანბანთან მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს ავარაუდებინებს ქართული დამწერლობის **ბერძნულისგან** წარმომავლობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსება არ ნიშნავს აუცილებლად ერთის მეორისგან მომდინარეობას, არამედ ლოგიკურად შეიძლება აიხსნას, ასევე, ორი ერის – ქართველებისა და ბერძნების დიდი ისტორიულ-კულტურული თანაცხოვრებით (ივ. ჯავახიშვილი). ვფიქრობთ, უეჭველია, რომ ქართული ანბანის შემოქმედმა გაითვალისწინა ორივე ძველი ანბანის (ფინიკიურისა და ბერძნულის) სტრუქტურა, მაგრამ შექმნა სრულიად ახალი, ორიგინალური დამწერლობა.

V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის – კორიუნის თხზულებაში გვიან დამატებული ცნობის მიხედვით, ქართული დამწერლობის შექმნა **მესროპ-მაშტოცს** (ახ. წ. V ს.) მიეწერება. სხვა სომხური წყარო – მხითარ აირივანეცის „ქრონოგრაფიული ისტორია“ (XIII ს.) ქართული ანბანის შექმნას მეფე ფარნავაზს უკავშირებს. კორიუნის ტექსტი რომ გაყალბებულია, დასაბუთებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ – ივ. ჯავახიშვილისა (1926) და ზ. ალექსიძის მიერ; მაგ., 1968 წელს ზ. ალექსიძემ გამოსცა „ეპისტოლეთა წიგნი“ (სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევებითა და კომენტარით), რომლის საფუძველზეც

განმტკიცდა ქართველ მეცნიერებში თავიდანვე გამოთქმული ვარაუდი ზემოაღნიშნული ცნობის უსაფუძვლობის შესახებ: ინფორმაცია მესროპ-მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნაზე კორიუნის შრომაში გაცილებით გვიან – სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების (VI-VII სს.) შემდეგ პერიოდში გაჩნდა, ქართველთა სამწიგნობო ტრადიციის დამცრობის მიზნით (ფეიქრიშვილი, 2006, გვ. 76-77).

ბოლო პერიოდში აღმოჩენილი ნეკრესის წარწერებიც გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ: დიდი ალბათობით, ქართული ასომთავრული ანბანი შექმნილია წარმართულ პერიოდში – ქრისტეს შობამდე.

0.2.2. ქართული ანბანის სახესხვაობები

ცნობილია ქართული ანბანის სამი სახესხვაობა:

• **ასომთავრული** / მრგვლოვანი (V-IX სს.) – მონუმენტური დამწერლობა, რომელიც, ძირითადად, ორ პარალელურ ხაზს შორის სრულდება. ანბანის ყველა ასო თანაბარი სიდიდისა და მრგვალი მოყვანილობისაა; სახელწოდება **მრგვლოვანიც** აქედან მომდინარეობს. ქართული ანბანის ამ სახეობით შესრულებულია, უმეტესად, V-IX სს-ის ძეგლები: ეპიგრაფიკული წარწერები და სხვადასხვა ტიპის ხელნაწერები. მომდევნო საუკუნეებში ასომთავრულ გრაფემებს ტექსტის სათაურებისა და აბზაცების დასაწყებად იყენებენ; ტერმინი **ასომთავრულიც** სწორედ ამ ფუნქციას მიესადაგება;

• **ნუსხური** (IX-XI სს.) – ოთხხაზოვანი დამწერლობა, რომელიც, ასომთავრულისგან განსხვავებით, მცირე მოყვანილობისა და უფრო კუთხოვანი მოხაზულობის ასოებს მოიცავს (სხვანაირად მას კუთხურსაც უწოდებენ). ნუსხური სიახლოვეს ამჟღავნებს არმაზულ დამწერლობასთან, რაც მკვლევართა ნაწილს მის ასომთავრულთან ერთად თანაარსებობას ავარაუდებინებს. ნუსხურის ჩვენამდე მოღწეული ძველი ნიმუშებია: ატენის სიონის 835 წლით დათარიღებული წარწერა და სინური მრავალთავის ანდერძის ნაწილი (864). ქართული დამწერლობის ეს სახესხვაობა დღემდე მოქმედია ეკლესიაში.

• **მხედრული** (XII ს-დან დღემდე) – ძირითადად, საერო პირთა დამწერლობა. ტრადიციული შეხედულებით, მხედრული ნუსხურის განვითარების შემდგომი საფეხურია (დ. ბაქრაძე, ი. ჯავახიშვილი), თუმცა, განსხვავებული მოსაზრებების მიხედვით, ეს სახესხვაობა ბევრად ადრე: წარმართულ ეპოქაში (ნ. მარი), ან IV საუკუნიდან (რ. პატარიძე) ფუნქციონირებს. მხედრულით შესრულებული ადრინდელი ნიმუშებია: ატენის სიონის 982-986 წლების წარწერა და შიომღვიმის მონასტრის სიგელი, რომელიც XI საუკუნით თარიღდება (საღინაძე, 2008, გვ.13-16).

ქართული ანბანის სახესხვაობათა მნიშვნელობა განუსაზღვრელია; მათი ქმნადობის ისტორიაში ასახულია ქართული წერის განვითარების მეტყველი სურათი.

0.2.3. ქართული დამწერლობის ადრეული ნიმუშები

ქართული დამწერლობის ადრეული ნიმუშები რამდენიმე კატეგორიად ნაწილდება; ესენია: ეპიგრაფიკული (ქვაზე) წარწერები, ხელნაწერები და ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებები. ქვემოთ წარმოდგენილია მათი არასრული ჩამონათვალი.

ეპიგრაფიკული ძეგლები. უძველეს ეპიგრაფიკული ძეგლებს მიეკუთვნება:

• **ნეკრესის წარწერები** – კახეთში, ყვარლის რნ-ში, 2002-2003 წლებში ლ. ჭილაშვილის თაოსნობით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი წინარექრისტიანული ხანის წარწერები, რომლებიც I-III საუკუნეებით თარიღდება (ფოტომასალა ვრცლადაა ინტერნეტში);

- **დავათის ქვაჯვარი** – ღვთისმშობლის ეკლესიის კედელში ჩატანებული წარწერებიანი სტელა, რომელიც 1984 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს დუშეთის რ-ნის სოფ. დავათში. ძეგლი წარმოადგენს ქართული მწიგნობრობის თემაზე შექმნილ კომპოზიციას, კერძოდ: ქვის ზედა ნაწილში გამოსახულ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებს ხელთ უპყრიათ გრაგნილი ექვს სტრიქონად ამოკაწრული ასომთავრული ასოებით და, ფრთებდაშვებულნი, ღვთის ნებას ამცნობენ ორ ხელისუფალს; ქვაზე დასტურდება 2 თარიღი: 284 და 311. პირველი ქართული მწიგნობრობის სახელმწიფო დამწერლობად ქცევის წელი უნდა იყოს (ძვ. წ.), ხოლო მეორე – ქართული დამწერლობის აღორძინებისა (ახ. წ.). დავათის ქვაჯვარს ათარიღებენ 362-381 წლებით;
- **პალესტინის წარწერები** – პალესტინაში, იუდას უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად ყოფილი ქართული მონასტრის წარწერები, რომლებიც 1952-53 წლებში აღმოაჩინა იტალიელ არქეოლოგთა ჯგუფმა ვირჯილიო კორბოს მეთაურობით. სულ ოთხი წარწერა დასტურდება, რომელთაგან სამი V ს-ის ფილოსოფოსს, ქართლის სამეფო გვარის წარმომადგენელს – პეტრე იბერსა (ერისკაცობაში – მარუანს) და მის ოჯახს უკავშირდება, შესრულებულია V ს-ის I ნახევარში; მეოთხე წარწერა ერთი საუკუნით გვიანდელია;
- ბოლნისის სიონის წარწერები (492-493 წწ.);
- საჰაკდუხტის წარწერა რაჭაში, სოფ. ზნაკვის ჯვარისაში (V-VI სს.);
- უკანგორის ეკლესიის წარწერები მაშავერას ხეობაში (VI ს-ის დასაწყისი);
- მცხეთის ჯვრის მონასტრის წარწერები (VI-VII სს.);
- წყისის წარწერა (616-619 წწ.);
- ატენის სიონის წარწერები (739 წ.);
- იშხნის წარწერები (954-955 წწ)...

ხელნაწერები. ძველ ხელნაწერებს მეცნიერები სამ ჯგუფად ყოფენ; ამის მიზეზი **ბ-, ჰ-, ს-** ნიშნების მონაცვლეობაა რამდენიმე პოზიციაში (ზმნათა II სუბიექტურ და III ობიექტურ პირებში, ერთპირიან ვნებითებსა და ხარისხის ფორმებში). სახელდებაც შესაბამისია: **ხანმეტი, ჰაემეტი** და **სანნარევი** ტექსტები.

ტერმინი **ხანმეტი** XI საუკუნის მთარგმნელს – გიორგი მთაწმინდელს ეკუთვნის. მან ხანმეტი უწოდა სახარების ტექსტს, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო **ბ-** პრეფიქსის სისტემური გამოყენება. ეს წარმოადგენდა V-VIII სს-ების ენობრივ ნორმას, რომელიც უკვე მოძველებული, „მეტი“ იყო IX-XI სს-ების სალიტერატურო ენისათვის; ტერმინი **ჰაემეტი** ხანმეტის ანალოგიით შეიქმნა (ა. შანიძე) იმ ტექსტების სახელდებისათვის, რომლებშიც ანალოგიურ ვითარებაში **ჰ-** პრეფიქსი იყო **ბ-**ს ნაცვლად; **სანნარევი** კი ეწოდა იმ ტექსტებს, რომლებშიც, **ჰ-** პრეფიქსის პარალელურად, ჩნდება **ს-**; ეს პროცესი IX საუკუნიდან იწყება (შანიძე, 1981, გვ. 280-299).

ხანმეტი ტექსტები:

- ქართულ-ებრაული პალიმფსესტი; ქართული ტექსტი უფრო ძველია; ეს არის ნაწყვეტი ესაიას წინასწარმეტყველებიდან, თარიღდება V-VI სს-ებით (ებრაული ტექსტი XI საუკუნისაა); ამოიკითხა ივ. ჯავახიშვილმა;
- ხანმეტი ლექციონარი – ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან ამოკრებილი საკითხავების კრებული (VII ს-ის II ნახ.);
- ხანმეტი იაკობის პროტოევანგელე – VII ს.

ჰაემეტი ტექსტები:

- ჰაემეტი ლექციონარი – VIII ს.;
- ჰადიშის ოთხთავი – 897 წ., გადაწერილია შატბერდში; XI ს-იდან სვანეთში გაიტანეს და 400 წელს ინახებოდა მესტიის რ-ნის სოფ. ჰადიშში.

სანწარევი ტექსტები:

- სინური მრავალთავი – 864 წ.; იერუსალიმში, საბაწმინდის ლავრაში გადაწერა გრიგოლ ხანძთელის მოსწავლემ – მაკარი ლეთეთელმა. წარმოადგენს კრებულს, რომელშიც შესულია 18 ავტორის 50 ნაწარმოები. ხელნაწერი შეუწირავთ სინის მთის მონასტრისათვის;
- ჯრუჭის ოთხთავი – 936 წ.;
- პარხლის ოთხთავი – 973 წ.;
- ოპიზის ოთხთავი – 913 წ.;
- ოშკის ბიბლია – 978 წ.; გადაწერილია იოანე ნათლისმცემლის ლავრაში თორნიკე ერისთავისთვის, რომელმაც შემდეგ ათონის ქართველთა მონასტერს შესწირა;
- პარხლის მრავალთავი – X-XI სს.; ამ ხელნაწერშია შემონახული იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ და სხვ.

ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებები. ჩვენამდე მოღწეული ძველი ისტორიულ-ლიტერატურული თხზულებებიდან ცნობილია:

- „ცხოვრება ფარნავაზისა“ – ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი „მეფეთა ცხოვრების“ პირველი ნაწილი; მკვლევართა აზრით, დაწერილი უნდა იყოს ძვ. წ. III-II სს-ებში;
- „მირიან მეფის ანდერძი“ – ახ. წ. IV ს.;
- „წმინდა ნინოს ცხოვრება“ – IV ს-ის I ნახ.;
- „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ – IV ს.; შემორჩენილია X ს-ის გადამწერის – იოვანე ზოსიმეს ხელნაწერთა ნუსხაში;
- იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ – 476-482 წწ.;
- „მარტვილობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა“ – VI ს.;
- იოვანე საბანისძის „აბოს წამება“ – VIII ს-ის II ნახ.;
- „ცხოვრებაი და წამებაი კონსტანტი-კაბისაი“ – IX ს.;
- „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ – 951 წ. და სხვ. (ფეიქრიშვილი, 2006, გვ. 85-94).

0.3. ძველი ქართველი მწიგნობრების ღვაწლი

არქეოლოგიური კვლევებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამწიგნობრო კულტურის დასაბამი ჩვენს წელთაღრიცხვამდელ წარსულს უკავშირდება. ამ თვალსაზრისით, მრავლისმეტყველია ჯავახეთსა თუ თრიალეთში აღმოჩენილი ჭურჭელი პიქტოგრაფიული ნიშნებით (ძვ. წ. III-II ათასწლ.), ასევე – ლეგენდებსა და მითებში შენახული ინფორმაცია ქართველურ სამყაროში არსებულ, „მამათაგან ნაწერ“ კვირბებზე (გეოგრაფიული გზამკვლევები); ოქროს საწმისზე, რომელიც, მეცნიერთა აზრით, ოქროს ქიმიურად მიღების წესს წარმოადგენდა და სხვ.

სამწიგნობრო ტრადიციებს განსაკუთრებით ჰფენს ნათელს ლექსიკური ფონდის მონაცემები; კერძოდ, როგორც ცნობილია, სიტყვა **წერის** თავდაპირველი მნიშვნელობა ჭრას, მაგარ საგანზე კვეთას უკავშირდება. შდრ.: **წერაქვი, წერტილი** < **წერტა** (იგივეა, რაც: ჩხვლეტა, ამოკვეთა, ჩაჭრა). ეს სიტყვები უნდა მიუთითებდეს ჩვენი წინაპრების მიერ მომარჯვებულ ხერხებზე, როცა წერის პროცესი თავდაპირველად მიმდინარეობდა მაგარ, ძნელად დასამუშავებელ საგნებზე.

არაერთი მწიგნობრული ნიმუში იმსხვერპლა ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიამ (V საუკუნის ავტორის – იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაც“ კი X-XI საუკუნეების ხელნაწერის სახით შემოგვრჩა), მაგრამ ის მასალა, რომელიც რეალურად გვაქვს, წარმოდგენას გვიქმნის ქართული მწიგნობრული კულტურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე, ორიგინალური ტექსტის შექმნისა თუ რედაქციის პრინციპებზე, მთარგმნელობით თეორიებზე, ავტორისა და მკითხველის მოთხოვნებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

არსებულ მასალებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გამოვყოთ ძველ ქართველ მწიგნობართა მეთოდოლოგიის ზოგიერთი მახასიათებელი:

• წერის ტექნიკური საშუალებების ფლობა; ქართველი მწიგნობრები იყენებდნენ ნებისმიერ საწერ მასალას, რომელიც სათანადო ეპოქის მოთხოვნებს შეესაბამებოდა, იყო ეს **ქვა**, **ჭილი** (პაპირუსი), **ეტრატი / პერგამენტი** („ტყავის ქაღალდი“ – საბა) თუ **ქაღალდი**; მაგ., ქვაზე, ტექსტის „შთაჭრისა“ თუ გამოქანდაკებისათვის, წერდნენ **წერაქვით** ან **ადამატის ფრჩხილით** (ზვიგენის კბილი ან რომელიმე ცხოველის ძვალი); სხვადასხვა დროს იყენებდნენ: **ლერწამს, ფრთას**... ქართველმა მწიგნობრებმა ასევე იცოდნენ „ეკონომიურად“, ნაკლები დანახარჯით წერის ხერხები; მათ შექმნეს **პალიმფსესტები, აქარაგმებდნენ** ტექსტში ყველასთვის ადვილად მისახვედრ სიტყვებს, მაგ.: ქ~ე (ქრისტე), ჩ~ნ (ჩუენ), რ~ი (რომელი)... (საღინაძე, 2008, გვ. 17-20);

• წერა მკითხველისთვის; ქართველ მოღვაწეებს გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ თანამედროვე მკითხველისათვის ტექსტი უნდა ყოფილიყო შინაარსობრივად – ნათელი და გასაგები, ენობრივად – გამართული და მისაღები, ხოლო ვიზუალურად – ინტერესის აღმძვრელი. ბირითადად ამით აიხსნება სხვადასხვა პერიოდის ხელნაწერთა ტექსტებში ასახული ცვლილებები, მაგ.:

– X-XI საუკუნეებში ბერძნული პირველწყაროებიდან ექვთიმე ათონელის „კლება-შემატების“ მეთოდით იქმნებოდა **თავისუფალი თარგმანი** – მკითხველისთვის შედარებით გამარტივებული და ორიგინალისაგან მეტნაკლებად განსხვავებული ტექსტები; მოგვიანებით აღნიშნული მეთოდოლოგია გიორგი მთაწმინდლის (XI ს.) მიერ დამკვიდრებული **ზუსტი თარგმანის** პრინციპებით შეიცვალა; სამაგიეროდ, ბირითადი ტექსტისაგან გაიმიჯნა ე.წ. **შენიშვნები** და **კომენტარები**, რომელთაც ხელნაწერი წიგნების აშიაზე ათავსებდნენ. განვითარდა ერთ-ერთი მეცნიერული მიმართულებაც – **განმარტებები**, რომლებშიც ავტორები თავიანთ დამოუკიდებელ ხედვას აყალიბებდნენ კონკრეტულ სამეცნიერო წყაროებთან მიმართებით; მაგ., იოანე პეტრიწმა (XI-XII სს.) დაწერა „განმარტებაჲ პროკლესათჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს"; „აღორძინების“ პერიოდიდან ცნობილია მეფე ვახტანგ მეექვსისეული „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარები და სხვ.;

– ერთი და იმავე ტექსტის ორთოგრაფია სათანადო ეპოქის გრამატიკული ნორმების მიხედვით იცვლებოდა; შდრ.: ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები (იხ. ზემოთ);

– განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა **ნაწერის გაფორმებას**, მის გარეგნულ მხარეს; ამის თვალსაჩინო მაგალითია სხვადასხვა ფერის საღებავის მიზნობრივად გამოყენება ხელნაწერზე მუშაობის დროს; მაგ., ტექსტის სათაურსა და სტრიქონის დასაწყის ასოებს წერდნენ **სინგურით** – წითელი საღებავით, რომ მკითხველისთვის სწორად მაორიენტირებელი ყოფილიყო (იშვიათად აფორმებდნენ ოქროსფერი ასოებითაც), ხოლო ბირითად ტექსტს – **მელნით** (შავი საღებავით);

• სპეციფიკური ენობრივი სტილის შემუშავება; ქართველმა მწიგნობრებმა შეძლეს მაშინდელი მსოფლიო კულტურული გამოცდილების ათვისება და საკუთარ პრაქტიკაში დანერგვა, კერძოდ,

ბიბლიოთეკა

გამოჯნეს **ფუნქციური სტილები** (მელიქიშვილი, 1988, გვ. 90), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება აკადემიური წერის ისტორიაში.

ქვემოთ დავასახელებთ ძველ ქართველ მოღვაწეთა ერთ ნაწილს.

გრიგოლ ხანძთელმა – VIII-IX სს-ების უდიდესმა ქართველმა საეკლესიო და საზოგადო მოღვაწემ – დააარსა ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლა, რომელმაც განავითარა სამწიგნობრო ენის ტრადიციები; აქ აღიზარდნენ პროფესიონალი მთარგმნელ-გადამწერები, რომელთაც ორიგინალური ძეგლებით გაამდიდრეს აგიოგრაფიულ-ისტორიული მწერლობა, შეიმუშავეს საკუთარი, ინდივიდუალური სტილი და მტკიცე ბაზა შექმნეს შემდგომი კულტურული პროგრესისათვის.

X-XII საუკუნეებში – საქართველოს ცენტრალიზებულ მონარქიად ქცევის პერიოდში – შეიქმნა სასულიერო და საერო მწერლობის კლასიკური ნიმუშები; საზღვარგარეთ თუ ქვეყნის ტერიტორიაზე დაარსდა უმაღლესი საგანმანათლებლო ცენტრები (ათონის ივერთა მონასტერი, შავი მთის, პეტრიწონის ლიტერატურული სკოლები, გელათის, იყალთოს... აკადემიები), რომლებშიც სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: **იოანე და ექვთიმე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი** და სხვები. მათ დახვეწეს მთარგმნელობითი პრინციპები და საფუძველი ჩაუყარეს სამეცნიერო კვლევას. ამ პერიოდში შემუშავებული ბევრი ტერმინი, როგორიცაა: **არსი, არსება, არსებითი, მეტყველება... გონება, გონიერი, გონიერება, აგებულება, განცდა, გრძნობა, ვითარება, ნივთი, ნივთიერი, სულიერი, უგუნური, უგუნურება, უძლური, უძლურება... წარმოება, ურთიერთობა, მონაცვლეობა, უმსგავსოება, მსგავსებითი, ხილული, ცნობიერება, მოძღვრება, ჭეშმარიტება... არარაობა, სისრულე, სიმარტივე, სივრცე, უპირატესი, უმეცრება, მეცნიერება... მდგომარეობა, მოძრაობა, უძრაობა, სიტყვიერება, იგივეობა... შემოქმედებითი, მეშვეობითი, უმსგავსი, მოქმედებითი... ცვალებადი, თვითმპყრობელობა, რომელობა, რაოდენობა... მიმართება, უკვდავება** და სხვ. ახლაც პირვანდელი მნიშვნელობით გამოიყენება (ღამბაშიძე, 1986, გვ. 91).

ზემოაღნიშნული პერიოდის მოღვაწეთა შორის გამორჩეულია იოანე პეტრიწი – „საღვთო ფილოსოფოსი“, რომელიც ითვლება სამეცნიერო ენის სისტემატიზატორად; მან, ქართულ სინამდვილეში პირველად, სამეცნიერო სტილი გამოჯნა სასაუბრო მეტყველებისაგან – „მდაბრიონთაგან, ჩუეულთა სათარგმანოთა“ ენისაგან (მელიქიშვილი, 1975, გვ. 59; 1983, გვ. 66).

მწერლობისა და ფილოსოფიური აზროვნების ხელახალი აღმავლობის პროცესი უკავშირდება **სულხან-საბა ორბელიანს** (XVII-XVIII სს.), რომელმაც ძველ მწიგნობართა ნაშრომებზე დაყრდნობით შეადგინა პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონი („სიტყვის კონა“). სულხან-საბა ორბელიანის კვალს გაჰყვნენ მომდევნო პერიოდის მოღვაწენი:

ვახტანგ VI – პირველი რუსთველოლოგი, რომელმაც დაადგინა პოემა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტი, დაურთო კომენტარები და გამოსცა თავის დაარსებულ სტამბაში 1712 წელს, მანვე მოიწვია „სწავლულ კაცთა“ კომისია და შეადგინა სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელოები;

ვახუშტი ბატონიშვილი – ავტორი მეცნიერული ნაშრომისა: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ისტორიას დასაბამიდან XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე და საქართველოს ტერიტორიის პირველ დეტალურ გეოგრაფიულ აღწერილობას;

ანტონ კათალიკოსი – მკვლევარი, უცხო ენებიდან (ბერძნ., სომხ., გერმ.) საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ნაშრომების მთარგმნელი, ტერმინოლოგი, სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელოთა შემდგენელი, პირველი ქართული გრამატიკის ავტორი;

მეცნიერ-ლექსიკოგრაფები – **დავით რექტორი, დავით, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილები, სიმონ და ნიკო ეგნატაშვილები, ნიკო და დავით ჩუბინაშვილები** (XVIII – XIX სს.), რომლებმაც შეადგინეს ენციკლოპედიური, დარგობრივი და თარგმნითი ლექსიკონები, ასევე – სხვადასხვა ტიპის სახელმძღვანელოები (ვაშაკიძე, 2009, გვ. 9-25).

განსაკუთრებით აღსანიშნავია კათალიკოს ანტონ I-ის (XVIII ს.) ღვაწლი; ანტონმა აღადგინა X-XI-XII საუკუნეების მეცნიერული სტილი და შეიმუშავა სამწიგნობრო ენის გრამატიკულ-ორთოგრაფიული ნორმები, რომლებიც მოქმედებდა მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში – XVIII ს. 60-იანი წლებიდან XIX ს. 60-იან წლებამდე.

0.4. ილია ჭავჭავაძე და სამწიგნობრო ენის რეფორმა

სამწიგნობრო ენის სისტემატიზაციის ახალი ეტაპი უკავშირდება **ილია ჭავჭავაძეს**, რომლის თაოსნობითაც XIX ს. 60-იან წლებში გატარდა ენის დემოკრატიზაციის რეფორმები. ილიას დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან:

- მართებულად განსაზღვრა სამწიგნობრო ენის საორიენტაციო სტილი; მწერლობაში გზა გაუხსნა ხალხის ცოცხალი მეტყველებიდან მომდინარე სიტყვებს; ამავე დროს, ი. ჭავჭავაძე იცავდა ენის სიწმინდეს და სიფრთხილეს იჩენდა დიალექტიზმების მიმართ.

  შენიშვნა: მწერლის პოზიციაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მან წინ წამოსწია სიტყვა **მამული**ს სამწიგნობრო ქართულში დაცული მნიშვნელობა – „მამისეული“, „სამშობლო ქვეყანა“ (ს.ს. ორბელიანი, ნ. და დ. ჩუბინაშვილები), დიალექტური სემანტიკის საპირისპიროდ, შდრ.: „ვენახი“ (იმერ. / გურ. / ლეჩხუმ. / ქიზიყ.). მწერალი ერთგან შენიშნავს, რომ „ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების“ („დანეხვილი ნაფუძრის“) სახელამდეღა დაამდაბლა სიტყვა **მამული**, 60-იანი წლების მოღვაწეთა მეოხებით კი ამ სიტყვამ, როგორც ერთიანი ეროვნული ცნობიერების გამომხატველმა, „კვლავ დაიჭირა კუთვნილი ადგილი“.
- გაამარტივა ანბანი – ხმარებიდან ამოიღო ასოები: **ჲ, ѳ, ჯ, ჴ, ჱ** და, ასევე – უცხო ენის გავლენით დამკვიდრებული **ф** გრაფემა. ძველი თაობის წარმომადგენლის – სარდიონ ალექსიევ-მესხიევის შენიშვნა, თითქოს ორთოგრაფიის გამარტივება განსხვავებას წაშლიდა ომონიმურ სიტყვებში (შდრ., მაგ.: **ხელი** და **ჴელი**), ილიამ მართებულად გააბათილა, რომ სიტყვის მნიშვნელობა განისაზღვრება სხვა სიტყვებთან ურთიერთობით (წინადადებასა ან ფრაზაში) და არა სიტყვის შემადგენელი ასოებით;
- მეცნიერულად გამიჯნა „საჭირო“ და „არასაჭირო“ სიტყვები, თანამედროვე ტერმინოლოგიით – ინტერნაციონალიზმები, ნასესხობები და ბარბარიზმები. უფროსი თაობის წარმომადგენლებთან (ბ. ჯორჯაძე, ე. წერეთელი, რ. ერისთავი...) გამართულ პოლემიკაში ილიამ დაასაბუთა, რომ „ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებით ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს“; ასეთი სიტყვები ახლა „მთელს კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი, ცოტაოდენად განათლებული, ხმარობს თავის ენაში...“
- თავისი ძიებებით ბიძგი მისცა ქართული ენის ლექსიკის შეგროვებისა და სამეცნიერო დანიშნულებით გამოყენების საქმეს;
- საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ტერმინოლოგიური მუშაობის მეთოდოლოგიას; განსაზღვრა მისი ძირითადი მიმართულებები:

– ძველი ქართული სამეცნიერო (დარგობრივი) ლექსიკის მოძიება;
– ტრადიციული სიტყვაწარმოებითი მოდელების გააქტიურება;
– საერთაშორისო ტერმინების სესხება.

- ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად აქცია ქართული ენის სადავო საკითხები; მაგ., გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში საგანგებოდ მოწვეული სხდომების ინტერესი მიმართა ნორმირების პრინციპების შემუშავებისაკენ. ამას მოწმობს XIX-XX სს. პრესაში როგორც, საკუთრივ, ი. ჭავჭავაძის, ისე მოწინავე საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა: ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილის, ს. ხუნდაძის, გრ. ყიფშიძის, პ. მირიანაშვილისა და სხვათა გახმაურებული წერილები გრამატიკის მოსაგვარებელ საკითხებზე. აღნიშნულ ვითარებას მიესადაგება პოეტ გრიგოლ ორბელიანის სხარტი გამონათქვამიც გაზეთ „დროების“ რედაქტორზე: „ვერ ისწავლა მესხიმ წერა, ვერა, ვერა!“, ასევე, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ცნობილი დისკუსია (აკაკი: „ენას გიწუნებ, ფშაველო...“; ვაჟა: "დაგვიანებული პასუხი აკაკის") და სხვ. (ვაშაკიძე, 2009, გვ. 45-77).

V-XVI საუკუნეებში ქართული სამწიგნობრო ენის ნორმებს მკაცრი საყოველთაო წესები არეგულირებდა. XVII- XVIII საუკუნეებში საქართველოს დასუსტებასთან ერთად იწყება რყევები ენის ნორმირების სფეროშიც. XIX ს. საქართველოში გამორჩეულ მოღვაწეთაგან ნორმატიული გრამატიკის საკითხთა მოგვარების მცდელობას, ბუნებრივია, არ ჰქონდა საყოველთაო ხასიათი; მიუხედავად ამისა, მათი ძალისხმევით მომზადდა მყარი ნიადაგი ქართული სამწიგნობრი ენისა და ქართულენოვანი განათლების აღორძინებისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია "წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წევრთა მოღვაწეობა.

0.5. პირველი ქართული უნივერსიტეტი და თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენის ნორმალიზაცია-სისტემატიზაციის დასაწყისი

ქართული მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის ბიძგის მიმცემია XX საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარე მოვლენები, როგორიცაა, მაგ.: სკოლების გაეროვნულება და ქართული სახელმძღვანელოების შედგენა, "ქართული კულტურის მოყვარულთა (ქკმ) საზოგადოების" (1912) აქტიური საგანმანათლებლო მოღვაწეობა (ლეჟავა, 1988, გვ. 6-26) და სხვ., მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს თბილისის უნივერსიტეტის დაარსება (1918). სწორედ ამ პერიოდში იწყება სამწიგნობრო ენის ნორმალიზება და თანმიმდევრული დამუშავება; ყურადღების ცენტრში ექცევა სამეცნიერო ტერმინოლოგია და სალიტერატურო ნორმები.

1917-1921 წლებში გამოიცა დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონები: მათემატიკის, საზოგადო ქირურგიის, იურიდიული, სამეანო–საგინეკოლოგო და სხვ. საქართველოს ტექნიკური საზოგადოების თაოსნობით, შედგა და დაიბეჭდა „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონის“ პირველი (1920) და მეორე, შევსებული გამოცემები (1921), რითაც დასაბამი მიეცა ქართულ ტექნიკურ ტერმინოლოგიას.

1921 წელს განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო ი. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. მის სახელს უკავშირდება ტერმინოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის განვითარება.

1925 წელს სამეცნიერო საბჭო „ცენტრალურ სამეცნიერო ტერმინოლოგიურ კომიტეტად“ გადაკეთდა. 1936 წლიდან ტერმინოლოგიური მუშაობა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს დაუკავშირდა; აქ შეიქმნა სპეციალური სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება, რომელიც 1941 წლიდან მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შემადგენლობაში შევიდა. ცენტრალური სამეცნიერო ტერმინოლოგიური კომიტეტის შექმნიდან დღემდე, ენათმეცნიერთა და დარგის სპეციალისტთა თანამშრომლობით,

შედგა არაერთი ტერმინოლოგიური და განმარტებითი დარგობრივი ლექსიკონი; გამუდმებით მიმდინარეობს სალექსიკონო მონაცემების დამუშავება და ახალი მასალებით შევსება (ღამბაშიძე, 1986, გვ. 100-110).

ღვაწლმოსილ ენათმეცნიერ-გრამატიკოსთა (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...) ნაშრომებით დაიწყო სამწიგნობრო ენის მეცნიერული კვლევა და ნორმალიზაცია. ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- 1920 წელს გაიმართა ქართული ენის მცოდნეთა კონფერენცია, რომლის საორგანიზაციო ჯგუფმაც 1921 წელს გამოსცა წიგნაკი: "სალიტერატურო ქართულისათვის"; ეს იყო პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოსაგვარებლად;
- 1930–34 წლებში ცალ-ცალკე ნაკვეთებად დაიბეჭდა მოხსენებები სადავო გრამატიკულ საკითხებზე;
- 1934 წელს განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა ქართული ენის ნორმათა დამდგენი რესპუბლიკური კომისია, ხოლო მომდევნო წელს – ქართული ენის ნორმათა დამდგენი სამუშაო კომისია;
- 1936 წელს ცალკე წიგნად გამოიცა „სალიტერატურო ქართულის ნორმები, I", რომელშიც წარმოდგენილია ნორმათა დადგენის პრინციპები და რეკომენდაცია სადავო საკითხებზე; ამ ნორმების საფუძველზე დამუშავდა სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, რომელიც გამოიცა 1941, 1946 და 1949 წლებში;
- 1946 წელს მთავრობის დადგენილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ნორმათა დამდგენი კომისია;
- 1953 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან ამოქმედდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია;
- 1991 წელს, ზემოაღნიშნული კომისიის რეორგანიზაციის შედეგად, შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, ხოლო 1998 წელს – საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა. მთავარ ამოცანად, ნორმების მეთვალყურეობასთან ერთად, იქცა **სწორი ენობრივი პოლიტიკის** გატარება.

ნორმალიზაციის საკითხებზე 1963 წლიდან მუდმივად მუშაობს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეტყველების კულტურის განყოფილება. შექმნილია არაერთი კვალიფიციური ნაშრომი, რომელთა შორის გამორჩეულია:

- ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის ავტორობით (1941, 1998...);
- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები (1970, 1986);
- „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების" პერიოდული გამოცემა (1972 წლიდან) და სხვ. (ფუტკარაძე, 2006, გვ. 258-260). მართლწერის წესებზე შედგენილი სახელმძღვანელოებიდან ცნობილია: ვ. თოფურიას, გ. შალამბერიძის, შ. აფრიდონიძის, თ. სანიკიძის, რ. საღინაძის, ა. არაბულის, დ. თვალთვაძე – ნ. გაფრინდაშვილისა და სხვათა ნაშრომები. სადავო გრამატიკული საკითხების განხილვა საქართველოს სხვადასხვა ქალაქის (თბილისი, გორი, თელავი, ქუთაისი, ბათუმი...) უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში გამართული არაერთი სემინარისა თუ კონფერენციის სამუშაო თემას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში განხორციელებული საგანმანათლებლო რეფორმის შედეგად, მინიმუმამდე შემცირდა სამწიგნობრო ენის შემსწავლელი ცენტრები, აღნიშნული მიმართულებით პერმანენტულად გრძელდება მუშაობა. ეს ლოგიკური პროცესია, რადგან ქართული ენა მუდმივი გამოწვევების წინაშეა.

0.6. სალიტერატურო ნორმის დადგენის პრინციპები

ნორმალიზაციის მთავარი მიზანია სადავო გრამატიკული საკითხების გადაწყვეტა, კერძოდ, ენაში არსებული პარალელური ფორმებიდან ერთისათვის სალიტერატურო სტატუსის მინიჭება. პარალელური ფორმების გაჩენას ენაში სხვადასხვა მიზეზი იწვევს, მაგ., სასაუბრო მეტყველების სწრაფვა გამარტივებისკენ, რაც ვლინდება უფრო ბუნებრივი ბგერათკომპლექსების წარმოქმნაში (მსგავსი > მზგავსი), ასევე დიალექტური ფორმების შეჭრა სალიტერატურო მეტყველებაში (კინაღამ – კიღამ) და სხვ. (იხ. ქვემოთ).

პარალელური ვარიანტების არსებობა, ზოგადად, მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ფაქტია, რომელიც ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ენის შინაგანი პოტენციის, მეტყველის ენობრივი აღქმისა თუ სხვა მომენტების შესახებ, მაგრამ როცა საკითხი სამწიგნობრო ენის სისტემატიზაციასა და ნორმალიზაციას ეხება, აქ სპეციალისტთა დამოკიდებულება ცალსახაა: ნორმად უნდა განისაზღვროს პარალელურ ფორმათა შორის ოპტიმალური ვარიანტი.

ნორმირების პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, **დარგის სპეციალისტის**, მეორე მხრივ – საკუთრივ, **სანორმო ერთეულის** სტანდარტები. დარგის სპეციალისტის მთავარი მახასიათებელია **აკადემიზმი**, რომელიც შეიძლება განისაზღვროს რამდენიმე ასპექტით:

- საკითხის ისტორიის ცოდნა, რის გარეშეც შეუძლებელია პრობლემის სწორად შეფასება და გადაჭრა; მაგ., XIX საუკუნის მეორე ნახევარში, უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის გავლენით, ცდილობდნენ ტერმინ **ცილთგვარი ნივთიერების** (< რუს. Белковое вещество) დამკვიდრებას, როცა ენაში იყო გაცილებით მოქნილი ტრადიციული ფორმა – ცილა (საბა); ანალოგიურია ტერმინოლოგიური ვარიანტების: **მართლიერება / რჯულიერება** დაწერგვის მცდელობა (ი. ჭავჭავაძე), **სამართლის** საპირისპიროდ; შდრ.: „ქმნა მართლისა **სამართლისა**“ (რუსთ.); ვახტანგ VI-ის **სამართლის** წიგნი და სხვ.;
- ობიექტური ანალიზი და კოლეგიალიზმი;
- პერსპექტიული ფორმების განჭვრეტის უნარი; მკვლევრის უტყუარ ალღოსა და სწორ არჩევანზე დიდადაა დამოკიდებული ნორმის „სიცოცხლისუნარიანობა“. ეს საკმაოდ მძიმე და საპასუხისმგებლო საქმეა, რომელსაც ყოველთვის არ მოჰყვება სასურველი შედეგი; მაგ., უპერსპექტივო აღმოჩნდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში გააქტიურებული **-ებურ** ფორმანტიანი სიტყვაწარმოება (დიაკვნებური, მოქალაქებური, ადმინისტრატებური...), ისევე როგორც XX ს-ის 20-იან წლებში შემუშავებული ნეოლოგიზმები: რონოდა, ელსმენი, ბანჭვინი (შდრ.: ვაგონი, ტელეფონი, ბენზინი) და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, ნორმის შერჩევისათვის მთავარ წყაროს წარმოადგენს:

– ქართველ კლასიკოსთა მემკვიდრეობა, მათ მიერ გამოყენებული ცოცხალი სასაუბრო ფორმები; მაგ., ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ენაში ხელოვნურად შექმნილი სიტყვები, როგორიცაა: „მგრძნი“, „უხვა“, „ქუხვა“ და სხვ., ვერ დამკვიდრდა ენაში;

– თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების (პრესა, ტელევიზია, რადიო...) ენა, რომელიც გაცილებით სწრაფად ზემოქმედებს საზოგადოების მეტყველებაზე.

არსებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ნორმად უნდა იქცეს ის ფორმა, რომელიც იქნება:

- გავრცელებული;
- გრამატიკულად სწორი;
- მოქნილი წარმოებისა და ნათელი სემანტიკის;
- პერსპექტიული (ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერებიდან გამომდინარე).

წარმოდგენილი მახასითებლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი – **გავრცელებულობა**, რომელიც განსაზღვრავს ფორმის პერსპექტივას და დამოკიდებულია ნორმის მიმღებზე – საზოგადოებაზე; სხვანაირად: ნორმა დაკანონდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საზოგადოების უმეტესი ნაწილი იყენებს – „ხალხია ენის კანონის დამდები“ (ილია); საზოგადოების მეტყველებაში ბუნებრივად აქტიურდება ის ფორმა, რომელიც ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერებით არის ნაკარნახევი. ამით შეიძლება აიხსნას, მაგ., ის ფაქტი, რომ **ი**-ხმოვანზე დაბოლოებული ნასესხები (საკუთარი და საზოგადო) სახელები: **გრიგოლი, გემი, ელჩი**... დღეს თანხმოვანფუძიანებაადაა ქცეული: ნაცვლად მოსალოდნელი **გრიგოლიმ, გემიმ, ელჩიმ** ფორმებისა, სალიტერატურო ენაში დამკვიდრდა **გრიგოლმა, გემმა, ელჩმა**... მოხდა საწინააღმდეგო ფაქტიც – ქართული სამართლის ძეგლები მოწმობს, რომ ისტორიულად თანხმოვანფუძიანი ნასესხები საკუთარი სახელი **გივი** (მაგ.: **გივმა** მისცა, **გივს** ვუთხარ), დღეს ხმოვანფუძიანია (**გივიმ** მისცა, **გივის** ვუთხარი).

ნორმირებისთვის საუკეთესო პირობაა, როცა გავრცელებული ფორმა გრამატიკულადაც სწორია, მაგრამ ეს მეორე მოთხოვნა ყოველთვის არ არის დაცული. მაგ., ცნობილია, რომ ზმნებში მე-3 პირის მრავლობითის აღმნიშვნელ **-ნ-ენ** სუფიქსში **ნ** ისტორიულად არაა გამართლებული – ანალოგიით გაჩნდა (შდრ.: **წავიდენ – წავიდნენ, აშენებდენ – აშენებდნენ**...); მიუხედავად ამისა, **-ნენ** დაბოლოება გავრცელდა სხვადასხვა ტიპის ზმნებში და დღეს ნორმაა.

ნორმალიზაციის პრაქტიკაში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პარალელური ვარიანტები თითქმის თანაბრად აკმაყოფილებს ზემოთ წარმოდგენილ კრიტერიუმებს. ასეთი სიტყვები, ბუნებრივია, რჩება ნორმატიულ სისტემაში, მხოლოდ, იმიჯნება ნორმის **ძირითადი** და **დასაშვები** ფორმები. ნორმატიული სისტემის გარეთ დარჩენილი ვარიანტები კვალიფიცირებულია, როგორც **აკრძალული** ფორმები; მაგ., ნაწილაკიან ნაცვალსახელებში ძირითადი ფორმების – **ვინმეს, რამეს** – პარალელურად, დასტურდება დასაშვები **ვისმე, რასმე**, თუმცა მათი გავრცელების არეალი შედარებით მცირეა. რაც შეეხება **ვისმეს, რასმეს** ფორმებს, რომლებიც მიცემითი ბრუნვის გაორმაგებულ ნიშანს შეიცავენ (ვი-ს-მე-ს), მათი გამოყენება დაუშვებელია.

თუ მორფოლოგიაში (იშვიათად მაინც) მიღებულია ნორმის პარალელურად დასაშვები ფორმის არსებობა, ბგერათკომპლექსებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებისას სავალდებულოა ნორმად დარჩეს მხოლოდ ერთი ფორმა, რომელიც არის: უფრო გავრცელებული, გრამატიკულად სწორი და მისაღები ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის თვალსაზრისით.

როცა ფორმა ერთადერთია (პარალელური ვარიანტები არა აქვს), თუნდაც მცდარი იყოს, მაინც უნდა დამკვიდრდეს სამწიგნობრო ენაში; ასეთია, მაგ., სიტყვა **დაღმართი**, რომელშიც **ღ** საპირისპირო მნიშვნელობის **აღმართის** ანალოგიით გაჩნდა (შდრ.: „თავსა **დამართ** სცემდა“ – „შუშანიკის წამება“), ასევე: **აქაური**, **იქაური** – ადამიანის აღსანიშნავად (შდრ.: **კახური** ღვინო / ჩურჩხელა – **კახელი** კაცი / მევენახე...)[1], **ვზივარ, დგახარ** ფორმები და სხვ.

---

[1] დიალექტებში შეუზღუდავია სადაურობის **-ურ** და **-ელ** აფიქსთა გამოყენების არეალი; შდრ.: (აჭარ) **შავშურაი** ძალი – (ლიტ.) **შავშელი** რბალი; (მოხ.) **სადაველი** – (ლიტ.) **სადაური**...

0.7. „რა ენა წახდეს“

სახელმწიფო ენა ქვეყნის ღირსების საზომია. ქართული სამწიგნობრო ენა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობა და სახელმწიფო ენაა; შესაბამისად, ის მრავალფუნქციურია გამოყენების თვალსაზრისით; არის ეროვნული მეცნიერებისა და განათლების, მწერლობის, კულტურის, თავდაცვის, პრესის, ტელევიზიის, საქმიანი ურთიერთობის, საკანცელარიო დოკუმენტაციის... ენა.

სამწიგნობრო ენის განვითარება მჭიდრო კავშირშია ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხთან. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ მეფე ფარნავაზმა –24 საუკუნის წინ ქართული სახელმწიფოს ამაღორძინებელმა (ქართველთა პირველი სახელმწიფოები იყი კოლხა და დიაოხი) – ეროვნული ანბანი ოფიციალურ დამწერლობად აქცია და „ყოველთა ქართველთა“ დედაენას მიანიჭა სახელმწიფო ენის სტატუსი.

საყურადღებოა ასევე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორის – გიორგი მერჩულის მიდგომა **ქართველთა სახელმწიფოს საზღვრების ქართული ენით განსაზღვრის შესახებ:** „ქართლად (საქართველოდ) ფრიადი (მრავალი) ჭეყანაი (მხარე) აღირაცხების, რომელსაცა შინა **ქართულითა ენითა** ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

საუკუნეთა მანძილზე ქართული სამწიგნობრო ენა იყო ერთიანი ეროვნული ცნობიერების არა მარტო საფუძველი, არამედ გადამრჩენიც. საეკლესიო ღვთისმსახურება, წერილობითი კულტურის განვითარება, ოფიციალური დოკუმენტაციის შექმნა და სხვ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართული სალიტერატურო ენით ხდებოდა; უკიდურესი ფეოდალური დაქუცმაცებულობის ჟამსაც კი ქართველ ერს, როგორც ეთნოკულტურულ ერთობას, სამწიგნობრო ქართული ენა აერთიანებდა.

გარკვეულ პერიოდში ქართული სამწიგნობრო ენა მონათესავე იბერიულ-კავკასიური ხალხების კულტურისა და ღვთისმსახურების ენად იქცა. ამიტომაც კავკასიის დაპყრობის ისტორიულმა თუ ამჟამინდელმა მოსურნეებმა მთავარ სამიზნედ ქართული ენა და ქრისტიანობა აქციეს. ქართული ენის წინააღმდეგ მრავალმხრივი შეტევა განხორციელდა რუსეთის იმპერიის მიერ; კერძოდ, XIX ს. II ნახევრიდან, როდესაც რუსეთის იმპერიამ დასრულებულად გამოაცხადა კავკასიის იარაღით დაპყრობა, სწრაფი ასიმილაციის მიზნით დაგეგმა კავკასიელების, მათ შორის, ქართველების ენობრივ-კულტურული დანაწევრება; პირველ რიგში, დაიწყო ქართული ენის განდევნა ეკლესიიდან და ოფიციალური დაწესებულებებიდან (ფუტკარაძე, 2005, გვ. 27-30; ვაშაკიძე, 2009, გვ. 6-40); კერძოდ:

- სამრევლო სკოლებში, გიმნაზიებსა და სემინარიებში მაქსიმალურად შეიზღუდა ქართულენოვანი სწავლება. გარდა ამისა, 1871 წლის დეკემბერში კავკასიის სასწავლებლების მთავარი ინსპექტორის ბრძანებით, ქართული და სხვა ადგილობრივი ენები (სომხური, აზერბაიჯანული) **არასავალდებულო საგნებად** გამოცხადდა. ასევე იყო დიდი მცდელობა, მოსწავლე ახალგაზრდობაში აღმოეფხვრათ მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და გეოგრაფიის ცოდნა, რასაც მოწმობს საქართველოს ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტი (ვაშაკიძე, 2009, გვ. 38);
- ქართულ სამეცნიერო ენას ტერმინოლოგიური სიღარიბე და უპერსპექტივობა დასწამეს; 1880 წელს ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა გორის საოსტატო სემინარიის რექტორმა – სემიონოვმა განაცხადა, რომ ქართულ ენაზე შეუძლებელი იყო სასკოლო დისციპლინების სწავლება შესაბამისი სამეცნიერო ტერმინოლოგიის არარსებობის გამო. ამავე მიზეზით, ქართული ენა დევნილი იყო სამედიცინო, საბანკო, იურიდიული და სხვა ოფიციალური დაწესებულებებიდანაც (აღნიშნულ ფაქტთან

დაკავშირებით, ცნობილია რ. ერისთავის წერილი: "რაოდენათ მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს?", რომელიც გაზეთ „დროებაში" დაიბეჭდა (1880);

• დაიწყეს ქართული დიალექტების – ენებად, ხოლო სხვადასხვა კუთხის ქართველთა სხვადასხვა „ეთნოსად" გამოცხადება; მაგ.:

– გორის საოსტატო სემინარიის გამგეობამ (ქართულ ენაზე სწავლების თავიდან არიდების მიზნით), თუში, ხევსური, ინგილო... მოსწავლეები განსხვავებული „გვარტომობის" წარმომადგენლებად ცნო. სწორედ ეს ფაქტი გამოააშკარავა ი. ჭავჭავაძემ წერილში: „ვიტიროთ თუ ვიცინოთ?!";

– ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ინსპექტორმა ა. სტოიანოვმა რამდენიმე დიალექტად წარმოდგენილი სვანური მეტყველების ერთ-ერთი დიალექტი დამოუკიდებელ „სვანურ ენად" ჩათვალა;

– დაიწყო ქართული ენის დევნა სამეგრელოსა და სოხუმის ოლქის სკოლებიდან იმ არგუმენტით, რომ თითქოსდა, „მეგრელი ქართველი არ იყო";

– მეგრულად თარგმნეს სახარება და შეეცადნენ მეგრული წირვა-ლოცვის დამკვიდრებას;

– შექმნეს მეგრული და სვანური საანბანო წიგნები: სვანური საანბანო წიგნი – „ლუშნუ ანბანი" (1865 წ.; ავტორი: რუსი გენერალი ი. ბართოლომეი). ქართველთა ენობრივ-კულტურული დანაწევრების მიზნით რუსული გრამატიკის საფუძველზე შეიქმნა, ასევე, "Мингрельская азбука", რომელიც 1899 წელს დაიბეჭდა თბილისში (გვანცელაძე, 2000, გვ. 121).

ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მოსურნეებს ამხელდნენ ქართველი მოღვაწენი; ამ თემაზე ლექსებიც კი შექმნეს ნიკო დადიანმა და ვაჟა-ფშაველამ; მაგ., ვაჟა-ფშაველა ლექსში: „კაცი ის არის" -- გმობს ქართველი ერის მომძულეს, რომელიც „გადაამტერებს ერთმანეთს ქართლსა, იმერეთს, კახეთსა, **„საკუთარს ანბანს შეუდგენს სამეგრელოს და სვანეთსა..."** (ვაჟა-ფშაველა 1979, გვ. 252) / ხაზგასმა ჩვენია – ი.ვ. ტ.ფ./.

რუსი მოხელეები ცდილობდნენ, სხვადასხვა ეთნოსებად (/ხალხებად) წარმოედგინათ ქართველი ერის სხვადასხვა კუთხის შვილები; კერძოდ, თბილისის სამაგიდო კალენდრის გამომცემელმა, ვ. გერცენშტეინმა, რომელიც სისტემატურად აქვეყნებდა სტატისტიკურ ცნობებს თბილისის მოსახლეობის სრული რაოდენობისა თუ ეროვნულ-სარწმუნოებრივი განაწილების შესახებ, რუსების, სომხების, ფრანგების, გერმანელების... გვერდით ცალ-ცალკე ეროვნების წარმომადგენლებად გამოაცხადა: იმერლები, მეგრელები, თუშები... ამ ფაქტს ამხელს ი. გოგებაშვილი წერილში: "ქართველი ერის დაქუცმაცება" („ივერია" 1902, N 13). ამავე ანტიქართულ პოლიტიკას ეხმაურება აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსი „ჩონგური":

"ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები: ოდელა-დელა-დელაო!"

ქართველთა დედაენისა და ისტორიული სამწიგნობრო ენის დასაცავად წმიდა ილია მართლის ხლმძღვანელობით XIX საუკუნის 60-იანი წლებიდანვე საქართველოში დაიწყო ეროვნულ ძალთა გაერთიანება. ილია ჭავჭავაძისა და ქართველი საზოგადოების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენელთა მიერ (ს. მესხი, ი.გოგებაშვილი, ა. წერეთელი, ი. მარგიანი, გრ. დადიანი...) დაიწერა გამოხმაურებები ქართველთა ენობრივი ერთიანობის შესახებ; ძირითადად ამ მიზნით შეიქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". მათივე შეუდრეკელი ბრძოლის შედეგად, სასულიერო სემინარიაში აღდგა ქართული ენის სწავლება; დაიწყო მუშაობა ქართული სამწიგნობრო ენის ტრადიციების ასაღორძინებლად – ძველ ხელნაწერებსა და დიალექტებში დაუნჯებული სპეციალური ლექსიკის მოძიება, უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა და ტერმინთა საწარმოებელი ყალიბების დადგენა;

გააქტიურდა უმაღლესი ქართული განათლებისა და მეცნიერების ცენტრის – თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საკითხი, რომელიც XX ს. 10-იანი წლებიდან იქცა ეროვნულ და ანტიეროვნულ ძალთა დაპირისპირების მთავარ თემად (ფუტკარაძე და ვაშაკიძე, 2011, გვ.11-30).

XX ს. 10-იან წლებშიც აგრძელებდა რუსეთის იმპერია ქართული ენის დამცრობის პოლიტიკას. საქართველოს დამოუკიდებლობის სამწლიან პერიოდში (1918-1921) ვითარება შეიცვალა: ქართულს აღუდგა სახელმწიფო ენის სტატუსი; ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ (1918) დიდად შეუწყო ხელი ეროვნული მეცნიერებისა და მწერლობის განვითარებას. ეს პროცესი ინერციით გაგრძელდა საბჭოთა ეპოქის წლებშიც, თუმცა ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ (1921 წ.) ენობრივ პოლიტიკაში მალევე აღორძინდა რუსული იმპერიული კურსი.

XX ს. 20-იანი წლების ბოლოს საქართველოში საქმისწარმოების ენა კვლავ რუსულია (ეს კარგად ჩანს საარქივო დოკუმენტებიდან). საქართველოში ისევ უხვად შემოედინება რუსული ტერმინოლოგია და პრესტიჟული ხდება რუსული (ქართულის ფუნქციონირების შეზღუდვის ხარჯზე); ქართული მეცნიერება ვითარდება რუსული ორიენტირების მიხედვით. ამის ერთ–ერთი მაგალითია სიტყვა-ტერმინების – **უცხო, მშობლიური** – არასწორი მნიშვნელობით დამკვიდრება საბჭოთა მოქალაქის სამეცნიერო თუ ოფიციალურ-საქმიანი მოღვაწეობის სფეროში; კერძოდ, ქართველი მოსწავლისა თუ სტუდენტისათვის ანკეტის კითხვა: **რომელი უცხო ენა იცით?** არასოდეს მოიაზრებდა რუსულს; თუკი „გაუთვითცნობიერებელ' რესპონდენტს მაინც წამოსცდებოდა პასუხად: **რუსული**, მაშინვე შეაჩერებდნენ მოკლე, დაუსაბუთებელი „განმარტებით": **რუსული – არა, სხვა!..**

მაშინდელ უცხო ენათა ინსტიტუტში არ იყო სპეციალობა: რუსული ენა და ლიტერატურა. ეს უკანასკნელი, მაგ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების პარალელურად ფუნქციონირებდა, რაც თავისთავად ნიადაგს ქმნიდა ქართველი საბჭოთა მოქალაქის ცნობიერებაში რუსულის უცხო ენებისაგან გამოცალკევებისა და ქართულთან „დაახლოებისათვის". ასეთი მიდგომით დაუკონკრეტებელი, თითქოს წაყრუებული იყო განსხვავება ქართულსა და რუსულს, როგორც **სამშობლოს ენასა** და **უცხო ენას** შორის. ტერმინმა **უცხო ენამ** დაკარგა თავისი ნამდვილი მნიშვნელობა და ახალი პოლიტიკური ფონის მიხედვით შექმნილი სიტყვათშეხამების – **საბჭოთა ენის /ენების** ანტონიმად იქცა.

მიმართება: **მშობლიური – უცხო** შეიცვალა მიმართებით: **საბჭოთა – უცხო; უცხოს** საპირისპიროდ, ერთ სემანტიკურ ველში მოექცა ტერმინები: **მშობლიური** და **საბჭოთა**. ფაქტობრივად, მოხდა ქართულ ლექსემათა (უცხო, მშობლიური) ისტორიული მნიშვნელობების ხელოვნურად შეცვლა:

1. დავიწროება: **უცხო – არაქართული > უცხო – არასაბჭოთა;**
2. გაფართოება: **მშობლიური / ქართული > მშობლიური / ქართული / საბჭოთა (რუსული...).**

ანტიეროვნულ კურსთან არაპირდაპირი, მაგრამ მეთოდოლოგიურად თანმიმდევრული კავშირი ჰქონდა იმ ზოგად ტენდენციას, რომ **რუსულენოვანი განათლების მიღება პერსპექტიულად ითვლებოდა სამსახურებრივი კარიერისათვის.** ამასთან პირდაპირ კავშირშია XX საუკუნის 80–იანი წლების ბოლოს ტელევიზიის საშუალებით გახმაურებული ინფორმაცია სამეგრელო–აფხაზეთის სკოლებში ჩატარებული სპეციალური გამოკითხვის შედეგებზე, კერძოდ:

– რუსული სკოლის ქართველი უფროსკლასელები უპირატესობას ანიჭებდნენ რუსულენოვან საშუალო განათლებას, რომ მეტი გასაქანი მისცემოდათ დედაქალაქში (მოსკოვში!) სწავლის გაგრძელებისა და შემდეგ – გარკვეული პერსპექტივებისათვის;

– თითქოსდა, გოგონები არჩევდნენ, მომავალში შვილებიც რუსულ სკოლაში შეეყვანათ, რომ არ გასჭირვებოდათ მათთვის დახმარების გაწევა გაკვეთილების მომზადებაში.

ზემოაღნიშნული მოწმობს, თუ როგორ მიზანმიმართულად იჩრდილებოდა იმპერიული რეჟიმის პირობებში ჩვენი ერის სულიერ მოძღვართა საუკუნის წინანდელი შეგონებები:

- „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების... (გიორგი მერჩულე);
- რა ენა წახდეს, ერი დაეცეს (გრ. ორბელიანი);
- ბავშვმა თავდაპირველად თავის დედა-ენაზედ უნდა გაიხსნას გონება (ილია ჭავჭავაძე);
- ნამდვილი ქართველი მხოლოდ ნამდვილ ქართულ სკოლას შეუძლია აღზარდოს (მღვდელი სიმონ მჭედლიძე)...

საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის ანტიქართულობის მკაფიო მაგალითია 1978 წელს განვითარებული მოვლენები, როდესაც საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ დასვა საქართველოს სახელმწიფო ენის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის საკითხი. საყოველთაოდ ცნობილია, როგორი გამოსვლები მოჰყვა ამ აღმაშფოთებელ ფაქტს ჩვენი საზოგადოების მხრიდან; საქართველოს მოქალაქეებმა (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად!) ერთსულოვნად **დაიცვეს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი.** სამწუხაროდ, დღემდე ოფიციალურად 14 აპრილი იწოდება „დედაენის დღედ"; ეს არასწორი კვალიფიკაციაა, რამდენადაც საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობებისათვის დედაენა სხვაა და სახელმწიფო ენა – სხვა; **14 აპრილი კი საქართველოს ყველა მოქალაქემ, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, უნდა იზეიმოს, როგორც თავისი სახელმწიფოს სახელმწიფო ენის დღე** – 14 აპრილს ქართველებმაც და საქართველოს მოქალაქე სხვა ეთნოსის წარმომადგენლებმაც ერთად დავიცავით საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსი (ფუტკარაძე, 2006, გვ. 11-12).

პოსტსაბჭოთა პერიოდშიც ბევრი გამოწვევაა; ჯერ კიდევ დასაბალანსებელია არაერთი ანტიმეცნიერული და ანტიქართული იდეოლოგემა (ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2019), თუმცა რუსულიმპერიული პირდაპირი წნეხისგან თავისუფალ საქართველოში გაცილებით დიდია სახელმწიფოებრივი ენობრივი პოლიტიკისა და ქართული სამწიგნობრო ენის სრულყოფილად განვითარების პერსპექტივა. შეიმჩნევა არასასურველი ტენდენციაც: მედია თუ პოლიტიკური სპექტრი ზოგჯერ ანგარიშმიუცემლად ექცევა დაწინაურებული საერთაშორისო ენების გავლენის ქვეშ; მაგ., დღეს აქტიურად გამოიყენება ახალი ბარბარიზმები და კალკები, რომელთა გამოყენებაც სრულიად გაუმართლებელია; შდრ.:

რაოდენობაში აღარ არის	–	**გათავდა;**
აღარ გავმეორდები	–	**აღარ გავიმეორებ;**
ჩემს ინტერესებშია	–	**მაინტერესებს;**
დავუმესიჯე	–	**შევატყობინე;**
სკანდირება	–	**შეძახილი...**

მსოფლიოს ენებთან (ხალხებთან) თავისუფალი, შეუზღუდავი ურთიერთობის პირობებში ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოწინავე ქართველთა მიერ შემუშავებული ორიენტირები:

- ქართულ ენას აქვს მრავალსაუკუნოვანი სამწერლობო ტრადიციები, ლექსიკურ-გრამატიკული წყობა და გამოსახვის საშუალებები, რომლებითაც შესაძლებელია ეპოქის მოთხოვნებისათვის პასუხის გაცემა ტექნიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა სფეროში;

• ევროპული განათლების მიღება არ ნიშნავს ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის ენის უცხო ფსიქოლოგიური მოდელის მიხედვით ტრანსფორმირებას.

200-წლიან იმპერიულ სივრცეში იძულებით ყოფნის შემდეგ ევროპული თუ ამერიკული განათლებით დაინტერესება ქართველისათვის, ბუნებრივია, სახელმწიფოებრივი და პიროვნული თავისუფლების გამოხატვის ერთგვარი ფორმაც არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ენა ახალი ენობრივი დივერსიების პოლიგონად ვაქციოთ.

ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია სამწიგნობრო ენის სიწმინდესა და თავისთავადობაზე ზრუნვა. თავის დროზე ეს იყო ჩვენი წიგნიერი წინაპრების სატკივარიც: „შევიძინოთ განათლება ევროპიელთაგან: რუსთა, ფრანგთა, გერმანელთაგან, გარნა ნუ წავახდენთ და ნუ გავრყვნით ჩვენს ენას ნურც რუსიციზმებით, ნურც გალიციზმებით და ნურც გერმანიზმებით“ (ივერია, 1903, N4, გვ. 2).

ზემოაღნიშნულთან ერთად, დღეს ასევე არსებითია იმ გამოწვევებისათვის მზადყოფნა, რომელთა წინაშეც დგას, ზოგადად, მსოფლიოს სხვა ენებიც; თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს ქართული ენის „ტრანსფორმირება ...ინტერნეტსივრცის, ავტომატური თარგმანების... კომპიუტერული ტექნიკის მართვის... ენად“, რათა ის დარჩეს კულტურულ ენათა რიგში და არ დაკარგოს მომავლის პერსპექტივა (ფუტკარაძე, 2013, გვ. 15-22). ასეთი საპასუხისმგებლო საქმის განხორციელება, ბუნებრივია, ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთიანი ძალისხმევით არის შესაძლებელი; ყველა დროში აქტუალურია შეგონება: "რა ენა წახდეს, ერი დაეცეს".

0.8. ქართველთა სამწიგნობრო ენა და დიალექტები

ქართველთა დედაენა მოიცავს ქართულ სამწიგნობრო ენასა და ათეულობით დიალექტს. როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველები ქმნიან ერთიან ქართველ ერს, ასევე, **ქართველთა სამწიგნობრო ენა და კუთხური მეტყველებანი** შეადგენენ ქართველთა დედაენას – ქართულ (/ქართველურ) ენას. დუტუ მეგრელის – დიმიტრი თომას ძე ხოშტარიას (1867-1938) – ლექს "პატარა ქართველის" ერთ-ერთ ვერსიაში შთამბეჭდავად არის ასახული ქართული კუთხეების ერთიანობის თემა:

„....ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
რაჭა-ლეჩხუმ-ჯავახეთი
და მესხეთი სასახელო,
ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი,
სვანეთი და აფხაზეთი,
ძველი ტაო, იმერხევი,
საინგილო და ლაზეთი,
მთიულეთი – საარაკო
და აჭარის ზღვა და მდელო –
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო...“

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ქართველურ დიალექტთა განსხვავებული კლასიფიკაციები. ჩვენი აზრით, უფრო ლოგიკურია დიალექტების დაჯგუფება საქართველოს კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრთან სიახლოვე-სიშორის მიხედვით; კერძოდ, გარკვეული პირობითობით, გამოიყოფა:

ცენტრალური კილოები:

- ქართლური (შიდა / ზემო / ქვემო ქართლური, დასავლური ქართლური);
- კახური (გარე / შიგნიკახური, ქიზიყური);
- გურული (ზემო /ქვემო გურული);
- იმერული (ზემო / შუა / ქვემო იმერული);
- ლეჩხუმური.

განაპირა კილოები:

- ფხოვური კილოები: ხევსურული, ფშაური, თუშური (ჩაღმა-თუშური, წოვა-თუშური), მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული;
- მესხური კილოები: აჭარული, სამცხური, ჯავახური, იმერხეული (შავშური), ტაოური, მაჭახლური, ლივანური;
- რაჭული: მთის რაჭული, ბარის რაჭული;
- ჰერული კილოები: ალიაბათური, კაკური;
- ზანური კილოები: მეგრული, ჭანური (ლაზური);
- სვანური კილოები: ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური, ლაშხური, ჩოლურული.

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული დიალექტები:

- ფერეიდნული – ირანის პროვინციაში, სადაც XVII საუკუნეში შაჰ-აბას I-მა იძულებით ჩაასახლა კახეთის მოსახლეობა; ფერეიდანი ერთადერთი რეგიონია ირანში, რომელშიც ქართველობამ დღემდე შეინარჩუნა ქართული ენა. ფერეიდნელთა ნაწილი ამჟამად ცხოვრობს ისპაჰანსა და მიმდებარე ქალაქებში (ხორასანში, მაზანდარსა და ფარსში ჩასახლებულ ქართველებს დაკარგული აქვთ ქართული ენა). ბოლო მონაცემების მიხედვით, ირანში, დაახლოებით, 50 000 კაცს შენარჩუნებული აქვს ისტორიული დედაენა. ბოლო პერიოდში თავისი ეთნიკური ისტორიის მცოდნე ბევრი პირი ცდილობს, შეისწავლოს წინაპრების ენა – ქართული ენა.
- ყიზლარ-მოზდოკური და პლასტუნკური – ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქ მოზდოკში, ყიზლარის ოლქის ორ სოფელში: სასოფლოში (ალექსანდრო-ნევსკაია), სარაფანში (შელკოვსკაია) და სოჭის მახლობლად – პლასტუნკაში. ისტორიული წყაროების ჩვენებით, რუსეთს მიმავალ მეფე ვახტანგ მეექვსის ამალის ერთმა ნაწილმა ყიზლარში პირველი ქართული ახალშენი დააარსა 1724 წელს. აღნიშნულ რეგიონებში დღეს ქართველობა მცირეა რუსებთან ასიმილაციის გამო. რუსულისავე გავლენით, ქართული მეტყველება საგრძნობლად არის შეცვლილი.
- "ჩვენებურების" მეტყველება – თურქეთის ტერიტორიაზე (ბურსა-ინეგოლში, ადაფაზარი-ოზმითში, გონენსა და კაიზერის მიდამოებში) მცხოვრები ქართველების – **მუჰაჯირთა** (არაბ. „გადახვეწილთა") შთამომავლების მეტყველება. მათ კარგად აქვთ შენარჩუნებული როგორც ქართული იდენტობა, ისე ქართული ენა. ტერმინი „მუჰაჯირი ქართველები" აერთიანებს: აჭარლებს, შავშელებს, ლივანელებს... მათი დიდი ნაწილი გვერდიგვერდ ცხოვრობს; შესაბამისად, თურქულის გავლენის გამოც და თანაცხოვრების გამოც მუჰაჯირ ქართველთა მეტყველება გარკვეულწილად ერთგვაროვანი ხდება (ფუტკარაძე, 2006, გვ. 40, 45-67).

ქართველური დიალექტების სიცოცხლისუნარიანობის შესანაჩუნებლად მნიშვნელოვანია მათ წინაშე არსებული საფრთხეების გათვალისწინება, კერძოდ:

– ქართველთა ისტორიული ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, ჟამთა ვითარების გამო, სხვა სახელმწიფოთა საზღვრებში მოექცა; ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა ახალი თაობა უკვე ვეღარ ფლობს ისტორიულ კილოებს;

ფონეტიკა

მორფოლოგია

სინტაქსი

ფონეტიკა[2]

1. სამეტყველო ბგერა და მარცვალი


ყოველ ენაში არსებული უამრავი სიტყვა შექმნილია რამდენიმე ათეული სამეტყველო ბგერის ნაირგვარი კომბინაციით. ბგერა არის მეტყველების უმცირესი ერთეული. თანამედროვე ქართულ სალიტარატურო ენაში 33 სამეტყველო ბგერაა, რომელთაც შეესაბამება 33 ასო-ნიშანი. ბგერას წარმოვთქვამთ, ასონიშანს ვწერთ და ვხედავთ. სამეტყველო ბგერა ცვლის სიტყვის მნიშვნელობას; მაგ., შდრ.:

ლი – ა-ლი – ბ-ა-ლი – ბ-ე-ლი

ემი – ჩ-ემი – გ-ემი – ჯ-ემი და სხვ.

ბგერები წარმოითქმება **სამეტყველო (საწარმოთქმო) ორგანოების** მოქმედების შედეგად. ეს ორგანოებია:

- **სასუნთქი აპარატი:** ფილტვები, დიაფრაგმა, სასუნთქი მილი, სახმო სიმები, ხორხი, ხახა;
- **პირის ღრუ:** ენა, კბილები, ნუნები, რბილი და მაგარი სასა, ნაქი;
- **ბაგეები;**
- **ცხვირის ღრუ** (იხ. ქვემოთ საწარმოთქმო ორგანოების ზოგადი სურათი).



საწარმოთქმო ორგანოებიდან ზოგი უფრო აქტიურად მონაწილეობს ბგერების წარმოთქმაში, ზოგი კი პასიურია. ყველაზე აქტიური ორგანოა ენა; სწორედ ამიტომ ყველა ენაში ბიოლოგიური ორგანო „ენა“ და ადამიანის სალაპარაკო „ენა“ ერთი და იმავე სიტყვით აღინიშნება. სხვა **აქტიური სამეტყველო ორგანოებია:** ქვედა ყბა, ტუჩები, სახმო სიმები, რბილი სასა ნაქითურთ, ხახის კედელი; **პასიური ორგანოებია:** კბილები, ნუნები და მაგარი სასა.

ქართული ენის სამეტყველო ბგერები მრავალი საუკუნეა ანბანის ასონიშნების მიხედვითაა დალაგებული:

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ.


---

[2] ფონეტიკა [ბერძ. phonetikos – ბგერისა] არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ადამიანის სამეტყველო ბგერათა წარმოთქმის, გაგონების, აღქმის თავისებურებებს; შეისწავლის ბგერათა ცვალების კანონზომიერებებს მეტყველების პროცესში... ფონეტიკასთან მჭიდრო კავშირშია **გრაფიკა** – მოძღვრება სამეტყველო ბგერათა ასოებით გამოხატვის შესახებ (ფუტკარაძე და მიქაუტაძე, 2014, გვ. 21).

ანბანის თანმიმდევრობის ცოდნა საჭიროა სიების შესადგენად, ლექსიკონში სიტყვების მოსაძებნად, ზოგადად, ლექსიკონების შესაქმნელად: ლექსიკონში სიტყვების დალაგების პრინციპი სწორედ ანბანის რიგს ემყარება – თუ პირველი ასოები ერთნაირია, სიტყვათა დალაგების საკითხს მეორე ასოები წყვეტს; თუ მეორე ასოებიც ერთი და იგივეა, მაშინ – მესამე და ა.შ.

ბგერები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: **ხმოვნები** და **თანხმოვნები**. ხმოვნებს მარცვლის შექმნის უნარი აქვთ, თანხმოვნებს კი – არა. ხმოვანთა წარმოთქმისას ფილტვებიდან მომდინარე ჰაერნაკადი პერიოდულად აჟღერებს სახმო სიმებს და პირის ღრუში არავითარი დაბრკოლება არ ხვდება.

ქართულ ანბანში არის 5 ხმოვანი და 28 თანხმოვანი. ხმოვნებია: ა, ე, ი, ო, უ. ხმოვნების წარმოთქმაში მონაწილეობს ენა და ბაგეები. ხმოვნის წარმოთქმისას ენის აწეულობისა (დაბალი, საშუალო, მაღალი) და ენის ზურგის წინა, შუა, უკანა ნაწილების მონაწილეობის მიხედვით ენათმეცნიერმა გ. ახვლედიანმა ხმოვანთა მიმართება სამკუთხედის სახით წარმოადგინა:



ა – დაბალი აწეულობის შუა რიგის ხმოვანი;

ე, ო – საშუალო აწეულობის ხმოვნები: ე – წინა რიგის, ო კი – უკანა რიგის;

ი, უ – მაღალი აწეულობის ხმოვნები: ი – წინა რიგის, უ კი – უკანა რიგის.

ბაგეების მონაწილეობის მიხედვით, გამოიყოფა ხმოვანთა ორი ჯგუფი: ბაგისმიერი ხმოვნები: ო, უ; არაბაგისმიერი ხმოვნები: ა, ე, ი.

თანხმოვანთა ჯგუფები წარმოთქმის ადგილის მიხედვით:

ბაგისმიერი: ბ ფ პ მ ვ

კბილისმიერი: დ თ ტ

წინანუნისმიერი: ძ ც წ ზ ს ნ ლ

უკანანუნისმიერი: ჯ ჩ ჭ ჟ შ რ

რბილსისმიერი: გ ქ კ

ხახისმიერი: ღ ხ ყ

ხორხისმიერი: ჰ

თანხმოვნები იყოფა **მჟღერ** და **ყრუ** ბგერებად. მჟღერი ბგერების წარმოთქმისას სახმო სიმები ჟღერს, განსხვავებით ყრუ ბგერებისაგან. ხმოვნების მსგავსად, მჟღერია 13 თანხმოვანი (სულ – 18 ბგერა); ყრუა 15 თანხმოვანი.

მჟღერი თანხმოვნები: ბ, დ, ძ, ჯ, გ, ზ, ჟ, ღ; მ, ნ, რ, ლ, ვ;

ყრუ თანხმოვნები: თ, კ, პ, ს, ტ, ფ, ქ, ყ, შ, ჩ, ც, წ, ჭ, ხ, ჰ.

მჟღერ ბგერათაგან 8 ჩქამიერია (ახასიათებს მომენტობრივი ჟღერა), 5 – სონორი (ახასიათებს პერიოდული ჟღერა).

ყრუ ბგერებში, თავის მხრივ, ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: **ფშვინვიერი** (სუნთქვისმიერი) და **მკვეთრი** თანხმოვნები. ფშვინვიერი თანხმოვნების წარმოთქმისას ფილტვებიდან ამონადენი დიდი რაოდენობის ჰაერნაკადი გამოიდევნება პირის ღრუდან, ამიტომაც ჰქვია

„სუნთქვისმიერნი“ (ფშინვა – სუნთქვა). მკვეთრი ბგერების წარმოთქმისას ფილტვებიდან ჰაერი არ ამოდის; ბგერის წარმოთქმის ეფექტს ქმნის პირის ღრუში არსებული ჰაერის სწრაფად, მკვეთრად გამოდევნა.

ყრუ-ფშვინვიერი თანხმოვნები: ფ, თ, ც, ჩ, ქ, ს, შ, ხ, ჰ;

ყრუ-მკვეთრი თანხმოვნები: პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, გამოიყოფა თანხმოვანთა 5 სამეული, 3 წყვილეული და 7 ცალეული. თითოეულ სამეულში ერთი ბგერა მჟღერია, ორი კი – ყრუ: ერთი – ფშვინვიერი, მეორე – მკვეთრი. წყვილეულებში ერთი ბგერა მჟღერია, მეორე კი – ყრუ ფშვინვიერი. ცალეულთაგან 5 სონორია (პერიოდულად მჟღერი ბგერა), 1 ყრუ ფშვინვიერი, 1 ყრუ მკვეთრი.

სამეულები			წყვილეულები	
მჟღერი	ყრუ		მჟღერი	ყრუ
	ფშვინ.	მკვეთ.		
ბ	ფ	პ	ზ	ს
გ	ქ	კ	ჟ	შ
დ	თ	ტ	ღ	ხ
ძ	ც	წ		
ჯ	ჩ	ჭ		

ცალეულები: სონორები – ვ, მ, ნ, ლ, რ; ყრუ ბგერები – ჰ, ყ.

ადამიანი სიტყვებს წარმოთქვამს მარცვლებად. **მარცვალი** არის ერთი ხმოვანი ან ხმოვნისა და თანხმოვნის, ხმოვნისა და თანხმოვნების ბგერათკომპლექსი. მარცვალი წარმოითქმის ჰაერის პერიოდულად ჟღერადი ტალღის ამოღებით. სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიც – ხმოვანი. ქართულში სიტყვა შეიძლება იყოს ერთ-, ორ-, სამ-, ოთხ-, ხუთ-, ექვსმარცვლიანი და სხვ., თუმცა მრავალმარცვლიანი სიტყვების რაოდენობა შედარებით მცირეა.

მარცვალი შეიძლება იყოს **ღია** და **დახურული**. ღია მარცვალი ხმოვანზე ბოლოვდება, ხოლო დახურული – თანხმოვანზე; მაგ., სიტყვაში: „გა-მარ-ჯვე-ბა“ ოთხი მარცვალია, ამათგან სამი ღია მარცვალია, ერთი კი (მარ) – დახურული.

სიტყვის სწორად დამარცვლა აუცილებელია სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის დროს. ელექტრონული ტექსტების შემთხვევაში აქტუალური არ არის წესების მიხედვით სიტყვის დამარცვლა, თუმცა ხელნაწერი ტექსტის შედგენისას სასურველია, გავითვალისწინოთ დამარცვლის შემდეგი წესები:

- ერთმარცვლიანი სიტყვა არ გაიყოფა: **ცეცხლს, ფცქვნის, გვბდღვნის...**
- ერთი ხმოვნისაგან შემდგარი მარცვლის სტრიქონზე დატოვება ან გადატანა არ შეიძლება: **აი-ტა-ნა, დაუ-წე-რია, მე-ლია...**
- სიტყვაში თავმოყრილი რამდენიმე თანხმოვნიდან პირველი წინა მარცვალთან დარჩება, დანარჩენი კი მომდევნო მარცვალს გადაჰყვება: **მარ-ხვა, კვამ-ლის, სა-შარ-ვლე...**
- ორ ხმოვანს შორის მოქცეული თანხმოვანი მომდევნო მარცვალს მიეკედლება: **ზა-ვი, ლო-მი, თხი-ლი...**

1. ხმოვნებს შორის მოქცეული ნებისმიერი ორი თანხმოვანი გაითიშება: **ათ-ხოვა, ფიჩ-ხი, საწ-ყა-ლი...**

2. თუ ორ ხმოვანს შორის ორი ერთნაირი თანხმოვანია მოქცეული, ბუნებრივია, ერთი წინა მარცვალთან დარჩება, მეორე კი – მომდევნოსთან: **ექიმ-მა, ადიდ-და, ხაზ–ზე...**

3. რთული სიტყვა (კომპოზიტი) სასურველია შემადგენელ ფუძეებად დაიყოს გადატანის დროს (მნიშვნელობა არა აქვს, დეფისით იწერება თუ უდეფისოდ): **ხელ-მძღვანელი, დედ-მამა, ორ-წლიანი...**

სავარჯიშოები

1.1. მოცემულ ბგერათკომპლექსებზე ჩამონათვალიდან შერჩეული ბგერების კომბინაციით მიიღეთ განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვები.

1) –ული/ გ, ხ, ს, მ, ჩ, ფ, ჭ, ა, ბ, ნ, ც, ხ, ე, კ: ფ–ული...
2) –ორი / ქ, კ, ჯ, ც, ი, ღ, კ, ლ, უ, მ, დ, გ: ქ–ორი...
3) მე–ი / ხ, ვ, რ, ღ, გ, ა, ტ, ჩ, ქ, ლ: მე–გ–ი...
4) მი–ი / ჩ, დ, ხ, თ, ლ, ო, ნ, ჟ, ს, ბ: მი–ლ–ი...

1.2. გამართეთ შეჯიბრება „სხარტი მესიტყვის" ტიტულის მოსაპოვებლად და მითითებული ბგერათკომპლექსების გამოყენებით, მოიფიქრეთ განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვები. გაიმარჯვებს ის, ვინც მეტ ქულას დააგროვებს: 1 სიტყვა = 1 ქულა; დრო თითოეული ეტაპისათვის: 3-5 წუთი.

გაიყავით ოთხ გუნდად: I და II ეტაპებზე ორ-ორი გუნდი შეჯიბრება ერთმანეთს, III ეტაპზე კი შეჯიბრება 2 გამარჯვებულ გუნდს შორის გაიმართება.

– დავალება შეჯიბრების I ეტაპისათვის:
ა) -ალა (6 სიტყვა).
ბ) -ომი (6 სიტყვა);
– დავალება შეჯიბრების II ეტაპისათვის:
გ) -ური (7 სიტყვა)
დ) -ელი (7 სიტყვა)
– დავალება შეჯიბრების III ეტაპისათვის:
ე) -ორი (9 სიტყვა);
ვ) -არი (13 სიტყვა).

1.3. მოცემული ბგერებისგან შეადგინეთ სიტყვები ფრჩხილებში მითითებული რაოდენობით.

1) ა, ა, ზ, რ (3)
2) ა, თ, ი, ვ (2)
3) ლ, რ, ი, ა (3)
4) ი, ი, ლ, ხ (2)
5) ი, ა, ლ, შ (3)
6) ო, ი, ლ, რ (2)
7) ვ, ლ, ა, ი (3)
8) ი, ი, ს, მ (2)
9) ი, ო, მ, ლ (2)
10) ნ, ზ, ა, ი (3)

1.4. სიის თანმიმდევრობით წარმოადგინეთ კლასის მოსწავლეთა გვარები.

სულთანიშვილი, ლურსმანიშვილი, მუხიგულშვილი, დავითაშვილი, ჯიქია, ბახტაძე, ქავთარაძე, აფციაური, სამხარაძე, ველთაური, ქათამაძე, მაქაცარია, ჯანჯალაშვილი, აბრამიშვილი, მღებრიშვილი, რუსია, ვაშაკიძე, პატაშური, ჯოჯუა, კაბულაშვილი, ტაბატაძე, კობიძე, მეფარიშვილი, ბოსიკაშვილი, საბანაძე, ვაშყმაძე, ბარნოვი, ჩადუნელი, ორაგველიძე, ლებანიძე, მაისურაძე, ქსოვრელი, მანდარია, აზმაიფარაშვილი, ცინაძე, იაკობიძე.

1.5. ლექსის სტრიქონები დაყავით მარცვლებად. შეადარეთ ღია და დახურული მარცვლების რაოდენობა.

ხარს ვჯიქარ ნაიალაღარს,
რქით მინასა ვჩხვირ, ვბუბუნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! –
მძინარიც იმას ვდუდუნებ. (ვაჟა-ფშაველა).

1.6. დამარცვლეთ ქართული გეოგრაფიული სახელები სტრიქონიდან სტრიქონზე გადასატანად.

1) ქართლი, გურია, მესხეთი, სამეგრელო, საინგილო, ხევსურეთი, მთიულეთი, შავშეთი, იმერხევი;
2) ოზურგეთი, მესტია, ოჩამჩირე, გულრიფში, სამტრედია, ზესტაფონი, რუსთავი, ასპინძა, ადიგენი.

ტესტი N 1

სამეტყველო ბგერა და მარცვალი

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ა) ბგერა არის მეტყველების უმცირესი ელემენტი;
ბ) ბგერა არ არის მეტყველების უმცირესი ელემენტი.

2. რომელი პასუხია სწორი?
ენის ძირითადი (საკომუნიკაციო და გაგებინების) ფუნქცია ხორციელდება:
ა) სამეტყველო ბგერების საშუალებით;
ბ) კონტაქტის საშუალებით.

3. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
ა) ბგერის საშუალებით შესაძლებელია სიტყვის მნიშვნელობის ცვლა;
ბ) ბგერის საშუალებით შეუძლებელია სიტყვის მნიშვნელობის ცვლა.

4. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ა) ბგერები წარმოითქმება საწარმოთქმო ორგანოების მოქმედების შედეგად;
ბ) ბგერები წარმოითქმება მხოლოდ სასუნთქი აპარატის მოქმედების შედეგად.

5. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
ა) ქვედა ყბა აქტიური საწარმოთქმო ორგანოა;
ბ) ქვედა ყბა პასიური საწარმოთქმო ორგანოა.

6. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც პასიური საწარმოთქმო ორგანოებია.
ა) კბილები, ნუნები და მაგარი სასა;
ბ) ენა, ქვედა ყბა, ტუჩები, სახმო სიმები, რბილი სასა ნაქითურთ, ხახის კედელი.

7. რომელი პასუხია მცდარი?
ანბანის თანმიმდევრობით არის დალაგებული:
ა) ტერმინები სახელმძღვანელოს პარაგრაფში;
ბ) სიტყვები ლექსიკონში.

8. შემოხაზეთ სიის სწორი ვარიანტი.
ა) გეგენავა, ვეშაპიძე, კვახაძე, ტაბატაძე, ტაბლიაშვილი, ჩაჩუა...
ბ) გეგენავა, ვეშაპიძე, კვახაძე, ტაბლიაშვილი, ტაბატაძე, ჩაჩუა...

9. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
თანამედროვე ქართულ ანბანში სულ
ა) 28 ბგერაა;
ბ) 33 ბგერაა;
გ) 38 ბგერაა.

10. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.
ბაგეების მონაწილეობის მიხედვით, გამოიყოფა ხმოვანთა:
ა) ორი ჯგუფი: ბაგისმიერი და არაბაგისმიერი ხმოვნები.
ბ) სამი ჯგუფი: ბაგისმიერი, არაბაგისმიერი და ხახისმიერი ხმოვნები.

11. რომელი პასუხია მცდარი?
ა) ხმოვნები თანხმოვნებისაგან განსხვავდებიან მარცვლის შექმნის უნარით;
ბ) ხმოვნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მარცვლის შექმნის უნარით.

12. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ა) ბ ფ პ მ კბილბაგისმიერი ბგერებია;
ბ) ბ ფ პ მ წყვილბაგისმიერი ბგერებია.

13. რომელი პასუხია მცდარი?
ჯგანასასისმიერი: ბგერებია:
ა) ჯ ჩ ჭ ქ შ რ;
ბ) გ ქ კ ღ ხ.

14. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც კბილისმიერი ბგერებია.
ა) დ თ ტ
ბ) ძ ც წ ზ ს ნ ლ

15. რომელია სწორი პასუხი:
ა) ვ წყვილბაგისმიერი ბგერაა;
ბ) ვ კბილბაგისმიერი ბგერაა.

16. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც მეღერი ბგერებია.

ა) თ კ პ ს ტ ფ ქ ყ შ ჩ ც წ ჭ ხ ჰ

ბ) ბ დ ძ ჯ გ ზ ჟ ღ მ ნ რ ლ ვ

17. რომელი პასუხია სწორი?

ბგერები: პ ტ წ ჭ კ ყ არის

ა) ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნები;

ბ) ყრუ მკვეთრი თანხმოვნები.

18. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ა) თანხმოვანთა სამეული შედგება ერთი მეღერი და ორი ყრუ ბგერისაგან;

ბ) თანხმოვანთა სამეული შედგება ერთი ყრუ და ორი მეღერი ბგერისაგან.

19. რომელია სწორი პასუხი?

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში გამოიყოფა:

ა) თანხმოვანთა 5 სამეული, 3 წყვილეული და 7 ცალეული;

ბ) თანხმოვანთა 3 სამეული, 5 წყვილეული და 7 ცალეული.

20. აირჩიეთ სწორი განმარტება:

ღია მარცვალი ბოლოვდება:

ა) ხმოვანზე;

ბ) თანხმოვანზე.

21. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ა) სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიც – ხმოვანი.

ბ) სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიც – ხმოვანი და თანხმოვანი.

გ) სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიც – ხმოვანი და თანხმოვნები.

22. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

სიტყვაში: **აღ–მშე–ნებ–ლო–ბა**

ა) სამი დახურული მარცვალია.

ბ) სამი ღია მარცვალია.

23. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

სიტყვა „ბდღვნის“

ა) არ დაიყოფა გადასატანად.

ბ) დაიყოფა გადასატანად: ბდ–ღვნის ან ბდღვ–ნის.

24. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის დროს სიტყვაში თავმოყრილი რამდენიმე თანხმოვნიდან

ა) არც ერთი არ დარჩება წინა მარცვალთან.

ბ) მხოლოდ ერთი დარჩება წინა მარცვალთან.

ბ) ყველა დარჩება წინა მარცვალთან.

2. ზეპირი მეტყველების გავლენით წერაში დაშვებული შეცდომები

ზეპირ მეტყველებას, წერითი მეტყველებისაგან განსხვავებით, ახასიათებს არანორმატიული – **არასალიტერატურო ფორმები**. ასეთი ფორმების მიღების სხვადასხვა გზაა ცნობილი; შეიძლება ეს იყოს სამეტყველო ბგერათა ურთიერთგავლენით ბუნებრივ კომპლექსთა წარმოქმნა (ბუნებრივი ფონეტიკური პროცესი); ასევე, ზეპირი მეტყველების „ეკონომიის პრინციპიდან“ გამომდინარე, **სიტყვების / ფრაზების გამარტივება** და სხვ.

არანორმატიული ფორმების გამოყენებას გარკვეული დანიშნულება აქვს მწერლობაში, კერძოდ, პერსონაჟების მეტყველებაში, რისი მეშვეობითაც ავტორი ქმნის შთამბეჭდავ მხატვრულ სახეებს. ზოგადად, ზეპირ მეტყველებაში წარმოქმნილი არანორმატიული ფორმები ნაწერში არ უნდა ავსახოთ, თუ ამას სპეციალური დანიშნულება არა აქვს.

ქვემოთ წარმოვადგენთ მაგალითებს, ზეპირი მეტყველების გავლენით, წერაში დაშვებული შეცდომებიდან[3].

ფონეტიკური პროცესების გავლენით დაშვებული შეცდომები

ასიმილაცია – ბგერების დამსგავსება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ერთგული	ერდგული
მსგავსი	მზგავსი

დისიმილაცია – ბგერების განმსგავსება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ორჯერ	ორჯელ
ბევრჯერ	ბევრჯელ

მეტათეზისი – ბგერის გადანაცვლება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
წიგნში	წინგში
თხუთმეტი	თუთხმეტი
რეანიმაცია	რეამინაცია / რამინაცია

ბგერის განვითარება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
პრეცედენტი	პრეცენდენტი
ინციდენტი	ინცინდენტი

ბგერის გაჩენა სხვა სიტყვათა ანალოგიით; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
უფროსი	უმფროსი (შდრ.: უმცროსი)
დაბადების	დაბადღების (შდრ.: დღე)
ჯერ ეს ერთი... მეორეც	ჯერ ეს ერთი... მეორეს ერთი

ბგერის / ბგერათკომპლექსის დაკარგვა; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
რამსიგრძე	რამსიგძე
სახლში	სახში
ჯანმრთელი	ჯანმთელი / ჯამთელი

ბგერის დაკარგვა და ასიმილაცია; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
შეურაცხყოფა	შეურაცყოფა /შეურაწყოფა

[3] სალიტერატურო და, მასთან შეპირისპირებით, არასალიტერატურო ფორმების ცხრილი აქაც და სხვა პარაგრაფებშიც წარმოდგენილი იქნება თეორიული ნაწილის ბოლოს.

ბგერის ნაწილობრივი დაკარგვა – რედუქცია; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
სამუალო	სამვალო
უშუალო	უშვალო
ტუალეტი	ტვალეტი

სიტყვის ბოლოს მჟღერი ბგერის დაყრუება, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
კარგად	კარგათ / კარქათ
დროულად	დროულათ
ვმუშაობ	ვმუშაოფ

ბგერის შენაცვლება – სუბსტიტუცია; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ნემსი	ნევსი
ვარცხნის	ბარცხნის
კომფორტი	კონფორტი

მეტათეზისი, სუბსტიტუცია და ასიმილაცია ერთდროულად:
საავადმყოფო > *საავამდყოფო > საავანდყოფო > სავანტყოფო

ხმოვანთა შერწყმა და დიფთონგიზაცია:

- სიტყვაში თავმოყრილი რამდენიმე ხმოვანი ერთ გრძელ ხმოვნად წარმოითქმის; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
გააახალგაზრდავა	გაახალგაზრდავა
დააანონსა	დაანონსა
შეეერთებინა	შეერთებინა

- სიტყვაში გვერდიგვერდ არსებული ორი ხმოვანი ერთ მარცვლად წარმოითქმის; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
იარაღი	ჲარაღი
იარა	ჲარა
ზეიმი	ზეჲმი
ფეიხოა	ფეჲხოა

სპონტანური[4] ბგერათცვლილებები; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ჰაერი	ხაერი
ჰალვა	ხალვა
შოშია	სოსია

ცალკე თემაა სამეტყველო დეფექტები, როგორიცაა, მაგ.: "სისინი" – **ზ, ს, შ** ბგერების წარმოთქმისას; "დუდღუნი" – „ცხვირში ლაპარაკი" (ზოგჯერ განზრახ ქმნის მოსაუბრე ასეთ აკუსტიკურ ფონს); "თლიფინი" – **ლ** ბგერის არასტანდარტულად წარმოთქმა, დარბილება და სხვ. აღნიშნული დეფექტების აღმოფხვრა სპეციალური ლოგოპედიური ვარჯიშებით არის შესაძლებელი.

[4] სპონტანური [ლათ. Spontaneous თვითნებური] – გარეგანი გავლენის გარეშე, თავისთავად, შინაგანი მიზეზებით წარმოქმნილი (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 476).

სიტყვების / ფრაზების გამარტივება, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
დიდბუნებოვანი	დიდბუნოვანი
მაინც(ა)დამაინც	მანდამაინც
პასუხისმგებლობიანი	პასუხისმგებლიანი
ძალიან	ძაან
რა ვიცი	რავი
რა უნდა ქნა?	რაუნა ქნა?! / რანდა ქნა?!

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი[5]

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
აბსოლუტურად[6]	აფსოლუტურად აბსოლუტურათ აფსოლუტურათ	აბსურდი	აფსურდი
ავტობუსი	ავტობუზი	ათვითცნობიერებს	ათვიცნობიერებს
ამრგვალებს	არგვალებს	ასხვავებს	ანსხვავებს
არ არის	არარი	აქვს	აქ
აღვნიშნე	ავღნიშნე	ამალაშინებს	ასალაშინებს
აცალკევებს	აცალკავებს ანცალკევებს	აწებებს	აწეპებს
ახრჩობს	აღრჩობს		
ბევრჯერ	ბევრჯელ	ბიზნესმენი	ბიზმესმენი
ბრდღვინავს	ბდღვინავს	ბრძანა	ბძანა / ბზანა
ბრწყინავს	ბწყინავს	ბრწყინვალე	ბწყინვალე
ბრჭყალები	ბჭყალები	ბრჭყვიალებს	ბჭყვიალებს
გააახალგაზრდავა	გაახალგაზრდავა	გააახლებინა	გაახლებინა
გააზრდევინებს	გააზდევინებს	გაასინჯებს	გააშინჯებს
(რაღა) გავაგრძელო?	(რაღა) გავაგძელო?	გამოუგზავნა	გამოუგზანა
გამოცდილი	გამოცთილი	განვაგრძოთ	გავნაგრძოთ
გაუფრთხილდი	გაუფთხილდი	გაქვს	გაქ
გაჭვარტლული	გამჭვარტლული	გაჭირვება	გაჭივრება
გაჭირვებული	გაჭივრებული	გახსნა	გასხნა
გეუბნები	გეუნები	გეხვეწები	გეხვერწები
გროტესკი	გროტეკსი	გრძელი	გძელი
დააანონსა	დაანონსა	დააბოლოვა	დააბოლავა
დააუთოვა	დააუთავა	დაბრძანდით	დაბძანდით დაბზანდით
დაუღაბნილი	დაბღაუნილი	დამახსოვრება	დანახსოვრება
დამრჩა	დამჩა	დასდევს	დაზდევს
დაშორება	დაშორვება	დიდბუნებოვანი	დიდბუნოვანი
დიდბუნებოვნება	დიდბუნოვნება	ეგზოტიკა	ეგსოტიკა / ექსოტიკა
ერთგული	ერდგული	ექვსი	ექსვი
ვაგვიანებ	ვაგვიანეფ	ვარცხნის	ბარცხნის
ვიზამ (რამეს)	ვიზავ (რამეს)	ვიმსჯელოთ	ვიმჯელოთ
ვინ უნდა (იყოს?)	ვინუნა (იყოს?)	ვიცხოვრებ	ვიცხოვრეფ
ვმუშაობ	ვმუშაოფ	ვნახოთ	ნავხოთ

[5] როგორც აქ, ისე ქვემოთ მოცემულ სხვა ცხრილებშიც მასალა წარმოდგენილია მხოლოდ იმ მცდარ ფორმებთან შეპირისპირებით, რომლებიც უფრო ხშირად გვესმის ზეპირ მეტყველებაში.

[6] ამ სიტყვის მართლწერასთან დაკავშირებით, იხ., ასევე, პარაგრაფი 3: უცხო ენების გავლენით შეპირობებული დარღვევები. უცხო ბგერებისა და ბგერათკომპლექსების ქართულად გადმოცემა.

თხუთმეტი	თუთხმეტი	თრთვილავს	რთვილავს
თრთვილი	რთვილი	იკაზმება	იკმაზება
იმახსოვრებს	ინახსოვრებს	იმიტომ რომ	იმიტორო
ინსტინქტი	ინსტიქტი	ინციდენტი	ინცინდენტი
იღვწის	იღწვის		
კარგი	კარქი	კარგად	კარგათ / კარქათ
კბილი	კპილი	კეტჩუპი	კეჩუპი
კეფალი	კიფალი	კიდევ	კიდე
კომფორტი	კონფორტი	კონსენსუსი	კონსესუსი
კონტინგენტი	კონტიგენტი	კონფერენცია	კომფერენცია
კონფლიქტი	კომფლიქტი		
მაგრად	მაგრათ / მაგრა	მაგრამ	მაგამ / მარა
მაინც(ა)დამაინც	მანდამაინც	მარშრუტი	მარშუტი
მასშტაბი	მაშტაბი	მაქვს	მაქ
მაწუხებს	მაწუხეფს	მზესუმზირა	მზისუმზირა
მივაღწიე	მივახწიე	მკვახე	მკუხე / კუხე
მობრძანდება	მობძანდება მობზანდება	მოგებიანი	მომგებიანი
მოეკრა	მოეკრო	მომსახურება	მომსახურეობა
მრგვლოვანი	მრგლოვანი	მუჰაჯირი	მუხაჯირი
მსგავსი	მზგავსი	მწნილი	წნილი
მჭადი	ჭადი		
ნემსი	ნევსი		
ორჯერ	ორჯელ		
პასუხისმგებლობიანი	პასუხისმგებლიანი	პირველ რიგში	პირველიგში
პრეცედენტი	პრეცენდენტი		
რა ვიცი?	რავი	რა უნდა ქნა?	რაუნა ქნა?! / რანდა ქნა?
რას იზამ?	რას იზავ?	რამსიგრძე	რამსიგძე
რანგი	რანკი	რატომ	რატო
რეალიზაცია	რიალიზაცია	რეანიმაცია	რეამინაცია რიამინაცია / რამინაცია
რომ	რო		
საავადმყოფო	საავანტყოფო სავანტყოფო	საგზალი	საგძალი
სად (მიდის)?	სა (მიდის)?	სამსახურებრივი	სამსახურეობრივი
საშუალო	საშვალო	სახლში	სახში
სველი	სოველი	სიგრძე	სიგძე
სინჯავს	შინჯავს	სკეტჩი	სკეჩი
სპორტსმენი	სპორცმენი		
ტრავმა	ტრამვა	ტრავმატოლოგიური	ტრამვატოლოგიური
ტრამვაი	ტრანვაი	ტუალეტი	ტვალეტი
უბრძანებს	უბძანებს / უბზანებს	უბუჟდება	უბრუჟდება უბრუშდება
უგუნური	უგნური	უგუნურება	უგნურება /უგნუროება
უვითარდება	უნვითარდება	უმცროსი	უნცროსი
უნებლიეთ	უნებლიედ	უნებურად	უნებურათ
უნივერსიტეტი	უნივერსტეტი	უსკდება	უსქდება
უპრეცედენტო	უპრეცენდენტო	უფროსი	უმფროსი
უფსკრული	უბსკრული	უშუალო	უშვალო
ფაეტონი	ფაიტონი	ფეშენებელური	ფეშენებლური
ფრთხილად	ფთხილად	ფრთხილობს	ფთხილობს
ფჩხილები	ფრჩხილები		
ქაღალდი	ქახალდი		

ღვაწლმოსილი	ღვაწმოსილი		
შეეერთებინა	შეერთებინა	შეკაზმული	შეკმაზული
შეურაცხყოფა	შეურაცხოფა შეურაწყოფა		
ცალ-ცალკე	ცალკ-ცალკე		
ცარიელი	ცალიერი	ცდომილება	ცთომილება
ძალიან	ძაან	ძარცვავს	ცარცვავს
ძლიერ	ძიელ	წვრთნის	წრთვნის
წიგნში	წინგში	წითური	მწითური
ჭვარტლი	მჭვარტლი	ჭვარტლიანი	მჭვარტლიანი
ჭუა	ჭკვა		
ხელმეორედ	ხელმეორეთ	ხელმძღვანელი	ხემძღვანელი
ხვავიერი	ხვავრიელი		
ჯანმრთელი	ჯანმთელი / ჯამთელი	ჯდაბნის	ბღაჯნის
ჰაერი	ხაერი	ჰალვა	ხალვა

სავარჯიშოები

2.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ჩვენთან არიან ღვაწმოსილი პედაგოგები.
2) ენის შესწავლა მიმდინარეობს ფართო მაშტაბით.
3) აქ უნდა ამუშაონ გამოცთილი სპეციალისტები.
4) ენის დამახინჯება პირველიგში უწიგნურობის ბრალია.
5) მანდამაინც სამარშუტო ტაქსის მძღოლები გაიფიცნენ.
6) უნდა შეცყდეს საზოგადოების დეზორიენტირება.
7) ბებომ წინოს თბილი წინდები გამოუგზანა სოფლიდან.
8) ავტორი გვესაუბრება უშვალოდ, ძალდატანების გარეშე.
9) ხაერი ისე დამძიმდა, რომ სუნთქვა აღარ შეიძლება.
10) ამ დილით საავანტყოფოში ვიყავი – მეგობარი ვინახულე, ახლა სახში მივდივარ – საჩქარო საქმე მაქვს.

2.2. შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით.

1) ავტორმა თავის პიესაში გამოიყენა ირონია და გროტეკსი.
2) უკვე გითხარით, რო ჩემი სამუშაო დრო დამთავრდა.
3) ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი ტრამვატოლოგიურ საავანტყოფოში გადაიყვანეს.
4) ხვალ კპილის ექიმთან ვარ ჩაწერილი.
5) ამ სასტუმროში რომ არის, ასეთი კონფორტი მე ჯერ არსად მინახავს.
6) მზგავსი შემთხვევა დაფიქსირდა ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე.
7) ადამიანი, რომელიც ამ აზრს იზიარებს, არის მაღალი რანკის წარმომადგენელი.
8) ასეთი საქციელი შეურაწყოფს პიროვნებას.
9) შალვა ერდგული და პასუხისმგებლობის მქონე მოსწავლეა.
10) დედამ ბავშვებს თხილიანი ხალვა უყიდა.

2.3. აირჩიეთ სწორი ვარიანტები.

1) კომფერენცია ხვალ ათ საათზე იწყება.
2) კონფერენცია ხვალ ათ საათზე იწყება.

3) ეს ბიჭი იმ გოგოს დასდევს.
4) ეს ბიჭი იმ გოგოს დაზდევს.

5) ბავშვის ინსტიქტური ქცევა მისთვის გასაგები იყო.
6) ბავშვის ინსტინქტური ქცევა მისთვის გასაგები იყო.

7) ჩემი თუ არ გჯერა, წაიკითხე – წინგში შავით თეთრზე იგივე წერია.
8) ჩემი თუ არ გჯერა, წაიკითხე – წიგნში შავით თეთრზე იგივე წერია.

9) ბიზმესმენებმა ხელისუფლებისაგან საინტერესო შემოთავაზება მიიღეს.
10) ბიზნესმენებმა ხელისუფლებისაგან საინტერესო შემოთავაზება მიიღეს.

11) შესაძლებელია, ვინმემ ჩემს მოსაზრებას აფსურდი უწოდოს.

12) შესაძლებელია, ვინმემ ჩემს მოსაზრებას აბსურდი უწოდოს.

13) წინა მოხსენებაში მე ავღნიშნე მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.
14) წინა მოხსენებაში მე აღვნიშნე მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

15) გქონდეთ სიბრალული და იცოდეთ მტრის მიტევება!
16) გქონდეთ სიბრალული და იცოდეთ მტრის მიტევება!

17) რაც მოხდა, კაი მაგალითია დანარჩენებისათვის.
18) რაც მოხდა, კარგი მაგალითია დანარჩენებისათვის.

19) ჩვენ შორის კომფლიქტი წარმოუდგენელია.
20) ჩვენ შორის კონფლიქტი წარმოუდგენელია.

2.4. წაიკითხეთ ნაწყვეტი დედა-შვილის დიალოგიდან და შეცვალეთ არასალიტერატურო ფორმები.

– ბიჭო, რატო არ მიხვედი გუშინ ქართულის გაკვეთილზე?
– დავალება სახში დამჩა.
– რატო თავი არ დაგჩა?!. სულ ამას გეუნები, გეხვერწები, არ გააცთინო გაკვეთილი-მეთქი, მეტი რაუნა ვქნა?!.
– კაი რა, დედა!.. რამეს ვიზავ...
– ვერაფერს მივახწიე შენთან ლაპარაკით, არარი საშველი!.. ამსიგძე ტექსტები რო გაქ სასწავლი, დროულათ უნდა მიხედო; საქმეს ვერ დააბოლავებ, თუ არ გახდი პასუხისმგებლიანი!..
– დედა, ძაან მეძინება... დილით გავნაგრძოთ...
– მანდამაინც მამაშენს ვუთხრა?.. საწყალს ამდენი ფული სადა აქ, რო ტყვილა წყალში გადაყაროს?! იმ თუთხმეტი წლის გოგოს რო დაზდევ, იმიტო არ გაქ სწავლის დრო და თავი!.. ვინუნა ჩააბაროს მერე გამოცდები?!.
– მართალი ხარ... ძილი ნებისა!..
– ეჰ. შენ რო გაათვიცნობიერებ შენს მდგომარეობას, მერე რაღა მიჭირს!.. მომეცი, ხვალისთვის დაგიუთავებ მაგ შარვალს...

2.5. ერთი კვირის განმავლობაში დააკვირდით გასართობი რადიო- და ტელეგადაცემების წამყვანთა მეტყველებას, ჩაიწერეთ არანორმატიული სიტყვები / ფრაზები და შეგროვებული მასალის საფუძველზე მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე : „თანამედროვე ენის მარგალიტები“.

ტესტი N 2

ზეპირი მეტყველების გავლენით წერაში დაშვებული შეცდომები

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ა) ზეპირ მეტყველებას არ ახასიათებს არანორმატიული ფორმები;
ბ) ზეპირ მეტყველებას ახასიათებს არანორმატიული ფორმები.

2. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
არანორმატიული ფორმების გამოყენება სალიტერატურო ქართულში
ა) საჭიროა გარკვეულ შემთხვევებში;
ბ) საჭიროა ყოველთვის.

3. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
ფორმები: „ერდგული“, „მზგავსი“ მიღებულია
ა) ასიმილაციის შედეგად;
ბ) დისიმილაციის შედეგად.

4. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
ა) ფორმებში: „გავნაგრძოთ“, „გასხნა“, „რეამინაცია“ მომხდარია დისიმილაცია;
ბ) ფორმებში: „გავნაგრძოთ“, „გასხნა“, „რეამინაცია“ მომხდარია ბგერის გადანაცვლება.

5. რომელი პასუხია სწორი?
სიტყვებში: „ვიმჯელოთ“, „გავაგძელოთ“ , „სახში“
ა) ბგერებია შერწყმული;
ბ) ბგერაა დაკარგული.

6. რომელი პასუხია მცდარი?
ა) „პრეცენდენტი“ და „ინცინდენტი“ სალიტერატურო ფორმებია;
ბ) „პრეცენდენტი“ და „ინცინდენტი“ არასალიტერატურო ფორმებია.

7. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი არანორმატიული ფორმაა.
ა) „აბსურდი“, „დროულად“, „კონფორტი“, „გააახალგაზრდავა“, „ხალვა“;
ბ) „ამრგვალებს“, „აწსხვავებს“, “წარადგინა“, „ბრჭყალები“, „ინსტინქტი“.

8. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ორი ნორმატიული ფორმაა.
ა) „კეჩუპი“, “მარშუტი“, „რეალიზაცია“, „მაშტაბი“, „კონფერენცია“;
ბ) „სკეჩი“, „ტრავმატოლოგიური“, „ტრამვა“, „ტრამვაი“, „ტუალეტი“.

9. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
სალიტერატურო ფორმებია:
ა) „წვრთნის“ და “იღვწის“;
ბ) „წრთვნის“ და „იღწვის“.

10. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
ა) „შეურაცხყოფა“ და „ჯანმრთელი“ არასალიტერატურო ფორმებია;
ბ) „შეურაცხყოფა“ და „ჯანმრთელი“ სალიტერატურო ფორმებია.

11. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ა) არასალიტერატურო ფორმებია „ფეშენებლური“ და „სპორცმენი“;
ბ) არასალიტერატურო ფორმებია „ფეშენებელური“ და „სპორტსმენი“.

12. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ა) სიტყვებში: „გამოუგზანა“, „გაუფთხილდი“ მომხდარია დისიმილაცია;
ბ) სიტყვებში: „გამოუგზანა“, „გაუფთხილდი“ მომხდარია ბგერის დაკარგვა.

13. რომელი პასუხია მცდარი?
ა) ფორმები: „ვმუშაოფ“, „კარგათ“ მიღებულია მჟღერი ბგერების დაყრუებით;
ბ) ფორმები: „ვმუშაოფ“, „კარგათ“ მიღებულია ყრუ ბგერების გამჟღერებით.

14. რომელი პასუხია სწორი?
სიტყვის გამარტივების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია:
ა) მეტყველების ეკონომიურობა;
ბ) ტექსტის ჩაწერა.

15. შემოხაზეთ არასალიტერატურო ფორმები.
ა) თუთხმეტი, გაჰივრება; დაზდევს, ეგსოტიკა, ავტობუზი;
ბ) თხუთმეტი, გაჰირვება, დასდევს, ეგზოტიკა, ავტობუსი.

16. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.

ა) აფსურდი, აწეპებს, აღრჩობს, ქახალდი;
ბ) აბსურდი, აწებებს, ახრჩობს, ქაღალდი.

17. რომელი ვარიანტია მცდარი?

ა) ხალვა, მუხაჯირი;
ბ) ჰალვა, მუჰაჯირი

18. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ფორმები: **უმფროსი, დაბადების** სხვა სიტყვათა ანალოგიით
ა) ბგერის გადანაცვლების მაგალითებია;
ბ) ბგერის გაჩენის მაგალითებია.

19. რომელი ვარიანტია ნორმატიული?

ა) დააანონსა, გააახალგაზრდავა, შეერთებინა;
ბ) დაანონსა, გაახალგაზრდავა, შეერთებინა;

20. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ფორმები: „პასუხისმგებლიანი", „დიდბუნოვანი" მიღებულია:
ა) მარცვლის დაკარგვით;
ბ) ფრაზის დაკარგვით.

3. უცხო ენების გავლენით შეპირობებული დარღვევები. უცხო ბგერებისა და ბგერათკომპლექსების ქართულად გადმოცემა

უცხო ენების გავლენით, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მეტყველებაში შეიმჩნევა ისეთი უმართებულო შემთხვევები, როგორიცაა:

- ქართულისთვის არაბუნებრივი წარმოთქმა; შდრ.:

სწორია:	**შეცდომაა:**
წული	ნოლი
კომპოტი	კამპოტი
კორიდორი	კარიდორი / კალიდორი
უვერტიურა	უვერწიურა
სონატინა	სონაწინა
დოსტოევსკი	დასტაევსკი
ელცინი	ჲელცინი

- უცხო **f** ფონემის გამოყენება ქართული ფ-ს ნაცვლად; შდრ.:

სწორია:	**შეცდომაა:**
ფოლკლორი	fოლკლორი
ფირმა	f ირმა
კაფე	კაf ე
ნესკაფე	ნესკაf ე

როგორც ცნობილია, **f** ბგერა ჯერ კიდევ ბერძნულ-ლათინურ ნასესხობებს შემოჰყვა ქართულში (f ილოსოf ოსი, f ილადელf ოსი...); XIX საუკუნის 60-იან წლებში ი. ჭავჭავაძემ ამოიღო სიტყვახმარებიდან, მაგრამ გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ მოგვიანებით „ივერია“ კვლავ დაუბრუნდა მის გამოყენებას. **f** ბგერა მიუღებელია ქართული ფონემატური სტრუქტურისა და, შესაბამისად, სალიტერატურო მეტყველებისათვის.

ცალკე მსჯელობის საგანია კომპიუტერის ინგლისურენოვანი კლავიატურის გავლენით განვითარებული **ორთოგრაფიული დარღვევები**, როგორიცაა, მაგ.: **წ**ინდოუსი (წ < w), ვასჰლი, **სჰ**ვილი, (შ < sh), ქუცჰის ბიჭი (ჩ < ch), თექსტი (ტ / თ < t), უმარლესი (ღ / რ < r) და სხვ.

ენათა კონტაქტების შედეგად ბევრი უცხო სიტყვა შემოდის ქართულში. საფრთხე რომ არ შეექმნას სალიტერატურო ენის ფონემატურ სტრუქტურას, ნორმათა დამდგენი კომისიის მიერ შემუშავებულია უცხო ბგერებისა და ბგერათკომპლექსების ქართულად გადმოცემის წესები:

- რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვებში **я, ю** დიფთონგები გადმოიცემა **ია, იუ** ხმოვანთკომპლექსებით; გამონაკლისებია: **კნეინა** (რუს. княгиня); **ბროშურა** (რუს. брошюра; ფრანგ. brochure); **პარაშუტი** (რუს. парашют; ფრანგ. parachute); **კაფსული** (რუს. капсюль; ლათ. capsula); შდრ.:

სწორია:	**შეცდომაა:**
კოსტიუმი	კოსტუმი / კოსწიომი /კასტუმი
ვესტიბიული	ვესტიბული / ვესტიბიოლი
ბიუჯეტი	ბუჯეტი / ბიოჯეტი
კონიაკი	კონჯკი

- რუსულის გზით შემოსულ საერთაშორისო სიტყვებში **la, lu**-ს შესატყვისად იქნება **ლა, ლუ** ბგერათკომპლექსები; შდრ.:

სწორია:	**შეცდომაა:**
პლუსი	პლიუსი
პლაჟი	პლიაჟი

ტრანსლაცია	ტრანსლიაცია
აბსოლუტურად	აბსოლიტურად

• გერმანული **ei** დიფთონგი უშუალოდ გერმანულიდან ნასესხებ ფორმებში **აი** დიფთონგით გადმოიცემა: **რაინი, შტაინთალი, რაიხსტაგი**... გამონაკლისია რუსულის შუალობით შემოსული სიტყვები, რომლებშიც **ეი** დიფთონგია ნორმა, მაგ.: **ეიზენშტეინი, ბრონშტეინი**...

• ლათინური **qu** ქართული **კვ** ბგერათკომპლექსით გადმოიცემა; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
აკვარიუმი	აქვარიუმი
კვორუმი	ქვორუმი
კოლოკვიუმი	კოლოქვიუმი
კვოტა	ქვოტა

• ბერძნული **x** ბგერის შესატყვისად **ქ** გამოიყენება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ქიმია	ხიმია
ქრონოლოგია	ხრონოლოგია
ქლორი	ხლორი
ქაოსი	ხაოსი

• ბერძნულ-ლათინურ და, ასევე, ევროპულ ნასესხობებში **h** ბგერის ფარდად **ჰ** იქნება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ჰიმნი	გიმნი
ჰიპნოზი	გიპნოზი
ჰალსტუხი	გალსტუხი / გალსტუკი
ინჰალაცია	ინგალაცია

• ბერძნული და, ზოგადად, ევროპული ენების **t**-ს შესატყვისად – **ტ**, ხოლო **th** ბგერათკომპლექსის შესატყვისად **თ** გამოიყენება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
სიმპათია [sumpatheia]	სიმპატია
სიმპათიური	სიმპატიური
ფსიქოპათია	ფსიქოპატია...
ეტიკეტი [etiquette]	ეთიკეტი
სერტიფიკატი	სერთიფიკატი
ტინეიჯერი	თინეიჯერი
ტოკ-შოუ	თოქ-შოუ
ტრენინგი	თრენინგი

• უცხო საკუთარ სახელებში, მოსალოდნელი ფშვინვიერი **ფ, თ, ქ** თანხმოვნების ნაცვლად (რასაც თვით დედნისეული გამოთქმა უჭერს მხარს – შ. აფრიდონიძე), დაკანონებულია ქართული ენისათვის სპეციფიკური მკვეთრი თანხმოვნები: **პ, ტ, კ**, ამათი „სიცოცხლისუნარიანობის“ შენარჩუნების მიზნით. ეს ტრადიცია ასევე უნდა გაგრძელდეს ახალი უცხოური სახელების ქართულად გადმოცემისას; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
კლინტონი	ქლინთონი
ლინკოლნი	ლინქოლნი

ვალტერ სკოტი	ვალთერ სკოთი
კევინ ტუიტი	ქევინ თუითი
კუვეიტი	ქუვეითი

• უცხო წარმომავლობის სიტყვებში, როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებში, ორი ერთნაირი თანხმოვნიდან ერთი უნდა დარჩეს, მაგრამ ორი ერთნაირი ხმოვანი არ გამარტივდება; შდრ.:

		სწორია:	შეცდომაა:
[ლათ. discussio]	>	დისკუსია	დისკუსსია
[ფრანგ. prsse]	>	პრესა	პრესსა
[ინგ. boss]	>	ბოსი	ბოსსი
[ფრანგ. essai]	>	ესე	ესსე
[ლათ. vacuum]	>	ვაკუუმი	ვაკუმი
[გერმ. Maar (მხ.)][7]	>	მაარები	მარები
[Анна]	>	ანა	ანნა
[William]	>	უილიამი	უილლიამი
[L. Vogg]	>	ლ. ვოგი	ლ. ვოგგი
[И.Тимофеев]	>	ი. ტიმოფეევი	ტიმოფევი
[Husaam]	>	ჰუსაამი	ჰუსამი
[Zaal]	>	ზაალი	ზალი [შდრ.: ზალიკო]

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

საზოგადო სახელები

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
აბიტურიენტი	აბითურიენტი	აბსოლუტურ	აბსოლიტური
ავტოქთონი	ავტოქტონი	ათლეტი	ატლეტი
აკვარიუმი	აქვარიუმი	აკვარელი	აქვარელი
აკვაპარკი	აქვაპარკი	აპათია	აპატია
ბეჰემოთი	ბეჰემოტი	ბიულეტენი	ბიულეტინი
ბიუჯეტი	ბუჯეტი/ბიჯეტი	ბოსი	ბოსსი
ბროშურა	ბროშიურა	გამა	გამმა
დისკუსია	დისკუსსია	დისკოთეკა	დისკოტეკა
ესე	ესსე	ეტიუდი	ეწიუდი
ეტიკეტი	ეთიკეტი		
ვესტიბიული	ვესტიბული / ვესტიბიჱლი		
თემა	ტემა	თერაპია	ტერაპია
თერმოსი	ტერმოსი	თრომბი	ტრომბი
ინჰალაცია	ინგალაცია		
კაბინეტი	კაბინეთი	კაბინეტში	კაბინეთში
კაფე	კაჶე	კვორუმი	ქვორუმი
კვოტა	ქვოტა	კოლოკვიუმი	კოლოქვიუმი
კომპოტი	კამპოტი	კონიაკი	კონჱკი
კორიდორი	კარიდორი / კალიდორი	კოსტიუმი	კასტუმი / კოსტუმი / კოსწიჱმი
კუვეიტი	ქუვეითი	ლაიტმოტივი	ლაითმოტივი
მაარები	მარები	მასსა	მასა
მელანქოლია	მელანხოლია	მეტეოროლოგი	მეთეოროლოგია
მეტლახი	მეთლახი	მინიატიურა	მინიატურა

[7] "ვულკანური წარმოშობის ძაბრისებური ან ცილინდრული ჩაღრმავებანი, რომლებიც შეიქმნა დედამიწის ზურგზე აირების ერთჯერადი აფეთქების შედეგად, ისე, რომ თან არ ახლდა ლავის ამოფრქვევა..."(ჭაბაშვილი, 1989, გვ. 287).

მისია	მისსია	მისიონერი	მისსიონერი
ნესკაფე	ნესკაჶე	ნოკაუტი	ნოკაუთი
ნული	ნოლი	პათეტიკა	პატეტიკა
პათეტიკური	პატეტიკური	პლაჟი	პლიაჟი
პლუსი	პლიუსი	პრესა	პრესსა
პროთეზი	პროტეზი	პროთრომბინი	პროტრომბინი
რაინი	რეინი	რაიხსტაგი	რეიხსტაგი
რაქიტი	რახიტი	რელიკვია	რელიქვია
საქარინი	სახარინი	საქაროზა	სახაროზა
სერტიფიკატი	სერთიფიკატი	სენსიტიური	სენსიტური
სეფსისი	სეპსისი	სიმპათია	სიმპატია
სიმპათიური	სიმპატიური	სიროფი	სიროპი
სიუჟეტი	სუჟეტი სიჟეტი	სიურპრიზი	სურპრიზი სიურპრიზი
სონატინა	სონაწინა		
ტექსტი	თექსტი	ტექნიკა	ტეხნიკა
ტექნიკურად	ტეხნიკურად	ტინეიჯერი	თინეიჯერი
ტოკ-შოუ	თოქ-შოუ	ტრანსლაცია	ტრანსლიაცია
ტრენინგი	თრენინგი		
უვერტიურა	უვერჩიურა		
ფირმა	ჩირმა	ფოლკლორი	ჶოლკლორი
ფსიქოპათია	ფსიქოპატია ფსიხოპატია...		
ქიმია	ხიმია	ქიმიათერაპია	ხიმიათერაპია
ქირომანტი	ხირომანტი	ქირომანტია	ხირომანტია
ქირურგი	ხირურგი	ქლორი	ხლორი
ქოლერა	ხოლერა	ქრესტომათია	ქრესტომატია
ქრიზანთემა	ქრიზანტემა	ქრონოლოგია	ხრონოლოგია
შოკოლადი	შიკოლადი შიკოლატი	შპალერი	შპალიერი
ჩეკი	ჩექი	ჩიფსი	ჩიპსი
ჯენტლმენი	ჯენთლმენი		
ჰაიმორიტი	გაიმორიტი	ჰალსტუხი	გალსტუხი გალსტუკი
ჰამაკი	გამაკი	ჰანტელი	განტელი
ჰემატოგენი	გემატოგენი	ჰეპატიტი	გეპატიტი
ჰერკულესი	გერკულესი	ჰექტარი	გექტარი ექტარი
ჰიმნი	გიმნი	ჰიპერტონია	გიპერტონია
ჰიპნოზი	გიპნოზი	ჰომეპათი	გომეოპათი გომეოპატი
ჰოკეი	ხოკეი	ჰოლი	ხოლი

საკუთარი სახელები და გვარები

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
ანა	ანნა	ემანუელი	ემმანუელი
ვილი	ვილლი	იულია	ჱილჲ იულჲ
კევინი	ქევინი	მარიანა	მარიანნა
უილიამი	უილლიამი	ჯულია	ჯულჲ
ჰუსაამი	ჰუსამი		
დოსტოევსკი	დასტაევსკი	ელცინი	ჱელცინი
ვოგი	ვოგგი	კლინტონი	ქლინთონი
ლეონტიევი	ლეონწიევი	ლინკოლნი	ლინქოლნი
მედვედევი	მედვეძევი	მოროშკინა	მაროშკინა
პუტინი	პუწინი	რუსო	რუსსო
ტიმოფეევი	ტიმოფევი	ტიმოშენკო	წიმოშენკო
ტუიტი	თუითი		

სავარჯიშოები

3.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) საახალწლო წვეულებაზე იქნება უამრავი სურპრიზი!
2) ამ თექსტში ბევრ საინტერესო ინფორმაციას ამოიკითხავს კაცი.
3) ქალბატონ ქეთევანს არ უყვარს პატეტიკური ტონით ლაპარაკი.
4) ღამით ვიღაცამ გააღო მეთეოროლოგიური კაბინეტი.
5) მთელ ტექსტს ლაითმოტივად გასდევს სინანული.
6) წელს ქვეყნის ბუჯეტიდან დიდი თანხა გამოიყო სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად.
7) პატარა რეზიკოს გუშინ ინგალაცია გაუკეთეს.
8) მას რომ ჰკითხო, მარწყვის კამპოტს არაფერი შეედრება.
9) ათს პლიუს ათი ოცია, მაგრამ ათს მინუს ათი – ნოლი.
10) 1992-93 წლების გადატრიალების შემდეგ საქართველოში შეიქმნა სამართლებრივი ვაკუმი.

3.2. აირჩიეთ სწორი ვარიანტები.

1) მალე დაიწყება საფეხბურთო მატჩის ტრანსლიაცია.
2) მალე დაიწყება საფეხბურთო მატჩის ტრანსლაცია.

3) ჩემი ახალი კოსტიუმი ნიწოს ძალიან მოეწონა.
4) ჩემი ახალი კოსტუმი ნინოს ძალიან მოეწონა.

5) დღეს კონცერტზე საბავშვო ეწიუდები და სონაწინები მოგვასმენინეს.
6) დღეს კონცერტზე საბავშვო ეტიუდები და სონატინები მოგვასმენინეს.

7) მე მარიანა ვარ, ესენი კი ჩემი მეგობრები არიან.
8) მე მარიანნა ვარ, ესენი კი ჩემი მეგობრები არიან.

9) მთელი ზაფხული ბათუმის პლიაჟზე გაატარა ნიკომ.
10) მთელი ზაფხული ბათუმის პლაჟზე გაატარა ნიკომ.

11) ჯგუფის ხელმძღვანელმა დისკუსსია გამართა სასკოლო წიგნებზე.
12) ჯგუფის ხელმძღვანელმა დისკუსია გამართა სასკოლო წიგნებზე.

13) მომაძებნინე ჩემი შინდისფერი ჰალსტუხი, შეხვედრაზე მაგვიანდება.
14) მომაძებნინე ჩემი შინდისფერი გალსტუხი, შეხვედრაზე მაგვიანდება.

15) ნოდარმა აბაზანისათვის ესპანური მეთლახი შეიძინა.
16) ნოდარმა აბაზანისათვის ესპანური მეტლახი შეიძინა.

17) ესსეში ბევრი საინტერესო ფაქტია გაანალიზებული.
18) ესეში ბევრი საინტერესო ფაქტია გაანალიზებული.

19) დღეს მინიატიურების თეატრში პრემიერაა.
20) დღეს მინიატურების თეატრში პრემიერაა.

3.3. იპოვეთ შეცდომები და შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით.

1) ახალი გიმნი ჩემში სხვაგვარ ემოციას იწვევს.
2) ელჩმა სასახლის ეთიკეტი დაარღვია.
3) აღნიშნულ ტემაზე ვერ შეთანხმდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.
4) ვესტიბულში ყვავილების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.
5) ანნას დაბადების დღეზე აკვარელი უყიდეს.
6) ამ მაღაზიაში გერკულესის ფაფების ფართო არჩევანია.
7) ერთხელ ფილარმონიაში მაყურებელთა დაგიპნოზების ფაქტის მოწმე გავხდი.
8) პაციენტს ხიმიათერაპიის კურსი დაუნიშნეს.
9) ბათუმის აქვაპარკთან პავილიონი გახსნეს.
10) ჩვენი ბოსსი ერთი კვირაა თავს გვარიდებს.

3.4. წაიკითხეთ ტექსტი და გაასწორეთ შეცდომები.

– ელისო, როგორ ხარ?..
– კარგად, მაიკო, სადა ხარ?
– კლინიკაში, ხირურგს ველოდები და დრო მაქვს, გელაპარაკო.
– უკვე მოსულია?
– კი, კაბინეთშია, მაგრამ კალიდორში შვიდი კაცი ელოდება, მე მესამე ვარ.
– კარგი ექიმია?
– ხო, ალბათ; კედელზე ათი სერთიფიკატი აქვს ჩამოკიდებული...
– მგონი მეც ვიცი ეგ ექიმი: ატლეტური აღნაგობის სიმპატიური კაცია, ხომ?
– ხო, ეგ არის... სხვა, რას შვრებით, რა ხდება თქვენთან?
– არა გვიშავს; დათოს ერთკვირიანი თრენინგი აქვს ბორჯომში; ნიკა უკვე აბითურიენტია, მასწავლებლებთან დადის, მაგრამ დისკოტეკას მაინც არ აკლდება...
– ოჰ, ეს თინეიჯერები!...
– მერი როგორ არის?
– ამ ბოლო დროს გიპერტონია აწუხებს.
– შაქარი როგორ აქვს?
– შაქარიც მომატებული აქვს და პროტრომბინიც.
– ტკბილი არ ჭამოს, თუ გაუჭირდა, სახარინი მიეცი!..
– ჯერ მაინც ტერაპევტთან მივიყვან, ვნახოთ, რას გვეტყვის.
– ნინუცა როგორ არის?
– ნინუცას ახალი თევზები ჰყავს აქვარიუმში და ჭკუაზე აღარ არის!.. სულ იმათ დასტრიალებს... პარლამენტს ხომ არ უყურებ, რა ხდება; მე აბსოლიტურად არ მცალია ტელევიზორისათვის.
– ბევრი არაფერი დაგიკარგავს – დღეს სხდომა ჩაიშალა – ქვორუმი არ შედგა.
– ხოო, ცუდია... აი, ჩემი რიგიც მოვიდა, კარგად, ელისო, მერე დაგირეკავ!
– კარგად.

ტესტი N 3

უცხო ენების გავლენით შეპირობებული დარღვევები. უცხო ბგერებისა და ბგერათკომპლექსების ქართულად გადმოცემა

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ა) არასალიტერატურო წარმოთქმას ზოგჯერ უცხოენობრივი გავლენა იწვევს;

ბ) არასალიტერატურო წარმოთქმას ყოველთვის უცხოენობრივი გავლენა იწვევს.

2. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ა) **f** ბგერა მიუღებელია ქართული სალიტერატურო მეტყველებისათვის;

ბ) **f** ბგერა ბუნებრივია ქართული სალიტერატურო მეტყველებისათვის.

3. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ა) „ჯამპოტი", „ჯარიდორი" არასალიტერატურო ფორმებია;

ბ) „ჯამპოტი", „ჯარიდორი" სალიტერატურო ფორმებია.

4. რომელი პასუხია მცდარი?

სიტყვებში: „ვასჰლი"(შ < sh), უმარლესი (ღ / რ < r)

ა) ინგლისური კლავიატურის გავლენით გამოწვეული შეცდომებია;

ბ) ქართული კლავიატურის გავლენით გამოწვეული შეცდომებია.

5. რომელი პასუხია სწორი?

„ბიუჯეტი" და „ტრანსლაცია"

ა) მცდარი ფორმებია:

ბ) მართებული ფორმებია.

6. შემოხაზეთ ნორმატიული ვარიანტი.

ა) ჰიმნი, ჰიპნოზი, ჰალსტუხი;

ბ) გიმნი, გიპნოზი, გალსტუკი.

7. რომელი პასუხია მცდარი?

ლათინური **qu** გადმოიცემა

ა) ქართული **კვ** ბგერათკომპლექსით;

ბ) ქართული **ქვ** ბგერათკომპლექსით.

8. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი არანორმატიული ფორმაა.

ა) კოლოკვიუმი, პლაჟი, თოქ-შოუ, სიმპათია;

ბ) ქაოსი, ქვოტა, პლუსი, კოსტუმი.

9. მონიშნეთ სწორი პასუხი.

ევროპული ენების **th** ბგერათკომპლექსის შესატყვისად გამოიყენება:

ა) ქართული **თ**;

ბ) ქართული **ტ**.

10. რომელია სწორი?

ა) ეტიკეტი, სერტიფიკატი, ტინეიჯერი;

ბ) ეთიკეტი, სერთიფიკატი. თინეიჯერი.

11. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ორი ნორმატიული ფორმაა.

ა) ინგალაცია, თრენინგი, ავტოქთონი, ესე, ტრომბი;

ბ) მელანქოლია, მინიატიურა, პროტეზი, რელიქვია, სიროფი.

12. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

რუსულის გზით შემოსულ საერთაშორისო სიტყვებში **la, lu**-ს შესატყვისად იქნება:

ა) **ლა, ლუ** ბგერათკომპლექსები;

ბ) **ლია, ლიუ** ბგერათკომპლექსები.

13. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

„მეთლახი", მისსიონერი"

ა) სალიტერატურო ფორმებია:

ბ) არასალიტერატურო ფორმებია.

14. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ა)„რახიტი", „სენსიტური" მართებული ფორმებია;

ბ) „რახიტი", „სენსიტური" უმართებულო ფორმებია.

15. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ყველა ფორმა სწორია.

ა) ტექნიკა, ჯენტლმენი, შპალერი, ჰანტელი, გომეოპათი;

ბ) ჩიფსი, ქრესტომათია, სიურპრიზი, პრესა, ნოკაუტი.

16. რომელი პასუხია სწორი?

ა) უმართებულო ფორმებია: „ანნა“, „უილლიამი“;

ბ) მართებული ფორმებია: „ანნა“, „უილლიამი“.

17. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ქართული მართლწერის მიხედვით, უცხო სიტყვებში:

ა) არ უნდა დარჩეს ორი ერთნაირი თანხმოვანი, მაგ.: „ვილი“; „მასა“;

ბ) უნდა დარჩეს ორი ერთნაირი თანხმოვანი, მაგ.: „ვილლი“; „მასსა“.

18. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ა) უნდა ვწეროთ: „ლინკოლნი“, „კლინტონი“, „კევინი“;

ბ) უნდა ვწეროთ: „ლინქოლნი“, „ქლინთონი“. „ქევინი“.

19. რომელი პასუხია მცდარი?

როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებში:

ა) დასაშვებია ორი ერთნაირი ხმოვანი, მაგ.: „ჰუსაამი“ „ტიმოფეევი“; „მაარები“.

ბ) დაუშვებელია ორი ერთნაირი ხმოვანი, მაგ.: „ჰუსამი“, „ტიმოფევი“; „მარები“.

20. შემოხაზეთ სწორი განმარტება.

უცხო საკუთარ სახელებში ფშვინვიერი **ფ, თ, ქ** თანხმოვნების შესატყვისად დაკანონებულია:

ა) ქართული **ფ, თ, ქ** თანხმოვნები;

ბ) ქართულისათვის სპეციფიკური **პ, ტ, კ** თანხმოვნები.

21. რომელი ვარიანტია სწორი?

ა)„დასტაევსკი“, „პუწინი“, „მაროშკინა“ უმართებულო ფორმებია.

ბ) „დასტაევსკი“, „პუწინი“, „მაროშკინა“ მართებული ფორმებია.

4. ვ ბგერის დაკარგვის, შენარჩუნებისა და განვითარების შემთხვევები

ქართულ ენაში ხშირია ვ ბგერასთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესები. მიუხედავად მცდელობისა, სამწუხაროდ, მყარი წესები არ არის დადგენილი მის დაკარგვა-შენარჩუნებასა და განვითარებასთან დაკავშირებით. ქვემოთ წარმოვადგენთ ზოგიერთ კანონზომიერებას.

- ვ ბგერის დაკარგვა:

ვ ბგერა, ძირითადად, იკარგება სიტყვის ფუძეზე ბაგისმიერი ო, უ ბგერებით დაწყებული სუფიქსების (-ობა, -ოსან, -უნა, -ურ / -ულ, -ოდ...) დართვისას, თუ ის ხმოვანს მოსდევს და ფუძის ბოლო ბგერაა, ან წინ უსწრებს ფუძის ბოლოკიდურ კვეცად ხმოვნებს ა-ს და ე-ს:

-ობა:

თა-ვ-ი – თაობა
ხე-ვ-ი – ხეობა
ბუნებრი-ვ-ი – ბუნებრიობა
კაცობრი-ვ-ი – კაცობრიობა
მკითხა-ვ-ი – მკითხაობა
ნათესა-ვ-ი – ნათესაობა
სანახა-ვ-ი – სანახაობა
საცოდა-ვ-ი – საცოდაობა
უნახა-ვ-ი – უნახაობა
შესახედა-ვ-ი – შესახედაობა

შდრ.:

აქტი-ვ-ი – აქტივობა
პასი-ვ-ი – პასივობა
მუდმი-ვ-ი – მუდმივობა
ცალმხრი-ვ-ი – ცალმხრივობა
ხანგრძლი-ვ-ი – ხანგრძლივობა

-ოსან:

თა-ვ-ი – თაოსანი
ნა-ვ-ი – ნაოსანი
პატი-ვ-ი – პატიოსანი
ტყა-ვ-ი – ტყაოსანი
შა-ვ-ი – შაოსანი

შდრ.:

სხი-ვ-ი – სხივოსანი/ გასხივოსნებული

-უნა / უჩა:

მჟა-ვ-ე – მჟაუნა

-ურ:

აქტი-ვ-ი – აქტიური
კავთისხე-ვ-ი – კავთისხეური
კოლექტი-ვ-ი – კოლექტიური
მოხე-ვ-ე – მოხეური
პასი-ვ-ი – პასიური
პერსპექტი-ვ-ა – პერსპექტიული
ფშა-ვ-ი – ფშაური

შდრ.:

თა-ვ-ი – თავური (დარტყმა), მაგრამ: მე-თა-ურ-ი, სა-თა-ურ-ი, უ-თა-ურ-ი
მოსკო-ვ-ი – მოსკოვური
სლა-ვ-ი – სლავური

-ულ:

არბე-ვ-ს – დარბეული
არხევ-ს – დარხეული
დააზღვე-ვ-ს – დაზღვეული

დახე-ვ-ს	–	დახეული
კარგა-ვ-ს	–	დაკარგული
მალა-ვ-ს	–	დამალული
მოიქნე-ვ-ს	–	მოქნეული
ფარა-ვ-ს	–	დაფარული
ქარგა-ვ-ს	–	მოქარგული
წააქცე-ვ-ს	–	წაქცეული
ხატა-ვ-ს	–	დახატული

-ოდ:

გაჰპარ-ვ-ია	–	გაჰპაროდა	–	გაჰპაროდეს
დართ-ვ-ია	–	დართოდა	–	დართოდეს
დასწე-ვ-ია	–	დასწეოდა	–	დასწეოდეს
დახვე-ვ-ია	–	დახვეოდა	–	დახვეოდეს
დაჰკარგ-ვ-ია	–	დაჰკარგოდა	–	დაჰკარგოდეს
ერე-ვ-ა	–	ერეოდა	–	ერეოდეს
ერკვე-ვ-ა	–	ერკვეოდა	–	ერკვეოდეს
ესე-ვ-ა	–	ესეოდა	–	ესეოდეს
იბნე-ვ-ა	–	იბნეოდა	–	იბნეოდეს
ინგრე-ვ-ა	–	ინგრეოდა	–	ინგრეოდეს
კი-ვ-ის	–	კიოდა	–	კიოდეს
სწვე-ვ-ია	–	სწვეოდა	–	სწვეოდეს
ყვა-ვ-ის	–	ყვაოდა	–	ყვაოდეს
ჩი-ვ-ის	–	ჩიოდა	–	ჩიოდეს
ცვი-ვ-ა	–	ცვიოდა	–	ცვიოდეს
ცი-ვ-ა	–	ციოდა	–	ციოდეს

- ვ ბგერა შენარჩუნდება:

ა) სიტყვის ფუძეზე ბაგისმიერი ო, უ ბგერებით დაწყებული სუფიქსების (-ობა, -ოსან, -უნა, -ურ / -ულ, -ოდ...) დართვისას, თუ ის თანხმოვანს მოსდევს ან თანხმოვანთა შორისაა:

-ობა:

ბავშ-ვ-ი	–	ბავშვობა
ბრიყ-ვ-ი	–	ბრიყვობა
გულუხ-ვ-ი	–	გულუხვობა
თაგ-ვ-ი	–	თაგვობა
მორცხ-ვ-ი	–	მორცხვობა

-ოვან:

ბეწ-ვ-ი	–	ბეწვოვანი
ძარღ-ვ-ი	–	ძარღვოვანი
წიწ-ვ-ი	–	წიწვოვანი

შდრ.:

რიცხ-ვ-ი	–	მრავალრიცხოვანი

-ურ:

ბავშ-ვ-ი	–	ბავშვური
დათ-ვ-ი	–	დათვური, შდრ.: დათუნა / დათუჩა
თაგ-ვ-ი	–	თაგვური, შდრ.: თაგუნა
ლიტ-ვ-ა	–	ლიტვური
მაჩ-ვ-ი	–	მაჩვური
პირუტყ-ვ-ი	–	პირუტყვული

-ულ:

ნასკ-ვ-ი	–	ჩანასკვული
რაგ-ვ-ი	–	შემორაგვული
ჯაჭ-ვ-ი	–	მიჯაჭვული

-ოდ:

ეკ-ვ-რის – ეკვროდა – ეკვროდეს
ილტ-ვ-ის – ილტვოდა – ილტვოდეს
იღ-ვ-წის – იღვწოდა – იღვწოდეს
იძ-ვ-რის – იძვროდა – იძვროდეს
იწ-ვ-ის – იწვოდა – იწვოდეს

შდრ.:

ებრძ-ვ-ის – ებრძოდა – ებრძოდეს
ეს-ვ-რის – ესროდა – ესროდეს
ეტყ-ვ-ის – ეტყოდა – ეტყოდეს
უძღ-ვ-ის – უძღოდა – უძღოდეს

-ო:

დაიბრიყ-ვ-ა – დაიბრიყვოს
დაისეტყ-ვ-ა – დაისეტყვოს
იელ-ვ-ა – იელვოს
იცეკ-ვ-ა – იცეკვოს

ბ) სიტყვის ფუძეზე უ – ო, სა – ო ან მო – ო თავსართ-ბოლოსართების დართვისას, თუ ხმოვანს მოსდევს და ფუძის ბოლო ბგერაა ვ, ან წინ უსწრებს ფუძის ბოლოკიდურ კვეცად (ა ან ე) ხმოვანს:

უ – ო:

ზვა-ვ-ი – უზვავო
თა-ვ-ი – უთავო
ინიციატი-ვ-ა – უინიციატივო
მზითე-ვ-ი – უმზითვო
ნა-ვ-ი – უნავო
პერსპექტ-ვ-ა – უპერსპექტივო
სახურა-ვ-ი – უსახურავო
სიტყ-ვ-ა – უსიტყვო
სხი-ვ-ი – უსხივო
ქ-ვ-ა – უქვო
ქცე-ვ-ა – უქცევო
ხვა-ვ-ი – უხვავო

შდრ.:

მოძრა-ვ-ი – უმოძრაო

სა – ო:

აღრიცხ-ვ-ა – სააღრიცხვო
და-ვ-ა – სადავო
დაზღვე-ვ-ა – სადაზღვევო
ერისთა-ვ-ი – საერისთავო
ზა-ვ-ი – საზავო
თა-ვ-ი – სათავო
ნათესა-ვ-ი – სანათესავო
მარხ-ვ-ა – სამარხვო

შდრ.:

კაცობრი-ვ-ი – საკაცობრიო
მრეცხა-ვ-ი – სამრეცხაო
პატი-ვ-ი – საპატიო
საფლა-ვ-ი – სასაფლაო
ხარჯ-ვ-ა – სახარჯო

მო – ო:

ბეჭა-ვ-ი – მობეჭავო

მჟა-ვ-ე – მომჟავო
პერსპექტი-ვ-ა – მოპერსპექტივო
შა-ვ-ი – მოშავო
ხანგრძლი-ვ-ი – მოხანგრძლივო

გ) თუ ვ ფუძის ბოლო ბგერაა მიმართვის ფორმების წარმოებისას, ასევე სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის დართვისას:

თა-ვ-ი – თავო
ვარსკვლა-ვ-ი – ვარსკვლავო
ლეკ-ვ-ი – ლეკვო
დამხატა-ვ-ი – დამხატავო
მცურა-ვ-ი – მცურავო
მოძრა-ვ-ი – მოძრავო
ცაცხ-ვ-ი – ცაცხვო
(მან თქვა) დავბარავო, დავხატავო, გავათევო, მოვხარშავო, ვრწყავო, ვხურავო, ვგორავო...

დ) -ევ-სუფიქსიან ფუძეში ხმოვანმონაცვლე ზმნათა მრავლობითის ფორმებში, კითხვაზე: რა ქნეს? შდრ.:

ერ-ევ-ა – დაერია – დაერივნენ
ეს-ევ-ა – შეესია – შეესივნენ
ეჩვ-ევ-ა – შეეჩვია – შეეჩვივნენ
ეხვ-ევ- – მოეხვია – მოეხვივნენ

ე) -ობ-სუფიქსიან ზმნათა ფორმებში, კითხვებზე: რა ვქენი? რა მიქნია? შდრ.:

ვათრობ– დავათვრე – დამითვრია
ვანდობ– მივანდვე – მიმინდვია
ვატყობ – შევატყვე – შემიტყვია
ვაცხობ – დავაცხვე – დამიცხვია
ვაწყობ – დავაწყვე – დამიწყვია
შდრ.:
ვამკობ – შევამკე – შემიმკია
ვაფრთხობ – დავაფრთხე – დამიფრთხია
ვაქრობ – ჩავაქრე – ჩამიქრია
ვაშრობ – გავაშრე – გამიშრია
ვიცნობ – გავიცანი – გამიცნია
ვგრძნობ– ვიგრძენი – მიგრძნია

-ობ-სუფიქსიანი ფორმებისაგან (ცხობა, წყობა) წარმოებითაც და ლექსიკურადაც განსხვავდება -ებ-სუფიქსიანი ფორმები (ცხება, წყება); შესაბამისად, მათი აღრევა დაუშვებელია; შდრ.:

ვაცხობ – დავაცხვე – დამიცხვია – ვაცხებ – წავაცხე – წამიცხია
ვაწყობ – დავაწყვე – დამიწყვია – ვიწყებ – დავიწყე – დამიწყია

ზოგ შემთხვევაში ვ-ს დაკარგვა-შენარჩუნება იწვევს შინაარსობრივ განსხვავებას ზმნურ ფორმებში, მაგ., შდრ.:

შეციება (ტანში აციებს) – შეცივება (წყალს აცივებს)
პატიება (აპატიებს დანაშაულს) – გაპატივება (აპატივებს მიწას).

• ვ ბგერა განვითარდება:

ა) ა-, ე- ან ო-ხმოვანფუძიანი სახელებისგან მე – ე, სა – ე, სი – ე თავსართ-ბოლოსართებით სიტყვაწარმოებისას, მაგ.:

ეზო – მე-ეზო-ვ-ე / სა-ეზო-ვ-ე

რძე – მე-რძე-ვ-ე / სა-რძე-ვ-ე
ტყე – მე-ტყე-ვ-ე
ბრმა – სი-ბრმა-ვ-ე
კოხტა – სი-კოხტა-ვ-ე
მარტო – სიმარტო-ვ-ე
სუფთა – სი-სუფთა-ვ-ე
ფართო – სი-ფართო-ვ-ე

შდრ.: უ-ბოლოხმოვნიანი ფუძეებისაგან ნაწარმოებ სახელებში ვ არ განვითარდება:
ბლუ – სიბლუე
ცრუ – სიცრუე
ყრუ – სიყრუე

ბ) ა-, ე-, ო-, უ-ხმოვანფუძიანი სახელური ფუძეებისაგან ზმნების წარმოებისას; ასევე, ამ ზმნური ფორმებისაგან ნაწარმოებ ახალ სახელებში (მიმღეობებში); კერძოდ:

– ა-ბოლოხმოვნიანი სახელური ფუძეებისაგან ნაწარმოებ სიტყვა-ფორმებში (გარდა იმ ფორმებისა, რომლებიც პასუხობენ კითხვაზე: რა ქნას?), თუ ა შენარჩუნებულია;

ბინა – აბინავებს დააბინაოს; დაბინავება დაბინავებული
ქვა – აქვავებს გააქვაოს; გაქვავება გაქვავებული
გუნდა – აგუნდავებს მოაგუნდაოს; მოგუნდავება მოგუნდავებული
კოხტა – აკოხტავებს გააკოხტაოს; გაკოხტავება გაკოხტავებული
ხურდა – ახურდავებს დაახურდაოს; დახურდავება დახურდავებული

შდრ.:
შეშა – აშეშებს; გაშეშება გაშეშებული
მიწა – ამიწებს; დამიწება დამიწებული
მონა – იმონავებს /იმონებს; დამონება დამონებული

– ე-ბოლოხმოვნიანი სახელური ფუძეებისაგან ნაწარმოებ სიტყვა-ფორმებში (გარდა იმ ფორმებისა, რომლებიც პასუხობენ კითხვაზე: რა ქნას?):

ბე – აბევებს დააბევა დაუბევებია; დაბევება დაბევებული
ხე – ახევებს გაახევა გახევებულა; გახევება გახევებული
ტყე – ატყევებს გაატყევა გატყევებულა; გატყევება გატყევებული
ტყვე – ატყვევებს დაატყვევა დაუტყვევებია; დატყვევება დატყვევებული

შდრ., რა ქნას? – გაახეოს, გაატყეოს, დაატყვეოს, დააბეოს...

– ო-ბოლოხმოვნიანი სახელებისაგან ნაწარმოებ სიტყვა-ფორმებში:

ვიწრო – ავიწროებს დაავიწროვა დაუვიწროებია ვიწროვდება
დავიწროვდა დავიწროებულა; დავიწროება დავიწროებული
ჯილდო – აჯილდოებს დააჯილდოვა დაუჯილდოებია ჯილდოვდება
დაჯილდოვდა დაჯილდოებულა; დაჯილდოება დაჯილდოებული

– უ-ბოლოხმოვნიანი სახელებისაგან ნაწარმოებ ზოგიერთ სიტყვა-ფორმაში; შდრ.:

ყრუ – აყრუებს დააყრუა დაუყრუებია ყრუვდება დაყრუვდა
დაყრუებულა; დაყრუება დაყრუებული
ცრუ – აცრუებს გააცრუა გაუცრუებია ცრუვდება გაცრუვდა
გაცრუებულა; გაცრუება გაცრუებული...

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

სახელური ფორმები

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
		–ობა	
აქტივობა	აქტიობა	ბავშვობა	ბავშობა
ბედშაობა	ბედშავობა	ბეჭაობა	ბეჭავობა
ბრიყვობა	ბრიყობა	ბუნებრიობა	ბუნებრივობა
გულუხვობა	გულუხობა	თაგვობა	თაგობა
თაობა	თავობა	კაცობრიობა	კაცობრივობა
მკითხაობა	მკითხავობა	მორცხვობა	მორცხობა
მუდმივობა	მუდმიობა	ნათესაობა	ნათესავობა
ნარგაობა	ნარგავობა	პარასკეობა პარასკეობით	პარასკევობა პარასკევობით
პასივობა	პასიობა	სანახაობა	სანახავობა
შესახედაობა	შესახედავობა	ცალმხრივობა	ცალმხრიობა
წოდებრიობა	წოდებრივობა	ხანგრძლივობა	ხანგრძლიობა
ხეობა	ხევობა		
		–ოსან	
თაოსანი	თავოსანი	ნაოსანი	ნავოსანი
პატიოსანი	პატივოსანი	სხივოსანი გასხივოსნებული	სხიოსანი გასხიოსნებული
ტყაოსანი	ტყავოსანი	შაოსანი	შავოსანი
		–ოვან	
ბეწვოვანი	ბეწოვანი	მრავალრიცხოვანი	მრავალრიცხვოვანი
ძარღვოვანი	ძარღოვანი	წიწვოვანი	წიწოვანი
		–უნა /უჩა	
დათუნა/დათუჩა	დათვუნა / დათვუჩა	მჟაუნა	მჟავუნა
		–ურ (-ულ)	
აქტიური	აქტივური	ბავშვური	ბავშური
დათვური	დათური	თავური (დარტყმა)	თაური (დარტყმა);
კავთისხეური	კავთისხევური	კოლექტიური	კოლექტივური
ლიტვური	ლიტური	მაჩვური	მაჩური
მეჯვრისხეური	მეჯვრისხევური	მოსკოვური	მოსკოური
მოხეური	მოხევური	პასიური	პასივური
პერსპექტიული	პერსპექტივული	პირუტყვული	პირუტყული
სლავური	სლაური	ფშაური	ფშავური
		მე – ე / სა – ე	
მეეზოვე	მეეზოე	საეზოვე	საეზოე
		მო – ო	
მობეჭავო	მობეჭაო	მომჟავო	მომჟაო
მოპერსპექტივო	მოპერსპექტიო	მოშავო	მოშაო
მოხანგრძლივო	მოხანგრძლიო		
		სა – ო	
სააღრიცხვო	სააღრიცხო	სადავო	სადაო
სადაზღვევო	სადაზღვეო	საერისთავო	საერისთაო
საზავო	საზაო	სათავო	სათაო
საკაცობრიო	საკაცობრივო	სამარხვო	სამარხო
სამრეცხაო	სამრეცხავო	სანათესავო	სანათესაო
საპატიო	საპატივო	სასაფლაო	სასაფლავო
სახარჯო	სახარჯვო		
		სი – ე	
სიბლუე	სიბლუვე	სიმარტოვე	სიმარტოე
სიფართოვე	სიფართოე	სიცრუე	სიცრუვე
სიყრუე	სიყრუვე		
		უ – ო	
უთავო	უთაო	უინიციატივო	უინიციატიო
უმზითვო	უმზითო	უმოძრაო	უმოძრავო
უნავო	უნაო	უპერსპექტივო	უპერსპექტიო

უსახურავო	უსახურაო	უსიტყვო	უსიტყო
უქცევო	უქცეო	უხვავო	უხვაო
		–ო	
ბავშვო	ბავშო	დამხატავო	დამხატაო
თავო	თაო	ვარსკვლავო	ვარსკვლაო
მოძრავო	მოძრაო	მცურავო	მცურაო
ცაცხვო	ცაცხო		

ზმნური ფორმები

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
აახლოებს –		აბინავებს –	
დააახლოებს	დააახლოვებს	დააბინავებს	დააბინაებს
დააახლოვა	დააახლოა	დააბინაოს	დააბინავოს
დააახლოოს	დააახლოვოს	დაუბინავებია	დაუბინაებია
დაუახლოებია	დაუახლოვებია		
აბევებს –		აგუნდავებს –	
დააბევებს	დააბეებს	მოაგუნდავებს	მოაგუნდაებს
დააბეოს	დააბევოს	მოაგუნდაოს	მოაგუნდავოს
დაუბევებია	დაუბეებია	მოუგუნდავებია	მოუგუნდაებია
ავიწროებს –		ათაროებს –	
დაავიწროებს	დაავიწროვებს	დაათაროებს	დაათაროვებს
დაავიწროვა	დაავიწროა	დაათაროვა	დაათაროა
დაავიწროოს	დაავიწროვოს	დაათაროოს	დაათაროვოს
დაუვიწროებია	დაუვიწროვებია	დაუთაროებია	დაუთაროვებია
აკობტავებს–		ასუფთავებს –	ასუფთაებს
გააკობტავებს	გააკობტაებს	დაასუფთავებს	დაასუფთაებს
გააკობტაოს	გააკობტავოს	დაასუფთაოს	დაასუფთავოს
გაუკობტავებია	გაუკობტაებია	დაუსუფთავებია	დაუსუფთაებია
ატყევებს –		აფართოებს –	
გაატყეოს	გაატყევოს	გააფართოებს	გააფართოვებს
გაუტყევებია	გაუტყეებია	გააფართოვა	გააფართოა
		გააფართოოს	გააფართოვოს
		გაუფართოებია	გაუფართოვებია
		ფართოვდება –	
		გაფართოებულა	გაფართოვებულა
ატყვევებს –		აქვავებს –	
დაატყვევებს	დაატყვეებს	გააქვავებს	გააქვაებს
დაატყვეოს	დაატყვევოს	გააქვაოს	გააქვავოს
დაუტყვევებია	დაუტყვეებია	გაუქვავებია	გაუქვაებია
ახევებს –		ახურდავებს –	
გაახევებს	გაახეებს	დაახურდავებს	დაახურდაებს
გაახეოს	გაახევოს გაუხეებია	დაახურდაოს	დაახურდავოს
გაუხევებია		დაუხურდავებია	დაუხურდაებია
აპატივებს (მიწას)–		აცივებს (წყალს)–	
გააპატივებს	გააპატიებს	გააცივებს	გააციებს
გააპატივოს	გააპატიოს	გააცივა	გააცია
გაუპატივებია	გაუპატიებია	გააცივოს	გააციოს
შდრ.:		გაუცივებია	გაუციებია
აპატიებს (ღალატს)		შდრ.:	
აპატია		გააცია (ტანში)	
აპატიოს		გააციოს	
უპატიებია		გაუციებია	
აუთოებს–		აჯილდოებს –	
დააუთოებს	დააუთოვებს	დააჯილდოებს	დააჯილდოვებს
დააუთოვა	დააუთოა	დააჯილდოვა	დააჯილდოა
დააუთოოს	დააუთოვოს	დააჯილდოოს	დააჯილდოვოს
დაუუთოებია	დაუუთოვებია	დაუჯილდოებია	დაუჯილდოვებია
		ჯილდოვდება –	
		დაჯილდოებულა	დაჯილდოვებულა
ბღავის –		გაუცრუვდება	

ბღაოდა ბღაოდეს	ბღავოდა ბღავოდეს	(იმედი) – გასცრუებია	გასცრუებია
გაჰპარვია – გაჰპაროდა გაჰპაროდეს	გაჰპარვოდა გაჰპარვოდეს	დაიბრიყვა – დაიბრიყვოს	დაიბრიყოს
დართვია –დართოდა დართოდეს	დართვოდა დართვოდეს	დასწევია –დასწეოდა დასწეოდეს	დასწევოდა დასწევოდეს
დახვევია – დახვეოდა დახვეოდეს	დახვევოდა დახვევოდეს	დაჰკარგვია – დაჰკარგოდა დაჰკარგოდეს	დაჰკარგვოდა დაჰკარგვოდეს
ებრძვის – ებრძოდა ებრძოდეს	ებრძვოდა ებრძვოდეს	ეკვრის – ეკვროდა ეკვროდეს	ეკვრვოდა ეკვრვოდეს
ერევა – ერეოდა ერეოდეს	ერევოდა ერევოდეს	ერკვევა –ერკვეოდა ერკვეოდეს	ერკვევოდა ერკვევოდეს
ესევა – ესეოდა ესეოდეს	ესევოდა ესევოდეს	ესვრის – ესროდა ესროდეს	ესვროდა ესვროდეს
ეტყვის – ეტყოდა[8] ეტყოდეს	ეტყვოდა ეტყვოდეს	ეჩვევა – ეჩვეოდა ეჩვეოდეს	ეჩვევოდა ეჩვევოდეს
ეხვევა – ეხვეოდა ეხვეოდეს	ეხვევოდა ეხვევოდეს	ვათრობ –დავათვრე დამითვრია	დავათრე დამითრია
ვანდობ – მივანდვე მომინდვია	მივანდე მომინდია	ვატყობ – შევატყვე შემიტყვია	შევატყე შემიტყია
ვაფრთხობ –დავაფრთხე დამიფრთხია	დავაფრთხვე დამიფრთხვია	ვაქრობ – ჩავაქრე ჩამიქრია	ჩავაქვრე ჩამიქვრია
ვაცხობ – დავაცხვე დამიცხვია	დავაცხე დამიცხია	ვაწყობ – დავაწყვე დამიწყვია	დავაწყე დამიწყია
ვგრძნობ – მიგრძნია	მიგრძვნია	ვიწროვდება – დავიწროებულა	დავიწროვებულა
ვცნობ – მიცნია	მიცვნია	იბნევა – იბნეოდა იბნეოდეს	იბნევოდა იბნევოდეს
ილტვის– ილტვოდა[9] ილტვოდეს	ილტოდა ილტოდეს	იმონავებს – დაიმონაოს დაუმონავებია	დაიმონავოს დაუმონაებია
ინგრევა– ინგრეოდა ინგრეოდეს	ინგრევოდა ინგრევოდეს	ირხევა – ირხეოდა ირხეოდეს	ირხევოდა ირხევოდეს
იღვწის – იღვწოდა იღვწოდეს	იღწვოდა იღწვოდეს	იძვრის – იძვროდა იძვროდეს	იძროდა იძროდეს
იწვის – იწვოდა იწვოდეს	იწოდა იწოდეს	კივის – კიოდა კიოდეს	კივოდა კივოდეს
კნავის – კნაოდა	კნავოდა	სწვევია – სწვეოდა	სწვევოდა

[8] შდრ.: სიტყვა – ეტყვის – ეტყოდა; შეესიტყვება.

[9] შდრ.: ლტოლვა – ილტვის – ილტვოდა: „ილტვოდა" ფორმაში „ვ" მერყევია, თუმცა ნორმად დამკვიდრებულია ვ-ინიანი ვარიანტი. მსგავსი მაგალითები დღის წესრიგში აყენებს ზოგი ნორმის გადასინჯვის საკითხს.

კნაოდეს	კნავოდეს	სწვეოდეს	სწვევოდეს
სჩვევია – სჩვეოდა სჩვეოდეს	სჩვევოდა სჩვევოდეს	უცრუებს – გაუცრუებს გაუცრუა გაუცრუებია	გაუცრუვებს გაუცრუვა გაუცრუვებია
უძღვის – უძღოდა უძღოდეს	უძღვოდა უძღვოდეს	ყვავის – ყვაოდა ყვაოდეს	ყვავოდა ყვავოდეს
ყრუვდება– დაყრუებულა	დაყრუვებულა	ჩივის – ჩიოდა ჩიოდეს	ჩივოდა ჩივოდეს
ცივა – ცივოდა ცივოდეს	ცივივოდა ცივივოდეს	ცივა – ციოდა ციოდეს	ციოდა ციოდეს
ცრუვდება– გაცრუებულა	გაცრუვებულა	წივის – წიოდა წიოდეს	წივოდა წივოდეს
ჭყავის – ჭყაოდა ჭყაოდეს	ჭყავოდა ჭყავოდეს		

ზმნური ფორმებისგან ნაწარმოები სახელები

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
აგუნდავება – აგუნდავებული	აგუნდაებული	განმარტოება – განმარტოებული	განმარტოვებული
გატყევება – გატყევებული	გატყეებული	გაფართოება – გაფართოებული	გაფართოვებული
გაქვავება – გაქვავებული	გაქვაებული	გახევება – გახევებული	გახეებული
დაახლოება – დაახლოებული	დაახლოვებული	დაბევება – დაბევებული	დაბეებული
დაბინავება – დაბინავებული	დაბინაებული	დავიწროება – დავიწროებული	დავიწროვებული
დაზღვევა – დაზღვეული	დაზღვევული	დარბევა – დარბეული	დარბევული
დარხევა – დარხეული	დარხევული	დატყვევება – დატყვევებული	დატყვეებული
დაუთოება – დაუთოებული	დაუთოვებული	დახევა – დახეული	დახევული
დახურდავება – დახურდავებული	დახურდაებული	დაჯილდოება – დაჯილდოებული	დაჯილდოვებული
მიჯაჭვა – მიჯაჭვული	მიჯაჭული	მოქარგვა – მოქარგული	მოქარგვული
მოქნევა – მოქნეული	მოქნევული	შემორაგვა – შემორაგული	შემორაგული
ჩანასკვა – ჩანასკვული	ჩანასკვული	წაქცევა – წაქცეული	წაქცევული

სხვათა სიტყვის ნაწილაკდართული ზმნური ფორმები

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
ვათევ – ვათევო (ღამეს)	ვათეო	ვბარავ – ვბარავო	ვბარაო
ვგორავ –ვგორავო	ვგორაო	ვრწყავ – ვრწყავო	ვრწყაო
ვხატავ – ვხატავო	ვხატო	ვხურავ –ვხურავო	ვხურაო

4.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ამ თავობას ვერაფერს გააგებინებ.
2) ბავშურ ქცევასაც საზღვარი აქვს.
3) დიდი გამბედავობა გვმართებს.
4) მასწავლებელი გაკვეთილზე სხვადასხვა აქტიობას იყენებს.
5) შავოსნებმა ცენტრალურ ქუჩას თავი აარიდეს.
6) განთქმულია ფშავური ხინკალი.
7) თარგმანის ენაში ხშირია პასივური კონსტრუქციები.
8) მათ ხელი მოაწერეს საზაო ხელშეკრულებას.
9) უსახურაო სახლში ცხოვრება ძნელია.
10) ეს სადაო საკითხი ასე უცბად არ გადაწყდება.

4.2. აირჩიეთ სწორი წინადადებები.

1) დამდურებულები უსიტყოდ დაშორდნენ ერთმანეთს.
2) დამდურებულები უსიტყვოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

3) ჩემს საეზოვე ნაკვეთში ძველი სამარხი აღმოვაჩინეთ.
4) ჩემს საეზოე ნაკვეთში ძველი სამარხი აღმოვაჩინეთ.

5) ვაშლს ოდნავ მომჟავო გემო ჰქონდა.
6) ვაშლს ოდნავ მომჟაო გემო ჰქონდა.

7) ასეთი უინიციატიო კოლექტივი არსად მინახავს.
8) ასეთი უინიციატივო კოლექტივი არსად მინახავს.

9) მეეზოვეთა სამსახურმა დღეს ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო მუშაობა.
10) მეეზოეთა სამსახურმა დღეს ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო მუშაობა.

11) წუხელ მთელმა სანათესაომ აქ მოიყარა თავი.
12) წუხელ მთელმა სანათესავომ აქ მოიყარა თავი.

13) უმზითო საპატარძლო მაშინ არავის უნდოდა.
14) უმზითვო საპატარძლო მაშინ არავის უნდოდა.

15) ჩვენს ქუჩაზე მანქანების სამრეცხავო გაიხსნა.
16) ჩვენს ქუჩაზე მანქანების სამრეცხაო გაიხსნა.

17) საპატიო სტუმრები სუფრასთან მიიწვიეს.
18) საპატივო სტუმრები სუფრასთან მიიწვიეს.

19) ელენესგან ყურადღების მეტი არაფერი მიგრძნია.
20) ელენესგან ყურადღების მეტი არაფერი მიგრძვნია.

4.3. ფრჩხილებში მითითებული სიტყვებისაგან აწარმოეთ ზმნის ფორმები და მიუსადაგეთ მითითებულ კითხვებს.

კითხვა: რას იზამს?

1) ქუხილი ამ პატარა ზღარბს ადგილზე (გაქვავება).
2) საინტერესოა, ვინ (დაჯილდოება) ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეებს.
3) კატო თავისი ხელით (დავიწროება) გადიდებულ ტანსაცმელს.
4) ბიჭი ფულს სავალუტო ჯიხურში (დახურდავება).
5) დედაჩემი შარვალს ორ წუთში (დაუთოება).

კითხვა: რა ქნა?

6) ბუნების ამ სურათმა თავისი სილამაზით მნახველი (დატყვება).
7) ბებომ ცომი (მოგუნდავება).

8) კონკურსში გამარჯვებული ჟიურის თავმჯდომარემ (დაჯილდოება).
9) გოგონა მოხუცის უცნაურმა საქციელმა (გახევება).
10) შვილიშვილმა პაპას იმედი არ (გაცრუება).

კითხვა: რა ჭნას?

11) მინდა დათომ ისევ (დაახლოება) დამდურებული მეგობრები.
12) ირაკლის ურჩიეთ, (გაფართოება) საკონფერენციო თემატიკა.
13) რა იქნება, ამ გოგომ ცოტა (მოკობტავება) თავისი თხუპნია და!
14) არა მგონია ცდუნებამ (დამონავება) ეს პატიოსანი კაცი.
15) ჩვენმა მენეჯერმა გადაწყვიტა კერძო სასტუმროში (დაბინავება) უცხოელი სტუმრები.

კითხვა: რა უქნია?

16) გამარჯვებული ფალავანი ჟიურის პირველი ხარისხის დიპლომით (დაჯილდოება).
17) ეს ახალგაზრდები გიოს მეზობელს (დაახლოება).
18) გარეცხილი თეთრეული დედაჩემს (დაუთოება).
19) აფეთქების ხმას ბავშვი კინაღამ (დაყრუება).
20) ნიკოს მეპატრონისგან სახლი (დაბევება).

4.4. ხაზებით დააკავშირეთ წყვილის წევრები.

იწყობს	კოვზები
იწყებს	ზეთს
აცხობს	წიგნებს
აცხებს	დალაგება
დაუწყია	ნამცხვარი
დაუწყვია	მუშაობას
დაუცხვია	კრემი
წაუცხია	ხაჭაპურს

ტესტი N 4

ვ ბგერის დაკარგვის, შენარჩუნებისა და განვითარების შემთხვევები

1. რომელი პასუხია სწორი?

ქართულ ენაში:

ა) იშვიათია ვ ბგერასთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესები;

ბ) ხშირია ვ ბგერასთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესები.

2. რომელი პასუხია მცდარი?

ა) ვ ბგერა ძირითადად იკარგება ო, უ ბგერებით დაწყებული სუფიქსების წინ;

ბ) ვ ბგერა ძირითადად იკარგება ა, ე ბგერებით დაწყებული სუფიქსების წინ.

3. რომელი პასუხია სწორი?

„აქტი-ვ" და „პასი-ვ" ფუძეებზე -ობა სუფიქსის დართვისას:

ა) ვ უნდა დაიკარგოს;

ბ) ვ არ უნდა დაიკარგოს.

4. რომელი პასუხია მცდარი?

სალიტერატურო ფორმებია:

ა)„მუდმივობა", „ცალმხრივობა", „ხანგრძლივობა";

ბ)„მუდმიობა", „ცალმხრიობა", „ხანგრძლიობა".

5. რომელი პასუხია სწორი?

არასალიტერატურო ფორმებია:

ა) „შავოსანი", „თავოსანი", „ნავოსანი";

ბ) „შაოსანი", „თაოსანი", „ნაოსანი".

6. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ა) უმართებულო ფორმებია: „მომჟაო", „მოშაო";

ბ) მართებული ფორმებია: „მომჟაო", „მოშაო".

7. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ა) „მოხეური", „ფშაური", „მეუღვრისხეური" სალიტერატურო ფორმებია;

ბ) „მოხეური",„ფშაური", „მეუღვრისხეური" არასალიტერატურო ფორმებია.

8. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ყველა ფორმა სწორია.

ა) ბავშვური, აქტიური, დათვური;

ბ) უთაო, უინიციატიო, უპერსპექტიო.

9. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც მხოლოდ ერთი შეცდომაა.

ა) სლავური, მოსკოური, პასიური;

ბ) სადაზღვეო, საერისთაო, სამარხო.

10. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

ა) სიყრუვე, სიცრუვე;

ბ) სიფართოვე, სიბლუე.

11. რომელია სწორი?

ა) მეეზოე, საეზოე;

ბ) მეეზოვე, საეზოვე.

12. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ორი ნორმატიული ფორმაა.

ა) სადაო, სახარჯო, სამრეცხავო;

ბ) სათაო, სასაფლაო, სააღრიცხვო.

13. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

ა) ძარღოვანი, წიწოვანი;

ბ) მრავალრიცხოვანი, ბეწვოვანი.

14. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ა)„ავიწროებს“, „აბინავებს“, „აჯილდოებს“ სალიტერატურო ფორმებია;

ბ)„ავიწროებს“, „აბინავებს“, „აჯილდოებს“ არასალიტერატურო ფორმებია.

15. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

„დაასუფთაოს“, „გააფართოოს“, „დაატყვეოს“

ა) უმართებულო ფორმებია;

ბ) მართებული ფორმებია.

16. რომელია სწორი ფორმები?

ა)„დავათრე“, „შევატყე“, „მივანდე“;

ბ)„დავათვრე“, „შევატყვე“, „მივანდვე“.

17. რომელია მცდარი ფორმები?

ა) „დაახლოვებული“, „განმარტოვებული“, „დავიწროვებული“;

ბ)„დაახლოებული“, „განმარტოებული“, „დავიწროებული“.

18. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

„გაჰპაროდა“, „დაჰკარგოდა“, „გაჰპაროდეს“, „დაჰკარგოდეს“

ა) უმართებულო ფორმებია;

ბ) სალიტერატურო ფორმებია.

19. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

უმართებულოა:

ა) „ვაცხობ ზეთს“.

ბ) „ვაცხებ ზეთს“.

20. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

სალიტერატურო ნორმაა:

ა) „ვაპატიებ მიწას“, „ტანში მაცივებს“.

ბ) „ვაპატივებ მიწას“, „ტანში მაციებს“.

მორფოლოგია[10]

5. არსებითი სახელი

5.1. არსებითი სახელის რაობა და ჯგუფები

არსებითი სახელი აღნიშნავს საგანს, მოვლენას. სხვა სახელებისა და ზმნის მსგავსად, არსებითი სახელი არის **დამოუკიდებელი სიტყვა**, მაგ.: „კაცი“, „ძაღლი“, „მთა“, „მზე“... (შდრ., დამხმარე სიტყვები: „რომ“, „რადგან“, „გამო“, „შესახებ“...). არსებითი სახელი **ფორმაცვალებადია** – ფორმას იცვლის ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით; შდრ.: კაც-ი, კაც-მა. კაც-ს... კაც-ი – კაც-ებ-ი / კაც-ნ-ი.

არსებით სახელს დაესმის კითხვები: **ვინ?** და **რა?** პირველი კითხვა მიემართება ადამიანის აღმნიშვნელ სახელებს, ხოლო მეორე – ყველა დანარჩენ სახელს, სულიერსა თუ უსულოს; შდრ.:

ვინ? – კაცი, ამხანაგი, მასწავლებელი, ექიმი, მოწაფე...

რა? – ძაღლი, კნუტი, სახლი, ვენახი, ზღვა...

გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, რომლებიც ახალშობილის სქესის დადგენას უკავშირდება; ამ დროს, ჩვეულებრივ, კითხულობენ: „**რა** შეეძინა?“ „**რა** ეყოლა?“ „**რა** ჰყავს?“

არსებითი სახელის დახასიათება შესაძლებელია სხვადასხვა შინაარსობრივი ჯგუფის მიხედვით. ეს ჯგუფებია:

ვინ – რა (იხ. ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები);

სულიერი – უსულო: გოგონა, ხარი, ჩიტი... – მერხი, სკამი, კედელი...

საკუთარი – საზოგადო: ნათია, რიონი, თელავი, პოლონეთი... – გოგონა, მდინარე, ქალაქი, ქვეყანა...

კონკრეტული – აბსტრაქტული: მზე, ღრუბელი, ჰაერი... – ბედნიერება, სილამაზე, მეგობრობა... გარკვეულ შემთხვევებში კონტექსტი განასხვავებს კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელებს; შდრ.: ქუჩაში **მოაბიჯეს ახალგაზრდობა** (კონკ.) – მან **გაიხსენა** თავისი **ახალგაზრდობა** (აბსტ.).

კრებითი: ხალხი, გუნდი, ხროვა, ჯოგი, ნახირი, კრებული... ზოგ შემთხვევაში კრებითობა შეიძლება გამოიხატოს არაკრებითი სახელისა და:

– მრავლობითობის ფუნქციადაკარგული **-ებ** აფიქსის კომბინაციით; შდრ.: **არდადეგები** – "დრო, რომლის განმავლობაში სასწავლებლებში მეცადინეობა შეწყვეტილია, მოსწავლეები დათხოვილი არიან“ და **არდადეგი** – არქაიზმი: „ერთი თვე, ზაფხულის ბუნიაობიდან (23 ივნისიდან) დაწყებული“ (ქეგლ-ი 1950, გვ. 556);

– რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნის კომბინაციით; შდრ.: ფოთოლი ვარდება – **ფოთოლი ცვივა**; ნაყოფი მოიბა – **ნაყოფი მოისხა**...

ნივთიერებათა სახელები: წყალი, რძე, ოქრო, სპილენძი, ქვიშა, მარილი...

მოქმედების სახელები: წერა, კითხვა, მუშაობა, კეთება, დგომა... და სხვ.

სავარჯიშოები

5.1.1. წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ არსებითი სახელები, შეიტანეთ ცხრილში და გააკეთეთ შესაბამისი აღნიშვნები შინაარსობრივი ჯგუფების მიხედვით.

ა) ...დიდი **ჩოჩქოლი** ატყდა. განჯინიდან არაჩვეულებრივი... სუნი შემოდიოდა. მთელი გუნდი თაგვებისა დაიძრა ამბის გასაგებად; წინ მიუძღოდა სახელოვანი ფიცხელა, განთქმული სიმარდით... და გამბედაობით (ვაჟა).

---

[10]მორფოლოგია (ბერძ. morfhe ფორმა და logos მოძღვრება) – გრამატიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ენაში არსებულ სიტყვათა ფორმებს და ფორმაცვალების წესებს.

ბ) მღვდელმა წირვა ჩვეულებრივზე ადრე გამოიყვანა: ასე თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ საყდრიდან ხალხი გამოიშალა... ეფემია-კი სახლში მზარეულობდა.... ღვინოც ამოიღო ქვევრიდან დოქებში... დაინახა რა მომავალი სტუმრები, მაშინვე შეუდგა სუფრის გაშლას (ვაჟა).

არსებითი სახელები	ვინ?	რა?	კონ.	აბს.	საკ.	საზ.	კრებ.	ნივთ.	მოქ.
ჩოჩქოლი		✓	✓			✓			✓

5.1.2. შეადგინეთ პარალელური წინადადებები ისე, რომ ფრჩხილებში მითითებული სიტყვები აღნიშნავდეს:

ა) ერთ შემთხვევაში – კრებით საგანს, მეორე შემთხვევაში – მხოლოდ ერთს (ფიფქი, ცხვარი, ყვავილი, ფუტკარი);

ბ) ერთ შემთხვევაში – კონკრეტულ საგანს, მეორე შემთხვევაში – აბსტრაქტულს (ამხანაგობა, მშვენიერება, სიმარდე, გაბედულება).

5.2. სახელის ფუძე; სიტყვამაწარმოებელი და ფორმამაწარმოებელი აფიქსები

ფუძე არის სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი. ის განსხვავდება აგებულების, სისრულისა და დაბოლოების მიხედვით.

აგებულების მიხედვით, ფუძე სამი სახისაა: მარტივი, ნაწარმოები ან რთული. **მარტივი ფუძე** იგივე **ძირია** – სიტყვის უმარტივესი ნაწილი, რომელიც აღარ დაიშლება. ასეთია, მაგ., **კაც-ი, ხილ-ი, დედა, ოქრო, ბადე...**

ფუძეს დაერთვის **აფიქსები** (სართები), ადგილის მიხედვით – **პრეფიქსები** (თავსართები), **სუფიქსები** (ბოლოსართები) ან **პრეფიქს-სუფიქსები** (თავსართ-ბოლოსართები). ფუნქციის მიხედვით, აფიქსთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: ფორმამაწარმოებელი და სიტყვამაწარმოებელი. **ფორმამაწარმოებელი აფიქსები** ლექსიკურ მნიშვნელობას არ უცვლის სიტყვას, **სიტყვამაწარმოებელი აფიქსი / აფიქსები** – ფორმასთან ერთად, ლექსიკურ მნიშვნელობასაც.

ფუძეს უშუალოდ დაერთვის ფორმამაწარმოებელი აფიქსები: რიცხვის ნიშნები და ბრუნვის ნიშნები; თუკი ორივე სახის სუფიქსი დაერთვის, ჯერ იქნება რიცხვის ნიშანი, მაგ.: **ხილ-ი – ხილ-მა – ხილ-ს... კაც-ებ-ი, კაც-ებ-მა...** (იხ. ქვემოთ);

ფუძე ნაწარმოებია, თუ მასში სიტყვამაწარმოებელი აფიქსი / აფიქსები გამოიყოფა; შდრ.: **ხილ-ს – ხილ-იან-ს / სა-ხილ-ე-ს / უ-ხილ-ო-ს / მე-ხილ-ე-ს...**

რთული ფუძე ორი ან მეტი მარტივი თუ ნაწარმოები ფუძისაგან შედგება, მაგ.: **ხე|ხილ-ი, ხილ|ფაფა, ხილ|ბოსტნეულ-ი, ხილ|ბოსტან|ვაჭრობა** და სხვ.

ფუძე შეიძლება იყოს **სრული** ან **უსრული**; ეს დამოკიდებულია იმაზე, ფონეტიკური პროცესის შედეგად ეკარგება თუ არა ხმოვანი; მაგ., შდრ.:

სრ. ფუძე		უსრ. ფუძე
ბალ-ი	–	ბლ-ის (ფუძის შუიდან არის ამოვარდნილი ხმოვანი ა);
სახე	–	სახ-ის (დაკარგულია ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი ე);
მოყვარე	–	მოყვრ-ის (დაკაგულია ორი ხმოვანი: ფუძის შუაში – ა და ბოლოს – ე).

ფუძე ბოლოვდება ხმოვანზე ან თანხმოვანზე. **ფუძის დაბოლოების** დასადგენად სახელი უნდა ჩავსვათ მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში (იხ. ქვემოთ) და ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი; რაც იქნება ფუძის ბოლო ბგერა, იმის მიხედვით განისაზღვრება, სახელი თანხმოვანფუძიანია თუ ხმოვანფუძიანი. მაგ.:

თანხმოვანფუძიანი სახელებია: კაც-ი (კაც-მა, კაც-ს), ბავშვ-ი (ბავშვ-მა, ბავშვ-ს), სახლ-ი (სახლ-მა, სახლ-ს), კარ-ი (კარ-მა, კარ-ს)...

ხმოვანფუძიანი სახელებია: ზეცა (ზეცა-მ, ზეცა-ს), ტყე (ტყე-მ, ტყე-ს), ორმო (ორმო-მ, ორმო-ს), კუ (კუ-მ, კუ-ს), ჩაი (ჩაი-მ, ჩაი-ს)...

5.3. ქართული ენის ბრუნვათა სისტემა

ქართული ენის სახელის ფორმაცვალება ხდება ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებით. ბრუნვის ფორმები სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

– მარტივი ბრუნვები (ფუძე + მარტივი ბრუნვის ნიშანი);

– რთული ბრუნვები (მარტივი ბრუნვის ნიშანს ერწყმის თანდებული ან მეორე ბრუნვის ნიშანი);

– ბრუნვები ცალკე მდგომი თანდებულებით.

მარტივი ბრუნვა ეწოდება ისეთ ფორმამაწარმოებელ ყალიბს, რომელშიც ბრუნვის ნიშანი არის მარტივი აფიქსი. იხ. მარტივი ბრუნვების სქემა:

სახელობითი:	**ფუძე + -ი / 0**
მოთხრობითი:	**ფუძე + -მა / -მ**
მიცემითი:	**ფუძე + -ს**
ნათესაობითი:	**ფუძე + -ის /-ს(ი)**[11]
მოქმედებითი:	**ფუძე + -ით / -თ(ი)**
ვითარებითი:	**ფუძე + -ად / -დ**
წოდებითი:	**ფუძე + -ო / -ვ / -0**

რთული ბრუნვა ჰქვია ისეთ ფორმამაწარმოებელ ყალიბს, რომლის ბრუნვის ნიშანი შედგება ორი მარტივი მორფემისაგან. რთული ბრუნვებია, მაგ.: **ფუძე-ი+ვით /-სა+ვით, ფუძე-იდ+ან (<- ით+გან), ფუძე-ა+მდე** და სხვ. (იხ. ქვემოთ).

მარტივ ბრუნვათაგან მიცემითსა და ნათესაობითს შეიძლება დაერთოს **ცალკე მდგომი თანდებულები:** შუა, შორის, მიერ, შესახებ... (იხ. ქვემოთ).

5.4. ფონეტიკური ცვლილებები მარტივ ბრუნვებში. სახელის რიცხვის ფორმები

მარტივ ბრუნვებში ფუძეს მოუდის გარკვეული **ფონეტიკური ცვლილებები;** კერძოდ:

კვეცა – ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვა (შდრ.: **სახე – სახ-ის**) ხდება ორ ბრუნვაში: ნათესაობითსა და მოქმედებითში;

კუმშვა – ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნა (შდრ.: **ბალ-ი – ბლ-ის**) სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში;

კუმშვა-კვეცა – ერთდროულად ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნაც და ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვაც (**ქვეყანა – ქვეყნ-ის**). ამ შემთხვევაშიც კუმშვა ხდება სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში; კვეცა კი - ნათესაობითსა და მოქმედებითში (გამონაკლისი: მოყვარე). ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ ბრუნების განსხვავებულ ტიპებზე.

ქართულში სახელს რიცხვის ორი ძირითადი ფორმა აქვს: მხოლობითი და მრავლობითი. მრავლობითის ნიშანთა სისტემა ორგვარია: **-ებ**-იანი და **ნარ-/თან-**იანი.

---

[11] **-ის** აფიქსი, ასევე, გვევლინება სიტყვამაწარმოებლად; მაგ.: მეშინია ძაღლის; აქ **-ის** ბრუნვის ნიშანია; **ხე – ხ-ის** დაპირისპირებაში კი **-ის** არის სიტყვამაწარმოებელი (თ. უთურგაიძე).

მხოლოობითის ფორმებია: ვაშლი, ჰაერი, წყალი, საწარმო, საზოგადოება, და-ძმა, დედაკაცი, ქვეყანა, გუნდი, ჯოგი...

მრავლობითის ფორმებია: ვაშლ-ებ-ი /ვაშლ-ნ-ი – ვაშლ-თ-ა... საწარმო-ებ-ი / საწარმო-ნ-ი – საწარმო-თ-ა... და-ძმ-ებ-ი / და-ძმა-ნ-ი – და-ძმა-თ-ა... გუნდ-ებ-ი / გუნდ-ნ-ი – გუნდ-თ-ა...

მრავლობითის აღნიშნულ ორ სისტემას შორის განსხვავებაა, კერძოდ:

– **-ებ**-იანი სისტემა დღეს ფართოდ გავრცელებულია; **ნარ-/თან**-იანის გამოყენების არე, შედარებით, ვიწროა, თუ არ ჩავთვლით, მაგ., გარკვეულ ნაცვალსახელურ ფორმებს: ისინი, ეგენი, ამათ, ჩვენი, მაგათი... ასევე მყარ გამოთქმებს: ბავშვთა ოთახი, საბჭოთა პერიოდი, მოზარდ მაყურებელთა თეატრი და სხვ.;

– **-ებ**-იანი მრავლობითის სისტემა სრულყოფილია, **ნარ-/თან**-იანი კი ნაკლულია: მოქ. და ვით. ბრ-ები არ აქვს;

– **-ებ** ნიშანი ყველა ბრუნვაში გადაჰყვება სახელს; **ნარ-ი** და **თან-ი** კი ბრუნვებს ინაწილებენ, კერძოდ; **ნარ-ი** მხოლოდ სახელობითსა და წოდებითშია, **თან-ი** ერთდროულად სამ ბრუნვაშია: მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში; **თან-ი**, მრავლობითობის გამოხატვასთან ერთად, ბრუნვის ნიშნის ფუნქციასაც ითავსებს, განსხვავებით **-ებ**-ისა და **ნარ-**ისაგან, რომლებიც მხოლოდ რიცხვს აღნიშნავენ; შდრ.:

	-ებ	**ნ-/თ-**
სახ.:	——**ებ-ი**	——**ნ-ი**
მოთ.	——**ებ-მა**	——**თ-ა**
მიც.	——**ებ-ს**	——**თ-ა**
ნათ.	——**ებ-ის**	——**თ-ა**
მოქ.	——**ებ-ით**	——
ვით.	——**ებ-ად**	——
წოდ.	——**ებ-ო**	——**ნ-ო**

იმის გასარკვევად, თუ კონკრეტულ წინადადებაში **თან**-იანი მრავლობითის რომელი ბრუნვის ფორმაა გამოყენებული, ვიყენებთ **-ებ**-იანი მრავლობითით შენაცვლების ხერხს; შდრ.:

– **მონათა** / მონებმა (მოთ.) ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად;

– მიეც **გლახაკთა** / გლახაკებს (მიც.) საჭურჭლე;

– **დიდთა** და **მცირთა** / დიდებულებისა და გაჭირვებულების (ნათ.) წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების.

სახელის მრავლობითის ფუძეში მოიაზრება მრავლობითის ნიშანიც. შესაბამისად, ის ყოველთვის თანხმოვანზეა დაბოლოებული. **-ებ**-იანი მრავლობითის ფუძეში აისახება ის ფონეტიკური ცვლილებები, რომლებიც მხოლოობითის ფუძეში მიმდინარეობს; **ნარ-/თან**-იანი მრავლობითის ფუძე ფონეტიკურ ცვლილებებს არ ექვემდებარება. შდრ.:

მხ. რ.				**მრ. რ.**		
ატამ-ი	–	**ატმ-ის**	–	**ატმებ-ი / ატამნ-ი**	–	ატამთ-ა
დედა	–	**დედ-ის**	–	**დედებ-ი / დედან-ი**	–	დედათ-ა
მოყვარე	–	**მოყვრ-ის**	–	**მოყვრებ-ი / მოყვარენ-ი**	–	მოყვარეთ-ა

დაუშვებელია, ზოგადად, სახელის ერთ ფორმაში გაორმაგებული მრავლობითის ან ერთდროულად ორივე ტიპის მრავლობითის გამოყენება; შდრ.:

		სწორია:	შეცდომაა;
კარი	–	**კარები / კარნი**	კარებები / კარებნი – კარებთა
საცვალი	–	**საცვლები**	საცვლებები / საცვლებნი – საცვლებთა
ტოლი	–	**ტოლები / ტოლნი**	ტოლებნი – ტოლებთა
წელი	–	**წლები / წელნი**	წლებნი – წლებთა
ეს	–	**ესენი**	ესენები

5.4.1. იპოვეთ მოცემულ წინადადებებში საზოგადო არსებითი სახელები და შეავსეთ ცხრილი; დეფისით გამოყავით ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები.

1) სარდაფები მუდამ... სავსეა ხალხით... (ვაჟა).
2) [ფიცხელა] მიაწყდა-მოაწყდა სათაგურის კედლებს (ვაჟა).
3) [ღამურა]თავებმა აითვალწუნეს, / ალარ მიიღეს, რომ ნახეს (წერ.).
4) მოგესალმებით, ქედებო!.. (ვაჟა).
5) აქლემის და ნემსის ჭურდი – ორივენი ერთიაო (ხალხ.).
6) ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი! (ხალხ.).
7) კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე... (ჭავ.).
8) დღემ დაიხურა პირბადე , მთებმა დახუჭეს თვალები (ვაჟა).
9) თერგი ჭრების, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან! (ორბ.).
10) სიკეთით სძლიე შენს მტერსა... (ჭავ.).

მხ. ფორმები	მრ. ფორმები	ბრუნვა	ფუძის დაბოლოება
	სარდაფ-ებ-ი	სახ.	თანხმ.ფუძიანი

5.4.2. თან-იანი მრავლობითის ფორმები შეანაცვლეთ -ებ-იანით და დაადგინეთ ბრუნვა.

1) ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი (ორბ.).
2) თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა (ორბ.).
3) წარვედ წყალის პირს სუდიანი ფიქრთ გასართველად (ბარათ.).
4) თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოდინება (ორბ.).
5) ქარი ქვითინებს, ღრუბელთა ზარი თქვეს შესაზარები (ვაჟა).
6) ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში / და მიაშურეს ლილისფერ მთათა (კალან.).
7) მომმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის!.. (ყაზ.).
8) ასეთი დარი თუ იყო მაშინ, / ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა? (კალან.).
9) მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება (რუსთ.).
10) ალარ შფოთობენ საფლავში გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები (ვაჟა).

5.4.3. გაასწორეთ შეცდომები.

1) აქ უკვე იგრძნობა მთებთა სიგრილე.
2) ვერ დავივიწყებ ბობოქარ წლებთა.
3) ბუნების ძალებნო, დაიფარეთ პატარა ია!..
4) იმ ქარიშხლებთა შემოტევას ბევრმა ვერ გაუძლო.
5) მე და ზურა ტოლებნი ვართ.
6) დაიძრა ღრუბლებთა ჯარი.
7) რა ჯდება ერთი კარების დამზადება თქვენს საამქროში?
8) ბავშვებისთვის საცვლებები მაქვს საყიდელი.
9) ცირკის არენაზე გამოჩნდა მხეცებთა მომთვინიერებელი.
10) ნურასოდეს ატკენთ გულს თქვენს მოამაგეებთა.

ტესტი N 5.1- 5.4

არსებითი სახელი

- არსებითი სახელის რაობა და ჯგუფები
- სახელის ფუძე; სიტყვამაწარმოებელი და ფორმამაწარმოებელი აფიქსები
- ქართული ენის ბრუნვათა სისტემა
- ფონეტიკური ცვლილებები მარტივ ბრუნვებში. სახელის რიცხვის ფორმები

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ა)არსებითი სახელი საგნის ან მოვლენის აღმნიშვნელი ფორმაცვალებადი და დამხმარე სიტყვაა;
ბ) არსებითი სახელი საგნის ან მოვლენის აღმნიშვნელი ფორმაცვალებადი და დამოუკიდებელი სიტყვაა.
2. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
ა) არსებით სახელს დაესმის კითხვები: **ვინ?** და **რა?**
ბ) არსებით სახელს დაესმის კითხვები: **ვინ?** და **სადაური?**
3. რომელი პასუხია მცდარი?
ა) კითხვა **ვინ** დაესმის ყველა სულიერს;
ბ) კითხვა **ვინ** დაესმის მხოლოდ ადამიანს.
4. რომელი პასუხია სწორი?
ახალშობილზე ეკითხებიან:
ა) „ვინ ეყოლა?“
ბ) „რა ეყოლა?“
5. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
წინადადებაში: „საპროტესტო აქციას შეუერთდა სტუდენტობა“ სიტყვა **სტუდენტობა:**
ა) კონკრეტული სახელია;
ბ) აბსტრაქტული სახელია.
6. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
წინადადებაში: „ბებომ გაიხსენა თავისი ახალგაზრდობა“ სიტყვა **ახალგაზრდობა:**
ა) კონკრეტული სახელია;
ბ) აბსტრაქტული სახელია.
7. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც მხოლოდ მოქმედების / მდგომარეობის სახელებია.
ა) კეთება, მუშა, წერა, იცინის;
ბ) კეთება, მუშაობა, წერა, სიცილი,
8. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
წინადადებაში: „ხეს ფოთოლი სცვივა“ **ფოთოლი** აღნიშნავს:
ა) ერთ საგანს;
ბ) ერთნაირ საგანთა კრებულს.
9. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ფუძე არის:
ა) სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი;
ბ) სიტყვის ბრუნვის ფორმა.
10. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
აგებულების მიხედვით, ფუძე შეიძლება იყოს:
ა) მარტივი ან რთული;
ბ) მარტივი, ნაწარმოები ან რთული.
11. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
„კაც-“ , „ქალ-“
ა) უსრული ფუძეებია;
ბ) სრული ფუძეებია.
12. რომელი პასუხია მცდარი?
ფუნქციის მიხედვით, გამოიყოფა აფიქსთა:
ა) 3 ჯგუფი: ფორმამაწარმოებელი, ბრუნვამაწარმოებელი და სიტყვამაწარმოებელი;
ბ) 2 ჯგუფი: ფორმამაწარმოებელი და სიტყვამაწარმოებელი.
13. რომელი პასუხია სწორი?
ბრუნვის ნიშნები
ა) სიტყვამაწარმოებელი აფიქსებია;
ბ) ფორმამაწარმოებელი აფიქსებია.
14. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც მხოლოდ ნაწარმოები ფუძეებია.
ა) ქალაქური, სალხინო, მედროვე, მოქალაქე;
ბ) დედაქალაქი, მოლხენა, დროსტარება, ქეიფი.
15. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
სიტყვამაწარმოებელი აფიქსები სიტყვას უცვლიან:

ა) მხოლოდ ფორმას;
ბ) მხოლოდ ლექსიკურ მნიშვნელობას;
გ) ფორმასაც და ლექსიკურ მნიშვნელობასაც.

16. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი უსრული ფუძეა.
ა) ვაშლის, ლეღვის, კაკლის, თხილის, ნესვის;
ბ) ქლიავის, ალუჩის, ჟოლოს, ბლის, მარწყვის.

17. აირჩიეთ მარტივ ბრუნვათა სწორი თანმიმდევრობა.
ა) სახ., მოთ.. მიც.. წოდ.. მოქ., ნათ., ვით.;
ბ) სახ.. მიც.. ნათ., მოქ., მოთ., ვით., წოდ.;
გ) სახ., მოთ.. მიც.. ნათ., მოქ., ვით., წოდ.

18. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
კვეცა არის:
ა) ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვა;
ბ) ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნა.

19. შემოხაზეთ ორი მცდარი პასუხი.
სიტყვაში **მოყვრის** მომხდარია:
ა) კუმშვა;
ბ) კუმშვა და კვეცა;
გ) კვეცა.

20. რომელი პასუხია სწორი?
თანამედროვე ქართულში:
ა)ფართოდ გავრცელებულია როგორც – **-ებ**-იანი, ისე **ნარ-/თან**-იანი მრავლობითის სისტემა;
ბ) **-ებ**-იანი მრავლობითის სისტემა ფართოდ გავრცელებულია, **ნარ-/თან**-იანთან შედარებით.

21. აირჩიეთ მცდარი პასუხი.
ა) **-ებ** ნიშანი ყველა ბრუნვაში გადაჰყვება სახელს;
ბ) **-ებ** ნიშანი მხოლოდ ორ ბრუნვაში გადაჰყვება სახელს.

22. რომელი პასუხია სწორი?
შენაცვლების ხერხს ვიყენებთ:
ა) **-ებ**-იან მრავლობითში მდგარი სახელის ბრუნვის გასარკვევად;
ბ) **ნარ**-იან მრავლობითში მდგარი სახელის ბრუნვის გასარკვევად;
გ) **თან**-იან მრავლობითში მდგარი სახელის ბრუნვის გასარკვევად.

23. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
წინადადებაში: „ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის“ **ხეთა** არის:
ა) მიცემით ბრუნვაში;
ბ) ნათესაობით ბრუნვაში.

24. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
წინადადებაში: „თბილისი აიღეს სპარსთა“ **სპარსთა** არის:
ა) ნათ. ბრუნვაში;
ბ) მოთ. ბრუნვაში.

25. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი შეცდომაა.
ა) ფიქრნი, დარდები, წლებნი, მეგობრები, დრონი;
ბ) სახლები, სარკმელნი, სარდაფნი, სადგომები, თავშესაფრები.

26. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ორი შეცდომაა.
ა) ტოლებნი, მოყვრები, ნათესავნი, კარებები, ნაგებობები.
ბ) საცვლები, ხალათები, ნიღბები, მოსართავნი, მოსაწვევნი.

5.5. არსებითი სახელის ბრუნება

არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებულ მართლწერას განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტორი, კერძოდ: არსებითი სახელი საზოგადოა თუ საკუთარი, თანხმოვანფუძიანია თუ ხმოვანფუძიანი და სხვ.

5.5.1. საზოგადო სახელები

საზოგადო სახელები იბრუნება ორგვარად:

– დამოუკიდებლად;

– მეორე სახელთან ერთად (იხ. ქვემოთ: 14.2. მსაზღვრელი და საზღვრული).

მხოლოობით რიცხვში საზოგადო სახელთა დამოუკიდებლად ბრუნება ორ ძირითად განშტოებად იყოფა: **თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი** სახელები. თანხმოვანფუძიანებში ორი ქვეჯგუფია: **კუმშვადი და უკუმშველი** სახელები. ხმოვანფუძიანებში სამი ქვეჯგუფია: **კვეცადი, კუმშვად-კვეცადი და უკვეცელი სახელები.** ფაქტობრივად, საზოგადო სახელთა სულ 5 ძირითადი ტიპია: კუმშვადი, უკუმშველი, კვეცადი, კუმშვად-კვეცადი და უკვეცელი; იხ. სქემა:

თანხმოვანფუძიანი სახელები		ხმოვანფუძიანი სახელები		
კუმშვადი	უკუმშველი	კვეცადი	კუმშვად-კვეცადი	უკვეცელი
კედელ-ი	ქალ-ი	მთა	პეპელა	ორმო
კედელ-მა	ქალ-მა	მთა-მ	პეპელა-მ	ორმო-მ
კედელ-ს	ქალ-ს	მთა-ს	პეპელა-ს	ორმო-ს
კედლ-ის	ქალ-ის	მთ-ის	პეპლ-ის	ორმოს-ი
კედლ-ით	ქალ-ით	მთ-ით	პეპლ-ით	ორმოთ-ი
კედლ-ად	ქალ-ად	მთა-დ	პეპლა-დ	ორმო-დ
კედელ-ო	ქალ-ო	მთა-ო	პეპელა	ორმო

5.5.1.1. კუმშვადი და უკუმშველი სახელები

სიტყვაში იკუმშება **ა, ე, ო** ხმოვნები, რომელთაც, როგორც წესი, მოსდევთ ბოლოკიდური **ლ, მ, ნ, რ** თანხმოვნები (სონორები): მაგ.: **ქოთანი > ქოთნის, კაკალი > კაკლის, მამალი > მამლის, ატამი > ატმის... სანთელი > სანთლის, ირემი > ირმის, კედელი > კედლის, ბეღელი > ბეღლის... ფოთოლი > ფოთლის, გოდორი > გოდრის, კოკორი > კოკრის, საპონი > საპნის... დიაკონი > დიაკვნის, ნიორი > ნივრის, მაწონი > მაწვნის...** შდრ., ასევე: **ნიგოზი > ნიგვზის, კაკაბი > კაკბის, ნიჩაბი > ნიჩბის, ბეჭედი > ბეჭდის, სომეხი > სომხის, ხოხობი > ხოხბის...**

კუმშვადი ხმოვნებიდან **ა** და **ე** სრულად იკარგება; რაც შეეხება **ო**-ს, ბაგისმიერ (ბ, პ, ფ, მ) ბგერებთან მეზობლობაში ისიც სრულად იკუმშება, სხვა შემთხვევაში კი ვიწროვდება: **ო > ვ**, შდრ.: **საპონი > საპნის – ნიორი > ნივრის.**

ფუძე იკუმშება მხ. რიცხვის სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში, ასევე – **-ებ**-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში. რაც შეეხება **ნარ-/თან**-იან მრავლობითს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის ფონეტიკურ პროცესებს არ ექვემდებარება.

არ იკუმშება:

ლიმონი	–	ლიმონ-ის / ლიმონ-ებ-ი
მირონი	–	მირონ-ის
ბატონი	–	ბატონ-ის / ბატონ-ებ-ი
ქართველი	–	ქართველ-ის / ქართველ-ებ-ი (შდრ.: „ქართვლის დედას“)
თბილისელი	–	თბილისელ-ის / თბილისელ-ებ-ი
ქუთაისელი	–	ქუთაისელ-ის / ქუთაისელ-ებ-ი
ფეხბურთელი	–	ფეხბურთელ-ის / ფეხბურთელ-ებ-ი
კალათბურთელი	–	კალათბურთელ-ის / კალათბურთელ-ებ-ი
მხარი (მხ. რ-ში)	–	მხარ-ის, მაგრამ: მხრ-ებ-ი („მხრები აიჩეჩა“) და სხვ.

ბრუნების ნიმუშები

	მხ. რ.		მრ. რ.: -ებ		ნ-/თ-
	უკუმ.	კუმ.	უკუმ.	კუმ.	
სახ.:	კაც-ი	ბალ-ი	კაც-ებ-ი	ბლ-ებ-ი	ბალ-ნ-ი
მოთ.	კაც-მა	ბალ-მა	კაც-ებ-მა	ბლ-ებ-მა	ბალ-თ-ა
მიც.	კაც-ს	ბალ-ს	კაც-ებ-ს	ბლ-ებ-ს	ბალ-თ-ა
ნათ.	კაც-ის	ბლ-ის	კაც-ებ-ის	ბლ-ებ-ის	ბალ-თ-ა
მოქ.	კაც-ით	ბლ-ით	კაც-ებ-ით	ბლ-ებ-ით	——
ვით.	კაც-ად	ბლ-ად	კაც-ებ-ად	ბლ-ებ-ად	——
წოდ.	კაც-ო	ბალ-ო	კაც-ებ-ო	ბლ-ებ-ო	ბალ-ნ-ო

სავარჯიშოები

5.5.1.1.1. იპოვეთ თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელები, შემდეგ კუმშვადი და უკუმშველი ფუძეების მიხედვით ჩასვით შესაბამის გრაფაში.

1) ჯვრის ფერდობზე დგას მშენიერი სახლაკი მცირე (ხალან.).
3) ზამთრის პერიოდში 1 კილოგრამი ნივრის ფასი 8-დან 12 ლარამდე მერყეობს.
4) ლურჯი ბალახი მხარამდი, მწყერი გოგმანობს ბალახში...(ხალან.).
5) ლიმონის ხე რბილ კლიმატურ პირობებში ხარობს.
6) ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, /დიდი მინდორი დანამა (ხალხ.).
7) სექტემბრის ქარები ქრიან (ხალან.).
8) ქარო, მოიტა ატმის ყვავილი, / ქარო, ფოთლებიც შემომაყარე... (ხალან.).
9) ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი ყურძნის მტევნებით...(ხალან.).
10) ობლის კვერი გვიან გამოცხვაო (ხალხ.).

ფუძეკუმშვადი სახელები				ფუძეუკუმშველი სახელები
ა –> 0	ე –> 0	ო –> ვ	ო –> 0	

5.5.1.1.2. ზეპირად აბრუნეთ მხოლოობითსა და ორივე (-ებ-იან და ნარ-/თან-იან) მრავლობითში:
ჯვარი, მხარი, ლიმონი, ფოთოლი, მაწონი.

5.5.1.1.3. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები.

ა)

1) კაკალის ნაჭუჭები კარგად იწვის
2) ნიგოზის ახალი ჯიშები რამდენიმე წელში იძლევა მოსავალს..
3) კედელის გასწვრივ სავაჭრო დახლები ჩაერიგებინათ.
4) ვამაყობ, რომ ქართველად დავიბადე და ქართველად მოვკვდები.
5) სამზარეულოდან მოშუშული ნიორის სუნი გამოდიოდა.
6) ჩვენმა კალათბურთლებმა ამხანაგური მატჩი მოიგეს ანგარიშით: 80 : 68.
7) ცხოვრებაში ყველას თავისი გოდორის ზიდვა უწევს.
8) გაციებული ვარ, ახლა ლიმნიანი ჩაი მომარჩენდა!
9) ამ ქუთაისლებს სიტყვაში ვერ მოუგებ.

ბ)

10) სამურაბე ალუბალის ყიდვა გადავწყვიტე.
11) ბავშვებო, მხარებით მაგ ცივ კედელს ნუ მიეყრდნობით!
12) ნინოს ძალიან მოსწონს ლიმნის ორცხობილა.
13) გუშინ ერთი ღირსეული ქართველის ოჯახში ვიყავი სტუმრად.
14) ადიდებული იორის ტალღები ნაპირებს ეხეთქებოდა.
15) ქართველი ფეხბურთლები ევროპის თასის ჩემპიონატისათვის ემზადებიან.
16) ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ ლაშას მხრის ტკივილი დასჩემდა.
17) მაწონის გამყიდველს დღეს კარგი ვაჭრობა ჰქონდა.
18) თბილისლებს კარგად ახსოვთ უშუქო და უგაზო 90-იანი წლები.

5.5.1.2. კვეცადი, კუმშვად-კვეცადი და უკვეცელი სახელები

კვეცა ხდება ა, ე ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებში: **ცა > ცის, მთა > მთის, თმა > თმის, და > დის, მამა > მამის, ხე > ხის, მზე > მზის, მხარე > მხარის, ტყე > ტყის, ღობე > ღობის, ბუდე > ბუდის**... ფუძე იკვეცება მხოლოობითი რიცხვის ორ ბრუნვაში: ნათესაობითსა და მოქმედებითში და -ებ-იან მრავლობითში. მხოლოობით რიცხვში ა- და ე-ხმოვანფუძიანი სახელების ვითარება იდენტურია; რაც შეეხება -ებ-იან მრავლობითს, ა-ხმოვანფუძიანები ყველა ბრუნვაში იკვეცება, ე-ხმოვანფუძიანები კი ამ შემთხვევაში ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდიან.

ბრუნების ნიმუშები

	მხ. რ.		მრ.რ.: -ებ		ნ-/თ-
სახ.:	ქადა	ტყე	ქად-ებ-ი	ტყე-ებ-ი	ტყე-ნ-ი
მოთ.	ქადა-მ	ტყე-მ	ქად-ებ-მა	ტყე-ებ-მა	ტყე-თ-ა
მიც.	ქადა-ს	ტყე-ს	ქად-ებ-ს	ტყე-ებ-ს	ტყე-თ-ა
ნათ.	ქად-ის	ტყ-ის	ქად-ებ-ის	ტყე-ებ-ის	ტყე-თ-ა
მოქ.	ქად-ით	ტყ-ით	ქად-ებ-ით	ტყე-ებ-ით	——
ვით.	ქადა-დ	ტყე-დ	ქად-ებ-ად	ტყე-ებ-ად	——
წოდ.	ქადა	ტყე-ო	ქად-ებ-ო	ტყე-ებ-ო	ტყე-ნ-ო

საყურადღებოა, რომ ნათესაობით ბრუნვაში ერთმანეთს ემთხვევა ორი ფორმა: ხმოვანფუძიანი კვეცადი **მხარე** და თანხმოვანფუძიანი უკუმშველი **მხარ-ი**, თუმცა მათი მრავლობითის ფორმები განსხვავებულია; შდრ.:

მხ. რ.			მრ. რ.			
მხარე	–	მხარ-ის/	მხარე-ებ-ი	–	მხარე-ნ-ი	– მხარე-თ-ა
მხარ-ი	–	მხარ-ის /	მხრ-ებ-ი	–	მხარ-ნ-ი	– მხარ-თ-ა

კუმშვა-კვეცა ვითარდება ასევე ა- და ე-ხმოვანფუძიან სახელებში, რომელთა რაოდენობაც შედარებით მცირეა: **პეპელა > პეპლის, მოყვარე > მოყვრის, ფანჯარა > ფანჯრის, ქვეყანა > ქვეყნის, ბეგარა > ბეგრის, ქარხანა > ქარხნის, ტომარა > ტომრის, წიფელა > წიფლის, წურბელა > წურბლის, სიმწარე > სიმწრის**,... კუმშვა-კვეცა ხდება -ებ-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში და მხ. რიცხვის ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრ-ებში; ფუძეკვეცადი სახელებისაგან განსხვავებით, კუმშვად-კვეცად სახელებს ვითარებითში არ აღუდგება შეკვეცილი ხმოვანი.

ბრუნების ნიმუშები

	მხ. რ.		მრ.რ.: -ებ		ნ-/თ-
სახ.:	მოყვარე	ქარხანა	მოყვრ-ებ-ი	ქარხნ-ებ-ი	მოყვარე-ნ-ი
მოთ.	მოყვარე-მ	ქარხანა-მ	მოყვრ-ებ-მა	ქარხნ-ებ-მა	მოყვარე-თ-ა
მიც.	მოყვარე-ს	ქარხანა-ს	მოყვრ-ებ-ს	ქარხნ-ებ-ს	მოყვარე-თ-ა
ნათ.	მოყვრ-ის	ქარხნ-ის	მოყვრ-ებ-ის	ქარხნ-ებ-ის	მოყვარე-თ-ა
მოქ.	მოყვრ-ით	ქარხნ-ით	მოყვრ-ებ-ით	ქარხნ-ებ-ით	————
ვით.	მოყვრ-ად	ქარხნ-ად	მოყვრ-ებ-ად	ქარხნ-ებ-ად	————
წოდ.	მოყვარე	ქარხანა	მოყვრ-ებ-ო	ქარხნ-ებ-ო	მოყვარე-ნ-ო

უკვეცელია ხმოვანფუძიან სახელთა რამდენიმე ჯგუფი:

- ო- და უ-ხმოვანფუძიანი სახელები: **ოქრო, ორმო, კუ, ბუ**...
- ი-ხმოვანფუძიანი სახელები მხ. რიცხვში: **ტრამვაი – ტრამვაის; დიჯეი – დიჯეის, ტაქსი – ტაქსის, ჩაი – ჩაის**,.. შდრ., მრავლობითის ფორმები: **ტრამვაები, დიჯეები**...
- -ა, -უნა, -უნია, -ელა, -უკელა... აფიქსებით ნაწარმოები სახელები მხ. რიცხვში; ამათი მრავლობითის ფორმებიც, ი-ხმოვანფუძიანი სახელების ანალოგიურად, შეკვეცილია; შდრ.: **ტოროლა / ტოროლასი – ტოროლები; მელაკუდა / მელაკუდასი – მელაკუდები; თოჯინა / თოჯინასი – თოჯინები; ნაცარქექია / ნაცარქექიასი – ნაცარქექიები; წიფლისჩიტა / წიფლისჩიტასი – წიფლისჩიტები; დათუნია / დათუნიასი – დათუნიები**...
- ნათესაური დამოკიდებულების გამომხატველი საზოგადო სახელები, თუ მათ საკუთარი სახელის მნიშვნელობით გამოვიყენებთ: **დედას პურები, ბებიას სათვალე, მამას ოთახი**; შდრ.: **დედის გული, ბებიის დალოცვა, მამის დარიგება**...
- ე-ზე დაბოლოებული უცხოური სახელები: **კაფე, ატელიე, ჟელე, ფილე, კუპე, ტირე** და სხვ.

ბრუნების ნიმუშები

	მხ. რ.		მრ.რ.: -ებ		ნ-/თ-
სახ.:	კაფე	ოქრო	კაფე-ებ-ი	ოქრო-ებ-ი	ოქრო-ნ-ი
მოთ.	კაფე-მ	ოქრო-მ	კაფე-ებ-მა	ოქრო-ებ-მა	ოქრო-თ-ა
მიც.	კაფე-ს	ოქრო-ს	კაფე-ებ-ს	ოქრო-ებ-ს	ოქრო-თ-ა
ნათ.	კაფე-ს(ი)	ოქრო-ს(ი)	კაფე-ებ-ის	ოქრო-ებ-ის	ოქრო-თ-ა
მოქ.	კაფე-თ(ი)	ოქრო-თ(ი)	კაფე-ებ-ით	ოქრო-ებ-ით	————
ვით.	კაფე-დ	ოქრო-დ	კაფე-ებ-ად	ოქრო-ებ-ად	————
წოდ.	კაფე	ოქრო	კაფე-ებ-ო	ოქრო-ებ-ო	ოქრო-ნ-ო

ფორმობრივად ერთმანეთს ჰგავს ფუძეუკვეცელ სახელთა მიცემითი და ნათესაობითი, შდრ.: „ოქროს ვეძებ“ და „ოქროს მაძიებლები“. მათ გასარჩევად გამოიყენება თანხმოვანფუძიანი (კუმშვადი, უკუმშველი) სახელით შენაცვლების ხერხი; შდრ.:

ოქროს ვეძებ – ბედ-ს ვეძებ (მიც.)
ოქროს მაძიებლები – ბედ-ის მაძიებლები (ნათ.)

სავარჯიშოები

5.5.1.2.1. იპოვეთ წინადადებებში ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები და ჩასვით შესაბამის სვეტში.

ხმოვანფუძიანი სახელები

კვეცადი (—— ა / ე)	კუმშვად-კვეცადი (——ა / ე)	უკვეცელი (——ო / უ / ა /ი /ე

1) ცულს მოვიტან ცუნცულასა, ხელეჩოს და წალდუნასა (ხალხ.).
2) ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია (რუსთ.).
3) ტოროლა მაღლა ღრუბლებში წკრიალ-წკრიალით გალობდა (ჯუღ.).
4) ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?!. (წერ.).
5) ჩაი უნდა მიირთოვო, - მიპასუხა სტანციის გუშაგმა (ჭავ.).
6) ერთი კუ და ერთი მორიელი დაძმობილდნენ (საბა).
7) დღეს ღამე უთენებია (ხალხ.).
8) ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია (ხალხ.).
9) გიყვარდეს მარად შენი ენა, შენი ქვეყანა... (კალან.).
10) ჩვენი კორპუსის წინ სტუდენტური კაფე გახსნეს.
11) მზე კელაპტარობს იმათ მახვილზე (კალან.).
12) კომში, კომში, კომარა! – მომეც დიდი ტომარა! (ჩაჩ.).

5.5.1.2.2. წინა სავარჯიშოში შევსებული ცხრილის მიხედვით, ხმოვანფუძიანი სახელები გადაიყვანეთ -ებ-იან და ნარ-/თან-იან მრავლობითში; შეადარეთ მხოლოობითისა და მრავლობითის ფუძეები და წარმოადგინეთ მოკლე ინფორმაცია მათ შორის მსგავსება-განსხვავებებზე.

5.5.1.2.3. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები.

ა)

1) ეს ფრაზა ტირით უნდა გამოიყოს.
2) რომელი მხრიდან უბერავს ქარი?
3) ნიკას დროშას აღმართვაში მეგობარი დაეხმარა.
4) ახლაც ყურში ჩამესმის ქეთო ბიცოლის სიტყვები.
5) ნიფელის ტოტი ძლიერმა ქარმა გადატეხა.
6) დედამ თოჯინის კაბა შეკერა.
7) მეთევზემ სახვალიოდ ანკესისა და ბადეს მომზადება დაიწყო.
8) საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ბეგარის განწესების წიგნი.
9) მე შენთვის მინდა ცისარტყელის ფერები.
10) ხალხურ მედიცინაში ცნობილია ნურბელებით მკურნალობა.

11) იქონიეთ ბიძას მორიდება!..
12) ჩემი მეზობელი ფარმაცევტული ქარხანის დირექტორია
13) ადრე დილით ტოროლის გალობა ისმოდა.
14) დამნაშავეს სიმწარის ოფლმა დაასხა.
ბ)
15) ყველა პატარამ უნდა მიიღოს დედას რჩევა.
16) კარტოფილის ჩასაყრელად ტომარის წამოღება არ დაგავიწყდეს!..
17) ატელიის გვერდით ავტობუსების გაჩერებაა.
18) ბავშვისთვის ფუმფულა დათუნიის ყიდვა გადავწყვიტე.
19) მატარებელზე ყველა კუპის ბილეთი გაიყიდა
20) წვეულება ანანოს მამიდას სახლში გაიმართა.
21) მებაღეს ოთახში თაგვი შეიპარა.
22) მოწინააღმდეგე მხრის წარმომადგენლებს ცალსახა პასუხი უნდა გავცეთ.
23) დამნაშავე პირდაპირ ფანჯარიდან გადახტა.
24) ჩვენს უბანში მალე ტრამვაიები ივლიან.
25) ამ სალონში თმას შეჭრა და დავარცხნა ათი ლარი ჯდება.
26) წოფლისჩიტის გალიაში გამომწყვდევა საცოდაობაა.
27) ქათმის ფილით გემრიელი კერძი კეთდება.
28) ნაცარქექიის ზღაპარი ბავშვებმა კარგად იციან.
29) დოკუმენტში წარმოდგენილია დამპყრობლების მიერ დაწესებული ხარკისა და ბეგარის ჩამონათვალი.

5.5.1.2. 4. გაარკვიეთ, რომელ ბრუნვაშია გამუქებული სიტყვები: მიცემითსა თუ ნათესაობითში?
1) ჩვენს ქუჩაზე **ატელიეს** ხსნიან.
2) **ატელიეს** მეპატრონე ახალი ჯიპით დადის.

3) **მტირალას** თავზე ხელის გადასმა არ უხდება.
4) **მტირალას** დაწყნარება ზოგჯერ ძნელია.

5) ამ **კუპეს** კარი ძნელად იკეტება.
6) ჩვენ **კუპეს** ღია ვაგონი გვირჩევნია.

7) **ტაქსის** მძღოლები გაიფიცნენ.
8) ახლავე **ტაქსის** გავაჩერებ!

9) დილით ყავას მოგართმევ, საღამოს – **ჩაის**.
10) **ჩაის** ნაყენი სამკურნალოა.

11) **მელაკუდას** საქათმისკენ გაურბის თვალი.
12) **მელაკუდას** სორო შუაგულ ტყეშია.

13) **კუს** ნაბიჯებით მივდივართ წინ.
14) **კუს** ბალახი და ბოსტნეული უყვარს.

15) ეს გადაცემა ახალგაზრდა **დიჯეის** მიჰყავს.
16) **დიჯეის** კომენტარს მწვავე რეაქცია მოჰყვა.

17) **ორმოს** გათხრა მხოლოდ საკუთარი ძალებით გაგვიჭირდება.
18) ამ **ორმოს** ერთი მანქანა მიწაც ვერ ამოავსებს.

19) **მამას** ახლა სძინავს, ვერ გავაღვიძებ.
20) **მამას** თანამშრომლები უკვე აღარ მუშაობენ.

5.5.1.3. საზოგადო სახელთა ბრუნების თავისებურებანი

საზოგადო სახელთა ბრუნებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი თავისებურებანი:

- ორი ერთნაირი ბგერა მოიყრის თავს:

– მ-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან მოთხრობით ბრუნვაში: **წამმა, სიმმა, ჩქამმა...**

– ს-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან მიცემით ბრუნვაში: **თასს, ფასს, ხავსს...**

– ნ-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან ნარ-იან მრავლობითში: **ქარავანნი, მარანნი, მავანნი...**

– თ-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან თან-იან მრავლობითში: **თითთა, ზვირთთა, მაგალითთა...**

– ია-ზე დაბოლოებულ სახელებთან ნათესაობითსა და მოქმედებითში: **ისტორია – ისტორიის, ბაჭია – ბაჭიის, ტყვია – ტყვიის...**

– ე-ზე დაბოლოებულ სახელებთან **-ებ**-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში: **ტყე – ტყეები, ტყეებმა, ტყეებს...**

- თავისებურად იბრუნება სიტყვათა ერთი ჯგუფი:

– **ღმერთი**; ფუძეში იკუმშება **ერ** ბგერათკომპლექსი, ნაცვლად **ე** ხმოვნისა და ვითარდება **მ > ვ** პროცესი; შდრ.:

სახ. ღმერთ-ი
ნათ. ღვთ-ის

– **ხუცესი, ამბავი**; ფუძეებში იკუმშება **ეს** და **ავ** ბგერათკომპლექსები, ნაცვლად **ე, ა** ხმოვნებისა:

	მხ. რ.		მრ. რ.	
სახ.	ხუცეს-ი	ამბავ-ი	ხუც-ებ-ი	ამბ-ებ-ი
ნათ.	ხუც-ის	ამბ-ის	ხუც-ებ-ის	ამბ-ებ-ის

შდრ.: **ხუცესი** უკუმშველია, თუ საკუთარი სახელის მნიშვნელობითაა, მაგ.: იაკობ ხუცესის "შუშანიკის წამება".

– **თვალი, წელი**; დასტურდება როგორც შეუკუმშავი, ისე შეკუმშული ფორმით: **თვალის – თვლის; წელის – წლის. თვალის** და **წელის** გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა სხეულის ორგანოებზეა საუბარი, მაგ.: თვალის წნევა, თვალის ექიმი... წელის ტკივილი, წელის დაზელა... ხოლო **თვლის** და **წლის** – სხვა დანარჩენ შემთხვევებში, მაგ.: ურმის თვლის შემკეთებელი, ძვირფასი თვლებით შემკული ხატი... წლის მოსავალი, წლების სიმრავლე... და სხვ.; შდრ.:

	მხ.რ.	
სახ..	თვალ-ი	წელი
ნათ.	თვალ-ის / თვლ-ის	წელ-ის / წლ-ის
	მრ.რ.	
სახ.	თვალ-ებ-ი / თვლ-ებ-ი	წელ-ებ-ი / წლ-ებ-ი
ნათ.	თვალ-ებ-ის / თვლ-ებ-ის	წელ-ებ-ის / წლ-ებ-ის

– **ღვინო**; უკვეცელია მრავლობითში, მაგრამ **-ო** ხმოვანს კარგავს მხ. რიცხვში; შდრ.:

	მხ.რ.	მრ.რ.
სახ.	ღვინო	ღვინო-ებ-ი
ნათ.	ღვინ-ის	ღვინო-ებ-ის

– **დრო**; პარალელური ფორმებით დასტურდება მხ. რიცხვის ნათ. და მოქ. ბრუნვებში; შდრ.:

ნათ. დრო-ის / დრო-ს-ი
მოქ. დრო-ით / დრო-თ-ი

– **ხბო**; პარალელური ფორმებით დასტურდება მრ. რიცხვში; შდრ.:

სახ. ხბოები / ხბორები [12]
მოთ. ხბოებმა / ხბორებმა...

• ზეპირი მეტყველების გავლენით, ვითარებითი ბრუნვის ნიშანი **-დ** – მჟღერი ბგერა – სიტყვის ბოლოში ყრუვდება: **დ > თ**, მაგრამ ამ პროცესის წერაში ასახვა დაუშვებელია; შდრ.:

სწორია:	**კაცად**	**სოფლად**
შეცდომაა:	კაცათ	სოფლათ

არაიშვიათად, აღნიშნული წესის არასწორად გააზრების გამო, ზმნების პირველი და მეორე პირის მრავლობითის ფორმებშიც იყენებენ **-დ** დაბოლოებას, მრავლობითის **-თ** ნიშნის ნაცვლად, რაც სალიტერატურო ნორმებს არ შეესაბამება; შდრ.:

სწორია:	**წავიდეთ**	**გააკეთეთ**
შეცდომაა:	წავიდედ	გააკეთედ

• მიუღებელია ორი **ე**-ს გაჩენა თანხმოვანფუძიანი სახელების **-ებ**-იან მრავლობითში (ეს პროცესიც ზეპირ მეტყველებაში იჩენს თავს ე-ხმოვანფუძიანი სახელების ანალოგიით);

სწორია:	**თვეები და წლები**	**ტყეები და მთები**
შეცდომაა:	თვეები და წლეები	ტყეები და მთეები

• წოდებითი ბრუნვის დაბოლოებები: **-ო, -ვ, -0** ასე ნაწილდება:
-ო დაერთვის:
– თანხმოვანფუძიან სახელებს: **კაცო, მეგობარო, მეზობელო**...
– ერთმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებს: **ძმაო, მთაო, მზეო** (შდრ.: „მზევ, შინ შემოდიო!");
– უცხოურ ტიტულებს: **გრაფო, ბარონო, მარკიზო**; შდრ., გაუფორმებლად დარჩება ისეთი მიმართვის ფორმები, როგორიცაა: **სერ, მისტერ, მის, მადმუაზელ**...
-ვ / -0 პარალელურად დაერთვის ორ- და მეტმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებს: **ქვეყანავ / ქვეყანა; მიწავ / მიწა, მეეტლევ / მეეტლე**...

• მაჯგუფებელი **და / თუ** კავშირებით შეერთებულ სახელებთან წყვილის ორივე წევრი დაირთავს ბრუნვის ნიშანს:

სწორია:	შეცდომაა:
დამ და ძმამ	და და ძმამ
დედასა და შვილს	დედა და შვილს
ავისა თუ კარგის	ავი თუ კარგის

აქვე გასათვალისწინებელია, რომ წყვილისაგან კომპოზიტის – რთული სახელის – შედგენის შემთხვევაში ბრუნვის ნიშანს დაირთავს ფუძის ბოლო შემადგენელი ნაწილი, მაგ.: **და-ძმამ, დედა-შვილს, ავ-კარგის**...

• მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში შესაძლებელია **ა** ხმოვნით განივრცოს სახელის ფორმა, კერძოდ:
ა) **-ც** ნაწილაკის დართვისას:
„**მტერსაც** კი მოინადირებს ტურფა საქართველო".
„ახლა **ძაღლადაც** გამხადე?!"

[12] ხელობის აღმნიშვნელ სახელში **ხბორ-** ძირი ფიგურირებს: **მეხბორე** და არა **მეხბოე**.

ბ) მაჯგუფებელი და, თუ კავშირების წინ თუ არის; შდრ.:

მთასა და ბარს	–	მთას და ბარს
ცისა და მიწის	–	ცის და მიწის
წვითა თუ დაგვით	–	წვით თუ დაგვით...

ზოგადად, გავრცობილ და გაუვრცობელ ფორმებს შორის არჩევანი **სტილის** საკითხია, რასაც ცხადყოფს კლასიკური მწერლობის მონაცემები, მაგ.:

„აქ არვის – დიდსა თუ პატარასა ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული"(ი. ჭავ.);

„ცის და მიწის შუამავლად მიაჩნია მას აფხაზი" (ა. წერ.);

„თუ დამბაჩა ვიშოვნე, ჯიხვების და როჭოების ჯავრსაც მაშინ ამოვიყრი" (ვაჟა);

შდრ.: "მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბალახს და იმ გულხავსიანს კლდესა" (ვაჟა);

გ) როცა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მსაზღვრელია და საზღვრულს მოსდევს:

ლექსი ა. წერეთლისა, სიმღერა ვ. აზარაშვილისა და სხვ.

სავარჯიშოები

5.5.1.3.1. წინადადებებს მიუსადაგეთ ფრჩხილებში ჩასმული ფორმები.

1) ხალხს უთქვამს, წყალწაღებული (ხავსი) ეჭიდებოდაო.
2) ერთმა (წამი) ვითარება მკვეთრად შეცვალა.
3) ევროპის ჩემპიონთა (თასი) საუკეთესო გუნდი მოიპოვებს.
4) მდინარის (ზვირთნი) ხმაური დაცარიელებულ გარემოს ავსებდა.
5) ჩემი ბოსტნის (პრასი) და ნიორს სულ სხვა გემო აქვს.
6) უცნობი ჯარისკაცი ბრმა (ტყვია) მსხვერპლი გახდა.
7) მისალოც (ბარათნი) ტექსტები თითქმის სულ ერთი და იგივე იყო.
8) შეშინებულმა (ირემი) საფრთხეს ძლივს დააღწია თავი.
9) (ისტორია) გაკვეთილებიდან საზოგადოება ბევრ რამეს ისწავლის.
10) ამ საგანძურის (ფასი) ბევრი ვერ გაიგებს.

5.5.1.3.2. შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით.

ა)

1) ღმრთის მადლით, ყველაფერი კარგად იქნება.
2) ასეთი ამბავის მერე რაღა უნდა გაგიკვირდეს!..
3) ლალისთვალიანი ბეჭდები დიდ მოწონებას იმსახურებს.
4) დღე დღეს მისდევდა, გადიოდა თვეები, წლეები...
5) რესტორანში სამარკო ღვინოს დიდი არჩევანია.
6) ჯადოქარი უცებ კატათ გადაიქცა.
7) სოფლის გზიდან მოჩანდა კლდეები და მთეები.
8) ჩემო ნათლიაო, სტუმრობა დაგვიბველდა!

ბ)

1) ბველი ხიდეები ჩაინგრა და წყალმა წაიღო.
2) ძმა, მოგვიანებით შევხვდეთ!
3) ბარონ, უკვე ყველაფერი დამთავრდა!
4) მისტერო, გელოდებით, შემოგვიერთდით!
5) ტყე, გაზაფხულზე ისევ გაიფოთლები!
6) რა ტკბილი ხარ, ოცნებაო!..
7) ხუცესებმა დიდი პასუხისმგებლობა იტვირთეს.
8) ზეცაო, მოგვივლინე ცვარ-ნამი!

5.5.1.3.3. შეარჩიეთ ნორმატიული წინადადებები.

ა)

1) მალე ეს ამბავი მთელ მთა და ბარს მოედო.
2) მალე ეს ამბავი მთელ მთა-ბარს მოედო.
3) მალე ეს ამბავი მთელ მთასა და ბარს მოედო.
4) მალე ეს ამბავი მთელ მთას-ბარს მოედო.

ბ)

1) ბებია-ბაბუას მოკითხვა გადაეცი!
2) ბებია და ბაბუას მოკითხვა გადაეცი!
3) ბებიას-ბაბუას მოკითხვა გადაეცი!
4) ბებიასა და ბაბუას მოკითხვა გადაეცი!

გ)

1) ცა და მიწის შუამავლად მიმაჩნია ეს კაცი.
2) ცისა და მიწის შუამავლად მიმაჩნია ეს კაცი.
3) ცის-მიწის შუამავლად მიმაჩნია ეს კაცი.
4) ცა-მიწის შუამავლად მიმაჩნია ეს კაცი.

დ)

1) მამამ და ბიძამ ერთად იმღერეს.
2) მამა და ბიძამ ერთად იმღერეს.
3) მამა-ბიძამ ერთად იმღერა.
4) მამამ-ბიძამ ერთად იმღერა.

5.5.1.3.4. გახსენით ფრჩხილები და დაასრულეთ წინადადებები.

1) ეს პიროვნება ყურადღებას იქცევს თავისი (ღირსება თუ ნაკლი).
2) დარჩა მოხუცი მარტო, (ცა და მიწა) გამოკერებული.
3) პასუხი უნდა გაეცეს (მტერი თუ მოყვარე).
4) ეს კაცი თავს (ბაღები და ვენახები) პატრონად თვლის.
5) ვინ გადალახავს ადიდებულ (რიონი და მტკვარი)?
6) ნინოს წარმატების ამბავი (ია და ტარიელი) არ იცოდნენ.
7) მღელვარების ტალღამ გადაუარა (ქალაქი თუ სოფელი).
8) მალე დაბრუნდება მაცნე და მოგვიტანს (მთა და ბარი) ამბავს.
9) ყველამ – (დიდი თუ პატარა) საქმეს მოჰკიდა ხელი.
10) პატარა ყლორტი (მზე და წვიმა) უცდის, რომ გაიზარდოს.

5.5.1.3.5. დაასაზუთეთ გამუქებული ფორმების მართებულობა, შემდეგ თავად შეადგინეთ წინადადებები ანალოგიურად განსხვავებული ფორმებისათვის.

1) **დედის** გული ამას ვერ მოითმენს.
2) **დედას** პურები პირდაპირ სუფრაზე მიიტანეს.

3) **მამის** დარიგება არ დაგავიწყდეს!
4) **მამას** ოთახი წიგნებით სავსე თაროებით იყო დატვირთული.

5) **ბაბუას** წამალს კარადის თავზე ვინახავ, რომ ბავშვმა ხელი არ მოჰკიდოს.
6) **ბაბუის** ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჰკვეთა კბილიო.

7) **დეიდას** ----------
8) **დეიდის** ----------

9) **ბებიას** ----------
10) **ბებიის** ----------

5.5.1.4. რთული ბრუნვის ფორმები

რთული ბრუნვის ნიშანი შედგენილი აფიქსია და მოიცავს **მარტივი ბრუნვის ნიშანთან შერწყმულ თანდებულს ან სხვა ბრუნვის ნიშანს**[13]. თანდებული, ევროპულ ენებში არსებული წინდებულის მსგავსად, დამხმარე სიტყვაა, რომელიც ახლავს სახელის ბრუნვის ფორმას და გამოხატავს სხვადასხვა ნიუანსს, კერძოდ: საგნის ადგილს, მიმართულებას, მსგავსებას და სხვ. არქაულ ქართულში არსებული ცალკე მდგომი თანდებულები დროთა განმავლობაში მიუერთდა ბრუნვის ნიშანს და წარმოიქმნა ე.წ. რთული ბრუნვის ნიშნები; მაგ., შდრ.: სოფლ–**ით** - **გან** –> სოფლ–**იდ-გან** –> სოფლ–**იდან**; შესაბამისად, ჩამოყალიბდა რთულ ბრუნვის ფორმათა სისტემა.

რთული ბრუნვებით შესაძლებელია გამოიხატოს:

მსგავსება:	ა)	ფუძე + **-ივით/-სავით**	(კაც-**ივით**/კაც-**სავით**, ოქრო-**სავით**)[14]
	ბ)	ფუძე + **-ისებრ/-სებრ/-ებრ**	(კაც-**ისებრ**, ოქრო-**სებრ**, ჩემ-**ებრ**);
ზედმყოფობა:		ფუძე + **ზე / სზე**	(კაც-**ზე**, ოქრო-**ზე**; მას**ზე**)
შიგნითმყოფობა:		ფუძე + **ში / სში**	(კაც-**ში**, ოქრო-**ში**; მას**ში**)
თანაობა:		ფუძე + **-თან /-სთან**	(კაც-**თან**, ოქრო-**სთან**)
თანადროულობა:		ფუძე + **-ისთანავე**	(წასვლა: წასვლ-**ისთანავე**
მიმართულება:		ფუძე + **-ისკენ /-სკენ /-კენ**	(კაც-**ისკენ**, ოქრო-**სკენ**, ჩემ-**კენ**)
დაწყებითობა:		ფუძე + **-ისგან /-სგან /-გან**	(კაც-**ისგან**, ოქრო-**სგან**; ჩემ-**გან**)
გამოსვლითობა:		ფუძე + **-იდან /-დან**	(კაც-**იდან**, ოქრო-**დან**)
მიწევნითობა:		ფუძე + **-ამდე /-მდე**[15]	(კაც-**ამდე**, ჩემ-**ამდე**, ოქრო-**მდე**)
თანხლება:		ფუძე + **-ითურთ/-თურთ**	(კაც-**ითურთ**, *ოქრო-**თურთ**)

რთულ ბრუნვის ფორმათა მართლწერა შემდეგ წესებს ითვალისწინებს:

- **-ივით/-სავით** რთული შედგენილობის მორფემა[16] გამოიყენება:

– **-ივით** ვარიანტით თანხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში; მაგ.: **კაცივით, ბავშვივით, მხეცივით...**

– **-სავით** ვარიანტით როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი სახელების გავრცობილ ფორმებთან მიცემით ბრუნვაში, მაგ., შდრ.: **კაცსავით – დედასავით, ბავშვსავით – ძმასავით, მხეცსავით – კატასავით...**

- დაუშვებელია **-ვით** ელემენტის დართვა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებზე; შდრ.:

სწორია: ლომ-ი-**ვით** (სახ.); ლომ-ს-ა-**ვით** / კატა-ს-ა-**ვით** (მიც.);

შეცდომაა: ლომ-ის-ა-ვით / კატ-ის-ა-ვით (ნათ).

- **-ისებრ/-სებრ/-ებრ** მორფემა დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს, კერძოდ:

---

[13] ერთ სიტყვაფორმაში არ შეიძლება იყოს ორი ბრუნვის ნიშანი. ერთ-ერთი ან უკვე ფუძის მაწარმოებელია, ან შერწყმულია ახალ ბრუნვის ნიშანთან; მაგ.: გულ-ად-ი, გულ-ად-მა... და ხ-ის, ხ-ისა-მ... ფორმებში **-ად** და **-ის** ფუძის მაწარმოებლებია, ხოლო, სინტაგმაში: „მეზობლისას წავედი" მეზობლ-ფუძეა, -ისას კი რთული ბრუნვის ნიშანი. შდრ., მსგავსი რთული ბრუნვები: არქაული ქართული სალიტერატურო ენისა და ხევსურულის: **კაც-ისად** და მეგრულის: **კოჩ-იშოთ.**

[14] -ივით და -სავით ერთი რთული ბრუნვის ნიშნის სახესხვაობებია (ალომორფებია): პირველი გამოიყენება თანხმოვანფუძიან სახელებთან, მეორე – ხმოვანფუძიანებთან. გაუმართლებელია პირველის მიჩნევა თანდებულიან სახელობითად, მეორისა კი – მიცემითად, რადგანაც ორივე ერთ გრამატიკულ შინაარსს გამოხატავს; გარდა ამისა, ორივე შემთხვევაში მსაზღვრელი იქნება „ამ" (შდრ.: ეს კაცი – ამ კაცივით; ეს გოგო – ამ გოგოსავით), რაც გამორიცხავს **ფუძე+ივით** ყალიბის სახელობითად მიჩნევას; ისტორიულად, ორივე ფორმა მომდინარეობს თანდებულიანი ნათესაობითისაგან: **კაცისა ვით.**

[15] **ფუძე + -ამდე / -მდე**-ს პარალელური ვარიანტია: **ფუძე + -ამდის /-მდის** (სახლ-ამდის, ტყე-მდის), რომელიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ფაქტობრივად, არ გამოიყენება.

[16] მორფემა [ბერძ. morphe ფორმა] – (ლინგ.) სიტყვის ნაწილი (სუფიქსი, პრეფიქსი, ძირი), რომელსაც აქვს ლექსიკური ან გრამატიკული მნიშვნელობა (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 326).

– **-ისებრ** ვარიანტი გამოიყენება როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებთან; შდრ.:

ლომ-ისებრ, ხოხბ-ისებრ... დედ-ისებრ, მზ-ისებრ...

– **-სებრ** ვარიანტი გამოიყენება ფუძეუკვეცელ სახელებთან:

ოქრო-სებრ, ცისარტყელა-სებრ, კუ-სებრ, დიჯეი-სებრ...

– **-ებრ** ვარიანტი დღეს სრულ ფუძეებსაც დაერთვის; შდრ.:

მზ-ისებრ – მზე-ებრ, კლდ-ისებრ – კლდე-ებრ[17]... მართლწერისათვის გასათვალისწინებელია, რომ ამ ტიპის ფორმებში ორი **ე** მოიყრის თავს (მზეებრ, კლდეებრ...).

აღნიშნული მორფემა დღეს უფრო პროდუქტიულია სამეცნიერო ენაში – ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში, მაგ.: **კატისებრთა** ოჯახი (ზოოლ.); **ქეჩისებრი** ბუსუსები (ბოტ.); **ლინზისებრი** გალაქტიკა (ასტრ.); **სიბრტყისებრი** ფერშეცვლა (მედ.)...

• **-თან** მორფემის დართვისას:

მიც. ბრუნვის ნიშანი (-ს) შენარჩუნდება ხმოვანფუძიან სახელებთან, მაგრამ იკარგება თანხმოვანფუძიანებთან, შდრ.:

	(თანხ.)		(ხმოვ.)	
სახ.:	სკამ-ი	სახლ-ი	მთა	ხე
მიც.:	სკამ-თან	სახლ-თან	მთა-ს-თან	ხე-ს-თან

– **თ**-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან თავს მოიყრის ორი **თ**, მაგ.: **ბარათთან, მაგალითთან, მახათთან, კალათთან, თითთან, ზვირთთან...**

• **-ზე** და **-ში** მორფემების დართვისას:

– იკარგება მიც. ბრუნვის ნიშანი, გარდა ეროი გამონაკლისისა (იხ. ქვემოთ, 8.2.11. ნაცვალსახელთა რთული ბრუნვის ფორმები); მაგ.: **თავში, სახლში, ქვაბში, ცაში, ტყეში, მზეში... სახურავზე, კედელზე, გემზე, ფანჯარაზე, თაროზე, მიწაზე...** ეს წესი, ბუნებრივია, არ ეხება ფუძისეულ **ს** თანხმოვანს, რომელიც, ბრუნვის ნიშნისაგან განსხვავებით, შენარჩუნდება **-ზე** და **-ში** მორფემებთან; შდრ.:

სწორია:	**ფასზე**	**ხავსზე**	**თბილისში**	**მანგლისში**
შეცდომაა:	ფაზე	ხავზე	თბილიში	მანგლიში

– **ზ** და **შ** თანხმოვნებზე გათავებულ ფუძეებთან თავს მოიყრის **ორი ზ** და **ორი შ**; შდრ.:

სწორია:	**ხაზზე**	**კოვზზე**	**ქარქაშში**	**ხაშში**
შეცდომაა:	ხაზე	კოვზე	ქარქაში	ხაში

• ნაწილაკიან ფორმებში აღდგება **-ზე** მორფემის ძველი ფორმა – **ზედა**; შდრ.:

მორიგეობაზე ვერ შეთანხმდნენ – **მორიგეობაზეც / მორიგეობაზედაც** ვერ შეთანხმდნენ.

შენიშვნა: პოეზიის ენაში არაიშვიათია **ზედა** მორფემის როგორც ნაწილაკდართული, ისე უნაწილაკო ვარიანტები, მაგ.: „მკლავზედაც გებას მარჯვენა" (ვაჟა); „ბატონი ზის ცხენზედაო"; "თვალი მიჰჭირავს შენზედა, როგორც მიმინოს მწყერზედა" (ხალხ.) და სხვ.

---

[17] მსაზღვრელი ნაცვალსახელის ბრუნვა (ამ კლდეებრ) ამ შემთხვევაშიც ცხადყოფს, რომ ეს ფორმაც, „კაცივით" ტიპის ფორმების მსგავსად, ნათესაობით ბრუნვასთან შერწყმული თანდებულის ტრანსფორმირებული ვარიანტია: ნათესაობით ბრუნვასთან დაკავშირებული ცალკე მდგომი თანდებული ჯერ მიცემითთან გადადის, შემდეგ კი სიტყვაფორმა დამოუკიდებელ რთულ ბრუნვად ყალიბდება: ამ კლდის ებრ >ამ კლდესებრ > ამ კლდეებრ.

ზედა მორფემის შეკვეცილი ფორმა – **ზედ** დასაშვებია **-ვე** ნაწილაკის დართვისას, შდრ.: **თაროზედვე / თაროზედდვე, სახლზედვე / სახლზედდვე...** ნაწილაკის გარეშე, შეკვეცილი ფორმის გამოყენება დაუშვებელია; შდრ.:

სწორია:	**სახლზე ნუ დარდობ**	**იმაზე მოგახსენებ, რომ...**
შეცდომაა:	სახლზედ ნუ დარდობ	იმაზედ მოგახსენებ, რომ...

• **-თვის, -გან, -კენ** მორფემები დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის როგორც გავრცობილ, ისე გაუვრცობელ ფორმებს, შდრ.: **სახლ-ის-თვის / სახლ-ის-ა-თვის; დედ-ის-გან / დედ-ის-ა-გან; სკოლ-ის-კენ / სკოლ-ის-ა-კენ.**

• დაუშვებელია **-თვის** მორფემის **-თვინ** ვარიანტით ჩანაცვლება;

სწორია:	**სახლისთვის**	**(ამის) გულისთვის**
შეცდომაა:	სახლითვინ	(ამი(ს) გული(ს)თვინ

• **-გან** მორფემა დასტურდება როგორც ნათესაობითთან, ისე მოქმედებითთან, თუმცა აღნიშნული ფორმები ვიზუალურადაც და ფუნქციითაც განსხვავებულია ერთმანეთისაგან; ვიზუალურად – იმიტომ, რომ **-გან**-მორფემიან მოქმედებითში, ნათესაობითისაგან განსხვავებით, ფონეტიკური პროცესის შედეგად შერწყმულია ბრუნვის ნიშანი და მორფემა: **ით-გან > იდგან > იდან;** რაც შეეხება ფუნქციურ განსხვავებას, ეს კარგად ჩანს დასმულ კითხვებშიც, კერძოდ: **-გან**-მორფემიანი ნათესაობითის კითხვებია: **ვისგან? რისგან?** მოქმედებითისა კი – **საიდან? როდიდან? / რა დროიდან?** შდრ.:

ნათ.:	**ხ-ის-გან**	**მეგობრ-ის-გან**
	ხისგან სახლებს აშენებენ	**(რისგან** აშენებენ?)
	მეგობრისგან ახალი შეტყობინება მივიღე	(**ვისგან** მივიღე?)
მოქ.:	**ხიდან**	**(ამ) თვიდან**
	ჩიტი **ხიდან** ბუჩქებში ჩამოხტა	(**საიდან** ჩამოხტა?)
	ამ **თვიდან** შვებულება მეწყება	(**როდიდან** მეწყება?)

• **-მდე** მორფემის დართვა იწვევს ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივ გაქრობას; შდრ.: **სოფლ-ად-მდე > სოფლ-ა-მდე... ქალაქ-ა-მდე.** სალიტერატურო ენაში დაუშვებელია არანორმატიული (დიალ.) **-მდინ / -მდისინ** ვარიანტების გამოყენება; შდრ.:

სწორია:	**აქამდე**	**სახლამდე**
შეცდომაა:	აქამდი(ნ) / აქამდისინ	**სახლამდი(ნ) / სახლამდისინ**

• ერთი და იმავე მორფემით ნაწარმოები რამდენიმე სიტყვის **და, თუ** კავშირებით შეერთებისას:

– მიცემითსა და ნათესაობითში კავშირის წინ მდგომი სიტყვა მხოლოდ მარტივი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი; მაგ., შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ბაღში, ვენახსა თუ ბოსტანში	ბაღში, ვენახში თუ ბოსტანში
ქალაქსა თუ სოფელთან	ქალაქთან თუ სოფელთან
ცისა და მიწისთვის	ცისთვის და მიწისთვის

– მოქმედებითსა და ვითარებითში კავშირის წინ მდგომი სიტყვა რთული ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი; მაგ.: **ქალაქიდან და სოფლიდან; ტყემდე, მინდვრამდე და მდინარემდე...**

ფრაზის სწორად აგებისა და აზრის ზედმიწევნით, ზუსტად გადმოცემისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი რთული ბრუნვის ფორმების შერჩევას. ქვემოთ, ნორმატიულ ფრაზებთან შეპირისპირებით, წარმოდგენილია რთულბრუნვისფორმიან სახელთა უმართებულოდ, არასტანდარტულად გამოყენების შემთხვევები. მასალა ამოღებულია თანამედროვე სასაუბრო მეტყველებიდან, შდრ.:

სწორია:		შეცდომაა:
ერთ საათში საქმე გააკეთა	–	ერთ საათზე საქმე გააკეთა
ტელეფონით ვესაუბრე	–	ტელეფონში ვესაუბრე
ცურვაზე მიიყვანა	–	ცურვაში მიიყვანა
დედისგან გაიგო	–	დედიდან გაიგო
შენგან ამას არ ველოდი	–	შენიდან ამას არ ველოდი
ამისგან კაცი არ დადგება	–	ამიდან კაცი არ დადგება
ხისგან გამოთალა	–	ხიდან გამოთალა
სტუმრის პატივისცემა	–	სტუმარზე პატივისცემა
დამნაშავე ბინაში დააკავეს	–	დამნაშავე ბინაზე დააკავეს
მატარებელში ავიდნენ	–	მატარებელზე ავიდნენ
მაგათთან სიკეთე არ გავა	–	მაგათზე სიკეთე არ გავა...

სავარჯიშოები

5.5.1.4.1. გამოყავით რთული ბრუნვის ფორმები; გაასწორეთ შეცდომები.

1) თბილისში, ისევე როგორც ქუთაისში, წვიმაა გამოცხადებული.
2) ამხელა კაცი ბავშვისავით აქვითინდა.
3) კალათში რაც არის, ჯერჯერობით ის იკმარე.
4) გოგო პაპასა და ბებოთან ზაფხულობით ჩამოდის.
5) ეს ბავშვი ვერ გადავაჩვიე დღისით ძროხისავით ზმუილს და ღამით კატისავით კნავილს.
6) ამ მაგალითან სხვა შემთხვევასაც აკავშირებენ.
7) ცდილობს დიდთან დიდი იყოს, პატარათან – პატარა.
8) მოხუცი ქუჩაში გვიანობამდი რჩება, რადგან სახლსში არ უყვარს ყოფნა.
9) ნიკომ ბარათან ერთად, ცოტა ფულიც გაატანა მეგობარს.
10) ორი ხმალი ერთ ქარქაში არ ჩაიგება.
11) დამშვიდდი, იმისავით ნუ იქცევი, ჯერ რომ არაფერი უნახავს!
12) ახალგაწვეული სამხედრო მოსამსახურეები ერთ ხაზე მოეწყვნენ.
13) მოვაჭრეები ახალშემოტანილი საქონლის ფაში მოტყუვდნენ.

5.5.1.4.2. ხაზი გადაუსვით მცდარ ფორმებს.

1) ამაზე; შენზედ; იმაზედვე; ჩემზედაც; შენსზედვე;
2) ჩემზედ; იმაზე; ამაზედვე; ჩემზე; ამასზედ;
3) მასზე; ჩემსზე; შენზე; მასზედვე; იმაზედაც;
4) ჩემზედვე; ამასზედაც; შენზედაც; მასზედ; იმასზე.

5.5.1.4.3. გამართეთ სალიტერატურო ქართულით; დახვეწეთ სტილი.

ა)

1) ამი გულითვინ ვიბრძოდით?
2) მთაში და ბარში დღეს ერთნაირად უჭირს ხალხს.
3) ეს ონავარი ბიჭი პირდაპირ ფანჯრისგან ჩამოხტა ეზოში.
4) დიდი ხანია ჩვენებიდან შეტყობინება არ მომსვლია.
5) მანამდი ყველაფერს მოვასწრებდი.
6) ნინოს მეგობარზე და მის შვილზე ერთნაირად შესტკიოდა გული.
7) ნიკას სოფლისგან წერილი მოუვიდა.

ბ)

1) აქნობამდის ყველაფერი კარგად იყო.
2) ქვიდან გამოკვეთილს ჯერჯერობით წვიმა ვერაფერს დააკლებს.
3) გადავწყვიტეთ საჩუქარი გაგვეკეთებინა აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახებზე.
4) შენამდინ ძალიან შორია!
5) ამ ქარში და წვიმაში ბავშვს გარეთ რა უნდა?

6) სოფლისთვის და ქალაქისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია ეს საკითხი.
7) ჩემიდან მოკითხვა გადაეცი ყველას!

5.5.1.4.4. დახვეწეთ რთულბრუნვისფორმიანი ფრაზები.

1) ავტორი გვესაუბრება არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ექსპონატების მნიშვნელობაზე და ხელისუფალთა მიერ მის უგულებელყოფაზე.
2) უნდა ვიბრძოლოთ მის გადარჩენაში.
3) ამის შემდეგ იწყება საქართველოზე რუსების ინტერვენცია.
4) იქ წასვლისათვის და მოსვლისათვის სულ ორი საათი დაგჭირდება.
5) ამ არხების მეშვეობით ხდება ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებაზე.
6) არაფრიდან შედეგი არაფერია.
7) მომხსენებელს ვეთანხმები ყველა საკითხთან მიმართებაში.
8) შეტევა საჯარიმო მოედანში გრძელდება... ახლა მექსიკელები არიან შეტევაში.
9) ჩემი მეგობარი ამ შაბათ-კვირას მიდის აგარაკში.
10) გმადლობთ, რომ დაესწარით ჩემს გამოფენაზე.

5.5.1.4.5. გამართეთ ფრაზები.

1) მაგ კაცის ნაკლები რით ვარ?
2) შორს ნაგვიყვანს იმ მნიშვნელობების საუბარი, რომელიც მწვანე საფარს აქვს სამყაროში.
3) ჩვენ გვაქვს უფლება გავკიცხოთ ჩვენი ხელმძღვანელები მათი გულგრილობით და უინტერესობით ჩვენი ისტორიისადმი.
4) დამნაშავის ხელის დაფარებას არავინ მოგიწონებთ!
5) მინდა ვიცოდე, რა ურთიერთობა გაქვს ამ პიროვნებაზე.
6) ავტორის მსჯელობა გვარკვევს 2009 წლის 15 ივნისს აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს.
7) მათ არ მიეცათ საიდუმლოების ფარდის ახდის საშუალება.
8) ეგ პიროვნება ჩემთვის მეგობრის მეტია.
9) ეთუკა ხუთი წლიდან ცეკვაში დადის.
10) საყურადღებოა საზოგადოების პოზიცია ამ საკითხთან.

5.5.1.5. ბრუნვები ცალკე მდგომი თანდებულებით

მიცემით და ნათესაობით ბრუნვებს დაერთვის ცალკე მდგომი (ბრუნვის ფორმასთან შეურწყმელი) თანდებულები და, ასევე, მათი ფუნქციით გამოყენებული ზმნიზედები. **ცალკე მდგომი თანდებულებია:** შუა, შორის, მიერ, გამო, მიმართ, შესახებ, გარდა, მაგიერ, ნაცვლად...

თანდებულების ფუნქციით გამოყენებული ზმნიზედებია: წინ, წინათ, უკან, მერე, შემდეგ, ზევით /ზემოთ, ქვევით / ქვემოთ, გვერდით, გასწვრივ, აქეთ, იქით, პირას, ირგვლივ, ახლოს, შორიახლოს, მსგავსად, წინააღმდეგ...

შუა / შორის გამოიყენება მიცემითის ფორმებთან და ახლავს ორ სახელს; თუ სახელი ერთია, ამ უკანასკნელს მრავლობითის ფორმა ექნება; ასევე შესაძლებელია, ახლდეს რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა; მაგ.: **თვალსა და ხელს შუა, მოსწავლეთა შორის, ორ ზღვას შუა**... თანამედროვე სალიტერატურო ნორმების მიხედვით, ყველა დანარჩენი ცალკე მდგომი თანდებული გამოიყენება ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან, მაგ.: **მეგობრის შესახებ, ბავშვის მიმართ, უდროობის გამო, სიყვარულის გარდა, გაკვეთილის შემდეგ, სოფლის გაღმა-გამოღმა, ხატის წინ, მდინარის ახლოს, სახლის ზემოთ, ვენახის იქით**... პარალელურად, შემორჩენილია გაქვავებული – ძველი ვითარების ამსახველი ფორმებიც, როდესაც ზოგიერთი ამ თანდებულთაგანი მიცემით ბრუნვასაც დაერთვოდა, მაგ.: **ამას გარდა, ცხრა მთას იქით, ხევს გაღმა, მას უკან, ზურგს უკან, პირს უკან, მას შემდეგ, ამას წინათ** და სხვ.

წარმოშობით მოქმედებითი ბრუნვის ფორმებია: **წინათ, ზემოთ, ქვემოთ** და, ამდენად, მათი **-დ** დაბოლოებით გამოყენება ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების ანალოგიით (წინად, ზემოდ, ქვემოდ) დაუშვებელია.

ზოგ შემთხვევაში ცალკე მდგომი თანდებული ერწყმის ბრუნვის ფორმას: მიმდინარეობს გაკომპოზიტების – ერთ სიტყვად ქცევის პროცესი. ასეთ დროს ბრუნვის ნიშანი დაიკარგება – აღარ აისახება ფორმაში, შდრ., პარალელური წარმოების მაგალითები:

სწორია:		შეცდომაა:
სახლს ქვეშ	/ სახლქვეშ	სახლსქვეშ / სახლ ქვეშ
ხევს გაღმა	/ ხევგაღმა	ხევსგაღმა / ხევ გაღმა
წარბებს შუა	/ წარბებშუა	წარბებსშუა / წარბებ შუა
ცხვირის წინ	/ ცხვირწინ	ცხვირისწინ / ცხვირ წინ

სავარჯიშოები

5.5.1.5.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ხიდისგაღმა დიდი მინდორია.
2) სახლს ქვემოდ ხევი იწყებოდა.
3) ამ ქალბატონისწინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ.
4) მას თვალ წინ წარმოუდგა მთელი განვლილი ცხოვრება.
5) აღნიშნული პიროვნებისმიმართ საქმე აღიძრა.
6) პირსუკან ლაპარაკი რა საკადრისია!
7) ამასწინათ ერთ ძველ ნაცნობს შევხვდი.
8) გაკვეთილებ შუა შესვენებაზე ერთიანად დაცარიელდა სკოლის შენობა.
9) დედისწინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან მგლის შვილიო.
10) იმ დღიდან ლეკვი ეზოსგარეთ აღარავის უნახავს.

5.5.1.5.2. ხაზი გადაუსვით მცდარ ფორმებს.

1) სოფლის ზემოთ / ზემოდ მდინარე იღებდა სათავეს.
2) სახურავ ქვეშ / სახურავქვეშ მერცხლებს ბუდე გაეკეთებინათ.
3) ყველაფერი ცხვირწინ / ცხვირ წინ გაქვს და მაინც წუწუნებ!
4) მას უკან / მასუკან დიდი დრო გავიდა.
5) ღრუბლებს შორის / ღრუბლებსშორის მზემ გამოანათა.
6) დაგვიანებისგამო / დაგვიანების გამო პატიებას ვითხოვ.
7) საქართველო ორ ზღვას შუა / ზღვასშუა მდებარეობს.
8) ჩემი სკოლისწინ / სკოლის წინ სახაჭაპურე გახსნეს.
9) მასშემდეგ / მას შემდეგ ახალი ეტაპი დაიწყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.
10) მომხდარის შესახებ / მომხდარისშესახებ გოგონამ არაფერი იცოდა.

ტესტი N 5.5.1.

საზოგადო სახელთა ბრუნება:

- კუმშვადი და უკუმშველი სახელები
- კვეცადი, კუმშვად-კვეცადი და უკვეცელი სახელები
- საზოგადო სახელთა ბრუნების თავისებურებანი
- რთული ბრუნვის ფორმები
- ბრუნვები ცალკე მდგომი თანდებულებით

1. რომელ პასუხშია შეცდომა?

კუმშვა, ძირითადად, ეხება:

ა) ა, ე, ო, ხმოვნებს.

ბ) ა, ე, უ ხმოვნებს.

2. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ყველა სიტყვა კუმშვადია.

ა) გოდორი, კაკაბი, სანთელი, ბეჭედი, ნიორი.

ბ) ნიჩაბი, ირემი, ლიმონი, პომიდორი, მაწონი.

3. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

კუმშვა ხდება:

ა) მხ. რიცხვის სამ ბრუნვაში და -ებ-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში.

ბ) მხ. რიცხვის სამ ბრუნვაში და ნარ-/თან-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში.

4. რომელი პასუხია სწორი?

ო ბაგისმიერ (ბ, პ, ფ, მ) ბგერებთან მეზობლობაში:

ა) სრულად იკუმშება.

ბ) ნაწილობრივ იკუმშება.

5. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

უნდა ვთქვათ და ვწეროთ:

ა) თბილისლები, ქუთაისლები.

ბ) თბილისელები, ქუთაისელები.

6. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც სწორი ფორმებია.

ა) საპონის, ფოთოლის, ობოლის, ნიგოზის, იორის.

ბ) საპნის, ფოთლის, ობლის, ნიგვზის, ივრის.

7. რომელია შეცდომა?

სიტყვები: **ლიმონი, ბატონი, მირონი**

ა) უკუმშველია;

ბ) კუმშვადია.

8. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

კვეცა და კუმშვა-კვეცა ეხება

ა) ო და უ ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებს.

ბ) ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებს.

9. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ორი კუმშვად-კვეცადი სიტყვაა.

ა) საბძელი, მხარე, მოყვარე, ზეცა, ქარხანა;

ბ) კანდელი, მწარე, მომხრე, მიწა, ქამარი.

10. შემოხაზეთ უშეცდომო ვარიანტი.

ა) მხარი – მხრის.

ბ) მხარი – მხარის.

11. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც სწორი ფორმებია.

ა) პეპლის: წიფლის; წურბლის.

ბ) პეპელასი; წიფელასი; წურბელასი.

12. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

სიტყვები: **ტოროლა, თოჯინა, წიფლისჩიტა; დიჯეი, ტრამვაი**

ა) იკვეცება მხ. რიცხვში;

ბ) არ იკვეცება მხ. რიცხვში.

13. რომელი პასუხია სწორი?

სალიტერატურო ფორმებია:

ა) ატელიის, ფილის, კუპის, ტირის;

ბ) ატელიესი, ფილესი, კუპესი, ტირესი.

14. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
წინადადებაში: „წყაროს წყალი მომენატრა“ სიტყვა **წყაროს:**
ა) მიცემით ბრუნვაშია;
ბ) ნათესაობით ბრუნვაშია.
15. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
წინადადებაში: „ ბავშვები ორმოს თხრიან“ სიტყვა **ორმოს:**
ა) ნათესაობით ბრუნვაშია;
ბ) მიცემით ბრუნვაშია.
16. რომელი პასუხია მცდარი?
სიტყვები: **დედა, ბებია, მამა** იკვეცება იმ შემთხვევაში, თუ
ა) საზოგადო სახელის მნიშვნელობითაა;
ბ) საკუთარი სახელის მნიშვნელობითაა.
17. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვები: **თვალი, წელი**
ა) კუმშვადია;
ბ) უკუმშველია.
18. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.
საზოგადო სახელთა სწორი ფორმებია:
ა) ხუცესის / ხუცესები; ამბავის / ამბავები;
ბ) ხუცის / ხუცები; ამბის / ამბები.
19. რომელია უშეცდომო წინადადება?
ა) სანთებელას ყიდვა მინდა;
ბ) სანთებელის ყიდვა მინდა.
20. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ნათესაობითსა და მოქმედებითში ორი **ი** მოიყრის თავს:
ა) **ია** -ზე დაბოლოებულ სიტყვებში;
ბ) **ი**-ზე დაბოლოებულ სიტყვებში.
21. რომელი პასუხია სწორი?
სიტყვებში: **წამმა, ფასს** თავმოყრილი ორი ერთნაირი თანხმოვნიდან:
ა) ერთი ფუძის დაბოლოებაა, მეორე ბრუნვის ნიშანია;
ბ) ორივე ბრუნვის ნიშანია.
22. რომელი პასუხია მცდარი?
სიტყვებში: **მავანნი, მაგალითთა** თავმოყრილი ორი ერთნაირი თანხმოვნიდან:
ა) ორივე ფუძის დაბოლოებაა;
ბ) ერთი ფუძის დაბოლოებაა, მეორე მრავლობითის ნიშანია.
23. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
პარალელური ფორმებიდან: **დროის / დროსი; დროით / დროთი**
ა) ერთ-ერთი სწორია;
ბ) ორივე სწორია.
24. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელიც გამოდგება წესის დასასრულებლად.
მიმართვის ფორმებში **ო** დაერთვის ისეთ უცხოურ ტიტულებს, როგორიცაა:
ა) გრაფი, ბარონი;
ბ) მისტერი, მადმუაზელი.
25. რომელი ვარიანტია სწორი?
ა) ია და ენძელამ გაზაფხულის მოსვლა გვახარეს.
ბ) იამ და ენძელამ გაზაფხულის მოსვლა გვახარეს.
26. რომელი ვარიანტია მცდარი?
ა) ავისა და კარგის გარჩევა უნდა შეგეძლოს;
ბ) ავი და კარგის გარჩევა უნდა შეგეძლოს.
27. აირჩიეთ წოდებითი ბრუნვის თანამედროვე ნორმატიული ვარიანტები.
ა) „მზეო თიბათვისა...“; „ნუ გეშინია, დედა!“;
ბ) „მზევ, შინ შემოდიო“; „არ დაიდარდო, დედაო“.
28. აირჩიეთ სწორი პასუხი.
ძველი სალიტერატურო ფორმა არის:
ა) ღვთის;
ბ) ღმრთის.

ტესტი N 5.5.1.

საზოგადო სახელთა ბრუნება:

- კუმშვადი და უკუმშველი სახელები
- კვეცადი, კუმშვად-კვეცადი და უკვეცელი სახელები
- საზოგადო სახელთა ბრუნების თავისებურებანი
- რთული ბრუნვის ფორმები
- ბრუნვები ცალკე მდგომი თანდებულებით

1. რომელ პასუხშია შეცდომა?

კუმშვა, ძირითადად, ეხება:

ა) ა, ე, ო, ხმოვნებს.

ბ) ა, ე, უ ხმოვნებს.

2. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ყველა სიტყვა კუმშვადია.

ა) გოდორი, კაკაბი, სანთელი, ბეჭედი, ნიორი.

ბ) ნიჩაბი, ირემი, ლიმონი, პომიდორი, მაწონი.

3. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

კუმშვა ხდება:

ა) მხ. რიცხვის სამ ბრუნვაში და -ებ-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში.

ბ) მხ. რიცხვის სამ ბრუნვაში და ნარ-/თან-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში.

4. რომელი პასუხია სწორი?

ო ბაგისმიერ (ბ, პ, ფ, მ) ბგერებთან მეზობლობაში:

ა) სრულად იკუმშება.

ბ) ნაწილობრივ იკუმშება.

5. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

უნდა ვთქვათ და ვწეროთ:

ა) თბილისლები, ქუთაისლები.

ბ) თბილისელები, ქუთაისელები.

6. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც სწორი ფორმებია.

ა) საპონის, ფოთოლის, ობოლის, ნიგოზის, იორის.

ბ) საპნის, ფოთლის, ობლის, ნიგვზის, ივრის.

7. რომელია შეცდომა?

სიტყვები: ლიმონი, ბატონი, მირონი

ა) უკუმშველია;

ბ) კუმშვადია.

8. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

კვეცა და კუმშვა-კვეცა ეხება

ა) ო და უ ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებს.

ბ) ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებს.

9. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ორი კუმშვად-კვეცადი სიტყვაა.

ა) საბძელი, მხარე, მოყვარე, ზეცა, ქარხანა;

ბ) კანდელი, მწარე, მომხრე, მიწა, ქამარი.

10. შემოხაზეთ უშეცდომო ვარიანტი.

ა) მხარი – მხრის.

ბ) მხარი – მხარის.

11. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც სწორი ფორმებია.

ა) პეპლის; წიფლის; წურბლის.

ბ) პეპელასი; წიფელასი; წურბელასი.

12. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

სიტყვები: ტოროლა, თოჯინა, წიფლისჩიტა; დიჯეი, ტრამვაი

ა) იკვეცება მხ. რიცხვში;

ბ) არ იკვეცება მხ. რიცხვში.

13. რომელი პასუხია სწორი?

სალიტერატურო ფორმებია:

ა) ატელიის, ფილის, კუპის, ტირის;

ბ) ატელიესი, ფილესი, კუპესი, ტირესი.

14. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
წინადადებაში: „წყაროს წყალი მომენატრა“ სიტყვა **წყაროს:**
ა) მიცემით ბრუნვაშია;
ბ) ნათესაობით ბრუნვაშია.
15. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
წინადადებაში: „ ბავშვები ორმოს თხრიან“ სიტყვა **ორმოს:**
ა) ნათესაობით ბრუნვაშია;
ბ) მიცემით ბრუნვაშია.
16. რომელი პასუხია მცდარი?
სიტყვები: **დედა, ბებია, მამა** იკვეცება იმ შემთხვევაში, თუ
ა) საზოგადო სახელის მნიშვნელობითაა;
ბ) საკუთარი სახელის მნიშვნელობითაა.
17. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვები: **თვალი, წელი**
ა) კუმშვადია;
ბ) უკუმშველია.
18. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.
საზოგადო სახელთა სწორი ფორმებია:
ა) ხუცესის / ხუცესები; ამბავის / ამბავები;
ბ) ხუცის / ხუცები; ამბის / ამბები.
19. რომელია უშეცდომო წინადადება?
ა) სანთებელას ყიდვა მინდა;
ბ) სანთებელის ყიდვა მინდა.
20. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ნათესაობითსა და მოქმედებითში ორი **ი** მოიყრის თავს:
ა) **ია** -ზე დაბოლოებულ სიტყვებში;
ბ) **ი**-ზე დაბოლოებულ სიტყვებში.
21. რომელი პასუხია სწორი?
სიტყვებში: **წამმა, ფასს** თავმოყრილი ორი ერთნაირი თანხმოვნიდან:
ა) ერთი ფუძის დაბოლოებაა, მეორე ბრუნვის ნიშანია;
ბ) ორივე ბრუნვის ნიშანია.
22. რომელი პასუხია მცდარი?
სიტყვებში: **მავანნი, მაგალითთა** თავმოყრილი ორი ერთნაირი თანხმოვნიდან:
ა) ორივე ფუძის დაბოლოებაა;
ბ) ერთი ფუძის დაბოლოებაა, მეორე მრავლობითის ნიშანია.
23. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
პარალელური ფორმებიდან: **დროის / დროსი; დროით / დროთი**
ა) ერთ-ერთი სწორია;
ბ) ორივე სწორია.
24. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელიც გამოდგება წესის დასასრულებლად.
მიმართვის ფორმებში **ო** დაერთვის ისეთ უცხოურ ტიტულებს, როგორიცაა:
ა) გრაფი, ბარონი;
ბ) მისტერი, მადმუაზელი.
25. რომელი ვარიანტია სწორი?
ა) ია და ენძელამ გაზაფხულის მოსვლა გვახარეს.
ბ) იამ და ენძელამ გაზაფხულის მოსვლა გვახარეს.
26. რომელი ვარიანტია მცდარი?
ა) ავისა და კარგის გარჩევა უნდა შეგეძლოს;
ბ) ავი და კარგის გარჩევა უნდა შეგეძლოს.
27. აირჩიეთ წოდებითი ბრუნვის თანამედროვე ნორმატიული ვარიანტები.
ა) „მზეო თიბათვისა...“; „ნუ გეშინია, დედა!“;
ბ) „მზევ, შინ შემოდიო“; „არ დაიდარდო, დედაო“.
28. აირჩიეთ სწორი პასუხი.
ბველი სალიტერატურო ფორმა არის:
ა) ღვთის;
ბ) ღმრთის.

29. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.
ა) გადიოდა თვეები, წლეები...
ბ) გადიოდა თვეები, წლები...
30. შემოხაზეთ უშეცდომო ფრაზა.
ა) ღვინოს დაყენება;
ბ) ღვინის დაყენება.
31. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
პარალელური ფორმებიდან: **ხბოები / ხბორები**
ა) ორივე შეცდომაა;
ბ) ერთ-ერთი შეცდომაა;
გ) ორივე სწორია.
32. შემოხაზეთ ორი მცდარი პასუხი.
პარალელური ფორმებიდან: **ქვეყანავ ! / ქვეყანა !**
ა) ერთ-ერთი შეცდომაა;
ბ) ორივე შეცდომაა;
გ) ორივე სწორია.
33. შემოხაზეთ სტილისტურად უფრო გამართული ფრაზა.
ა) დიდისა თუ პატარისთვის;
ბ) დიდისთვის თუ პატარისთვის.
34. შემოხაზეთ უშეცდომო ვარიანტი.
ა) ვეფხვივით, კატივით;
ბ) ვეფხვისავით, კატისავით;
გ) ვეფხვსავით, კატასავით.
35. რომელია სწორი?
ა) მეგობრიდან შეტყობინება მიიღო; სახლისგან ამანათი გამოუგზავნეს.
ბ) მეგობრისგან შეტყობინება მიიღო; სახლიდან ამანათი გამოუგზავნეს.
36. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი შეცდომაა.
ა) კალათთან, თაროზე, ქარქაშში, თბილიში, მანგლისში;
ბ) მაგალითთან, სახლში, კოვზზე, ფასზე, ხაზზე.
37. შემოხაზეთ ნორმატიული ვარიანტი.
ა) რაზედ ვერ შეთანხმდით?
ბ) რაზე ვერ შეთანხმდით?
38. რომელია მცდარი ვარიანტი?
ა) აქამდე შენთვინ არაფერი მითქვამს;
ბ) აქამდე შენთვის არაფერი მითქვამს.
39. რომელია სწორი?
წინადადებაში: „სახლზედვე იყო მოდგმული პატარა ფიცრული" **სახლზედვე**:
ა) მცდარი ფორმაა;
ბ) მართებული ფორმაა.
40. აირჩიეთ სწორი ვარიანტი.
ა) მუსიკაზე წარმოდგენა არა აქვს; ცეკვაზე დადის;
ბ) მუსიკაში წარმოდგენა არა აქვს; ცეკვაში დადის.
41. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.
ა) არაფრის გამო ნუ გაბრაზდები;
ბ) არაფრისგამო ნუ გაბრაზდები.
42. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ორი შეცდომაა.
ა) წინად; ქვემოთ; ზევით; წარბებს შუა; ცხვირწინ;
ბ) წინათ; ქვევიდ; ზევით; სახლს ქვეშ; ხევ გაღმა.
43. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.
ა) ზურგს უკან, მას შემდეგ, ამას წინათ;
ბ) ზურგსუკან, მასშემდეგ, ამასწინათ.

5.5.2. საკუთარ სახელთა ბრუნება

5.5.2.1. პირთა სახელები

პირთა სახელები შეიძლება იყოს ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი.

ხმოვანფუძიანი სახელებია:

ნათია, მზია, ელზა, ფიქრია, მანანა, ზაზა, ზურა, დათა, ლაშა, ვეფხია, მამუკა, პაპუნა...

ანი, ლილი, მარი, ციური, ნაზი, გიორგი, ალექსი, აკაკი, შმაგი...

ქრისტინე, მარინე, ელენე, მათე, ალექსანდრე, კოტე, პავლე...

ნინო, მარო, მზაღო, დარიკო, ციცო, ელისო, დათო, თედო, ილო, მიხო, ტატო...

ნუნუ, ლულუ, ძაძუ, ბათუ, დუტუ, ძუკუ...

თანხმოვანფუძიანი სახელებია:

მარიამ-ი, თამარ-ი, ქეთევან-ი, რუსუდან-ი, ნესტან-ი, ელისაბედ-ი, დარეჯან-ი... დავით-ი, ლუარსაბ-ი, ნუგზარ-ი, ზურაბ-ი, მერაბ-ი, გურამ-ი, გრიგოლ-ი, დემურ-ი, თეიმურაზ-ი, ანზორ-ი, კახაბერ-ი, ვასილ-ი, მიხეილ-ი, რამაზ-ი, თარაშ-ი...

პირის სახელთა მართლწერასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი წესები:

- ბრუნებისას ფონეტიკურ ცვლილებებს (კუმშვა, კვეცა) არ განიცდიან; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ექვთიმეს სენაკი	ექვთიმის სენაკი
არისტოტელეს თეორია	არისტოტელის თეორია
ნესტან-დარეჯანის წერილი	ნესტან-დარეჯნის წერილი

- მრავლობითის ფორმები არ ეწარმოებათ; შდრ.:

სწორია: ნინო და ნინო მოვიდნენ

შეცდომაა: ნინოები მოვიდნენ

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ პირთა სახელები განზოგადებულია, დასაშვებია მრავლობითის ფორმები, მაგ.: **ლუარსაბები, ვარსქენები, ჯაყოები...**

- წოდებით ბრუნვაში – მიმართვის ფორმებში – ყოველთვის ფუძის სახით არიან წარმოდგენილი; შდრ.:

სწორია:	**ლევან!**	**მარიამ!**	**მათე!**	**ნათია!**
შეცდომაა:	ლევანი!	მარიამი!	მათევ!	ნათიავ!
	/ ლევანო!	/ მარიამო!	/ მათეო!	/ ნათიაო!

- დაუშვებელია -ი-ხმოვანფუძიანი სახელებისათვის ფუძის ბოლო ხმოვნის ჩამოცილება; შდრ.:

სწორია:	**გიორგი!**	**დალი!**	**აკაკი!**
შეცდომაა:	გიორგ!	დალ!	აკაკ!
სწორია:	**გიორგიმ**	**დალიმ**	**აკაკიმ**
შეცდომაა:	გიორგმა	დალმა	აკაკმა

- თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებს სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი არ გადაჰყვება სხვა ბრუნვებში; შდრ.:

სწორია:		შეცდომაა:	
მერაბმა	**ჯემალმა**	მერაბიმ	ჯემალიმ
მერაბს	**ჯემალს**	მერაბის	ჯემალის

შენიშვნა: ბრუნების ზემოაღნიშნულ წესებს ექვემდებარება შინაურ ცხოველთა და ფრინველთა საკუთარი სახელებიც: **მურია, ბროლია, ჭრელა, კუდვარდა, ნიკორა, ქოჩორა** და სხვ.

ბრუნების ნიმუშები

სახ.	ია	ანი	მათე	ავთო	ბათუ	თამარ-ი
მოთ.	ია-მ	ანი-მ	მათე-მ	ავთო-მ	ბათუ-მ	თამარ-მა
მიც.	ია-ს	ანი-ს	მათე-ს	ათო-ს	ბათუ-ს	თამარ-ს
ნათ.	ია-ს(ი)	ანი-ს(ი)	მათე-ს(ი)	ავთო-ს(ი)	ბათუ-ს(ი)	თამარ-ის
მოქ.	ია-თ(ი)	ანი-თ(ი)	მათე-თ(ი)	ავთო-თ(ი)	ბათუ-თ(ი)	თამარ-ით
ვით.	ია-დ	ანი-დ	მათე-დ	ავთო-დ	ბათუ-დ	თამარ-ად
წოდ.	ია!	ანი!	მათე!	ავთო!	ბათუ!	თამარ!

სავარჯიშოები

5.5.2.1.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) საყურადღებოა ქსენოფონტის (ძვ.V-IVსს.) ცნობები ქართველურ ტომთა შესახებ.
2) არისტოტელის მოწაფეებს შორის გამორჩეულია ალექსანდრე მაკედონელი.
3) ჰეროდოტეს მოთხრობებში ზოგიერთი რამ სიმართლეს არ შეესაბამება.
4) ზურაბო, ნუ ჭირვეულობ!
5) შუა ჭუჩაში მოაბიჯებდა სოლომონ.
6) გახედე, მგონი თორნიკის კითხულობენ.
7) ეთერიმ გუშინდელი საღამო გაიხსენა.
8) პატარა დალმა საბავშვო ბაღში წასვლა არ ისურვა.
9) ესტატის კარგად ვერ დაუგეგმავს შეხვედრა.
10) იათამზისგან ამას არავინ ელოდა.
11) თამარის ნურაფერს ეტყვით!
12) აკაკმა და ვასილიმ ყოფილი თანაკლასელები მოინახულეს.
13) ასმათიმ გზიდან გადაუხვია.
14) გრიგოლიმ დიდი წვეულება გამართა.

5.5.2.1.2. გაასწორეთ მიმართვის ფორმები.

1) ვახტანგი, თქვენები მომიკითხე!
2) ბატონო ელგუჯ, დაგვილოცეთ ახალგაზრდები!
3) ალექს, მარტო დაგვტოვე!
4) მარიამო, გაიღვიძე, ლექციებზე გაგვიანდება!
5) ქალბატონო მანან, სამსახურიდან გირეკავენ!
6) ოთარი, ჩვენმა მატარებელმა უკვე ჩაიარა...
7) აქ რას უზიხარ, მიხაო?
8) ნესტანი, სტუმრები გელოდებიან!
9) თქვენებს დაუძახე, ბაკური!
10) ასე მკაცრი ნუ იქნები, ეთერო!

5.5.2.1.3. აირჩიეთ ნორმატიული წინადადებები.

1) დღეს დათო და დათო გვესტუმრნენ.
2) დღეს დათოები გვესტუმრნენ.

3) გაიცანით ჩემი მეგობრები: ზურა კვადრატში.
4) გაიცანით ჩემი მეგობრები: ზურა მიქაძე და ზურა თაბაგარი.

5) გუშინ ჩვენი ელიკოს გიასა და მეზობლის გიას ვუმასპინძლეთ.
6) გუშინ ორჯერ გიას ვუმასპინძლეთ.

5.5.2.2. გვარები

გვარები დაბოლოების მიხედვით (სახელების ანალოგიურად) ორგვარია: თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი.

თანხმოვანფუძიანი გვარები:

ქართული: ჯავახიშვილ-ი, მარგიან-ი, ბაგრატიონ-ი, ამილახვარ-ი, ჯაბადარ-ი, შერმადინ-ი, გიგაურ-ი, ბურდულ-ი, ბაწაშ-ი, წერეთელ-ი, მაჩაბელ-ი, ახმეტელ-ი, მდივან-ი, პირველ-ი, ღლონტ-ი, ჟღენტ-ი, წულეისკირ-ი, პაპასქირ-ი, ალექსი-მესხიშვილ-ი, ბაგრატიონ-მუხრანელი..

უცხო: ხაჩატურიან-ი, აივაზოვ-ი, ფარაჯანოვ-ი, გამზათოვ-ი, კოზაევ-ი, პუშკინ-ი, რომანოვ-ი, გოგოლ-ი, შექსპირ-ი, სენკევიჩ-ი, ლასკარ-ი, შოპენ-ი, მოცარტ-ი, ბეთჰოვენ-ი, დიკენს-ი, ბახ-ი, ბრეხტ-ი, სტენდალ-ი, სერვანტეს-ი, ტეტჩერ-ი, ბუშ-ი...

ხმოვანფუძიანი გვარები:

ქართული: როგავა, ვეკუა, შენგელია, მარშანია, ინგოროყვა, მენაბდე, მებუკე, თევზაძე, მახარაძე, ჩანტლაძე-ბაქრაძე, კვეზერელ-კოპაძე...

უცხო: ახმატოვა, დიუმა, მაზინა, ჩერნიშევსკი, მაიაკოვსკი, ოგინსკი, ტროცკი, ტოლსტოი, გრუშევსკი, გარიბალდი, ვერდი, ფელინი, დანტე, მერიმე, ფრანკო, ჰიუგო, დოქსოპულო, კამიუ, ამადუ...

პირის სახელებისაგან განსხვავებით, გვარებს აქვთ მრავლობითის ფორმები: **გიგაურები, რომანოვები...**

ორმაგი გვარების შემთხვევაში, ფუძის ბოლო შემადგენელ გვარს ერთვის ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები, ხოლო პირველი გვარი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი; მაგ.: **ბაგრატიონ-მუხრანელმა /ბაგრატიონ-მუხრანელებმა , ბაგრატიონ-მუხრანელს / ბაგრატიონ-მუხრანელებს... ვორონცოვ-დაშკოვმა / ვორონცოვ-დაშკოვებმა... სალტიკოვ-შჩედრინს... ჩანტლაძე-ბაქრაძემ / ჩანტლაძე-ბაქრაძეებმა... კვეზერელ-კოპაძეს...**

თანხმოვანფუძიან გვარებთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია შემდეგი:

- როგორც ქართული, ისე უცხოური გვარები წოდებითში – მიმართვის ფორმებში – დაირთავენ **-ო** ნიშანს; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
იაშვილო!	იაშვილი!
მარგიანო!	მარგიანი!
მდივანო!	მდივანი!
პირველო!	პირველი!
პუშკინო!	პუშკინი!
ტეტჩერო!	ტეტჩერი!
სტენდალო!	სტენდალი!

- კუმშვას განიცდის **-არ** და **-ელ**-მარცვლებზე დაბოლოებული ქართული გვარების ნაწილი; შდრ.:

	სწორია:	შეცდომაა:
ამილახვარი	**ამილახვრის / ამილახვრების**	ამილახვარის / ამილახვარების
ჯაბადარი	**ჯაბადრის / ჯაბადრების**	ჯაბადარის / ჯაბადარების
გომართელი	**გომართლის / გომართლების**	გომართელის / გომართელების
მაჩაბელი	**მაჩაბლის / მაჩაბლების**	მაჩაბელის / მაჩაბელების
წერეთელი	**წერეთლის / წერეთლების**	წერეთელის / წერეთელების
ცაგარელი	**ცაგარლის / ცაგარლების**	ცაგარელის / ცაგარელების

შდრ.:

	სწორია:		შეცდომაა:
ემხვარი	ემხვარის	/ ემხვარების	ემხვრის / ემხვრების
ახმეტელი	ახმეტელის	/ ახმეტელების	ახმეტლის / ახმეტლების
ახატნელი	ახატნელის	/ ახატნელების	ახატნლის / ახატნლების
ლიჩელი	ლიჩელის	/ ლიჩელების	ლიჩლის / ლიჩლების
ლიქოკელი	ლიქოკელის / ლიქოკელების		ლიქოკლის / ლიქოკლების

- უცხოური გვარები არ იკუმშება.

ბრუნების ნიმუშები

სახ.	ცაგარელ-ი	ცაგარლებ-ი	ღლონტ(ებ)-ი	ბეიკერ(ებ)-ი	ბაგრატიონ-მუხრანელ(ებ)-ი
მოთ.	ცაგარელ-მა	ცაგარლებ-მა	ღლონტ(ებ)-მა	ბეიკერ(ებ)-მა	ბაგრატიონ-მუხრანელ(ებ)-მა
მიც.	ცაგარელ-ს	ცაგარლებ-ს	ღლონტ(ებ)-ს	ბეიკერ(ებ)-ს	ბაგრატიონ-მუხრანელ(ებ-ს
ნათ.	ცაგარლ-ის	ცაგარლებ-ის	ღლონტ(ებ)-ის	ბეიკერ(ებ)-ის	ბაგრატიონ-მუხრანელ(ებ)-ის
მოქ.	ცაგარლ-ით	ცაგარლებ-ით	ღლონტ(ებ)-ით	ბეიკერ(ებ)-ით	ბაგრატიონ-მუხრანელ(ებ)-ით
ვით	ცაგარლ-ად	ცაგარლებ-ად	ღლონტ(ებ)-ად	ბეიკერ(ებ)-ად	ბაგრატიონ-მუხრანელ(ებ)-ად
წ.-დ.	ცაგარელ-ო!	ცაგარლებ-ო!	ღლონტ(ებ)-ო!	ბეიკერ(ებ)-ო!	ბაგრატიონ-მუხრანელ(ებ)-ო!

ხმოვანფუძიანი გვარების მართლწერა შემდეგ წესებს ითვალისწინებს:

- ისინი (როგორც ქართული, ისე უცხოური გვარები) წოდებითში ფუძის სახით არიან წარმოდგენილი; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ვაშაყმაძე!	ვაშაყმაძევ!
ჩუხუა!	ჩუხუავ!
ინგოროყვა!	ინგოროყვავ!
გოეთე!	გოეთევ!
დიუმა!	დიუმავ!
ფრანკო!	ფრანკოვ!
გარიბალდი!	გარიბალდივ!
კამიუ!	კამიუვ!

- ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებული ქართული გვარები არაერთგვაროვნად იკვეცება, კერძოდ:

– ე-ზე დაბოლოებული გვარები იკვეცება მხ. რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში, **-ებ**-იან მრავლობითში უკვეცელია (ე-ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელების მსგავსად); შდრ.: **მიქაძე, მიქაძის, მიქაძით – მიქაძეები; მენაბდე, მენაბდის, მენაბდით – მენაბდეები...**

– ა-ზე დაბოლოებული გვარები უკვეცელია მხ. რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში, ხოლო **-ებ**-იან მრავლობითში ყველა ბრუნვაში იკვეცება; შდრ.: **პაპავა, პაპავასი, პაპავათი – პაპავები, პაპავებმა... ჩუხუა, ჩუხუასი, ჩუხუათი – ჩუხუები, ჩუხუებმა...**

სწორია:	შეცდომაა:
მიქაძის პროექტი	მიქაძეს პროექტი
მენაბდის ლექცია	მენაბდეს ლექცია
გაგუას კლინიკა	გაგუის კლინიკა
შენგელიას დარტყმა	შენგელიის დარტყმა

- უცხოური გვარებიდან უკვეცელია **ე, ო, უ** ხმოვნებზე დაბოლოებული გვარები მხოლოობითსა და მრავლობითში, ასევე **ა** და **ი** ხმოვნებზე დაბოლოებული გვარები – მხოლოობითში; მრავლობითში ისინი იკვეცება;

- შდრ.:

გოეთე	–	გოეთეს(ი)	–	გოეთეები
ფრანკო	–	ფრანკოს(ი	–	ფრანკოები
კამიუ	–	კამიუს(ი)	–	კამიუები
მორუა	–	მორუას(ი	–	მორუები
მაზინა	–	მაზინას(ი)	–	მაზინები
ტოლსტოი	–	ტოლსტოის	–	ტოლსტოები
გარიბალდი	–	გარიბალდის	–	გარიბალდები

ზრუნების ნიმუშები

ქართული გვარები				
სახ.	გაგუა	გაგუებ-ი	იაძე	იაძეებ-ი
მოთ.	გაგუა-მ	გაგუებ-მა	იაძე-მ	იაძეებ-მა
მიც.	გაგუა-ს	გაგუებ-ს	იაძე-ს	იაძეებ-ს
ნათ.	გაგუა-ს(ი)	გაგუებ-ის	იაძ-ის	იაძეებ-ის
მოქ.	გაგუა-თ(ი)	გაგუებ-ით	იაძ-ით	იაძეებ-ით
ვით.	გაგუა-დ	გაგუებ-ად	იაძე-დ	იაძეებ-ად
წოდ.	გაგუა!	გაგუებ-ო!	იაძე!	იაძეებ-ო!

უცხოური გვარები				
სახ.	დიუმა	დიუმებ-ი	ფელინი	ფელინებ-ი
მოთ.	დიუმა-მ	დიუმებ-მა	ფელინი-მ	ფელინებ-მა
მიც.	დიუმა-ს	დიუმებ-ს	ფელინი-ს	ფელინებ-ს
ნათ.	დიუმა-ს(ი)	დიუმებ-ის	ფელინი-ს	ფელინებ-ის
მოქ.	დიუმა-თ(ი)	დიუმებ-ით	ფელინი-თ	ფელინებ-ით
ვით.	დიუმა-დ	დიუმებ-ად	ფელინი-დ	ფელინებ-ად
წოდ.	დიუმა!	დიუმებ-ო!	ფელინი!	ფელინებ-ო!
სახ.	გოეთე	გოეთეებ-ი	ფრანკო	ფრანკოებ-ი
მოთ.	გოეთე-მ	გოეთეებ-მა	ფრანკო-მ	ფრანკოებ-მა
მიც.	გოეთე-ს	გოეთეებ-ს	ფრანკო-ს	ფრანკოებ-ს
ნათ.	გოეთე-ს(ი)	გოეთეებ-ის	ფრანკო-ს(ი)	ფრანკოებ-ის
მოქ.	გოეთე-თ(ი)	გოეთეებ-ით	ფრანკო-თ(ი)	ფრანკოებ-ით
ვით.	გოეთე-დ	გოეთეებ-ად	ფრანკო-დ	ფრანკოებ-ად
წოდ.	გოეთე!	გოეთეებ-ო!	ფრანკო!	ფრანკოებ-ო!

სავარჯიშოები

5.5.2.2.1. ფრჩხილებში წარმოდგენილი გვარები სათანადო ფორმით მიუსადაგეთ წინადადებებს.

1) (სარკოზი) განაცხადა, რომ პოლიტიკაში ბრუნდება.
2) მშობელთა კრებას მხოლოდ (ინგოროყვა) დედა არ ესწრებოდა.
3) (დიბუა) წარმატებამ ბევრს საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნა.
4) სწორედ (გარიბალდი) უხელმძღვანელა იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას.
5) ვფიქრობ, ბევრი არ იცნობს (ბოტიჩელი).
6) (აფხაიძე) დასთან მეგობრობა მაკავშირებს.
7) (მაიაკოვსკი) ამ შემთხვევის შესახებ არაფერი იცოდა.
8) (ბუში) საგანგებო დახვედრა მოუწყვეს საქართველოში.
9) (ჩელენტანო) იამაყებენ მისი თაყვანისმცემლები.
10) (დიუმა) ცხოვრებაში ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა.

5.5.2.2.2. გამოყავით მიმართვის მართებული ფორმები.

1) დავითაშვილი, შემოსასვლელთან გელოდებიან!
2) დავითაშვილო, შემოსასვლელთან გელოდებიან!

3) შალამბერიძევ, დატოვეთ აუდიტორია!
4) შალამბერიძე, დატოვეთ აუდიტორია!

5) მარგიანო, დროა საქმეს შევუდგეთ.
6) მარგიანი, დროა საქმეს შევუდგეთ.

7) მარგიან, დროა საქმეს შევუდგეთ.

8) მუსოლინი, თქვენი დრო წასულია.
9) მუსოლინო, თქვენი დრო წასულია.

10) უშაკოვო, შეგიძლიათ მორიგეს გამოუძახოთ?
11) უშაკოვ, შეგიძლიათ მორიგეს გამოუძახოთ?
12) უშაკოვი, შეგიძლიათ მორიგეს გამოუძახოთ?

13) ჩაუშესკუ, ხალხი სამართალს ითხოვს!
14) ჩაუშესკუვ, ხალხი სამართალს ითხოვს!

15) ვოლსკი, თქვენ პარლამენტარი ბრძანდებით.
16) ვოლსკო, თქვენ პარლამენტარი ბრძანდებით.

17) დანტესო, ნუ დაიგვიანებთ,
18) დანტესი, ნუ დაიგვიანებთ,
19) დანტეს, ნუ დაიგვიანებთ,

20) როგავა, შეხვედრაზე გაგვიაანდება.
21) როგავავ, შეხვედრაზე გაგვიანდება.

22) გოგოლი, გთხოვთ დაიკავოთ თქვენი ადგილი.
23) გოგოლო, გთხოვთ დაიკავოთ თქვენი ადგილი.

5.5.2.2.3. სწორი ფორმით წარმოადგინეთ გვარები.

1) სიდამონიძეს კაბინეტში მუდამ ხალხმრავლობაა.
2) სავარაუდოდ, ჯონ შექსპირიმ წერა-კითხვა არ იცოდა.
3) ნერეთელის გამზირზე ახალი სავაჭრო ცენტრი გახსნეს.
4) წაკითხული გაქვთ ა. დიუმის „სამი მუშკეტერი“?
5) ამ სიმღერის ტექსტი ეკუთვნის დავითაშვილი-ცაგარელს.
6) ბერტოლტ ბრეხტიმ წერა ძალიან ადრე დაიწყო,
7) საინფორმაციო ბიურო მაჩაბელის პარალელურ ქუჩაზე მდებარეობს.
8) ახმეტელის მეტროსთან ჩემს ძველ ნაცნობს შევხვდი.
9) ახლა ვკითხულობ დანტის „ღვთაებრივ კომედიას“.
10) ჯაბადარები ამ სოფელში გვიან ჩასახლებულან.

5.5.2.2.4. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები.

1) ანა ბაგრატიონმა-მუხრანელმა სასამართლოში აღძრა საქმე.
2) რამდენიმე წლის წინ ჟურნალში დაიბეჭდა მიშელ ობამის ინტერვიუ.
3) საღამოს გვეწვევიან პაპავაები, კუკავეები და მელიქიძები.
4) გოეთის ცხოვრებაში ბევრი საინტერესო რამ მოხდა.
5) აქ გივი ამილახვარის სასახლე იყო.
6) შთამბეჭდავია ჟულიეტა მაზინის მიერ შესრულებული როლები.
7) გერსამიის ამ თანამდებობაზე დანიშვნა დროული იყო.
8) ფელინმა მოგვიანებით გაიცნო ლეგენდარული კინორეჟისორი რობერტო როსელინი.
9) მე გატაცებით ვკითხულობ შიო არაგვისპირლის მოთხრობებს.
10) ცნობილია, რომ სტალინი თავის ყოფილ თანამებრძოლს – ლევ ტროცკს დაუპირისპირდა.

5.5.2.3. სახელისა და გვარის / ზედწოდების ერთად ბრუნება

სახელისა და გვარის ერთად ბრუნების დროს გასათვალისწინებელია შემდეგი:

- თუ სახელი უსწრებს გვარს, მხოლოდ გვარი დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, სახელი ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი:

თანხმოვანფუძიანი სახელი და გვარი			ხმოვანფუძიანი სახელი და გვარი	
სახ.:	ლევან	ასათიან-ი	ანა	ვაჩნაძე
მოთხ.:	ლევან	ასათიან-მა	ანა	ვაჩნაძე-მ
მიც.:	ლევან	ასათიან-ს	ანა	ვაჩნაძე-ს
ნათ.:	ლევან	ასათიან-ის	ანა	ვაჩნაძ-ის

მოქმ.:	ლევან	ასათიან-ით	ანა	ვაჩნაძ-ით
ვით.:	ლევან	ასათიან-ად	ანა	ვაჩნაძე-დ
წოდ.:	ლევან	ასათიან-ო!	ანა	ვაჩნაძე!

- თუ გვარი უსწრებს სახელს, ვითარება ასე უნდა შეფასდეს: სახელი სრულად იბრუნება, რაც შეეხება გვარს:

– თანხმოვანფუძიანი გვარი (თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის ანალოგიურად – იხ. ქვემოთ) სახელობით, მოთხრობით და წოდებით ბრუნვებში სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ნათესაობითსა და მოქმედებითში – ნაწილობრივ, ხოლო მიცემითსა და ვითარებითში – საერთოდ არა;

– ხმოვანფუძიანი გვარი ყველა ბრუნვაში ფუძის სახითაა წარმოდგენილი;

– იმ შემთხვევაში, თუ გვარი ძირითადი ინფორმაციის შემცველია და სახელი, მასთან მიმართებით, დამატებითი ინფორმაციის (დანართის) რანგში განიხილება, როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან გვარს ყველა ბრუნვაში სრულად ექნება ბრუნვის ნიშანი, ხოლო სახელი მისგან მეტყველებაში – პაუზით, წერის დროს კი მძიმით გამოიყოფა; შდრ.:

თანხმოვანფუძიანი გვარი და სახელი

სახ.:	ასათიან-ი	ლევან-ი	ასათიან-ი,	ლევან-ი
მოთ.:	ასათიან-მა	ლევან-მა	ასათიან-მა,	ლევან-მა
მიც.:	ასათიან	ლევან-ს	ასათიან-ს,	ლევან-ს
ნათ.:	ასათიან-ი	ლევან-ის	ასათიან-ის,	ლევან-ის
მოქმ.:	ასათიან-ი	ლევან-ით	ასათიან-ით,	ლევან-ით
ვით.:	ასათიან	ლევან-ად	ასათიან-ად,	ლევან-ად
წოდ.:	ასათიან-ო	ლევან!	ასათიან-ო,	ლევან!

ხმოვანფუძიანი გვარი და სახელი

სახ.:	ვაჩნაძე ანა	ვაჩნაძე,	ანა
მოთ.:	ვაჩნაძე ანა-მ	ვაჩნაძე-მ,	ანა-მ
მიც.:	ვაჩნაძე ანა-ს	ვაჩნაძე-ს,	ანა-ს
ნათ.:	ვაჩნაძე ანა-ს(ი)	ვაჩნაძ-ის,	ანა-ს(ი)
მოქმ.:	ვაჩნაძე ანა-თ(ი)	ვაჩნაძ-ით,	ანა-თ(ი)
ვით.:	ვაჩნაძე ანა-დ	ვაჩნაძე-დ,	ანა-დ
წოდ.:	ვაჩნაძე ანა!	ვაჩნაძე,	ანა!

- სახელისა და გვარის ანალოგიურად იბრუნება **სახელი და ზედწოდება**, მაგ.: პატარა კახი, დავით აღმაშენებელი, დიმიტრი თავდადებული, ქეთევან წამებული, გიორგი მერჩულე, გიორგი ბრწყინვალე, იაკობ ხუცესი, იოანე პეტრიწი, მურვან ყრუ, თამარ ცბიერი...

ბრუნების ნიმუშები

თანხმოვანფუძიანი სახელი და ზედწოდება

	ა)	ბ)		გ)	
სახ.	იაკობ ხუცეს-ი	ხუცეს-ი	იაკობ-ი	ხუცეს-ი,	იაკობ-ი
მოთ.:	იაკობ ხუცეს-მა	ხუცეს-მა	იაკობ-მა	ხუცეს-მა,	იაკობ-მა
მიც.:	იაკობ ხუცეს-ს	ხუცეს	იაკობ-ს	ხუცეს-ს,	იაკობ-ს
ნათ.:	იაკობ ხუცეს-ის	ხუცეს-ი	იაკობ-ის	ხუცეს-ის,	იაკობ-ის
მოქმ.:	იაკობ ხუცეს-ით	ხუცეს-ი	იაკობ-ით	ხუცეს-ით,	იაკობ-ით
ვით.:	იაკობ ხუცეს-ად	ხუცეს	იაკობ-ად	ხუცეს-ად,	იაკობ-ად
წოდ.:	იაკობ ხუცეს-ო!	ხუცეს-ო	იაკობ!	ხუცეს-ო,	იაკობ!

ხმოვანფუძიანი სახელი და ზედწოდება

	ა)		ბ)	
სახ,	გიორგი	ბრწყინვალე	ბრწყინვალე	გიორგი
მოთ.	გიორგი	ბრწყინვალე-მ	ბრწყინვალე	გიორგი-მ

მიც.	გიორგი	ბრწყინვალე-ს	ბრწყინვალე	გიორგი-ს
ნათ.	გიორგი	ბრწყინვალ-ის	ბრწყინვალე	გიორგი-ს
მოქ.	გიორგი	ბრწყინვალ-ით	ბრწყინვალე	გიორგი-თ
ვით.	გიორგი	ბრწყინვალე-დ	ბრწყინვალე	გიორგი-დ
წოდ.	გიორგი	ბრწყინვალე!	ბრწყინვალე	გიორგი!

ბ)

სახ,	ბრწყინვალე,	გიორგი
მოთ.	ბრწყინვალე-მ,	გიორგი-მ
მიც.	ბრწყინვალე-ს,	გიორგი-ს
ნათ.	ბრწყინვალ-ის,	გიორგი-ს
მოქ.	ბრწყინვალ-ით,	გიორგი-თ
ვით.	ბრწყინვალე-დ,	გიორგი-დ
წოდ.	ბრწყინვალე,	გიორგი!

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზედწოდების ადგილი, გვარისაგან განსხვავებით, უფრო მკაფიოდ განსაზღვრულია, მის შეცვლას მეტ-ნაკლები განსხვავება შეაქვს შერქმეული სახელის თავდაპირველ მნიშვნელობაში; ამდენად, სახელისა და ზედწოდების შებრუნებული, უკვე დამკვიდრებულისაგან განსხვავებული თანმიმდევრობა უნდა განვიხილოთ უფრო სტილისტურ ან თეორიულად დასაშვებ ვარიანტად (შდრ.: „ბრწყინვალე გიორგის“ – „გიორგი ბრწყინვალეს“; „კახმა პატარამ“ – „პატარა კახმა“, „ყრუ მურვანს“ – „მურვან ყრუს“...), რომელსაც ფართო გავრცელება არ აქვს ენაში.

- სიების შედგენისას ჯერ გვარი იწერება, შემდეგ – სახელი, სახელი გვართან მიმართვის ფორმით, ე.ი. ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, მაგ.:

სწორია:	შეცდომაა:
ბერიშვილი ლევან	ბერიშვილი ლევანი
გოგაძე დავით	გოგაძე დავითი
ვეფხვაძე თამარ...	ვეფხვაძე თამარი...

- სახელი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი ნებისმიერ ოფიციალურ დოკუმენტში, მნიშვნელობა არა აქვს, გვარის წინ დგას თუ შემდეგ; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
სოტკილავა ზურაბ / ზურაბ სოტკილავა	სოტკილავა ზურაბი / ზურაბი სოტკილავა

- მამის სახელი, როგორც წესი, სახელის შემდეგ უნდა დაიწეროს („ძე“ და „ასული“ დეფისის გარეშე მიეთითება), შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
მანანა ნიკოს ასული გოგიშვილი	მანანა გოგიშვილი ნიკოს ასული / ნიკოს ასული მანანა გოგიშვილი

- საკუთარი ვინაობის აღნიშვნისას ჯერ სახელი ან ინიციალი დაიწერება, შემდეგ კი – გვარი, მაგ.: მანანა ციცქიშვილი / მ. ციცქიშვილი; მალხაზ თურმანიძე / მ. თურმანიძე...

- ზედწოდებასთან დაუშვებელია სახელის ინიციალით წარმოდგენა, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
დავით აღმაშენებელი	დ. აღმაშენებელი
გიორგი ბრწყინვალე	გ. ბრწყინვალე
დიმიტრი თავდადებული	დ. თავდადებული
იოანე ნათლისმცემელი	ი. ნათლისმცემელი

ვაჟა-ფშაველა	ვ.ფშაველა
გრიგოლ ხანძთელი	გ. ხანძთელი
გიორგი მერჩულე	გ. მერჩულე
ნიკოლოზ საკვირველმოქმედი	ნ. საკვირველმოქმედი
თამარ მეფე	თ. მეფე
მაია წყნეთელი	მ. წყნეთელი და სხვ.

სავარჯიშოები

5.5.2.3.1. სწორად წარმოადგინეთ სახელი (მამის სახელი) და გვარი.

1) დღეს ჩვენთან იმყოფება ანზორი ცეცხლაძე.
2) კომისიის მდივნის კანდიდატურა დაასახელა გოგიშვილმა ემზარიმ.
3) მრევლიშვილო თამარო, გაგვაცანით თქვენი პროექტი!
4) სუჯაშვილო ლევანის ძე მერაბ, საკონფერენციო დარბაზში გელოდებით.
5) ლალის ბიჭიკაშვილის იუბილეზე ხალხმრავლობა იყო.
6) დღეს პროკურატურაში დაიბარეს ღავთაძე გურამ.
7) სიაში ვკითხულობთ: აბაშვილი ვასილი; გაბაიძე დარეჯანი; დოლიძე ქეთევანი; კაკულია ვახტანგი...
8) მე გახლავართ ალფაიძე ვლადიმერ.
9) ეს შეხვედრა გაიმართა გუბაზი მერკვილაძეს ოჯახში.
10) სამორიგეოში გამოიძახეს ივანეს ძე ზურაბი მაისაია.

5.5.2.3.2. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები.

1) მეფარიშვილი ლია დავითის ასულმა საინტერესო მოხსენება წაიკითხა.
2) შავიშვილო ლევანი, დამეხმარეთ, თუ შეიძლება.
3) ანას ხაჭაპურიძეს გუშინ დაბადების დრე ჰქონდა.
4) გუშინ შევიძინე ალექსანდრ პუშკინის პოეზიის თარგმანი.
5) ჩვენკენ მოდის ბატონი იოსებ ესტატეს - ძე მერკვილაძე.
6) დამნაშავეები თავს დაესხნენ გუგეშაშვილი ლევანს.
7) იაშვილ დავითმა აკაკის ძემ გზა დაულოცა ახალგაზრდებს.
8) მაღრაძე მერაბი, უპასუხეთ დასმულ კითხვას.
9) ეს გოგონა გახლავთ ციცინო რაფიელის - ასული მურუსიძე.
10) ჩვენი დავალება უნდა შეასრულოს დავითაშვილმა გიორგი მიხეილის ძემ.

5.5.2.3.3. იპოვეთ შეცდომები და შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით.

1) ჩემი მეგობარი კ. იაშვილი გ. მთაწმინდელის ქუჩაზე ცხოვრობს.
2) მ. ყრუს შემოსევების შედეგად განადგურდა ტაო-კლარჯეთი.
3) მომხსენებელმა ისაუბრა გიორგი ბრწყინვალის ეპოქაზე.
4) შეხვედრა დანიშნულია თ. მეფის ხიდთან.
5) დ. აღმაშენებლის რეფორმებია წარმოდგენილი შ. მესხიას წიგნში: "ძლევაი საკვირველი".
6) პირველ რიგში, ბერიძე ნ. და კენჭოშვილი ს. უნდა წარდგნენ აუდიტორიის წინაშე.
7) ი. ჭავჭავაძემ თავის ნაწარმოებში დ. თავდადებულის მოწამეობრივი ღვაწლი ასახა.
8) მარიამ ებანოიძე საცხოვრებლად ც. დადიანის ქუჩაზე გადავიდა.
9) ვ.ფშაველას გამზირზე ძველ ნაცნობს შევხვდი.
10) თ. ლენგი სისხლიანი დამპყრობლის სახელით შევიდა ისტორიაში.
11) ნოზაძე მ. თავისი შრომისმოყვარეობით წარმატებას მოუტანს ა. ხელაშვილის პროექტს.
12) გ. სალოსი ა. წერეთლის პოემის პერსონაჟია.

5.5.2.4. პროფესიის აღმნიშვნელი სახელის პირის სახელთან/გვართან ერთად ბრუნება

პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვების – **ექიმი, მასწავლებელი, ჟურნალისტი, პროფესორი, რედაქტორი, გამომცემელი...** ბრუნების თავისებურება ასეთია:

• ფუძეთანხმოვნიანები სახელობით, მოთხრობით და წოდებით ბრუნვებში სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ხოლო მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში ფუძის სახით არის წარმოდგენილი. გამონაკლისებია:

– **ბატონი** და **ქალბატონი**, რომლებსაც ნათესაობითსა და მოქმედებითში ერთვის -ი (ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი);

– თითქმის ამავე მნიშვნელობის მქონე უცხოური ფორმები: **მისტერ, სერ, მადამ, მადმუაზელ** და სხვ., რომლებიც საერთოდ არ დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს:

სახ.:	ექიმი	მაჩაბელი	ბატონი დავითი	მისტერ პიტკინი
მოთ.:	ექიმმა	მაჩაბელმა	ბატონმა დავითმა	მისტერ პიტკინმა
მიც.:	ექიმ	მაჩაბელს	ბატონ დავითს	მისტერ პიტკინს
ნათ.:	ექიმ	მაჩაბლის	ბატონი დავითის	მისტერ პიტკინის
მოქ.:	ექიმ	მაჩაბლით	ბატონი დავითით	მისტერ პიტკინით
ვით.:	ექიმ	მაჩაბლად	ბატონ დავითად	მისტერ პიტკინად
წოდ.:	ექიმო	მაჩაბელო	ბატონო დავით	მისტერ პიტკინო

• ფუძეხმოვნიანებს არც ერთ ბრუნვაში არ დაერთვის ნიშანი; მაგ.:

სახ.:	მამა გიორგი	მებაღე დავითი	მუშა	ბოქულაძე
მოთ.:	მამა გიორგიმ	მებაღე დავითმა	მუშა	ბოქულაძემ
მიც.:	მამა გიორგის	მებაღე დავითს	მუშა	ბოქულაძეს
ნათ.:	მამა გიორგის	მებაღე დავითის	მუშა	ბოქულაძის
მოქმ.:	მამა გიორგით	მებაღე დავითით	მუშა	ბოქულაძით
ვით.:	მამა გიორგიდ	მებაღე დავითად	მუშა	ბოქულაძედ
წოდ.:	მამა გიორგი	მებაღე დავით	მუშა	ბოქულაძე

• "მამაო" და "დედაო" მიმართვის ფორმებია; ამდენად, მათი გამოყენება სხვა ბრუნვებში დაუშვებელია; შდრ.:

სწორია:	**დედა ანას ვესაუბრე**
შეცდომაა:	დედაო ანას / დედაოს ვესაუბრე
სწორია:	**მამა გიორგიმ ჩაატარა წირვა**
შეცდომაა:	მამაო გიორგიმ / მამაომ ჩაატარა წირვა

• პროფესიის აღმნიშვნელი სახელის მეწყვილე სიტყვა – პირის სახელი ან გვარი იბრუნება წინა თავებში მითითებული წესების შესაბამისად.

სავარჯიშოები

5.5.2.4.1. ფრჩხილებში წარმოდგენილი ფრაზები მიუსადაგეთ წინადადებებს.

1) /ბატონი ჯამლეთი/ ლექციაზე არავის დაუგვიანია.
2) საიდუმლო კრება /პოეტი ა. წერეთელი/ სახლში გაიმართა.
3) /მისტერ ვატერსონი/, სცადეთ თქვენს კოლეგებთან დაკავშირება!
4) /ამხანაგი გ. ჩიტაშვილი/ ითავა საქველმოქმედო კონცერტის ორგანიზება.
5) ამის შესახებ /დედა მარიამი/ უკვე ვესაუბრე.
6) /სენიორ რობინზონი/ პროექტი რამდენიმე შენიშვნას იმსახურებს.
7) /ქალბატონი ელენე/ გადაწყვეტილება საბოლოოა.
8) /დედა პარასკევა/ ბევრი რამ ახსოვს მამა გაბრიელზე.
9) /სერ რობინსი/ თავისი ამაღელვებელი თემებით ტელემაყურებელთა გული მოიგო.
10) /ექიმი ბაღიშვილი/, თქვენ სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ!
11) დამლოცა /მამა გიორგი/.
12) /რედაქტორი ივ. კერესელიძე/ საპასუხო წერილში არაფერია ნათქვამი ამ საკითხზე.

5.5.2.4.2. აირჩიეთ სწორი ვარიანტები.

1) გაიცანით, ესენი ბატონ ალექსადრეს მეუღლე და ქალიშვილი არიან.
2) გაიცანით, ესენი ბატონი ალექსადრეს მეუღლე და ქალიშვილი არიან.

3) ქალბატონ დარეჯანმა საინტერესოდ ისაუბრა ჩვენი დღევანდელობის პრობლემებზე.
4) ქალბატონმა დარეჯანმა საინტერესოდ ისაუბრა ჩვენი დღევანდელობის პრობლემებზე.

5) მამა ანდრიას კურთხევით ბევრი კარგი საქმე გაკეთდა.
6) მამაო ანდრიას კურთხევით ბევრი კარგი საქმე გაკეთდა.

7) მასწავლებელმა გაბიჩვაძემ თავისი გამოცდილება კოლეგებს გაუზიარა.
8) მასწავლებელ გაბიჩვაძემ თავისი გამოცდილება კოლეგებს გაუზიარა.

9) კურსანტი ჩიხრაძის მშობლები დღეს აკადემიაში დაიბარეს.
10) კურსანტ ჩიხრაძის მშობლები დღეს აკადემიაში დაიბარეს.

11) ბატონი ესტატემ ახალი ნარგავები დაგვათვალიერებინა.
12) ბატონმა ესტატემ ახალი ნარგავები დაგვათვალიერებინა.

13) ქალბატონო ეთერს ყველა მოუთმენლად ელოდა.
14) ქალბატონ ეთერს ყველა მოუთმენლად ელოდა.

15) დედაო თეკლემ ავადმყოფს ღამე გაუთია.
16) დედა თეკლემ ავადმყოფს ღამე გაუთია.

17) პროკურორ ჩხეიძის გადაწყვეტილებით, პროცესი დაიხურა.
18) პროკურორი ჩხეიძის გადაწყვეტილებით, პროცესი დაიხურა.

19) ბერი გაბრიელმა მართლმადიდებელ მრევლს მიმართა.
20) ბერმა გაბრიელმა მართლმადიდებელ მრევლს მიმართა.

5.5.2.5. სათაურები და სახელწოდებები

ჟურნალის, წიგნის, რაიმე ნაწარმოების, ნაშრომის, ფილმის, სიმღერის... სათაურები ბრჭყალებში იწერება. მათ იყენებენ როგორც დამოუკიდებლად, ისე მსაზღვრელ სახელთან ერთად; შდრ.: „ბაში-აჩუკი“ – მოთხრობა „ბაში-აჩუკი“; „ვაზის ყვავილობა“ – რომანი „ვაზის ყვავილობა“; „გაზაფხული“ – ლექსი „გაზაფხული“; „სულიკო“ – სიმღერა „სულიკო“; „სარკე“ – ჟურნალი „სარკე“; „რეზონანსი“ – გაზეთი „რეზონანსი“; „ქერის უბანი“ – ტელესერიალი „ქერის უბანი“ და ა.შ.

იგივე ითქმის სხვადასხვა ორგანიზაციის სახელწოდებებზეც: „უნივერსალი“ – გამომცემლობა „უნივერსალი“; „ნიკორა“ – მაღაზია „ნიკორა“; „ზედელაშვილი“ – შპს ფირმა „ზედელაშვილი“; „ქრისტიან-დემოკრატები“ – პარტია „ქრისტიან-დემოკრატები“; „გამოუვალი მდგომარეობა“ – ჯგუფი „გამოუვალი მდგომარეობა“...

სათაურებისა და სახელწოდებების მსაზღვრელ სახელებთან (მოთხრობა, რომანი, ლექსი, სიმღერა, ჟურნალი, გაზეთი, ტელესერიალი... გამომცემლობა, მაღაზია, შპს ფირმა, პარტია, ჯგუფი...) ერთად ბრუნების დროს გასათვალისწინებელია შემდეგი წესები:

- ჯერ მსაზღვრელი სახელი იწერება, შემდეგ – სათაური ან სახელწოდება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
მოთხრობა „ბაში-აჩუკი“	„ბაში-აჩუკი“ მოთხრობა
მაღაზია „ნიკორა“	„ნიკორა“ მაღაზია

- იბრუნება, ასევე, თანდებულებსა და ნაწილაკებს დაირთავს სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ერთ- ან ორსიტყვიანი სათაურები და სახელწოდებები. მათი ბრუნება ძირითადად ისეთია, როგორიც საზღვრულისა – შეთანხმებულ მსაზღვრელთან; საკუთრივ,

მსაზღვრელი სახელების ბრუნება პროფესიის აღმნიშვნელი სახელების ბრუნების ანალოგიურია (იხ. ზემოთ); მაგ.:

სახ.:	ლექსი „სულიკო“	გაზეთი	„ახალი თაობა“
მოთ.:	ლექსმა „სულიკომ“	გაზეთმა	„ახალმა თაობამ“
მიც.:	ლექს „სულიკოს“	გაზეთ	„ახალ თაობას“
ნათ.:	ლექს „სულიკოსი“	გაზეთ	„ახალი თაობის“
მოქმ.:	ლექს „სულიკოთი“	გაზეთ	„ახალი თაობით“
ვით.:	ლექს „სულიკოდ“	გაზეთ	„ახალ თაობად“
წოდ.:	ლექსო „სულიკო“	გაზეთო	„ახალო თაობა“

- დაუშვებელია სათაურისა და სახელწოდებისგან ბრუნვის ნიშნის, თანდებულისა თუ ნაწილაკის დეფისით გამოყოფა ან ბრჭყალების გარეთ დაწერა; ისინი ყოველთვის ბრჭყალებში უნდა იყოს მოქცეული; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
მაღაზია **“ნიკორას“**	მაღაზია „ნიკორა“-ს
მოთხრობა **„სათაგურში“**	მოთხრობა „სათაგურ“-ში
ჟურნალი **„სარკეც“**	ჟურნალი „სარკე“-ც

- სათაური არ იბრუნება – უცვლელი ფორმითაა, თუ:

– სხვა ბრუნვით (არა სახელობითით) არის გადმოცემული: **„ჩონგურს“, „ჩემს ვარსკვლავს“, „ჰე, მეეტლევ!“...**

– ნარ-/თანიან მრავლობითშია: **„სწავლანი“, „მთანი მაღალნი“, პასუხი შვილთა“...**

– თანდებულიანია: **„წერილი რედაკტორთან“; „ღამე ყაბახზედ“, „სარჩობელაზედ“...**

– მთელი წინადადებით ან ზმნის პირიანი ფორმით არის წარმოდგენილი: **„რად ჰყვედრი კაცსა?!“ „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“ „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“; „მიწაა!“ „არ დაიდარდო“...**

- როცა სათაური უცვლელია, ბრუნვის ნიშნებს, ასევე, თანდებულსა და ნაწილაკს დაირთავს მსაზღვრელი სახელი; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
მოთხრობას „სარჩობელაზედ“	მოთხრობა „სარჩობელაზედს“
წერილზე „ვიცინოთ თუ ვიტიროთ?!“	წერილ „ვიცინოთ თუ ვიტიროთზე?!“
მოთხრობაშივე „სარჩობელაზედ“	მოთხრობა „სარჩობელაზედშივე“

სავარჯიშოები

5.5.2.5.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ფეხბურთის სკოლა "შევარდენი-ში" დირექციამ თათბირი გამართა.
2) წიგნმა "ქართლის ცხოვრება“-მ ისტორიკოსებში დიდი ინტერესი გამოიწვია.
3) გუნდ "ცისარტყელა"-ში დღეს ახალი წევრი მიიღეს.
4) სასადილო "გემო-მ" ექსკურსანტებს უმასპინძლა.
5) უახლოეს მომავალში "დინამო"-თი მოიწონებენ თავს გულშემატკივრები.
6) საბავშვო ქალაქმა "ცისარტყელა" ბავშვები მიიზიდა.
7) აბა, გაიხსენე, ვინ არის გამომცემლობა "ჩვენი სანჯე"-ს დამაარსებელი?
8) ჯგუფ "ყველა"-ს დღეს ყველა იცნობს.
9) კაფე "ცაცხვებშის" სახურავი დაზიანებულია.
10) ლექს "გაზაფხული-ს" ავტორია ილია ჭავჭავაძე.

5.5.2.5.2. ფრჩხილებში ჩასმული სათაურები და სახელწოდებები საჭირო ფორმით მიუსადაგეთ წინადადებებს.

ა)

1) /რესტორანი "სანავარდო"/ მრავალფეროვანი მენიუ აქვს.
2) /სიმღერა "საწყალი კურდღელი"/ ავტორი მერი დავითაშვილია.
3) /ლექსი "ყაყაჩო"/ პატარები ერთი მოსმენით სწავლობენ.
4) ის წლების განმავლობაში (ჟურნალი "საქართველოს ქალი") რედაქტორი იყო.
5) დამელოდე /მაღაზია "გუდვილი"/ შესასვლელთან.
6) /ფაბრიკა "აისი"/ დიდი მოგება მიიღო აბრეშუმის ქსოვილების წარმოებიდან.
7) /ანსამბლი "რუსთავი"/ რეპერტუარი ძირითადად ქართული ხალხური სიმღერებისაგან შედგება.

ბ)
1) /კაფე "შემოიხედე, გენაცვალე!"/ ცივი სასმელები გააძვირა.
2) ეს სამარშრუტო ტაქსი აუცილებლად გამოივლის /კლუბი "ჯანმრთელი ცხოვრება"/.
3) /მაღაზია "ყველაფერი ბავშვებისათვის"/ გამყიდველს დღეს გაუმართლა.
4) /ჟურნალი „ვაზი ჯვარისა“/ ბევრი მკითხველი ჰყავს.
5) /საცურაო აუზი "დელფინი“/ დღეს სანიტარული შემოწმება ჩატარდა.
6) /წიგნი „ქართლის ცხოვრება“/ სრული წარმოდგენა გვექმნება ჩვენი ქვეყნის წარსულზე.
7) /კურორტი „წყალტუბო“/ დამსვენებლები დღეს ექსკურსიაზე მიდიან.

5.5.2.5.3. აირჩიეთ სწორი ფორმები.
1) ჟურნალ „ცისკარმა" თავიდანვე ბევრი მკითხველი გაიჩინა.
2) ჟურნალმა „ცისკარმა" თავიდანვე ბევრი მკითხველი გაიჩინა.

3) რა აზრის ხარ ნ. ბარათაშვილის ლექს „შემოღამება მთაწმინდაზე"?
4) რა აზრის ხარ ნ. ბარათაშვილის ლექსზე „შემოღამება მთაწმინდაზე"?

5) რესტორნის „თაღლაურა" ხინკალი სანაქებოა.
6) რესტორან „თაღლაურას" ხინკალი სანაქებოა.

7) მინერალურ წყალ „ბორჯომს" ბევრი მომხმარებელი ჰყავს.
8) მინერალური წყალი „ბორჯომს" ბევრი მომხმარებელი ჰყავს.

9) როგორც გავიგე, მოთხრობის „ამოდის, ნათდება!" ავტორი ვაჟა-ფშაველაა.
10) როგორც გავიგე, მოთხრობა „ამოდის, ნათდებას" ავტორი ვაჟა-ფშაველაა.

11) პიესა „კაკალ გულშის" პრემიერა ოცი წლის წინ შედგა.
12) პიესის „კაკალ გულში" პრემიერა ოცი წლის წინ შედგა.

13) ვფიქრობ ა. ჭავჭავაძის ლექსზე „ვიწყო წერა მაჯამით".
14) ვფიქრობ ა. ჭავჭავაძის ლექს „ვიწყო წერა მაჯამითზე".

15) გაზეთ „ქუჯის" სარედაქციო სვეტში სენსაციურ მოვლენაზე წერენ.
16) გაზეთი „ქუჯის" სარედაქციო სვეტში სენსაციურ მოვლენაზე წერენ.

5.5.2.6. გეოგრაფიული სახელები

გეოგრაფიული სახელების მართლწერასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი წესები:

• თანხმოვანფუძიან გეოგრაფიულ სახელებს წოდებითში ექნებათ **-ო** დაბოლოება, ხოლო ხმოვანფუძიანებს – **-ვ** ან **-0**; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
თბილისო!	თბილისი!
კახეთო!	კახეთი!
იმერხევო!	იმერხევი!
ფერეიდანო!	ფერეიდანი!
მცხეთავ! /მცხეთა!	მცხეთაო!
ხანძთავ! /ხანძთა!	ხანძთაო!
ზვარევ! /ზვარე!	ზვარეო!
შრომშავ! /შრომშა!	შრომაო!

• იკვეცება:

– **ა** ხმოვანზე დაბოლოებული ქართული და უცხო გეოგრაფიული სახელები, შდრ.:

		სწორია:	შეცდომაა:
მცხეთა	–	**მცხეთის** (გზა)	მცხეთას (გზა)
მარაბდა	–	**მარაბდის** (ტყე)	მარაბდას (ტყე)
სინა	–	**სინის** (მთა)	სინას (მთა)
აფრიკა	–	**აფრიკის** (მკვიდრი)	აფრიკას (მკვიდრი)
ხიროსიმა	–	**ხიროსიმის** (ტყე)	ხიროსიმას (ტყე)

ჟენევა	–	ჟენევის (კონგრესი)	ჟენევას (კონგრესი)

– ე ხმოვანზე დაბოლოებული ქართული გეოგრაფიული სახელები:

		სწორია	შეცდომაა
სამშვილდე	–	სამშვილდის (ტყე)	სამშვილდეს (ტყე)
სამცხე	–	სამცხის (მთავარი)	სამცხეს (მთავარი)
ოძრხე	–	ოძრხის (გზა)	ოძრხეს (გზა)
ზვარე	–	ზვარის (წყალი)	ზვარეს (წყალი)
ბოდბე	–	ბოდბის (ღამე)	ბოდბეს (ღამე)...

გამონაკლისებია – საერთო წესს არ ექვემდებარება – სკანდე[18] და ხალდე;[19] შდრ.: (სოფ.) სკანდეს ძეგლები, ხალდეს ისტორია...

- უკვეცელია:

– ო, უ ხმოვნებზე დაბოლოებული ქართული და უცხო გეოგრაფიული სახელები; მაგ.:

საქართველო – საქართველოს(ი); საზანო – საზანოს(ი), საჯავახო – საჯავახოს(ი)...

მონაკო – მონაკოს(ი); მაროკო – მაროკოს(ი), ოჰაიო – ოჰაიოს(ი)...

დვაბზუ – დვაბზუს(ი)... ტარტუ – ტარტუს(ი), ურარტუ – ურარტუს(ი)...

– ი ხმოვანზე დაბოლოებული უცხო გეოგრაფიული სახელები:

დელი – დელიში, ტრიპოლი – ტრიპოლიში, მაიამი – მაიამიში...

– ე-ზე დაბოლოებული უცხოური გეოგრაფიული სახელები: ჩილე – ჩილესი; პირენე – პირენესი...

გამონაკლისია ეგვიპტე (ეგვიპტ-ის), რომელშიც ფუძისეული ე არ არის უცხო წარმოშობისა.

- იკუმშება თანხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელების გარკვეული ნაწილი, რომლის ფუძეც ბოლოვდება -არ, -ან, -ელ, -ორ მარცვლებზე; მაგ.:

ქსანი – ქსნის, წილკანი – წილკნის, ყვარელი – ყვარლის, ნატახტარი –ნატახტრის, ცხენისწყალი – ცხენისწყლის, ციხისჯვარი – ციხისჯვრის, მაქათუბანი – მაქათუბნის...

შდრ.: ქარელი – ქარელის, კოდორი – კოდორის, გომბორი – გომბორის, მისაქციელი – მისაქციელის, ნასაკირალი – ნასაკირალის...

- ორმაგი ან სამმაგი და ა.შ. გეოგრაფიული სახელების შემთხვევაში ბრუნვის ნიშნებს დაირთავს ფუძის ბოლო შემადგენელი ნაწილი; წინა ნაწილი / ნაწილები ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი; მაგ.: ვაკე-საბურთალო, გლდან-ნაძალადევი, ისან-სამგორი, ანანურ-ფასანაური, ხაშურ-სურამი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, რაჭა-ლეჩხუმ-ჯავახეთი და სხვ.

- მიუღებელია:

– ერთი და იმავე გეოგრაფიული სახელის ფუძის ორმაგად წარმოება; შდრ.:

---

[18] სკანდე – სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდინარე ჩხარის ხეობაში. ზღვის დონიდან 400 მ. თერჯოლიდან 15 კმ.; 2002 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში ცხოვრობს 561 ადამიანი.
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94
მოძიებული: 2.09.2019

[19] ხალდე – სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მესტიის მუნიციპალიტეტში, კალას თემში; მდებარეობს ჩხუტნერის ქედის სამხრეთით, ხალდეჭალის ხეობაში, ზღვის დონიდან 1900 მ. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში არავინ ცხოვრობს.
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94 მოძიებული: 2.09.2019.

სწორია:	შეცდომაა:
სომხეთი	სასომხეთი
სერბეთი	სასერბეთი

– ბარბარიზმების – გეოგრაფიულ სახელთა რუსული ვარიანტების გამოყენება, ნორმატიული, -ეთ სუფიქსით წარმოების ნაცვლად, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ყაზახეთი	ყაზახისტანი
უზბეკეთი	უზბეკისტანი
მოლდავეთი	მოლდოვა
უნგრეთი	ვენგრია

სავარჯიშოები

5.5.2.6.1. შეუპირისპირეთ წყვილები. იპოვეთ მცდარი ფორმები და გაასწორეთ.

1) მე ყვარლიდან ვარ.
2) ქარლის რაიონში რთველი გრძელდება.

3) მომიტინგეები სამტრედიადან ჩამოვიდნენ.
4) საფიჩხიიდან პოლიციის შენობამდე გზა გადაკეტილი იყო.

5) სამცხის სოფლები ისტორიული ბედუკუღმართობის გამო დაცარიელდა..
6) სოფელ ზვარეს მოსახლეობა საპატიო სტუმართან შესახვედრად ემზადება.

7) თბილისი... ჩემი გული შენ გეკუთვნის!..
8) გემშვიდობები, სიღნაღო – სიყვარულის ქალაქო!

9) მცხეთაო, საქართველოს ძველი დიდება ხარ!..
10) მთაწმინდა, ქართველი ერის შვილები შენს სავანეში განისვენებენ!

5.5.2.6.2. წინადადებებს მიუსადაგეთ ფრჩხილებში ჩასმული ფორმები.

1) /ქსანი/ ხეობა გაზაფხულზე განსაკუთრებით ლამაზია.
2) /სინა/ მთის მონასტერი შუა საუკუნეებში ქართული კულტურის ძლიერ კერას წარმოადგენდა.
3) სევასტოპოლსა და /მაიამი/ ერთდროულად ჩატარდა ინფორმატიკოსთა საერთაშორისო კონკურსი.
4) /ხალდე/ სკოლის მოსწავლეები საგაზაფხულო ღონისძიებისათვის ემზადებიან.
5) /ნატახტარი/ წყალი განთქმულია.
6) /ბაჩკოვო/ ქართველთა მონასტერი გრიგოლ ბაკურიანის ძემ ააშენა.
7) /დოლისყანა/ მონასტერი საუკუნეებს ითვლის.
8) ადიდებული /ცხენისწყალი/ გადალახვა წარმოუდგენელია.
9) ჩემი ვაჟი /ტარტუ/ უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას.
10) რომანის ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით, /ტრიპოლი/ ვითარდება მოქმედება.

5.5.2.6.3. გაასწორეთ შეცდომები.

1) იმერხევლები, ფშავი-ხევსურეთის მკვიდრთა მსგავსად, მესაქონლეობას მისდევენ.
2) ყაზახისტანში ენათმეცნიერთა საერთაშორისო სემინარი მიმდინარეობს.
3) სასომხეთი კავკასიის რეგიონს ეკუთვნის.
4) ჟენევას სამიტმა მშვიდ ატმოსფეროში ჩაიარა.
5) სერბიას დედაქალაქში მოდის კვირეულისთვის ემზადებიან.
6) მესხეთი-ჯავახეთს ისეთი ისტორია აქვს, რომ ცალკე წიგნად დაიწერება.
7) უზბეკისტანი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანაა.
8) კუნძულ ხიროსიმას მოსახლეობას მკაცრი ზამთარი ემუქრება.
9) ჩვენი მოგზაურობა ფრანკფურტიში დასრულდა.
10) სოფელ ხალდის ისტორიამ ბევრ საიდუმლოს ახადა ფარდა.
11) ჩემს მეგობარს დელში ერთთვიანი მივლინება გაუფორმეს.
12) ისან-სამგორის რაიონის გამგებელი დღეს სოფ. შილდას მცხოვრებთა მოწოდებას გამოეხმაურა.

ტესტი N 5.5.2.

საკუთარ სახელთა ბრუნება:

- პირთა სახელები
- გვარები
- სახელისა და გვარის / ზედწოდების ერთად ბრუნება
- პროფესიის აღმნიშვნელი სახელის პირის სახელთან /გვართან ერთად ბრუნება
- სათაურები და სახელწოდებები
- გეოგრაფიული სახელები

1. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

ა) ბებია ხორეშანისა და ბაბუა ალექსანდრეს სტუმარმა კაკლის ჩრდილში მოსვენება არჩია;

ბ) ბებია ხორეშნისა და ბაბუა ალექსანდრის სტუმარმა კაკლის ჩრდილში მოსვენება არჩია.

2. შემოხაზეთ ის წინადადება, რომელშიც შეცდომაა.

ა) ეს რომანი ჩვენი დროის ჯაყოებსაც ამხელს;

ბ) ჩემი და ნინოს მათეები ერთად გაიწვიეს ჯარში.

3. შემოხაზეთ ორი სწორი ვარიანტი.

ა) ჯემალმა შინ დაბრუნებულ ზურაბს წვეულება გაუმართა;

ბ) ჯემალიმ შინ დაბრუნებულ ზურაბის წვეულება გაუმართა.

გ) აკაკიმ ჭადრაკის თამაში არ იცის.

დ) აკაკმა ჭადრაკის თამაში არ იცის;

4. რომელია მცდარი?

ა) ვახტანგო, არ დააგვიანო სკოლაში!

ბ) ვახტანგ, არ დააგვიანო სკოლაში!

5. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

ა) აქედან იწყებოდა ამილახვარების მამული;

ბ) აქედან იწყებოდა ამილახვრების მამული.

6. რომელია სწორი?

ა) ახმეტელების ოჯახში საინტერესო სტუმრები იკრიბებოდნენ;

ბ) ახმეტელების ოჯახში საინტერესო სტუმრები იკრიბებოდნენ.

7. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

ა) ა. წერეთელის N 25-ში მეორეული ტანსაცმლის მაღაზია გაიხსნა;

ბ) ა. წერეთლის N 25-ში მეორეული ტანსაცმლის მაღაზია გაიხსნა.

8. რომელია სწორი?

ა) უთუოდ გასაზიარებელია თამარ ცაგარელის პედაგოგიური გამოცდილება;

ბ) უთუოდ გასაზიარებელია თამარ ცაგარლის პედაგოგიური გამოცდილება.

9. რომელია მცდარი?

ა) ია ბაგრატიონმა-მუხრანელმა საინტერესო ინფორმაცია მოამზადა ტელემაყურებელთათვის;

ბ) ია ბაგრატიონ-მუხრანელმა საინტერესო ინფორმაცია მოამზადა ტელემაყურებელთათვის.

10. შემოხაზეთ გვარებით მიმართვის ის ვარიანტი, რომელშიც ორი შეცდომაა.

ა) მიქაბერიძევ! ლიჩელი! საღლიანო! პუშკინო! გარიბალდო! დანტე!

ბ) ხვიჩია! დადიანი! ტატიშვილო! რეიგან! ბოტიჩელი! სტიუარტო!

11. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

ა) ფეხბურთის გულშემატკივრებს ახსოვთ მაჩაიძესა და დარასელიის გატანილი გოლები;

ბ) ფეხბურთის გულშემატკივრებს ახსოვთ მაჩაიძისა და დარასელიას გატანილი გოლები.

12. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

ა) ახმატოვაებთან შეხვედრა ტოლსტოიების საგვარეულო მამულში შედგა;

ბ) ახმატოვებთან შეხვედრა ტოლსტოების საგვარეულო მამულში შედგა.

13. რომელია სწორი?

ა) ელენ ახვლედიანის ნახატებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა;

ბ) ელენე ახვლედიანის ნახატებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

14. აირჩიეთ ორი მცდარი წინადადება.

ა) დადიან ლევანმა მრისხანებით დაიმორჩილა მოწინააღმდეგენი;

ბ) დადიანმა ლევანმა მრისხანებით დაიმორჩილა მოწინააღმდეგენი;

გ) დადიანი ლევანიმ მრისხანებით დაიმორჩილა მოწინააღმდეგენი;
დ) ლევან დადიანმა მრისხანებით დაიმორჩილა მოწინააღმდეგენი.

15. რომელია ნორმატიული ვარიანტი?

ა) ამ კლასში ეთერი ქსოვრელის გაკვეთილი მიმდინარეობს;
ბ) ამ კლასში ეთერ ქსოვრელის გაკვეთილი მიმდინარეობს.

16. შემოხაზეთ მცდარი წინადადება.

ა) მერაბი ჩხეიძეს ყველა იცნობს;
ბ) მერაბ ჩხეიძეს ყველა იცნობს.

17. აირჩიეთ ორი სწორი წინადადება.

ა) დავით კურაპალატს ბიზანტიის დასახმარებლად ჯარი გაუგზავნია;
ბ) დავითს კურაპალატს ბიზანტიის დასახმარებლად ჯარი გაუგზავნია;
გ) დავითს, კურაპალატს, ბიზანტიის დასახმარებლად ჯარი გაუგზავნია.

18. რომელია სწორი?

ა) საუკუნეებმა შემოგვინახეს გიორგი ბრწყინვალეს სახელი;
ბ) საუკუნეებმა შემოგვინახეს გიორგი ბრწყინვალის სახელი.

19. შემოხაზეთ სიის ის ვარიანტი, რომელშიც ორი შეცდომაა.

ა)	ბ)
აბულაძე თამაზი	აგლაძე მერაბ
ბერაია ვასილ	ბოკუჩავა ზურაბი
გიოშვილი თამარი	გოგიაშვილი ნანა
კარტაშოვ ალბერტ	კარაპეტიანი რომეო
ნეკრასოვი დიმიტრი	ჩერნიშევსკი ალექსანდრ
ღვამიჩავა დავითი	ღოღობერიძე ბესარიონ

20. შემოხაზეთ ნორმატიული ვარიანტი.

ა) მე ვარ ნუგზარი გიორგი ქუთათელაძის ძე;
ბ) მე ვარ გიორგის ძე ნუგზარი ქუთათელაძე;
გ) მე ვარ ნუგზარ გიორგის ძე ქუთათელაძე.

21. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

ა) დრამატურგმა ს. კარანაძემ პიესა დაწერა თინა წავკისელის, მაია წყნეთელისა და თევდორე მღვდლის თავდადებაზე;
ბ) დრამატურგმა ს. კარანაძემ პიესა დაწერა თ. წავკისელის, მ. წყნეთელისა და თ. მღვდლის თავდადებაზე.

22. რომელია სწორი?

ა) პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლას საზოგადოების მხრიდან მწვავე შეფასება მოჰყვა;
ბ) პრეზიდენტი სააკაშვილის გამოსვლას საზოგადოების მხრიდან მწვავე შეფასება მოჰყვა.

23. რომელია მცდარი?

ა) ქალბატონი ნათელა ბატონ ალექსანდრეს მეუღლეა;
ბ) ქალბატონი ნათელა ბატონი ალექსანდრეს მეუღლეა.

24. შემოხაზეთ სწორი წინადადება.

ა) შეთქმულების მონაწილენი პროფესორი დავითაძეს ბინაში იკრიბებოდნენ;
ბ) შეთქმულების მონაწილენი პროფესორ დავითაძეს ბინაში იკრიბებოდნენ;
გ) შეთქმულების მონაწილენი პროფესორ დავითაძის ბინაში იკრიბებოდნენ.

25. შემოხაზეთ მცდარი წინადადება.

ა) მამაო სპირიდონის მრევლი ნათლობაზეა;
ბ) მამა სპირიდონის მრევლი ნათლობაზეა.

26. აირჩიეთ სწორი წინადადება.

ა) დედები სააღდგომო პასკით გაგვიმასპინძლდნენ;
ბ) დედაოები სააღდგომო პასკით გაგვიმასპინძლდნენ.

27. რომელია სწორი?

ა) ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში გამორჩეულია „სათაგური" მოთხრობა;
ბ) ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში გამორჩეულია მოთხრობა „სათაგური".

28. რომელია მცდარი?

ა) სპექტაკლ „ხანუმა"-ში მსახიობი რ. ჩხეიძე მონაწილეობს;
ბ) სპექტაკლ „ხანუმაში" მსახიობი რ. ჩხეიძე მონაწილეობს.

29. შემოხაზეთ სწორი წინადადება.
ა) რომანი „ჯაყოს ხიზნები-ც“ ჩვენი ისტორიის ნაწილია;
ბ) რომანი „ჯაყოს ხიზნები“-ც ჩვენი ისტორიის ნაწილია;
გ) რომანი „ჯაყოს ხიზნებიც“ ჩვენი ისტორიის ნაწილია.
30. შემოხაზეთ მცდარი წინადადება.
ა) ფილმ „არ დაიდარდოში“ რამდენიმე საინტერესო ეპიზოდია.
ბ) ფილმში „არ დაიდარდო“ რამდენიმე საინტერესო ეპიზოდია.
31. შემოხაზეთ ნორმატიული ვარიანტი.
ა) გაზეთმა „ქუჯიმ“ თავიდანვე ბევრი მკითხველი გაიჩინა;
ბ) გაზეთ „ქუჯიმ“ თავიდანვე ბევრი მკითხველი გაიჩინა.
32. რომელია სწორი?
ა) სპექტაკლშივე „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ მ. ჯინორიამ ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა.
ბ) სპექტაკლ „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინესშივე“ მ. ჯინორიამ ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა.
33. რომელია მცდარი?
ა) პოემა „ბედი ქართლისაზე“ ხშირად გვიკამათია;
ბ) პოემაზე „ბედი ქართლისა“ ხშირად გვიკამათია.
34. შემოხაზეთ ნორმატიული ვარიანტი.
ა) სიმღერა „სულიკოს“ ყველგან მღერიან;
ბ) სიმღერას „სულიკო“ყველგან მღერიან.
35. რომელია მცდარი?
ა) გურჯაანო, შენ კახეთის გული ხარ!
ბ) გურჯაანი, შენ კახეთის გული ხარ!
36. შემოხაზეთ სწორი წინადადება.
ა) მარაბდის ბრძოლაში ქართველები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ;
ბ) მარაბდას ბრძოლაში ქართველები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.
37. შემოხაზეთ მცდარი წინადადება.
ა) სამცხეს დიდებულებმა ერთგულება შეჰფიცეს მეფეს;
ბ) სამცხის დიდებულებმა ერთგულება შეჰფიცეს მეფეს.
38. აირჩიეთ სწორი პასუხი და დაასრულეთ წესი.
ე-ზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელთაგან გამონაკლისებია **სკანდე და ხალდე**, რომლებიც:
ა) იკვეცება;
ბ) არ იკვეცება.
39. მონიშნეთ ნორმატიული ფრაზა.
ა) ეგვიპტეს უდაბნო;
ბ) ეგვიპტის უდაბნო.
40. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც შეცდომა არ არის.
ა) ქსნის, ცხენისწყალის, ივრის, მტკვრის, ალაზნის;
ბ) წილკნის, მაქათუბნის, ქარელის, ყვარლის, კოდორის.
41. აირჩიეთ სწორი პასუხი.
სასომხეთი, ყაზახისტანი და მოლდოვა
ა) ნორმატიული ფორმებია;
ბ) არანორმატიული ფორმებია.
42. შემოხაზეთ მცდარი წინადადება.
ა) ისანი-სამგორის რაიონი ქალაქის ორ ადმინისტრაციულ ერთეულად დაიყო;
ბ) ისან-სამგორის რაიონი ქალაქის ორ ადმინისტრაციულ ერთეულად დაიყო.
43. შემოხაზეთ უშეცდომო ფრაზა.
ა) მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიცია;
ბ) მესხეთი-ჯავახეთის ექსპედიცია.

5.6. არსებით სახელთა წარმოება

5.6.1. -ება და -ირ+ება აფიქსებით ნაწარმოები სახელები

უცხო სიტყვათა ლექსიკონში ზოგ -ცია [tion] დაბოლოების მქონე ტერმინს მოეპოვება ქართული ეკვივალენტები, რომლებიც განსხვავდება წარმოების წესით, კერძოდ:

- თუ საწარმოებელი უცხო ფუძე მარტივია, ქართული ეკვივალენტი მიიღება შერეული წარმოების გზით: უცხო -ირ და ქართული -ება აფიქსების კომბინაციით – ირ+ება; მაგ.:

რეგისტრაცია – რეგისტრ-ირ-ება /რეგისტრ-ირ-ებ-ული
რეგულაცია – რეგულ-ირ-ება /რეგულ-ირ-ებ-ული
რედაქცია – რედაქტ-ირ-ება /რედაქტ-ირ-ებ-ული
ინტეგრაცია – ინტეგრ-ირ-ება /ინტეგრ-ირ-ებ-ული
კლასიფიკაცია – კლასიფიც-ირ-ება /კლასიფიც-ირ-ებ-ული
ინფორმაცია – ინფორმ-ირ-ება /ინფორმ-ირ-ებ-ული

ირ+ება აფიქსები მონაწილეობს, ასევე, ზმნური ფორმების წარმოებაში:

სწორია:

რეგისტრირდება – რეგისტრირდა – რეგისტრირდეს – რეგისტრირებულა
რეგულირდება – რეგულირდა – რეგულირდეს – რეგულირებულა
რედაქტირდება – რედაქტირდა – რედაქტირდეს – რედაქტირებულა
ინტეგრირდება – ინტეგრირდა – ინტეგრირდეს – ინტეგრირებულა
კლასიფიცირდება – კლასიფიცირდა – კლასიფიცირდეს – კლასიფიცირებულა
ინფორმირდება – ინფორმირდა – ინფორმირდეს – ინფორმირებულა

არაიშვიათად, საზოგადოების მეტყველებაში გამოიყენება ზემოაღნიშნული ფორმების (და-/მო-/გა-) ზმნისწინიანი ვარიანტები, მაგ.: „დარეგისტრირება“, „მორეგულირდა“, „გარედაქტირებული“, „გაინფორმირდეს“, „დაკლასიფიცირდა“ და სხვ. ეს ფაქტი აიხსნება ქართული ენის მექანიზმის მოქმედებით, კერძოდ: ზმნისწინი აწარმოებს დასრულებული მოქმედების გამომხატველ ფორმებს დაუსრულებელისაგან (ისევე როგორც ქართულენოვანი მასალის შემთხვევაში; შდრ.: წერა – დაწერა; ძებნა – მოძებნა; კეთება – გაკეთება; კეთებულა – გაკეთებულა...).

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნულ უცხო ტერმინთა ზმნისწინიანი ეკვივალენტები ჭარბი წარმოებისაა – ის, რა ფუნქციაც ქართულში ზმნისწინს აკისრია (დასრულებული მოქმედების გამომხატველი ფორმების წარმოება) უცხო ძირებით თავისთავად, დამატებითი ელემენტების დართვის გარეშე, გამოხატულია. ამას მოწმობს ტერმინთა განმარტებები უცხო სიტყვათა ლექსიკონში (ჭაბაშვილი, 1989), მაგ.:

– რეგისტრაცია და რეგისტრირება [<ლათ. registrum სია]1. დავთარში ჩაწერა,[20] სიაში, რეესტრში შეტანა. 2. რაიმე მოვლენის, ფაქტის ჩაწერა, აღნიშვნა აღრიცხვის ან ფაქტისათვის კანონიერი ძალის მინიჭების მიზნით (გვ. 427);

– რეგულირება და რეგულაცია [< ლათ. regulo ვაწესრიგებ] 1. რისამე გარკვეული წესით წარმართვა, მოწესრიგება... (გვ. 428);

– რედაქცია [ფრანგ. redaction] – ხელნაწერი ტექსტის გასწორება... დამუშავება და მომზადება დასაბეჭდად... (გვ. 428) და სხვ.

---

[20] ხაზი ჩვენია (ი.ვ., ტ.ფ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს **-ცია** [tion] დაბოლოების მქონე ტერმინთა ჭარბი წარმოების (ზმნისწინიანი) ეკვივალენტები.

შეცდომაა:

დარეგისტრირება – დარეგისტრირებული; დარეგისტრირებულა – დარეგისტრირდა – დარეგისტრირდეს;

და-/მორეგულირება – და-/მორეგულირებული; და-/მორეგულირებულა – და-/მორეგულირდა – და--/მორეგულირდეს;

გარედაქტირება – გარედაქტირებული; გარედაქტირებულა – გარედაქტირდა – გარედაქტირდეს;

დაინფორმირება – დაინფორმირებული; დაინფორმირებულა – დაინფორმირდა – დაინფორმირდეს;

დაკლასიფიცირება – დაკლასიფიცირებული; დაკლასიფიცირებულა – დაკლასიფიცირდა – დაკლასიფიცირდეს...

- თუ საწარმოებელი უცხო ფუძე **ნაწარმოებია, -იზ** აფიქსიანია, დაერთვის მხოლოდ ქართული **-ება** სუფიქსი; მაგ.:

დემოკრატიზაცია – **დემოკრატიზ-ება**
კანონიზაცია – **კანონიზ-ება**
კონკრეტიზაცია – **კონკრეტიზ-ება**
მექანიზაცია – **მექანიზ-ება**
მობილიზაცია – **მობილიზ-ება**
სისტემატიზაცია – **სისტემატიზ-ება**
სპეციალიზაცია – **სპეციალიზება**
სტაბილიზაცია – **სტაბილიზ-ება**
ცენტრალიზაცია – **ცენტრალიზ-ება** ...

მარტივფუძიანი უცხო ტერმინების ქართულ ეკვივალენტთა ანალოგიით არის გაჩენილი უმართებულო ფორმები; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
დრამატიზება	დრამატიზირება
კანონიზება	კანონიზირება
კონკრეტიზება	კონკრეტიზირება
მექანიზ-ება	მექანიზირება
მობილიზ-ება	მობილიზირება
სისტემატიზება	სისტემატიზირება
სპეციალიზება	სპეციალიზირება
სტაბილიზება	სტაბილიზირება
ცენტრალიზ-ება	ცენტრალიზირება

- ჭარბია და, შესაბამისად – უმართებულო **რეგრესირება, პროგრესირება, რევიზირება, რეესტრირება**... ტიპის ფორმები, რამდენადაც ანალოგიურ მნიშვნელობას **-ირ+ება** აფიქსების დართვის გარეშეც გამოხატავს ტერმინები: **პროგრესი, რეგრესი, რევიზია, რეესტრი** და სხვ.; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
პროგრესი დაიწყო	პროგრესირება დაიწყო
რეგრესი განიცადა	რეგრესირება განიცადა
საჭიროა რეესტრი	საჭიროა რეესტრირება

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
დემოკრატიზაცია დემოკრატიზება	დემოკრატიზირება	დრამატიზაცია დრამატიზება	დრამატიზირება
ინტეგრაცია ინტეგრირება	მოინტეგრირება	კანონიზაცია კანონიზება	კანონიზირება
კლასიფიკაცია კლასიფიცირება	დაკლასიფიცირება	კონკრეტიზაცია კონკრეტიზება	კონკრეტიზირება
მექანიზაცია /მექანიზება	მექანიზირება	მობილიზაცია მობილიზება	მობილიზირება
პროგრესი	პროგრესირება	რეგისტრაცია რეგისტრირება	დარეგისტრირება
რეგრესი	რეგრესირება	რეგულაცია რეგულირება	დარეგულირება მორეგულირება
რედაქცია რედაქტირება	გარედაქტირება	რეესტრი	რეესტრირება
რევანში	რევანშირება	რევიზია	რევიზირება
რეიდი	რეიდირება	რეისი	რეისირება
რეკეტი	რეკეტირება	რემონტი	რემონტირება
სისტემატიზაცია სისტემატიზება	სისტემატიზირება	სპეციალიზაცია სპეციალიზება	სპეციალიზირება
სტაბილიზაცია სტაბილიზება	სტაბილიზირება	ცენტრალიზაცია ცენტრალიზება	ცენტრალიზირება

სავარჯიშოები

5.6.1.1. ხაზგასმით გამოყავით ნორმატიული ვარიანტები.

1) გთხოვთ *რეგისტრირდეთ /დარეგისტრირდეთ /გაიაროთ რეგისტრაცია.*
2) სამშვიდობო ძალები იბრძვიან ვითარების *სტაბილიზებისათვის / სტაბილიზირებისათვის / სტაბილიზაციისათვის.*
3) დაიწყო საომარი მოქმედებების *დარეგულირება / მორეგულირება / რეგულაცია / რეგულირება.*
4) მომხსენებლის გასაგონად ვიტყვი, რომ საჭიროა საკითხის უფრო *კონკრეტიზება / კონკრეტიზაცია / კონკრეტიზირება.*
5) ჩვენ ვიწყებთ ნაშრომის შავი პირის *რედაქტირებას / გარედაქტირებას / რედაქციას.*
6) ისინი არ ეთანხმებიან ამ პუნქტის *კანონიზირებას / კანონიზაციას / კანონიზებას.*
7) ეს სიახლე ხელს შეუწყობს აუტიზმის მქონე ბავშვების საზოგადოებასთან *ინტეგრაციას / ინტეგრირებას / მოინტეგრირებას.*
8) შეეცადეთ სიტუაციის განმუხტვას და არა *დრამატიზებას / დრამატიზირებას / გადრამატიზებას.*
9) დროა შევუდგეთ ექსპედიციის მასალების *კლასიფიცირებას / დაკლასიფიცირებას / კლასიფიკაციას.*
10) გიორგიმ სწავლა განაგრძო *სპეციალიზებულ / სპეციალიზირებულ* სასწავლებელში.

5.6.1.2. გაასწორეთ შეცდომები.

1) საჭიროა დოკუმენტის რეესტრირება.
2) მოხუცის ავადმყოფობამ პროგრესირება განიცადა.
3) წარმატებული გამოდგა კერძო ავიაკომპანიის რეისირება დასავლეთის მიმართულებით.
4) მენეჯერმა სახელშეკრულებო სტანდარტების რევიზირება გადაწყვიტა.
5) დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგად დაიწყო ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული რეგრესირება.
6) დამარცხებულმა გუნდმა თავი არ დაზოგა მოწინააღმდეგესთან რევანშირებისათვის.
7) სჯობს თავი შეიკავოთ რევერანსირებისაგან: ამ ქალბატონს გადაჭარბებული არაფერი მოსწონს.
8) დილის ექვს საათამდე გრძელდებოდა პატრულ-ინსპექტორთა რეიდირება სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში.
9) იმ ბნელ 90-იან წლებში ხშირი იყო მოსახლეობის რეკეტირება ქალაქის ქუჩებში.
10) ეს სახლი ისე დაძველდა, რომ რემონტირებაც ვეღარ უშველის.

5.6.2. მრავლობითის -ებ სუფიქსით ნაწარმოები სახელები

ცნობილია ზოგი ქართული და უცხო სიტყვა, რომლებიც მხოლოდ მრავლობითის ფორმით გამოიყენება, მაგ.: **ბატონები, ყვავილბატონები, ჩვენები, თქვენები, ახალუხლები... ფინანსები, კულისები, მემუარები, დებატები...**

გარკვეულ სიტყვებს, მიუხედავად იმისა, რომ **-ებ** სუფიქსი დაერთვის, მრავლობითის გაგება არა აქვს; ასეთია, მაგ.:

ა) უცხო სიტყვები – **აპლოდისმენტები, რეიტუზები, ტრუსები, შორტები, ჯინსები, ჯუნგლები...** ეს ფორმები გაჩნდა იმ შუალობითი თუ უშუალო მსესხებელი ენების გავლენით, რომლებშიც სათანადო მხოლოობითის ფორმები არ მოიპოვება; შდრ.:

აპლოდისმენტები	<– რუს. аплодисменты (მრ.),	<– ფრანგ. applaudissements (მრ.)
რეიტუზები	<– რუს. рейтузы (მრ.),	<– გერმ. Reithoze (მხ.)
ტრუსები	<– რუს. трусы (მრ.)	
შორტები	<– რუს. шорты (მრ.),	<– ინგლ. shorts (მრ.)
ჯინსები	<– რუს. джинсы (მრ.),	<– ინგლ. jesns (მრ.)
ჯუნგლები	<– რუს. джунгли (მრ.),	<– ინგლ. jungle (მხ.)

ანალოგიურია **ოვაციები**; შდრ.: **ოვაცია** [ლათ. ovatio] – მოწონების, აღტაცების კოლექტიური გამოხატვა მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 47).

ბ) ქართული სიტყვები – **სათვალეები, არდადეგები, არჩევნები**. ამათგან პირველი გამოიყენება ორივე ფორმით: **სათვალე – სათვალეები**. უფრო ტრადიციულია **სათვალე**, რომელიც დასტურდება ს.ს. ორბელიანის ლექსიკონში (ორბელიანი 1966, გვ. 32); **სათვალეები** კი მოგვიანებით გაჩნდა რუსულის გავლენით, რომელშიც ეს სიტყვა მხოლოდ მრავლობითის ფორმით არის (очки).

რაც შეეხება **არდადეგებსა** და **არჩევნებს**: ამ ფორმათა მნიშვნელობები მხოლოობითის ფორმებისაგან განსხვავებულია; შდრ.:

არდადეგი – არქაიზმი: "არდადეგი არს, რა მკათათვეში მზე ლომზე შევალს, ვიდრე მის გამოცვლამდე... ოცდაათი დღენი" (საბა), – ერთი თვე, ზაფხულის ბუნიაობიდან (23 ივნისიდან) დაწყებული (ქეგლ-ი 1950, გვ. 556);[21]

არდადეგები – "დრო, რომლის განმავლობაში სასწავლებლებში მეცადინეობა შეწყვეტილია, მოსწავლეები დათხოვილი არიან" (იქვე).

არჩევანი – "არჩევის უფლება, შესაძლებლობა"(იქვე, გვ. 582);

არჩევნები – "ხმის მიცემით არჩევა წარმომადგენლებისა ან თანამდებობის პირთა" (იქვე, გვ. 583).

ქართული სალიტერატურო ნორმების გათვალისწინებით, გამოიყოფა ზემოაღნიშნულ სიტყვათა სამი ჯგუფი:

- სახელები, რომლებიც **მხოლოობითის ფორმით** უნდა გამოვიყენოთ (მათ უმართებულოდ, მსესხებელი ენების ანალოგიით აქვთ განვითარებული **ებ**-სუფიქსიანი ფორმები); შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
აპლოდისმენტი	აპლოდისმენტები
კოლგოტი	კოლგოტები
კურანტი[22]	კურანტები
მაკარონი	მაკარონები...

[21] ეს ინფორმაცია გამოყენებული გვაქვს ზემოთაც, კრებითობის გამოხატვაზე მსჯელობისას.

[22] კოშკის ან კედლის ძველებური საათი, რომელიც რეკავს და თან ასრულებს რაიმე პატარა მუსიკალურ ნაწარმოებს (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 267).

• სახელები, რომლებიც მხოლოდ **მრავლობითის ფორმით** უნდა გამოვიყენოთ (იმ ენებში, რომლებიდანაც მომდინარეობენ, მათი მრავლობითის ფორმამ შეიძინა კონკრეტული მნიშვნელობა); შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
დებატები	დებატი
კულისები	კულისი
წითელაბატონები	წითელაბატონი…

• გამონაკლისები: სახელები, რომლებიც ორივე (მხოლ. და მრავ.) ფორმით გამოიყენება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მათი მნიშვნელობები განსხვავებულია:

არდადეგი – არდადეგები; არჩევანი – არჩევნები

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
აპლოდისმენტი	აპლოდისმენტები	დებატები	დებატი
კოლგოტი	კოლგოტები	კულისები	კულისი
კურანტი	კურანტები	მაკარონი	მაკარონები
მემუარები	მემუარი	ოვაცია	ოვაციები
რეიტუზი	რეიტუზები	სათვალე	სათვალეები
ტრუსი	ტრუსები	ფინანსები	ფინანსი
შორტი	შორტები	წითელაბატონები	წითელაბატონი
ჯინსი	ჯინსები	ჯუნგლი	ჯუნგლები

სავარჯიშოები

5.6.2.1. შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით.

1) მაჟორიტარ დეპუტატს ოვაციებით შეხვდნენ მხარდამჭერები.
2) დღეს ცივა და რეიტუზები უნდა ჩაიცვა.
3) მომაბეზრდა ჩემი სათვალეები, სად დავდე, არ მახსოვს.
4) ასეთ ამინდში შორტებით სიარული ვის გაუგონია?!
5) ეს ბავშვები ისე იქცევიან, თავი ჯუნგლებში მგონია.
6) ხვალ დამაბული დღე გვაქვს: პარლამენტის თავმჯდომარის არჩევანია.
7) გარკვევით ვხედავ: ქართველ სპორტსმენს მწვანე ტრუსები აწვია, ინგლისელს კი – ყვითელი.
8) დახეული ჯინსებით სიარული დღეს არავის უკვირს.
9) მეგობრებო, აპლოდისმენტებით შევეგებოთ ჩვენს იუბილარს!
10) ზაფხულის არდადეგი განსაკუთრებულად მიყვარს.

5.6.2.2. იპოვეთ შეცდომები და გაასწორეთ.

1) დღეს მაკარონები მოვამზადე სადილად, ხვალ აღარ ვიცი, რა გავაკეთო.
2) მაუგლის ოჯახი ჯუნგლია.
3) ნინიმ ლურჯი კოლგოტების ჩაცმა არ ისურვა.
4) ზურაბმა პირველი ხელფასით ოქროსფერი სათვალე უყიდა ბებოს.
5) საყოველთაო არჩევანმა ექსცესების გარეშე, მშვიდ ვითარებაში ჩაიარა.
6) ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა ერთმანეთი დებატში გამოიწვიეს.
7) მერიამ სათანადო ფინანსი ვერ გამოყო ძველი თბილისის უბნების რეკონსტრუქციისათვის.
8) ამ საქმეში ჩვენ ვერ ჩავერევით – ეს შენი არჩევანია.
9) ადრე, როცა აცრა არ იყო, ბატონიან ავადმყოფს ვერ შველოდნენ.
10) მწერალმა თავის მემუარში დაწვრილებით ასახა 30-იანი წლების მოვლენები.

ტესტი N 5.6.

არსებით სახელთა წარმოება

- -ება და -ირ+ება აფიქსებით ნაწარმოები სახელები
- მრავლობითის -ებ სუფიქსით ნაწარმოები სახელები

1. შემოხაზეთ სწორი განმარტება.

ზოგი -ცია [tion] დაბოლოების მქონე უცხო ტერმინის ქართულ ეკვივალენტთა საწარმოებლად მნიშვნელოვანია, როგორია თვითონ საწარმოებელი ფუძე:

ა) მარტივი თუ ნაწარმოები;

ბ) მარტივი, ნაწარმოები თუ რთული.

2. რომელია მცდარი?

უცხო ტერმინთა ქართული ეკვივალენტების საწარმოებლად გამოიყენება:

ა) ქართული -ება და შერეული წარმოების -ირ+ება აფიქსები;

ბ) ქართული -ება, შერეული ირ+ება და რთული წარმოების -იზ+ირ+ება აფიქსები.

3. შემოხაზეთ უშეცდომო ვარიანტი.

ა) რეგულირება, რეგულირებული, რეგულირდნენ;

ბ) მორეგულირება, დარეგულირებული, დარეგულირდნენ.

4. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც მხოლოდ ერთი შეცდომაა.

ა) მექანიზება, კლასიფიცირება, კონკრეტიზირება, სპეციალიზება;

ბ) დრამატიზირება, გარედაქტირება, ცენტრალიზირება, დასტაბილიზირება.

5. რომელია ჭარბი წარმოების ფორმები?

ა) რეგრესი, პროგრესი, რეკეტი, რეესტრი;

ბ) რეგრესირება, პროგრესირება, რეკეტირება, რეესტრირება.

6. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ქართული ეკვივალენტების საწარმოებლად უცხო ნაწარმოებ ფუძეს დაერთვის:

ა) მხოლოდ ქართული -ება სუფიქსი, მაგ., დემოკრატიზება;

ბ) რთული წარმოების -იზ+ირ+ება სუფიქსი, მაგ., დემოკრატიზირება.

7. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ქართული ეკვივალენტების საწარმოებლად უცხო მარტივ ფუძეს დაერთვის:

ა) -ირ+ება სუფიქსი, მაგ., რეგისტრირება;

ბ) ზმნისწინი + -ირ+ება სუფიქსი, მაგ., დარეგისტრირება.

8. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.

ა) აპლოდისმენტები, რეიტუზები;

ბ)აპლოდისმენტი, რეიტუზი;

9. აირჩიეთ სწორი პასუხი და დაასრულეთ წესი.

მხოლოდ მრავლობითის ფორმით გამოიყენება:

ა) დებატები, კულისები, ფინანსები;

ბ) ტრუსები, შორტები, ჯუნგლები.

10. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

მხოლოდ მხოლ. ფორმით გამოიყენება:

ა) ოვაცია, კოლგოტი, ჯინსი;

ბ) მემუარი, წითელაბატონი, ყვავილბატონი.

11. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

როგორც მხ., ისე მრ. რიცხვის ფორმით უნდა გამოვიყენოთ:

ა) არდადეგი – არდადეგები; არჩევანი – არჩევნები; სათვალე – სათვალეები;

ბ) არდადეგი – არდადეგები; არჩევანი – არჩევნები.

6. ზედსართავი სახელი

6.1. ზედსართავი სახელის რაობა და ჯგუფები

ზედსართავი სახელი არის ფორმაცვალებადი, დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი, რომელიც გამოხატავს საგნის ნიშან-თვისებას. მისი კითხვებია: **როგორი? რანაირი? სადაური? როდინდელი?**... ზედსართავი სახელის ფუძე (არსებითი სახელის ფუძის მსგავსად) აგებულების მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი (ძირეული), ნაწარმოები და რთული. ნაწარმოები და რთული ზედსართავების მისაღებად გამოიყენება როგორც საკუთრივ ზედსართავი სახელები, ისე სხვა მეტყველების ნაწილები: არსებითი და რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელი, ზმნიზედა... შდრ.:

მარტივფუძიანი ზედსართავები: ახალი, ძველი, დიდი, პატარა, გრძელი, მოკლე, ლურჯი, წითელი, დაბალი, მაღალი, სუფთა, წმინდა...

ნაწარმოები ზედსართავები: უახლესი, უმცირესი, მოძველო (იხ. ქვემოთ: ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმები)... ნამიანი, ყვავილოვანი, შრომითი, გულადი, პურადი, ოროსანი, ჩვენებური, მათებური, თქვენიანი, ჩემნაირი, საურთიერთო, სამუდამო, დღევანდელი, გუშინდელი, იქაური, მედღეხვალიე...

რთულფუძიანი ზედსართავები: წითელპერანგა, შავთვალა, გრძელცხვირა, ხუჭუჭთმიანი, თმაქოჩორა, მუცელღმერთა, ენამწარე, ხმამაღალი, ჭკუათხელი, ორმხრივი, მრავალჯერადი, მართკუთხა, დედისერთა, წითელ-ყვითელი, ახალ-ახალი, ცხელ-ცხელი...

ზედსართავ სახელთა დიდი ნაწილი, დამოუკიდებლად გამოყენების გამო, გაარსებითებულია.

შინაარსის მიხედვით, ზედსართავ სახელებში გამოიყოფა სხვადასხვა ჯგუფი, მაგ.: ქონების, უქონლობის, თვისების, სადაურობის, ხელობის, დანიშნულების და სხვ. შესაბამისი მაგალითები ქვემოთ გვაქვს მოყვანილი (იხ. ძირეული, წარმოქმნილი და რთული სიტყვები).

6.2. ზედსართავი სახელის ბრუნება

ზედსართავი სახელის ბრუნება შესაძლებელია ორგვარად: დამოუკიდებლად და მეორე სახელთან ერთად. ზედსართავი სახელის დამოუკიდებლად ბრუნება ცალკე აღებული საზოგადო არსებითი სახელის ბრუნების ანალოგიურია; აქ მხოლოდ მაგალითებს წარმოვადგენთ:

თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი:

	მხ.რ.		მრ.რ.	
	კუმშ.	უკუმშ.	-ებ	-ნარ/-თან
სახ.	წითელ–ი	დიდ–ი	დიდ–ები	დიდ–ნ–ი
მოთ.	წითელ–მა	დიდ–მა	დიდ–ებ–მა	დიდ–თ–ა
მიც.	წითელ–ს	დიდ–ს	დიდ–ებ–ს	დიდ–თ–ა
ნათ.	წითლ–ის	დიდ–ის	დიდ–ებ–ის	დიდ–თ–ა
მოქ.	წითლ–ით	დიდ–ით	დიდ–ებ–ით	————
ვით.	წითლ–ად	დიდ–ად	დიდ–ებ–ად	————
წოდ.	წითელ–ო	დიდ–ო	დიდ–ებ–ო	დიდ–ნ–ო

ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი:

	მხ. რ.		მრ. რ.	
	კვეც.	უკვეც.	-ებ	-ნარ/-თან
სახ.	წმინდა	მოტკბო	მოტკბო–ები	მოტკბო–ნ–ი
მოთ.	წმინდა–მ	მოტკბო–მ	მოტკბო–ებ–მა	მოტკბო–თ–ა
მიც.	წმინდა–ს	მოტკბო–ს	მოტკბო–ებ–ს	მოტკბო–თ–ა
ნათ.	წმინდ–ის	მოტკბო–ს(ი)	მოტკბო–ებ–ის	მოტკბო–თ–ა

მოქ.	წმინდ–ით	მოტკბო–თ(ი)	მოტკბო–ებ–ით	————
ვით.	წმინდა–დ	მოტკბო–დ	მოტკბო–ებ–ად	————
წოდ.	წმინდა–(ვ)	მოტკბო–(ვ)	მოტკბო–ებ–ო	მოტკბო–ნ–ო

ზედსართავი სახელის ბრუნება არსებით სახელთან ერთად განხილულია ქვემოთ (იხ. 14.2.1. შეთანხმებული მსაზღვრელი). აქ მხოლოდ შევნიშნავთ, რომ არსებითთან ერთად ბრუნებისას ზედსართავი სახელის ბრუნვის ფორმა, შესაძლებელია, ფონეტიკურ ნიადაგზე სახეცვლილი იყოს; ასეთ შემთხვევაში მისი ბრუნვა განისაზღვრება მეწყვილე არსებითი სახელის ბრუნვის ფორმით: რომელ ბრუნვაშიც არის არსებითი სახელი, იმ ბრუნვაში იქნება ზედსართავიც; მაგ., შდრ., სამი წინადადება:

„იმ **ვარდისფერ ატმებს** მოვიგონებ კვლავ".

„დილა არის **ახალი წლის**".

ქეთევანი **წმინდა სულის** ადამიანია.

სამივე წინადადებაში ზედსართავი სახელი წყვილშია არსებით სახელთან („ატმებს", „წლის", „სულის"); არსებით სახელთა ბრუნვის ფორმების მიხედვით ვასაბუთებთ, რომ პირველ წინადადებაში ზედსართავი სახელი მიცემით ბრუნვაშია („ვარდისფერ ატმებ-ს"), ხოლო მეორე და მესამე წინადადებებში – ნათესაობითში („ახალი წლ-ის", „წმინდა სულ-ის").

თუ არსებითი სახელი და, შესაბამისად, ზედსართავი სახელიც თანიან მრავლობითშია, ბრუნვის ფორმის დასადგენად, ჩვეულებრივ, გამოვიყენებთ **ებ**იანი მრავლობითით შენაცვლების ხერხს; მაგ., ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითში ზედსართავი სახელი მიცემით ბრუნვაშია, შდრ.:

„რად ადენთ **ცივთა წყაროთა**?!"

„რად ადენთ **ცივ წყაროებს**?!"

სავარჯიშოები

6.2.1. წაიკითხეთ ლექსი; იპოვეთ ზედსართავი სახელები და ჩასვით შესაბამის გრაფაში.

მყინვარწვერის თოვლის თეთრო თაველო,
ლურჯო ნისლო, მტკვრიდან ცაზე ასულო,
ვეფხის ტყავად დაფენილო მთა-ველო,
ორბის ფრთების ჩრდილით გადახაზულო!

გაზაფხულის ოქროვანო წვიმებო,
მზის ყვავილო, ციდან ძირს გადმორგულო,
შოთას ჭნარის მოგუგუნე სიმებო
და აკაკის ხმაწკრიალა ჩონგურო!

ბველო ფუძევ, მრავალ ჭირის მნახველო,
ოფლდაღვრილო, ბევრჯერ სისხლით ნაბანო!
წინაპართა ღირსეულო სახელო
და გმირების მუდამ თბილო აკვანო!

ნედლო მიწავ, ერთი ხელის დადებავ,
გამბღეობით უმტკიცესო რვალისა!
ელვის ღვარო და მსოფლიოს ნათებავ
ამ მიწიდან ამოვარდნილ ალისა!

განთიადის ცეცხლის შემოკიდებავ
და საღამოს მთვარევ, ჯიხვისრქიანო!
აღმართ-აღმართ აღმავალო დიდებავ,

შენ ახალი საქართველო გქვიანო! (ალ. აბაშელი, „ახალი საქართველო")

ზედსართავი სახელები

მარტივფუძიანი	ნაწარმოები	რთული

6.2.2. ცალ-ცალკე დააჯგუფეთ ზედსართავი სახელის დამოუკიდებლად და მეორე სახელთან ერთად გამოყენების შემთხვევები; მიუთითეთ ბრუნვა.

1) მიბუნდებულს, უღრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ არა შეედრება!. (ვაჟა).
2) გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში / მე და შენ რომ ერთად ვრბოდით? (ჭავ.)
3) მიყვარს მაღალი, მწვანით, ყვავილებით მორთული მთა (ვაჟა).
4) ძვირფასო! სული მევსება თოვლით: დღეები რბიან და მე ვბერდები! (ტაბ.).
5) და თუნდაც გადმოსულიყო / მტერი შმაგი და ვერანი,/ მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა, / სით გაუშვებდა ლელაი? (კალან.).
6) ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!.. (ბარათ.).
7) შავთა დროთ ვერა შესცვალეს / მის გული ანდამატისა (ორბ.).
8) მშვენიერო, შენ გეტრფი, / შენი მონა ერთგული (წერ.).
9) შენ მოსწყვიტე ქორფა ვარდი,/ გადმომიგდე საყვარელსა / და მითხარი:
„ჩემო გიჟო! / ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა!" (ჭავ.).
10)შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არასმქონები (რუსთ.).

6.2.3. შეავსეთ ცხრილი და მოამზადეთ ინფორმაცია ზედსართავი სახელის ფუძესთან დაკავშირებულ ფონეტიკურ ცვლილებებზე.

სახ. -ი /0	ნათ. -ის / ს(ი)	-ებ-იანი მრავ.
მშვიდ-ი		
	საცოლ-ის	
		ახლებ-ი
	მეზღვაურ-ის	
		ყვითლებ-ი
სადედინაცვლო		
	ბობოქრ-ის	
		ულამაზოებ-ი
მწვანე		
	თმაქოჩორა-ს(ი)	
		მაღლებ-ი
	სუფთ-ის	
ცრუ		
		მატყუარებ-ი
მოდიდო		

6.3. ზედსართავ სახელთა წარმოება[23]

6.3.1. -ურ-სუფიქსიანი სახელები

-ურ სუფიქსით იწარმოება სადაურობისა და თვისების სახელები. მასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია გარკვეული წესები, კერძოდ:

• -ურ სუფიქსი დისიმილაციით (ერთნაირ ბგერათა განმსგავსება) სახეს იცვლის, როცა საწარმოებელ ფუძეში -რ თანხმოვანია: -ურ –> -ულ; შდრ.:

კახ-ურ-ი, მესხ-ურ-ი, ბავშვ-ურ-ი, დიდ-ურ-ი, ბანალ-ურ-ი, გიჟ-ურ-ი;

ხევსურ-ულ-ი, გმირ-ულ-ი, მხარ-ულ-ი, ბირთვ-ულ-ი, კომერცი-ულ-ი.

• -ურ- და -ელ სუფიქსებით მკვეთრად გამიჯნულია: ა) ადამიანის / ადამიანთა კრებულის აღმნიშვნელ და ბ) სხვა დანარჩენ სადაურობის სახელთა წარმოება; შდრ.:

ადამიანის აღმნიშვნელი სადაურობის სახელები

სწორია:	შეცდომაა:
კახ-ელ-ი მევენახე	კახ-ურ-ი მევენახე
თბილის-ელ-ი მეგობარი	თბილის-ურ-ი მეგობარი
ინგლის-ელ-ი ბარონი	ინგლის-ურ-ი ბარონი

შდრ., სწორი ფრაზები:

– პოლონელი სიმღერისა და ცეკვის შემსრულებლები;

– პოლონური სიმღერისა და ცეკვის შემსრულებლები.

ფორმა პოლონელი (პირველ ფრაზაში) მიემართება შემსრულებლებს, ხოლო ფორმა პოლონური (მეორე ფრაზაში) – სიმღერასა და ცეკვას.

ადამიანთა კრებულის აღმნიშვნელი სადაურობის სახელები

სწორია:	შეცდომაა:
ქართვე-ელ-ი ერი	ქართ-ულ-ი ერი
ამერიკ-ელ-ი ხალხი	ამერიკ-ულ-ი ხალხი
ესპან-ელ-ი საზოგადოება	ესპან-ურ-ი საზოგადოება

შენიშვნა: სწორია ქართველი მწერალი, მაგრამ დიდი შეცდომაა: „იმერელი მწერალი“, „აჭარელი ჟურნალისტი“, „კახელი ინტელიგენტი“, „ქართლელი პოეტი“... რამდენადაც მწერალი, ჟურნალისტი, პოეტი ეროვნული მასშტაბის მოღვაწეა და არა კუთხური. დასახელებული (და მსგავსი) მცდარი ვარიანტების გამოყენება ქართველი ერის დანაწევრებულად წარმოდგენაა.

სხვა დანარჩენი სადაურობის სახელები

სწორია:	შეცდომაა:
კავკასი-ურ-ი ნაგაზი	კავკასი-ელ-ი ნაგაზი
ფშა-ურ-ი კაფია	ფშავ-ელ-ი კაფია
კახ-ურ-ი ჩურჩხელა	კახ-ელ-ი ჩურჩხელა
ქუთაის-ურ-ი მასპინძლობა	ქუთაის-ელ-ი მასპინძლობა

ზოგ სახელში, საკუთრივ, ძირით (სიტყვათმაწარმოებელი აფიქსის გარეშე) არის გამოხატული ადამიანის / ადამიანთა კრებულის სადაურობა, განსხვავებით იმავე ძირისგან -ურ/-ულ სუფიქსებით ნაწარმოები სხვა დანარჩენი სადაურობის სახელებისაგან; მაგ., შდრ.:

თუში მეცხვარე	–	თუშური ქუდი
ჯავახი მასპინძელი	–	ჯავახური სტუმარმასპინძლობა
რუსი გოგონა / კოლექტივი	–	რუსული პოლიტიკა
ჩეხი სტუმარი / ინტელიგენცია	–	ჩეხური ლუდი
შვედი ბიზნესმენი / საზოგადოება	–	შვედური ზღაპარი და სხვ.

[23] მაგალითები დაწვრილებით განხილულია ქვემოთ (იხ.: 12. კომპოზიცია; 18.7. ძირეული, წარმოქმნილი და რთული სიტყვები. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები).

• **-ურ** სუფიქსი აქტიურად გამოიყენება ნასესხებ არსებით ან ზედსართავ სახელთა ფუძეების საწარმოებლად, კერძოდ:

– როცა მხოლოდ ზედსართავია ნასესხები (და შესაბამისი არსებითი სახელი – არა), **-ურ** სუფიქსის დართვა ხდება სათანადო უცხო ზედსართავი სახელის ფუძეზე, მაგ.: **აქტუალ-ურ-ი, სოციალ-ურ-ი, რეალ-ურ-ი, სპეციალ-ურ-ი, ორიგინალ-ურ-ი, სერიოზ-ულ-ი...**

– როცა შესაბამისი არსებითი სახელიც არის ნასესხები, მაშინ **-ურ** სუფიქსი დაერთვის უცხო არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანჩამოცილებულ ფუძეს, მაგ., შდრ.: **გიგანტი - გიგანტ-ის -> გიგანტური.** ამ წესით არის მიღებული შემდეგი ფორმები:

ექსპერიმენტ-ი ->	ექსპერიმენტ-ის ->	ექსპერიმენტული
მონუმენტ-ი ->	მონუმენტ-ის ->	მონუმენტური
ფუნდამენტ-ი ->	ფუნდამენტ-ის ->	ფუნდამენტური
პიგმენტ-ი ->	პიგმენტ-ის ->	პიგმენტური
კოსმოპოლიტ-ი ->	კოსმოპოლიტ-ის ->	კოსმოპოლიტური
დიამეტრ-ი ->	დიამეტრ-ის ->	დიამეტრული
ისტორია –>	ისტორი-ის –>	ისტორიული
პროვინცია ->	პროვინცი-ის ->	პროვინციული
პროფესია >	პროფესი-ის >	პროფესიული
მაგია ->	მაგი-ის ->	მაგიური
პედაგოგიკა ->	პედაგოგიკ-ის ->	პედაგოგიკური
ეკონომიკა ->	ეკონომიკ-ის ->	ეკონომიკური...

ზემოაღნიშნული ფორმები ნორმატიულია და უპირატესობით სარგებლობს ზედსართავი სახელებისაგან ნაწარმოებ ვარიანტებთან (ექსპერიმენტალური, დიამეტრალური...) შეპირისპირებით; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ექსპერიმენტული	ექსპერიმენტალური
პარადოქსული	პარადოქსალური
პროფესიული	პროფესიონალური
დიამეტრული	დიამეტრალური
ორთოდოქსული	ორთოდოქსალური
პროვინციული	პროვინციალური
ფუნდამენტური	ფუნდამენტალური

გამონაკლისია ზოგიერთი ფორმა, რომელიც პარალელური წარმოებით არის დამკვიდრებული სალიტერატურო ენაში; შდრ.:

ნორმული – ნორმალური

თეატრული – თეატრალური

ფუნქციური – ფუნქციონალური...

• სალიტერატურო ნორმის დარღვევის შედეგია „დიდაქტიური“, „სქოლასტიური“, „სისტემატიური“... ტიპის ფორმების გაჩენა; ისინი თავის დროზე შემუშავდა რუსული ეკვივალენტების მიხედვით, რომლებშიც არასწორად იქნა გამოყოფილი ზედსართავი სახელის ფუძე და დაბოლოება, კერძოდ: რუსულ დაბოლოებასთან (**-еский**) ერთად, უმართებულოდ იქნა ჩამოცილებული ფონეტიკურად სახეცვლილი ფუძისეული **к** თანხმოვანი (**к –> ч**). სწორი დაყოფაა: **дидактика –> дидактич-еский**; შესაბამისად, ქართული ეკვივალენტები ასე განაწილდება:

სწორია:		შეცდომაა:
დიდაქტიკა	დიდაქტიკური	დიდაქტიური
რომანტიკა	რომანტიკული	რომანტიული
სქოლასტიკა	სქოლასტიკური	სქოლასტიური
ლირიკა	ლირიკული	ლირიული
ფანტასტიკა	ფანტასტიკური	ფანტასტიური
ელასტიკა	ელასტიკური	ელასტიური

შდრ., ერთმანეთისაგან მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვებია **სისტემატური** და **სისტემატიკური**:

სისტემატური ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია, რომელიც ასე განიმარტება: „1. რაც სისტემას ქმნის, სისტემას მისდევს, სისტემის ხასიათისაა, გარკვეული წესის მიხედვით განლაგებული, წარმოებული... 2. რაც გამუდმებით მეორდება, – განუწყვეტელი, სისტემატური მეცადინეობა (ქეგლ-ი, ტ.VI, 1960, გვ. 1068-1069; იხ., ასევე: ჭაბაშვილი, 1989, გვ. 465). **სისტემატურის** სინონიმური ტერმინებია **სისტემური / სისტემობრივი / სისტემებრი**, რასაც ადასტურებს როგორც ქეგლ-ის (იქვე, გვ. 1069), ისე ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მონაცემები (1998, გვ. 453).

სისტემატიკური ვიწრო დარგობრივი ტერმინოლოგიური შესიტყვების ნაწილია, კერძოდ, **სისტემატიკური კატეგორიები** არის „ზოოლოგიასა და ბოტანიკაში – მსგავს ორგანიზმთა ჯგუფები. *სახეობა, გვარი, ოჯახი, რაზმი, კლასი, ტიპი* სისტემატიკური კატეგორიებია“ (ქეგლ-ი, ტ.VI, 1960, გვ. 1068).

ორივე ზემოაღნიშნული სიტყვის მნიშვნელობებს ითავსებს ტერმინი **სისტემატიკა** [ბერძ. Systematikos სისტემის შესახები]: „1. საგანთა, მოვლენათა დაჯგუფება, კლასიფიკაცია. 2. ბიოლოგიური მეცნიერება, რომელიც მცენარეებსა და ცხოველებს ანაწილებს საკლასიფიკაციო ჯგუფების (სახეობათა, გვარების, ოჯახების და ა.შ.) მიხედვით (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 465; იხ., ასევე: ქეგლ-ი, ტ.VI, 1960, გვ. 1068).

იგივე ითქმის **სისტემატიკურისა** და **სისტემატურის** ერთადერთ რუსულ ეკვივალენტზე – **систематический**; ამ უკანასკნელის სამი განმარტებიდან პირველი და მეორე მიეკუთვნება **სისტემატურს**, ხოლო მესამე – **სისტემატიკურს**: „1. სისტემატური, სისტემიანი **с-ое описание** სისტემატური აღწერა. 2. სისტემატური: **с-ие занятия** სისტემატური მეცადინეობა... 3. ბიოლ. სისტემატიკური: **с-ие категории** სისტემატიკური კატეგორიები... (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, გვ. 687).

რუსულ ეკვივალენტში ფუძისა და დაბოლოების არასწორად დანაწევრების შედეგად (იხ. ზემოთ) განვითარდა ქართული შესატყვისის უმართებულო ვარიანტი – *სისტემატიური*. სალიტერატურო ნორმების მიხედვით, ამ ფორმის გამოყენება დაუშვებელია.

• ნორმატიულია პარალელური წარმოების ფორმები: **პედაგოგიური – პედაგოგიკური; ეკონომიური – ეკონომიკური** და სხვ.; ეს ფაქტი იმით იხსნება, რომ ერთ შემთხვევაში ამოსავალია ტერმინები: **პედაგოგია, ეკონომია**, ხოლო მეორეში – **პედაგოგიკა, ეკონომიკა**.

• **-ურ** სუფიქსით წარმოებისას:

– **-ივ** ბგერათმიმდევრობაზე დაბოლოებულ ფუძეთა **ვ** იკარგება ფონეტიკურ ნიადაგზე, მაგრამ **ი** შენარჩუნდება, შდრ.:

სწორია		შეცდომაა
სენსიტივ-ი	სენსიტი-ურ-ი	სენსიტ-ურ-ი
ნეგატივ-ი	ნეგატი-ურ-ი	ნეგატ-ურ-ი
პოზიტივ-ი	პოზიტი-ურ-ი	პოზიტ-ურ-ი

ია-ზე დაბოლოებულ ფუძეებში იკვეცება ა, მაგრამ ი შენარჩუნდება, შდრ.:

სწორია		შეცდომაა
ლაკონია[24]	ლაკონი-ურ-ი	ლაკონური
მელანქოლია	მელანქოლი-ურ-ი	მელანქოლური

• -ურ სუფიქსის პარალელურად, გზა უნდა გაეხსნას სხვა ტიპის წარმოებასაც, როგორიცაა, მაგ.: ნათესაობითბრუნვიანი, სა–ო, ასევე ობრივ-აფიქსებიანი ფორმები; შდრ.:

ფილოლოგიის – ფილოლოგიური
ინფორმატიკის – ინფორმატიკული
ტიპობრივი – ტიპური
საინფორმაციო – ინფორმაციული
საისტორიო-საეთნოგრაფიო – ისტორიულ-ეთნოგრაფიული...
შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ფაქტობრივი	ფაქტიური
ტიპობრივი /ტიპური	ტიპიური

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
დიამეტრული	დიამეტრალური	დიდაქტიკური	დიდაქტიური
ელასტიკური	ელასტიური	ემოციური	ემოციონალური
ექსპერიმენტული	ექსპერიმენტალური	ინგლისელი ტურისტი / ხალხი	ინგლისური ტურისტი / ხალხი
ინგლისური სიმღერა	ინგლისელი სიმღერა	ლირიკული	ლირიული
მაქსიმალური	მაქსიმალისტური	მისტიკური	მისტიური
მონუმენტური	მონუმენტალური	ნეგატიური	ნეგატური
ორთოდოქსული	ორთოდოქსალური	პათეტიკური	პათეტიური
პარადოქსული	პარადოქსალური	პიგმენტური	პიგმენტალური
პოზიტიური	პოზიტური	პრინციპული	პრინციპიალური
პროვინციული	პროვინციალური	პროფესიული	პროფესიონალური
რომანტიკული	რომანტიული	სენსიტიური	სენსიტური
სისტემატური	სისტემატიური	სტადიური	სტადიალური
ტიპური/ტიპობრივი	ტიპიური	ტოქსიკური	ტოქსიური
ტრაგიკული	ტრაგიული	ფანატიკური	ფანატიური
ფანტასტიკური	ფანტასტიური	ფაქტობრივი	ფაქტიური
ფუნდამენტური	ფუნდამენტალური	ქართველი კაცი / ერი / საზოგადოება	ქართული კაცი / ერი/ საზოგადოება
ქართული მოთხრობა / ცეკვა / სიმღერა	ქართველი მოთხრობა / ცეკვა / სიმღერა		

სავარჯიშოები

6.3.1.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) პათეტიური ტონით ნუ ლაპარაკობ!
2) გიგა პირველ ექსპერიმენტალურ სკოლაში სწავლობს.
3) აფთიაქში შევიძინე ელასტიური ბინტი
4) ლექსის სტრიქონებში .იგრძნობა პოეტის მელანქოლური განცდა.
5) ეს პროვინციალური ამბავი ყველამ გაიგო.

---

[24] ლაკონია – პელოპონესის (საბერძნეთის) ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის სახელწოდება, რომლის მიხედვითაც შემუშავდა ტერმინი ლაკონიზმი (ბერძ. Lakonismos) – წიგ. აზრის გამოთქმა მოკლედ, (სხარტად) და მკაფიოდ (ქეგლ-ი, ტ. IV, 1955, გვ. 1466).

6) დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ამ წამალს ტოქსიური ზემოქმედება აქვს.
7) ქვეყნის ეკონომიური კრიზისი მკვეთრად აისახა ქალაქის ცხოვრებაზე.
8) ჩემი მეგობრული რჩევა იქნება, ცოტა ხნით მაინც დაიჯეროთ ამ დღის მისტიურობის.
9) ერთი პროფესიონალური კითხვა მინდა დაგისვათ.
10) ყველა წვრილმანის ასე სენსიტურად აღქმა კარგ შედეგს არ მოიტანს.
11) ეს ბიჭი სისტემატიურად აგვიანებს პირველ გაკვეთილზე.
12) დროა აღიკვეთოს ნეგატური მოვლენები ჩვენი ორგანიზაციის მუშაობაში.
13) აბიტურიენტთა ნაწერებში დასტურდება ტიპიურ შეცდომათა შემთხვევები.

6.3.1.2. იპოვეთ შეცდომები და გაასწორეთ.
1) ავტორთა პოზიციები დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან.
2) ფანატიურმა ლტოლვამ ასახვა პოვა პოეტის მთელ შემოქმედებაში.
3) ფუნდამენტალური ცოდნის გარეშე ცხოვრებაში წარმატებას ვერ მიაღწევ.
4) აღნიშნულ პერიოდში გაძლიერდა სქოლასტიური მიმართულება მწერლობაში.
5) ტრაგიულად დასრულდა მათი მოგზაურობა ჰიმალაის მთებში.
6) მიტინგს არ შეუერთდა საზოგადოების პოზიტურად განწყობილი ნაწილი.
7) ეს პრინციპიალურად განსხვავებული საკითხი საჯაროდ უნდა განვიხილოთ.
8) ჩვენ უნდა შევქმნათ მაქსიმალისტურად მშვიდი და ჰარმონიული სამუშაო გარემო.
9) „სიბრძნე-სიცრუისა“ დიდაქტიური ჟანრის თხზულებაა.
10) პანკისის ხეობაში, ფაქტიურად, ვითარება დაძაბულია.
11) ასეთი განუწყვეტელი, სისტემატიკური მეცადინეობა უსათუოდ გამოიღებს შედეგს.
12) წინამდებარე ნაშრომი ჩვენი სტადიალური კვლევის შედეგია.
13) ეს პიროვნება ემოციონალური სტრესისგან იოლად თავისუფლდება.

6.3.1.3. შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით.
1) დღეს ჩვენს მარკეტში რაჭველი ნიგოზი შემოიტანეს გასაყიდად.]
2) ჩემი ქუთაისური მეგობარი ას კილოს იწონის.
3) უცხოეთში გადახვეწილთა შთამომავლებს თანდათან დაავიწყდათ ქართველი მეტყველება.
4) დასრულდა იტალიელი ოპერის დასის ერთკვირიანი გასტროლი.
5) კავკასიური ხალხი მუდამ იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის.
6) მინისტრი დღეს რუსულ ბიზნესმენებთან შეხვედრას გეგმავს.
7) გორელ ვაშლს სულ სხვა გემო აქვს.
8) რა შეედრება ცხელ-ცხელ იმერელ ხაჭაპურს?!.
9) მხატვარმა შექმნა ძველთბილისელი პეიზაჟების ამსახველი არაერთი ტილო.
10) ვანელი ატამი ოთხ ლარად იყიდებოდა თბილისის ბაზარზე.
11) იაპონური მხატვარი ფიროსმანით მოიხიბლა.
12) ბერძენი სამზარეულო მიმზიდველია თავისი ორიგინალური კერძებით.

6.3.1.4. გამოტოვებულ ადგილებში საჭიროებისამებრ ჩასვით -ელ და -ურ/-ულ სუფიქსები.
1) ირან—ი ტურისტები ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდნენ.
2) მეცნიერთა ვარაუდით, კოსმოს—ი თანამგზავრი ორ კვირაში დაბრუნდება დედამიწაზე.
3) პოლონ—ი ფილმი დოკუმენტურად ასახავს კატინის ტყეში განვითარებულ მოვლენებს.
4) კავკასი— ხალხს ქედი არასოდეს მოუხრია დამპყრობლებისათვის.
5) გუშინ მწერალთა სახლში გაიმართა ჩეჩნ—ი პოეზიის საღამო.
6) უკრაინ—ი ბროხა დღეში ოცდაათ ლიტრს იწველება.
7) ინგლის—ი ბიზნესმენის წინადადებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.
8) სავაჭრო ცენტრ „ჰუალინგში“ დიდი ფასდაკლებაა შუაზი— თეთრეულზე.
9) ესპან—მა დელეგაციებმა საღამო პრეზიდენტის რეზიდენციაში გაატარეს.
10) გერმანიაში ყველაზე ხშირად ბავარი— ლუდს, კერძოდ კი „ოტინგერს“ სვამენ.

6.3.1.5. შეადგინეთ წინადადებები მითითებული სიტყვების გამოყენებით.
1) თეატრალური
2) თეატრული
3) ნორმალური
4) ნორმული

6.3.2. ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმები

ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმებით შესაძლებელია საგნის ნიშან-თვისების მეტი ან ნაკლები ოდენობით გამოხატვა. მათი მართლწერა გარკვეულ ცოდნას ითვალისწინებს:

ცნობილია ხარისხის წარმოების ორგვარი ფორმა: 1. ორგანული და 2. აღწერითი. **ორგანული წარმოების** ხარისხის ფორმები მიიღება სახელის ფუძეზე სიტყვამაწარმოებელი აფიქსების დართვით, **აღწერითი წარმოების** ხარისხის ფორმა კი – რამდენიმე სიტყვის კომბინაციით, მაგ., შდრ.:

უშავესი – ძალიან შავი / სულ შავი / სულ-სულ შავი / ყველაზე შავი / მეტად შავი / ფრიად შავი/ შავზე შავი...

მოღიავო – ოდნავ ღია / ოდნავ-ოდნავ ღია / ცოტა ღია / სულ ცოტა ღია / ღიაზე ღია...

სალიტერატურო ქართულში პირობითად შეიძლება გავარჩიოთ ხარისხის ოთხი სახე: **ძირითადი** (წითელი), **ოდნაობითი** (მოწითალო, ოდნავ / ცოტა წითელი), **უფროობითი** (უფრო წითელი, წითელზე წითელი, წითელ-წითელი) და **აღმატებითი** (უწითლესი, ძალიან / სულ წითელი, ყველაზე წითელი).

ძირითადი ხარისხის ფუძედ, თავის მხრივ, შეიძლება გამოყენებული იყოს მარტივი (ძირეული), წარმოქმნილი ან რთული ზედსართავი სახელი, ასევე – არსებითი სახელი და სხვა სიტყვები. ძირითადი ხარისხის ფორმა, უმეტეს შემთხვევაში, ამოსავალია ხარისხის სხვა ფორმებისათვის.

ოდნაობითი ხარისხის ფორმები მიიღება:

– ორგანული წარმოებით – ძირითადი ხარისხის ფუძეზე **მო-ო**, ზოგჯერ **წა-ო** თავსართ-ბოლოსართების დართვით: **მოდიდო, მოშავო, მოყვითალო / წაყვითალო, მომჟავო / წამჟავო**...

– აღწერითი წარმოებით: **ცოტა დიდი, ოდნავ შავი...**

უფროობითი ხარისხის ფორმები მიიღება:

– აღწერითი წარმოებით: **უფრო დიდი, დიდზე დიდი, უფრო წითელი...**

– ძირითადი ხარისხის ფორმის ფუძის გაორმაგებით (კომპოზიციით); **წითელ-წითელი; შავ-შავი...** ასეთი ფორმები, გარდა ხარისხისა, სიმრავლესაც გამოხატავს, მაგ.: **შავ-შავი თვალები, მაღალ–მაღალი ბიჭები, წითელ–წითელი ვაშლები...**

აღმატებითი ხარისხის ფორმები მიიღება:

– ორგანული წარმოებით – ძირითადი ხარისხის ფუძეზე **უ-ეს** თავსართ-ბოლოსართების დართვით, მაგ.: **უდიდესი, უყვითლესი, უმჟავესი, ულამაზესი....**

– აღწერითი წარმოებით: **ძალიან / სულ დიდი, ყველაზე დიდი...**

ქვემოთ წარმოდგენილია ხარისხის ფორმების ორგანული წესით წარმოების მაგალითები: შდრ.:

ძირითადი	**ოდნაობითი**	**აღმატებითი**
დიდი	მოდიდო	უდიდესი
ლურჯი	მოლურჯო	ულურჯესი
მაღალი	მომაღლო	უმაღლესი
მცირე	მომცრო	უმცირესი
მწარე	მომწარო	უმწარესი
ნაზი	----------	უნაზესი
ჭკვიანი	მოჭკვიანო	უჭკვიანესი
ბედნიერი	----------	უბედნიერესი
გონიერი	----------	უგონიერესი

მშვენიერი	----------	უმშვენიერესი
ვარდისფერი	მოვარდისფრო	----------
პოეტი	მოპოეტო	----------
განათლებული	----------	უგანათლებულესი
ბრწყინვალე	----------	უბრწყინვალესი

შენიშვნა: ზოგ ბირითად ფორმას, მაგ.: ნელი, ჩუმი... ხარისხის ორგანული ფორმები არ ეწარმოება; თუმცა, თეორიულად შესაძლებელია ნაკლული ფორმების წარმოება: ნაზი – "მონაზო"; ჩუმი – "უჩუმესი"...

• წარმოების ორივე ზემოთ წარმოდგენილი ტიპი (ორგანული, აღწერითი) ნორმატიულია, მაგრამ ჭარბია – სტილისტურად გაუმართავი – მათი შერწყმით მიღებული ფორმები, მაგ.: **ყველაზე უბრწყინვალესი** (შდრ.: უბრწყინვალესი, ყველაზე ბრწყინვალე); **ძალიან უდიდესი** (შდრ.: უდიდესი, ძალიან დიდი) და სხვ.

• დაუშვებელია მაწარმოებელი ნიშნის გაორმაგება აღმატებითი ხარისხის ფორმის მნიშვნელობის გასაძლიერებლად; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
უძლიერესი	უუძლიერესი
უმშვენიერესი	უუმშვენიერესი
უფაქიზესი	უუფაქიზესი

• ზოგ ზედსართავ სახელს ხარისხის ფორმების წარმოებისას ფუძიდან მოეკვეცება **-ელ** და **-ილ** მარცვლები, მაგ.:

გრძელი	–	მოგრძო	–	უგრძესი
სქელი	–	მოსქო	–	უსქესი
ტკბილი	–	მოტკბო	–	უტკბესი
თბილი	–	მოთბო	–	უთბესი

შენიშვნა: პოეზიის ენაში ყოველთვის არ არის დაცული ზემოაღნიშნული წესი; შდრ.: "ქართლის მიწავ, **უტკბილესო**..." (გ. ტაბიძე).

• ზედსართავებს: **პატარა, კარგი, ცუდი** სხვა ფუძეებით ეწარმოება ხარისხის ფორმები; შდრ.:

პატარა	–	მომცრო	–	უმცირესი
კარგი	–	მოკარგო	–	უკეთესი / საუკეთესო
ცუდი	–	----------	–	უარესი

• ზედსართავისათვის: **ხნიერი** ნორმატიულია აღმატებითი ხარისხის გრძელი და მოკლე ფორმები; შდრ.:

ხნიერი	–	უხნიერესი / უხნესი

• ზედსართავებს: **წითელი, ყვითელი** ოდნაობითი ხარისხის წარმოებისას ეცვლებათ ფუძისეული ხმოვანი **ე -> ა**; შდრ.:

წითელი	–	მოწითალო
ყვითელი	–	მოყვითალო

სავარჯიშოები

6.3.2.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ამ პურს მოტკბილო გემო აქვს.
2) მოხუცს ყველაზე უძვირფასესი სამოსი ეცვა.
3) მე მოშავოს მოწითელო ფერი მირჩევნია.
4) სავაჭრო ადგილებს შორის მას ყველაზე უცუდესი აურჩევია.
5) დიდხანს დუღილის შედეგად მიიღება მსხლის უსქელესი წვენი, რომელსაც აჭარაში ბეთმეზს უწოდებენ.
6) ეს ფილმი დანარჩენებზე უკარგესია.
7) მამისეული სახლის გახსენებაზე გოგონას ყველაზე უფაქიზესი გრძნობა დაეუფლა.
8) ჩვილის დასაბანად დედამ მოთბილო წყლით აავსო აბაზანა.
9) ეს გზა იმ ბილიკზე მოგრძელოა.

10) სტუმრებს შორის ყველაზე უგანათლებულესი დავითი იყო.

6.3.2.2. სადაც შესაძლებელია, შეავსეთ გამოტოვებული ადგილები ზედ. სახელის ორგანული წარმოების ხარისხის ფორმებით.

	პირით.:		ოდნ.:		აღმ.:
1)	მწარე	–	----------	–	----------
2)	მშვიდი	–	----------	–	----------
3)	----------	–	მოგრძო	–	----------
4)	----------		----------	–	უარესი
5)	ხნიერი	–	----------	–	----------
6)	----------		----------	–	უტკბესი
7)	კარგი	–	----------	–	----------
8)	----------	–	----------	–	უსწრაფესი
9)	კოხტა	–	----------	–	----------
10)	----------	–	მოთბო	–	----------

6.3.2.3. აირჩიეთ ზედსართავ სახელთა ხარისხთა ნორმატიული ფორმები.

1) ძალიან უჭკვიანესი – უჭკვიანესი – ყველაზე უჭკვიანესი
2) უკეთილესი – ყველაზე კეთილი – ძალიან უკეთილესი
3) უყვითლესი – სულ უყვითლესი – ძალიან ყვითელი
4) უკეთესი – უუკარგესი – ძალიან უკეთესი
5) მოტკბილო – ცოტა მოტკბილო – მოტკბო
6) მოწითალო – მოწითელო – ოდნავ წითელი
7) ოდნავ მაღალი – მომაღლო – ძალიან მომაღლო
8) მომცრო – ოდნავ მცირე – ოდნავ მომცირო

ტესტი N 6

ზედსართავი სახელი

- ზედსართავი სახელის რაობა და ჯგუფები
- ზედსართავი სახელის ბრუნება
- ზედსართავ სახელთა წარმოება: -ურ-სუფიქსიანი სახელები;
- ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმები

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ზედსართავი სახელი გამოხატავს:

ა) საგნის სიდიდეს;

ბ) საგნის ნიშან-თვისებას.

2. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ზედსართავი სახელის კითხვებია:

ა) როგორი? რანაირი? სადაური? როდინდელი?

ბ) როგორი? რანაირი? რაგვარი? როდინდელი?

3. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი რთულფუძიანი ზედსართავი სახელია.

ა) ლურჯი, მაღალი, ყვავილოვანი, დედისერთა, გულადი;

ბ) პატარა, წმინდა, ენატკბილი, სამუდამო, წითელ-ყვითელი.

4. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ზედსართავი სახელი იბრუნება:

ა) როგორც დამოუკიდებლად, ისე მეორე სახელთან ერთად;

ბ) მხოლოდ დამოუკიდებლად.

5. რომელი პასუხია სწორი?

ზედსართავი სახელის დამოუკიდებლად ბრუნება

ა) ცალკე აღებული საზოგადო არსებითი სახელის ბრუნების ანალოგიურია;

ბ) ცალკე აღებული პირის სახელის ბრუნების ანალოგიურია.

6. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

არსებითთან ერთად ბრუნებისას ზედსართავი სახელის ფონეტიკურად სახეცვლილი ბრუნვის ფორმა განისაზღვრება:

ა) ზედსართავი სახელის ფუძის მიხედვით;

ბ) არსებითი სახელის ბრუნვის ფორმის მიხედვით.

7. შემოხაზეთ სწორი განმარტება.

-ურ სუფიქსით იწარმოება

ა) სადაურობისა და ხარისხის სახელები;

ბ) ხარისხისა და თვისების სახელები;

გ) სადაურობისა და თვისების სახელები.

8. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

-ურ სუფიქსი დისიმილაციით სახეს იცვლის: **ურ –> ულ**, როცა საწარმოებელ ფუძეში

ა) ლ თანხმოვანია;

ბ) რ თანხმოვანია:

9. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ორი თვისების სახელია.

ა) იმერული ხაჭაპური; ბავშვური ქცევა, მეგრული სულგუნი, კახური კილო;

ბ) ძაღლური ყოფა, კავკასიური ცეკვები, გმირული სული, თუშური ქუდი.

10. აირჩიეთ სწორი პასუხი.

-ელ სუფიქსებით იწარმოება:

ა) ადამიანისა და ადამიანთა კრებულის აღმნიშვნელი სადაურობის სახელები;

ბ) სხვა დანარჩენი სადაურობის სახელები.

11. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

სიტყვებით: **თუში, ჯავახი, შვედი, რუსი** სადაურობა გამოიხატება

ა) **-ურ/-ულ** სუფიქსების დართვის შემთხვევაში;

ბ) **-ურ/-ულ** სუფიქსების დართვის გარეშე.

12. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

-ურ სუფიქსი დაერთვის არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანჩამოცილებულ ფუძეს, როცა ეს ფუძე

ა) უცხოურიდან ნასესხებია;

ბ) უცხოურიდან არასაჭიროდ შემოსულია (ბარბარიზმია).

13. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ფუძეებად ნასესხები არსებითი სახელებია.

ა) ორიგინალური, სპეციალური, სერიოზული;

ბ) მაგიური, პროფესიული, მონუმენტური.

14. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომლის ორ მაგალითშიც საწარმოებელ ფუძედ უცხო ზედსართავი სახელია.

ა) გიგანტური, აქტუალური, კოსმოსური, სოციალური;

ბ) ისტორიული, ექსპერიმენტული, პიგმენტური, კოსმოპოლიტური.

15. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.

ა) პროვინციული; ფუნდამენტური, პარადოქსული, დიამეტრული;

ბ) პროვინციალური, ფუნდამენტალური, პარადოქსალური, დიამეტრალური.

16. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

პარალელური ფორმებიდან: **ნორმული – ნორმალური, თეატრული – თეატრალური, ფუნქციური – ფუნქციონალური:**

ა) ორივე სწორია;

ბ) ერთ-ერთი შეცდომაა.

17. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ფორმებში: **პედაგოგიური, პედაგოგიკური; ეკონომიური, ეკონომიკური** საწარმოებელი ფუძეები:

ა) ერთი და იგივეა;

ბ) სხვადასხვაა.

18. რომელი პასუხია სწორი?

ტერმინი **სისტემატური**

ა) ზოგადი მნიშვნელობისაა;

ბ) ვიწრო დარგობრივი მნიშვნელობისაა.

19. რომელი პასუხია მცდარი?

სალიტერატურო ფორმებია:

ა) ფანტასტიკური, ტრაგიკული, რომანტიკული, პათეტიკური;

ბ) ფანტასტიური, ტრაგიული, რომანტიული, პათეტიური.

20. რომელია არანორმატიული ფორმები?

ა) სენსიტიური, პოზიტიური, ლაკონიური, მელანქოლიური;

ბ) სენსიტური, პოზიტური, ლაკონური, მელანქოლური.

21. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.

ა) ფაქტობრივი, ტიპობრივი / ტიპური;

ბ) ფაქტიური, ტიპიური.

22. რომელია სწორი პასუხი?

ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმებით შესაძლებელია საგნის

ა) ნიშან-თვისების მეტი ან ნაკლები ოდენობით გამოხატვა;

ბ) წარმომავლობის მეტი ან ნაკლები ოდენობით გამოხატვა.

23. რომელია მცდარი პასუხი?

ცნობილია ხარისხის წარმოების

ა) ორგვარი ფორმა: 1. ორგანული და 2. აღწერითი.

ბ) ერთი ფორმა: ორგანული.

24. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ორგანული წარმოების ხარისხის ფორმები მიიღება:

ა) სახელის ფუძეზე სიტყვამაწარმოებელი აფიქსების დართვით;

ბ) რამდენიმე სიტყვის კომბინაციით.

25. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ოდნაობითი ხარისხის ფორმებია:

ა) მოთეთრო, წამჟავო, ოდნავ ღია, ცოტა ტკბილი;

ბ) უთეთრესი, ყველაზე მჟავე, სულ ღია, ძალიან ტკბილი.

26. შემოხაზეთ უფროობითი ხარისხის ფორმები.

ა) დიდი, კობტა, წითელი, მწარე;
ბ) უფრო დიდი, უფრო კობტა, წითელ-წითელი, მწარეზე მწარე.

27. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ორი აღმატებითი ხარისხის ფორმაა.

ა) ნაზი, მოვარდისფრო, ყველაზე გონიერი, ჭკვიანი;
ბ) ძალიან ლამაზი, მოპოეტო, ბრწყინვალე, უმცირესი.

28. შემოხაზეთ აღმატებითი ხარისხის ნორმატიული ფორმები.

ა) უშესანიშნავესი, ძალიან განათლებული, ყველაზე ძლიერი;
ბ) ყველაზე უშესანიშნავესი, ძალიან უგანათლებულესი, უუძლიერესი.

29. რომელია მცდარი ფორმები?

ა) უგრძესი, უტკბესი, უსქელესი;
ბ) უგრძელესი, უტკბილესი, უსქესი.

30. რომელია ნორმატიული წყვილები?

ა) პატარა – უმცირესი, კარგი – უკეთესი, ცუდი – უარესი;
ბ) პატარა – უპატარავესი; კარგი – უკარგესი, ცუდი – უცუდესი.

31. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

პარალელური ფორმებიდან: **უხნიერესი / უხნესი** სწორია:
ა) ერთი ფორმა;
ბ) ორივე ფორმა.

32. რომელია მცდარი პასუხი?

სიტყვებს: **წითელი, ყვითელი** ოდნაობითი ხარისხის წარმოებისას ეცვლებათ:
ა) ფუძისეული ხმოვანი: **ე-> ა;**
ბ) ბრუნვის დაბოლოება: **o -> ო.**

7. რიცხვითი სახელი

7.1. რიცხვითი სახელის რაობა და ჯგუფები

რიცხვითი სახელი, ისევე როგორც არსებითი და ზედსართავი სახელები, წარმოადგენს დამოუკიდებელ და ფორმაცვალებად მეტყველების ნაწილს, რომელიც გამოხატავს საგნის რაოდენობას, რიგს ან წილს. მას დაესმის კითხვები: **რამდენი? მერამდენე? მერამდენედი?** შესაბამისად, რიცხვითი სახელი სამი სახისაა: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი.

რაოდენობითი რიცხვითი სახელებია (რამდენი?): ათი, თხუთმეტი, ოცდასამი, ასი, მილიონი... რამდენიმე, ბევრი...

რიგობითი რიცხვითი სახელებია (მერამდენე?): პირველი, მეათე, მეთხუთმეტე, ოცდამესამე, მეასე, მემილიონე...

წილობითი რიცხვითი სახელებია (მერამდენედი?): ნახევარი, მეათედი, მეთხუთმეტედი, ოცდამესამედი, მეასედი, მემილიონედი...

7.2. რიცხვით სახელთა წარმოება

ფუძის აგებულების მიხედვით, რიცხვითი სახელი შეიძლება იყოს **მარტივი, ნაწარმოები და რთული. რაოდენობითი რიცხვითი სახელები,** ჩვეულებრივ, მარტივი და რთული აგებულებისაა. ზოგი რთული სახელი ერთად იწერება, ზოგი – დეფისით. **მართლწერის ნორმების თანახმად:**

- ერთად იწერება:

– რთული რიცხვითი სახელები ათიდან ასამდე; აქ მოიაზრება როგორც **და** კავშირით, ისე უკავშიროდ შეერთებული ფუძეები: თერთმეტი... ცხრამეტი, ოცდაერთი... ორმოცი... ოთხმოცდაცხრამეტი;

– ასეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები: ორასი, სამასი... ათასი;

- ცალ-ცალკე ერთეულებად იწერება:

– ასეულებს შორის რიცხვთა აღმნიშვნელი სახელები: სამას შვიდი, ხუთას ოცდაორი, შვიდას ორმოცდათხუთმეტი...

– ათასეულები და ათასეულებს შორის რიცხვთა აღმნიშვნელი სახელები: სამი ათასი, რვა ათასი, ათი ათასი... სამი ათას ჩვიდმეტი, რვა ათას ასი, ათას ცხრაას სამოცდაერთი...

– ზოგადად, დიდი რიცხვების შემადგენელი სხვა კომპონენტები: **მილიონი, მილიარდი, ტრილიონი** და სხვ., ესენი – ფუძის სახით, მათი რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა კი სახელობითი ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი; მაგ.: ცამეტი მილიონ ას ოცი ათას ექვსას ორმოცდაშვიდი, ორი მილიარდ შვიდას თხუთმეტი...

- დეფისით იწერება ფუძეგაორკეცებული ან სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული რიცხვითი სახელები, მაგ.: ხუთ-ხუთი, ათ-ათი, ათი-თორმეტი, ჩვიდმეტ-თვრამეტი...

რიგობითი რიცხვითი სახელები ნაწარმოებია რაოდენობითის ფუძეზე **მე - ე** თავსართ-ბოლოსართების დართვით.

- მე- მაწარმოებელი თავში მოუდის რიგობით რიცხვით სახელებს ერთიდან ოცის ჩათვლით, ოცეულებს, ასეულებს, ათასეულებს, ასევე მილიონს, მილიარდს, ტრილიონს:

მეორე... მეათე, მეთერთმეტე.. მეოცე, მეორმოცე, მესამეოცე, მეოთხმოცე, მეასე, მეორასე... მეათასე, მეორიათასე... მეათიათასე... მეასიათასე... მემილიონე... მემილიარდე...

- რიგობითობის მაწარმოებელს დაირთავს:

– და კავშირით შეერთებული რიცხვითი სახელების მეორე ნაწილი; შდრ.:

		სწორია:	შეცდომაა:
ოცდახუთი	->	ოცდამეხუთე	მეოცდახუთე
ოცდაჩვიდმეტი	->	ოცდამეჩვიდმეტე	მეოცდაჩვიდმეტე
ოთხმოცდასამი	->	ოთხმოცდამესამე	მეოთხმოცდასამე

– დიდი რიცხვების გამომხატველი ფუძეების ბოლო შემადგენელი ნაწილი; აქვე გასათვალისწინებელია, რომ რთული შედგენილობის რიგობითი რიცხვითი სახელები იწერება ერთ სიტყვად; შდრ.:

	სწორია:	შეცდომაა:
ას ოთხმოცი - >	ასმეოთხმოცე	მეასოთხმოცე / მეასმეოთხმოცე
ცხრაას ჩვიდმეტი ->	ცხრაასმეჩვიდმეტე	მეცხრაასჩვიდმეტე / მეცხრაასმეჩვიდმეტე
ათას ას ოცდაათი ->	ათასასოცდამეათე	მეათასასოცდაათე / მეათასოცდამეათე

• განსხვავებულად იწარმოება **პირველი**. რაც შეეხება **მე-ე** თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოებ **მეერთეს**, ის, როგორც წესი, ოცეულების შემცველი რთული რიცხვითი სახელების ფუძეებში დასტურდება. **მეერთეს** და **პირველის** ერთმანეთით შენაცვლება არ შეიძლება; ორივე ფორმას გამოყენების მკაფიოდ განსაზღვრული არეალი აქვს; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
პირველი	მეერთე
ოცდამეერთე	ოცდაპირველი
სამოცდამეერთე	სამოცდაპირველი

• რიგობითი რიცხვითი სახელების ჩაწერა შესაძლებელია როგორც რომაული, ისე არაბული რიცხვების საშუალებით. რომაული რიცხვებით წარმოდგენისას **მე-ე** თავსართ-ბოლოსართები არ უნდა დაიწეროს, მაგ.: I, V, X, XV, XVIII, XX... L (ორმოცდამეათე), C (მეასე), D (მეხუთასე), M (მეათასე); შდრ., მარჯვნივ მდგომი ნიშნით გამოიხატება შუაში მდგომი რიცხვის მატება, ხოლო მარცხნივ მდგომი ნიშნით – კლება:

XL (მეორმოცე)	<–	**L** (ორმოცდამეათე)	–>	**LX** (მესამოცე)
XC (ოთხმოცდამეათე)	< –	**C** (მეასე)	–>	**CX**(ასმეათე)
XD(ოთხასოთხმოცდამეათე)	<–	**D**(მეხუთასე)	–>	**DX** (ხუთასმეათე)
XM(ცხრაასოთხმოცდამეათე)	<–	**M** (მეათასე)	–>	**MX** (ათასმეათე)

• რიგობითი სახელების არაბული რიცხვებით ჩაწერისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:
– თუ მე- თავსართი სახელს ფუძის დასაწყისში მოუდის, ჯერ თავსართი დაიწერება, შემდეგ – დეფისი და სათანადო რიცხვი, მაგ.: **მე-7, მე-15, მე-80**...
– თუ მე- თავსართი სახელს ფუძის შუაში მოუდის, ჯერ რიცხვი იწერება, შემდეგ – დეფისი და -ე ბოლოსართი, მაგ.: **25-ე, 73-ე, 218-ე**...
– საერთო წესიდან გამონაკლისია **პირველი**, რომელიც დაიწერება ასე: **1-ლი**.
• რიცხვებით ჩაწერილ რიგობით სახელებთან უნდა მიეთითოს ბრუნვის ნიშანი (გარდა სახელობითისა), ნაწილაკი და თანდებული; ისინი დეფისით გამოიყოფა; მაგ., შდრ.:

არაბ.		რომ.
25-ემ	–	XXV-მ
მე-7-ს	–	VII-ს
1-ლით	–	I-ით
მე-4-ის	–	IV-ის

მე-2-ც	–	II-ც
მე-10-ში	–	X-ში
22-ეზე	–	XXII-ზე...

წილობითი რიცხვითი სახელები მიღებულია რიგობითი რიცხვითი სახელების ვითარებითი ბრუნვის ფორმის ხელახალი ბრუნებით (მესამე > მესამე-დ > მესამედ-ი); მათ მართლწერასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი:

• რთული შედგენილობის წილობითი რიცხვითი სახელები, ისევე როგორც შესაბამისი რიგობითი რიცხვითი სახელები, იწერება ერთ სიტყვად; შდრ.:

რაოდ.	->	**რიგ.**	->	**წილ.**
ას თხუთმეტი	->	ასმეთხუთმეტე	->	ასმეთხუთმეტედი
შვიდას ოცდარვა	->	შვიდასოცდამერვე	->	შვიდასოცდამერვედი
ათას სამოცი	->	ათასმესამოცე	->	ათასმესამოცედი

მაგრამ: **ორი მესამედი, ოთხი მეცხრედი, ათი ასმეთხუთმეტედი, რვა შვიდასოცდამერვედი...**

• ძირითადი წარმოების პარალელურად, გამოიყენება განსხვავებული ფორმებიც, კერძოდ: წილობითი რიცხვითი სახელი მიიღება რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძისა და სიტყვა **ნახევარ-**ის კომბინაციითაც. ცალკე აღებული **ნახევარი** ენაცვლება **მეორედს**; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ნახევარი / ნახევარი პური	მეორედი / მეორედი პური

ნახევარი, როგორც წესი, დეფისით უკავშირდება რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეს: დეფისი აქ „და" კავშირის ფუნქციას ასრულებს; მაგ.:

			სწორია:	შეცდომაა:
ორი	+ ნახევარ-ი	–>	**ორ-ნახევარი / 2-ნახევარი**	ორნახევარი /2 ნახევარი
რვა	+ ნახევარ-ი	–>	**რვა-ნახევარი / 8-ნახევარი**	რვანახევარი / 8 ნახევარი
ათი	+ ნახევარ-ი	–>	**ათ-ნახევარი / 10-ნახევარი**	ათნახევარი / 10 ნახევარი

როცა კონსტრუქციაში საჭირო ხდება **დროის ან ზომა-წონის მაჩვენებლების** აღნიშვნა, რაოდენობითი რიცხვითი სახელი ცალკე ფუძედ გამოიყოფა, ხოლო ნახევარი დეფისით დაუკავშირდება ამ მაჩვენებლებს; მაგ., შდრ.:

სწორია:			შეცდომაა:
I.		II.	
ორ-ნახევარი	–	**ორ თვე-ნახევარი**	ორ-ნახევარი თვე
სამ-ნახევარი	–	**სამ კვირა-ნახევარი**	სამ-ნახევარი კვირა
ხუთ-ნახევარი	–	**ხუთ კილო-ნახევარი**	ხუთ-ნახევარი კილო
რვა-ნახევარი	–	**რვა მეტრ-ნახევარი**	რვა-ნახევარი მეტრი
ათ-ნახევარი	–	**ათ ლიტრ-ნახევარი**	ათ-ნახევარი ლიტრი

რაიმე აფიქსით წარმოების შემთხვევაში, ორივე სახის კონსტრუქცია ერთცნებიან (ერთმნიშვნელობიან) კომპოზიტად გარდაიქმნება და, შესაბამისად, დეფისი აღარ დაიწერება; მაგ.:

ხუთ-ნახევარ-ი	**+ იან**	**–>**	**ხუთნახევრიანი**
ხუთ კილო-ნახევარი	**+ იან**	**–>**	**ხუთკილონახევრიანი**

• შედარებით იშვიათია ძველი წარმოების წილობითი სახელები, მაგ.: **ნა-სამ-ალ-ი, ნა-ათ-ალ-ი, ნა-ოთხ-ალ-ი** და სხვ.

• თანამედროვეთა მეტყველებაში გავრცელებულია ენობრივად მცდარი ფორმა – **მეორადი** („მეორადი ტანსაცმელი", „მეორადი ფაკულტეტი"), რომელიც **პირველადის** ანალოგიითაა გაჩენილი; შდრ.:

სახ.: პირველ-ი – > ვით.: პირველ-ად – > სახ.: **პირველად-ი**

უნდა იყოს:

სახ.: მეორე – > ვით.: მეორე-დ – > სახ.: **მეორედ-ი**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფორმას **მეორედი**, ტრადიციულად, სხვა მნიშვნელობა აქვს (=„ნახევარი"); შესაბამისად, ჩვენში ბოლო ათეულ წლებში განვითარებული ახალი ცნებისათვის ნორმატიულად მიჩნეულია **მეორეული** („მეორეული ტანსაცმელი", „მეორეული ფაკულტეტი").

• პარალელური წარმოების ფორმებიდან: **სამოციანი, მესამოცე** ორივე ნორმატიულია, თუმცა უპირატესობა პირველს ენიჭება.

სავარჯიშოები

7.2.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ათას ცხრაას ოცდა ოთხი წლის აჯანყებას ბევრი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა.
2) ეს ამბავი ვახტანგ VI ეპოქაში მოხდა.
3) ჩქარა მითხარი, რამდენია ასოცის ოცდა მეხუთედი?
4) ნაგებობა შედგებოდა 4-ი იარუსისაგან.
5) გეფიცები, ეს I-ლი და უკანასკნელი შემთხვევაა.
6) სოფლამდე სამი-ნახევარი კილომეტრი კიდევ იყო დარჩენილი.
7) ათას ცხრაას პირველ წელს დაბადებულა ჩემი დიდი ბაბუა.
8) ეს კაცი რიგით მეასოც და მეხუთეა.
9) ჩემი ცხოვრების ორი-მეოთხედი უკვე გავიდა.
10) თუ იცი, ყვავი მართლა სამას წელს ცოცხლობს, თუ ორასორმოცდაათს?

7.2.2. გამართეთ სალიტერატურო ქართულით.

1) ჩემი გოგო 114 სკოლის I-ი კლასის მოსწავლეა.
2) მისი ნაშრომების სამიმეოთხედი 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს ეხება.
3) ასე, შვიდი რვა წელი გავიდა, რაც დავითი აღარ მინახავს.
4) ქალაქის ძველ რაიონში ქურდობის ას მეოცდამეჩვიდმეტე შემთხვევა მოხდა.
5) ორ საათნახევრიანი მგზავრობის შემდეგ სასტუმროში დავბინავდით.
6) იმ ბიზნესმენს ხუთ მილიონ ექვსასი ათასი დოლარი ჰქონია შვეიცარიის ბანკში.
7) ამ რიგში მე მეერთე ვარ, ის კი – ოცდაპირველი.
8) ორ-ნახევარი კილოგრამი ვაშლი ვიყიდე ნავთლუღის ბაზარში.~
9) სუფრისთვის ათ-თორმეტი ლავაში დაგვჭირდება.
10) თამაშის პრინციპი ასეთია: მე-5-მ არ უნდა იცოდეს, 7-ეს რა აქვს ყუთში დამალული.

7.2.3. შეარჩიეთ ნორმატიული წინადადებები.

1) უკაცრავად, სად არის აქ მეორადი ტანსაცმლის მაღაზია?
2) უკაცრავად, სად არის აქ მეორეული ტანსაცმლის მაღაზია?

3) აბო ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ჭაბუკი იყო, როცა ეზიარა ახალ სარწმუნოებას.
4) აბო ჩვიდმეტი თვრამეტი წლის ჭაბუკი იყო, როცა ეზიარა ახალ სარწმუნოებას.

5) მოხუცი მე-X-ე საფეხურზე გაჭირვებით ავიდა და იქვე ჩაჯდა.
6) მოხუცი X საფეხურზე გაჭირვებით ავიდა და იქვე ჩაჯდა.

7) ამ მაგალითში პასუხი ხუთი ოცდამეთვრამეტედია.
8) ამ მაგალითში პასუხი ხუთი ოცდა მეთვრამეტედია.

9) ექსკურსიაზე სულ ოცდა თხუთმეტი ბავშვი მოდის.
10) ექსკურსიაზე სულ ოცდათხუთმეტი ბავშვი მოდის.

11) ბიძაჩემი პოლიციის I-ელ განყოფილებაში მუშაობს, ზურას ბიძა კი – მე-5-ში.
12) ბიძაჩემი პოლიციის I განყოფილებაში მუშაობს, ზურას ბიძა კი – მე-5-ში.

13) ეს არის კორპუსი N 5-ი, ეგ ოჯახი კი N 7-ში ცხოვრობს.
14) ეს არის კორპუსი N 5, ეგ ოჯახი კი N 7-ში ცხოვრობს.

15) ერეკლე მე-2-მ მრავალი ბრძოლა გადაიხადა.
16) ერეკლე მ-2-ემ მრავალი ბრძოლა გადაიხადა.

17) ხუთი რომ გავამრავლოთ ორმოცდა შვიდზე, რამდენი იქნება?
18) ხუთი რომ გავამრავლოთ ორმოცდაშვიდზე, რამდენი იქნება?

19) დავით IV-ც საგონებელში ჩავარდა მომხდარის გამო.
20) დავით IV-ეც საგონებელში ჩავარდა მომხდარის გამო.

7.2.4. ფრჩხილებში წარმოდგენილი ვარიანტებიდან გამოყავით სწორი ფორმა.

1) ჩემი (2-ე / მე-2-ე / მე-2) ვაჟი ქართული უნივერსიტეტის მაგისტრანტია.
2) (კილო ნახევარი / კილო-ნახევარი / კილონახევარი) შაქრის საყიდლად ქუჩის მეორე ბოლოში მომიწია წასვლა.
3) (მეორადი / მეორეული / მეორედი) ფაკულტეტი ჯერ არ ამირჩევია.
4) ეს მოვლენები მეოცე საუკუნის (მეოცდაათიან / ოცდაათიან / ოც-და-ათიან) წლებში განვითარდა.
5) ამ ჯგუფში (ექვსნახევარწლიანი / ექვსწელნახევრიანი / ექვს წელნახევრიანი) ბავშვები მიიღეს.
6) (ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი / ათას ცხრაას ოც და ჩვიდმეტი) წლის რეპრესიები ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული.
7) მეზობლის ლეკვი (3 ნახევარ / 3-ნახევარ) კილოს იწონის.
8) ქვედანაყოფი (VII -ე / მე-VII -ე /მე-VII /VII) უბანში შევიდა.
9) საერთო შემოსავლების (ორი-მესამედი, ორი მესამედი, ორიმესამედი) ინფრასტრუქტურის მოწყობაში დაიხარჯა.
10) (ეს მეტრ-ნახევრიანი / მეტრნახევრიანი / მეტრ ნახევრიანი) საკაბე მაიას ძალიან გაუხარდება.

7.2.5. წაიკითხეთ ტექსტი; იპოვეთ შეცდომები და გაასწორეთ.

– ...დედა, გახსოვს ის 90-ი წლები?
– როგორ არ მახსოვს?!. – მილიონიანი კუპონები, უგაზობა... სინათლის ორსაათ-ნახევრიანი გრაფიკი ოცდაოთხ საათიანის ნაცვლად: ერთი საათი – დილით, საათნახევარი – საღამოს.
– კიდევ?..
– ცარიელი მაღაზიები... ლეგენდებად დადიოდა, ამ და ამ მაღაზიაში კვერცხი მოუტანიათ, იქ კიდევ ქათმებიო... მახსოვს, დეკემბრის ბოლო დღეები იყო, ვარკეთილიდან თავისუფლების მოედანზე წავედი უნივერსამში და ქათმის რიგში ას ორმოც და მეჩვიდმეტე ვიყავი, ფილარმონიისკენ გასტრონომში კი – კვერცხის რიგში (ჯერ რომ არც მოეტანათ და წინასწარ სიები დგებოდა) – მეასოთხმოცდამეშვიდე...
– როგორ იმახსოვრებდი?
– ხელზე ვიწერდით, ისე რა დაგვამახსოვრებინებდა?!. მაინც არაფერი შემხვდა იმ საღამოს, ტყუილად ვირბინე აქეთ-იქით და გამწარებული მოვედი სახლში.
– რატომ არ შეგხვდა, დე?..
– შიმშილის შიშით, ხუთშვიდ ქათამს ერთად ყიდულობდნენ და სად მომიწევდა?!. კვერცხი კიდევ სულ არ მოუტანიათ იმ დღეს.
– მერე?
– მერე, გაახარებს ღმერთი! – მამაჩემმა, როგორც II-ე მსოფლიო ომის მონაწილემ, თავის მაღაზიაში ინდაური იყიდა (თურმე საახალწლოდ მოუტანიათ ფრინველის ხორცი!) და 1-ი ნახევარი ჩვენ მოგვიტანა, მე-2-ე ნახევარი უკვე ბიძაშენისთვის წაეღო...
– თავისთვის არ უნდოდა?..
– ეჰ, შვილო...

7.3. რიცხვითი სახელების ბრუნება

რიცხვითი სახელი იბრუნება ცალკე და მეორე სახელთან ერთად.

• ცალკე აღებული რიცხვითი სახელი იბრუნება სათანადო ფუძის არსებითი სახელის მსგავსად; აქ ძირითადად გამოიყოფა ა-/ე-ხმოვანფუძიანი (კვეცადი) და თანხმოვანფუძიანი (უკუმშველი) სახელები, მაგ.: რვა – რვ-ის, ოცდაცხრა – ოცდაცხრ-ის, მეათე – მეათ-ის, ასოცდამეშვიდე – ასოცდამეშვიდ-ის... ოცდაჩვიდმეტ-ი – ოცდაჩვიდმეტ-ის, ოთხმოცდახუთ-ი – ოთხმოცდახუთ-ის... მერვედ-ი – მერვედ-ის, მეასედ-ი – მეასედ-ის... შდრ., იკუმშება **ნახევარი**: ნახევრ-ის, ორ- ნახევრ-ის...

• დამოუკიდებელ რიცხვით სახელს აქვს:

– ებიანი და ნართანიანი მრავლობითის ფორმები:

	-ებ:	**-ნ / -თ:**
სახ.	ათები	ათნი
მოთ.	ათებმა	ათთა
მიც.	ათებს	ათთა
ნათ.	ათების	ათთა
მოქ.	ათებით	--------
ვით.	ათებად	--------
წოდ.	ათებო	ათნო

– ნაწილაკიანი ფორმები. ნორმაა შეხორცებული წარმოება (ფუძე+ნაწილაკი+ბრ.ნიშ.), დასაშვებია შეუხორცებელი წარმოება (ფუძე+ბრ.ნიშ.+ნაწილაკი), მაგრამ მიუღებელია შერეული წარმოება – ორმაგად ნაწარმოები ბრუნვის ფორმები (ფუძე+ბრ.ნიშ.+ნაწილაკი+ბრ.ნიშ.):

მხ. რ.

ნორმა (შეხორცებული)	**დასაშვები** (შეუხორცებელი)	**შეცდომა** (ნარევი)	
სახ. ათივე			ათთავე
მოთ. ათივემ	ათმავე	ათმავემ	ათთავემ
მიც. ათივეს	ათსავე	ათსავეს	ათთავეს
ნათ. ათივეს(ი)	ათისავე		ათთავეს(ი)
მოქ. ათივეთი	ათითვე		ათთავეთი
ვით. ათივედ	ათადვე		ათთავედ
წოდ. ათივე(ვ)			ათთავე(ვ)

მრ.რ.

ნორმა	**დასაშვები**	**შეცდომა**
სახ,	ათნივე /ათივენი	ათთავენი
მოთ.	ათთავე	
მიც.	ათთავე	
ნათ.	ათთავე	
მოქ.	--------	
ვით.	--------	
წოდ.	--------	

საყურადღებოა, რომ ერთი და იგივე ფორმა – **ათთავე** – ერთ შემთხვევაში დასაშვებია, მეორე შემთხვევაში – შეცდომა; შეცდომის თავიდან ასაცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომელი ბრუნვის ფორმაზე ვსაუბრობთ; აღნიშნულ ფორმაში პირველი თ ფუძისეულია, მეორე თ – მრავლობითის ნიშანი, რომელიც აწარმოებს მოთ., მიც. და ნათ. ბრუნვებს. თანიანი მრავლობითის ფორმას სახ. ბრუნვაში ნარიანი ფორმა შეესაბამება: ათ-ნ-ი-ვე / ათივე-ნ-ი; ამიტომ, თუ კონტექსტის, მაგ., ზმნის კონსტრუქციის მიხედვით, სახელობითის ფორმაა საჭირო, თანიანი მრავლობითის ფორმა შეცდომა იქნება; შდრ.:

დავინახე ისინი– ბავშვებ-ი (სახ.) ათივენი / ათნივე
მომწერეს მათ – ბავშვებ-მა (მოთ.) ათთავე
ვხედავ მათ – ბავშვებ-ს (მიც.) ათთავე

• რიცხვითი სახელი მეორე სახელთან ერთად ისე იბრუნება, როგორც შეთანხმებული მსაზღვრელი (იხ. ქვემოთ: 14.2.1. შეთანხმებული მსაზღვრელი). თუ რიცხვითი სახელი ნაწილაკიანია, ყველა ბრუნვაში ფუძის სახით იქნება (ისევე როგორც ხმოვანფუძიანი შეთანხმებული მსაზღვრელი), მაგ.: ორივე მეგობარი, ორივე მეგობარმა, ორივე მეგობარს...

• განსხვავებულია რამდენიმეფუძიანი რთული რიცხვითი სახელის ბრუნება არსებითთან. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბრუნვის ნიშნებს დაირთავს რთული ფუძის ბოლო შემადგენელი რიცხვითი სახელი. რაც შეეხება **ათასის, მილიონის, მილიარდის, ტრილიონის...** რაოდენობის აღმნიშვნელ სახელს, ის ყველა ბრუნვაში სახელობითის ფორმით იქნება წარმოდგენილი; მაგ.:

სახ.: სამი მილიონ შვიდასი ათას სამას ოცდაცამეტი წელი
მოთ.: სამი მილიონ შვიდასი ათას სამას ოცდაცამეტმა წელმა
მიც.: სამი მილიონ შვიდასი ათას სამას ოცდაცამეტ წელს
ნათ.: სამი მილიონ შვიდასი ათას სამას ოცდაცამეტი წლის
მოქმ.: სამი მილიონ შვიდასი ათას სამას ოცდაცამეტი წლით
ვით.: სამი მილიონ შვიდასი ათას სამას ოცდაცამეტ წლად
წოდ.: სამი მილიონ შვიდასი ათას სამას ოცდაცამეტო წელო

• როდესაც მსაზღვრელად არის რაოდენობითი რიცხვითი სახელი, **ებ**იანი მრავლობითის ფორმები გამორიცხულია; ნორმაა:

– რაოდენობითი რიცხვითი სახელიც და მეორე სახელიც მხ. რიცხვში; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ასი კაცი	ასი კაცები
ორი-სამი კალამი	ორი-სამი კალმები
ურიცხვი ვარსკვლავი	ურიცხვი ვარსკვლავები
ბევრი მოსწავლე	ბევრი მოსწავლეები
ცოტა ვაშლი	ცოტა ვაშლები

– რაოდენობითი რიცხვითი სახელიც და მეორე სახელიც ნარ-თანიან მრავლობითში; შდრ.:

ნორმატიული ფორმები:	**შვიდნი ძმანი გურჯანელნი**	(სახ.)
	სამთა გმირთა მნათობთა	/
	სამთავე ხელმწიფეთა	(მოთხ. / მიც./ ნათ.)
არასალიტერატურო ფორმები:	სამი ძმანი გურულები	(კუთხ.)

• რიგობითი რიცხვითი სახელის გავრცელებული კონსტრუქციებიდან: **X-XI საუკუნე, X-XI საუკუნეები** ორივე სწორია, ოღონდ განმასხვავებელი მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტს, კერძოდ: თუ კონტექსტის მიხედვით რიცხვებს შორის სავარაუდოა **ან** კავშირის აღდგენა, უნდა ითქვას და დაიწეროს **X-XI საუკუნე,** ხოლო და მაჯგუფებელი კავშირის შემთხვევაში – **X-XI საუკუნეები;** მაგ., შდრ.:

"ეს მოვლენა უნდა განვითარებულიყო X–XI (X ან XI) საუკუნისათვის;"
"სამეფოთა შორის დაპირისპირება მწვავედ გამოვლინდა X–XI (X და XI) საუკუნეებში."

სავარჯიშოები

7.3.1. იპოვეთ შეცდომები და გაასწორეთ.

1) მაჟორიტარ დეპუტატს შვიდასმა ათასმა ამომრჩეველმა მისცა ხმა.
2) ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, პარიზის ქუჩებში ერთ მილიონ რვაასი დემონსტრანტი გამოვიდა.
3) რატის ბევრი მეგობრები ჰყავს.

4) ახლა ცაზე ასზე მეტი ვარსკვლავებია.
5) სალაროში სულ ხუთ ათასი ლარია.
6) ბაბუას ორი ვაჟი ჰყავდა და ცხრა - გოგოები.
7) ზოგ დელეგატებს კერძო სასტუმროში დავაბინავებთ.
8) ათას ცხრაას ჩვიდმეტ წელმა სათავე დაუდო საბჭოთა პერიოდს რუსეთის იმპერიაში.
9) საარქივო მასალებში ასახულია ოცდაჩვიდმეტ წლის მოვლენები.
10) მრავალი ფაქტები მოწმობს ჩემი პოზიციის სისწორეს,
11) ასმა ათასმა ქართველმა თავი გაწირა სარწმუნოებისათვის.

7.3.2. ფრჩხილებში მითითებული პარალელური ფორმებიდან შეარჩიეთ ნორმატიული და დასაშვები ვარიანტები წინადადებების დასასრულებლად.

1) (ორსავეს / ორივეს / ორსავე / ორნივეს / ორთავეს) ვთხოვე წიგნი.
2) (ოთხთავე / ოთხივენი / ოთხნივე) დამეხმარნენ.
3) (შვიდნივე / შვიდთავე / შვიდივენი / შვიდთავენი) გაიწვიეს სამხედრო სამსახურში.
4) (ცხრავეს / ცხრათავეს / ცხრასვეს) ვასწავლი ჭკუას.
5) (ხუთნივე / ხუთივენი / ხუთთავენი/ ხუთთავე) დავინახე ფანჯრიდან.
6) (ორთავე /ორნივე /ორთავენი / ორივენი) ჩემი მეგობრები არიან.
7) (სამივემ / სამმავე / სამმავემ) ჩააბარა გამოცდა.
8) (შვიდთავეს / შვიდივეს / შვიდნივეს) გადასცეს დიპლომი.
9) (რვავენი /რვათავე / რვანივე) ერთად გაზარდეს.
10) (ექვსივენი/ ექვსთავე / ექვსნივე) ერთ კლასში სწავლობენ.

7.3.3. დეფისის ნაცვლად ჩასვით შესაბამისი კავშირი: და / ან.

1) აღნიშნული არხი გაიყვანეს X-XI საუკუნეში.
2) ტაძრის რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა X-XI საუკუნეებში.

3) ჩვენი მოსწავლეები პირველ-მეორე რიგებში სხედან.
4) ეს საკითხი პირველ-მეორე რიგში უნდა განიხილებოდეს.

5) სასკოლო ოლიმპიადა ამჯერად VI-VII კლასებში ჩაატარეს.
6) გიგი მაშინ იყო VI-VII კლასში.

7) დაავადება თავს იჩენს განვითარების მესამე-მეოთხე სტადიაზე.
8) დაკვირვებისათვის მნიშვნელოვანია ნაყოფის განვითარების მესამე-მეოთხე სტადიები.

9) შედარებით მწირია არქეოლოგიური მასალები IV-III ათასწლეულებზე.
10) აღნიშნული სამარხი მიეკუთვნება, სავარაუდოდ, IV-III ათასწლეულს.

ტესტი N 7

რიცხვითი სახელი

- რიცხვითი სახელის რაობა და ჯგუფები
- რიცხვით სახელთა წარმოება
- რიცხვითი სახელების ბრუნება

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
რიცხვითი სახელი გამოხატავს საგნის
ა) რაოდენობას, მოცულობას ან წილს;
ბ) რაოდენობას, რიგს ან წილს.
2. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
რიცხვითი სახელის კითხვებია:
ა) რამდენი? მერამდენე? მერამდენედი?
ბ) რამდენი? როგორი? მერამდენედი?
3. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი წილობითი რიცხვითი სახელია.
ა) ცხრა, მეშვიდე, ნახევარი, ორმოცდარვა, მეათედი, ასი;
ბ) ნასამალი, თორმეტი, ოცდამეხუთე, ცხრამეტი, პირველი, ხუთი.
4. აირჩიეთ სწორი ვარიანტი წესის ჩამოსაყალიბებლად.
და კავშირით შეერთებული რიცხვითი სახელი იწერება
ა) ერთ სიტყვად;
ბ) ცალ-ცალკე.
5. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.
ა) ორ ასი, სამ ასი... ათ ასი;
ბ) ორასი, სამასი... ათასი;
6. რომელია სწორი?
ა) სამ მილიონ სამას ოცდაცამეტი;
ბ) სამი მილიონი სამას ოცდაცამეტი;
გ) სამი მილიონ სამას ოცდაცამეტი.
7. შემოხაზეთ ორი მცდარი ვარიანტი.
ა) სამსამი, ორისამი;
ბ) სამ-სამი, ორი-სამი;
გ) სამ სამი, ორი სამი.
8. აირჩიეთ სწორი ვარიანტი წესის ჩამოსაყალიბებლად.
რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობითის ფუძეზე
ა) მე - ე თავსართ-ბოლოსართების დართვით;
ბ) მე თავსართის დართვით;
გ) ე ბოლოსართის დართვით
9. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.
ა) მეერთე, ოცდაპირველი, მეოცდახუთე, მეოცდაჩვიდმეტე;
ბ) პირველი, ოცდამეერთე, ოცდამეხუთე, ოცდამეჩვიდმეტე.
10. შემოხაზეთ ორი მცდარი ფორმა.
ა) მეშვიდასჩვიდმეტე;
ბ) შვიდასმეჩვიდმეტე;
გ) მეშვიდასმეჩვიდმეტე.
11. რომელია სწორი?
ა) **X L** (მეორმოცე) <– **L** (ორმოცდამეათე) –> **L X** (მესამოცე);
ბ) **X L** (მესამოცე) <– **L** (ორმოცდამეათე) –> **L X** (მეორმოცე).
12. მონიშნეთ სწორი განმარტება.
თუ მე- თავსართი რიგობით სახელს ფუძის დასაწყისში მოუდის,
ა) ჯერ თავსართი დაიწერება, შემდეგ – დეფისი და სათანადო რიცხვი;
ბ) ჯერ რიცხვი იწერება, შემდეგ – დეფისი და -ე ბოლოსართი,
13. შემოხაზეთ რიგობით რიცხვით სახელთა არანორმატიული ფორმები.
ა) მე-18, 37-ე, 1-ლი, 146-ე;

ბ) 18-ე, მე-37, 1, მე-146-ე.

14. აირჩიეთ სწორი ვარიანტი წესის ჩამოსაყალიბებლად.

რიცხვებით ჩაწერილ რიგობით სახელებთან ბრუნვის ნიშანი, ნაწილაკი და თანდებული დაიწერება:

ა) დეფისით;

ბ) უდეფისოდ.

15. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.

ა) მე-2-ს / II -ს; მე-2-ც / II -ც; მე-2-ში / II -ში;

ბ) მე-2ს / IIს; მე-2ც / IIც; მე-2ში / IIში.

16. რომელია მცდარი ვარიანტი?

ა) 32; I;

ბ) 32-ი; I-ი / I-ლი.

17. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

წილობითი რიცხვითი სახელები მიიღება

ა) რიგობითი რიც. სახელების ვით. ბრუნვის ფორმის ხელახალი ბრუნებით;

ბ) რაოდენობითი რიც. სახელების ვით. ბრუნვის ფორმის ხელახალი ბრუნებით.

18. მონიშნეთ სწორი პასუხი წესის დასასრულებლად.

დროის ან ზომა-წონის მაჩვენებლების აღნიშვნის შემთხვევაში:

ა) რაოდენობითი რიცხვითი სახელი ცალკე ფუძედ გამოიყოფა, ნახევარი კი დეფისით დაუკავშირდება ამ მაჩვენებლებს;

ბ) რაოდენობითი რიცხვითი სახელი და ნახევარი ცალ-ცალკე ფუძეებად გამოიყოფა.

19. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.

ა) ორნახევარი /2 ნახევარი;

ბ) ორ-ნახევარი / 2-ნახევარი;

20. შემოხაზეთ არანორმატიული ფორმა.

ა) სამ-ნახევარი კვირა;

ბ) სამ კვირა-ნახევარი.

21. რომელია მცდარი?

ა) ხუთნახევრიანი, ხუთკილონახევრიანი;

ბ) ხუთ-ნახევრიანი, ხუთკილო-ნახევრიანი.

22. მონიშნეთ სწორი განმარტება.

ფორმები: **ნაათალი, ნასამალი**

ა) ახალი წარმოებისაა;

ბ) ძველი წარმოებისაა.

23. მონიშნეთ მცდარი განმარტება.

უნდა ვწეროთ და ვთქვათ:

ა) „მეორადი ტანსაცმლის მაღაზია“.

ბ) „მეორეული ტანსაცმლის მაღაზია“.

24. მონიშნეთ სწორი განმარტება.

პარალელური ფორმებიდან: **სამოციანი, მესამოცე**

ა) ერთ-ერთი შეცდომაა;

ბ) ორივე შეცდომაა;

გ) ორივე სწორია.

25. რომელია მცდარი განმარტება?

ცალკე აღებული რიცხვითი სახელი იბრუნება

ა) სათანადო ფუძის არსებითი სახელის მსგავსად;

ბ) თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელის მსგავსად.

26. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ა-ზე დაბოლოებული რიცხვითი სახელები (რვა, ოცდაცხრა...)

ა) კვეცადია;

ბ) კუმშვადია.

27. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ნახევარი და ნახევარ- ფუძეზე დაბოლოებული რიცხვითი სახელები

ა) კუმშვადია;

ბ) უკუმშველია.

28. მონიშნეთ სწორი განმარტება.
ორივენი და ორნივე ერთი და იმავე მნიშვნელობის
ა) დასაშვები ფორმებია;
ბ) არანორმატიული და ფორმებია.
29. მონიშნეთ მცდარი განმარტება.
ორთავენი ნარევი ფორმაა და
ა) არასწორია;
ბ) ნორმაა.
30. შემოხაზეთ ორი სწორი წინადადება.
ა) ათნივე აქ არიან;
ბ) ათთავე აქ არიან;
გ) ათნივე დაურიგდა მოსაწვევი ბარათები;
დ) ათთავე დაურიგდა მოსაწვევი ბარათები;
ე) ათთავეს დაურიგდა მოსაწვევი ბარათები.
31. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
წინადადებაში: „მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს" **სამთავე** არის:
ა) მიცემით ბრუნვაში;
ბ) სახელობით ბრუნვაში.
32. შემოხაზეთ სწორი განმარტება.
რიცხვითი სახელი მეორე სახელთან ერთად ისე იბრუნება, როგორც
ა) შეთანხმებული მსაზღვრელი.
ბ) დამოუკიდებელი არსებითი სახელი.
33. შემოხაზეთ ბრუნების სწორი ვარიანტი.
ა)
სახ.: სამასი ათასი კაცი
მოთ.: სამასმა ათასმა კაცმა...
ბ)
სახ.: სამასი ათასი კაცი
მოთ.: სამასი ათასმა კაცმა...
34. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი შეცდომაა.
ა) სამი-ოთხი წიგნი, ბევრი ბავშვები, რამდენიმე შეხვედრა;
ბ) ხუთ-ხუთი ბილეთი, ცოტა ყურძენი, ურიცხვი ვარსკვლავი.
35. შემოხაზეთ ორი მცდარი ვარიანტი.
ა) სამი ძმანი;
ბ) სამნი ძმანი;
გ) სამი ძმები.
36. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
X-XI საუკუნე იგივეა, რაც:
ა) X ან XI საუკუნე;
ბ) X და XI საუკუნეები.
37. შემოხაზეთ მცდარი წინადადება.
ა) სოციალ-დემოკრატები გააქტიურდნენ XIX–XX საუკუნის მიჯნაზე;
ბ) სოციალ-დემოკრატები გააქტიურდნენ XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე.

8. ნაცვალსახელი

8.1. ნაცვალსახელის რაობა და ჯგუფები

ნაცვალსახელი დამოუკიდებელი და ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილია, რომელიც გამოიყენება სხვა სახელების (არს., ზედ., რიცხვ.) ნაცვლად. ცნობილია მისი ჯგუფები:

პირის: მე, შენ, ის, იგი, ჩვენ, თქვენ, ისინი, თავი;

შდრ.: **თავი შეირცხვინა – თავი გაიტეხა;** პირველ ფრაზაში **თავი** ნაცვალსახელია, ხოლო მეორეში – არსებითი სახელი;

ჩვენებითი: ეს, ეგ, ის (კაცი), ასეთი, მასეთი, ისეთი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი...

კითხვითი: ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? როდინდელი? სადაური? რამდენი?

კუთვნილებითი: ჩემი, შენი, მისი, იმისი, თავისი, ჩვენი, თქვენი, მათი, იმათი, თავიანთი;

კითხვით-კუთვნილებითი: ვისი? რისი? რისა?

მიმართებითი: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, სადაურიც, ვისიც...

ურთიერთობითი: ერთმანეთი, ერთურთი, ერთიმეორე…

უარყოფითი: არავინ, ვერავინ, ნურავინ, არარა, ვერარა, ნურარა, არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, აღარაფერი, ვეღარაფერი, ნუღარაფერი, არავითარი, ვერავითარი, ნურავითარი;

განუსაზღვრელობითი: ვინმე, რამე, რომელიმე, ვიღაცა, რაღაცა, რომელიღაცა... ერთი, ზოგი, კაცი;

განსაზღვრებითი: ყოველი, ყველა, თითოეული, თვით, თვითონ, თავად...

8.2. ნაცვალსახელთა წარმოება და ბრუნება

ფუძის აგებულების მიხედვით, ნაცვალსახელი შეიძლება იყოს ძირეული (მარტივფუძიანი), წარმოქმნილი (ნაწარმოები) და რთული.

ძირეული ნაცვალსახელები: მე, შენ, ეს, ეგ, ის... (პირის / ჩვენებითი), ვინ? რა? (კითხვითი);

წარმოქმნილი ნაცვალსახელები: შენი, მისი, თავისი (კუთვნილებითი), სადაური? (კითხვითი), რომელიც, როგორიც (მიმართებითი), ვიღაც, რამე... (განუსაზღვრელობითი);

რთული ნაცვალსახელები: მაგგვარი, იმგვარი (ჩვენებითი), ერთიმეორე, ერთმანეთი, (ურთიერთობითი), ზოგიერთი (განუსაზღვრელობითი), აღარაფერი, არავინ (უარყოფითი)...

8.2.1. I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნების სქემა

		მხ.რ.		მრ.რ.
სახ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მოთ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მიც.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
ნათ.	ჩემ(გან/...)	შენ(გან/...)	ჩვენ(გან/...)	თქვენ(გან/...)
მოქ.	-----	-----	-----	-----
ვით.	-----	-----	-----	-----
წოდ.	-----	შე (შენ) -----		თქვე (თქვენ)

როგორც სქემიდან ჩანს, I და II პირის ნაცვალსახელთა მხოლ. და მრავ. ფუძეები სხვადასხვაა: **მე – ჩვენ; შენ – თქვენ** (შდრ.: კაცი – კაცები); ისინი უბრუნველია: სახ. მოთ. და მიც. ბრუნვებში ერთი და იგივე ფორმა აქვთ. ბრუნვის ფორმის გარჩევა ხდება კონტექსტის მიხედვით; მაგ., შდრ.:

ნავედი მე – კაცი (სახ.)
გავაკეთე მე – კაცმა (მოთ.)
მითხრეს მე – კაცს (მიც.).

აღნიშნული ნაცვალსახელები ნათესაობით ბრუნვაში მხოლოდ თანდებულიანი ფორმით გამოიყენება, მაგ.: **ჩემგან, შენკენ, ჩვენთვის, ჩემ გვერდით, შენ ზევით, ჩვენ შესახებ, თქვენ გამო...** (თანდებულიანი ნაცვალსახელების მართლწერასთან დაკავშირებით, იხ. ქვემოთ).

წოდებითი ბრუნვა I პირის ნაცვალსახელებს არა აქვთ; რაც შეეხება II პირის ნაცვალსახელებს, ისინი პირითადად წარმოდგენილი არიან **ნარ-ჩამოცილებული** ფორმებით, რომლებიც, ჩვეულებრივ, მიმართვისას გამოიყენება; ნაცვალსახელის გამეორების შემთხვევაში ნარი აღდგება და დაერთვის გავრცობის ნაწილაკი (-ა): **შე დალოცვილო, შენა; თქვე კარგო ხალხო, თქვენა...**

თანამედროვე ქართულში **ჩვენ** და **თქვენ** ნაცვალსახელებს მხოლოობითის მნიშვნელობაც აქვთ მორიდებული, თავაზიანი საუბრისას (თუმცა ზმნის ფორმა მაინც მრავლობითშია); მაგ., შდრ.:

- **ჩვენ** – მე და ნინო – ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში;
- ამ მოხსენებაში **ჩვენ** (=მე) ვისაუბრებთ ქართველოლოგიის პრობლემებზე;
- ბავშვებო, **თქვენ** ხვალ ექსკურსიაზე მიდიხართ კახეთში;
- „ბატონო გალაკტიონ, **თქვენ** (=შენ) პირველი ხართ, დამისახელეთ მეორე პოეტი“ (მ. ლებ.).

სავარჯიშო

8.2.1.1. გამოყავით I და II პირის ნაცვალსახელები; მიუთითეთ ბრუნვა.

1) შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა, ქორონიკონის კენტი და ლუწი... (გრიშ.).
2) მე ის პატარა ნაკადული ვარ, შენ რომ ამღვრევ და ასე ათრთოლებ (ფოცხ.).
3) თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ (წერ.).
4) მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს (წერ.).
5) ჩვენ რომ არა შეგვატყონ-რა, შენ ნუ გაგეცინებაო! (მღვიმ.).
6) მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში... (აბაშ.).
7) მერე მე ძროხა ვის ჩავაბარო, სადღა ვიშოვი კარგ მეძროხესა?!. (ჭავ.).
8) თქვენ გინდათ გახდეთ მილიარდერი. / მე კი ვარჩევდი გზას უნაპიროს... (ტაბ.).
9) სხვა როცა მე შემომწატრის, მე მივბაძო სხვას?! (მაჭ.).
10) ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე... მე და ღამე... (ტაბ.).

8.2.2. ნაცვალსახელები: ეს, ეგ, ის/იგი

ეს, ეგ, ის / იგი ნაცვალსახელები:

- ბრუნების დროს ორფუძიანობას ავლენენ: ერთი ფუძე აქვთ სახელობითისათვის, ხოლო მეორე – დანარჩენი ბრუნვებისათვის (წოდებითი ბრუნვის ფორმა, ზოგადად, გარდა რამდენიმე შემთხვევისა, ნაცვალსახელებს არ მოეპოვება);
- იბრუნებიან ორგვარად:

ა) დამოუკიდებლად, ანუ პირის ნაცვალსახელის ფუნქციით;
პირის ნაცვალსახელის ფუნქციით ბრუნებისას ფუძეზე ბრუნვის ნიშნები დაერთვით; ეწარმოებათ **ნარ-/თან-**იანი მრავლობითის ფორმები (**ნარიანი** ფორმა – სახელობითში, ხოლო **თანიანი** – მოთხრობით, მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში).

ეს, ეგ, ის/იგი ნაცვალსახელთა დამოუკიდებლად ბრუნება

	მხ.რ.				მრ.რ.			
სახ.:	ეს	ეგ	ის	იგი	ესენი	ეგენი	ისინი	იგინი[25]
მოთ.:	ამან	მაგან	იმან	მან	ამათ	მაგათ	იმათ	მათ
მიც.:	ამას	მაგას	იმას	მას	"----"	"----"	"----"	"----"

[25] **იგინი** ძველი სალიტერატურო ფორმაა, რომელიც თანამედროვე ქართულში დიალექტიზმად კვალიფიცირდება; ნორმატიულია მისი **თანიანი** ფორმა **მათ** მოთ., მიც. და ნათ. ბრუნვებში.

ნათ.:	ამის	მაგის	იმის	მის	*----*	*----*	*----*	*----*
მოქმ.:	ამით	მაგით	იმით	მით	------	------	------	------
ვით.:	ამად	მაგად	იმად	მად	------	------	------	------

ბ) მეორე სახელთან ერთად, ანუ მსაზღვრელის ფუნქციით (შდრ., ნაცვალსახელი **იგი** თანამედროვე ქართულში მხოლოდ პირის ნაცვალსახელის ფუნქციითაა). მსაზღვრელის ფუნქციით ბრუნებისას **ეს, ეგ, ის** ნაცვალსახელები, ბრუნვისა და რიცხვის ნიშნების გარეშე, ფუძის სახით არიან წარმოდგენილი.

ეს, ეგ, ის ნაცვალსახელთა ბრუნება მეორე სახელთან ერთად:

სახ.:	ეს / ეგ / ის კაცი	ეს / ეგ / ის კაცები
მოთ.:	ამ / მაგ / იმ კაცმა	ამ / მაგ / იმ კაცებმა
მიც.:	ამ / მაგ / იმ კაცს	ამ / მაგ / იმ კაცებს
ნათ.:	ამ / მაგ / იმ კაცის	ამ / მაგ / იმ კაცების
მოქ.:	ამ / მაგ / იმ კაცით	ამ / მაგ / იმ კაცებით
ვით.:	ამ / მაგ / იმ კაცად	ამ / მაგ / იმ კაცებად

ეს, ეგ ის ნაცვალსახელთა ანალოგიურად, სხვა ჩვენებითი ნაცვალსახელები: **ასეთი, მასეთი, ისეთი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა, ამგვარი, მაგგვარი, იმგვარი...** იბრუნება როგორც დამოუკიდებლად, ისე მეორე სახელთან ერთად. პირველ შემთხვევაში მათი ბრუნება შესაბამისი ფუძის არსებითი სახელის ბრუნებას ჰგავს, ხოლო მეორე შემთხვევაში – სათანადო ფუძის ზედსართავი სახელისას (იხ. ქვემოთ, შეთანხმებული მსაზღვრელი).

სალიტერატურო ენაში დაუშვებელია ნაცვალსახელთა ნორმატიული ფორმების არანორმატიული ვარიანტებით ჩანაცვლება; მაგ., შეცდომაა: აგენი, მაგენი, იგენი, ამგენს... ესენები, ისენი... ა(გ)ი გოგო, მა(გ)ი ბიჭი, ი(გ)ი კაცი და სხვ.

სავარჯიშოები

8.2.2.1. ფრჩხილებში ჩასმული ნაცვალსახელები ჩასვით სათანადო ბრუნვაში.

1) ამ ამბების შემდეგ (იმას) კარგა ხანია, აღარ დამინახავს.
2) (მაგან) დღეს სკოლაში არ ბრძანდებოდა - გაკვეთილები გააცდინა.
3) (ეგ) როგორ მეუბნები?!
4) მთელი დღეა (ეს) ვეძებ.
5) (მაგით) ის არ არის, სიმართლე რომ დამალა?!
6) (ის) გელაპარაკები, რომ თავს უნდა გაუფრთხილდე.
7) შენ რომ (ეს) მეუბნები, მე როგორ არ გიპასუხო?!
8) ბოლოს და ბოლოს (მან) კაფეში იპოვეს მეგობრებთან ერთად.
9) (მაგას) ჩემი ძველი ნაცნობია.
10) შენ (ეგ) ვერ გამაკვირვებ.

8.2.2.2. ფრჩხილებში ჩასმული ფრაზები ჩასვით სათანადო ბრუნვაში.

1) ჰკითხეთ (ის გოგო) და ყველაფერს გეტყვით მომხდარის შესახებ.
2) (ეს ზღაპარი) ბევრ რამეზე დამაფიქრა.
3) ჩემს მეზობელს სწორედ (ეს ბიჭები) გაცნობა სურდა.
4) (ეგ საქმე) დიდი დაფიქრება სულაც არ სჭირდება.
5) ნინოს ჰგონია, რომ (ის კაცი) არაფერი ეშლება.
6) (ეგ პიროვნება) გამო კამათი დიდხანს გაგრძელდა.
7) ყველა (ის მეზობელი) უჭერს მხარს.
8) (ის შემთხვევა) შემდეგ გოგონას სხვებთანაც დაეძაბა ურთიერთობა.
9) (ეგ ჟურნალიტები) სულ სხვაგვარად გააშუქეს მომხდარი ფაქტი.

10) სხვების აზრი (ეს ადამიანები) სულაც არ აინტერესებთ.

8.2.2.3. დიალექტური ფორმები შეცვალეთ სალიტერატუროთი.

1) ჩვენთან გამოუშვი მაი კაცი.
2) აგენმა რომ გააკეთონ, ისეთი არაფერი მინახავს.
3) აი ფული, როგორც გინდათ, ისე გაინაწილეთ.
4) მითხარი, ამეებს ვინ შეხვდა გზაში?
5) იი სასწაული როგორ მოხდა?
6) ესენები უკვე წასული არიან სოფელში.
7) მეგ გოგო სახლში შემოსაშვები არაა.
8) იგენი სტუმრად მიიწვიეს მეზობელ სოფელში.
9) მაგი ამბავი, რაც მოხდა, ჭორიკანა ქალების ბრალია.
10) ის ღონისძიება ამგენმა მოაწყვეს შარშან.

8.2.2.4. დაასრულეთ წინადადებები. დააკვირდით, რა განსხვავებაა წყვილებში წარმოდგენილ ნაცვალსახელებს შორის.

1) ეს მითხრა...
   ეს გაკვეთილი...
2) ამას გეუბნებოდი...
   ამ ადგილიდან...
3) ეგ სახლი...
   ეგ რომ დროზე მოსულიყო...
4) ის გაუმასპინძლდა...
   ის შემთხვევა...
5) იმ ოჯახს...
   იმისგან ვერაფერს...
6) ეს რომ მცოდნოდა...
   ეს ბავშვი...
7) იმას უთხარი...
   იმ კაცს...
8) ეგ მაინც ვერ გაიგებს...
   ეგ ინფორმაცია...
9) მაგის გამო მივდივარ...
   მაგ პროექტს...
10) ის გააკეთე...
    ის ფილმი...

8.2.3. კითხვითი ნაცვალსახელები: ვინ? რა?

კითხვითი ნაცვალსახელები გამოხატავს კითხვას. ესენია: **ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? მერამდენე? მერამდენედი? სადაური? როდინდელი?..** ამათგან თავისებურებას ავლენს ძირეული კითხვითი ნაცვალსახელები **ვინ?** და **რა?**

ვინ? რა? ნაცვალსახელთა ბრუნების სქემა

	მხ.რ.		მრ.რ.
სახ.	ვინ	რა	რაები
მოთ.	ვინ	რამ	რაებმა
მიც.	ვის	რას	რაებს
ნათ.	ვის	რის	რაების
მოქ.	ვისით	რით	რაებით
ვით.	ვისად	რად	რაებად

ვინ? რა? ნაცვალსახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია შემდეგი თავისებურებები:

- **ვინ** ზიარი ფორმაა სახელობითისა და მოთხრობითისათვის; ასევე ერთია ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმა – **ვის**. კონკრეტული ბრუნვის ამოცნობა შესაძლებელია რომელიმე საზოგადო სახელის შენაცვლებით, მაგ.:

  ვინ შეკაზმავს ცხენს? – **კაცი** (სახ.)

  ვინ დააგვიანა მოსვლა? – **სტუდენტმა** (მოთ.)

  ვის მიაგეს პატივი? – 9 აპრილის **გმირებს** (მიც.)

  ვის სახლში გაიმართა წვეულება? – **მეზობლის** (ნათ.)

- **ვინ** ნაცვალსახელს მრავლობითის ფორმა არ ეწარმოება. ამისათვის გამოიყენება აღწერითი ხერხი; შდრ.:

  სწორია: შეცდომაა:

  ვინ და ვინ გვესტუმრნენ? ვინები გვესტუმრნენ?

დასაშვებად ითვლება თანამედროვე სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებული ფრაზა: **ვინ არიან?** ასევე – **ვინ იყვნენ მოსული?** და სხვ. არაიშვიათად, სასაუბრო მეტყველებისავე გავლენით, ამ ტიპის მრავლობითის ფორმებს შეიძლება შეენაცვლოს მხოლოობითის ფორმებიც, რომლებშიც რიცხვის მნიშვნელობა განზოგადებულია; მაგ., კითხვისათვის: **"ღონისძიებაზე ვინ წავიდა?"** სავარაუდო პასუხებია: **1) ბავშვი წავიდა; 2) ბავშვები წავიდნენ.**

მრავლობითობის გამოხატვა ასევე შესაძლებელია **ვინ** ნაცვალსახელისა და რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნის კომბინაციით; შდრ.:

ვინ დასხეს / ვინ და ვინ დასხეს პირველ რიგში? – ბავშვები

ვინ დასვეს პირველ რიგში? – ბავშვი

ანალოგიურად გამოიხატება მრავლობითობა **რა** ნაცვალსახელისა და რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნის კომბინაციით; შდრ.:

რა ჩაყარეს / რა და რა ჩაყარეს წყალში? – ქვები

რა ჩააგდეს წყალში? – ქვა

- **რა** ნაცვალსახელს ეწარმოება **ებიანი** მრავლობითის ექვსი ფორმა (გარდა წოდებითისა) და **ნარიანი** მრავლობითის მხოლოდ ერთი ფორმა – **რანი** („რანი ვიყავით?" – ი. ჭავჭ.). **რაები** გამონაკლისია იმ საერთო წესიდან, რომ ა ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები მრავლობითში უნდა შეიკვეცოს; შდრ.:

	(მხ. რ.)			(მრ. რ.)		
სახ.	**რა**	მთა	თმა	**რა-ებ-ი**	მთ-ებ-ი	თმ-ებ-ი
ნათ.	**რ-ის**	მთ-ის	თმ-ის	**რა-ებ-ის**	მთ-ებ-ის	თმ-ებ-ის

სწორია: **რაები** შეცდომაა: რები / რეები

ვინ? და რა? ნაცვალსახელების ბრუნება შესაძლებელია მეორე სახელთან ერთადაც, მაგ.: **ვინ კაცი? ვინ კაცმა?.. რა ქალი? რა ქალმა?..** ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ნაცვალსახელები უცვლელი ფორმით შეეწყობიან მეორე სახელს – საზღვრულს.

ვინ? და რა? ნაცვალსახელებისაგან განსხვავებით, დანარჩენი კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნებაში განსაკუთრებული არაფერია: დამოუკიდებლად ისე იბრუნვიან, როგორც სათანადო ფუძის არსებითი სახელები, ხოლო მეორე სახელთან ერთად – როგორც ზედსართავი სახელები; მათ ეწარმოებათ მრავლობითის ფორმები (რანაირი, რანაირმა, რანაირს... რანაირები, რანაირნი... რანაირი ბავშვი, რანაირმა ბავშმა...)

- რაოდენობის გამომხატველ კითხვით ნაცვალსახელთან სახელი მხოლოობით რიცხვში უნდა იყოს; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
რამდენი ბავშვი?	რამდენი ბავშვები?
რამდენ მეგობარს?	რამდენ მეგობრებს?

- დაუშვებელია ნორმატიული ფორმების არასალიტერატურო ვარიანტებით ჩანაცვლება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ვინ?	ვინამ?
ვის?	ვინას?
რა? / რაო?	რაი? / რაიო?
როგორი?	რავარი?
რანაირი?	რანეირი? / რაფერი?

სავარჯიშოები

8.2.3.1. შეცვალეთ სალიტერატურო ქართულით.

1) შენიშვნას იმისგან მივიღებ, ვინამაც გამზარდა.
2) ეს ბიჭები რეები არიან ამ მოხუცის?
3) რაის წასვლაა ამ შუაღამისას?!.. გათენდება და მე თვითონ გაგაცილებ.
4) ამდენ ბავშვებს მიხედვა არ უნდა?
5) ვინას უთხრეს, არ დააგვიანო სკოლაშიო?!.
6) ბიჭო, რაფერი საქციელია ეს? არ გრცხვენია?!
7) წუხელ თქვენთან ვინები იყვნენ მოსული?
8) ამდენი გაკვეთილების მერე ცოტას დავისვენებ.
9) აბა, რას ლაპარაკობ, რეებს მიედ-მოედები?!
10) ვინებმა არ იციან გამოცდის თარიღი?

8.2.3.2. იპოვეთ შეცდომები და გაასწორეთ.

1) მაინც, რები გადაყარე, არ მეტყვი?
2) რამდენი ლარიანები გქონია ჯიბეში, არ გამძიმებს?
3) რავარი მადლია გაჭირვებულის დახმარება!
4) კიდევ ვინებს უნდათ ჩვენთან ერთად წამოსვლა?
5) ჯერ კიდევ არ ვიცი, ბავშვმა რა და რა ამომიგდო ჩანთიდან.
6) ვინ და ვინ დააჯინეს ერთმანეთის პირისპირ?
7) რამდენი საფეხურებია, აღარ დამთავრდა ეს კიბე!
8) რაიო? – გარკვევით მითხარი, რა თქვეს იმ გოგოებმა.
9) რაფერი მასპინძლები ხართ, სტუმარს კარს არ უღებთ!..
10) ვინები მიიწვიეს საპატიო სტუმრებად?

8.2.3.3. გამუქებული ფრაზები შეცვალეთ ნორმატიული/დასაშვები ვარიანტებით.

1. უნდა იცოდეთ, **რისი და რისი გადაყრა** არ შეიძლება!

---

2. **რა გადახდა** თავს ჩემს მეგობრებს?

---

3. გამაგებინეთ, ვინ და ვინ არიან საკონკურსო სიაში?

8.2.3.4. კითხვები დაუსვით გამუქებულ სიტყვებს „ვინ" და „რა" ნაცვალსახელების გამოყენებით.

1) **ვანომ** და **ილამ** ერთი ქილა მაწონი შეჭამეს.
2) **ბებერ შუხას ფოთლები** დასცვივდა.
3) **სიმშვიდესა და ოჯახურ ბედნიერებას** ვერ შეველევი.
4) დათვმა მონადირეების შესაშინებლად ზევიდან **ქვები და ლოდები** გადმოაგორა.
5) **ნინოსა და ჩემი მეგობრის** რჩევებს მისთვის ერთი ფასი აქვს.
6) გაურჩებულმა ბავშვმა ფანჯრიდან **სათამაშოები** გადმოყარა.
7) **შამქორისა და ბასიანის ბრძოლები** თამარის ეპოქას უკავშირდება.
8) **მსმენელები** დარბაზს არ ტოვებდნენ მომხსენებლის მოსვლამდე.
9) ადმინისტრაციის **მუშაკებმა და ოპოზიციონერებმა** ქუჩაში გააგრძელეს კამათი.
10) **სიყვარული და სიკეთე** ყოფილიყოს შენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი!

8.2.4. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

კუთვნილებითი ნაცვალსახელები გამოხატავს კუთვნილებას პირთა რომელობისა და რაოდენობის მიხედვით. ესენია: **ჩემი – ჩვენი** (I პ.), **შენი – თქვენი** (II პ.), **მისი / თავისი – მათი / თავიანთი** (III პ.).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიღებულია პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმის ხელახალი ბრუნებით. ისინი იბრუნება ორგვარად: დამოუკიდებლად და მეორე სახელთან ერთად, ანუ მსაზღვრელის ფუნქციით. უფრო ხშირია სწორედ მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენების შემთხვევა.

კუთვნილებით ნაცვალსახელთა დამოუკიდებლად ბრუნება

	მხ.რ.				მრ.რ.			
სახ.	ჩემი	შენი	მისი	თავისი	ჩვენი	თქვენი	მათი	თავიანთი
მოთ.	ჩემმა	შენმა	მისმა	თავისმა	ჩვენმა	თქვენმა	მათმა	თავიანთმა
მიც.	ჩემს	შენს	მისს	თავისს	ჩვენს	თქვენს	მათს	თავიანთს
ნათ.	ჩემის	შენის	მისის	თავისის	ჩვენის	თქვენის	მათის	თავიანთის
მოქ.	ჩემით	შენით	მისით	თავისით	ჩვენით	თქვენით	მათით	თავიანთით
ვით.	ჩემად	შენად	მისად	თავისად	ჩვენად	თქვენად	მათად	თავიანთად
წოდ.	ჩემო	----------			ჩვენო	----------	----------	

კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნება მეორე სახელთან ერთად

ამ შემთხვევაში კუთვნილებითი ნაცვალსახელები. ძირითადად, თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელების მსგავსად იბრუნება (იხ. ქვემოთ: შეთანხმებული მსაზღვრელი), თუმცა არის განსხვავება მიცემითსა და ვითარებითში:

	მხ. რ.				
სახ.	ჩემი	ძმა	შენი	და	მისი / თავისი წიგნი
მოთ.	ჩემმა	ძმამ	შენმა	დამ	მისმა / თავისმა წიგნმა
მიც.	ჩემს	ძმას	შენს	დას	მის / თავის წიგნს
ნათ.	ჩემი	ძმის	შენი	დის	მისი / თავისი წიგნის
მოქ.	ჩემი	ძმით	შენი	დით	მისი / თავისი წიგნით
ვით.	ჩემს	ძმად	შენს	დად	მის/ თავის წიგნად
წოდ.	ჩემო	ძმაო	----------		----------

მრ.რ.

სახ.	ჩვენი	ძმა	თქვენი და	მათი / თავიანთი	წიგნი
მოთ.	ჩვენმა	ძმამ	თქვენმა დამ	მათმა / თავიანთმა	წიგნმა
მიც.	**ჩვენს**	**ძმას**	**თქვენს დას**	**მათს / თავიანთს**	**წიგნს**
ნათ.	ჩვენი	ძმის	თქვენი დის	მათი / თავიანთი	წიგნის
მოქ.	ჩვენი	ძმით	თქვენი დით	მათი/ თავიანთი	წიგნით
ვით.	**ჩვენს**	**ძმად**	**თქვენს დად**	**მათს / თავიანთს**	**წიგნად**
წოდ.	ჩვენო	ძმაო	----------	----------	

მართლწერის წესების მიხედვით, კუთვნილებით ნაცვალსახელებს:

- მიცემით და ვითარებით ბრუნვებში დაერთვის **-ს** ნიშანი, შდრ.:

	სწორია:	შეცდომაა:
მიც.	**ჩვენს / თქვენს / მათს... ძმას**	ჩვენ / თქვენ /მათ... ძმას
ვით.	**ჩვენს / თქვენს / მათს... ძმად**	ჩვენ / თქვენ /მათ... ძმად

შენიშვნა: ზეპირ მეტყველებაში აშკარაა **თს** ბგერათკომპლექსის გამარტივების ტენდენცია: **თს -> თ** მრავლობითი რიცხვის მიცემით და ვითარებით ბრუნვებში, თუმცა ეს პროცესი ჯერჯერობით ნორმებში არ აისახება.

- მოქმედებით ბრუნვაში აქვთ **ი**-ხმოვნიანი დაბოლოება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ჩემი / თქვენი / მათი აზრით	ჩემის /თქვენის / მათის აზრით
	ჩემ /თქვენ / მათ აზრით

- მესამე პირში ახასიათებთ ფუძეთა ნაირგვაროვნება: **თავისი – მისი; თავიანთი – მათი.** ამ ფუძეთა გამოყენების სფეროები განსხვავებულია, თუმცა არაიშვიათია აღრევის ფაქტიც; ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

– სუბიექტის კუთვნილებაზე მისანიშნებლად მართებულია **თავისი – თავიანთი**, მაგ.:

ბავშვმა თავისი საქმე იცის.

ბავშვებმა თავიანთი საქმე იციან.

– თუ ორიენტირება ხდება იმაზე, რაც სუბიექტის კუთვნილება არ არის, მართებულია **მისი – მათი**; მაგ.:

ბავშვმა მისი / იმისი (ვიღაცის, სხვისი) საქმე იცის.

ბავშვებმა მათი / იმათი (ვიღაცების, სხვების) საქმე იციან.

- **დაუშვებელია:**

– პირველი ან მეორე პირის კუთვნილების გამოსახატავად **თავისი** ფორმის გამოყენება, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
მე ჩემს სახლში მივდივარ;	მე თავის სახლში მივდივარ.
შენ შენი საქმე გელოდება;	შენ თავისი საქმე გელოდება.

– კუთვნილებითი ნაცვალსახელის მხოლოობითის ფორმის გამოყენება მრავლობითის მნიშვნელობით, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
მათ თავიანთი საქმე იციან.	მათ თავისი საქმე იციან.

– კუთვნილებითი ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმის გამოყენება კრებითი სახელით ან კომპოზიტით გამოხატულ სუბიექტთან, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ყველამ თავის გულში ჩაიხედოს.	ყველამ თავიანთ გულში ჩაიხედოს.
და-ძმამ თავისი საქმე უნდა იცოდეს.	და-ძმამ თავიანთი საქმე უნდა იცოდეს.

– კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენება პირის ნაცვალსახელის ფუნქციით; სალიტერატურო ნორმების მიხედვით, პირის ნაცვალსახელები – ზმნასთან, ხოლო კუთვნილებითი ნაცვალსახელები არსებით ან გაარსებითებულ სახელთან კომბინაციაში განიხილება; შდრ.:

პირის ნაცვალსახელი –

სწორია:	შეცდომაა:
მათ მითხრეს	მათმა მითხრეს
მათ გააკეთეს	მათმა გააკეთეს

კუთვნ. ნაცვალსახელი –

სწორია:	შეცდომაა:
მათმა დედამ	მათ დედამ
მათმა წიგნმა	მათ წიგნმა

– სალიტერატურო ნორმის დიალექტური ფორმებით ჩანაცვლება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
თავიანთი კერა	თავაანთი / თავიაანთი კერა
ჩემმა ნაცნობმა	ჩემი ნაცნობმა
შენს დას	შენი დას

კონსტრუქციებში: „დღეს ჩემმა მითხრა“, „აგერ, შენი მოდის“ და სხვ. ივარაუდება მეტყველების ეკონომიურობის გამო გამოტოვებული რომელიმე სახელი (ძმა, შვილი...) და არა უშუალო მიმართება ზმნასთან, როგორც ეს პირის ნაცვალსახელებს ახასიათებთ.

სავარჯიშოები

8.2.4.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ამ ისტორიას ჩემ წიგნში დავწერ.
2) ჩიტებმაც კი იციან თავისი ბუდე.
3) მის პროექტის ვადა ამ წლის ბოლოს იწურება.
4) ჩემმა დედ-მამამ თავიანთი ქორწილი ვიწრო წრეში გადაიხადა.
5) ეს ურთიერთობა ჩვენ ბავშვობიდან იწყება.
6) მათის შრომისმოყვარეობით იქნა მიღწეული ეს წარმატება.
7) შენი გოგომ დღეს სკოლაში ბოლო გაკვეთილი გააცდინა.
8) სუფრის წევრებმა ბოლოს თავის მასპინძელიც დალოცეს.
9) ასეთ სიტყვებს ყოველდღე გაიგონებთ ჩვენ ჟურნალისტებისგან.
10) მე თავის სოფელში მივდივარ სააღდგომოდ.

8.2.4.2. იპოვეთ შეცდომები და გაასწორეთ.

1) ჩემის ღრმა რწმენით, გიორგი უღალატო კაცია.
2) მოსწავლეებმა თავისი დავალება ზერელედ შეასრულეს.
3) ჩვენ ბებიას სოფელში დაბრუნება უნდა.
4) ამ უქნარას მათი ამხანაგად მოაქვს თავი.
5) ბებია-ბაბუამ თავიაანთი ცხოვრება უკვე განვლეს.
6) მაგათი რჩევით, თქვენი კომპანიასთან დავიწყეთ თანამშრომლობა.
7) სად ყოფილხარ, ჩემ ბიჭო?
8) თქვენის აზრით, რა შედეგს დადებენ ჩვენი კალათბურთელები?
9) ჩემმა მტერ-მოყვარემ იციან, ვისთან ექნება საქმე.
10) აქ რას დამდგარხარ, შენ თავისი საქმე არ გაქვს?

8.2.4.3. განმარტეთ, რა შემთხვევაში იქნება მართებული გამუქებული ფორმები.

1) კაცმა **თავისი** წარსული გაიხსენა;
2) კაცმა **მისი** წარსული გაიხსენა.
3) მოსწავლეებმა **მათი** გაკვეთილების ცხრილი ზეპირად იცოდნენ.
4) მოსწავლეებმა **თავიანთი** გაკვეთილების ცხრილი ზეპირად იცოდნენ.
5) ყველა **მის** საქმეს ეშურება.
6) ყველა **თავის** საქმეს ეშურება.
7) ისინი **მათ** შესახებ მოგითხრობენ.
8) ისინი **თავიანთ** შესახებ მოგითხრობენ.
9) ნანა ახლა **თავის** სახლში მისდის.
10) ნანა ახლა **მის** სახლში მიდის.

8.2.4.4. აირჩიეთ უშეცდომო წინადადებები.

1) მათმა, რაც შეიძლებოდა, ყველაფერი გააკეთეს.
2) იმგენმა, რაც შეიძლებოდა, ყველაფერი გააკეთეს.
3) მათ, რაც შეიძლებოდა, ყველაფერი გააკეთეს.

4) ჩემის აზრით, ამ საქმიდან არაფერი გამოვა.
5) ჩემი აზრით, ამ საქმიდან არაფერი გამოვა.
6) ჩემ აზრით, ამ საქმიდან არაფერი გამოვა.

7) მათმა წარმომადგენელმა დიდი პასუხისმგებლობა იტვირთა.
8) მათ წარმომადგენელმა დიდი პასუხისმგებლობა იტვირთა.
9) მათი წარმომადგენელმა დიდი პასუხისმგებლობა იტვირთა.

10) თქვენს შეხედულებით, როგორი ბოლო ექნება ამ ღონისძიებას?
11) თქვენი შეხედულებით, როგორი ბოლო ექნება ამ ღონისძიებას?
12) თქვენ შეხედულებით, როგორი ბოლო ექნება ამ ღონისძიებას?

13) ვინ რა იცის, მათ გულში რა სევდაა.
14) ვინ რა იცის, მათს გულში რა სევდაა.
15) ვინ რა იცის, მათი გულში რა სევდაა.

8.2.4.5. ბაზგასმით გამოყავით ნორმატიული ფრაზები.

1) ჩემის აზრით – ჩემი აზრით – ჩემ აზრით
2) თავიანთ შეცდომებზე – თავაანთ შეცდომებზე – თავიაანთ შეცდომებზე
3) მისი მოგზაურობას – მის მოგზაურობას – მისს მოგზაურობას
4) თქვენ ამხანაგმა – თქვენი ამხანაგმა – თქვენმა ამხანაგმა
5) თავისის არდადეგების – თავის არდადეგების – თავისი არდადეგების
6) მათს შთაბეჭდილებებს – მათი შთაბეჭდილებებს – მათ შთაბეჭდილებებს
7) ჩვენი დავალებად – ჩვენს დავალებად – ჩვენ დავალებად
8) თქვენ რჩევით – თქვენის რჩევით – თქვენი რჩევით
9) ჩემ სახლში – ჩემს სახლში – ჩემი სახლში
10) შენს ქუჩაზე – შენი ქუჩაზე – შენ ქუჩაზე

8.2.5. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები: **ვისი? რისი? / რისა?** ერთდროულად კითხვასაც გამოხატავს და კუთვნილებასაც; ისინი მიღებულია **ვინ? რა?** კითხვითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმის ხელახალი ბრუნებით:

ვინ – (ნათ.) ვის –> ვისი;

რა – (ნათ.) რის –> რისი / რისა

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი გვხვდება კუთვნილებითი ნაცვალსახელების ან ნანათესაობითარი სახელების ნაცვლად – არსებით სახელთან ან დამოუკიდებლად – ზმნასთან წყვილში; კერძოდ:

– არსებით სახელთან: ვისი სახლი? (ტარიელის სახლი); ვისი სოფელი? (ჩემი სოფელი); ვისი ქორწილი? (ჩვენი ქორწილი); ვისი ნათლობა? (ქეთევანის ნათლობა)... რისი შენობა? (აგურის

შენობა); რისი ბეჭედი? (ვერცხლის ბეჭედი); „თოფი (რისა?) ხისა, ტყვია (რისა?) წყლისა...“ (ხალხ.);

– ზმნასთან: ვისი გამკვირვებია? (შენი); ვისი არ გესმის? (ჩემი); ვისი არ მშურს? (მეგობრების); ვისას მიდიოდი? (მეზობლისას); რისი მეშინია? (ძაღლის); რისი გეეჭვება? (წასვლის); რისი არ გაეგება? (მუსიკის); დასვენების (რისი?) რა გითხრა?!. „მაგრა იტყვის: ჩემი (ვისი?) სჯობსო...“ (რუსთ.); „მირჩევს, ჩემიო (ვისი?) გერჩივნოს შენსას (ვისას?) (ჭავ.); „კიდევ ერთი სთქვიო ხევსურისა (ვისა?)“ (არაბ.) და სხვ.

კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელთა დამოუკიდებლად ბრუნება

სახ.	ვისი	რისი / რისა
მოთ.	ვისმა	რისმა / რისამ
მიც.	ვისას(ა)	რისას(ა)
ნათ.	---------	---------
მოქ.	ვის-ით(ა)	რის-ით(ა)
ვით.	ვის-ად (ა)	რის-ად(ა)
წოდ.	---------	---------

კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნება არსებით სახელთან ერთად

სახ.	ვისი	/ რისი	წიგნი
მოთ.	ვისმა	/ რისმა	წიგნმა
მიც.	ვის	/ რის	წიგნს
ნათ.	ვისი	/ რისი	წიგნის
მოქ.	ვისი	/ რისი	წიგნით
ვით.	ვის	/ რის	წიგნად
წოდ.	----------		---------

როგორც ვხედავთ, კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელებს დამოუკიდებლად ბრუნების დროს არა აქვთ ნათესაობითისა და წოდებითის ფორმები, ხოლო მათი არსებით სახელთან ერთად ბრუნება (თუ არ ჩავთვლით წოდებითის არქონას) შეთანხმებული მსაზღვრელის ბრუნების ანალოგიურია (იხ. ქვემოთ: 14.2.1. შეთანხმებული მსაზღვრელი). ამ შემთხვევაში კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელის ბრუნვა, რომლის ნიშანიც ფონეტიკურ ნიადაგზეა სახეცვლილი (ნათ. / მოქ.) ან დაკარგული (მიც. / ვით.), დგინდება საზღვრულის ბრუნვის მიხედვით.

სავარჯიშოები

8.2.5.1. წაიკითხეთ ხალხური ლექსი; ერთი ხაზი გაუსვით საპასუხო ფორმებს კითხვისათვის: ვისასა? და ორი ხაზი – კითხვისათვის: რისასა?

შემომეყარა ყივჩაღი / საზღვარსა მუხრანისასა;
პური მთხოვა და ვაჭმიე, / ვურჩევდი თავთუხისასა;
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე, / ვურჩევდი ხოხობისასა;
ღვინო მთხოვა და ვასმიე, / ვურჩევდი ბადაგისასა;
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც, / მიმყავდა სიდედრისასა, _
ან კი ცოლს როგორ მივცემდი, / შვილსა გაზრდილსა სხვისასა!
ხელი მოჰხვია, აკოცა, / მოზიდა ნაწნავს თმისასა.
შესტირა საბრალო ქალმა: / «ვაი ცოლს ცუდის ყმისასა!»
მეც გულმა ვეღარ გამიძლო, / მოვზიდე ვადას ხმლისასა,
უმალვე იმან დამასწრო, / ელვასა ჰგვანდა ცისასა;
ახლა მე შემოვუქნიე, / ვენდე მადლს ლაშრის ჯვრისასა,
გავჭერი ცხენი და კაცი, / წვერიც ვუწვდინე ქვიშასა
არ იყო ღირსი, მოშორდა/ ცქერას ნათელის მზისასა...
აქეთ მე ვკვდები, იქით – ის, / ქალი წავიდა სხვისასა.

8.2.5.2. მოიძიეთ წინადადებებიდან კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელთა შესაბამისი სიტყვები / ფრაზები და ცხრილში ჩაწერეთ; მიუთითეთ ბრუნვა და ნაცვალსახელის ბრუნვის ფორმა

1) ამბობენ ვაჟკაცობისას, / თოფისასა და ხმლისასა (ვაჟა).
2) გარეთ აღარსად ცეცხლი ჩანს. / არ ისმის სტვენა მწყემსისა (ვაჟა).
3) ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა! (ბარათ.).
4) ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა! - ვაჟკაცი იღებს ხმასაო (ვაჟა).
5) მწუხრი გულისა, სევდა გულისა - ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს (ბარათ.).
6) რა გაიგება სიზმრისა?! / მე მაინც გეტყვით ვერასა... (ვაჟა).
7) ჩვენაც ვეყოფით თათრებსა, / ჯავრს არ შაგაჭმევთ მტრისასა!.. (ვაჟა).
8) ჩვენს გამდელს ჩვენი მოსამსახურეები მოხმარებიან, მეზობლისას – მათი (წერ.).
9) მაშინ არც ღმერთი გვიცოდვებს / მტრისად შაქცევას ხელისას (ვაჟა).
10) წინაზე ტკბილი შაქარი / ეხლა გემწარე რისადა?! / ან შვილთა ყოლას რად ჰგლოვობ, / მდურვას რად იტყვი ღვთისადა?! (ვაჟა).

სიტყვები	ფრაზები	ბრუნვა
ვაჟკაცობისას		მიც.: რისას?
	სტვენა მწყემსისა	სახ. ვისი?

8.2.5.3. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები არასწორად არის წარმოდგენილი კითხვარში; გაასწორეთ შეცდომები; მრავალწერტილის ადგილას მოიფიქრეთ და დაწერეთ შესაბამისი დაბოლოება.

1. ვის მოთხრობების კრებულს ისურვებდით საჩუქრად?
2. ვისი სიმღერამ დატოვა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?
3. რისი შესახებ მოისმენდით ინფორმაციას?
4. ვის... გადაიტანდით გაუსაძლის მდგომარეობას?
5. ვის სტუმრობა გახარებთ ყველაზე მეტად?
6. რისი პატიებას ვერ შეძლებდით?
7. ვისი მეგობრად იგულებდით თავს?
8. რისი გაკეთებას შეძლებდით თქვენი ახლობლის დასახმარებლად?
9. ვის... მიგაჩნიათ ეს სამყარო?
10. ვის ცხოვრების წესი მოგწონთ ყველაზე მეტად?

8.2.6. მიმართებითი ნაცვალსახელები

მიმართებითი ნაცვალსახელები: **ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, როდინდელიც, სადაურიც, ვისიც...** წევრ-კავშირის ფუნქციას ასრულებენ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში – მათი მეშვეობით, გარკვეული მიმართება მყარდება წინადადებებს შორის.

მიმართებითი ნაცვალსახელები მიღებულია კითხვით და კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელებზე **-ც** ნაწილაკის დართვით: ვინ + ც –> ვინც; რა + ც –> რაც...

მიმართებით ნაცვალსახელთა ბრუნების სქემა

	მხ.რ.			მრ.რ.	
სახ.	ვინც	რაც	რომელიც	რაებიც	რომლებიც
მოთ.	ვინც	რამაც	რომელმაც	რაებმაც	რომლებმაც
მიც.	ვისაც	რასაც	რომელსაც	რაებსაც	რომლებსაც
ნათ.	ვისიც	რისიც	რომლისაც	რაებისაც	რომლებისაც
მოქ.	ვისითაც	რითიც	რომლითაც	რაებითაც	რომლებითაც
ვით.	ვისადაც	რადაც	რომლადაც	რაებადაც	რომლებადაც
წოდ.	----------	----------	----------	----------	----------

სავარჯიშოები

8.2.6.1. გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით სათანადო მიმართებითი ნაცვალსახელები:

როდინდელიც; რადაც; *რაც (2 x); რასაც; როგორიც; ვინც; ვისაც; რომელიც (2 x).*

1) ბედი, -------- მე არ მეღირსა, / ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი (გ.-ტაბ.)
2) -------- უნდა ჰკრი მომკერძო, / ბილწთ არ შავეკვრი ზავითა (ვაჟა).
3) კრულია მისი ხსენება, / -------- დაჰგმობს დედა-ენასა (ა.წერ.).
4) გილოცავ! გილოცავ! ახალ წელს გილოცავ შენ – -------- სამშობლო გიყვარს (მ. მაჭ.).
5) -------- დათესავ , იმას მოიმკი (ხალხ.).
6) ეს წიგნი არის რეალური ისტორია, -------- ადამიანობას და სიკეთეს გასწავლით.
7) ვაპირებ დავბრუნდე საქართველოში, -------- არ უნდა დამიჯდეს.
8) -------- არ უნდა მშრალი იყოს ზამთარი, ძველით ახალ წელს მაინც გათოვდებაო.
9) -------- არ უნდა იყოს ჩანაწერი, კომპეტენტურმა ორგანოებმა ეს ფაქტი უნდა გამოიძიონ.
10) ყველა ამბავი ზუსტად ისეთი იყო, -------- უნდა ყოფილიყო.

8.2.6.2. ხაზი გაუსვით იმ მიმართებით ნაცვალსახელს, რომელსაც გამოიყენებთ წინადადების გასამართად.

1) *(როგორიც / რაც)* არ უნდა მოხდეს, ჩვენი მეგობრობა არ დაირღვევა.
2) სწორედ იმას ვნატრობ, *(რომელიც /რაც)* ჯერ არავის უნატრია.
3) ნანა ისეთი მეგობარი აღმოჩნდა, *(როგორიც /ვინც)* მინდოდა.
4) იმ კერძს მოგიმზადებ, *(რაც / რომელიც)* გაგიხარდება.
5) იმას გაჩვენებ, *(რომელიც / რაც)* აქამდე არ გინახავს.
6) *(ვისაც / რომელსაც)* ენდობი, იმან არ უნდა გიღალატოს.
7) ყველგან იქაურ ჭუდს ვიხურავდი, *(სადაურიც / როდინდელიც)* ვიყავი.
8) სწავლობს ის, (*რასაც / ვისაც)* საკუთარი შეცდომები არ აბრკოლებს.
9) *(რომელი / როგორი)* პიროვნებაც იყო, გარემოცვაც ისეთი ჰყავდა.
10) პური არ უნდა გადააგდო, *(რაც / ვინც)* არ უნდა იყოს.
11) *(რაც / რასაც)* გასწავლი, კარგად დაიმახსოვრე.
12) გიორგი *(როგორიც / რომელიც)* არ უნდა იყოს, ჩემი ძმაა.

ტესტი N 8.1 – 8.2.6.

ნაცვალსახელი

- ნაცვალსახელის რაობა და ჯგუფები
- ნაცვალსახელთა წარმოება და ბრუნება:
  I და II პირის ნაცვალსახელები
  ნაცვალსახელები: ეს, ეგ, ის/იგი
  კითხვითი ნაცვალსახელები: ვინ? რა?
  კუთვნილებითი ნაცვალსახელები
  კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები
  მიმართებითი ნაცვალსახელები

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ნაცვალსახელი გამოიყენება

ა) სხვა სახელების ნაცვლად;

ბ) სხვა ნაწილაკების ნაცვლად.

2. მონიშნეთ მცდარი ვარიანტი.

ნაცვალსახელის ჯგუფებია:

ა) პირის, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი...

ბ) პირის, ჩვენებითი, კითხვითი, დადასტურებითი, კითხვით-დადასტურებითი...

3. რომელია სწორი?

I და II პირის ნაცვალსახელთა სახ. მოთ. და მიც. ბრუნვების გარჩევა ხდება

ა) კონტექსტის მიხედვით;

ბ) ბრუნვის ნიშნების მიხედვით.

4. მონიშნეთ სწორი პასუხი.

ფრაზაში: „თავი ისახელა“ **თავი** არის:

ა) ნაცვალსახელი;

ბ) არსებითი სახელი.

5. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ნაწარმოები ფუძის ნაცვალსახელებია.

ა) მე, შენ, ის;

ბ) შენი, ვიღაც, რამე;

გ) იმგვარი, ერთიმეორე, არავინ.

6. რომელია მცდარი?

წოდებითი ბრუნვის ფორმა აქვს

ა) II პირის ნაცვალსახელებს;

ბ) I პირის ნაცვალსახელებს.

7. მონიშნეთ სწორი პასუხი.

მორიდებულ საუბარში **თქვენ** მნიშვნელობით იგივეა, რაც:

ა) შენ;

ბ) შენ და ის / ისინი.

8. მონიშნეთ მცდარი პასუხი.

ეს, ეგ, ის / იგი ნაცვალსახელებს ბრუნების დროს:

ა) ერთი ფუძე აქვთ სახელობითისათვის, მეორე – დანარჩენი ბრუნვებისათვის;

ბ) ერთი ფუძე აქვთ მოთხრობითისათვის, მეორე – დანარჩენი ბრუნვებისათვის.

9. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ფრაზაში: „ის კაცი“ **ის** არის:

ა) ჩვენებითი ნაცვალსახელი;

ბ) პირის ნაცვალსახელი.

10. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

პირის ნაცვალსახელის ფუნქციით ბრუნებისას ეს, ეგ, ის ნაცვალსახელები

ა) ფუძეზე ბრუნვის ნიშნებს დაირთავენ;

ბ) მხოლოდ ფუძის სახით არიან წარმოდგენილი.

11. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი არანორმატიული ფორმაა.

ა) ამათ, ეგ, ეგენი, ისენი, იმათ;

ბ) ეს, ესენები, მაგათ, ამეებს, იგი.

12. რომელი პასუხია სწორი?

ვინ ნაცვალსახელის სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ფორმები

ა) განსხვავებულია;

ბ) ერთი და იგივეა.

13. რომელი პასუხია მცდარი?

წინადადებაში: „ვინ იყვნენ მოსული?" **ვინ**

ა) მხოლ. რიცხვის მნიშვნელობითაა;

ბ) მრავ. რიცხვის მნიშვნელობითაა.

14. შემოხაზეთ სწორი / დასაშვები წინადადებები.

ა) ვინ და ვინ გვესტუმრნენ?

ბ) ვინები გვესტუმრნენ?

გ) ვინ გვესტუმრნენ?

15. რომელია სწორი პასუხი?

ვინ / რა ნაცვალსახელებისა და რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნის კომბინაციით შესაძლებელია გამოიხატოს:

ა) მრავლობითობა;

ბ) სახელის ფორმაცვალება.

16. შემოხაზეთ მცდარი განმარტება.

სწორი ფორმებია:

ა) რაები? რაებმა? რაებს?..

ბ) რეები? რეებმა? რეებს?..

17. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ვინ? და რა? ნაცვალსახელები მეორე სახელთან ერთად ბრუნებისას

ა) უცვლელი ფორმით არიან;

ბ) ბრუნვის ნიშნებს დაირთავენ.

18. მონიშნეთ სწორი წინადადება.

ა) არ ვიცოდი, თურმე რამდენი მეგობრები გყოლია?!.

ბ) არ ვიცოდი, თურმე რამდენი მეგობარი გყოლია?!.

19. მონიშნეთ არანორმატიული ფორმები.

ა) რაი? რავარი? რანეირი?

ბ) რა? როგორი? რანაირი?

20. რომელია სწორი განმარტება?

კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიღებულია პირის ნაცვალსახელთა

ა) მიცემითი ბრუნვის ფორმის ხელახალი ბრუნებით;

ბ) ნათესაობითი ბრუნვის ფორმის ხელახალი ბრუნებით.

21. შემოხაზეთ ნორმატიული წინადადება.

ა) ჩემს დას ახალი ლექტორი ჰყავს.

ბ) ჩემ დას ახალი ლექტორი ჰყავს;

22. შემოხაზეთ არანორმატიული ვარიანტი.

ა) შენს მეგობრად მიგულე;

ბ) შენ მეგობრად მიგულე.

23. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

კუთვნილებით ნაცვალსახელთა მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ს-ნიშნიანი ფორმები

ა) ნორმატიულია;

ბ) შეცდომაა.

24. რომელია სწორი?

ა) ჩემის აზრით, ვითარება არც ისე დაძაბულია;

ბ) ჩემი აზრით, ვითარება არც ისე დაძაბულია.

25. რომელია მცდარი?

ა) ყველამ თავიანთ თავს მიხედოს;

ბ) ყველამ თავის თავს მიხედოს.

26. შემოხაზეთ სწორი განმარტება.

თუ ორიენტირება ხდება იმაზე, რაც სუბიექტის კუთვნილება არ არის, მართებულია გამოვიყენოთ ნაცვალსახელები:

ა) თავისი – თავიანთი;

ბ) მისი – მათი.

27. მონიშნეთ ორი სწორი წინადადება.

ა) მაგან ჯერ თავის შვილს მიხედოს და სხვებზე მერე ილაპარაკოს!

ბ) მაგან ჯერ მის შვილს მიხედოს და სხვებზე მერე ილაპარაკოს!

გ) ნია და ლია თავიანთი უთანმოების მიზეზად საერთო აივანს თვლიდნენ;

დ) ნია და ლია მათი უთანმოების მიზეზად საერთო აივანს თვლიდნენ.

28. შემოხაზეთ მცდარი წინადადება.

ა) აქ ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა შენ თავის მეგობრებთან ერთად წახვედი;

ბ) აქ ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა შენ შენს მეგობრებთან ერთად წახვედი.

29. რომელია სწორი?

ა) მათმა ჩვენზე ყველაფერი იციან;

ბ) მათ ჩვენზე ყველაფერი იციან.

30. რომელია არანორმატიული წინადადება?

ა) მათ შეფასებამ მე სტიმული მომცა;

ბ) მათმა შეფასებამ მე სტიმული მომცა.

31. შემოხაზეთ სწორი წინადადებები.

ა) ჩემი ნათესავმა მანქანა მოიგო; ჩემ ძმის სტუმარი ჩემი სტუმარიცაა;

ბ) ჩემმა ნათესავმა მანქანა მოიგო; ჩემი ძმის სტუმარი ჩემი სტუმარიცაა.

32. შემოხაზეთ სწორი განმარტება.

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები: **ვისი? რისი? / რისა?** ერთდროულად გამოხატავს:

ა) კითხვასაც და გაოცებასაც;

ბ) კითხვასაც და კუთვნილებასაც.

33. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიღებულია **ვინ? რა?** კითხვითი ნაცვალსახელების

ა) მოქმედებითი ბრუნვის ფორმის ხელახალი ბრუნებით;

ბ) ნათესაობითი ბრუნვის ფორმის ხელახალი ბრუნებით;

34. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

წინადადებაში: „რისი გეშინია?!“ **რისი** წყვილშია

ა) არსებით სახელთან;

ბ) ზმნასთან.

35. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ფრაზაში: „ ნაშთი ძველი დიდებისა“ კით.-კუთ. ნაცვალსახელის ფარდი სიტყვა **დიდებისა** არის:

ა) ნათესაობით ბრუნვაში;

ბ) სახელობით ბრუნვაში.

36. რომელია შეცდომა?

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელის არსებით სახელთან ერთად ბრუნება:

ა) შეთანხმებული მსაზღვრელის ბრუნების ანალოგიურია;

ბ) მართული მსაზღვრელის ბრუნების ანალოგიურია.

37. რომელია სწორი განმარტება?

მიმართებითი ნაცვალსახელები მიღებულია:

ა) კითხვით და კითხვით-კუთვნილებით ნაცვალსახელებზე -ც ნაწილაკის დართვით:

ბ) კუთვნილებით ნაცვალსახელებზე -ც ნაწილაკის დართვით:

38. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც მხოლოდ მიმართებითი ნაცვალსახელებია.

ა) ვინც, ისიც, როდინდელიც, ჩემიც, რომელმაც;

ბ) როგორიც, ვისაც, რაც, რომელიც, სადაურიც.

39. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

მიმართებითი ნაცვალსახელების ფუნქციაა:

ა) ბრუნვების დაკავშირება;

ბ) წინადადებების დაკავშირება.

8.2.7. ურთიერთობითი ნაცვალსახელები

ურთიერთობითი ნაცვალსახელები: **ერთმანეთი, ერთურთი, ურთიერთი, ერთიმეორე...** წარმომავლობით რთული აგებულების სიტყვებია: ერთმან ერთი -> ერთმანეთი; ერთ-ერთი -> ერთურთი / ურთიერთი; ერთი მეორე -> ერთიმეორე.

ურთიერთობით ნაცვალსახელთა ბრუნების სქემა

სახ.	ერთმანეთი	ერთიმეორე
მოთ.	ერთმანეთმა	ერთიმეორემ
მიც.	ერთმანეთს	ერთიმეორეს
ნათ.	ერთმანეთის	ერთიმეორესი
მოქ.	ერთმანეთით	ერთიმეორეთი
ვით.	ერთმანეთად	ერთიმეორედ
წოდ.	----------	----------

ურთიერთობითი ნაცვალსახელები მხოლოდ დამოუკიდებლად (არსებითი სახელის ფუნქციით) იბრუნება; მათ არა აქვთ მრავლობითის ფორმა. იშვიათად გამოიყენება მოთხრობითის ფორმები.

- დაუშვებელია ნორმატიული ფორმების არასალიტერატურო ვარიანტებით ჩანაცვლება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ერთმანეთი	ერთიერთმანეთი /ერთმანერთი / ერთმანები / ერთქმეთი
ერთიმეორე	ერთიმიორე / ერთმეორე

შენიშვნა: ფორმა **ერთმანერთი** ძველი ნორმაა, მაგრამ დღეს არასალიტერატურო ვარიანტად ითვლება; ანალოგიურად, შდრ.: (ძვ.) **ყოფილ არიან** – (ახ.) **ყოფილან.**

სავარჯიშოები

8.2.7.1. ხაზი გაუსვით ურთიერთობით ნაცვალსახელებს; მიუთითეთ ბრუნვა.

1) მათ დაუხოცავთ ერთურთი, არ დარჩნენ სირცხვილიანი (ხალხ).
2) მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს (რუსთ.).
3) ჩავკიდოთ ხელი ერთმანეთს, ერთ-გუნდად შევკრათ ზნეობა (ზუბ.).
4) ორნი ძმანი ერთმანერთის ჭირიც არის, ლხინიცაო (ხალხ.).
5) მათ ერთმანერთსა აკოცეს, დგანან ყელგარდაჭდობილნი (რუსთ.).
6) ბევრი იუბნეს ამბავი, ერთურთს გაეცნენ გზაშია (ვაჟა).
7) გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა – წყალთა დენამა, ლამაზი გოგო და ბიჭი – ერთმანეთისა ცქერამა (ხალხ.).
8) ავუნთოთ ერთმანეთს სანთლები,/ შევუწყოთ ერთმანეთს ხმები (ფოცხ.).
9) მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება (რუსთ.).
10) ჩვენ ვივსებოდით ერთმანეთით ერთურთის მერეც (დეის.).

8.2.7.2. გაასწორეთ შეცდომები.

1) გოგამ და ნიამ ერთიერთმანეთი ქობულეთში გაიცნეს.
2) ხანგრძლივი განშორების შემდეგ მათ კვლავ იპოვეს ერთქმეთი.
3) ერთიმიორეს ნუ უყურებთ, საქმეს მოკიდეთ ხელი!
4) წუხელ მეზობლის ბიჭებს უჩხუბიათ და უცემიათ ერთმეორე.
5) გაცხარებული მოკამათეები ერთმანებს არაფერს უთმობდნენ.
6) ისინი დიდი ხანია ერთმანერთს არ შეხვედრიან.
7) ამ კლასში ერთმეორეზე უკეთესი ბავშვები სწავლობენ.
8) დაზიანების გამო კორპუსებში ერთიმიორის მიყოლებით გამოირთო შუქი.
9) უსიამოვნებას ერთიერთმანეთში საერთო ენის გამონახვა ჯობია.
10) კატოს ძმები ერთმანებით იწონებენ თავს.

8.2.8. უარყოფითი ნაცვალსახელები

უარყოფითი ნაცვალსახელები: **არავინ, ვერავინ, ნურავინ, არარა, ვერარა, ნურარა, არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, არავითარი, ვერავითარი, ნურავითარი...** მიღებულია **ვინ, რა** კითხვითი ნაცვალსახელებისა და **ფერ-, ვითარ-** სიტყვების კომბინაციით **არა, ვერა, ნურა** ნაწილაკებთან.

უარყოფით ნაცვალსახელთა ბრუნება დამოუკიდებლად

სახ.	ვერავინ	ნურარა	არაფერი
მოთ.	ვერავინ	ნურარამ	არაფერმა
მიც.	ვერავის	ნურარას	არაფერს
ნათ.	ვერავის	ნურარასი	არაფრის
მოქ.	ვერავისით	ნურარათი	არაფრით
ვით.	ვერავისად	ნურარად	არაფრად
წოდ.	-------	-------	-------

უარყოფითი ნაცვალსახელის ბრუნება მეორე სახელთან ერთად

სახ.	ვერავითარი	დარდი
მოთ.	ვერავითარმა	დარდმა
მიც.	ვერავითარ	დარდს
ნათ.	ვერავითარი	დარდის
მოქ.	ვერავითარი	დარდით
ვით.	ვერავითარ	დარდად
წოდ.	ვერავითარო	დარდო

უარყოფითი ნაცვალსახელებისათვის დამახასიათებელია გარკვეული თავისებურებები, კერძოდ:

- **ვინ** ნაცვალსახელზე დაბოლოებული ფორმები იბრუნება ისევე, როგორც, საკუთრივ, **ვინ**;
- **რა** ნაცვალსახელზე დაბოლოებული ფორმები უკვეცელია (არარასი), განსხვავებით ცალკე აღებული **რა** ნაცვალსახელისაგან;
- **ფერ**-ფუძიანი ნაცვალსახელები იკუმშება (არაფრის), როცა ცალკე ბრუნებისას **ფერ**-ი ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის; ამ ტიპის ნაცვალსახელები გამოიყენება როგორც დამოუკიდებლად, ისე მეორე სახელთან ერთად; შდრ.:

– მე შენთვის **არაფერი** დამიშავებია;
– **არაფერი** საქმე შენ არ გაქვს.

- **ვითარ**-ფუძიანი ნაცვალსახელების ბრუნება შესაძლებელია მხოლოდ მეორე სახელთან ერთად; მაგ.:

– მას **ვერავითარი ძალა** ვერ შეაჩერებდა;
– **„არავითარი სხვა სამშობლო** ამაზე მეტი – არ გამაჩნია“ (ლებ.).

- დაუშვებელია ნორმატიული ფორმების არასალიტერატურო ვარიანტებით ჩანაცვლება; შდრ.

სწორია:	შეცდომაა:
არაფერი	არასფერი /არაფელი / აფერი
არაფრის	არასფერს
არაფრად	არაფრათ
ვერაფერი	ვეფერი
არავინ	არევინ
არავის	არევის...

- ნორმატიული ფორმების პარალელურად, დასაშვებია უარყოფით ნაცვალსახელთა გამარტივებული ვარიანტები; შდრ.:

არავინ /არვინ
ვერავინ /ვერვინ
ნურავინ /ნურვინ /ნუვინ
არარა /არრა
ვერარა /ვერრა
ნურარა /ნურა

8.2.8.1.ხაზი გაუსვით უარყოფით ნაცვალსახელებს, მიუთითეთ ბრუნვა (საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ შენაცვლების ხერხი).

1) აქ არვის - დიდსა თუ პატარასა - ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული (ჭავ.).
2) არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული.
3) ნუვინ იტყვის ობლობისა ვაებს, / ნუვინ ჩივის თავის უთვისტომობას (ბარათ.).
4) დაჭრილ ვაჟკაცზე ბოროტად ხელი ვერავინ აღმართა.
5) მანამ ნურას სჭამს, სანამ ხევი ვერც ამოსწყვიტოს და ვერც ყმად გაიხადოს! (ყაზ.).
6) ეს არის გრძნობა, რომელსაც ვერაფერი შეედრება.
7) უჩინრად უნდა იმალებოდეთ... არვინ გაბედოს მასზე ცილობა! (წერ.).
8) ნურავინ ეცდება ჩვენს მოტყუებას!
9) ნურვინ გაბედავს, დატყვევებულებს რომ მიაყენოს შეურაცხყოფა (წერ.).
10) ისტორია ბევრს არაფერს გვეუბნება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

8.2.8.2. წაიკითხეთ დიალოგი; სალიტერატურო ფორმებით შეცვალეთ არანორმატიული ვარიანტები.

– გამარჯობა, დათიკო; კიდევ მადლობა გუშინდელი დღიზა; ძაან დამეხმარე!..
– არასფერს, შე კაცო; რაის მადლობა!..
– ოჰ, რავარი საქმე იყო?!. შენ რო არ ყოფილიყავი, ვეფერს ვერ გავაკეთებდი, ქუჩაშიც არევინ იყო ნაცნობი, რო გვერთში დამდგომოდა: ჩვენებს არევის დავუნახავარ.
– კაი, ამფერი აფერი გამიკეთებია, შე კაცო...
– შენ არასოდეს არაფელი შეგშლია ძმობაში... გაიხარე, მადლობა დიდი!..
– არასფერს, ძამი!..

8.2.9. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: **ვინმე, რამე, რომელიმე, როგორიმე, რამდენიმე, ვიღაცა, რაღაცა, რომელიღაცა** გამოხატავს განუსაზღვრელ პირს ან საგანს – სულიერსა თუ უსულოს. ისინი მიღებულია კითხვით ნაცვალსახელებზე **-მე, -ღა(ცა)** ნაწილაკების დართვით; მათივე ფუნქციით გამოიყენება, ასევე, სიტყვები: **კაცი, ერთი, ზოგი / ზოგიერთი.**

სალიტერატურო ნორმების მიხედვით:

• განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები გამოიყენება როგორც დამოუკიდებლად, ისე მეორე სახელთან ერთად; მაგ., შდრ.:

ვიღაცა მოდის – **ვიღაცა კაცი** მოდის;
რომელიმე დაწერს – **რომელიმე მეგობარი** დაწერს...

განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურებაზე ქვემოთ ვისაუბრებთ (იხ. ნაწილაკიანი ნაცვალსახელები).

• თუ რაოდენობაზე მიმანიშნებელი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: **რამდენიმე, ზოგი / ზოგიერთი, რომელიმე**... მსაზღვრელის ფუნქციითაა, საზღვრულიც და ზმნაც მხოლოობით რიცხვში უნდა იყოს; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
რამდენიმე მეცნიერი ფიქრობს	რამდენიმე მეცნიერები ფიქრობენ
რომელიმე მეზობელი წამოვა	რომელიმე მეზობლები წამოვლენ
ზოგი/ზოგიერთი ბიჭი აქაა	ზოგი/ზოგიერთი ბიჭები აქ არიან

• განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა გავრცელებული პარალელური ვარიანტებიდან

სწორია:	შეცდომაა:
რამოდენა / რამოდენი	რამოტოლა
რამდენიმე	რამოდენიმე

(რამდენიმე<- რამდენი + მე <- რავდენი <- რაოდენი),

- ღაც(ა) ნაწილაკიან ნაცვალსახელებს -ებ-იან მრავლობითში ერთი ე ექნებათ; მიუღებელია აღნიშნულ ნაცვალსახელთა ა-მოუკვეცელი ფორმები ამავე მრავლობითში; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ვიღაცები	ვიღაცეები / ვიღაცაები
რაღაცები	რაღაცეები / რაღაცაები
ვიღაც-ვიღაცები	ვიღაც-ვიღაცეები
რაღაც-რაღაცები	რაღაც-რაღაცეები

- დაუშვებელია ნორმატიული ფორმების დიალექტური, არასალიტერატურო ვარიანტებით ჩანაცვლება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ვიღაცა	ვინცაღა / ვინცხა
რაღაცა	რაცაღა / რაცხა
რომელიღაცა	რომელიცაღა / რომელიცხა
ზოგიერთი	ზოგიერთა
ვიღაც-ვიღაცები	ვინცხა-ვინცხები / ვინცხა-ვინცხაები
რაღაც-რაღაცები	რაცხა-რაცხები / რაცხა-რაცხაები

სავარჯიშოები

8.2.9.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ზოგი ადამიანები ასეთ ამოცანებს იოლად ხსნიან.
2) მატარებელი რამოდენიმე საათს იგვიანებს.
3) რამოტოლა გაზრდილა ნიკოს ბიჭი!
4) რაცხას ჩხირკედელაობს პატარა ბესიკი.
5) ზოგიერთა შემთხვევა სულ საწინააღმდეგოზე მეტყველებს.
6) შენი რამდენიმე მეგობარი ქუჩაში შემხვდნენ.
7) ვიღაცეებს ეს ამბავი სულაც არ ადარდებს.
8) იმ ბავშვებიდან რომელიცხა სახლში დარჩა.
9) ახლა ეზოში მოიყრიან თავს რამდენიმე ჭორიკანა მეზობლები.
10) ისეთი ამბავია, ვინცხას ეგონება, ომი დაიწყოო.

8.2.9.2. მოცემული ათი წინადადებიდან ოთხში შეცდომაა. იპოვეთ შეცდომები და გაასწორეთ.

1) გოგონას რაღაც უცნარი ფიქრი აეკვიატა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა.
2) რამოდენა ყოფილა ეს ციხედარბაზი!..
3) სულ რამოდენიმე წუთი დაგვრჩა გამგზავრებამდე.
4) რომელიცაღა უსაქმური ენას იქავებდა გამვლელ-გამომვლელთან ლაპარაკში.
5) მკვლევრის ზოგიერთი ვარაუდი არც თუ უსაფუძვლოა.
6) წუხელ ვიღავ-ვიღაცეები მოსულან საქმის გასარჩევად.
7) რამდენიმე საათში თბილისში ჩავა მატარებელი.
8) ელისომ რომელიმე ყუთებში უნდა ჩაალაგოს სახვალიო საგზალი.
9) ზოგიერთი მოზარდი ზედმეტის უფლებას აძლევეს თავს.
10) ამ სამყაროში რაღაც-რაღაცები ჩვენთვის აუხსნელი რჩება.

8.2.9.3. წაიკითხეთ დიალოგი და შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით.

– ნესტანი, გაიხედე ფანჯარაში, ვინცხა ქალი გკითხულობს.
– ... რავა ხარ, ტასო?... მოდი!..
– არა, მადლობა!.. არ მოდიხარ მშობელთა კრებაზე?
– რაცხა ვერ ვარ დღეს კარგათ, სახში დავჩები.
– ჩემი კაბა ხომ არ დაგიმთავრებია?!.
– არა ჯერ, ცოტა კიდე დამჩა გასაკეთებელი.
– კაი მაშინ, წავედი, თუ რამე იქნება, გაგაგებინებ... ბევრი მშობლები არ იქნებიან კრებაზე, მაგრამ დირექტორი და ზოგიერთი მასწავლებლები მაინც დაესწრებიანო...
– კაი, სოფიო, შენ იცი... მადლობა!..
– ... რაცხა არ მომწონს ეგ ქალი.
– რას ერჩი, ნინოს კლასელის დედაა, რაცხა-რაცხაებს ვუკერავ ხანდახან...

8.2.10. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები

განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: **ყოველი / ყველა, ყველაფერი, თითოეული, თვით / თავად / თვითონ, სხვა** გამოხატავს განსაზღვრულ პირს ან საგანს. მათი ერთი ნაწილი მიღებულია **თავ-** სიტყვისაგან:

სახ, თავ-ი

მოქმ. თავ-ით -> თვით; თვითონ, თითოეული;

ვით. თავ-ად -> თავად.

განსაზღვრებით ნაცვალსახელთა ბრუნების სქემა

სახ.	ყველა	ყოველი	ყველაფერი	თითოეული	სხვა
მოთ.	ყველამ	ყოველმა	ყველაფერმა	თითოეულმა	სხვამ
მიც.	ყველას	ყოველს	ყველაფერს	თითოეულს	სხვას
ნათ.	ყველასი	ყოვლის	ყველაფრის	თითოეულის	სხვის
მოქ.	ყველათი	ყოვლით	ყველაფრით	თითოეულით	სხვით
ვით.	ყველად	ყოვლად	ყველაფრად	თითოეულად	სხვად
წოდ.	ყველა(ვ)	ყოველო	ყველაფერო	თითოეულო	სხვაო

განსაზღვრებით ნაცვალსახელებთან დაკავშირებით, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- წარმოდგენილი ფორმებიდან კვეცადია **სხვა**, უკვეცელი – **ყველა**; კუმშვადია **ყოველი** და **ყველაფერი**, ხოლო უკუმშველი – **თითოეული**. ამ ნაცვალსახელების ბრუნება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ისე მეორე სახელთან ერთად – მსაზღვრელის ფუნქციით, მაგ.:

– სხვა / ყველა / ყოველი / თითოეულ-ი კაც-ი, სხვა / ყველა / ყოველ-მა / თითოეულ-მა კაც-მა...

–ყველაფერ-ი კარგ-ი, ყველაფერ-მა კარგ-მა...

- ნაცვალსახელები: **თვით / თავად / თვითონ** უბრუნველია; ისინი გამოიყენება როგორც დამოუკიდებლად (ზმნასთან წყვილში), ისე მეორე სახელთან (არსებითთან, ნაცვალსახელთან) ერთად; შდრ.:

– „მე **თვითონა ვარ** მეფე გიორგი“ (გამ.).

„მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი **თვითონ მწერს**“ (ტ. ტაბ.).

– „**თვით მეომარი** უებრო“ (რუსთ.);

„**თვით ამან** მოკლა შენი ძმა“ (ვაჟა).

ფორმა **თვით** შედარებით იშვიათია თანამედროვე ქართულში.

- განსაზღვრებით ნაცვალსახელთა გავრცელებული ვარიანტებიდან ზოგი უმართებულოა; შდრ.:

სწორია: **თითოეული**

შეცდომაა: თითეული, თვითეული, თვითოეული;

სწორია: **თვითონ**

შეცდომაა: თვითან, თითონ, თითვონ

- ნაცვალსახელი **ყველა** კრებითი მნიშვნელობისაა; შესაბამისად, ზმნა მას მხ. რიცხვის ფორმით შეეწყობა; შდრ.:

სწორია: **ყველა მუშაობს;**

შეცდომაა: ყველა მუშაობენ.

აღნიშნული ნაცვალსახელი წარიანი მრავლობითის ფორმითაც გამოიყენება სახელობით ბრუნვაში; ამ შემთხვევაში ზმნა მას მრავლობითის ფორმით შეეწყობა; შდრ.:

სწორია: **ყველანი წავიდნენ;**

შეცდომაა: ყველანი წავიდა

• თუ კრებითობის ან რაოდენობის გამომხატველი ნაცვალსახელები: **ყველა, ყოველი / თითოეული** მსაზღვრელად ახლავს სახელს, ეს უკანასკნელი მხ. რიცხვში უნდა იყოს; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ყველა მოსწავლე	ყველა მოსწავლეები
ყოველი მასწავლებელი	ყოველი მასწავლებლები
თითოეული მშობელი	თითოეული მშობლები

• დაუშვებელია ნორმატიული ფორმების დიალექტური ვარიანტებით ჩანაცვლება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა;
თავად	თავათ
ყველა	ყველე
ყველაფერი	ყორიფელი / ყოლფერი
სხვა	სხუა

სავარჯიშოები

8.2.10.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი თითვონ უნდა მოძებნო.
2) მენეჯერმა ჩვენს ყველა შეკითხვებს გასცა პასუხი.
3) ყოველი მებრძოლებისათვის მთავარი დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაა.
4) თითონ გიორგიმ არაფერი იცოდა მომხდარის შესახებ.
5) დღეს სკოლაში ყველა გაკვეთილები გაცდა.
6) აქ სხუა ხალხია, ჩვენები სად არიან?
7) თავათ დარაჯს ეძინა და არ გაუგია, რაც მოხდა.
8) ყველანი ექსკურსიაზე წავიდა, აქ მარტო მე ვარ.
9) თითეული სვეტის სიმაღლე ოცდახუთი მეტრი იყო.
10) მე ყორიფელი ვიცი თქვენს მოგზაურობაზე,

8.2.10.2. გამართეთ სალიტერატურო ქართულით.

1) სააქტო დარბაზში შეხვედრა მოუწყვეს ყველა კურსდამთავრებულებს.
2) თვითან სუტკნეინას მოსემ დაუგო ხაფანგი.
3) თითეულ შემთხვევას თავისი ახსნა აქვს.
4) ყველანი მხარში ამოუდგა ელენეს.
5) ისინი პასუხისმგებლები არიან თითოეული მოსწავლეების საქციელზე.
6) მშვიდობა უნდა მსოფლიოს ყველა ხალხებს.
7) ენას ძვალი არ აქვს, მაგრამ ყორფელს მაინც ვერ ვიტყვი.
8) თავათ უნდა მოხვიდე და ნახო, რაც ჩვენთან ხდება.
9) ყველა აქ არიან, ჩვენი მეგობრები.
10) მიყვარს სხუა უბნის ბავშვებთან თამაში.

8.2.11 ნაცვალსახელთა რთული ბრუნვის ფორმები

ნაცვალსახელთა ბრუნვის ფორმებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი:

• მიცემითში, **-ზე** და **-ში** მორფემების დართვისას, როგორც გამონაკლისი, ბრუნვის ნიშანი შენარჩუნდება ერთ ნაცვალსახელურ ფუძესთან: **მა-ს-ში; მა-ს-ზე** (შდრ.: თავ-ში; თავ-ზე / თარო-ში; თარო-ზე); აღნიშნულ ფორმებშიც დაიკარგება **ს**, თუკი ნაცვალსახელებს ჩვენებითი ნაწილაკები დაერთვება; შდრ.: **მასში – იმაში; მასზე – იმაზე.**

• ცალკე მდგომი თანდებულები და თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნიზედები დაერთვის I და II პირის ნაცვალსახელთა სან-მოკვეცილ ფორმებს; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ჩემ შესახებ	ჩემს შესახებ
შენ მიმართ	შენს მიმართ
ჩვენ შორის	ჩვენს შორის

- ასევე სან-მოკვეცილია I და II პირის ნაცვალსახელთა ფორმები **-კენ** მორფემის დართვისას; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ჩემკენ	ჩემსკენ
თქვენკენ	თქვენსკენ

- თუ ცალკე მდგომი თანდებულები: **შუა, შორის** ორ ნაცვალსახელს აერთებს და აქედან ერთ-ერთი პირველი პირის ნაცვალსახელია, კონსტრუქცია განსხვავებულ სახეს მიიღებს იმის მიხედვით, პირველი პირის ნაცვალსახელი პირველ ადგილზეა თუ მომდევნო პოზიციაში; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
მე და შენ შუა / შორის	ჩემსა და შენს შუა /შორის
შენ და ჩემ შუა / შორის	შენსა და ჩემს შუა /შორის
მე და მას შუა / შორის	ჩემსა და მას შუა / შორის
მასსა და ჩემ შუა / შორის	მასსა და ჩემს შუა / შორის

- პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმებზე (ჩვენ, თქვენ, მათ) **-გან** მორფემის დართვით მიღებულ სახელებში დაუშვებელია მრავლობითობის **-თა** სუფიქსის გამოყენება;

სწორია:	ჩვენგანი	თქვენგანი	მათგანი
შეცდომაა:	ჩვენთაგანი	თქვენთაგანი	მათთაგანი

სავარჯიშოები

8.2.11.1. შეადარეთ წინადადებები. იპოვეთ შეცდომები და გაასწორეთ.

1) ერთი ჩვენსკენაც გამოიხედეთ!
2) ერთი ჩვენკენაც გამოიხედეთ!

3) მე და შენ შორის ყველაფერი დამთავრდა.
4) ჩემსა და შენს შორის ყველაფერი დამთავრდა.

5) ჩვენს შუა ისევ ვიღაც ჩადგა.
6) ჩვენ შუა ისევ ვიღაც ჩადგა.

7) ერთ ჩვენგანს განსხვავებული მიზანი ამოძრავებს.
8) ერთ ჩვენთაგანს განსხვავებული მიზანი ამოძრავებს.

9) ჩვენ და თქვენ შორის მეგობრობის ხიდია.
10) ჩვენსა და თქვენს შორის მეგობრობის ხიდია.

11) იმასში ვერ დამარწმუნებ, რომ ნონამ დახმარება არ იცის.
12) იმაში ვერ დამარწმუნებ, რომ ნონამ დახმარება არ იცის.

13) შენ და ჩემ გარდა იქ არავის დაუგვიანია.
14) შენსა და ჩემს გარდა იქ არავის დაუგვიანია.

8.2.11.2. . შეცვალეთ ნორმატიული ფორმებით.

1) ჩემს შესახებ მათ ყველაფერი იციან.
2) ამასში ვერ დაგეთანხმებით.
3) ყოველი თქვენთაგანი ელფოსტით მიიღებს პასუხს.
4) დიდი ხანია, ჩვენს შორის განხეთქილება ჩამოვარდა.

5) შენს მიმართ ისინი კარგად არიან განწყობილი.
6) თითოეულ ჩვენთაგანს ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში.
7) ჩემს და შენს შუა ვინ გაბედავს ჩადგომას?!
8) იმათსზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.
9) დედას ჩემსგანაც მოკითხვა გადაეცი!
10) საერთო საქმეში გიგას მაზე მეტი შრომა აქვს გაწეული.

8.2.11.3. შეადარეთ წინადადებათა ორი ჯგუფი; შეცდომებს ხაზი გადაუსვით.

1) ერთი ჩვენთაგანი ყოველთვის იგვიანებს.
ერთი ყვავილთაგანი ადრე გაზაფხულზე ხარობს.
ერთი თქვენთაგანი ადრე დატოვებს სხდომას.
ერთი მოსწავლეთაგანი განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩევა.

2) ერთი ჩვენგანი ყოველთვის იგვიანებს.
ერთი ყვავილგანი ადრე გაზაფხულზე ხარობს.
ერთი თქვენგანი ადრე დატოვებს სხდომას.
ერთი მოსწავლეგანი განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩევა.

8.2.12. ნაწილაკიანი ნაცვალსახელები

ნაწილაკიანი ნაცვალსახელები: **ვიღაცა, რაღაცა, რომელიღაცა... ვინმე, რამე, რომელიმე, როგორიმე, რამდენიმე,... იგივე, ერთი და იგივე** იბრუნება როგორც დამოუკიდებლად, ისე მეორე სახელთან ერთად. ქვემოთ წარმოდგენილია ბრუნების ნიმუშები:

ნაწილაკიანი ნაცვალსახელების დამოუკიდებლად ბრუნება:

-მე / -ღაცა-ნაწილაკიანი ნაცვალსახელები

მხ.რ.

სახ.:	ვინმე	რამე /რამ /რაიმე	ვიღაც(ა)	რაღაც(ა)	ვი(ნ)ღა	რაღა
მოთ.:	ვინმემ	რამემ	ვიღაცამ	რაღაცამ	ვიღამ	რაღამ
მიც.:	ვინმეს	რამეს	ვიღაცას	რაღაცას	ვიღას	რაღას
ნათ.:	ვინმეს(ი)	რამეს(ი) / რამის	ვიღაცის	რაღაცის	ვიღას(ი)	რაღას(ი)
მოქ.:	ვინმეთი	რამეთი / რამით	ვიღაცით	რაღაცით	ვიღათი	რაღათი
ვით.:	ვინმედ	რამედ	ვიღაცად	რაღაცად	ვიღად	რაღად

-ებიანი მრ. რ.

სახ.:	ვინმეები	რამეები	ვიღაცები	რაღაცები
მოთ.:	ვინმეებმა	რამეებმა	ვიღაცებმა	რაღაცებმა
მიც.:	ვინმეებს	რამეებს	ვიღაცებს	რაღაცებს
ნათ.:	ვინმეების	რამეების	ვიღაცების	რაღაცების
მოქ.:	ვინმეებით	რამეებით	ვიღაცებით	რაღაცებით
ვით.:	ვინმეებად	რამეებად	ვიღაცებად	რაღაცებად

-ვე-ნაწილაკიანი ნაცვალსახელები

	მხ. რ.		მრ. რ.
სახ.:	იგივე	ერთი და იგივე	იგივენი
მოთ.:	(ი)მანვე	ერთმა და იმავემ	
მიც.:	(ი)მასვე	ერთსა და იმავეს	
ნათ.:	(ი)მისვე	ერთი(სა) და იმავეს(ი)	
მოქ.:	(ი)მითვე	ერთი(თა) და იმავეთ(ი)	
ვით.:	(ი)მადვე	ერთ(სა) და იმავედ	

ნაწილაკიანი ნაცვალსახელების ბრუნება არსებით სახელთან ერთად

-ვე-ნაწილაკიანი ნაცვალსახელები

სახ.:	იგივე კაცი / კაცები	ერთი და იგივე კაცი / კაცები
მოთ.:	იმავე კაცმა / კაცებმა	ერთმა და იმავე კაცმა / კაცებმა
მიც.:	იმავე კაცს / კაცებს	ერთ(სა) და იმავე კაცს / კაცებს

ნათ.:	იმავე კაცის / კაცების	ერთი(სა) და იმავე კაცის / კაცების
მოქ.:	იმავე კაცით / კაცებით	ერთი(თა) და იმავე კაცით/ კაცებით
ვით.:	იმავე კაცად / კაცებად	ერთ(სა) და იმავე კაცად / კაცებად

-მე / -ღაცა-ნაწილაკიანი ნაცვალსახელები

სახ.:	ვიღაც(ა)	ნაცნობი / ნაცნობები	რომელიმე წიგნი
მოთ.:	ვიღაც(ა)	ნაცნობმა/ ნაცნობებმა	რომელიმე წიგნმა
მიც.:	ვიღაც(ა)	ნაცნობს / ნაცნობებს	რომელიმე წიგნს
ნათ.:	ვიღაც(ა)	ნაცნობის / ნაცნობების	რომელიმე წიგნის
მოქ.:	ვიღაც(ა)	ნაცნობით / ნაცნობებით	რომელიმე წიგნით
ვით.:	ვიღაც(ა)	ნაცნობად / ნაცნობებად	რომელიმე წიგნად

ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება შემდეგ წესებს ითვალისწინებს:

დამოუკიდებლად ბრუნების დროს:

- **-მე/-ვე**-ნაწილაკებიანი ნაცვალსახელები ფონეტიკურ ცვლილებებს არ განიცდიან (ვინმესი, ვინმეთი... რომელიმესი, რომელიმეთი... იმავესი, იმავეთი...); **რაიმე** ნაცვალსახელს აქვს პარალელური ფორმები: რამეს(ი) / რამის; რამეთი / რამით;

-ღა-ნაწილაკიანი ნაცვალსახელებიდან იკვეცება **ვიღაცა, რაღაცა:** ვიღაც-ის.. / რაღაც-ის... ვიღაცები... / რაღაცები;

შეცდომაა: ვიღაცეები, რაღაცეები, ვიღაც-ვიღაცეები, რაღაც-რაღაცეები (იხ. ზემოთ);

- **ებიან** მრავლობითში **-მე/-ვე**-ნაწილაკებიან ნაცვალსახელებს ორი **ე** ექნება: **ვინმეები, რამეები, იგივეები...**
- ნაწილაკიან ნაცვალსახელთა **წართანიანი** მრავლობითის ფორმები (ვინმენი, რომელიმენი... რომელიმეთა...) თანამედროვე ქართულში, პრაქტიკულად, ნაკლებად გამოიყენება; სხვა ფორმებთან შედარებით, მეტი პერსპექტივა აქვს **იგივენი** ფორმას (მაგ., პიესების ენაში);
- ნორმატიულია ნაწილაკების ფუძესთან შეხორცებული სახეობა (ფუძე + ნაწილაკი + ბრ. ნიშ.); დასაშვებია შეუხორცებელი წარმოება (ფუძე + ბრ. ნიშ. + ნაწილაკი), თუმცა მისი გამოყენების არეალი შედარებით ვიწროა; მიუღებელია ორმაგად ნაწარმოები ბრუნვის ფორმები – ნარევი სახეობა (ფუძე + ბრ. ნიშ. + ნაწილაკი + ბრ. ნიშ.); შდრ., მაგ.:

	სწორია: (შეხორცებული)	**დასაშვებია:** (შეუხორცებელი)	შეცდომაა: (ნარევი)
მიც.:	**ვინმეს**	**ვისმე**	ვისმეს
	რამეს	**რასმე**	რასმეს
	ვიღას	**ვისღა**	ვისღას
	რაღას	**რასღა**	რასღას
ნათ.:	**ვინმეს(ი)**	**ვის(გან)მე**	ვისმეს(ი)
	რამეს(ი)	**რის(გან)მე / რისამე**	რისმეს(ი) /რისიმე
	ვიღას(ი)	**ვის(თვის)ღა**	ვისღას(ი)
	რაღას(ი)	**რის(თვის)ღა**	რისღას(ი)

არანორმატიულია, ასევე, შემდეგი ფორმები: რაიმემ, რაიმეს, რაიმეს(ი), რაიმეთი, რაიმედ; რიღაცის, რიღას(თვისა)ც, რიღაცით; რიღასი, რიღათი / რიღით.

- **იგივე** ნაცვალსახელს, **ეს, ეგ, ის** ნაცვალსახელების მსგავსად, ორფუძიანობა ახასიათებს, შდრ.:

სწორია: სახ.: **იგივე** – მოთ.: **იმავემ**, მიც.: **იმავეს**...

შეცდომაა: იგივემ, იგივეს, იგივესი...

- ნაცვალსახელურ კონსტრუქციას: **ერთი და იგივე** მიც., ნათ., მოქ. და ვით. ბრუნვებში აქვს პარალელური გრძელი და მოკლე ვარიანტები; შდრ.: **ერთსა და იმავე ს – ერთ და იმავეს. ერთისა და იმავეს(ი) – ერთი და იმავეს(ი) ...**

მეორე სახელთან ერთად ბრუნების დროს:

• ნაწილაკიანი ნაცვალსახელები ფუძის სახით არის წარმოდგენილი. ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მხოლოდ ნაცვალსახელური კონსტრუქციის – **ერთი და იგივე** – პირველი შემადგენელი – **ერთი**; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ერთ-მა და იმავე კაცმა	ერთ და იმავე კაცმა
ერთ-ის-ა და იმავე კაცის /	ერთ და იმავე კაცის
ერთ-ი და იმავე კაცის	

სავარჯიშოები

8.2.12.1. შეცვალეთ ნაწილაკიანი ნაცვალსახელები ნორმატიული ფორმებით.

1) მაგასთან რაიმეს თქმაც არ შეიძლება.
2) რიღაცით მინდა გავუმასპინძლდე ჩემს მეგობრებს.
3) ტყეში მარტო არ წახვიდე, რაიმემ არ შეგაშინოს!..
4) რიღასი დარდი გაქვს?! – ეგ დრო წარსულს ჩაბარდა.
5) ეგ ქალი, რაიმეთიც რომ გააკვირვო, არაფერს შეიმჩნევს.
6) თქვენთვის რიღაცის გადმოცემა გვინდა, თუ წინააღმდეგი არ იქნებით.
7) ეგ საქმე რომ რაიმედ ღირდეს, თავს არ დავზოგავდი.
8) არ იღელვოთ, რასმეს მოვიფიქრებთ.
9) რიღათი წავალ ბილეთების საყიდლად, თუ მთელი ფული აქ დამატოვებინეს?!.
10) ეკას რომ რისიმე ინტერესი ჰქონდეს, აქ მოვიდოდა.

8.2.12.2. გაასწორეთ შეცდომები.

1) სულ ერთი და იგივეს წუწუნებს ჩემი ძველი ნაცნობი.
2) არ მინდა, ვისმეს ეჯვი შეეპაროს ჩემს სიტყვებში.
3) გთხოვ, იგივე შეცდომებით ნუ დაამახსოვრებ თავს ამ ადამიანებს.
4) მეც იგივეს არ გეუბნებოდი?!
5) ორივე წერილში ერთი და იმავე თემაა განხილული.
6) ამის მერე რასღას ველოდო!
7) ჩემი და მისი ნათქვამი ერთი და იგივედ ნუ გეჩვენება!
8) მშვიდად იყავი, რასმეს მოვიფიქრებ!..
9) ერთსა და იგივე ადგილას გახსნეს ბაზრობა და საწყობი.
10) დარწმუნებული ვარ, იგივე პიროვნებამ ჩაიდინა ეს დანაშაული.
11) ერთმა და იგივე მასწავლებელმა ორჯერ მისაყვედურა შენ გამო.
12) ავტორი იგივე თემაზე წერს და იგივე პრობლემას წარმოგვიდგენს.

8.2.12.3. ფრჩხილებში ჩასმული ვარიანტებიდან შეარჩიეთ ნორმატიული ან დასაშვები ფორმები.

1) დამშვიდდი, ამ ვითარებაშიც მოვიფიქრებ (რასმე / რასმეს).
2) დაუმახეთ (ვინმეს / ვისმეს) მეორე კაბინეტიდან!
3) (რასღა / რასღას) ფიქრობ? დროა, მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება.
4) შენც თუ წახვალ, (ვინღამ / ვინღა) მოგვცეს გულისხმიერი რჩევები?!
5) (ვისღას /ვიღას) ელოდები? უკვე სადილობის დროა.
6) ახლა ისეთ (რასმეს / რამეს) გეტყვი, არ დაიჯერებ.
7) (რაღას / რასღას) არ ეუბნებოდა, მაგრამ მაინც ვერ გადაათქმევინა წასვლა.
8) თუ თვითონ არ უნდა, (ვინმეს / ვისმეს) (რასმეს / რამეს) გააგებინებ?!.
9) (რაღას / რასღას) ჩიოდა ის კაცი, თუ თვითონვე ხელი შეუწყო გაპარვაში?
10) ერთი იკითხეთ, ამ ბავშვს თუ (ვინმესთვის / ვისმესთვის) რამე დაუშავებია!..

ტესტი 8.2.7. – 8.2.12.

ნაცვალსახელი

- ნაცვალსახელთა წარმოება და ბრუნება
- ურთიერთობითი ნაცვალსახელები
- უარყოფითი ნაცვალსახელები
- განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები
- განსაზღვრებითი ნაცვალსახელები
- ნაცვალსახელთა რთული ბრუნვის ფორმები
- ნაწილაკიანი ნაცვალსახელები

1. რომელია სწორი განმარტება?
ურთიერთობითი ნაცვალსახელები
ა) რთული აგებულების სიტყვებია;
ბ) მარტივი აგებულების სიტყვებია.
2. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
უნდა ვთქვათ და ვწეროთ:
ა) ერთმანეთი, ერთიმეორე,
ბ) ერთიერთმანეთი, ერთმეორე.
3. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ერთიმეორე არის:
ა) დიალექტური ფორმა;
ბ) ძველი სალიტერატურო ფორმა.
4. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ურთიერთობითი ნაცვალსახელის ძველი ფორმაა.
ა) ერთმანეთი;
ბ) ერთმანერთი.
5. რომელია მცდარი?
ურთიერთობითი ნაცვალსახელები იბრუნება:
ა) მხოლოდ დამოუკიდებლად;
ბ) როგორც დამოუკიდებლად, ისე მეორე სახელთან ერთად.
6. რომელია სწორი ჩამონათვალი?
უარყოფითი ნაცვალსახელებია:
ა) არავინ, ვერარა, ნურავითარი...
ბ) არა, ვერა, ნურა, ვითარი...
7. რომელია მცდარი პასუხი?
ვითარ-ფუძიანი ნაცვალსახელები იბრუნება:
ა) მეორე სახელთან ერთად;
ბ) მხოლოდ დამოუკიდებლად.
8. აირჩიეთ სწორი პასუხი და დაასრულეთ წესი.
იკუმშება:
ა) **ვინ**-ფუძიანი უარყოფითი ნაცვალსახელები;
ბ) **ფერ**-ფუძიანი უარყოფითი ნაცვალსახელები.
9. რომელია სწორი?
ნორმატიულია შემდეგი ფორმები:
ა) არაფერს, არავის, არაფრად;
ბ) არასფერს, არევის, არაფრათ.
10. რომელია მცდარი?
უარყოფით ნაცვალსახელთა გამარტივებული ფორმები: **არვინ, ვერვინ, არრა, ვერრა, ნურა, ნუვინ...**
ა) დაუშვებელია;
ბ) დასაშვებია.
11. შემოხაზეთ სწორი ჩამონათვალი.
განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია:
ა) ვინმე, რამე, ვიღაცა, რაღაცა, რომელიღაცა, ერთი...
ბ) ვინც, რამეთუ, რაც, რაღაცა, რომელიღაცა, ტიპი...
12. რომელია სწორი?
განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები გამოიყენება
ა)დამოუკიდებლად;
ბ) მეორე სახელთან ერთად;
გ) როგორც დამოუკიდებლად, ისე მეორე სახელთან ერთად.

13. შემოხაზეთ მცდარი წინადადება.
ა) ზოგიერთი მეზობლები მიჩივიან;
ბ) ზოგირთი მეზობელი მიჩივის.
14. რომელია სწორი?
ა) რამოტოლა გაზრდილა ვანო?!.
ბ) რამოდენა გაზრდილა ვანო?!.
15. რომელია მცდარი ვარიანტი?
ა) სოფელში რამოდენიმე მეგობარი შევიძინე.
ბ) სოფელში რამდენიმე მეგობარი შევიძინე.
16. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.
ა)ვიღაც-ვიღაცეებს რაღაც-რაღაცეები ეგონათ, მაგრამ ვერ მივართვი!..
ბ) ვიღაც-ვიღაცებს რაღაც-რაღაცები ეგონათ, მაგრამ ვერ მივართვი!..
17. დაასრულეთ წესი.
სალიტერატურო ფორმებია:
ა) ზოგიერთი, ვიღაცა...
ბ) ზოგიერთა, ვინცხა...
18. რომელია სწორი ჩამონათვალი?
განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია:
ა) ყველა, ყველაფერი, არაფერი, თითოეული, სათითაო, თვით / თვითონ, სხვა;
ბ) ყოველი / ყველა, ყველაფერი, თითოეული, თვით / თავად / თვითონ, სხვა.
19. რომელია მცდარი?
ნაცვალსახელებიდან: **ყოველი** და **ყველაფერი**
ა) ორივე უკუმშველია;
ბ) ორივე კუმშვადია.
20. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ნაცვალსახელები: **თვით / თავად / თვითონ**
ა) იბრუნება;
ბ) უბრუნველია.
21. რომელია სწორი?
წინადადების: „წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“ მიხედვით, **თვითონ** არის:
ა) მოთხრობით ბრუნვაში;
ბ) სახელობით ბრუნვაში.
22. რომელია მცდარი?
თვითან, თითონ, თითვონ
ა) უმართებულო ფორმებია.
ბ) ძველი სალიტერატურო ფორმებია.
23. მონიშნეთ ორი სწორი წინადადება.
ა) ყველა საქმეს ჰკიდებს ხელს;
ბ) ყველა საქმეს ჰკიდებენ ხელს;
გ) ყველანი საქმეს ჰკიდებენ ხელს.
24. შემოხაზეთ არასწორი წინადადება.
ა) მისი თითოეული ნაბიჯი წინასწარ განსაზღვრულია.
ბ) მისი თითოეული ნაბიჯები წინასწარ განსაზღვრულია.
25. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ნაცვალსახელი **ყველა** კრებითი მნიშვნელობისაა; შესაბამისად, ზმნა მას
ა) მხ. რიცხვის ფორმით შეეწყობა;
ბ) მრ. რიცხვის ფორმით შეეწყობა.
26. შემოხაზეთ უშეცდომო წინადადებები.
ა) სხვა შენს ადგილზე ასე არ მოიქცეოდა.
ბ) სხუა შენს ადგილზე ასე არ მოიქცეოდა;
გ) აქ ყორიფელი დამთავრებულია.
დ) აქ ყველაფერი დამთავრებულია.
27. რომელია სწორი განმარტება?
-ზე და **-ში** მორფემების დართვისას ბრუნვის ნიშანი შენარჩუნდება
ა) ნაცვალსახელურ ფუძეებთან;
ბ) მხოლოდ ერთ ნაცვალსახელურ ფუძესთან.
28. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.
ა) მასში, მასზე;
ბ) იმასში, იმასზე.
29. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ნორმატიული ფორმებია:
ა) ჩემ შესახებ, ჩვენ შუა, შენ გამო;
ბ) ჩემს შესახებ, ჩვენს შუა, შენს გამო.

30. რომელია სწორი პასუხი?

-კენ მორფემა დაერთვის I და II პირის ნაცვალსახელთა
ა) სან-მოკვეცილ ფორმებს;
ბ) სანიან ფორმებს.

31. რომელია ნორმატიული ვარიანტი?

ა) ჩემკენ, ჩვენკენ;
ბ) ჩემსკენ, ჩვენსკენ.

32. შემოხაზეთ ნორმატიული ფრაზები.

ა) შენსა და ჩემს შუა;
ბ) შენ და ჩემ შუა;
გ) შენ და მას შუა;
დ) შენსა და მას შუა.

33. რომელია შეცდომა?

ა) ერთი ჩვენთაგანი;
ბ) ერთი ჩვენგანი;
გ) ერთი მოსწავლეთაგანი;
დ) ერთი მათგანი.

34. რომელია სწორი განმარტება?

მე- / ვე- / ღაცა-ნაწილაკიანი ნაცვალსახელების ბრუნება არსებით სახელთან ერთად:
ა) თანხმოვანფუძიანი შეთანხმებული მსაზღვრელის ბრუნების ანალოგიურია;
ბ) ხმოვანფუძიანი შეთანხმებული მსაზღვრელის ბრუნების ანალოგიურია.

35. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ორი არანორმატიული ფორმაა.

ა) ვიღაცეები, იგივეები, რაღაცეები;
ბ) ვინმეები, რამეები, რამერუმეები.

36. მონიშნეთ სწორი განმარტება.

ნაწილაკებიანი ნაცვალსახელების ბრუნებისას ნორმაა:
ა) ნარევი სახეობა: (ფუძე + ბრ. ნიშ. + ნაწილაკი + ბრ. ნიშ.);
ბ) ფუძესთან შეხორცებული სახეობა (ფუძე + ნაწილაკი + ბრ. ნიშ.).

37. შემოხაზეთ არანორმატიული ფორმები.

ა) ვისღას, ვისმეს, რასღას, რასმეს...
ბ) ვიღას, ვინმეს, რაღას, რამეს..

38. რომელია სწორი?

პარალელური ფორმებიდან: **ერთსა და იმავე ს / ერთ და იმავეს** სწორია:
ა) ერთ-ერთი;
ბ) ორივე;
გ) არც ერთი და არც მეორე.

39. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

მეორე სახელთან ერთად ბრუნების დროს ბრუნვის ნიშნებს დაირთავს ნაცვალსახელური კონსტრუქციის **– ერთი და იგივე**
ა) პირველი შემადგენელი – **ერთი**;
ბ) მეორე შემადგენელი – **იგივე**.

40. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმა.

ა) ერთი და იმავე კაცმა;
ბ) ერთი და იგივე კაცმა;
გ) ერთმა და იმავე კაცმა;
დ) ერთ და იმავე კაცმა.

9. ზმნიზედა

9.1. ზმნიზედის რაობა და ჯგუფები

ზმნიზედა დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე, გარკვეულწილად ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილია (შდრ.: აქ – აქედან /აქამდე ... სად – საით / საიდან / სადამდე...), რომელიც აღნიშნავს:

ა) მოქმედების ან მდგომარეობის:

– ადგილს (ჭირი – **იქა**, ლხინი – **აქა**);

– დროს (დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული);

– ვითარებას (ავად შეჰფერის მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება);

– მიზეზს (მაშ, ძმა ყოფილა ის შენი, **მიტომ** მიგიგავს სახეო!);

– მიზანს (**მამულისათვის, მამულისათვის**, ძმებო, სიკვდილი ან გამარჯვება!);

– ჯერობას, ოდენობას (**სამჯერ** გითხარ მის სახელი, აბა, მითხარ, რომელია?.. ავთანდილს **ოცითა უფროსი** დაუხოცია);

– მიმართებას მეორე მოქმედებასთან / მდგომარეობასთან (დავდგეთ იქ, **სადაც** ქარიშხალია);

– ადგილის / დროის უარყოფას (**არსად** მეჩქარება, **არსად** მიმელიან... **აღარასოდეს** განმეორდები...);

– განუსაზღვრელობას (**ოდესღაც** ტაძარს, იმ გაუქმებულს, / მეუდაბნოე შეჰკედლებია)...

ან

ბ) აზუსტებს საგნის ნიშან-თვისებას: შდრ.:

ნაკლებად საინტერესო სტატია – **ნაკლებად** ფასობს;

ძალიან ლამაზი ცა – **ძალიან** მიხარია.

ზმნიზედა სახელის ერთ-ერთი სახეობაა არსებით სახელთან, ზედსართავ სახელთან, რიცხვით სახელთან და ნაცვალსახელთან ერთად (ბ. ჯორბენაძე). **ზმნიზედის** სინონიმია **ზმნისართი**; წინადადებაში ზმნიზედა ძირითადად ახლავს ზმნას, სწორედ აქედან მომდინარეობს ორივე სახელწოდება, რომლებიც ბოლომდე მაინც ვერ შეესატყვისება აღნიშნული ფორმის შესაძლებლობებს; ზმნიზედა ასევე შეიძლება დაერთოს ზედსართავ სახელს, საწყისსა და მიმღეობასაც. შესაბამისად, განსხვავებულია მისი ფუნქციები წინადადებაში.

ზმნიზედა, როგორც დამოუკიდებელი სიტყვა, შეიძლება იყოს:

– გარემოება ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, როცა ზმნა-შემასმენელთან არის ფრაზაში; შდრ.:

გოგონა **მშვენივრად** ცეკვავს; საქმე **მშვენივრად არის**;

– მსაზღვრელი სახელი, როცა ზედსართავ სახელთან, საწყისთან ან მიმღეობასთანაა წყვილში; შდრ.:

მეტად მშვიდი (ზედ.); / **სწორად** აშენება (საწყ); / **კარგად** გარჩეული (მიმღ.)

– დამოკიდებული წინადადების მთავართან დამაკავშირებელი წევრი:

„**სადაც** ვშობილვარ, გავზრდილვარ... ჩემი სამშობლოც იქ არის“.

ზმნიზედა, როგორც დამხმარე სიტყვა, თანდებულის ფუნქციით გვევლინება სახელის მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან, მაგ.:

(მიც.:) მას **უკან** / მას **შემდეგ** – (ნათ.:) სახლის **წინ** / გზის **მარჯვნივ**...

ზმნიზედისაგან იწარმოება ახალი სიტყვებიც: მაგ., შდრ.:

ახლა	–	ახლანდელი
გუშინ	–	გუშინდელი
დღეს	–	დღევანდელი, დღევანდელობა
აქ	–	აქაური / აქაურობა
მანდ	–	მანდაური / მანდაეთი (ტოპონიმი)
უკან	–	უკანეთი (ტოპონიმი)
შიგ	–	შიგნეული
გარეთ	–	გარეული
სად	–	სადაური
უცბად	–	ნაუცბადევი
ჩქარა	–	ნაჩქარევი...

შინაარსის მიხედვით, გამოიყოფა ზმნიზედების რამდენიმე ჯგუფი, რომლებსაც შესაბამისი კითხვები დაესმის, მაგ.:

ადგილის: სად? საიდან? საითკენ? სადამდე? საიდან სადამდე? – აქ, აქეთ. აქედან, აქამდე. იქ, იქით, იქიდან, იქამდე, ზემოთ / ზევით, ზევიდან, ქვემოთ / ქვევით, ქვევიდან, წინ, უკან, მარჯვნივ / მარჯვნით, მარცხნივ / მარცხნით, გასწვრივ, ირგვლივ, ახლოს, შორს, გარშემო, ყველგან...

დროის: როდის? რა დროს? როდიდან? როდემდე? – დღეს, ახლა, გუშინ, ხვალ, ზეგ, მაზეგ, ადრე, გვიან, მერე, შემდეგ, წელს, შარშან, დილით, ღამით, საღამოს, შუაღამისას, გამთენიას, ალიონზე, ვახშმობისას, დილიდან საღამომდე, ყოველთვის, მუდამ, ახლახან...

ვითარების: როგორ? რა ვითარებაში? რანაირად? – ასე, ისე, ასე თუ ისე, ძალიან, ძლიერ, ხმამაღლა, ნელა, ჩქარა, ამგვარად, კარგად, ცუდად, საშუალოდ, ჩუმად, მშვენივრად, უცბად, უეცრად, უნებურად, იმედიანად, გაკვირვებით, წყრომით, ღიმილით, ალერსით, თვალზომით...

ზომა-ოდენობის და ჯერობის: რა ზომით? რა ოდენობით? რამდენად? რამდენჯერ? მერამდენედ? – ამდენად, ბევრად, მეტად, ნაკლებად, ცოტად თუ ბევრად, ცოტ-ცოტაობით, ნაწილ-ნაწილ, სულ, სრულებით, სავსებით, მთლად... ერთბაშად, ამდენჯერ... ათჯერ, ათასჯერ, ათიათასად, ერთიორად... ერთგზის, მრავალგზის... აღნიშნული ჯგუფი, შესაძლებელია, ვითარების ზმნიზედების ერთ განშტოებადაც ჩაითვალოს, რომელიც უფრო ორიენტირებულია რაოდენობაზე.

მიზეზის: რატომ? რა მიზეზით? რის გამო? – ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ, რატომღაც, უყურადღებობისგან, სირცხვილისაგან... ავადმყოფობისგან (სახე შეეცვალა), შიშით (სუნთქვა შეეკრა), სიცილით (თვალები აუცრემლდა), არაფრის გამო (კამათობდა)...

მიზნის: რისთვის? რა მიზნით? რად? – გამარჯვებისათვის / გასამარჯვებლად, ჯიბრისათვის, სათევზაოდ, სამოგზაუროდ, დასასვენებლად, დასაკავშირებლად...

კითხვითი: ეს ზმნიზედები უკვე წარმოდგენილია ზემოთ, ჩამოთვლილი ჯგუფების გასწვრივ და აქ აღარ მივუთითებთ;

მიმართებითი: სადაც, საიდანაც, საითკენაც, სადამდეც, როდესაც, როცა, როდემდეც, როგორც, რამდენადაც, რამდენჯერაც, რის გამოც, რისთვისაც, რა მიზნითაც, რადაც... ამ ჯგუფის ზმნიზედები ნაწარმოებია კითხვით ზმნიზედებზე **-ც** ნაწილაკის დართვით (ისევე როგორც მიმართებითი ნაცვალსახელები – კითხვითი ნაცვალსახელებისაგან). მათ, სხვა ზმნიზედებისაგან განსხვავებით, აქვთ ორმაგი ფუნქცია: რთულ ქვეწყობილ წინადადებაში წარმოდგენენ წევრსაც (გარემოებას) და კავშირსაც, კერძოდ, ამყარებენ დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლის მიმართებას მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელთან (იხ. ქვემოთ, კორელატის (მისათითებელი სიტყვისა) და წევრ-კავშირის ზოგიერთი კონსტრუქცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში).

უარყოფითი: არსად / აღარსად, არსაიდან, აღარასოდეს / აღარასდროს, ვერსად / ვეღარსად, ვერსაიდან, ვერსაით, ვერასოდეს / ვერასდროს, ნურსად, ნურასოდეს / ნურასდროს...

განუსაზღვრელობითი: სადმე, სადღაც, საიდანღაც, ოდესღაც, ოდესმე...

ზოგ შემთხვევაში ზმნიზედების შინაარსობრივი ჯგუფის განსაზღვრა, კითხვებზე მეტად, კონტექსტზე (წინადადებაზე) არის დამოკიდებული; მაგ., შდრ.:

ფეხით **აქამდე** ძლივს მოვედი (ადგილის. ზმნიზ.);
აქამდე შენთვის არაფერი მითქვამს (დროის ზმნიზ.);
ხეობის მერე ჩემი სოფელია (ადგილის. ზმნიზ.);
კონცერტის მერე სახლში მივდივართ (დროის ზმნიზ.)

სავარჯიშოები

9.1.1. წინადადებებიდან ამოკრიბეთ ზმნიზედები და ჩაწერეთ ცხრილში შესაბამის ადგილას.

1) ვერ გაპოვებ ვერასდროს, ვერასდროს... (ტაბ.).
2) ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად – ზრდილობა (ხალხ.).
3) ორნი კაცნი მიდიოდეს სადაურნი სადმე გზასა (რუსთ.).
4) ოდეშე დიდი ყოფილა საქართველო (ლეჩ.).
5) ვიცი, ჩემი გზა საითაც ნავა, შენ საით ნახვალ, ხმელო ფოთოლო!.. (ხარხ.).
6) იმ უსამართლო ბუნებამ / თაგვად რად გამაჩინაო? / მე სხვაგან ყოფნა მინდოდა, / მან ჭერ-ქვეშ მომცა ბინაო! (წერ.).
7) როდემდის არ ვსცემთ ღვთიურს ნიჭსა ღირსსა თაყვანსა? (ჭავ.).
8) არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!.. მშობელი შობილს არრას მეტყოდა (ჭავ.).
9) რაღად ვიცოცხლო, რიღასთვის? ამას ჰფიქრობდა ქალია (ვაჟა).
10) როცა მოვკვდები, გახსოვდეს, ანდერძი დავიბარეო (წერ.).
11) შენ ერთხელ მეტყვი, „მითხარო", მე ასჯერ გეტყვი „ვერასა" (რუსთ.).
12) მე ჩონგური მისთვის მინდა, /რომ სიმართლეს მსახუროზდეს (წერ.).
13) ისევ აღვსდექი! მუხრანის ბოლოს. ჩასაფრებული ვსიწყავ იარალს (ლეონ.).
14) მას შემდეგ ნანგრევში ბუდობს, / დღე-დღე ვერ ჩნდება სირცხვილით და მუდამ ამას წრიპინობს / კვნესით და გულის ტკივილით... (წერ.).

ზმნიზედები

ადგილის	
დროის	
ვითარების	
ზომა-ოდენობის და ჯერობის	
მიზეზის	
მიზნის	
კითხვითი	
მიმართებითი	
უარყოფითი	
განუსაზღვრელობითი	

9.1.2. წინა სავარჯიშოს მიხედვით მოძიებულ მასალაში იპოვეთ არანორმატიული ფორმა / ფორმები და შეცვალეთ სალიტერატურო ვარიანტებით; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ორთოგრაფიული ლექსიკონი.

9.1.3. დაასრულეთ წინადადებები ისე, რომ ერთი და იგივე ზმნიზედები ფრჩხილებში მითითებული შინაარსის მიხედვით განსხვავდნენ.

1) მე **სულ** ---------- (დროის);
2) ფაფა **სულ** ---------- (ზომა-ოდენობის და ჯერობის);

3) სახლის **წინ** ---------- (ადგილის);
4) სადილის **წინ** ---------- (დროის);

5) **იქამდე** ---------- (დროის);
6) **იქამდე** ---------- (ადგილის);

7) ჭიმის **შემდეგ** ---------- (დროის);
8) სკოლის **შემდეგ** ----------(ადგილის);

9) **მანამდე** ---------- (ადგილის);
10) **მანამდე** ---------- (დროის).

9.2. ზმნიზედის წარმოება

ზმნიზედებში გამოიყოფა ორი ძირითადი ჯგუფი: პირველადი და მეორეული ზმნიზედები. **პირველადი ზმნიზედების** რიცხვი შედარებით მცირეა; მაგ.: აქ, იქ, წინ, უკან , სულ, ზეგ... **მეორეული ზმნიზედები** მიღებულია:

– არსებით ან ზედსართავ სახელთაგან, როცა ბრუნვის ფორმა ქვავდება და ვარდება ბრუნვათა პარადიგმიდან; მაგ.: დღე (დღე ეძინა) /დღეს / დღისით; ღამე (ღამე მუშაობდა) / ღამით; საღამო (მთელი საღამო მღეროდა); (შუადღე ->) შუადღეს / შუადღისას / შუადღეზე /შუადღიდან; (შუაღამე ->) შუაღამეს / შუაღამისას / შუაღამეზე / შუაღამემდე... (მშვიდი ->) მშვიდად, (კარგი ->) კარგად, (მაღალი ->) მაღლა(დ), (ჩქარი ->) ჩქარა(დ)... ამავე რიგში განვიხილავთ მარჯვნივ / მარჯვნით; მარცხნივ / მარცხნით; ირგვლივ, გასწვრივ... ფორმებს, რომლებიც მიღებულია არქაული ბრუნვის ფორმების გაქვავებით.

– ფუძის გაორკეცებით; მაგ.: ნაბიჯ-ნაბიჯ, ცალ-ცალკე, კვალდაკვალ, ფეხდაფეხ...

– სხვადასხვა ფუძის შეერთებით: ყოველდღე, დღედაღამ, დილა-საღამოს...ასჯერ, ათასჯერ... ასგზის, ათასგზის, გარეშე, წინაშე... და სხვ.

ზმნიზედის მართლწერა შემდეგ წესებს ითვალისწინებს:

• **-თ** ნიშანი უნდა დაიწეროს მოქმედებითი ბრუნვისგან წარმომდგარი ზმნიზედების ბოლოს; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ზევით / ზემოთ	ზევიდ / ზემოდ
წინათ	წინად
ქვევით / ქვემოთ	ქვევიდ / ქვემოდ
შიგნით	შიგნიდ / შიგნი
გარეთ	გარედ
უნებლიეთ	უნებლიედ

• **-დ** ნიშანი უნდა დაიწეროს ვითარებითი ბრუნვისაგან წარმომდგარი ზმნიზედების ბოლოს; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
კარგად	კარგათ
ავად	ავათ
წამიერად	წამიერათ
ცუდად	ცუდათ
ანაზდად	ანაზდათ
უცბად	უცბათ
უნებურად	უნებურათ
აშკარად	აშკარათ

• დეფისით დაიწერება უკავშიროდ ფუძეგაორკეცებული და ანტონიმური ზმნიზედები.

უკავშიროდ ფუძეგაორკეცებული ზმნიზედები: ნელ-ნელა, მალ-მალე, ჩქარ-ჩქარა, ძლივს-ძლივს, გუნდ-გუნდად, ქუჩა-ქუჩა, უბან-უბან, შუკა-შუკა, ნაპირ-ნაპირ, ნაწილ-ნაწილ, ტყე-ტყე, მთა-მთა, სოფელ-სოფელ, ცალ-ცალკე...

ანტონიმური ზმნიზედები: აქა-იქ, აქეთ-იქით, აქეთ-იქიდან, წინ-უკან, გაღმა-გამოღმა, ზევით-ქვევით, აღმა-დაღმა, წაღმა-უკუღმა...

ასევე დეფისით დაიწერება: **დღეს-ხვალ, ხვალ-ზეგ, ზეგ-მაზეგ...**

• უდეფისოდ დაიწერება **და**-კავშირიანი ფუძეგაორკეცებული, ასევე, სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული ზმნიზედები.

და-კავშირიანი ფუძეგაორკეცებული ზმნიზედები: დროდადრო, თანდათან, გზადაგზა, ხანდახან, დღედაღამ, კვალდაკვალ, ფეხდაფეხ, ცხენდაცხენ...

შდრ., **ცალ-ცალკე დაიწერება:** დღე და ღამე, შინ და გარეთ, წინ და უკან, აღმა და დაღმა, უფრო და უფრო, ბოლოს და ბოლოს, ისევ და ისევ...

სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული ზმნიზედები: გუშინწინ, გუშინღამ (შდრ.: გუშინ ღამით), ხვალღამ (შდრ.: ხვალ ღამით), წყალგაღმა, ხევგამოღმა, სახლზემოთ, ჭერქვეშ (შდრ.: წყალს გაღმა, ხევს გამოღმა, სახლს ზემოთ, ჭერს ქვეშ...) დროგამოშვებით, ხანგამოშვებით, ერთმხრივ (შდრ.: ერთი მხრივ), ცალსახად, არაორაზროვნად, არაერთგვაროვნად... (ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ., ასევე: 5.5.1.5. ბრუნვები ცალკე მდგომი თანდებულებით და 12.2. კომპოზიტების წარმოება და მართლწერა).

- პარალელურად გამოყენებული ფორმებიდან, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ახლახან	ახლახანს
სწორად	სწორედ

უმართებულო ფორმა „ახლახანს“ გვიან არის განვითარებული ანალოგიით; შდრ.: „მეტხანს“ / „დიდხანს“. ეს ორი ზმნიზედა წარმოქმნილია მსაზღვრელ-საზღვრულის მიცემითი ბრუნვის გაქვავებული ფორმისაგან (მეტ-ი / დიდ-ი ხან-ი, მეტ-მა / დიდ-მა ხანმა, მეტ / დიდ ხან-ს...); ამდენად, მათთვის აუცილებელია **-ს** დაბოლოება, რასაც ვერ ვიტყვით „ახლახან“ ფორმაზე: ამ სიტყვის ორივე ნაწილი – „ახლა“; „ხან“ (ხანდახან) – ზმნიზედაა, შესაბამისად, აქ ბრუნვის ნიშნის დართვა შეცდომაა.

"სწორად" და "სწორედ" განსხვავებული სიტყვებია: "სწორად" არის ზმნიზედა, ხოლო "სწორედ" – ნაწილაკი; შესაბამისად, მათი აღრევა არ შეიძლება:

	სწორია:	შეცდომაა:
(ზმნიზ.)	**სწორად** მოიქცა	სწორედ მოიქცა
(ნაწ.).	ეს **სწორედ** (რომ) ასეა	ეს სწორად (რომ) ასეა

- მისაღებია შემდეგი პარალელური ფორმები: **მარჯვნივ / მარჯვნით; მარცხნივ / მარცხნით; ზევით / ზემოთ; ქვევით / ქვემოთ...** ასევე, **დასასრულ / დასასრულს,**

წარმოდგენილ წყვილთა წევრები, ბოლოს გარდა, ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლება; რაც შეეხება ბოლო წყვილის წევრებს, ისინი განსხვავებულ კონტექსტებში გამოიყენება, კერძოდ: როცა საზღვრულია, ანუ შესიტყვების წევრი, უნდა იყოს **დასასრულს,** თუ ცალკეა, ანუ ჩართულის მნიშვნელობითაა, მაშინ იქნება **დასასრულ** და დანარჩენი სიტყვებისაგან მძიმით / მძიმეებით გამოიყოფა, მაგ., შდრ.:

– საზღვრულის ფუნქციით:

გაკვეთილის დასასრულს ზარი დაირეკა.

ექსკურსიის დასასრულს სუფრა გაშალეს.

– ჩართულის მნიშვნელობით:

დასასრულ, მხარეები შეთანხმდნენ.

დასასრულ, კონცერტი გაიმართა.

- დაუშვებელია ნორმატიული წარმოების შეცვლა სასაუბრო/დიალექტური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმებით; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
აქეთ	აქით
აქედან	აქიდან / აქეთიდან
იქით	იქეთ
მანდედან	მაქედან / მაქიდან

მანდეთკენ	მაქეთკენ
ახლა	ეხლა
ჯერ	ჯერე / ჯერეთ
ორი ათას წელს	ორი ათას წელში
ამ წელს	ამ წელში
მაისში, მაგრამ: 15 მაისს	15 მაისში
ამ საათში	ემსააჩი
ამ წუთში	ამწუჩი

• მიუღებელია, ნორმატიული ფორმების ნაცვლად, კალკების (უცხოენობრივი სიტყვაწარმოებითი და ფრაზეოლოგიური სიტყვა-გამოთქმების) გამოყენება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ათი წლის წინ	ორი წლის უკან
ხუთი დღის წინ	ხუთი დღის უკან

შენიშვნა: როგორც მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, მცდარი ფორმები გაჩენილია რუსული ფრაზის: „...лет (тому) назад" გავლენით.

• დროის ზმნიზედების პარალელური ფორმებიდან უპირატესობა ენიჭება მიცემითბრუნვიან ვარიანტებს; შდრ.:

ორ დღეს იმგზავრა – ორი დღე იმგზავრა
სამ თვეს დარჩა – სამი თვე დარჩა
მთელ დღეს ისვენებდა – მთელი დღე ისვენებდა
ყოველ წელს მასპინძლობენ – ყოველი წელი მასპინძლობენ
დიდხანს ელოდა – დიდი ხანი ელოდა
რამდენ ხანს მუშაობდა? – რამდენი ხანი მუშაობდა? და სხვ.

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
ავად	ავათ	ათი წლის წი	ათი წლის უკან
ალბათ	ალბად	ამაღამ	ამღამ /ამეღამ
ამგვარად	ამგვარათ / ამფრათ	ამიერიდან ამის შემდეგ	აწი
ამ საათში	ემსააჩი	ამ წელს	ამ წელში
ამწუთას / ამ წუთში	ამწუჩი	ანაზდად	ანაზდათ
არაერთგვაროვნად	არაერთგვაროვნათ არა ერთგვაროვნათ	არაორაზროვნად	არაორაზროვნათ არა ორაზროვნათ
ასე	ესე	აქ	აქანა / აქანე
აქა-იქ	აქაიქ	აქედან	აქიდან / აქეთიდან
აქეთ	აქით	აქეთ-ოქით	აქეთიქით/ აქეთიქით
აქეთ-იქიდან	აქეთ იქიდან აქეთიქიდან აქეთიქითიდან	აღმა და დაღმა	აღმადადაღმა აღმა-და-დაღმა
აღმა-დაღმა	აღმა დაღმა აღმადაღმა	აშკარად	აშკარათ
ახლა	ეხლა	ახლავე	ეხლავე ეხლავეს ახლავეს
ახლახან	ახლახანს / ეხლახან	ბევრჯერ	ბევრჯელ
ბოლოს და ბოლოს	ბოლო-ბოლო ბოლოსდაბოლოს	გარეთ	გარედ
გაღმა-გამოღმა	გაღმა გამოღმა გაღმაგამოღმა	გაღმა და გამოღმა	გაღმადაგამოღმა გაღმა-და-გამოღმა
გზადაგზა	გზა და გზა გზა-და-გზა	გუნდ-გუნდად	გუნდგუნდათ გუნდ-გუნდათ
გუშინწინ	გუშინ წინ	გუშინღამ	გუშინ ღამ / გუშღამ

	გუშის წინ	გუშინ ღამით	
დილა-საღამოს	დილასაღამ	დროგამოშვებით	დრო გამოშვებით დრო-გამოშვებით
დროდადრო	დრო და დრო დრო-და-დრო	დღედაღამ	დღე და ღამ დღე-და-ღამ
დღე და ღამე	დღედაღამე დღე-და-ღამე	დღეს-ხვალ	დღეს ხვალ დღეს ხვალ
ერთმხრივ ერთი მხრივ	ერთ მხრივ ერთიმხრივ ერთის მხრივ	ერთხელ	ერთჯერ
ზეგ-მაზეგ	ზეგ მაზეგ / ზეგმაზეგ	ზევით / ზემოთ	ზევიდ / ზემოდ
ზევით-ქვევით	ზევით ქვევით ზევითქვევით	თავის დღეში	მის დღეში მისდღემჩი მიდღემჩი
თანდათან	თან და თან თან-და-თან	ისევ	ისევლე ისევლეს ისევეს
ისევ და ისევ	ისევდაისევ ისევ-და-ისევ	ისერიგად	ისეთრიგად
ოქ	იქი / იქანა / იქანე	ოქიდან	იქედან იქითიდან
ოქით	იქეთ	კარგად	კარგათ / კარქათ
კვალდაკვალ	კვალ და კვალ კვალ-და-კვალ	15 მაისს	15 მაისში
მანდ	მაქ / მადანა	მანდედან	მაქედან მაქიდან აქეთიდან
მანდეთკენ	მაქეთკენ	მანდვე	მაქვე
მალ-მალე	მალმალე მალ მალე	მარცხნივ / მარცხნით	მარცხნიდ
მარჯვნივ მარჯვნით	მარჯვნიდ	მაშინ	მაშვინ
მაშინვე	მაშინათვე	მეორეჯერ / მეორედ	მეორეჯელ / მეორეთ
მერე / მერმე	მემრე	მთა-მთა	მთა მთა / მთამთა
ნაპირ-ნაპირ	ნაპირ ნაპირ ნაპირნაპირ	ნაწილ-ნაწილ	ნაწილ ნაწილ ნაწილნაწილ
ნელ-ნელა	ნელნელა / ნელ ნელა	ორი ათას წელს	ორი ათას წელში
ორჯერ	ორჯელ / ორხელ	ოცდამეერთეჯერ	ოცდაპირველჯერ
პირველად	პირველჯერ	რამდენიმეჯერ	რამოდენიმეჯერ
სახლზემოთ სახლს ზემოთ	სახლ ზემოთ სახლსზემოთ	სოფელ-სოფელ	სოფელ სოფელ სოფელსოფელ
სწორად (ზმნიზ.) მოიქცა შდრ.: სწორედ (ნაწ.) რომ კარგია	სწორედ მოიქცა სწორად რომ კარგია	ტყე-ტყე	ტყე ტყე / ტყეტყე
უბან-უბან	უბან უბან უბანუბან	უნებლიეთ	უნებლიედ
უნებურად	უნებურათ	უფრო და უფრო	უფროდაუფრო უფრო-და-უფრო
უფრო-უფრო	უფრო უფრო უფროუფრო	უცბად	უცბათ
ფეხდაფეხ	ფეხ და ფეხ ფეხ-და-ფეხ	ჭუჩა-ჭუჩა	ჭუჩა ჭუჩა / ჭუჩაჭუჩა
ქვევით / ქვემოთ	ქვევიდ / ქვემოდ	შარშანწინ	შარშასწინ
შიგნით	შიგნიდ / შიგნი	შინ და გარეთ	შინდაგარეთ შინ-და-გარეთ
შუკა-შუკა	შუკა შუკა / შუკაშუკა	ჩქარ-ჩქარა	ჩქარ ჩქარა ჩქარჩქარა
ცალსახად	ცალ სახად ცალ-სახად	ცალ-ცალკე	ცალ ცალკე ცალცალკე
ცუდად	ცუდათ	ცხენდაცხენ	ცხენ და ცხენ

			ცხენ-და-ცხენ
ძლივს-ძლივს	ძლივს ძლივს ძლივსძლივს	წამიერად	წამიერათ
წაღმა-უკუღმა	წაღმა უკუღმა წაღმაუკუღმა	წინათ	წინად / წინეთ
წინ და უკან	წინდაუკან წინ-და-უკან	წინ-უკან	წინ უკან / წინუკან
... წლის წინ	... წლის უკან	წყალგაღმა წყალს გაღმა	წყალ გაღმა წყალსგაღმა
ჰერქვეშ / ჰერს ქვეშ	ჰერ ქვეშ / ჰერსქვეშ	ხანგამოშვებით	ხან გამოშვებით ხან -გამოშვებით
ხანდახან	ხანდისხან / ხან და ხან / ხან-და-ხან	ხევგამოღმა ხევს გამოღმა	ხევ გამოღმა ხევ-გამოღმა ხევსგამოღმა
ხვალ-ზეგ	ხვალ ზეგ / ხვალზეგ	ხვალღამ ხვალ ღამით	ხვალ ღამ ხვალღამით
ჯერ	ჯერე / ჯერეთ		

სავარჯიშოები

9.2.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ალპინისტები სულ ზევიდ-ზევიდ მიიწევდნენ.
2) შიგნი და გარედ ერთნაირად ცივა.
3) არ შეიძლება პარალელის გავლება ოცი წლის უკანდელსა და დღევანდელს შორის.
4) წამიერათ სიჩუმემ დაისადგურა მოსაუბრეთა შორის.
5) დრო და დრო ნათურა ქრებოდა და სიბნელესთან ერთად სიცივეც საგრძნობი იყო.
6) მარტოხელამ არაორაზროვნათ შესთავაზა მოხუცს, ერთ ჰერქვეშ ვიცხოვროთო.
7) ხევ გაღმა ერთი სახლია, მთის კალთას შეფარებული.
8) სამი წლის უკან დაიწყო მათი ურთიერთობა.
9) აქეთიდან კარგათ მოჩანს ჩემი სოფელი.
10) ნუ ღელავ, ეხლავე აგიხსნი ყველაფერს.

9.2.2. გამართეთ სალიტერატურო ქართულით.

1) ისევ-და-ისევ მე ვფიქრობ შენზე.
2) რამდენიმე დღის უკან უცნაური ამბავი შევიტყვე.
3) ასე ნაუცბათევად არ გამოდის ჩემი საქმე.
4) ნაპირ ნაპირ მივუყვები ბილიკებს.
5) ისეთრიგად მოვაწყობ საქმეს, რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებს.
6) ამწუჩი სამუშაო არ მაქვს და მოგეხმარები.
7) ბავშვები სწორედ აფასებდნენ მეგობრის საქციელს.
8) წინუკან სირბილში დიდი დრო დავკარგეთ.
9) მდევარი ცხენ და ცხენ დაედევნა გაქცეულს.
10) რამოდენიმეჯერ ვცადე მასთან დაკავშირება, მაგრამ უშედეგოდ.

9.2.3. აირჩიეთ მისაღები ვარიანტები.

1) მაქ რო მიდიხარ, არ უნდა მითხრა?
2) მანდ რომ მიდიხარ, არ უნდა მითხრა?

3) ისევლე შენ უნდა გთხოვო.
4) ისევ შენ უნდა გთხოვო.

5) ასე უცბათ ვინ იფიქრებდა მის წასვლას?I
6) ასე უცბად ვინ იფიქრებდა მის წასვლას?I

7) სოფლის აქეთ-იქით უკაცრიელი ადგილებია.
8) სოფლის აქეთ-იქითიდან უკაცრიელი ადგილებია.

9) ქვემოდ ხმაურიანი მდინარე მოედინებოდა.
10) ქვემოთ ხმაურიანი მდინარე მოედინებოდა.

11) მანდ შეიხედე, რა უწესრიგობაა!
12) მაქ შეიხედე, რა უწესრიგობაა!

13) ყველა იქედან მოდის, რამე ხომ არ მომხდარა?
14) ყველა იქიდან მოდის, რამე ხომ არ მომხდარა?

15) მაშინვე დავეხმარე გოგონას.
16) მაშინათვე დავეხმარე გოგონას.

17) მოთხრობის ავტორმა სწორედ ასახა თანამედროვე ვითარება.
18) მოთხრობის ავტორმა სწორად ასახა თანამედროვე ვითარება.

19) უფრო უფრო ლამაზდები, წლები ვერაფერს გაკლებს.
20) უფრო-უფრო ლამაზდები, წლები ვერაფერს გაკლებს.

9.2.4. შეადგინეთ წინადადებები მოცემული ზმნიზედების გამოყენებით.
წელიწად-ნახევრის წინ; მანდედან; ცალ-ცალკე,; დროგამოშვებით; ქუჩა-ქუჩა; სწორად; ხვალ-ზეგ; თანდათან, რამდენიმეჯერ.

ტესტი N 9

ზმნიზედა

- ზმნიზედის რაობა და ჯგუფები
- ზმნიზედის წარმოება

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ა) ზმნიზედა დამოუკიდებელი სიტყვაა;
ბ) ზმნიზედა დამხმარე სიტყვაა.
2. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
წინადადებაში ზმნიზედა ძირითადად ახლავს
ა) ზმნას;
ბ) ზმნისწინს.
3. რომელია სწორი პასუხი?
წინადადებაში: „სოფო ძალიან ლამაზი გოგოა“ ზმნიზედა **ძალიან**
ა) აზუსტებს საგნის ნიშან-თვისებას;
ბ) აღნიშნავს მოქმედების ვითარებას.
4. რომელი პასუხია მცდარი?
ზედსართავ სახელთან წყვილში ზმნიზედა
ა) მსაზღვრელი სახელია;
ბ) გარემოებაა.
5. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ზმნასთან წყვილში ზმნიზედა გამოხატავს:
ა) მოქმედების ან მდგომარეობის ადგილს, დროს, ვითარებას...
ბ) მოქმედი პირის დამოკიდებულებას.
6. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ზმნიზედა (ძვირად) მსაზღვრელი სახელია.
ა) ეს ძეწკვი ძვირად ღირებული სამკაულია;
ბ) ნიკას ძვირად დაუჯდა ხუმრობა.
7. შემოხაზეთ ის ორი ვარიანტი, რომლებშიც ზმნიზედებს (შემდეგ, წინ) თანდებულის ფუნქცია აქვთ.
ა) გაზაფხულს ზაფხული მოსდევს, შემდეგ შემოდგომა იწყება;
ბ) მას შემდეგ დიდი დრო გავიდა;
გ) წინ ბევრი საქმე გველოდება;
დ) უფროსკლასელები სკოლის წინ იკრიბებოდნენ.
8. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
კითხვები: **სად? საიდან? საითკენ?** დაესმის
ა) დროის ზმნიზედას;
ბ) ადგილის ზმნიზედას.
9. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
კითხვები: **რატომ? რის გამო?** დაესმის
ა) მიზნის ზმნიზედას;
ბ) მიზეზის ზმნიზედას.
10. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ზომა-ოდენობის ზმნიზედებია.
ა) დღეს, არსად, რატომღაც, ერთიორად, მეტად, როცა...
ბ) ასე, დილიდან, გაკვირვებით, სადმე, ღამით, აქეთ...
11. რომელია სწორი?
წინადადებაში: „აქამდე არაფერი გამიკეთებია“ **აქამდე** არის
ა) ადგილის ზმნიზედა;
ბ) დროის ზმნიზედა.
12. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ყველა ზმნიზედა მარტივფუძიანია.
ა) წინ, იქ, უკან, სულ...
ბ) აქ, ღამით, ზეგ, ჩქარა...
13. შემოხაზეთ სწორი წინადადება.
ა) ორი საათია სუფრაზე ვსხედვართ / ვართ;
ბ) ორი საათია სუფრასთან ვსხედვართ / ვართ.
14. შემოხაზეთ მცდარი განმარტება.
მოქმედებითი ბრუნვისგან წარმომდგარ ზმნიზედებს ეკნება:
ა) **-თ** დაბოლოება;
ბ) **-დ** დაბოლოება.
15. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი მცდარი ფორმაა.
ა) უნებლიედ, შიგნით, ზემოთ.
ბ) ქვევით, ანაზდად, უცბად.
16. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ყველა ფორმა სწორია.
ა) გარეთ, კარგათ, აშკარად;

ბ) ავათ, ცუდად, ამგვარათ;
გ) წამიერად, წინათ, უნებურად.

17. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

უკავშიროდ ფუძეგაორკეცებული ზმნიზედები იწერება:
ა) დეფისით;
ბ) უდეფისოდ.

18. მონიშნეთ სწორი ვარიანტი.

ა) ნაპირ-ნაპირ, ნაწილ-ნაწილ, დროდადრო, თანდათან;
ბ) ნაპირნაპირ, ნაწილნაწილ, დროდადრო, თანდათან.

19. მონიშნეთ არანორმატიული ვარიანტი.

ა) შინ და გარეთ, წინ და უკან, დღე და ღამე;
ბ) შინდაგარეთ, ნინდაუკან. დღედაღამე;

20. რომელია სწორი?

ა) დღედაღამ;
ბ) დღე და ღამ.

21. აირჩიეთ სწორი ვარიანტი წესის დასასრულებლად.

სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული ზმნიზედები დაიწერება:
ა) დეფისით;
ბ) უდეფისოდ;
გ) დამოუკიდებელ სიტყვებად.

22. შემოხაზეთ ნორმატიული ვარიანტი.

ა) ცალ სახად, არა ორაზროვნად;
ბ) ცალ-სახად, არა-ორაზროვნად;
გ) ცალსახად, არაორაზროვნად.

23. რომელია მცდარი განმარტება?

ზმნიზედის ნორმატიული ფორმებია:
ა) ახლახან, სწორად;
ბ) ახლახანს, სწორედ.

24. რომელია სწორი განმარტება?

პარალელური ფორმებიდან: **მარჯვნივ / მარჯვნით; მარცხნივ / მარცხნით; ზევით / ზემოთ; ქვევით /ქვემოთ**
ა) ორივე სწორია;
ბ) ერთ-ერთი სწორია.

25. შემოხაზეთ სწორი წინადადება.

ა) დასასრულს, სიტყვა წარმოთქვა სხდომის თავმჯდომარემ;
ბ) დასასრულ, სიტყვა წარმოთქვა სხდომის თავმჯდომარემ.

26. რომელია მცდარი?

ა) ფილმის დასასრულს დარბაზში აღარავინ იყო.
ბ) ფილმის დასასრულ დარბაზში აღარავინ იყო.

27. რომელია ნორმატიული ვარიანტი?

ა) ახლა, მანდვე, იქიდან, ალბათ, ბოლოს და ბოლოს;
ბ) ეხლა, მაქვე. იქედან, ალბად, ბოლობოლო.

28. აირჩიეთ სწორი ვარიანტი წესის დასასრულებლად.

გუშღამ, ორჯელ, ამფრად, ისევლე არის
ა) ნორმატიული ფორმები;
ბ) დიალექტური ფორმები.

29. შემოხაზეთ უცხო სიტყვა-გამოთქმების გავლენით განვითარებული ფრაზები.

ა) სამი დღის უკან, ორი წლის უკან;
ბ) სამი დღის წინ, ორი წლის წინ.

30. რომელია უფრო მისაღები ვარიანტი?

ა) ათი დღე დარჩა; მთელი თვე ისვენებდა;
ბ) ათ დღეს დარჩა; მთელ თვეს ისვენებდა.

31. რომელია სწორი წინადადება?

ა) 1989 წელში დავამთავრე სკოლა.
ბ) 1989 წელს დავამთავრე სკოლა.

10. ზმნა

10.1. ზმნის რაობა და ძირითადი კატეგორიები

ზმნა არის დამოუკიდებელი, ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილი. ქართული ენის ერთ ზმნურ ლექსიკურ ერთეულს ათასობით კონკრეტული ფორმა აქვს, რომელიც სხვადასხვა დროის, კილოს, ასპექტისა და გზისობის მიხედვით შეიძლება გამოხატავდეს ადამიანის, საგნის სხვადასხვა სახის **მოქმედებას** (ვაკეთებ, ბოვს); ადამიანის **განცდას / აღქმას** (მიყვარს); ადამიანის, საგნის **მდგომარეობას** (ვზივარ, დევს); იხ., მაგ.:

– ახლანდელი დროის მოქმედებაა: ვაყვარებ (/მაყვარებს), ვაშიებ, ვაციებ, ვტკენ, ვიბრძვი... ვაწუხებ (/მაწუხებს: მე მაწუხებს მეზობელი), ვხატავ (/მხატავს)...

– წარსული დროის მოქმედებაა: ვაყვარებდი (/მაყვარებდა), ვაშიებდი, ვაციებდი...

– ახლანდელი დროის განცდაა: მიყვარს, მშია, მცივა, მტკივა... ვწუხვარ, მაწუხებს (მე მაწუხებს გული = გული მტკივა)...

წარსული დროის განცდაა: მიყვარდა, მშიოდა, მციოა, მტკიოდა...

– მდგომარეობაა: ვწევარ, ვდგავარ, ვზივარ...

ზმნის ამა თუ იმ ფორმას დაესმის კითხვები; მაგ.: რას შვრება? რას შვრებოდა? რა მდგომარეობაშია საგანი?.. მაგ., შდრ.:

რას შვრება? – აკეთებს, წერს, აძინებს...
რას შვრებოდა? - აკეთებდა, წერდა, აძინებდა...
რა მდგომარეობაშია? – გაკეთებულია, დაწერილია, დაძინებულია / სძინავს და სხვ.

სახელისგან განსხვავებით, ზმნას გაცილებით მეტი მორფოლოგიური კატეგორია[26] და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ათასობით ფორმობრივი სახესხვაობა აქვს; ისინი **სამ ძირითად ჯგუფად** შეიძლება წარმოვადგინოთ:

– **ფორმები, რომელთაც საერთო აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა** და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუძის აგებულებით, ზმნურ ფორმასთან დაკავშირებული სახელების რაოდენობითა და მოქმედების რაგვარობით (მოქმედების მიმართულება, კაუზატივი[27]...); ასეთი ფორმებია, მაგ.: ვაკეთებ, ვიკეთებ, ვუკეთებ, გამიკეთებია, ვაკეთებინებ, ვკეთდები...

– ფორმები, რომელთაც საერთო აქვთ არა მხოლოდ ლექსიკური მნიშვნელობა, არამედ: **ფუძის აგებულება, ზმნურ ფორმასთან დაკავშირებული სახელების რაოდენობა და მოქმედების რაგვარობა.** ეს ფორმები სტრუქტურულად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რაიმე აფიქსით, შინაარსობრივად კი – სულ მცირე, ან დროით, ან კილოთი, ან ასპექტით, ან გზისობით.

– ფორმები, რომელთაც საერთო აქვთ არა მხოლოდ ფუძის აგებულება, ზმნურ ფორმასთან დაკავშირებული სახელების რაოდენობა და მოქმედების რაგვარობა, არამედ **დრო, კილო, ასპექტი და გზისობა;**[28] ერთმანეთისაგან კი განსხვავდებიან მხოლოდ პირითა და რიცხვით.

მაშასადამე:

---

[26] **კატეგორია (ბერძ. katēgoria)** გულისხმობს ზოგადი ნიშნ(ებ)ის მიხედვით გაერთიანებულ მოცემულობათა (/ცნებათა) ჯგუფს, რომლის შემადგენლები უფრო კონკრეტული ნიშნ(ებ)ით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კატეგორია გრამატიკულია, თუკი გრამატიკული ცნებები ფორმობრივად აისახება სიტყვასა (აფიქსებით, განსხვავებული ყალიბებით) თუ წინადადებაში (სინტაქსური კონსტრუქციით). გრამატიკული კატეგორია შეიძლება იყოს მორფოლოგიური ან სინტაქსური: თუკი სემანტიკური კატეგორია ფორმობრივად აისახება სიტყვაში, კატეგორია მორფოლოგიურია, ხოლო თუ სემანტიკური კატეგორია ფორმობრივად აისახება წინადადების კონსტრუქციაში, კატეგორია სინტაქსურია.

[27] კაუზატივთან დაკავშირებით, იხ. ქვემოთ 10.6.1. კაუზატივის (შუალობითი კონტაქტის) ფორმები.

[28] დროის, კილოს, ასპექტისა და გზისობის კატეგორიებზე მსჯელობა იხ. ქვემოთ: 10.5.1. მწკრივის რაობა.

პირველი ჯგუფს ქმნის ერთი ლექსიკური მნიშვნელობისა და განსხვავებული აგებულების მქონე ყალიბები (იხ. ქვემოთ 10.6.1. ზმნურ ყალიბთა რაოდენობა);
მეორე ჯგუფს – ზმნური ლექსიკური ერთეულის ერთი ყალიბის ისეთი ფორმობრივი ვარიანტები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება, სულ მცირე, ან დროით, ან კილოთი, ან ასპექტითა ან გზისობით, ე.ი. მწკრივები (იხ. ქვემოთ 10.5.1. მწკრივის რაობა. მწკრივთა წარმოება; მწკრივის კომპონენტები: დრო, კილო, ასპექტი, გზისობა);
მესამე ჯგუფს – ერთი მწკრივის ფარგლებში არსებული პირისა და რიცხვის ფორმები.

10.2. პირისა და რიცხვის ფორმები

10.2.1. პირის დახასიათება. პირთა ძირითადი კომბინაციები. ობიექტური პირების გარჩევა

ზმნის პირი განსხვავდება რომელობის, როგორობისა და რაოდენობის მიხედვით. **რომელობის** მიხედვით, პირი შეიძლება იყოს I, II ან III; ის შესაბამისი ნიშნით აისახება ზმნურ ფორმაში; მაგ.:

I პირი: (მე)	ვ- წერ	ვ-მუშაობ	მო-მ-წონს	მ-წყურია
II პირი: (შენ)	წერ	მუშაობ	მო-გ-წონს	გ-წყურია
III პირი: (ის)	წერ-ს	მუშაობ-ს	მო-ს-წონ-ს(მას ის)	ს-წყურია (მას)

კონკრეტულ ზმნის ფორმას შეიძლება შეეწყოს ერთი სახელი, ორი სახელი, სამი სახელი, იშვიათად – ოთხი სახელიც კი; შდრ.:

(ის)	ცხოვრობს, იზრდება, ემზადება, დგას, იცინის,,,
(მას)	სძინავს, ღვიძავს, აკანკალებს, აცემინებს...
(ის მას)	აკეთებს, აშენებს, ემალება, ეპირფერება...
(მას ის)	ჰყავს, აქვს, უყვარს, სძულს...
(ის მას მას)	უკეთებს, აწერინებს, ეკითხება, სწერს...
(შენ მე მას ის)	მიჭმიე, ჩამიცივი...

სახელთა შეწყობის მიუხედავად, ზმნის ერთ ფორმაში შეიძლება აისახოს ერთი ან ორი პირი, რადგან პირის ნიშანი ორზე მეტი ვერ იქნება: ერთი – პრეფიქსი და ერთიც – სუფიქსი.

როგორობის მიხედვით, პირი შეიძლება **იყოს აქტიური და პასიური; სუბიექტური (S) და ობიექტური (O).** ქართულში შეიძლება გამოვყოთ სამი სახის სუბიექტი და სამი სახის ობიექტი. ამ სახეობებს შორის განსხვავება პრაქტიკულად გამოხატულია მათთვის სპეციფიკურ ბრუნვის ფორმებში. შესაბამისად, სახელებსაც ბრუნვის ფორმების მიხედვით ვარქმევთ, ხოლო სიმოკლისთვის ვიყენებთ ბრუნვის ლათინური სახელწოდებებისგან (ნომინატივი (nominativus) – სახელობითი, ერგატივი (ergativus) – მოთხრობითი და დატივი (dativus) – მიცემითი) ნაწარმოებ ტერმინებს.

სუბიექტური პირის სახესხვაობები:

– ერგატივიანი / მოთხრობითბრუნვიანი (ბრუნვაცვალებადი) სუბიექტი (ES); დრო-კილოთა მიხედვით იცვლის ბრუნვას: კაცი აკეთებს – კაცმა გააკეთა.

– დატივიანი / მიცემითბრუნვიანი სუბიექტი (DS) – სულ მიცემით ბრუნვაშია: კაცს უყვარს; კაცს უყვარდა;

– ნომინატივიანი / სახელობითბრუნვიანი სუბიექტი (NS) – სულ სახელობით ბრუნვაშია: კაცი ძლიერდება; კაცი გაძლიერდა.

ობიექტური პირის სახესხვაობები:

– დატივიან-ნომინატივიანი (ბრუნვაცვალებადი) ობიექტი (D/NO): კაცი წერს **წერილს** – კაცმა დაწერა **წერილი.**

– დატივიანი / მიცემითბრუნვიანი ობიექტი (DO) – სულ მიცემით ბრუნვაშია: კაცი ემალება **მზეს**; კაცი დაემალა **მზეს**

– ნომინატივიანი / სახელობითბრუნვიანი ობიექტი (NO) – სულ სახელობით ბრუნვაშია: კაცს უყვარს **მოგზაურობა**; კაცს შეუყვარდა **მოგზაურობა**.

სუბიექტისა და ობიექტის სახეობების დასადგენად პრაქტიკული საშუალებაა ნამყო სრულის მწკრივის ფორმა (კითხვა: რა ქნა?), რომელსაც აწმყოს მწკრივის ფორმასთან (კითხვა: რას შვრება?) შეპირისპირებით წარმოვადგენთ.

ერგატივიანი სუბიექტი კომბინაციაშია დატივიან-ნომინატივიან ობიექტთან: ES – D/NO ან დატივიან-ნომინატივიან და დატივიან ობიექტებთან: ES – DO – D/NO; ასევე შესაძლებელია, ერგატივიანი სუბიექტი დამოუკიდებლად იყოს წარმოდგენილი ზმნის კონსტრუქციაში. ერგატივიანი სუბიექტი პირველ პირში გამოიხატება **ვ-** ნიშნით; ის აწმყოს მწკრივში სახელობით ბრუნვაშია, ხოლო ნამყო სრულის მწკრივში მოთხრობით (ერგატიულ) ბრუნვაში გადადის; დატივიან-ნომინატივიანი ობიექტი აწმყოს მწკრივში მიცემით ბრუნვაშია, ხოლო ნამყო სრულის მწკრივში – სახელობითში; შდრ.;

	აწმყო:				**ნამყო სრული:**			
	ES		(DO)	D/NO	ES		(DO)	D/NO
I.	მე	ვ-(უ)-ხატავ	(კაცს)	სურათს	მე	და-ვ-(უ)-ხატე	(კაცს)	სურათი
II.	შენ	(უ)-ხატავ	(კაცს)	სურათს	შენ	და-(უ)-ხატე	(კაცს)	სურათი
III.	ის	(უ)-ხატავს	(კაცს)	**სურათს**	**მან**	და-(უ)-ხატა	(კაცს)	**სურათი**

	ES		ES	
I.	მე	ვ-მეფობ	მე	ვ-იმეფე
II.	შენ	მეფობ	შენ	იმეფე
III.	ის	მეფობს	მან	იმეფა

დატივიანი სუბიექტი კომბინაციაშია ნომინატივიან ობიექტთან: DS – NO; ასევე შესაძლებელია, დამოუკიდებლად იყოს წარმოდგენილი ზმნის კონსტრუქციაში. დატივიანი სუბიექტი პირველ პირში გამოიხატება **მ-** ნიშნით; შდრ.:

	აწმყო:			**ნამყო სრული:**		
	DS		NO	DS		NO
I.	მე	მო-მ-წონ-ს	ნამცხვარი	მე	მო-მ-ეწონა	ნამცხვარი
II.	შენ	მო-გ-წონ-ს	ნამცხვარი	შენ	მო-გ-ეწონა	ნამცხვარი
III.	მას	მო-ს-წონ-ს	**ნამცხვარი**	მას	მო-ე-წონა	**ნამცხვარი**

	DS		DS	
I.	მე	მ-ძინავს	მე	მ-ეძინა
II.	შენ	გ-ძინავს	შენ	გ-ეძინა
III.	მას	ს-ძინავს	მას	ეძინა

დატივიანი სუბიექტი და ნომინატივიანი ობიექტია, ასევე და-მ-ი-ხატ-ავ-ს, გა-მ-იკეთებია, შე-მ-იჭამია, არ მო-მ-იპარავს ტიპის ფორმებში.

ნომინატივიანი სუბიექტი კომბინაციაშია დატივიან ობიექტთან: NS – DO; ასევე შესაძლებელია, დამოუკიდებლად იყოს წარმოდგენილი ზმნის კონსტრუქციაში. ნომინატივიანი სუბიექტი პირველ პირში გამოიხატება **ვ-** ნიშნით; შდრ.:

	აწმყო:			**ნამყო სრული:**		
	NS		DO	NS		DO
I.	მე	ვ-ე-თამაშები	ბავშვს	მე	ვ-ეთამაშე	ბავშვს
II.	შენ	ეთამაშები	ბავშვს	შენ	ეთამაშე	ბავშვს
III.	ის	ეთამაშება	**ბავშვს**	ის	ეთამაშა	**ბავშვს**

	NS		NS	
I.	მე	ვ-იმალები	მე	და-ვ-იმალე
II.	შენ	იმალები	შენ	დაიმალე
III.	ის	იმალება	ის	დაიმალა

დატივიან-ნომინატივიანი და დატივიანი ობიექტების ფორმები ერთმანეთს ემთხვევა აწმყოს მწკრივში, მაგრამ განსხვავებულია ნამყო სრულის მწკრივში; ამიტომ მათ გასარჩევად ზმნური ფორმა უნდა გადავიყვანთ ნამყო სრულში (თუკი სხვა დროის ფორმაა). ნამყო სრულში გადაყვანისას დატივიან-ნომინატივიანი ობიექტი სახელობით ბრუნვაში გადავა, ხოლო დატივიანი ობიექტი ისევ მიცემითში დარჩება (თუ ზმნის ფორმა უკვე ნამყო სრულის მწკრივშია, ვითარება ნათელია და გადაყვანა საჭირო არ არის); შდრ.:

				ES	DO	NO
აწმყო:	რას შვრება?	–	უწერს	ის / დედა	მას / შვილს	მას / წერილს
ნამყო სრ.:	რა ქნა?	–	დაუწერა	მან / დედამ	მას / შვილს	ის / წერილი

საყურადღებოა, რომ კონკრეტულ ზმნურ ფორმაში ყოველთვის მოიაზრება შესაბამისი პირი თუ პირთა კომბინაცია; მნიშვნელობა არა აქვს, ეს ფორმა წინადადებაშია თუ მის გარეშე (ზმნა არის წინადადების გეგმა, წინადადება კი – განხორციელებული გეგმა); შდრ.:

მწერს	წერილს	/	მწერს	ის (ES) – მე (DO) – მას (D/NO).
ვაკეთებ	საქმეს	/	ვაკეთებ	მე (ES) – მას (D/NO)
ღვიძავს		/	ღვიძავს	მას (DS)

სავარჯიშოები

10.2.1.1. იპოვეთ ზმნური ფორმები და დაუსვით კითხვები.

1) ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ (ტაბ.).
2) შემომეყარა ყივჩაღი (ლეონ.).
3) შენი დიდების მომღერალია ოშკი და ზარზმა (კალან.).
4) დაწერა წიგნი, საბრალო, გულისა გასაგმირალი (რუსთ.).
5) ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის (ტაბ.).
6) ქალი წავიდა სხვისასა (ხალხ.).
7) სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა ვერავინ ნახა (კალან.).
8) იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ (ტაბ.).
9) მიეც გლახაკთა საჭურჭლე (რუსთ.).
10) მზეო თიბათვისა, ამას გევედრები... (ტაბ.).

10.2.1.2. ზმნურ ფორმებს შეუწყვეთ პირები: პირველ ადგილზე დაწერეთ აქტიური პირი (S), მეორე ადგილზე – პასიური (O); დაადგინეთ შეწყობილ პირთა რაოდენობა და რომელობა.

1) ცეცხლის მზე აენთო, აცურდა (ტაბ.).
2) რომ არ ამეღო წიგნი ხელში, / თოხი მჭეროდა (მაჭ.).
3) შენ არ გინახავს, არ იცი, მას რომე ცეცხლი სდებია (რუსთ.).
4) მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა... (მაჭ.).
5) თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა (რუსთ.).
6) თამარს უკრეფია სულ ოქროს ვაშლები (ლებ.).
7) შენ სად არ გხვრეპდა შავი ყორანი?! (მაჭ.).
8) თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა / და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ (კალან.).
9) ვწერ ვინმე მესხი მელექსე (რუსთ.).
10)კარგ ყმად ვინა ვთქვათ... (ვაჟა).

10.2.1.3. შეუწყვეთ ზმნებს პირები და დააკავშირეთ შესაბამის სიტყვებთან წინადადებაში. დაადგინეთ სუბიექტურ და ობიექტურ პირთა როგორობა (დატივიანი, ნომინატივიანი...).

1) როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი, / როგორმე ქარმა თუ მიმატოვა (ტაბ.).
2) სიკეთით სძლიე შენს მტერსა (ჭავ..)
3) თავს არ მოიკლავს ქართველი, არა!... (ასათ.).
4) ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, / ლამის წელზე შემომხვიოს ხელი (კალან.).
5) სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ! (ასათ.).
6) ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ! (ორბ.).
7) სიტყვა ვუთხარ და იწყინა (ხალხ.).
8) ჟარი გიმღორის ნანასა...(ჯალან.).
9) ჩემს გალა გაჩიონს მე ვ ჯითხე ერთხელ (ლეგ.).
10) ვკეცე. ვკეცე. ვერ დავკეცე საქართველოს საოცნებო გზები (კახ.).

ტესტი N 10.1– 10.2.1.

ზმნა

– ზმნის რაობა და ძირითადი კატეგორიები
– პირისა და რიცხვის ფორმები; პირის დახასიათება. პირთა ძირითადი კომბინაციები. ობიექტური პირების გარჩევა

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ა) ზმნა არის ფორმაცვალებადი და დამხმარე მეტყველების ნაწილი;
ბ) ზმნა არის ფორმაცვალებადი და დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი.

2. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
ფორმებით: მიყვარს, მშია, მცივა, მტკივა... გამოხატულია:
ა) ადამიანის მოქმედება;
ბ) ადამიანის განცდა.

3. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც მდგომარეობის გამომხატველი ზმნებია.
ა) მუშაობს, უკერავს, ელაპარაკება, პასუხობს;
ბ) სძინავს, წევს, გაყინულია. ახურავს.

4. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
სახელისგან განსხვავებით, ზმნას
ა) ბევრი მორფოლოგიური კატეგორია და ათასობით ფორმა აქვს;
ბ) რამდენიმე მორფოლოგიური კატეგორია და ფორმა აქვს.

5. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი ლექსიკური მნიშვნელობისა და განსხვავებული აგებულების ფორმებია.
ა) ვაშენებ, აშენებ, აშენებს, ვაშენებთ, აშენებთ, აშენებენ;
ბ) აშენებს, შენდება, უშენებს, აშენებინებს, უშენდება, იშენებს.

6. რომელია სწორი პასუხი?
ზმნის პირი განსხვავდება:
ა) რომელობის, როგორობისა და ბრუნების მიხედვით;
ბ) რომელობის, როგორობისა და რაოდენობის მიხედვით.

7. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
რომელობის მიხედვით, პირი შეიძლება იყოს:
ა) I, II და III;
ბ) I, II, III, IV და V.

8. რომელია მცდარი პასუხი?
ა) კონკრეტულ ზმნის ფორმას შეიძლება შეეწყოს ერთი, ორი, სამი, იშვიათად – ოთხი სახელიც კი;
ბ) კონკრეტულ ზმნის ფორმას შეიძლება შეეწყოს ერთი, ორი, სამი, ოთხი, იშვიათად – ხუთი სახელიც კი.

9. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ზმნურ ფორმებს ორ-ორი სახელი შეეწყობა.
ა) წერს, ადუღებს;
ბ) აწერინებს, დუღს.

10. მონიშნეთ ის ვარიამტი, რომელშიც ერთ ზმნურ ფორმას სამი სახელი შეეწყობა..
ა) მიმახარობლე; მიჭმიე;
ბ) მიმაბარე, მიხსენე.

11. რომელია მცდარი პასუხი?
ზმნის ერთ ფორმაში პირის ნიშანი:
ა) ორზე მეტი ვერ იქნება: ერთი – პრეფიქსი და ერთიც – სუფიქსი;
ბ) სამი შეიძლება იყოს: ერთი – პრეფიქსი, ერთი – სუფიქსი და ერთიც – პრეფიქს-სუფიქსი.

12. რომელია სწორი პასუხი?
როგორობის მიხედვით, პირი შეიძლება იყოს:
ა) აქტიური და პასიური;
ბ) აქტიური, პასიური და საშუალო.

13. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
სუბიექტისა და ობიექტის სპეციფიკური ბრუნვების აღსანიშნავად ლათინურ ტერმინებს ვიყენებთ:
ა) სიმოკლისათვის;
ბ) გაუცხოებისათვის.

14. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
დატივიანი (მიცემითბრუნვიანი) სუბიექტი (DS), ისევე როგორც დატივიანი ობიექტი (DO):
ა) სულ მიცემით ბრუნვაშია;
ბ) სულ სახელობითშია;
15. რომელია სწორი?
ნომინატივიანი / სახელობითბრუნვიანი ობიექტი (NO), ისევე როგორც ნომინატივიანი სუბიექტი (NS):
ა) სულ მიცემით ბრუნვაშია;
ბ) სულ სახელობითშია.
16. რომელია დატივიანი სუბიექტისა და ნომინატივიანი ობიექტის მჭონე ფორმები?
ა) ემალება ის მას – დაემალა ის მას;
ბ) ჰყავს მას ის – ეყოლა მას ის.
17. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც დატივიანი სუბიექტის ფორმებია.
ა) უყვარს, ღვიძავს;
ბ) ეჩვევა, იზრდება.
18. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ფორმაში: **ეალერსება ის მას:**
ა) **ის** არის ნომინატივიანი სუბიექტი, ხოლო **მას** – დატივიანი ობიექტი;
ბ) **ის** არის დატივიანი სუბიექტი, ხოლო **მას** – ნომინატივიანი ობიექტი.
19. მონიშნეთ ორი სწორი პასუხი.
ა) ერგატივიანი სუბიექტი (ES) ბრუნვაცვალებადია;
ბ) ერგატივიანი სუბიექტი (ES) ბრუნვაუცვლელია;
გ)დატივიან-ნომინატივიანი ობიექტი (D/NO) ბრუნვაცვალებადია;
დ)დატივიან-ნომინატივიანი ობიექტი (D/NO) ბრუნვაუცვლელია.
20. შემოხაზეთ სწორი განმარტება.
სუბიექტისა და ობიექტის სახეობების დასადგენად პრაქტიკული საშუალებაა ნამყო სრულის ფორმა, რომლის კითხვაა:
ა) რას შვრება?
ბ) რას შვრებოდა?
გ) რა ქნა?
21. მონიშნეთ ის ვარიანტი, რომლშიც ერგატივიანი სუბიექტი და დატივიან-ნომინატივიანი ობიექტია.
ა) ქსოვს ბებო წინდას – მოქსოვა ბებომ წინდა;
ბ) მოსწონს გოგონას სიმღერა – მოეწონა გოგონას სიმღერა.
22. რომელია მცდარი პასუხი?
დატივიან-ნომინატივიანი და დატივიანი ობიექტების ფორმათა გარჩევა შესაძლებელია:
ა) ნამყო სრულის მწკრივში (კითხვაზე: რა ქნა?);
ბ) აწმყოს მწკრივში (კითხვაზე: რას შვრება?).
23. რომელია სწორი პასუხი?
დატივიან-ნომინატივიანი და დატივიანი ობიექტები ერთმანეთს ემთხვევა:
ა) ნამყო სრულის მწკრივში;
ბ) აწმყოს მწკრივში.
24. რომელია სწორი პასუხი?
წინადადებაში: „ნიკო მეზობელს აშენებინებს სარდაფს“ **მეზობელს** არის:
ა) დატივიან-ნომინატივიანი ობიექტი;
ბ) დატივიანი ობიექტი.
25. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
წინადადებაში: „ნატო დაპირებას უსრულებს ძმას“ **დაპირებას** არის
ა) დატივიან-ნომინატივიანი ობიექტი;
ბ) დატივიანი ობიექტი.

10.2.2. ზმნის რიცხვი. პირისა და რიცხვის ნიშანთა ცხრილი

ზმნურ ფორმას აქვს ორგვარი რიცხვი: **მხოლობითი და მრავლობითი.** მრავლობითი რიცხვის ნიშნები პირის ნიშნებთან ერთად ორ ჯგუფად იყოფა, რომელთაც, პირობითად, ვარქმევთ ვ-ინისა და მ-ანის რიგს (პირველი პირის ნიშნების: ვ- / მ-) მიხედვით. ორივე რიგის ნიშნები სხვადასხვა ყალიბში ასახავს როგორც რეალურ სუბიექტურ, ისე რეალურ ობიექტურ პირებს. აღსანიშნავია ისიც, რომ როცა სუბიექტი ვ-ინის რიგის ნიშნით არის გამოხატული, ობიექტი მ-ანის რიგის ნიშნითაა და პირიქით: როცა სუბიექტი მ-ანის რიგის ნიშნითაა, ობიექტი ვ-ინის რიგის ნიშნით არის; შდრ.,

მ-იყვარ-ს მე (S) ბავშვი (O).

მ-აყვარებ-ს ბავშვი (S) მე (O) თავს (O).

პირველ ფორმაში: „მ-იყვარ-ს“ სუბიექტს (მე) მ-ანის რიგის ნიშანი გამოხატავს (მ- პრეფიქსი), ხოლო ობიექტს (ბავშვი) – ვ-ინის რიგის ნიშანი – -ს სუფიქსი; მეორე ფორმაში: „მ-აყვარებ-ს“ პირიქითაა: სუბიექტს ვ-ინის რიგის ნიშანი გამოხატავს (-ს სუფიქსი), ხოლო ობიექტს – მ-ანის რიგის ნიშანი (მ- პრეფიქსი).

მრავლობითი რიცხვის ნიშნები ვ-ინის რიგში:

პირველ პირში: **-თ** ბოლოსართი; მაგ.: ჩვენ ვწერ-თ, ვიზრდები-თ,

მეორე პირში: **-თ** ბოლოსართი; მაგ.: თქვენ წერ-თ, იზრდები-თ;

მესამე პირში: **-ნენ /-ენ / -ან / -ნ/ /-ეს** ბოლოსართები; მაგ.: ისინი გაიზარდ-ნენ / წერ-ენ / იზრდები-ან; მათ დაწერო-ნ / დაწერ-ეს...

მრავლობითი რიცხვის ნიშნები მ-ანის რიგში:

პირველ პირში: **გვ-** თავსართი; მაგ.: ჩვენ გვ-ყავს, შე-გვ-ემთხვა;

მეორე პირში: **-თ** ბოლოსართი; მაგ.: თქვენ გყავ-თ, შეგემთხვა-თ;

მესამე პირში: **-თ** ბოლოსართი ან **0**; მაგ.: მათ ჰყავ-თ, შეემთხვა...

თავისებურებით გამოირჩევა ვ-ინის რიგის მესამე პირის **-ენ / -ნენ / -ან/ -ნ /-ეს** ბოლოსართები და მ-ანის რიგის პირველი პირის **გვ-** თავსართი: ისინი ერთდროულად რიცხვსაც აღნიშნავენ და პირსაც. რაც შეეხება **-თ** ბოლოსართს, ის მხოლოდ რიცხვის ნიშანია; შდრ.:

ისინი წერ-ენ – ჩვენ ვ-წერ-თ

ჩვენ გვ-ყავს – თქვენ გ-ყავ-თ, მათ ჰ-ყავ-თ.

შენიშვნა: ზმნისა და სახელისათვის საერთოა რიცხვის კატეგორია. რიცხვის აღმნიშვნელებიც, გარკვეულწილად, ასევე საერთოა; შდრ.:

სახელი	**ზმნა**
კაც-ნ-ი	ადიდო-ნ
კაც-თ-ა	აქვ-თ

პირისა და რიცხვის ნიშანთა ცხრილი

ვ-ინის რიგის პირისა და რიცხვის ნიშნები:

	მხ. რ.	მრ. რ.
I პ.	ვ ————	ვ ——— თ
II პ.	(ხ) ————	(ხ) ——— თ
III პ.	———— ს, ა, ო	———— ნ, ენ, ნენ, ან, ეს

მ-ანის რიგის პირისა და რიცხვის ნიშნები:

	მხ. რ.	მრ. რ.
I პ.	მ ————	გვ ————
II პ.	გ ————	გ ———— (თ)
III პ.	(ჰ, ს, 0) ————	(ჰ, ს, 0) ———— (თ)

პირის ნიშანთა მართლწერა წარმოდგენილია ქვემოთ (იხ. 10.2.3. და 10.2.4.).

10.2.2.1. აუღლეთ ფორმები: *ა) ვმუშაობ, ვიზრდები; ბ) მიყვარს, მენატრება;* შემდეგ დაწერეთ თითო პუნქტიდან თითო ფორმის უღლება და დეფისით გამოყავით პირისა და რიცხვის ნიშნები.

10.2.2.2. წაიკითხეთ ტექსტი, ამოწერეთ ზმნები და შეუწყვეთ პირები; დაახასიათეთ ისინი რაოდენობის, რომელობისა და როგორობის მიხედვით; ასევე დაადგინეთ, ზმნურ ფორმაში ისინი რომელი რიგის (ვ-ინის / მ-ანის) ნიშნით არის გამოხატული:

„მელა იმ დროს დაინახეს, რომ ის-ის იყო უნდა ნეფე-დედოფლისათვის ეტაცა პირი. ...ნისკარტდაღებული არწივი ეძგერა მელას და ერთს წამს სული გააფრთხობინა. ფრინველნი გაიფანტნენ... დაბლა არწივი და კოდალა-ღა დარჩენ; ...არწივმა კოდალაც გაათავისუფლა და უთხრა: ეგ მიქარვა მიპატიებია, ...მერე აღარ გაბედო, თორემ ვაი შენს ტყავსო. თითონაც ...აფრინდა მაღლა... და იქ ირგვლივ დაიწყო ტრიალი...“ (ვაჟა).

10.2.3. პირის ნიშნები მარტივფუძიან ზმნურ ფორმებში

ვ-ინის რიგის ნიშანთა მართლწერა

- პირველი პირის ნიშანი – ვ- პრეფიქსი, ზეპირმეტყველების გავლენით, არ უნდა დაიკარგოს ვ, ო, უ ბგერებით დაწყებულ ფუძეებთან, რომ არ მოხდეს პირველი და მეორე პირის ფორმათა დამთხვევა. აღნიშნული წესის თანახმად, ვ თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან თავს მოიყრის ორი ვ (პირის ნიშანი + ფუძის დასაწყისი ბგერა); სავალდებულოა ორივე მონაცემის შენარჩუნება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
(მე)	
ვვარდები	ვარდები
ვვარჯიშობ	ვარჯიშობ
ვორგულობ	ორგულობ
ვოცნებობ	ოცნებობ
ვურცხვობ	ურცხვობ / ურცხობ
(მე მას)	
გადავუხტი	გადაუხტი
მივუვარდი	მიუვარდი
მივუვედი	მიუვედი
ჩავუვარდი	ჩაუვარდი
შევუდექი	შეუდექი
(მე მას ის)	
ავუხსენი	აუხსენი
გავუკეთე	გაუკეთე
გადავუხადე	გადაუხადე
დავუმატე	დაუმატე
დავუწერე	დაუწერე
ვუთხარი	უთხარი
მოვუმართე	მოუმართე
შევუთვალე	შეუთვალე
ჩავუნიშნე	ჩაუნიშნე
წავუკითხე	წაუკითხე
წარვუდგინე	წარუდგინე

გამონაკლისებია მო-ვალ, მო-ვედ-ი ფორმები, რომლებშიც პირველი პირის ნიშანი არ იწერება[29]; -ვალ და -ვედ ფუძეებია (იხ. ქვემოთ).

[29] ეს მოვლენა მეორე პირის ფორმებში არქაული ნიშნის არსებობას უკავშირდება.

ამჟამად მიღებული ნორმების მიხედვით, მეორე პირს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ნიშანი არ აღენიშნება; კერძოდ:

სწორია:	შეცდომაა:
ბანაობ	ჰბანაობ
კამათობ	ჰკამათობ
ტირი	სტირი
ფიქრობ	ჰფიქრობ
ჩივი	სჩივი
ჩხუბობ	სჩხუბობ
ცურავ	სცურავ
წუწუნებ	სწუწუნებ
დგახარ	სდგახარ
დუმხარ	სდუმხარ
წევხარ	სწევხარ

გამონაკლისებია (შენ) **ხ-არ, მო-ხ-ვალ, მო-ხ-ვედი** ფორმები, რომლებშიც შემორჩენილია მეორე პირის არქაული ნიშანი – **ხ-** პრეფიქსი. სწორედ ამის გამოა, რომ აღნიშნულ ფორმათა შესაბამისი პირველი პირის ფორმები: **მო-ვალ, მო-ვედ-ი** უნიშნოდ, ვ- პრეფიქსის გარეშე გამოიყენება, კერძოდ: მეორე პირის ნიშნიანი ფორმები თავისთავად გარჩეულია პირველი პირის უნიშნო ფორმებისაგან და მათი აღრევა არ მოხდება; შდრ.:

I. პ.: მე და-ვ-ვარცხნი – მო - ვალ / მო - ვედი

II. პ.: შენ და - ვარცხნი – მო-ხ-ვალ / მო-ხ-ვედი

• მესამე პირის ფორმაში შესაძლოა გაჩნდეს **სთ** ბგერათკომპლექსი: **ს** (პირის ნიშანი) + **თ** (მრავლობითის ნიშანი). თანამედროვე სალიტერატურო ნორმების მიხედვით, მიღებულია **-თ-** ნიშნიანი ვარიანტი; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
მოგცეთ!	მოგცესთ!
შეგაძლებინოთ!	შეგაძლებინოსთ!
გაგიმარჯოთ!	გაგიმარჯოსთ!
დაგლოცოთ!	დაგლოცოსთ!

შდრ.: „ეგებ ინებოს ბატონმა, / გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა!“ (ვაჟა)

აქვთ	აქვსთ
უყვართ	უყვარსთ
ჰყავთ	ჰყავსთ

• ნამყო სრულში, III პირში, მრავლობით რიცხვში (კითხვაზე: რა ქნეს?):

– ერგატივიანი სუბიექტის მქონე ზმნებს ექნება **-ეს** დაბოლოება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ილაპარაკეს	ილაპარაკენ
იკამათეს	იკამათენ
იცელქეს	იცელქენ
იჩხუბეს	იჩხუბენ
გადახურეს	გადახურენ
გააკეთეს	გააკეთენ
ააშენეს	ააშენენ
აღადგინეს	აღადგინენ
შეჭამეს	შეჭამენ

– ნომინატივიანი სუბიექტის მქონე ზმნებს ექნება **-ნენ** დაბოლოება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
გათბნენ	გათბენ
გაიზარდნენ	გაიზარდენ
დადგნენ	დადგენ

ჩამოფრინდნენ	ჩამოფრინდენ
წავიდნენ	წავიდენ
გადაიხვეწნენ	გადაიხვეწენ
დაემალნენ	დაემალენ
მიეპარნენ	მიეპარენ
მოეფერნენ	მოეფერენ
შეეკამათნენ	შეეკამათენ
შეეპასუხნენ	შეეპასუხენ

მ-ანის რიგის ნიშანთა მართლწერა

• პირველ პირში, მხ. რიცხვის ფორმაში მ თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან **ორი მ** გაჩნდება: პირის ნიშანი + ფუძის დასაწყისი ბგერა. ნორმების მიხედვით, სავალდებულოა ორივე მონაცემის შენარჩუნება, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
მმაშვლობს	მაშვლობს
მმადლობს	მადლობს
მმეგზურობს	მეგზურობს
მმეგობრობს	მეგობრობს
მმეზობლობს	მეზობლობს
მმოძღვრავს	მოძღვრავს
მმტრობს	მტრობს
მმალავს	მალავს
მმართავს	მართავს
მმართებს	მართებს

• პირველი პირის მრ. რიცხვის ფორმაში **გვ** ბგერათკომპლექსით დაწყებულ ფუძეებთან **ორი გვ** მოიყრის თავს: პირის ნიშანი + ფუძის დასაწყისი თანხმოვნები; ნორმების მიხედვით, სავალდებულოა ორივე მონაცემის შენარჩუნება, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
დაგვგვიანებია	დაგვიანებია
გვგვანან	გვანან
მოგვგვარებია	მოგვარებია
დაგვგვირგვინებია	დაგვირგვინებია
დაგვგვრემია	დაგვრემია
გვგვემს	გვემს
მოგვგვრის	მოგვრის

• მეორე პირის ფორმაში **გ** თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან **ორი გ** მოიყრის თავს: პირის ნიშანი + ფუძის დასაწყისი ბგერა; ნორმების მიხედვით, სავალდებულოა ორივე მონაცემის შენარჩუნება, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
გგავს/თ	გავს/თ
გგონია/თ	გონია/თ
მოგგონებია/თ	მოგონებია/თ
მოგგრეხია/თ	მოგრეხია/თ
გგვემს /თ	გვემს/თ
გგვრემს/თ	გვრემს/თ
გგზავნის/თ	გზავნის/თ
გგმობს/თ	გმობს/თ
გგუობს/თ	გუობს/თ

• პირველ და მეორე პირთა კომბინაციის დროს გასარჩევია ორგვარი შემთხვევა, როცა ზმნაში აისახება ან მხოლოდ ობიექტის ნიშანი, ან ობიექტისა და სუბიექტის ნიშნები ერთდროულად.

ა) მხოლოდ ობიექტის ნიშანი აისახება იმ ფორმებში, რომელთა სუბიექტიც ერგატივიანია ან ნომინატივიანია; მაგ.:

– ერგატივიანი სუბიექტის მქონე ფორმები:

მე (S) – შენ (O) გხატავ, გარწმუნებ...

შენ (S) – მე (O) მხატავ, მარწმუნებ...

– ნომინატივიანი სუბიექტის მქონე ფორმები:

მე (S) – შენ (O) გეთამაშები, გეპასუხები...

შენ (S) – მე (O) მეთამაშები, მეპასუხები...

ბ) ობიექტისა და სუბიექტის ნიშნები ერთდროულად აისახება იმ ფორმებში, რომელთა სუბიექტიც დატივიანია, მაგ.:

მე (S) – შენ (O)მომწონხარ, მიყვარხარ...

შენ (S) – მე (O)მოგწონვარ, გიყვარვარ...

- მესამე პირის ნიშანი **ბ, პ, ფ, გ, კ, ქ, ყ** თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან იქნება **ჰ-** პრეფიქსი, ხოლო **დ, ტ, თ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ** თანხმოვნების წინ – **ს-** პრეფიქსი; დანარჩენი თანხმოვნებით (მ, ვ, ნ, რ, ლ, ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ) და, ასევე, ხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან მესამე პირს ნიშანი არა აქვს; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
სბურთს	ბურთს
სწყინს	წყინს
სწყურია	წყურია
ჰგონია	გონია
ჰქონია	ქონია
ჰყავს	ყავს
ჰყვარებია	ყვარებია

შდრ.:

ზარავს	ჰზარავს
შეშვენის	შეჰშვენის
შურს	ჰშურს

- მესამე პირის დატივიან და დატივიან-ნომინატივიან ობიექტთაგან ნიშნები – **ჰ-** და **ს-** პრეფიქსები – მხოლოდ დატივიანს აქვს; შდრ.:

დატივიანი ობიექტი – (DO)

სწორია:	შეცდომაა:
(ის მას მას – მან მას ის)	
სთავაზობს	თავაზობს
სთხოვს	თხოვს
სტეხს	ტეხს
სტკენს	ტკენს
სჩრის	ჩრის
სცინცლავს	ცინცლავს
სძენს	ძენს
სწერს	წერს
სწირავს	წირავს
სწყვეტს	წყვეტს
სჭრის	ჭრის
ჰბანს	ბანს
ჰგლეჯს	გლეჯს
ჰკითხავს	კითხავს
ჰკვეთს	კვეთს
ჰპარავს	პარავს
ჰფენს	ფენს

ჰყრის (სენს)	ყრის

შდრ.:

გადახვევს	გადაჰხვევს
დამღერებს	დაჰმღერებს
მოხსნის	მოჰხსნის
შემატებს	შეჰმატებს

(ის მას – მან მას)

დასდევს	დადევს
მისტირის	მიტირის
შესჩივის	შეჩივის
შესძახებს	შეძახებს
შეჰბღავლებს	შებღავლებს
ჰკბენს	კბენს
ჰპატრონობს	პატრონობს
ჰქომაგობს	ქომაგობს

შდრ.:

დანათის	დაჰნათის
მოხედავს	მოჰხედავს
შეზუზუნებს	შეჰზუზუნებს
შენატრის	შეჰნატრის
შეღაღადებს	შეჰღაღადებს
შეხარის	შეჰხარის

(ის მას – ის მას)

გადაჰფარებია	გადაფარებია
დასდევნებია	დადევნებია
დასტაკებია	დატაკებია
დასჩლუნგებია	დაჩლუნგებია
დაჰკარგვია	დაკარგვია
მისჯახებია	მიჯახებია
სცვივა	ცვივა
სწყდება	წყდება
შესჭიდებია	შეჭიდებია
ჰბრალდება	ბრალდება
ჰკლებია	კლებია

შდრ.:

გაზარმაცებია	გაჰზარმაცებია
დამშვენებია	დაჰმშვენებია
დამსგავსებია	დაჰმსგავსებია
დაღუპვია	დაჰღუპვია
მიხვდა	მიჰხვდა
შესქელებია	შეჰსქელებია

ფორმები: სცვივა, სწყდება სწორია ორპირიანი ფორმების შემთხვევაში, მაგრამ შეცდომაა, თუ ფორმა ერთპირიანია; შდრ.:

სწორია:	ხეს ფოთოლი სცვივა / სწყდება	ფოთოლი / ფოთლები ცვივა / წყდება
შეცდომაა:	ხეს ფოთოლი ცვივა / წყდება	ფოთოლი/ ფოთლები სცვივა / სწყდება

დატივიან-ნომინატივიანი ობიექტი - (D/NO)

სწორია:	შეცდომაა:
კარგავს	ჰკარგავს
კერავს	ჰკერავს

კითხულობს	ჰკითხულობს
ფქვავს	ჰფქვავს
ქარგავს	ჰქარგავს
ყრის	ჰყრის
შეძლებს	შესძლებს
ჩრის	სჩრის
ცვლის	სცვლის
ცრის	სცრის
წერს	სწერს
ჭამს	სჭამს
ჭრის	სჭრის

ფორმები: **სჩრის, სწერს, სჭრის**... სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზმნური ფორმა სამპირიანია და მის კონსტრუქციაში მოიაზრება დატივიანი ობიექტი (DO).

ჰ- / ს- პრეფიქსების არასწორად გამოყენების მთავარი მიზეზი ხშირად ისაა, რომ რთულია დატივიანი და დატივიან-ნომინატივიანი ობიექტების ერთმანეთისაგან გარჩევა. ამისათვის, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საკონტროლო საშუალებაა **ნამყო სრულის** ფორმა. წარმოვადგენთ აწმყოსა და ნამყო სრულის ფორმების შეპირისპირების მაგალითებს:

ორპირიანი ფორმა: ES – D/NO (ის მას – მან ის)

	სწორია:			შეცდომაა:
აწმყო: რას შვრება?	**ჭრის**	კაცი	**ტოტს**	სჭრის კაცი ტოტს
ნამყო სრ.: რა ქნა?	**მოჭრა**	კაცმა	**ტოტი**	მოსჭრა კაცმა ტოტი

სამპირიანი ფორმა: ES - DO - D/NO (ის მას მას – მან მას ის)

	სწორია:				შეცდომაა:
აწმყო: რას შვრება?	**სჭრის**	კაცი	**ხეს**	**ტოტს**	ჭრის კაცი ხეს ტოტს
ნამყო სრ.: რა ქნა?	**მოსჭრა**	კაცმა	**ხეს**	**ტოტი**	მოჭრა კაცმა ხეს ტოტი

- მესამე პირის დატივიან-ნომინატივიან ობიექტს, მართალია, ნიშანი არ აქვს, თუმცა არის გამონაკლისებიც: რამდენიმე ზმნურ ფორმაში აუცილებელია **ს-** პრეფიქსის გამოყენება; მაგ., შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
გასცა	გაცა
გამოსცა	გამოცა
ასწია	აწია
გასწია	გაწია
წამოსწია	წამოწია
სჩადის (დანაშაულს)	ჩადის

- **ვ-**ინის რიგის პირველი სუბიექტური და **მ-**ანის რიგის მესამე დატივიანი ობიექტური პირების კომბინაციისას ზმნურ ფორმაში აისახება მხოლოდ სუბიექტური პირის ნიშანი; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
მივწერე	მივსწერე
მოვგრიხე	მოვჰგრიხე
მოვკითხე	მოვჰკითხე
მოვტაცე	მოვსტაცე
მოვწმინდე	მოვსწმინდე
მოვჭერი	მოვსჭერი
შევთხოვე	შევსთხოვე
შევჩივლე	შევსჩივლე
ჩავჭიდე	ჩავსჭიდე
დავტიროდი	დავსტიროდი

მივგებებივარ	მივჰგებებივარ
მივჩერებოდი	მივსჩერებოდი
მივწვდი	მივსწვდი
მივჭრივარ	მივსჭრივარ
შევჩებებივარ	შევსჩებებივარ
შევპასუხებივარ	შევჰპასუხებივარ...

• გაუმართლებელია ერთპირიან ფორმებში მესამე დატივიანი ობიექტური პირის ნიშნების გამოყენება; მაგ., შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
გუგუნებს	ჰგუგუნებს
თვლემს	სთვლემს
კამათობს	ჰკამათობს
კივის	ჰკივის
ტორტმანებს	სტორტმანებს
ფიქრობს	ჰფიქრობს
ქრის	ჰქრის
ჩურჩულებს	სჩურჩულებს
ძიგძიგებს	სძიგძიგებს
წივის	სწივის
წუწუნებს	სწუწუნებს
დგას	სდგას
დევს	სდევს
დუმს	სდუმს
ზის	ჰზის
ყვავის	ჰყვავის
ყვავილობს	ჰყვავილობს
ჩანს	სჩანს
წევს	სწევს

გამონაკლისებია: **დასძინა, გასტანა, აღსდგა** მყარ ფრაზაში: **ქრისტე აღსდგა!** შდრ.: საბოლოოდ **აღდგა** მათი ურთიერთობა. შდრ., ასევე: „გორი რამ **ჩასდგამს** (= დგას / არის) შუბის წვრად, მუხა-იფნებით ფარული“ (ვაჟა).

• უმართებულოა მდგომარეობისა და მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნათა I-II პირთა ფორმების (ვდგავარ – დგახარ, ვზივარ – ზიხარ, ვწევარ – წევხარ, მომწონხარ – მოგწონვარ... მივდივარ – მიდიხარ, მივრბივარ – მირბიხარ...) ანალოგიით, ხმიანობის, ხმის გამოცემის აღმნიშვნელ ზმნათა I და II პირში გაჩენილი მეშველზმნიანი ფორმები; შდრ.:

I პირი		II პირი	
სწორია:	შეცდომაა:	სწორია:	შეცდომაა:
ვმღერი	ვმღერივარ	მღერი	მღერიხარ
ვტირი	ვტირივარ	ტირი	ტირიხარ
ვიცინი	ვიცინივარ	იცინი	იცინიხარ
ვყვირი	ვყვირივარ	ყვირი	ყვირიხარ
ვკივი	ვკივივარ	კივი	კივიხარ
ვჩივი	ვჩივივარ	ჩივი	ჩივიხარ
ვტყუი	ვტყუივარ	ტყუი	ტყუიხარ

• ნორმატიულია წარმოშობით ორპირიან ფორმებში დაკარგული მესამე დატივიანი ობიექტური პირის ნიშნის გამოყენება:

სწორია:	შეცდომაა:
სცივა	ცივა
სცხელა	ცხელა
სძინავს	ძინავს

შდრ., ცივა, ცხელა ფორმები სწორია უქვემდებარო წინადადებების შემთხვევაში, მაგ.: **გარეთ ცივა / ცხელა / თბილა / გრილა.**

- გაუმართლებელია სალიტერატურო ფორმების დიალექტური ვარიანტებით ჩანაცვლება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
დავვარცხნე	დავბარცხნე
დგას	დგანა / დგია
დევს	დენა / დვია
ზის	ჯის / ჯდანა / ჟდანა
კივის	კივა
მოსჭამა	მოშჭამა
სძინავს	სძინავ
(არა) უშავს-რა	(არა) უშავ-რა
ღვიძავს	ღვიძავ
ჩანს	ჩანა
ჩივის	ჩივა
წევს	წვია
ჰგავს	გვანა
ჰყავს	ჰყავ
ჰყვარებია	ნაყვარება და სხვ.

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
ააშენეს (მათ)	ააშენენ	ავუვედი (მე)	აუვედი
ავუხსენი (მე)	აუხსენი	ასწია (მან ის)	აწია
აქვს (მას) აქვთ (მათ)	აქვ აქვსთ	აღადგინეს (მათ)	აღადგინენ
აღდგა (შენობა)	აღსდგა (შენობა)	ბან; ბანს	ჰბან; ჰბანს
გაგაბაროთ! (მან თქვენ)	გაგაბაროსთ!	გაგიმარჯოთ! (მან თქვენ)	გაგიმარჯოსთ!
გადააკეთეს (მათ)	გადააკეთენ	გადავუხადე (მე)	გადაუხადე
გადავუხტი (მე)	გადაუხტი	გადაიხვეწნენ (ისინი)	გადაიხვეწენ
გადახვევს (ის მას) / (ის მას მას)	გადაჰხვევს	გადაჰფარებია (მას)	გადაფარებია
გადღეგრძელოთ! (მან თქვენ)	გადღეგრძელოსთ!	გავუკეთე (მე)	გაუკეთე
გაზარმაცებია (მას)	გაჰზარმაცებია	გათბნენ (ისინი)	გათბენ
გაიზარდნენ (ისინი)	გაიზარდენ	გამოსცა (ის)	გამოცა
განვვლე (მე)	განვლე	მისცა (მას)	მიცა
გასცა (ის)	გაცა	გასწია (მან) / (მან ის)	გაწია
გგავს/ თ (შენ / თქვენ)	გავს/თ	გგვემს /თ(შენ/თქვენ)	გვემს/თ
გგვრემს/თ (შენ /თქვენ)	გვრემს/თ	გგზავნის/თ (შენ/თქვენ)	გზავნის/თ
გგმობს/თ (შენ /თქვენ)	გმობს/თ	გგონია/თ (შენ / თქვენ)	გონია/თ
გგუობს/თ (შენ /თქვენ)	გუობს/თ	გვგვანან (ჩვენ)	გვანან
გვგვემს (ჩვენ)	გვემს	გლეჯს (ის მას) შდრ.: ჰგლეჯს (ის მას მას)	ჰგლეჯს შდრ.: გლეჯს
გრეხს (ის მას) შდრ.: ჰგრეხს (ის მას მას)	ჰგრეხს (ის მას) შდრ.: გრეხს (ის მას მას)	გრილა (გარეთ)	ჰგრილა
გუგუნებს (ის)	ჰგუგუნებს	დაანგრიეს (მათ)	დაანგრიენ
დაასრულეს (მათ)	დაასრულენ	დაგვგვიანებია (ჩვენ)	დაგვიანებია

დაგვგვირგვინებია (ჩვენ)	დაგვირგვინებია	დაგვგვრემია (ჩვენ)	დაგვრემია
დაგლოცოთ! (მან თქვენ)	დაგლოცოსთ!	დადგნენ (ისინი)	დადგენ
დაემალნენ (ისინი)	დაემალენ	დავვარცხნე (მე)	დავარცხნე დავბარცხნე
დავტიროდი	დავსტიროდი	დავუმატე (მე)	დაუმატე
დასძინა (მან)	დაძინა	დავუწერე (მე)	დაწერე
დამსგავსებია (მას)	დაჰმსგავსებია	დამღერებს (მას)	დაჰმღერებს
დამშვენებია (მას)	დაჰმშვენებია	დანათის (მას)	დაჰნათის
დასდევნებია (მას)	დადევნებია	დასდევს (მას)	დადევს
დასტაკებია (მას)	დატაკებია	დასჩლუნგებია (მას)	დაჩლუნგებია
დალუპვია (მას)	დაჰლუპვია	დაწერეს (მათ)	დაწერენ
დაჰკარგვია (მას)	დაკარგვია	დაჰყავს (მას)	დაყავს
დგას (ის) დგანან (ისინი)	სდგას/დგანა/დგია დგარან	დგახარ	სდგახარ / დგეხარ
დევს (ის)	სდევს / დენა / დვია	დუმხარ, დუმს	სდუმხარ, სდუმს
ვვარდები (მე)	ვარდები	ვვარჯიშობ (მე)	ვარჯიშობ
ვიცინი, იცინი	ვიცინივარ, იცინიხარ	ვკივი, კივი	ვკივივარ, კივიხარ / ჰკივი
ვმღერი, მღერი	ვმღერივარ, მღერიხარ	ვომობ (მე)	ომობ
ვორგულობ (მე)	ორგულობ	ვოცნებობ (მე)	ოცნებობ
ვტირი, ტირი	ვტირივარ, ტირიხარ / სტირიხარ	ვტყუი , ტყუი	ვტყუივარ, ტყუიხარ / სტყუიხარ / სტყუი
ვუამბე (მე)	უამბე	ვუთხარი (მე)	უთხარი
ვურჩიე (მე)	ურჩიე	ვურცხვობ (მე)	ურცხვობ / ურცხობ
ვუფროსობ (მე)	უფროსობ	ვყვირი, ყვირი	ვყვირივარ, ყვირიხარ / ჰყვირიხარ / ჰყვირი
ვჩივი, ჩივი	ვჩივივარ, ჩივიხარ / სჩივიხარ / სჩივი	ზარავს (მას)	ჰზარავს
ზის	ჰზის / ჯის / ჯდანა / ქდანა	თბილა (გარეთ)	სთბილა
თვლემს (ის) შდრ.: სთვლემს (მას)	სთვლემს შდრ.: თვლემს	თოვს	სთოვს
იკამათეს (მათ)	იკამათენ	ილაპარაკეს	ილაპარაკენ
იყვირეს (მათ)	იყვირენ	იცელქეს (მათ)	იცელქენ
იჩხუბეს (მათ)	იჩხუბენ	კამათობ, კამათობ	ჰკამათობ, ჰკამათობს
კარგავ; კარგავს	ჰკარგავ; ჰკარგავს	კერავ; კერავს	ჰკერავ; ჰკერავს
კივი, კივის	ჰკივი, ჰკივის / კივა	კითხულობ, კითხულობს	ჰკითხულობ, ჰკითხულობს
მართებს (მას)	ჰმართებს	მიეპარნენ (ისინი)	მიეპარენ
მივგებებივარ (მას)	მივჰგებებივარ	მივუვარდი (მე)	მიუვარდი
მივუვედი (მე)	მიუვედი	მივუჩინე (მე)	მიუჩინე
მივჩერებოდი (მას)	მივსჩერებოდი	მივწერე (მას)	მივსწერე
მივწვდი (მას)	მივსწვდი	მივჭრივარ (მას)	მივსჭრივარ
მისტირის (მას)	მიტირის	მიჰქონდა (მას)	მიქონდა
მიჰყავს (მას)	მიყავს	მიხვდა (ის)	მიჰხვდა
მისჯახებია (მას)	მიჯახებია	მმადლობს (მე)	მადლობს
მმალავს (მე)	მალავს	მმართავს (მე)	მართავს
მმართებს (მე)	მართებს	მმაშვლობს (მე)	მაშვლობს
მმეგზურობს (მე)	მეგზურობს	მმეგობრობს (მე)	მეგობრობს
მმეზობლობს (მე)	მეზობლობს	მმეტოქეობს (მე)	მეტოქეობს
მმოძღვრავს (მე)	მოძღვრავს	მოგგონებია/თ (შენ/თქვენ)	მოგონებია/თ
მოგგრეხია/თ (შენ / თქვენ)	მოგრეხია/თ	მოგვგვარებია (ჩვენ)	მოგვარებია
მოგვგვრის (ჩვენ)	მოგვრის	მოგცეთ!	მოგცესთ!

მოეფერნენ (ისინი)	მოეფერენ	(მან თქვენ) მოვალ (მე)	მოვვალ
მოვგრიხე (მას)	მოვჰგრიხე	მოვედი (მე)	მოვვედი
მოვკითხე (მას)	მოვჰკითხე	მოვტაცე (მას)	მოვსტაცე
მოვუმართე (მე)	მოუმართე	მოვწმინდე (მას)	მოვსწმინდე
მოვჭერი (მას)	მოვსჭერი	მოხედავს (მას)	მოჰხედავს
მოხსნის (მას)	მოჰხსნის	მოჰქონდა (მას)	მოქონდა
სთავაზობს (მას)	თავაზობს	სთხოვს (მას)	თხოვს
სტეხს (ის მას მას) შდრ.: ტეხს (ის მას)	ტეხს შდრ.: სტეხს	სჩადის (ის მას) შდრ.: ჩადის (ის)	ჩადს (ის მას) შდრ.: სჩადს (ის)
სჩრის (ის მას მას) შდრ.: ჩრის (ის მას)	ჩრის შდრ.: სჩრის	სცალა (მას)	ცალა
სცვივა (ის მას) შდრ.: ცვივა (ის)	ცვივა შდრ.: სცვივა	სცივა (მას) შდრ.: ცივა (გარეთ)	ცივა შდრ: სცივა
სცინცლავს(ის მას მას) შდრ.: ცინცლავს (ის მას)	ცინცლავს შდრ.: სცინცლავს	სცხელა (მას) შდრ.: ცხელა (გარეთ)	ცხელა შდრ.: სცხელა
სძენს (მას)	ძენს	სძინავს (მას)	ძინავს / სძინავ / ძინავ
სძულს (მას)	ძულს	სწერს (ის მას მას) შდრ.: წერს (ის მას)	წერს შდრ.: სწერს
სწირავს (ის მას მას შდრ.: წირავს (ის მას)	წირავს შდრ.: სწირავს	სწყდება (ის მას) შდრ.: წყდება (ის)	წყდება შდრ.: სწყდება
სწყვეტს (ის მას მას) შდრ.: წყვეტს (ის მას)	წყვეტს შდრ.: სწყვეტს	სწყინს (მას)	წყინს
სწყურია (მას)	წყურია	სჭრის (ის მას მას) შდრ.: ჭრის (ის მას)	ჭრის შდრ: სჭრის
ტირი (შენ)	სტირი	ტორტმანებს (ის)	სტორტმანებს
უყვართ (მათ)	უყვარსთ	(არა) უშავს-რა (მას)	(არა) უშავ-რა
ფიქრობ, ფიქრობს	ჰფიქრობ, ჰფიქრობს	ფქვავ, ფქვავს	ჰფქვავ, ჰფქვავს
ქარგავ, ქარგავს	ჰქარგავ, ჰქარგავს	ქრის (ის)	ჰქრის
ყვავილობს	ჰყვავილობს	ყვავის (ის)	ჰყვავის
ყრის (ის მას) შდრ.: ჰყრის (ის მას მას)	ჰყრის შდრ.: ყრის	შეგაძლებინოთ! (მან თქვენ)	შეგაძლებინოსთ!
შეეკამათნენ (ისინი)	შეეკამათენ	შეეპასუხნენ (ისინი	შეეპასუხენ
შევთხოვე (მე მას / მათ)	შევსთხოვე	შევჰპასუხებივარ (მე მას / მათ)	შევჰპასუხებივარ
შევუდექი (მე)	შეუდექი	შევუთვალე (მე)	შეუთვალე
შევჩეხებივარ (მე მას / მათ)	შევსჩეხებივარ	შევჩივლე (მე მას / მათ)	შევსჩივლე
შევწინააღმდეგებივარ (მე მას / მათ)	შევსწინააღმდეგებივარ	შეზუზუნებს (მას / მათ)	შეჰზუზუნებს
შემატებს (მას /მათ)	შეჰმატებს	შენატრის (მას /მათ)	შეჰნატრის
შესქელებია (მას)	შეჰსქელებია	შესჩივის (მას)	შეჩივის
შესძახებს (მას)	შეძახებს	შესჭიდებია (მას)	შეჭიდებია
შელაღადებს (მას)	შეჰლაღადებს	შეშვენის (მას)	შეჰშვენის
შეძლებს (ის)	შესძლებს	შეჭამეს (მათ)	შესჭამეს / შეშჭამეს / შეჭამენ
შეხარის (მას)	შეჰხარის	შეჰბღავლებს (მას)	შებღავლებს
შურს (მას)	ჰშურს	ჩადის (ის) შდრ.: სჩადის (ის მას)	სჩადის შდრ: ჩადს
ჩავუვარდი (მე)	ჩაუვარდი	ჩავუნიშნე (მე)	ჩაუნიშნე
ჩაკეტეს (მათ)	ჩაკეტენ	ჩამოფრინდნენ (ისინი)	ჩამოფრინდენ
ჩივი, ჩივის	სჩივი, სჩივის / ჩივა	ჩრის (ის მას) შდრ.: სჩრის (ის მას მას)	სჩრის შდრ: ჩრის
ჩურჩულებს (ის)	სჩურჩულებს	ჩხუბობ, ჩხუბობს	სჩხუბობ, სჩხუბობს
ცივა (გარეთ)	სცივა	ცვლის (ის)	სცვლის

შდრ.: სცივა (მას)	შდრ.: ცივა		
ცრის (ის / ის მას)	სცრის	ცურავ, ცურავს	ცურავხარ / სცურავ, სცურავს
ცხელა (გარეთ) შდრ.: სცხელა (მას)	სცხელა შდრ.: ცხელა	ძიგძიგებს (ის)	სძიგძიგებს
წავიდნენ (ისინი)	წავიდენ	წავუკითხე (მე)	წაუკითხე
წამოსწია (ის)	წამოწია	წარდგა (ის)	წარსდგა
წარვუდგინე (მე)	წარუდგინე	წევხარ, წევს	სწევხარ, სწევს / წვია
წერს (ის მას) შდრ.: სწერს (ის მას მას)	სწერს შდრ.: წერს	წვიმს	სწვიმს
წივის (ის)	სწივის	წუწუნებ, წუწუნებს	სწუწუნებ, სწუწუნებს
წყდება (ის) შდრ.: სწყდება (ის მას)	სწყდება შდრ: წყდება	ჭამს (ის მას) შდრ.: სჭამს (ის მას მას)	სჭამს / შჭამს შდრ.: ჭამს
ჭრის (ის მას) შდრ.: სჭრის (ის მას მას)	სჭრის შდრ.: ჭრის	ჭბრალდება (მას)	ბრალდება
ჰგავს (მას)	გავს / გვანა	ჰგლეჯს (ის მას მას) შდრ.: გლეჯს (ის მას)	გლეჯს შდრ: ჰგლეჯს
ჰგონია (მას)	გონია	ჰკბენს (ის მას მას) შდრ.: კბენს (ის მას)	კბენს შდრ: ჰკბენს
ჰკვეთს (ის მას მას) შდრ.: კვეთს (ის მას)	კვეთს შდრ: კვეთს	ჰკითხავს (მას)	კითხავს
ჰკლებია (მას)	კლებია	ჰპარავს (მას)	პარავს
ჰპატრონობს (მას)	პატრონობს	ჰპირფიცა (მას)	პირფიცა
ჰფრენია (მას)	ფრენია	ჰფენს (ის მას მას) შდრ.: ფენს (ის მას)	ფენს შდრ: ჰფენს
ჰფრქვევია /აფრქვევია (მას ის)	ფრქვევია	ჰქვია (მას)	ქვია
ჰქომაგობს (მას)	ქომაგობს	ჰქონია (მას)	ქონია
ჰყავს (მას) ჰყავთ (მათ)	ყავს / ჰყავ ჰყავსთ	ჰყვარებია (მას)	ყვარებია / ნაყვარება
ჰყოფნის (მას)	ყოფნის	ჰყრის (ის მას მას) შდრ.: ყრის (ის მას)	ყრის შდრ: ჰყრის

სავარჯიშოები

10.2.3.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) მე დიდი ხანია ოცნებობდი ამ შეხვედრაზე.
2) გამოცდაზე რომ არაფერი შემშლოდა. მთელ დღეს ვარჯიშობდი,
3) მე უთხარი რაც მაწუხებდა, მაგრამ მან ყურად არ იღო ჩემი გასაჭირი.
4) ნუ გეშინია, მე ამ სიმაღლიდან არ ჩამოვარდები.
5) ჯერ ჩემს გოგონას დავბან და დავარცხნი, შემდეგ წავალ სასეირნოდ.
6) მე რა არ უთხარი, რა არ ურჩიე, მაინც სხვას დაუჯერა.
7) ყოველი დღე გვასწავლის, თუ როგორ განვლოთ ჩვენი ცხოვრება.
8) დარბაზში ასე დაგვიანებით ვერ შემოვვალ, გარეთ დაგელოდები.
9) მე ამ დილით გაზეთის რედაქციას გაუგზავნე ჩემი ჩანახატი.
10) ორი წუთია, მეც შეუდექი ამ ახალ საქმეს.

10.2.3.2. გამართეთ სალიტერატურო ქართულით.

1) აქ რას დგახარ? საქმეს მიჰხედე!
2) ასეთ უბრალო რამეზე როგორ სჩხუბობ?
3) ნუ სტირი, პატარა, დედა მალე მოვა.
4) დედოფალს ეს უსიცოცხლო ადგილი არ მოწონდა.
5) ისე სწუწუნებ, თითქოს უდანაშაულო იყო.
6) დამშვიდდით, როცა ჰბობოქრობთ, თავს ვეღარ აკონტროლებთ.
7) ორი დღეა, უმიზეზოდ ლოგინში სწევხარ და ნებივრობ!
8) სულ სხვანაირი ჩანხართ, როდესაც ჰკამათობთ.
9) ტყუიხართ, როცა თავს ყოველთვის უდანაშაულოდ მიიჩნევთ.
10) შეხედე, როგორ შეჰხარის თავის ყვავილებს ქეთო ბებო!

10.2.3.3. აირჩიეთ უშეცდომო წინადადებები.

1) მე, დიდი ხანია, შენი ვალი მართებს.
2) მე, დიდი ხანია, შენი ვალი მმართებს.

3) ამ ვითარებაში მას მეტი მოთმინება მართებს.
4) ამ ვითარებაში მას მეტი მოთმინება ჰმართებს.
5) გუშინდელმა სანახაობამ ჩვენ თვალზე ცრემლი მოგვარა.
6) გუშინდელმა სანახაობამ ჩვენ თვალზე ცრემლი მოგვგვარა.

7) მათთვის თავის გატანა იოლია, როცა შინაური საქონელი ჰყავთ.
8) მათთვის თავის გატანა იოლია, როცა შინაური საქონელი ჰყავსთ.

9) თქვენ გონიათ, რომ ყველაფერი დამთავრდა?!
10) თქვენ გგონიათ, რომ ყველაფერი დამთავრდა?!

11) ვერ ვიჯერებ, რომ პატარა და ნათიას ასე საოცრად ჰგავს.
12) ვერ ვიჯერებ, რომ პატარა და ნათიას ასე საოცრად გავს.

13) მათ აქვსთ სიტყვის თქმის უფლება!
14) მათ აქვთ სიტყვის თქმის უფლება!

15) ისე წახვედით, არც მოგონებიათ პატარა მეგობარი.
16) ისე წახვედით, არც მოგგონებიათ პატარა მეგობარი.

17) ჩვენ დაგვგვიანებია, ახლა კლუბში აღარავინ არის.
18) ჩვენ დაგვიანებია, ახლა კლუბში აღარავინ არის.

19) ბიჭებო, მინდა ჩემებთან გაგგზავნოთ დასასვენებლად.
20) ბიჭებო, მინდა ჩემებთან გაგზავნოთ დასასვენებლად.

10.2.3.4. შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით.

1) რას ჰკითხულობ ასე გატაცებით?
2) ნინოს თავისი და ცურვაზე დაყავს.
3) ჩასწერე უბის წიგნაკში, რაც დღეს მოხდა.
4) მუშები გამხმარ ხეებს სჭრიან.
5) დედას უკვე ჰღვიძავს, სხვები კი ძილ-ბურანში არიან.
6) ამ ენაჭარტალას მეზობლებში ჭორები მიქონდა და მოქონდა.
7) ახლა ჩემს შვილიშვილს წერილი უნდა მივსწერო.
8) თურმე არ ქონია ამ ურთიერთობას დასასრული!
9) დიდ შესვენებაზე გოგონამ თხილიანი ფუნთუშა შჭამა.
10) როგორც იქნა, სამეზობლო გზა გავსჭერით მე და ცოტნემ.

10.2.3.5. წინადადებების დასასრულებლად შესაბამისი ფორმით დაწერეთ ფრჩხილებში მითითებული ზმნები.

1) ამ საქმეში მე რატომღაც ჩემი ახალი კოლეგა *რას შვრება?* (მეტოქეობა).
2) დამნაშავე უნდა *რა ქნას?* (წარდგენა) სასამართლოს წინაშე.
3) პოეტმა ახლახან მეორედ *რა ქნა?* (გამოცემა) თავისი ლექსების კრებული.
4) ბებიაჩემი, როცა კი დამინახავს. სულ *რას შვრება?* (დამოძღვრა).
5) ეს რა მოგსვლია – ნიკოსთან ჩხუბში კისერი *რა გიყნია?* (მოგრეხა)!
6) მე ამჯერად დავითი *რას შვრება?* (მეგზურობა) ირანში.
7) ახალი ტყემალი მე და ჩემს ძმას ზოგჯერ მუცელს *რას შვრება?* (გვრემა).
8) არავინ იცის, რა წვალებით *რა ქნა?* (გაწევა) სალომემ ცხოვრების ჭაპანი.
9) ცხოვრებაში მას ჯერ არავინ *რა უყნია?* (შეყვარება).
10) ელენე მე დიდი ხანია *რას შვრება?* (მეგობრობა).

10.2.3.6. ხაზგასმით გამოყავით სწორი ფორმები; დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

1) სთოვს – თოვს
2) ყვავის – ჰყვავის
3) აღსდგა – აღდგა
4) ჰქრის – ქრის
5) გამოცა – გამოსცა
6) დასძინა – დაძინა
7) წვიმს – სწვიმს
8) აწია – ასწია

5) დგას – სდგას
6) სჩანს – ჩანს
7) მიცა – მისცა
8) გასტანა – გატანა
9) ტირიხარ – ტირი
10) წყინს – სწინს

ღვიძავს – ჰღვიძავს
ჰფიქრობს – ფიქრობს
მისცურავს – მიცურავს
სჩადის – ჩადის
ჩივი – სჩივი
ცვლის – სცვლის

10.2.3.7. სათანადო მარტივი წინადადებებით გამოხატეთ ქვემოთ წარმოდგენილ ნორმატიულ ფორმებს შორის განსხვავება.

1) ცივა:
2) სცივა:

3) წერს:
4) სწერს:

5) წყდება;
6) სწყდება;

7) ტეხს:
8) სტეხს:

9) ცხელა:
10) სცხელა:

11) მალავს;
12) მმალავს;

13) ჭრის:
14) სჭრის:

15) ჩადის;
16) სჩადის

17) გასტანა
18) გატანა

19) ჰყრის
20) ყრის

10.2.3.8. დიალექტური ფორმები შეცვალეთ ნორმატიულით.

1) მათ ვერ გაუგენ ერთმანეთს.
2) რას ჩივა ჩვენი მეზობელი?
3) მოსწავლეებმა კარგად დაწერენ საკონტროლო.
4) კატო ერთი კვირაა, ავადაა და ლოგინში წვია.
5) მიკვირს, როგორ გძინავ, როცა ამდენი საქმეა!
6) მზე აღარ ჩანა, ისე მოიღრუბლა – წვიმას აპირებს.
7) პატარები დედას სარდაფში დაემალენ.
8) ისე წავიდენ, ვერ მოასწრენ ჭამა და დასვენება.
9) ქუჩის გადაღმა დგანა ჩვენი უბნის პოლიციელი.
10) არა უშავ-რა, ხვალ წავალ, თუ დღეს ვერ მოვრჩი საქმეს.

10.2.3.9. წაიკითხეთ დიალოგი და გაასწორეთ შეცდომები.

– გამარჯობათ...
– გაგიმარჯოსთ...
– მე პაციენტი ჯაფარიძე ვარ, ანალიზების პასუხებზე მოვვედი.
– როდის გაიკეთედ ანალიზები?
– ერთი დღის უკან.
– კომპიუტერები გათიშულია და ჯერე კიდევ ლაბორატორიაში დვია თქვენი პასუხები; იქ მიაკითხედ.
– ეხლა იქ დამხვდება ვინმე?!.
– ყველას დაჰხვდება იქ ლაბორანტიც და თავიანთი ანალიზების პასუხებიც.
– ასე არ შეჰშვენის თქვენ კლინიკას!... თქვენ რეორგანიზაციის მერეც არ მოგვარებიათ პრინციპიალური საკითხები... პაციენტზე წესიერი მომსახურება ვერ უნდა შესძლოთ?!.
– ნუ ღელავხართ, ქალბატონო, ყველაფერს ეშველება, სიკვტილის გარდა...
– დამცინიხართ კიდეც?!.. ეს რას გავს, რა საქციელია?!.
– როგორ გეკადრებად, გენაცვალე... მაგერ ჟდანა ჩვენი მენეჯერი და იმას მოკითხედ ყველაფერი...

ტესტი N 10.2.2. – 10.2.3.

ზმნა.

- ზმნის რიცხვი. პირისა და რიცხვის ნიშანთა ცხრილი;
- პირის ნიშნები მარტივფუძიან ზმნურ ფორმებში

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ზმნურ ფორმას აქვს
ა) ორგვარი რიცხვი: მხოლოობითი და მრავლობითი;
ბ) სამგვარი რიცხვი: მხოლოობითი, ორობითი და მრავლობითი.
2. რომელია მცდარი პასუხი?
ზმნის რიცხვისა და პირის ნიშანთა სისტემებს პირობითად, ვარქმევთ ვ-ინისა და მ-ანის რიგს:
ა) პირველი პირის ნიშნების მიხედვით;
ბ) მეორე პირის ნიშნების მიხედვით.
3. რომელია სწორი პასუხი?
როცა სუბიექტი ვ-ინის რიგის ნიშნით არის გამოხატული, ობიექტი
ა) მ-ანის რიგის ნიშნითაა;
ბ) ასევე ვ-ინის რიგის ნიშნითაა.
4. შემოხაზეთ მ-ანის რიგის მრავლობითის ფორმები.
ა) ვამბობთ, არიან;
ბ) გშიათ, უწდათ.
5. რომელია მცდარი?
ვ-ინის რიგის მესამე პირის -ენ / -ნენ / -ან/ -ნ /-ეს ბოლოსართები და მ-ანის რიგის პირველი პირის გვ- თავსართი:
ა) ერთდროულად რიცხვსაც აღნიშნავს და პირსაც;
ბ) მხოლოდ რიცხვს აღნიშნავს.
6. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.
ა) (მე) ვვარდები, ვომობ, მივუვარდი, ვუთხარი;
ბ) (მე) ვარდები, ომობ, მიუვარდი, უთხარი;
7. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ფორმაში: მოვედი I პირის ნიშნის აღუნიშვნელობას განაპირობებს:
ა) ის ფაქტი, რომ II პირის ფორმა (მოხვედი) ისედაც განსხვავებულია I პირის ფორმისაგან არქაული ხ-ნიშნის გამო;
ბ) შეჩვევის ფაქტორი.
8. რომელია მცდარი?
ა) (შენ) კამათობ, ჩხუბობ, წევხარ;
ბ) (შენ) ჰკამათობ, სჩხუბობ, სწევხარ.
9. აირჩიეთ სწორი ვარიანტი.
-თ არის:
ა) I და II პირის მრავლობითის ნიშანი ვ-ინის რიგში;
ბ) II და III პირის მრავლობითის ნიშანი მ-ანის რიგში;
გ) ა) და ბ) პასუხები შეცდომაა;
დ) ა) და ბ) პასუხები სწორია.
10. რომელია არანორმატიული ფორმები?
ა) გაგიმარჯოსთ, გადღეგრძელოსთ; აქვსთ;
ბ) გაგიმარჯოთ, გადღეგრძელოთ; აქვთ;
11. შემოხაზეთ სწორი ფორმები.
ა) იცელქენ, ილაპარაკენ; დაიმალენ, ადგენ;
ბ) იცელქეს, ილაპარაკეს; დაიმალნენ, ადგნენ.
12. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი მცდარი ფორმაა.
ა) (ის მე) მმალავს, მტრობს, მმადლობს;
ბ) (ის მე) მეგობრობს, მმეგზურობს, მეზობლობს.
13. აირჩიეთ სწორი ვარიანტი და ჩამოაყალიბეთ წესი.
მ-ანის რიგის I პირის მრავლობითის ფორმაში, გვ- ბგერათკომპლექსით დაწყებულ ფუძეებთან:
ა) თავს მოიყრის ორი გვ-;
ბ) ფონეტიკურად დაიკარგება ფუძისეული გვ- .
14. მონიშნეთ ორი მცდარი ვარიანტი.
ა) (შენ ის) გგონია; (მას ის) ჰქონია;
ბ) (შენ ის) გონია; (მას ის) ქონია.
გ) (ჩვენ) დაგვგვიანებია;
დ) ჩვენ) დაგვიანებია.
15. რომელია სწორი?
ა) (ის მას) ტეხს, წყვეტს, გლეჯს;

ბ) (ის მას) სტეხს, სწყვეტს, ჰგლეჯს.

16. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

მ-ანის რიგის მესამე პირის ნიშანი ს- შენარჩუნებულია:

ა) **ბ, პ, ფ, გ, კ, ქ, ყ** თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან;

ბ) **დ, ტ, თ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ** თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან.

17. მონიშნეთ სწორი განმარტება.

ხმოვნებითა და **მ, ვ, ნ, რ, ლ, ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ** თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან მ-ანის რიგის მესამე პირის ნიშნები (ჰ- /ს)

ა) შენარჩუნებულია;

ბ) ფონეტიკურად დაკარგულია.

18. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

ა) (ის მას მას) სწირავს, ჰკითხავს; გადახვევს, შემატებს;

ბ) (ის მას მას) წირავს, კითხავს; გადაჰხვევს, შეჰმატებს.

19. აირჩიეთ სწორი ვარიანტი და ჩამოაყალიბეთ წესი.

მესამე პირის დატივიან და დატივიან-ნომინატივიან ობიექტთაგან ნიშნები (ჰ- და ს-) პრეფიქსები:

ა) მხოლოდ დატივიანს აქვს;

ბ) მხოლოდ დატივიან-ნომინატივიანს აქვს.

20. აირჩიეთ სწორი ვარიანტი.

ფორმა სცვივა სწორია:

ა) ორპირიანი ფორმის შემთხვევაში (ის მას);

ბ) ერთპირიანი ფორმის შემთხვევაში (ის).

21. მონიშნეთ მცდარი ვარიანტი.

ფორმა სწყვეტს სწორია:

ა) სამპირიანი ფორმის შემთხვევაში (ის მას მას);

ბ) ორპირიანი ფორმის შემთხვევაში (ის მას).

22. მონიშნეთ ის ვარიანტი, რომელშიც გამონაკლისებია III პირის დატივიან-ნომინატივიანი ობიექტის აღუნიშვნელობასთან დაკავშირებით.

ა) (მან ის) გასცა, გამოსცა;

ბ) (მან მას ის) მისცა, გადასცა.

23. რომელია სწორი?

ა) (მე მას ის) მივსწერე, მოვსწმინდე, მოვჰკითხე;

ბ) (მე მას ის) მივწერე, მოვწმინდე, მოვკითხე.

24. აირჩიეთ სწორი ვარიანტი და დაასრულეთ წესი.

ერთპირიან ფორმებში მესამე პირის დატივიანი ობიექტის ნიშანთა გამოყენება:

ა) გაუმართლებელია;

ბ) დასაშვებია.

25. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.

ა) მიჰქრის, სჩურჩულებს, ჰკამათობს, სდგას, სდუმს, სწევს;

ბ) მიქრის, ჩურჩულებს, კამათობს, დგას, დუმს, წევს.

26. რომელია მცდარი ვარიანტი?

ა) აღსდგა მათი ურთიერთობა;

ბ) აღდგა მათი ურთიერთობა.

27. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი და დაასრულეთ წესი.

ხმიანობის, ხმის გამოცემის აღმნიშვნელ ზმნათა I და II პირში გაჩენილი მეშველზმნიანი ფორმები

ა) მისაღებია;

ბ) გაუმართლებელია.

28. შემოხაზეთ არანორმატიული ფორმები.

ა) ვიცინივარ – იცინიხარ; ვმღერივარ – მღერიხარ;

ბ) ვიცინი– იცინი; ვმღერი– მღერი.

29. მონიშნეთ ორი სწორი პასუხი.

ა) მას ცხელა, ცივა;

ბ) მას სცხელა, სცივა;

გ) გარეთ ცხელა, ცივა;

დ) გარეთ სცხელა, სცივა;

30. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი წესის დასასრულებლად.

სალიტერატურო ფორმების დიალექტური ვარიანტებით ჩანაცვლება

ა) გაუმართლებელია;

ბ) ნორმაა.

31. შემოხაზეთ ნორმატიულიფორმები.

ა) დევს, ჩანს, ჰყავს, ჰყვარებია;

ბ) დვია, ჩანა, ჰყავ, ნაყვარება.

10.2.4. პირის ნიშნები რთულფუძიან ზმნურ ფორმებში

რთულფუძიან ზმნებში გამოიყოფა ორი ჯგუფი. ერთი ჯგუფის ფორმები მიღებულია სახელურ ნაწილთა ფუძეებისა (ცხად-, ნათელ-, სრულ-... ძალ-, ხელ-...) და ზმნების: **-ყოფს, -უგრძნობს, -აგდებს, -უძს, -ეწიფება...** შეერთებით; მაგ.: **ცხადყოფს, ნათელყოფს, სრულყოფს, უზრუნველყოფს... თანაუგრძნობს... უკუაგდებს... (არ) ძალუძს, ხელეწიფება...** მეორე ჯგუფის რთული ზმნები მომდინარეობს ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტებისგან – რთული სიტყვებისგან (დიდკაცი, თავმომწონე, ქედმაღალი... თანამშრომელი...); მაგ.: **დიდკაცობს, თავმომწონეობს, ქედმაღლობს, გულდიდობს... თანამშრომლობს...**

ნორმატიული თვალსაზრისით, საყურადღებოა რთულფუძიანი ზმნების პირველი პირის ფორმების წარმოება, რამდენადაც შეცდომები, პირველ რიგში, სწორედ ამ შემთხვევაში იჩენს თავს. **სალიტერატურო ნორმების მიხედვით, გასათვალისწინებელია შემდეგი:**

პირველი პირის ნიშნები: **ვ- / მ-** :

- **ცხადყოფს** ტიპის ფორმებს დაერთვის მხოლოდ ზმნურ ნაწილზე – იუღლება მხოლოდ **ყოფს, -უგრძნობს, -აგდებს, -უძს, -ეწიფება...** ფორმები, როგორც მეშველი ზმნები; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
უზრუნველ-ვ-ყოფ	ვ-უზრუნველყოფ
უზრუნველ-მ-ყოფს	მ-უზრუნველყოფს
უგულებელ-ვ-ყოფ	ვ-გულებელყოფ
უგულებელ-მ-ყოფს	მ-უგულებელყოფს
შეურაცხ-ვ-ყოფ	ვ-შეურაცხყოფ
შეურაცხ-მ-ყოფს	მ-შეურაცხყოფს
თანა-ვ-უგრძნობ	ვ-უთანაგრძნობ
თანა-მ-იგრძნობს	მ-ითანაგრძნობს
ძალ-მ-იძს	მ-ძალიძს / მ-ძალ-მიძს
ხელ-მ-ეწიფება	მ-ხელეწიფება / მ-ხელ-მ-ეწიფება... და სხვ.

- **დიდკაცობს** ტიპის ფორმებს დაერთვის თავშივე; ე.ი., ეს ფორმები, **ცხადყოფს** ტიპის ფორმებისაგან განსხვავებით, მთლიანად ზმნურ ყალიბშია მოქცეული, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ვ-ქედმაღლობ	ქედ-ვ-მაღლობ
ვ-ავადმყოფობ	ავად-ვ-მყოფობ
ვ-დიდკაცობ	დიდ-ვ-კაცობ
ვ-თავმომწონეობ	თავ-ვ-მომწონეობ
ვ-გულმაგრობ	გულ-ვ-მაგრობ და სხვ.

- II და III პირის ფორმების წარმოება, ბუნებრივია, პირველი პირის მიხედვით გაგრძელდება:

	მხ.რ.		მრ.რ.
I. (მე მას)	თანა-ვ-უგრძნობ	(ჩვენ მათ)	თანა-ვ-უგრძნობ-თ
II. (შენ მას)	თანაუგრძნობ	(თქვენ მათ)	თანაუგრძნობ-თ
III. (ის მას)	თანაუგრძნობ-ს	(ისინი მათ)	თანაუგრძნობ-ენ
I. (ის მე)	თანა-მ-იგრძნობს	(ის ჩვენ)	თანა-გვ-იგრძნობს
II. (ის შენ)	თანა-გ-იგრძნობს	(ის თქვენ)	თანა-გ-იგრძნობთ
III. (ის მას)	თანა-უ-გრძნობს	(ის მათ)	თანა-უ-გრძნობს
I. (მე)	ვ-ავადმყოფობ	(ჩვენ)	ვ-ავადმყოფობ-თ
II. (შენ)	ავადმყოფობ	(თქვენ)	ავადმყოფობ-თ
III. (ის)	ავადმყოფობ-ს	(ისინი)	ავადმყოფობ-ენ

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
ვავადმყოფობ	ავადვმყოფობ ვავადვმყოფობ	ვგულდიდობ	გულვდიდობ ვგულვდიდობ
ვგულმაგრობ	გულვმაგრობ ვგულვმაგრობ	ვდიდგულობ	დიდვგულობ ვდიდვგულობ
ვდიდკაცობ	დიდვკაცობ ვდიდვკაცობ	ვთავკერძობ	თავვკერძობ ვთავვკერძობ
ვთავმომწონეობ	თავვმომწონეობ ვთავვმომწონეობ	ვთავნებობ	თავვნებობ ვთავვნებობ
ვთანამშრომლობ	თანავმშრომლობ ვთანავმშრომლობ	ვმეთვალყურეობ	მეთვალვყურეობ ვმეთვალვყურეობ
ვწინასწარმეტყველებ	წინასწარვმეტყველებ ვწინასწარვმეტყველებ	ვჰევრმეტყველებ	ჰევრვმეტყველებ ვჰევრვმეტყველებ
ვსულდგმულობ	სულვდგმულობ ვსულვდგმულობ	ვფეხმარდობ	ფეხვმარდობ ვფეხვმარდობ
ვქედმაღლობ	ქედვმაღლობ ვქედვმაღლობ	თანავარსებობ	ვთანაარსებობ ვთანავარსებობ
თანავუგრძნობ თანამიგრძნობს	ვთანაუგრძნობ ვთანავუგრძნობ ვუთანაგრძნობ მთანამიგრძნობს მითანაგრძნობს	იავარვყოფ იავარმყოფს	ვიავარყოფ ვიავარვყოფ მიავარყოფს მიავარმყოფს
ნათელვყოფ	ვნათელყოფ ვნათელვყოფ	სრულვყოფ	ვსრულყოფ ვსრულვყოფ
უარვყოფ უარმყოფს	ვუარყოფ ვუარვყოფ მუარყოფს მუარმყოფს	უგულებელვყოფ უგულებელმყოფს	ვუგულებელყოფ ვუგულებელვყოფ მუგულებელყოფს მუგულებელმყოფს
უვნებელვყოფ უვნებელმყოფს	ვუვნებელყოფ ვუვნებელვყოფ მუვნებელყოფს მუვნებელმყოფს	უზრუნველვყოფ უზრუნველმყოფს	ვუზრუნველყოფ ვუზრუნველყოფ მუზრუნველყოფს მუზრუნველმყოფს
უკუვაგდებ	ვუკუაგდებ ვუკუვაგდებ	ღირსვყოფ ღირსმყოფს	ვღირსყოფ ვღირსვყოფ მღირსყოფს მღირსმყოფს
შეურაცხვყოფ შეურაცხმყოფს	ვშეურაცხყოფ ვშეურაცხვყოფ მშეურაცხყოფს მშეურაცხმყოფს	ცხადვყოფ	ვცხადყოფ ვცხადვყოფ
ძალმიძს	მძალიძს მძალმიძს	ხელვყოფ	ვხელყოფ ვხელვყოფ
ხელმეწიფება	მხელეწიფება მხელმეწიფება		

სავარჯიშოები

10.2.4.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) მე ორი დღეა, რაც ბავშვს მეთვალვყურეობ, არც სამსახურში წავსულვარ.
2) ჩვენ არ ვშეურაცხვყავით მისი ღირსება?!.
3) ალბათ, გრძნობთ, როგორ გულვმაგრობ, არ ვუშინდები წინააღმდეგობას.
4) მე შეგნებულად ვუგულებელვყოფ ბატონი წამყვანის შემოთავაზებას.
5) სხვების შეფასებით, დიდვგულობ, თუმცა ასე ნამდვილად არ არის.
6) არ უყვართ, როცა თავმოვმწონეობ.
7) მე თქვენს პოზიციას არ ვუარყოფ.
8) ჩვენ ვუზრუნველყოფთ მათი ცხოვრების პირობებს.
9) დროა ვნათელყოთ ამ ჭეშმარიტების არსი.
10) როგორ ფეხვმარდობთ, მაგრამ ჯერ კიდევ შორი გზა გვაქვს გასავლელი!

10.2.4.2. გამოყავით სწორი ფორმები.

1)	ცხადვყოფ	– ვცხადყოფ	–	ვცხადვყოფ
2)	ვუგულებელყოფ	– ვუგულებელვყოფ	–	უგულებელვყოფ
3)	ავადმყოფობ	– ვავადმყოფობ	–	ვავადმყოფობ
4)	ღირსვყოფ	– ვღირსვყოფ	–	ვღირსყოფ
5)	ვგულვმაგრობ	– გულვმაგრობ	–	ვგულმაგრობ
6)	ვიავარვყოფ	– იავარვყოფ	–	იავარყოფ
7)	ვუთანაგრძნობ	– ვუთანავგრძნობ	–	თანავუგრძნობ
8)	შეურაცხვყოფ	– ვშეურაცხყოფ	–	ვშეურაცხვყოფ
9)	მძალმიძს	– ძალმიძს	–	მძალიძს
10)	მჭევრმეტყველებ	– ვმჭევრმეტყველებ	–	ვმჭევრმეტყველებ

10.2.4.3. ქვემოთ წარმოდგენილი სიტყვების მიხედვით უპასუხეთ კითხვებს და შეავსეთ ცხრილი.

		რას ვშვრები?	რა ვქენი?
1)	ხელყოფა	----------	----------
2)	ქედმაღლობა	----------	ვიქედმაღლე
3)	უზრუნველყოფა	----------	----------
4)	დიდკაცობა	----------	----------
5)	უვნებელყოფა	----------	----------
6)	უკუგდება	----------	----------
7)	ნათელყოფა	----------	----------
8)	მეთვალყურეობა	----------	----------
9)	უარყოფა	----------	----------
10)	თავწებობა	----------	----------

10.2.4.4. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები სათანადო ფორმებით.

1)	შენ ის	შეურაცხყავი	მან შენ	----------
2)	ის შენ	----------	შენ მას	თანაუგრძნობ
3)	შენ	მას უარყოფ	ის შენ	----------
4)	მე ის	----------	მან მე	უგულებელმყო
5)	ის შენ	უზრუნველგყოფს	შენ მას	----------
6)	შენ მე	----------	მე შენ	უვნებელგყავი
7)	ის მე	უარმყოფს	მე მას	----------
8)	მან შენ	----------	შენ ის	ღირსყავი
9)	მე მას	თანავუგრძნობ	ის მე	----------
10)	შენ მე	მგულშემატკივრობ	მე შენ	----------

10.3. რიცხვში მონაცვლე ზმნები

ზმნათა ერთ ნაწილი, რომელსაც არა აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა, დანაკლისს სხვა ფუძის ზმნებით ივსებს. შენაცვლება შესაძლებელია როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირების მიხედვით.

- სუბიექტური პირის მიხედვით რიცხვში მონაცვლე ფორმებია:

ზის – სხედან **იჯდა – ისხდნენ** **ვარდება – ცვივა** **გდია – ყრია**

აბია – ასხია

შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
მეგობარი იჯდა	მეგობარი ისხდა
მეგობრები ისხდნენ	მეგობრები იჯდა
ერთი ვაშლი გდია	ერთი ვაშლი ყრია
ვაშლები ყრია	ვაშლები გდია...

- ობიექტური პირის მიხედვით რიცხვში მონაცვლე ფორმებია:

დასვა – დასხა **მოკლა – დახოცა** **გადააგდო – გადაყარა**

მოიხა – მოისხა **წაიყვანა – წაასხა** **გააგდო – გარეკა...**

შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ბავშვი დასვა	ბავშვი დასხა
ბავშვები დასხა	ბავშვები დასვა / დააჯინა (დიალ.)
ერთი მტერი მოკლა	ერთი მტერი დახოცა
მტრები დახოცა	მტრები მოკლა

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში რამდენადმე სახეცვლილია **წაიყვანა – წაასხა** წყვილის წევრებს შორის დაპირისპირება, კერძოდ, პირველის მნიშვნელობა გაფართოებულია, ხოლო მეორისა – დავიწროებული: ადამიანის აღმნიშვნელ სახელებთან გამოიყენება **წაიყვანა,** ნაცვლად **წაასხა** ფორმისა. მაგ.: **თხები წაასხა,** მაგრამ **ბავშვები წაიყვანა.** თავდაპირველი მიმართება აღნიშნული წყვილის წევრებს შორის დაცულია დიალექტურ მეტყველებაში; შდრ.:

(იმერხ.) **ხალხ წაასხამს** – (ლიტ.) **ხალხს წაიყვანს.**

- **სხმა** სიტყვისაგან ნაწარმოები მიმღეობები: **ხალათმოსხმული, ჭურჭმოსხმული...** გამოიყენება სახელთა როგორც მხოლოობითის, ისე მრავლობითის ფორმებთან, შდრ.: **ხალათმოსხმული მეზობელი / მეზობლები; ჭურჭმოსხმული სტუმარი / სტუმრები...**
- რიცხვში მონაცვლე ზმნა მრავლობითის ფორმით შეეწყობა სახელს, თუ ეს უკანასკნელი:

– კრებითია ან კრებითი სიტყვის მნიშვნელობითაა;

– მრავალცნებიანი კომპოზიტია;

– მრავლობით რიცხვშია...

შდრ.: ფოთოლი ვარდება – **ფოთოლი /ყვავილ-ფოთოლი / ფოთლები ცვივა**

ქვა გადააგდო – **ქვა /ქვა-ღორღი / ქვები გადაყარა**

ძროხა გააგდო /გადენა – **ნახირი /ძროხა /ცხვარ-ძროხა/ძროხები გარეკა**

ცხვარი წაიყვანა – **ფარა / ცხვარი /თხა-ცხვარი / ცხვრები წაასხა** და სხვ.

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
ზის კაცი, და-ძმა, ხალხი...	ზის კაცები, და-ძმები, ხალხები	**სხედან** კაცები, და-ძმები, ხალხები	სხედან და-ძმა, ხალხი
ვარდება ქვა, ფოთოლი	ვარდება ქვები, ფოთლები	**ცვივა** ქვა-ღორღი, ფოთოლი (კრებ.), ფოთლები	ცვივა ქვა. ფოთოლი
გდია ძაღლი, ქვა	გდია ძაღლები, ქვები	**ყრია** ქვა-ღორღი, ფოთლები	ყრია ქვა , ფოთოლი
აბია ბალი	აბია ბლები	**ასხია** ბალი (კრებ.), ბლები	ასხია ბალი
დასვა ბავშვი	დასვა ბავშვები	**დასხა** ბავშვები	დასხა ბავშვი
მოკლა მგელი	მოკლა მგლები	**დახოცა** მგლები	დახოცა მგელი
გაყარა ძაღლები	გაყარა ძაღლი	**გააგდო** ძაღლი	გააგდო ძაღლები
დაყარა ქვები, ქვა-ღორღი ქვა (კრებ.)	დაყარა ქვა (მხ. რ.)	**დააგდო** ქვა	დააგდო ქვები,ქვა (კრებ.) ქვა-ღორღი
წაასხა/გარეკა/გაყარა ფარა. ცხვარ-ძროხა ცხვრები	წაასხა/გარეკა/გაყარა ცხვარი (მხ.რ.)		

სავარჯიშოები

10.3.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ანო და ვანო კარუსელზე ზიან.
2) ჩვენს კომშს ჯერ კიდევ მწვანე ფოთლები ება.
3) მდინარის პირას ბევრი ქვა გდია.
4) ბავშვები პირველ რიგში დასვი და ჩვენ ქანდარაზე მოვკალათდეთ!
5) ალუდა მოკლული მტრის მარჯვენებს ქავის კარზე კიდებდა.
6) წიგნების გადაგდება როგორ შეიძლება?!.
7) ისინი დიდხანს იჯდნენ მდუმარედ და მომხდარზე ფიქრობდნენ.
8) ბიჭმა ეზოდან ბატები გააგდო.
9) მოწვეული ხალხი სუფრასთან დაჯდა.
10) ციდან თეთრი ფანტელები ვარდებოდა და ტყეს ვერცხლისფერ სამოსში ხვევდა.

10.3.2. აირჩიეთ მართებული ფორმები.

1) წესრიგის დამრღვევები დარბაზიდან *გააგდეს / გაყარეს.*
2) გიგომ ხბოები მინდორში *გააგდო / გარეკა.*
3) მამამ სტუმარი ხეივანში *დასხა / დასვა.*
4) ლაბორატორიის თანამშრომლებმა ქათმის გრიპით დაავადებული ფრინველები *მოკლეს / დაბოცეს.*
5) მან თავისი ნივთები წყალში *გადაყარა / გადააგდო.*
6) ბებოს ერთი მეწველი ძროხა ჰყავდა და ისიც გასაყიდად *წაიყვანა / წასხა.*
7) ამ სახლის სხვენიდან მტვერი *ცვივა / ვარდება.*
8) დამლაგებელს ნაგვის ურნასთან *მიუგდია / მიუყრია* ძველი ტანსაცმელი.
9) ჩემი მეგობრები იუბილართან ახლოს *დაჯინეს / დასხეს.*
10) გოგონას სიხარულისაგან თითქოს ფრთები *გამოება / გამოესხა.*

10.3.3. შეადგინეთ რიცხვში მონაცვლე ზმნების შემცველი ხუთი წინადადება; გამოიყენეთ სიტყვათა ჩამონათვალი:

ფანტელი, ნაყოფი, ჯოგი, ბროვა, გუნდი.

ტესტი N 10.2.4.– 10.3.

ზმნა

- პირის ნიშნები რთულფუძიან ზმნურ ფორმებში
- რიცხვში მონაცვლე ზმნები

1. შემოხაზეთ ორი მცდარი პასუხი.
რთულფუძიანი ზმნები მიღებულია:
ა) სახელურ ნაწილთა ფუძეებისა და ზმნების (-ყოფს...) შეერთებით;
ბ) ერთპირიანი ზმნებისგან (ვარ...);
გ) ზედსართავი სახელებისგან (დიდი...);
დ) ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტებისგან (დიდკაცი...).

2. რომელი პასუხია სწორი?
ცხადყოფს ტიპის ფორმებს პირის ნიშნები დაერთვის:
ა) მხოლოდ ზმნურ ნაწილზე: მხოლოდ ზმნა იუღლება;
ბ) ორივე შემადგენელ ნაწილზე: ორივე ნაწილი იუღლება).

3. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.
ა) ვუგულებელყოფ, მშეურაცხყოფს;
ბ) უგულებელვყოფ, შეურაცხმყოფს.

4. რომელია სწორი პასუხი?
დიდკაცობს ტიპის ფორმებს პირის ნიშნები დაერთვის:
ა) თავშივე; ისინი მთლიანად ზმნურ ყალიბშია მოქცეული;
ბ) შედგენილ ფუძის მეორე ნაწილზე.

5. შემოხაზეთ მცდარი ფორმები.
ა) ქედმაღლობ, დიდკაცობ, ავადმყოფობ;
ბ) ვქედმაღლობ, ვდიდკაცობ, ვავადმყოფობ.

6. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ორი შეცდომაა.
ა) ვთანამშრომლობ, უარვყოფ, თანავუგრძნობ.
ბ) ვსრულყოფ, მითანაგრძნობს, მუზრუნველყოფს;

7. შემოხაზეთ რიცხვში მონაცვლე ზმნების შემცველი ორი წინადადება.
ა) მეცხვარემ ფარა შირაქის ზამთრის საძოვრებისაკენ გარეკა.
ბ) იები და ენძელები ადრიან გაზაფხულზე მოდიან;
გ) ტარიელმა როსტევანის თორმეტი მონა დახოცა.

8. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც არანორმატიული ფორმებია.
ა) აბია – ასხია; გდია – ყრია;
ბ) დააჯინა – დასხა; ზის – ზიან;

9. შემოხაზეთ სწორი წინადადება.
ა) დიდ შესვენებაზე ყველა გარეთ გაცვივდა;
ბ) დიდ შესვენებაზე ყველა გარეთ გავარდა.

10. რომელია მცდარი ვარიანტი?
ა) წელს ჩვენს კაკალს ნაყოფი ბლომად მოუსხამს.
ბ) წელს ჩვენს კაკალს ნაყოფი ბლომად მოუბამს.

11. მონიშნეთ ნორმატიული ვარიანტი.
ა) ნინომ სახლიდან ძველი ნივთები გადაყარა;
ბ) ნინომ სახლიდან ძველი ნივთები გადააგდო.

12. მონიშნეთ მცდარი ვარიანტი.
ა) ჩემი და-ძმა ქეთო ბებოს აივანზე დამსხდარა.
ბ) ჩემი და-ძმა ქეთო ბებოს აივანზე დამჯდარა.

10.4. ზმნისწინი

10.4.1. ზმნისწინის რაობა და ჯგუფები

ზმნისწინი ერთ- ან ორმარცვლიანი ფორმამაწარმოებელი მორფემაა, რომელიც თავში დაერთვის ზმნის ფორმას (იშვიათად, სახელურ ფორმასაც). ზმნისწინის თავდაპირველი ფუნქციაა გეზისა და ორიენტაციის გამოხატვა. თანამედროვე ქართულში სულ 16 ზმნისწინია, რომლებიც განსხვავდება შედგენილობის მიხედვით: ნაწილი მარტივია, ნაწილი კი – რთული. მარტივი ზმნისწინებია: **მი, მო, ა, გა, და, შე, ჩა, წა, გადა;** რთული ზმნისწინები მიღებულია მარტივ ზმნისწინებზე **მო** ზმნისწინის დართვით; ესენია: **მიმო, ამო, გამო, შემო, ჩამო, წამო, გადმო.** ზოგ ზმნისწინს მოეპოვება ძველი, არქაული ვარიანტები; შდრ.: **ა <- აღ; გა <- გან; ჩა <- შთა; წა <- წარ; გადა <- გარდა.** მათი გამოყენების თვალსაზრისით, გამოიყოფა ზმნისწინიანი ფორმების სამი ჯგუფი; კერძოდ:

– ერთ ნაწილს პარალელურად დაერთვის ზმნისწინთა ძველი და ახალი ფორმები მნიშვნელობის შეუცვლელად; მაგ.: **განასხვავებს – გაასხვავებს, განაზოგადებს – გააზოგადებს; განაცალკევებს – გააცალკევებს; განავრცობს – გაავრცობს; აღაგზნებს – ააგზნებს; აღიმაღლებს – აიმაღლებს...**

– მეორე ნაწილი სხვადასხვა მნიშვნელობას იღებს იმის მიხედვით, ზმნისწინის ძველი სახეობა დაერთვის თუ ახალი, შდრ.:

განაახლებს (ურთიერთობას	–	**გააახლებს** (ტანისამოსს);
გარდაიცვალა (ავადმყოფი)	–	**გადაიცვალა** (ფული);
აღდგა (ნანგრევებიდან)	–	**ადგა** (საწოლიდან)
აღზრდილი (ბავშვი)	–	**აზრდილი** (ბალახი);
წარსული (განვლილი დრო)	–	**წასული** (კაცი)...

– მესამე ნაწილთან მხოლოდ ძველი სახეობის ზმნისწინები გამოიყენება, მაგ.: **განაგებს, განაგრძობს, განკურნავს, განსაზღვრავს, განჭვრეტს, განიხილავს, აღფრთოვანდა, აღდგა, წარდგა, წარმოადგენს, წარმოთქვამს, წარმოიშობა, წარმოიქმნება...** იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ საწყისსა და მიმღეობაზე; შდრ.: **აღდგენა, აღნიშვნა, აღფრთოვანება, შთაბეჭდილება, შთაგონება, განდეგილი, განხორციელებული, წარმოქმნილი, წარუშლელი, წარმტაცი...**

საყურადღებოა, რომ ზოგი ზმნა:

ა) საერთოდ არ დაირთავს ზმნისწინს, მაგ.: **ზის, წევს, დგას, გდია... უყვარს, სძულს...**

ბ) ზმნისწინის გარეშე არ გამოიყენება, მაგ.: **მიდის, მოდის, ადის, ჩადის...**

თანამედროვე ქართულ სამწიგნობრო ენაში ზმნისწინს რამდენიმე გამოკვეთილი ფუნქცია აქვს. ზმნისწინით გამოიხატება:

1) **მიუმართავი და მიმართული გეზი;** შდრ.:

მიუმართავი გეზია **ცურავს/დაცურავს, გორავს/დაგორავს...** ხოლო მიმართული გეზია **მიცურავს / მოცურავს, მიგორავს / მოგორავს...** როგორც ვხედავთ, მიუმართავი გეზის მაგალითებში არ ჩანს რაიმე მიმართება სივრცეში არსებულ საგანთან. ამ ფორმებისაგან განსხვავებით, **მიცურავს / მოცურავს** და **მიგორავს / მოგორავს** ფორმები გულისხმობს სხვა საგნისკენ (/მოვლენისაკენ) ორიენტირებას. თავის მხრივ, მიმართული გეზი ორგვარია: სააქეთო, საიქითო:

- ✓ სააქეთო: მო-ცურავს, მო-გორავს, მო-ბრძანდება, მო-ხოხავს, მო-დის... გადმო-დის, ჩამო-დის, შემო-დის...
- ✓ საიქითო: მი-ცურავს, მი-გორავს, მი-ბრძანდება, მი-ხოხავს, მი-დის... გადა-დის, ჩა-დის, შე-დის...

2) **მომავალი დრო /მყოფადი/**; შდრ.:
ვ-ხატ-ავ (აწმყო დრო) – და-ვხატ-ავ (მომავალი დრო)
წერ (აწმყო დრო) – და-წერ (მომავალი დრო)
აკეთებს (აწმყო დრო) – გა-აკეთებს (მომავალი დრო)...

3) **მოქმედების დასრულებულობა /სრული ასპექტი/**; შდრ.:
ვ-ხატ-ე (უსრული ასპექტი) – და-ვხატ-ე (სრული ასპექტი)
წერ-ე (უსრული ასპექტი) – და-წერ-ე (სრული ასპექტი)
აკეთ-ა (უსრული ასპექტი) – გა-აკეთ-ა (სრული ასპექტი)... ასპექტთან დაკავშირებით ვრცლად, იხ. ქვემოთ 10.5.1. მწკრივის რაობა. მწკრივთა წარმოება; მწკრივის კომპონენტები: დრო, კილო, ასპექტი, გზისობა.

4) **ახალი სიტყვა: შდრ.:**
ადგენს – წარ-ადგენს; აქვს – მო-აქვს; მო-იგებს – წა-აგებს – ჩა-აგებს; გონება – შთა-გონება...

ზმნისწინის საშუალებით ასევე შესაძლებელია გამოიხატოს სხვადასხვა **შინაარსობრივი ნიუანსიც**, მაგ.:
ა) უნებლიობა: ჭამა – შემოეჭამა, ლანძღა – შემოელანძღა...
ბ) მოქმედების სიხშირე: გარეცხა – დარეცხა, გაზარდა – დაზარდა...[30]

10.4.2. ზმნისწინიან ფორმათა მართლწერა

ზმნისწინთა ძველი და ახალი ვარიანტების პარალელურად გამოყენებამ, ძირითადად, განაპირობა არანორმატიული ფორმების გაჩენა თანამედროვე მეტყველებაში, მაგ.: გაიხლიჩა არქაული ფორმის ზმნისწინები და მათი ნაწილი აღმოჩნდა ზმნის ფუძეში; შდრ.: განმათავისუფლეთ – გამანთავისუფლეთ; განვაგრძობ – გავნაგრძობ... ზოგ ფორმაში ასეთი სეგმენტების გამოყენებით თითქოს დროითი მიმართებაც „ჩამოყალიბდა“; შდრ.: განახორციელებს, განაზოგადებს, წარადგენს („მომავ.“) – ანხორციელებს, ანზოგადებს, აღდგენს („ახლ.“). არანორმატიული ფორმების გაჩენას აპირობებს დიალექტური მეტყველებაც, კერძოდ, ფონეტიკურად იცვლება ზმნისწინისეული ხმოვნები (შდრ.: მოუტანა – მუუტანა; გაუხარდა – გოუხარდა / გუუხარდა...); ზოგ შემთხვევაში მოხდა ზმნისწინისეული თანხმოვნის შეცვლაც: **დ – > რ** (შდრ.: გადავიდა – გარავიდა; გადმოვიდა – გარმოვიდა...) და სხვ.

სალიტერატურო ნორმების მიხედვით:

- მიუღებელია ზმნისწინის გახლეჩა – სხვა მორფემებით (პირის ნიშნებით, ხმოვანი პრეფიქსებით) გათიშვა;
- ზმნისწინის გამოყენება შესაძლებელია ან არქაული ფორმით, ან გამარტივებული სახით ისე, რომ არ დაირღვეს მისი თუ, ზოგადად, სიტყვაფორმის კონსტრუქცია; შდრ.:

---

[30] ა.შანიძე (1980, გვ. 141) წარმომავლობით ზმნისწინებად თვლის სახელურ ფორმებთან გამოვლენილ მო-, წა-... მორფემებსაც; შდრ., მაგ.: ხარისხის ფორმაში ოდნაობითობის გამოხატვა: დიდი - მო-დიდ-ო, ბავშვი – მო-ბავშვ-ო; სულელი – მო-სულელ-ო... წითელი – წა-წითალო / მოწითალო; მეავე – წა-მეავო / მო-მეავო... წარმომავლობის ისტორიის მიუხედავად, ზედსართავ სახელებში მო-, წა- მორფემების დამოუკიდებლად განხილვა შეუძლებელია; ისინი გასააზრებელია -ო სუფიქსთან კომბინაციაში; შესაბამისად, გვაქვს მო ---ო, წა----ო... სახელის სიტყვამაწარმოებელი აფიქსები (კონფიქსები) და არა - ზმნისწინები.

სწორია:	შეცდომაა:
განათავისუფლე / გაათავისუფლე	გაანთავისუფლე
გამათავისუფლეთ[31]	გამანთავისუფლეთ
განახორციელებს / ახორციელებს	გაანხორციელებს / ანხორციელებს
განასახიერებს / ასახიერებს	გაანსახიერებს / ანსახიერებს
განაცვიფრებს / აცვიფრებს	გაანცვიფრებს / ანცვიფრებს
განვაგრძობ	გავნაგრძობ
აღვზრდი /ვზრდი	ავღზრდი / ვღზრდი
აღვნიშნავ	ავღნიშნავ / ვღნიშნავ
წარადგენს	წაარდგენს / არდგენს
წარუდგენს	წაურდგენს / ურდგენს...

- პირის ნიშანი, როგორც წესი, უნდა დაიწეროს ზმნისწინის შემდეგ; გამონაკლისებია: ვალიარებ და ვალორძინებ, რომლებშიც ზმნისწინი აღ- ფუძესთანაა შეზრდილი.
- თუ ა- ან ა-ზე დაბოლოებული ზმნისწინი დაერთო ა-თი დაწყებულ ფუძეს, ორი ა მოიყრის თავს, მაგ.: ა-ა-შენა, გადა-ა-დნო, ჩა-ა-ცივა...
- თუ ზემოაღნიშნულ პირობებს დაემატა ზმნური ყალიბის ა ნიშანიც, ბუნებრივია, სამი ა იქნება ერთად, მაგ.:გა-ა-ა-ვა, გა-ა-ა-ხლა, და-ა-ა-ნონსა...
- თუ შე- ზმნისწინი დაერთო ე-თი დაწყებულ ფუძეს, ორი ე მოიყრის თავს, მაგ.: შე-ე-ბა, შე-ე-რკინა, შე-ე-კედლა, შე-ეფარა...
- თუ მი- ზმნისწინი დაერთო ი-თი დაწყებულ ფუძეს, ორი ი იქნება ერთად, მაგ.: მი-ი-თვისა, მი-ი-პარება, მი-ი-მალა...
- ო-თი დაწყებული მიმღეობური ფუძეების მო-ზმნისწინიანი ყალიბით წარმოება იწვევს ორი ო-ს გაჩენას: მო-ო-ხრებული, მო-ო-ქრული, მო-ო-ჭვილი და სხვ.
- დაუშვებელია სალიტერატურო ფორმების დიალექტური ვარიანტებით ჩანაცვლება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
მოუტანა	მუუტანა / მუტანა
გაუხარდა	გოუხარდა / გუუხარდა
შემოთვალა	შამოთვალა
შემოგევლე	შამოგევლე
მოიტანე	მეიტანე
წაიღო	წეიღო
წავიდა	წევიდა
ჩაიდო	ჩეიდო
გადავიდა	გარევიდა
გადმოვიდა	გარმოვიდა
გადადი	გარადი და სხვ.

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
აღვზრდი /ვზრდი	ავღზრდი / ვღზრდი	აღვკვეთე	ავღკვეთე
აღვნიშნავ	ავღნიშნავ / ვღნიშნავ	გააადამიანებს	გაადამიანებს (ის მას)
გააადვილებს	გაადვილებს (ის მას)	გააავებს	გაავებს (ის მას)
გააამაყებს	გაამაყებს (ის მას)	გააფთრებს	გააფთრებს (ის მას)
გააანჩხლებს	გაანჩხლებს (ის მას)	გააახალგაზრდავებს	გაახალგაზრდავებს (ის მას)
გააახლებინა	გაახლებინა (მან მას ის)	გადაამისამართა	გადამისამართა (მან ის)
გადაადნო	გადადნო (მან ის)	გადადი	გარადი
გადავიდა	გარევიდა/გედევიდა	გადმოვიდა	გარმოვიდა/გადმევიდა

[31] არქაულ ქართულში ნორმატიული ფორმა იყო განმათავისუფლეთ.

გამთავისუფლეთ	გამანთავისუფლეთ განმანთავისუფლეთ	განათავისუფლე გაათავისუფლე	გაანთავისუფლე
განასახიერებს ასახიერებს	გაანსახიერებს ანსახიერებს	განაცვიფრებს აცვიფრებს	გაანცვიფრებს ანცვიფრებს
განახორციელებს ახორციელებს	გაანხორციელებს ანხორციელებს	განვაგრძობ	გავნაგრძობ
განვათავსე	გავნათავსე	გაუხარდა	გოუხარდა / გუუხარდა
დააანონსა	დაანონსა	ვაღიარებ	აღვიარებ
ვაღორძინებ	აღვორძინებ	მიითვისა	მითვისა
მიიპარება	მიპარება	მოიტანე	მეიტანე
მოოქროვილი	მოქროვილი	მოოხრებული	მოოხრილი
მოუტანა	მუუტანა / მუტანა	შეება	შიება
შეეკედლა	შიეკედლა	შეერკინა	შიერკინა
შეეფარა	შიეფარა	შემოგევლე	შამოგევლე
შემოთვალა	შამოთვალა	ჩაიდო	ჩეიდო
ჩაიცვა	ჩეიცვა	წავიდა	წევიდა
წაიღო	წეიღო	წარადგენს	წაარდგენს / არდგენს
წარუდგენს	წაურდგენს/ურდგენს		

სავარჯიშოები

10.4.2.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ეს ადამიანები გაანთავისუფლეს მძიმე პასუხისმგებლობისგან.
2) საკითხავია, ვინ ანხორციელებს სამშვიდობო პროგრამას.
3) ფილმში მთავარი როლი რ. ჩხიკვაძემ გაანსახიერა.
4) აღარ უნდა გავახლო ძველი ტანისამოსი.
5) როგორც შევთანხმდით, აღრიცხვის ჟურნალში ვღნიშნავთ დაგვიანებულთა გვარებს.
6) ისინი დიდი მონდომებით ღზრდიან მომავალ თაობას.
7) ამჯერად ახალჩარიცხულებს ვურდგენ ნორმატივებს, რომ გაუგებარი არაფერი იყოს.
8) მტკნარ სიცრუეს ვერ აღვიარებ სიმართლედ.
9) მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ ავღკვეთეთ წვრილმანი დანაშაულის შემთხვევები.
10) დიდი მონდომებით აღვორძინებდი ამ დანგრეულ საწარმოს და შედეგიც მივიღე.

10.4.2.2. თითოეულ სტრიქონში ორი მცდარი ფორმაა. იპოვეთ ისინი და ხაზი გადაუსვით.

1)	აღვრიცხოთ	ავღრიცხოთ	ვაღრიცხოთ
2)	არდგენს	წაარდგენს	წარადგენს
3)	ანსახიერებს	განასახიერებს	განანსახიერებს
4)	აღვიარებ	ვაღიარებ	ავღიარებ
5)	ანვრცობს	გაანვრცობს	განავრცობს
6)	გავანთავისუფლებ	გავათავისუფლებ	ვანთავისუფლებ
7)	ვზრდი	ვღზრდი	ავღზრდი
8)	მანცვიფრებს	მაცვიფრებს	განმანცვიფრებს
9)	განახორციელებს	გაანხორციელებს	ანხორციელებს
10)	დანონსებინა	დაანონსებინა	დააანონსებინა

10.2.4.3. სიტყვათა ჩამონათვალის მიხედვით აწარმოეთ ზმნისწინიანი ფორმები; უპასუხეთ კითხვებს: რას ვიზამ? – რას მიზამენ?

	მე მათ	ისინი მე
1) განცვიფრება:	----------	----------
2) წარდგენა:	----------	----------
3) აღრიცხვა:	----------	----------
4) განთავისუფლება	----------	----------
5) აღიარება:	----------	----------
6) აღზრდა:	----------	----------
7) აღნიშვნა:	----------	----------
8) განსახიერება	----------	----------
9) აღშფოთება	----------	----------
10) წარგზავნა	----------	----------

10.2.4.4. შეცვალეთ ნორმატიული ფორმებით.

1) ახალმა პარტიამ უკვე დაანონსა თავისი სამოქმედო პროგრამა.
2) სოფელში გატარებულმა დღეებმა ერთბაშად გაახალგაზრდავა თეიმურაზი.
3) აღნიშნულმა პირმა უკანონოდ მითვისა სახელმწიფო ქონება.
4) ამ მოქროვილ საათს შეკეთება სჭირდება.
5) უკვე გააზაფხულდა, დღის სინათლემ იმატა.
6) მოდის შემოდგომა, მიპარება უდარდელი ზაფხული.
7) დიდი ხანია, მისი გული მარტოობას შეჩვია.
8) ახალგაზრდა გვირგვინოსანმა ჩაიბარა დამპყრობლებისგან მოოოხრებული ქვეყანა.
9) გამგებელმა ჩემი წერილი მოადგილესთან გადამისამართა.
10) დერეფანში ისეთი ხმაური ატყდა, გაკვეთილი ვეღარ გავნაგრძე.

10.2.4.5. წაიკითხეთ დიალოგი და გამართეთ სალიტერატურო ენით.

– ლილი!.. ლილი!..
– რაია, სოფი?
– გარმოდი, კოფეზე გეპატიჟები!
– შენ გეიხარე!.. სწორეთ ახლა უნდა დემედგა...
– ...კაი კოფე ჩანა, კაი სუნი და გემო აქ...
– ბათუმურია, რეზომ ჩამეიტანა.
– როის ჩამევიდა?
– გუშღამ.
– აკი ბევრი საქმე ქონდა?!.
– კი ქონდა, მარა დოუგვიანენ საბუთები, მარტო პირადობა გაახლებინა და წამევიდა უკან; იქეთ კვირაში ისევლე უნდა ჩევიდეს ბათუმში.
– ვარდიკოს მაია რო წაარდგინეს ოქროს მედალზე, გეიგე?..
– კი გევიე, ყოჩაღ!.. ვარდიკოს კაი გოგო ყავს!..
– ...მადლობა, სოფი, ახლა მეც გარავალ სახში, ჩევიცვამ და წავალ – გამგეობიდან დამირეკენ.
– კაი, ლილი, ჩვენებურათ მერე დევილაპარაკოთ, შენ შამოგევლე!...

ტესტი N 10.4.

ზმნისწინი

- ზმნისწინის რაობა და ჯგუფები
- ზმნისწინიან ფორმათა მართლწერა

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ზმნისწინი ერთ- ან ორმარცვლიანი ფორმამაწარმოებელი მორფემაა, რომელიც:

ა) თავში დაერთვის ზმნის ფორმას;

ბ) ზმნის ფორმის წინ იწერება.

2. რომელია მცდარი პასუხი?

აღ-, გან-, შთა-, წარ- და გარდა-

ა) ზმნნისწინთა არქაული ვარიანტებია;

ბ) რთული ზმნისწინებია.

3. შემოხაზეთ რთულზმნისწინებიანი ვარიანტი.

ა) წამოხტა, გამომზეურდა. მიმოირბინა;

ბ) ჩახედა, დარჩა, მიჩანჩალდა.

4. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი მარტივზმნისწინიანი ფორმაა.

ა) ადგა, დაიძინა, ჩაწვა;

ბ) ამობრწყინდა, გადავიდა, გადმოხედა.

გ) მოითავა, აირბინა, შეხვდა.

5. შემოხაზეთ ზუსტი განმარტება.

რთული ზმნისწინები მიღებულია:

ა) მარტივ ზმნისწინებზე მოზმნისწინის დართვით;

ბ) მარტივ ზმნისწინებზე მარტივი ზმნისწინის დართვით.

6. შემოხაზეთ ის ფორმები, რომლებშიც ზმნისწინთა ძველი და ახალი ვარიანტების მონაცვლეობა ვერ ცვლის ლექსიკურ მნიშვნელობას.

ა) განავრცობს – გაავრცობს; განასხვავებს – გაასხვავებს;

ბ) გარდაიცვალა – გადაიცვალა; წარსული – წასული.

7. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომლის ფორმებიც მხოლოდ ძველი სახეობის ზმნისწინებით გამოიყენება.

ა) აღდგა, განაახლებს, აღიმაღლებს;

ბ) წარმოიქმნება, აღფრთოვანდა, განკურნავს.

8. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ზმნები: **ზის, წევს, უყურებს, სხედს...**

ა) საერთოდ არ დაირთავს ზმნისწინს;

ბ) გარკვეულ შემთხვევებში ზმნისწინის გარეშე არ გამოიყენება.

9. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ფორმებში: **მიდის / მოდის; შედის / შემოდის** ზმნისწინი ცვლის

ა) ორიენტაციას;

ბ) დროს.

10. რომელი პასუხია სწორი?

მიუმართავი გეზის მაგალითებია:

ა) ცურავს, დაცურავს;

ბ) მიცურავს, მოცურავს.

11. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ზმნისწინი აწარმოებს მომავალ დროს: აწმყოსაგან – მყოფადს.

ა) გორავს – მიგორავს; ცურავს – მიცურავს;

ბ) წერს – დაწერს; აშენებს – ააშენებს.

12. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც დასრულებული მოქმედების გამომხატველი ფორმებია.

ა) შეუკერავს, გაანაწილებს, გააღვიძა, დაელოდა, მოეფერებოდა;

ბ) უკერავს, ანაწილებს, აღვიძა, ელოდა, ეფერებოდა.

13. აირჩიეთ სწორი პასუხი.

ფორმებში: **შემოეკამა, შემოეხარკა** ზმნისწინის საშუალებით გამოხატულია:

ა) მსგავსება;

ბ) მოქმედების სიხშირე;

გ) უნებლიობა.

14. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
მოქმედების სიხშირე გამოხატულია ფორმებში:
ა) ძველი ბიჭი – მოძველბიჭო; სულელი – მოსულელო;
ბ) გარეცხა – დარეცხა; გაწმინდა – დაწმინდა.
15. რომელი პასუხია სწორი?
ზმნისწინის პირის ნიშნებით ან ხმოვანი პრეფიქსებით გათიშვა:
ა) სალიტერატურო ნორმის დარღვევაა;
ბ) დასაშვებია.
16. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.
ა) გამანთავისუფლე, გამანცვიფრე;
ბ) გამათავისუფლე, განმაცვიფრე.
17. რომელი წყვილია მცდარი?
ა) ვღზრდი – ავღზრდი;
ბ) ვზრდი – აღვზრდი;
18. რომელია სწორი?
ა) წაარდგენს, გაანხორციელებს;
ბ) წარადგენს, განახორციელებს.
19. წესის დასასრულებლად შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.
გამონაკლისები იმ წესიდან, რომ პირის ნიშანი ზმნისწინის შემდეგ უნდა დაიწეროს, არის:
ა) „ვაღიარებ“ და „ვაღორძინებ“;
ბ) „ვღნიშნავ“ და „ვღწერ“.
20. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი არანორმატიული ფორმაა.
ა) მიითვისა, მოოქროვილი, შეეკედლა;
ბ) მოოხრებული, მიიპარება, შეერკინა.
21. რომელი ვარიანტია მცდარი?
სალიტერატურო ფორმებია:
ა) დააანონსა, გააახალდაზრდავა, გააავა;
ბ) დაანონსა, გაახალგაზრდავა, გაავა;
22. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი არანორმატიული ფორმაა.
ა) გადავიდა, დაულაგა, შამოთვალა, ჩაიდო;
ბ) გეეცინა, წეიღო, მუუტანა, ჩამევიდა.

10.5. ზმნის მწკრივის ფორმები

10.5.1. მწკრივის რაობა. მწკრივთა წარმოება; მწკრივის კომპონენტები: დრო, კილო, ასპექტი, გზისობა

ზმნის მწკრივი აერთიანებს მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ერთნაირი აგებულების (სტრუქტურის) ფორმებს, რომლებსაც მსგავსი აქვთ სემანტიკურ კომპონენტთა ჯამიც. აკად. ა. შანიძე გამოყოფს ზმნის 11 მწკრივს; ზოგი სხვა მეცნიერი – უფრო მეტს, ზოგი – უფრო ნაკლებს. რამდენადაც მწკრივთა გამოყოფისას დაცული უნდა იყოს **ფორმათა და სემანტიკურ კომპონენტთა ერთგვაროვნების პრინციპი**, ლოგიკურად მიგვაჩნია გამოიყოს ათი მწკრივი, რომლებიც დახასიათდება ზმნურ ფორმაში ასახული შემდეგი ერთგვაროვანი სემანტიკური კომპონენტებით: დრო, კილო, ასპექტი და გზისობა. მოკლედ დასახელებული ოთხი კომპონენტის შესახებ:

დრო არის ზმნის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს, თუ როდის ხდება მოქმედება: თქმის მომენტში, თქმის შემდეგ თუ თქმამდე; შესაბამისად, ძირითადად გამოიყოფა სამი დრო: **აწმყო, მყოფადი და ნამყო;** შდრ. ფორმობრივად გამოხატული სამივე დრო:

აწმყო: **ვაკეთებ** მყოფადი: **გავაკეთებ** ნამყო: **გავაკეთე.**

კონტექსტის მიხედვით, მსჯელობენ ე.წ. **უდროო ფორმებზეც,** რომლებიც ასახავენ ბუნებაში მიმდინარე მუდმივ პროცესებს, მაგ., ისეთ წინადადებებში, როგორიცაა: „ადამიანი ფილტვებით სუნთქავს"; „მზე აღმოსავლეთიდან ამოდის" და სხვ.

კილო, როგორც ზმნის კატეგორია, გამოხატავს, თუ როგორ გავიგოთ ზმნით გამოხატული მოქმედება: როგორც ნამდვილი ფაქტი, სასურველი / შესაძლებელი თუ აუცილებლად შესასრულებელი მოქმედება. ამის მიხედვით გვაქვს თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი (თხოვნითი, აკრძალვითი) კილოს ფორმები; შდრ.:

თხრობითი: **გავაკეთე / ვერ გავაკეთე;**
კავშირებითი: **ნეტა გამეკეთებინა! / რომ არ გამეკეთებინა;**
ბრძანებითი: **გააკეთე! / ნუ გააკეთებ! / არ გააკეთო!**

ასპექტის კატეგორია გვიჩვენებს, ზმნით გამოხატული მოქმედება დასრულებულია თუ დაუსრულებელი. ამის მიხედვით განირჩევა **სრული და უსრული ასპექტის** ფორმები. თანამედროვე ქართულში სრული ასპექტის ფორმა იწარმოება უსრული ასპექტის ფორმაზე ზმნისწინის დართვით (იხ. ზემოთ 10.4.1. ზმნისწინის რაობა და ჯგუფები); შდრ.:

უსრული ასპექტი		სრული ასპექტი
ვაკეთებ / ვაკეთებდი	–	გავაკეთებ / შევაკეთე

გარკვეული ზმნები სრული ასპექტის ფორმებს განსხვავებულად იწარმოებენ, კერძოდ:

– ძირის შეცვლით: შდრ.:

უსრული ასპექტი		სრული ასპექტი
ეუბნება / ამბობს	–	უთხრა / თქვა

– ფუძის აგებულების / ყალიბის შეცვლით; შდრ.:

უსრული ასპექტი		სრული ასპექტი
მეფობს	–	იმეფებს
მუშაობს	–	იმუშავებს

სრულ- და უსრულასპექტიანი ფორმების გვერდით გამოიყოფა **უასპექტო** ფორმები; ეს ის ზმნებია, რომლებიც:

– საერთოდ არ დაირთავენ ზმნისწინს, მაგ.: უყვარს, სძულს, იცის, არის...

– დაირთავენ ზმნისწინს მხოლოდ მიმართულების აღსანიშნავად: მიდის, მოდის, ჩადის...[32]

გზისობის კატეგორიით აღინიშნება, ზმნით გამოხატული მოქმედება ერთხელ სრულდება თუ ერთზე მეტად. ამის მიხედვით განირჩევა **ერთგზისი და მრავალგზისი** მოქმედების ფორმები; შდრ.: ერთგზისი: **გავაკეთე;** მრავალგზისი: **გავაკეთებდი / ვაკეთებდი.**

---

[32] ზმნისწინის დართვით აწმყო მწკრივის უსრული ასპექტის ფორმებისგან სრული ასპექტის ფორმების წარმოებისას იცვლება დრო. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისია **მიდის, მოდის...** ტიპის ფორმები.

მწკრივთა ცხრილი

№	მწკრივი	დრო	კილო	ასპექტი	გზისობა
1	აწმყო[33] – რას ვშვრები?	+აწმყო -მყოფ.[34]	თხრობითი	უსრული	ერთგზისი[35]
	ვ-ხატ-ავ მ-ე-ხატ-ებ-ა[36]				
2	მყოფადი – რას ვიზამ ?	მყოფადი	თხრობითი	სრული	ერთგზისი
	და-ვ-ხატ-ავ და-მ-ე-ხატ-ებ-ა				
3	ნამყო უსრული – რა ვქენი?	ნამყო	თხრობითი კავშირებითი /რომ მეხატა/	უსრული	ერთგზისი
	ვ-ხატ-ე *მ-ე-ხატ-ა /რომ მეხატა/				
4	ნამყო სრული – რა ვქენი?	ნამყო	თხრობ., კავშირებითი /რომ დამეხატა/	სრული	ერთგზისი
	და-ვ-ხატ-ე და-მ-ე-ხატ-ა (რომ) და-მ-ე-ხატ-ა				
5	უსრული კავშირებითი – რა ვქნა?	მყოფადი	კავშირებითი	უსრული	ერთგზისი
	ვ-ხატ-ო მ-ე-ხატ-ო-ს				
6	სრული კავშირებითი – რა ვქნა?	მყოფადი წარ.	კავშირებითი	სრული	ერთგზისი
	და-ვ-ხატ-ო და-მ-ე-ხატ-ო-ს (რომ) და-მ-ე-ხატ-ო-ს				
7	უსრული განგრძობითი – რას ვშვრებოდი?	ნამყო	თხრობითი	უსრული	მრავალგზისი /განგრძობითი/
	ვ-ხატ-ავ-დ-ი მ-ე-ხატ-ებ-ოდ-ა				
8	სრული განგრძობითი – რას ვიზამდი?	+ნამყო -მყოფადი[37]	თხრობითი კავშირებითი	სრული	მრავალგზისი /განგრძობითი/
	და-ვ-ხატ-ავ-დ-ი და-მ-ე-ხატ-ებ-ოდ-ა				
9	უსრული განგრძობითი კავშირებითი – რას ვშვრებოდე?	აწმყო მყოფადი	კავშირებითი	უსრული	მრავალგზისი /განგრძობითი/
	ვ-ხატ-ავ-დ-ე მ-ე-ხატ-ებ-ოდ-ე-ს				
10	სრული განგრძობითი კავშირებითი – რას ვიზამდე?	მყოფადი	კავშირებითი	სრული	მრავალგზისი /განგრძობითი/
	და-ვ-ხატ-ავ-დ-ე და-მ-ე-ხატ-ებ-ოდ-ე-ს				

[33] მწკრივთა სახელდება გარკვეულწილად პირობითია.

[34] როგორც წესი, ფორმას ახასიათებს აწმყო დრო; იშვითად კონტექსტით ვლინდება მომავალი დროც. აწმყოსა და მყოფადის ცალკე მწკრივად გაანაწილებას ვუჭერთ მხარს ფორმობრივი სხვაობის გამოც, ასპექტის სხვადასხვაობის გამოც და იმიტომაც, რომ, როგორც წესი, აწმყოს მწკრივისათვის ძირითადია ახლანდელი დრო.

[35] კონტექსტის მიხედვით შესაძლებელია მრავალგზისი მოქმედების გამოხატვაც.

[36] თვალსაჩინოებისათვის ვიღებთ ორ ყალიბს: ვ-ხატ-ავ; მ-ე-ხატ-ებ-ა

[37] კონტექსტის მიხედვით: თხრობითი კილოს შემთხვევაში ფორმა წარსულ დროს გამოხატავს, კავშირებითი კილოს შემთხვევაში კი – მომავალ დროს.

მწკრივთა რიგში არ შეგვაქვს ნ. მარის მიერ გამოყოფილი III სერიის მწკრივები: I თურმეობითი (გამიკეთებია), II თურმეობითი (გამეკეთებინა), III თურმეობითი (გამეკეთებინოს). **მოკლედ ე.წ. III სერიის გამოყოფის მიზანშეუწონლობის შესახებ:**

1. I თურმეობითი აგებულებით განსხვავდება სხვა მწკრივებისგან; დარღვეულია გრამატიკულ ფორმათა ჰომოგენურობის (ერთგვაროვნების) პრინციპი. არსებითია ის ფაქტიც, რომ სხვა მწკრივებში სამპირიანი ფორმა: **ვუხატავ / დავუხატე...** I თურმეობითში არის ორპირიანი; მწკრივის განმარტებიდან გამომდინარე, მწკრივის ფორმები პირიანობის მიხედვით არ უნდა სხვაობდეს.

ე.წ. I თურმეობითის ფორმებს ჩვენ განვიხილავთ ზმნური ყალიბების რიგში; კერძოდ, მივიჩნევთ შედეგობითობის ყალიბებად, რომელთაც ნაკლულად, მაგრამ მაინც თავიანთი მწკრივებიც მოეპოვებათ:

- ერთპირიანი ვ-ინიანი ყალიბი: დავმალულვარ, არ წავსულვარ; შდრ., მწკრივის ფორმები: დავმალულ(ვ)იყავ, დამალულიყო...;
- ორპირიანი ვ-ინიანი ყალიბი: მოვფარებივარ, დავხატვივარ...
- ორპირიანი მ-ანიანი ყალიბი: დამიხატავს, დამიწერია[38].

2. ორპირიანი (რომ) **დამეხატა** მიჩნეულია II თურმეობითად. უფრო ლოგიკურია, ეს ფორმა ჩაითვალოს **„მეხატება“** ყალიბის აწმყოს მწკრივის ნამყო სრულად, ვიდრე **„ვხატავ“** ფორმის III სერიის ფორმად. „რომ“, „ნეტა“... მოდალური ელემენტებით განსხვავებული გრამატიკული მოცემულობები პარალელურ ფორმებად შეგვიძლია განვიხილოთ: **„რომ დამეხატა“** და **„დამეხატა“**...

„ვიმალები“ ერთპირიანი ფორმის მეორე თურმეობითად მიჩნეული ფორმა **„დავმალულიყავი“** ლოგიკურია, გავიაზროთ **„დავმალულვარ“** ფორმის ნამყო სრულად.

„ვემალები“, „ვუშენდები“ (ვუთეთრდები) ორპირიანი ფორმების მეორე თურმეობითად მიჩნეული „რომ დავმალოდი“ (რომ ავშენებოდი) დამოუკიდებელი ყალიბია, რომელსაც, ასევე, განსხვავებული აგებულების გამო ვერ განვიხილავთ დასახელებული ათი მწკრივის რიგში; შდრ.: ვემალები – დავემალები – დავემალე... მაგრამ „დავმალოდი“. ამ ფორმის განხილვა შესაძლებელია ცალკე ყალიბადაც და მწკრივთა რიგის დამატებადაც (როგორც განსხვავებული აგებულების მწკრივი).

3. ე.წ. III კავშირებითის ფორმა **„დამეხატოს“** ლოგიკურია განიხილებოდეს **„დამეხატა“ (ნამყო სრული)** ფორმის II კავშირებითად, ხოლო **დავმალულიყო – დავმალულიყავი** ფორმის II კავშირებითად. მეორე და მესამე პუნქტების მიხედვით, იქმნება შემდეგი სურათი:

აწმყო	**ნამყო სრული**	**II კავშირებითი**
ვხატავ	დავხატე	დავხატო
მეხატება	(რომ) დამეხატა	დამეხატოს
ვიმალები	დავიმალე	დავიმალო
დავმალულვარ	დავმალულიყავი	დავმალულიყო (შდრ.: ვარ – ვიყავი – ვიყო)

4. ე.წ. III წერიის მწკრივთა სემანტიკური კომპონენტები განსხვავდება I და II სერიის მწკრივთა კომპონენტებისაგან; კერძოდ, მესამე სერიაში ა. შანიძეს შემოაქვს უნახაობის (თურმეობითების) კატეგორია, სხვებს – შედეგობითობის სემანტიკა და სხვ., არადა, ლოგიკურია, ყველა მწკრივი ხასიათდებოდეს ერთი რიგის სემანტიკური კომპონენტებით, რომ მწკრივთა დახასიათებისას არ დაირღვეს ჰომოგენურობის (ერთგვაროვნების) პრინციპი.

[38] სტუდენტებისათვის დისკუსია თემაზე: „მესამე სერიის მწკრივები“.

10.5.1.1. წაიკითხეთ ტექსტი, ამოწერეთ ზმნური ფორმები და დაახასიათეთ დროისა და გზისობის მიხედვით.

დიღმის ველის ჩრდილოეთ ნაწილში, ნაქულბაქევის ტერიტორიაზე 3000 წლის წინანდელი უნიკალური სამარხები აღმოაჩინეს.

...2007 და 2009 წლებში დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს ერთობლივმა კომპანიამ IDP ჯგუფმა, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი ტექნოლოგიების ცენტრის აგებას გეგმავს, არქეოლოგიური სამუშაოები დააფინანსა. მომავალში ბეგლის ტერიტორიაზე იგივე კომპანია ვალდებულებას იღებს ვიზიტორთა ცენტრი მოაწყოს, სადაც დამთვალიერებელს ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალის გაცნობის საშუალება მიეცემა.

...ნაქულბაქევზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ბეგლები ადასტურებს, რომ აღნიშნული ტერიტორია სავაჭრო გზების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. თვით სახელწოდება ნაქულბაქევიც, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილთან მოიხსენიება, ამაზე მიუთითებს.

...სამარხებში აღმოჩენილ ნივთებს უახლოეს მომავალში თბილისის არქეოლოგიურ მუზეუმ-საცავში გადაიტანენ... (<u>"ინტერპრესნიუსი"),</u>

10.5.1.2. ტექსტიდან ამოწერეთ ზმნები; უსრულასპექტიანი ფორმებისგან აწარმოეთ სრულასპექტიანი ფორმები და პირიქით; ცალკე გამოყავით უასპექტო ზმნები.

რამდენად დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ჭიათურის გამოქვაბულში 34000 წლის საქსოვი ძაფი იპოვეს და... მსოფლიო მედიაც შოკში ჩავარდა. მეცნიერები ამბობენ, რომ პირველი ადამიანი დაახლოებით 70000 ათასი წლის წინ მიხვდა, ტანსაცმელი სჭირდებოდა, მაგრამ ცხოველის ტყავი ტანზე შემოიხვია და მეტი ვერაფერი მოისაზრაო. 34000 ათასი წლის წინ კი, აგერ, ჭიათურაში, ჩვენმა წინაპრებმა, კიდეც დაართეს, კიდეც მოქსოვეს, კიდეც შეღებეს და კიდეც ჩაიცვეს... რას ვიფიქრებდი, თუ სასწაული ჭიათურაში, ბუბუანას გამოქვაბულში გველოდა, – იქ 1500-მდე სელისა და შალის ძაფის ბოჭკოს მივაგენით, თანაც უკვე ნაქსოვს. როცა მათი ასაკი ამერიკის ლაბორატორიებმა დაადგინეს, ცას ვეწიეთ სიხარულით. თანაც მარტო სელი და შალის ძაფი კი არა, იქვე მათი სართავი თითისტარის ქვა და ნემსიც კი ვიპოვეთ.... <u>(კვირის პალიტრა).</u>

10.5.1.3. წაიკითხეთ წინადადებები და დაადგინეთ ზმნის კილოს ფორმები.

1) კაკო, ნუ სწყრები! (ჭავ.).
2) მოგესალმებით, ქედებო, / მომაქვს სალამი გვიანი. / ჩემსამც სამარეს ამკობენ / თქვენი დეკა და ღვიანი! (ვაჟა).
3) გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა... (ტაბ.).
4) შენი დიდების მომღერალია ომკი და ზარზმა, ბებერი ტაო... (კალან.).
5) ხანდახან გულში ღიმილით ვიტყვი... (მაჭ.).
6) გაგიმარჯოს, გადღეგრძელოს, / პური, ღვინო დაგიძველოს, / ცხრა უღელი ხარი მოგცეს, /გუთნეული გაგიგრძელოს, შვიდი შვილი ვაჟი მოგცეს, / წვერი თეთრად დაგეფეროს!(ხალ.).
7) დამრჩნენ მხოლოდ ფიქრები დაუღალავ მდევრებად... (გრუზ.).
8) მეფე დავითს, კურაპალატს,. ჰქონდა ერთხელ წვეულება (წერ.).
9) მოდი, გეძახი ათას წლის მერე!.. (ლეონ.).
10) დაღამდა. წვრილნი ვარსკვლავნი აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა. (ვაჟა).

10.5.1.4. თეორიულ ნაწილში მოცემული ცხრილის მიხედვით განსაზღვრეთ, ზმნურ ფორმათა რომელი მწკრივის ფორმებია სავარჯიშო 10.5.1.3 -ში.

10.5.2. მწკრივის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსები (თემის ნიშნები)

მწკრივის ფორმაში გამოიყოფა **მწკრივის ფუძე.** ანუ ზმნის ნაწილი, რომელსაც ჩამოცილებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები. ზოგ შემთხვევაში მწკრივის ფუძე **მარტივია** – ფაქტობრივად, პირს უდრის, ზოგჯერ **ნაწარმოებია** მწკრივის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსებით, სხვა შემთხვევაში კი შესაძლებელია თვითონ მწკრივის ფუძეში მოხდეს **ხმოვნის შეცვლა.** ამ ცვლილებებზე დაკვირვებისათვის ყველაზე პრაქტიკული საშუალებაა **მყოფადის**

(რას იზამს?) და **ნამყო სრულის** (რა ქნა?) ფორმათა შეპირისპირება. მწკრივის ფუძის წარმოების თვალსაზრისით, გამოიყოფა ზმნურ ფორმათა **სამი ჯგუფი:**

ერთ ჯგუფს საერთოდ არ დაერთვის მწკრივის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსები; შესაბამისად, მწკრივის ფუძე მარტივია როგორც მყოფადში, ისე ნამყო სრულში; შდრ.:

აწმყო (რას შვრება?)	მყოფადი (რას იზამს?)	ნამყო სრ. (რა ქნა?)
კვეთს	**გა-კვეთ-ს**	**გა-კვეთ-ა**
ხვეწს	**და-ხვეწ-ს**	**და-ხვეწ-ა**
ხვეტს	**და-ხვეტ-ს**	**და-ხვეტ-ა**
წერს	**და-წერ-ს**	**და-წერ-ა...**

მეორე ჯგუფს აწმყოსა და მყოფადში დაერთვის მწკრივის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსები: **-ი, -ავ, -ამ, -ებ, -ობ** (უფრო აქტიურად), **-ემ** და **-ოფ** (შედარებით იშვიათად), რომლებიც ჩამოსცილდება ნამყო სრულში; შდრ.:

აწმყო (რას შვრება?)	მყოფადი (რას იზამს?)	ნამყო სრ. (რა ქნა?)
ჭრ-ის	**გა-ჭრ-ი-ს**	**გა-ჭრ-ა**
ნამ-ავ-ს	**და-ნამ-ავ-ს**	**და-ნამ-ა**
აკეთ-ებ-ს	**გა-აკეთ-ებ-ს**	**გაა-კეთ-ა**
ამ-აბ-ს	**და-აბ-ამ-ს**	**დაა-ბ-ა**
აპ-ობ-ს	**გა-აპ-ობ-ს**	**გაა-პ-ო**
ყ-ოფ-ს	**ჩა-ყ-ოფ-ს**	**ჩა-ყ-ო...**

მესამე ჯგუფის ფორმები არ დაირთავს მწკრივის ფუძის მაწარმოებელ სუფიქსებს, მაგრამ აწმყო-მყოფადისა და ნამყოს ფუძეებს განასხვავებს **ხმოვნის შეცვლით**, კერძოდ: მყოფადში **ე** ხმოვანია ფუძეში, ნამყო სრულში კი – **ი**; შდრ.:

მყოფადი (რას იზამს?)	ნამყო სრ.(რა ქნა?)
მოკრეფს	მოკრიფა
დაგრეხს	დაგრიხა
გახვრეტს	გახვრიტა
მოწყვეტს	მოწყვიტა
ჩაკვნეტს	ჩაკვნიტა...

ზეპირმეტყველების გავლენით, არაიშვიათია ზმნის მწკრივის ფუძეების არასწორად წარმოების ფაქტი; კერძოდ, **მართლწერის წესების მიხედვით:**

- გაუმართლებელია მწკრივის ფუძის მაწარმოებელ სუფიქსთა დართვა **ფუძეში ხმოვანმონაცვლე** და **მარტივფუძიან** ზმნებზე. შდრ. ფუძეში ხმოვანმონაცვლე ზმნები:

სწორია:	შეცდომაა:
კბეჩს	კბეჩავს / კბიჩავს
ხვრეტს	ხვრეტავს / ხვრიტავს
წყვეტს	წყვეტავს / წყვიტავს
ცვეთს	ცვეთავს / ცვითავს
გლეჯს	გლეჯავს / გლიჯავს...

მარტივფუძიანი ზმნები:

სწორია:	შეცდომაა:
ტეხს	ტეხავს
იხვეჭს	იხვეჭავს
წერს	წერავს
ხვეტს	ხვეტავს
კვეთს	კვეთავს...

განსხვავებული მნიშვნელობის ფორმებია **კვეთა** და **-კვეთება**; მათი აღრევა არ შეიძლება; შდრ.:

სწორია: **ვიცი, რა სულისკვეთებით ბრუნდება სამშობლოში;**

შეცდომაა: ვიცი, რა სულისკვეთით ბრუნდება სამშობლოში.

- მიუღებელია ფუძის მაწარმოებელ სუფიქსთა თავისუფალი მონაცვლეობა, მაგ.: **-ავ / -ამ; -ებ / -ობ; -ი / -ობ; -ავ / -ობ** და სხვ., შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
სვამს	სვავს
აბამს	აბავს
მითქვამს	მითქვავს
კიცხავს	კიცხამს
ცეკვავს	ცეკვობს
ტრიალებს	ტრიალობს
მღერის	მღერობს...

გამონაკლისია **შთანთქმა**, რომელსაც საწყის ფორმაში -ამ სუფიქსი ევარაუდება, მაგრამ პირიანი ფორმები -ავ ნიშნით ეწარმოება, მაგ.: **შთანთქავს, შთანთქავდა, შთანთქავდეს...**

– ამჟამინდელი ნორმების თვალსაზრისით **შეცდომაა** შედეგებითობის გამომხატავ ყალიბში -ავ და -ამ სუფიქსთა -ია დაბოლოებით შეცვლა; ამ შემთხვევაში საკონტროლო საშუალებაა ზმნის საწყისი ფორმები:

	სწორია:	შეცდომაა:
ბატ-ვ-ა	დაუბატ-ავ-ს	დაუბატია
სხ-მ-ა	ჩაუსხ-ამ-ს	ჩაუსხია
მალ-ვ-ა	დაუმალ-ავ-ს	დაუმალია
ბეჭდ-ვ-ა	დაუბეჭდ-ავ-ს	დაუბეჭდია
დადგ-მ-ა	დაუდგ-ამ-ს	დაუდგია
ცეკ-ვ-ა	უცეკვ-ავ-ს	უცეკვია

- დაუშვებელია **-ებ** და **-ობ** სუფიქსთა თანხმოვნების დაყრუება (ბ ->ფ); შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ამკვიდრებს	ამკვიდრეფს
აშავებს	აშავეფს
დადებს	დადეფს
დარდობს	დარდოფს
მუშაობს	მუშაოფს
ხარობს	ხაროფს

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
აბამს, დაუბამს	აბავს, დაუბია	აკეთებს	აკეთეფს
აკრავს, გადაუკრავს	აკრამს, გადაუკრამს, გადაუკრია	ამკვიდრებს	ამკვიდრეფს
აპობს	აპოფს	არტყამს, დაურტყამს	არტყავს, დაურტყავს, დაურტყია
აშავებს	აშავეფს	ახურავს, დაუხურავს	ახურია, დაუხურია
ბარავს, დაუბარავს	ბარამს, დაუბარამს, დაუბარია	ბარბაცებს	ბარბაცობს ბარბაცოფს
ბერავს, დაუბერავს	ბერამს, დაუბერამს, დაუბერია	ბეჭდავს, დაუბეჭდავს	ბეჭდამს, დაუბეჭდია
ბნედს, დაუბნედია	ბნედავს / ბნიდავს, დაუბნიდავს / დაუბნედამს	ბრაზობს	ბრაზოფს
ბრჭყვიალებს	ბრჭყვიალობს	გლეჯს , დაუგლეჯია	გლეჯავს/გლიჯავს /

			გლიჯამს, დაუგლიჯავს / დაუგლიჯამს
გრეხს, დაუგრეხია	გრიხავს / გრიხამს, გრეხავს / გრეხამს, დაუგრიხავს/დაუგრიხამს	დეხს	დეფს / დობს
დარდობს	დარდოფს	დგამს, დაუდგამს	დგავს, დაუდგავს / დაუდგია
იხვეჭს, მოუხვეჭია	იხვეჭავს / იხვეჭამს, მოუხვეჭავს /მოუხვეჭამს	კაკანებს	კაკანობს
კბეჩს, მოუკბეჩია	კბეჩავს / კბიჩავს, მოუკბიჩავს /მოუკბიჩამს	კვეთს, გაუკვეთია	კვეთავს / კვეთამს, გაუკვეთავს / გაუკვეთამს
კვეცს, შეუკვეცია	კვეცავს / კვეცამს; შეუკვეცავს / შეუკვეცამს	კვნეტს , ჩაუკვნეტია	კვნიტავს / კვნეტავს, ჩაუკვნიტავს/ ჩაუკვნეტავს
კიცხავს, გაუკიცხავს	კიცხამს, გაუკიცხია	კრებს, შეუკრებია	კრიბავს / კრიბამს, შეუკრიბავს/ შეუკრიბამს
კრეფს, დაუკრეფია	კრიფავს / კრეფავს, დაუკრიფავს / დაუკრეფავს	მალავს, დაუმალავს	დაუმალია
მღერის	მღერობს	მუშაობს	მუშაოფს
ნამავს, დაუნამავს	ნამამს, დაუნამამს, დაუნამია	ნახავს, უნახავს	ნახამს, უნახამს/ უნახია
პარპაშებს	პარპაშობს	რეცხავს, გაურეცხავს	რეცხამს, გაურეცხია
სრიალებს	სრიალობს	ტეხს; გაუტეხია	ტეხავს / ტეხამს; გაუტეხავს/ გაუტეხამს
ტრიალებს	ტრიალობს	უკრავს, დაუკრავს	უკრამს, დაუკრია
ფენს, დაუფენია	ფინავს/ფენავს, დაუფინავს/დაუფენავს	ქაქანებს	ქაქანობს
ყლაპავს, ჩაუყლაპავს	ყლაპამს, ჩაულაპამს, ჩაუყლაპია	შთანთქავს, შთაუნთქავს	შთანთქამს, შთაუნთქამს / შთაუნთქია
ჩაყოფს	ჩაყობს	ჩებს, დაუჩებია	ჩეხავს / ჩეხამს, დაუჩეხავს / დაუჩეხამს
ცეკვავს; უცეკვავს	ცეკვამს / ცეკვობს, უცეკვია	ცვეთს, გაუცვეთია	ცვეთავს / ცვითავს /ცვითამს, გაუცვითავს
ცურავს, გაუცურავს	ცურამს,გაუცურამს, გაუცურია	ცხოვრობს	ცხოვროფს
წაუკითხავს	წაუკითხამს / წაუკითხია	წაფავს, გაუწაფავს	წაფამს, გაუწაფია
წერს, დაუწერია	წერავს /წერამს, ჩაუწერავს/ ჩაუწერამს	წმენდს, გაუწმენდია	წმინდავს/ წმენდავს / წმენდამს, გაუწმინდავს / გაუწმენდამს
წონის, აუწონია	წონავს, აუწონავს	წუწუნებს	წუწუნობს
წყვეტს, გაუწყვეტია	წყვეტავს / წყვეტამს / წყვიტავს/წყვიტამს, გაუწყვიტავს	ჭექს, უჭექია	ჭექავს / ჭექამს, უჭექავს
ჭყლეტს, გაუჭლეტია	ჭყლეტავს / ჭყლეტამს / ჭყლიტავს / ჭყლიტამს, გაუჭლიტავს	ხარობს	ხაროფს
ხატავს, დაუხატავს	ხატამს, დაუხატამს / დაუხატია	ხვეტს, დაუხვეტია	ხვეტავს / ხვეტამს, დაუხვეტავს /დაუხვეტამს

ხვრეპს, შეუხვრეპია	ხვრეპავს / ხვრეპამს, ხვრიპავს/ვრიპამს, შეუხვრიპავს/ შეუხვრიპამს	ხვრეტს, გაუხვრეტია	ხვრეტავს /ხვრეტამს ხვრიტავს/ ხვრიტამს, გაუხვრიტავს
ხოცავს, დაუხოცავს	ხოცამს, დაუხოცია	ჯაჯღანებს	ჯაჯღანობს ჯაჯღანოფს

სავარჯიშოები

10.5.2.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ჯერ დავალებას დაწერავ და ეზოში მერე ჩახვალ სათამაშოდ!
2) ამქვეყნად ზოგი სახელს იხვეჭავს და ზოგი – ფულს.
3) ეს ყოველივე ავტორის ინდივიდუალურ სტილს უსვავს ხაზს.
4) პაპა ცხელ წვნიანს მადიანად ხვრიპავს.
5) გოგონა სავარჯიშოს მიხედვით კვეცავს წილადებს.
6) ეს ბავშვი ისე გლეჯავს ყვავილებს, რომ გული მოგიკვდება.
7) დედა სიმინდის ყანაში შესულიყო და მწიფე ტაროებს ტეხავდა ბავშვებისათვის.
8) ბიჭს მოურიდებლობით ორ დღეში გაუცვითავს ახალი ტანსაცმელი.
9) პატარა მადიანად კბეჩავს ხაჭაპურს.
10) აკაკი შაქრის ნატეხებს კვნიტავს.

10.5.2.2. იპოვეთ შეცდომები და შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით.

1) მისი მოჩვენებითი გულჩვილობა ბევრს თვალებს უბავს.
2) კაბელის შესაყვანად ხელოსანი კედელს ხვრიტავს.
3) ახლა ერთ საინტერესო კითხვას დავუსვავ ტელემაყურებელს.
4) გოგონა თავის ოთახს საღამოობით ალაგებდა და ხვეტამდა.
5) ეზოში დამფრთხალი ქათმები კაკანობდნენ.
6) ვინ გადაწყვიტავს წყალმომარაგების სისტემაში შექმნილ პრობლემებს?
7) სად მუშაოფს შენი მეზობელი?
8) რომ დამდგარხარ და სულმოუთქმელად ქაქანობ, არ დაიღალე?
9) გუშინ ჩემი შვილიშვილი თავდავიწყებით ცეკვობდა.
10) ჟუჟუნა წვიმას ველ-მინდვრები დაუნამია.

10.5.2.3. აირჩიეთ უშეცდომო წინადადებები.

1) კატო ფანჯარას წმინდავს.
2) კატო ფანჯარას წმენდს.

3) ბებო სარეცხს ფინავს.
4) ბებო სარეცხს ფენს.

5) ბავშვები ციგით სრიალობენ ყინულზე.
6) ბავშვები ციგით სრიალებენ ყინულზე.

7) დამოუკიდებლად ვერ ვვარჯიშოფ, შენი დახმარება მინდა.
8) დამოუკიდებლად ვერ ვვარჯიშობ, შენი დახმარება მინდა.

9) ქეთოს შვილიშვილი კარგად მღერობს.
10) ქეთოს შვილიშვილი კარგად მღერის.

11) ვინ გადაწყვიტავს წყალმომარაგების სისტემაში შექმნილ პრობლემებს?
12) ვინ გადაწყვეტს წყალმომარაგების სისტემაში შექმნილ პრობლემებს?

11) რუსთაველის თეატრში ახალი სპექტაკლი დაუდგიათ.
12) რუსთაველის თეატრში ახალი სპექტაკლი დაუდგამთ.

13) კაბელის შესაყვანად ხელოსანი კედელს ხვრეტს.

			გლიჯამს, დაუგლიჯავს / დაუგლიჯამს
გრეხს, დაუგრეხია	გრიხავს / გრიხამს, გრეხავს / გრეხამს, დაუგრიხავს/დაუგრიხამს	დეზს	დეფს / დობს
დარდობს	დარდოფს	დგამს, დაუდგამს	დგავს, დაუდგავს / დაუდგია
იხვეჭს, მოუხვეჭია	იხვეჭავს / იხვეჭამს, მოუხვეჭავს /მოუხვეჭამს	კაკანებს	კაკანობს
კბეჩს, მოუკბეჩია	კბეჩავს / კბიჩავს, მოუკბიჩავს /მოუკბიჩამს	კვეთს, გაუკვეთია	კვეთავს / კვეთამს, გაუკვეთავს / გაუკვეთამს
კვეცს, შეუკვეცია	კვეცავს / კვეცამს; შეუკვეცავს / შეუკვეცამს	კვნეტს , ჩაუკვნეტია	კვნიტავს / კვნეტავს, ჩაუკვნიტავს/ ჩაუკვნეტავს
კიცხავს, გაუკიცხავს	კიცხამს, გაუკიცხია	კრებს, შეუკრებია	კრიბავს / კრიბამს, შეუკრიბავს/ შეუკრიბამს
კრეფს, დაუკრეფია	კრიფავს / კრეფავს, დაუკრიფავს / დაუკრეფავს	მალავს, დაუმალავს	დაუმალია
მღერის	მღერობს	მუშაობს	მუშაოფს
ნამავს, დაუნამავს	ნამამს, დაუნამამს, დაუნამია	ნახავს, უნახავს	ნახამს, უნახამს/ უნახია
პარპაშებს	პარპაშობს	რეცხავს, გაურეცხავს	რეცხამს, გაურეცხია
სრიალებს	სრიალობს	ტეხს; გაუტეხია	ტეხავს / ტეხამს; გაუტეხავს/ გაუტეხამს
ტრიალებს	ტრიალობს	უკრავს, დაუკრავს	უკრამს, დაუკრია
ფენს, დაუფენია	ფინავს/ფენავს, დაუფინავს/დაუფენავს	ქაქანებს	ქაქანობს
ყლაპავს, ჩაუყლაპავს	ყლაპამს, ჩაულაპამს, ჩაუყლაპია	შთანთქავს, შთაუნთქავს	შთანთქამს, შთაუნთქამს / შთაუნთქია
ჩაყოფს	ჩაყობს	ჩეხს, დაუჩეხია	ჩეხავს / ჩეხამს, დაუჩეხავს / დაუჩეხამს
ცეკვავს; უცეკვავს	ცეკვამს / ცეკვობს, უცეკვია	ცვეთს, გაუცვეთია	ცვეთავს / ცვითავს /ცვითამს, გაუცვითავს
ცურავს, გაუცურავს	ცურამს,გაუცურამს, გაუცურია	ცხოვრობს	ცხოვროფს
წაუკითხავს	წაუკითხამს / წაუკითხია	წაფავს, გაუწაფავს	წაფამს, გაუწაფია
წერს, დაუწერია	წერავს /წერამს, ჩაუწერავს/ ჩაუწერამს	წმენდს, გაუწმენდია	წმინდავს/ წმენდავს / წმენდამს, გაუწმინდავს / გაუწმენდამს
წონის, აუწონია	წონავს, აუწონავს	წუწუნებს	წუწუნობს
წყვეტს, გაუწყვეტია	წყვეტავს / წყვეტამს / წყვიტავს/წყვიტამს, გაუწყვიტავს	ჭექს, უჭექია	ჭექავს / ჭექამს, უჭექავს
ჭყლეტს, გაუჭლეტია	ჭყლეტავს / ჭყლეტამს / ჭყლიტავს / ჭყლიტამს, გაუჭლიტავს	ხარობს	ხაროფს
ხატავს, დაუხატავს	ხატამს, დაუხატამს / დაუხატია	ხვეტს, დაუხვეტია	ხვეტავს / ხვეტამს, დაუხვეტავს /დაუხვეტამს

ხვრეპს, შეუხვრეპია	ხვრეპავს / ხვრეპამს, ხვრიპავს/ვრიპამს, შეუხვრიპავს/ შეუხვრიპამს	**ხვრეტს, გაუხვრეტია**	ხვრეტავს /ხვრეტამს ხვრიტავს/ ხვრიტამს, გაუხვრიტავს
ხოცავს, დაუხოცავს	ხოცამს, დაუხოცია	**ჯაჯღანებს**	ჯაჯღანობს ჯაჯღანოფს

სავარჯიშოები

10.5.2.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ჯერ დავალებას დაწერავ და ეზოში მერე ჩახვალ სათამაშოდ!
2) ამქვეყნად ზოგი სახელს იხვეჭავს და ზოგი – ფულს.
3) ეს ყოველივე ავტორის ინდივიდუალურ სტილს უსვავს ხაზს.
4) პაპა ცხელ წვნიანს მადიანად ხვრიპავს.
5) გოგონა სავარჯიშოს მიხედვით კვეცავს წილადებს.
6) ეს ბავშვი ისე გლეჯავს ყვავილებს, რომ გული მოგიკვდება.
7) დედა სიმინდის ყანაში შესულიყო და მწიფე ტაროებს ტეხავდა ბავშვებისათვის.
8) ბიჭს მოურიდებლობით ორ დღეში გაუცვითავს ახალი ტანსაცმელი.
9) პატარა მადიანად კბეჩავს ხაჭაპურს.
10) აკაკი შაქრის ნატეხებს კვნიტავს.

10.5.2.2. იპოვეთ შეცდომები და შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით.

1) მისი მოჩვენებითი გულჩვილობა ბევრს თვალებს უბავს.
2) კაბელის შესაყვანად ხელოსანი კედელს ხვრიტავს.
3) ახლა ერთ საინტერესო კითხვას დავუსვავ ტელემაყურებელს.
4) გოგონა თავის ოთახს საღამოობით ალაგებდა და ხვეტამდა.
5) ეზოში დამფრთხალი ქათმები კაკანობდნენ.
6) ვინ გადაწყვიტავს წყალმომარაგების სისტემაში შექმნილ პრობლემებს?
7) სად მუშაოფს შენი მეზობელი?
8) რომ დამდგარხარ და სულმოუთქმელად ქაქანობ, არ დაიღალე?
9) გუშინ ჩემი შვილიშვილი თავდავიწყებით ცეკვობდა.
10) ჟუჟუნა წვიმას ველ-მინდვრები დაუნამია.

10.5.2.3. აირჩიეთ უშეცდომო წინადადებები.

1) კატო ფანჯარას წმინდავს.
2) კატო ფანჯარას წმენდს.

3) ბებო სარეცხს ფინავს.
4) ბებო სარეცხს ფენს.

5) ბავშვები ციგით სრიალობენ ყინულზე.
6) ბავშვები ციგით სრიალებენ ყინულზე.

7) დამოუკიდებლად ვერ ვვარჯიშოფ, შენი დახმარება მინდა.
8) დამოუკიდებლად ვერ ვვარჯიშობ, შენი დახმარება მინდა.

9) ქეთოს შვილიშვილი კარგად მღერობს.
10) ქეთოს შვილიშვილი კარგად მღერის.

11) ვინ გადაწყვიტავს წყალმომარაგების სისტემაში შექმნილ პრობლემებს?
12) ვინ გადაწყვეტს წყალმომარაგების სისტემაში შექმნილ პრობლემებს?

11) რუსთაველის თეატრში ახალი სპექტაკლი დაუდგიათ.
12) რუსთაველის თეატრში ახალი სპექტაკლი დაუდგამთ.

13) კაბელის შესაყვანად ხელოსანი კედელს ხვრეტს.

14) კაბელის შესაყვანად ხელოსანი კედელს ხვრეტავს.

13) მეზობლებს საახალწლოდ ფული შეუკრებიათ.
14) მეზობლებს საახალწლოდ ფული შეუკრიბავთ.

15) მშობლებს ექსკურსიის ორგანიზატორისათვის მხარი აუბამთ.
16) მშობლებს ექსკურსიის ორგანიზატორისათვის მხარი აუბიათ.

17) კატო წინდისთვის მატყლის ძაფს გრიხავს.
18) კატო წინდისთვის მატყლის ძაფს გრეხს.

19) დედა ხარობს თავისი შვილების ბედნიერებით.
20) დედა ხაროფს თავისი შვილების ბედნიერებით.

10.5.2.4. აწარმოეთ ზმნის ფორმები კითხვისათვის: „რა უქნია?"

1) ხატავს – დაუხატავს
2) არტყამს –
3) რეცხავს –
4) აღკვეთს –
5) ჰკითხავს –
6) ასხამს –
7) გრეხს –
8) შთანთქავს –
9) ჩეხს –
10) ტეხს –

ტესტი N 10.5.

ზმნის მწკრივის ფორმები

- მწკრივის რაობა. მწკრივთა წარმოება; მწკრივის კომპონენტები: დრო, კილო, ასპექტი, გზისობა
- მწკრივის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსები (თემის ნიშნები)

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ზმნის მწკრივი აერთიანებს:

ა) მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს;

ბ) მხოლოდ პირის, რიცხვისა და აგებულების მიხედვით განსხვავებულ ფორმებს.

2. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

მყოფადი დრო გამოხატავს:

ა) თქმის შემდეგ შესასრულებელ მოქმედებას;

ბ) თქმამდე შესასრულებელ მოქმედებას.

3. რომელია სწორი ჩამონათვალი?

ნამყო დროის ფორმებია:

ა) ხატა, ეძებდა, იპოვა, წარმოუდგა;

ბ) დახატავს, იტყვის, დაილოცოს, ელაპარაკება,

4. რომელია შეცდომა?

წინადადებაში: „თვალი მხედველობის ორგანოა“ ორგანოა

ა) უდროო ფორმაა;

ბ) ახლანდელი დროის ფორმაა.

5. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

თხრობითი კილოს ფორმა წარმოგვიდგენს:

ა) სასურველ / შესაძლებელ მოქმედებას;

ბ) აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას;

გ) მოქმედებას, როგორც ნამდვილ ფაქტს;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

6. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც მხოლოდ თხრობითი კილოს ფორმებია.

ა) დაილოცოს!, იდღეგრძელოს!

ბ) დაილოცა, იდღეგრძელა.

7. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც თხოვნითი ბრძანებითის ფორმაა / ფორმებია.

ა) „ნუ წახვალ, კარგო სტუმარო, ნუ იტყვი: წავალ, წავალო...“

ბ) „შენ არ გინახავს, არ იცი, მას რომე ცეცხლი სდებია“.

გ) „ვერა, ვერ მოგცე შენი ზაქარო, / თუნდ სულ დაგენთქას ოჯახი დღესა!“

8. შემოხაზეთ აკრძალვითი ბრძანებითის ფორმა.

ა) „აღარ შფოთობენ საფლავში გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები“.

ბ) „ახლოს აღარ გამეკარო...“

9. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

ასპექტის კატეგორია გამოხატავს, ზმნით გამოხატული მოქმედება:

ა) დასრულებულია თუ დაუსრულებელი;

ბ) ნამყოა თუ მყოფადი.

10. რომელი ვარიანტია სწორი?

სრული ასპექტის ფორმა იწარმოება:

ა) უსრული ასპექტის ფორმაზე ვერ ნაწილაკის დართვით;

ბ) უსრული ასპექტის ფორმაზე ზმნისწინის დართვით.

11. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

უსრული ასპექტის ფორმებია:

ა) არჩევს, ბერტყავს, თხრის, შენდება.

ბ) გაარჩევს, დაბერტყავს, გათხრის, აშენდება.

12. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც უასპექტო ფორმებია.

ა) უყვარს, იცის, მიდის;

ბ) ამზადებს, ღებავს, ათეთრებს.

13. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

უსრული ასპექტის ფორმებისგან სრული ასპექტის წარმოებისას იცვლება:

ა) ზმნის რიცხვი;

ბ) ზმნის დრო.

14. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთგზისი მოქმედების გამომხატველი ფორმებია.

ა) წერდა, დახატავდა, თამაშობდეს, შეაკეთებდეს;

ბ) დაწერა, ხატავს, ითამაშა, შეაკეთოს.

15. რომელია სწორი პასუხი?

მწკრივის ფუძე არის ზმნის ნაწილი, რომელსაც

ა) ჩამოცილებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები;

ბ) ჩამოცილებული აქვს სრული ასპექტის ნიშნები.

16. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც მარტივფუძიანი ზმნური ფორმებია.

ა) დანამავს – დანამა; დააბამს – დააბა;

ბ) გატეხს – გატეხა; დაჩეხს – დაჩეხა.

17. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ფუძეში ხმოვანმონაცვლე ზმნებია.

ა) დაწერს – დაწერა; გაჭრის – გაჭრა;

ბ) გრეხს – გრიხა; მოწყვეტს – მოწყვიტა;

18. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი წესის დასასრულებლად.

ფუძეში ხმოვანმონაცვლე და მარტივფუძიან ზმნებზე დაუშვებელია მწკრივის ფუძის მაწარმოებელ სუფიქსთა:

ა) დართვა;

ბ) ჩამოცილება.

19. რომელია მცდარი ფორმები?

ა) კბეჩს, ცვეთს, გლეჯს;

ბ) კბიჩავს, ცვითავს, გლიჯავს.

20. რომელია სწორი პასუხი?

კვეთა და -კვეთება:

ა) განსხვავებული მნიშვნელობის ფორმებია;

ბ) ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვებია.

21. შემოხაზეთ სწორი წინადადება.

ა) გიორგი სხვა სულისკვეთით დაბრუნდა სამშობლოში;

ბ) გიორგი სხვა სულისკვეთებით დაბრუნდა სამშობლოში.

22. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ფუძის მაწარმოებელ სუფიქსთა თავისუფალი მონაცვლეობა:

ა) დასაშვებია;

ბ) მიუღებელია.

23. რომელია სწორი ვარიანტი?

ა) წმენდავს – გაუწმენდავს;

ბ) წმენდს – გაუწმენდია;

გ) წმინდავს – გაუწმინდავს.

24. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი არანორმატიული ფორმაა.

ა) მღერობს, აბავს, კიცხამს;

ბ) ცეკვავს, ტრიალებს, დგავს.

25. რომელი პასუხია სწორი?

შთანთქავს ზმნისათვის საწყისი ფორმაა:

ა) შთანთქმა;

ბ) შთანთქვა.

26. რომელია სწორი ვარიანტი?

ა) უცეკვავს, დაუბეჭდავს, ჩაუსხამს, მოუხატავს;

ბ) უცეკვია, დაუბეჭდია, ჩაუსხია, მოუხატია.

27. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც არანორმატიულია ფორმებია.

ა) მუშაობს, ამკვიდრებს, დადებს;

ბ) მუშაოფს, ამკვიდრეფს, დადეფს.

28. მონიშნეთ სწორი ვარიანტი.

ა) აბავს – დაუბავს;

ბ) აბამს – დაუბია;

გ) აბამს – დაუბამს.

10.6. ზმნური ყალიბები და მათი წარმოება

10.6.1. ზმნურ ყალიბთა რაოდენობა

ქართული ენის ზმნას აქვს, სავარაუდოდ, 10-მდე ყალიბი, კერძოდ:

1. ძირითადი ყალიბი (საარვისო ქცევის ფორმები): ვხატავ, ვაკეთებ, ვწერ;
2. საზედაო მოქმედების გამომხატველი ყალიბი: ვახატავ, ვაწერ (თუ ზმნას ძირითად ყალიბში აქვს ა- თავსართი, მაშინ მას საზედაო მოქმედების გამომხატველი ყალიბი არ ექნება);
3. ე.წ. თურმეობითების გამომხატველი ყალიბები:

– ერთპირიანი ვ-ინიანი ყალიბი; დავმალულვარ, არ წავსულვარ;
– ორპირიანი ვ-ინიანი ყალიბი: მოვფარებივარ, დავხატვივარ...
– ორპირიანი მ-ანიანი ყალიბი: დამიხატავს, დამიწერია...
ორპირიანი -ოდ-იანი ყალიბი: მოვფარებოდი...

4. კაუზატივის (კონტაქტის) გამომხატველი ყალიბი; ვაკეთებინებ, ვაწერინებ...
5. სუბიექტისკენ მიმართული მოქმედების გამომხატველი ყალიბი (სათავისო ქცევის ფორმები): ვიკეთებ, ვიწერ...
6. ობიექტისკენ მიმართული აქტიური მოქმედების გამომხატველი ყალიბები (სასხვისო ქცევის ფორმები): ვუკეთებ, ვუწერ..
7. ობიექტისკენ მიმართული პასიური მოქმედების გამომხატველი ყალიბები (ე-ნიანი, ორპირიანი, დონიანი და უნიშნო ვნებითების ფორმები); ვეფარები, ვუშენდები, ვუთბები...
8. უკუქცევითობის გამომხატველი ყალიბი (ინიანი, ერთპირიანი დონიანი და უნიშნო ვნებითების ფორმები): ვიმალები, ვწითლდები, ვთბები და სხვ.

გარკვეული კანონზომიერებები არსებობს ყალიბების წარმოების თვალსაზრისით; შდრ., მაგ.:
თუ ა- ხმოვანი პრეფიქისით იწარმოება ერგატივიანი სუბიექტის მქონე ორპირიანი ფორმა აწმყოში (ვ-ა-კეთ-ებ), მისი ერთპირიანი და ორპირიანი ნომინატივსუბიექტიანი ვარიანტი იწარმოება -დ- სუფიქსით: ვ-კეთ-დ-ებ-ი/ვ-უ-კეთ-დ-ებ-ი; შდრ. პირობითობის გამომხატველი ერთპირიანი და ორპირიანი ყალიბები: (რომ) გა-ვ-კეთებულიყავ – (რომ) გავკეთებოდი.
თუ ა- ხმოვნის გარეშე იწარმოება ერგატივიანი სუბიექტის მქონე ორპირიანი ფორმა აწმყოში (ვ-ხატ-ავ), მისი ერთპირიანი და ორპირიანი ნომინატივსუბიექტიანი ვარიანტი იწარმოება -ი/-ე- პრეფიქსით: ვიხატები/ვეხატები; შდრ. პირობითობის გამომხატველი ერთპირიანი და ორპირიანი ყალიბები: (რომ) და-ვ-ხატულ-იყავ – (რომ) დავხატოდი.

ზოგ ზმნურ ლექსიკურ ერთეულს ყველა ყალიბი ეწარმოება, ზოგი კი ნაკლულია. ზოგ ყალიბს ყველა მწკრივი ეწარმოება, ზოგი კი მწკრივნაკლია. ქვემოთ შევეხებით მართლწერის ნორმების თვალსაზრისით საყურადღებო რამდენიმე ყალიბის ფორმათა წარმოებას.

10.6.2. კაუზატივის (შუალობითი კონტაქტის) ფორმები

კაუზატივის ფორმები ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც სხვისი ჩარევით, მეთაურობით ან ძალდატანებით ხორციელდება. სამეცნიერო ლიტერატურაში კამათის საგანია შუალობითი კონტაქტის ნიშნის საკითხი. ლოგიკურია, ამ კატეგორიის გამომხატველად მივიჩნიოთ გრამატიკული ყალიბი: **ხმოვანი პრეფიქსი + ზმნური ძირი + მარტივი/რთული სუფიქსი.** შუალობითი კონტაქტის ყალიბს აწმყოს მწკრივში აუცილებლად ექნება -ებ- სუფიქსი –

მწკრივთა ფუძის მაწარმოებელი (აკ. შანიძისეული თემის ნიშანი); **ა + ძირი + ინ/ევინ - ებ-**[39]; შდრ.:

წერს: ა-წერ-ინ-ებ-ს – და-ა-წერ-ინ-ა
ქსოვს: ა-ქსოვ-ინ-ებ-ს – მო-ა-ქსოვ-ინ-ა
შლის: ა-შლ-ევ+ინ-ებ-ს – წა-ა-შლ-ევ+ინ-ა
ხატავს: ა-ხატ-ვ-ინ-ებ-ს – და-ა-ხატ-ვ-ინ-ა
ათბობს: ა-თბ-ობ-ინ-ებ-ს– გა-ა-თბ-ობ-ინ-ა
აკეთებს: ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს – გა-ა-კეთ-ებ-ინ-ა

შდრ., ასევე: **ა-წყვეტ-ინ-ებ-ს – გა-ა-წყვეტ-ინ-ა... ა-ნგრ-ევ+ინ-ებს – და-ა-ნგრ-ევ+ინ-ა, ა-თხრ-ევ+ინ-ებ-ს –გაათხრ-ევ+ინ-ა... ა-თეთრ-ებ+ინ-ებ-ს – გა-ა-თეთრ-ებ+ინ-ა** და სხვ.[40]

სასაუბრო მეტყველების გავლენით, არაიშვიათია კაუზატივის ფორმათა არანორმატიული ვარიანტების გამოყენების შემთხვევები, როცა დაკარგულია ზემოაღნიშნული ფორმანტების შემადგენელი **ვ, ნ** თანხმოვნები; კერძოდ, **მართლწერის წესების მიხედვით:**

- სალიტერატურო ენისათვის მიუღებელია კაუზატივის ფორმათა ხარვეზიანი წარმოება; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
აშლევინებს	აშლეინებს
ათხრევინებს	ათხრეინებს
აჭრევინებს	აჭრეინებს
აწერინებს	აწერიებს
აშენებინებს	აშენებიებს...

- **ავ- / ევ**-სუფიქსებიან ზმნათა კაუზატივის ფორმებში უნდა შენარჩუნდეს **ვ** თანხმოვანი; შდრ.:

	სწორია:	შეცდომაა:
(ხატვა >)	**ახატვინებს**	ახატინებს
(ქარგვა >)	**აქარგვინებს**	აქარგინებს
(თიბვა >)	**ათიბვინებს**	ათიბინებს
(კითხვა >)	**აკითხვინებს**	აკითხინებს
(ნგრევა >)	**ანგრევინებს**	ანგრეინებს
(მტვრევა >)	**ამტვრევინებს**	ამტვრეინებს
მსხვრევა >)	**ამსხვრევინებს**	ამსხვრეინებს

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
ააკინძვინა	ააკინძია / ააკინძინა	**აარჩევინა**	აარჩევია / აარჩეინა
აატანინა	აატანია / აატაინა	**ააშენებინა**	ააშენებია
ათიბვინებს	ათიბინებს/ ათიბიებს	**ათქმევინა**	ათქმევია / ათქმია
ათხრევინებს	ათხრეინებს / ათხრევიებს	**აკეთებინებს**	აკეთებიებს
აკითხვინებს	აკითხინებს / აკითხიებს	**ამსხვრევინებს**	ამსხვრეინებს/ამსხვრევიებს
ამტვრევინებს	ამტვრეინებს/ამტვრევიებს	**ანგრევინებს**	ანგრეინებს / ანგრევიებს

[39] ზმნური ხმოვანი პრეფიქსი (ძირითადად - ა) და -ინ სუფიქსი, როგორც წესი, აუცილებელია შუალობითი კაუზატივის გამოსახატავად. სხვადასხვა გრამატიკულ სტრუქტურაში ხმოვან პრეფიქსს სხვადასხვა როლი შეიძლება დაეკისროს, ამიტომაც ჭირს მისთვის ცალკე გრამატიკული ფუნქციის დაძებნა.

[40] **ა-კეთ-ებ+ინ-ებ-ს, ა-თეთრ-ებ+ინ-ებ-ს,** ა-თბ-ობ-ინ-ებ-ს, ა-ხატ-ვ-ინ-ებ-ს... ტიპის ფორმებში ძირთან ახლოს მყოფი -ებ-, -ობ-, -ვ- სუფიქსებიც კაუზატივის ყალიბის მაწარმოებლებად უნდა მივიჩნიოთ.

აქარგვინებს	აქარგინებს / აქარგიებს	აშენებინებს	აშენებიებს
აშლევინებს	აშლეინებს / აშლევიებს	აწერინებს	აწერიებს
აწყენინებს	აწყეინებს	აწყვეტინებს	აწყვეტიებს
აჭრევინებს	აჭრეინებს / აჭრევიებს	ახატვინებს	ახატინებს / ახატიებს
ახოცვინებს	ახოცინებს / ახოციებს	გაათხრევინა	გაათხრევია / გაათხრეინა
გააჯეთებინა	გააკეთებია	გაარჩევინა	გაარჩევია / გაარჩეინა
გაათიბვინა	გაათიბია / გაათიბინა	გაალანძღვინა	გაალანძღია / გაალანძღვია გაალანძღინა
გაარეცხვინა	გაარეცხია / გაარეცხინა	გააშლევინა	გააშლეინა / გააშლევია
გააყვანინა	გააყვანია / გააყვაინა	გადაადნობინა	გადაადნობია
გაატანებინა	გაატანებია / გაატნევია	დაგვიანებინა	დაგვიანებია
დააფერთხვინა	დააფერთხინა/დააფერთხია	დაახურვინა	დაახურინა /დაახურვია
დააქარგვინა	დააქარგინა / დააქარგვია	დააჭრევინა	დააჭრეინა / დააჭრევია
დააწერინა	დააწერია	დააწმენდინა	დაწმენდა
მიადგმევინა	მიადგმევია	მიატანინა	მიატანია
მიაცემინა	მიაცემია	მოაკითხვინა	მოაკითხია / მოაკითხვია/მოაკითხინა
მოამართვინა	მოამართინა / მოამართია მოამართვია	მოასწრებინა	მოასწრებია
მოაშლევინა	მოაშლევია / მოაშლეინა	მოაწესრიგებინა	მოაწესრიგებია
შეასრულებინა	შეასრულებია	შეაწყვეტინა	შეაწყვეტია
ჩააწერინა	ჩააწერია	წაალებინა	წაალებია
წააყვანინა	წააყვანია / წააყვაინა	წააშლევინა	წააშლევია

სავარჯიშოები

10.6.2.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ვცადე, მაგრამ ვერ მოვაშლეინე ლექციებზე დაგვიანება.
2) ნუ შემაწყვეტინებ, დამამთავრებიე აზრი!..
3) ამ უქნარებმა მოშლილი აპარატი ვერა და ვერ შეაკეთებიეს.
4) ნინო, დედაშენს სუფრა გააშლეინე!
5) თუ ღმერთი გწამს, ჩამაწერიე, გუშინ რა დავალება მოგვცეს.
6) ამდენ ხანს რას აკეთებდი?!. ვერ დააჭრეინე კაბა?!
7) შენს გაბარებას, მიმატანიე ეს კასრი მარანში!
8) მობინადრეებმა წყალსადენის მილის შესაცვლელად მუშებს მიწა გაათხრეინეს.
9) ბოლოს და ბოლოს ამ კაცსაც ათქმიე სიტყვა!
10) ბიჭებმა მოხუცს მატარებელში ბარგი აატანიეს.
11) მეზობელი ქალაქში მიდის და ბავშვისთვის ფული გამატნევიე!
12) დედამ ოქრომჭედელს თავისი საყურეები გადაადნობია.

10.6.2.2. მოცემული პარალელური ვარიანტებიდან ხაზი გადაუსვით უმართებულო ფორმებს.

1) ნინომ მხატვარს კედლები *მოაბატვინა / მოაბატინა / მოაბატია.*
2) რომ ნდომებოდა, გოგონა თეთრ ტილოს ფერადი ძაფებით *დააქარგინებდა / დააქარგვინებდა / დააქარგიებდა.*
3) ბიჭმა შარვალი მეზობლის გოგოს *გაარეცხია / გაარეცხვინა / გაარეცხინა.*
4) ბაბუამ გადაწყვიტა, ყანა ნადს *გაათიბინოს / გაათიბიოს / გაათიბვინოს.*
5) დედას უნდა, რომ კარგი სტომატოლოგი ნაცნობ-მეგობრებში *მომაკითხინოს / მომაკითხვინოს / მომაკითხიოს.*
6) ნინო ახლა მოვიდა, რომ ბებოს გადასაფარებლები *დააფერთხვინოს / დააფერთხინოს / დააფერთხვიოს.*
7) ფურცლებად დაშლილი ნიგნები სტამბაში უნდა *ავაკინძიო / ავაკინძვიო / ავაკინძვინო.*
8) მაიკომ დედას კომშის კომპოტები *მოაბუფვია / მოაბუფვინა / მოაბუფია.*
9) კომპანიის დირექტორს თავისი ულიცენზიო წარმოება *დაახურინეს /დაახურიეს / დაახურვინეს.*
10) ოსტატს საუკუნის წინ გაჩერებული კედლის საათი *მოამართვინეს / მოამართინეს / მოამართიეს.*

10.6.2.3. ფრჩხილებში წარმოდგენილი სიტყვებიდან აწარმოეთ კაუზატივის ფორმები და მიუსადაგეთ კითხვებს.

1) ახალი მოთხრობები მისთვის ბევრჯერ ***რა მიეწია?*** (წაკითხვა).
2) ეჭვიც არ მეპარება, რომ შენ დათოს უკეთესთა შორის უკეთესს ***რას უზამდი?*** (არჩევა).
3) მავნე ჩვევას მას ასე იოლად ვერავინ ***რას უზამს?*** (მოშლა).
4) დაო, ამ ტაკიმასხარას თავი არ ***რა ქნა?*** (ლანძღვა).
5) დავიჯერო, ბავშვს ვერ ***რას უზამდა?*** (შესრულება) საშინაო დავალებას?
6) მეგობარს ძლივს ***რა ვუქნით?*** (მოწესრიგება) არეული დოკუმენტები.
7) ჩვენი რჩევა რომ გაგეთვალისწინებინათ, უახლესი მეთოდებით ***რას გიზამდით?*** (გაყვანა) გვირაბს.
8) მან ბავშვს თოვლის პაპასთან წერილი ***რა უწერა?*** (მიწერა).
9) გამოცდილ მეურნეს პროექტს ***რას ვუშვრებით?*** (წერა) საგაზაფხულო სამუშაოებზე.
10) ცნობილ არქიტექტორს ***რას უშვრებოდნენ?*** (აშენება) სამხატვრო გალერეას.

10.6.3. "დავბადებულვარ", "დავბადებიყავ", „დავბადებოდი“ ტიპის ფორმები

დაბადებული, გაზრდილი, შობილი... ტიპის ნაზმნარი სახელებისაგან (მიმღეობებისაგან)[41] **ვარ** მეშველი ზმნის დართვით იწარმოება რთული აგებულების ერთპირიანი ზმნური ფორმები: და-ვ-ბადებულ-ვარ, და-ბადებულ-ხარ, დაბადებულ-ა... აწმყო დროის პირველ პირში მათ ორმაგად დაერთვის **ვ-** პრეფიქსი: ერთი – მიმღეობურ ნაწილზე, ხოლო მეორე – მეშველ ზმნაზე. წარსული და მომავალი დროების გამომხატველ ფორმებში **ვ-** პირის ნიშანი მხოლოდ მიმღეობურ ნაწილშია; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
და-ვ-ბადებულ-ვ-არ	დაბადებულ ვარ
გა-ვ-ზრდილ-ვ-არ	გაზრდილ ვარ
ვ-შობილ-ვ-არ ...	შობილ ვარ
და-ვ-ბადებულიყავი	და-(ვ)- ბადებულვიყავი
გა-ვ-ზრდილიყავი	გა- (ვ)-ზრდილვიყავი
ვ-შობილიყავი ...	(ვ)შობილვიყავი
და-ვ-ბადებულიყო	და-(ვ)-ბადებულვიყო
გა-ვ-ზრდილიყო	გა-(ვ)-ზრდილვიყო
ვ-შობილიყო	(ვ)შობილვიყო

ზოგ ზმნას ეწარმოება იშვიათი გამოყენების -ოდ-სავრცობიანი ყალიბი, რომელიც ძირითადად გამოხატავს პირობითობას; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
(ნეტა, რომ...) მოვფერებოდი	(ნეტა, რომ...) მოვფერებიყავ
(რომ) გავჩენოდი	(რომ) გავჩენიყავ
(რომ) შევკითხებოდი	(რომ) შევკითხებიყავ
(რომ) დავჯდომოდი	(რომ) დავჯდომიყავ...

"გავჩენიყავ" ტიპის ფორმები კვალიფიცირებულია დიალექტიზმებად; მათი სალიტერატურო ენაში გამოყენება დაუშვებელია.

[41] მიმღეობასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ 11.2. მიმღეობის წარმოება და მართლწერა.

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

(NS) ერთპირიანი ფორმები

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
ავშენებულვარ	აშენებულვარ	ავშენებულიყო	ა(ვ)შენებულვიყო
გავზრდილვარ	გაზრდილვარ	გავზრდილიყო	გა(ვ)ზრდილვიყო
გავმქრალვარ	გამქრალვარ	გავმქრალიყო	გავმქრალ(ვ)იყო
გავმხდარვარ	გამხდარვარ	გავმხდარიყო	გავმხდარ(ვ)იყო
გავქცეულვარ	გაქცეულვარ	გავქცეულიყო	გავქცეულ(ვ)იყო
გავჩენილვარ	გაჩენილვარ	გავჩენილიყო	გა(ვ)ჩენილვიყო
დავბადებულვარ	დაბადებულვარ	დავბადებულიყო	და(ვ)ბადებულვიყო
დავბრუნებულვარ	დაბრუნებულვარ	დავბრუნებულიყო	და(ვ)ბრუნებულვიყო
დავკარგულვარ	დაკარგულვარ	დავკარგულიყო	და(ვ)კარგულვიყო
დავმალულვარ	დამალულვარ	დავმალულიყო	და(ვ)მალულვიყო
დავმდგარვარ	დამდგარვარ	დავმდგარიყო	და(ვ)მდგარვიყო
დავმჯდარვარ	დამჯდარვარ	დავმჯდარიყო	და(ვ)მჯდარვიყო
დავფიქრებულვარ	დაფიქრებულვარ	დავფიქრებულიყო	და(ვ)ფიქრებულვიყო
დავხატულვარ	დახატულვარ	დავხატულიყო	და(ვ)ხატულვიყო
ვყოფილვარ	ყოფილვარ	ვყოფილიყო	(ვ)ყოფილვიყო
ვშობილვარ	შობილვარ	ვშობილიყო	(ვ)შობილვიყო
მოვმკვდარვარ	მომკვდარვარ	მოვმკვდარიყო	მო(ვ)მკვდარვიყო
წავსულვარ	წასულვარ	წავსულიყო	წა(ვ)სულვიყო

(NS) ერთპირიანი ზმნები		(NS –DO) ორპირიანი ზმნები	
სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
ავშენებულიყავი	ა(ვ)შენებულვიყავი	ავშენებოდი	ავშენებიყავ
გავზრდილიყავი	გა(ვ)ზრდილვიყავი	გავზრდოდი	გავზრდიყავ
გავმქრალიყავი	გავმქრალ(ვ)იყავი	გავქრობოდი	გავქრობიყავ
გავმხდარიყავი	გავმხდარ(ვ)იყავი	გავხდომოდი	გავხდომიყავ
გავქცეულიყავი	გავქცეულ(ვ)იყავი	გავქცეოდი	გავქცევიყავი
გავჩენილიყავი	გა(ვ)ჩენილვიყავი	გავჩენოდი	გავჩენიყავ
დავბადებულიყავი	და(ვ)ბადებულვიყავი	დავბადებოდი	დავბადებიყავ
დავბრუნებულიყავი	და(ვ)ბრუნებულვიყავი	დავბრუნებოდი	დავბრუნებიყავ
დავკარგულიყავი	და(ვ)კარგულვიყავი	დავკარგოდი	დავკარგვიყავ
დავმალულიყავი	და(ვ)მალულვიყავი	დავმალოდი	დავმალიყავ
დავმდგარიყავი	და(ვ)მდგარვიყავი	დავდგომოდი	დავდგომიყავ
დავმჯდარიყავი	და(ვ)ჯდარვიყავი	დავჯდომოდი	დავჯდომიყავ
დავფიქრებულიყავი	დავფიქრებულ(ვ)იყავი	დავფიქრებოდი	დავფიქრებიყავ
დავხატულიყავი	და(ვ)ხატულვიყავი	დავხატვოდი	დავხატვიყავ
ვყოფილიყავი	(ვ)ყოფილვიყავი	ვყოლოდი	ვყოლიყავ
ვშობილიყავი	(ვ)შობილვიყავი	ვშობოდი	ვშობიყავ
მოვმკვდარიყავი	მო(ვ)მკვდარვიყავი	მოვკვდომოდი	მოვკვდომიყავ
წავსულიყავი	წა(ვ)სულვიყავი	წავყოლოდი	წავყოლიყავ

სავარჯიშოები

10.6.3.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) მასწავლებელს გვერდში უნდა დასჯდომიყავ და მისი რჩევა გაგეთვალისწინებინა.
2) იქ რომ არ გამოვჩენილვიყავი, ეს საქმე არ მოხდებოდა.
3) კარგი იქნებოდა, აქ პაპაშენიც მოგყოლიყო.
4) მეც იმ სოფელში დაბადებულვარ.
5) ღმერთმა ქნას, მეც შენნაირი მოწესრიგებული გავზრდილვიყო.
6) მეზობელმა დაჰკინახა, რომ დედას გავქცევიყავ ქუჩაში.
7) თურმე ბავშვობაში დაკარგულვარ და ამის გამო დედაჩემს დიდი უსიამოვნება შეხვედრია.
8) მოხუცს ნაიარევი სახეზე დამჩნევიყო.
9) უნდა დამალულვიყავი, რომ ჩემი მოუსვენრობა არავის შეემჩნია.
10) მე რომ არ გყოლიყავ, რა გეშველებოდა?

10.6.3.2. გადახაზეთ უმართებულო ფორმები.

1) როცა წინ *წასულვარ / წასულ ვარ / წავსულვარ*, უკან დარჩენილებზე ბევრი მიფიქრია.
2) ასეთ ვითარებაში რომ გრძნობებს *ავყოლვიყავ / ავყოლოდი /ავყოლიყავ*, უხერხული იქნებოდა.
3) სად არ ვყოფილვარ / ყოფილ ვარ / ყოფილვარ? რა არ მინახავს სხვაზე მეტი?
4) პატარა მატყუარას სირცხვილის ალი *წაჰკიდებიყო / წაჰკიდებოდა*.
5) მითხრეს, მაშინვე გავმგზავრებულიყავი / გამგზავრებულვიყავი / გავმგზავრებულვიყავი აეროპორტში სტუმრების დასახვედრად.
6) გერჩია, არ *გაჰქცეოდი /გაჰქცევიყავ* შენს კეთილისმყოფელებს.
7) მე გაზრდილვარ /გავზრდილვარ / გაზრდილ ვარ დედულეთში, სოფ. თამარაშენში.
8) საშველად მეგობარი რომ არ *გამოსჩენიყო / გამოსჩენოდა*, ცუდად იქნებოდა მისი საქმე.
9) მე არაერთხელ *დაბრუნებულვარ / დავბრუნებულვარ / დაბრუნებულ ვარ* ჩემს მშობლიურ ქალაქში.
10) გიოს, საკონტროლოს რომ იწერდა, თურმე მასწავლებელი თავზე *წამოსდგომიყო /წამოსდგომოდა*.

10.6.3.3. ქვემოთ წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

ა)	რა მიქნია?	რა მექნა?	რა მექნას?
გავხდი	გავმხდარვარ	გავმხდარიყავი	გავმხდარიყო
გავთბი	----------	----------	----------
დავფიქრდი	----------	----------	----------
ჩავეწერე	----------	----------	----------
ჩამოვეკიდე	----------	----------	----------

ბ)	რა მიქნია? / რა უქნია?	რა მექნა?/ რა ექნა?	რა მექნას?/ რა ექნას?
ვეკამათები	შევკამათებივარ	შევკამათებოდი	შევკამათებოდე
მეკამათება	შემკამათებია	შემკამათებოდა	შემკამათებოდეს
ვეხვეწები	----------	----------	----------
მეხვეწება	----------	----------	----------
მოვეჩვენე	----------	----------	----------
მეჩვენება	----------	----------	----------
ვეფერები	----------	----------	----------
მეფერება	----------	----------	----------

10.6.4. "გაკეთებულ იქნა" ტიპის ფორმები

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ თარგმანმა, ზოგადად, უცხოენოვან მწერლობასთან მჭიდრო ურთიერთობამ გზა გაუხსნა აღწერილობითი ფორმებს ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის, სამეცნიერო ნაშრომების ენასა და, ასევე, საინფორმაციო გადაცემების წამყვანთა მეტყველებაში. აღწერილობითი ფორმა შედგება წარსული დროის მიმღეობისა და **იქნა (იქნეს / იქნება)** დამხმარე ზმნისაგან.

სალიტერატურო ნორმების თანახმად:

- აღწერილობით ვნებითში დამხმარე ზმნა მხოლოდ სამი მწკრივის ფორმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი: ეს მწკრივებია: ნამყო სრული (იქნა); კავშირებითი სრული (იქნეს) და მყოფადი (იქნება); მაგ.: **გაგზავნილ იქნა, მოკვეთილ იქნა, იქნეს განხილული, უზრუნველყოფილ იქნება** და სხვ. შდრ., დამხმარე ზმნის ფორმები:

სწორია:	შეცდომაა:
ვიქნე / ვიქნეთ	ვიქნა / ვიქნათ
იქნე / იქნეთ	იქნა / იქნათ
იქნეს / იქნენ	იქნას / იქნან

- აღწერილობით ფორმებს აქვს ორგვარი კონსტრუქცია, როცა დამხმარე ზმნა: ა) წინ უსწრებს ან ბ) მოსდევს მიმღეობურ ფორმას. თუ წინ უსწრებს, მიმღეობა სახელობით ბრუნვაშია, ხოლო თუ მოსდევს – ფუძის სახით [illegible] წარმოდგენილი; შდრ.:

გაგზავნილ იქნა – იქნა გაგზავნილი
შეთანხმებულ იქნეს – იქნეს შეთანხმებული
გადაყვანილ იქნება – იქნება გადაყვანილი

- აღწერილობით ფორმებში მრავლობითის ნიშანს დაირთავს მხოლოდ დამხმარე ზმნა; შდრ.:

სწორია:		შეცდომაა:
გაგზავნილ	იქნენ	გაგზავნილები იქნენ
დაჯილდოებულ	იქნენ	დაჯილდოებულები იქნენ

იქნენ გაგზავნილი იქნენ გაგზავნილები
იქნენ დაჯილდოებული იქნენ დაჯილდოებულები

- რამდენადაც აღწერილობითი ვნებითის ფორმათა გამოყენება სამწიგნობრო ქართულში ხშირად ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ქმნის (ამძიმებს ენას), მათი საჭიროება უნდა გაჩნდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, კერძოდ, მაშინ, როცა შეუძლებელია ორგანული (ზმნის ფუძეზეზე აფიქსდართული) წარმოება; შდრ.:

– დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან **იქნა მიმალული**.
დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან **მიიმალა**.
– პროდუქცია **დაწუნებულ იქნა** ექსპერტებისაგან.
პროდუქცია **დაიწუნეს** ექსპერტებმა.
– დადგენილების თანახმად, **ჩატარებულ იქნეს** რიგგარეშე სხდომა.
დადგენილების თანახმად, **ჩატარდეს** რიგგარეშე სხდომა.

აღწერილობითი ფორმები გარეგნულად ჰგავს იმ ტიპის შედგენილ შემასმენელს, რომელსაც სახელად ნაწილად ასევე მიმღეობა აქვს; განსხვავება მათ შორის მაინც საგრძნობია, კერძოდ, შედგენილ შემასმენელს ახასიათებს:

ა) დამხმარე ზმნის ფორმათა მრავალფეროვნება: **არის, იქნება, იყო, ყოფილა, დარჩა, გახდა, ჰგონია...**

ბ) სახელადი ნაწილის ბრუნვის შედარებით თავისუფალი არჩევანი, მაგ.: წასული / გაკეთებული ყოფილა; შეუძლებელს / მისაბაძს ხდის; დამთავრებულად / დაუსრულებლად ეჩვენება, (თავი) განათლებულად მოაქვს და სხვ.

სალიტერატურო ფორმების ცხრილი

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
აღნუსხულ იქნა (/იქნება / იქნეს)	აღნუსხული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) აღნუსხული	იქნა (/იქნება / იქნეს) აღნუსხულ
აღრიცხულ იქნა (/იქნება / იქნეს)	აღრიცხული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) აღრიცხული	იქნა (/იქნება / იქნეს) აღრიცხულ
აშენებულ იქნა (/იქნება / იქნეს)	აშენებული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) აშენებული	იქნა (/იქნება / იქნეს) აშენებულ
გაგზავნილ იქნა (/იქნება / იქნეს)	გაგზავნილი იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) გაგზავნილი	იქნა (/იქნება / იქნეს) გაგზავნილ
გადარჩენილ იქნა (/იქნება / იქნეს)	გადარჩენილი იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) გადარჩენილი	იქნა (/იქნება / იქნეს) გადარჩენილ
გადასახლებულ იქნა (/იქნება / იქნეს)	გადასახლებული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) გადასახლებული	იქნა (/იქნება / იქნეს) გადასახლებულ
გაკეთებულ იქნა (/იქნება / იქნეს)	გაკეთებული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) გაკეთებული	იქნა (/იქნება / იქნეს) გაკეთებულ
გამოკვეთილ იქნა	გამოკვეთილი იქნა	იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს)

(/იქნება / იქნეს)	(/იქნება / იქნეს)	გამოკვეთილი	გამოკვეთილ
განსაზღვრულ იქნა (/იქნება / იქნეს)	განსაზღვრული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) განსაზღვრული	იქნა (/იქნება / იქნეს) განსაზღვრულ
განხილულ იქნა (/იქნება / იქნეს	განხილული იქნა (/იქნება / იქნეს	იქნა (/იქნება / იქნეს) განხილული	იქნა (/იქნება / იქნეს) განხილულ
გასამართლებულ იქნა (/იქნება / იქნეს)	გასამართლებული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) გასამართლებული	იქნა(/იქნება/იქნეს) გასამართლებულ
გატანილ იქნა (/იქნება / იქნეს)	გატანილი იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) გატანილი	იქნა (/იქნება / იქნეს) გატანილ
გაწვეულ იქნა (/იქნება / იქნეს)	გაწვეული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) გაწვეული	იქნა (/იქნება / იქნეს) გაწვეულ
დაარსებულ იქნა (/იქნება / იქნეს)	დაარსებული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) დაარსებული	იქნა (/იქნება / იქნეს) დაარსებულ
დასრულებულ იქნა (/იქნება / იქნეს)	დასრულებული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) დასრულებული	იქნა (/იქნება / იქნეს) დასრულებულ
დაწუნებულ იქნა (/იქნება / იქნეს)	დაწუნებული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) დაწუნებული	იქნა (/იქნება / იქნეს) დაწუნებულ
დახვეწილ იქნა (/იქნება / იქნეს)	დახვეწილი იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) დახვეწილი	იქნა (/იქნება / იქნეს) დახვეწილ
დაჯილდოებულ იქნა (/იქნება / იქნეს)	დაჯილდოებული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) დაჯილდოებული	იქნა (/იქნება / იქნეს) დაჯილდოებულ
მოკვეთილ იქნა (/იქნება / იქნეს)	მოკვეთილი იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) მოკვეთილი	იქნა (/იქნება / იქნეს) მოკვეთილ
მომზადებულ იქნა (/იქნება / იქნეს)	მომზადებული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) მომზადებული	იქნა (/იქნება / იქნეს) მომზადებულ
უარყოფილ იქნა (/იქნება / იქნეს)	უარყოფილი იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) უარყოფილი	იქნა (/იქნება / იქნეს) უარყოფილ
შეთანხმებულ იქნა (/იქნება / იქნეს)	შეთანხმებული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) შეთანხმებული	იქნა (/იქნება / იქნეს) შეთანხმებულ
შეტანილ იქნა (/იქნება / იქნეს)	შეტანილი იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) შეტანილი	იქნა (/იქნება / იქნეს) შეტანილ
ჩამოყალიბებულ იქნა (/იქნება / იქნეს)	ჩამოყალიბებული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) ჩამოყალიბებული	იქნა (/იქნება / იქნეს) ჩამოყალიბებულ
ჩარიცხულ იქნა (/იქნება / იქნეს)	ჩარიცხული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) ჩარიცხული	იქნა (/იქნება / იქნეს) ჩარიცხულ
ჩატარებულ იქნა (/იქნება / იქნეს)	ჩატარებული იქნა (/იქნება / იქნეს)	იქნა (/იქნება / იქნეს) ჩატარებული	იქნა (/იქნება / იქნეს) ჩატარებულ

სავარჯიშოები

10.6.4.1. შეცვალეთ ქართული ენისათვის უფრო ბუნებრივი კონსტრუქციებით.

1) ტვირთი გაგზავნილ იქნა დანიშნულების ადგილზე.
2) შაჰ-აბას II-ის მიერ ასიათასობით ქართველი იქნა გასახლებული სამშობლოდან.
3) მომხდარის შემდეგ ეგზარქოსი პავლე გაწვეულ იქნა რუსეთში, ხოლო დიმიტრი ყიფიანი – გადასახლებული ტამბოვის გუბერნიაში.
4) შეთანხმების საფუძველზე თავიდანვე იქნეს განსაზღვრული სავაჭრო ზონა.
5) საბჭოთა პერიოდში საქართველოდან დიდძალი რაოდენობით გატანილ იქნა ეროვნული განძი.
6) ეჭვგარეშეა, რომ მათ მიერვე იქნა ჩამოყალიბებული მომავალი სამოქმედო გეგმა.
7) მითითებები დაეგზავნოს სათანადო ორგანოებს, რათა მათ მიერ მომზადებულ იქნეს ცვლილებები კანონში.
8) ორგანიზაციის თითოეული წევრის მიერ იქნა შეტანილი წვლილი საერთო საქმეში.
9) აურაცხელი შემოსევების მიუხედავად, ერი გადარჩენილ იქნა განადგურებას.
10) ორგანიზაცია „დავითიანის“ წევრების მიერ იქნა აღნუსხული საზღვარს მიღმა დარჩენილ ქართულ საფლავთა წარწერები.

10.6.4.2. გადახაზეთ მცდარი აღწერილობითი კონსტრუქციები.

1) იქნა შესწავლილ	–	იქნა შესწავლილი
2) აღრიცხულ იქნეს	–	აღრიცხული იქნეს
3) იქნენ დაჯილდოებულები	–	იქნენ დაჯილდოებული
4) უარყოფილი იქნა	–	უარყოფილ იქნა
5) გასამართლებულ იქნას	–	გასამართლებულ იქნეს
6) მომზადებული იქნეს	–	იქნეს მომზადებული
7) დაწუნებულები იქნებიან	–	დაწუნებული იქნებიან
8) უზრუნველყოფილ იქნეს	–	იქნეს უზრუნველყოფილ
9) გადაყვანილი იქნა	–	იქნა გადაყვანილი
10) იქნა გამარჯვებულ	–	გამარჯვებულ იქნა

10.6.4.3. მოცემული სიტყვების მიხედვით აწარმოეთ აღწერილობითი ვნებითის პარალელური ფორმები და ორგანული ვნებითის თითო ფორმა.

	(ორგანული)	(აღწერილობითი)
1) აშენებული	აშენდა	აშენებულ იქნა / იქნა აშენებული
2) ჩამოყალიბებული	----------	----------
3) დაარსებული	----------	----------
4) მორვეული	----------	----------
5) დადგენილი	----------	----------
6) განსაზღვრული	----------	----------
7) განბილული	----------	----------
8) ჩატარებული	----------	----------
9) დასრულებული	----------	----------
10) განახლებული	----------	----------

ტესტი N 10. 6

ზმნური ყალიბები და მათი წარმოება

- კაუზატივის (შუალობითი კონტაქტის) ფორმები
- "დავბადებულვარ", "დავბადებიყავ" და „დავბადებოდი" ტიპის ფორმები
- "გაკეთებულ იქნა" ტიპის ფორმები

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
კაუზატივის ფორმები ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც:
ა) სხვისი ჩარევით, მეთაუროზით ან ძალდატანებით ხორციელდება;
ბ) სხვისი ნების საწინააღმდეგოდ ხორციელდება.
2. რომელი პასუხია მცდარი?
-ინ / -ევ-ინ ფორმანტები გამოიყენება:
ა) კაუზატივის ფორმების საწარმოებლად;
ბ) დროისა და კილოს ფორმების საწარმოებლად.
3. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.
ა) აჭრევინებს, აწერინებს, აკეთებინებს;
ბ) აჭრეინებს, აწერიებს, აკეთებიებს.
4. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ავ- და **ევ** -აფიქსებიან ზმნათა კაუზატივის ფორმებში
ა) ვ თანხმოვნის შენარჩუნება სავალდებულოა;
ბ) ვ თანხმოვნის შენარჩუნება შეცდომაა.
5. შემოხაზეთ არანორმატიული ფორმები.
ა) ახატვინებს, ათიბვინებს, ათხრევინებს;
ბ) ახატინებს, ათიბინებს, ათხრეინებს.
6. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი არანორმატიული ფორმაა.
ა) აშლევინებს, აშენებიებს, ამსხვრევინებს;
ბ) აშლევიებს, აშენებინებს, ამსხვრევიებს.
7. რომელია სწორი განმარტება?
ზმნის რთული ფორმა იწარმოება წარსული დროის მიმღეობაზე:
ა) **ვარ** მეშველი ზმნის დართვით;
ბ) **-ვით** მორფემის დართვით.
8. აირჩიეთ სწორი ვარიანტი წესის დასასრულებლად.
ვ- პრეფიქსი ორმაგად დაერთვის **დავბადებულვარ** ტიპის:
ა) პირველი პირის ფორმებს;
ბ) მეორე და მესამე პირის ფორმებს.
9. რომელია სწორი წარმოების ფორმები?
ა) დაბადებულვარ, გაზრდილვარ, შობილვარ;
ბ) დავბადებულვარ; გავზრდილვარ, ვშობილვარ.
10. შემოხაზეთ ნორმატიული ვარიანტი.
ა) გავჩენოდი, დავბრუნებოდი, გავზრდოდი;
ბ) გავჩენიყავ, დავბრუნებიყავ, გავზრდიყავ.
11. შემოხაზეთ მცდარი განმარტება.
ავშენებიყავ ტიპის ფორმები ითვლება:
ა) სალიტერატურო ნორმად;
ბ) დიალექტიზმებად.
12. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
უცხოენოვან მწერლობასთან მჭიდრო ურთიერთობამ გზა გაუხსნა ენაში:
ა) **გაკეთებულ იქნა** ტიპის წარმოებას;
ბ) **მიყვარს, მძულს** ტიპის წარმოებას.
13. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.
აღწერილობითი ვნებითის ფორმა შედგება წარსული დროის მიმღეობისა და
ა) **იქნა - იქნეს - იქნება** დამხმარე ზმნისაგან.
ბ) **იყო - იყოს - იქნება** დამხმარე ზმნისაგან.
14. შემოხაზეთ დამხმარე ზმნის სწორი ფორმები:
ა) ვიქნე / ვიქნეთ; იქნე / იქნეთ; იქნეს / იქნენ;
ბ) ვიქნა / ვიქნათ; იქნა / იქნათ; იქნას / იქნან.
15. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
აღწერილობითი ფორმების კონსტრუქციის მიხედვით, დამხმარე ზმნა:

ა) წინ უსწრებს ან მოსდევს მიმღეობურ ფორმას;
ბ) წინ უსწრებს, მოსდევს მიმღეობურ ფორმას ან მის შუაშია ჩართული.

16. შემოხაზეთ სწორი ფორმები.

ა) გაგზავნილ იქნა; აღრიცხულ იქნეს; გადაყვანილ იქნება;
ბ) გავზავნილი იქნა; აღრიცხული იქნეს; გადაყვანილი იქნება.

17. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი შეცდომაა.

ა) იქნა შეთანხმებული; აღნუსხულ იქნა,
ბ) იქნა გადასახლებული, განხილული იქნა.

18. რომელია სწორი პასუხი?

აღწერილობით ფორმებში მრავლობითის ნიშანს დაირთავს
ა) მხოლოდ დამხმარე ზმნა;
ბ) როგორც დამხმარე ზმნა, ისე მიმღეობური ნაწილი.

19. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

ა) იქნენ გაწვეული; იქნენ გასამართლებული;
ბ) იქნენ გაწვეულები; იქნენ გასამართლებულები.

20. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

აღწერილობით ფორმათა საჭიროება უნდა გაჩნდეს მხოლოდ მაშინ, როცა:
ა) შეუძლებელია ორგანული (ზმნის ფუძეზე აფიქსდართული) წარმოება;
ბ) დგას უცხოური ლიტერატურის თარგმნის საკითხი.

21. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

შედგენილი შემასმენელი, რომელსაც სახელად ნაწილად მიმღეობა აქვს, აღწერილობითი ფორმებისგან განსხვავდება:
ა) დამხმარე ზმნის ფორმათა მრავალფეროვნებით;
გ) ნარ-/თან-იანი მრავლობითით;
გ) სახელადი ნაწილის სხვადასხვა ბრუნვის ფორმით.

11. ზმნისაგან ნაწარმოები სახელები (საწყისი და მიმღეობა)

11.1. საწყისის წარმოება და მართლწერა

საწყისი მოქმედების, მდგომარეობის სახელია; ის არსებითი სახელის ფუნქციით გამოიყენება წინადადებაში. დაესმის კითხვა **რა?** — მაგ.: **(წა)კითხვა, (და)ხატვა, (გა)ზრდა, დაწერინება...** საწყისის ძირითადი მაწარმოებელია **-ა** სუფიქსი, რომელიც დაერთვის ზმნის აწმყოს (რას შვრება?) ან მყოფადის (რას იზამს?) მწკრივის ფუძეს. მაგ., შდრ.: აკეთებს — **კეთებ-ა** ; მუშაობს — **მუშაობ-ა;** ჰამს — **ჰამ-ა;** წერს —**წერ-ა;** დაიწყებს — **დაწყებ-ა;** დაამთავრებს — **დამთავრებ-ა;** მოემზადება — **მომზადებ-ა...** ზოგ ფორმაში **-ა** მაწარმოებლის წინ ჩნდება **-ნ, -ოლ, -ომ** სუფიქსები, მაგ.: **პოვ-ნ-ა, თხოვ-ნ-ა, ჟრჟ-ოლ-ა, თრთ-ოლ-ა, ჯდ-ომ--ა, დგ-ომ-ა...**

ზოგი საწყისი **-ილ, -ინ** სუფიქსებითა და **სი - ულ** თავსართ-ბოლოსართით იწარმოება, მაგ.: **ჩივ-ილ-ი, ტკივ-ილ-ი, ლოდ-ინ-ი, ზოზ-ინ-ი... სი-ხარ-ულ-ი, სი-ბრალ-ულ-ი...** ასეთი სიტყვების უმეტესობა სრულადაა დაცლილი ზმნური მახასიათებლებისაგან.

ზოგადად, საწყისს რიცხვის კატეგორია არა აქვს, მაგრამ როცა ზმნურ ნიშნებს სრულად კარგავს, მრავლობითის ფორმებიც ეწარმოება. ასეთია, მაგ.: **სწავლანი, ქადაგებანი,** [საწუთროსა] **გმობანი** (ძვ. მწერლ.), **ჩივილები, ტკივილები** (მედ.), **სხდომები, არჩევნები** და სხვ.

საწყისის წარმოებისას გასათვალისწინებელია მართლწერის შემდეგი წესები:

• მწკრივის ფუძის მაწარმოებლებიდან იკარგება **-ი** და, ასევე, **-ავ / -ამ** მაწარმოებელთა **-ა** ხმოვანი, **ვ, მ** თანხმოვნები კი უცვლელად რჩება; მაგ.:

-ი: თხრის — **თხრა,** ჭრის — **ჭრა,** მკის — **მკა,** ღვრის – **ღვრა,** თვლის – **თვლა,** იწვდის – **გამოწვდა...** შდრ.: ქრის — **ქროლა,** თრთის – **თრთოლა.**

სწორია:	შეცდომაა:
წვრთნის – წვრთნა	წრთვნის – წრთვნა
იღვწის – ღვწა *	იღწვის – ღწვა*

-ამ: დგამს – **დადგმა,** იცვამს – **ჩაცმა,** აბამს – **დაბმა,** სვამს – **სმა,** არტყამს – **დარტყმა,** ასხამს – **დასხმა...**

-ავ: ბარავს – **ბარვა,** კერავს – **კერვა,** ძერწავს – **ძერწვა,** ხატავს – **ხატვა,** ხეთქავს – **ხეთქვა,** ბერტყავს – **ბერტყვა...**

პარალელური სალიტერატურო ვარიანტებია **რეკვა** და **რეკა,** თუმცა ზმნური ფორმების წარმოება პირველის მიხედვით ხდება: **რეკავს, რეკავდნენ, დაურეკავს, დაურეკვინებია...**

• **-ავ** მაწარმოებლის **ვ** შიგნით გადაინაცვლებს **ნ, რ, ლ** თანხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებში:

სწორია:	შეცდომაა:
კვლა	კლვა
კვრა	კრვა
ხვრა	ხრვა
ხვნა	ხნვა
წვრთნა	წრთვნა / წრთნვა...

• დაუშვებელია **ვ**-ს დართვა მარტივფუძიან ფორმებში, ფუძეში ხმოვანმონაცვლე ზმნებსა და **-ოლ** სუფიქსიან საწყისებში;

– მარტივფუმიანი ფორმები;

სწორია:	შეცდომაა:
წერა	წერვა
ბანა	ბანვა

ჭამა	ჭამვა
ტეხა	ტეხვა
ფხანა	ფხანვა
კვეთა	კვეთვა
ჩეხა	ჩეხვა
ხვეტა	ხვეტვა
კვეცა	კვეცვა
ყეფა	ყეფვა
ხვეჭა	ხვეჭვა
ჩეჩა	ჩეჩვა[42]

ერთმანეთისაგან ლექსიკურად განსხვავებული საწყისებია ღება და ღებვა; შდრ.:

ღება – ნათლისღება (და არა: ნათლისღებვა); აღებს კარებს...

ღებვა – რაიმეს (კედლის /კვერცხის...) შეღებვა.

– ფუძეში ხმოვანმონაცვლე ზმნები:

სწორია:	შეცდომაა:
წყვეტა	წყვეტვა
კბეჩა	კბეჩვა
კრება	კრებვა
გლეჯა	გლეჯვა
ბღვერა	ბღვერვა
ღრეცა	ღრეცვა
კვნეტა	კვნეტვა
გრეხა	გრეხვა
ჩხვლეტა	ჩხვლეტვა
ჩხრეკა	ჩხრეკვა
ხვრეპა	ხვრეპვა
ჭყლეტა	ჭყლეტვა
კრეჭა	კრეჭვა
დრეკა	დრეკვა
ტყეპა	ტყეპვა...

– -ოლ-სუფიქსიანი საწყისები; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
ქროლა	ქროლვა
თრთოლა	თრთოლვა
ერჟოლა	ერჟოლვა...

• ზოგიერთ ნასახელარ ფორმას არ ეწარმოება საწყისი; საწყისის მაგივრობას თვითონ ის სახელი სწევს, რომლისგანაც ნაწარმოებია ზმნა; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
საუბარი	საუბრობა
ქეიფი	ქეიფობა
ბაასი	ბაასობა
ჭიკჭიკი	ჭიკჭიკობა
ბუზღუნი	ბუზღუნობა
ყოყმანი	ყოყმანობა
ღალატი	ღალატობა...

• არ შეიძლება საწყისის ნორმატიული ფორმების სასაუბრო ვარიანტებით ჩანაცვლება, შდრ.:

---

[42] შესაბამისად, ზმნის სწორი ფორმებია: წერს, ტეხს, ჩეხს, ყეფს... ღებავს (კვერცხს)... და არა: წერავს, ტეხავს, ჩეხავს, ყეფავს... ღებს (კვერცხს).

სწორია:	შეცდომაა:	სწორია:	შეცდომაა:
ცურვა	ცურავი/ცურაობა	შეთქმულება	შეთქმულობა
ჯღანვა	ჯღანავი/ ჯღანაობა	დარჩენა	დარჩომა
ჭიდაობა	ჭიდავი	გადახდენა	გადახდომა
გუნდაობა	გუნდავი	კვდომა კვდენა	
კოხტაობა	კოხტავი	კოცნა	კოცნაობა
აყირავება	ყირავი	შეჯიბრება	შეჯიბრი
ტარება	ტარა	ლოკვა	ლოკნა
რჩევა	რჩევნა	ყლურწვა	ყლურწნა
თოვა	თოვნა	რწევა	რწევნა / რწება
ქსოვა	ქსოვნა	თოხნა	თოხა / თოხვა
მორევა	მორევნა	შოვნა	შოვა / შონა
ბოვა / ბოვება	ბოვნა	ხსოვნა	ხსოვა / ხსონა
წოვა / წოვება	წოვნა	პოვნა	პოვა
ხვეწნა	ხვეწნაობა / ხვერწნა	კვეხნა	კვეხა

- სალიტერატურო ნორმას წარმოადგენს საწყისთა ის უ-ნარ-ო ფორმები, რომლებსაც ნარ-იანი ფორმებისგან განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ, მაგ., შდრ.:

  ხვეწა (ხვეწს თავის ოსტატობას) – **ხვეწნა** (ეხვეწება / სთხოვს);
  თხოვა (ცოლის თხოვა) – **თხოვნა** (იგივეა, რაც ხვეწნა);
  ყოფა (ყოფა-ქცევა) – **ყოფნა** (არსებობა) და სხვ.

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
აყირავება	ყირავი	ბაასი	ბაასობა
ბანა	ბანვა	ბერტყვა	ბერტყა
ბუზღუნი	ბუზღუნობა	ბღვერა	ბღვერვა
გაწვდა (სამათხოვროდ ხელის გაწდა)	გაწვდენა	გლეჯა	გლეჯვა
გაწვდენა (ხელის გაწვდენა, რომ მისწვდეს)	გაწვდა	გუნდაობა	გუნდავი
გაწვდომა (გასწვდა ოჯახს)	გაწვდენა	დრეკა	დრეკვა
გრება	გრებვა	დარჩენა	დარჩომა
თოვა	თოვნა	თოხნა	თოხა / თოხვა
თრთოლა	თრთოლვა	თხოვა (ცოლის) შდრ.: თხოვნა (//ხვეწნა):	თხოვნა შდრ.: თხოვა
კბეჩა	კბეჩვა	კვდომა	კვდენა
კვეთა	კვეთვა	კვეცა	კვეცვა
კვეხნა	კვეხა	კვლა	კლვა
კვნეტა	კვნეტვა	კვრა	კრვა
კოცნა	კოცნაობა	კოხტაობა	კოხტავი
კრება	კრებვა	კრეფა	კრეფვა
კრეჭა	კრეჭვა	ლოდინი	ლოდნა
ლოკვა	ლოკნა	მოლოცვა	მოლოცნა
მორევა	მორევნა	მოშივება	მომშიება
მოხვევა	მოხვევნა	მუდარა	მუდარება
მუსაიფი	მუსაიფობა	პარპაში	პარპაშობა
პოვნა	პოვა	ჟრჟოლა	ჟრჟოლვა
რჩევა	რჩევნა	რწევა	რწევნა / რწება
საუბარი	საუბრობა	ტარება	ტარა
ტეხა	ტეხვა	ტყეპა	ტყეპვა
ფარფაში	ფარფაშობა	ფხანა	ფხანვა
ქეიფი	ქეიფობა	ქროლა	ქროლვა
ქსოვა	ქსოვნა	ღალატი	ღალატობა
ღება (ნათლისღება) შდრ.: ღებვა // შეღებვა	ღებვა შდრ.: ღება	ღვწა*	ღწვა*
ღრეცა	ღრეცვა	ყეფა	ყეფვა

ყლურწვა	ყლურწნა	ყოფა (ყოფაქცევა) შდრ.: ყოფნა (არსებობა)	ყოფნა ყოფნა
ყოყმანი	ყოყმანობა	ყროლა	ყროლვა
შეთქმულება	შეთქმულობა	შეუღიბრება	შეუღიბრი
შოვნა	შოვა / შონა	ჩეჩა	ჩეჩვა
ჩეხა	ჩეხვა	ჩხვლეტა	ჩხვლეტვა
ჩხრეკა	ჩხრეკვა	ცურვა	ცურავი/ ცურაობა
ძერწვა	ძერწა	ძოვა / ძოვება	ძოვნა
წერა	წერვა	წვრთნა	წრთვნა/ წრთნვა / წვართვა
წოვა / წოვება	წოვნა	წყვეტა	წყვეტვა
ჭამა	ჭამვა	ჭიდაობა	ჭიდავი
ჭიკჭიკი	ჭიკჭიკობა	ჭყლეტა	ჭყლეტვა
ხეთქვა	ხეთქა	ხვეტა	ხვეტვა
ხვეწნა (თხოვნა) შდრ.: ხვეწა (ოსტატობის)	ხვეწნაობა / ხვერწნა /ხვეწა	ხვეჭა	ხვეჭვა
ხვნა	ხნვა	ხვრეპა	ხვრეპვა
ხსოვნა	ხსოვა / ხსონა	ჯღანვა	ჯღანავი/ ჯღანაობა

სავარჯიშოები

11.1.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) კარგა ხანია მათი მუსაიფობა აღარ მომისმენია.
2) ახლა ყოყმანობის დრო აღარაა!..
3) ყანის თოხვასაც ცოდნა უნდა, ისე არაფერი გამოვა.
4) მათი ხსონა დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.
5) მართლაც, ძნელია სიბერეში მარტო დარჩომა.
6) ბავშვი კარგა ხანია მეხვერწება, ცურვაზე მიმიყვანეო.
7) კეთილო მგზავრებო, შეისმინეთ მარტოხელა დედის მუდარება!
8) დიდხანს ლოდინი ძნელია, ლოდნასაც საზღვარი აქვს!
9) ასეთ მღვრიე წყალში ცურავი არ მიყვარს.
10) მეზობლის ძაღლს რაღაც ავადმყოფობა შეეყარა და კვდენა დაიწყო.
11) წარმატებული დღის აღსანიშნავად მეგობრებმა ქეიფობა გამართეს.
12) მძღოლებმა იციან, რომ არ შეიძლება ღერძულა ხაზის გადაკვეთვა.

11.1.2. შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით.

1) მაგათ ჩხუბი კი არა, ჯღანავი ნდომებიათ!
2) ამ კვირის ბოლოს გაიმართება მოყვარულთა შეუღიბრი ჭადრაკში.
3) თეონა ორი წლის იყო, ძუძუს წოვნას რომ თავი დაანება.
4) ცოტა ფულის შონა მინდა, სადმე დამაწყებინე მუშაობა!
5) მაგ ბიჭის მორევნას, გირჩევნია, სწავლაზე იფიქრო.
6) ასე ლამაზად ქსოვნა ვინ გასწავლა?
7) ახლა არ დამიწყო ხვერწნა!
8) ვიცი, გიყვართ თოვლში გუნდავი და კოტრიალი.
9) შენ სხვა მითხარი, თორემ სარკესთან კოხტავი ყველას შეუძლია.
10) პატარა გოგო დედას აკვნის რწებაში ეხმარებოდა.
11) ასე რამ შეგაყვარა ყავის ყლურწნა?
12) ჭიდავში პირველია ჩემი ძმა.

11.1.3. აირჩიეთ სწორი ვარიანტები.

1) ბავშვის დანახვაზე გულმა მომეტებულად ფეთქვა დამიწყო.
2) ბავშვის დანახვაზე გულმა მომეტებულად ფეთქა დამიწყო.

3) კაკლის ბერტყა სოსიას უმცროს ბიჭს მიანდვეს.
4) კაკლის ბერტყვა სოსიას უმცროს ბიჭს მიანდვეს.

5) ბავშვისთვის ამდენი ბარგის ტარა არ შეიძლება!
6) ბავშვისთვის ამდენი ბარგის ტარება არ შეიძლება!

7) ავტობუსში სუნთქვა შემეკრა, ისეთი ჭყლეტვა იყო.
8) ავტობუსში სუნთქვა შემეკრა, ისეთი ჭყლეტა იყო.

9) ნასვამმა სტუმარმა მასპინძელთან დარჩომა გადაწყვიტა.
10) ნასვამმა სტუმარმა მასპინძელთან დარჩენა გადაწყვიტა.

11) ბევრს მოიგებ, თუ ჩემს რჩევნას გაითვალისწინებ.
12) ბევრს მოიგებ, თუ ჩემს რჩევას გაითვალისწინებ.

13) შეშინებული ბავშვი თრთოლამ აიტანა.
14) შეშინებული ბავშვი თრთოლვამ აიტანა.

15) რა საჭიროა ამდენი ხვერწნა?!. ისედაც მესმის შენი...
16) რა საჭიროა ამდენი ხვეწნა?!. ისედაც მესმის შენი...

17) პოლიციელებმა ნივთმტკიცების მოსაპოვებლად ბინის ჩხრეკვა დაიწყეს.
18) პოლიციელებმა ნივთმტკიცების მოსაპოვებლად ბინის ჩხრეკა დაიწყეს.

19) გონს მოეგე, ღალატს ნუ ჩაიდენ!
20) გონს მოეგე, ღალატობას ნუ ჩაიდენ!

11.1.4. შეადგინეთ წინადადებები ისე, რომ განასხვაოთ მოცემულ საწყისთა მნიშვნელობები.
1) გაწვდა / გაწვდენა / გაწვდომა;
2) თხოვა / თხოვნა;
3) ღება / ღებვა;
4) ხვეწა / ხვეწნა.

11.1.5. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები.
1) მე უსაქმურად ყოფას სიკვდილი მირჩევნია.
2) შენი ყოფნაქცევა ბევრისთვის მისაბაძია.
3) ცოლის თხოვნა სახუმარო საქმე არაა.
4) მომისმინე, შენთან ერთი თხოვა მაქვს...
5) ცოტა ხელის გაწვდა გინდა და შენი იქნება ეგ მწიფე ბლებით დახუნძლული ტოტი.
6) ნათლისღებაზე, პირველ რიგში, ჩემს ნათლიას ვესტუმრები.
7) ეკამ თავი გამოიდო, თქვენ სააღდგომო კვერცხის ღება რა იცითო.
8) ოჯახის გაწვდენა ახლა კარგი ხელფასის პირობებშიც ძნელია.
9) სამათხოვროდ ხელის გაწვდომა ჩემთვის მიუღებელია.
10) მე არავის ვეხვეწები, შენც არავის დაუწყო ხვეწა.

11.2. მიმღეობის წარმოება და მართლწერა

მიმღეობა მოქმედი ან სამოქმედო პირის აღმნიშვნელი სახელია; შდრ.: მშენებელი (კაცი) – მშენებარე / ასაშენებელი / აშენებული (სახლი).

მიმღეობა ზედსართავი სახელის ფუნქციით გამოიყენება წინადადებაში. დაესმის კითხვა როგორი? – მაგ.: გაკეთებული, მოვლილი, ასაღები, სათრევი, მოელვარე, მტუხარე... არაიშვიათია ისეთი მაგალითებიც, როცა მიმღეობა არსებით სახელად არის ქცეული, მაგ.: მშენებელი, მწერალი, მხატვარი, მასწავლებელი, მცველი, მშობელი, მოსწავლე და სხვ.

მიმღეობა წარმოების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ მრავალფეროვნებას გარკვეულწილად განაპირობებს ისიც, თუ რა არის გამოსახატავი: მოქმედი თუ რაიმე მდგომარეობაში მყოფი პირი / საგანი, წარსული თუ მომავალი მოქმედება, წართქმითი თუ უკუთქმითი შინაარსი და სხვ. შესაბამისად, გამოყოფენ გარკვეული ჯგუფების მიმღეობებს თავიანთი მაწარმოებელი აფიქსებით, რომლებიც, მეცნიერთა აზრით, სხვადასხვა ეპოქისა და კილოს კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს.

მიმღეობის მართლწერა უმეტესად მისი საწარმოებელი ფუძისა და აფიქსის / აფიქსების ნორმატიულ კომბინაციას უკავშირდება, რამდენადაც, ზეპირი მეტყველების გავლენით, აქტიურად გამოიყენება პარალელური ვარიანტები (შდრ.: შემხედველი – შემხედვარე / შემხედვარი; მცხოვრები – მაცხოვრებელი); ასევე გასათვალისწინებელია საწარმოებელი ფუძის ვარიანტები (შდრ.: დაქორწინებული – დაქორწილებული); ბგერათა ცვლილებები, მაგ.: დაკარგვა (შდრ.: მნდომელი – მდომელი), მეტათეზისი (შდრ.: მჯღაბნავი – მბღაჯნავი), ასიმილაცია (შდრ.: გაძარცული – გაცარცული) და სხვ.

მოქმედი ან რაიმე მდგომარეობაში მყოფი პირის / საგნის გამომხატველი მიმღეობები

მოქმედი ან რაიმე მდგომარეობაში მყოფი პირის / საგნის გამომხატველ მიმღეობას ძირითადად აწარმოებს მ- პრეფიქსი, რომელსაც აქვს მა- / მო- ვარიანტებიც; ის ან დამოუკიდებლად აწარმოებს მიმღეობურ ფორმას, ან -არ(/-ალ), -არე (/-ალე), ე-, -ელ სუფიქსებთან კომბინაციაში. -ელ სუფიქსის დართვისას შეიძლება დაიკარგოს მწკრივის ფუძის მაწარმოებელი ი- სუფიქსი, ასევე, -ავ და -ამ მაწარმოებელთა ა ხმოვანი; შდრ.:

	სწორია:	შეცდომაა:
წერს:	მწერალი, დამწერი /მწერელი	მწერავი
უცქერს:	მაცქერალი	მცქერალი
ასესხებს:	მასესხებელი	მოსესხე
ცხოვრობს:	მცხოვრები	მაცხოვრებელი
ღელავს:	მღელვარე	მომღელვარე
ცოცავს:	მცოცავი	მცოცველი
[illegible]	მომჩივარი/მომჩივანი	მომჩივარი...

წარსული დროის მიმღეობები

წარსული დროის მიმღეობათა მაწარმოებლებია: -ილ, -ულ სუფიქსები, ნა- პრეფიქსი და ნა – არ / ნა – ეც [illegible]

	სწორია:	შეცდომაა:
შეკაზმავს:	შეკაზმული	შეკმაზული
ჩახედავს:	ჩახედული	ჩახედილი/ ჩანახედი
შეჭმუხნის:	შეჭმუხნილი	შეჭმუხნული
აგირავებს:	ნაგირავები / დაგირავებული	ნაგირავნები

მიაბარებს:	მიბარებული	მინაბარი
იტაცებს:	ნატაცები	ნატაცარი
ძარცვავს;	ნაძარცვი	ნაცარცვი...

მომავალი დროის მიმღეობები

მომავალი დროის მიმღეობათა მაწარმოებლებია სა- პრეფიქსი და სა-ელ პრეფიქს-სუფიქსები; შდრ.:

	სწორია	შეცდომაა
აღადგენს:	აღსადგენი	ასაღდგენი
აბადია	საბადებელი	საბადი
ამყნობს	სამყნობი	სამყენი
თოხნის	სათოხნი	სათოხი
ინანებს	სანანებელი	სანანი / სანანო / სანანელი
ფარავს	საფარი	საფარავი
იცის:	საცოდნელი	საცოდინარი / საცოდნარი / საცოდნი

უკუთქმითი შინაარსის გამომხატველი მიმღეობები

უკუთქმითი შინაარსის გამომხატველ მიმღეობათა მაწარმოებლებია უ- პრეფიქსი და უ-ელ პრეფიქს-სუფიქსები; შდრ.:

	სწორია:	შეცდომაა:
განკურნებული:	განუკურნებელი / განუკურნავი	განუკურნალი
დაწერილი:	დაუწერელი	დაუწერავი
მოსყიდული:	მოუსყიდველი	მოუსყიდავი
ნახული:	უნახავი	უნახი
შებურული;	შეუბურავი	შეუბურველი
შეშფოთებული;	უშფოთველი	უშფოთვარი
ცოდვილი:	უცოდველი	უცოდვილო...

მართლწერის წესების მიხედვით:

- დაუშვებელია:

– მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსით ზმნისწინის გახლეჩა, მაგ., შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
განმაახლებელი	გამანახლებელი
განმათავისუფლებელი	გამანთავისუფლებელი
განმაპირობებელი	გამანპირობებელი
განუვითარებელი	გაუნვითარებელი
წარუდგენელი	წაურდგენელი
წარუმატებელი	წაურმატებელი
წარუშლელი	წაურშლელი

– საწარმოებელი ფუძეების არასალიტერატურო (სასაუბრო) ფორმებით ჩანაცვლება, შდრ.:

	სწორია:	შეცდომაა
სმა:	სასმელი	დასალევი
მოკუმვა:	მოკუმული	მომუწული / დამუწული
გაწუწვა:	გაწუწული	გაწუმპული
დაბნევა:	დაბნეული	დაპნეული
მიმსგავსება:	მიმსგავსებული	მიმგვანებული

გატანება:	გატანებული	გატნეული
დახრჩობა	დასახრჩობი	დასარჩობი
ტრიალი:	დატრიალებული	დატრუალებული

- მ- თავსართიანი მიმღეობის ფორმებში:

– ორი მ მოიყრის თავს მ თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან, მაგ., შდრ.:

	სწორია:	შეცდომაა:
გამართვა	გამმართავი	გამართავი
მართვა	მმართველი	მართველი
მიჯნა	გამმიჯვნელი	გამიჯვნელი
მსხვრევა	მმსხვრეველი	მსხვრეველი
მუსვრა	მმუსვრელი	მუსვრელი
შემოსვა	შემმოსველი	შემოსველი

– ა განვითარდება ხმოვნებით, ასევე მ ან სხვა თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
გამაუმჯობესებელი	გამუმჯობესებელი
მომაბეზრებელი	მომბეზრებელი
გამაერთიანებელი	გამერთიანებელი
გამანადგურებელი	გამნადგურებელი
დამაარსებელი	დამარსებელი
გამანოყიერებელი	გამნოყიერებელი
გამამტყუნებელი	გამმტყუნებელი
გამანაწილებელი	გამნაწილებელი
დამამცირებელი	დამმცირებელი
გამამართლებელი	გამმართლებელი

- ერთსა და იმავე ფუძეზე სინონიმური აფიქსების დართვით მიიღება ლექსიკურად განსხვავებული მიმღეობები; მაგ., შდრ.:

მკითხავი – მკითხველი; გამგები – გამგებელი, მოახლე – მხლებელი; მფრინავი – (მ)ფრინველი, მოყვარე – მოყვარული...

- სახელზმნის ფორმებში შენარჩუნებულია:

– რიცხვში მონაცვლე ფუძეები, შდრ.:

გადაგდება – გადაგდებული, გადაყრა – გადაყრილი;
ვარდნა – დავარდნილი, დაცვენა – დაცვენილი;
ჯდომა – დამჯდარი, სხდომა – დამსხდარი...

– რაოდენობის განმასხვავებელი და-, გა- ზმნისწინების დაპირისპირება, მაგ., შდრ.:

(ერთი)		(ბევრი)
გარჩეული	–	დარჩეული
გარეცხილი	–	დარეცხილი
გაწმენდილი	–	დაწმენდილი
გასუქებული	–	დასუქებული და სხვ.

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

მ– , მ(ა) – არ (/–ალ), მ(ა) – ელ			
სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
გამაერთიანებელი	გამერთიანებელი	გამამართლებელი	გამმართლებელი
გამამტყუნებელი	გამმტყუნებელი	გამანადგურებელი	გამნადგურებელი
გამანაწილებელი	გამნაწილებელი	გამანოყიერებელი	გამნოყიერებელი
გამაუმჯობესებელი	გამუმჯობესებელი	გამკეთებელი	გამკეთები
გამმართავი	გამართავი	გამმიჯნელი	გამიჯნელი
განმაახლებელი	გამანახლებელი	განმათავისუფლებელი	გამანთავისუფლებელი
განმაპირობებელი	გამანპირობებელი	დამაარსებელი	დამარსებელი
დამამცირებელი	დამმცირებელი	დამაფიქრებელი	დამაფიქრველი
დამბადებელი	დამბადი	დამწერგავი	დამწერგი
დამღლელი	დამღალველი	მაბეზღარი, დამბეზღებელი	დამბეზღი
მ(ა)დევარი, მდევნელი	მდევნი	მარჩენალი, მრჩენელი	მრჩენი
მაქებარი, მაქებელი	მაქები	მაცქერალი	მცქერალი, მოცქერალი
მაწვევარი	მაწვევი / მაწვიერი	მიმცემი	მიმცემელი
მმართველი	მართველი	მმსხვრეველი	მსხვრეველი
მმუსვრელი	მუსვრელი	მმხილებელი	მხილებელი
მწდომელი/ მწდომი	მდომელი /მდომი	მომაბეზრებელი	მომბეზრებელი
მომასწავებელი	მომასწავები	მომაჯადოებელი მომჯადოებელი	მომჯადოები
მომტანი	მომტანელი	მომხმარებელი	მხმარებელი
მოქმედი	მომქმედი	მსესხებელი	მოსესხე
მტეხელი, გამტეხი	მტეხავი	მქენჯნი, მქენჯნელი	მქენჯნავი
მქსოველი	მქსოვი	მქშინავი	მქშენელი, მქშინველი
მყიდველი, მსყიდველი	მსყიდავი	მშველელი	მშველი
მჩენი	მჩენელი	მცოცავი	მცოცველი
მცურავი	მცურველი / გამცურე	მცხოვრები	მაცხოვრებელი
მძარცველი /მძარცვავი	მცარცველი/ მცარცვავი	მწერალი, (ბედის)მწერელი, დამწერი	მწერავი
მწოველი	მწოვნელი	მხედველი	მხედავი / მხედი
მხედნელი	მხედნავი	მხვეველი	მხვევი
მხვეწი	მხვეწავი	მხვრეტელი. მხვრეტი	მხვრეტავი
მხოხავი	მხოხველი	მხრჩოლავი	მღრჩოლავი
მჯობი	მჯობნე / მჯობნელი	მჯღაბნელი	მჯღაბნავი მბღაჯნავი
შემამკობელი	შემმკობი	შემამსუბუქებელი	შემმსუბუქებელი
შემმოსველი	შემმოსი	შემტყობი	შემტყობელი
შემცვლელი	შემნაცვლებელი	შემცოდველი, შემცოდე	შემცოდავი
შემძლებელი	შემძლები	შემხედველი	შემხედვარე შემხედვარი
შემხვედრი, შემხვდური	შემხვედრელი	შემხუთავი შემხუთველი	შემხუთი
წამგლეჯავი	წამგლეჯავი		
მ –არე (/-ალე), მ(ო)–არ (/-ალ), მ(ო) – ე			
მოელვარე	მოელვარო	მოკისკისე	მოკასკასე
მონაცვლე	მონაცვალე	მოჩივარი, მომჩივანი	მომჩივარი
მოძულე	მომძულვარე	მღელვარე, მღელვარი	მომღელვარე
მღიმარე, მღიმარი, მოღიმარი	მომღიმარი მომღიმარე	მჩქეფარე, მჩქეფი	მჩქეფავი

გატანება:	გატანებული	გატნეული
დახრჩობა	დასახრჩობი	დასარჩობი
ტრიალი:	დატრიალებული	დატრუალებული

- მ- თავსართიანი მიმღეობის ფორმებში:

– ორი მ მოიყრის თავს მ თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან, მაგ., შდრ.:

	სწორია:	შეცდომაა:
გამართვა	გამმართავი	გამართავი
მართვა	მმართველი	მართველი
მიჯნა	გამმიჯვნელი	გამიჯვნელი
მსხვრევა	მმსხვრეველი	მსხვრეველი
მუსვრა	მმუსვრელი	მუსვრელი
შემოსვა	შემმოსველი	შემოსველი

– ა განვითარდება ხმოვნებით, ასევე მ ან სხვა თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან, შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
გამაუმჯობესებელი	გამუმჯობესებელი
მომაბეზრებელი	მომბეზრებელი
გამაერთიანებელი	გამერთიანებელი
გამანადგურებელი	გამნადგურებელი
დამაარსებელი	დამარსებელი
გამანოყიერებელი	გამნოყიერებელი
გამამტყუნებელი	გამმტყუნებელი
გამანაწილებელი	გამნაწილებელი
დამამცირებელი	დამმცირებელი
გამამართლებელი	გამმართლებელი

- ერთსა და იმავე ფუძეზე სინონიმური აფიქსების დართვით მიიღება ლექსიკურად განსხვავებული მიმღეობები; მაგ., შდრ.:

მკითხავი – მკითხველი; გამგები – გამგებელი, მოახლე – მხლებელი; მფრინავი – (მ)ფრინველი, მოყვარე – მოყვარული...

- სახელზმნის ფორმებში შენარჩუნებულია:

– რიცხვში მონაცვლე ფუძეები, შდრ.:

გადაგდება – გადაგდებული, გადაყრა – გადაყრილი;
ვარდნა – დავარდნილი, დაცვენა – დაცვენილი;
ჯდომა – დამჯდარი, სხდომა – დამსხდარი...

– რაოდენობის განმასხვავებელი და-, გა- ზმნისწინების დაპირისპირება, მაგ., შდრ.:

(ერთი)		(ბევრი)
გარჩეული	–	დარჩეული
გარეცხილი	–	დარეცხილი
გაწმენდილი	–	დაწმენდილი
გასუქებული	–	დასუქებული და სხვ.

სალიტერატურო და არასალიტერატურო ფორმების ცხრილი

მ– , მ(ა) – არ (/--ალ), მ(ა) – ელ			
სწორია	შეცდომაა	სწორია	შეცდომაა
გამაერთიანებელი	გამერთიანებელი	გამამართლებელი	გამმართლებელი
გამამტყუნებელი	გამმტყუნებელი	გამანადგურებელი	გამნადგურებელი
გამანაწილებელი	გამნაწილებელი	გამანოყიერებელი	გამნოყიერებელი
გამაუმჯობესებელი	გამუმჯობესებელი	გამკეთებელი	გამკეთები
გამმართავი	გამართავი	გამმიჯვნელი	გამიჯვნელი
განმაახლებელი	გამანახლებელი	განმათავისუფლებელი	გამანთავისუფლებელი
განმაპირობებელი	გამანპირობებელი	დამაარსებელი	დამარსებელი
დამამცირებელი	დამმცირებელი	დამაფიქრებელი	დამაფიქრველი
დამბადებელი	დამბადი	დამწერგავი	დამწერგი
დამღლელი	დამღალველი	მაბეზღარი, დამბეზღებელი	დამბეზღი
მ(ა)დევარი, მდევნელი	მდევნი	მარჩენალი, მრჩენელი	მრჩენი
მაქებარი, მაქებელი	მაქები	მაცქერალი	მცქერალი, მოცქერალი
მაწვევარი	მაწვევი / მაწვიერი	მიმცემი	მიმცემელი
მმართველი	მართველი	მმსხვრეველი	მსხვრეველი
მმუსვრელი	მუსვრელი	მმხილებელი	მხილებელი
მწდომელი/ მწდომი	მდომელი /მდომი	მომაბეზრებელი	მომბეზრებელი
მომასწავებელი	მომასწავები	მომაჯადოებელი მომჯადოებელი	მომჯადოები
მომტანი	მომტანელი	მომხმარებელი	მხმარებელი
მოქმედი	მომქმედი	მსესხებელი	მოსესხე
მტეხელი, გამტეხი	მტეხავი	მქენჯნი, მქენჯნელი	მქენჯნავი
მქსოველი	მქსოვი	მქშინავი	მქშენელი, მქშინველი
მყიდველი, მსყიდველი	მსყიდავი	მშველელი	მშველი
მჩენი	მჩენელი	მცოცავი	მცოცველი
მცურავი	მცურველი / გამცურე	მცხოვრები	მაცხოვრებელი
მძარცველი /მძარცვავი	მცარცველი/ მცარცვავი	მწერალი, (ბედის)მწერელი, დამწერი	მწერავი
მწოველი	მწოვნელი	მხედველი	მხედავი / მხედი
მხედნელი	მხედნავი	მხვეველი	მხვევი
მხვეწი	მხვეწავი	მხვრეტელი, მხვრეტი	მხვრეტავი
მხოხავი	მხოხველი	მხრჩოლავი	მღრჩოლავი
მჯობი	მჯობნე / მჯობნელი	მჯღაბნელი	მჯღაბნავი მბღაჯნავი
შემამკობელი	შემმკობი	შემამსუბუქებელი	შემმსუბუქებელი
შემმოსველი	შემმოსი	შემტყობი	შემტყობელი
შემცვლელი	შემნაცვლებელი	შემცოდველი, შემცოდე	შემცოდავი
შემძლებელი	შემძლები	შემხედველი	შემხედვარე შემხედვარი
შემხვედრი, შემხვდური	შემხვედრელი	შემხუთავი შემხუთველი	შემხუთი
წამგლეჯი	წამგლეჯავი		
მ –არე (/-ალე), მ(ო)–არ (/-ალ), მ(ო) – ე			
მოელვარე	მოელვარო	მოკისკისე	მოკასკასე
მონაცვლე	მონაცვალე	მოჩივარი, მომჩივანი	მომჩივარი
მოძულე	მომძულვარე	მღელვარე, მღელვარი	მომღელვარე
მღიმარე, მღიმარი, მოღიმარი	მომღიმარი მომღიმარე	მჩქეფარე, მჩქეფი	მჩქეფავი

მცინარე, მცინარი, მოცინარი	მომცინარი მომცინარე	მცხუნვარე	მცხუნავი / მცხინვარე
მწოლიარე, მწოლი	მწოლარე	მჭექარე	მჭექავი
მჯდომარე / მჯდომი (ერთი); მსხდომი (მრავ.)	მყდომარე, მედომი	შემსწრე	შემსწრები / შემსწრობი
ჩამჯრალი	ჩაჯრობილი		
		-ილ	
დაბეჭდილი	დაბეჭდული	დანაყილი	დანაყული
დანერგილი	დანერგული	დაჭმუჭნილი	დაჭმუჭნული
კუთვნილი	საკუთვნი საკუთვნო	მორჩენილი	მორჩომილი
მოცლილი	მოცალული	შეგლეჯილი	შენაგლეჯი
შეფუთნილი	შეფუთნული	შეღებილი, შენაღები	შენაღებარი
შეჭმუხნილი	შეჭმუხნული		
		-ულ	
ავსებული შდრ.: აღვსილი	ავსილი	გატანებული	გატნეული
განუწული	განუმპული	დაბნეული	დაპნეული
დამახსოვრებული	დანახსოვრებული	დამდურებული	ნამდურავი
დამწიფებული	დამწიფული	დასწრებული	დასწრობილი
დატოვებული	დატოვილი	დატრიალებული	დატრუალებული
დაფქული	დაფქვილი	დაწყებული	დაწყილი
თქმული / ნათქვამი	ნათქმი	მიბარებული	მინაბარი
მიმსგავსებული	მიმგვანებული	მიღწეული	მიხწეული
მომზადებული	მომზადილი	მოკუმული	მომუწული დამუწული
მონდომებული	მონდომილი	მოღუმული	მოხუშული
მოშივებული	მოშიებული მომშიებული	მოწეული	მოწევნილი
მოწიფული	მოწიფებული	მოწოდებული	მოწვდილი
შეკაზმული	შეკმაზული	შემჩნეული	შემცნეული
შეცოდებული	შენაცოდი	შენივთებული	შენივთული
შეძრწუნებული	შენაძრწენი შენაძრწოლი შენაძრწოლები	შეჭვარტლული	შემჭვარტლული
ჩახედული	ჩახედილი ჩანახედი		
		ნა – / ნა – არ / ნა – ევ	
მონალვანი	მონაღვაწები	ნაგირავები დაგირავებული	ნაგირავნები
ნამეცადინები	ნამეცადინევი	ნამზადები / ნამზადი	ნამზადისი
ნამოქმედარი	ნამოქმედი	ნამუშევარი	ნამუშავარი
ნარჩენი	ნარჩომი	ნასაქმი / ნასაქმარი	ნასაქმობი
ნასვამი	ნასმი / სმული	ნატაცები	ნატაცარი
ნაქმნარი / ნაქნარი	ნაქმნი	ნაშიმშილარი ნაშიმშილები ნაშიმშილევი	ნასიმშილარი
ნაჩეხი	ნახეჩი	ნაძარცვი	ნაცარცვი
ნაჭამი	ნაჭმი / ჭმული	შენაზავი	შენაზავები
		სა – / სა –ელ	
აღსადგენი	ასაღდგენი	აღსამართი	ასაღმართი

აღსანიშნავი	ასაღნიშნავი	აღსაზრდელი	ასაღზრდელი
დასახრჩობი	დასარჩობი	მოსაბრუნებელი	მოსაბრუნი მოსაბრუნები
მოსაგერიებელი	მოსაგერი	მოსაგვარებელი	მოსაგვარები
მოსაგონებელი	მოსაგონი	მოსაკაზმავი	მოსაკმაზავი მოსაკმაზი
მოსალხენი	მოსალხინო	მოსანდომი	მოსანდომელი
მოსარიდებელი	მოსარიდალი	მოსასმენი	მოსასმენარი
მოსატყუებელი	მოსატყვილებელი მოსატყუარი	მოსაფონებელი	მოსაფონარი
მოსაჩვენებელი	მოსაჩვენები	მოსაძღვნელი	მოსაძღვენი
მოსაწონი	მოსაწონარი	მოსაწყენი / მოსაწყინარი	მოსაწყენარი
მოსახდენი	მოსახდენელი	მოსახელებელი	მოსახელები
მოსახვევი	მოსახვეველი	მოსახსენებელი მოსახსენები	მოსახსენი
საბადებელი	საბადი	საბარავი	საბარი
საბრუნავი	საბრუნალი	სადინარი	სადინელი
საზვერავი	საზვერი	სათოხნი / სათოხნელი	სათოხი
სალესავი	სალესველი	სამარგლავი, სამარგლი, სამარგლელი	სამარგელი
სამყნობი	სამყენი	სანანებელი	სანანი / სანანო / სანანელი
სართავი	სართველი	სასმელი	დასალევი
საფარი	საფარავი	საფარცხავი	საფარცხი
საშურველი (შესაშურებელი)	საშური	საშური (საჩქარო)	საშურებელი, საშურო
საცოდნელი	საცოდინარი საცოდნარი საცოდნი	საძულველი	საძული /საძულებელი
შესაბრძოლებელი	შესაბრძოლი	შესაბურავი	შესაბურველი
შესაპყრობი	შესაბყრობელი	შესაზარელი / შესაზარი	შესაზარებელი
შესაზღუდავი	შესაზღუდი	შესათვისებელი	შესათვისი
შესარცხვენი	შესარცხვენელი	შესასარავი	შესასარი
შესასვენებელი	შესასვენი	შესაქები	შესაქებელი
შესაძლებელი შესაძლო	შესაძლები	შესაწყალებელი	შესაწყალი შესაწყალები
შესახები	შესახებელი		
უ – / უ–ელ			
განუვითარებელი	გაუნვითარებელი	განუკურნებელი / განუკურნავი	განუკურნალი
გაუტეხელი	გაუტეხავი	დაუქორწინებელი	დაუქორწილებელი
დაუძრახავი	უძრახავი, უძრახი	დაუწერელი	დაუწერავი
მოულოდნელი	ულოდნელი	მოუსყიდველი	მოუსყიდავი
მოუწვეველი	მოუწვევარი	უკურთხებელი უკურთხი	უკურთხეველი
უნახავი	უნახი	ურგები	ურგი / ურგო
ურყევი	ურყეველი	უშფოთველი	უშფოთვარი
უცვლელი	უცვალები	უცოდველი	უცოდვილო
შეუბრალებელი	შეუბრალები	შეუბურავი	შეუბურველი
შეუგნებელი	შეუგნები	შეურიგებელი	შეურიგალი
შეუწყნარებელი	შეუწყნარები	წარუდგენელი	წაურდგენელი
წარუმატებელი	წაურმატებელი	წარუშლელი	წაურშლელი

მცინარე, მცინარი, მოცინარი	მომცინარი მომცინარე	მცხუნვარე	მცხუნავი / მცხინვარე
მწოლიარე, მწოლი	მწოლარე	მჭექარე	მჭექავი
მჯდომარე / მჯდომი (ერთი); მსხდომი (მრავ.)	მჯდომარე, მჯდომი	შემსწრე	შემსწრები / შემსწრობი
ჩამჭრალი	ჩაჭრობილი		
-ილ			
დაბეჭდილი	დაბეჭდული	დანაყილი	დანაყული
დანერგილი	დანერგული	დაჭმუჭნილი	დაჭმუჭნული
კუთვნილი	საკუთვნი საკუთვნო	მორჩენილი	მორჩომილი
მოცლილი	მოცალული	შეგლეჯილი	შეწაგლეჯი
შეფუთნილი	შეფუთნული	შეღებილი, შენაღები	შენაღებარი
შეჭმუხნილი	შეჭმუხნული		
-ულ			
ავსებული შდრ.: აღვსილი	ავსილი	გატანებული	გატნეული
გაწუწული	გაწუმპული	დაბნეული	დაპნეული
დამახსოვრებული	დანახსოვრებული	დამდურებული	ნამდურავი
დამწიფებული	დამწიფული	დასწრებული	დასწრობილი
დატოვებული	დატოვილი	დატრიალებული	დატრუალებული
დაფქული	დაფქვილი	დაწყებული	დაწყილი
თქმული / ნათქვამი	ნათქმი	მიბარებული	მინაბარი
მიმსგავსებული	მიმგვანებული	მიღწეული	მიხწეული
მომზადებული	მომზადილი	მოკუმული	მომუწული დამუწული
მონდომებული	მონდომილი	მოღუშული	მოხუშული
მოშივებული	მოშიებული მომშიებული	მოწეული	მოწევნილი
მოწიფული	მოწიფებული	მოწოდებული	მოწვდილი
შეკაზმული	შეკმაზული	შემჩნეული	შემცნეული
შეცოდებული	შენაცოდი	შენივთებული	შენივთული
შეძრწუნებული	შენაძრწენი შენაძრწოლი შენაძრწოლები	შეჭვარტლული	შემჭვარტლული
ჩახედული	ჩახედილი ჩანახედი		
ნა – / ნა – არ / ნა – ევ			
მონალვანი	მონაღვაწები	ნაგირავები დაგირავებული	ნაგირავნები
ნამეცადინები	ნამეცადინევი	ნამზადები / ნამზადი	ნამზადისი
ნამოქმედარი	ნამოქმედი	ნამუშევარი	ნამუშავარი
ნარჩენი	ნარჩომი	ნასაქმი / ნასაქმარი	ნასაქმობი
ნასვამი	ნასმი / სმული	ნატაცები	ნატაცარი
ნაქმნარი / ნაქნარი	ნაქმნი	ნაშიმშილარი ნაშიმშილები ნაშიმშილევი	ნასიმშილარი
ნაჩეხი	ნახეჩი	ნაძარცვი	ნაცარცვი
ნაჭამი	ნაჭმი / ჭმული	შენაზავი	შენაზავები
სა – / სა –ელ			
აღსადგენი	ასაღდგენი	აღსამართი	ასაღმართი

აღსანიშნავი	ასაღნიშნავი	აღსაზრდელი	ასაღზრდელი
დასახრჩობი	დასარჩობი	მოსაბრუნებელი	მოსაბრუნი მოსაბრუნები
მოსაგერიებელი	მოსაგერი	მოსაგვარებელი	მოსაგვარები
მოსაგონებელი	მოსაგონი	მოსაკაზმავი	მოსაკმაზავი მოსაკმაზი
მოსალხენი	მოსალხინო	მოსანდომი	მოსანდომელი
მოსარიდებელი	მოსარიდალი	მოსასმენი	მოსასმენარი
მოსატყუებელი	მოსატყვილებელი მოსატყუარი	მოსაფონებელი	მოსაფონარი
მოსაჩვენებელი	მოსაჩვენები	მოსაძღვნელი	მოსაძღვენი
მოსაწონი	მოსაწონარი	მოსაწყენი / მოსაწყინარი	მოსაწყენარი
მოსახდენი	მოსახდენელი	მოსახელებელი	მოსახელები
მოსახვევი	მოსახვეველი	მოსახსენებელი მოსახსენები	მოსახსენი
საბადებელი	საბადი	საბარავი	საბარი
საბრუნავი	საბრუნალი	სადინარი	სადინელი
საზვერავი	საზვერი	სათოხნი / სათოხნელი	სათოხი
სალესავი	სალესველი	სამარგლავი, სამარგლი, სამარგლელი	სამარგელი
სამყნობი	სამყენი	სანანებელი	სანანი / სანანო / სანანელი
სართავი	სართველი	სასმელი	დასალევი
საფარი	საფარავი	საფარცხავი	საფარცხი
საშურველი (შესაშურებელი)	საშური	საშური (საჩქარო)	საშურებელი, საშურო
საცოდნელი	საცოდინარი საცოდნარი საცოდნი	საძულველი	საძული /საძულებელი
შესაბრძოლებელი	შესაბრძოლი	შესაბურავი	შესაბურველი
შესაპყრობი	შესაბყრობელი	შესაზარელი / შესაზარი	შესაზარებელი
შესაზღუდავი	შესაზღუდი	შესათვისებელი	შესათვისი
შესარცხვენი	შესარცხვენელი	შესასარავი	შესასარი
შესასვენებელი	შესასვენი	შესაქები	შესაქებელი
შესაძლებელი შესაძლო	შესაძლები	შესაწყალებელი	შესაწყალი შესაწყალები
შესახები	შესახებელი		
უ – / უ–ელ			
განუვითარებელი	გაუნვითარებელი	განუკურნებელი / განუკურნავი	განუკურნალი
გაუტეხელი	გაუტეხავი	დაუქორწინებელი	დაუქორწილებელი
დაუძრახავი	უძრახავი, უძრახი	დაუწერელი	დაუწერავი
მოულოდნელი	ულოდნელი	მოუსყიდველი	მოუსყიდავი
მოუწვეველი	მოუწვევარი	უკურთხებელი უკურთხი	უკურთხეველი
უნახავი	უნახი	ურგები	ურგი / ურგო
ურყევი	ურყეველი	უშფოთველი	უშფოთვარი
უცვლელი	უცვალები	უცოდველი	უცოდვილო
შეუბრალებელი	შეუბრალები	შეუბურავი	შეუბურველი
შეუგნებელი	შეუგნები	შეურიგებელი	შეურიგალი
შეუწყნარებელი	შეუწყნარები	წარუდგენელი	წაურდგენელი
წარუმატებელი	წაურმატებელი	წარუშლელი	წაურშლელი

სავარჯიშოები

11.2.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ბავშვები ნაჭმი არიან, ახლა შეგიძლია გაასეირნო.
2) სიმინდი არ არის წმინდად დაფქვილი, ამით ფელამუში არ გაკეთდება.
3) კაცი სიტყვის გამტეხავი არ უნდა იყოს.
4) ჩემს ბველ ნაცნობს მიმგვანებული ქალბატონი მსახიობი ნესტან კვეიძე აღმოჩნდა.
5) ბინა მაქვს დასაგირავები, კლიენტს ვეძებ.
6) მომღელვარე ხალხი აუდიტორიას ტოვებდა.
7) მაგის გამლახი ჯერ არ დაბადებულა.
8) ახლა წინაპრები გვყავს მოსახსენი, მერე შვილები დავლოცოთ და სუფრაც დავამთავროთ.
9) ეს კაცი მომჩივარია, ის კი – მოპასუხე.
10) მინდა ეს მონაბარი პატრონს დავუბრუნო.

11.2.2. აირჩიეთ სწორი წინადადებები.

1) ისინი დაუწერელ კანონებს არ ცნობენ.
2) ისინი დაუწერავ კანონებს არ ცნობენ.

3) ეთერმა ფქვილით გავსილი გობი მაგიდაზე შემოდგა.
4) ეთერმა ფქვილით გავსებული გობი მაგიდაზე შემოდგა.

5) მინდა ჩემს მოძულეებს საკადრისი პასუხი გავცე.
6) მინდა ჩემს მომძულვარეებს საკადრისი პასუხი გავცე.

7) გაკვეთილი ჯერ დაწყილი არ იყო, როცა კლასში დამრიგებელი შემოვიდა.
8) გაკვეთილი ჯერ დაწყებული არ იყო, როცა კლასში დამრიგებელი შემოვიდა.

9) აქედან როგორ წავალ ბავშვების უნახავი?!..
10) აქედან როგორ წავალ ბავშვების უნახი?!..

11) ჩემი ცხოვრებისეული მაგალითი ყველასთვის საცოდინარი ვერ გახდება.
12) ჩემი ცხოვრებისეული მაგალითი ყველასთვის საცოდნელი ვერ გახდება.

13) გოგის ჩვენთან არაფერი აქეს მოსარიდებელი.
14) გოგის ჩვენთან არაფერი აქვს მოსარიდალი.

15) ახალი ნამკურნალევი ხარ, გარეთ ქარში არ გახვიდე!..
16) ახალი ნამკურნალები ხარ, გარეთ ქარში არ გახვიდე!..

17) ომგადახდილი ნიკოლოზი სულ შეჭმუხნილი სახით დადიოდა.
18) ომგადახდილი ნიკოლოზი სულ შეჭმუხნული სახით დადიოდა.

19) ასეთი დაღლილი ჯერ არ ვყოფილვარ.
20) ასეთი დაღალული ჯერ არ ვყოფილვარ.

11.2.3. შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით.

1) მოხუცის დამაფიქრველმა სიტყვებმა მოსვენება დაუკარგა გოგონას.
2) შენ ამ საქმის გამკეთები არ ხარ, ჯობია სხვა საზრუნავით დაიტვირთო.
3) ელენემ წინასწარ მომზადილი საფუარით მოზილა ცომი.
4) თქვენი გამმართლებელი საბუთი ჯერჯერობით ვერ მოვიძიეთ.
5) იმ შავბნელ წლებში ხალხმა დიდი გაჭირვება გადაიტანა, მაგრამ ვინ იყო გამკითხი?
6) გურამი საქმეში ჩახედილი კაცია.
7) ეს ქალბატონი მეზობელი კორპუსის მაცხოვრებელია.
8) ასეთი საშურელი საქმე არ უნდა გადავდოთ.
9) რა გაქვს დასალევი? დილიდან ყელი მიშრება.

10) ჯერ დააპურე ეს მოშიებული ხალხი და მერე გაარკვიე, რა მოხდა.

11.2.4. იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები.

1) არაერთმა მამულიშვილმა ისახელა თავი გამანთავისუფლებელ მოძრაობაში.
2) ახლახან დარეცხილი ქურთუკი ისევ დასვარა პატარამ.
3) მისი შემოქმედება წაურშლელ შთაბეჭდილებას უქმნის მკითხველს.
4) ქუჩის ბოლოში ცხოვრობს ძველი ავეჯის გამანახლებელი.
5) ეს გაუნვითარებელი არსებები რამდენიმე ათასი წლის წინ გადაშენდნენ.
6) პოლონელი მოთამაშეებისათვის წაურმატებელი იყო შეხვედრის პირველი ნახევარი.
7) პოეტის ნატვრა გაუნხორციელებელი დარჩა.
8) განწმენდილი ჯამ-ჭურჭელი თავმომწონედ გადმოიყურებოდა თაროდან.
9) მომხსენებელს აუდიტორიისათვის წაურდგენელი დარჩა საექსპერიმენტო მასალა.
10) დედამ სადილისათვის გარჩეული ბოსტნეული დამაჭრევინა.

11.2.5. გამართეთ წინადადებები.

1) ბიჭმა გატნეული წიგნი სამკითხველო დარბაზში დატოვა.
2) ჩვენი გამერთიანებელი მხოლოდ სიყვარულია.
3) ახალგაზრდა წყვილს არავინ ჰყავდა ხელის გამართავი.
4) ავიაგამნადგურებლები მოწინააღმდეგის საჰაერო სივრცეში შეიჭრნენ.
5) ამ შემთხვევის შემდეგ ვინ იქნება ჩემი გამმტყუნებელი?!.
6) ნორჩ ყანას დიდად წაადგება მიწის გამნოყიერებელი საშუალებები.
7) ბიჭმა დამმცირებელ სიტუაციაში წარმოიდგინა თავი.
8) უცბად დატრუალებულმა კარუსელმა გოგონას თავბრუ დაახვია.
9) გაწუმპულმა ბავშვებმა მიტოვებულ ქოხს შეაფარეს თავი.
10) მათხოვარს კიბეებზე დაპნეული ხურდა ფულისკენ გაექცა თვალი.

11.2.6. გამოიყენეთ სიტყვათა ჩამონათვალი გამოტოვებული ადგილების შესავსებად: *ფრინველი, მკითხველი, გამგებელი, მკითხავი, მოახლე, მოყვარული, მფრინავი, გამგები, მოყვარე, მხლებელი.*

1) სტუმრებს ქალბატონის ---------- გაუძღვა დარბაზისკენ.
2) ნინოს ბიძაშვილი არ არის ნადირობის ---------- .
3) ამ ამბის ---------- ახლა თავს არიდებს სხვებთან შეხვედრას.
4) გ. დოჩანაშვილის მოთხრობებს ბევრი ---------- ჰყავს.
5) გუშინ სტუმრად მყავდა ჩემი ---------- .
6) მეფის ---------- ამალას ჩამორჩა და ტყეში დაიკარგა.
7) უცხო ---------- გუგულის ბუდეს დასტრიალებს.
8) მაგას ---------- რას უშველის?!. ურჩევნია, გონებას მოუხმოს!
9) რაიონის ---------- უხუცესებთან შეხვედრას გეგმავს.
10) ქართველი ---------- დღეს ურთულეს საჰაერო გამოცდას აბარებს.

ტესტი N 11

ზმნისაგან ნაწარმოები სახელები (საწყისი და მიმღეობა)

- საწყისის წარმოება და მართლწერა
- მიმღეობის წარმოება და მართლწერა

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

საწყისი არის:

ა) მოქმედების / მდგომარეობის სახელი;

ბ) მიმღეობის ერთ-ერთი სახელი.

2. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

საწყისის ძირითადი მაწარმოებელია:

ა) **-ა** სუფიქსი;

ბ) **-ნ, -ოლ, -ომ** სუფიქსები.

3. შემოხაზეთ ბირითადისგან განსხვავებული წარმოების საწყისები.

ა) პოვ-ნ-ა, თხოვ-ნ-ა, ჟრუ-ოლ-ა, თრთ-ოლ-ა, ჯდ-ომ--ა, დგ-ომა;

ბ) ჩივ-ილ-ი, ტკივ-ილ-ი, ლოდ-ინ-ი, ზოზ-ინ-ი, სი-ხარ-ულ-ი, სი-ბრალ-ულ-ი.

4. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

საწყისს მრავლობითის ფორმები ეწარმოება, როცა:

ა) ზმნურ ნიშნებს სრულად კარგავს;

ბ) ზმნურ ნიშნებს ინარჩუნებს.

5. რომელია სწორი განმარტება?

საწყისის მრავლობითის ფორმები: **ჩივილები, სწავლანი**

ა) სალიტერატურო ნორმის დარღვევად ითვლება;

ბ) სალიტერატურო ფორმებია.

6. რომელია მცდარი განმარტება?

საწყისის საწარმოებლად გამოიყენება:

ა) აწმყოს ან მყოფადის მწკრივის ფუძე;

ბ) მიმღეობის ფუძე.

7. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

საწყისის წარმოებისას იკარგება მწკრივის ფუძის **-ავ / -ამ** მაწარმოებელთა:

ა) **ა** ხმოვანი, **ვ, მ** თანხმოვნები კი უცვლელად რჩება;

ბ) **ვ, მ** თანხმოვნები, **ა** ხმოვანი კი უცვლელად რჩება.

8. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

რეკვა და **რეკა** საწყისებიდან ზმნური ფორმების წარმოება:

ა) პირველი ფორმის მიხედვით ხდება (მაგ, „მობილური ტელეფონით რეკავს");

ბ) მეორე ფორმის მიხედვით ხდება (მაგ., „მობილური ტელეფონით რეკს").

9. შემოხაზეთ საწყისის სწორი ფორმები.

ა) კლვა, ხნვა, წრთვნა;

ბ) კვლა, ხვნა, წვრთნა.

10.რომელია შეცდომა?

ა) წერვა, ბანვა. ტეხვა, ჩეხვა;

ბ) წერა, ბანა, ტეხა, ჩეხა.

11.შემოხაზეთ ორი სწორი წინადადება.

ა) მიყვარს სააღდგომო კვერცხის ღებვა;

ბ) მიყვარს სააღდგომო კვერცხის ღება;

გ) ახლოვდება ნათლისღება;

დ) ახლოვდება ნათლისღებვა;

12.რომელ ვარიანტშია მცდარი ფორმები?

ა) კრება – კრებს; წყვეტა – წყვეტს;

ბ) კრებვა – კრებავს; წყვეტვა – წყვეტავს.

13.რომელია სწორი წინადადება?

ა) ამ ძაღლის ყეფვას ვეღავ ვუძლებ.

ბ) ამ ძაღლის ყეფას ვეღავ ვუძლებ.

14.შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი მცდარი ფორმაა.

ა) თრთოლა, ქროლვა;

ბ) სროლა, ჟრჟოლა.

15.შემოხაზეთ უშეცდომო წინადადება.

ა) ელენემ ვერ ისწავლა წილადების შეკვეცვა.

ბ) ელენემ ვერ ისწავლა წილადების შეკვეცა.

16.რომელია სწორი?

საწყისის ნორმატიული ფორმებია:

ა) საუბარი, ქეიფი, მუსაიფი, ლოდინი, ყოყმანი;

ბ) საუბრობა, ქეიფობა, მუსაიფობა, ლოდნა, ყოყმანობა.

17.შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

სიტყვები: **ცურავი / ცურაობა, გუნდავი, ყირავი, შეჯიბრი**

ა) ნორმატიული ფორმებია;

ბ) არანორმატიული ფორმებია.

18.რომელია სწორი წინადადება?

ა) ბებომ წინდის ქსოვნა მასწავლა;

ბ) ბებომ წინდის ქსოვა მასწავლა;

19.შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ხვეწა – ხვეწნა; თხოვა – თხოვნა; ყოფა – ყოფნა

ა) ერთი და იმავე მნიშვნელობის ნორმატიული და არანორმატიული ფორმებია;

ბ) სხვადასხვა მნიშვნელობის ნორმატიული ფორმებია.

20.შემოხაზეთ სწორი წინადადება.

ა) ჩვენს დროში ფულის შოვა ძნელია;

ბ) ჩვენს დროში ფულის შოვნა ძნელია;

21.რომელია მცდარი პასუხი?

ა) მიმღეობა ზედსართავი სახელის ფუნქციით გამოიყენება წინადადებაში.

ბ) მიმღეობა არსებითი სახელის ფუნქციით გამოიყენება წინადადებაში.

22.შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ა) მიმღეობა მოქმედი პირის /საგნის აღმნიშვნელი სახელია;

ბ) მიმღეობა სამოქმედო პირის /საგნის აღმნიშვნელი სახელია;

გ) მიმღეობა მოქმედი ან სამოქმედო პირის /საგნის აღმნიშვნელი სახელია.

23.მონიშნეთ მცდარი პასუხი.

მოქმედი პირის /საგნის აღმნიშვნელი მიმღეობები იწარმოება:

ა) **მ- , მ(ა) – არ (/-ალ), მ(ა) – ელ** აფიქსებით;

ბ) **-ილ / -ულ** სუფიქსებით.

24.შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც არის გაარსებითებული მიმღეობის მაგალითები.

ა) გაკეთებული, მოვლილი, ასაღები, სათრევი, მქუხარე;

ბ) მშენებელი, მწერალი, მხატვარი, მასწავლებელი, მშობელი.

25.შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც მ- პრეფიქსით ნაწარმოები ფორმაა.

ა) მმართველი, მაძებარი, მნდომი, მაცქერალი;

ბ) მხედველი, შემმოსველი, მაწყევარი, გამკეთებელი.

26.რომელია სწორი?

ა) მომტანი, მიმცემი;

ბ) მომტანელი, მიმცემელი.

27.რომელია შეცდომა?

ა) მცხოვრები, დამღლელი, მჯღაბნელი;

ბ) მაცხოვრებელი, დამღალველი, მჯღაბნავი.

28.მონიშნეთ სწორი ფორმები.

ა) მღიმარი / მოღიმარი; მცინარი / მოცინარი;

ბ) მომღიმარი / მომღიმარე; მომცინარი / მომცინარე.

29.შემოხაზეთ ის წინადადება, რომელშიც შეცდომაა.

ა) მომჩივანი და მოპასუხე ცალ-ცალკე დაიბარეს სასამართლოში;

ბ) მომჩივარი და მოპასუხე ცალ-ცალკე დაიბარეს სასამართლოში;

30.შემოხაზეთ უშეცდომო წინადადება.

ა) საღამოს მეგობრებმა მოინახულეს ლოგინში მწოლიარე ნიკა;

ბ) საღამოს მეგობრებმა მოინახულეს ლოგინში მწოლარე ნიკა.

31.რომელია სწორი?

ა) მიყვარს მოკასკასე გოგონები;

ბ) მიყვარს მოკისკისე გოგონები.

32.მონიშნეთ მცდარი ფრაზები.

ა) ჩაქრობილი ცეცხლი; მჩქეფავი ცხოვრება; დადნობილი კარაქი; მცხუნავი მზე;

ბ) ჩამქრალი ცეცხლი; მჩქეფარე ცხოვრება; დამდნარი კარაქი; მცხუნვარე მზე.

33.მონიშნეთ სწორი პასუხი.

პარალელური ფორმებიდან: **მძინარი / მძინარე, მღვიძარი / მღვიძარე** სწორია:

ა) ერთ-ერთი ფორმა;

ბ) ორივე ფორმა.

34.შემოხაზეთ სწორი პასუხი.

წარსული დროის მიმღეობათა მაწარმოებლებია:

ა) **-ილ, -ულ** სუფიქსები, **ნა-** პრეფიქსი და **ნა – არ / ნა – ევ** პრეფიქს-სუფიქსები;

ბ) **სა-** პრეფიქსი და **სა-ელ** პრეფიქს-სუფიქსები.

35.შემოხაზეთ მცდარი წინადადება.

ა) სოფელში ბევრი მაქვს სათოხი და საბარი.

ბ) სოფელში ბევრი მაქვს სათოხნი და საბარავი.

36.რომელია სწორი ფრაზები?

ა) საბრუნალი თანხა; მოსაგონი შემთხვევა; შესაკმაზი ლობიო;

ბ) საბრუნავი თანხა; მოსაგონებელი შემთხვევა; შესაკაზმი ლობიო.

37.შემოხაზეთ მცდარი წინადადება.

ა) ახალდაქორწილებული წყვილი სამოგზაუროდ გაემგზავრა.

ბ) ახალდაქორწინებული წყვილი სამოგზაუროდ გაემგზავრა.

38.შემოხაზეთ სწორი წინადადება.

ა) ჩემი ცხოვრება ერთი დაუწერავი წიგნია.

ბ) ჩემი ცხოვრება ერთი დაუწერელი წიგნია.

39.შემოხაზეთ არანორმატიული ფორმები.

ა) მოუსყიდავი, მოურიდალი, გაუტეხავი, უშფოთვარი, უცოდვილო;

ბ) მოუსყიდველი, მოურიდებელი, გაუტეხელი, უშფოთველი, უცოდველი.

40.აირჩიეთ სწორი ვარიანტი წესის დასასრულებლად.

მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსით ზმნისწინის გაბლეჩა

ა) დასაშვებია;

ბ) დაუშვებელია.

41.მონიშნეთ ის ვარიანტი, რომელშიც ნორმატიული ფორმებია.

ა) ასაღმართი, ასაღდგენი; გამანახლებელი, გაუნვითარებელი, წაურშლელი;

ბ) აღსამართი, აღსადგენი, განმაახლებელი, განუვითარებელი, წარუშლელი.

42.შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

სალიტერატურო ფორმებია:

ა) დასალევი, დაპნეული, გაწუმპული, გატნეული, მიმგვანებული;

ბ) სასმელი, დაბნეული, გაწუწული, გატანებული, მიმსგავსებული.

43.შემოხაზეთ სწორი პასუხი.

მ- თავსართიანი მიმღეობის ფორმებში **მ** თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან

ა) თავს მოიყრის ორი **მ**;

ბ) დაიკარგება ფუძისეული **მ**.

44.შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.

ა) მართველი, გამიჯვნელი, შემოსავი;

ბ) მმართველი, გამმიჯვნელი, შემმოსავი.

45.რომელია მცდარი ვარიანტი?

ა) გამმართლებელი, გამმტყუნებელი, გამნადგურებელი.

ბ) გამამართლებელი, გამამტყუნებელი, გამანადგურებელი;

46.შემოხაზეთ სწორი განმარტება.

ლექსიკურად განსხვავებული მიმღეობები: **მკითხავი – მკითხველი; გამგები – გამგებელი, მოახლე – მხლებელი; მფრინავი – (მ)ფრინველი, მოყვარე – მოყვარული** მიღებულია:

ა) ერთსა და იმავე ფუძეზე სინონიმური აფიქსების დართვით;

ბ) სხვადასხვა ფუძეზე სინონიმური აფიქსების დართვით.

47.შემოხაზეთ ნორმატიული ფრაზები.

ა) გადაგდებული ვაშლები, დამჯდარი ხალხი, გარეცხილი თეფშები, დაწმენდილი ფანჯარა;

ბ) გადაყრილი ვაშლები, დამსხდარი ხალხი, დარეცხილი თეფშები, გაწმენდილი ფანჯარა.

12. კომპოზიცია

12.1. კომპოზიტის რაობა და ჯგუფები

კომპოზიტები იგივე რთული სიტყვებია, რომლებიც მიღებულია ფუძის გაორკეცებით ან რამდენიმე ფუძის შეერთებით. შდრ.:

თავი (მარტივი) – სათავე (წარმოქმნილი) – თავთავი, თავ-ტანი (რთული).

კომპოზიტთა ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: ერთცნებიანი და ორ- ან მეტცნებიანი კომპოზიტები. იმის გარჩევა, თუ რამდენცნებიანია კომპოზიტი, ძნელი არ არის; თუ რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილები:

– მხოლოდ ერთი მნიშვნელობის გამოხატვას ემსახურება, კომპოზიტი ერთცნებიანია; როგორც წესი, ეს მნიშვნელობა არ უდრის რთული სიტყვის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს; მაგ.: **ციხისთავი, დედაბერი, ხელგაპყროზილი, ზემდეგი, ქვეგანყოფილება... ბიზნესგეგმა, კიბერუსაფრთხოება, ვებგვერდი, ინტერნეტსივრცე... კრედიტოფიცერი, ბიზნესპარტნიორი...**

– ინარჩუნებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მნიშვნელობებს, რომელთა შემოწმებაც შესაძლებელია ამ ნაწილებს შორის მაჯგუფებელი და კავშირის ლოგიკურად აღდგენით, კომპოზიტი ორ- ან მეტცნებიანია, მაგ.: **სტუმარ-მასპინძელი** (სტუმარი და მასპინძელი); **სახლ-კარი** (სახლი და კარი), **ბაღ-ბოსტანი** (ბაღი და ბოსტანი), **მთა-ბარი** (მთა და ბარი), **კარ-ფანჯარა** (კარი და ფანჯარა), **წარბ-წამწამ-თვალნი** (წარბნი, წამწამნი და თვალნი); **კალამ-ფანქარ-სახაზავი** (კალამი, ფანქარი და სახაზავი); შდრ.: „ციხის და თავი“, „ზე და მდეგი“...

12.2. კომპოზიტების წარმოება და მართლწერა

კომპოზიტთა მართლწერა, ძირითადად, განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენ ცნებას გამოხატავენ ისინი: **ერთცნებიანი კომპოზიტები იწერება უდეფისოდ, ხოლო ორ- და მეტცნებიანები – დეფისით.**

ერთცნებიან კომპოზიტებს მიეკუთვნება, ე.ი. უდეფისოდ იწერება:

- ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები; აქ მოიაზრება სხვადასხვა შემთხვევა:

– მარტივი გაორკეცება: **ბაჯბაჯი, ლაქლაქი, რაკრაკი, ჩიფჩიფი, ჩუხჩუხი...**

– გაორკეცება ფუძისეული ხმოვნის ან თანხმოვნის შეცვლით: **აბდაუბდა, ბრაგაბრუგი, რახარუხი, კანტიკუნტად, ბიჭბუჭები, მიეთმოეთი... ჟივილხივილი, ხურდამურდა, ბარბაცი, ქერქეტი, ზანზარი, წანწალი...** ხმოვნისა და თანხმოვნის შეცვლით: **ქოხმახი, კუჭმაჭი...** თანხმოვნის დამატებით: **ავანჩავანი, ინჩიბინჩი, ალხანაჩალხანა...**

– **-ა-**სუფიქსიანი გაორკეცება: **ლიკლიკა, ლივლივა, კამკამა, კაშკაშა, ცანცარა...**

- და კავშირით შეერთებული კომპოზიტები, მათ შორის – რიცხვითი სახელები 21-დან 100-მდე: **ფეხდაფეხ, ცხენდაცხენ, სხვადასხვა, კარდაკარ, კვალდაკვალ, შიგადაშიგ, ხანდახან, დღედაღამ** (შდრ.: დღე და ღამე)... **ოცდახუთი, ორმოცდაჩვიდმეტი, ოთხმოცდასამი...**

- სხვადასხვა კატეგორიის სიტყვათა კომბინაციით მიღებული კომპოზიტები, მაგ.:

– არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი: **კაბაჭრელი, პირმწარე, ტანდაბალი, ფეხმარდი, ჰკუასუსტი, თავცარიელი...**

– რიცხვითი სახ. + არს. სახ.: **ერთგული, ორპირი, ორხევი, სამცაცხვი, ცხრაწყარო...**

– არსებ.სახ.+მიმღეობა: **ყინულმჭრელი, კუდამოძუებული, ყურმოჭრილი, სახელგატეხილი, თავდადებული, თავგასიებული, წყალწაღებული, თვალებანთებული, გულდახურული, ჯიბეგამოფხეკილი...**

– არსებ.სახ.+არსებ.სახ.+მიმღეობა: წვერულვაშგათეთრებული, ცხვირპირჩამომტირალი, თავლაფდასხმული, თვალყურმოდუნებული, გულხელდაკრეფილი, თავქუდმოგლეჯილი, პირჩალაგამოვლებული...

შდრ.: მრავალწევრა კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი ცალკე დაიწერება თანდებულის აღდგენის შემთხვევაში: პირში ჩალაგამოვლებული; თავზე ხელაღებული; თვალზე ცრემლმომდგარი; შუბლზე ოფლგადამდინარი...

– კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელი წევრი თანდებული ან ზმნიზედაა: ზედნაშენი, ზედამხედველი, თანამშრომელი, თანამეცხედრე, შინამოსამსახურე, წინამორბედი, წინკარი, წყალქვეშა, კუჭქვეშა, კანზედა...

• სიტყვამაწარმოებელაფიქსებიანი კომპოზიტები: შავტარა, დიდგულა, წითელპერანგა, გულწითელა, კუდმაკრატელა... ხისტარიანი, წითელდიპლომიანი, მაღალდეზებიანი, შავსათვალიანი, ბასრპირიანი, დაბალქუსლიანი, ორსაათიანი, სამგანყოფილებიანი... ოქროსმედალოსანი... მეორეკლასელი, მეზობელუბნელი, არაგვისპირელი...

• შეთანხმებულმსაზღვრელიანი კომპოზიტები: ქალბატონი, ხარირემი, ვაჟკაცი, ძვირფასი, ავდარი, ახალგორი, ახალქალაქი, დაბაძველი, ქალიშვილი, დედაბერი, დედაბოძი, სამგორი, ორხევი, დედაჩემი, პაპაშენი, დეიდათქვენი... შდრ., დეფისით დაიწერება საზღვრულ სიტყვასთან დანართის (არსებითი სახელით გადმოცემული განსაზღვრება) შერწყმით მიღებული კომპოზიტები (კომპოზიტის პირველი წევრი ფუძის სახით უნდა იყოს): სახლ-მუზეუმი, წევრ-კორესპონდენტი, პოეტ-აკადემიკოსი, გენერალ-პოლკოვნიკი, ინჟინერ-მექანიკოსი, რევიზორ-ბუღალტერი, ვიცე-პრემიერი...

• მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები: ვერცხლისწყალი, გუთნისდედა, ხიდისთავი, ცხენისწყალი... დედინაცვალი, ნათლიდედა, ბიძაშვილი... გულთამხილავი, მზეთუნახავი, მზეთამზე, სამთაწყარო, წიგნსაცავი, ქვითკირი, ავადმყოფი, ბმადნაფიცი, ყმადნაფიცი...

აქვე გასათვალისწინებელია რამდენიმე შემთხვევა, კერძოდ:

– თუ ერთცნებიანი კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი ციფრია, დეფისით უნდა გამოიყოს, მაგ.: 8-ფურცლიანი, 25-კილოგრამიანი,40-გრადუსიანი, II-თანრიგოსანი, III-კლასელი...

– თუ ერთმანეთს მოსდევს ორი ან მეტი ისეთი ერთცნებიანი კომპოზიტი, რომელთა ბოლო შემადგენელი ნაწილი ერთი და იგივე სიტყვაა, სიმოკლისათვის ეს სიტყვა მხოლოდ ბოლო კომპოზიტთან დაიწერება, წინა კომპოზიტს / კომპოზიტებს კი საკომპენსაციოდ დეფისი დაერთვის, მაგ.: ტელე- და რადიოგადაცემები, ერთ-, ორ- და სამვარსკვლავიანი სასტუმროები...

ორ- და მეტცნებიან კომპოზიტებს მიეკუთვნება, ე.ი. დეფისით იწერება:

• სინონიმური, ანტონიმური ან რაიმე მნიშვნელობით ახლოს მდგომი სიტყვები: დედ-მამა, და-ძმა, რბალ-დედამთილი, სიძე-სიმამრი, ბედ-იღბალი, ბალ-ღონე, ტოლ-ამხანაგი, ღარიბ-ღატაკი, შეჭამა-შეახრამუნა, დიდ-პატარა, მტერ-მოყვარე, შავ-თეთრი, მთა-ბარი, სიტყვა-პასუხი, თვალ-წარბი... წერა-კითხვა, ორი-სამი, ათი-თორმეტი, მშვილდ-ისარი, ფარ-ხმალი, ქართლ-კახეთი, ინგლისურ-რუსულ-ქართული...

• სხვადასხვაფუძიანი ან სხვადასხვაზმნისწინიანი ზმნები: გააცივ-გააცხელა, დაჭრა-შეკერა, დაწმინდა-დარეცხა... წავიდ-წამოვიდნენ, გაიარ-გამოიარა, გააჭენ-გამოაჭენა, ახტა-დახტა, ასწია-დასწია...

• ფუძეგაორკეცებული სახელები, ასევე – ზმნიზედები: **ორ-ორი, ხუთ-ხუთი, ცხელ-ცხელი, ცივ-ცივი... თავ-თავისი... ტყე-ტყე, ნაპირ-ნაპირ, ქუჩა-ქუჩა, მინდორ-მინდორ... ზევით-ზევით, მაღლა-მაღლა, წინ-წინ...**

მართლწერის წესების მიხედვით, ორ- და მეტცნებიან კომპოზიტს:

– დეფისი აღარ უნდა სიტყვამაწარმოებელი აფიქსის / აფიქსების დართვისას; შდრ.:

დედ-მამა	–	უდედმამო
ცოლ-შვილი	–	ცოლშვილიანი / საცოლშვილო
და-ძმა	–	დაძმობა...

– დეფისი შეუნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ მის შემადგენელ ნაწილებს ცალ-ცალკე დაერთვის სიტყვამაწარმოებელი აფიქსი / აფიქსები; შდრ.:

უსახლკარო	–	უსახლ-უკარო
ცოლშვილიანი	–	ცოლიან-შვილიანი
სტუმარმასპინძლობა	–	სტუმრობა-მასპინძლობა

სავარჯიშოები

12.2.1. შეადგინეთ კომპოზიტები ქვემოთ წარმოდგენილი სიტყვების გამოყენებით:

1) ოთხი, გამოღმა, წინ, შავი, გაღმა, ცხვირი, სამი, წითელი.
2) კაცი, კარი, გული, ხახა, მკერდი, მშრალი, დედა, მიდამო.
3) ტიტველი, ბაღი, გატეხილი, ტყე, პირი, ბოსტანი, ველი, სახელი.

12.2.2. გაასწორეთ შეცდომები.

1) ციხის თავი შინ გვიან დაბრუნდა.
2) გაქცეულს კვალ და კვალ მისდევდნენ.
3) ათასობით კირით ხურო იგზავნებოდა ტაძრის მშენებლობაზე.
4) მისი პოეზიის 2 ტომეული გამოცემისთანავე გაიყიდა.
5) სამხედრო ქვე დანაყოფმა საომარი მოქმედება დაიწყო.
6) ისევდაისევ ძლიერდებოდა მტანჯველი ფიქრი.
7) დილის ნისლი თანდა თან იფანტებოდა.
8) ქვით-კირის შენობას სახურავი დაუზიანა ქარმა და წვიმამ.
9) წყალ წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო.
10) ამ საქმის ავან-ჩავანი დარეჯანია.

12.2.3. ფრჩხილებში ჩასმული ვარიანტებიდან შეარჩიეთ სწორი ფორმა და ჩასვით წინადადებებში.

1) (ვერცხლის-წყლის / ვერცხლის წყლის / ვერცხლისწყლის) ბურთულები ბალახებში მიმოიფანტა.
2) აქვე ბუდე გაიკეთა (გულწითელა / გულ-წითელა / გულ წითელა) ჩიტმა.
3) (ჭკუა-სუსტი / ჭკუა და სუსტი / ჭკუასუსტი) მეგობრებისგან სასიკეთოს ნურაფერს ელი!
4) მკითხავმა გოგოს (შავ ტარიანი / შავ-ტარიანი / შავტარიანი) დანა მოატანინა.
5) დღეს სტუმრად მივდივართ სოფელ (სამთა-წყაროში / სამთა წყაროში / სამთაწყაროში).
6) ქეთევანი (ავ კარგიანი / ავ-კარგიანი / ავკარგიანი) ქალია.
7) (ბიჭ-ბუჭებით / ბიჭბუჭებით / ბიჭ ბუჭებით) გავსებულა სოფლის მოედანი.
8) (მეფისნაცვალთან / მეფის-ნაცვალთან / მეფის ნაცვალთან) ბევრი ცდილობდა დაახლოებას.
9) სად უნდა წავიდეს ეს (უცხვირ პირო / უცხვირ-პირო /უცხვირპირო) კაცი?!
10) კარგა ხანია, სახლის სხვენიდან (ბრაგა-ბრუგი / ბრაგაბრუგი / ბრაგა ბრუგი) ისმის.

12.2.4. მოცემული სიტყვებიდან -იან, -ობა, სა-ე, სა-ო, უ-ო, მო-ე აფიქსების დართვით აწარმოეთ კომპოზიტთა შესაძლო ვარიანტები.

1) მთა-ბარი –
2) პურმარილი –
3) ცხვირ-პირი –
4) ბაღ-ვენახი –
5) დედმამიშვილი –

12.2.5. აირჩიეთ სწორი წინადადებები.

1) ინფორმაცია მომხდარის შესახებ ტელე რადიო ჟურნალისტებმა მოამზადეს.
2) ინფორმაცია მომხდარის შესახებ ტელერადიოჟურნალისტებმა მოამზადეს.

3) ოთახის კუთხეში იდგა პირ-მოტეხილი სპილენძის თუნგი.
4) ოთახის კუთხეში იდგა პირმოტეხილი სპილენძის თუნგი.

5) საკონფერენციო დარბაზში ბიზნესპარტნიორთა შეხვედრა გაიმართა.
6) საკონფერენციო დარბაზში ბიზნეს პარტნიორთა შეხვედრა გაიმართა.

7) ახალგაზრდა კრედიტ-ოფიცერი სამსახურიდან დაითხოვეს.
8) ახალგაზრდა კრედიტოფიცერი სამსახურიდან დაითხოვეს.

9) კუდაგრძელი მელა საქათმისკენ მიიპარება.
10) კუდა გრძელი მელა საქათმისკენ მიიპარება.

11) მთავრობის კანცელარიასთან გამართულ აქციას დღეს ყველა ტელე-არხი უჩვენებს.
12) მთავრობის კანცელარიასთან გამართულ აქციას დღეს ყველა ტელეარხი უჩვენებს.

13) პატარა ბიჭები დილიდან ინტერნეტკაფეში არიან.
14) პატარა ბიჭები დილიდან ინტერნეტ-კაფეში არიან.

15) რადიოგადაცემის წამყვანმა მსმენელებს სტუმარი წარუდგინა.
16) რადიო გადაცემის წამყვანმა მსმენელებს სტუმარი წარუდგინა.

17) სინტერესოა ამ ქალბატონის სიტყვა-პასუხი.
18) სინტერესოა ამ ქალბატონის სიტყვაპასუხი.

19) უთვის ტომოდ ყოფნა ძალიან ძნელია.
20) უთვისტომოდ ყოფნა ძალიან ძნელია.

ტესტი N 12

კომპოზიცია

- კომპოზიტის რაობა და ჯგუფები
- კომპოზიტების წარმოება და მართლწერა

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ა) კომპოზიტები იგივე რთული სიტყვებია.

ბ) კომპოზიტები იგივე მარტივფუძიანი სიტყვებია.

2. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

ა) კომპოზიტთა ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: ერთცნებიანი და ორ- ან მეტცნებიანი კომპოზიტები.

ბ) კომპოზიტთა სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: ერთცნებიანი, ორ- ან მეტცნებიანი და მრავალცნებიანი კომპოზიტები.

3. რომელი პასუხია სწორი?

ერთცნებიანი კომპოზიტის მნიშვნელობა:

ა) არ უდრის მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს;

ბ) იგივეა, რაც მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამი.

4. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთცნებიანი კომპოზიტებია.

ა) სტუმარ-მასპინძელი, მტერ-მოყვარე, სახლ-კარი, წარბ-წამწამ-თვალი;

ბ) ციხისთავი, დედაბერი, ვებგვერდი, ინტერნეტსივრცე.

5. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

კომპოზიტის შემადგენელ ნაწილებს შორის და კავშირის აღდგენით შესაძლებელია გაირკვეს, აქვთ თუ არა ამ ნაწილებს:

ა) დამოუკიდებელი მნიშვნელობა;

ბ) რაიმე თავსართ-ბოლოსართი.

6. რომელი პასუხია სწორი?

უდეფისოდ იწერება:

ა) ერთცნებიანი კომპოზიტები;

ბ) ორ- და მეტცნებიანები კომპოზიტები.

7. რომელია ნორმატიული ფორმები?

ა) ბაჯ-ბაჯი, ლაქ-ლაქი, რაკ-რაკი;

ბ) ბაჯბაჯი, ლაქლაქი, რაკრაკი.

8. რომელი პასუხია სწორი?

ფორმებში: **აბდაუბდა, ბრაგაბრუგი, რახარუხი** მომხდარია:

ა) მარტივი გაორკეცება;

ბ) გაორკეცება ფუძისეული თანხმოვნის შეცვლით;

გ) გაორკეცება ფუძისეული ხმოვნის შეცვლით.

9. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

და კავშირით შეერთებული კომპოზიტები იწერება:

ა) ერთად;

ბ) ცალ-ცალკე.

10. რომელი ვარიანტის ფორმებია ნორმატიული?

ა) ტანდაბალი, კაბაჭრელი, წყალწაღებული, ყინულმჭრელი;

ბ) ტან დაბალი, კაბა ჭრელი, წყალ წაღებული, ყინულ მჭრელი.

11. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

მრავალწევრა კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი თანდებულის აღდგენის შემთხვევაში დაიწერება:

ა) ცალკე;

ბ) დეფისით.

12. რომელია მცდარი ფორმა?

ა) პირში ჩალაგამოვლებული;

ბ) პირში-ჩალაგამოვლებული;

გ) პირჩალაგამოვლებული;

13. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ერთი შეცდომაა.

ა) ზედა-მხედველი, წყალქვეშა, შინამოსამსახურე;
ბ) წინამორბედი, ზედნაშენი. თანამშრომელი.

14. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

სიტყვამაწარმოებელაფიქსიანი კომპოზიტები იწერება:
ა) დეფისით;
ბ) ერთად.

15. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.

ა) შავ-ტარა, დაბალ-ქუსლიანი, მეზობელ-უბნელი;
ბ) შავტარა, დაბალქუსლიანი, მეზობელუბნელი.

16. შემოხაზეთ ორი მცდარი ვარიანტი.

ა) ოცმეთაური;
ბ) ოც-მეთაური;
გ) 20-მეთაური;
დ) 20მეთაური.

17. რომელია სწორი?

ა) სახლ-მუზეუმი, წევრ-კორესპონდენტი, პოეტ-აკადემიკოსი;
ბ) სახლი-მუზეუმი, წევრი-კორესპონდენტი, პოეტი-აკადემიკოსი.

18. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ერთცნებიანი კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი დეფისით უნდა გამოიყოს, თუ:
ა) ციფრია;
ბ) სახელობით ბრუნვაშია.

19. შემოხაზეთ ორი სწორი ვარიანტი.

ა) ტელე- და რადიო-გადაცემები;
ბ) ტელე- და რადიოგადაცემები;
გ) ტელე და რადიო გადაცემები.
დ) ტელე-/რადიოგადაცემები.

20. რომელია მცდარი ვარიანტი?

ა) ბედიღბალი, ძალღონე,, ორისამი, წითელყვითელი;
ბ) ბედ-იღბალი, ძალ-ღონე,, ორი-სამი, წითელ-ყვითელი.

21. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.

ა) გააცივ-გააცხელა, ახტა-დახტა; მაღლა-მაღლა, ნელ-ნელა;
ბ) გააცივ გააცხელა, ახტა დახტა; მაღლა მაღლა, ნელ ნელა.

22. შემოხაზეთ სწორი განმარტება.

ორ- და მეტცნებიანი კომპოზიტი დეფისით აღარ დაიწერება:
ა) ბრუნვის ნიშნების დართვისას;
ბ) სიტყვამაწარმოებელი აფიქსის / აფიქსების დართვისას.

23. მონიშნეთ მცდარი ვარიანტი.

ა) ცოლ-შვილი, სტუმარ-მასპინძელი;
ბ) ცოლ-შვილიანი; სტუმარ-მასპინძლობა;
გ) ცოლშვილიანი; სტუმარმასპინძლობა;
დ) ცოლიან-შვილიანი; სტუმრობა-მასპინძლობა.

13. სიტყვათშემოკლება და აბრევიატურა

13.1. სიტყვათშემოკლებათა მართლწერა

სიტყვათა შემოკლების ტექნიკა ძველთაგანვე ცნობილია. მაგ., ჩვენი წინაპრები ხელნაწერების შედგენისას ამოკლებდნენ – აქარაგმებდნენ[43] ყველაზე ხშირად ხმარებულ სიტყვებს, როგორიცაა: **ქრისტე – ქ˜ე, შეიწყალენ – შ˜ნ, ჩუენ – ჩ˜ნ, ამენ – ა˜ნ** და სხვ.

თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომებისა და პრესის ენისათვის, შეიძლება ითქვას, სპეციფიკურ მახასიათებლადაც კი იქცა სიტყვათა შემოკლება, როგორც სათქმელის სხარტად გადმოცემის პრაქტიკული საშუალება. ძირითადად, ამოკლებენ ისეთი კატეგორიების სიტყვებს, როგორებიცაა, მაგ.:

– **ვინაობა: ალ.** ყაზბეგი, **ივ.** ჯავახიშვილი; შდრ.: **ი.ჯ.**; ზედწოდების შემოკლება დაუშვებელია (იხ. ზემოთ, სახელისა და გვარის / ზედწოდების ერთად ბრუნება).

– **თანამდებობა,** წოდება: **პროფ.** (პროფესორი), **დოც.** (დოცენტი), **ფ.მ.კ.** (ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი), **ასპ.** (ასპირანტი), **ლაბ.** (ლაბორანტი)...

– **მანძილი,** ფართობი: **კმ** (კილომეტრი), **მ** (მეტრი), **მმ** (მილიმეტრი); **ჰა** (ჰექტარი), **კვ.მ** (კვადრატული მეტრი), **კვ.კმ** (კვადრატული კილომეტრი), **კუბ. სმ** (კუბური სანტიმეტრი)...

– **წონა: ტ** (ტონა), **კგ** (კილოგრამი), **გ** (გრამი), **მგ** (მილიგრამი); **ლ** (ლიტრი)...

– **დრო: სთ.** (საათი), **წთ.** (წუთი), **წმ.** (წამი), **ს.** (საუკუნე), **სს.** (საუკუნეები), **წწ.** (წლები), **ახ. წ.** (ახალი წელთაღრიცხვა), **ძვ. წ.** (ძველი წელთაღრიცხვა), **ა.წ.** (ამა წლის), **მ.წ.** (მიმდინარე წლის)...

– **ტექსტის ასაგებად საჭირო სიტყვები: ე.ი.** (ესე იგი), **ა.შ.** (ასე შემდეგ), **ე.წ.** (ეგრეთ წოდებული); **იხ.** (იხილე), **ნახ.** (ნახატი), **შდრ.** (შეადარე), **მაგ.** (მაგალითად), **სურ.** (სურათი), **გვ.** (გვერდი), **ნაწ.** (ნაწილი), **თ.** (თავი), **თხზ.** (თხზულება), **შრ.** (შრომა)...

შემოკლებული სიტყვების ბოლოს დაისმის წერტილი. გამონაკლისია წონისა და ზომის (მანძილის, ფართობის) გამომხატველ სიტყვათა შემოკლებები – მათთან წერტილი არ იწერება (იხ., ასევე, ქვემოთ 16.1. წერტილი).

სავარჯიშო

13.1.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) პროფ. ლ მენაბდის ლექციამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.
2) მიმდ წლის დეკემბერში საერთაშორისო კონფერენციისათვის ემზადებიან.
3) პირველი ქართული სახელმწიფო შეიქმნა ძვ წ III საუკუნეში.
4) სასწ დეპარტამენტის დოკუმენტაციაში ხარვეზი გაიპარა.
5) ჩვენს მაღაზიაში 1 კგ. საქონლის რბილი ხორცი 19 ლარი ღირს.
6) სოფლის ბოლომდე რომ მიხვიდე, მთელი 3 კმ. ფეხით უნდა გაიარო.
7) მასწ გაბიჩვაძის წინადადება დირექტორს არ მოეწონა.
8) ჩემი სტატია დაიბეჭდა უნივერსიტეტის შრ მეორე ტომში.
9) ამ წიგნში, სამწუხაროდ, ვიღაცას ამოუხევია მე-10 გვ
10) 3 კგ. კარტოფილის გამო მთელი დღე დავკარგე!..

[43] ქარაგმა – „სიტყვის შემოკლება“.

13.2. აბრევიატურის მართლწერა

აბრევიატურა (ლათ. abbreviatura) არის გრძელი დასახელებების მოკლედ გადმოცემის მოქნილი საშუალება; ის, ძირითადად, დასაწყის ბგერებად ან მარცვლებად შემოკლებული ორი ან რამდენიმე სიტყვის შეერთებით მიიღება.

უცხოური აბრევიატურის მაგალითები:

ლაზერი – [ინგლ. Lazer (შემოკლ.) < light amplification by stimulated emission of radiation სინათლის გაძლიერება ინდუცირებული გამოსხივების საშუალებით] - ხელსაწყო მონოქრომატული სინათლის არაჩვეულებრივად ინტენსიური და ვიწრო კონის მისაღებად; გამოიგონეს 1960 წ.; დიდი გამოყენება აქვს ტექნიკაში, მედიცინაში, სამეცნიერო გამოკვლევებში და სხვ. (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989, გვ. 270);

მაზერი – [ინგლ. Mazer (შემოკლ.) < microwave amplification by stimulated emission of radiation მიკროტალღების გაძლიერება ინდუცირებული გამოსხივების საშუალებით] - ხელსაწყო ზეჩქარული სიხშირის ელექტრომაგნიტურ რხევათა წარმოსაქმნელად; მოლეკულური გენერატორი (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989, გვ. 289);

ნატო – [ინგლ. HATO (შემოკლ.) < North Atlantic Treaty Organization ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია] - ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური კავშირი (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989,გვ. 332);

უეფა – [ფრანგ. UEFA შემოკლ. < Union Europeenne de Football-Associations] – საფეხბურთო ასოციაციათა ევროპის კავშირი (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989, გვ. 510);

თი–ბი–სი – TBC: თბილისის ბიზნესცენტრი;

ბი–ბი–სი – BBC: The British Broadcasting Corporation – ბრიტანეთის სამაუწყებლო კომპანია;

ენ–ბი–სი – NBC :The National Broadcasting Company – აშშ-ის რადიო- და ტელესამაუწყებლო კომპანია...

ქართული აბრევიატურის მაგალითები:

ეგმ – ელექტრონული გამომთვლელი მანქანა;

მქკ – მარგი ქმედების კოეფიციენტი;

თემქა – თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხანა;

თსუ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

თსსუ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;

ცსკო – ცენტრალური საარჩევნო კომისია;

შსს – შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ჰესი – ჰიდროელექტროსადგური;

საქრკინიგზა – საქართველოს რკინიგზა...

აბრევიატურების მართლწერასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი:

- აბრევიატურის ფუძე ფონეტიკურ ცვლილებებს (კუმშვა, კვეცა) არ განიცდის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ფუძის ბოლო ნაწილს სრული სიტყვა წარმოადგენს (კუმშვადი / კვეცადი), ან თავად აბრევიატურა „გასიტყვებულია“; მაგ., შდრ.: **ელნათურა – ელნათურის; თემქა - თემქის, ექთანი – ექთნის...**
- განსხვავებულია საწყისი ასოებით შედგენილი ქართული და უცხო აბრევიატურების ორთოგრაფია, კერძოდ, ქართული აბრევიატურა უდეფისოდ იწერება, უცხო კი – დეფისით; შდრ.: ქართ.: **თსუ, შპს, მქკ...**

უცხ.: **თი–ბი–სი, ბი–ბი–სი, ენ–ბი–სი...**

განსხვავების მიზეზი ისაა, რომ უცხო აბრევიატურის დასახელებისათვის უცხოურ ასოთა შესაბამისი სახელებია საჭირო, ქართული ასოების ლათინური ანბანის ანალოგიურად გახმოვანება კი უმართებულოა; შეცდომაა: თე–სე–უ, შე–პე–სე...

• ასოებით წარმოდგენილ აბრევიატურას დეფისით დაერთვის სათანადო თანდებული, ნაწილაკი და ბრუნვის ნიშანი, გარდა სახელობითისა. თუ აბრევიატურა სიტყვას უტოლდება, ანალოგიურ შემთხვევებში დეფისი არ უნდა; მაგ., შდრ.: **თსუ-მ, შსს-ში, მქკ-ც... – ნატომ, ინტერპოლში, თემქაც...**

• აბრევიატურა განსხვავდება სიტყვათა შემოკლებისაგან: ის რამდენიმე სიტყვისაგან მიღებული ერთი ოდენობაა; ამდენად, აბრევიატურის ცალკეულ შემადგენელ ნაწილთა წერტილით / წერტილებით გამოყოფა დაუშვებელია, განსხვავებით შემოკლებით დაწერილი სიტყვებისაგან; შდრ.:

აბრევიატურა

სწორია:		შეცდომაა:
მქკ	(მარგი ქმედების კოეფიციენტი)	მ.ქ.კ.
დღგ	(დამატებითი ღირებულების გადასახადი)	დ.ღ.გ.
მშპ	(მთელი შიდა პროდუქტი)	მ.შ.პ.
შპს	(შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმა)	შ.პ.ს.

სიტყვათა შემოკლება

სწორია:		შეცდომაა:
პროფ.	(პროფესორი)	პროფ
იხ.	(იხილე)	იხ
ა.წ.	(ამა წლის)	ა წ
და სხვ.	(და სხვა)	და სხვ

სავარჯიშოები

13.2.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) შ.პ.ს. „მერმისში“ დღეს დიდი ფასდაკლებაა.
2) თსუს მთავარი ადმინისტრატორი შვებულებაშია.
3) პედსაბჭო-ს გადაწყვეტილებით, გიორგი აბულაძეს შეუმცირდა სწავლის გადასახადი.
4) ჩემმა ძმამ თიბისიში დაიწყო მუშაობა.
5) ქეგლ.ის I ტომში არნ. ჩიქობავას ვრცელი წერილია.
6) ჩვენს ქალაქში რამდენიმე გაზ.გამანაწილებელი კომპანია ფუნქციონირებს.
7) პროფკავშირ-ის წარმომადგენლებმა საბავშვო ბაღების შემოწმება დაიწყეს.
8) შს.ს აკადემიაში სამართლის საბაკალავრო პროგრამა დაიხურა.
9) ეკა თესეუში სწავლობს ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე.
10) ამ შენობაში ადრე საბ.ლიტ.გამი. იყო.

13.2.2. შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით.

1) შ-შ-მ პირებისთვის ახალი წლიდან სპეციალური ღონისძიებები იგეგმება.
2) თემქას მოსახლეობას დენი დილიდან არ მიეწოდება.
3) აშშში საპრეზიდენტო არჩევნები დაიწყო.
4) თბილსერვისცენტრ-მა კონკურსი გამოცხადა ორ სამტატო ერთეულზე.
5) ყოფილი ს.ს.რ. კავშირის ტერიტორიაზე საურთიერთო ენა ჯერჯერობით ისევ რუსულია.
6) შ.ს მინისტრმა უცხოეთის დელეგაცია მიიღო.
7) მეგატექნიკას მაღაზიაში 40%-იანი ფასდაკლებაა.
8) ს-ს-ი-პ N 115-ე საჯარო სკოლაში სპორტული ღონისძიებები გაიმართა.
9) კომპანიის დ.ღ.გ. გადასახადი გასულ წელს მილიონ ლარამდე გაიზარდა.
10) ჟურნალის რედ.კოლეგიის შემადგენლობა ერთი თვის განმავლობაში ორჯერ გაიზარდა.

ტესტი N 13

სიტყვათშემოკლება და აბრევიატურა
- სიტყვათშემოკლებათა მართლწერა
- აბრევიატურის მართლწერა

1. შემოხაზეთ სწორი განმარტება.
სიტყვის დაქარაგმება ნიშნავს:
ა) სიტყვის შემოკლებას;
ბ) სიტყვის განვრცობას.

2. რომელია მცდარი პასუხი?
შეიძლება შემოკლდეს:
ა) ვინაობის აღმნიშვნელი სიტყვები;
ბ) ზედწოდება.

3. შემოხაზეთ ნორმატიული ფორმები.
ა) ქეთევან წამებული, დავით აღმაშენებელი;
ბ) ქ. წამებული, დ. აღმაშენებელი.

4. რომელია სწორი პასუხი?
მანძილის აღმნიშვნელ შემოკლებებთან წერტილის დასმა:
ა) შეცდომაა;
ბ) სწორია;

5. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.
ა) კმ კვ.მ მმ ჰა
ბ) კმ. კვ.მ. მმ. ჰა.

6. რომელია შეცდომა?
წერტილის დასმა სავალდებულოა:
ა) ტექსტის ასაგებად საჭირო სიტყვების შემოკლებებთან;
ბ) დროის აღმნიშვნელ სიტყვათა შემოკლებებთან.
გ) წონის აღმნიშვნელ შემოკლებებთან.

7. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.
ა) სთ. წთ. წწ. ა.შ. ახ.წ.
ბ)სთ წთ წწ ა.შ. ახ.წ

8. შემოხაზეთ უშეცდომო ვარიანტი.
ა) იხ შდრ მაგ კგ. გ. ლ.
ბ) იხ. შდრ. მაგ. კგ გ ლ

9. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
აბრევიატურა არის:
ა) გრძელი დასახელებების მოკლედ გადმოცემა;
ბ) გრძელი დებულებების მოკლედ გადმოცემა.

10. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
აბრევიატურაში მოიაზრება ორი ან რამდენიმე შემოკლებული
ა) სახელწოდება;
ბ) წინადადება.

11. რომელი პასუხია არასწორი?
აბრევიატურა შეიძლება იყოს:
ა) ქართული;
ბ) უცხოური;
გ) ევროპული.

12. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც მხოლოდ ქართული აბრევიატურებია.
ა) შსს. სსპი, საქრკინიგზა, მქკ;
ბ) თემქა, ნატო, ჰესი, ლაზერი.

13. შემოხაზეთ სწორი განმარტება.
აბრევიატურის ფუძე ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის, თუ:

ა) „გასიტყვებულია“ ან მისი ბოლო ნაწილი სრული სიტყვაა (კუმშვადი / კვეცადი),
ბ) „გასიტყვებულია“ ან მისი ბოლო ნაწილი რთული სიტყვაა (კუმშვადი / კვეცადი).

14. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ფუძეკუმშვადი აბრევიატურებია.

ა) საქნავთობი, საქგაზი, ვარკეთილაირი;
ბ) ელნათურა, თემქა, საქრკინიგზა;
გ) ელმავალმშენებელი, ექთანი, თბომავალი.

15. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ქართული და უცხო აბრევიატურების ორთოგრაფია
ა) ერთი და იგივეა;
ბ) განსხვავებულია.

16. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

დეფისით იწერება:
ა) ქართული ბგერებისგან შედგენილი აბრევიატურები;
ბ) უცხო ბგერებისგან შედგენილი აბრევიატურები.

17. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

ა) შპს თსუ დღგ;
ბ) შე-პე-სე თე-სე-უ დე-ღე-გე;

18. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

ა) თი-ბი-სი ბი-ბი-სი ენ-ბი-სი;
ბ) თიბისი ბიბისი ენბისი.

19. რომელია სწორი განმარტება?

ბრუნვის ნიშანი, თანდებული თუ ნაწილაკი დეფისით დაერთვის:
ა) ასოებით წარმოდგენილ აბრევიატურას;
ბ) „გასიტყვებულ“აბრევიატურას.

20. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც აბრევიატურის არასწორი ბრუნებაა.

ა) აშშ-ი, აშშ-მ, აშშ-ს...
ბ) აშშ, აშშ-მ, აშშ-ს...

21. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ორი შეცდომაა.

ა) ნატომ, შპს-ც, თემქაზე, აშშ-ში;
ბ) ინტერპოლ-მა, თსუ-ში, მქკც, ჰესთან.

22. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

აბრევიატურის შემადგენელ ნაწილთა წერტილით / წერტილებით გამოყოფა
ა) დაუშვებელია,
ბ) ნორმაა.

23. რომელია მცდარი პასუხი?

აბრევიატურასა და სიტყვათა შემოკლებას
ა) ერთი და იგივე ორთოგრაფია აქვს;
ბ) განსხვავებული ორთოგრაფია აქვს.

24. რომელია სწორი ვარიანტი?

ა) პროფ. ლაბ. ასპ.
ბ) პროფ ლაბ ასპ

25. რომელია შეცდომა?

ა) სსიპ ანსუ
ბ) ს.ს.ი.პ. ა.წ.ს.უ.

14. სინტაგმა

სინტაგმა [ბერძ. syntagma] იგივე შესიტყვებაა, სინტაქსური წყვილია, რომელიც გამოიყოფა წინადადებაში შემავალ სიტყვებს შორის სინტაქსური კავშირის საფუძველზე. ამ კავშირს განსაზღვრავს ენაში ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესები. წყვილის წევრებიდან, ჩვეულებრივ, ერთი გაბატონებულია, მეორე კი – დამოკიდებული. ქართული წინადადების მიხედვით შესაძლებელია ისეთი წყვილების გამოყოფაც, რომლის წევრები ერთდროულად გაბატონებულიც არიან და დამოკიდებულიც (იხ. ქვემოთ, საურთიერთო მართვა). წინადადებაში, ზოგადად, იმდენი სინტაქსური წყვილია, რამდენი წევრიც არის, ერთის გამოკლებით. ერთგვარი წევრების[44] შემთხვევაში, წყვილთა რაოდენობა არ იზრდება.

14.1. სინტაქსური კავშირის სახეები

სინტაქსური კავშირის სახეებია: **შეთანხმება, მართვა და მირთვა.**

შეთანხმება ისეთი სინტაქსური ურთიერთობაა, როდესაც წყვილის გაბატონებული წევრი (მათანხმებელი) დამოკიდებულისაგან (შეთანხმებულისაგან) მოითხოვს იმ ფორმას, რომელიც თავად აქვს; შესაბამისად, შეთანხმება ხორციელდება წყვილის ორივე წევრისათვის საერთო კატეგორიაში. ცნობილია შეთანხმების სამგვარი შემთხვევა:

ა) სახელი სახელს ითანხმებს ბრუნვაში; მაგ., სინტაქსურ წყვილში: **ლამაზი მეგობარი** ორი სახელია წარმოდგენილი; მათგან გაბატონებული წევრია **მეგობარი,** ხოლო დამოკიდებული – **ლამაზი,** რომელიც განსაზღვრავს, ნიშან-თვისების მიხედვით ახასიათებს გაბატონებულ წევრს. ამ უკანასკნელის ბრუნვის ფორმის შეცვლა, ჩვეულებრივ, იწვევს დამოკიდებული წევრის ბრუნვის ფორმის შეცვლასაც, შდრ.: **ლამაზ-ი მეგობარ-ი – ლამაზ-მა მეგობარ-მა... ლამაზ-ო მეგობარ-ო.** ანალოგიური მაგალითებია: **ორი ვაშლი, ნახევარი პური, ჩემი წიგნი, მათი სახლი** და სხვ. ამავე რიგისაა: „პატარა სახლმა“, რომელშიც მსაზღვრელთან ბრუნვის ნიშანი დაკარგულია; იგი აღდგება შებრუნებული წყობის შემთხვევაში: **სახლმა პატარამ...**

ბ) სახელი სახელს ითანხმებს რიცხვში; მაგალითები დასტურდება როგორც **ნარ**-იან, ისე **-ებ**-იან მრავლობითში: **მთანი მაღალნი,** (შვიდნი) **ძმანი გურჯანელნი, დები იშხნელები, ძმები ვაშაკიძეები... ნარ**-იანი ფორმები ძირითადად პოეზიის ენაში გამოიყენება; აქ შესაძლებელია, ერთადაც იყოს ორივე მრავლობითი; მაგ., ვაჟა-ფშაველას პოემა "ბახტრიონში" დასტურდება ასეთი მაგალითი: "მთანი, თავჩაჩქნიანები, ფიქრს მისცემიან მწარესა". მხატვრულ ენაში ასევე აღინიშნება სახელთა **თან**-იან მრავლობითში შეთანხმების შემთხვევები: "**თქვენთა სახელთა** ამაყად / წარმოსთქვამს შთამომავლობა!", "**შავთა დროთა** ვერა შესცვალეს..." (გრ. ორბელიანი, "სადღეგრძელო"); "რად ადენთ **ცივთა წყაროთა?**" (ვაჟა-ფშაველა, "მთანი მაღალნი") და სხვ. (სახელის სახელთან ბრუნების პარადიგმა წესებითურთ წამოდგენილია ქვემოთ; იხ.: 14.2. მსაზღვრელი და საზღვრული).

გ) სახელი ზმნას ითანხმებს რიცხვში; სახელისა და ზმნისაგან შედგენილ წყვილში გაბატონებული სიტყვაა სახელი. გარკვეულ შემთხვევებში მისი რიცხვის შეცვლა იწვევს ზმნის ფორმის რიცხვის შეცვლას, მაგ., შდრ.: **მოსწავლე წერს – მოსწავლეები წერენ; ძაღლი ყეფს – ძაღლები ყეფენ...** (დაწვრილებით იხ. ქვემოთ: 14.4. ქვემდებარესა და დამატებასთან ზმნის რიცხვში შეთანხმება).

> **შენიშვნა:** სამეცნიერო ლიტერატურაში შეთანხმების ერთ-ერთ შემთხვევად მიიჩნევენ პირის ნაცვალსახელისა და ზმნის ფორმის კომბინაციებს, მაგ.: **მე ვარ, შენ ხარ, ის არის...** აქ მიუთითებენ ლექსიკურ-გრამატიკულ შეთანხმებაზე, როდესაც ნაცვალსახელი ლექსიკურად გამოხატავს პირს, ზმნის ფორმაში კი ის გრამატიკულად (პირის ნიშნით) აისახება.

მართვა ისეთი სინტაქსური ურთიერთობაა, როდესაც წყვილის ერთი წევრი (მმართავი) მეორე წევრისაგან (მართულისაგან) მოითხოვს ფორმას, რომელიც მას არა აქვს ან საერთოდ, ან კონკრეტულ შემთხვევაში. სამეცნიერო ლიტერატურაში ასახელებენ მართვის ოთხ შემთხვევას:

---

[44] ერთგვარი წევრების განმარტებისათვის, იხ. ქვემოთ: 15. წინადადება.

ა) სახელი მართავს სახელს ბრუნვაში; მაგ., სინტაქსურ წყვილში: **ხის სახლი** მმართავია **სახლი**, რომელიც მეორე სახელისაგან – **ხის** – მოითხოვს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: **ხის სახლი, ხის სახლმა, ხის სახლს...** ამგვარი კვალიფიკაცია ეჭვის ქვეშ დადგება, თუკი **-ის-** ფორმანტს სიტყვამაწარმოებლად განვიხილავთ (თ. უთურგაიძე); კერძოდ, ასეთი წყვილი შეთანხმებაა – პრეპოზიციური წყობის შემთხვევაში მსაზღვრელის ბრუნვის ნიშანი ნულითაა წარმოდგენილი, მაგრამ აღდგება პოსტპოზიციური წყობისას: ხის სახლი → სახლმა ხისამ... შდრ.: პატარა სახლი → სახლმა პატარამ...

სამეცნიერო ლიტერატურაში მართვად განიხილება შემდეგი მაგალითებიც: **სახით ლამაზი, ვაჟკაცობით პირველი, პურად კარგი...** თუმცა, ამ შემთხვევაში მირთვა უფრო შეიძლება გვქონდეს.

ბ) სახელი მართავს ზმნას პირში; სახელი სინტაქსურად შეიძლება იყოს როგორც ქვემდებარე, ისე დამატება-ობიექტი (დატივიანი ან დატივიან-ნომინატივიანი); მაგ.:

ქვემდებარე:	**მე** ვაშენებ... **ის** აშენებ-**ს**
დატივიან-ნომინატივიანი დამ.:	(ის) **მე** მხატავს; (ის) **შენ** გხატავს...
დატივიანი დამ.:	(ის) **მე** მწერს (წერილს)... (ის) **მას** სწერს (წერილს)...

სახელს არა აქვს პირის კატეგორია, მაგრამ როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, ის მართავს ზმნას პირში: ეს დამოკიდებულება გამოხატულია შესაბამისი პირის ნიშნებით.

გ) ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში; ზმნას არა აქვს ბრუნვის კატეგორია, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში (არა ყოველთვის) მისი მწკრივის შეცვლა იწვევს სახელის ბრუნვის შეცვლასაც, მაგ., შდრ.:

რას შვრება? (აწმ.)	–	**რა ქნა?** (წყვეტ.)
წერს **კაცი**	–	დაწერა **კაცმა**
მღერის **ბავშვი**	–	იმღერა **ბავშვმა**

შენიშვნა: მეცნიერთა ნაწილისათვის ზმნისგან სახელის ბრუნვაში მართვას ასახავს ისეთი წყვილებიც, როგორიცაა: მოგონებად იქცა, მასწავლებლად იმუშავა, ხელით მოქარგა და სხვ.; განსხვავებული შეხედულებით, აღნიშნული მაგალითები **მირთვას** განეკუთვნება (იხ. ქვემოთ).

მართვა სახელსა და ზმნას შორის შეიძლება იყოს ცალმხრივი და საურთიერთო. **ცალმხრივი მართვის,** ანუ **სუბორდინაციის** შემთხვევაში სინტაქსური წყვილის ერთადერთი გაბატონებული წევრია სახელი, რომელიც ზმნას მართავს პირში; ზმნა დაქვემდებარებული წევრია, მას არ აქვს უნარი, რომ სახელი მართოს ბრუნვაში. ამის მაგალითებია გარდაუვალი (დატივიან-ნომინატივიანი ობიექტის არმქონე) ზმნისა და ნომინატივიანი სახელისგან (ქვემდებარე, დამატება) შედგენილი წყვილები:

ზმნა-შემასმენელი და ქვემდებარე:
ბავშვი ემალება / დაემალა / დამალვია (დედას);
წერილი იწერება / დაიწერა / დაწერილა;
კაცი დგას / იდგა / მდგარა;
ზმნა-შემასმენელი და დამატება:
გაკვეთილი აქვს / ჰქონდა / ჰქონია (ბავშვს);
ვარჯიში ეზარება / დაზარებია (გოგონას)...

საურთიერთო მართვის, ანუ **კოორდინაციის** დროს მოხსნილია დაპირისპირება წყვილის წევრებს, როგორც გაბატონებულ და დაქვემდებარებულ სიტყვებს შორის; ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში, ასევე, სახელი მართავს ზმნას პირში.

კოორდინაციის მაგალითებია ისეთი წყვილები, რომლებსაც ქმნიან:

– ზმნა-შემასმენელი და ბრუნვაცვალებადი (ერგატივიანი) ქვემდებარე:

კაცმა წაიკითხა (გაზეთი), **მოსწავლეს** მოუმზადებია (გაკვეთილი).

– ზმნა-შემასმენელი და დამატება-ობიექტი (დატივიანი / დატივიან-ნომინატივიანი):

(შვილმა) **დედას** მისწერა (წერილი); (გოგონამ) **მე** დამხატა;

– ზმნა-შემასმენელი და ბრუნვაუცველი (დატივიანი) ქვემდებარე:

ბიჭს წყალი სწყურია; **ბავშვს** მოსწონს ფაფა.

აქვე დავძენთ, რომ დატივიანი დამატება-ობიექტი ყოველთვის კოორდინაციის წევრია; მართალია, მისი ბრუნვა უცვლელია, მაგრამ ის უკვე გამოსულია საწყისი მდგომარეობიდან (სახელობითიდან), რაც ზმნის გავლენით იხსნება.

კოორდინაცია ქართული ზმნის მრავალპირიანობას უკავშირდება, რომელიც უცხოა ინდოევროპული ზმნისათვის. კოორდინაციის წევრები ასე კვალიფიცირდება:

ზმნა **ძირითადი კოორდინატია**, ხოლო სახელი (მორფოლოგიური სუბიექტი ან ობიექტი) შეიძლება იყოს დიდი, მცირე ან უმცირესი კოორდინატი:

დიდი კოორდინატი მართავს ზმნას პირში და ითანხმებს რიცხვში, მაგ.: **კაცმა** ააშენა /**კაცებმა** ააშენეს;

მცირე კოორდინატი მართავს ზმნას პირში, მაგრამ ვერ ითანხმებს რიცხვში, მაგ.: (დედამ) **შვილს** / **შვილებს** მისწერა;

უმცირესი კოორდინატი ზმნას ითანხმებს რიცხვში, მაგრამ ვერ მართავს პირში, მაგ.: (ძვ.) **დაწერნა წერილნი** (არნ. ჩიქობავა).

დ) ფორმაუცვლელი სიტყვა მართავს სახელს ბრუნვაში; მაგ., თანდებული ან მისი ფუნქციის მქონე ზმნიზედა მოითხოვს სახელის გარკვეული ბრუნვის ფორმას: მთებ-**ს შორის**, ზურგ-**ს უკან**, მდინარ-**ის წინ**, მეგობრ-**ის შესახებ**... ამ ტიპის ფორმებს ზმნასთან წყვილში განიხილავენ **შუალობითი მართვის** მაგალითებად; ეს ის შემთხვევებია, როდესაც მართვა ხორციელდება თანდებულის ან მისი ფუნქციის მქონე ზმნიზედის მეშვეობით. სხვა დანარჩენ შემთხვევებში მართვა უშუალოა.

მირთვა არის წყვილის წევრებს შორის მხოლოდ აზრობრივ კავშირზე დამყარებული ურთიერთობა. მირთვის ძირითად შემთხვევებად განიხილება **ზმნიზედის კომბინაცია ზმნასთან ან ნაზმნარ სახელთან;** მაგ.: ადრე მოვიდა – ადრე მოსვლა / ადრე მოსული; კარგად გააკეთა – კარგად გაკეთება / კარგად გაკეთებული; ცუდად მოიქცა – ცუდად მოქცევა...

სავარჯიშოები

14.1.1. გამოყავით სინტაქსური წყვილები და დაახასიათეთ.

1) ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელს წიფელს (ვაჟა).
2) ფრინველებში ყველაზე თამამად კოდალა იქცეოდა (ვაჟა).
3) ვეფხვი გულმოდგინედ შეუდგა მეგობრის შვილების ძებნას (ვაჟა).
4) მთიდან ბარად მომდინარი არწივი მის კენწეროზე ისვენებდა (ვაჟა).
5) ამ კლდესაც ხავერდივით მწვანე ხავსი გადაჰკვრია (ვაჟა).
6) ეს გაფოთლილი ხეები ამაყად დასცქერიან ბეჩავს ხმელს წიფელს (ვაჟა).
7) ნეფე-დედოფალი მიიწვიეს ყვავილებით დაფენილს ტახტზე (ვაჟა).
8) არწივმა ბევრი იცინა კოდალას ახირებაზე (ვაჟა).
9) ავადმყოფმა თაგვმაც განგაშის ხმაზე სორო მოძებნა (ვაჟა).
10) ეწყინა მეფეს ყმის ასეთი ბრიყვული ქცევა (ვაჟა).

14.1.2. მოცემული წყვილების მიხედვით შეადგინეთ წინადადებები.

1. ა) გალობა და ჭიკჭიკი ფრინველებისა; ბ) გაისმა გალობა და ჭიკჭიკი; გ) ჰაერში გაისმა.

---

2. ა) ხალხით გამოჭედილ; ბ) სტუმრები შევიდნენ; გ) დარბაზში შევიდნენ; დ) გამოჭედილ დარბაზში.

---
3. ა) მზე უქარგავდა; ბ) დედამიწას უქარგავდა; გ) გულ-მკერდს უქარგავდა; დ) სხივებით უქარგავდა; ე) საგაზაფხულო სხივებით; ვ) აპრილის მზე; ზ) პირმცინარე მზე.

---
4. ა) ნამი ესხმებოდა; ბ) ფოთლებს ესხმებოდა; გ) მარგალიტებსავით ესხმებოდა; დ) მწვანე ფოთლებს; ე) დილის ნამი.

---
5. ა) ფიქრი თავდებოდა; ბ) მისი ფიქრი; გ) გადაწყვეტილებით თავდებოდა; დ) ერთი და იმავე გადაწყვეტილებით; ე) ყოველთვის თავდებოდა.

14.2. მსაზღვრელი და საზღვრული

14.2.1. შეთანხმებული მსაზღვრელი

შეთანხმებული მსაზღვრელი სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა საზღვრულს და მასთან ერთად იბრუნება – დაირთავს ბრუნვის ნიშნებს. შეთანხმებული (სახელობითბრუნვიანი) მსაზღვრელის კატეგორიას მიეკუთვნება ზედსართავი სახელი და ფუნქციით მასთან გათანაბრებული სხვა სიტყვები: არსებითი და რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელი, საწყისი, მიმღეობა, შორისდებული... მაგ.: **ლამაზი გოგო, პატარა უფლისწული** (ზედ. სახ.), **ოქრო კაცი, ქვა გული** (არს. სახ.), **ორი ვაშლი, ნახევარი პური** (რიცხვ. სახ.), **თითოეული მოსწავლე, ჩემი მეგობარი** (ნაცვ.სახ.)[45], (ერთი) **გაბმა აბრეშუმი,** (ორი) **ჭრა ვენახი** (საწყ.), **ნახატი ფილმი, გაშენებული ბაღი** (მიმღ.), **ბარაქალა დედაკაცი** (შორისდ.) და სხვ.

მსაზღვრელი ზოგჯერ წინ უსწრებს საზღვრულს, ზოგჯერ კი მის შემდეგაა. პირველ შემთხვევაში სიტყვათა წყობა იქნება პირდაპირი (პრეპოზიციური), მეორეში კი – შებრუნებული (ინვერსიული / პოსტპოზიციური). მსაზღვრელის ადგილი მნიშვნელოვანია ბრუნების ტიპებისათვის, რადგან გარკვეულ ცვლილებებს იწვევს შესიტყვებაში.

ქვემოთ წარმოდგენილია ბრუნების ნიმუშები:

თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი მხ. რ-ში:

	პირდაპირი წყობა		შებრუნებული რიგი	
სახ.:	თეთრი	სახლი	სახლი	თეთრი
მოთ.:	თეთრმა	სახლმა	სახლმა	თეთრმა
მიც.:	თეთრ	სახლს	სახლს	თეთრს
ნათ.:	თეთრი	სახლის	სახლის	თეთრის
მოქ.:	თეთრი	სახლით	სახლით	თეთრით
ვით.:	თეთრ	სახლად	სახლად	თეთრად
წოდ.:	თეთრო	სახლო	სახლო	თეთრო

ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი მხ. რ-ში:

	პირდაპირი წყობა	შებრუნებული რიგი
სახ.:	მწვანე ფოთოლი	ფოთოლი მწვანე
მოთ.:	მწვანე ფოთოლმა	ფოთოლმა მწვანემ
მიც.:	მწვანე ფოთოლს	ფოთოლს მწვანეს
ნათ.:	მწვანე ფოთლის	ფოთლის მწვანის

[45] კუთვნილებითი ნაცვალსახელები (ჩემი შენი, მისი... მათი...) საზღვრულთან ერთად ბრუნებისას თავისებურებას ავლენენ, რაზეც უკვე ვისაუბრეთ (იხ. ზემოთ: 8.2.4. კუთვნილებითი ნაცვალსახელები).

მოქ.:	მწვანე ფოთლით	ფოთლით მწვანით
ვით.:	მწვანე ფოთლად	ფოთლად მწვანედ
წოდ.:	მწვანე ფოთოლო	ფოთოლო მწვანე(ვ)

მრავლობითის ფორმები:

-ებ-იანი მრავლობითი

	პირდაპირი წყობა		შებრუნებული რიგი	
სახ.:	ღია / ფერადი	ფანქრები	ფანქრები	ღიები / ფერადები
მოთ.:	ღია /ფერადმა	ფანქრებმა	ფანქრებმა	ღიებმა/ფერადებმა
მიც.:	ღია /ფერად	ფანქრებს	ფანქრებს	ღიებს / ფერადებს
ნათ.:	ღია /ფერადი	ფანქრების	ფანქრების	ღიების / ფერადების
მოქმ.:	ღია /ფერადი	ფანქრებით	ფანქრებით	ღიებით / ფერადებით
ვით.:	ღია /ფერად	ფანქრებად	ფანქრებად	ღიებად / ფერადებად
წოდ.:	ღია /ფერადო	ფანქრებო	ფანქრებო	ღიებო / ფერადებო

ნარ-/თან-იანი მრავლობითი

	პირდაპირი წყობა		შებრუნებული რიგი	
სახ.:	ციცაბო / მაღალი	მთანი	მთანი	ციცაბონი / მაღალნი
მოთ.:	ციცაბო / მაღალ	მთათა	მთათა	ციცაბოთა / მაღალთა
მიც.:	ციცაბო / მაღალ	მთათა	მთათა	ციცაბოთა / მაღალთა
ნათ.:	ციცაბო / მაღალ	მთათა	მთათა	ციცაბოთა / მაღალთა
მოქ.:	----------		----------	
ვით.:	----------	---	----------	
წოდ.:	ციცაბო / მაღალო	მთანო	მთანო	ციცაბონო / მაღალნო

შეთანხმებული მსაზღვრელის მართლწერის წესები:

• პირდაპირი წყობით ბრუნებისას:

– თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში – სრულად, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში ნაწილობრივ ეთანხმება საზღვრულს; რაც შეეხება მიცემითსა და ვითარებითს, ამ ბრუნვებში ფუძის სახით არის წარმოდგენილი;

– ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში ფუძის სახითაა.

• შებრუნებული წყობით ბრუნებისას როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან მსაზღვრელებს ყველა ბრუნვაში სრულად დაერთვის ნიშნები;

• მრავლობითის -ებ, ნარ-/თან- ნიშნებს შეთანხმებული მსაზღვრელი დაირთავს მხოლოდ შებრუნებული წყობით ბრუნებისას.

აქვე შევნიშნავთ, რომ მხატვრულ ენაში შესაძლებელია, მსაზღვრელმა პირდაპირი წყობის დროსაც მიიღოს ნარ-/თანიანი მრავლობითის ფორმა, მაგ.: „დაღამდა. წვრილნი ვარსკვლავნი აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა“; „რად ადენთ ცივთა წყაროთა?!“ (ვაჟა) და სხვ.

სავარჯიშოები

14.2.1.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ჩვენი ეზო იმ მაღალს სახლების უკან არის.
2) მან სიმფონიურ ორკესტრის თანხლებით შეასრულა საკონკურსო ნომერი.
3) ყველაფერი შარშანდელის ზაფხულიდან დაიწყო.
4) ვანის არქეოლოგიური გათხრებმა ბევრ საიდუმლოს ახადა ფარდა.
5) შავ ზღვის სანაპიროზე უამრავ დამსვენებელმა მოიყარა თავი.
6) ამ ჭორს მნიშვნელოვანს ინფორმაციად ნუ გადააქცევთ!
7) შავბნელ ფიქრებმა მას პატიოსნებაზე ხელი ააღებინა.
8) ხმელ წიფელო, სიცოცხლეს შენი ფესვიდან ამოზრდილი ყლორტი აგრძელებს.
9) მეზობელი სოფელში ოთხშაბათობით ცნობილი ბაზრობა იმართებოდა.

10) ფიზიკურ ქიმიის ლექტორს საინტერესო ექსპერიმენტი აქვს მომზადებული.
11) ყვითელ ფოთოლო, საით მიგაქანებს შემოდგომის ქარი?

14.2.1.2.შემოხაზეთ ნორმატიული წინადადებები.

ა)

1) ამ მოულოდნელ შეხვედრას დიდი გამოხმაურება მოჰყვა.
2) ამ მოულოდნელი შეხვედრას დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

3) უდაბურ ტყემ ერთი შემთხვევა გამახსენა.
4) უდაბურმა ტყემ ერთი შემთხვევა გამახსენა.

5) ქალ მშვენიერს თქვენი ნახვა უნდა.
6) ქალს მშვენიერს თქვენი ნახვა უნდა.

7) თითოეულმა ჩვენგანმა კარგად უნდა გააცნობიეროს აღნიშნული ფაქტი.
8) თითოეულ ჩვენგანმა კარგად უნდა გააცნობიეროს აღნიშნული ფაქტი.

9) ნახატ ფილმებს მოუთმენლად ელოდება პატარა მაყურებელი.
10) ნახატი ფილმებს მოუთმენლად ელოდება პატარა მაყურებელი.

ბ)

1) გიორგის მომზადებულ პროექტმა დიდი მოწონება დაიმსახურა.
2) გიორგის მომზადებულმა პროექტმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

3) მათი პირველი შეხვედრა ნაყოფიერი გამოდგა.
4) მათი პირველ შეხვედრა ნაყოფიერი გამოდგა.

5) გოგონასთან ერთად მოგზაურობა აუხდენელს ოცნებად გადამექცა.
6) გოგონასთან ერთად მოგზაურობა აუხდენელ ოცნებად გადამექცა.

7) შემოდგომის სურათისათვის წითელ-ყვითელ ფერები დაგვჭირდება.
8) შემოდგომის სურათისათვის წითელ-ყვითელი ფერები დაგვჭირდება.

9) ამ საქმეში ყოველი მათგანის დიდი წვლილია.
10) ამ საქმეში ყოველის მათგანის დიდი წვლილია.

14.2.1.3. გადახაზეთ მიუღებელი ფორმა / ფორმები და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

1) *ნათელნო / ნათელო / ნათელ* მოგონებანო, თქვენ ალამაზებთ ადამიანის ცხოვრებას.
2) ხევებო ბნელო, / ბნელებო, ნუ აშინებთ დაგვიანებულ მგზავრს!
3) *კლდენო ფიცხელო, / ფიცხელებო, / ფიცხელნო,* დარაჯად დასდგომიხართ ამ ზღაპრულ ველ-მინდვრებს!
4) *ბშირ / ბშირთა* ტყეთა ფონზე იკვეთება გაზაფხულის სიმწვანე.
5) მთები *ციცაბო / ციცაბოები* მისი შთაგონების წყაროა.
6) *წითელ / წითელთა* დროშათა გამოჩენამ ხალხის აზრი ორად გაყო.
7) მერცხლებო *კუდმკრატელა / კუდმკრატელებო /კუდმკრატელანო,* გაზაფხული მალე დაგაბრუნებთ ჩვენთან!
8) *წვრილთა / წვრილ* ვარსკვლავთა ციმციმი ღამეს ამხიარულებდა.
9) კვლავ გამახსენდა ნ. ბარათაშვილის „მთანი ტყიანი / ტყიანიანნი".
10) *ბავშვურო / ბავშვურნო* ფიქრებო, ბევრჯერ გამიტაცეთ საოცნებო სამყაროში...

14.2.2. მართული მსაზღვრელი

სამეცნიერო ლიტერატურაში მართული მსაზღვრელი ძირითადად არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი. ნათესაობითის გარდა, მართულ მსაზღვრელად გამოცხადებულია მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებიც. ამგვარი კვალიფიკაცია საკამათოა (იხ. ზემოთ). სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენს დამხმარე სახელმძღვანელოში მასალას ტრადიციული ხედვის შესაბამისად წარმოვადგენთ[46]; შდრ. სათანადო მაგალითები:

(ნათ.) **იმედის სხივი, ფეტვის მარცვალი, ზღაპრის ბოლო, წიგნის გამოცემა, გაზაფხულის წვიმა, მეგობრობის ხიდი...**

(მოქ.) **გულით მიძღვნილი, ენით აუწერელი, გონებით გამჭრიახი, ვაჟკაცობით პირველი, აგურით აშენებული, ხელით ნაქსოვი...**

(ვით.) **ველად გაჭრილი, სიზმრად ქცეული, წვიმად მოვლენილი, თვალად კარგი** და სხვ.

ნათესაობითბრუნვიანი მართული მსაზღვრელის თან-იანი მრავლობითის ფორმებს აქტიურად იყენებენ თანამედროვე სალიტერატურო ენაში, მაგ.: **მოსწავლეთა სასახლე, კომპოზიტორთა კავშირი, მეცნიერებათა აკადემია, მრჩეველთა საბჭო, ქალთა კონსულტაცია...** ქვემოთ წარმოდგენილია ნანათესაობითარი მსაზღვრელისა და საზღვრულის ბრუნების ნიმუშები:

საზღვრული მხ. რ-შია:

პირდაპირი წყობა		**შებრუნებული რიგი**
სახ.:	ხის ფოთოლი	ფოთოლი ხისა
მოთ.:	ხის ფოთოლმა	ფოთოლმა ხისამ
მიც.:	ხის ფოთოლს	ფოთოლს ხისას
ნათ.:	ხის ფოთლის	----------
მოქმ.:	ხის ფოთლით	----------
ვით.:	ხის ფოთლად	ფოთლად ხისა
წოდ.:	ხის ფოთოლო	ფოთოლო ხისა

საზღვრული -ებ-იან მრავლობითშია:

პირდაპირი წყობა		**შებრუნებული რიგი**
სახ.:	ხის ფოთლები	ფოთლები ხისა
მოთ.:	ხის ფოთლებმა	ფოთლებმა ხისამ
მიც.:	ხის ფოთლებს	ფოთლებს ხისას
ნათ.:	ხის ფოთლების	----------
მოქმ.:	ხის ფოთლებით	----------
ვით.:	ხის ფოთლებად	ფოთლებად ხისა
წოდ.	ხის ფოთლებო	ფოთლებო ხისა

საზღვრული ნარ-/თანიან მრავლობითშია:

პირდაპირი წყობა		**შებრუნებული რიგი**
სახ.:	ხის ფოთოლნი	ფოთოლნი ხისა
მოთ.:	ხის ფოთოლთა	ფოთოლთა ხისა
მიც.:	ხის ფოთოლთა	ფოთოლთა ხისა
ნათ.:	ხის ფოთოლთა	ფოთოლთა ხისა
მოქმ.:	----------	----------
ვით.:	---------- --	----------
წოდ.:	ხის ფოთოლნო	ფოთოლნო ხისა

---

[46] სტუდენტთა და მოსწავლეთა შორის დისკუსიის პერსპექტივისათვის, ამ და სხვა შემთხვევებშიც დამხმარე სახელმძღვანელოში მცირე დოზით მიზანმიმართულად შემოგვაქვს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განსხვავებული შეხედულებები.

მართული მსაზღვრელის მართლწერის წესები

მართული მსაზღვრელი:

- პირდაპირი (პრეპოზიციური) წყობისას ყველა ბრუნვაში ერთი და იმავე ფორმით არის (ხის); ასეთ დროს მისი ბრუნვა დაზუსტდება საზღვრულის ბრუნვის მიხედვით;
- შებრუნებული (პოსტპოზიციური) წყობის დროს ყოველთვის გავრცობილი ფორმითაა (ა-ნაწილაკიანია); ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მხოლოდ მოთხრობითსა და მიცემითში, როცა საზღვრული მხ. რიცხვში ან -ებ-იან მრავლობითშია (ფოთოლმა / ფოთლებმა ხისამ; ფოთოლს / ფოთლებს ხისას); აღნიშნულ შემთხვევებში არ დასტურდება მართულმსაზღვრელიანი საზღვრულის ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვები, ხოლო ნარ-/თან-იან მრავლობითში – ჩვეულებრივ, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები.
- საზღვრულს რიცხვში არ შეეთანხმება (ხის ფოთლები – ფოთლები ხისა; ხის ფოთოლნი – ფოთოლნი ხისა); შდრ., პოეზიის ენისათვის დამახასიათებელი ფორმები „...გამეხსნა უნებურად **კარნი სამოთხისანი**“ (ა. სულაკაური); „მე მოვკვდე, თუ არ მერჩივნოს **ტირიფნი არაგვისანი**!“ (მ. მაჭავარიანი) და სხვ.

სავარჯიშოები

14.2.2.1. გამართეთ ფრაზები.

1) ჩვენი ნიკა გამოცდაზე ფეტვი მარცვალივით დაიბნა.
2) დედა დააღონა ჯავრ შვილისამ.
3) გახედე, გაზაფხულისი წვიმა მოდის!
4) ნამცეცა გოგო ჰგავდა ნამ ცისას.
5) მეზობლი ბაღში უკითხავად ნუ შეხვალ!
6) მას გაჭირვება დააძლევინა წყურვილმა სწავლისამა.
7) მონადირე გადაიქცა კლდე ტინისად.
8) მოხუცი აშკარად ხედავდა ბაღ სამოთხისას.
9) ვანოს მეწყვილე არის ეროვნების ქართველი.
10) რა ტკბილი ხარ, სიზმარო ოცნებისაო!

14.2.2.2. მართულმსაზღვრელიანი შესიტყვებები შეცვალეთ თანამედროვე ვარიანტებით და მიუთითეთ მსაზღვრელის ბრუნვა.

1) გმირნო წარსულისანო, თქვენს მაგალითზე იზრდება შთამომავლობა!
2) დიდი ხანია ველოდები მეზობელთა კარისათა.
3) უკვე დაცვენილა ფოთლები ხისანი.
4) მეგობარნო სიყრმისანო, ნუ დაიკარგებით!
5) მონად დაბადებულთ არ იციან თავისუფლების ფასი.
6) მთიდან წამოსული ნიაღვარი ერთვის ტალღებს მდინარისას.
7) ვინ ავა მთასა უფლისასა?
8) ხნულთა ყანისათა გოგონები მოჰყვებიან მარცვლეულით სავსე კალათებით.
9) შვილის წარმატების მეტი რა ახარებს გულს მშობლისას?
10) ღრუბელთ წვიმისა მოლოდინით შესცქერიან გვალვით შეწუხებული გლეხები.
11) ნათებამ ვარსკვლავეთისამან მოხიბლა ღამის სტუმარი.

14.3. რამდენიმემსაზღვრელიანი შესიტყვება

საზღვრულს შეიძლება ახლდეს:

ა) რამდენიმე არაერთგვარი (მეტყველების სხვადასხვა ნაწილით გადმოცემული) შეთანხმებული მსაზღვრელი, მაგ.: **ოთხი მშვენიერი ქალბატონი; ჩემი ლამაზი მეგობარი, ეს პატარა ბიჭი...**

ბ) მართული და შეთანხმებული მსაზღვრელები, მაგ.: **ძველი სკოლის შენობა, ორი კურდღლის მადევარი, გემრიელი შვრიის ორცხობილა...**

პირველი ტიპის მაგალითებს უწოდებენ **შეთანხმებულმსაზღვრელიან შესიტყვებებს**, ხოლო მეორე ტიპისას — **მართულმსაზღვრელიანს**. სიტყვათა თანმიმდევრობისათვის ასეთ შესიტყვებებში დადგენილია გარკვეული კანონზომიერებები:

I. შეთანხმებულმსაზღვრელიანი შესიტყვება

- არაერთგვარ შეთანხმებულ მსაზღვრელებში ძირითადი მსაზღვრელია ზედსართავი სახელი და ის ყოველთვის მეორე ადგილზე დგას; მაგ., შდრ.:

სწორია:	**შენი ახალი თანამშრომელი**
შეცდომაა:	ახალი შენი თანამშრომელი
სწორია:	**ორი ტკბილი მეგობარი**
შეცდომაა:	ტკბილი ორი მეგობარი

- თუ ორივე მსაზღვრელი ზედსართავი სახელია, პირველ ადგილზე ვითარებითი (ძირეული) ზედსართავი იქნება, ხოლო მეორეზე – მიმართებითი (წარმოქმნილი); მაგ., შდრ.:

სწორია:	**ახალი საარჩევნო კანონი**
შეცდომაა:	საარჩევნო ახალი კანონი
სწორია:	**დიდი საკონცერტო დარბაზი**
შეცდომაა:	საკონცერტო დიდი დარბაზი

- თუ ორივე მსაზღვრელი მიმართებითი ზედსართავია, მეორე ადგილს ძირითადად **-ურ /-ულ** აფიქსებით ნაწარმოები ზედსართავი იკავებს:

სწორია:	**სანაქებო კახური ღვინო**
შეცდომაა:	კახური სანაქებო ღვინო
სწორია:	**ხალიანი წითური ბიჭი**
შეცდომაა:	წითური ხალიანი ბიჭი

- თუ ნაცვალსახელთან თანამსაზღვრელია მიმღეობა ან რიცხვითი სახელი, პირველ ადგილზე იქნება ნაცვალსახელი, მაგ., შდრ.:

სწორია:	**ეს მკურნალი ექიმი**
შეცდომაა:	მკურნალი ეს ექიმი
სწორია:	**ჩემი დაუვიწყარი მოგონება**
შეცდომაა:	დაუვიწყარი ჩემი მოგონება

- ჩვენებით ნაცვალსახელთან კუთვნილებითი ან განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების თანამსაზღვრელობის შემთხვევაში პირველ ადგილზეა ჩვენებითი; შდრ.:

სწორია:	**ეგ შენი გამოხედვა**
შეცდომაა:	შენი ეგ გამოხედვა
სწორია:	**ის ვიღაც კაცი**
შეცდომაა:	ვიღაც ის კაცი

- კუთვნილებით ნაცვალსახელთან განსაზღვრებითი ან განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების თანამსაზღვრელობის შემთხვევაში კუთვნილებითი ნაცვალსახელია პირველ ადგილზე; შდრ.:

სწორია:	**ყოველი მისი წარმატება**
შეცდომაა:	მისი ყოველი წარმატება
სწორია:	**რომელიმე ჩვენი ნათესავი**
შეცდომაა:	ჩვენი რომელიმე ნათესავი

II. მართულმსაზღვრელიანი შესიტყვება

• როდესაც მართულ მსაზღვრელთან თანამსაზღვრელია ნაცვალსახელი ან არსებითი სახელი, მართული მსაზღვრელი მეორე ადგილზეა, მაგ., შდრ.:

სწორია:	**ეს ოქროს თევზი**
შეცდომაა:	ოქროს ეს თევზი
სწორია:	**დღის კვების რეჟიმი**
შეცდომაა:	კვების დღის რეჟიმი

• როდესაც მართული მსაზღვრელის თანამსაზღვრელია ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი ან მიმღეობა, შეთანხმებული მსაზღვრელის ადგილს განაპირობებს **შესიტყვების** სიმყარე, კერძოდ, თუ შესიტყვება გამოხატავს:

– მასალას (ნივთიერებას), წარმომავლობას ან დანიშნულებას, ის მყარია – არ გაითიშება და შეთანხმებული მსაზღვრელი წინ დაისმის; შდრ.:

სწორია:	**პირმოტეხილი სპილენძის თუნგი**
შეცდომაა:	სპილენძის პირმოტეხილი თუნგი
სწორია:	**ძველი სადილის სერვიზი**
შეცდომაა:	სადილის ძველი სერვიზი

– კუთვნილებას, მაშინ ის მყარი არაა, გაითიშება და შეთანხმებული მსაზღვრელი შუაში ჩაისმის, შდრ.:

სწორია:	**მასწავლებლის სრული განაკვეთი**
შეცდომაა:	სრული მასწავლებლის განაკვეთი
სწორია:	**ფილმის მთავარი პერსონაჟი**
შეცდომაა:	მთავარი ფილმის პერსონაჟი

სავარჯიშოები

14.3.1. შეცვალეთ სიტყვათგანლაგება.

ა)

1) წიგნების მაღაზიაში მოიტანეს საინტერესო ახალი წიგნები.
2) ბავშვს სკოლაში უნდა გავატანო თაფლიანი ორი ბუტერბროდი.
3) ჩემი ყველა მეგობარი ამ ინფორმაციით არის დაინტერესებული.
4) დიდი ხანია გრძელდება შფოთიანი ეს დღეები.
5) მათი რომელიმე კეთილისმყოფელი ამ ამბავს ქვეყანას მოსდებს.
6) ქუჩის დასაწყისში აღმართულია მრავალსართულიანი ახალი შენობა.
7) საოცარ შთაბეჭდილებას მიქმნის სევდანარევი შენი თავგადასავალი.
8) საწყალი ჩემი ბებო იმ სიცივეში გარეთ ელოდებოდა კურიერს.
9) ქუჩაში მარტო მიდიოდა პატარა შენი და.
10) ათი ეს ბავშვი როგორმე პარტერის წინა რიგებში უნდა დავსხათ.
11) მაღაზიაში გუშინ გათავდა ქობულეთური სქელი არაჟანი.
12) ყველა საქართველოს ქალაქში მოვლენები დაძაბულად განვითარდა.

ბ)

1) საინფორმაციო გადაცემაში მოვისმინე ახალი უცხოეთის ამბები.
2) მწერალი დაუბრუნდა სამშობლოს გახმაურებული 20 სექტემბრის მოვლენების შემდეგ.
3) ხალხური მათი სიმღერა რაღაცით თითქოს ჩვენსას ჰგავს.
4) მალე დაიწყება მუსიკალური მშვენიერი საღამოები.
5) შენი ეს ძაღლი ერთნაირად უყეფს მტერსა და მოყვარეს.
6) ვიღაცა ის გამომგონებელი თურმე ბავშვობიდანვე ჩხირკედელაობდა.
7) თქვენი ყოველი ქმედება მისი კრიტიკის საგანია.
8) მათი რაიმე დაწყებული და დამთავრებული საქმე ჯერ არ მინახავს.
9) დედა გვიყიდის თხილიან ხუთ შოკოლადს და კახურ გემრიელ ჩურჩხელებს.
10) დაილოცოს ქართული ჩვენი მიწა, მზიური ჩვენი საქართველო!
11) თავდადებული მათი შრომა უკვალოდ არ დაიკარგება.
12) ნუხელ გვიანობამდე გაგრძელდა მეზობლური მშვიდი საუბარი.

14.3.2. აირჩიეთ სწორი წინადადებები.

ა)

1) ქვითკირის მველი კედელი დაწგრევის პირასაა.
2) მველი ქვითკირის კედელი დაწგრევის პირასაა.

3) ჩვენი სამუშაო დღის განრიგი ძალიან დატვირთულია.
4) სამუშაო დღის ჩვენი განრიგი ძალიან დატვირთულია.

5) ახალ მეტალის საკეტს ისევ შეკეთება დასჭირდა.
6) მეტალის ახალ საკეტს ისევ შეკეთება დასჭირდა.

7) მეზობლის ის ჩანთა კიდევ ჩვენთან არის, არ წაუღიათ.
8) ის მეზობლის ჩანთა კიდევ ჩვენთან არის, არ წაუღიათ.

9) მამამ ოქროს ჯიბის საათი იყიდა.
10) მამამ ჯიბის ოქროს საათი იყიდა.

11) ჩემი ძმა დანიშნეს რექტორის პირველ მოადგილედ.
12) ჩემი ძმა დანიშნეს პირველ რექტორის მოადგილედ.

13) მაღაზიაში საძინებლის იტალიური გარნიტური გაიყიდა.
14) მაღაზიაში იტალიური საძინებლის გარნიტური გაიყიდა.

15) დავითი მამის დაწყებული საქმის გამგრძელებელია.
16) დავითი დაწყებული მამის საქმის გამგრძელებელია.

17) დღის ბაგა-ბაღის რეჟიმი ჩემთვის მისაღებია.
18) ბაგა-ბაღის დღის რეჟიმი ჩემთვის მისაღებია.

19) სასაცილო ეს ამბავი მთელმა უბანმა გაიგო.
20) ეს სასაცილო ამბავი მთელმა უბანმა გაიგო.

ბ)

1) ნინომ ორი ოქროს ბეჭედი მაჩუქა.
2) ნინომ ოქროს ორი ბეჭედი მაჩუქა.

3) ჩვენს მაღაზიაში იყიდება ახალი ძროხის ხორცი.
4) ჩვენს მაღაზიაში იყიდება ძროხის ახალი ხორცი.

5) დღეს გავეცანი კათედრის სხდომის ოქმს.
6) დღეს გავეცანი სხდომის კათედრის ოქმს.

7) ჩაის მუქ ნაყენს თვალების სამკურნალოდ იყენებენ.
8) მუქ ჩაის ნაყენს თვალების სამკურნალოდ იყენებენ.

9) მეგობარს ვაჩუქე ხუთი თეატრის ბილეთი.
10) მეგობარს ვაჩუქე თეატრის ხუთი ბილეთი.

11) ეს მწვანილის გამყიდველი ძალიან მეძვირება.
12) მწვანილის ეს გამყიდველი ძალიან მეძვირება.

13) ღიმილს იწვევს ბურატინოს გრძელი ცხვირი.
14) ღიმილს იწვევს გრძელი ბურატინოს ცხვირი.

15) დავითი ტანსაცმლის ევროპული მაღაზიის მეპატრონეა.
16) დავითი ევროპული ტანსაცმლის მაღაზიის მეპატრონეა.

17) დედამ შეიკედლა გადაგდებული ძაღლის ლეკვი.
18) დედამ შეიკედლა ძაღლის გადაგდებული ლეკვი.

19) ერთ დროს მომწონდა სურნელოვანი ცხარე საწებელი.
20) ერთ დროს მომწონდა ცხარე სურნელოვანი საწებელი.

14.4. ქვემდებარესა და დამატებასთან ზმნის რიცხვში შეთანხმება

ქვემდებარე ზმნა-შემასმენელს ყოველთვის შეითანხმებს რიცხვში, თუ:

- ნარ-თანიან მრავლობითშია; მაგ.: **„წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“;**
- ებ-იან მრავლობითშია და

– სულიერი საგნით არის გადმოცემული, მაგ.: **ბავშვები თამაშობენ, ძაღლები ყეფენ...**

– უსულო საგანია, მაგრამ მხატვრულ გაპიროვნებას წარმოადგენს; მაგ.: **„ყვავილები სიცილით იხოცებოდნენ“, „ქვები ალაპარაკდნენ“...**

- კრებითი სახელია ან მრავალცნებიანი კომპოზიტი და რიცხვში მონაცვლე ზმნასთან არის დაკავშირებული; მაგ.: **დედ-მამა გარეთ გაცივდა... ხალხი სუფრასთან დასხდა...**
- დატივიანი (მიცემითბრუნვიანი) სუბიექტია ქონა-ყოლისა და გრძნობა-აღქმის გამომხატველ ზმნებში:

მათ აქვთ / ჰყავთ / უყვართ / სძულთ / სწყურიათ / ეშინიათ...

სხვა ტიპის ზმნებში შეინიშნება ერთგვარი მერყეობა მესამე პირის ფარდი სახელით გამოხატული დატივიანი ქვემდებარის მრავლობითობის აღნიშვნისას; მაგ., ქვემოთ წარმოდგენილი ორივე წინადადება სწორია, შდრ.:

პატარძლებს აკვნები გვერდით **ედგათ;**
ბავშვებს გზაში უცნაური ამბავი **შეემთხვა.**

ქვემდებარე შემასმენელს ვერ შეითანხმებს რიცხვში, თუ:

- ებ-იან მრავლობითშია და უსულო საგნით არის გადმოცემული, მაგ.: **სახლები აშენდა, გამოცდებმა დამღალა...**
- რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვით არის განსაზღვრული; მაგ.: **სამი ასე ფიქრობს; „ათივ ეგ იყო“; "სერზე მიდის სამი მგელი"...**
- კრებითი სახელია ან მრავალცნებიანი კომპოზიტი და რიცხვში მონაცვლე ზმნასთან არ არის დაკავშირებული; მაგ.: **ახალგაზრდობა შეიკრიბა, „მოვიდა ჯოგი ნადირთა"; და-ძმა სოფელში გაემგზავრა...**

დამატება-ობიექტი შემასმენელს რიცხვში ყოველთვის შეითანხმებს, თუ:

- პირველი პირის ფორმაა (მნიშვნელობა არა აქვს დამატება-ობიექტის როგორობას); მაგ.:

ის **ჩვენ გვხატავს / გვასწავლის;** ისინი **ჩვენ გვხატავენ / გვასწავლიან;**
შენ **ჩვენ გვხატავ / გვასწავლი;** თქვენ **ჩვენ გვხატავთ / გვასწავლით...**

- მეორე პირის ფორმაა და სუბიექტი მხ. რიცხვშია (არც ამ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი დამატება-ობიექტის როგორობა), მაგ.:

მე თქვენ გასწავლით / გხატავთ / გელოდებით;
ის თქვენ გასწავლით / გხატავთ /გელოდებათ.

დამატება-ობიექტი შემასმენელს რიცხვში ვერ შეითანხმებს, თუ:

- მეორე პირის ფორმაა და სუბიექტი მრავლობით რიცხვშია:

ჩვენ შენ / თქვენ გასწავლით / გხატავთ
ისინი შენ /თქვენ გასწავლიან / გხატავენ

- მესამე პირის დატივიან-ნომინატივიანი (ბრუნვაცვალებადი) ობიექტია (მნიშვნელობა არა აქვს, სულიერ საგანს გამოხატავს თუ უსულოს), მაგ.:

მან **ბავშვი / ბავშვები წაიყვანა**
მან **წიგნი / წიგნები თან წაიღო** და სხვ.

14.4.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) გუშინ საპატიო სტუმრები გვეწვია.
2) ქუჩაში მთელი ხალხი შეიკრიბნენ.
3) გახედე, როგორ გაბედულად მოაბიჯებენ ჩვენი ახალგაზრდობა!
4) ჩემი მეგობრებიდან ორი უკან დაბრუნდნენ და სამი ჩვენთან ერთად წამოვიდნენ.
5) და-ძმა დასასვენებლად გაგრაში გაემგზავრნენ.
6) მასპინძლებმა მოწვეული ხალხი მწვანე დარბაზში დააჯინეს.
7) უნდა ეცადონ ყველა, ილაპარაკონ წმინდა ქართულით.
8) მე თქვენ ყოველთვის მიგითითებდი უფროსის პატივისცემას.
9) ბავშვებსა და მოხუცებს ერთნაირად უყვარს ტკბილეული.
10) სამწუხაროდ, თქვენ ვერ გვასწავლი ამ ტიპის ამოცანების ამოხსნას.
11) უნდა აკეთო ის, რაც ხალხს მოსწონთ.
12) ონავრებმა ქაღალდები პირდაპირ გაზონზე დააგდო და თვალს მიეფარა.

14.4.2. აირჩიეთ სწორი ფორმა / ფორმები.

1) სააქტო დარბაზში ელიტარულმა საზოგადოებამ *(მოიყარეს / მოიყარა)* თავი.
2) მათ *(ეშინია / ეშინიათ)* ბნელი ღამის.
3) ლოდინში საათები (გავიდა / გავიდნენ), მაგრამ მოსაცდელში არავინ გამოჩენილა.
4) ჩვენს უფროსებს *(აქვს / აქვთ / აქვსთ)* ამის გამოცდილება.
5) მოსვენება *(დამიკარგა / დამიკარგეს)* ამ გოგო-ბიჭმა.
6) სამი ახალაშენებული სახლი უკვე *(ჩაბარდა / ჩაბარდნენ)* ქალაქის მერიას, მაგრამ ორი ჯერ კიდევ *(შენდება / შენდებიან)*.
7) გამთენიას ქუჩის ძაღლებმა ყეფა *(დაიწყო / დაიწყეს)*.
8) ჩემი დედ-მამა სამოგზაუროდ *(მიდის / მიდიან)* ევროპაში.
9) თქვენ მარტო *(გვაჩვენე / გვაჩვენეთ)* ნიმუშები და დანარჩენს ჩვენ მივხედავთ.
10) იმ დღეს პროექტის განხილვას მხოლოდ შვიდი თანამშრომელი *(დაესწრო / დაესწრნენ)*.

14.4.3. იპოვეთ შეცდომები და გაასწორეთ.

1) ნინომ საპატიო სტუმრები წინასწარ მომზადებულ ადგილებზე დასვა.
2) გახარებული დედ-მამა ეზოში გაცვივდა ბებოს დასახვედრად.
3) ვიღაცას შიოდა, მაგრამ უმრავლესობა სიმაძღრისგან ვეღარ სუნთქავდნენ.
4) მთელ ღამეს ტურები კიოდნენ სოფლის ბოლოს.
5) დამ ყულაბაში ბაზრობიდან მორჩენილი ლარიანი ჩაყარა.
6) ხალხმა ეს ამბავი მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ შეიტყო.
7) ბიძია-ბიცოლამ გვიან გაიგეს ბექას წარმატების ამბავი.
8) ნაცარქექიას დანახვაზე პატარა მაყურებლები სიცილით დაიხოცა.
9) ჩვენმა კაკალმა წელს ნაყოფი ცოტა მოიბა.
10) დამაცადეთ, მე თქვენ გაჩვენებ სეირს!

ტესტი N 14

სინტაგმა

- სინტაქსური კავშირის სახეები
- მსაზღვრელი და საზღვრული: შეთანხმებული მსაზღვრელი; მართული მსაზღვრელი
- რამდენიმემსაზღვრელიანი შესიტყვება
- ქვემდებარესა და დამატებასთან ზმნის რიცხვში შეთანხმება

1. შემოხაზეთსწორი პასუხი.

სინტაგმა

ა) იგივე სინტაქსური წყვილია;

ბ) იგივე სინტაქსია.

2. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

წინადადებაში იმდენი სინტაქსური წყვილია,

ა) რამდენი წევრიც არის;

ბ) რამდენი წევრიც არის ერთის გამოკლებით.

3. რომელია სწორი პასუხი?

სინტაქსური კავშირის სახეებია:

ა) შეთანხმება, კავშირი, მართვა და მირთვა;

ბ) შეთანხმება, მართვა და მირთვა;

4. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

შეთანხმების დროს:

ა) სახელი სახელს ითანხმებს ბრუნვაში;

ბ) სახელი სახელს ითანხმებს რიცხვში;

გ) სახელი ზმნას ითანხმებს რიცხვში;

დ) სახელი ზმნას ითანხმებს ბრუნვაში.

5. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც შეთანხმების მაგალითია.

ა) ტკბილად მოუბარმა;

ბ) ტკბილმა ენამ.

6. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

წყვილები: **აგურის შენობა, მეგობრის წიგნი**

ა) მართვის მაგალითებია;

ბ) მირთვის მაგალითებია.

7. რომელია სწორი პასუხი?

წყვილში: **კაცი აშენებს**

ა) სახელი ზმნას მართავს პირში, მაგრამ თვითონ არ არის მართული ზმნისაგან ბრუნვაში;

ბ) სახელი ზმნას მართავს პირში და თვითონაც მართულია ზმნისაგან ბრუნვაში.

8. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

წყვილში: **მეგობარი მოვიდა**

ა) მხოლოდ ზმნა არის მართული პირში;

ბ) ზმნა არის მართული პირში, ხოლო სახელი – ბრუნვაში.

გ) მართვა საერთოდ არ არის.

9. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

საურთიერთო მართვის დროს

ა) მოხსნილია დაპირისპირება წყვილის წევრებს, როგორც გაბატონებულ და დაქვემდებარებულ სიტყვებს შორის;

ბ) სინტაქსური წყვილის ერთადერთი გაბატონებული წევრია სახელი.

10. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც საურთიერთო მართვის მაგალითია.

ა) ბავშვი მალავს;

ბ) ბავშვი იმალება.

11. რომელია სწორი?

წყვილი: **გოგონას სწყურია**

ა) კოორდინაციის (საურთიერთო მართვის) მაგალითია;

ბ) სუბორდინაციის (ცალმხრივი მართვის) მაგალითია.

12. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

კოორდინაციის წევრებს შორის ზმნა ყოველთვის:
ა) დიდი კოორდინატია;
ბ) ძირითადი კოორდინატია.
13. რომელია სწორი პასუხი?
მირთვა წყვილის წევრებს შორის
ა) მხოლოდ აზრობრივ კავშირზე დამყარებული ურთიერთობაა;
ბ) მხოლოდ ბრუნვათა სისტემაზე დამყარებული ურთიერთობაა.
14. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც მირთვის მაგალითია.
ა) კარგი მოსწავლე;
ბ) კარგად იქცევა.
15. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
შეთანხმებული მსაზღვრელი:
ა) სახელობითი ბრუნვის ფორმით შეეწყობა საზღვრულს;
ბ) ნათესაობითი ბრუნვის ფორმებით შეეწყობა საზღვრულს.
16. შემოხაზეთ შეთანხმებული მსაზღვრელის მაგალითები.
ა) ვერცხლით შემოსილი, ხელით რეცხვა, სიზმრად ქცეული;
ბ) ძველი ვერცხლი, მარჯვე ხელი, საოცნებო სიზმარი.
17. **რომელია სწორი პასუხი?**
კონსტრუქციებში: **კომპოზიტორთა კავშირი, მეცნიერებათა აკადემია** მსაზღვრელი
ა) სახელობით ბრუნვაშია;
ბ) მოქმედებით ბრუნვაშია;
გ) ნათესაობით ბრუნვაშია.
18. რომელია სწორი პასუხი?
შეთანხმებული მსაზღვრელი პირდაპირი წყობით ბრუნებისას სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს:
ა) სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში;
ბ) მოთხრობითში, ნათესაობითსა და წოდებითში.
19. რომელია მცდარი პასუხი?
ნანათესაობითარი მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს:
ა) პირდაპირი წყობით ბრუნებისას;
ბ) შებრუნებული წყობით ბრუნებისას.
20. რომელია სწორი პასუხი?
წყვილში: **მთანი მაღალნი** სახელებს შორის შეთანხმებაა:
ა) რიცხვში;
ბ) ბრუნვასა და რიცხვში.
21. შემოხაზეთ ორი სწორი ვარიანტი.
ა) ოცი ეს წიგნი;
ბ) ჩვენი ლურჯი ფრინველი;
გ) ერთი ტკბილი მოგონება;
დ) პატარა ჩემი ამხანაგები.
22. შემოხაზეთ ორი ნორმატიული ვარიანტი.
ა) ბრილიანტის ეს ბეჭედი;
ბ) ეს ბრილიანტის ბეჭედი;
გ) მორყეული აივნის კიბე;
დ) აივნის მორყეული კიბე.
23. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ქვემდებარე ზმნა-შემასმენელს ყოველთვის შეითანხმებს რიცხვში, თუ:
ა) **ნარ-**თანიან მრავლობითშია;
ბ) **ებ-**იან მრავლობითშია.
24. შემოხაზეთ რიცხვში შეთანხმების ორი მაგალითი.
ა) და-ძმა გარეთ გაცვივდა;
ბ) სახლები შენდება;
გ) თოჯინები იცინიან.
25. შემოხაზეთ არანორმატიული ვარიანტი.
ა) ხალხი უკვე სუფრასთან იჯდა.

ბ) ხალხი უკვე სუფრასთან ისხდა.

26. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

ებ-იან მრავლობითში მდგარი ქვემდებარე შემასმენელს ვერ შეითანხმებს რიცხვში, თუ

ა) სულიერი საგნით არის გადმოცემული;

ბ) უსულო საგნით არის გადმოცემული.

27. რომელია სწორი?

ა) ის თქვენ წარმოგიდგენს ახალშეკვეთს;

ბ) ის თქვენ წარმოგიდგენთ ახალშეკვეთს.

28. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

დამატება-ობიექტი შემასმენელს რიცხვში ყოველთვის შეითანხმებს, თუ:

ა) პირველი პირის ფორმაა;

ბ) მეორე პირის ფორმაა.

29. რომელია მცდარი?

ა) მათ აქვთ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ბ) მათ აქვს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

15. წინადადება

ჩვენს თვალსაზრისს რაიმე ფაქტსა თუ მოვლენაზე გამოვხატავთ წინადადებების საშუალებით. წინადადება არის **ენის გრამატიკული წესების მიხედვით დაკავშირებულ სიტყვათა ჯაჭვი**, რომელიც განსხვავდება სიტყვათა ჩვეულებრივი ჯგუფისაგან; მაგ., სიტყვათა ჯგუფს შეადგენს, მაგ.: **დედა, აღარ, მამა, და, მუშაობა, ქალაქი, სოფელი, არის, კავშირი, შორის**... ზოგი მათგანი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა (*დედა, მამა, მუშაობა, ქალაქი, სოფელი, არის, კავშირი*), ზოგი კი – დამხმარე (*აღარ* – ნაწილაკი, *და* – კავშირი, *შორის* – თანდებული). ამ სიტყვებით შესაძლებელია წინადადებების შედგენა, თუ დავაკავშირებთ ორგანიზებული ნაერთის მისაღებად საჭირო კომპონენტებით:

ა) დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსებით (პირის, რიცხვის, ბრუნვის ნიშნები...);

ბ) გარკვეული თანმიმდევრობითა და ინტონაციით; მაგ.:

დედა და მამა მუშაობენ?

მამა მუშაობს და დედა – აღარ.

ქალაქსა და სოფელს შორის კავშირი არის / კავშირია... და სხვ.

წინადადება აგებულების მიხედვით სამი სახისაა: მარტივი, შერწყმული და რთული.

მარტივია წინადადება, რომელიც შედგება არაერთგვარი წევრებისაგან („ტყემ მოისხა ფოთოლი"); მისგან განსხვავებით, **შერწყმულ** წინადადებაში მოიაზრება ერთგვარი წევრები; ისინი, როგორც წესი, წინადადების ერთსა და იმავე წევრს უკავშირდებიან, ერთსა და იმავე კითხვაზე მიუგებენ, ძირითადად, ერთი და იმავე მეტყველების ნაწილს წარმოადგენენ და ერთმანეთთან თანწყობის გზით არიან დაკავშირებული („წვიმა ასველებს ტყესა თუ მინდორს"). **რთულია** წინადადება, რომელიც შედგება ორი ან მეტი მარტივი (არაერთგვარწევრებიანი) თუ შერწყმული (ერთგვარწევრებიანი) წინადადებისაგან.

წინადადებას, როგორც გაბმული მეტყველების მონაცემს, ახასიათებს გარკვეული ნიშნები:

ა) პრედიკატულობა – ზმნა-შემასმენლის არსებობა[47], რითაც უშუალოდ განპირობებულია მომდევნო ნიშანი:

ბ) სტრუქტურული მთლიანობა – ქართული ზმნის კონსტრუქციაში ყოველთვის მოიაზრება წინადადების დანარჩენი მთავარი წევრები (ქვემდებარე და დამატება-ობიექტები), მიუხედავად იმისა, ვლინდება თუ არა ისინი წინადადებაში, მაგ.: **წავიდა, დაუწერა**... იგივეა, რაც: **წავიდა ის; დაუწერა მან მას ის**...

გ) აზრობრივი და ინტონაციური დასრულებულობა; პირველი მახასიათებელი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ხშირად მხოლოდ მასზე ხდება ორიენტირება წინადადების განმარტებისას („წინადადება ეწოდება სიტყვას, ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც *დასრულებულ აზრს* გადმოსცემს"). ინტონაციური დასრულებულობა გამოიხატება გარკვეული მოდალობის (შინაარსის) პუნქტუაციური ნიშნებით – **? / ! / ?! /, / ; / : / . /**... რომლებიც დაისმის წინადადების ბოლოს.

არაიშვიათია შემთხვევა, როცა პუნქტუაცია დაცულია, მაგრამ დარღვეულია ინტონაციური ნორმა; მაგ., კითხვითი წინადადება, როგორც ცნობილია, ორგვარი ინტონაციით

---

[47] პრედიკატულობის საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ე.წ. **სახელდებითი წინადადებები**, მაგ.: „**ხანძარი!**", „**თოვლი!**" და სხვ., რომლებშიც უფრო „ვირტუალურად" არის გადმოცემული რაიმე აზრი (მწერალ ნ. ლორთქიფანიძის თხრობის სტილისათვის სწორედ სახელდებითი წინადადებებია დამახასიათებელი). აღნიშნული ტიპის წინადადებებში, მართალია, არ ჩანს, მაგრამ იგულისხმება ზმნა-შემასმენელი, რომლის გარეშეც წინადადება ვერ შედგება, მაგ., **ხანძარი! თოვლი!** იგივეა, რაც: **ხანძარი არის! თოვლია!**

წარმოითქმება: თუ არის მასში კითხვითი სიტყვა, მაშინ მახვილი კითხვით სიტყვას მოუდის, საპირისპირო შემთხვევაში კი მახვილი ზმნა-შემასმენლის ბოლო მარცვალზე იქნება, შდრ.:

ს'ად არის ბავშვი? – არ ჩამოსულ'ა?

ნორმა ძირითადად ირღვევა კითხვითსიტყვიანი წინადადების წარმოთქმისას – ზოგჯერ, ერთის ნაცვლად, ორი ან სამი მახვილი ისმის ზეპირ მეტყველებაში; შდრ.:

სწორია: ს'ად არის ბავშვი?

შეცდომაა: ს□ად არის ბავშვ□ი? / ს□ად არ□ის ბავშვ□ი?

არანორმატიული წარმოთქმის ანალოგიური მაგალითია ერთ-ერთი სარეკლამო ტექსტი „რუსთავი-2-ის" ეთერიდან:

– ნინი, რა გააკ□ეთ□ე?

– მე ხომ არაფერი გამიკეთებია!

თანამედროვე ქართულ წინადადებაში სიტყვათა რიგი თავისუფალია იმ ენათა სინტაქსური წესრიგისაგან განსხვავებით, რომლებშიც ადგილით განისაზღვრება წევრთა ფუნქცია; მაგ., ინგლისურ წინადადებაში ქვემდებარე ყოველთვის პირველ ადგილზე დგას, როგორც კი სხვა ადგილას გადაინაცვლებს, ქვემდებარედ აღარ აღიქმება, შდრ.:

Nino (ქვემდ.) loves Dato – **Dato** (ქვემდ.) loves Nino.

ანალოგიური ვითარება იყო ძველ ქართულშიც; შდრ.:

„**აბრამ** (ქვემდ.) შვა ისაკ." – „**ისაკ** (ქვემდ.) შვა აბრამ."

დროთა განმავლობაში ქართულ სინტაქსურ მექანიზმში მოხდა ცვლილება და დღეს მთავარ წევრებს ისე მკვეთრად გამოხატული გრამატიკული მახასიათებლები აქვთ, რომ ნებისმიერი თანმიმდევრობის შემთხვევაშიც ინარჩუნებენ სტატუსს, შდრ.:

აბრამმა (ქვემდ.) შობა ისაკი / ისაკი შობა **აბრამმა** (ქვემდ.).

გრამატიკულ მხარესთან ერთად, წინადადების ბუნებრიობის, **რიტმულ-ინტონაციური ერთიანობის** შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია წევრთა ის თანმიმდევრობა, რომელიც უფრო ხშირად მეორდება, ჩვეულებრივია თანამედროვე ქართულისათვის (საუბარია ტენდენციაზე). ამის მიხედვით დადგენილია, რომ, მაგ., მარტივ თხრობით წინადადებაში:

ა) შემასმენელი მიისწრაფვის ბოლო პოზიციის დაკავებისაკენ, ქვემდებარე კი ძირითადად დასაწყისშია:

პრემიერ-მინისტრი პრესის წარმომადგენლებს **შეხვდა**.

დავითმა წვეულება **გამართა**.

ბ) დატივიან-ნომინატივიანი დამატება უფრო „მიჯაჭვულია" შემასმენელთან, დატივიანი დამატებისაგან განსხვავებით; შდრ.:

ბებომ **შვილიშვილს** სოფლიდან **ხილი ჩამოუტანა**.

საარჩევნო **კანონს** ორი **პუნქტი დაუმატეს**.

გ) განსაზღვრება, ჩვეულებრივ, საზღვრულის წინ იკავებს ადგილს, თუ, მაგ., აზრობრივ-სტილისტურმა საჭიროებამ არ განაპირობა მისი მომდევნო პოზიციაში გადანაცვლება; შდრ.:

უსაზღვრო სევდამ შეიპყრო;

სევდამ შეიპყრო **უსაზღვრომ**.

დ) ვითარების გარემოება, სხვა გარემოებებისაგან განსხვავებით, ყველაზე ახლოსაა შემასმენელთან, რადგან მასთან აზრობრივად მჭიდროდაა დაკავშირებული; შდრ.:

წუხელ ნიკას მოუსვენრად ეძინა.

სასახლეში მხოლოდ ის **ცხოვრობდა უდარდელად.**

სიტყვათა დაუზუსტებელმა მიმდევრობამ, შესაძლოა, ლოგიკური შეუსაბამობაც გამოიწვიოს წინადადებაში; მაგ., შდრ.:

ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია – მეცნიერთა ახალგაზრდა კონფერენცია;

ცივი გონების კარნახით – გონების ცივი კარნახით;

მწვანეთა პარტიის ლიდერი – პარტიის მწვანეთა ლიდერი და სხვ.

აზრის გარკვევით ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი ამოცანების გადაჭრა, როგორიცაა:

- ორიენტირება მთავარ სათქმელზე; მაგ., შევუპირისპიროთ ერთმანეთს ორი წინადადება:

  სამი მეგობრის გზავნილი მივიღე;

  მეგობრის სამი გზავნილი მივიღე.

ცალკე აღებული, ორივე წინადადება სწორია; მთავარია, განვსაზღვროთ, კონკრეტულ შემთხვევაში რა არის ჩვენთვის აღსანიშნი: **სამი მეგობარი** თუ **სამი გზავნილი.**

- წინადადების ლექსიკურ-სტილისტურად გამართვა; ჭარბსიტყვაობის თავიდან აცილება; მაგ., აზრს აბუნდოვანებს არასაჭიროდ გამოყენებული პირის ნაცვალსახელები. შევადაროთ ორი წინადადება:

– მეზობელს სამსახურიდან შეატყობინეს, რომ სახლში დაბრუნებამდე გამგეობაში უნდა შევლო;

– მეზობელს სამსახურიდან შეატყობინეს, რომ მას სახლში დაბრუნებამდე გამგეობაში უნდა შევლო.

პირველ წინადადებაში აზრი ნათელია: მეზობელს ევალება, რომ სახლში დაბრუნებამდე გამგეობაში მივიდეს; მეორე წინადადებაში **მას** ნაცვალსახელის გამოყენება ერთგვარ ორაზროვნებას იწვევს – ჩნდება კითხვა: **მასში** იგულისხმება თვითონ მეზობელი თუ სხვა ვინმე?

აზრის სიცხადისათვის, უმჯობესია, ერთი კონსტრუქციის ფარგლებში ერთი პირის ნაცვალსახელი იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიქმნება ერთგვარი „რებუსული“ ვითარება; შდრ.:

- **მას** ყურადღება გადატანილი აქვს **მის** მდგომარეობაზე და ნაკლებ დროს უთმობს **მათ**;

  მას ყურადღება გადატანილი აქვს **მეუღლის** მდგომარეობაზე და ნაკლებ დროს უთმობს **მეგობრებს.**

- **მან მას** არაფერი ჰკითხა, რადგან **ის მის** ფიქრებს ისედაც ხვდებოდა;

  გოგონამ მეგობარს არაფერი ჰკითხა, რადგან **მის** ფიქრებს ისედაც ხვდებოდა.

- სხვა დროს **ის მაგას ამას** არ გაუკეთებდა;

  სხვა დროს **ბიჭი კლასელს ამას** არ გაუკეთებდა.

- **მან ეს იმას** ძლივს გააგებინა;

  დედამ ეს შვილს ძლივს გააგებინა და სხვ.

ჭარბი სიტყვებისგან განტვირთვა გაცილებით მოქნილს ხდის ფრაზებს; შდრ.:

- მან **თქვენ მიერ მიწერილი წერილები** მიიღო;

  მან **თქვენი წერილები** მიიღო.

- წარმოადგინეთ **ბრჭყალებში ჩასმის გარეშე;**

  წარმოადგინეთ **ბრჭყალების გარეშე;**

- აკრძალეს **წირვა-ლოცვის ჩატარება** ქართულად;

  აკრძალეს **წირვა-ლოცვა** ქართულად და სხვ.

- ფრაზის ქართული ბუნების დაცვა; ეს საკითხი ყოველთვის თავს იჩენს უცხოენოვანი ლიტერატურის გადმოქართულებისას, რაც მთარგმნელებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა კ. გამსახურდიას

პოზიცია წერილში: "სალიტერატურო ქართულისათვის", რომელიც ეხება რუსული კონსტრუქციების – **для, чтобы, с целю**-ს გავლენით გავრცელებულ უმართებულო სიტყვათშეხამებებს: **თესვის კამპანიის ჩატარების მიზნით, ბიუჯეტის განხილვის მიზნით;** შდრ.: **თესვის კამპანიის ჩასატარებლად, ბიუჯეტის განსახილველად.** ანალოგიურია მწერლის მსჯელობა ე.წ. „დეპეშურ სტილთან" დაკავშირებით, რომელიც „ამერიკანიზმის" ცუდი ზეგავლენის შედეგად მიაჩნია; მას მაგალითად მოჰყავს კინოთეატრების პლაკატებზე ამოკითხული „ჩიქორთული" (მიუღებელი) ფრაზა: **კაცი თოფით;** შდრ.: **თოფიანი კაცი** (გამსახურდია 1985, გვ. 30-34, 97) და სხვ.

15.1. ზმნური კონსტრუქციების ცვლილება

ზოგმა ზმნურმა კონსტრუქციამ შეიძლება ცვლილება განიცადოს დროთა განმავლობაში; მაგ., ცნობილია, რომ წარმოშობით სამპირიან ფორმაში: **შეჰხედნა მან მას თვალნი** დაიკარგა დატივიან-ნომინატივიანი ობიექტი **თვალნი** (სავარაუდოდ, იმიტომ, რომ „თვალის" მნიშვნელობა თვითონ ზმნის ფუძეში მოიაზრებოდა); თანამედროვე ქართულში უკვე დამკვიდრებულია ორპირიანი ფორმა: **შეხედა მან მას.**

მსგავსი ტიპის პროცესებზე მეტყველებს, ნორმატიული ზმნური კონსტრუქციების პარალელურად, სხვა ვარიანტების გაჩენა, რომლებიც ჯერჯერობით მიუღებელია თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის; შესაბამისად, თავი უნდა ავარიდოთ მათ გამოყენებას; შდრ.:

სწორია: **მოუყვა ბავშვი მასწავლებელს გაკვეთილს.**
შეცდომაა: მოუყვა ბავშვმა მასწავლებელს გაკვეთილი.
სწორია: **მომიყევი ამბავს.**
შეცდომაა: მომიყევი ამბავი.
სწორია: **გამოცდაზე რას შეგეკითხა ლექტორი?**
შეცდომაა: გამოცდაზე რა შეგეკითხა ლექტორმა?
სწორია: **შენ მე რას დამპირდი?**
შეცდომაა: შენ მე რა დამპირდი?
სწორია: **ამ საქმეს მოვრჩი.**
შეცდომაა: ეს საქმე მოვრჩი.
სწორია: **რა უყავი ჩემს წიგნს?**
შეცდომაა: რა უყავი ჩემი წიგნი?
სწორია: **კაცმა მეზობელს სცემა.**
შეცდომაა: კაცმა მეზობელი ცემა.
სწორია: **მთვრალი შუა ქუჩაში შეიგინა.**
შეცდომაა: მთვრალმა შუა ქუჩაში შეიგინა.
სწორია: **ბავშვი თითის წვერებზე აიწია.**
შეცდომაა: ბავშვმა თითის წვერებზე აიწია.
სწორია: **ჩემი მეგობარი დაიფიცა.**
შეცდომაა: ჩემმა მეგობარმა დაიფიცა.
სწორია: **კაცი დააინტერესა ამ სიახლემ.**
შეცდომაა: კაცს დააინტერესდა ეს სიახლე /
კაცს დააინტერესა ამ სიახლემ.
სწორია: **ვასიამოვნე მშობელს.**
შეცდომაა: ვასიამოვნე მშობელი.
სწორია: **არ შეარცხვინო დედა.**
შეცდომაა: არ შეარცხვინო დედას.
სწორია: **ვძლიოთ მოწინააღმდეგეს.**
შეცდომაა: ვძლიოთ მოწინააღმდეგე და სხვ.

სავარჯიშოები

15.1.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) სოფო, მომიყევი შენი სოფლის ამბავი, ვინ ნახე, რა გითხრეს...
2) მარტო მე კი არა, ყველას დააინტერესდა, რა შეგეკითხა გამომძიებელმა.
3) ქალმა ისე დაიწყევლა, რომ ყველამ ცივად დატოვა იქაურობა.
4) ექვსთვიანი ფიზიკური მომზადების შემდეგ გიორგიმ იოლად სძლია მეტოქე.
5) ასეთი რა დაპირდი შენს გულშემატკივრებს, რომ სიხარულისგან თავგზა აქვთ აბნეული?
6) არ დამიმალო, დღეს მასწავლებელმა მოგაყოლა გაკვეთილი?
7) ორი დღის ძებნის შემდეგ ის გოგო მიაგნეს თავის შორეულ ნათესავთან.
8) გაგოშიძეს მოატყუეს, რომ გაკვეთილი ცდებოდა.
9) თუ რომელიმეს გსურთ, მოჰყვეთ ლექსი ან იმღეროთ, ჩვენ მზად ვართ მოგისმინოთ.
10) მათემატიკის დავალება უკვე მოვრჩი, მარტო ქართულის თემა მაქვს დასაწერი.
11) რა უყავი ჩემი ქუდი? ახლავე დამიბრუნე!
12) მინდა ეს ტექსტი გადახედო, რომ შეცდომები არ გაიპაროს.

15.1.2. აირჩიეთ სწორი წინადადებები.

1) ბიჭმა ხუმრობა-ხუმრობაში თავისი პატარა ძმა ცემა.
2) ბიჭმა ხუმრობა-ხუმრობაში თავის პატარა ძმას სცემა.

3) ნინომ დედას შეეკითხა მომხდარის შესახებ.
4) ნინო დედას შეეკითხა მომხდარის შესახებ.

5) გოგონა დაიფიცა, რომ აღარ გაიბუტებოდა.
6) გოგონამ დაიფიცა, რომ აღარ გაიბუტებოდა.

7) მთის წვერიდან მზემ ამოიწია და განათდა ჩაბნელებული ხევები.
8) მთის წვერიდან მზე ამოიწია და განათდა ჩაბნელებული ხევები.

9) მინდა დედას ვასიამოვნო ჩემი წარმატებით.
10) მინდა დედა ვასიამოვნო ჩემი წარმატებით.

11) ისე უნდა მოიქცე, რომ ოჯახს არ შეარცხვინო!
12) ისე უნდა მოიქცე, რომ ოჯახი არ შეარცხვინო!

13) დედა არ უნდა აწყენინო.
14) დედას არ უნდა აწყენინო.

15) შვილს რაც დაჰპირდი, უნდა შეუსრულო.
16) შვილს რასაც დაჰპირდი, უნდა შეუსრულო.

17) შემახედე მაგ გოგოს!
18) შემახედე ეგ გოგო!

15.2. კორელატის (მისათითებელი სიტყვისა) და წევრ-კავშირის ზოგიერთი კონსტრუქცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

რთული წინადადება ორი ძირითადი სახისაა: თანწყობილი და ქვეწყობილი. რთული თანწყობილი წინადადება მიიღება ერთმანეთის მიმართ თანასწორუფლებიანი წინადადებების დაკავშირებით, რისთვისაც გამოიყენება **მაერთებელი კავშირები**, კერძოდ:

– მაჯგუფებელი: **და, თუ;**
– მაპირისპირებელი: **მაგრამ, ხოლო, კი;**
– მაცალკევებელი: **ან... ან კიდევ, ხან... ხან კიდევ...**
– მაიგივებელი: **ანუ, ესე იგი...**

რთული ქვეწყობილი წინადადება, თანწყობილისაგან განსხვავებით, შეიცავს ერთმანეთის მიმართ მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს. მათ დასაკავშირებლად გამოიყენება:

– მაქვემდებარებელი კავშირები: **რომ, რათა, სანამ, მანამ, ვიდრე, თუმცა, როცა, ვინაიდან...**
– მიმართებითი ნაცვალსახელები: **ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, სადაურიც, როდინდელიც, რამდენიც, ვისიც, რისაც...**
– მიმართებითი ზმნიზედები: **სადაც, საიდანაც, საითკენაც, როგორც,...**

მიმართებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები წევრის ფუნქციასაც ასრულებენ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში; ამიტომაც უწოდებენ **წევრ-კავშირებს**. მაქვემდებარებელი კავშირებისა და წევრ–კავშირების ადგილი, როგორც წესი, არის დამოკიდებულ ნაწილში (ძირითადად, დასაწყისში).

მთავარი წინადადების სპეციფიკური წევრია **კორელატი**, ანუ **მისათითებელი სიტყვა**, რომელიც ნაცვალსახელით ან ზმნიზედით არის გამოხატული. კორელატის სინტაქსური ფუნქციით განისაზღვრება დაქვემდებარების სახე – კორელატი შეიცავს ზოგად მნიშვნელობას, რომლის ახსნა-დაკონკრეტებაც ხდება დამოკიდებული (დაქვემდებარებული) წინადადების მეშვეობით; შესაბამისად, სინტაქსური დაქვემდებარება იმ სახის იქნება, რა წევრიცაა მთავარი წინადადების კორელატი; მაგ.:

(მთავარი:) **ქუჩაში გამოჩნდა ის** (კორელატი – ქვემდ.), / (ქვემდ. დამოკიდებული:) **ვისაც** (წევრ-კავშირი) **დიდხანს ველოდი;**

(მთავარი:) **კაცმა ის** (კორელატი – დატივიან-ნომინატივიანი დამატ.) **გააკეთა,** / (დატივიან-ნომინატივიანი დამატ. დამოკიდებული:) **რაც** (წევრ-კავშირი) **ჩაფიქრებული ჰქონდა;**

(მთავარი:) **გოგონამ იქითკენ** (კორელატი – ადგ. გარემ.) **გაიხედა,** / (ადგ. გარემ. დამოკიდებული:) **საიდანაც** (წევრ-კავშირი) **ხმაური მოდიოდა...**

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში კორელატს, როგორც მსაზღვრელს, ახლავს საზღვრული სახელი, იგივე, **მისამართი სიტყვა**; მაგ.:

ბიჭი მადლობას უხდიდა **იმ** (კორ.) **ადამიანს** (მისამართი სიტ.), **რომელიც** უანგაროდ დაეხმარა.

შესაძლებელია, კორელატი არც ჩანდეს, მაგრამ მისი აღდგენა მოხერხდება, რადგან ყოველთვის ივარაუდება მისამართ სიტყვასთან. ამდენად, მისაღებია ეს ვარიანტიც:

ბიჭი მადლობას უხდიდა **ადამიანს** (მისამართი სიტ.), **რომელიც** უანგაროდ დაეხმარა.

წევრ-კავშირისა და კორელატის ლოგიკური მიმართების საფუძველზე დადგენილია მყარი კონსტრუქციები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა რთული ქვეწყობილი წინადადების აგებისას; მაგ.:

- **ის – ვინც** (და არა: ის – რომელიც ან: ის – რომელმაც);
- **ის – ვისაც** (და არა: ის – რომელსაც);

  სწორია: გაიცინებს ის, ვინც ხოლოს გაიცინებს;

  შეცდომაა: გაიცინებს ის, რომელიც ხოლოს გაიცინებს.
- **ის კაცი – რომელიც** (და არა: ის კაცი – ვინც);
- **იმ კაცმა – რომელმაც** (და არა: იმ კაცმა – ვინც);
- **იმ კაცს – რომელსაც** (და არა: იმ კაცს – ვისაც); შდრ.:

  სწორია: გოგონამ ის კაცი შენიშნა, რომელიც გამუდმებით თვალს ადევნებდა;

  შეცდომაა: გოგონამ ის კაცი შენიშნა, ვინც გამუდმებით თვალს ადევნებდა.

- **ისეთი – როგორიც** (და არა: ისეთი – როგორც); შდრ.:

  სწორია: ისეთ სასწაულზე ოცნებობდა, როგორიც სიზმარში ენახა;

  შეცდომაა: ისეთ სასწაულზე ოცნებობდა, როგორც სიზმარში ენახა.
- **ისე – როგორც** (და არა: ისე – როგორიც); შდრ.:

  სწორია: ისე მოიქცა, როგორც სინდისმა უკარნახა;

  შეცდომაა: ისე მოიქცა, როგორიც სინდისმა უკარნახა.
- **იქ – სადაც** (და არა: იქ – რომელშიც); შდრ.:

  სწორია: ყოველთვის იქ არის, სადაც უხმობენ;

  შეცდომაა: ყოველთვის იქ არის, რომელშიც უხმობენ.
- **მაშინ – როცა** (და არა: მაშინ – სადაც); შდრ.:

  სწორია: ეს იდეა ჯერ კიდევ მაშინ დაიბადა, როცა პატარები იყვნენ;

  შეცდომაა: ეს იდეა ჯერ კიდევ მაშინ დაიბადა, სადაც პატარები იყვნენ.
- **მას შემდეგ – რაც** (და არა: მას შემდეგ – როცა); შდრ.:

  სწორია: მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა, ხევისბერს დიდხანს არ უცოცხლია;

  შეცდომაა: მას შემდეგ, როცა ეს ამბავი მოხდა, ხევისბერს დიდხანს არ უცოცხლია.

საკავშირებელი სიტყვის შერჩევისას პარალელური ვარიანტები იჩენს თავს განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადებების ერთ ჯგუფში – იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს შესაძლებელია ერთმანეთს შეენაცვლოს მიმართებითი ნაცვალსახელი და მიმართებითი ზმნიზედა, შდრ.:

(იმ) მწვერვალზე ავიდა, **რომელზეც / სადაც** ჯერ არავის დაედგა ფეხი.

(იმ) სახლში ელოდნენ, **რომელშიც / სადაც** მთელი ბავშვობა გაეტარებინა.

(იმ) დღეს მომასწრო, **რომელ დღესაც / როდესაც** შენ ოჯახს შექმნი!

ვერ ვივიწყებ **(იმ) საღამოს, რომელ საღამოსაც / როდესაც** ნინო გავიცანი...

ასეთი პარალელური კონსტრუქციები ძირითადად მაშინ იჩენს თავს, როცა მისამართ სიტყვას შეუძლია ადგილის ან დროის მნიშვნელობაც გამოხატოს (მაგ.: სად? – (იმ) მწვერვალზე / სახლში; როდის? – (იმ) დღეს / საღამოს); მაგრამ ნორმატიული სინტაქსური კონსტრუქციების კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წევრ-კავშირის მიმართებას კორელატთან და არა – მისამართ სიტყვასთან:

სწორია: (იმ) მწვერვალზე – რომელზეც

შეცდომაა: (იმ) მწვერვალზე – სადაც

სწორია: (იმ) სახლში – რომელშიც

შეცდომაა: (იმ) სახლში – სადაც

სწორია: (იმ) დღეს – რომელ დღესაც

შეცდომაა: (იმ) დღეს – როდესაც

სწორია: (იმ) საღამოს – რომელ საღამოსაც

შეცდომაა: (იმ) საღამოს – როდესაც და სხვ.

სავარჯიშოები

15.2.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ის ტყე, სადაც დათვი ბინადრობდა, სოფელს ესაზღვრებოდა.
2) გოგონამ გადაწყვიტა ისე მოქცეულიყო, როგორსაც მეტიჩარა იმსახურებდა.
3) მას შემდეგ, როცა მათ ქალაქი დატოვეს, ბევრი რამ შეიცვალა ბიჭის ცხოვრებაში.
4) როცა ჩვენთან ხარ, იქ გვავიწყდება ყოველდღიური ერთფეროვნება!..
5) ბოლოს და ბოლოს, დაბრუნდა ის, რომელსაც დიდხანს ველოდით.

6) უცნობის დანახვამ დედა ისე შეაშფოთა, როგორიც უგუნებობის დროს სჩვეოდა ხოლმე.
7) ეს შემთხვევა მას შემდეგ მოხდა, როცა მეორე კურსი დავხურე.
8) დაბადების დღეზე დათომ მაჩუქა ის ყვავილი, რამაც ერთი მშვენიერი საღამო გამახსენა.
9) იმ ხალხს, ვისაც ასეთი შვილები ჰყავს, გადაშენება არ უწერია.
10) ის მოსწავლე, ვინც გაკვეთილზე დააგვიანა, პოეზიით ყოფილა გატაცებული.

15.2.2. აირჩიეთ სწორი წინადადებები.

1) ბავშვები, რომლებსაც წამოსვლა უნდათ ექსკურსიაზე, წინასწარ უნდა ჩაეწერონ სიაში.
2) ბავშვები, ვისაც წამოსვლა უნდა ექსკურსიაზე, წინასწარ უნდა ჩაეწერონ სიაში.

3) მინდა ისეთი გიყვარდე, როგორსაც მიცნობ.
4) მინდა ისეთი გიყვარდე, როგორც მიცნობ.

5) ვერ ვიცხოვრებდი იმ ქვეყანაში, რომელშიც დამნაშავეს სიკვდილით სჯიან.
6) ვერ ვიცხოვრებდი იმ ქვეყანაში, სადაც დამნაშავეს სიკვდილით სჯიან.

7) პოეტი საკადრის პასუხს სცემს მას, რომელსაც არ შეუძლია ჭეშმარიტი შემოქმედების აღქმა.
8) პოეტი საკადრის პასუხს სცემს მას, ვისაც არ შეუძლია ჭეშმარიტი შემოქმედების აღქმა.

9) კაცი ის არის, ვინც თავს არ ზოგავს სიკეთისათვის.
10) კაცი ის არის, რომელიც თავს არ ზოგავს სიკეთისათვის.

11) მე შენში ისეთ თანამშრომელს ვხედავ, როგორც მე და ჩემი კოლეგები ვართ.
12) მე შენში ისეთ თანამშრომელს ვხედავ, როგორებიც მე და ჩემი კოლეგები ვართ.

13) დარწმუნებული ვარ, მაშინ გაგახსენდები, როცა გაგიჭირდება.
14) დარწმუნებული ვარ, მაშინ გაგახსენდები, სადაც გაგიჭირდება.

15) მას შემდეგ, როცა სკოლა დავამთავრე, მხოლოდ ერთხელ შევხვდი კლასელებს.
16) მას შემდეგ, რაც სკოლა დავამთავრე, მხოლოდ ერთხელ შევხვდი კლასელებს.

17) ეს ის მსახიობია, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად ბავშვი გადაარჩინა.
18) ეს ის მსახიობია, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად ბავშვი გადაარჩინა.

19) ეგ წიგნი იმ ბუკინისტურ მაღაზიაში ვიყიდე, რომელშიც ჩემი ნაცნობი ქალი მუშაობს.
20) ეგ წიგნი იმ ბუკინისტურ მაღაზიაში ვიყიდე, სადაც ჩემი ნაცნობი ქალი მუშაობს.

15.2.3. ჩამონათვალიდან შეარჩიეთ წევრ-კავშირები გამოტოვებული ადგილებისათვის.

როგორსაც, რომელშიც, როგორც, რაც, როცა, სადაც (2), რომელთანაც, ვინც, რომელსაც.

1) ... წავალ ბაზარში, მაშინ გამახსენდება, რომ საყიდლების სია სახლში დავტოვე.
2) იმ ნომერში შებრძანდით, ... თავისუფლად იქნებით.
3) ის ადამიანი, ... ვენდობი, ამჟამად ქალაქგარეთ იმყოფება.
4) ფილმის პერსონაჟი ბოლოს იმ კერას უბრუნდება, ... სიყვარული და ბავშვობის მოგონებები აკავშირებს.
5) თავს იქ გრძნობ ლაღად, ... შენს ნიჭს აფასებენ.
6) აქაც ისე უნდა მოიქცე, ... შენს ზრდილობას ეკადრება.
7) ... არ უნდა წახვიდე, ყველგან იციან სტუმრის პატივისცემა.
8) ეტყობა, ... ეს ჩაიდინა, თავზე ხელაღებული კაცია.
9) სწორედ ისეთი ქუდი ვნახე, ... ვეძებდი.
10) მას შემდეგ, ... ნინო გავიცანი, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს.

15. 3. მისამართი სიტყვისა და "რომელ" წევრ-კავშირის ადგილის განსაზღვრა და რიცხვში შეთანხმება

მისამართი სიტყვისა და "რომელ" წევრ-კავშირის ურთიერთობისათვის მნიშვნელოვანია მათი ადგილის განსაზღვრა და რიცხვში შეთანხმება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

ადგილის განსაზღვრა

• როდესაც მისამართი სიტყვა კორელატთან (მისათითებელ სიტყვასთან) ერთადაა, მისი ადგილი მთავარ წინადადებაში შეუზღუდავია – აზრი ნათელია წევრ-კავშირის უშუალოდ კორელატთან მიმართების გამო; მაგ.:

მეგობარს ვუძღვნი **ამ სურათს, რომელიც** ჩვენს ერთად გატარებულ წლებს გაახსენებს.
მეგობარს **ამ სურათს** ვუძღვნი, **რომელიც** ჩვენს ერთად გატარებულ წლებს გაახსენებს.
ამ სურათს ვუძღვნი მეგობარს, **რომელიც** ჩვენს ერთად გატარებულ წლებს გაახსენებს.

• როდესაც მისამართი სიტყვა კორელატის გარეშეა, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია, მისამართ სიტყვას უშუალოდ მოსდევდეს წევრ-კავშირი; მაგ.:

ნინომ დედას დაუწერა **ლექსი, რომელმაც** ყველას აღფრთოვანება გამოიწვია.

ასევე შესაძლებელია:

– გამეორდეს მისამართი სიტყვა; მაგ.:

ნინომ **ლექსი** დაუწერა დედას, **ლექსი, რომელმაც** ყველას აღფრთოვანება გამოიწვია.

– მისამართი სიტყვა და წევრ-კავშირი გაითიშოს მხოლოდ ზმნა-შემასმენლით; სხვა სიტყვების ჩართვა მიუღებელია, რადგან აზრის გაბუნდოვანებას გამოიწვევს; მაგ, შდრ.:

ნინომ დედას **ლექსი დაუწერა, რომელმაც** ყველას აღფრთოვანება გამოიწვია.
ნინომ **ლექსი** დაუწერა დედას, **რომელმაც** ყველას აღფრთოვანება გამოიწვია.

რიცხვში შეთანხმება

• წევრ-კავშირი მხოლოობით რიცხვშია, თუ მისამართი სიტყვა:

– ასევე მხოლოობით რიცხვშია, მაგ.:

ქალბატონი, რომელიც ამ ინფორმაციას ავრცელებს, ოპოზიციური პარტიის წევრია.
მან პასუხი გასცა **კითხვას, რომელიც** ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში.

– კრებითი სახელია, მაგ.:

შევნატრი **ხალხს, რომელსაც** მრავალი განსაცდელი უნახავს, მაგრამ ქედი არასოდეს მოუხრია მტრისათვის.
სოფლის ბოლოს გამოჩნდა **ნახირი, რომელიც** მდინარისკენ მიემართებოდა.

• წევრ-კავშირი მრავლობით რიცხვშია, თუ მისამართი სიტყვა:

– მრავლობით რიცხვშია; მაგ.:

დილაობით ვხედავ მეზობლის **ბავშვებს, რომლებიც** ყველაზე ადრე მიდიან სკოლაში.
გავცქერი **მთებს, რომლებიც** მუდამ ნისლით არის მოცული.

– მრავალცნებიანი კომპოზიტია; მაგ.:

წუხელ სოფლიდან დაბრუნდა ნინოს **დედ-მამა, რომლებსაც / რომელთაც** შვილიშვილებისათვის უამრავი ხილი ჩამოეტანათ.
ნიკამ ჩანთიდან ამოალაგა **ყველ-ერბო-ნადუღი, რომლებსაც** მაცივარში მიუჩინა ადგილი.

– განსაზღვრულია ლექსიკურად ერთზე მეტის აღმნიშვნელი სიტყვით; მაგ.:

შებინდებისას სოფელში **სამი უცნობი** მივიდა, **რომლებმაც** მოსახლეობას მომიტინგეებთან შეხვედრისაკენ მოუწოდეს.
ხეს ერთბაშად **რამდენიმე ფოთოლი** მოსწყდა, **რომლებიც** ქარმა ხევისაკენ წაიღო.

– ერთგვარი წევრებით არის წარმოდგენილი; მაგ.:

სხდომას დაესწრნენ **დირექტორი და სწავლების მენეჯერი, რომლებსაც** ახალი მასალები უნდა შეეკრიბათ პროექტის მოსამზადებლად.
სადილის მოსამზადებლად დაარჩიეთ **ხახვი, ნიორი და სტაფილო, რომლებიც** ძალიან წვრილად უნდა დაჭრათ.

სავარჯიშოები

15.3.1. შეცდომების გასასწორებლად შეცვალეთ წინადადების წყობა.

1) დათომ დაბადების დღეზე ყვავილი მაჩუქა, რომელიც ჩემი კლასელია.
2) თეკლე ბებომ კოცონს შეუკეთა ფიჩხი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.
3) შვილს დედამ დაულოცა გზა, რომელიც ორი წლით საზღვარგარეთ მიდიოდა სწავლის გასაგრძელებლად.
4) გლეხმა ნერგს მოაყარა სასუქი, რომელსაც მომავალ წელს ნიშანი უნდა მოეცა.
5) მასწავლებელმა მოსწავლეს უმაღლესი ქულა დაუწერა, რომელმაც ოლიმპიადაში გაიმარჯვა.
6) კომპანიის თანამშრომელმა კორპუსის ბინადრებს საინფორმაციო ბარათები გადასცა, რომლებმაც გაზგაყვანილობის შეცვლა გადაწყვიტეს.
7) გაზეთი მერაბმა აყიდვინა ნიკას, რომელშიც ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო დაბეჭდილი.
8) შოკოლადის კანფეტები საახალწლოდ ჩამოურიგეს პატარებს, რომლებიც მეტად გემრიელი იყო.
9) კლიენტებს დააგემოვნებინეს ევროპული კერძები, რომლებიც პირველები ეწვივნენ ახალგახსნილ კაფეს.
10) გოგონა გვიანობამდე კითხულობდა ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნს, რომელმაც გაკვეთილების მომზადება მეორე დღისათვის გადადო.
11) ჩვენი მიზანია ახალგაზრდა მეცნიერისათვის ბიძგის მიცემა, რომელიც მნიშვნელოვან არქეოლოგიურ აღმოჩენებს მოუტანს ქვეყანას.

15.3.2. გამართეთ წინადადებები.

1) მკითხველები გამოეხმაურნენ თამაზ გიორგაძის წერილს, რომელიც იყო გაზეთის მთავარი რედაქტორი.
2) მუსიკოსმა ახალი სიმღერა დაუწერა შვილს, რომელიც მეგობრობას ეძღვნება.
3) მე მომწონს ქალბატონის წინადადება, რომელიც ორი წლის სულ სხვაგვარად ფიქრობდა.
4) ლექტორმა ჯგუფს ღია ცის ქვეშ წაუკითხა ლექცია, რომელმაც აუდიტორიაში ყოფნა არ ისურვა.
5) ადმინისტრაციის წარმომადგენელმა გამოსცა ბუკლეტი, რომელმაც გამომგონებლის მეორე პროექტი დააფინანსა.
6) საქველმოქმედო აქცია მიეძღვნა მარტოხელა მოხუცს, რომელიც დიდხანს გაგრძელდა.
7) ეს არის დარჩიაშვილის ინიციატივა, რომელიც არის უმცირესობის წარმომადგენელი.
8) აკაკიმ თავისი ბავშვობა გაატარა ძიძის ოჯახში, რომელიც მისთვის დაუვიწყარი ხანა იყო.
9) დავითმა გაიზიარა მეგობრის წინადადება, რომელიც ერთ-ერთ კომპანიას ხელმძღვანელობდა.
10) გოგონამ წიგნი სთხოვა მეზობელ ბიჭს, რომელიც ძველ მოგზაურთა აღმოჩენებზე იყო.

15.3.3. გამოყავით სწორი წინადადებები.

1) მოქალაქეს თავს დაესხა ორი ახალგაზრდა, რომელმაც მისი გაძარცვა დააპირა.
2) მოქალაქეს თავს დაესხა ორი ახალგაზრდა, რომლებმაც მისი გაძარცვა დააპირეს.

3) ცაზე გამოჩნდა მერცხლების გუნდი, რომელმაც გეზი სამხრეთისაკენ აიღო.
4) ცაზე გამოჩნდა მერცხლების გუნდი, რომლებმაც გეზი სამხრეთისაკენ აიღო.
5) სჯობს სკოლაში დავიბაროთ მოსწავლის დედ-მამა, რომლებიც უკეთ გაგვარკვევენ საქმის ვითარებაში.
6) სჯობს სკოლაში დავიბაროთ მოსწავლის დედ-მამა, რომელიც უკეთ გაგვარკვევს საქმის ვითარებაში.

7) ეს ის ხვიჩა და გოჩაა, რომელიც მონებად გაყიდეს აღმოსავლეთის ბაზარზე.
8) ეს ის ხვიჩა და გოჩაა, რომლებიც მონებად გაყიდეს აღმოსავლეთის ბაზარზე.

9) მოედანზე შეიკრიბა ხალხი, რომლებიც ცდილობდნენ დამნაშავის საჯაროდ გასამართლებას.
10) მოედანზე შეიკრიბა ხალხი, რომელიც ცდილობდა დამნაშავის საჯაროდ გასამართლებას.

11) ბავშვმა ყიჟინით გამორეკა თხა-ცხვარი, რომლებიც კიკინ-ბღავილით ჩამოუყვნენ ფერდობს.
12) ბავშვმა ყიჟინით გამორეკა თხა-ცხვარი, რომელიც კიკინ-ბღავილით ჩამოუყვა ფერდობს.

13) მთვარის შუქზე გაირბინა რამდენიმე ლანდმა, რომელიც სიბნელეს შეერია.
14) მთვარის შუქზე გაირბინა რამდენიმე ლანდმა, რომლებიც სიბნელეს შეერივნენ.

15.4. მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების აღრევა

მოსწავლეთა თუ სტუდენტთა ნაწერებში არაიშვიათია მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების აღრევა. მეცნიერები (მწერლობისა და ზეპირი მეტყველების მონაცემებზე დაყრდნობით) მიიჩნევენ, რომ ამ წინადადებებს შორის ძველ ქართულში, მართლაც, გარკვეული სიახლოვე იყო (მაგ., მისათითებელი სიტყვა – „იმისთვის“ – მნიშვნელობით იგივე იყო, რაც დღევანდელი „იმიტომ“), მაგრამ დღეს უკვე თვალსაჩინოა განსხვავება, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ:

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით აღნიშნული მოქმედების მიზეზს, რაც, ერთგვარად, წინ უსწრებს ახლანდელ, წარსულ თუ მომავალ მოქმედებას. მისი ძირითადი კითხვებია: **რატომ? რის გამო? რა მიზეზით?** ამ ტიპის ქვეწყობის მთავარი და დამოკიდებული ნაწილების შესაერთებლად გამოიყენება კავშირები: **რადგან / რადგანაც, ვინაიდან, რომ, იმიტომ რომ, რახან, რაკი.** მთავარ წინადადებაში კორელატებად შეიძლება იყოს მიზეზის ზმნიზედები: **ამიტომ, იმიტომ, მიტომ, ამის / იმის გამო.** კორელატებისა და კავშირების ძირითადი კონსტრუქციებია: **იმის გამო – რომ, იმიტომ – რომ, რაკი – ამიტომ /იმიტომ; რაკი – ამის / იმის გამო...** მაგ.:

ასე **იმის გამო** მოვიქეცი, **რომ** შენი წყენინება არ მინდოდა.

რაკი გოგონა მაინც ცდილობდა წასვლას, **ამიტომ** ხელი არ შეუშალეს.

გამორჩეული ნაშრომი **რომ** ჰქონდა, **იმიტომ** გაიმარჯვა კონკურსანტებს შორის.

როდესაც **იმიტომ** კავშირი მთავარი წინადადების ბოლოს ექცევა, ინტონაციურად ეკედლება დამოკიდებულ წინადადებას და მიიღება რთული კავშირი **იმიტომ რომ**. მძიმე, ბუნებრივია, რთული კავშირის წინ დაიწერება; შდრ.:

სკოლაში **იმიტომ** არ წავიდა, **რომ** გაკვეთილების მომზადება ვერ მოასწრო.

სკოლაში არ წავიდა, **იმიტომ რომ** გაკვეთილების მომზადება ვერ მოასწრო.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების მიზანს, რომელიც მას (მოქმედებას) შედეგად უნდა მოჰყვეს ან მოჰყოლოდა. მისი კითხვებია: **რისთვის? რა მიზნით? რად?** კავშირებად გამოიყენება **რომ, რათა,** ხოლო კორელატებად – მიზნის ზმნიზედები: **მისთვის, ამისთვის, იმისთვის, იმად...** კორელატისა და კავშირის ძირითადი კონსტრუქციებია: **მისთვის – რომ, იმისთვის – რომ / რათა...** მაგ.:

"**მისთვის** არ ვმღერ, **რომ** ვიმღერო ვით ფრინველმა გარეგანმა."

ქუდზე კაცი **იმისთვის** გამოვიდა, **რათა** დაეცვა დედაქალაქი გარს მომდგარი მტრისაგან.

იმისთვის დატოვა სხდომა, **რომ** თავისი პრინციპულობა დაემტკიცებინა და სხვ.

მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების აღრევას განაპირობებს ის ფაქტი, რომ მათი შედგენისას არასწორად არის შერჩეული სპეციფიკური კავშირები – **რადგან** და **რათა.** სალიტერატურო ნორმა რომ არ დაირღვეს, ჯერ ლოგიკურად უნდა გავიაზროთ, რაზე გვინდა ორიენტირება: მოქმედების მიზეზსა თუ მიზანზე. შემდეგ გამოვიყენოთ შესაბამისი სპეციფიკური კავშირი: **რადგან** (/ვინაიდან) – მიზეზის გარემოებით, ხოლო **რათა** – მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში; შდრ.:

1. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

სწორია: ლექციას არ დაესწრო, რადგან არ აინტერესებდა;

შეცდომაა: ლექციას არ დაესწრო, რათა არ აინტერესებდა.

2. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

სწორია: თავდაუზოგავად იბრძოდა, რათა / რომ მიზნისთვის მიეღწია;

შეცდომაა: თავდაუზოგავად იბრძოდა, რადგან მიზნისთვის მიეღწია.

სავარჯიშოები

15.4.1. იპოვეთ შეცდომით აგებული წინადადებები და გაასწორეთ.

1) უნდა გავუფრთხილდეთ არქეოლოგიურ მონაპოვარს, რადგან შევინარჩუნოთ ჩვენი წარსული.
2) პოეტი გამოემშვიდობა მშობლიურ მთებს, რადგან "მომავლის ბედისათვის" ასე სჯობდა.
3) მომხსენებელმა სასწრაფოდ ჩაიკითხა თავისი ტექსტი, რათა არ უნდოდა, რეგლამენტი დაერღვია.
4) მასწავლებელმა მოსწავლეები წაიყვანა ხელოვნების მუზეუმში, რათა მათთვის ეროვნული საგანძურის სიყვარული გაეღვივებინა.
5) ის სახელმწიფოს ადანაშაულებს, რათა ვერ დაიცვა ქართული ენის სიწმინდე.
6) ავტორი პერსონაჟებს ალაპარაკებს ჟარგონებითა და კალკებით, ვინაიდან წარმოაჩინოს თანამედროვე სალიტერატურო ენის პრობლემა.
7) ეს წარუმატებლობა ხელმძღვანელების ბრალია, რათა არ ატარებენ სათანადო ღონისძიებებს.
8) სტუდენტები ორთვიან პრაქტიკაზე გაგზავნეს, რათა განემტკიცებინათ თავიანთი თეორიული ცოდნა.
9) გმადლობთ ყველას, რათა დაესწარით ჩვენს პრეზენტაციას!..
10)გიგამ ვარჯიშზე წასვლა ვეღარ შეძლო, რადგან სტუმრებს ელოდა.

15.4.2. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები კავშირთა ჩამონათვალით:

ვინაიდან; რომ (2) ; იმის გამო, რომ; რათა (2); იმიტომ რომ; ამიტომ; ამიტომაც; რადგან (2).

1) ... ყველას მოაბეზრა თავი, აღარავინ უსმენდა.
2) უკომპრომისო ბრძოლა მოგვიწევს, ... გავიმარჯვოთ.
3) ... შენ ჩემი ახლობელი ხარ, მინდა გულისტკივილი გაგიზიარო.
4) ბავშვს რომ ცოტა ბიძგის მიცემა სჭირდება, ... მინდოდა შენთან საუბარი.
5) მაგისი ნურაფერი გაგიკვირდება, ... ახლა სწავლობს საზოგადოებასთან ურთიერთობას.
6) ყველაფერი ... ვაპატიე, იმიტომ გამიბედა ასეთი თავხედობა.
7) მსგავსი შემთხვევა რომ არ გამეორდეს, ... არის საჭირო ჩვენი გაერთიანება.
8) ... დღეს მისი დაბადების დღეა, მოდი, გადავდოთ ყველაფერი და საჩუქარი შევურჩიოთ.
9) მე გიოს აღარ დავეხმარები, ... დამოუკიდებლად მოიპოვოს წარმატება.
10) წინასწარი გაფრთხილების გარეშე მასთან ნუ წახვალ, ... ხშირად არ არის სახლში.

15.4.3. აირჩიეთ სწორი წინადადებები.

1) იმიტომ გცემ პატივს, რომ ყველაზე სამართლიანი ხარ.
2) იმისთვის გცემ პატივს, რომ ყველაზე სამართლიანი ხარ.

3) დილით ადრე ადგა, რომ სხვების გაღვიძებამდე მოეგვარებინა საქმე.
4) დილით ადრე ადგა, რადგან სხვების გაღვიძებამდე მოეგვარებინა საქმე.

5) აქ შეგვკრიბეს, რათა საქველმოქმედო აქციაში მივიღოთ მონაწილეობა.
6) აქ შეგვკრიბეს, რადგან საქველმოქმედო აქციაში მივიღოთ მონაწილეობა.

7) სოფელში იმიტომ ვიჩქარეთ წასვლა, რათა გაწვიმებამდე აგვეღო ყანა.
8) სოფელში იმიტომ ვიჩქარეთ წასვლა, რომ გაწვიმებამდე აგვეღო ყანა.

9) ყველას გავაფრთხილებ, რომ მისგან თავი შორს დაიჭიროს.
10)ყველას გავაფრთხილებ, ვინაიდან მისგან თავი შორს დაიჭიროს.

11)ნატო შვებულებას იღებს, რათა სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტაროს.
12)ნატო შვებულებას იღებს, რადგან სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტაროს.

13) ამ სამუშაოს ვერ ვასრულებ, რადგან სხვა საქმე უფრო მიზიდავს.
14)ამ სამუშაოს ვერ ვასრულებ, რათა სხვა საქმე უფრო მიზიდავს.

15)რადგან უმუშევარი ვარ, სასიდედრო დამიწუნებს?
16)რათა უმუშევარი ვარ, სასიდედრო დამიწუნებს?

17) ვინაიდან ამ საქმიდან არაფერი გამოდის, დროს ნუღარ დავკარგავთ.
18)რათა ამ საქმიდან არაფერი გამოდის, დროს ნუღარ დავკარგავთ.

19) იმისთვის არ ვიბრძოდით, რომ ბოლოს ასეთი შედეგი მიგვეღო.
20)იმიტომ არ ვიბრძოდით, რომ ბოლოს ასეთი შედეგი მიგვეღო.

15.5. სინტაქსური ასიმილაცია

სინტაქსური ასიმილაცია ერთ-ერთი ტიპის დარღვევაა, რომელსაც უშვებენ რთული ქვეწყობილი წინადადებების აგებისას; ვითარება, ძირითადად, ასეთია: დამოკიდებული ნაწილი მთავარ წინადადებაშია მოქცეული; შესაბამისად, მთავარი წინადადების ქვემდებარე დაშორებულია „საკუთარ“ შემასმენელს და დამოკიდებული წინადადების შემასმენლისაგან იმართება ბრუნვაში; შდრ.:

	მთავარი	დამოკიდებული	მთავარი
სწორია:	**სტუდენტები,**	რომლებმაც დაიგვიანეს,	**ლექციაზე არ დაიშვებიან;**
შეცდომაა:	სტუდენტებმა,	რომლებმაც დაიგვიანეს,	ლექციაზე არ დაიშვებიან.
სწორია:	**იმ მატარებელმა,**	რომელსაც ველოდი,	**დიდი ხანია, ჩაიარა;**
შეცდომაა:	იმ მატარებელს,	რომელსაც ველოდი,	დიდი ხანია, ჩაიარა.

აღნიშნული ტიპის ხარვეზები განსაკუთრებით ხშირია ზეპირ მეტყველებაში, მაგ., პირდაპირი რეპორტაჟისა თუ ინტერვიუერთა ტექსტებში, რაც არასპეციალისტისთვისაც იოლად აღსაქმელია. წერაში სინტაქსური ასიმილაცია უმეტესად მაშინ იჩენს თავს, როდესაც ავტორი ნაკლებად უთმობს დროს ტექსტის ენობრივი მხარის მოწესრიგებას. ამისათვის უხვ მასალას იძლევა ყველასათვის კარგად ნაცნობი ეპიზოდი სკოლის ცხოვრებიდან, კერძოდ, მოსწავლეები ერთხელაც რომ არ გადახედავენ, ბოლო სიტყვის დასრულებისთანავე მიურბენინებენ მასწავლებელს საკლასო წერით დავალებას.

სინტაქსური ასიმილაციისათვის თავის არიდება შესაძლებელია ტექსტზე დაკვირვებული მუშაობითა და რთული კონსტრუქციების კონტროლით: ერთი საქმეა ტექსტის შექმნა, ხოლო მეორე – არანაკლებ საპასუხისმგებლო – მისი გრამატიკული მხარის მოწესრიგება.

სავარჯიშოები

15.5.1. გაასწორეთ შეცდომები.

1) ადამიანი, ვიდრე ცოცხალია, სიკეთე უნდა თესოს.
2) კაცმა, რომელმაც ოქროს ლოდი მიწაში ჩამარხა, ერთ დღესაც განძი აღარ დახვდა.
3) ოქროს დისკო, რომელიც ავტორმა მსჯელობის თემად აქცია, ისტორიის შეცვლა შეუძლია.
4) ის, რომ განზე გადგომა საქმეს არ წაადგება, უნდა მიხვდეს კოტეტიშვილი.
5) პროფესორმა, რომელმაც სტუდენტების გული მოიგო, ძალიან დაკვირვებულად იქცევა.
6) კაცმა, რომელმაც მაგალითი მისცა დანარჩენებს, ბოლოს ყველამ მიატოვა.
7) ის ფაქტი, რომ სიავის დაფარვამ ქვეყანა დაღუპა, ყველა აცნობიერებს.
8) დედა, რომელიც მომავალზე ფიქრობდა, ყველაფერი გააკეთა შვილისათვის.
9) ის, ვინც აქ დარჩენას ფიქრობს, უფრო მეტი დრო უნდა დაუთმოს საკუთარი თავისა და ცხოვრების შესწავლას.
10) ყველას, ვისაც დრო გვაქვს, უნდა მივეხმაროთ მარტოხელა ადამიანებს.
11) ქალბატონს, რომელსაც არ ვიცნობდი, ჩემი სახელი ახსენა.
12) ის, რომ სხვა არ უნდა გააკრიტიკო, სწავლა არ სჭირდება.
13) მწერალი, სანამ დაიწყებდა ესეს წერას, კარგად შეისწავლა სათანადო მასალა.

15.5.2. დაასრულეთ გამუქებული სიტყვები.

1) **მეგობარ...** , რომელსაც გუშინ დაბადების დღე ჰქონდა, სამსახურში არ წასულა..
2) **ოთახის მცენარ...**, რომელიც თითქოს უწყლობით გახმა, ისევ გამოიღო კვირტი.
3) **ბიჭ...**, რომელიც ადრე ზარმაცობდა, უმაღლესი ქულა მიიღო ბიოლოგიაში.
4) **სახლ...**, რომელმაც ჩემი ბავშვობა გამახსენა, ისევ დგას ფიქრის გორაზე.
5) **მფრინავ...**, რომელმაც ურთულესი საჰაერო ილეთი შეასრულა, ოქროს მედლით დააჯილდოვეს.
6) **ძაღლ...**, რომელსაც ბავშვები გამოეკიდნენ, ვიღაცის სახლს შეაფარა თავი.
7) **ტელეფონ...**, რომელსაც ნაწილი დაუზიანდა, ნინოს ძმას გავაკეთებინე.
8) **ფრინველებ...**, რომლებმაც გაზაფხულის მოახლოება იგრძნეს, კვლავ ბველ ბუდეებს დაუბრუნდნენ.
9) **კაც...**, რომელსაც ბევრი საქმე აქვს, დროზე უნდა ადგეს.
10) **შემთხვევ...**, რომელიც ჩვენს ქუჩაზე მოხდა, ყველას გაახსენა მოხუცი პეტრე.

15.6. რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და პირიქით

ენაში მოქმედებს ეკონომიურობის პრინციპი – მეტყველება მიისწრაფვის გამარტივებისაკენ. საყურადღებოა განსხვავებული აგებულების წინადადებათა ქრონოლოგიური მიმართებაც; როგორც შეისწავლეს, მარტივი წინადადება ჩამოყალიბდა მეტყველების (აზროვნების) განვითარების შედარებით ადრეულ საფეხურზე, როცა რთული ქვეწყობილი წინადადება – ბევრად უფრო მოქნილი და დახვეწილი კონსტრუქცია – გაცილებით გვიანდელი ფორმაციისაა (შდრ., პირველყოფილი ადამიანების პრიმიტიული მეტყველება, მწერალ ჯ. ქარჩხაძის მოთხრობა „იგის" მიხედვით).

აზრის სხარტად გადმოცემის თვალსაზრისით, აშკარა უპირატესობით სარგებლობს რთული ქვეწყობილი წინადადება, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რთული სინტაქსური კონსტრუქციის უკიდურესი ფორმები – თითქმის ნახევარგვერდიანი წინადადებები (სულ მცირე, 5-6 კავშირით) – მისაღები იყოს სალიტერატურო მეტყველებისათვის. უზომოდ გრძელი წინადადებები, ისევე როგორც მხოლოდ მარტივი კონსტრუქციებით აგებული მსჯელობა, მეტნაკლებად აფერხებს ნააზრევის ლოგიკური მიმართებების გამოხატვა-აღქმას (აქ საუბარი არ არის მხატვრული ენის სპეციფიკაზე).

მარტივ და რთულ წინადადებათა შორის არჩევანი სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება. ენაში შემუშავებულია წესები, რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლებელია რთული კონსტრუქციის შეცვლა მარტივით და პირიქით, მარტივისა – რთულით. პირველ შემთხვევაში იგულისხმება სინტაქსური დაქვემდებარების მოხსნა, ხოლო მეორე შემთხვევაში – აღდგენა.

სინტაქსური დაქვემდებარების მოხსნისათვის საჭიროა:

- რთული წინადადების დამოკიდებული ნაწილიდან – წევრ-კავშირის, ხოლო მთავარი ნაწილიდან მისათითებელი სიტყვის (კორელატის) ამოღება;
- დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლის გადაკეთება საწყისად ან მიმღეობად, რომელიც სხვა სიტყვებთან ერთად შეუერთდება მთავარ წინადადებას; მაგ., შდრ.:

რაც კალმით დაიწერება, ის ნაჯახით არ ამოიშლებაო (რთული);
კალმით დაწერილი ნაჯახით არ ამოიშლებაო (მარტივი).

სინტაქსური დაქვემდებარების აღდგენისათვის აუცილებელია:

- მარტივ წინადადებაში არსებული შემასმენლის პარალელურად, კიდევ ერთი შემასმენლის გაჩენა, ანუ ახალი სინტაქსური კონსტრუქციის განვითარება;
- მაქვემდებარებელი კავშირების ან წევრ-კავშირებისა და კორელატის – მისათითებელი სიტყვის – აღდგენა. მაგ., შდრ.:

გაზაფხულზე მდინარეები ადიდდება (მარტივი);
როცა გაზაფხული მოვა, მდინარეები ადიდდება (რთული).

სავარჯიშოები

15.6.1. გადააკეთეთ მარტივ წინადადებებად.

ა)

1) მაშინ ძალიან პატარა ვიყავი იმისათვის, რომ ეს რჩევა გამეთვალისწინებინა.
2) მოსავალი დააბინავეს თუ არა, ძლიერი ყინვები დაიწყო.
3) როგორც კი ზარი დაირეკა, ბავშვების ჟრიამული გაისმა სკოლის დერეფანში.
4) ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთ პიროვნებას შევხვდებოდი.
5) როცა შხაპუნა წვიმა გადაიღებს, ბალახებიდან სოკოები ამოყოფენ თავს.
6) არ ვარ დარწმუნებული, რომ შენ უდანაშაულო ხარ.
7) როდესაც მექორწილეები სუფრასთან მიიწვიეს, დარბაზში ნეფე-პატარძალიც შემობრძანდა.

ბ)
1) თუმცა გოგონა ნაწყენი იყო, მაინც შეიკავა თავი საყვედურისაგან.
2) ჩემი და, გულითადი მეგობარი რომ იპოვა, იმით არის ბედნიერი.
3) გათენდა თუ არა, ტყის ბინადარნიც ახმაურდნენ.
4) დაივიწყე, რაც გაწყენინე.
5) დღეს უნდა განვსაზღვროთ, როგორ ვიმოქმედებთ ხვალ.
6) რაც მუშაობა დავიწყე, ერთი არ დამისვენია.
7) მათ რომ დროულად დაეჭირათ თადარიგი, ამდენ შენიშვნას არ დაიმსახურებდნენ.

15.6.2. აღადგინეთ რთული წინადადებები.

ა)
1) გადაუღებელი წვიმის გამო ამხანაგური მატჩი გადაიდო.
2) სიყვარულით თავგზააბნეულ ზურას საფიქრელად ბევრი დრო ჰქონდა.
3) უსიამოვნო ფიქრებით ღამეგატეხილ ქვრივს გათენებისას ჩაეძინა.
4) ქუჩის მუსიკოსების სიმღერებმა მსმენელები აღაფრთოვანა.
5) სტუდენტების სისტემატური დაგვიანების გამო უნივერსიტეტის სასწავლო რეჟიმი გაამკაცრეს.
6) დაღამებისას შეწყდა ბრძოლა.
7) მტრობით დანგრეულს სიყვარულით აშენებენ.

ბ)
1) ბავშვობაში ნასწავლი გრიგოლს დაუვიწყებლად ახსოვდა.
2) ახალი ინფორმაციის მიღებისთანავე დეპუტატმა პრესკონფერენცია გამართა.
3) ჩემი ახლო მეგობარი ბოლოს მოძულე მტრად გადამექცა.
4) მთიდან მოვარდნილმა წყალმა სოფლის საყანეები დატბორა.
5) წესრიგის დამრღვევ ქალბატონს დარბაზის დატოვება მოსთხოვეს.
6) ყანაში მომუშავე გლეხები შუადღის სიცხემ შეაწუხა.
7) სიცივისგან ბავშვებს ხელები გაეთოშათ.

15.7. ორმაგი უარყოფა

აზრის გამოხატვა წინადადებაში შესაძლებელია ორგვარად: დადებითად და უარყოფითად. პირველ შემთხვევაში, წინადადება წართქმითია („დღეს ლექციებს დავესწარი“), მეორე შემთხვევაში კი – უკუთქმითი („დღეს ლექციებს არ დავსწრებივარ“).

უკუთქმითობა შესაძლებელია გამოიხატოს:

– უარყოფითი ნაცვალსახელებით: **არავინ, ვერავინ, ნურავინ, არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, არარა...**

– უარყოფითი ზმნიზედებით, მაგ.: **არსად, არსაით, ვერსად, ვერასოდეს / ვერასდროს, ვერაფრით, ნურაფრით...**

– უარყოფითი ნაწილაკებით: **არ, ვერ, ნუ, აღარ, ვეღარ, ნუღარ.**

უარყოფითი ნაწილაკები, ჩვეულებრივ, ზმნა-შემასმენელს დაერთვის. საკუთრივ, მათი მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად განსხვავებულია: **არ** გამოიყენება უფრო კატეგორიული უარყოფის გამოსახატავად; მაგ.: „არ გააკეთო!“, „არ წახვალ!“, **ნუ** – თხოვნითი აკრძალვისათვის, მაგ.: „ნუ კარგავ დროს!“, „ნუ აგვიანებ!“; **ვერ** აღნიშნავს უარყოფას შესაძლებლობის მიხედვით: „ვერ მოვასწარი“, „ვერ შესწვდა“ და სხვ.

შენიშვნა: სავარაუდოა, უარყოფით ნაწილაკთა მნიშვნელობების ასე განაწილება მეორეული მოვლენა იყოს, რის საფუძველსაც იძლევა ქართველურ დიალექტთა მონაცემები, შდრ.: **არ ვიცი** (ლიტ.) – **ვერ ვიცი** (კახ. / თუშ.); **ვა(რ)მიჩქუ(ნ)** (მეგრ.)

ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები ცალმაგ უარყოფას ასახავს. ენაში ასევე დასტურდება ორმაგი უარყოფის შემთხვევები, როცა უარყოფის გასაძლიერებლად ერთდროულად გამოყენებულია: ა) უარყოფითი ნაწილაკი და უარყოფითი ზმნიზედა; ბ) უარყოფითი ნაწილაკი და უარყოფითი ნაცვალსახელი; მაგ.: „არსად არ წასულა“, „ვერავინ ვერ მიხვდა“ და სხვ.

ორმაგი უარყოფა, როგორც ენობრივი მოვლენა, შედარებით გვიანდელია, თუმცა უკვე ფართოდ არის გავრცელებული სალიტერატურო ქართულში. უარყოფის სახეებს შორის არჩევანი დღეს სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში ორმაგ უარყოფას გვერდს ვერც ავუქცევთ.

• ორმაგი უარყოფა საჭიროა, როცა:

– უარყოფით ზმნიზედას, ნაცვალსახელსა თუ ნაწილაკს დაერთვის -ც ნაწილაკი, მაგ.:

არსადაც არ წავალ, არაფერსაც არ გეტყვი;
არც არავინ მინახავს, არც არაფერი გამიგონია;
„არც არა შენ დაგიშავდეს, არც მე ჩავვარდე ზიანსა" (ვაჟა);

– უარყოფითი ნაწილაკი და უარყოფითი ნაცვალსახელი (ან ზმნიზედა) გათიშულია ერთმანეთისაგან სხვა სიტყვებით:

„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში";
არაფერი ისე არ უყვარდა, როგორც სანეტარო ძილი;

– უარყოფითი ნაცვალსახელი მსაზღვრელის ფუნქციითაა:

„არავითარი სხვა სამშობლო, ამაზე მეტი, / არ გამაჩნია";
ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებდა;
თიკო არაფერი გოგო არ არის და სხვ.

• სტილის სიცხადისათვის უმჯობესია:

– ორ უარყოფას შორის რაც შეიძლება ნაკლები წევრების მოქცევა; შდრ.:

ჩვენს კურსზე არასოდეს სემესტრული გამოცდები არ დამთავრებულა ისე, რომ არ აღგვენიშნა;
ჩვენს კურსზე არასოდეს არ დამთავრებულა სემესტრული გამოცდები ისე, რომ არ აღგვენიშნა.

– ზმნა-შემასმენელთან არა მარტო უარყოფითი ნაწილაკის, არამედ მეორე უარყოფის სიახლოვეც; შდრ.:

ვერასოდეს ჩემს მომავალს ასე ვერ დავგეგმავდი;
ჩემს მომავალს ასე ვერასოდეს ვერ დავგეგმავდი.

• დაუშვებელია ორმაგი უარყოფის კონსტრუქციაში სხვადასხვა ნაწილაკის მონაწილეობა; შდრ.:

სწორია: არავითარი საყვედური მას პირიდან არ წამოსცდებოდა;
შეცდომაა: არავითარი საყვედური მას პირიდან ვერ წამოსცდებოდა
ვერავითარი საყვედური მას პირიდან არ წამოსცდებოდა.

სავარჯიშოები

15.7.1. დახვეწეთ ორმაგი უარყოფის შემცველი კონსტრუქციები.

1)არსად ამდენი ხნით ჩემი შვილი არ წასულა.
.....
2)ვერასოდეს ნიკა დედის დარიგებას ვერ დაივიწყებდა.
.....
3)არასოდეს დავითი დაკისრებულ საქმეს არ მოეკიდებოდა უპასუხისმგებლოდ.
.....
4)ვერაფრით თამარმა მეგობარი ვერ დაარწმუნა თავის უდანაშაულობაში.
.....
5)არაფრით ეს ბავშვი დანარჩენებისაგან არ გამოირჩეოდა.
.....
6)ვერასოდეს გიორგის ფრიადოსანი ძმის წარუმატებლობას ვერ დავიჯერებ.
.....
7)არსად ასეთი შეხმატკბილებული მუსიკის ჰანგები არ გამიგონია.
.....
8)ვერასოდეს ასეთ სასწაულს ვერ წარმოვიდგენდი.
.....
9)ვერავისთვის ჩემს პატარა ფისუნიას ვერ გავიმეტებ.
.....
10) ვერსად გოგონა მომავალ შეხვედრაზე ფიქრს ვერ გაექცა.
.....

15.7.2. აირჩიეთ სტილისტურად უმჯობესი ვარიანტები.

1)მათ შესახებ ვერაფერი გავიგე.
2)მათ შესახებ ვერაფერი ვერ გავიგე.

3)ნანა წელს ქალაქიდან არსად გასულა.
4)ნანა წელს ქალაქიდან არსად არ გასულა.

5)ამ საქმიდან არაფერი გამოვა.
6)ამ საქმიდან არაფერი არ გამოვა.

7)გთხოვ, ნურსად წუ წახვალ.
8)გთხოვ, ნურსად წახვალ.

9)იმ შეხვედრაზე არაფერი არ მკითხო.
10)იმ შეხვედრაზე არაფერი მკითხო.

11)მომჩივანს ვერაფერში ვერ შეეკამათნენ.
12)მომჩივანს ვერაფერში შეეკამათნენ.

13)მას აქედან არსად წაესვლება.
14)მას აქედან არსად არ წაესვლება.

15)შენ ნურაფერი გადარდებს.
16)შენ ნურაფერი ნუ გადარდებს.

17)მე ვერავისზე მივიტან ეჭვს.
18)მე ვერავისზე ვერ მივიტან ეჭვს.

19) დღემდე აქ არავინ გამოჩენილა.
20)დღემდე აქ არავინ არ გამოჩენილა.

15.7.3. შეავსეთ საჭირო ფორმებით.

1)რადგან ასე იქცევი, არსადაც ... გაგიშვებ.
2)ვერსად ისე ... მოვისვენებ, როგორც ჩემს სახლში.
3)ჩემი ნებართვის გარეშე ვერსადაც ... წახვალ.
4)ნურაფერს ისე ... მკითხავ, თითქოს არ გაინტერესებდეს.
5)ვერავითარი წინააღმდეგობა მას .... დააბრკოლებდა.
6)დღეს არავინ ისე ... შეეცდება შენი გულის მოგებას, როგორც ის პიროვნება.
7)არავითარი სინანულის განცდა მას .... ჰქონია, როცა მიდიოდა.
8)ვერაფერს ამ წუწუნით ... მიაღწევ.
9)არსად ისე .... იციან სტუმრის პატივისცემა, როგორც ჩვენთან.
10) ახლა იქ წასვლის არავითარი სურვილი ... მაქვს.

ტესტი N 15

წინადადება
- ზმნური კონსტრუქციების ცვლილება
- კორელატის (მისათითებელი სიტყვისა) და წევრ-კავშირის ზოგიერთი კონსტრუქცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში
- მისამართი სიტყვისა და "რომელ" წევრ-კავშირის ადგილის განსაზღვრა და რიცხვში შეთანხმება
- მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების აღრევა
- სინტაქსური ასიმილაცია
- .რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და პირიქით
- ორმაგი უარყოფა

1. რომელია სწორი პასუხი?
წინადადება არის:
ა) ენაში არსებულ სიტყვათა ორგანიზებული ნაერთი;
ბ) ენაში არსებულ სიტყვათა ჯგუფი.
2. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.
წინადადებას ახასიათებს გარკვეული ნიშნები:
ა) პრედიკატულობა – ზმნა-შემასმენლის არსებობა;
ბ) სტრუქტურული მთლიანობა;
გ) განწყობა და მელოდიურობა;
დ) აზრობრივი და ინტონაციური დასრულებულობა.
3. რომელია სწორი პასუხი?
კითხვითსიტყვიან წინადადებაში კითხვის მახვილი მოდის:
ა) კითხვით სიტყვაზე;
ბ) ზმნაზე.
4. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.
თანამედროვე ქართულ წინადადებაში მთავარ წევრთა ფუნქცია განისაზღვრება:
ა) მათი ადგილით;
ბ) ზმნური კონსტრუქციით.
5. რომელია გამართული წინადადება?
ა) სხვა შემთხვევაში ის მას ამას არ დაუთმობდა;
ბ) სხვა შემთხვევაში ნანა ძმას ამას არ დაუთმობდა.
6. შემოხაზეთ ორი უმართებულო ვარიანტი.
ა) თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილები არ მიგვიღია.
ბ) თქვენი წერილები არ მიგვიღია;
გ) ვარჯიშის ჩატარება დილის შვიდ საათზე დაიწყო;
დ) ვარჯიში დილის შვიდ საათზე დაიწყო.
7. შემოხაზეთ ორი ნორმატიული წინადადება.
ა) მომიყევი ზღაპარი;
ბ) მომიყევი ზღაპარს;
გ) მოჰყევი გაკვეთილს;
დ) მოჰყევი გაკვეთილი.
8. რომელია მცდარი?
ა) მე ეს საქმე მოვრჩი;
ბ) მე ამ საქმეს მოვრჩი.
9. შემოხაზეთ ორი სწორი ვარიანტი.
ა) ელენემ დაიფიცა;
ბ) ელენე დაიფიცა.
გ) ვძლიოთ მტერს;
დ) ვძლიოთ მტერი.
10. რომელია მცდარი პასუხი?
მაერთებელ კავშირებია:

ა) მაჯგუფებელი: **და, თუ;**
ბ) მაპირისპირებელი: **მაგრამ, ხოლო, კი;**
გ) მაქვემდებარებელი: **რომ, რათა, სანამ, როცა;**
დ) მაცალკევებელი: **ან... ან კიდევ, ხან... ხან კიდევ;**
ე) მაიგივებელი: **ანუ, ესე იგი.**

11. რომელია სწორი?

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში წევრ-კავშირებად გამოიყენება:
ა) მიმართებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები;
ბ) კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები.

12. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

კორელატი, ანუ მისათითებელი სიტყვა, რომლითაც განისაზღვრება დაქვემდებარების სახე, არის:
ა) მთავარ წინადადებაში;
ბ) დამოკიდებულ წინადადებაში.

13. რომელია მცდარი?

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში კორელატს ახლავს:
ა) მისამართი სიტყვა;
ბ) მთავარი სიტყვა.

14. შემოხაზეთ მცდარი წინადადებები.

ა) ვმეგობროზ მხოლოდ მას, რომელმაც იცის მეგობრობის ფასი;
ბ) ვმეგობროზ მხოლოდ მას, ვინც იცის მეგობრობის ფასი.
გ) მომწონხარ ისეთი, როგორც ხარ;
დ) მომწონხარ ისეთი, როგორიც ხარ.

15. რომელია სწორი?

ა) იმ სოფელზე ოცნებობდა, სადაც ბავშვობის წლები გაატარა.
ბ) იმ სოფელზე ოცნებობდა, რომელშიც ბავშვობის წლები გაატარა.

16. შემოხაზეთ ნორმატიული წინადადება.

ა) ჩვენს კორპუსთან დავინახე ბავშვი, რომელიც დედას ეტირებოდა;
ბ) ბავშვი დავინახე ჩვენს კორპუსთან, რომელიც დედას ეტირებოდა.

17. შემოხაზეთ ორი არასწორი წინადადება.

ა) ხალხი, რომლებიც ამ ფაქტს შეესწრო, უკვე ტოვებდნენ დარბაზს.
ბ) ზაფხულის მოსვლა ახარებდა და-ძმას, რომლებიც თავიდან – ბებოსთან, შემდეგ კი ზღვაზე მიდიოდნენ დასასვენებლად.
გ) უნდა გვბულდეს დანაშაული და არა ადამიანები, რომლებიც სჩადიან დანაშაულს;
დ) ქუჩის ბოლოში შევნიშნე ორი უცნობი, რომელიც მაშინვე თვალს მიეფარა;

18. შემოხაზეთ მართებული წინადადებები.

ა) იმისთვის მინდა შენთან ყოფნა, რომ ბევრ კარგ რამეს ვსწავლობ;
ბ) იმიტომ მინდა შენთან ყოფნა, რომ ბევრ კარგ რამეს ვსწავლობ;

19. რომელია სწორი?

ა) ანანოს მოუწევს ახსნა-განმარტების დაწერა, რათა დააგვიანა ლექციაზე.
ბ) ანანოს მოუწევს ახსნა-განმარტების დაწერა, რადგან დააგვიანა ლექციაზე.

20. შემოხაზეთ მცდარი წინადადება.

ა) ადამიანს, რომელმაც გააცნობიერა შექმნილი ვითარება, არ უჭირს თავისი პოზიციის გამოხატვა.
ბ) ადამიანმა, რომელმაც გააცნობიერა შექმნილი ვითარება, არ უჭირს თავისი პოზიციის გამოხატვა.

21. რომელია მცდარი?

სინტაქსური ასიმილაცია ერთ-ერთი ტიპის დარღვევაა, რომელსაც უშვებენ:
ა) რთული ქვეწყობილი წინადადებების აგებისას;
ბ) მარტივი წინადადებების აგებისას.

22. შემოხაზეთ მართებული წინადადება.

ა) მოზარდი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, პასუხს აგებს თავის საქციელზე;
ბ) მოზარდმა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, პასუხს აგებს თავის საქციელზე;
გ) მოზარდმა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, ის პასუხს აგებს თავის საქციელზე.

23. შემოხაზეთ სწორი განმარტება.

აზრის სხარტად გადმოცემის თვალსაზრისით, გაცილებით მოქნილია:
ა) ორი მარტივი წინადადება;

ბ) ერთი რთული ქვეწყობილი წინადადება.

24. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

სინტაქსური დაქვემდებარების აღდგენისათვის აუცილებელია მარტივ წინადადებაში:

ა) დამატებით, ერთი შემასმენლის გაჩენა;

ბ) დამატებით, ერთი შემასმენლის, ასევე მაქვემდებარებელი კავშირისა და კორელატის გაჩენა.

25. რომელია სწორი?

მარტივ და რთულ წინადადებათა შორის არჩევანი განეკუთვნება:

ა) სტილისტიკის სფეროს;

ბ) სინტაქსის სფეროს.

26. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

უკუთქმითობა შესაძლებელია გამოიხატოს:

ა) უარყოფითი ნაცვალსახელებით;

ბ) უარყოფითი ზმნიზედებით;

გ) უარყოფითი შორისდებულებით;

დ) უარყოფითი ნაწილაკებით.

27. რომელია სწორი განმარტება?

ორმაგი უარყოფის თავიდან აცილება:

ა) ყოველთვის არის შესაძლებელი;

ბ) ზოგ შემთხვევაში შეუძლებელია.

28. რომელია გამართული წინადადება?

ა) არსადაც წახვალ!

ბ) არსადაც არ წახვალ!

29. რომელია უფრო მისაღები ვარიანტები?

ა) ვერსად ისე ვერ ისვენებდა, როგორც საკუთარ სახლში;

ბ) ვერსად ისე ისვენებდა, როგორც საკუთარ სახლში.

გ) არავითარ წინააღმდეგობას შეუშინდებოდა;

დ) არავითარ წინააღმდეგობას არ შეუშინდებოდა.

30. შემოხაზეთ ორი არასწორი წინადადება.

ა) ვერავითარი დახმარება ვერ გიშველის;

ბ) ვერავითარი დახმარება არ გიშველის;

გ) მათი მხრიდან არავითარი თანადგომა არ ჩანს;

დ) მათი მხრიდან არავითარი თანადგომა ვერ ჩანს.

16. პუნქტუაცია

აზრის სწორად გადმოცემისა და აღქმისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება პუნქტუაციის [გერმ. Punqtuation < ლათ. Punqtum წერტილი] წესების დაცვას. ამავე დროს, სასვენი ნიშნების მრავალგვაროვნება (წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი, მრავალწერტილი, კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, კითხვა-ძახილის ნიშანი, დეფისი, ტირე, ფრჩხილები და ბრჭყალები) სინონიმურ ნორმათა შორის არჩევანის საშუალებას იძლევა. ამ თვალსაზრისით, მხატვრულ ლიტერატურაში მეტი თავისუფლებაა, რაც მწერლის ენის სტილურ თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს (ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება ნორმების უხეშად დარღვევის შემთხვევები).

თითოეულ პუნქტუაციურ ნიშანს გამოყენების განსაზღვრული არეალი აქვს; ქვემოთ მითითებულია სავარაუდო შემთხვევები.

16.1. წერტილი

წერტილი იწერება:

- თხრობითი წინადადების ბოლოს:
  „გაზაფხულდა. ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია."
- სახელდებითი წინადადებების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად:
  აპრილი. ნორჩი სიმწვანე. მერცხლების დაბრუნება.
  მზიანი ქარი...
- ბრძანებითი წინადადების ბოლოს, თუ ის დაბალი ტონით არის წარმოთქმული:
  აქ ცივა, დიდხანს ნუ გაჩერდები.
  არ გინდა ასეთი ლაპარაკი, შევრიგდეთ.
- სიტყვათა შესამოკლებლად:
  ქ. (ქალაქი), **სოფ.** (სოფელი), **პროფ.** (პროფესორი), **შდრ.** (შეადარე), **იხ.** (იხილე), **სურ.** (სურათი), **ნახ.** (ნახატი), **ნაწ.** (ნაწილი), **მაგ.** (მაგალითად), **სახ.** (სახელობითი), **წთ.** (წუთი), **სთ.** (საათი), **და სხვ.** (და სხვა), **ა. შ.** (ასე შემდეგ), **ა. წ.** (ამა წლის), **ე. ი.** (ესე იგი), **ძვ. წ.** (ძველი წელთაღრიცხვით), **ახ. წ.** (ახალი წელთაღრიცხვით), **მხ. რ.** (მხოლოობითი რიცხვი), **მრ. რ.** (მრავლობითი რიცხვი), **სს.** (საუკუნეები), **წწ.** (წლები)...

ზემოაღნიშნული მაგალითებისაგან განსხვავებით, წერტილი არ დაიწერება **ზომა-წონის** გამომხატველ სიტყვათა შემოკლებებთან: **მ** (მეტრი), **სმ** (სანტიმეტრი), **მმ** (მილიმეტრი), **კმ** (კილომეტრი), **დმ** (დეციმეტრი), **ლ** (ლიტრი), **ჰა** (ჰექტარი), **გ** (გრამი), **კგ** (კილოგრამი), **მგ** (მილიგრამი)... მაგრამ თუ ეს ერთეულები ორი შემოკლებული სიტყვით არის გადმოსაცემი, პირველ შემოკლებულ სიტყვასთან, როგორც მსაზღვრელთან, დაისმება წერტილი:

კვ. მ (კვადრატული მეტრი), **კვ. კმ** (კვადრატული კილომეტრი), **კუბ. სმ** (კუბური სანტიმეტრი)...

- ინიციალის / ინიციალების გვარისაგან გამოსაყოფად:
  ს. ცინცაძე, **ბ.** კვერნაძე, **ი. ბ.** სტალინი... შდრ., შეცდომაა: თ. მეფე, დ. თავდადებული.. (იხ. ზემოთ: 5.4.2.3. სახელისა და გვარის / ზედწოდების ერთად ბრუნება);
- პარაგრაფების ან რაიმე ჩამონათვალში პუნქტების აღსანიშნავად:
  §1. §2. §3. §4... **1. 2. 3. 4...** შდრ., თუ პუნქტები ფრჩხილებით არის გამოყოფილი, წერტილის დასმა საჭირო არ არის: **1), 2), 3)**...
- თარიღის მისათითებლად: 14. 09. 2015; 29.05.2016...
- სათაურის შემდეგ, თუ მას უშუალოდ მოსდევს ტექსტი:
  § 15. ქვემდებარე. ქვემდებარე არის წინადადების მთავარი წევრი, რომელიც მოქმედ საგანს აღნიშნავს...
- თუ სათაური ცალკე სტრიქონზეა, მის შემდეგ წერტილი არ დაიწერება.

16.1.1. პუნქტუაციურად გამართეთ ტექსტი.

დიღმის ველის ჩრდილოეთ ნაწილში უძველესი სამარხები აღმოაჩინეს /17 09 2013/

დიღმის ველის ჩრდილოეთ ნაწილში – ნაქულბაქევის ტერიტორიაზე 3000 წლის წინანდელი უნიკალური სამარხები აღმოაჩინეს ასევე ნაპოვნია უძველესი მარანი (IV-Vსს) გათხრებზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მეცნიერები მუშაობენ აღნიშნულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო 2007-2008 წწ იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს ერთობლივმა კომპანიამ (IDP ჯგუფმა) არქეოლოგიური სამუშაოები დააფინანსა მომავალში ბეგლის ტერიტორიაზე ვიზიტორთა ცენტრი მოეწყობა, სადაც დამთვალიერებელს ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალის გაცნობის საშუალება მიეცემა

ნაქულბაქევი ისტორიულად უმნიშვნელოვანესი ადგილია დიდი მცხეთის აღმოსავლეთის კარიბჭე სწორედ ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა. აქვეა აღმოჩენილი რომის იმპერატორის – ვესპასიანეს წარწერა (ახ წ 75 წელი)

16.1.2. წაიკითხეთ ტექსტი და სათანადო ადგილას დასვით წერტილები.

საქართველოს კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ

მუხლი 4 ელექტრონული დოკუმენტის ორიგინალი და ასლი

1 ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელმოწერილი ელექტრონული დოკუმენტის ყველა ეგზემპლარი ორიგინალად ითვლება ელექტრონულ დოკუმენტს არ შეიძლება ჰქონდეს ელექტრონული ასლი.

2 ელექტრონული დოკუმენტის მატერიალური დოკუმენტის ფორმატში გადაყვანის დროს მისი დამოწმება ან/და დადასტურება ხდება საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ

3 მატერიალური დოკუმენტის ელექტრონული დოკუმენტის ფორმატში გადაყვანის დროს მისი დამოწმება ან/და დადასტურება ხდება ციფრული ხელმოწერით საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ. ასეთი ელექტრონული დოკუმენტი მიიჩნევა მატერიალური დოკუმენტის ასლად და აქვს მისი თანაბარი იურიდიული ძალა.

4 ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაზე

მუხლი 20 დასკვნითი დებულება ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს

16.1. 3. იპოვეთ პუნქტუაციური შეცდომები და გაასწორეთ.

ა)

1) 1 კვ.მ. არის კვადრატის ფართობი, რომლის გვერდიც 1 მეტრის ტოლია. უდრის 10 000 კვ. სმ-ს (100 სმ. X 100 სმ.).
2) პროფ ვახტანგ ბლიაძის ლექცია დასასრულს უახლოვდება.
3) 1 კვ კმ უდრის 1 000 000 კვ მ-ს.
4) კონცერტი დასრულდა ა ჯოხაძისა და მ ებრალიძის სიმღერებით.
5) 13ა. იგივეა, რაც 10 000 კვ.მ.
6) სანტიარი არის ფართობის საზომი ერთეული მეტრულ სისტემაში. უდრის 1 კვ მ-ს.
7) დღიური – ფართობის საზომი ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში; გულისხმობდა მიწის იმ რაოდენობას, რომელსაც გუთნეული ერთ დღეში მოხნავდა დღიურის სიდიდეს განაპირობებდა სამუშაო დღის ხანგრძლივობა, გამწევი ძალა და ნიადაგის ხარისხი

ბ)

1) ქცევა – მიწის ფართობის საზომი ერთეული დასავლეთ საქართველოში უდრიდა დაახლოებით 3600 კვ.მ.-ს.
2) ტექსტის გაგრძელება იხ 55-ე გვერდზე.
3) ა წ 15 ოქტომბერს ჩატარდა შიდასასკოლო ოლიმპიადა მათემატიკაში.
4) 1 კგ. ბამბა ბევრად მეტი მოცულობისაა, ვიდრე 1 კგ. და 400 გ ოქრო.
5) XI–XII სს ის პერიოდია, როცა დასრულდა საქართველოს ერთიან ფეოდალურ მონარქიად ქცევის პროცესი.
6) 1 კუბ მეტრი არის კუბის მოცულობა, რომლის გვერდი 1მეტრია.
7) 1901-დან 1964 წლამდე 1 ლ. განიმარტებოდა როგორც 1 კგ წყლის მოცულობა 4°C ტემპერატურაზე.

16.2. მძიმე

მძიმე გამოიყენება როგორც დამოუკიდებელი, ისე სინტაქსურ დაქვემდებარებაში არსებული თხრობითი წინადადებების გასამიჯნად; მნიშვნელობა არა აქვს, შეერთება უკავშიროა თუ კავშირიანი.

– დამოუკიდებელი წინადადებები:

ა) უკავშირო შეერთება:

„სიბნელე მოიპარება, სინათლეს სული ამოხდა."

"შირაქის ველზე მივდივარ, უკან მაბრუნებს ქარიო."

ბ) კავშირიანი შეერთება; მძიმე იწერება მაპირისპირებელ და მაცალკევებელ კავშირებთან: **მაგრამ, ხოლო, ოღონდ, კი... ხან – ხან; ხან – ხან კიდევ; ან – ან; ან – ან კიდევ...** ასევე – კავშირის ფუნქციის მქონე ნაწილაკებთან: **მაინც – მაინც კიდევ; არც – არც; ვერც – ვერც; ნურც – ნურც...** ის წინ უსწრებს მაპირისპირებელ კავშირებს, ხოლო მაცალკევებელ კავშირებთან და კავშირის ფუნქციის მქონე ნაწილაკებთან იწერება მათი გამეორების შემთხვევაში; შდრ.:

– მაპირისპირებელკავშირებიანი წინადადებები:

კარგი ბიჭი ხარ, **მაგრამ** ამდენმა ქებამ არ გაწყინოს.

ყველაფერს აგიხსნი, **ოღონდ** ყურადღებით მომისმინე.

ჩვენ შენ გელოდებით, შენ **კი** გაქცევაზე გიჭირავს თვალი.

– მაცალკევებელკავშირებიანი და კავშირის ფუნქციის მქონე ნაწილაკებიანი წინადადებები:

ხან გადაუღებლად წვიმს, **ხანაც** გამოიდარებს.

ვერც ამათ ურჩიეს რამე, **ვერც** თვითონ გაართვა თავი სამუშაოს.

"**არც** ვეფხვი იყო ჯაბანი, **არც** ჩემ შვილ შახვდა ჰკვიანი."

მძიმე არ იწერება მაჯგუფებელ **და, თუ** კავშირებთან.

– სინტაქსურ დაქვემდებარებაში არსებული წინადადებები:

ა) უკავშირო შეერთება:

გადაეცი, სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი.

დაბნეულმა მასპინძელმა აღარ იცოდა, რა ექნა.

აღნიშნული ტიპის წინადადებებში შესაძლებელია მაქვემდებარებელი კავშირების აღდგენა, შდრ.:

გადაეცი, **რომ** სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი.

დაბნეულმა მასპინძელმა აღარ იცოდა, **თუ** რა ექნა.

ბ) კავშირიანი შეერთება; გამოიყენება მაქვემდებარებელი კავშირები: **თუ, თუნდა, თორემ, გინდ, რომ, რათა, ვიდრე, ვინაიდან, სანამ, მანამ, რაკი...** ასევე – კავშირის ფუნქციის მქონე მიმართებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები: **ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც... სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც, როცა, როგორც, რადგან, რამდენადაც...** მაკავშირებელი სიტყვები, ჩვეულებრივ, რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილშია (ძირითადად, დასაწყისში). **მძიმე მათ წინ დაიწერება:**

– თუ დამოკიდებული ნაწილი მოსდევს მთავარს:

„მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, **როცა** ბატონმა სახლს მომაშორა."

"ის აღარა ვარ, **რაც** ვიყავ."

– იმ შემთხვევაში, თუ მთავარი წინადადება მეორე ადგილზეა (მძიმე დაიწერება დამოკიდებული წინადადებით გამოხატული აზრის დასრულებისთანავე):

"**თუ** კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი."

"**სადაც** გავიქეცი, იქ წავიქეცი."

არასწორია სკოლის პერიოდიდან გამოყოლილი აზრი, თითქოს **რომ** კავშირის წინ ყოველთ იწერება მძიმე; შდრ.:

მე **რომ** შენს ადგილას ვყოფილიყავი, ასე არ მოვიქცეოდი.

გოგონას **რომ** ჩვენთვის დაეჯერებინა, ამდენი წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა.

აღნიშნულ მაგალითებში (ისევე როგორც სხვა შემთხვევებში) პუნქტუაციური ნორმა იძ განისაზღვრება, თუ სად მთავრდება ერთი წინადადება და იწყება მეორე; მძიმე უნდა დაიწერ სწორედ წინადადებების ერთმანეთისაგან გასამიჯნად. დასრულებული წინადადებ გამოცნობა ძნელი არ არის, როცა ორიენტაციას ვიღებთ ზმნა-შემასმენელზე (*ვყოფილიყა დაეჯერებინა*), კერძოდ: თუ **რომ** კავშირის წინ არის ზმნა-შემასმენელი, ე.ი. წინადადებ მოიაზრება და მძიმეა საჭირო; თუ არ არის ზმნა-შემასმენელი, რამდენი სხვა სიტყვაც არ უნ ეწეროს, **რომ** კავშირის წინ მძიმის დასმა გაუმართლებელია.

თუ ერთი წინადადება მეორეშია ჩართული, მის გამოსაყოფად ორივე მხრიდან მძიმეებ საჭირო:

"**ახლა**, როცა ამ სტრიქონს ვწერ, **შუაღამე** იწვის, **დნება**."

„**ბედი**, რომელიც მე არ მეღირსა, **ქარს მიჰყვებოდა**, **როგორც ნამქერი**."

მძიმე აუცილებელია ერთგვარ წევრებთან უკავშირო თუ კავშირიანი შეერთებისას;

– უკავშირო შეერთება:

"მე თანა მყვანან რკინისა ძმები: **ჩემი სიათა**, **დამბაჩა**, **ხმალი**..."

"ცეხლის მზე **აენთო**, **აცურდა**..."

„**მოდი**, **მომხვიე** ხელი ჭრილობას..."

– კავშირიანი შეერთება; აქაც, ისევე როგორც დამოუკიდებელი წინადადებების შემთხვევაშ მძიმე იწერება მაპირისპირებელ და მაცალკევებელ კავშირებთან, ასევე – კავშირის ფუნქციის მქონე ნაწილაკებთან, მაგ.:

მეომრები თავს არ ზოგავდნენ, **მაგრამ** ველარ უმკლავდებოდნენ მოზღვავებულ მტერს.

"**ხან** ვეფხვი, **ხან** იმის **შვილი** ელანდებოდა მძინარსა."

"[ავთანდილმა] **ვერც** ხარი მოკლა, **ვერც** ფური, / **ვერცა** ირემი რქიანი."

მძიმე იწერება:

– სიტყვების, ფრაზების, წინადადებების გამეორებისას:

"**ქვები**, **ქვები**, **ქვები**, **ქვები**, **ქვები** ალაპარაკდნენ!"

"**ასე თეთრად**, **ასე თეთრად** არასოდეს უთოვია..."

"**ქარი ქრის**, **ქარი ქრის**, **ქარი ქრის**..."

– განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების, ასევე მიგებითი და მისათითებელ ნაწილაკების გამოსაყოფად წინადადების წევრებისაგან; თუ ეს ერთეულები წინადადებ თავშია, მძიმე მათ მომდევნოდ დაიწერება, თუ – შუაში, ორივე მხრიდან მძიმეა საჭირო, ხოლ თუ წინადადების ბოლოშია, მაშინ მათ წინ დაიწერება მძიმე. შდრ. **განკერძოებული სიტყვებ და გამოთქმები:**

ა) მიმართვა – წოდებით ბრუნვაში მდგარი სახელი (წინადადების თავში, შუაში და ბოლოს):

„**ძმაო**, ძმითა ხარ ძლიერი!"

"იცი, **მკითხველო**, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია!"

"რატომ არ მღერით, **მთებო**?"

ბ) დანართი – წინადადებაში სახელით გადმოცემულ რომელიმე წევრზე დამატებით ინფორმაციის შემცველი სიტყვა / ფრაზა (წინადადების თავში, შუაში და ბოლოს):

როგორც პრაქტიკოსი მასწავლებელი, ელენე დააჯილდოვეს.

ვაჟა-ფშაველა, **დიდი ქართველი პოეტი**, 1861 წელს დაიბადა სოფ. ჩარგალში.

გუშინ ქუჩაში შემხვდა თამარი, **დედაჩემის თანამშრომელი.**

გ) ჩართული – წინადადებაში ასახული ფაქტისადმი მთქმელის პირადი დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვა / ფრაზა (წინადადების თავში, შუაში და ბოლოს):

"ბეკინა სამანიშვილი, **რასაკვირველია,** ღარიბი აზნაური იყო."

ცხადია, მოწინააღმდეგეს სხვა რამ ჰქონდა ჩაფიქრებული.

აქედან ქალაქთანაც იოლია დაკავშირება, **რა თქმა უნდა.**

დ) განკერძოებული განსაზღვრება – მნიშვნელობის გაძლიერების მიზნით, საზღვრულისაგან პაუზით გამოყოფილი სიტყვა / ფრაზა (წინადადების თავში, შუაში და ბოლოს):

მარტო დარჩენილი, ის დიდხანს ფიქრობდა დედაშვილობაზე.

"მთანი, **თავჩაჩქნიანები,** ფიქრს მისცემიან მწარესა."

"მაღლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი, **სისხლივით წითელი.**"

ე) განკეთებული გარემოება – წინადადების არამთავარი წევრის, გარემოების დამაზუსტებელი სიტყვა / ფრაზა (წინადადების შუაში და ბოლოს):

"აქ, **ჩემს ახლოს,** აკაკის ლანდს სძინავს მეფურ ძილით."

მთელი ამ ხნის განმავლობაში ცხოვრობდა მარტო, **ყველასაგან განცალკევებით.**

ვ) შორისდებული – გარკვეული გრძნობის (სიხარულის, აღტაცების, გაოცების, დანანების, გაკვირვების... გამომხატველი ბგერა, ბგერათა ჯგუფი ან სიტყვა: **ა! ო! უ! ე! აჰ! /ახ! ოჰ!/ოხ! ოჰო! უი! უიმე! ვაი! ვაიმე! ვიშ! არიქა! ერიჰა! ბიჭოს!** და სხვ. (წინადადების თავში, შუაში და ბოლოს):

"**ო,** როგორ მომწყურდი! მწუხარეა დღე."

"მაგრამ, **ეჰ,** ძმაო, რაც იყო,— იყო, ჯოჯოხეთია მოსაგონებლად."

ასეთი რამ ვის გაუგონია, **ერიჰა!**

ზ) განკერძოებული კონსტრუქციები, რომლებშიც თანდებულებად მოიაზრება სიტყვები: **გარდა, ნაცვლად, მიუხედავად, თანახმად, მსგავსად, წინააღმდეგ** (წინადადების თავში, შუაში და ბოლოს):

თანახმად გადაწყვეტილებისა, ჩვენ ვტოვებთ სხდომას.

მას, **მიუხედავად ასეთი პოზიციისა,** მაინც ჰყავდა მხარდამჭერები.

დავითს გიორგისთან საერთო საქმეც აკავშირებს, **გარდა მეგობრობისა.**

აღნიშნულ კონსტრუქციებს განკერძოებულობას ანიჭებს შედარებით დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რაც მეტყველების დროს გამოიხატება ლოგიკური მახვილითა და პაუზით, წერის დროს კი — მძიმით / მძიმეებით. როცა ისინი აზრობრივად არ გამოიყოფა წინადადებისაგან, წერის დროს არც მძიმე / მძიმეებია საჭირო; შესაძლებელია სიტყვათა წყობის შეცვლაც; შდრ.:

შერიგებას გვთავაზობს, **ნაცვლად მტრობისა;**

მტრობის ნაცვლად მეგობრობას გვთავაზობს.

შედეგად ამისა, დიდი აურზაური ატყდა სასახლეში.

ამის შედეგად დიდი აურზაური ატყდა სასახლეში.

თ) მაიგივებელკავშირიანი განკერძოებული კონსტრუქციები:

„იქნება თქვენ... დეისტვიტელნი სტაცკის სოვეტნიკებსაც... **ესე იგი,** მდაბიურის ენით რომ ვთქვა... უულვაშო გენერლებსაც მართალს გენერლებში სთვლით?"

მალე ყველაფერი შეიცვლება, **ანუ** „ახდენილი ოცნებების წელი იწყება".

– მიგებითი და მისათითებელი ნაწილაკები (წინადადების თავში, შუაში და ბოლოში):

–კი, წასვლაზე თანახმა ვარ!

– წავიდეთ, **ჰო,** ნუღარ დავაგვიანებთ!

– ვერ გავიგე შენი, **ვერა.**

– აგერ, იქ გელოდება შენი კეთილისმყოფელი.

მძიმე ასევე იწერება:

– (ტირეებთან ერთად) ავტორისა და პერსონაჟის სიტყვების გასამიჯნად:

– პურ მიირთვიო, – ალუდას და-დედან ეხვეწებიან.

– რას სჩადით?! – შემოუძახა, – ვის სტუმარს ბოჭავთ თოკითა?...

– ვაჰმეო, – ეს კი იძახა, სიტყვა გაუშრა ენაზე.

– წყაროს ბიბლიოგრაფიული მონაცემების მითითებისას:

ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი: „განათლება“, 1998 წ.

ე. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი: „სარანგი“, 1992 წ.

სავარჯიშოები

16.2.1. გაეცანით ტექსტს; სათანადო ადგილას დასვით მძიმე.

ამქვეყნად ყველას თავისი სოფელი აქვს. მეც ჩემს სოფელს გავიხსენებ, ძველებურ ჩემდროინდელ სოფელს. რა ვქნა თუ ზოგჯერ დავღონდები კიდეც სევდაც მომეძალება. სევდას მოგონებები იწვევს და მეც ხომ მოგონებას ვიწყებ ჩემი სოფლის მოგონება მინდა.

თუ ქალაქელები ბრძანდებით ვინატრებდი, თქვენცა გქონდეთ თქვენი სოფელი... როგორ არა გვაქვსო – მეტყვით გაამაყებული და გაკვირვებულიც. – აბა ზაფხულობით რად დავდივართ ხან სად ხან სადაო.

მაგრამ ზოგჯერ გული რომ არ მიგიწევთ იმ სოფელში? ზოგჯერ უფრო სხვაგან რომ გინდათ გაფრენა? საკუთარი სოფელი მაშინ გექნებათ როცა იქითკენ წასვლა ხშირად მოგინდებათ როცა უიმისოდ ვეღარ გაძლებთ... როცა თქვენც კარგა ხნისა მოიყრებით მოიგონებთ იქაურ გაზაფხულს ზაფხულს შემოდგომას და ბოლოს როგორც გითხარით თეთრ ზამთარს.

მეც ასე ვიგონებ...

16.2. 2. პუნქტუაციურად გამართეთ ტექსტი.

ა)

აი ბატონო რუსეთში მებატონეებს ყმები ჩამოართვეს. მებატონეს ბიჭი აღარ შერჩა მოჯამაგირის ანაბარა დარჩა. შეწუხდა ქვეყანა მოჯამაგირეებმა დაუწყეს ყველაფერს სახლში პარვა. მე როგორც გულმტკივნეული შვილი ჩავუფიქრდი ამ ჩემის ქვეყნის მწუხარებას... მადლობა ღმერთს ვუშველე კიდეც. ისეთი რამ მოვიგონე რომ მოჯამაგირეს სახლში პარვა აღარ შეუძლიან. ერთმა უბრალო შემთხვევამ კი მაპოვნინა წამალი.

ბ)

ჩემი დენშჩიკი ფრიად დიდი ქურდი იყო საშაქრეში შაქარს აღარ უშვებდა. ვიფიქრე ვიფიქრე როგორ ვუშველო ამ საქმეს-მეთქი. დავიწყე ყუთის დაკეტვა, მაგრამ ხან დაკეტვა დამავიწყდებოდა ხან გასაღები სტოლზედ დამრჩებოდა ხოლმე და როცა სახლიდამ გავიდოდი დენშჩიკი შაქარს მომპარავდა.

გ)

ბოლოს ორი ბუზი დავიჭირე და ჩავსვი საშაქრეში თავი დავახურე... თუ დენშჩიკი ყუთს თავს ახდიდა ბუზები მაშინვე ამოფრინდებოდნენ. მერე როცა შინ მოვიდოდი, ავხდიდი ყუთს და რაკი შიგ ბუზებს აღარ ვნახავდი, აშკარა იქნებოდა რომ ყუთის თავი აუხდია ვისმე. ვინ ახდიდა თუ არა ჩემი დენშჩიკი. რაკი ეს გამოვიგონე მე დენშჩიკი შაქარს ვეღარ მპარავს. ახლა, ყოველ დილას, ჩაის გავათავებ თუ არა ოთახში ბუზებს ვიჭერ. დავიჭერ ბუზებს ჩავსვამ შაქრის ყუთში და მთელი დღე არხეინადა ვარ. ვიცი რომ არავინ მომპარავს.

დ)

მიგიხვდი ჩემო მოხევევ რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ – სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში როდემდის? ოხ როდემდის როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო მომეც ამისი პასუხი!..

16.2.3. დასვით მძიმეები; განსაზღვრეთ მათი გამოყენების შემთხვევები.

ა)

1) ეს ის დრო იყო როდესაც / მთასა ჰლოცავდა ბარია / როს სალოცავად მიაჩნდათ / მთიელის ხალხის გვარია (ვაჟა).

2) ვინა ხარ? ვინ იარები / ლაღო მაგ ლაღი ცხენითა? (ხალხ.)
3) ვიცი ჩემი გზა საითაც მიდის, შენ საით წახვალ ხმელო ფოთოლო? (ხარხ.)
4) ბნელს ხევზე მოჰყეფს მდინარე / გულამღვრეული ჯავრითა (ვაჟა).
5) ჩემი იყო ის მინდა / შენ კი სხვისკენ გარბიხარ (წერ.).
6) საბედნიეროდ საბედნიეროდ ჰაი ჰაი რომ კიდევ ხმაურობ! (მაჭ.)
7) ჩამოდგა საღამოს ჟამი / მთიდამ მზის სხივი ჩამოხდა, / სიბნელე მოიპარება / სინათლეს სული ამოჰხდა (ვაჟა).
8) კაცო შენც დაბერებულხარ / გაგხშირებია ჭაღარი (ვაჟა).
9) არჩვი, ყელგადაგდებული / თმახშირი მთვარე პირადა / ეკერებოდა გულმკერდზე ქმარს მარგალიტის ღილადა (ვაჟა).
10) მივდექ სარკმელს, გადვიხედე / არემარე მესხვაფერა (წერ.).

ბ)

1) რა დაგიმალო ჯოყოლავ / ან რად შემრისხავ თქმისადა? (ვაჟა).
2) იქნებ შენც გცოდე ღმერთსაცა / მაგრამ ვიტირე რა ვქნაო! (ვაჟა).
3) ღმერთო მოჰხედე ტანჯულთა / უშველე შაიწყალეო! (ვაჟა).
4) აწ მომწონს თავი მეგობრებო რომ დაბადება / თქვენს შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი / გრიგალთა მეხთა ქუხილთ შორის ქართვლად გაზრდილი (ჭავ.).
5) რად მინდა ხმალი თუნდ იყოს მჭრელი თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?! (ჭავ.).
6) გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი / ვერა ვერ გაძლებს ბატონის ხელში (ჭავ.).
7) იგი ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით / ფრთებით დაიფარე ამას გევედრები!... (ტაბ.).
8) დღემ დაიხურა პირ-ბადე / მთებმა დახუჭეს თვალები (ვაჟა).
9) სანათაი ვარ მე შვილო / აფხუშოური ქალია (ვაჟა).
10) ჩემი აღმართი მიგაჩნდა ვაკედ / როცა გიყვარდი როცა გიყვარდი... (გრიშ.).

გ)

1) ვფიქრობ ვითარება არც ისე მძიმეა.
2) თქვენ უეჭველია ტრადიციას არ ღალატობთ.
3) შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მივდივართ შემდეგ დასკვნამდე.
4) გოგონამ მომხდარის უშუალო მოწმემ და მონაწილემ ჩვენთან შეხვედრას თავი აარიდა.
5) იქ სადღაც ნავენახარის გვერდით მიტოვებული მარანია.
6) ბავშვებს შესთავაზეს მონაწილეობა მიეღოთ შიდასასკოლო შეჯიბრებაში.
7) პრესაში ჯერჯერობით არაფერია ნათქვამი მომხდართან დაკავშირებით – დასძინა ტელეჟურნალისტმა.
8) არა ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!
9) ამ კითხვაზე პასუხს გაგცემთ დღევანდელი მორიგე ანუ გიორგი ცაცანაშვილი.
10) სამწუხაროდ ყველაფერი ისე არ ხდება ჩვენ რომ გვინდა.

16.2.4. დასვით მძიმეები ბიბლიოგრაფიულ მონაცემებთან.

1) არისტოტელე, *რიტორიკა* (ძველბერძნულიდან თარგმნა შესავალი წერილი შენიშვნები და საძიებელი დაურთო თამარ კუკავამ); რედ. ა. ურუშაძე თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1981
2) ნ. ბასილაია *ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა*, თბ.: "განათლება" 1991
3) კ. გამსახურდია *თხზულებათა ათტომეული* ტ. VIII თბ.: "საბჭოთა საქართველო" 1985
4) თ. გამყრელიძე ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, *თეორიული ენათმეცნიერების კურსი* (მეორე გამოცემა) თბ.: "თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", 2008
5) მ. ჯავახიშვილი, ქართული ენა *თხზულებანი*, ტ. მეექვსე თბილისი: „საბჭოთა საქართველო" 1980

16.3. წერტილ-მძიმე

წერტილ-მძიმეს ერთგვარი შუალედური საფეხური უკავია წერტილსა და მძიმეს შორის. ის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის წინადადებებში ერთნაირი ფუნქციის მქონე ერთეულების (მაგ., ერთგვარი წევრები / წინადადებები) გამოსაყოფად. წერტილ-მძიმე იწერება:

• ისეთი თხრობითი წინადადებების გასამიჯნად, რომლებიც ერთი და იმავე თემის განვითარებას ემსახურება:

მხოლოდ ლექსიკოგრაფიული მუშაობით არ განისაზღვრება დავით და იოანე ბაგრატიონების მეცნიერული ღვაწლი; მათ თარგმნეს და შეადგინეს სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელოები.

IX საუკუნიდან არაბთა სახალიფო სუსტდება; შესაბამისად, იქმნება პირობები ერთიანი საქართველოს აღდგენისათვის.

იმპერიული ისტორიოგრაფია უსაფუძვლოდ ცდილობდა, ენობრივ-ეთნიკურად დაენაწევრებინა ქართველი ერი; კერძოდ, ქართულ თუ უცხოურ წყაროთა მონაცემებს ეწინააღმდეგება რუსი მოხელეების მიერ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ე.წ. ქართიზაციის შესახებ.

- ჩამონათვალში პუნქტებად წარმოდგენილი საკითხების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად (ჩამონათვალის ბოლოს, ბუნებრივია, იწერება წერტილი); მაგ.:

XIX საუკუნის 60-იან წლებში მოწინავე საზოგადოების წინაშე დაისვა ისეთი პრობლემური საკითხები, როგორიცაა:

– სალიტერატურო ენის ერთიანობა და სიწმინდე;

– ორთოგრაფიული რეფორმა;

– დამოკიდებულება უცხო სიტყვებისადმი.

სავარჯიშოები

16.3.1. წაიკითხეთ ტექსტი; თქვენ მიერ შერჩეული ორი წინადადების ბოლოს შეცვალეთ სასვენი ნიშნები წერტილ-მძიმეებით ისე, რომ თხრობის ბუნებრიობა არ დაირღვეს.

მე რომ წამოვიზარდე და სკოლაში დავიწყე სიარული, აქეთ მაშინაც არა ცხოვრობდა არავინ. ამ ერთვერსიან გზაზე მარტო არ მიშვებდა დედა. დაიჭერდა გრძელ ჯოხს, მომჭიდებდა ხელს და მომყვებოდა გვერდზე ხან მუხლამდე თოვლში, ხან ქარბუქში, აქედანაც, იქიდანაც. ვიყავით ხოლმე გადათეთრებულები და დაბუხულები, მაინც ბედის უსაყვედუროდ იტანდა დედაჩემი ყველაფერს. მამაჩემი ხომ – ისე გაიცინებდა, თითქოს ოქროთი სავსე კიდობანს გადახადა სახურავი თავის ცოლ-შვილთანო, მომიქცევდნენ შუაში მე და იმათ სიხალისეს, იმათ თვალების ბრწყინვას არა შეედრებოდა ქვეყანაზე.

16.3.2. პუნქტუაციურად გამართეთ ტექსტები:

ა) ...სავარაუდოდ პოლიტიკურ-იდეოლოგიური ტენდენციურობის საპირისპიროდ უნდა გაჩენილიყო ენაში ტერმინოლოგიური სიტყვათშეხამება „ჯანსაღი კრიტიკა". თავისი მნიშვნელობით, ეს არის სამართლიანი და კეთილგანწყობილი შეფასება, რომელიც: 1 აღიარებს ხელოვანის შემოქმედებით თავისუფლებას 2 თანაბრად ითვალისწინებს ნაშრომის ღირსებასა და ნაკლს 3 უფრო კოლეგიალური რჩევაა და არა ავტორის უზუსტობებსა თუ იდეოლოგიურ „შეცდომებში" „დაჭერის" მცდელობა.

ბ) სტატია ეხება ბაგრატის ტაძარში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებს 1984 წლიდან 2010 წლამდე, განსაკუთრებით კი – 2005-2010 წლების პერიოდს. მასში ბუნებრივია ავტორებმა გვერდი არ აუარეს ჩვენთვის საინტერესო სამარხსაც (N50). აღნიშნულ სამარხთან დაკავშირებით ავტორთა მსჯელობა შემდეგი თანმიმდევრობით არის გადმოცემული:

1) სამარხის დეტალური აღწერა და მისი მდგომარეობა გახსნისას
2) სამარხში დაკრძალული მიცვალებულის დაკრძალვის წესის ინტერპრეტაცია,
3) ანთროპოლოგთა წინასწარი დასკვნის გადმოცემა; მიცვალებულის წარმომავლობისა და იდენტიფიკაციის საკითხი
4) სამარხის ინვენტარის (სამკაულები) აღწერა და მათი შესაძლო კავშირები იმდროინდელ მსოფლიოსთან;

16.3.3. აირჩიეთ პუნქტუაციურად უმჯობესი ვარიანტი; დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

ა) წარმოდგენილი წიგნი პირუთვნელი აღწერაა ისტორიის; მეტი დამაჯერობლობისათვის, დანართში გამოქვეყნებულია შესაბამისი დოკუმენტური მასალაც. დაინტერესებული მკითხველი მისი მეშვეობით ბევრ საინტერესო ინფორმაციას იპოვის.

ბ) წარმოდგენილი წიგნი პირუთვნელი აღწერაა ისტორიის. მეტი დამაჯერობლობისათვის, დანართში გამოქვეყნებულია შესაბამისი დოკუმენტური მასალაც; დაინტერესებული მკითხველი მისი მეშვეობით ბევრ საინტერესო ინფორმაციას იპოვის.

16.4. ორწერტილი

ორწერტილი იწერება:

- განმაზოგადებელი სიტყვის გამოსაყოფად, როდესაც უსწრებს ერთგვარ წევრებს:

  გუშინ გავიცანი შენი **მეგობრები**: ფიქრია და ლევანი.

  აქ, ამ პატარა ახმეტაში, **ყოველიფერი** მალამოდ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას: მიწა, წყალი, მთა, კლდე, ტყე და ველი.

- ავტორის სიტყვების შემდეგ:

  მივეხმატკბილე ჩიტუნას: „შენ ხომ არა ხარ სულიკო?!"

  ჯავრობით ეტყვის ალუდა:

  – დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა...

- იმ წინადადების შემდეგ, რომელსაც ხსნის, განმარტავს მომდევნო წინადადება:

  ისმინე, სწავლის მებნელო, მოყევ დავითის მცნებასა: ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა.

  სამოციანელთა თავგანწირვამ ნაყოფი გამოიღო: მათი ბრძოლის შედეგად, აღდგა ქართული ენის სავალდებულო სწავლება სასულიერო სემინარიაში.

სავარჯიშოები

16.4.1. მითითებულ ადგილებში დასვით სათანადო სასვენი ნიშანი. დაადგინეთ ორწერტილის გამოყენების 4 მაგალითი.

დღისით თოვს√ ღამით ცა მოკრიალებულია და ყინავს...

მაგრამ ცხოვრება თავისი გზით მიდის√ ყმაწვილი სწავლობს√ გლეხკაცი მუშაობს√ ქალები სართავს და ჯარას შემოსხდომიან√ პაპა და დიდედა ზღაპრებს ჰყვებიან. ბალღებს კვლავ უხარიათ თოვლი. რატომ მაინც და მაინც ბალღებს? დიდებსაც უხარიათ! სწორედ გლეხს უთქვამს თოვლზე√ "ამის უკეთესს რას ნახავს კაცის თვალიო? ვიცი√ რომ ზამთარს თოვლიანს თან მოსდევს მოსავალიო". ასე ყოფილა, ასე თქმულა√ თოვლიანი ზამთრის მერე კარგი მოსავალი მოდისო. ჩვენ კი უკვე ვიცით, რომ სოფლელი კაცი√ რა დროც არ უნდა იყოს√ ზაფხული თუ ზამთარი√ მუდამ მოსავალზე და ჭირნახულზე ფიქრობს, ეს არის მისი საქმე√ პურ-ღვინოს მოყვანა, ჭირნახულის მოწევა, ქვეყნის დაპურება√

ჩვენი მთავარი საქმე რაღაა?

16.4. 2. წაიკითხეთ ტექსტი. მითითებულ ადგილებში დასვით სათანადო სასვენი ნიშნები.

მძიმე სოციალურ პირობებზე არანაკლებ ძნელად გადასატანი წინასწარ განსაზღვრული მომავალი√ გაუცნობიერებლად გაკეთებული არჩევანი და ათასობით თავისი საქმისადმი გულგრილი სპეციალისტია√ რომელთა ხელშიც მერე კიდევ უფრო მეტი ხალხის ბედი აღმოჩნდება ხოლმე√

ათი წლის წინ, სკოლას რომ ვამთავრებდი√ წინასწარ განსაზღვრული მომავალი ასეთი იყო√ ბიჭების უმეტესობა ეკონომიკურზე აბარებდა და დღეში ათი კაცისგან მაინც მოისმენდი ჯადოსნურ სიტყვათშეთანხმებას√ „საბანკო-საფინანსო"√ გოგოები ჟურნალისტობაზე ოცნებობდნენ და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ვარიაციებზე ნაწილდებოდნენ√ უცხო ენები, ფილოლოგიური, საერთაშორისო ურთიერთობები. ეს ერთგვარი მემკვიდრეობაა ჩვენი მშობლების ყოფისა, სადაც კაცები ინჟინერ-ეკონომისტები იყვნენ√ ქალები კი – ან დიასახლისები√ ან ექიმები და პედაგოგები. მაგრამ მაშინ სხვა რეალობა იყო√ საბჭოთა კავშირში არავის უწევდა სამსახურის ძებნა და უკეთესი მდგომარეობისთვისაც არც პროფესიონალიზმი გახლდათ მაინცდამაინც აუცილებელი. სისტემა ასაქმებდა და ინახავდა ყველას√ ვისაც კონკრეტულ ადგილას ყოფნა შეეძლო√ სისტემას ხელს აძლევდა მასზე დამოკიდებული ადამიანები მყარი საყრდენის, საკუთარი თავის რწმენისა და ამბიციების გარეშე. ალბათ√ ამიტომაც იყო, იმპერიის დაშლის შემდეგ ასე რომ გაუჭირდა ხალხს ვექტორების პოვნა√ არ იყვნენ დამოუკიდებლად ცხოვრებას მიჩვეულები.

16.4.3. სათანადო ადგილას დასვით ორწერტილი და განსაზღვრეთ მისი გამოყენების შემთხვევები.

1) ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს „თერგი ჰრბის, თერგი ჰღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან...“ (ჭავ.).
2) მოვიდა ჯოგი ნადირთა, ანგარიშმიუწვდომელი / ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მაღლა მხტომელი (რუსთ.).
3) – ნება მომეცით, – მითხრა მან რუსულად, – გაგაცნოთ ჩემი თავი მე გახლავართ პოდპორუჩიკი N (ჭავ.).
4) თოფიც ალუდას გაუგდო, / ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა / "ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო, / ხელს არ ჩავარდეს სხვისასა" (ვაჟა).
5) აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითებრ ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალა-ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი (ჭავ.).
6) მივაძახე „ჭინჭარში ნუ ვარდები!.. / ნუ გგონია იქ ია და ვარდები!“ (წერ.).
7) *დათვმა ლბინი გადიხადა,* / მოიწვია მეზობლები; / გარეშენიც ბევრი ჰყავდა / ტურა, მელა, კატა, მგლები (წერ.).
8) ამოცანა გვეკითხება რამდენი ნადირი დაუხოცავს მეფე როსტევანს და რამდენი – ავთანდილს?
9) ვარდსა ჰკითხეს „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?“ (რუსთ.).
10) არა, მყინვარი არ მიყვარს მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! (ჭავ.).

16.5. მრავალწერტილი

მრავალწერტილი იწერება:

- გაწყვეტილი სიტყვის ან წინადადების შემდეგ:
  ამის თქმა არ მინდოდა, მაგრ...
- დეფექტური მეტყველების გადმოსაცემად:
  შ...შ...შენ საით გაგიწევია?
- დაუსრულებელი ჩამონათვალის მისანიშნებლად:
  X-XI-XII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა მიერ შემუშავებული ბევრი ტერმინი, როგორიცაა: **არსი, არსება, არსებითი, ნივთი, ნივთიერი, სულიერი, მოძღვრება, ჭეშმარიტება, მიმართება...** ახლაც პირვანდელი მნიშვნელობით გამოიყენება.
- ციტატის შემოკლებისას:
  ტექსტში ვკითხულობთ: „იყო მერვესა წელსა... წარემართა ვარსქენ პიტიახში.“

სავარჯიშოები

16.5.1. წაიკითხეთ ტექსტი. სათანადო ადგილას დასვით მრავალწერტილი და სხვა სასვენი ნიშნები.

მერცხლებს მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე გაუდით ჭიკჭიკი და ჟღურტული დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ დიდი ძიება სარჩო-საბადებლისა. ბოლოს ბარტყები წამოიზრდებიან ყვითელი ნისკარტები გაუხდებათ, ერთ მშვენიერ დღეს კი ისე ისწავლიან ფრენას გაგიკვირდებათ როდის მოასწრეს, რატომ ჩვენ ვერაფერი შევნიშნეთო. აგვისტოს ბოლოს კი ამაზე მერე ვილაპარაკოთ, მერცხლების ბუდეს მერე დავაკვირდეთ. ჯერ ხომ არც კი წამოსულან თბილი ქვეყნიდან ჯერ ხომ მხოლოდ ერთი ბეწო ტყის ჩიტი ქანაობს გაშიშვლებულ რტოზე და გაზაფხულს ელოდება

16.5.2. წაიკითხეთ ტექსტები. ახსენით, რატომ იყენებს ავტორი მრავალწერტილს.

ა)

ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა ეპისკოპოს კირიონის სამეცნიერო მოღვაწეობასა და მის ბრძოლას სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომელთაც სურდათ საბოლოროდ მოესპოთ მეფის რუსეთის მიერ ისედაც ჩაწიხლული ქართველური ღირებულებები: დედაენა; ტრადიციული ქართული ოჯახი, როგორც გამორჩეული ფასეულობა; ქართული მითოლოგია... ჩვენი ერის ისტორიული ღირებულებების

წარმოსაჩენად კირიონმა შეადგინა "ქართული სიტყვიერების თეორიის სახელმძღვანელო"; იბრძოლა, დაარსებულიყო საქართველოს ეკლესიის ისტორიის კათედრა...

ბ)

პროფ. ს. ვარდოსანიძის დასკვნით, კათოლიკოს-პატრიარქ კირიონს თავი არ მოუკლავს, როგორც აცხადებდნენ ეპისკოპოსი ლეონიდე და მისი მომხრენი; კირიონის მკვლელია დავით დავიდოვი, მკვლელობის ხელისშემწყობი კი – არქიმანდრიტი ტარასი კანდელაკი... აქვე აღვნიშნავ, რომ პროფ. ს. ვარდოსანიძის კვლევებმა დიდი როლი შეასრულა კირიონისათვის თვითმკვლელის სამარცხვინო სახელის საბოლოოდ ჩამოშორებისა და მისი წმინდანად შერაცხვის პროცესში (2002 წელს).

გ)

– გამომყევ, ვინც ხარ!.. გაგიზიარებ ჩემსა სენაკსა... შენც შეგივრდომებს. / შენებრ მახვეწარს მრავალსაც სხვასა...

16.6. კითხვის ნიშანი

კითხვის ნიშანი იწერება კითხვითი წინადადების[48] ბოლოს:

„რაობით სანდო არა ვარ?

სიტყვას რად ამბობ მცდარესა?"

სავარჯიშოები

16.6.1. აღადგინეთ კითხვის ნიშნები.

ა)

რას ეჩჩიან ჩვენს ენას ჟურნალისტები და პოლიტიკოსები ისინი "მეთქის" და "თქოს" ერთმანეთში ურევენ... ქართველებს აღტაცების გამომხატველი არაჩვეულებრივი სიტყვა "აუჭ" გვაქვს. დღეს ამ სიტყვის ნაცვლად ხმარობენ "ვაუს"; რადგან ამერიკულია, მოსწონთ. იქნებ მე არ მესმის, გამაგებინეთ: რა ჯანდაბაა ეს "ვაუ" და რით სჯობს ჩემს "აუჭს"

ბ)

გინახავთ ყვითელი, ბუმბულა წიწილები თქვენსა, ან მეზობლის ოჯახში სად წიწილები, სად გაზაფხული — იფიქრებთ და მართალიც იქნებით, თუ ოდესღაც ბავშვობა სოფელში არ გაგიტარებიათ...

16.6.2. მითითებულ ადგილებში დასვით სათანადო პუნქტუაციური ნიშნები.

ერთხელ, ერთმა მასწავლებელმა ჰკითხა მოსწავლეებს√

– რატომ უწევენ ადამიანები ხმას კამათის დროს√

– იმიტომ რომ გამოდიან წონასწორობიდან, – უპასუხა ერთ-ერთმა.

– კი მაგრამ რა საჭიროა ხმის აწევა√ ადამიანი ხომ გვერდით არის და შეგიძლია ყვირილის გარეშეც გააგებინო.

მოსწავლეები ჩაფიქრდნენ. მაშინ მასწავლებელმა თქვა√

– როცა ადამიანები უკმაყოფილონი არიან ერთმანეთით და ჩხუბობენ, მათი გულები შორდებიან ერთმანეთს. ეს სიშორე რომ დაძლიონ და ერთმანეთს გააგებინონ√ ისინი უწევენ ხმას. რაც უფრო მეტად ბრაზობენ√ მით უფრო მეტად იზრდება მანძილი მათ გულებს შორის და თანდათანობით ისინი გადადიან ყვირილზე.

და რა ხდება√ როცა ადამიანებს მოსწონთ ერთმანეთი√ ისინი კი არ ყვირიან, პირიქით – საუბრობენ წყნარად და მშვიდად, იმიტომ რომ მათი გულები ახლოსაა ერთმანეთთან და მათ მშვენივრად ესმით ერთმანეთის√

---

[48] კითხვითია წინადადება, რომელიც კითხვას შეიცავს. ის ორგვარია: კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი. კითხვით სიტყვებად გამოიყენება კითხვითი ნაცვალსახელები (ვინ? რა? რომელი?...) და კითხვითი ზმნიზედები (სად? როგორ? რატომ?...). კითხვითი წინადადების სახეებს შორის ინტონაციურ განსხვავებაზე უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ (იხ.: 15. წინადადება).

ხოლო თუ ადამიანებს უყვართ ერთმანეთი√ მაშინ მათი გულები ისეა დაახლოებული, რომ უკვე ჩურჩულით შეუძლიათ ერთმანეთს ესაუბრონ√ რაც უფრო ძლიერია სიყვარული, მით უფრო ახლოვდება გულები და ბოლოს სიტყვის თქმაც კი არ არის საჭირო. მათ შეუძლიათ უხმოდ√ უსიტყვოდ გაუგონ ერთმანეთს. ასე ხდება შეყვარებული ადამიანების ერთად ყოფნისას√

ამიტომ, თუ ვინმესთან შეკამათება მოგივიდათ√ ნუ დაუშვებთ√ რომ თქვენი გულები დაშორდნენ ერთმანეთს, ნუ იტყვით ისეთ რამეს, რაც თქვენს შორის მანძილს კიდევ უფრო გაზრდის√ ვინაიდან შეიძლება ისე შორს შეტოპოთ√ რომ მერე ერთმანეთთან დასაბრუნებელი გზები დაკარგოთ√

16.7. ძახილის ნიშანი

ძახილის ნიშანი გამოიყენება:

- მაღალი ხმით მიმართვის შემდეგ:

  – **ლუარსაბ! ლუარსაბ!** – დაუძახა დარეჯანმა.

- ბრძანებითი წინადადებების ბოლოს:

  „თემს ნუ სწყევთ, **ნუ გადიქცევით ცეტადა!**“

- ძახილის წინადადებებთან, ასევე, ძლიერი გრძნობის გამომხატველ შორისდებულებთან და მიგებით ნაწილაკებთან:

  „ვიშ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!“

  "ხო,

  ხო,

  ხო,

  ხო!

  ხმელეთს როგორ ეხეთქება ზღვა!

  არა!

  სხვისი მისაბაძი რა მჭირს, თვარა კი!"

- მისალმება-დამშვიდობებისას, დალოცვისას და სხვ.

  „გამარჯობა!“ „ნახვამდის!“ „კარგად მეყოლე!“ "ღმერთს ებარებოდე!"

  "ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზი, **დაურჩი დედაშენსაო!**"...

მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაშრომებში არაიშვიათია ერთად წარმოდგენილი რამდენიმე ძახილის ან კითხვის ნიშანი; ასეთი ფაქტები სცილდება ნორმებს და უფრო ინდივიდუალური სტილის მახასიათებლად განისაზღვრება:

„მიგვითითოს პატივცემულმა პროფესორმა თუნდაც ერთი... შემთხვევა ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში, როდესაც ამა თუ იმ ერის პატივისცემის გამო (!!!) ვინმე არაქრისტიანი ქრისტიანულ ეკლესიაში დამარხულიყოს. ამგვარი მსჯელობა დაფუძნებულია ქრისტიანობის ისტორიისა და საღვთისმეტყველო-ლიტურგიკული პრაქტიკის სრულ უცოდინრობაზე.“

სავარჯიშოები

16.7.1. განმარტეთ ძახილის ნიშნების გამოყენების შემთხვევები.

1) "ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა..." (ჭავ.).
2) იმერელი ცდილობს შენს გულს / ტკბილად დაეპატრონოს: – ნუ იყიდი, მარტო გემო/ ნახე, ჩემო ბატონო! (ნონ.).
3) — თუ მოყვარე ხარ, მაშ, გამარჯობა! კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. (ჭავ.).
4) კირითხურონო, კალატოზნო, ოსტატ-შეგირდნო, / თუ სადმე რამე ცოდვა გქონდეთ – ღმერთმა შეგინდოთ! (ნიშნ.).
5) — ამინ!.. შენ არ ხარ ბღაჭიაშვილი? — დიაღ! გახლავარ!.. რა გნებავს შენა? (ჭავ.).
6) მაგრამ რას იზამ? მოდი, გულს უთხარ, / კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი!.. (ჭავ.).
7) ...საქართველოს ციხეებზე მზის შუბოსანი / დგას მეციხოვნედ მარადისობა!.. (ნიშნ.).

8) – ჩემი ღვინო სხვას არ სჯობდეს, / მაშ, შემირცხვეს სახელი! –კარდენახულ ღვინოს აქებს / ბიჭი კარდენახელი. (ნონ.).
9) ძველო თბილისო! ჩემი მიზნები აღარ მაქვს,გულში რომ გინახავდი... (გრიშ.).
10) კარგი გყოლია გამზრდელი, ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო! (ვაჟა).

16.7.2. აღადგინეთ სასვენი ნიშნები.
სამშობლო დროშები, ჰიმნები ან სიმბოლურ გმირებზე წარმოთქმული სახოტბო სიტყვები როდია ეს გახლავთ ერთი მუჭა მიწა და ადამიანები რომლებიც ჩვენს მოგონებებში სახლობენ, მელანქოლიით ავსებენ მათ. ეს არის ჩვენში გამჯდარი უთბესი გრძნობა და იმის მიუხედავად, სად იმყოფები ეს ის კერაა, სადაც დაბრუნება შეიძლება

16.7.3. მითითებულ ადგილებში დასვით სათანადო პუნქტუაციური ნიშნები.
...უცებ თავი ძალიან დაღლილად ვიგრძენი. ამდენი ირონია და სიმარტოვე√ აი, რომ გამოჩენილიყო ვინმე პატარა, ნაზი გოგონა, ოღონდ ნამდვილი, ნიღბების გარეშე!..
თვალები გავახილე და ერთბაშად შევკრთი – ის ჩემ წინ იდგა. უძრავი, უფრო ქანდაკებას ჰგავდა√ ვიდრე ცოცხალ ადამიანს. ჰა√ ჰა√ ჰა√ აშკარად, სიცხესა და რიგში დგომას ჩემზე კარგად არ უმოქმედია. თვალები ისევ დავხუჭე და ისევ გავახილე√ მაგრამ ლანდი არსად წასვლას არ აპირებდა. ის რეალური იყო... და ისეთი ლამაზი... მხოლოდ ერთი სიტყვით შემიძლია მისი დახასიათება√ სხვანაირი.
– ხომ არ დაგეხმაროთ რამით√
– ვინ ხარ√
– მე... და განა შენ არ იცი√ თუმცა ხო, უკვე დიდი დრო გავიდა... ნახე, რა ლამაზია სამყარო და რა დაუნდობელი – დრო√
– არ წახვიდე√ გთხოვ√
– უნდა წავიდე√ ვერ დავრჩები შენთან...
– მომენატრები√
– ვიცი... როცა ძალიან მოგენატრები, მომწერე წერილი...
– მერე, როგორ მოგაწვდინო ეს წერილი√
– ქარს გაატანე√
თქვა და გაქრა სამუდამოდ√
ერთხანს არ მინდოდა, ვერ ვბედავდი√ მაგრამ ბოლოს მივწერე, კონვერტში ჩავდე და ქარს გავატანე. პასუხი არ მიმიღია√ მაგრამ მე მაინც ვწერდი მეორეს, მესამეს... და ერთხელაც ფანჯარაზე დაცემული ყვითელი ფოთოლი დავინახე, მასზე კი სულ რამდენიმე სიტყვა ეწერა√

16.8. კითხვით-ძახილის ნიშანი

კითხვით-ძახილის ნიშანი იწერება კითხვით-ძახილის წინადადების ბოლოს:
საცა არ მიხნავ, ძმობილო, / იქ ვმკო – ეს სადაურია?!
სხვა როცა მე შემომწატრის, / მე მივბაძო სხვას?!

სავარჯიშოები

16.8.1. წაიკითხეთ ტექსტები; სათანადო ადგილებში დასვით ძახილისა და კითხვით-ძახილის ნიშნები.
ა)
უცებ რომ ჩვენმა წინაპრებმა წამოიწიონ და ყური უგდონ დღევანდელ ქართულს, ნებაყოფლობით უკანვე ჩაცვივდებიან საფლავებში
რას გვიშველის მარტო საქმის წარმოება ქართულად კათოლიკური ეკლესია დღესაც ლათინურ ენაზე აწარმოებს წირვას და მიწერ-მოწერას, მაგრამ ეს ენა მაინც მკვდარია. ნუთუ შეიძლება მოკვდეს ენა შოთასი, ილიასი, აკაკის და ვაჟასი დაუჯერებელია
ბ)
ს. მასხარაშვილის ქმედებაზე უკეთესი რითია პროფ. ო. ლანჩავას ქმედება ნუთუ ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და ხელოვნებათმცოდნეთა მიერ აზრის გამოთქმა ბაგრატის მდიდრული სამარხის საკითხზე სხვის კომპეტენციაში ჩარევაა რატომ თვლის პატივცემული ო. ლანჩავა, რომ ამ საკითხზე მსჯელობა მხოლოდ მისი პრეროგატივაა და სხვას არ აქვს აზრის გამოთქმის უფლება

16.8.2. პუნქტუაციურად გამართეთ ტექსტი.

ის ჟანრობრივი მრავალფეროვნება, რომელიც დასავლური, მაგალითად ამერიკული თანამედროვე პოეზიისთვისაა დამახასიათებელი, ქართულში უბრალოდ არ არსებობს. მიჩნეულია რომ ქართული აზროვნება, ეთნოფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ბინარულია; აქედან გამომდინარე ჩვენი ფსიქოლოგია ორ პოლარულ წერტილს შორის განფენილ მრავალფეროვნებას ვერ ჰგუობს ან კარგი ხარ, ან ცუდი. შესაბამისად, თუ პოეტი ხარ უნდა პირველი იყო. ერთ-ერთ ჩემს ამერიკელ კოლეგას ვთხოვე, შეერჩია 10 საუკეთესო თანამედროვე ამერიკელი პოეტი რომ მეთარგმნა და ძალიან გაუკვირდა: საუკეთესო, რის მიხედვით – მიმდინარეობების, გამოქვეყნების თუ გაყიდვების? მენეჯმენტი, მათ შორის პოეზიისაც დღეს უკვე მართვადია და შეიძლება, რომ არაფრისგან შექმნა პოპულარული სახე ასე რომ, პოპულაროზაც დღეს ნაკლებად გამოდგება პოეტის საზომად.

16.9. დეფისი

დეფისი წარმოადგენს მოკლე ჰორიზონტალურ ხაზს; გამოიყენება:

- მრავალცნებიანი კომპოზიტების დასაწერად:

  თვალ-წარბი, ხელ-პირი, ყელ-ყურ-ცხვირი, მთა-ბარი, სახლ-კარი...

- სხვათა სიტყვის **-მეთქი** და **-თქო** ნაწილაკების გამოსაყოფად:

  „კატო, დედას უთხარი, ერთი პური **გვასესხე-თქო.**"

  „გითხარი, არ **წავალ-მეთქი.**"

- რიგობითი და რაოდენობითი რიცხვითი სახელების თანდებულიანი, ბრუნვისნიშნიანი თუ ნაწილაკიანი ფორმების დასაწერად:

  რიგობითი რიცხვითი სახელები: **1-ლი, მე-100, 25-ემ, VI-ის, V-ში, X-ც**...

  რაოდენობითი რიცხვითი სახელები: **7-ზე, 100-დან, 8-ს, 4-ვე**...

- სიტყვის დასამარცვლად და გადასატანად:

  ხერ-ხი, მა-გი-და, მერ-ცხა-ლი, გა-ზა-ფხუ-ლი...

- სიტყვათა შესამოკლებლად:

  ქ-ნი (ქალბატონი), **ბ-ნი** (ბატონი), **ხელ-ლი** (ხელმძღვანელი) და სხვ.

სავარჯიშოები

16.9.1. დასვით სასვენი ნიშნები; ახსენით დეფისის გამოყენების შემთხვევები.

ა) თუ მოსწონთ, ისეთი რამეები მოსწონთ რომ... არ ვიცი, რა. თან რაც ყველაზე მთავარია უცებ ჩაკლანდნენ. ხელოვანთა კლანები, ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით. თუ რომელიმეში მოხვდი კაცი ხარ: აქეთ "მარლბოროს" ყიდი, იქით წიგნებს წერ; იდეალებს არ ივიწყებ მოკლედ. ხე-ლო-ვან-თა კლა-ნე-ბი. წარმოიდგინეთ მაგათი ხელოვნება!..

ბ) ჟურნალი გამოიცემა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მიერ. მისი მთავარი რედაქტორია სააგენტოს დირექტორი ბ-ნი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

გ) ...ასეთი პოზა ხშირად დასტურდება სამხრეთ რუსეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის სტეპებისა და ჩრდილო კავკასიის იმ რეგიონების ძეგლებზე რომლებიც სალტოვო-მაიაცკის (ხაზართა ხაკანატის) კულტურის არეალშია მოქცეული.

დ) შესვენებაზე სოფელ ატენის მაღაზიაში ლიმონათის საყიდლად წავედი მაღაზიის კარზე გაკრული იყო მუყაოს ქაღალდი, წარწერით "დღეს ლიმონათი გაყიდვაში არ არის". გამყიდველ გოგონას ვუთხარი, შე დალოცვილო დაგეწერა, ლიმონათი არა გვაქვს-თქო, რა უბედურებაა ეს გაყიდვაში-მეთქი...

16.9.2. გამართეთ ტექსტის პუნქტუაცია.

წინასწარი არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, ბაგრატის ტაძარში 2009 წლის 4 აგვისტოს აღმოჩენილი დიდგვაროვანი ქალბატონის სამარხი ჩემი ვარაუდით უნდა ეკუთვნოდეს აფხაზეთ ეგრისის მეფის, ლეონ II ის დედას, ხაზართა ხაკანის ასულს რომელიც გარდაცვლილა აფხაზთა სამეფოს დედაქალაქის ქუთაისში გადმოტანის შემდეგ (VIII ს-ის 80 იანი წლების დასაწყისი)... სპეციალისტები სამარხს ათარიღებდნენ VIII IX საუკუნეებით... მოგვიანებით, ჩატარებული კვლევის თაობაზე ბ-ნებმა

ლანჩავამ და ისაკაძემ 5 დან 10 აგვისტომდე არაერთი ინტერვიუ მისცეს როგორც ელექტრონულ ისე ბეჭდურ მედიას.

16.10. ტირე

ტირე არის დეფისზე მოზრდილი ჰორიზონტალური ხაზი; გამოიყენება:

- დიალოგის დასაწერად, ასევე, სხვა პუნქტუაციურ ნიშნებთან ერთად (მძიმე, კითხვის / ძახილის / კითხვით-ძახილის ნიშნები), ავტორისა და პერსონაჟის სიტყვების გასამიჯნად:

  – საიდამ მოდიხა-ა-ართ?! – მკითხა გაკვირვებით და დაცინებითაცა.

  – პეტერბურგიდამ.

  – ჰმ, – ჩაიცინა აფიცერმა, – პეტერბურგიდამ. კარგია, გღირსებიათ პეტერბურგის ნახვა.

- განმაზოგადებელი სიტყვის წინ, რომელიც მოსდევს ერთგვარ წევრთა ჩამონათვალს:

  კრივი, ამქარი, ცეკვა, ართურმა – / ეს **ადათები** ძველთაგან ძველი,

  გადაივიწყა სიტყვამ ქართულმა / და დამრჩა სევდა წარუბაძველი.

- ფრაზაში / წინადადებაში გამოტოვებული შემასმენელის ან მისი ზმნური ნაწილის საკომპენსაციოდ:

  ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილებში შეეხო მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს, შესაბამისად – დარგობრივ ლექსიკასაც.

  ხევი მთას ჰმონებს, / მთა – ხევსა; წყალნი – ტყეს, ტყენი – მდინარეთ...

  ერთობა ჩვენთვის ხატია, მტრებისთვის – სახრჩობელაო!

  ორჯერ ორი – ოთხი; ათი გაყოფილი ხუთზე – ორი.

- უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული ნაწილის მთავარისაგან გამოსაყოფად:

  დავაბამ – დადის, ავუშვებ – დგას.

  ადრე გამოხნავ – ადრე გამოგბრავ...

- განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გამოსაყოფად, მძიმეების ნაცვლად:

  გელათის აკადემიაში – ძველი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო ცენტრში – სისტემატურად მუშავდებოდა სამეცნიერო თხზულებების ენა და სტილი.

- მანძილის, დროის ან რაოდენობის აღმნიშვნელ სიტყვებს შორის:

  მატარებელი: თბილისი – ბათუმი ჩამოდგა პირველ ლიანდაგზე.

  თაობათა ბრძოლა მიმდინარეობდა XIX საუკუნის 60 – 70-იან წლებში.

  ვისაც შეგიძლიათ, 5 – 10 თეთრით დაეხმარეთ გაჭირვებულს!

- რაიმე სიტყვის ან ცნების / ტერმინის განსამარტავად:

  მცხეთა – ეს საქართველოს ძველი დედაქალაქია.

  მანგანუმი – ქიმიური ელემენტი, ძნელდნობადი მოვერცხლისფრო ლითონი; იყენებენ მეტალურგიაში (სხვა ლითონებში შესადნობად), სოფლის მეურნეობაში (სასუქად), მედიცინაში და სხვ. (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989, 292).

- გარკვეული პოზიციის წარმომადგენელთა გამოსაყოფად, შდრ.:

  ნ. ნიკოლოზიშვილი: სოფ. ურადას (ავარეთი) ქრისტიანულ სამაროვანში დაფიქსირებულია ქრისტიანთა დაკრძალვის ფაქტები წვივებში გადაჯვარედინებული ფეხებით.

  ლანჩავა – ისაკაძე: ასეთი პოზა გვხვდება ... X-XIV სს-ით დათარიღებულ დაღესტნის ქრისტიანულ სამარხებში.

16.10.1. წაიკითხეთ ნაწყვეტები; დასვით სასვენი ნიშნები; ახსენით ტირეს გამოყენების შემთხვევები.

ა)

– ცნობილია რომ ფეხბურთის დიდი ქომაგი ხართ. სპორტის ამ სახეობის კომენტატორებზე რას ფიქრობთ – საქართველოს ორი კომენტატორი ჰყავდა – ეროსი მანჯგალაძე და კოტე მახარაძე. მათ შემდეგ კარგი კომენტატორი აღარ მინახავს. ფეხბურთის კომენტატორს სამი რამ მოეთხოვება ფეხბურთის სიყვარული, ფეხბურთის ცოდნა და მდიდარი ლექსიკა. დღევანდელი კომენტატორები კი შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. მაგალითად ხშირად მსმენია: "იტანს გოლს". ამ ორსიტყვიან წინადადებაში ორი შეცდომაა. უნდა იყოს "გააქვს ბურთი". "იტანს" ნიშნავს რაღაცის, მაგალითად, სიცხის ან შიმშილის ატანას, ხოლო გოლი არის პროცესი – ბურთის გატანა... ან რას ჰგავს როდესაც ამბობენ "შეასრულა პენალტი", "პასი გაუკეთა"; პასი ხომ ბურთის გადაცემაა?!

ბ)

პროფ ს ვარდოსანიძის ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია უწმინდესი პატრიარქის – კირიონ II ის ცხოვრება და მოღვაწეობა 1917 წლამდე – აღსაყდრებამდე... ბერად აღკვეცამ – უარის თქმამ ხორციელ ცხოვრებაზე – შეაძლებინა კირიონს საკუთარი სასიცოცხლო ენერგიის კონცენტრირება ქართველი ერის თავისუფლებისთვის ბრძოლაში

16.10.2. გამართეთ ტექსტის პუნქტუაცია.

შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ გამოჩენილი ადამიანი განსაზღვრულ გავლენას ახდენს იმ მოვლენებზე რომლებსაც უდგას სათავეში. დიდი ადამიანები გამოხატავენ თავიანთი ეპოქის მოთხოვნილებებსა და ამოცანებს ზოგჯერ, თავიანთი გონებრივი მონაცემებითა და ღვთისგან ბოძებული ნიჭით, რამდენიმე საუკუნითაც კი უსწრებენ თავიანთ ეპოქას... გავიხსენოთ მსოფლიო გენიოსები მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, მოცარტი, ბეთჰოვენი; მეცნიერებაში – ისააკ კოპერნიკი დარვინი, ფროიდი ნიუტონი, ალბერტ აინშტაინი; კულტურაში – ფრედერიკო ფელინი, სტივენ სპილბერგი; ლიტერატურაში შექსპირი, დანტე, სერვანტესი, რუსთაველი; რელიგიაში მარტინ ლუთერი, საქართველოს კათალიკოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II

16.10.3. აღადგინეთ ტირეები.

ღმერთმა აცოცხლოს პატარძალი! წამოავლო ჯამს ხელი დავითმა, ღმერთმა ტკბილად შეაბეროსთ ერთმანეთს!

მადლობელი ვარ, თქვენი ჭირიმეთ! დაუკრა ყველას თავი მოსემა. მაშ, რაც მალე იქნება, ისა სჯობია.

იმან ისე მოგახსენათ, უპასუხა დავითმა. მეც, სწორედ მოგახსენოთ, მაგას ვურჩევ ჩემს ძმასა. რაღა გავაგრძელოთ საქმე.

ჩემის ფიქრითაც ეგრე სჯობია, სთქვა მოსემა, ქალი აქა ჰდნება...

ის კიდევ იქ, თქვენმა სიცოცხლემ! წაართო სიტყვა დავითმა.

მაშ, როცა მიბძანებთ, მაშინ იყოს ქორწილი, სთხოვა მოსემა.

16.11. ფრჩხილები

ფრჩხილები სამი სახისაა: მრგვალი, დახრილი და კვადრატული.

მრგვალი ფრჩხილები გამოიყენება:

- ტექსტში ჩართული დამაზუსტებელი ინფორმაციის გამოსაყოფად:

  მწერალმა უპირატესობა მიანიჭა სიტყვა „მამულის" სამწიგნობრო ენაში დაცულ მნიშვნელობას, დიალექტური (ქიზიყ., იმერ., გურ., ლეჩხ.) სემანტიკის საპირისპიროდ.

  ის საბოლოოდ დაუბრუნდა სოფელს (აღადგინა წინაპართა ნაფუძარი).

- ციტირებული წყაროს მისათითებლად:

  „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ" (ალ. ყაზბეგი, "ხევისბერი გოჩა").

„ბრძანებითი კილო ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი" (ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1990, გვ. 78).

- ავტორის ან მსმენელთა დამოკიდებულების წარმოსაჩენად:

  მასავით შემტევი (აბა, რა ეგონათ?!) იქ არავინ ყოფილა.

  ფუფალა შიოლაზე ფიქრებმა გაიტაცა (ქალებს ჩაეცინათ).

- პიესაში რემარკის გამოსაყოფად:

  პელაგია (თავისთვის): ღმერთო, უშველე!

- ჩამონათვალის ნუმერაციისათვის; ამ შემთხვევაში საჭიროა მხოლოდ ცალი ფრჩხილი:

  1), 2), 3)... ა), ბ) გ)...

დახრილი ფრჩხილები, მრგვალი ფრჩხილების მსგავსად, გამოიყენება ტექსტში ჩართული დამაზუსტებელი ინფორმაციისა და ციტირებული წყაროს მისათითებლად, ასევე:

- ერთ ხაზზე წარმოდგენილი სალექსო სტრიქონების გასაყოფად:

  მთვარე კი ჯერ არსადა სჩანს, / არ დაგვნათოის თავზედა.

- ერთი რიგის მონაცემების წარმოსადგენად:

  მრავლობითის ნ / თ სუფიქსები;

  გა-/გადა- ზმნისწინები...

- ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში ხელმოწერის ბეჭდური ვერსიისგან გასამიჯნად და სხვ.

კვადრატული ფრჩხილი გამოიყენება:

- ავტორის მიერ ტექსტში აღდგენილი ან ჩამატებული ინფორმაციის გამოსაყოფად:

  მან [ლუარსაბმა] იმ ღამით ცუდი სიზმარი ნახა.

  სიმჟავეებს მეცნიერებაში ეტყვიან რამე ნივთეულის [ნივთიერების] ნახადს, გადასხვაფერებას, ნახალისევს რისამე.

- ძირითად ტექსტში წყაროს ნუმერაციის პრინციპით დამოწმებისათვის:

  [5, გვ. 117]; [23, გვ. 53].

არასწორია შეცდომის ფრჩხილებში ჩასმა; შეცდომას ხაზი უნდა გადაესვას.

ძირითადი ტექსტის სასვენი ნიშანი იწერება ფრჩხილების შემდეგ.

სავარჯიშოები

16.11.1. წაიკითხეთ ტექსტები. ახსენით, რა ტიპის ინფორმაციაა ფრჩხილებში წარმოდგენილი.

ა)

მონოგრაფიიდან ნათლად ჩანს, რომ ეს არ იყო მხოლოდ განსწავლული და პატრიოტი საეკლესიო პირების ბრძოლა, საეკლესიო პირებს მთელი ქართველი ერი უჭერდა მხარს (ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის წინამძღოლობით).

ბ)

რამდენიმე დღის წინ მეგობარმა ჟურნალის: "ძველი ხელოვნება – დღეს" (N1, 2010 წელი) ელექტრონული ვერსია გადმომიგზავნა.

გ)

ჩემი 8-გვერდიანი წერილი ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა გაზეთში: "24 საათი" 10 აგვისტოს, ანუ აღმოჩენის გახმაურებიდან სულ რაღაც 5 დღეში (იხ. ნ. ნიკოლოზიშვილი, ბაგრატის ტაძარში დაკრძალული ქალბატონის იდენტიფიკაციისთვის, გაზ. "24 საათი", 2009, 10 აგვისტო, N176 (2214)).

დ)

მიუხედავად იმისა, რომ სტატია საგაზეთო იყო, ჩემი თხოვნით, გაზეთის რედაქციამ მას შენიშვნების სახით დაურთო წყაროებისა და იმ სამეცნიერო ლიტერატურის სია, რომელთაც ჩემი გამოკვლევის დროს ვეყრდნობოდი (რისთვისაც მადლობას მოვახსენებ გაზ. "24 საათის" რედაქციას; როგორც აღმოჩნდა, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო).

16.11.2. წაიკითხეთ ტექსტი; იპოვეთ და გაასწორეთ პუნქტუაციური შეცდომები.

თევზი თავიდან აყროლდებაო სწორედ ჩვენს ინტელიგენციაზეა ნათქვამი. იგი ჩემულობს ხალხის მეთაურობას და ხელმძღვანელობას მაგრამ ამ შემთხვევაში... იმან უნდა დაიწყოს ზრუნვა საკუთარი თავის განკურნებაზე.

ზოგნი ამ სნეულებას უიმედოდ შესცქერიან მე კი მაგონდება ერთი მაგალითი: 1905-1906 წლებში, სულ ორიოდე წელიწადში ყველა სომეხი თავის დედაენაზე ალაპარაკდა (ბარაქალა იმათ!

გაინტერესებთ, როგორ მოხდა ეს ამბავი სულ უბრალოდ მოინდომეს და შეასრულეს – ხალხის ნებაყოფლობამ, უკვდავების ალღომ და სიცოცხლის წყურვილმა ასი წლის ნაშენი ზღუდენი გადალახა

16.11.3. აღადგინეთ ფრჩხილები.

1) იმას მამაჩემს რომ სწავლა მიეღო და ცხოვრებაში განვითარება ჰქონოდა, შესანიშნავი რამე იქმნებოდა ა. წერეთელი, "ჩემი თავგადასავალი".

2) თანამედროვე გერმანელი მწერალი იული ცე თავის რომანში „თამაში" წარმოაჩენს ახალგაზრდა თაობას, რომელიც მემკვიდრეობით მიღებული გაუფასურებული იდეალების ამარაა.

3) 1828 წელს გერმანელმა ქიმიკოსმა – ბიუხნერმა – ტირიფის ქერქისგან გამოყო ნივთიერება და სალიცინი უწოდა ტირიფის ლათინური სახელიდან Salix.

4) ავადმყოფი ჩვენ უკვე მოვახერხეთ მისი მონახულება თავს კარგად გრძნობს.

16.11.4. სათანადო ადგილას აღადგინეთ ფრჩხილები და ტირეები.

2011 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით კვლევა ჩაატარა *განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა* და *მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა*, ყოველი მეოთხე მოსწავლე სარგებლობს აღნიშნული სერვისით. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ რეპეტიტორებთან დადიან არა მარტო დამამთავრებელი, არამედ დაწყებითი და საშუალო საფეხურის მოსწავლეებიც ამ შეთხვევაში ცენტრის შესწავლის საგანს არ წარმოადგენდა მხოლოდ გამოცდებისთვის მომამზადებელი რეპეტიტორების საკითხის შესწავლა. დამამთავრებელ კლასში მოსწავლეების 57% ემზადება, საშუალო საფეხურზე 42,6%, საბაზოზე 37,2%, დაწყებითზე 15%. კვლევის შედეგების მიხედვით, მშობელთა დანახარჯი დაახლოებით 300 მილიონი ლარის ფარგლებშია.

16.12. ბრჭყალები

ბრჭყალები იწერება:

- პირდაპირი ნათქვამის აღსანიშნავად:

  მან თქვა: "ტკბილსა მწარე ჰპოვებს..."

- ციტირების ძირითადი ტექსტისაგან გამოსაყოფად:

  სოფრომ მგალობლიშვილის მითითებით, ილია კრიტიკულად იყო განწყობილი ანტონ ფურცელაძის მიმართ, რომელსაც „საზოგადოდ... არად მიაჩნდა სიწმინდე ენისა" („ილია", 1987, 487).

- ირონიული დამოკიდებულების გამოსახატავად:

  – მთელმა სკოლამ გაიგო დათოს გუშინდელი "გმირობის" ამბავი.

  – მაინც რა მოხდა?

  – რა და გიოსთან ჩხუბში "დაიმშვენა" ცხვირი...

- სხვადასხვა ტიპის სახელწოდებების წარმოსადგენად:

  ჟურნალი „ცისკარი", გაზეთი „ახალი თაობა", საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელი ჯვარი", ლექსი "გაზაფხული", მოთხრობა "შვლის ნუკრის ნაამბობი", ანსამბლი "ნერგები", ჯგუფი „გამოუვალი მდგომარეობა"...

- მოძველებული სიტყვების, დიალექტიზმების, ბარბარიზმების ან გრამატიკულად მცდარი ფორმების გადმოსაცემად:

წამო, გაჩვენებ ჩვენს "საოსტიგნეს."

ჩემი შვილი "მიჩივა", დაისვენეო.
პოლკოვნიკო, ტყუილად ნუ ფიქრობ, რომ მოიგო, სანამ ეგ ვიღაც „აშიბკა" გადაგკიდებია.
„შატალოზე" სიარულს როდის დაანებებ თავს?
არ შემიძლია ამის „ასხნა."

- იმ სიტყვების გამოსაყოფად, რომლებზეც მთქმელს სურს ყურადღების გამახვილება:
  სად გაქრა შენი "ლურჯთვალება ფერია"?
  როგორც იქნა, იპოვა თავისი "ოცნების ქალი".

სავარჯიშოები

16.12.1. წაიკითხეთ ტექსტი; საჭირო ადგილებში აღადგინეთ პუნქტუაციური ნიშნები. დააზუსტეთ, რა შემთხვევაში იყენებს ბრჭყალებს ტექსტის ავტორი.

ა) კომენტატორებს თავი რომ დავანებოთ, საშინელ შეცდომებს უშვებენ ჟურნალისტებიც. მაგალითად ხშირია ისეთი "ფრთიანი" ფრაზები, როგორიცაა "გაუკეთა ზარი" – ამას "დაურეკას" ნაცვლად ამბობენ; ან რას ნიშნავს "უამინდობა საქართველოში" "უამინდობა" არ არსებობს. ამინდი შეიძლება იყოს კარგი დარი და ცუდი ავდარი. რაც მთავარია, ყოველდღიურად ყურს მჭრის რუსული კალკები "ამასთან დაკავშირებით" "ფაქტი სახეზეა" და სხვ. ან წამლის რეკლამები რას ჰგავს "გვერდითი მოვლენების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს". "გვერდითი მოვლენები" კი არა, თანამდევი მოვლენები, ან უკუქმედება ან კიდევ უკუჩვენება არის სწორი ფორმა. და კიდევ – "ხარიზმატული" კი არა, "ქარიზმული"; "არხიტეკტორი" კი არა, "არქიტექტორი". ბევრ რუსულ სიტყვას ისე თავდაჯერებით იყენებენ რომ ეტყობა, ქართული სიტყვები ჰგონიათ "პროსტო", "ვაბშე", "დაჟე", "ვსიო", "პასტაიანა", "იმენა"... ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ბ) გვახსოვს ,,დროების", ,,ივერიის", ,,მოამბის" და ,,ცნობის ფურცლის" ქართული ახლა კი – ,,ქართული სიტყვის" ერთი წერილის ავტორისა არ იყოს – ნაწერზე ადვილად გამოიცნობთ დამწერის დაბადების კუთხეს. ამ მხრივ ჩვენში უსაზღვრო თავისუფლება დამყარდა აღარაფერს ერიდებიან და ჟურნალ-გაზეთებში თამამად წერენ ,,ლაფატკა" ,,ფლაგი", ,,სიროსტი", ,,ტუმანი" და სხვ არ ვაჭარბებ ეს სიტყვები მე თვითონ წამიკითხავს და იმავე დროს გამხსენებია რომ თითო ასეთ სიტყვას ჩვენ შეგვიძლია ორი და სამი ქართული დავახვედროთ

გ) გერმანელი ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშე წერდა ხალხი „უფორმო მასალაა რომლისაგანაც უბრალო ქვას ქმნიან და რომელსაც მეჩუქურთმე ესაჭიროება". ნიცშე ხატავდა ზეადამიანს გმირს რომელიც „სიკეთისა და ბოროტების მიღმა" იდგა და ფეხქვეშ თელავდა უმრავლესობის მორალს

16.12.2. გაეცანით ტექსტს; ბრჭყალებში ჩასვით ბარბარიზმები. ახსენით, რა ფუნქციით არის გამოყენებული: ა) ორწერტილი; ბ) მრავალწერტილი; გ) ძახილის ნიშანი.

ამ დღეებში სასამართლოში გახლდით. ერთ დარბაზში ნამდვილი სეტყვა მოდიოდა ასეთის სიტყვებისა: ჩისტკა... უბორკა, ბირჟა ტრუდა... მესტკომი... და ათასი ამისთანა ნარევი, გაუგებარი და გონჯი.

ასე ლაპარაკობდნენ ქართველები. ასეთივე ამბები ხდება დაწესებულებებში, სადაც ისევ ქართველები ოფლში იწურებიან ქართულის წერით. გეგონებათ, წინანდელ გიმნაზიელებს ლათინურს ან ბერძნულს აწერინებენო. ან კი რა საკვირველია! დაიარეთ რომელიმე დაწესებულება და დაელაპარაკეთ თანამშრომლებს ქართულად. იშვიათად მიიღებთ პასუხს ქართულადვე. დაუგდეთ ყური ამ ხალხის ენას: ნამდვილი ვოლაპიუკი, ჟარგონი, უშნოდ ნარევი და ნამყნობი, უმგვანო. ამ ჯურის ხალხმა ხეირიანად არც ქართული იცის, არც რუსული, თვითონვე რომ შეიგნონ თავიანთი უენობა და მოისმინონ თავიანთი რუსულ-ქართული, ან სულ დამუნჯდებოდნენ, ან თავიდანვე დაიწყებდნენ ენის შესწავლას.

16.13. სასვენი ნიშნის ადგილი ფრჩხილებისა და ბრჭყალების გამოყენებისას

ფრჩხილების გამოყენების დროს:

- წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი და ტირე არ დაისმის ფრჩხილების წინ ან ფრჩხილებში მოთავსებულ სიტყვებთან; ისინი დაისმის მხოლოდ ფრჩხილების შემდეგ:

გიგლამ კარგ ხასიათზე გაიღვიძა (ასე მშვიდად ბავშვობის მერე არ უძინია);

აქ მყავს ჩემი სიყრმის მეგობრები (მათ გარეშე თავი ვერ წარმომიდგენია): თიკო და ელენე.

- კითხვის, ძახილის, კითხვით-ძახილის ნიშნები და მრავალწერტილი დაისმის:

– დამხურავი ფრჩხილის წინ, თუ ისინი განეკუთვნება მხოლოდ ფრჩხილებში მოთავსებულ ინფორმაციას:

ბოლოს მივაშურე (აბა, რას ვიზამდი?!) ბავშვთა გასართობ ცენტრს.
მაინც ვუთხარი (ცოტა კი მომერიდა...) სიმართლე.

– დამხურავი ფრჩხილის შემდეგ, თუ ფრჩხილებში მოთავსებულ ინფორმაციასთან ერთად განეკუთვნება მთელ წინადადებას:

შევიკრიბოთ და ერთად დავგეგმოთ ღონისძიება (საბოლოოდ ჩამოვყალიბდეთ)!
ვინ იცოდა რამე მოსალოდნელ ავდარზე (ინტენსიურ კოკისპირულ წვიმაზე)?!

– ფრჩხილების წინ, თუ რემარკაა:

ქაიხოსრო: მელა ხარ, ჩემო სოლომან, მელა! (ხარხარებს).
სოლომანი: რას ჰგავს, ყმაწვილო, ეს?! (უკმაყოფილოდ ეუბნება ნიკოს).

ბრჭყალების გამოყენების დროს:

• წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი და ტირე არ დაისმის დამხურავი ბრჭყალების წინ, არამედ დაისმის მხოლოდ მის შემდეგ:

პოეტი წერს: "ცუდას რად უნდა მტერობა?! კარგია მუდამ მტრიანი".
"ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა", – გვასწავლის დ. გურამიშვილი.

• კითხვის, ძახილის, კითხვით-ძახილის ნიშნები და მრავალწერტილი დაისმის:

– დამხურავი ბრჭყალების წინ, თუ მიეკუთვნება ბრჭყალებში ჩასმულ ინფორმაციას:

"...არ გესმით? ჰგალობს ბულბული!" – ვკითხულობთ ლექსში.
მუდამ მაფიქრებს სიმღერის სიტყვები: "ნეტავ, სად მიდიან სიყრმის მეგობრები?"

– ბრჭყალების შემდეგ, თუ, ბრჭყალებში ჩასმულ სიტყვებთან ერთად, განეკუთვნება მთელ წინადადებას:

ან "მესაფლავეს" რისთვის ვმღეროდი, / ან ვინ ისმენდა ჩემს "მე და ღამეს"?
ვის არ განუცდია ბოლო ეპიზოდი ფილმიდან: "ჯარისკაცის მამა"!
ანალოგიურია ლექსები: "ელეგია", „ლოცვა"...

სავარჯიშოები

16.13.1. გაასწორეთ პუნქტუაციური შეცდომები.

1. დაიწყო (რატომაც არა)! უბედნიერესი ხანა მის ცხოვრებაში.
2. ვინ უყურა გუშინ ფილმს: "განგაში?"
3. ჩემს წინა მერხზე იჯდა ქერათმიანი ქალი – (ჩემი კლასელის დედა) ნათია.
4. "ეს მშობლიური მთებია"! – აღტაცებას ვერ მალავს პოეტი.
5. დამაფიქრებელია სტრიქონები: "ვინ ეტყვის იმის დედასა, კარს უსხდნენ ქადაგ-მკითხავნი"?!
6. "შენ, ჩემო პატარა, სადა ხარ აქამდე"? – მღერის ფილმის პერსონაჟი.
7. "სხვისი არაფერი შეგშურდეს," – მარიგებს დედა.
8. მოსვენებას არ მაძლევს შენი კითხვა: "მაინც, საიდან იწყება ჩემი სამშობლო"?
9. ვეძებ, (აბა, რა ვქნა?!) მაგრამ ვერ მიპოვია გამოსავალი.
10. სიმღერის ჰანგებს მოჰყვება სიტყვები: "იღიმება ლურჯთვალება ია."

16.13.2. აღადგინეთ სასვენი ნიშნები.

1. უკვე დრო არ ითმენს, დაწერეთ განცხადება (რაც შეიძლება, მოკლედ)
2. არავინ იცის (რას გაიგებ) რა მოხდა ნახატარის ტყეში.
3. გაიხედეთ გარეთ, ყველაფერი თოვლითაა დაფარული (გადათეთრებულია)
4. "რა ლამაზია, წყეულო, შენ ზვირთთა ლაღნი ჩქერანი" – წერს ვაჟა.
5. აქამდე რატომ არ წაიკითხე პოემა "კაკო ყაჩაღი"
6. ჩემო მეგობარო (ჩემზე მზრუნველო) მე რით გადავიხდი შენს ამაგს?!
7. რა ამაღელვებელია მისი "წერილი დედას"
8. ბებიაჩემი გამუდმებით მასწავლის: "მატარებელი რომ გაჩერდება, მერე ჩამოდი"
9. თქვენ ყველაფერი ასე მარტივად წარმოგედგინათ (ნუთუ მართლა)
10. გამარკვიეთ, დაგვიფინანსეს თუ არა პროექტი: "ჯანსაღი კვება"

ტესტი N 16

პუნქტუაცია

1. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
წერტილი იწერება:
ა) თხრობითი წინადადების ბოლოს;
ბ) ინიციალების გვარისაგან გამოსაყოფად;
გ) აბრევიატურასთან.

2. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
წერტილი არ უნდა დაიწეროს:
ა) ზომა-წონის გამომხატველ სიტყვათა შემოკლებებთან;
ბ) სათაურის შემდეგ, თუ მას უშუალოდ მოსდევს ტექსტი.

3. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.
ა) კმ. ჰა. კგ. გ.
ბ) კმ ჰა კგ გ

4. რომელია მცდარი ვარიანტი?
ა) იხ. წწ. ა. წ. შდრ.
ბ) იხ წწ ა წ შდრ

5. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
მძიმე გამოიყენება თხრობითი წინადადებების
ა) უკავშირო შეერთების დროს;
ბ) უკავშირო და კავშირიანი შეერთების დროს.

6. რომელია მცდარი პასუხი?
მძიმე იწერება:
ა) მაპირისპირებელი კავშირების შემდეგ;
ბ) მაპირისპირებელი კავშირების წინ;
ბ) მაცალკევებელ კავშირებთან მათი გამეორების შემთხვევაში.

7. შემოხაზეთ სწორი წინადადება.
ა) გათენდა მაგრამ, ცა ტყვიისფერი ღრუბლებით იყო დაფარული.
ბ) გათენდა, მაგრამ ცა ტყვიისფერი ღრუბლებით იყო დაფარული.

8. რომელია სწორი პასუხი?
მძიმე უნდა დაიწეროს:
ა) ფრაზის დასასრულს;
ბ) **რომ** კავშირის წინ.

9. შემოხაზეთ სწორი წინადადება.
ა) ის, ხან წვიმაა, ხანაც – გუნდა.
ბ) ის ხან წვიმაა, ხანაც – გუნდა.

10. რომელია პუნქტუაციურად გაუმართავი ვარიანტი?
ა) მიანიშნა, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო.
ბ) მიანიშნა სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო.

11. რომელია მცდარი?
მძიმე აუცილებელია:
ა) წინადადების არამთავარი წევრის გამოსაყოფად;
ბ) განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გამოსაყოფად;
გ) ერთგვარი წევრების გამოსაყოფად.

12. შემოხაზეთ ორი სწორი წინადადება.
ა) ბეკინა სამანიშვილი, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო.
ბ) ბეკინა სამანიშვილი რასაკვირველია ღარიბი აზნაური იყო.
გ) ძველო თბილისო, გტოვებ, ნახვამდის...
დ) ძველო თბილისო, გტოვებ ნახვამდის...

13. რომელია სწორი პასუხი?
წყაროს ბიბლიოგრაფიული მონაცემები ერთმანეთისაგან გამოიყოფა:
ა) წერტილით;
ბ) მძიმით.

14. შემოხაზეთ ორი სწორი პასუხი.

წერტილ-მძიმე იწერება:

ა) ისეთი თხრობითი წინადადებების გასამიჯნად, რომლებიც ერთი და იმავე თემის განვითარებას ემსახურება;

ბ) მიმართვის გამოსაყოფად.

გ) ჩამონათვალში საკითხების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად.

15. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

ა) მარტო ეს არ არის ჩვენი ექსპედიციის მიზანი. ადგილობრივ მკვიდრთა მეტყველებასაც ვაკვირდებით.

ბ) მარტო ეს არ არის ჩვენი ექსპედიციის მიზანი; ადგილობრივ მკვიდრთა მეტყველებასაც ვაკვირდებით.

16. რომელია სწორი პასუხი?

ორწერტილი იწერება:

ა) ავტორის სიტყვების შემდეგ;

ბ) ავტორის სიტყვების წინ.

17. რომელია მცდარი ვარიანტი?

ა) მან თქვა, „ტკბილსა მწარე ჰპოვებს...“

ბ) მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს...“

18. რომელია პუნქტუაციურად გამართული წინადადება?

ა) რუსთაველი წერს: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა... კლდოვანი“.

ბ) რუსთაველი წერს: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა კლდოვანი“.

19. შემოხაზეთ ორი პუნქტუაციურად სწორი წინადადება.

ა) ვის გაუგონია სტუმრის არად ჩაგდება?!.

ბ) რომელ წელს მოხდა ბასიანის ბრძოლა?

გ) როდის დაიწყო 1937 წელს რეპრესირებულთა რეაბილიტაცია.

20. რომელია მცდარი?

ა) ნეტავი მათ!.. ნეტავი მათ სიყვარულს!..

ბ) ნეტავი მათ. ნეტავი მათ სიყვარულს.

21. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

სხვათა სიტყვის მეთქი და თქო ნაწილაკების გამოსაყოფად გამოიყენება:

ა) ტირე;

ბ) დეფისი.

22. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

ა) დედ-მამა, სახლ-კარი, ინჟინერ-მექანიკოსი;

ბ) დედ–მამა, სახლ–კარი, ინჟინერ–მექანიკოსი.

23. რომელია სწორი?

დიალოგის დასაწერად გამოიყენება:

ა) ტირე;

ბ) დეფისი.

24. რომელია სწორი წინადადება?

ა) „საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო / და თბილისი - შიგ ჩასმული ბადახში“.

ბ) „საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო / და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში“.

25. რომელია მცდარი პასუხი?

მრგვალი ფრჩხილები გამოიყენება:

ა)ტექსტში ჩართული დამაზუსტებელი ინფორმაციის გამოსაყოფად;

ბ) ციტირებული წყაროს მისათითებლად;

გ) პერსონაჟის მეტყველების გამოსაყოფად;

დ) ჩამონათვალის ნუმერაციისათვის.

26. შემოხაზეთ სწორი სალექსო სტრიქონი.

ა) ტყემ მოისხა ფოთოლი, (აგერ მერცხალი სჭყივის);

ბ) ტყემ მოისხა ფოთოლი, / აგერ მერცხალი სჭყივის.

27. შემოხაზეთ მისაღები ვარიანტი.

ა) „მას [უცხო მოყმეს] ტანსა კაბა ემოსა...“

ბ) „მას (უცხო მოყმეს) ტანსა კაბა ემოსა...“

28. რომელია სწორი?

ა) მარტო „ოკეის“ სწავლით ფონს ვერ გახვალ ენის ცოდნაში.

ბ) მარტო ოკეის სწავლით ფონს ვერ გახვალ ენის ცოდნაში.

29. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ციტირების ძირითადი ტექსტისაგან გამოსაყოფად გამოიყენება:

ა) ფრჩხილები;

ბ) ბრჭყალები.

30. რომელია მცდარი პასუხი?

წერტილი, მძიმე, წერტილ-მძიმე, ორწერტილი და ტირე დაისმის:

ა) ფრჩხილების შემდეგ;

ბ) დამხურავი ბრჭყალების შემდეგ;

გ) დეფისის შემდეგ.

31. შემოხაზეთ ორი სწორი ვარიანტი.

ა) „რაღა მიჭირდა,/ თუ მტრისას გაჟლეტას გავიგონებდი!" – თქვა სანათამ.

ბ) „რაღა მიჭირდა,/ თუ მტრისას გაჟლეტას გავიგონებდი"! – თქვა სანათამ.

გ) ვისზე არ უმოქმედია დასასრულს ფილმიდან "ოთარაანთ ქვრივი"?!.

დ) ვისზე არ უმოქმედია დასასრულს ფილმიდან "ოთარაანთ ქვრივი?!"

17. პირდაპირი და ირიბი ნათქვამის გადმოცემა

არაიშვიათად, წინადადების შედგენისას საჭიროა სხვისი სიტყვების გამოყენება. სხვისი ნათქვამი შესაძლებელია გადმოიცეს ორგვარად: სიტყვასიტყვით, უცვლელად და ტექსტის ავტორის სიტყვებით. პირველ შემთხვევაში ნათქვამი პირდაპირია, ხოლო მეორე შემთხვევაში – ირიბი; მაგ., შდრ.:

დედამ სთხოვა ნინოს: „გაკვეთილების შემდეგ ბებოსთან დარჩი, მარტო არ დატოვო!"

დედამ სთხოვა ნინოს, რომ გაკვეთილების შემდეგ ბებოსთან დარჩენილიყო, მარტო არ დაეტოვებინა.

პირდაპირი ნათქვამის გადმოსაცემად გამოიყენება: ა) სხვათა სიტყვის ნაწილაკები; ბ) ბრჭყალები; გ) დიალოგი.

სხვათა სიტყვის ნაწილაკები. სხვათა სიტყვის ნაწილაკებია: **-მეთქი, -თქო** და **-ო**. პირველი ორი დეფისით უკავშირდება სხვათა სიტყვას, მესამე კი – უდეფისოდ.

დადგენილი წესის მიხედვით:

- **-მეთქი** გამოიყენება პირველი პირის ნათქვამის განმეორებით გადმოსაცემად:

ვეუბნებოდი, ახლა დავისვენებ და ამ საქმეს დილით ადრე **შევუდგები-მეთქი.**

- **-თქო** ნაწილაკით მეორე პირმა მესამე პირს უნდა გადასცეს პირველი პირის დანაბარები:

ნინოს უთხარი, ჩემს პასუხს **დაელოდე-თქო.**

- **-ო** ნაწილაკით:

– პირველი პირი გადმოსცემს მესამე პირის ნათქვამს:

მამა ბებოს დაჰპირდა, როგორც კი მუშაობას მოვრჩები, **გიწახულებო.**

– გადმოიცემა პირველი პირის ნათქვამი მრავლობით რიცხვში:

შევთავაზეთ, საკითხის გადაწყვეტა ჩვენ **მოგვანდეთო.**

გვეგონა, იქიდან დროულად **დავბრუნდებითო.**

- დაუშვებელია სხვათა სიტყვის ნაწილაკების აღრევა, მათი არანორმატიული / დიალექტური ფორმებით ჩანაცვლება; შდრ.:

სწორია: ვუთხარი, არ წავალ-მეთქი;

შეცდომაა: ვუთხარი, არ წავალ-მეთქი / არ წავალ-თქო.

სწორია: ნინოს გადაეცი, არ დააგვიანო-თქო;

შეცდომაა: ნინოს გადაეცი, არ დააგვიანოო /არ დააგვიანო-თქვა.

სწორია: სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობიაო;

შეცდომაა: სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობია-ო.

სწორია: ვთხოვეთ, ნუ შეწუხდებიო;

შეცდომაა: ვთხოვეთ, ნუ შეწუხდები-თქო / შეწუხდები-მეთქი.

- სხვათა სიტყვის ნაწილაკებით გადმოცემულ პირდაპირ ნათქვამს ბრჭყალები არ უნდა, გარდა იმ შემთხვევისა, რომელშიც თვითონ გამონათქვამი, **ო** ნაწილაკითურთ, სხვათა სიტყვას წარმოადგენს, მაგ.:

გამიგონია: "სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობიაო";

უთქვამთ: "გაიცინებს ის, ვინც ბოლოს გაიცინებსო"...

ბრჭყალები. ბრჭყალებით გადმოცემული პირდაპირი ნათქვამის პუნქტუაცია შემდეგ წესებს ითვალისწინებს:

- თუ ავტორის სიტყვები უსწრებს პირდაპირ ნათქვამს, მისგან ორწერტილით გამოიყოფა; მაგ.:

მან თქვა: "ტკბილსა მწარე ჰპოვებს";პოეტი წერს: "გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!"

• თუ ავტორის სიტყვები მოსდევს პირდაპირ ნათქვამს, ამ უკანასკნელის შემდეგ დაიწერება სათანადო მოდალობის – კითხვის, ძახილის ან კითხვა-ძახილის – ნიშანი და ტირე, თხრობითი წინადადების შემთხვევაში კი – მძიმე და ტირე; მაგ.:

"საიდან იწყება ჩვენი ისტორიული საზღვრები?" – დაინტერესდა ბიჭი.

"ერთი სიტყვა მეც მათქმევინეთ!" – წამოიძახა ბაქარმა.

"ნუთუ გინდა, ამდენი შრომა წყალს გაატანო?!" – დანანებით ჰკითხა დედამ გაურჩებულ შვილს.

"დაცინვას კაცი არ მოუკლავს", – უთქვამს ბრძენ ხალხს.

• თუ ავტორის სიტყვები ერთი წინადადებით გადმოცემულ პირდაპირ ნათქვამშია ჩართული, ორივე მხრიდან მძიმითა და ტირეთი გამოიყოფა; მაგ., ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშის მიხედვით ასეთ ვარიანტებს მივიღებთ:

"დაცინვას, – უთქვამს ბრძენ ხალხს, – კაცი არ მოუკლავს";

"დაცინვას კაცი, – უთქვამს ბრძენ ხალხს, – არ მოუკლავს".

• თუ ავტორის სიტყვები პირდაპირი ნათქვამის შემადგენელ დამოუკიდებელ წინადადებებს შორისაა, მის წინ სათანადო მოდალობის ნიშანი და ტირე დაიწერება, ხოლო შემდეგ – წერტილი და ტირე:

"ასე ნუ განიცდი, – დაამშვიდა მაიკომ მეგობარი. – მე გავცემ პასუხს, ვინც შენ გული გატკინა".

"რატომ დამიმალეს სიმართლე? – არ ცხრებოდა ნიკა. – დღეიდან აღარავის ვენდობი!"

• თუ ავტორის სიტყვები მიგვითითებს, რომ სხვათა სიტყვა გრძელდება, მის წინ იწერება სათანადო მოდალობის ნიშანი და ტირე, ხოლო შემდეგ – ორწერტილი და ტირე:

"თავიდან არც გვეგონა, ასეთ შედეგს თუ მივიღებდით, – მიუბრუნდა კოლეგებს ახალგაზრდა მკვლევარი: – ახლა მეტი საფუძველი გვაქვს, სხვებსაც შევთავაზოთ ჩვენი ექსპერიმენტი".

"სააქტო დარბაზში შევიკრიბოთ! – მიმართა დამრიგებელმა მოსწავლეებს: – ოლიმპიადაში გამარჯვებულთა დაჯილდოება იწყება".

დიალოგი. დიალოგი წარმოადგენს ორ ან მეტ პირს შორის საუბარს. დიალოგის ფორმით გადმოცემულ პირდაპირ ნათქვამს ბრჭყალები არ უნდა; ყოველი სტრიქონი იწყება ახალი აბზაცით და მის წინ ტირე იწერება, მაგ.:

– უკვე მიდიხარ?

– ჰო, ლექციაზე მაგვიანდება.

– რომელზე გეწყება?

– 10 საათზე.

პირდაპირი ნათქვამის დიალოგის ფორმით წარმოდგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი წესები:

• თუ პირდაპირ ნათქვამს მოსდევს ავტორის სიტყვები, მის შემდეგ იწერება სათანადო მოდალობის ნიშანი (მხოლოდ თხრობითი წინადადების შემთხვევაში – მძიმე), შემდეგ – ტირე და ავტორის სიტყვები:

– დღეიდან მე ვიზრუნებ თქვენზე, – დააიმედა ექიმმა პაციენტი.

– სახლში მინდა! – სლუკუნებდა პატარა.

– რა ამბავი მოგვიტანე? – შორიდანვე გასძახეს მაცნეს.

– არც ახლა დაიჯერებთ ჩემს უდანაშაულობას?! – არ ცხრებოდა ასისტენტი.

• თუ პირდაპირი ნათქვამი შეწყვეტილი ან დაუსრულებელია, მრავალწერტილითა და ტირეთი გამოიყოფა ავტორის სიტყვებისაგან:

– მინდოდა მეც დამენახ... – სიტყვა გაუწყდა გოგონას.

– კარგია ეს ყველაფერი, მაგრამ... – მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა თიკომ.

არაიშვიათია მრავალწერტილის კომბინაცია სხვადასხვა მოდალობის ნიშანთან (!.. ?.. ?!..), როცა პირდაპირი ნათქვამის ბოლოს დიდი პაუზაა:

– მერე, შენ რა პასუხი გაეცი?.. – ჩაეკითხა დათა ძმას.

– წინ!.. გამარჯვებისაკენ!.. – მოუწოდა დავითმა შეკრებილთ.

– რით ვერ დაიოკეთ თქვენი გულები?!.. – შფოთავდა მოხუცი.

შდრ., თხრობითი წინადადება:

– ეჰ, რა არ გამომიცდია... – სევდანარევი ხმით წარმოთქვა დედამ.

- ავტორის სიტყვების შემდეგ, თუ ის პირდაპირ ნათქვამშია ჩართული, შეიძლება დაიწეროს: ა) მძიმე და ტირე; ბ) წერტილი და ტირე; გ) ორწერტილი და ტირე.

მძიმე და ტირე დაიწერება იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი ნათქვამი ერთი წინადადებაა:

– ჩემო კარგო, – ხმას დაუწია ირინემ, – შეეცადე, სწორად გამოთვალო რიცხვი.

– ახლა წავალ, – თქვა თავის გასამართლებლად, – თორემ იქ აღარავინ დამხვდება.

წერტილი და ტირე დაიწერება, თუ პირდაპირ ნათქვამი ორი დამოუკიდებელი წინადადებით არის წარმოდგენილი:

– მოგესალმებით, ძვირფასო რადიომსმენელებო! – დაიწყო ახალგაზრდა წამყვანმა. – დღეს ჩვენი სტუმარია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი დავით ნიკურაძე.

– უკვე გვიანია, დავისვენოთ, – დასძინა ლელამ. – პროგრამის შედგენა ხვალისთვის გადაიდება.

ორწერტილი და ტირე იწერება, როდესაც ავტორის სიტყვები მიანიშნებს პირდაპირი ნათქვამის (აზრის) გაგრძელებას:

– მობრძანდით, თქვენი ჭირიმე!.. – ღიმილად დაიღვარა მასპინძელი და შემდეგ ბიჭებს გასძახა: – აბა, რომელი მოგვირბენინებს წყაროს წყალს?

– ჩვენ უკვე გავარკვიეთ, რაც მოხდა, – შენიშნა პრესის წარმომადგენელმა, თავისი ჩანაწერები გადაფურცლა და აუდიტორიას მიმართა: – შევეცდები, დაწვრილებით მოგაწოდოთ ინფორმაცია აღნიშნულ ფაქტზე.

ირიბი ნათქვამი არ საჭიროებს სხვათა სიტყვების ნაწილაკებს, ბრჭყალებსა თუ დიალოგს; ის რთული ქვეწყობილი წინადადებაა, რომლის მთავარ ნაწილსაც ავტორის სიტყვები წარმოადგენს (აქ შესაძლებელია შეიცვალოს წინადადების წევრთა თანმიმდევრობა). მთავარ წინადადებას დროში შეეთანხმება დამოკიდებულ ნაწილად ქცეული პირდაპირი ნათქვამი; თხრობა გადადის მესამე პირში; შდრ.:

პირდაპირი ნათქვამი:

– წერილიდან ყველაფერს შეიტყობ მათი ჯგუფის საქმიანობაზე, – უთხრა გიორგიმ მეგობარს.

ირიბი ნათქვამი:

გიორგიმ უთხრა მეგობარს, რომ წერილიდან ყველაფერს შეიტყობდა მათი ჯგუფის საქმიანობაზე.

პირდაპირი ნათქვამი:

– დათო მხოლოდ ხელს მიშლის მუშაობაში!.. – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა თეკლამ.

ირიბი ნათქვამი:

თეკლამ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა, რომ დათო მხოლოდ ხელს უშლიდა მუშაობაში.

გასათვალისწინებელია, რომ ირიბი ნათქვამი თხრობით წინადადებაა: სხვადასხვა მოდალობის პირდაპირი ნათქვამი ირიბად გადაქცევის დროს ხდება თხრობითი წინადადება; შდრ.:

პირდაპირი ნათქვამი:

ერთმა ნაცნობმა მკითხა: "სად შეიძლება ქართული ენის ინტენსიური კურსის მოსმენა?"

"მოსახდენი უნდა მოხდეს!" – გაიფიქრა ბიჭმა.

ირიბი ნათქვამი:

ერთმა ნაცნობმა მკითხა, თუ სად შეიძლება ქართული ენის ინტენსიური კურსის მოსმენა.

ბიჭმა გაიფიქრა, რომ მოსახდენი უნდა მომხდარიყო.

სავარჯიშოები

17.1. მითითებულ ადგილებში ჩასვით სხვათა სიტყვის ნაწილაკები.

1) მან მითხრა, შენი მეგობარი იგივე ჩემი მეგობარია√.
2) შევუთვალე, მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ ასეთი იოლი ამოცანის ამოხსნა√.
3) დათო, გიორგის ჰკითხე, სავარჯიშოდ როდის წავიდეთ√.
4) ნინომ დაგიბარა, საღამომდე სახლში არ ვიქნები√.
5) მშობლებს ავუხსენით, რომ ექსკურსიაზე მარტო კლასელები მივდივართ√.
6) რამდენჯერ გირჩიეს, შენს სიზარმაცეს რამე მოუხერხე, გამოსწორდი√.
7) ჩემი მუსიკის მასწავლებელი გავაფრთხილე, ხვალ გაკვეთილზე მოსვლას ვერ შევძლებ√.
8) მაგას როგორმე გააგებინე, უშენოდ არაფრის ხალისი არ გვაქვს√.
9) ბავშვებმა გკითხეს, სკოლის გამოცდების შემდეგ სად შევიკრიბოთ√.
10) გიგას დავუბარე, რომ დავითთან შეკამათებას აზრი არა აქვს√.

17.2. გამართეთ ტექსტის პუნქტუაცია; შეცვალეთ ნორმატიული ფორმებით.

1) მე თავიდანვე ვიცოდი, ასე მოქცევა არ შეიძლება-თქვა, მაგრამ ვინ დაგიჯერა
2) ვეუბნებით, გააკეთე, რასაც გირჩევთ "მეთქი", მას კი რაიმეს გაგონებაც არ უნდა.
3) სკოლიდან შემოგითვალეს, დოკუმენტაციას დახასიათება აკლია-თქო.
4) "ისეთი ხმაური იყო, მეგონა კედელი ჩამოინგრა"-მეთქვი
5) ვიფიქრეთ, ჯერ ნინოს გავუაროთ და მერე კაფეში ერთად წავიდეთ-ო.
6) გადაწყვიტა, დღეს სახლიდან არ გავალ-მეთქიო.
7) ნინუცას ჩემგან გადაეცი ძველი მეგობრების დაკარგვას არ გირჩევო.
8) შევახსენე, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდება თქო.
9) ბავშვმა მთხოვა, მათემატიკის რვეული მიყიდე-თქო
10) უკვე ორჯერ გითხარი, თავისუფალ დროს ასე ნუ ფლანგავ თქვა.

17.3. გამართეთ პუნქტუაცია.

სიგარეტი გინდა? მოუტრიალდა გიგი [ქეთის].
არა, არ ვეწევი
ჰო, თუმცა, იქაც არ მოგიწევია, ზღვაზე. რატომ არ ეწევი? დაინტერესდა უცებ
რა ვიცი, არ მჭონია მოთხოვნილება.
ახლა ქალები მოთხოვნილების გამო არ ეწევიან სიგარეტს, უფრო მოდის გამო.
მე არ ვეკუთვნი იმ ქალების კატეგორიას, ხაზი გაუსვა ნათქვამს.
შენ უფრო ორიგინალური ხარ, არა? – მამაკაცი თითქოს დასცინოდა
მე ეგ არ მითქვამს. უბრალოდ, არა მაქვს სურვილი, მორჩა და გათავდა, გაღიზიანდა.
საწყენად არ მითქვამს. რატომ გაბრაზდი? გაიღიმა გიგიმ
არ გავბრაზებულვარ. უბრალოდ, არ მომწონს, როცა რამეს მაბრალებენ.

17.4. აღადგინეთ სასვენი ნიშნები.

მელა შეხვდა მელას.
გამარჯობა, დაია
გაგიმარჯოს დაიკო
როგორ გიკითხო
როგორც მკითხულობ. შენ როგორა ხარ
როგორც შენ მკითხულობ
მშიერი ხარ თუ მაძღარი
მშიერიცა ვარ და მაძღარიც შენ?
მეც მაძღარიც და მშიერიც.
როგორაა საქმე?
კარგადაც და ცუდადაც შენი?..
ასევე, ცუდადაც და კარგადაც
შენიანები როგორ არიან
რა გითხრა, ხან ასე ხან ისე. შენიანები?..
ისინიც ხან ისე ხან ასე
საით გაგიწევია

საითაც თვალები იხედებიან შენ, საით?
საითაც ფეხები წამიყვანს
...
ვერც ერთმა ერთმანეთისა, ვერც ქვეყნისა, ვერაფერი გაიგო.
წავიდნენ. გულდაწყვეტილნი დაშორდნენ ერთმანეთს არადა, ორივე ჭორიკანა იყო, მაგრამ ძნელია როცა ორივე მატყუარაა: იციან, ვერც ერთი მოატყუებს და ვერც მეორე. სიმართლე კი რომც თქვან არც ერთს არ დაეჯერება, რაკი სიმართლის მთქმელი რომ იყვნენ, მატყუარებიც არ იქნებიან

17.5. ხუთ წინადადებაში პუნქტუაციური შეცდომებია; იპოვეთ და გაასწორეთ.

1) ელენემ შესჩივლა გიორგის: ძალიან დავიღალე, იქნებ ქალაქგარეთ გაგვესეირნა!
2) "ცოდვაა ახლა გოგონას მარტო დატოვება", – გადაულაპარაკეს ქალებმა ერთმანეთს.
3) "შვილმა დანაბარები გადასცა მშობლებს": ხვალ სკოლაში გელოდებათ ნინო მასწავლებელი.
4) – უჰ, როგორ ცივა!.. – გააკანკალა სტუმარს. – იქნებ ცეცხლი დაგვენთო?
5) მოხუც მეტყევეს ეჭვი შეეპარა ხმაში: "შენ აქ უმიზეზოდ არ მოხვიდოდი!"
6) – ნუ იდარდებ, მე დაგეხმარები, – დაამშვიდა თორნიკემ ბიჭი და დედას მიუბრუნდა, ცოტა ხანს მარტო დაგვტოვე, რა!
7) მოდი, ცურვაზე იარე, მთავაზობს ნანა, – დაღლილობას მოგიხსნის.
8) – როდის გამეფდა თამარი?.. – მზერა მოავლო კლასს მასწავლებელმა. – ლაშა მიპასუხებს!
9) გიგის გაეღიმა: "როგორ დააღწიე თავი შენს კეთილისმყოფელებს, ანი?"
10) წასვლის წინ ბებო დაჰპირდა შვილიშვილს – "სოფლიდან რომ ჩამოვალ, ახალამოვლებულ ჩურჩხელებს ჩამოგიტან!"

17.6. გადააკეთეთ პირდაპირ ან ირიბ ნათქვამად; დაიცავით პუნქტუაცია.

1) "ცვლილებები მკაფიოდ უნდა აისახოს სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურაში", – შენიშნა მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრის წარმომადგენელმა.
2) ხუმარამ აღიარა, რომ ორბელიძეს ხმალიც უჭრიდა და სიტყვაც.
3) უფროსკლასელებმა გადაწყვიტეს, სკოლის ბაღში შეკრებილიყვნენ საქველმოქმედო აქციის დასაგეგმად.
4) "გამოსაშვები საღამო, – განაცხადეს დირექციაში, – ექსცესების გარეშე ჩაივლის".
5) – გამგებელმა საზოგადოებას ახალი ინფორმაცია მიაწოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, – ვკითხულობთ საგაზეთო ინტერვიუში.
6) – ადვოკატისა და ოჯახის წევრების გარდა, არავის აქვს ეჭვმიტანილთან შესვლის უფლება, – განაცხადეს პოლიციის განყოფილებაში.
7) ადგილზე მისულ პრესის წარმომადგენლებს მიაწოდეს ცნობა: "კოლექტივმა უნდობლობა გამოუცხადა დირექტორს სამუშაო რეჟიმში არსებული ხარვეზების გამო".
8) შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დაბეჯითებით თქვა, რომ ინფორმაცია არ გასაჯაროვდებოდა, გამომძიების ინტერესებიდან გამომდინარე.
9) "დადგა დრო, – მიმართა კოლეგებს მომხსენებელმა,– კორექტირება შევიტანოთ მეთოდურ მითითებებში".
10) რეჟისორმა თავის ინტერვიუში აღნიშნა, რომ ახალ ფილმზე მუშაობას მალე დაასრულებდა.

ტესტი N 17

პირდაპირი და ირიბი ნათქვამის გადმოცემა

1. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

პირდაპირი ნათქვამის გადმოსაცემად გამოიყენება:

ა) სხვათა სიტყვის ნაწილაკები;

ბ) ფრჩხილები;

გ) დიალოგი;

დ) ბრჭყალები;

2. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

პირდაპირი ნათქვამის მაგალითია:

ა) კაკომ შესძახა მხედარს: „რისთვის მოსულხარ – მოყვრად თუ მტრადა?“

ბ) კაკომ შესძახა მხედარს, თუ რისთვის მოსულიყო – მოყვრად თუ მტრადა.

3. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

ა) ვუთხარი, რა კარგი ხარ-მეთქი.

ბ) ვუთხარი, რა კარგი ხარ მეთქი.

4. შემოხაზეთ ორი ნორმატიული ვარიანტი.

ა) ვეუბნები, არ მინდა-მეთქი, მაინც მატანს საგზალს;

ბ) ვეუბნები, არ მინდა-თქო, მაინც მატანს საგზალს;

გ) ვეუბნები, არ მინდაო, მაინც მატანს საგზალს;

დ) ვეუბნებით, არ გვინდა-მეთქი, მაინც გვატანს საგზალს;

ე) ვეუბნებით, არ გვინდა-თქო, მაინც გვატანს საგზალს;

ვ) ვეუბნებით, არ გვინდაო, მაინც გვატანს საგზალს;

5. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

ა) შესთავაზეთ ნინოს, კონცერტზე ერთად წავიდეთო;

ბ) შესთავაზეთ ნინოს, კონცერტზე ერთად წავიდეთ-თქო.

6. რომელია სწორი ვარიანტი?

პირდაპირ ნათქვამში ჩართული ავტორის სიტყვების სწორი ნიმუშია:

ა) „შენი ჭირიმე, – უთხრა, – ბატონო, / სახლს ვერ ავუველ მე მარტოხელი...“

ბ) „შენი ჭირიმე – უთხრა – ბატონო, / სახლს ვერ ავუველ მე მარტოხელი...“

7. რომელია მცდარი?

პირდაპირ ნათქვამში ჩართული ავტორის სიტყვების სწორი ნიმუშია:

ა) „აქ საქმე არაფერი გვაქვს, – დასძინა ქეთომ და ნიკას გასძახა: – წავიდეთ, არ გავაგვიანოთ მატარებელზე!“

ბ) „აქ საქმე არაფერი გვაქვს, – დასძინა ქეთომ და ნიკას გასძახა, – წავიდეთ, არ გავაგვიანოთ მატარებელზე!“

8. რომელია სწორი?

პირდაპირ ნათქვამში ჩართული ავტორის სიტყვების სწორი ნიმუშია:

ა) „უკვე აღარ წვიმს, – ფეხზე წამოდგა ზურაბი. – ნახევარ საათში სპექტაკლი იწყება“.

ბ) უკვე აღარ წვიმს, – ფეხზე წამოდგა ზურაბი – ნახევარ საათში სპექტაკლი იწყება“.

9. რომელია პუნქტუაციურად გამართული ვარიანტი?

ა)

– დილა მშვიდობისა!..

– გამარჯობა!

ბ)

– „დილა მშვიდობისა!“

– „გამარჯობა!“

10. შემოხაზეთ სწორი პასუხი

სხვათა სიტყვის ნაწილაკების, ბრჭყალებისა და ტირეს ჩართვა ირიბ ნათქვამში:

ა) სწორია;

ბ) შეცდომაა.

ქართული ენის ლექსიკოლოგია

18. სიტყვების ისტორია; ტერმინოლოგია

18.1. საერთოქართველური სიტყვები

ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვებს წარმოადგენს. საერთოქართველური ენის[49] ლექსიკური ფონდი შემონახულია როგორც სამწიგნობრო ენაში, ასევე ქართველურ დიალექტებში; მათ შორის, მეტნაკლებად შეცვლილი სახით – მეგრულ-ლაზურსა (ზანურსა) და სვანურში; შდრ.:

სალიტ. ქართული		ზანური[50]		სვანური
ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა				
ძმა	–	ჯიმა	–	ჯიმილ
და	–	და	–	უდილ
ცოლი	–	ჩილი	–	შილი
სიძე	–	სინჯა	–	ჩიჟე
ქვისლი	–	ქვიშილი	–	მექვშელ
სხეულის ნაწილთა სახელები				
თვალი	–	თოლი	–	თე
პირი	–	პიჯი	–	პილ
მხარი	–	მხუჯი	–	მეჭარ
გული	–	გური	–	გუი / გუილდ
ენა	–	ნენა / ნინა	–	ნინ
ცხოველთა სახელები				
ძაღლი	–	ჯოღორი	–	ქეღუ
ხარი	–	ხოჯი	–	ჭან
ფური	–	ფუჯი	–	ფირუ
კუდი	–	კუდელი	–	ჰაკვად
დედალი	–	დადული	–	დადუ
მცენარის სახელები				
წიფელი	–	წიფური	–	წიფრა
წაბლი	–	ჭუბური	–	ჰებრა
ლელვი	–	ლუღი	–	ლელვ
ატამი	–	ა[ნ]ტამა	–	ატამ
ვენახი	–	ბინეხი	–	ვენად
ბუნების მოვლენები				
დღე	–	დღა	–	ლადეღ
თვე	–	თუთა	–	დოშდულ
ცა	–	ცა	–	დეც
მზე	–	მჟორა /ბჟა	–	მიჟ
ნათელი	–	თე /სინთე	–	თენ
რიცხვითი სახელები				
ორი	–	ჟურ / ჟირ	–	ჲორი
სამი	–	სუმი	–	სემ
შვიდი	–	შქვითი	–	იშქუიდ
ცხრა	–	ჩხო[ვ]რო	–	ჩხარა
ასი	–	ოში	–	აშირ
ნაცვალსახელები				
მე	–	მა[ნ])	–	მი
შენ	–	სი[ნ]	–	სი

[49] საერთოქართველური ენა – დაახლ. 30-35 საუკუნის წინ არსებული ენა, რომლის ფონემატური სტრუქტურის მიხედვით შეიქმნა ქართული ასომთავრული ანბანი და რომელსაც დაეფუძნა ძველი სამწიგნობრო ენა. საერთოქართველური ენისაგან მომდინარეობს სპეციალისტებისათვის ცნობილი ყველა ქართველური ქვესისტემა.

[50] არნ. ჩიქობავამ ტერმინი "ზანური" დაამკვიდრა მეგრულ-ლაზური კილოების საერთო სახელად.

მან	–	მუქ	–	ამას / ამავ
ვინ	–	მინ	–	ცერ-ვ
სხვა	–	ჩქვა /შხვა	–	ეშხუ
ზედსართავები				
წითელი	–	ჰითა	–	ჰიშდუ
თბილი	–	ტიბუ	–	ტებიდ
ძველი	–	ჯვეში	–	ჯუნელ
თხელი	–	თ[ხ]ითხუ	–	დგთხელ
ზედა	–	ჟი[ნ])დო	–	ჟი
ზმნური ლექსიკური ერთეულები				
არის	–	ორე]ნ]	–	ჯრი
აბია	–	გიობუ[ნ]	–	ხჟაბემ 'ვაბამ'
ესმის	–	სიმ-	–	სემ-
წაიღებს	–	იღუ	–	ლიღვენე
ხნავს	–	ხონ-	–	ჭან-
ნაკეთობები				
თოკი	–	თოჭი	–	თჯკუ
კედელი	–	კიდა	–	ჰვედ
შემა	–	დიშქა	–	ზექ
ნახშირი	–	ნოშქვერი	–	შიხ
ტუტა	–	[მ]ტუტა	–	დგტ და სხვ.

სავარჯიშოები

18.1.1. მ. ჩუხუას ქართველურ ენა-კილოთა შედარებით ლექსიკონში (თბ., 2000-2003) მოიძიეთ საერთოქართველური არქეტიპთა ინდექსი (გვ. 429-444), „ა“, „ბ“ და „გ“ ასოებზე შეარჩიეთ 5-5 ძირი და ამოკრიბეთ ინფორმაცია.

18.1.2. ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში (თბ., 2000) მოიძიეთ ძველ ქართულსა და ზანურ-სვანურში დადასტურებული შესატყვისები შემდეგი საერთოქართველური ძირებისათვის:

ა) *დაბ-, *ზისხლ-, *თქორ-, *იფქლ-, *კუწ-, *მატყლ-, *მთარ-, *ნენ-, *ოფლ-, *პენტ-;
ბ) *რეცხ-, *სარ-, *ტრად-, *უფ-, ფოსუ-, *ღმართ-, *შუელ-, *ცუდ-, *შარღუ-, *წყალ-.

18.2. საყოველთაოდ გავრცელებული და დიალექტური ლექსიკა

საყოველთაოდ გავრცელებული ეწოდება იმ ლექსიკას, რომელსაც ფლობს და იყენებს საზოგადოების ყველა წევრი, განურჩევლად თავისი სოციალური მდგომარეობისა თუ პროფესიული საქმიანობისა. ასეთია, მაგ.: **დედა, ძმა, სახლი, ნათესავი, წიგნი, რვეული, დღე, მზე, მიწა, წყალი** და სხვ. დიალექტურია ლექსიკა (სიტყვაფორმა), რომელიც მხოლოდ ამა თუ იმ დიალექტში (ადგილობრივ ან რომელიმე სოციალური ფენის მეტყველებაში) გამოიყენება. დიალექტი [< ბერძნ. dialeqtos] არის მოცემული ერის ისტორიული დედაენის ზეპირი სახესხვაობა. დიალექტი ორგვარია: ადგილობრივი (ტერიტორიული) და სოციალური (კონკრეტული სოციალური ფენის განსხვავებული მეტყველება); შესაბამისად, ცნობილია დიალექტური ლექსიკის ორი ძირითადი სახე: ტერიტორიული და სოციალური.

18.2.1. ტერიტორიული დიალექტების ლექსიკა

ტერიტორიული დიალექტური ლექსიკა, პირობითად, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

• მოცემული ენის საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვების ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტები; შდრ.: **ბავშვი – ბოვში, ცხვარი – ცხორი,ზურგი – ზრუგი, ტვირთი – ჭვირთი, წათხი – წყათე, შეკაზმული – შეკმაზული, მკვახე – კუხე, სველი – სოველი**...

• მხოლოდ მოცემული დიალექტის (დიალექტთა ჯგუფის) ლექსიკა, რომლის ნაწილი შეიძლება იყოს მოცემული კუთხის სპეციფიკური ყოფის ამსახველი, ნაწილი – საერთოქართველური ენიდან მომდინარე (და მხოლოდ ამ დიალექტურ ველში შემონახული), ნაწილი კი – მეზობელი უცხო ენიდან ნასესხები; შდრ.:

კუთხური ყოფის ამსახველი ლექსიკა:

ორმოსავალა – აბრეშუმის ჭიის ჯიში (გურ.);
დაორყურება – ახლად ამოსული სიმინდი რომ ორ ფოთოლს გამოიღებს (იმერ.);
მორადი – სიმინდის მეორედ გათოხნა (იმერ.);
ბანდული – საბანდით გამოქსოვილი ჩუსტი (ხევს.);
მოთრეული – კომბოსტოს შეჭამადი (აჭარ. / იმერხ.);
დამდნარი – ყველის შეჭამადი (იმერხევ.) და სხვ.

საერთოქართველურიდან მომდინარე დიალექტური ლექსიკა:

ჭური, მოხრაკული, ნაღები, ხავიწი, ხაპი, ფუჩა/ ფუჩინო, ჯანჯუხი...

დიალექტში ნასესხები ლექსიკა:

მუს (სვან. „თოვლი"), ნოსა (მეგრ. რძალი), ყირმიზი (აჭარ. წითელი)....

სასურველია, სალიტერატურო ენა გამდიდრდეს დიალექტური ლექსიკით (და არა ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტებით, რომელთა გამოყენება დასაშვებია მხოლოდ პერსონაჟის მეტყველებაში). სამწიგნობრო ენაში მწერლის (მეცნიერის...) მიერ ახალდამკვიდრებულ დიალექტურ ლექსიკურ ერთეულს **დიალექტიზმი** ეწოდება; შდრ.:

მოუსვენარი – მაცაცერა (ქართლ.);
ეკლიანი ხუჩქი – კვრინჩხი (კახ.);
ლეკვი – ტუგნა□(ინგილ.);
ფოცხი – ფორჩხი (იმერ.);
ფუღურო – ფოჟორო (ლეჩხ.);
მოგროვება – მოხუხვა (რაჭ.);
დაენარცხა – ძნეყვა (გურ);
ნაფეხური – ნაჭლეკი (მოხ.);
ხმაური – ქოთობა (ფშავ);
მაშინვე – მაშიავ (ხევს.);
ცხვირის დაცემინება – დაფრუსტუნება (ჯავახ.);
ვიგინდარა – იკომიკო (მესხ.);
ტვირთი – ჭვირთი (აჭარ.);
გოგო – ბაბალა / ბიჭი – ღარჩი (იმერხ.);
საცალფეხო ხიდი – წანწალაკი (მაჭახ.)...

სამწიგნობრო ენისათვის დიალექტების მნიშვნელობაზე ვრცლად უკვე გვქონდა საუბარი და აქ აღარ შევჩერდებით (იხ. ზემოთ: 0.8. ქართველთა სამწიგნობრო ენა და დიალექტები).

18.2.1.1. გაეცანით ტექსტებს;[51] კუთხური მეტყველებისთვის დამახასიათებელ ფორმებს ხაზი გაუსვით და მიუსადაგეთ სალიტერატურო ვარიანტები.

იმერული:

[ჭყეპი] ამისანა სოფელი არც კი მინახავს მე, ისე კაი სოფელი იყო და უწრინ გევიჭრიდით ასე ხელს, ჩენენ ჯგუფი უქონდა სკოლაში, ასე გევიჭრიდით ხელს, ცოტა სისხს გამოუშობდით და ერთმაენთის სისხს ოერევდით და უკუე და-ძმა ვიყავით ერთმაენთის. ერთ ლოგინში რო დავწოილიყავით, კაცი არ გაქცემდა ხმას, ისე პატიოსნობა იყო. ახლა არაა ასე, დობილ-ძმობილობა ახლა არაა. მე ძმობილი მყავდა ქუთაიში, ჩემი გულისთუის თავს შეწირავდა. ცოლი რო ითხოვა, პირუელ დათ, დები ყავდა იმას, მარა... მე დამისუა თავის გვერთში. ხო, ასე ქუქონდა ერთმაენთთან ყუელაფერი. ახლა სადაა, ახლა არაა მასე, ახლა ვერ ენდობი, ნდობა თუ არ გაქ კაცს. მე მდიდარ კაცს და უნდოფს ღარიბი და სანდო მირჩევნია... ი მდიდარი სულ არ მიყუარს. ის გატატაჩებულია სიმდიდრით, გაკუირუებულია. ე ღარიბს არაფერი არ უკუირს. თუ კაცი ჯამთელათაა, ყუელაფერი ექნება, თუ ზარმაცი არაა, არ მოკუტება შიერი...

უმტერო ადამიანი ვერაფერს ვერ გააკეთეფს. კაცს უნდა ყავდეს მტერი, ხო! ახლა მე არ მყავს მტერი, რაია, ვინღა დემემტერება, არაფრის გაკეთება არ შემიძლია, და სანამ შემეძლო, რავა მინდოდა, რო სხუას დევეჩაგრე. სხუისი არაზდროს არ უნდა შეგეხარბოს არაფერი, ინტერესი უნდა ჭონდეს ცხოვრების და მაშუინ ივარგეფ ადამიანი, აბა! ჩუენ ადამიანები მხეცებითგან მეტით კი არაფრით გევირჩევით.

<<< მთქმელი: ნინა შანიძე-მერკვილაძე, 85 წლის. ტყიბული, სოფ. ზედა ჭყეპი. ჩაწერის თარიღი: 03.10.2003. ჩამწერები: დ. ბაკურაძე, დ.შავიანიძე, რ.ხაჭაპურიძე >>>

იმერხეული:

ბაზგირეთი ფენა დიდი სოფელია... აქა ფენა დიდი ზამთარი მოდის. იმგვარ ზამთარი იყო ჭი, სამი მეტრე თოვლი მევდა. ჰა, იმ ყავარზე ასვლამდი თოვლი იყო წრეულ. იქიდან წამევდა შვავები, შვავები იცი და... ერთი დიდი ჭორი ქქონდა, ი ქორი წიიღო.

...წრეულ ფენა თივობა იყო, საქონელი დარჩნენ შიერი და ავდექი და სხვა სოფელში წაველით, სხვა სოფლიდან ფარით ვიღევით, ბევრი დიდი ფარა მივეცით... საქონელი მე მყავს ორმოცი თანე, ორმოცი არა, ოცდაათი თანე, დარჩნენ შიერი. წაველით, აქეთ უბე არი, უბეში გაველით, იქედან ემე გამევტანეთ, თივა, არაბებით, ამ არაბით, ჰედდა იმათ ვაჭამეთ და ისე საქონელი დავკვებეთ აქა. ფენა ჩეთინია აქეურობა... საქონელი ფენა ფარას არ იჯება... ერთი გერმელობა ამ დრო არი, ახლა. ზამთარი მოვიდა, არადა რა ვქნათ, წასასვლელი ემე არა გუაქ არსად, სად წევდეთ აქა... ბითთევი სოფელშივენ ვართ აქა, ბითთევი. ამაღთანა მაღაღი სოფელიც არსად არ არი...

თაში არაფერ არა, ზამთარშიც ჩუებით უშეშო, წავდივართ და მარჯილში ჯარებ შივაბამთ აქა. გავნიჩბავთ უწინ გზას, იმ დიდ თოვლ, გავდივართ ემეში, ტყეში... აქ იმგვარი არიან ჭი, ერთი ხე რომ მოჰრა, გახვიდე, მუა დევლეთი, იმა დიგიჭირავს... იმდენ დიდ ფარას აგართმენ ჭი... დილაზე-ნა გახვიდე უჭუმალაღ, მოჰრი ხეს, მეიტან იმა, დამალავ სახში, საცხა-ნა წამალო ჭორში, ღა ახორში ჭი. არადა, დევლეთმა თუ დიგიჭირა... აქ თურქის საქმე ისე, ო, იღლაჭი რაცხა-ნა გაკკრას. არადა, ფარით იიღეო, გებნევა ჭი, დევლეთმა რაგვარ-ნა მოგყიდოს, ჩემ ტყეში მე ფარით რაზე-ნა ვიღო, ტყე ჩემია ხომ, დევლეთ არ დეურგავს და არ გეუზდია, არ მეუტანია ბითევი... ჩვენ აქ არაბით გზები არა გვაქ, ჯარ შივაბამთ, რა ვიცი, ჯერ შებმული არა დიგინახავან, ამითაც თივას ვწიკავთ, ამა მარჯილი ქვია, ოღრული.

<<< მთქმელი: სულეიმან ჩალიშქანი, 55 წლის, იმერხევი, სოფ. ბაზგირეთი. ჩაწერილია 2007 წლის აგვისტოში. ჩამწერი: ეკა დადიანი >>>

ტაოური:

ერთი ბებერი ყოფილა... წასულა ტყეში, ტყეში წასულა და უგურგუთია, მუგურგუთია, შეშები მეკრეფია და მეკიდია. ი წომოსულა. დამჯდარა იქო და მოსულა დათვი, დეწეყვია ტოტოლები. ეედა, უთქვია ქი: ბებერო, აღარ-ნა წახეიდეო, ჩემს უკან-ნა იყეეო. იმას უთქვია ქი: არ იქნებაო, მეც

[51] მასალა ამოღებულია კრებულიდან: ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VII, ქუთ., 2003.

მყავან ბაღანებიო, ...იმას უთქვია, იქნებაო... მე ა გიგიშვებო. ეჯდა, ა გიმიშვებ, ვიქნებიო და შენს უკანო და. მოსულა და ღელეში... დამჯდარა დათვის უკან და დათსა უთქვია ქი: ტოტოლებზეო წინდები დიმიქსოეო. აქობაჯო გამპარსეო და წინდები დიმიქსოეო. ბებერსაც გუპარსია, ეჯდა, დურთია ტარ-კურთაითა, დურთია და კედი უქნია გურგუალი დიდი და კედი წვერი დუჭირია და ნართი იცი და, დართული...

18.2.1.2. გამართეთ სალიტერატურო ქართულით.

1) ერთი კვირეა, წიგნები გამოგიგზანე, აქნობამდინ მიიღებდი კიდეც.
2) ყველა, ვისაც რამე დაუჩხაბავს, მისი მადრიელი იქნება.
3) ამდეხანს დათიკო მიჰვირებდა საქმეს, დოლარს არ მაცვლევიებდა.
4) ჩვენ რა გვიშავს, გვარიანათ ვართ, მარა ჩემი სიტყვა არ მოქმედობს აქოურ ბოვშებზე.
5) ბევრჯელ მინდოდა შენზა წერილის მოწერა.
6) აქედან კარგა ხანს თავს ვერ დავახწევ, მარა რო ჩამუალ, გინახულეფ.
7) არ ყოფილა ისეთი დარგი, რომელშიც ხელისუფლებას მივეწვივნე და უგულოთ შემესრულებიოს.
8) აქ ყორიფელი მომწონს.
9) შენ თუ მაგას ვეფერს ეუნები, მაშვინ მე გავცემ პასუხს.
10) მე ადრე წაველი და არ ვიცი, იქ რა მოხთა.

18.2.2. სოციალური დიალექტების ლექსიკა

სოციალურ დიალექტებში მოიაზრება იმ საზოგადოებრივ ჯგუფთა მეტყველება, რომელთაც აერთიანებს: პროფესია, განათლება, საქმიანობა, ასაკი, სოციალური მდგომარეობა და სხვ. სოციალური დიალექტების თავისებურებას წარმოადგენს მოცემული ფენისათვის (საზოგადოებრივი ჯგუფისათვის) დამახასიათებელი ლექსიკა. სოციალური დიალექტის (სლენგის) სახესხვაობაა, ასევე, არგო და ჟარგონი. შდრ.:

• ქართველი ახალგაზრდობის სლენგი (< ინგლ. **slang** – იგივეა, რაც ჟარგონი); მაგ., შდრ.:
აითესა – გაიპარა; **დაგაზა** – გაიქცა; **დააბოლა**: 1. მოატყუა, 2. პლანი მოაწევინა; **კიშკები** [< რუს. **кишки**] – საჭმელი; **წავლეთსგოვდეთ** [< ინგლ. **let's go**] – წავიდეთ...

• პროფესიული სლენგი – პროფესიულად განკერძოებულ პირთა სპეციფიკური სიტყვები. ასეთები შეიძლება იყოს, მაგ.:

– მასწავლებელთა და რეპეტიტორთა მეტყველებაში: **ლობიო** (დაბნეული მოსწავლე); **დეპეშა** (მოკლედ, არასრულყოფილად შესრულებული წერითი დავალება); **ჩონჩხი** (დასაწერი თემის გეგმა); **პინგვინი** (აბიტურიენტი); **ფანჯარა** (გაკვეთილებს ან ლექციებს შორის თავისუფალი საათი); **დავარცხნილი ფრაზა** (ენობრივ-სტილისტურად გამართული ფრაზა)...

– ადმინისტრაციის მუშაკთა ლექსიკაში: **მკვდარი სულები** (სამსახურებრივ საბუთებში აღნიშნული ფიქტიური, არარსებული თანამშრომლები); **ზეშტატი** (ანაზღაურებადი ჭარბი დატვირთვა)...

– მტვირთავთა და მშენებელთა მეტყველებაში: **მაინა!** [< იტალ. **ammaina!**] – დაუშვი! დასწიე! **ვირა!** [< იტალ. **vira!**] – ასწიე! (ამწით დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს);

– ძიძების ლექსიკაში: **ფაფუ** (აღარ არის); **ზიზია** (ახალი); **ჩიჩია** (ხორცი); **ბაბა** (პური); **წიწა** (ცხელი); **ატაში** (სასეირნოდ) და სხვ.

• ქუჩური ჟარგონი; **ჟარგონული ლექსიკის** ძირითადი ნაწილი მიღებულია სესხების ან სემანტიკური გადააზრიანების გზით. **ჟარგონი** [ფრანგ. **jargon**] არის თავისებური სიტყვები ან გამოთქმები, რომლებსაც ხმარობენ რომელიმე ჯგუფში, წრეში და სხვ. (ჭაბაშვილი 1989, გვ. 419). ჟარგონული ლექსიკა ჩაკეტილი სოციალური ჯგუფის ლექსიკაა; კერძოდ, აზარტული მოთამაშეების, ქურდებისა და სხვა კრიმინალური დაჯგუფებების სიტყვები (საიდუმლო კოდი),

რომლებიც შედგენილია რამდენიმე ბუნებრივი ენიდან ნებისმიერად აღებული და სახეცვლილი ელემენტების შეერთების საფუძველზე.

- არგო; არგო არის მორწმუნეთა ვიწრო წრის ლექსიკა – რიტუალთან დაკავშირებული ლექსიკა (< ფრანგ. argot, იგივეა, რაც ჟარგონი). ასეთია, მაგ., ხევსურეთში ცნობილი ხატის ანუ **ჯვართ ენა**, რომელშიც საგანგებოდ არის შენიღბული სიტყვები, შდრ.: **ხარი – ბუბუნა, ბუღაური, ხარმანიში**; **თხა – კიკინმაღალი, რქამაღალი**; **მოხუცი კაცი – ბერხუნდი**; **ქალი – ბიჟიონი**; **მზე – მზექალი**; **მიწა – მიწათიხანი**... ანალოგიურად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცნობილია ქურუმთა, ექიმბაშთა, მონადირეთა, მეთევზეთა... სპეციალური ლექსიკა, რომელიც გაუგებარია საზოგადოების რიგითი წევრებისათვის.

პირობითად, ჩაკეტილი სოციალური ჯგუფების ლექსიკას შეიძლება მივაკუთვნოთ ე. წ. **ქაჯური ენის** სიტყვებიც – მათ შემადგენელ მარცვლებზე განზრახ არის დამატებული რაიმე ნაწილაკი, რომ გარეშე პირთათვის გაუგებარი იყოს საუბარი, მაგ.: **იწიციწი – იცი**; **შეწეჭაწამაწა – შეჭამა**; **ახადგახა – ადგა** და სხვ.

სხვადასხვა სოციალური ფენის ლექსიკას აქტიურად იყენებენ მწერლობაში, რაც გარკვეულ საფუძველს ქმნის მათი სალიტერატურო ენაში შეღწევისათვის.

სავარჯიშოები

18.2.2.1. შეცვალეთ ჟარგონი სალიტერატურო ქართულით.

1) ზურა მაგარი აბიჟნიკი ტიპია.
2) რას ბლატაობ, რამე ხო არ გეშლება?!.
3) ჯავახა პაბეგშია, ბრატ!
4) ნუ აჯაზებ! ყველაფერი ეგრე არ არი.
5) ბაითი რო დადგა, ქურდებმა მაშინ გაიტანეს.
6) მოდი, ვაფშე, საგულაოდ წავიდეთ!
7) მაგის გრეხები ყველამ იცის.
8) ეგ ჩმორი ბაზრიდან გაიპარა.
9) გუშინ რაზბორკა იყო.
10) საკაიფოდ ვარ.

18.2.2.2. გამართეთ სალიტერატურო ქართულით.

1) ტუსოვკაზე მაგარი კიშკები დაყარეს.
2) თავდამსხმელმა პენალტი გამაზა.
3) ბუტიკში მაგარი ზმანი ავაგდე.
4) დახეული ჯინსები ცვეტშია.
5) უბანში მაგარი ნაშა გაიჩითა.
6) გუშინდელი წაგებული დღეს გავარასხოდე.
7) მოვხიოთ აქედან!..
8) მაგარი დაშოკილი ვარ, კანეცია.
9) თავი არ გაიფუჭო, გაკატავებულია, ძმაო!
10) ბაზარი არაა!

18.2.2.3. დააკვირდით ქუჩის მეტყველებას; შეადგინეთ ჟარგონთა მცირე ლექსიკონი.

18.3. ნასესხები სიტყვები

ნასესხებ სიტყვებად ითვლება სხვა ენებიდან შეთვისებული ის ლექსიკა, რომელიც დროთა განმავლობაში დამკვიდრებულია მოცემულ ენაში; მაგ., სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ქართულში სხვა ენებიდანაა შემოსული შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

ირანული: აზნაური, ავაზაკი, ასპინძა (> მასპინძელი); ქამარი, ქარქაში, ხალიჩა...

თურქული: ბათქაში, ბაიყუში, ყადაღა, იაღლიში, ჩოხა, ყაბალახი, ყაჩაღი...

არაბული: ბედაური, არაყი, ჯარიმა, დოვლათი, საათი, მასლაათი, ზარალი...

ოსური: ამინდი, ბუხარი, გრდემლი, დილეგი, ვირთხა, ლუდი, ობი, ქუდი...

აზერბაიჯანული: იალაღი, ბუღა, ხიზილალა, ქვირითი, ჩიხირთმა, ბოზბაში, ყაურმა...

ბერძნული: აიაზმა, დიაკონი, ეპისკოპოსი, ეკლესია, მონასტერი, ალოე, ბარბაროსი...

რუსული: ვერსი, კაპიკი, სამოვარი...

განასხვავებენ სესხების 2 გზას; ერთია **უშუალო**, როდესაც სიტყვა პირდაპირ მსესხებელი ენიდან შემოდის და მეორე – **შუალობითი** (სხვა ენის გამოვლით); მაგ., ქართულში ინდო-ევროპული ენიდან – ფრანგულიდან უშუალოდ დამკვიდრდა **კიოსკი** [<kiosque]; მაგრამ იგივე სიტყვა ოდნაც განსხვავებული სემანტიკითა და ფორმით („კოშკი") უფრო ადრე შემოვიდა ქართულში თურქულის გავლით.; შდრ.:

კოშკი – „წვრილი და მაღალი ციხე" (ორბელიანი, 1991, გვ. 386);

კიოსკი – ა) პატარა მსუბუქი ნაგებობა წვრილმანი ვაჭრობისთვის; ბ) ჯიხური რაიმე დანადგარებისათვის (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 231).

მსგავსი მაგალითია ბერძნული საკუთარი სახელის – **ალექსანდრეს** და მის პარალელურად თურქული ვარიანტის – (ალ)-**ისკანდერის** დამკვიდრება ქართულში; თურქულში **ალ-** პრეფიქსია, ამიტომ აღნიშნული სახელის სესხებისთანავე ენაში მოხდა ფუძისეული **ალ-** მარცვლის პრეფიქსად გააზრება და ავტომატურად ჩამოშორება ფუძის დანარჩენი ნაწილისგან (**-ექსანდრე**). ამ უკანასკნელმა თურქული წარმოთქმის მიხედვით იცვალა სახე და გახდა **ისკანდერი:**

ალექსანდრე > ალ-ექსანდრე > *ექსანდრე > ისკანდერ-ი

საგანგებოდ აღვნიშნავთ:

სხვა ენათაგან განსხვავებით, ქართულში ძალზე იშვიათია ზმნური ფორმის სესხება; რამდენადაც ქართული ენის ზმნა წარმოიქმნება ძირზე რამდენიმე აფიქსის დართვით, უკლებლივ ყველა ზმნური ფორმა საკუთრივ ქართული სიტყვაა (მიუხედავად მისი წარმომავლობისა). სახელთა სესხება ყველა ენისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

ქართული სამწიგნობრო ენა ნასესხობების მხოლოდ პასიური მიმღები არ ყოფილა; ცნობილია, რომ საკუთრივ, ქართულიდანაც ან ქართულის შუალობით არაერთი სიტყვა შევიდა მეზობელ ხალხთა ენებში, მაგ.: **ოსურში** (ჯვარი, ქრისტე, პარასკევი... ალუბალი, ქლიავი, კომში, ბია, ბოლოკი, ნესვი, ჭარხალი... წალდი, დამბაჩა, გალავანი...); **აზერბაიჯანულში** (ხერხი, ჭიქა, მჭადი, გუთანი...); **რუსულში** (სახლი, თამადა, მაწონი, ხაჭაპური) და სხვ.

სავარჯიშოები

18.3.1. მოიძიეთ მ. ანდრონიკაშვილის წიგნი: „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან" (თბ. 1966) და ამოიწერეთ ინფორმაცია შემდეგი სიტყვების წარმომავლობაზე:

ა) არტოშანი, ბევრი, გრივი, დიასპანი, ზრახვა, ზეპური, კუართი;

ბ)კუბასტი, მართალი, მეზვერე, მუშაკი, როჭიკი, რჩული;

გ) სენაკაპანი, სპაიპეტი, ტაძარი, ჭიჭნაუხტი, ხვაშიადი, ხორშაკი.

18.3.2. გაეცანით ქართულ ჟარგონულ მეტყველებაში დამკვიდრებულ არაბულენოვან ლექსიკას (არიფი, ბაითი, დაიადა...) **ქართველური მემკვიდრეობის XVIII ტომში (ქუთ., 2014) წარმოდგენილი სტატიის მიხედვით** (ავტორები: ლ. ავალიანი და ე. დადიანი).

https://atsu.edu.ge/EJournal/Kartvelology/issues/XVIII/AvalianiLela.pdf

18.4. საერთაშორისო სიტყვები

საერთაშორისო სიტყვები / ინტერნაციონალიზმები, ძირითადად, ბერძნულ-ლათინური ძირებიდან მომდინარე ლექსემებია, რომლებიც ყველა ენაშია შესული, მაგ.:

ანარქია, იმპერია, იმუნიტეტი, იუბილე, კალენდარი, კანონი, კატალოგი, კომპონენტი, კრიტერიუმი, ლეგენდა, ლიმიტი, მაგნიტი, მაქსიმუმი, მითი, პათოსი, პოეტი, პროგრესი, პრინციპი, ქრონიკა, სტიქია, სტროფი, ცეზი, ცენტრი, ცილინდრი, ციფრი, ჰიგიენა, ჰიპერტონია, ჰორმონი...

შედარებით მცირეა სხვა წარმომავლობის საერთაშორისო სიტყვები: იაპონური **კარატე**; არაბული **შარიათი**; ებრაული **მაცა**; თურქული **ჩალმა**; სპარსული **შაჰი**; ქართული **თამადა**; რუსული **პოლკოვნიკი**; ინგლისური **ბივშტექსი, გრეიფრუტი, კოლეჯი, კლუბი, პიჯაკი**; ფრანგული: **აკომპანიმენტი, გრიპი, ჟურნალი, შარჟი, გენერალი**; გერმანული: **კომენდატურა, კიტელი, შახტი, შპალერი, შლანგი**; ჰოლანდიური: **ბოცმანი, კატერი, კომპასი**; იტალიური: **არია, დუეტი, სონატა...**

ზოგადად, ქართულ სამწიგნობრო ენაში თავიდანვე შემუშავდა საერთაშორისო სიტყვათა სესხების ტრადიციული მეთოდოლოგია, რომლის მთავარი ნიშანია **გაგებინება** – ორიენტირება მკითხველზე. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ახლად შემოსული უცხო სიტყვა იქვე სათანადო კონტექსტით განიმარტებოდა. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მაგალითი ძველი ქართველი ფილოსოფოსის – იოანე პეტრიწის (XI ს.) თხზულებიდან:

„**სჯმპერაზმაჲ**, რომელ არს თანგასავალი“;

„**სქიმაიცა** დავდვა, რომელ არს ნაკვეთი“...

„**პროვლიმაჲ** ანუ წინჩამოსაგდებელი სიტყუაჲ“;

„**კატასკევი** ანუ დაკაზმვაჲ“... (დამოწმ. მელიქიშვილი, 1975, გვ. 206).

საერთაშორისო სიტყვები, ისევე როგორც ნასესხები ლექსიკა, აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს ენის ლექსიკური ფონდის შევსებისათვის. თავის დროზე იგივე აზრი განავითარა ილია ჭავჭავაძემაც, როდესაც „მამათა“ თაობის წარმომადგენლებთან გამართულ პოლემიკაში (XIX ს-ის 60-იან წლებში) ერთ-ერთ საკითხად წამოიჭრა უცხო სიტყვებთან დამოკიდებულება: „ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებით ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს...“ (ჭავჭავაძე, 1957, გვ. 70). თავისი პოზიციის გასამყარებლად მწერალი, პირველ რიგში, ასახელებს ისეთ მაგალითებს, როგორიცაა: მონღოლური ფუძის მიხედვით შემუშავებული რუსული **ОЧАГ** და ქართული **ოჯახი**, ასევე – ქართული **სახლ** ფუძის მიხედვით შექმნილი რუსული **САКЛЯ** – სახლი; ამავე დროს, ის მიუთითებს, რომ საერთაშორისო სიტყვების: **რელიგია, პროფესია, პოეზია, ლიტერატურა**... გავრცელება მსოფლიოს ენებში შეუქცევადი პროცესია და ამას წინ ვერც ერთი ეროვნების „ენაწმინდა“ წარმომადგენელი ვერ აღუდგება (იქვე). ანალოგიურია ილიას მსჯელობა სიტყვა **კრიტიკის** შესახებ:

კრიტიკა – ამის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულში და არც ძალიან საჭიროა, რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა, ყოფილიყო, რადგანაც ეგ დაგვიმტკიცებდა, რომ ჩვენი მამა-პაპანი მაგ მხრით განვითარებულნი ყოფილან. სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ეგ სახელი ეხლა მთელს კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი, ცოტაოდენად განათლებული, ხმარობს თავის ენაში; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს (ჭავჭავაძე, 1986, გვ. 31).

ზემოაღნიშნული პოზიციის საპირისპიროა **პურიზმი** [ფრანგ. Purizme < ლათ. Purus წმინდა]; მისი წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სიტყვების ენაში

დამკვიდრებას და ამჯობინებენ მხოლოდ მშობლიური ენის მასალისგან შემუშავებულ ეკვივალენტებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია 1920–1921 წლებში საქართველოს ტექნიკური საზოგადოების მიერ გამოცემული „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი)". ლექსიკონს უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც პირველ ცდას ტექნიკური ტერმინოლოგიის დადგენისა; ავტორებმა, მართლაც, შექმნეს ბევრი ახალი სიტყვა: **ბრახნი, ხსნარი, მართი კუთხე, (სა)დენი, წნები, წინაღობა, ბრავა, ნათურა, სინჯარა**... მაგრამ ლექსიკონს ჰქონდა ნაკლიც: შემდგენლებმა მიზნად დაისახეს ინტერნაციონალური სიტყვების სრული უგულებელყოფა, რის გამოც ლექსიკონს, ხშირ შემთხვევაში, ხელოვნურობის კვალი ეტყობა. [52]

საერთაშორისო სიტყვების სესხებასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ერთი ეპიზოდი XX საუკუნის 40-იან წლებში გამართული პოლემიკიდან, კერძოდ: მწერალი კ. გამსახურდია, იმ „გულუბრყვილოთა" პასუხად, რომლებიც მას (1923 წელს მწერალთა კონფერენციაზე წარმოთქმული „მოკლე სიტყვის" მიხედვით) აბრალებდნენ, თითქოს გიორგი მერჩულის ენის აღდგენა ჰქონდა მიზნად დასახული, მიუთითებს, რომ ქართული ენის „გასოფლურების საშიშროების" თავიდან ასაცილებლად, „თამამად შემოუშვა თანადროულ ქართულში ბერძნულ-ლათინური ძირის სიტყვები"; არასოდეს ყოფილა „უტოპისტი", თუნდაც ერთხელ წარმოედგინა, თითქოს ძველქართულის სიტყვიერი ინვენტარი იკმარებდა თანადროული... ცნებათა კომპლექსის შესაჯერებლად" (გამსახურდია, 1985, გვ. 40, 50–51).

მოგვიანებით კ. გამსახურდია შენიშნავს, რომ ბერძნულ-ლათინურმა ლექსიკამ მრავალი ევროპული ენა გაამდიდრა და არც ქართველები უნდა მორიდებოდნენ მის სესხებას; შესაბამისად, მას „დათვური სამსახურის" გამწევად მიაჩნია, „ვინც ჩვენი ენიდან საერთაშორისო ჟღერადობის სიტყვის გაძევებას აპირებს" (გამსახურდია, 1985, გვ. 260, 262). მწერალი არ იზიარებს 1914–1918 წლებში გერმანელი ნაციონალისტების ცდას, „მთელი ურბანისტული ინვენტარი შეეცვალათ ნაციონალურ-გერმანულით", როდესაც გააძევეს ენიდან „სეზონი", „ტელეფონი", „კულტურა", „მოდა" და სხვ.; ანალოგიურად, მას „ნაძალადევად" მიაჩნია ინტერნაციონალიზმთა შემდეგი ქართული ეკვივალენტები: **ელსმენი** (შდრ.: ტელეფონი), **ჭოგრიტი** (შდრ.: ბინოკლი), **ფილაქანი** (შდრ.: ტროტუარი), **ბოღაზი** (შდრ.: პორტი), **რონოდა** (შდრ.: ვაგონი), **რონები** (შდრ.: რელსები), **გამზირი** (შდრ.: პროსპექტი); ანალოგიური ფორმებია **მოწონწიკი** (სოსისი) და **ბანჭვინი** (ბენზინი).

ზემოაღნიშნული იმის ნათელი დადასტურებაცაა, რომ მწერალს ინტუიცია არ ღალატობს ამა თუ იმ ენობრივი ფაქტის შეფასებისას; წარმოდგენილი მაგალითებიდან უმეტესობა ჯერჯერობით ვერ დამკვიდრდა საზოგადოების მეტყველებაში.

უცხო სიტყვების არჩევანი განსაზღვრულია ტრადიციული მწიგნობრული მეთოდოლოგიით, კერძოდ: უცხო სიტყვას მხოლოდ მაშინ უნდა გაეხსნას გზა სალიტერატურო ენაში, როცა მისი ფარდი მნიშვნელობის ლექსემა არ მოიპოვება; აქ საბიფათო ზღვარი გადის ბარბარიზმებზე (იხ. ქვემოთ).

---

[52] აღნიშნული პერიოდისათვის თავისი გამართლებაც ჰქონდა ტექნიკური ტერმინოლოგიის შემდგენელთა დამოკიდებულებას – ეს იყო ერთგვარი რეაქცია გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ, როგორც ამას მოგვიანებით მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი შენიშნავდა (დაწვრილებით, იხ. ღამბაშიძე, 1986, გვ. 101-103).

სავარჯიშოები

18.4.1. შეადარეთ ინტერნაციონალიზმთა განმარტებები უცხო სიტყვათა ლექსიკონის მონაცემებს და დაადგინეთ მსგავსება-განსხვავება; ტექსტები გამართეთ სალიტერატურო ქართულით.

1) „ანალიზი არის ხიმიურ საქმეში გარჩევა... სხვა და სხვა ნივთებისა, რომლიდანაც არის შეზავებული გასარჩევი ნივთი“ („გუთნისდედა“, 1864, N 15, გვ. 92);
2) „მინერალის ნივთი იმასა ჰქვიან საზოგადოდ, რომელიც არის გამოსული მიწისაგან და არა ხისა, ბალახისა და ცხოველისაგან“ („გუთნისდედა“, 1864, N 12, გვ. 82);
3) „მიკროსკოპი მინაა, რომელიც იმდონათ გაადიდებს... თვალით დაუნახავ საგნებს, რომ ჩვენ შეგვიძლია იმათი დანახვა და გაშინჯვა“ („სასოფლო გაზეთი“, 1869, N 22, გვ. 7);
4) „სიფონია რკინის მილი, შუაში ძალიან გაღუნული, რომლითაც ამაასხმენ ხოლმე წყალს ყოველწაირ ჭურჭელში“ („სასოფლო გაზეთი“, 1870, N 4, გვ. 5);
5) „მანუფაქტურა – ხელსაქნარობა“ („სასოფლო გაზეთი“, 1870, N 13, გვ. 4);
6) „სპეციალისტი – ხელქუმთობით მცოდინარე“ („გუთნისდედა“, 1862, N 2, გვ. 27);
7) „კრისტალი – გაყინული სხეული“ („სასოფლო გაზეთი“, 1870, N 11, გვ. 7);
8) „აკლიმატიზაცია – ჰავის შეჩვევა“ („გუთნისდედა“, 1878, N 12, გვ. 22);
9) „ალკოჰოლი, ესე იგი გადაწმენდილი არაყი“ (ჭავჭავაძე, 1956-ა, გვ. 136);
10) „ცივილიზაცია, ანუ წარმატებულობა ადამიანისა“ (ჭავჭავაძე, 1955, გვ. 28).

18.4.2. მოუსმინეთ გასართობ გადაცემებს რადიოსა და ტელევიზიის არხებზე; დააკვირდით საერთაშორისო სიტყვების გამოყენების სიხშირეს წამყვანთა და მონაწილეთა მეტყველებაში; ჩაიწერეთ ათი ყველაზე ხშირად გამოყენებული უცხო სიტყვა; სცადეთ დაადგინოთ მათი „პოპულარობის“ მიზეზი.

18.4.3. ინტერნეტმასალების, ასევე, სხვა წყაროების გამოყენებით მოამზადეთ მოკლე ინფორმაცია სიტყვებზე: *კომბინაცია, კრეატიული, ინვენთი, ინვენთორი, ავთენტური* და გამოხატეთ თქვენი პოზიცია აღნიშნული ლექსემების ენაში დამკვიდრების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

18.5. კალკი

კალკი [ფრანგ. calque] – სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც აგებულია სხვა ენის სიტყვის ან გამოთქმის მნიშვნელობისა თუ წარმოების წესის მიხედვით. სხვანაირად მას **ნაწილობრივ სესხებასაც** უწოდებენ.

ცნობილია ორი ტიპის კალკირება: სემანტიკური და სტრუქტურული (სიტყვაწარმოებითი). **სემანტიკური კალკირების** დროს ხდება მნიშვნელობის სესხება; კერძოდ, სიტყვას, უცხოენობრივი პოლისემიური (მრავალმნიშვნელობიანი) სიტყვის გავლენით, უვითარდება მეორეული მნიშვნელობა. მაგ.: **ანთება**, როგორც დაავადება, სიტყვის მეორეული მნიშვნელობაა (შდრ.: „სანთლის მოცეცხლვა“ – საბა), რომელიც განვითარდა რუსული **воспаление**-ს (< ფრანგ., გერმ. < ლათ.) მიხედვით; ანალოგიურია: **განათლება – просвещение** (შდრ.: „ნათლის მოფენა“ – საბა); **დამკვრელი** – კარგად მომუშავე < საკუთრივ რუსული სიტყვიდან: **ударник** და ა. შ.

სტრუქტურული ანუ **სიტყვაწარმოებითი კალკირების** შემთხვევაში ნასესხებია წარმოების წესი – სიტყვა იქმნება უცხოენობრივი მოდელის მიხედვით. სხვანაირად რომ ვთქვათ, კალკირება სტრუქტურულ დამთხვევათა პრინციპს ემყარება; შდრ.: ფრანგ. **impression** – რუს. **впечатление** – ქართ. **შთაბეჭდილება**. ანალოგიური მაგალითებია: **თვითმფრინავი – самолет; თანაგრძნობა – сочувствие; მტვერსასრუტი – пылесос**... ეს ყალიბები ევროპული (<ბერძ. / ლათ.) წარმომავლობისაა.

ზოგადად, ლექსიკური კალკირება ერთ-ერთი აქტიური ხერხია ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში; მისი საშუალებით იქმნება თანამედროვე სამეცნიერო ენის მწყობრი

სისტემები. ლექსიკური კალკირებისაგან განსხვავებით, უფრო საფრთხილოა ფრაზეოლოგიური კალკირება, რომელიც ხშირად არაბუნებრივი, ხელოვნური კონსტრუქციების გაჩენას იწვევს ენაში; მაგ., შდრ.:

ანგარიში გადახდაზე (< რუს.: счет на оплату) – **გადახდის ანგარიში;**
სტუდენტად გახდა (< რუს.: стал студентом) – **სტუდენტი გახდა;**
მაღალი (< რუს. Высокопоставленные) **სტუმრები – საპატიო სტუმრები;**
არ მაწყობს (< რუს. не устраивает) – **ხელს არ მაძლევს;**
მხედველობაში აქვს (< რუს.: имеет в виду) – **ითვალისწინებს;**
საქმე იმაშია (< რუს.: дело в том) – **საქმე ისაა;**
ადგილი აქვს (< რუს.: имеет место) – **არის;**
(ფულის) **პროცენტის ქვეშ** (< რუს.: под процентом) **მიღება – პროცენტით მიღება;**
ეჭვს არ ექვემდებარება (не подлежит никакому сомнению) – **საეჭვო არაფერია;**
დააყენოს დროებითი საკითხების დაქვემდებარებაში (ставить в зависимость от временных вопросов) – **დაუქვემდებაროს დროებით საკითხებს...**

ხელოვნური ფრაზეოლოგიური კონსტრუქციების ანალოგიური მაგალითებია:
– მატჩი მსოფლიო პირველობაზე,
შდრ.: **მსოფლიო პირველობის მატჩი;**
– მთვრალ / ნასვამ / არაფხიზელ მდგომარეობაში,
შდრ.: **მთვრალი / ნასვამი / არაფხიზელი;**
– მაღალი მოვალეობა / ჯილდო
შდრ.: **საპატიო მოვალეობა / ჯილდო** და სხვ. (ქსკს 1985, გვ. 197-200, 202-203).

სავარჯიშოები

18.5.1. შეცვალეთ ქართულისთვის ბუნებრივი ფრაზებით.

1) ის იძულებით გადაადგილებულებთან ნდობაში შევიდა.
2) თავს ვერ მოვიტყუებთ – აქ სიცრუეს აქვს ადგილი!
3) მინდა ვიმუშაო, როგორც კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი.
4) საყურადღებოა საყოველთაოდ წარმოებული გამოკითხვის შედეგები.
5) განვიხილოთ მოსამართლეთა დაყენებული კანდიდატურები.
6) დარწმუნებული ვართ, სპორტის მშენებლობა იქნება განვითარებული.
7) არანაირი ცვლილება საფრთხეში არ არსებობს.
8) როგორც კომისიის დასკვნაში წერია, ბავშვთა სახლის დირექციას კვების საკითხი დროულად არ დაუყენებია.
9) მივცეთ მათ საშუალება, იცხოვრონ ისე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები.
10) უნდა ვაწარმოოთ დიალოგი რუსეთთან.
11) გამომიგზავნეთ ინფორმაცია, რომ მოვახდინო ამ ყველაფრის ჩანიშვნა.
12) კარგი იქნება, ეს საკითხი გათვალისწინებული იყოს ყველა მხარის მიერ.

18.5.2. გამართეთ წინადადებები.

1) ის ახდენს საზოგადოებაში თვითრეალიზაციას და ადგილის დამკვიდრებას.
2) ხდება გაუაზრებელი ნაბიჯების გადადგმა ნატოს მიმართულებით.
3) გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოსაპოვებლად მიმართეთ ექიმს.
4) ინტერვიუერი სათანადო ცოდნით ახდენს სიტყვათა შერჩევას.
5) ბაღის იარუსებზე დიდხანს მიმდინარეობდა ნოყიერი მიწის დაყრა.
6) ეს კათედრები აწარმოებენ დიდად ნაყოფიერ მუშაობას სწავლების საქმის დაყენებაში.
7) მომხსენებელმა მთავარ საკითხზე გააკეთა აქცენტი.

8) ხელმძღვანელს არ შეუძლია, ჯგუფის ინტერესები დააყენოს დროებითი საკითხების დაქვემდებარებაში.
9) გელა რვა წლით პატიმრობაში აიყვანეს.
10) ქმარი ფიზიკურ ძალადობას ახორციელებდა ცოლზე.
11) ამ პიროვნებამ სწორედ მაშინ დაუშვა შეცდომა, როდესაც გადაბრა მოახდინა ძირითადი კურსიდან.
12) ჩემთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების გაკეთებული შეფასება.

18.5.3. სხვადასხვა შინაარსის საგაზეთო პუბლიკაციებიდან ამოიწერეთ ქართულისთვის არაბუნებრივი კონსტრუქციები, გააცანით ეს მასალა თქვენს თანატოლებს / კოლეგებს და მათთან ერთად იმსჯელეთ საგაზეთო ენის პრობლემებზე.

18.6. ბარბარიზმები

ბარბარიზმები ენაში არასაჭიროდ შემოსული სიტყვებია. დღეს განსაკუთრებით თვალში საცემია იმპერიული ენობრივი „მემკვიდრეობა“ – რუსული ბარბარიზმები, რომლებიც დალექილია, მაგ., გარკვეული სოციალური ჯგუფების (ახალგაზრდები, მანქანის შემკეთებლები, მკერავები, მოვაჭრეები, აზარტული მოთამაშეები და სხვ.) ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში: **მაგარ ვიდზეა, დღეს ცვეტშია... ვიგალკა, რაზვალი, სვარკა... კარ-აკოშკა, შკურკა... საროჩკა, სტროჩკა, პრიმერკა... ერთი პაჩკა პეჩენია, ორი კილო პესოკი, სასისკები... ადინ-X...**

არანაკლებ დამაფიქრებელია შედარებით ახალი ვითარების ამსახველი ინგლისურენოვანი ბარბარიზმები; ასეთია, მაგ.:

- კულტურულ-საგანმანათლებლო, საბანკო თუ სხვა სექტორებში არასაჭიროდ გავრცელებული ფორმები: **რიდერი** – საკითხავი მასალა, **ოფენ-ბუქი** – ლექციაზე ნებადართული წიგნი, **კრეატიული** – შემოქმედებითი, **ფართი** – წვეულება, **ივენთი** – ღონისძიება, **სტარტაფი** – დამწყები, **ჰელფდესკი** – დამხმარე პერსონალი...
- თანამედროვე ტექნოლოგიების ენასთან დაკავშირებული სიტყვაწარმოება: **დაშათდაუნება, დაშიარება... დაპოსტე, მოგუგლე, დალინკე, გადამიფორვარდე...**
- სატელევიზიო გადაცემებიდან მომდინარე ფრაზები:

კარგი ექშენი (მოქმედება), **შესანიშნავი პერfორმანსი** (შესრულება), **სასცენო პრეზენსი** (წარმოდგენა), **დიდი ქამბექი** (დაბრუნება საწყის პოზიციებთან) და სხვ.

ენისა და სტილის საკითხებით დაინტერესებულებს განსაკუთრებული ყურადღება მართებთ აღნიშნული უცხოენობრივი გავლენების თავიდან ასარიდებლად. თანამედროვე სალიტერატურო ენას ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილისა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა მიერ შემუშავებული სწორი ორიენტირები უდევს საფუძვლად, თუმცა მათ განსახორციელებლად მთელი საზოგადოების ერთიანი ძალისხმევაა საჭირო.

ბარბარიზმები მიუღებელია სალიტერატურო მეტყველებისათვის; ამავე დროს, მათ, ისევე როგორც დიალექტიზმებსა და ჟარგონს, აქვს გარკვეული სტილური ფუნქცია მწერლობაში; ბარბარიზმებით ლაპარაკი შესაძლებელია იქცეს პერსონაჟის ინდივიდუალური სახის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად.

სავარჯიშოები

18.6.1. გაეცანით ამონარიდებს XIX ს-ის პუბლიკაციებიდან, რომლებიც ენაში შემოსულ უცხო წარმომავლობის სიტყვებს ეხება. დაადგინეთ, რა არის პუბლიკაციების ავტორთა მთავარი შეცდომა.

ორაკლი ლორთქიფანიძე:

„უმჯობეს არს გავიხსენოთ დავიწყებულნი სიტყუანი და სასმენელნი ჩუენნი შევაჩჯოთ მათ, ვირეცა სრულიად დავივიწყოთ მოფარულნი ჩუენგან და ნაცულად მათსა შევიწყნაროთ უცხო... ნაცულად სალიტერატუროსა ვჰსთქუათ მეტყუელებისა... ნაცულად პროზისა წართქმა ანუ წარმოთქმით წერა, კრავატი შავსცუალოდ ცხედრად ანუ სარეცლად, კრესლო სავარძლად და ესრეთ შემდგომნი“ („ცისკარი“, 1857 წ., ივლისი).

ბარბარე ჯორჯაძე:

„...მერმეთ ვსთხოვთ შეასმინოს ჩემს გაუნათლებელს გონებას, მაგ განათლებულმა პატივცემულმა სტუდენტმა, რა მნიშვნელობა აქუს ამ ლექსებს: ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხუანი... მაშ თჳთონ რაღათ დაიცინება: „ცისკარში“ შეგვხუედრია გარმონიული სიტყვები, მაგ.: ზადაჩა, ოსტროვები, ლინიები, მაგრა ეს სიტყვები ისე სასაცილონი იყვნენ თავის უშვერობითაო...“ („ცისკარი“, 1861, N 5).

18.6.2. შეცვალეთ ბარბარიზმები სათანადო ლექსიკური შესატყვისებით.

1) იანვრიდან საპენსიო კარტაზე დაგერიცხებათ 100 ლარი.
2) ნიკა სტუდენტურ ივენთზე მიიწვიეს.
3) დღეს სახლში ვარ და უბორკა მაქვს – სტუმრებისთვის არ მცალია.
4) შთამბეჭდავია ახალგაზრდა მსახიობის სასცენო პრეზენსი.
5) მაგ ლურსმანს პლოსკოთი თუ ამოიღებ, ძალიან მყარადაა კედელში.
6) დათომ მეგობრის დაბადების დღის ვიდეო გააშიარა.
7) სანტეხნიკს ვეძებ, ვანაში მილია დაზიანებული.
8) ფარნამ სურათებში თანაკლასელები დათაგა.
9) გაკვეთილების შემდეგ კლასელები სამაროჟნესთან შეიკრიბნენ.
10) თაკომ მოცეკვავე გოგონას სურათი დაალაიქა.

18.6.3. გამართეთ სალიტერატურო ქართულით.

1) დედამ ნიაკოს წითელი ბანტი და ნასკები უყიდა.
2) მენეჯერმა დაზიანებული პრინტერის შესაკეთებლად ჰელფდესკი გამოიძახა.
3) ზამთრისთვის უნდა შევიძინოთ ფეჩის მილები.
4) ის მზად არის, ოქეი უთხრას დამწყებ მომღერლებს.
5) ტყავის პლაშის სეზონი უკვე გავიდა.
6) ვაიზერმა შენიშვნა მომცა დავალების ნაჩქარევად შესრულების გამო.
7) ფიზიკის დიდ აუდიტორიაში მათემატიკების სემინარი მიმდინარეობს.
8) ოპერატორმა ამ კონკრეტულ ქეისში ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო.
9) მეზობლის ბავშვმა გუშინ მანქანის სტეკლო ჩამიმტვრია.
10) „რუსთავი 2-ზე“ ფეხბურთია ლაივში.

18.7. ძირეული, წარმოქმნილი და რთული სიტყვები. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები

ენის ლექსიკურ ფონდში შემავალი სიტყვები განსხვავდება ფუძის აგებულების მიხედვით, კერძოდ, გამოიყოფა:

ა) ძირეული სიტყვები, რომელთა ფუძეც მარტივია, დაუშლელია (კაცი);

ბ) წარმოქმნილი სიტყვები, რომლებიც მიღებულია ფუძეზე სიტყვამაწარმოებელი / დერივაციული (ლათ. derivatio სიტყვაწარმოება, წარმოქმნა) აფიქსის / აფიქსების დართვით (კაცური, საკაცე...)

გ) რთული სიტყვები – კომპოზიტები, რომლებიც შედგება ორი ან მეტი ფუძისაგან; შდრ.: (დედაკაცი, სახლიკაცი...)

სიტყვაწარმოებისა და კომპოზიციის საშუალებით მიიღება მდიდარი ლექსიკა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მწერლობის, ასევე მრავალდარგოვანი მეცნიერებისა და ტექნიკის ენის განვითარებისათვის. კომპოზიტებზე უკვე გვქონდა მსჯელობა (იხ. ზემოთ), ამჯერად მივუთითებთ წარმოქმნილ სიტყვათა ჯგუფებს ძირითად მაწარმოებელ აფიქსებთან ერთად:

- კნინობით-ალერსობითი სახელები[53]; მაწარმოებლები: **-ა, -აკ, -უნა, -უნია, -ულ, -ულა, -უკა, -უკელა, -უჩა, -უჩელა, -იკო, -ილო**... მაგ.: **კუდა** (მოკლე კუდის მქონე), **ღილაკი, წიგნაკი, კაცუნა, შხაპუნა, დედუნა, ჩიტუნია, ფისუნია, ფეხული, ბურთულა, პაწუკა, პაწუკელა, დათუჩა, დათუჩელა, მამიკო, დედილო**...
- აბსტრაქტული სახელები; მაწარმოებლები: **სი–ე** და **-ება / -ობა**; მაგ.: **სიავკაცე – ავკაცობა, სიბეჯითე – ბეჯითობა, სიკარგე – კარგობა, სიბოროტე – ბოროტება – ბოროტობა, სიმწიფე – მწიფობა, სიძლიერე – ძლიერება, სიმხურვალე – მხურვალება, სიჭაბუკე – ჭაბუკობა**...

პარალელური წარმოების ფორმებიდან: **მომსახურება / მომსახურეობა** არანორმატიულად ითვლება **მომსახურეობა** (<– მომსახურე), განსხვავებით ანალოგიური წარმოების სხვა ფორმებისაგან: **მოთავეობა** (<– მოთავე), **მოკეთეობა** (<– მოკეთე), **მომთაბარეობა** (<– მომთაბარე), **მონადირეობა** (<– მონადირე), **მოქალაქეობა** (<– მოქალაქე) და სხვ. აქ საქმე უნდა გვქონდეს ყალიბების აღრევასთან; შდრ.:

(ღვთის)მსახურ-ი – > (ღვთის)მსახურ-ება;

მო-მსახურ-ე –> მომსახურ-ება.

- ხელობის სახელები და მიმღეობური წარმოების ფორმები; მაწარმოებლები: **მე – ე, მე – ურ, მა – ე, მო – არ, მო–ე, მ-, მ –არ / -ალ, მ–ე, მ–ელ**, ასევე – უცხო წარმომავლობის **-დარ, -დან-, ჩი, -იორ / -ერ, -ისტ**... მაგ.: **მეწარმე, მეპურე, მებადური, მეზღვაური, მაცნე, მოფიცარი, მოახლე, მოამბე, მკერავი, მტირალი, მნათე, მშენებელი**... **დახლიდარი, ყავადანი, ქურქჩი, მონტიორი, გრიმიორი, კომბაინერი, პიანისტი**... შდრ.: **მემაღაროე – მაღაროელი, მენაღმე – მნაღმავი, მეისტორიე – ისტორიკოსი, მექრთამე – ქრთამისტი**...
- მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელი სახელები; მაწარმოებელია **-ნარ**, რომელსაც ზოგჯერ ენაცვლება **-იან** და **-ოვან** სუფიქსები; მაგ.: **ფიჭვნარი, ნაძვნარი, ბუჩქნარი, ყვავილნარი; მაყვლიანი, ვაზიანი**; შდრ.: **მუხნარი** (-> მუხრანი ->) – **მუხროვანი – მუხიანი, წაბლნარი – წაბლიანი, თხილნარი – თხილიანი**...
- წინა ვითარების სახელები; მაწარმოებლები: **ნა-, ნა – არ / -ალ, ნა – ევ / -ებ, ნა – ურ**; მაგ.: **ნაკაცარი, ნაჭერი, ნაჩვევი, ნახმლევი, ნაჭდევი**; შდრ.: **ნაზამთრი – ნაზამთრალი, ნაპირი – ნაპირალი, ნატკენი – ნატკივარი, ნაყვავილარი – ნაყვავილევი – ნაყვავილები, ნაარმალი – ნაარმევი – ნაარმები**...
- ქონების სახელები: მაწარმოებლები: **-იან, -იერ, -ოვან, -ოსან, -ედ, -ა**: **ბარაქიანი, იღბლიანი, მშვენიერი, ბედნიერი, ყვავილოვანი, ხავერდოვანი, ბალახვანი** (<- ბალახოვანი), **ფრთოსანი, გვირგვინოსანი, კარედი, განედი, დიდგულა, ცხვირა, რვაფეხა**... შდრ.: **ჯვარედი – ჯვაროსანი, წინწკლედი – წინწკლებიანი – წინწკლოვანი**...
- უქონლობის სახელები; მაწარმოებლები: **უ – ო, უ– ურ, არა-** ; მაგ.: **უთავო, უცხვირპირო, უზნეო, უმზეო, უდღეური, უბედური, უდაბური, არაწესიერი, არაგეგმიური, არაშემთხვევითი**... შდრ.: **არამართებული – უმართებულო**...

---

[53] ჯგუფების სახელდება როგორც ამ, ისე დანარჩენ შემთხვევებში პირობითია.

• დანიშნულების სახელები; მაწარმოებლები: სა – ე, სა – ო, სა – ურ / -ულ; მაგ.: საკაბე, საფარდე, საფეხური, საზღაური... შდრ.: საკაცე – საკაცო, საცოლე – საცოლო, სააბრეშუმე – სააბრეშუმო, საგანძე – საგანძური, სამკერდე – სამკერდული, საბარგო – საბარგული...

• წარმომავლობის სახელები; მაწარმოებლები: -ელ, -ულ და -ურ / ულ: ქართველი – ქართული, იმერელი – იმერული, მეგრელი – მეგრული, მთიული, გურული, ჭუთათური...

არაიშვიათად, ადამიანის აღმნიშვნელ ნაწარმოებ სადაურობის სახელებს ენაცვლება მარტივფუძიანი სახელები; შდრ.: სპარსელი – სპარსი, კახელი – კახი; ზოგ შემთხვევაში გაბატონებულია მარტივფუძიანი წარმოება: სვანი, თუში, თურქი, ლეკი, რუსი... ანალოგიურად, პოეზიის ენაში დასტურდება: ფშავი, მეგრი; მაგ.: "ფშავ-ხევსურს შვენის აბჯარი", "გურული, მეგრი მკვირცხლობით" (გრ. ორბელიანი, "სადღეგრძელო") და სხვ.

• ხარისხის სახელები (იხ. ზემოთ: ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმები).

• ზმნიზედები, მიღებული სახელთა ბრუნვის ფორმების "გაქვავებით": დილას – დილით, საღამოს – საღამოთი, ღამე – ღამეს – ღამით, მორიდებით – მორიდებულად, გამწარებით – გამწარებულად, მოსვენებით – მოსვენებულად... (იხ. ზემოთ: 9. ზმნიზედა).

• ზმნური ფორმები, რომლებიც მიღებულია, მაგ.:

– სახელებისაგან; შდრ: (არს. სახ.) ქვა – გაქვავდა, კაცი – დაკაცდა; (ზედ. სახ.) ლამაზი – ლამაზდება, თეთრი – თეთრდება; (რიცხ. სახ.) ერთი – ერთიანდება, ორი – გაორდა; (ნაცვ. სახ.) ჩემი – დაიჩემა, სხვისი – გაასხვისა, თავისი – გაითავისა...

– მიმღეობისგან, მაგ.: (ნახული –>) ნახულობს, (მიღებული – >) ღებულობს, (გაგებული –>) გებულობს, (შეტყობილი –>) ტყობილობს; შდრ., ბოლო სამ შემთხვევაში ნორმაა საწყისური წარმოების ფორმები: იღებს (<– აღება), იგებს (<– გაგება) და იტყობს (<– შეტყობა);

– ზმნისწინების მეშვეობით:

მოიგო – წააგო – აგო – დააგო – ჩააგო; მყავს – მომყავს; გარეცხა – დარეცხა, აიზარდა – გაიზარდა, იხილა – მიმოიხილა... და სხვ.

სავარჯიშოები

18.7.1. ამოწერეთ ტექსტებიდან წარმოქმნილი სიტყვები; გამოყავით ძირი და სიტყვამაწარმოებელი აფიქსები.

ა) ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი დაიბადა 1855 წელს მღვდლის ოჯახში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ მან დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა და, ამასთანავე, მუშაობდა სხვადასხვა სასულიერო დაწესებულებაში.

აქტიურ სამსახურებრივ საქმიანობასთან ერთად კარბელაშვილი ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს ისტორიის საკითხებსა და ქართული საეკლესიო გალობის აღორძინების საქმეში. იგი ითვლება ქართული გალობის საუკეთესო სპეციალისტად და ამ დარგს არაერთი საინტერესო ნაშრომი თუ საგაზეთო წერილი მიუძღვნა. 1892 - 1920 წლების ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა მისი ისტორიული ნარკვევები და წერილები.

...განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის, შესწავლის, გავრცელებისა და ძველი ქართული საბუთების როგორც შეგროვების, ისე გადაწერის საქმეში[54].

ბ) თავიდანვე იმიტომ ეძლევა ადამიანს სიცოცხლე – სიკვდილისთვის რომ მოემზადოს, მოსამზადებელი დროა, აი, როგორც მოწაფეებს ეძლევათ გარკვეული დრო ამა თუ იმ საგნის მოსამზადებლად. თუ დროში ვერ ჩაეტიე, ჩაიჭრები – ანუ ღირსეულად ვერ მოკვდები, გამაიმუნდები. ქვეყანას აიკლებ ამაო წუწუნით, კვნესითა და მუდარით. არ მინდა, მეშინია... სამარცხვინო საქციელია და მეტი არაფერი. ფუი ამისთანა სიცოცხლეს.

არც სულ სიცოცხლე ვარგა და არც სულ სიკვდილი, როდისმე ერთიც მოგწყინდება და მეორეც. თანაც ვინ იცის, ან თუ იცის, საიდან იცის, სიცოცხლე რომ ჯობია სიკვდილს. მესამე გზა არ არსებობს,

[54] http://archives.gov.ge/ge/page/polievktos-karbelashvilis-piradi-fondi მოძიებული: 3.09.2019.

ან მკვდარი უნდა იყო, ან ცოცხალი. ანდა, როგორც ინდოელებს სჯერათ, რამდენჯერმე უნდა იბადებოდე...

ვინ რა იცის, მართლა რითი მთავრდება სიკვდილი?! ვინ რა იცის, რა არის კაცის სიცოცხლე?! არაფერი. წუთი. წამი. შემოჰკრა ქარმან და სწრაფ გააქრო. მაგრამ, თუკი, როგორმე, წარსულში შებრუნება შესძელი, მერე კი წარსულიც გადალახე, მარადისობაში აღმოჩნდები თურმე და აღარასოდეს მოკვდები. განა სულ ამას არ ნატრობს ჩუმის ნატვრითა ადამიანი?![55].

18.7.2. მოცემული სიტყვებისგან ფრჩხილებში მითითებული რაოდენობით აწარმოეთ სხვა სიტყვები.

ა)			ბ)		
მოძრავი	–	(2)	ბრუნვა	–	(3)
გადახდა	–	(5)	კოხტა	–	(3)
პროცენტი	–	(3)	კრედიტი	–	(3)
ვადა	–	(3)	წვრთნა	–	(4)
ცურვა	–	(3)	ტეხა	–	(5)
ბედი	–	(4)	კითხვა	–	(5)
ქუდი	–	(4)	დავა	–	(3)
ძაღლი	–	(5)	ფიქრი	–	(3)
ცოდვა	–	(4)	ცოლი	–	(4)
მიწა	–	(3)	ზღვარი	–	(4)
ჭუჩა	–	(1)	მამა	–	(3)

18.7.3. ამოწერეთ წარმოქმნილი სიტყვები და გვერდით მიუთითეთ შესაბამისი ძირეული ფორმები.

1) ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე, / შემოვამტვერე გზები ტრიალი, / მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები, / ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი (ლეონ.).
2) დიდება თქვენდა, თოროსანო ბერო მამებო, / თქვენ შეგინახავთ ენა, რჯული, ერი, სამეფო, / წიგნებს უსხედხართ... ვენახდება ფოლიანტები, / და, საქართველოვ, სულს იკაჟებ, გოლიათდები! (ნიშნ.).
3) ეს ნოემბერიც ქარებს მიჰყვება, / მე კი რამდენი მრჩება სათქმელი. /მალე სიბერე სულს შეაშფოთებს, / ჩამომიბინდავს თვალებს ნაღველი (უბილ.).
4) ზღვარს გაჰყევი ბედისა და უბედობის, / დააკვირდი მყობადს მრავალწახნაგიანს, / ფრთხილად! ყველა მილიონერს ნუ ენდობი: / ზოგიერთი გადაცმული გლახაკია! (ჯავახ.)
5) თუმც სიკვდილის წინ თავი ავიშვი, / თქვენთან კვლავ ბავშვის სიმორცხვე მახლავს (გელოვ.).
6) მფარველო ჩემო, ბოროტების ყოველი ვცანი (.კალან.).
7) არდაბრუნება არ მეძნელება, / უფრო ძნელია თქვენზე წუხილი (გელოვ.).
8) მე მხოლოდ მახსოვს, რომ გასაშრობად / ცას ეწვა ნისლი უკაბადონო (გელოვ.).
9) მახსოვს ის ცელქი ცქრიალი, / ...ოცნება და სიცილობა (დაიაური).
10) გუმბათს ერთხელ ჩამოვკიდე მოგუგუნე ზარები (სულაკ.).
11) უსასრულობას ქარბუქების ღმუილი დრეკდა (სამად.).
12) ნეტავ აქ იყო, – იის მოსვლას ვუდარაჯებდი, / დავთვლიდი დღეებს თბილს, უსაზღვროს და უთარიღოს (დაიაური).
13) მზე ამოვიდა! / მზე,რომელიც ჩემშივე სახლობს, / მზე არა სადღაც მეცხრე ცაზე, / არამედ გულთან! (ამაღლ.).
14) წახვედი ჩემგან, უშენობა მათოვს და მაწვიმს... (არაბ.).

[55] https://burusi.wordpress.com/2010/03/23/otar-chiladze-19/ მოძიებული: 3.09.2019

18.8. ტერმინები

ტერმინის რაობა. ტერმინი (< ლათ. terminus - საზღვარი) არის „სიტყვა, რომელიც ზუსტად გადმოსცემს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების რაიმე დარგის გარკვეულ ცნებას“ [ჭაბაშვილი, 1989, გვ. 494]. ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ ტერმინთა სისტემას უწოდებენ **ტერმინოლოგიას.**

ცნობილი შეხედულების თანახმად, ტერმინოლოგია საერთოენობრივი სისტემის ერთ-ერთი ქვესახეობაა – საერთო-სალიტერატურო ენის ბაზაზეა განვითარებული და იყენებს მის ლექსიკას, სიტყვაწარმოებით საშუალებებსა თუ გრამატიკულ ნორმებს; ამავე დროს, საერთო ენისაგან განსხვავებით, ტერმინოლოგიას აქვს თავისი ფუნქციები, გამოხატვის სპეციფიკური საშუალებები და, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სალიტერატურო ენაზე.

რაც უფრო ვითარდება სამეცნიერო დარგი, მით მეტად იხვეწება შესაბამისი ტერმინოლოგიური სისტემაც. **დარგობრივი ტერმინოლოგიის** მაგალითებია:

მჟავა, ტუტე, ხსნარი, ჩანაცვლების რეაქცია... (ქიმ.);

სისხლძარღვთა სისტემა, არტერია, მუცლის ღრუ... (ანატ.);

წრფე, სხივი, თეორემა... (გეომ.);

ბრუნება, უღლება, უბრალო დამატება... (ენათმ.);

სამხმოვანება, ოქტავა, გამა... (მუს.) და სხვ.

გამოიყოფა, ასევე, **ზოგადმეცნიერული ტერმინები,** რომლებიც საერთოა ყველა დარგისათვის, მაგ.: **ცდა, ექსპერიმენტი, მასალა, ანალიზი, კვლევა, დაკვირვება, მაგალითი, აღწერა, შეჯამება...**

კონტექსტის მიხედვით, შესაძლებელია, განსხვავდეს ერთი და იმავე სიტყვის საყოველთაო და სპეციალური – ტერმინოლოგიური მნიშვნელობები. მაგ.:

- ბავშვს კერძის **დამატება** სურს;
  დამატება წინადადების მთავარი წევრია.
- **აჩქარება** ზოგჯერ ავნებს საქმეს;
  აჩქარება ფიზიკური სიდიდეა.
- სუფრას **თეფშები** აკლია;
  თეფშები დასარტყამ მუსიკალურ საკრავს წარმოადგენს და სხვ.

შენიშვნა: შდრ.: ი. ჭავჭავაძემ გამოიჯნა სიტყვა **კაპიტალის** ორგვარი მნიშვნელობა: 1. როგორც კ. მარქსის ფუნდამენტური ნაშრომი – „კაპიტალი“; 2. როგორც თავად ილია უწოდებდა, „საყველპურო“, უძრავ-მოძრავი ქონების აღმნიშვნელი სიტყვა (ჭავჭავაძე, 1956, გვ. 266).

ტერმინის ნიშნები. ტერმინს, სხვა სიტყვებისაგან განსხვავებით, ახასიათებს სპეციფიკური ნიშნები, როგორიცაა: **ნომინაციურობა, სტილისტიკური ნეიტრალურობა, დეფინიციურობა, სისტემურობა და მონოსემიურობა** (ღამბაშიძე, 1986, გვ. 5-20; 47-60); მოკლედ თითოეულის შესახებ:

- **ნომინაციურობა.**

ნომინაციურობა დასახელების ფუნქციაა. ნომინაციურია სალიტერატურო ენაში არსებული სიტყვაც და ნომენკლატურაც, მაგრამ პირველი მიუთითებს საგანს, ხოლო მეორე მოცემული დარგის ტერმინ-სახელწოდებათა ჩამონათვალია; ტერმინი, ორივესგან განსხვავებით, **ცნებას** გამოხატავს;

- **სტილისტიკური ნეიტრალურობა.**

ტერმინი დაცულია ყოველგვარი ემოციურ-ექსპრესიული და სუბიექტური დამოკიდებულებისაგან.

• **დეფინიციურობა.**

დეფინიცია ზუსტი განსაზღვრაა; ტერმინოლოგიაში არსებითია ტერმინისა და ცნების ადეკვატურობა. ამ თვალსაზრისით, გამოიყოფა ტერმინთა 3 ჯგუფი:

– **სწორად მაორიენტირებელი ტერმინები,** რომლებიც ზედმიწევნით ზუსტად გვიქმნიან წარმოდგენას სათანადო ცნებაზე. ასეთია ნაწარმოებ, რთულ ტერმინთა და ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა უმრავლესობა, რომელსაც გამჭვირვალე შინაარსი აქვს, მაგ.: **სახაზავი, მეზღვაური, კუთხესამაგრი, პირის ღრუ...**

– **ნეიტრალური ტერმინები,** რომელთა პირდაპირი მნიშვნელობის გამოცნობაც ჭირს; მათი ეტიმოლოგია არაფერს გვეუბნება, მაგ.: **მერქანი, კოპი...**

– **ცრუ მაორიენტირებელი, ანუ მცდარად მაორიენტირებელი ტერმინები,** რომელთა არსებობაც დაუშვებელია, თუმცა ფაქტია. ასეთ შემთხვევებს სხვადასხვა მიზეზი იწვევს; მაგ., სამეცნიერო პროგრესის გამო შეიცვალა დამოკიდებულება ადრე შემუშავებული ცნებისადმი: **ატომი** [< ბერძ. atomos - განუყოფელი] – ქიმიური ელემენტის უმცირესი ნაწილაკი, რომელიც, თანამედროვე დაკვირვებით, შედგება ატომგულისა და ელექტრონებისაგან, მე-20 საუკუნემდე მიაჩნდათ განუყოფელ ნაწილაკად (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 61). მცდარად მაორიენტირებელი ტერმინების გაჩენის მიზეზი შეიძლება იყოს, ასევე, სიტყვის მნიშვნელობის ცვლა; დავიწროება, გაფართოება... (იხ. ქვემოთ).

სისტემურობა.

ტერმინი განიხილება არა იზოლირებულად, არამედ შესაბამის ტერმინოლოგიურ სისტემაში. ამ სისტემის გარეთ სპეციალური სიტყვა თავის ღირებულებას კარგავს და **დეტერმინოლოგიზაციას** განიცდის. მაგ., შდრ.:

> **ზონდირება** [< ფრანგ. sonde] – ზონდით რისამე გასინჯვა – (გადატ.) წინასწარ რისამე გარკვევა, ნიადაგის მოსინჯვა, რისამე გასინჯვა (ჭაბაშვილი, 1989, გვ.181);
>
> **მონოლითური** [< ბერძ. monos ერთი და lithos ქვა] – რაც მონოლითს, მთლიან ქვას წარმოადგენს – (გადატ.) შემჭიდროებული, ერთსულოვანი (იქვე, გვ. 323);
>
> **ორიენტაცია** [ფრანგ. orientation] და **ორიენტირება** – სივრცეში ადგილმდებარეობის გარკვევა; – (გადატ.) გარემომცველ პირობებში, რაიმე საკითხში გარკვევა (იქვე, გვ. 357);
>
> **პალიტრა** [რუს. палитра < ფრანგ. palette] – თხელი ფიცარი, რომელსაც მხატვრები ხმარობენ საღებავების შესაზავებლად – (გადატ.) გამომსახველობით საშუალებათა ერთობლიობა მწერლის, კომპოზიტორისა და სხვათა შემოქმედებაში (იქვე, გვ. 364);
>
> **ჰარმონია** [ბერძ. harmonia თანაზომიერება] – (მუს.) ტონების კანონზომიერი შეხამება ერთდროული ბგერადობის დროს – (გადატ.) ერთსულოვნება (იქვე, გვ. 561-562) და სხვ.

დეტერმინოლოგიზაციის მაგალითებია, ასევე, სიტყვათშეხამებებიც: **სიყვარულის მუხტი, საბედისწერო სამკუთხედი, პერსონაჟთა გალერეა, კონფერენციის სამუშაო ფორმატი, ფერთა გამა...** მათ გაჩენას ბიძგს აძლევს მეცნიერებისა და ტექნიკის მნიშვნელობის ზრდა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე – ტერმინთა აქტიურად გამოყენება მწერლობის ენაში (იხ., მაგ., მ. ჯავახიშვილის, გ. ტაბიძის, ჭ. ამირეჯიბის... შემოქმედება), მასობრივი საინფორმაციო საშუალებები (გელენიძე, 1981, გვ. 87) და სხვ. აღნიშნულ შემთხვევებში საუბარია ტერმინის გადატანით, მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენებაზე, რის შედეგადაც მისი სემანტიკური ველი ფართოვდება (ფოჩხუა, 1974, გვ. 219-221; გელენიძე, 1981, გვ. 87-92). სპეციალური ლექსიკის შეჭრა საერთო ენაში შეუქცევადი პროცესია. დეტერმინოლოგიზაციის მოვლენაც სწორედ საერთო ენაში ვითარდება, ტერმინოლოგიურ სისტემაში კი ტერმინი კვლავ ტერმინად რჩება.

დეტერმინოლოგიზაციის საპირისპირო მოვლენაა **ტერმინოლოგიზაცია**; ამ შემთხვევაში საყოველთაოდ ხმარებული სიტყვა იძენს სპეციალურ მნიშვნელობას და მკვიდრდება შესაბამის ტერმინოლოგიურ სისტემაში. ასეთებია, მაგ.: **საქონელი** (ეკონომიკაში), **ცილა / ცილები** (ბიოლოგიაში), **გამჟღავნება** (ფოტოგრაფიაში), **მწკრივი** (გრამატიკაში), **წყარო / წყაროები** (ისტორიაში), **მოხელე, მასალები** (სამართალმცოდნეობაში), **ფარდი** (მათემატიკაში), **ჭრა** (მევენახეობაში) და სხვ. ტერმინოლოგიზაციის პროცესს ზოგჯერ ბიძგს აძლევს ისეთი შესიტყვებების გაჩენა, რომლებშიც საერთო სიტყვა ტერმინთან არის კომბინაციაში, მაგ.: **პოლიტიკური მეძავი, იურიდიული კეკლუცობა, ისტორიის სანაგვე** და სხვ.

დეტერმინოლოგიზაციისა და ტერმინოლოგიზაციის გვერდით აღინიშნება **რეტერმინოლოგიზაციის** შემთხვევებიც, როცა ტერმინი მეცნიერების ერთი დარგიდან მეორეში გადადის და ახალ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას იძენს. მაგ.: **ფესვი** ბოტანიკასა და მათემატიკაში, **კონტაქტი** ფიზიკასა და ენათმეცნიერებაში, **მახვილი, ფრაზა** ენათმეცნიერებასა და მუსიკაში, **ძილი** ბიოლოგიასა და ფსიქოლოგიაში და სხვ.

მონოსემიურობა (ერთმნიშვნელობიანობა).

ტერმინი ერთმნიშვნელობიანი უნდა იყოს ერთი ტერმინოლოგიური ველის ფარგლებში. სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, სამეცნიერო ენაში დაუშვებელია: **პოლისემია** (მრავალმნიშვნელობიანობა), **ომონიმია, სინონიმია** და, საერთოდ, ისეთი ლექსიკურ-სემანტიკური პროცესები, რომლებიც გამოიწვევს ტერმინების (ცნებების) აღრევას.

ტერმინის ფორმა და სტრუქტურა; აფიქსოიდებით ნაწარმოები ტერმინები. ტერმინის ძირითად ფორმად გამოიყენება არსებითი სახელი, ასევე – ზედსართავი სახელი და მიმღეობა.

სტრუქტურის მიხედვით, ტერმინთა ორი ჯგუფი გამოიყოფა: **ერთსიტყვიანი ტერმინები** და **ტერმინოლოგიური შესიტყვებები**. ერთსიტყვიანი ტერმინი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მარტივფუძიანი, ნაწარმოები და რთული, მაგ.: **ნიადაგი, ქანი, ცილა, გარსი... საბადო, ფეთქებადი, მართობული, ბრძმედი... საწოლდღე, ნივთმტკიცება, უჯრედშორისი, კუჭ-ნაწლავი...**

დარგობრივი ტერმინოლოგიისთვის ნიშანდობლივია სიტყვაწარმოებითი მოდელების განსაზღვრული არჩევანი; მაგ.:

ა) ბოლოსართები: **-ები, -იანები, -იანნი, -ოვანნი, -ოსანნი, -ებრნი, -ნაირნი, -მაგვარნი, -მსგავსნი**... სპეციფიკურია ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგებში: **ბუმბუმწოვრები, ხორთუმიანები, ორლებნიანნი, ციტრუსოვანნი, ტუჩოსანნი, ციყვისებრნი, რძიანასნაირნი, ქერისმაგვარნი, ღორჯოსმსგავსნი**... (ლამბაშიძე, 1986, გვ. 137-138);

ბ) უცხო წარმომავლობის **-იტ, -ოზ** სუფიქსები გამოიყენება სამედიცინო სფეროში ანთებით და ქრონიკულ დაავადებათა აღსანიშნავად: **ართრიტი, ნევრიტი, ნეფრიტი, ჰაიმორიტი – ართროზი, ნევროზი, ნეფროზი**... (გამყრელიძე და სხვ. 2008, გვ. 397) და სხვ.

სამეცნიერო ენას საერთო ენისაგან პრინციპულად განასხვავებს აფიქსოიდებით ნაწარმოები სიტყვები. **აფიქსოიდები** (< ლათ. **აფიქსი** – სართი; ბერძ. **ეიდოს** – აფიქსის მსგავსი, აფიქსისნაირი), ძირითადად, ბერძნულ-ლათინური ენებიდან მზამზარეულად შემოტანილი საერთაშორისო სტრუქტურული ელემენტებია. მსესხებელ ენაში აფიქსოიდს, ცალკე აღებულს, აქვს თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა, მაგრამ სხვა ფუძეებთან კომბინაციაში, რომელშიც სრული ან შეკვეცილი სახით შედის, ასრულებს სიტყვის მაწარმოებელი აფიქსის ფუნქციას. აფიქსოიდები ადგილის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: პრეფიქსოიდები და სუფიქსოიდები; მაგ.:

– **პრეფიქსოიდები: აერო-** (აეროფლოტი, აეროზოლი), **აგრო-** (აგროტექნიკა, აგროფარმი), **ავტო-** (ავტომატი, ავტოსკოლა), **ბიო-** (ბიოსფერო, ბიოქიმია); **გეო-** (გეოპოლიტიკა, გეოდეზია); **რე-** (რეპროდუქცია, რედუპლიკაცია), **ინტერ-** (ინტერპოლი, ინტერმოდულაცია); **კონტრ-** (კონტრარგუმენტი, კონტრრეზერვუარი); **მიკრო-** (მიკროანალიზი, მიკროსქემა), **ნევრო-** (ნევროლოგია, ნევროპათოლოგი); **ტელე-** (ტელეფონი, ტელემექანიკა), **ფოტო-** (ფოტორეპორტიორი, ფოტოსინთეზი); **ვიდეო** (ვიდეოკამერა, ვიდეოსპექტრი)...

– **სუფიქსოიდები: -გრაფი** (ფოტოგრაფი, ტელეგრაფი); **-თეკა** (ბიბლიოთეკა, კარტოთეკა); **-ლოგი** (ფილოლოგი, გეოლოგი); **-მეტრი** (პარამეტრი, დიამეტრი); **-სკოპი** (ფონენდოსკოპი, ტელესკოპი); **-ნავტი** (კოსმონავტი, აერონავტი); **-პლანი** (დელტაპლანი, აეროპლანი); **-ტრონი** (ნეიტრონი, ლოტოტრონი); **-ფონი** (მაგნიტოფონი, დიქტოფონი)...

აფიქსოიდები მონაწილეობენ ქართული ტერმინების შედგენაშიც, მაგ.: **ბიოდენები, ბიოველი, რადიოგადაცემა, რადიოტალღა, ტელესივრცე, ტელეარხი, ავტოფარეხი, აგროსამრეწველო, ვიდეოთვალი, კონტრშეტევა, გალაკტიონწოლოგია** და სხვ.

აფიქსოიდების ფუნქციით შესაძლებელია ზედსართავი სახელის, მიმღეობისა და ზმნიზედის (სრული თუ შეკვეცილი სახით) გამოყენებაც; მაგ.: **გადამეტბრუნვა, კვლავწარმოება, კმადატენიანება, უკმარმოჭერა, თბომავალი, ზეაჩქარებული, ქვესადგური, უკუმოქმედი, თვითგანმუხტვა, დაბალძაბვიანი, მაღალაქტიური, დიდპლასტიკური, უხვთიხამიწოვანი, მცირესიმძლავრიანი, ნაკლებპლასტიკური, ნელამჭიდი, სწრაფბრუნვა, სწრაფაალებადი, შინაპატიმრობა, გარემოვაჭრე. ცრუმოწმე, ნახევარგამტარი, მსხვილკრისტალური, წვრილმარცვლოვანი...** ატომსაწინაღო, ნახევარგამტარი, ჰაერსატარი, მტვერსაჭერი, სწრაფმავალი, ბეტონსაზიდი, ტალღასაზომი, ხმაჩამწერი, თბომედეგი, თბომდგრადი, ცეცხლგამძლე, ცეცხლსაშიში, ნაღმსატყორცნი, ჰაერშეღწევადი, ორთქლშეუღწევადი, ყინულამრიდი, ოპერაციათშორისი, ფერდობზედა, წყალქვეშა, ბაგისმიერი, ნახშირბადი, ფიცარნაგი, ზღვისმიღმა და სხვ. (ღამბაშიძე, 1986, გვ.150-154).

აფიქსოიდებით ნაწარმოებ ტერმინებს ერთგვარი შუალედური საფეხური უკავია ნაწარმოებ და რთულ ტერმინებს შორის. აშკარაა, რომ ეს ჯგუფი გამოირჩევა: ლაკონიურობით, სემანტიკური გამჭვირვალობითა და სისტემურობით – სწორედ იმ ნიშნებით, რომლებიც მნიშვნელოვანია სამეცნიერო ენისათვის.

ტერმინოლოგიური შესიტყვებები. ტერმინოლოგიური შესიტყვებები სხვადასხვა ტიპისაა:

- შედგენილი ანუ ანალიტიკური, თავისუფალი შესიტყვებები, რომელთა შემადგენელი ნაწილები დამოუკიდებლადაც ინარჩუნებენ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას, მაგ.: **პარკოსანი მცენარე, აზოტის ბაქტერიები, ორგანული ნივთიერება, მათემატიკური ფორმულა...**
- არათავისუფალი შესიტყვებები, რომელთა შემადგენელ კომპონენტებსაც ცალკე, შესაძლოა, არ ჰქონდეს ტერმინოლოგიური ღირებულება: **მწვანე გზა, შავი ქვა, ფერადი ქვები, წითელი ხალიჩა, ცივი იარაღი, ცივი ომი, მშრალი კანონი...**
- სინთეზური, ანუ იდიომატური შესიტყვებები, რომელთა დაშლაც შეუძლებელია – დაიკარგება სპეციალური ტერმინოლოგიური მნიშვნელობა: **ქართა ვარდი** (გეოგრ.), **მგლის ხახა, კურდღლის ტუჩი** (მედ.), **არქიმედეს ბორბალი, ბერთოლეს მარილი** (ტექ.)...

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ძირითადი ბაზა და თანამედროვეობის პრობლემა. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ძირითად ბაზას წარმოადგენს:

ა) სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი – ძველი სამეცნიერო თხზულებებიდან და დიალექტებიდან მომდინარე სიტყვები;

ბ) ტრადიციული სიტყვაწარმოებითი მოდელები, რომელთა მიხედვითაც ხდება ახალ ტერმინთა წარმოება;

გ) საერთაშორისო სიტყვები, რომელთაგან ზოგი დამოუკიდებლად ფუნქციონირებს, ზოგი კი სინონიმურ წყვილშია ქართულ შესატყვისთან; შდრ.: **არქეოლოგია, ბისექტრისა, გამა, ეთნოგრაფია, კვადრატი, ოქტავა, პროგრამა, პროექტი... ოურისტი – სამართალმცოდნე, ლინგვისტი – ენათმეცნიერი, მორალი – ზნეობა, მონარქი – მეფე, პრეფიქსი – თავსართი...**

ინტერნაციონალიზმების სპეციფიკაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი და ერთ მნიშვნელოვან საკითხზე კვლავ გავამახვილებთ ყურადღებას:

საერთაშორისო ტერმინების სესხება გამოცდილი და, ამავე დროს, მარჯვე საშუალებაა სპეციალურ ლექსიკაში არსებული ხარვეზის შესავსებად, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სესხება უნდა მოხდეს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში; ქართულ და უცხო ტერმინებს შორის თანაფარდობის შესანარჩუნებლად უნდა გაგრძელდეს ქართული მწიგნობრული ტრადიცია, რომელიც ორიენტირებულია, პირველ რიგში, ენის ლექსიკური ფონდისა და სიტყვაწარმოებითი საშუალებების აქტიურ ფუნქციონირებაზე.

იმერხევში ერთ-ერთი დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს ადგილობრივი მცხოვრებისაგან ჩავიწერეთ სიტყვა **საფრინავი** თვითმფრინავის აღსანიშნავად. ეს არის მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის უცოდინარი ქართველისაგან სწორად მიგნებული ქართული წარმოების ტერმინი (სა-ფრინ-ავ-ი), განსხვავებით **თვითმფრინავისაგან**, რომელიც რუსული **самолет**-ის კალკია (თავის მხრივ, რუსული ფორმა ერთ-ერთი ევროპული ენობრივი მოდელის მიხედვით შემუშავდა). ეს ფაქტი ხაზს უსვამს საბჭოთა პერიოდის ტერმინოლოგიური მუშაობის სპეციფიკას, როდესაც ქართული სამეცნიერო ენა ავტომატურად იღებდა მზამზარეულ კონსტრუქციებს რუსული ორიენტირების მიხედვით (იხ. ასევე, ღამბაშიძე, 1986, გვ. 169-170).

დაახლოებით, ორ ათეულზე მეტი წლის წინ ქართულმა საზოგადოებამ უარყოფითად შეაფასა მწერალ გ. პეტრიაშვილის პოზიცია უცხო ტერმინთა თუ კალკთა ქართული ეკვივალენტებით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით; მაგ., შდრ.: **ყელფანდური** – ვიოლინო, **ზებზრიალა** ან **ცამთქვეფია** – ვერტმფრენი და სხვ. აღნიშნულ შემთხვევებში, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია **შეჩვევის ფაქტორი,** რომლის გავლენითაც უკვე დამკვიდრებული ტერმინისა ან ნორმის შეცვლა (თუნდაც უმართებულო იყოს!) უშედეგოა; ამავე დროს, არანაკლებ პრინციპულია უცხოენოვან მასალასთან ქართული მასალის გათანასწორების, სამწიგნობრო ენის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის მცდელობა მისი ჯანსაღი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ამასვე მოწმობს ტერმინის სესხების რადიკალურად საპირისპირო შემთხვევაც, კერძოდ: სპარსულში არ მიიღეს ყველასათვის კარგად ნაცნობი **კომპიუტერი** და მის ნაცვლად ისევ ენაში მკვიდრი ლექსემა („რაიანი") გამოიყენეს[56]. ანალოგიური ვითარება დასტურდება ფრანგულშიც.

[56] მასალა მოგვაწოდა საიდ მულიანმა (მოლაშვილმა).

სავარჯიშოები

18.8.1. წაიკითხეთ და გაარკვიეთ, სავარაუდოდ, მეცნიერების რომელ დარგებს ასახავს წარმოდგენილი ტექსტები; ხაზი გაუსვით ტერმინებს.

ა) მეცნიერებმა კარგად იციან, რომ ბაქტერია განადგურების საფრთხისას, როგორც წესი, სხვადასხვა ტოქსინებს[57] გამოყოფს, რის შედეგად ადამიანს დისკომფორტი ექმნება. ანტიბიოტიკის მიღებისას მავნე ბაქტერიებთან ერთად ნადგურდება ორგანიზმში არსებული სასარგებლო ბაქტერიებიც, რაც დისბაქტერიოზს იწვევს. ამ დროს ფაგებს შეუძლია ბრძოლა მხოლოდ ზიანის მომტან ბაქტერიებთან, რა დროსაც ტოქსინები არ გამოიყოფა. ბაქტერიოფაგები ბაქტერიების ბუნებრივ გამანადგურებლებს წარმოადგენენ. მათი დანიშნულება შესაბამისი ბაქტერიის მონახვა და შთანთქმა, დაშლაა...[58]

ბ) დედამიწის წიაღში ტემპერატურის, წნევისა და ფლუიდების გავლენით გარდაქმნილი დანალექი ან მაგმური ქანებია. მაგმური ქანების გარდაქმნის შედეგად წარმოქმნილ მეტამორფულ ქანებს უწოდებენ ორთოქანებს, ხოლო დანალექი ქანების შეცვლის შედეგად წარმოქმნილს — პარაქანებს.
მაგმური და მეტამორფული ქანებითაა აგებული დედამიწის ქერქის მოცულობის დაახლ. 90%, დანალექი ქანებით მხოლოდ — 10%, თუმცა-მათ დედამიწის ზედაპირზე ფართობის 75% უკავიათ. დადგენილია, რომ დედამიწის ქერქის ზოგიერთი ქანების მსგავსი ქანებითაა აგებული დედამიწის ზედა მანტია, მთვარის, ვენერასა და მარსის ზედაპირი. ქანებს იკვლევს გეოლოგიის დარგი — პეტროგრაფია.
ქანებს როგორც სამთო დამუშავების ობიექტს, ახასიათებს სხვადასხვა ტექნოლოგიური თვისებები (სიმაგრე, აბრაზიულობა, სისალე, ბურღვადობა და სხვ.)[59].

გ) ...აქსიომაა ის, რომ სახელმწიფოს გარეშე არ არსებობს მოქალაქეობრიობა, ხოლო მოქალაქეობრიობის გარეშე არ არსებობს დემოკრატია. დემოკრატიის ჩამოსაყალიბებლად პირველი აუცილებელი პირობა არის ქვეყნის დამოუკიდებლობა და თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამიტომაც მიჩნეულია, რომ თავისუფალი, დემოკრატიული, ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობა მრავალასპექტიანი პროცესია. იგი ითხოვს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით სახელმწიფოებრივი მმართველობის ისეთი მოდელის შექმნას, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე იქნება დაფუძნებული, როგორც საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი. საამისოდ კი აუცილებელია, როგორც საკუთარი, ისე მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების ისტორიული გამოცდილების არაერთი არსებითი მხარის შესწავლა და გათვალისწინება[60].

დ) თირკმელკენჭოვან დაავადებას მრავალი მიზეზი აქვს. მის ჩამოყალიბებაში განსაზღვრულ როლს ასრულებს: ნივთიერებათა ცვლის მოშლა (ჰიპერკალციემია, შაქრიანი დიაბეტი, პოდაგრა და სხვა)... შეგუბებითი პროცესები საშარდე სისტემაში; კვების თავისებურება. დიდი მნიშვნელობა აქვს საკვებში მინერალური ნაერთების შემცველობას და წყლის ქიმიურ შემადგენლობას, ასევე - მიღებული სითხის ოდენობას. განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს ასევე გეოქიმიურ და კლიმატურ პირობებს... კლიმატური პირობების, წყლის, ნიადაგის მინერალური შემადგენლობის, საკვების ხასიათის მიხედვით შეადგინეს თირკმელკენჭოვანი დაავადების გავრცელების რუკა. აღმოჩნდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი კახეთის რეგიონში, ეს დაავადება უფრო მეტად არის გავრცელებული, ვიდრე დასავლეთ საქართველოში, სადაც რაციონში მცენარეული საკვები ჭარბობს[61].

---

[57] სხვადასხვა წარმოშობის ნივთიერებები, რომლებიც იწვევენ ორგანიზმის ნორმალური ფუნქციების დარღვევას.
[58] http://online.tsu.edu.ge/ge/science/9960/?p=9 მოძიებული: 3.09.2019
[59] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98_(%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90)მოძიებული: 3.09.2019
[60] https://for.ge/view/18110/ras-gulisxmobs-saxelmwifos-marTvis-efeqturi-meqanizmi.html მოძიებული: 3.09.2019
[61] https://mkurnali.ge/kosmetologia/2161.html მოძიებული: 3.09.2019

ე) საქართველოს საბანკო სისტემა, რომელიც 21 ბანკს, მათ შორის 19 ქართულ და 2 უცხოური ბანკების ფილიალს აერთიანებს, სულ უფრო მიმზიდველი ხდება მისი განახლებული მენეჯმენტისა და მომსახურების ხარისხის გამო. მთელი საბანკო სისტემის საერთო აქტივების მოცულობამ 2005 წლის სექტემბრისთვის 2 მილიარდ 111 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ქართველი ექსპერტების ვარაუდით, ეს მაჩვენებელი შესაძლოა წლის ბოლოსთვის 2 მილიარდ 300 მილიონ დოლარამდე გაიზარდოს... 2000-2001 წლიდან საბანკო დეპოზიტების მდგრადი ზრდა დაფიქსირდა. მხოლოდ 2005 წლის პირველ ნახევარში დეპოზიტების საერთო რაოდენობა 22%-ით გაიზარდა. ექსპერტები ამ პროგრესს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდით, შემცირებული კომერციული რისკით და დასავლური სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესებული მენეჯმენტის და მომსახურების სისტემით ხსნიან[62].

18.8.2. მოიძიეთ ფილოსოფიურ ტერმინთა ლექსიკონი და გაეცანით „ა“ ასოზე წარმოდგენილ მასალას; დაადგინეთ:
– ქართული და უცხო ტერმინების თანაფარდობა;
– უცხო ტერმინების წარმომავლობა.

18.8.3. წინა სავარჯიშოებში დამუშავებული მასალის მიხედვით, დაწერეთ თქვენი მოსაზრება თემაზე: ***თანამედროვე ქართული სამეცნიერო ენის პერსპექტივები.*** **გამოიყენეთ საკვანძო სიტყვები:** ***ტერმინოლოგია, ენის ლექსიკური ბაზა, სესხება, ენათა კონტაქტები.***
მოცულობა: 80–100 სიტყვა.

18.9. ნეოლოგიზმები

მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების დარგებისა თუ საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებას თან სდევს ენაში **ნეოლოგიზმების** (< ბერძ. neos – „ახალი“, logos – „სიტყვა“) – ახალი სიტყვების / გამოთქმების გაჩენა.

ცნობილია ნეოლოგიზმების მიღების რამდენიმე ხერხი, მაგ.:

- საერთაშორისო სიტყვების სესხება (იხ. ზემოთ, საერთაშორისო სიტყვები);
- ენაში უკვე არსებული სიტყვის ახალი მნიშვნელობით გამოყენება; მაგ., ცნობილია, რომ **ლიანდაგი** – ისტორიულად „სარჩულსა და საპირეს შუა გავლებული ნაკერების“ აღმნიშვნელი სიტყვა (საბა, ნიკო და დავით ჩუბინაშვილები) – XIX საუკუნის ბოლოს გამოიყენეს უცხო ტერმინის – **რელსის / რელსების** ქართულ ეკვივალენტად (ნიკო ნიკოლაძე); ასევე, სიტყვა **ფარდი**, მნიშვნელობით: „ტოლი-ტოლი, მისი ტოლი“ (საბა, ნიკო და დავით ჩუბინაშვილები) იქცა მათემატიკურ ტერმინად; შდრ.: **ფარდი რიცხვები, ფარდობითობის თეორია...**
- სიტყვაწარმოება და კომპოზიცია (იხ. ზემოთ); ცნობილია ქართველ მოღვაწეთა მიერ აღნიშნული მეთოდებით შემუშავებული შემდეგი ნეოლოგიზმები: **გონიერი, უპირატესი** (იოანე პეტრიწი); **არსი, მეცნიერება** (ეფრემ მცირე); **შინაარსი, აგებულება, სინამდვილე, უარყოფა, ღირებულება, აღებ-მიცემობა, მოთხოვნილება, მყავა, ნახშირმჟავა, ფხვნილი** (ილია ჭავჭავაძე); **აღქმა, განწყობა** (დიმიტრი უზნაძე); **ტანვარჯიში, მსაჯი, მთამსვლელობა** (გიორგი ნიკოლაძე); **ასანთი** (ალექსანდრე ჯანელიძე); **განტოლება** (ნიკო მუსხელიშვილი); **შვებულება** (ვუკოლ ბერიძე); **ორთქლმავალი** (ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი); **ჟანგბადი** (ვასილ პეტრიაშვილი); **შეთანასწორება** (ანდრია რაზმაძე); **სამაროვანი** (სტეფანე მენთეშაშვილი); **ქვემეხი** (კონსტანტინე გამსახურდია) და სხვ.

ცხადია, ყველა ახლად შექმნილი სიტყვა ვერ დამკვიდრდება ენაში. თავის დროზე ასეთი ბედი ეწია, მაგ., ფორმებს: **მოქალაქებური, გენიოსებური, ადმინისტრატებური, დრამატებური, დემოკრატებური** და სხვ., რომლებიც ი. ჭავჭავაძემ შეიმუშავა ძველ წყაროებში „დაჩემებული და

[62] https://old.civil.ge/geo/article.php?id=10823 მოძიებული: 3.09.2019.

ხმარებული“ -ებურ სუფიქსიანი წარმოების მიხედვით: როგორც თავად შენიშნავს გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთ სარედაქციო წერილში („ივერია, 1886, N 12, გვ. 1), ნიმუშად აუღია „ქართლის ცხოვრებაში“ ამოკითხული ფორმა: **ყმებური** („შენ გიბრძანებია... კვალად ნათესავთა ზედა თავისუფალსა დადებად ხარკი ყმებური...“). აღნიშნული წარმოების უპერსპექტივობასთან დაკავშირებით, საყურადღებოა გრამატიკოს ს. ხუნდაძის კომენტარი: „აუღია ერთ დიაკონს ძველი სამოციქულო... ბევრი ჩხრეკის შემდეგ წასწყდომია ფორმას „ყმებური“ და გარდაუწყვეტია, რომ ამის შემდეგ ხონელებურიც შეიძლება და ქარაფშუტებურიცო... ეხ, თქვე მართლაც და დიაკვნებო და დიაკვნებურებო!“ (ხუნდაძე, 1886, გვ. 133).

ლექსიკური ფონდის კუთვნილებად ასევე ვერ იქცა XIX ს-ის II ნახევრის პრესის ენაში დადასტურებული სხვა ფორმებიც: **უორგანიული** შდრ.: **არაორგანული; ცილთგვარი ნივთიერება**, შდრ.: (ძვ.) ცილა და სხვ. (ვაშაკიძე, 2009, გვ. 179-180); მიზეზი ენის განვითარების შინაგანი კანონზომიერებაა.

ნეოლოგიზმების დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სიტყვა აგებული იყოს ენის **გრამატიკული კანონების** მიხედვით და **გავრცელდეს მეტყველებაში:** საზოგადოება მიეჩვიოს ახალი სიტყვის / ფორმის აქტიურად გამოყენებას; ხშირად გავრცელებულობა მთავარ მნიშვნელობას იძენს, სხვა ფაქტორებთან შედარებით (იხ. ზემოთ: 0.6. სალიტერატურო ნორმის დადგენის პრინციპები).

სავარჯიშოები

18.9.1. ახსენით, რამდენად გავრცელდა გამუქებული ფორმები ენაში და რატომ; შეცვალეთ ისინი თანამედროვე სალიტერატურო შესატყვისებით.

1) „ეს სოფელი, სამყო ძნელი, /მჩვენებელი ჭმუნვის ალთა!/
რა ვიშვებით, მყისვე ვსტირით, /ვით წინად მგრძნი მომავალთა“ (ალ. ჭავ.).
2) „კაცთ უბედობა, თუმცა **სატირე**, –. / გარნა რად **განსაკვირე**, –
ამა სოფლისა დიდი და მცირე /არს ცვალებისა **მზირე**“ (ალ. ჭავ.).
3) „იმ გამომცემს, რასაკვირველია, სხვა, **შიგნიტიკური**, მისატევებელი მიზეზი ექნებოდა ქებისა, რადგანაც მარტივნი ამა ქვეყნისა მალე დაიტაცებდნენ გამოცემულ წიგნსა და მით გაახარებდნენ გამომცემის მგლოვიარე ჯიბესა“ (ჭავ.).
4) „**მართლიერება**... მთელის ერის განწმენდილი სინდისია“(ჭავ.).
5) „ღვინოში ორგვარი სიმჟავენი არიან: 1. ორგანული სიმჟავენი და 2. **მინერალური** სიმჟავენი“ (პეტრ.).
6) „...ამბობენ, რომ **ვენახიანობა** განვითარდებაო“ (ჭავ.).
7) „სხვა მიწის **მოქმედებასაც** ეტანებიან, მაგალითებრ, ... **მებაღობას**“ (ჭავ.).
8) „მახსენდება საშინელი, საზარელი სიტყვა „**ჩამომალაბორანტეს**“ (დოჩ.).
9) „ეს **მესკამურები** მეჩეჩზე გარჩენილი მენავეებივით არაფერს ზოგავენ თავის გადასარჩენად“ (ფუტკ.).
10) „მისთვის ... პრობლემა აღარ არსებობს, უკვე **მოიმწვანილა** („ალია“).

18.9.2. ჩამონათვალიდან შეარჩიეთ სიტყვა და საჭირო ფორმით ჩასვით გამოტოვებულ ადგილებში.
ლიდერი, ფინანსები, ილუზიები, ესთეტიკა, პამფლეტი, ფალსიფიკაცია, დიქცია, კონსტრუქცია, ავტორიტეტი, რეკლამა, ლენი, ექსტრემალური.

1) ერთ მშვენიერ დღეს მშობლებმა აღმოაჩინეს, რომ შვილების თვალში საკუთარი ... გამყარება სჭირდებოდათ.
2) მსუბუქი რკინის ... სწრაფად აგებადი სამშენებლო სისტემაა.
3) ძლიერი ... ინტუიციით ხვდება, რა შორს შეიძლება წავიდეს ... სიტუაციაში გადაწყვეტილებების მიღების დროს.
4) მისი თხზულება ... იქნება, თუ ძაგებაა და ... – თუ ქებაა.
5) შეუდარებელია მსახიობის ..., სიტყვის მკაფიოდ გამოთქმა.
6) ... შეისწავლის ხელოვნების განვითარების კანონზომიერებებს.
7) საფრანგეთის კანონები წყლის ჩამატებასაც კი ღვინოში ... ეძახიან, ესე იგი ყალბი ღვინის კეთებას.
8) ... ერთგვარი მიწისმფლობელობა იყო შუა საუკუნეებში.
9) ახალგაზრდობაში ის პოლიტიკაში იყო ჩაბმული, მაგრამ მალე დაემსხვრა ... და იმედგაცრუებული დარჩა.

10) ... ყოფიერებაში ხშირად იხმარება, როგორც ფულის აღმნიშვნელი სიტყვა.

18.9.3. გაეცანით XIX-XX სს. პრესის მასალებს; დაადგინეთ, რომელი ენობრივი მოვლენის საფუძველზე შემუშავდა კონკრეტული ნეოლოგიზმი.

ა) „**ქვეშევრდომი** არის ახალი სიტყვა, რუსულიდან გადმოკეთებული **подданный**; ჩვენში სიტყვა **ყმა** ჰნიშნავდა, რასაც ჰნიშნავს რუსული **подданный**. დროთა ცვლილებამ ... გადააქცია **ყმა подданный ყმათ крепостной** და ეს ახალი მნიშვნელობა მისცა“ („გუთნისდედა“, 1873, N 16, გვ. 2).

შენიშვნა: დღეს ენაში გამოიყენება ორივე სიტყვა: **ქვეშევრდომიც** და **ყმაც**; მათი მნიშვნელობები ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულია (ქეგლ-ი VII, 1962, გვ. 314-315), რაც ორი სინონიმური ფორმის თანაარსებობის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში.

ბ) „ამ ბოლო დროებში ჩვენმა ინსტიტუტისა და ზავედენიის ქალებმა, ესე იგი რუსულათ დასდილებმა **თეთრეული** დაარქვეს **белье**-ს, როდესაც ქართულად **белье** არის **სარეცხი**. **თეთრეული** არის **молочное**. ვაი ქართული ენის ბრალიცა ამ რუსინკაებისა და ამათ მსგავსების გადამკიდე!“(„გუთნისდედა“, 1875, N 7, გვ. 2).

შენიშვნა: **თეთრეული** თავდაპირველი მნიშვნელობით დღეს მხოლოდ დიალექტურ მეტყველებაშია შემორჩენილი (ღლონტი, 1984, გვ. 246).

გ) „**უჯრედი клетка** უნდა იყოს ბამი... რუსის მეცნიერებმაც ამ ასიოდე წლის წინათ აიღეს და ლათინურიდან პირდაპირ გადმოსთარგმნეს **celula, клетка, клеточка**, რადგან უკეთესი არ მოეძებნებოდათ რა; ქართველებმაც თავი არ შეიწუხეს... და **უჯრედი** დაანათლეს... ქართველებს გვაქვს საუცხოო ტერმინი: **ბამი**... ეს სიტყვა ...გვამცნევს, რომ იგია დასაბამი ყოვლისა სიცოცხლისა... სამაგიეროს რას გვეუბნება დამსხვრეული **უჯრედი**?!“ („განათლება“ 1914, N 4, გვ. 318).

დ) „სიტყვა **გაზი** თქვენის თარგმანით არის **ჰაერგვარი**. ტყუილა გარჯილხართ, **გაზი** ქართულადაც **გაზია**. ამ ტერმინს მთლად განათლებული საზოგადოება ხმარობს და სულაც არ მიაჩნიათ სათაკილოდ, ლათინებიდან და ბერძნებიდან ისესხონ, შემოიღონ ის, რაც თითონ არა აქვთ. ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ასახსნელად ვსთქვათ, რომ გაზი არის ჰაერგვარი სხეული, ხოლო ტერმინად, ტექსტში სახმარებლად **ჰაერგვარი** სრულებით უხერხული და უვარგისია“ („განათლება“, 1914, N 6, გვ. 71).

16.9.4. წაიკითხეთ ამონარიდი გ. ტაბიძის დღიურიდან; ხაზი გაუსვით პოეტის მიერ გამოყენებულ ნეოლოგიზმს / ნეოლოგიზმებს და დააზუსტეთ მისი / მათი მნიშვნელობა; მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტწყაროსა და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

ჩამომთვლელები

...აიღეთ, მაგალითად, კრიტიკოსების მიერ საქართველოში (მხოლოდ საქართველოში და არსად სხვაგან) მიღებული წესი: აიღებენ ერთ ტემას: ვთქვათ, სიტყვაზე, „სოციალისტური რეალიზმი ქართულ მწერლობაში“.

ახალი ამ წერილებში არაფერია. ჩააბულბულებს მკითხველი წერილს და ვერას გაიგებს რა.

წერილი ჩვეულებრივად მთავრდება ჩამოთვლით: „ასე სწერენ: გ. ლეონიძე, გ. ტაბიძე, ა. შანშიაშვილი, გრიშაშვილი, ქუჩიშვილი და სხვ. და სხვ.“ (მოყვანილია მთელი სია მწერალთა კავშირის წევრებისა).

გაუპიროვნება - აი, რა ეწოდება ამგვარ ჩამოთვლას. დიდი ზიანი მოაქვს ამას. აიღეთ მაგალითისთვის „ლიტერატურული ძიებანი“, უკანასკნელი ნომერი, იქ მოთავსებულია შ. რადიანის წერილი „სოციალისტურ რეალიზმზე“. როგორაა ერთი მეორეზე მიყრილი მწერლობა.

უბრალოდ არ ჩაუვლისთ!

1951, 20 იანვარი, დილა [63]

[63] http://galaktion.ge/?page=Diaries&year=1951&p=1&id=4573 მოძიებული: 2. 09. 2019

18.10. არქაიზმები და ისტორიზმები

არქაიზმი (< ბერძ. archaios – „ძველი“) მოძველებული, ყოველდღიური ხმარებიდან გამოსული სიტყვა, გამოთქმა ან გრამატიკული ფორმაა. მაგ., დღეს ლექსიკურ არქაიზმებს წარმოადგენს:

ავლი – ფერფლი; **აზავერი** – ხარი; **აპნისი** – იანვარი; **არგანი** – ჯოხი; **აღვსება** – ორშაბათი; **ბაო** – მცირე ჩრდილი; **ბრპენი** – ტყვია; **ბღუარი** – სამხრეთი; **გირჯაკი** – ქეჩა, ხალიჩა; **გოლი** – ფიჭიანი თაფლი; **გუალაგი** – ხურჯინი, ტომარა; **დავლა** – ქონება; **დათხევა** – რაიმე თხევადის დაქცევა; **დედაზარდლი** – ობობა; **დიდროა** – მდინარის ადიდება; **ერგასი** – ორმოცდაათი; **ერისაგანი** – ჯარისკაცი; **ვანი** – სადგომი; **ზაპილო** (სნეული, უღონო); **ზუერი** – ბაჟი; **თაფლუჭი** – თაფლის არაყი; **თხიერი** – ტიკი; **კარაული** – ვირი; **კონჩო** – დამპალი შეშა; **კუართი** – პერანგი; **კუბასტი** – ლეჩაქი; **ლალვა** – ჩხუბი; **მლალავი** – მოშუღარი; **მახალი** – ჩანთა, ხურჯინი; **მახალაკი** – აბგა, პატარა ჩანთა; **მეზუერე** – მებაჟე; **მესათხევლე** – მებადური; **მრწემი** – უმცროსი; **პაშტაი** – საკმაო; **სამსჭუალი** – ლურსმანი; **სენაკაპანი** – საწოლის მცველი; **სირი** – ჩიტი; **სიყმილი** – შიმშილი; **ტაგრუცი** – საფლავი; **უდები** – ზარმაცი; **ფინი** – იატაკი; **ფრდა** – ყიდვა; **ფრდილი** – „სყიდული“, ნაყიდი; **ხელარგოსანი** – ხელჯოხიანი; **ხორშაკი** – ცხელი ქარი; **ჯერკუალი** – უკეთური...

შესაძლოა, არქაული იყოს:

- წარმოება / კომპოზიცია; შდრ.:
  მიყვარან ისინი – მიყვარს ისინი
  მომეც ჩვენ – მოგვეც ჩვენ
  გეტყვი თქვენ – გეტყვით თქვენ
  გინებს – გინდა
  ნასამალი – მესამედი
  აფხუშოური ქალი – აფხუშოელი ქალი...
  დედის-დისწული – დეიდაშვილი
  მამა-დედაი – დედ-მამა
  ნუგეშინის-ცემა – ნუგეშისცემა
  თავის-მოყვარე – თავმოყვარე...
- ბგერითი აგებულება, შდრ.:
  თქუენ – თქვენ
  გუშლვეშაპი – გველეშაპი
  გძღარბი – ზღარბი
  გრკალი – რგოლი, რკალი
  სძალი – რძალი
  ლბილი – რბილი
  ტფილი – თბილი
  ოთხმეოცი – ოთხმოცი
  ზროხა – ძროხა
  პალური – პანღური
  კენწერო – კენწერო...
- წინადადება, თავისი მორფოლოგიურ-სინტაქსური წყობით; შდრ.:
  „აბრამ შვა ისაკ“;
  აბრამმა შობა ისაკი.
  „ცოდვაი ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის“;
  ჩემი ცოდვა მუდამ ჩემ წინაშეა.
  „საქმემან შენმან წარმოგაჩინოს“;
  შენი საქმე გამოგაჩენს.
  „[ღრუბლებმა] მიაშურეს ლილისფერ მთათა...“
  [ღრუბლებმა] მიაშურეს ლილისფერ მთებს...

ისტორიზმები იგივე არქაიზმებია, მხოლოდ, ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, ისინი გარკვეული მოძველებული რეალიების აღსანიშნავად გამოიყენება. ეს შეიძლება იყოს: საზოგადოებრივი ყოფა, წეს-ჩვეულებები, ჩაცმულობა და ა. შ. მაგ., ისტორიზმებია:

მწიგნობართუხუცესი, სპა, ბაზიერი, ტყავკაბა... გუთნეული, გუთნისდედა, ყევარი, ქცევა, მოჯამაგირე... სირაჯი, მიკიტანი, დალალი, ამქარი... ბოლშევიკი, ტროცკისტი, სტახანოველი, სოციეჯიბრი, კომუნისტური შაბათობა, კომკავშირის მდივანი, ოქტომბრელი... ფრიადოსანი, სამოსანი...

დროთა განმავლობაში, შესაძლოა, გააქტიურდეს ზოგიერთი არქაიზმი, მაგ.: **რამეთუ** – კავშირი, **კირჩხიბი** – ზოდიაქოს ნიშანი, **ლარი, თეთრი** – თანამედროვე ქართული ფულის სახელები, **იფქლი** (მვ. ხორბალი) – პურის სადისტრიბუციო კომპანიის სახელწოდება... ასევე – ხელოვნურად მიიჩრდილოს ლექსემათა გარკვეული ჯგუფი; მაგ., საბჭოთა პერიოდში ისტორიზმებად განისაზღვრა საეკლესიო ღვთისმსახურების სიტყვები: **წირვა, კურთხევა, ნათლისღება, ზიარება, პარაკლისი...** (ფოჩხუა, 1974, გვ. 229-230), დრომ კი გვიჩვენა, რომ ეს იყო მხოლოდ საბჭოთა პოლიტიკური განაჩენი და არა რეალობა.

დღეს არქაიზმებისა და ისტორიზმების დანიშნულება მკაფიოდ განსაზღვრულია: მათ იყენებენ სამეცნიერო კვლევებისათვის, ასევე – მხატვრულ ლიტერატურაში სათანადო ეპოქის ფონის შესაქმნელად და სხვ.

სავარჯიშოები

18.10.1. პალესტინის ჯვრის მონასტრის კედელზე შესრულებული წარწერიდან (VI ს.) ამოიღეთ ტექსტის არქაულობის დამადასტურებელი მაგალითები მითითებული პუნქტებისათვის; გასწვრივ წარმოადგინეთ თანამედროვე ქართული შესატყვისები.

„შეწევნითა ქრისტჱსითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორეჲსითა შეიწყალენ ანტონი აბაჲ და იოსია მომსხმელი ამის სეფისაჲ და მამა-დედაჲ იოსიაჲსი. ამენ".[64]

1. **სიტყვის ბგერითი აგებულება** (2):
———— /
———— /
2. **კომპოზიცია** (1):
———— /
3. **ლექსიკური არქაიზმი** (2):
———— /
———————— /
4. **სიტყვათა თანმიმდევრობა** (2):
———————————— /
———————————— /

18.10.2. ძველი ლექსემები და გრამატიკული ფორმები **შეცვალეთ თანამედროვე ქართული შესატყვისებით.**

1. „ჩემს უყვარს გულსა დაღრეჯილს, / ცა მოღრუბლული რისხვითა" (ორბ.).
2. „მხოლოდღა ვსჭვრეტ ციაგსა ცასა..." (ჭავ.).
3. „[გულს] მოთქმითა ნუგეშ-ეცემის და ჭმუნვა მითცა შემცირდებისა" (ორბ.).
4. „სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად?" (ბარათ.).
5. „ასეთი დარი თუ იყო მაშინ, ოდეს თბილისი აიღეს სპარსთა?" (კალან.).
6. „კახურის ღვინით აღვსილი აზარფეშაცა ხელს გვეპყრას" (ორბ.).
7. „გაზაფხულის ჟამს სასურველს / ყოვლი იშვებს, ყოვლი ჰხაროობს!" (ორბ.).
8. „თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა" (კალან.).
9. „აღმოხდა მნათი აღმოსავალს, მზეებრ ცხოველი" (ბარათ.).
10. „ვჰფუცავ ძლიერსა სხივსა შენსა, ჰოი, მნათო ჩემო!" (ბარათ.).

18.10.3. წაიკითხეთ ტექსტი, ხაზი გაუსვით არქაიზმებსა და ისტორიზმებს; სიტყვაში: „ბერიკულად" გამოყავით ძირი, აწარმოეთ სხვა სიტყვები და დააზუსტეთ მათი მნიშვნელობა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. გაეცანით, ასევე, ინტერნეტმასალას:

---

[64] ტექსტის დეტალურად შესწავლისათვის იხ. გ. წერეთელი, *უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან*, თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960 წ.

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90
მოძიებული: 2.09.2019.
http://www.dzeglebi.ge/statiebi/etnografia/qartuli_xalxuri_dgesascaulebi.html
მოძიებული: 2.09.2019.

ყეენობა იყო ...გრანდიოზული გასართობი, რომელსაც საერთო დღესასწაულის ხასიათი ჰქონდა... გიორგი წერეთლის სიტყვით: „ამ ... საყვარელი ჩვეულებით ყოველი ქართველი წელიწადში ერთხელ მსახიობობით გამოიხატავს თვალწინ წარსულ ისტორიულს სურათს. რაში მდგომარეობდა ეს სურათი? იმაში, რომ ...ხშირად შემოსულან ძველ დროში სხვა-და-სხვა ქვეყნის ყეენები, მაგრამ იმათი ბატონობა დღეგრძელი არ ყოფილა. ბოლოს მაინც, ადრე თუ გვიან, საქართველოს ერი ამდგარა, „განუხეთქია აპეურნი მათნი და განუგდია უღელი მათი".

...ყველიერის ორშაბათს, ტფილისის თვითოეულ უბანს თავისი უბნის ყეენი გამოჰყავდა... ამ კაცს მორთავდნენ კარიკატურულად: თავზე ეხურა შაქრის ქაღალდისაგან გაკეთებული წოწოლა ქუდი, ერთ ხელში ხმლის მაგივრად ქაფქირი ეჭირა, მეორეში ჟანგიანი შამფური, რომელზედაც ვაშლი ან ხახვი იყო წამოგებული. ყელზე ეკიდა თაღლითი მძივები, ტანთ ეცვა გადმობრუნებული ტყაპუჭი, რომელზედაც მოჭერილი ჰქონდა თივისაგან დაგრეხილი მსხვილი თოკი (თულო); სახე გამურული ჰქონდა და სხვა. აი, ამგვარად მორთული ყეენი იჯდა აქლემზე და თან „ბერიკულად" გადაცმული ხალხი – ყეენის ამქარი – ზურნის დაკვრით და ხმაურით მისდევდა. პროცესია მიდიოდა ქუჩაში რამოდენიმე ხელჯოხიანის წინამძღოლობით; ხოლო რომელსაც დიდი ყავარჯენი ეჭირა. ის ამ ხელჯოხიანების უფროსი იყო (ეტიკი), ყეენის ამალა გამვლელ-გამომვლელებს გზას უღობავდა და ყეენის სასარგებლოდ ხარკს ახდევინებდა... ეს წინამძღოლი დუქნებშიაც შედიოდა და ყველა მოვაჭრე ვალდებული იყო გადაეხადა მასზე გაწერილი თანხა...

ზოგს ყეენს გვერდით დედოფალიც ჰყავდა (ქალურად გადაცმული ვაჟი) და ირგვლივ ნაზირ-ვეზირი ეხვია. ერთი უბნის ყეენი მეორე უბანს არ უნდა შეხვედროდა. თორემ თუ ძველად ხმლებით და საცერულებით იბრძოდნენ, ეხლა ბრძოლა ჰაერში კეტების ტრიალით იწყებოდა... (ი. გრიშაშვილი)[65].

18.10.4. ი. გრიშაშვილის ლექსიდან ამოიწერეთ ისტორიზმები და მოიძიეთ მათზე ინფორმაცია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

გამოთხოვება ძველ თბილისთან ანუ დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს

I.

შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა,
ქორონიკონის კენტი და ლუწი,-
მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა
რა სურათები მოქარგა უწინ.
თუ ჩაგივლია სირაჩხანისკენ,
დაჰკვირვებიხარ ამ ქუჩებს კარგად -
გაგაოცებდა რუმბების სისქე
და ჭიანურზე დაკრული ჩარგა.

სიძველისადმი გრძნობა, პატივი,
თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს -
მიხვდები, ასე ანდამატივით
რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს.
მიხვდები, რატომ არ დაერიდა
ჩემი ლექსები პოეტთა კილვას
და რატომ ვცდილობ ამიერიდან
ასე თამამად წარსულის ხილვას.

---

[65] http://www.dzeglebi.ge/statiebi/etnografia/yeenoba.html
მოძიებული: 2.09.2019

აი, სეირი ჯერ არნახული!
სადღაა ეშხი და სილამაზე!
არ ჩანს ურმები მოჩარდახული
ღამისმთევლებით ბოლნისის გზაზე.
ღვინოს საფლავზე არავინ მიგიტანს,
ჩამოიხია ბაღდადის ფოჩი,-
ეხ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს
თავის დუქანთან მიბმული ყოჩით!
კრივი, ამქარი, ცეკვა, ართურმა –
ეს ადათები ძველთაგან ძველი,
გადაივიწყა სიტყვამ ქართულმა
და დამრჩა... სევდა წარუბაძველი.
II.
აი, პარმაღზე ვწევარ გულაღმა.
ჩემი ოცნება ფრენას ვერ ითმენს.
აი, აფეთქდა აისი ნაღმად.
აი, ლექსისთვის ვეწვიე რითმებს.
ძველებურ განცდით ვდარაჯობ ნიავს,
რომ შორეული ჰანგი მომფინოს -
მაგრამ ზურნის ხმა ვიღაცას მიაქვს,
ვერ აღწევს ჩემი სახლის ლორფინოს.
დუდუკის ნაცვლად – ქარხნის საყვირი.
დუმბო და ზილი დაახშო რკინამ,
ბულბულს – ყაფაზა, გრძნობას-აღვირი,
აღარც დუდუკი... აღარც ყიჟინა...
და მე არ ვიცი ვიღას ვემონო,
ასეთ ყოფაში თითქოს მოვბერდი...
ვრჩები ოტელო უდეზდემონოდ
მე, სხვა ცხოვრების წინამორბედი.
ძველო თბილისო! დღეს ისე მკვეთრად
ვეღარ შეგაქებ... არ მაქვს უნარი...
მაგრამ ვამაყობ, რომ ჩემთან ერთად
დარჩები მუდამ გაუხუნარი.
ძველო თბილისო! ჩემი მიზნები
აღარ მაქვს, გულში რომ გინახავდი...
გადაწყდა, უნდა შევცვალო გზები...
ძველო თბილისო... გტოვებ... ნახვამდის...

ტესტი N 18.1 –18.10.

– საერთოქართველური სიტყვები
– საყოველთაოდ გავრცელებული და დიალექტური ლექსიკა
– ნასესხები სიტყვები
– საერთაშორისო სიტყვები
– კალკი
– ბარბარიზმები
– ძირეული, წარმოქმნილი და რთული სიტყვები. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები
– ტერმინები
– ნეოლოგიზმები
– არქაიზმები და ისტორიზმები

1. რომელია სწორი პასუხი:
ენაში გამოიყოფა საერთოქართველური სიტყვები (ნათესაობის, რაოდენობის, ცხოველთა, მცენარეთა, ბუნების მოვლენების ამსახველი და სხვ.), რომელთაც შესატყვისები ეძებნება:
ა) ქართველურ დიალექტებში;
ბ) დიალოგურ მეტყველებაში.

2. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.
საყოველთაოდ გავრცელებულ ლექსიკას იყენებს:
ა) საზოგადოების ყველა წევრი;
ბ) საზოგადოების ერთი ნაწილი.

3. რომელია სწორი?
ცნობილია დიალექტური ლექსიკის
ა) ორი ძირითადი სახე: ტერიტორიული და სოციალური;
ბ) სამი ძირითადი სახე: ტერიტორიული, სოციალური და ქალაქური.

4. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელთა სპეციფიკური ყოფის ამსახველი სიტყვებია.
ა) ბოვში, ცხორი, ზრუგი, სოველი;
ბ) ორმოსავალა, მორადი, ბანდული, დაორყურება.

5. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც დიალექტური ფორმებია.
ა) ტვირთი – ჭვირთი, წათხი – წყათე, შეკაზმული – შეკმაზული;
ბ) ქვევრი – ჭური, ხბო – ბოჩოლა, ჩურჩხელა – ჯანჯუხი...

6. რომელია სწორი პასუხი?
ჟარგონი არის:
ა) ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი სიტყვა ან გამოთქმა სალიტერატურო ენაში;
ბ) ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის მეტყველებისთვის დამახასიათებელი სიტყვა ან გამოთქმა.

7. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ახალგაზრდობის სლენგია.
ა) პინგვინი (აბიტურიენტი), აითესა (გაიპარა), ჩიჩია (ხორცი);
ბ) მზექალი (მზე), ბუბუნა (ხარი), კიკინმაღალი (თხა).

8. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
მწერლობაში პერსონაჟის მხატვრული სახის შესაქმნელად აქტიურად იყენებენ:
ა) ჟარგონს;
ბ) დიალექტიზმებს;
გ) როგორც ჟარგონს, ისე დიალექტიზმებს.

9. რომელი პასუხია მცდარი?
ნასესხები სიტყვების გარჩევა ჭირს:
ა) საკუთრივ ქართული სიტყვებისგან;
ბ) ინტერნაციონალიზმებისგან.

10. რომელი პასუხია სწორი?
სიტყვები: **კოშკი** და (ალ)-**ისკანდერი**
ა) უშუალო სესხების მაგალითებია;
ბ) შუალობითი სესხების მაგალითებია.

11. რომელი პასუხია მცდარი?
საერთაშორისო სიტყვები / ინტერნაციონალიზმები, ძირითადად, ბერძნულ-ლათინური ძირებიდან მომდინარე ლექსემებია, რომლებიც:
ა) ყველა ენაშია შესული;
ბ) მხოლოდ ევროპულ ენებშია შესული.

12. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც განსხვავებული წარმომავლობის ინტერნაციონალიზმებია.
ა) კარატე, შარიათი, ჩალმა;
ბ) იმუნიტეტი, მაქსიმუმი, ციფრი.
13. რომელია სწორი პასუხი?
სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდისათვის აუცილებელია:
ა) ნასესხობებისა და ინტერნაციონალიზმებისგან თავის არიდება;
ბ) ნასესხობებითა და ინტერნაციონალიზმებით გამდიდრება.
14. შემოხაზეთ მცდარი განმარტება.
პურიზმი ისეთი მიმართულებაა, რომელიც:
ა) ეწინააღმდეგება საერთაშორისო სიტყვების ენაში დამკვიდრებას;
ბ) ეთანხმება საერთაშორისო სიტყვების ენაში დამკვიდრებას.
15. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ინტერნაციონალიზმთა გაუაქტიურებელი ქართული ეკვივალენტებია.
ა) ჰოგრიტი, მოწოწნიკი, ბანჭვინი, რონოდა;
ბ) ნათურა, ხრახნი, წნეხი, სინჯარა.
გ) ბინოკლი, სოსისი, ბენზინი, ვაგონი.
16. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
კალკი განიმარტება, როგორც:
ა) უცხო სიტყვის ნაწილობრივი (ან სემანტიკური, ან სტრუქტურული სესხება);
ბ) უცხო სიტყვის სრული (სემანტიკური და სტრუქტურული სესხება).
17. რომელია სწორი?
ქართ. **შთაბეჭდილება** (შდრ.: ფრანგ. impression – რუს. Впечатление) არის:
ა) სემანტიკური სესხების მაგალითი;
ბ) სტრუქტურული სესხების მაგალითი.
18. რომელია მცდარი განმარტება?
ანგარიში გადახდაზე (შდრ. გადახდის ანგარიში) არის:
ა) ფრაზეოლოგიური კალკირების მაგალითი;
ბ) ლექსიკური კალკირების მაგალითი.
19. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ა) ბარბარიზმები ენაში არასაჭიროდ შემოსული სიტყვებია;
ბ) ბარბარიზმები ენაში საჭიროების გამო შემოსული სიტყვებია.
20. რომელია სწორი?
სიტყვები: **ივენთი, სტარტაფი და რიდერი**
ა) ინტერნაციონალიზმებია;
ბ) ბარბარიზმებია.
21. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ძირეული სიტყვების ფუძე:
ა) მარტივია, დაუშლელია;
ბ) აფიქსით / აფიქსებით ნაწარმოებია;
გ) ორი ან მეტი ფუძით არის შედგენილი.
22. რომელია მცდარი?
აბსტრაქტული სახელების მაწარმოებლებია:
ა) -ა, -აკ, -უნა, -უნია, -იკო... სუფიქსები;
ბ) სი–ე და -ება / -ობა აფიქსები.
23. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
პარალელური წარმოების ფორმებიდან: **მომსახურება / მომსახურეობა** არანორმატიულად ითვლება:
ა) მომსახურეობა;
ბ) მომსახურება.
24. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
ზარაქიანი, იღბლიანი, მშვენიერი არის;
ა) ქონების სახელები;
ბ) წინა ვითარების სახელები.
25. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც დანიშნულების სახელებია.
ა) სამკერდე – სამკერდული, საცოლე – საცოლო;
ბ) არაწესიერი – უწესო, არამართებული – უმართებულო.
26. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ტერმინოლოგია:
ა) საერთო-სალიტერატურო ენის ბაზაზეა განვითარებული;
ბ) საერთო-სალიტერატურო ენის ბაზისგან დამოუკიდებლად არის განვითარებული.
27. რომელია სწორი?

ცდა, ექსპერიმენტი, მასალა, ანალიზი
ა) ზოგადმეცნიერული ტერმინებია;
ბ) დარგობრივი ტერმინებია.
28. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
ტერმინის ნიშნებია:
ა) ნომინაციურობა;
ბ) სტილისტიკური ნეიტრალურობა;
გ) არადეფინიციურობა;
დ) სისტემურობა;
ე) მონოსემიურობა.
29. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ტერმინოლოგიას საერთო ენისაგან პრინციპულად განასხვავებს:
ა) აფიქსოიდებით ნაწარმოები სიტყვები;
ბ) კომპოზიტები.
30. რომელია სწორი?
ციცი იარალი, მშრალი კანონი არის:
ა) ანალიტიკური, თავისუფალი შესიტყვებები, რომელთა შემადგენელი ნაწილები დამოუკიდებლადაც ინარჩუნებენ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას;
ბ) არათავისუფალი შესიტყვებები, რომელთა შემადგენელ ნაწილებსაც ცალკე, შესაძლოა, არ ჰქონდეს ტერმინოლოგიური ღირებულება.
31. რომელია მცდარი პასუხი?
ქართულ და უცხო ტერმინებს შორის თანაფარდობის შენარჩუნება ენის ლექსიკური ფონდისათვის:
ა) აუცილებელია;
ბ) არაარსებითია.
32. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
ნეოლოგიზმების მიღების ნორმატიული ხერხია:
ა) საერთაშორისო სიტყვების სესხება;
ბ) ენაში უკვე არსებული სიტყვის ახალი მნიშვნელობით გამოყენება;
გ) ენაში არასაჭიროდ შემოსული სიტყვების გააქტიურება;
დ) სიტყვაწარმოება და კომპოზიცია.
33. რომელია სწორი პასუხი?
ნეოლოგიზმების დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სიტყვა:
ა) აგებული იყოს ენის გრამატიკული კანონების მიხედვით;
ბ) გავრცელდეს მეტყველებაში;
ბ) ერთდროულად აკმაყოფილებდეს ა) და ბ) პუნქტების მოთხოვნებს.
34. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ლექსიკური არქაიზმებია.
ა) ერგასი, მრწემი, სიყმილი, ფინი;
ბ) მიყვარან, ნასამალი, მამა-დედაჲ, ნუგეშინის-ცემა.
35. რომელია სწორი განმარტება?
სიტყვებს: ტფილი, ლბილი, სძალი აქვს:
ა) არქაული მორფოლოგიურ-სინტაქსური წყობა;
ბ) არქაული ბგერითი აგებულება.
36. აირჩიეთ სწორი განმარტება.
ისტორიზმები
ა) იგივე არქაიზმებია;
ბ) გარკვეული მოძველებული რეალიების აღმნიშვნელი სიტყვებია.
37. რომელია არასრულყოფილი პასუხი?
მწიგნობართუხუცესი, სპა, ბაზიერი, ტყავკაბა...
ა) ისტორიზმებია;
ბ) არქაიზმებია.

18.11. სიტყვა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა, დავიწროება და გაფართოება

სიტყვას შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი ან გადატანითი მნიშვნელობა; მაგ.:

„**მგელი** მტაცებელი ცხოველია“.

„**მგელი** ადამიანს თავს ესხმის“.

„მოვიდა **მგელი** იგი“ (ვარსქენი);

„გაგვიმეხ, ბერო მინდია, მუხლი მაიბი **მგლისაო**“.

პირველ და მეორე წინადადებებში სიტყვა **მგელი** პირდაპირი მნიშვნელობითაა; მესამე და მეოთხე წინადადებებში კი მისი გადატანითი მნიშვნელობით გამოყენების არაერთგვაროვანი შემთხვევებია, კერძოდ: მესამე წინადადებაში ხაზგასმულია მოთხრობის პერსონაჟის დაუნდობელი და ბოროტი ბუნება, რაც უარყოფითად განაწყობს მკითხველს; მეოთხე წინადადების მიხედვით, **მგელი** დადებით ემოციას იწვევს, რამდენადაც ორიენტირება ხდება ადამიანის მებრძოლ სულსა და ვაჟკაცურ თვისებებზე. მსგავსი შემთხვევები აფართოებს სიტყვის სემანტიკურ ველს და, შესაბამისად – გამოყენების არეალს.

სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება განსაკუთრებით დამახასიათებელია მხატვრული ენისათვის, მაგ.: „შენ, **ველურო ეგე ზეთისხილი**, მოგიღო ქრისტემან...“ (საბან.); „ნახეს, **მზისა** შესაყრელად გამოეშვა **მთვარე გველსა**“ (რუსთ.); „**არჩვი**, ყელგადაგდებული, თმახშირი, **მთვარე** პირადა, / ეკერებოდა გულ-მკერდზე ქმარს მარგალიტის ღილადა“ (ვაჟა); "რათ მოგიწყენია, **ეკბატანას ვარდო?**“ (გამ.) და სხვ. (იხ. ქვემოთ).

ენის ლექსიკის დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში უცვლელი რჩება და თავდაპირველი მნიშვნელობით გამოიყენება; მოძველებული ლექსიკა ხმარებიდან გამოდის. გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია, სიტყვის მნიშვნელობამ ცვლილება განიცადოს ან მოხდეს მისი დავიწროება თუ გაფართოება. ქვემოთ წარმოდგენილია შესაბამისი მაგალითები.

- ისტორიულად მნიშვნელობაცვლილი სიტყვები:

  აგარაკი – (ძვ.) სახნავ-სათესი

  აზნაური – (ძვ.) თავისუფალი

  ბიჭი – (ძვ.) „ნაბიჭი“, ნამცეცი

  დამარხვა – (ძვ.) შენახვა, დაცვა

  მატრაკვეცი – (ძვ.) „მჯევლის მჯევალი“ (ს.ს. ორბელიანი)

  მკვირცხლი – (ძვ.) ქვეითად მავალი

  ნიჭი – (ძვ.) საჩუქარი

  პატიჟი – (ძვ.) სასჯელი

  სართული – (ძვ.) ჭერი, სახურავი

  საყდარი – (ძვ.) სკამი, დასაჯდომი, ტახტი

  ტალანტი – (ძვ.) ვერცხლის ან ოქროს ფული

  შეისვენა – (ძვ.) მოკვდა

  ცხოველი – (ძვ.) ცოცხალი

  ცოცხალი – (ძვ.) ჯანმრთელი

  ცქრიალი – (ძვ.) „თაგვთა და ჭუათა ჩქარი სირბილი“ (ს.ს. ორბელიანი)

- მნიშვნელობის დავიწროება; მაგ., ლიტერატურული და დიალექტური მონაცემების მიხედვით, **სამაია / სამა** არის ზოგადად, **ცეკვის** ლექსიკური სინონიმი, განურჩევლად მოცეკვავეთა რაოდენობისა; „როკვა შუშპარი“ (ს.ს. ორბელიანი). იგივეა სიტყვის მნიშვნელობა ფრაზებში: „სამაია და ცეკო მინდა ვქნაო“ („სიბრძნე სიცრუისა“); „ვისამოთ (ვიცეკვოთ)

განდაგანა“ (აჭარ.). შდრ., თანამედროვე ქართველისთვის **სამაია** მხოლოდ სამი მოცეკვავის მიერ შესრულებული ცეკვაა. მნიშვნელობის დავიწროების ანალოგიური მაგალითებია:

სოფელი – (ძვ.) „ქვეყანა“, „წუთისოფელი“
კეცი – (ძვ.) თიხა, „მიწა საჭურჭლე“ (საბა)
მეცნიერი – (ძვ.) „მცოდნე“, „ნაცნობი“
გუამი – (ძვ.) „სხეული“, „ტანი“, „სული“, „ბუდე“, „ქარქაში“
დამცირება – (ძვ.) „დაკნინება“, „დამდაბლება“, დამცრობა“, „დაპატარავება“

• მნიშვნელობის გაფართოება; **რვეული** თავდაპირველად მხოლოდ რვა ფურცლისაგან შედგებოდა, დღეს კი მასში ფურცლების რაოდენობა 12-დან იწყება და ზოგჯერ 100-ზე მეტიცაა (შდრ.: ამ რამდენიმე წლის წინ სატელევიზიო არხ „იმედზე“ მიმდინარეობდა თამაში „რვანი“, მხოლოდ რვა მოთამაშის მონაწილეობით); მნიშვნელობის გაფართოების ანალოგიური მაგალითებია:

მებრძოლი – (ძვ.) მოწინააღმდეგე
მელანი [< ბერძ. melanos შავი] – (ძვ.) „შავი საწერელი“ (ს.ს. ორბელიანი); ახლა საწერად გამოყენებულ სხვადასხვა ფერის სითხეს აღნიშნავს.
წიგნი – (ძვ.) „წერილი“
ქვეყანა – (ძვ.) “მიწა“
უდაბნო – (ძვ.) უშენობო, დაუსახლებელი ადგილი; შდრ.: **დაბა** – „მომცრო ქალაქი, მოზღუდვილი“ (საბა).

ზოგიერთი ლექსიკური ცვლილების მოწმე ჩვენ თავადაც ვართ; მაგ., **სტილისტი**, ტრადიციული განმარტებით, არის „პირი, რომელიც კარგად ფლობს სალიტერატურო ენის სტილს... ასწორებს რაიმე ნაწარმოების (მაგ., საგაზეთო სტატიის) სტილს“ (ჭაბაშვილი 1989, 480); დღეს აშკარაა, რომ აღნიშნულმა სიტყვამ დამატებით ახალი მნიშვნელობა შეიძინა და განდევნა უკვე მოძველებული **პარიკმახერი**, როგორც ამ უკანასკნელმა თავის დროზე – **დალაქი**; ანალოგიურად, სიტყვახმარებიდან დაიკარგა **საპარიკმახერო** და მის ადგილას გაჩნდა ახალი შესიტყვება – **სილამაზის სალონი**. საგნობრივი მიმართება შეიცვალა სხვა სიტყვებშიც; შდრ.: **მყიდველი – მომხმარებელი; გამყიდველი – მომსახურე პერსონალი...**

სავარჯიშოები

18.11.1. შეადარეთ ერთმანეთს წინადადებათა წყვილებში გამეორებულ სიტყვათა მნიშვნელობები; ქეგლ-ისა და ბველი ქართული ენის ლექსიკონის მონაცემებზე დაყრდნობით იმსჯელეთ, რა ენობრივი პროცესებია განვითარებული.

1) ჰბაძვედ ჯინჭველსა, **მედგარო** და იქმენ მუშაკ მსგავს მისა (საბან.);
2) ომშიით გამოქცეულსა მეხი დაეცეს **მედგარი**! (ვაჟა).

3) მომიხარია **სოფლისკენ**, სადაც ზურმუხტი მთებია (აბაშ.);
4) ბინდისფერია **სოფელი**, უფრო და უფრო ბინდდება (ხალხ.).

5) ყვავილების მდინარეს **კუბო** ცისკენ მიჰქონდა (ლებ.);
6) იგი მზე შესვეს **კუბოსა**, იარეს გზა ზღვის პირისა (რუსთ.).

7) რომელნი ჰხედვიდეს მას ქრისტეანენი და **მეცნიერნი** მისნი, ცრემლოოდეს მისთვის (საბან.);
8) 1899 წელს დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის წერილი „სომეხთა **მეცნიერნი** და ქვათა ღაღადი“.

9) მამაჩემი ჯდა მეშვიდედ, მეფე **მებრძოლთა** მზარავი (რუსთ.);
10) ქართველმა **მებრძოლებმა** მტერს ძლიერი მარცხი განაცდევინეს.

11) აღდეგ, აღიღე **ცხედარი** შენი და ვიდოდე! (სახარ.);

12) უცნობის **ცხედარი** პროზექტურაში გადაასვენეს.

13) **უდაბნო** დედამიწის ყველაზე ცხელ და მშრალ ადგილებს ჰქვია;
14) კეთილი არს **უდაბნოი** იგი მზისა მცხვინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით კერძო (მერჩ.).

18.11.2. დააკვირდით გამუქებულ სიტყვებს. ბველი მნიშვნელობები გადმოეცით თანამედროვე ლექსიკური შესატყვისებით.

1) **წიგნსა** მოგცემ, გმორჩილობდენ, ვინცა იყოს ჩემი ხასი (რუსთ.);
2) ჩვენი **წიგნი**, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული... (ლეონ.).

3) კვლა სხვაგან გითქს სამი **ბევრი**, ასრე ფიცხლად მით გიხმობენ (რუსთ.);
4) ბევრნი **ბევრს** რასმე იტყოდნენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა? (გურ.).

5) მეფესა ესე ამბავი უჩს, ვითა **მღერა** ნარდისა (რუსთ.);
6) ჩვენი ხუმრობა, **მღერა**, სიცილი ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხობდა (ჭავ.).

7) განუდევნია გულიდამ ყველა **მსოფლიო** ზრახვა, ფიქრი, წადილი (ჭავ.);
8) ეს დაუჯერებელი რეალობაა, რომელმაც მთელი **მსოფლიო** აღაშფოთა.

9) აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს **განსასვენებლად** (ზარათ.);
10) აფხაზეთის ომში დაღუპულები მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე **განისვენებენ**.

11) წელს საკუთარ **აგარაკზე** მომიწევს დასვენება;
12) ნეტარი მამაი გრიგოლ თვისით **აგარაკით** მარტოი შთამოვიდოდა ხანძთას (მერჩ.).

13) სხუაი დავარდა **ქუეყანასა** კეთილსა და გამოსცის ნაყოფი აღმოცენებული (სახარ.);
14) არა მარტო ტკბილ ხმებისთვის. გამომგზავნა **ქვეყნად** ცამა (ჭავ.).

18.12. სიტყვათა მყარი შეხამებანი

სიტყვათა მყარი შეხამება – **იდიომი** [ბერძ. idioma – თავისებურება"] წარმოადგენს დაუშლელ გამოთქმას, რომლის მნიშვნელობაც არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს: მნიშვნელობის მატარებელია მთლიანად გამოთქმა, ერთად აღებული, მაგ.: **გულში ჩაუვარდა** – „შეუყვარდა"; **გული მოუვიდა** – „გაბრაზდა"; **თვალში არ მოუვიდა** – „არ მოეწონა"; **თვალს წყალი დაალევინა** – „გაერთო"; **ჭკუაში ჩავარდა** – „დაჭკვიანდა"; **კალმით ნახატი** – „ლამაზი, მშვენიერი"; **ჯოჯოხეთის მაშხალა** – „უშნო, შეუხედავი"; **კოვზი ნაცარში ჩაუვარდა** – „მარცხი განიცადა"; **ხელი ჩაიქნია** – „იმედი დაკარგა"; **ტანი აიყარა** – „გაიზარდა"; **ცხვირში ლანდი გასდის** – „გამხდარია" და სხვ.

იდიომი გარეგნულად თავისუფალ სიტყვათშეხამებას ჰგავს, თუმცა მათ შორის პრინციპული განსხვავებაა: თავისუფალი სიტყვათშეხამების კომპონენტები ინარჩუნებენ საკუთარ დამოუკიდებელ მნიშვნელობას; ამდენად, მათი დაცალკევება შესაძლებელია. იდიომი ამგვარ დაყოფას ვერ დაექვემდებარება: ამ შემთხვევაში დაიკარგება ის ერთიანი სემანტიკა, რომელსაც ქმნის იდიომის კომპონენტების კომბინაცია; შდრ.:

გულში ჩაუვარდა / „შეუყვარდა" – იდიომი
ორმოში ჩაუვარდა – თავისუფალი სიტყვათშეხამება

იდიომებს აქვს გადატანითი მნიშვნელობა, რომელიც განვითარებულია მათი შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა საფუძველზე. აღნიშნულ გამოთქმათა ჩამოყალიბება უკავშირდება საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდსა თუ რეალიას; შესაბამისად,

გამოიყოფა სხვადასხვა საკლასიფიკაციო ჯგუფი. მაგალითისათვის, მივუთითებთ მითოლოგიური და ბიბლიური წარმომავლობის იდიომებს.

- **მითოლოგიური წარმომავლობის იდიომები:**

ავგიას თავლა – გადატ.: სიბინძურე, აწეწილ-აშლილობა. ელიდის მეფეს – ავგიას ჰქონდა პირუტყვთა სადგომი, რომელიც მთელი 30 წლის განმავლობაში არ გაწმენდილა; ჰერაკლემ ის ერთ დღეში მოაწესრიგა.

აქილევსის ქუსლი – გადატ.: პიროვნების, მოძღვრების, ამა თუ იმ საქმის სუსტი წერტილი, სუსტი მხარე. ტროას ომის (ძვ. წ. XIII-XII ს.ს.) გმირის – აქილევსის ერთადერთი სუსტი ადგილი ქუსლი იყო; სწორედ ქუსლში დაჭრა აღმოჩნდა მისთვის საბედისწერო.

განხეთქილების ვაშლი – გადატ.: განხეთქილების, ჩხუბის მიზეზი. გამოთქმა დაკავშირებულია განხეთქილების ღმერთქალ ერიდასთან, რომელმაც (განაწყენებულმა, რომ პელევსისა და თეტიდას ქორწილში არ დაპატიჟეს), დამსწრეთა შორის შუღლის ჩამოგდების მიზნით, გადაისროლა ვაშლი წარწერით: „უმშვენიერესს“. ქალღმერთებმა: ჰერამ, აფროდიტემ და ათენამ ამ ვაშლის გამო ატეხილი დავის გადასაწყვეტად ტროელ მეფისწულს – პარისს მიმართეს, რომელმაც ვაშლი აფროდიტეს არგუნა. ამ უკანასკნელმა, წინასწარი დაპირებისამებრ, პარისს მოატაცებინა უმშვენიერესი ელენე (სპარტის მეფე მენელაოსოს ცოლი), ვის გამოც დაიწყო ტროას ომი[66].

დამოკლეს მახვილი – გადატ.: მუდმივი საფრთხის მოლოდინი. თქმულების მიხედვით, სირაკუზელმა ტირანმა დიონისიოსმა ერთ-ერთ ნადიმზე თავისი ადგილი დაუთმო თავის მოშურნე დამოკლეს და მის თავზე ძუით დაკიდა მახვილი.

ოლიმპური სიმშვიდე – საბერძნეთის ჩრდილოეთით, ოლიმპოს მთა ღმერთების სამყოფელი იყო, სადაც მუდამ განსაკუთრებული სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა.

პანდორას ყუთი – გადატ.: ავადმყოფობათა, უბედურებათა, ჭირ-ვარამის ადგილ-სამყოფელი თუ გავრცელების ადგილი. ზევსმა პანდორას – პრომეთეს ძმის ცოლს აჩუქა ყოველგვარი ბოროტებისა და უბედურების ყუთი, რათა დაესაჯა ადამიანები ცეცხლის მოტაცების გამო. ცნობისმოყვარე პანდორამ ოდნავ ახადა ყუთს თავი და ბოროტება მთელ კაცობრიობას მოედო. ყუთში მხოლოდ იმედი დარჩა, რომლისთვისაც იბრძვის ადამიანი.

პანიკური შიში – გადატ.: უეცარი შიში, ძრწოლა, ასეთი შიშით გამოწვეული საერთო მღელვარება, არეულობა. გამოთქმა უკავშირდება პანს – ტყის, ჯოგისა და მწყემსების მფარველ ღმერთს, რომელსაც გრძელი წვერი, თხის ფეხები და რქები ჰქონდა; პანი თავისი გამოთლილი სალამურით ერთობოდა ნიმფებთან ერთად, მაგრამ თუ მოსვენებისას ვინმე შეაწუხებდა, საშინელ ყვირილს ატეხდა და თავზარს სცემდა ყველას – მათში **პანიკურ შიშს** იწვევდა. პანმა თავისი საზარელი ხმით საბერძნეთში შემოჭრილ სპარსელთა ლაშქარსაც კი თავგზა აუბნია და გაფანტა. ამისთვის მას მღვიმეც აუგეს ათენში, ზეიმს უმართავდნენ, მსხვერპლს სწირავდნენ და სხვ.

- **ბიბლიური წარმომავლობის იდიომები:**

გუნდრუკის კმევა – გადატ.: მლიქვნელობა, პირფერობა. **გუნდრუკი** – საკმეველი, ტროპიკული ხის გამონაყოფი ფისი; ხმარობენ ეკლესიაში წირვისას.

ეკლიანი გზა – გადატ.: მძიმე ცხოვრების გზა; უკავშირდება ქრისტეს ეკლის გვირგვინს.

მამა აბრამის ბატკანი – გადატ.: მანკიერი, ცოდვილი ადამიანი. ღმერთმა აბრამისგან სიყვარულისა და ერთგულების დასამტკიცებლად მისი ერთადერთი ვაჟის – ისააკის

---

[66] ქართულ სამწიგნობრო ენაში დამკვიდრებულია „ტროას ომი“ (და არა „ტროის ომი“).

მსხვერპლად შეწირვა მოითხოვა; აბრაამი დაემორჩილა უფლის ნებას, მაგრამ კრიტიკულ მომენტში ანგელოსმა შეაჩერა და უჩვენა უცოდველი კრავი, ეს შესწირე ისააკის ნაცვლადო.

მშვიდობის მტრედი – გადატ.: მოქიშპე, ჩხუბის ამტეხი. გამოთქმა უკავშირდება ნოეს კიდობნიდან გაფრენილ მტრედს, რომელმაც ნისკარტით ზეთისხილის შტო მოიტანა წარღვნის დამთავრების ნიშნად.

ნოეს კიდობანი – გადატ.: შენობები, სადგომი, რომლებშიც სხვადასხვა ხასიათის, რჯულის და ფსიქიკური წყობის ადამიანები არიან თავმოყრილი.

სოდომ-გომორი – გადატ.: უზნეობა-უწესრიგობა. მდ. იორდანეს შესართავთან, სოდომის ხეობაში იყო ეს ორი ქალაქი, რომელთა მცხოვრებნიც უფალმა დასაჯა უზნეო ცხოვრებისთვის.

ურწმუნო თომა – გადატ.: ადამიანი, რომელიც ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს; გამოთქმა უკავშირდება ქრისტეს ერთ-ერთ მოციქულს – თომას, რომელმაც მხოლოდ მაშინ დაიჯერა ქრისტეს აღდგომა, როცა საკუთარი თვალით ნახა.

ქრისტეს ფეხის მკვნეტელი / ეშმაკის კერძი – ავის მოქმედი, უკუღმართი, ბოროტი.

ხელის დაბანა – გადატ.: პასუხსაგები საქმისათვის თავის არიდება. გამოთქმა უკავშირდება იუდეის პროვინციის მმართველს – პილატეს (ახ.წ. I ს.), რომლის დროსაც ქრისტე ჯვარზე აცვეს.

პირში ნაწილი არ ჩასვლია – არაფერი უჭამია; სახარების მიხედვით, ქრისტემ საიდუმლო სერობაზე თავის მოწაფეებს ღვინო და პური – თავისი სისხლი და ხორცი გაუნაწილა. აღნიშნულ იდიომში **ნაწილი** შემოკლებაა **წმინდა ნაწილისა**, რომელიც აღნიშნავს **ზიარებას** (ღვინოში ჩამბალი სეფიკვერის ნატეხი). მისი მიღებით მორწმუნენი მოზიარენი, მონაწილენი ხდებოდნენ (ფოჩხუა, 1974, გვ. 291).

ზოგიერთ იდიომში შემავალი სიტყვა დამოუკიდებლად აღარ გამოიყენება თანამედროვე ქართულში; მისი გაბუნდოვანებული მნიშვნელობის დადგენა შესაძლებელია სხვადასხვა წყაროში დაცული სპეციალური ინფორმაციის საფუძველზე; მაგ.:

აბრუს არ იტეხს[67] – არ იმჩნევს გაჭირვებას, გულს არ იტეხს, არ ეპუება; **Აბ-რუ**(სპარს.) – „პირის წყალი“, „პატიოსნება“, სახელი, პატივი, ავტორიტეტი (ქეგლ-ი, 1950, გვ. 77). აქედან არის მიღებული **გააბიაბრუა** – შეარცხვინა, შეურაცხყო; შდრ.: **ბიაბრო** – „(ქიზიყ.) შეურაცხყოფა... ბიაბრო მამაყენა“; **ბიაბროდ** – „(ფშ.) სასაცილოდ, გასაკიცხავად, შესარცხვენად“ (ღლონტი, 1984, გვ. 72); **ბიაბრუობა** – „სახელის გატეხა“ (ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 107);

აბუჩად აგდება – არაფრად ჩაგდება; **აბუჩი** – „უხამსი სტუმარი“ (ორბელიანი, 1991, გვ. 38);

აინუნშიც არ მოსდის / აინუნშიც არ აგდებს – ფიქრად არ მოსდის, არაფრად აგდებს; **აინუნ** (არაბ.) – „თვალი“;

ალჩუზე დაუჯდა კოჭი – საქმე კარგად წაუვიდა, წარმატებას მიაღწია, ბედმა გაუღიმა; **ალჩუ** სათამაშო კოჭის ოდნავ ამოღარულ მხარეს ჰქვია. თამაშის დროს კოჭის ამ მხარის ზემოთ მოქცევა გამარჯვებას ნიშნავს. ამ თამაშის საფუძველზეა ეს იდიომი მიღებული;

ანწუხზე აგება – გატანჯვა, წამება; **ანწუხი** – (ზ. იმერ.) „წვეტიანი სარი“ (ღლონტი, 1984, გვ. 37);

აშას (და)კვრა – უარის თქმა; **(ჰ)აშა**, ს.ს. ორბელიანის განმარტებით, სპარსულიდან მომდინარე სიტყვაა, რომელსაც ქართულად **ვარძმი** შეესატყვისება: „ვარძმი – უარის ყოფა, რომელსა სპარსნი (ჰ)აშას უწოდენ“ (ორბელიანი, 1991, გვ. 256); ეს იდიომი დღეს შემონახულია ქართლურ დიალექტში: **„აშა დაუკრა** – გადაჭრით უარი უთხრა“ (ღლონტი, 1984, გვ. 46);

---

[67] მასალა იხ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში; იხ. ასევე: ალ. ონიანი, *ქართული იდიომები*, თბ.: „ნაკადული“, 1966 წ.; თ. სახოკია, *ქართული ბატონვანი სიტყვა-თქმანი*, თბილისი: „მერანი“, 1979.

ბერაში გატარება – დამარცხება, დაშინება, შერცხვენა; **ბერა** – ხალხის მიერ ამართული და გადაჯვარედინებული საბრძოლო იარაღი (ხმალი, შუბი), რომლის ქვეშაც დამარცხებულ, ტყვედ ჩაგდებულ მტერს გაატარებდნენ; შდრ.: „ბერა – შუა გასავალი“ (ორბელიანი, 1991, გვ. 101); „ვიწრო გასავალი; გადატ. ბერაში გატარება – გატყეპა, წამების მიყენება“ (ღლონტი, 1984, გვ. 69).

ანალოგიური მნიშვნელობისაა გურულში შენახული **ალაიაში გატარება.**

ლექსიკოგრაფ ი. ჭყონიას განმარტებით, ალაია არის „ორ წყებად დაწკაპულ (მწკრივით დამდგარ) ადამიანთა შუა ადგილი. ალაიაში გატარება უწინ ნიშნავდა ადამიანის წკეპლით, ჯოხით ანუ მათრახის ცემით გატარებას ორ წყებად დარაზმულ ჯარის მიერ. ახლა ნიშნავს საჯარო შერცხვენას“ (დამოწმ. ძიძიგური, 1982, გვ. 70); შდრ.: „ალა არს საფქვილე წისქვილისა, სადა ფქვილი ჩაედინების“ (ორბელიანი, 1991, გვ. 44-45);

> **შენიშვნა:** აღნიშნულ გამონათქვამებს თავისი მნიშვნელობით შესაძლოა დაუახლოვდეს თანამედროვეთათვის კარგად ნაცნობი იდიომი: **სირცხილის დერეფანი.**

ბრე გაადინა – მოსპო, ააწიოკა, შავი დღე აყარა; **ბრე** – „მტვერი ბზენარევი“ (ორბელიანი, 1991, გვ. 114);

ერთ მაფრაშაში მოქცევა – ერთ ტაფაში მოქცევა; **მაფრაშა** „სხვათა ენაა, ქართულად გვალაგი [ტომარა – ი. ვ., ტ.ფ.] ჰქვიან“ (ორბელიანი, 1991, გვ. 447);

თავს ზარის დაცემა – შეშინება, შებრწუნება; **ზარი** – „საზარელისაგან შიში“ (ორბელიანი, 1991, გვ. 276);

თავზე ლაფის დასხმა (–> თავლაფდასხმული) – შერცხვენა; სასჯელის ერთ-ერთი ფორმა ძველ საქართველოში (ძიძიგური, 1982, გვ. 69-70);

ილაჯის გაწყვეტა – დასუსტება, ძალის გამოცლა; **ილაჯი** (არაბ.) –„საშუალება“, „წამალი“;

იხტიბარს არ იტეხს – გულს არ იტეხს, იმედს არ კარგავს, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნას არ იმჩნევს; **იხთიბარ** (არაბ.) – „გამოცდილება“, „მოხერხება“;

მარაქაში გაერია – ხალხში გამოვიდა; **მარაქა** – „ქალთ ჯარი ლხინში“ (ორბელიანი, 1991, გვ. 438);

მაღალფარდოვანი ლაპარაკი – ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით ლაპარაკი;

ფარდები ნიშნავდა დანაყოფებს ჩონგურის ყელზე (ფოჩხუა, 1974, გვ. 292).

მეტი რა ჩარაა! – მეტი რა ძალაა! **ჩარე** (სპარს.) – „ილაჯი“, „ძალა“, „ღონე“;

მტლედ დაგედები – თავს შემოგევლები; **მტლე, ტლე** – „სიცხიანის სადები წამალი“ (ორბელიანი, 1966, გვ. 141);

ნატისუსალი ასდის – ძალიან ღარიბია; **ნატისუსალი / ნატისული** –„ბამბათა და ფარატინათა ნამწვის სუნი“ (ორბელიანი, 1966, გვ. 92-93);

ორომტრიალი – გადატ.: არეულობა, ჩოჩქოლი, აურზაური, შეხლა-შემოხლა; **ორომი**, თ. სახოკიას განმარტებით, იყო ვარცლზე დასაფარებელი ტაბაკის ფორმის პატარაფეხებიანი ფიცარი, რომელზეც თონეში ჩასაკრავ ცომის გუნდებს აწყობდნენ და აბრტყელებდნენ. დიდი თავშეყრის დროს პურს რამდენიმე თონეში აცხობდნენ და, შესაბამისად, უწევდათ რამდენიმე **ორომის ტრიალი**; დღეს ფრაზის თავდაპირველი მნიშვნელობა დავიწყებულია (დამოწმ. ძიძიგური, 1982, გვ. 73);

ოხტიდან ამოსვლა – ჯავრის ამოყრა, სამაგიეროს გადახდა; **ოხტი** (არაბ.) – „დაპირება“, „ვალდებულება“, „ვალი“;

სიქა გაიცალა – მეტისმეტად დაღალა, დაქანცა; **სიქა** (არაბ.) – შტამპი ლითონის ფულზე (ან სხვა ნივთზე); სიქის გაცლა ნიშნავდა ბევრი ხმარებისაგან გაცვეთას (ფოჩხუა, 1974, გვ. 291-292);

ქადაგად დავარდა – უაზროდ ილაპარაკა; **ქადაგი** – „მაღლის ჯმით მასწავლებელი“ (ორბელიანი, 1966, გვ. 209);

ყავლის გასვლა – ვადის გასვლა; **ყავლი** <– (არაბ.) **კავლ** – „პირობა“;

ჩაილულის წყალი დალია – უკვალოდ გაქრა (ჩაილული / ჩაილური – მდინარე ქიზიყში. თუ მოპარულ საქონელს ამ მდინარეს გაატარებდნენ, პატრონისათვის საბოლოოდ დაკარგული იყო;

ჭაპანწყვეტა – გადატ.: მძიმე შრომა. **ჭაპანი** – კამეჩის ან ხარის ტყავისაგან დამზადებული მოქნილი გრძელი ღვედი ან დაგრეხილი თოკი მძიმე ტვირთის ასაწევად და სხვ.

იდიომები მეტ ბუნებრიობას სძენს თხრობას. მათ აქტიურად იყენებენ მწერლობასა და პუბლიცისტიკაში, ასევე – ყოველდღიურ მეტყველებაში.

სავარჯიშოები

18.12.1. დაჯგუფეთ მსგავსი მნიშვნელობის იდიომები.

ცივ ნიავს არ აკარებს; კამათელი მოუვიდა; მუხლჩაუხრელად შრომობს; დედაბუდიანად მოთხარა; თავზე აწვეს; ღია კარს ამტვრევს; მოჭამა თავისი დრო; მახეში გაება; ენად გაიკრიფა; შავი დღე აყარა; დღე და ღამეს ასწორებს; ველოსიპედს იგონებს; მუსრი გაავლო; პირი მოხსნა; ბედმა გაუღიმა; ანგელოზები დაუფრთხო; ყავლი გაუვიდა; კისერზე ჰყავს ჩამოკიდებული; თავზე დაჰკანკალებს; წელებზე ფეხს იდგამს; მიწასთან გაასწორა; კოჭი ალჩუზე დაუჯდა; ანკესზე წამოეგო; კუდით ქვა ასროლინა; ახალი ამერიკა აღმოაჩინა.

1.
2.
3...

18.12.2. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან მიუსადაგეთ იდიომები შემდეგ ზმნებს:

- **გახარებულია:**
- **გაოცდა:**
- **დაიბნა:**
- **დაეთანხმა:**
- **გაჩუმდა:**
- **გაერთო:**
- **გამოამჟღავნა:**
- **შეარცხვინა:**
- **დაეხმარა:**
- **გათავხედდა:**

ნიღაბი ჩამოხსნა; ენა გადაყლაპა; ბანი მისცა; თვალს წყალი დაალევინა; აღდგომა გაუთენდა; პირკატა ეცა; თავგზა აებნა; მხარში ამოუდგა; თავი მოჭრა; პირში წყალი ჩაიგუბა; თავი აიშვა; დღის სინათლეზე გამოიტანა; დრო გაატარა; სახტად დარჩა; მეშვიდე ცაზეა; პირი აიკრა; ზურგი გაუმაგრა; ლაფში ამოავლო; დავთარი აერია; კვერი დაუკრა; დაუკრეფავში გადავიდა; მეორედ დაიბადა; თავი აიგდო; ვირი ბაგაზე დააბა; გული გადააყოლა; ხელი შეუწყო; ფარდა ახადა; ცაში ვარსკვლავებს წყვეტს.

18.12.3. შეანაცვლეთ მსგავსი მნიშვნელობის იდიომებით.

1) ახალ სისტემას **საფუძველი შეერყა.**
2) გარემოვაჭრე **ყოველ ღონეს ხმარობს** მყიდველის გულის მოსაგებად.
3) ეს ნიკოლოზის **დროინდელი** პალტო აღარ უნდა გადააგდო?
4) რას **ჩამოგიყრია ყურები**?
5) წუწკი მელა **ხახამშრალი დარჩა.**
6) ფაქტი ერთია, მსოფლიომ **ყურები გამოიბერტყა!**
7) აქ საიდან გაჩნდა ეს **მეტიჩარა**?
8) ელომ მეზობელს **დამწვარზე მდუღარე დაასხა.**
9) მე შენი **აბუჩად ასაგდები** არა ვარ.
10) დათო **ყუმია**: მაგისგან ვერაფერს გაიგებ.
11) ვაჟამ **შიგ ფრჩხილში ჩამხედა** – სწორედ ამ კონიაკს ვეძებდი.
12) ისეთი გოგოა, **ავ თვალს არ ენახვება!**
13) დარწმუნებული ვარ, **ბიჭი მეტოქეს ვალში არ დარჩება.**

18.13. სინონიმები

სინონიმიის გამოხატვის ფორმები. სრული და ნაწილობრივი სინონიმები. სინონიმები (< ბერძ. synonymos – „თანამოსახელე") ერთი და იმავე, ან მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. სინონიმებში, ძირითადად, იგულისხმება სალიტერატურო ენაში გავრცელებული პარალელური ვარიანტები. სინონიმია შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, მაგ.:

- ლექსიკურად, შდრ.:

უზარმაზარი – ვეებერთელა; აშკარა – ცხადი; ბნელი – უკუნი; ნისლი – ბინდი...

- სიტყვაწარმოებით, შდრ.:

ტკბილეული – ტკბილეულობა; ნახატი – დახატული; ღამის – ღამეული, მესამედი – ნასამალი...

- კომპოზიციით, შდრ.:

ჭრელი – ჭრელაჭრელა, ფერადი – ფერად-ფერადი; ცოტა – ცოტ-ცოტა; ათასი – ათასგვარი, ამაყი – გულამაყი, ნაყოფიერი - ნაყოფსავსე...

- ფრაზეოლოგიური კონსტრუქციით, შდრ.:

დაიძინა – ძილს მისცა თავი; ინანა – სინანულმა შეიპყრო; გაიღიმა – სახეზე ღიმილმა გადაურბინა; გაუხარდა – სიხარულმა აიტაცა...

ლექსიკური სინონიმები ქმნიან სინონიმურ ჯგუფებს, რომლებშიც ერთ-ერთი ლექსემა მთავარი მნიშვნელობისაა – ტექსტში უფრო ხშირად გამოიყენება, მარტივი სემანტიკა აქვს და სტილისტურად ნეიტრალურია; მაგ., შდრ.:

აურზაური, ალიაქოთი, ჩოჩქოლი, ორომტრიალი...

ბასრი, მჭრელი, მახვილი, მოპირული, ალესილი...

უცბად, უეცრად, ანაზდად, მყის, მეყსეულად, წამსვე...

პოლისემიური (მრავალმნიშვნელობიანი) სიტყვა განსხვავებულ სინონიმურ ჯგუფებში შესაბამის მნიშვნელობას გამოხატავს; მაგ., შდრ., **ბასრი:** 1. მეტად მჭრელი, მახვილი; 2. მკვეთრი, ძლიერი; 3.(ძვ.) მაღალი ღირსების ფოლადი (ქეგლ–ი, 1950, გვ. 987).

ენაში გარჩეულია სრული და ნაწილობრივი სინონიმები. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ სრულ სინონიმთა მნიშვნელობები იდენტურია, ხოლო ნაწილობრივი სინონიმებისა – მსგავსი. მაგ.:

სრული სინონიმები: პაპა – ბაბუა, დიდედა – ბებია, გოგრა –კვახი, კომში – ბია, განთიადი – ცისკარი, კომლი – ოჯახი, ბეღელი – ხულა, ფელამუში – თათარა, მაისი – ვარდობისთვე, ორთოგრაფია – მართლწერა, ენათმეცნიერება – ლინგვისტიკა...

ნაწილობრივი სინონიმები: აშკარა – ცხადი – ნათელი, ტყუილი – მოჩორილი – მოგონილი, დაღლილი – დაქანცული – ძალაგამოლეული, მფლობელი – მესაკუთრე – მეპატრონე...

სტილისტური თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაწილობრივი სინონიმები, რამდენადაც მათი საშუალებით შესაძლებელია სიტყვის მნიშვნელობის განსხვავებული ნიუანსების გამოხატვა.

სინონიმთა ფუნქციები და ფუნქციური ჯგუფები. სინონიმებისათვის დამახასიათებელია ორი ძირითადი ფუნქცია: სემანტიკური და სტილისტური. **სემანტიკური ფუნქცია** ვლინდება მნიშვნელობის დაზუსტებასა და ჩანაცვლებაში.

მნიშვნელობის დაზუსტება, ჩვეულებრივ, ხორციელდება ერთი წინადადების ფარგლებში, კერძოდ: გვერდიგვერდ წარმოდგენილი რამდენიმე სინონიმი თანმიმდევრულად გამოხატავს აღსანიშნი ცნების დამაზუსტებელ მხარეებს, მაგ.: **სწორი – მართებული – დასაბუთებული; უადგილო – შეუფერებელი; გამრჯე – ბეჯითი – შრომისმოყვარე; უსარგებლო – გამოუსადეგარი...**

ზემოაღნიშნულ მოვლენას **სინონიმურ პარალელიზმს** უწოდებენ, რომელიც ნაცადი ხერხია მწერლობაში („მომგვარეთ **რემა, ჯოგი და ცხენია**"; „**მეფე გაწყრა, გაგულისდა**" – რუსთ.). ამ ტიპის ფორმებში, კონტექსტის მიხედვით, შეიძლება მოხდეს სინონიმური განსხვავების ნეიტრალიზაცია ან დიფერენცირება, მაგ.:

„ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში **ლხინსა და გახარებასა**!..." (ხალხ.);

შეჭამა და შეახრამუნა;

მორჩა, გათავდა;

სმენა იყოს და გაგონება!

მალე კამათი **ჩხუბსა და ცემა-ტყეპაში** გადაიზარდა.

მნიშვნელობის ჩანაცვლება უმეტესად რეალიზდება ერთმანეთის მომდევნო წინადადებებში; მისი მიზანია სემანტიკურად ადეკვატური ერთეულების ჩანაცვლებით უხეში სტილისტური შეცდომის – **ტავტოლოგიის / გამეორების** თავიდან აცილება. აქვე, მეცნიერები შენიშნავენ, რომ ჩანაცვლება ყოველთვის ვერ ხერხდება, რამდენადაც მას ზღუდავს სიტყვათა თანახმარების წესები, შდრ.:

ექიმად მუშაობს – ექიმად შრომობს;

მსჯელობა შეაჯამა – მსჯელობა შეკრიბა;

თეორია ააგო – თეორია ააშენა...

სტილისტური ფუნქციის მიხედვით, გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: საკუთრივ სტილური და ემოციურ-შეფასებითი სინონიმები. **საკუთრივ სტილური** სინონიმები სხვადასხვა სტილისტურ ფენას განეკუთვნება, მაგ., შდრ.:

სახე – (ჟარგ.) **სიფათი**;

საუბარი – (ჟარგ.) **ბაზარი**;

გაჭრა – (სპეც.) **გაკვეთა**;

მორწყვა – (სპეც.) **ირიგაცია**...

საცვლები /პერანგი და მისი ამხანაგი – (საუბ.) **ნიფხავ-პერანგი**;

ნასვამი – (საუბ.) **ჩაჟუჟუნებული**;

ემოციურ-შეფასებითი სინონიმების საშუალებით შესაძლებელია აღსანიშნის დადებითი ან უარყოფითი შეფასება და ამ შეფასების ემოციური გამოხატვა; შდრ.:

საოცარი – გასაშტერებელი, გამაოგნებელი;

მშვენიერი – წარმტაცი, გადასარევი, ჯკუადასაკარგავი;

საშინელი - ამაზრზენი, აუტანელი;

ზანტი – სათრევლა, მაჩანჩალა;

მიდის – მილასლასებს, მიიზომება;

დაზარდა – წამოჩიტა, ფეხზე დააყენა;

გამოვიდა – გამონათდა, გამომზეურდა; გამოიძურწა, გამომელდა (რუსთ.)...

აღნიშნული ფუნქციების მიხედვით, სინონიმებში, პირობითად, გამოიყოფა სამი ჯგუფი: **სემანტიკური** (სწორი – მართებული – დასაბუთებული); **სტილისტური** (საუბარი – (ჟარგ.) ბაზარი); **სემანტიკურ-სტილისტური**, რომელშიც გაერთიანებულია პირველი და მეორე ჯგუფების ფუნქციები (საოცარი – გასაშტერებელი).

სინონიმია და სტილისტური ხარვეზების საკითხი. სინონიმია ამდიდრებს ენის ლექსიკას; სინონიმური ფორმების სწორი არჩევანი ტექსტის ავტორს ეხმარება თხრობის საინტერესოდ და სტილისტური ხარვეზების გარეშე წარმართვაში.

ზოგი სინონიმური ფორმა უმართებულოდ იფართოებს გამოყენების არეალს; ასეთად მიჩნეულია, ნასესხები სიტყვა **სუფთა**, ქართული **წმინდას** საპირისპიროდ. ს.ს. ორბელიანის

ლექსიკონის მონაცემებზე დაყრდნობით, **სუფთა** არის ის, რაც არაა ბინძური, ჭუჭყიანი, რაც განიბანება ან გაირეცხება, ხოლო **წმინდა** განიმარტება, როგორც „უცოდველი“, ფაქიზი, შეურეველი, შეურყვნელი... მაგ.: **წმინდა (უმწიკვლო)** ადამიანი, **წმინდა (ნაკურთხი)** წყალი და სხვ. აქედან გამომდინარე, სწორად უნდა განისაზღვროს ზემოაღნიშნული ორი სიტყვის გამოყენების შემთხვევები; შდრ.:

სწორია:	შეცდომაა:
წმინდა მოგება	სუფთა მოგება
წმინდა წონა	სუფთა წონა
წმინდა გრძნობა	სუფთა გრძნობა
წმინდა გულით	სუფთა გულით

სტილისტურ დარღვევას წარმოადგენს, ასევე, თანამედროვეთა მეტყველებაში სიტყვების: **მაგარი, უპრობლემოდ** გააქტიურება სხვა ლექსემების სანაცვლოდ.:

– **მაგარი** იგივეა, რაც: **კარგი, ლამაზი, საინტერესო, მეგობრული, კოლეგიალური, ხარისხიანი, გემრიელი, ნუგბარი...**

– **უპრობლემოდ** ნიშნავს: **უმტკივნეულოდ, უდანაკარგოდ, უგამონაკლისოდ, შეუზღუდავად, მარტივად, თავისუფლად, თამამად...**

მსგავსი ტიპის ჩანაცვლებები სასაუბრო მეტყველების გამდაბიურებასა და ლექსიკურ სიმწირეზე მიანიშნებს, რაც არასახარბიელო ფაქტია.

სავარჯიშოები

18.13. 1. ჩამონათვალის მიხედვით გამოყავით სინონიმთა ათი მწკრივი.

აპატია; თვალთმაქცი; უთანხმოება; აუცილებლად; სავსე; უსახსრო; მოწყენილი; მოცლილი; ნამდვილად; გამოტენილი; უფულო; ბოროტი; გაწევ-გამოწევა; უსაქმური; სევდიანი; თავისუფალი; ფლიდი; დავა; გაჭირვებული; უსიკვდილოდ; ავი; მიუტევა; ცბიერი; ღარიბი; დაუნდობელი; დადარდიანებული; შფოთი; უდავოდ; ხელმოკლე; შეუნდო; მატყუარა; ცარიელი.

18.13.2. სინონიმური წყვილებიდან შეარჩიეთ ოფიციალური საუბრისათვის მისაღები ვარიანტები.

1) ბავშვებო, როდის *შეეშვებით / შეწყვეტთ* ქუჩის დანაგვიანებას?
2) ქალბატონის წრეგადასულმა საქციელმა *ნერვები აუშალა / მოთმინება დააკარგვინა* დამსწრე საზოგადოებას.
3) მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმის გამო პაციენტი *ორი კვირის ნაშიმშილებს დაემსგავსა / ძლიან გაბდა.*
4) წონასწორობადაკარგული სტუდენტი აუდიტორიის კართან *გაიშოტა / წაიქცა.*
5) ოფიციალური ოპონენტი *გაკაპასდა / გაცხარდა* ნაშრომის თეორიული ნაწილის შეფასებისას.
6) კლასის დამრიგებელმა მოსწავლეების *ნაჩალიჩარზე / ნამოქმედარზე* აღფრთოვანება ვერ დამალა.
7) წესრიგის დამრღვევმა მოქალაქემ პატრულს *ყბაში ბეთქა / ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.*
8) შეშინებული მგზავრი *ნიფხავ-პერანგით / საცვლებით* გამოვარდა კუპედან.
9) ოცდაჩვიდმეტში მან უახლოესი ადამიანები *ჩაუშვა / დაასმინა,* რომ თავი გადაერჩინა.
10) ასეთი *ტუნტი / წუწურაქი* კაცი სხვებს ვერ ასწავლის ქველმოქმედებას.
11)ბოლოს ამ ბიჭსაც *გადაეკეტა / აევსო მოთმინების ფიალა.*

18.13.3. ერთმანეთთან ხაზებით დააკავშირეთ სინონიმები.

დამარცხდა	მიასიკვდილა
დაღლილი	გააქრო
გაოცდა	წაგლიჯა
დასაჯა	ჩაუჟუჟუნდა
შეჭამა	გუდა-ნაბადი აუკრა
შეაწუხა	ჩაფლავდა
წაართვა	დღის სინათლე არ დაანახვა

გაბრაზდა	არაქათგამოცლილი
დათვრა	გულზე გასკდა
გააძევა	თვალები შუბლზე აუვიდა

18.13.4. გამოიყენეთ სინონიმებით ჩანაცვლების ხერხი და გაასწორეთ ტავტოლოგიური შეცდომები.

1) განვიხილოთ ეს საკითხი, რომელიც დღეს ხშირად განიხილება.
2) მე ვეთანხმები ამ მოსაზრებას; მოდით, შევთანხმდეთ, რომ პრობლემა დღემდე გადაუჭრელია.
3) დედოფალი შუშანიკი სარწმუნოებისათვის ეწამა; ფაქტია, რომ დედოფალმა შუშანიკმა ზნეობრივი გმირობის მაგალითი მისცა საზოგადოებას.
4) ესეს ავტორი იმოწმებს რ. ჩხეიძის განმარტებას, რომლითაც ტაშის ფენომენი ასე განიმარტება...
5) პოეტის სევდიანი განწყობა გადამდებია; ეს მკითხველს ყოველთვის თანაგრძნობით განაწყობს.
6) ისინი ბოლომდე ემსახურნენ მიზანს, რომელსაც ქვეყნის სამსახური ჰქვია.
7) ზემოთქმულის ნათელსაყოფად არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ყველასთვის ნათელია, სადამდე მიგვიყვანს უპასუხისმგებლობა და ზერელეობა.
8) ჩვენი მსჯელობა ფაქტებიდან გამომდინარეობს. რამდენიც არ უნდა ვიმსჯელოთ, ბოლოს მაინც ერთ დასკვნამდე მივალთ.
9) საზოგადოება უნდა მოეგოს გონს, რათა გონივრულად გადაწყვიტოს ეს საჭირბოროტო საკითხი.
10) ამ კატეგორიის ხალხს არა აქვს სულიერი ფასეულობები და ვერ შეაფასებს იდეალებისთვის მებრძოლ ადამიანს.

18.13.5. სინონიმებით დააზუსტეთ წარმოდგენილი სიტყვების მნიშვნელობა.

1) განკურნება –
2) გაქცევა –
3) გაშმაგება –
4) გულადი –
5) გულგრილი –
6) გულმავიწყი –
7) გულუბრყვილო –
8) გულუხვი –
9) გულქვა –
10) გუნება –

18.14. ანტონიმები

ლექსიკური და სიტყვაწარმოებითი ანტონიმები. ანტონიმები (< ბერძ. anti – წინააღმდეგ; onyma – სახელი) საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებია. ანტონიმურ წყვილებში, როგორც წესი, ერთი და იგივე მეტყველების ნაწილები ფიგურირებს. ზოგი განმარტებით, ესენი მხოლოდ ზედსართავები და მათგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელებია; სხვა განსაზღვრის მიხედვით, ანტონიმურ წყვილებს ქმნიან, ასევე, ნაცვალსახელები, ზმნები და ზმნიზედები.

ცნობილია ანტონიმური წყვილების შედგენის ორი ძირითადი გზა: 1. ლექსიკური; 2. სიტყვაწარმოებითი. სამეცნიერო ლიტერატურაში ლექსიკურ ანტონიმიას უწოდებენ **კონტრარულს**, ხოლო სიტყვაწარმოებით ანტონიმიას – **კონტრადიქტორულს**.

ლექსიკური / კონტრარული ანტონიმიის შემთხვევაში დაპირისპირებული ცნებები გამოიხატება სხვადასხვა ფუძის სიტყვებით (ეს სიტყვები ხარისხობრივად განსხვავებულ ნიშან-თვისებათა მწკრივის კიდურა წევრებს წარმოადგენენ), მაგ.: **დიდი – პატარა; მაღალი – დაბალი; გრძელი – მოკლე; შავი – თეთრი; ნათელი – ბნელი; კეთილი – ბოროტი; ვიწრო – ფართო; ტკბილი – მწარე; აღმართი – დაღმართი; სიკვდილი – სიცოცხლე; ახლოს – შორს; წინ – უკან; ზევით – ქვევით; ხშირად – იშვიათად; აქ – იქ...**

სიტყვაწარმოებითი / კონტრადიქტორული ანტონიმიის დროს ერთი ცნების ნიშან-თვისებები მეორე ცნებაში უარიყოფა; საპირისპირო მნიშვნელობა გამოიხატება სიტყვამაწარმოებელი აფიქსებით, უარყოფითი ნაწილაკით ან ზმნისწინებით. ზოგჯერ წყვილის

ორივე წევრია ნაწარმოები, ზოგჯერ კი – მხოლოდ ერთი, მაგ.: **შნოიანი – უშნო; გემრიელი – უგემური; სწორი – არასწორი; ზუსტი – არაზუსტი; ყოფნა – არყოფნა; იცია – არიცია; წალდი** (დიდებისთვის) – **წალდუნა** (პატარებისთვის – პატარა წალდი); **შეიტანა – გამოიტანა; გადავიდა – გადმოვიდა; ახტა – დახტა...**

როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, სიტყვაწარმოებით ყოველთვის ვერ მიიღწევა რეალური ანტონიმია, მაგ., შდრ.: **კაცი – არაკაცი; თითი – არათითი...**

ანტონიმურ წყვილებში ვლინდება სიტყვის პოლისემიურობა; მაგ.:

მძიმე – მსუბუქი (ტვირთი); **მძიმე – ადვილი** (ცხოვრება); **მძიმე – სწრაფი** (სუნთქვა)... **„ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდას“, „ერთმა ტალახიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო“; „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო“...**

ანტონიმიად არ ჩაითვლება მწერლის ფანტაზიით შექმნილი ისეთი სიმბოლური სახეების დაპირისპირება, როგორიცაა, მაგ.: მყინვარი და თერგი ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“, ასევე – ჭინჭარი და ია-ვარდები ა. წერეთლის ლექსის („აღმართ–აღმართ“) მიხედვით და სხვ.

ანტონიმია – ლექსიკური ფონდის გამდიდრების საშუალება. ანტონიმია ერთგვარი წყაროა ენის ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის გასამდიდრებლად; მისი მეშვეობით არის მიღებული:

- კომპოზიტები: **დღედაღამ; ზამთარ-ზაფხულ; მთა-ბარი; დიდ-პატარა, შავ-თეთრი...**
- მყარი შესიტყვებები: **ერი და ბერი; ცა და დედამიწა, ბედი თუ უბედობა; ავკარგიანი კაცი; სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი...**
- ზღაპრის სიუჟეტისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციები: **დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში აღარ იყო; ჭირი – იქა, ლხინი – აქა; ბევრი იარა თუ ცოტა; ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ...**
- წერილობითი თუ ზეპირი გზით გავრცელებული გამონათქვამები: **ბოროტსა სძლია კეთილმან...** (რუსთ.); **ჯერ მწარე ჭამე, კვლავ –ტკბილი... თავს სინანული სჯობია ბოლოჟამს დანანებასა... ავს რომ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქვა** (დ. გურამიშვილი); **მტრის** არმცნობი, **მოყვრის** მგმობი... (ი. ჭავჭავაძე); **მობუცი თუ ახალგაზრდა, ერისკაცი თუ სამღვდელო,** ყველა ერთმხრივ მიიწევდა... (ა. წერეთელი); **დღეს ღამე უთენებია** (ხალხ.) და სხვ.

ანტონიმური სიტყვაწარმოების გზით იქმნება სპეციალური ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. სამეცნიერო ცნებების გადმოსაცემად განსაკუთრებით პროდუქტიულია **არა-** ნაწილაკიანი წარმოება, რომელიც, ამავე დროს, საერთო ენის ლექსიკაშიც იმკვიდრებს ადგილს; მაგ.: **ბუნებრივი – არაბუნებრივი, ჩვეულებრივი – არაჩვეულებრივი; ბმული – არაბმული; ორგანული – არაორგანული; მაგნიტური – არამაგნიტური; ლოგიკური – არალოგიკური** (შდრ.: **ალოგიკური**), **სიმეტრიული – არასიმეტრიული** (შდრ.: **ასიმეტრიული**)...

ანტონიმური წყვილებისათვის ასევე აპრობირებულია **-იან / უ–ო, -ულ /უ – ელ** აფიქსებიანი კონსტრუქციები, მაგ.: **აირიანი – უაირო, განზომილებიანი – უგანზომილებო, ვაკუუმიანი – უვაკუუმო... განსაზღვრული – განუსაზღვრელი** და სხვ.

შენიშვნა: როგორც ცნობილია, ანტონიმური წყვილები სამეცნიერო ენაში ყოველთვის არ ასახავენ იმ ურთიერთობებს, რომლებიც გვხვდება საერთო–სალიტერატურო ენაში; მაგ., ფიზიკის ტერმინოლოგიის მიხედვით, მოშლილია დაპირისპირება: **მძიმე სხეული – მსუბუქი სხეული,** რადგან ახლებური ხედვით, ყველა სხეული მძიმეა; ანალოგიურად, გამქრალია დაპირისპირება **სითბო – სიცივე,** რისი მიზეზიც წყვილის ერთ-ერთი წევრის (სითბო) მნიშვნელობის განზოგადება გახდა. შდრ.: **–2° სითბო** და არა: –2° სიცივე. ასეთ შემთხვევებში ვითარების მარეგულირებელი ცნებათა ურთიერთობებია (ღამბაშიძე, 1986, გვ. 44–45).

ანტონიმია, როგორც სტილისტიკური ხერხი. სალიტერატურო ენაში **ანტონიმია** სტილისტიკურ ხერხს წარმოადგენს, რომელიც აქტიურად რეალიზდება მწერლობაში, ასევე – პუბლიცისტიკაში. ანტონიმიაზე იგება ანტითეზა – დაპირისპირება და ოქსიმორონი (ბერძ. oxymoron მახვილგონივრულ-სულელური) – ერთმანეთის საწინააღმდეგო სიტყვების შეხამება; მაგ.:

ანტითეზა – დაპირისპირება: „მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა, ხოლო შენ დევნი [ეშმაკნი] შემოიხუენ“ (იაკობ ხუცესი, “შუშანიკის წამება“); „აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე, / აქ ჭირია და იქ კი ლხინია...“ (ი. ჭავჭავაძე, „განდეგილი“)...

ოქსიმორონი: ცოცხალი ლეში, მჭევრმეტყველური დუმილი, მწარე სიტკბოება, სულელური სიბრძნე...

ტექსტში, ჩვეულებრივ, ანტონიმური წყვილის ორივე წევრია წარმოდგენილი. ავტორის ირონიის შემთხვევაში, შესაძლოა იყოს მხოლოდ ერთი მათგანი, რომელიც „უჩინარი“ მეწყვილის მნიშვნელობას ითავსებს. ასეთი ტიპის შემთხვევებს, პირობითად, შეგვიძლია ვუწოდოთ პოტენციური ანტონიმია; მაგ.: „კარგი (ე.ი. ცუდი) რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი“; „ფაქიზი (ე.ი. ბინძური, მოუვლელი) ქეჩა და ხალიჩა... ისე საამურად (ე. ი. საშინლად) აბოლდებოდა... რომ კაცი ცქერით ვერ გაძღებოდა (ე.ი. თვალს მოარიდებდა)...“ (ი. ჭავჭავაძე, „კაცია, ადამიანი?!“) და სხვ.

სავარჯიშოები

18.14.1. გამუქებული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ ანტონიმური წყვილები. ლექსიკურ ანტონიმებს ერთი ხაზი გაუსვით, სიტყვაწარმოებითს – ორი.

1) ამ მთვარიან ღამეს მან განმარტოება არჩია.
2) გაზაფხულის მშვიდი საღამო იყო.
3) მოხუცი აჩქარებული ნაბიჯით გაუყვა ქუჩას.
4) ძველმა ქუჩამ შენი ბავშვობა გამახსენა.
5) ბიჭმა გვიან შენიშნა მოსალოდნელი საფრთხე.
6) პაპამ დაღლილი ხელებით სათამაშო ცხენი გამოუთალა პატარას.
7) ნინოს ეხალისება რთული ამოცანების ამოხსნა.
8) ახალგაზრდა მეცნიერის პირველი ცდა უნაყოფო გამოდგა.
9) რუკაზე შესაბამისი ფერებით არის აღნიშნული ხშირი ტყეები და ჭაობიანი ნიადაგი.
10) წინ გრძელი გზა გველოდება.

18.14.2. გამოტოვებულ ადგილებში აღადგინეთ გამუქებულ სიტყვათა ლექსიკური ან სიტყვაწარმოებითი ანტონიმები.

1) „[შატბერდელმა მამებმა] რაჟამს გულისხმა ყვეს მიზეზი მისლვისა მათისაი, ... მწუხარებად გარდაექცა“ (მერჩ.).
2) „ავი და ... გარჩევით ვხედავ, რომ ახლოს მიწყვია“ (გურ.).
3) „მან თქვა: "ტკბილსა ... ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად“ (რუსთ.).
4) „... მოიპარება. სინათლეს სული ამოხდა“(ვაჟა).
5) „შენი ჭირიმე სიკვდილო, ... შვენობს შენითა!“ (ვაჟა).
6) „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე, სიტკბოზედა ... მეტი დავლიე“ (წერ.).
7) „ტახტზე იჯდა თამარ მეფე, მომხიბლავი, ეშხიანი!.. / ... უდგა თინათინი, მარჯვნით – ნესტან-დარეჯანი“ (წერ.).
8) „მე თვალხილულსა შენ ... ვეცხლსა მპარავო!“ (ს. ორბ.).
9) “ნუ გეშინია! ... უხმლოს რომ შეგეჭიდო, არ მეკადრება“ (ა.წერ.).
10) „გამოღმით მე ვარ, ... შენ, შუაზე მოდის მდინარე“(ვაჟა).
11) „ჩვენ ... თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გგონივართ“ (ჭავ.).

18.14.3. ჩამონათვალის მიხედვით წარმოადგინეთ ანტონიმური წყვილები; სიტყვაწარმოებით ანტონიმებში ფუძისგან გამოყავით მაწარმოებელი აფიქსები.

მართებული; ცოდნა; სველი; წყდიადი; წარსული; სასრული; მუქი; უმოძრაო; საქმიანი; ბოლო; უმოწყალო; დღე; აღიარება; კამკამა; დაუსჯელი; შინ; ფართო; რიგიანი; უკან; ღამე; მშრალი; უსასრულო; ზევით; უსაქმური; უმართებულო; მღვრიე; არაღიარება; თავი; გარეთ; ნათელი; არცოდნა; ურიგო; წინ; მოწყალე; ვიწრო; მოძრავი; ქვევით; დასჯილი; ღია; მომავალი.

18.14.4. ქვემოთ წარმოდგენილი სიტყვებისათვის: ა) მოიფიქრეთ ანტონიმები; ბ) ანტონიმთა მნიშვნელობები დააზუსტეთ სინონიმებით.

1) დავრდომილი –
2) ცხენოსანი –
3) შეურიგებელი –
4) მჭლე –
5) ღირსება –
6) მოგება –
7) მხდალი –
8) ველური –
9) ჭაკი –
10) ბედი –
11) მომჭირნე –
12) უხეში –

18.15. ომონიმია

ომონიმიის გამომწვევი მიზეზები. სრული და ნაწილობრივი ომონიმები. ომონიმები (< ბერძ. homos – „ერთნაირი“, onyma – „სახელი“) მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვებია, რომელთაც ერთნაირი ბგერითი აგებულება აქვთ. ომონიმიას იწვევს გარკვეული მიზეზები, მაგ.:

- სიტყვებში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები; შდრ.:

  (ძვ.) **ჴელი** „სხეულის ნაწილი“ – **ხელი** „გიჟი“, „გახელებული“;
  (ძვ.) **ჴერხი** „წესი, საშუალება“ – **ხერხი** „იარაღი“;
  ასული < (ძვ.) **აღსული** „ვინც ავიდა“ – **ასული** „ქალიშვილი“;
  ძირა (< ზირა) „მცენარე“ – **ძირა** „ქვედა“;
  კაკანა „აკვანი ბავშვთა ენაზე“ – **კაკანა** „მოკაკანე“...

- ფონეტიკურად ერთნაირი, მორფოლოგიურად განსხვავებული სიტყვები; შდრ.:

  ან (ანბანის ასო) – **ან** (კავშირი);
  ვინ (ანბანის ასო) – **ვინ** (ნაცვალსახელი);
  შინ (ანბანის ასო) – **შინ** (ზმნიზედა)...

- უცხო სიტყვათა სესხება; აქ განსახილველია რამდენიმე შემთხვევა, როცა ომონიმურ წყვილს შეადგენს:

– ქართული და უცხო ლექსემები; შდრ.:

  დოლი: „ხორბლის ერთ-ერთი ჯიში“ – არაბ. „საკრავი იარაღი“;
  ვადა: „ხმლის ჯვარედი“ – არაბ. „დრო“;
  ბაჟი: „უმწიფარი“ – სპარ. „გადასახადი“;
  ჭრაქი: „ვაზის დაავადება“ – სპარ. „სანთებელი“;
  ბარი: „სათხრელი იარაღი“ – ბერძ. „საზომი ერთეული“;
  ბორიო: „უთავბოლო კაცი“ – ბერძ. „ქარი“...

– სხვადასხვა ენიდან შემოსული ნასესხობები; შდრ.:

  ბაკი: ფრანგ. bac „ავზი“ – ჰოლანდ. bak „გემბანის წინა ნაწილი, სადაც მოთავსებულია საღუზე მოწყობილობა“;
  ბლოკი: ინგლ. block „ჭაღი“ – ფრანგ. bloc „კავშირი“;
  გრიფი: ლათ. gryphos „მითური ცხოველი“ – ფრანგ. griffe „ხელმოწერის გამომხატველი ბეჭედი“;
  მეტრი: ბერძ. metron „ზომა“ – ფრანგ. matre „მოძღვარი“;
  ლირა: ბერძ. lyra „სამუსიკო საკრავი“ – იტალ. lira „ფულის ერთეული იტალიასა და თურქეთში“;

სანდალი: ბერძ. sandalion „მსუბუქი ფეხსაცმელი“ – არაბ. sandal „ტროპიკული ხე“ – თურქ. sandal „ნავი“...

– ერთი და იმავე უცხო ენიდან შემოსული სიტყვები, შდრ.:

იწგ. **ბოქსი:** 1. box (calf) „ხბოს ტყავი“; 2. box „კრივი“;
ფრანგ. **კულონი:** 1.coulomb „ელექტროდენის საზომი ერთეული“; 2. coolant „ძეწკვით სატარებელი სამკაული“;
გერმ. **ტუში:** 1. tusche „საღებავი“; 2. tusch „მოკლე მუსიკალური მისალმება“;
ბერძ. **დრამა:** 1. drama „წარმოდგენა“; 2. drachme „ვერცხლის ფული“;
ლათ. **კრედიტი:** 1. creditum „ვალი“; 2. credit „სწამს“, „სჯერა“...

ცნობილია ლექსიკური ომონიმიის ორი სახე: სრული და ნაწილობრივი. **სრული ომონიმები** ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილებს წარმოადგენენ, რომელთა ფორმებიც მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს, მაგ.:

ბანი: 1. შენობის სახურავი; 2. ანბანის მეორე ასო; 3. დაბალი ხმა; 4. მობილური ოპერატორი;
ბალი: 1. ხილი; 2. ბუნების რაიმე მოვლენის (მაგ. ქარის, ზღვის ღელვის, მიწისძვრის) ძალის ან ინტენსივობის საზომი ერთეული; 3. მოწაფის ცოდნისა და ყოფაქცევის შეფასების ციფრობრივი გამოხატულება, ნიშანი; 4. დიდი საცეკვაო საღამო, მეჯლისი; 5. ბალი-ბარათი;
ჯამი: 1. ღრმა ჭურჭელი; 2. მიმატების შედეგი...

ნაწილობრივი ომონიმები ანუ **ჰომოფორმები** (ბერძ. homos – მსგავსი, ტოლი, საერთო) სხვადასხვა მეტყველების ნაწილითაა გადმოცემული; ამ შემთხვევაში ერთმანეთს დაემთხვევა სიტყვათა ცალკეული ფორმები (ლექსიკურ-გრამატიკული ომონიმები); მაგ.:

მკლავს (სახელი: „მკლავს მომტეხს“) – **მკლავს** (ზმნა: „მკლავს ის მე“);
მოდის (სახელი: „მოდის მიმდევარი“) – **მოდის** (ზმნა: „მოდის ზამთარი“);
ღამე (ზმნიზედა: „ღამე იწვიმა“) – **ღამე** (სახელი: „დღეს ღამე უთენებია“)...

ომონიმია შესაძლებელია განვითარდეს ერთი და იმავე სიტყვის ორი ფორმის ფონეტიკურად დამთხვევის შედეგადაც (გრამატიკული ომონიმია); ასეთია, მაგ.:

– ფუძეუკვეც სახელთა მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები; შდრ.:

ელენეს ვეძებ (მიც.) – **ელენეს** ოთახი (ნათ.);
ცისარტყელას ვხედავ (მიც.) – **ცისარტყელას** ფერები (ნათ.)...

– I ან II პირის ნაცვალსახელთა სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვები:

მე მოვედი (სახ.); **მე** გავაკეთე (მოთხ.); **მე** მითხრეს (მიც.) და სხვ.

ომონიმია აქტიური სტილისტიკური ხერხია მწერლობაში, მაგრამ სამეცნიერო ენაში მისმა გამოყენებამ, შესაძლოა, ტერმინების (სამეცნიერო ცნებების) აღრევა გამოიწვიოს. მკვლევართა ჯგუფის მითითებით, ომონიმების ადგილი მხოლოდ კალამბურებსა [ფრანგ.calembour – სიტყვათა თამაში] და ანეგდოტებშია.

ჰომოფონები და ჰომოგრაფები. ომონიმების გვერდით განიხილავენ ჰომოფონებსა და ჰომოგრაფებს. **ჰომოფონები** ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომლებიც განსხვავებულად იწერება და ერთნაირად იკითხება. ამის მაგალითები დასტურდება, მაგ., ა. წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავში“ (ორბელიძისა და მეფის ხუმარას გაპაექრების ეპიზოდში): „დამასველა მან თავიდან /ფეხებამდე **მასხა რაო**“ (შდრ.: **მასხარაო**); „მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას, /თუმც მის ადგილს სულ ელიო“ (შდრ.: **სულელიო**).

ჰომოგრაფებს (ბერძ. Homos „ერთნაირი“, grapho „ვწერ“) უწოდებენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ერთნაირად იწერება, მაგრამ განსხვავებულად იკითხება. ქართულში, ენის

სპეციფიკიდან გამომდინარე, ასეთი შემთხვევები არ დასტურდება. მივუთითებთ რამდენიმე მაგალითს უცხოენოვანი მასალის მიხედვით: რუს.: зам□ок „კლიტე"– з□амок „ციხე-სიმაგრე"; трус□ить „ბერტყვა" – тр□усить „ლაჩრობა"; ინგლ. lead [li:d] – „ხელმძღვანელობა", „ინიციატივა" და [led] – „ტყვია" და სხვ.

ომონიმია და პოლისემია. ვარაუდობენ, რომ ზოგჯერ ძნელია ომონიმებსა და პოლისემიურ (< ბერძ. polysemos – მრავალმნიშვნელობიანი) სიტყვებს შორის ზღვრის გავლება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს: ომონიმების შემთხვევაში საუბარია ერთმანეთისაგან განსხვავებულ სიტყვებზე, პოლისემიის დროს კი – ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობაზე. ეს მნიშვნელობები, რომლებიც შესაბამისი კონტექსტების მიხედვით ვლინდება, განვითარებულია სიტყვის ძირითადი სემანტიკის საფუძველზე. პოლისემიური სიტყვებია, მაგ.:

გუაში: 1. წყალსა და ნებოში გაქნილი საღებავი, რომელშიც შერეულია თეთრა; 2. ასეთი საღებავებით შესრულებული ნახატი (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 113);

იურისდიქცია: 1. სასამართლო საქმის წარმოების უფლება; განსჯადობა; 2. საქმეები, რომლებიც ამა თუ იმ დაწესებულების წარმოებას ექვემდებარება (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 207);

მოტივი: 1. რაიმე მოქმედების გამომწვევი მიზეზი; 2. მოსაზრება, საბუთი რისამე სასარგებლოდ; 3. მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი ელემენტი, მელოდია; **კვარტალი:** 1. წელიწადის მეოთხედი (სამი თვე); 2. ქალაქის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია ოთხ ქუჩას შორის (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 327);

კვარტეტი: 1. ოთხი მომღერლის ან ოთხი დამკვრელისაგან შემდგარი ანსამბლი; 2. ოთხი მომღერლის ან ოთხი დამკვრელისათვის შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 228)...

ერთმანეთის ომონიმები, თავის მხრივ, შესაძლოა პოლისემიურ სიტყვებს წარმოადგენდნენ; მაგ., შდრ.:

ომი: „1. შეიარაღებული ბრძოლა სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად... 2. (გადატ.) ბრძოლა, შეტაკება, შეჭიდება, ჩხუბი... 3. (გადატ.) შეურიგებელი მოქმედება, ენერგიული გალაშქრება ვისიმე ან რისამე წინააღმდეგ";

ომი: „ფიზ. ელექტროდენისადმი სხეულის წინააღმდეგობის საზომი ერთეული [გერმანელი ფიზიკოსის Ohm-ის გვარის მიხედვით]" (ქეგლ-ი, ტ.VI, 1960, გვ. 24).

რაგუ : „ძვ. 1. წნელის, ჩალის, ლერწმისა და მისთ. მასალისაგან დაწნული ჭურჭელი (გოდორი, კალათი...); 2. სუფთად დაწნული ღობე";

რაგუ: „[ფრან. Ragoût, ragoûter-დან მადის აღძვრა] კერძი, წვრილად დაჭრილი ხორცისგან ბოსტნეულითა და სანელებლით შეზავებული" (ქეგლ-ი, ტ.VI, 1960,გვ. 345).

რაკეტა: „[გერმ. Rakete რუს. ენის მეშვ.] 1. რეაქტიული ძრავის მქონე საფრენი აპარატი; აღწევს დიდ სისწრაფესა და სიმაღლეს... 2. დენთით დატენილი ჰილზი, რომელიც აფეთქებისას ძლიერ მაღლა ავარდება და გამოსცემს სხვადასხვა ფერის სინათლეს; იყენებენ ფეიერვერკისათვის..."

რაკეტა: [ფრან. Taquette, არაბ. რაჰათ-იდან „ხელის გული"] 1. ჩოგბურთის სათამაშო ჩოგანი; შედგება ტარისაგან და ხის რგოლზე გაჭიმული სიმების ბადისაგან. 2. მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო ჩოგანი, მთლიანად ხისა" (ქეგლ-ი, ტ.VI, 1960, გვ. 360)...

სოლი: 1. ერთ ბოლოში წაწვეტებული ხის, რკინის ფართო, მოკლე ნაჭერი ან ქვა; იყენებენ ხის გასაპობად ან რისამე გასამაგრებლად. 2. ურმის თვლის მორგვზე დასობილი მოკლე ძელაკი, რომელსაც ფერსო აქვს შემოცმული";

სოლი: [ლათ. Sol] მუს. დიატონიკური გამის მეხუთე საფეხურის სახელწოდება (ქეგლ-ი, ტ.VI, გვ. 1960, 1124)...

18.15.1. ა. წერეთლის ლექსიდან: „აღმართ-აღმართ“ გამოყავით ჰომოფონები და ჩაანაცვლეთ სინონიმებით.

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდექ, ჭმუნვის ალი მენელა;
მზემან სხივი მომაფინა მაშინა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.
შემიდუღდა მაშინ სული და გული;
იმ ნადუღში თვით მე ვიყავ დაგული.
გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო,
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყო.
ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა,
(აწ იგი ხმა ვერ ისმინოს გაისმა).
ცის მახლობლად ფეხ-ქვეშ ვიგრძენ მიწა მე, ვსთქვი:
“ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე!”
და ვიფიქრე “ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?”
გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა!
გამიკვირდა! ვსთქვი: “მტერს როგორ მონებდა?
მოხიბლულა, შემცდარია, ის არი...
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!”
მივაძახე: “ჭინჭარში ნუ ვარდები!..
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!
შეიბრალე თავი შენი, იცოდე!
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!”
არ მისმინა მწუხარებით დანაგულს,
და დამასო საუკუნოდ დანა გულს!
აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად,
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?
ჩემო თავო! ველარ გკურნავენ წამალით!
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით!
იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!
დაივიწყე, ვინც გახსოვდა, მარად ის!
ხელ-დაკრეფით განისვენე მარადის!

18.15.2. ხაზი გაუსვით ომონიმურ რითმებს და გადმოეცით ტაეპების შინაარსი შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით; დააზუსტეთ მაჯამური რითმის რაობა სპეციალურ ლიტერატურაში [68].

თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო,
ამას იქით ნუღარ იდენ, გულსა ჭირნი არიდენო;
შენნი მჭვრეტნი ჩემთა მჭვრეტთა აგინებენ, არ იდენო;
რომე წეღან მოგეხვივნეს, იგი ჩემთვის არიდენო.

ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს,
ბროლ-ბადახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს;
ყმა ეტყვის, თუ: “შენთა მჭვრეტთა თავი ხელი, ა, სად აგეს!
ცეცხლთა, მანდით მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს” .

18.15.3. უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან ამოიღეთ ინფორმაცია შემდეგ ომონიმებზე: ბონი; ბორი; ბორტი; ბოტი; ბრავო; ბრასი, ბუნები; ბურსა. დაადგინეთ, ასევე, რომელია მათ შორის პოლისემიური სიტყვა და რა მნიშვნელობებს ითავსებს.

---

[68] იხ. ა. ჭილაია და რ. ჭილაია, *ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984 წ.

18.15.4. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მოიძიეთ ინფორმაცია ომონიმებზე: ბოლი, ბორანი, ბორაყი, ბორდო, ბორჯი, ბოყვი, ბოში, ბუა; ამოწერეთ შესაბამისი კონტექსტები.

18.15.5. შეადგინეთ წინადადებები ნაწილობრივ ომონიმებზე: დაბრუნება; ვარდები; ველი; ვერა; შველი.

18.15.6. მოიფიქრეთ ჰომოფონები სიტყვებისათვის: არაკაცი; არაერთი; სულკალმახი; სულდიდი და შეადგინეთ სათანადო წინადადებათა წყვილები.

18.16. ევფემიზმები და დისფემიზმები. ტაბუდადებული სიტყვები. ვულგარიზმები. პარონიმები და პარონომაზიული გამოთქმები

ევფემიზმები (< ბერძ. eu – „კარგად", phemi – „ვამბობ") წარმოადგენს თავაზიან სიტყვებს ან გამოთქმებს, რომლებიც გამოიყენება (მოლაპარაკის აზრით) უხეში, უტაქტო, უხერხული სინონიმური ფორმების ნაცვლად. მაგ., შდრ.:

ბატონები – წითელა, ყივანახველა;
ნასვამი / არაფხიზელ მდგომარეობაში – მთვრალი;
თქვენი ჭირი წაიღო – მოკვდა;
გაათავისუფლეს – მოხსნეს...

ევფემიზმების საპირისპიროა **დისფემიზმები** – უხეში გამონათქვამები, მაგ., შდრ.:

მოგჭამა ჭირი / ფეხები გაფშიკა – გარდაიცვალა;
სამსახურიდან გააგდეს – გაათავისუფლეს;
წაეთრა, წაშავდა – წავიდა;
ჩაცეცხლა – შეჭამა და სხვ.

ტაბუ (< პოლინეზ. რისამე აკრძალვა), მომდინარეობს პირველყოფილი წარმოდგენებიდან, რომ თითქოს რისამე დასახელება მის გაჩენას გამოიწვევს. მაგ., ტაბუდადებულ სიტყვად ითვლება **გველი** (შდრ.: უხსენებელი, შავჩოხიანი...). ტაბუირებასთან კავშირშია ისეთი შემთხვევებიც, როცა მოსაუბრე არასასიამოვნო ამბის თხრობას იწყებს ე.წ. „დამცავი" ფრაზებით: **„შენ ჯვარი გწერია"; „ცხრა მთას იქით იყოს"; „შორს აქაურობას", „სადაც არის, იქ იყოს"** და სხვ.

ვულგარიზმები (< ლათ. vulgaris – ჩვეულებრივი, ყოველდღიური) არის ზრდილობიანი მეტყველებისთვის მიუღებელი უხეში, უცენზურო სიტყვები და გამონათქვამები, ასევე ჟარგონული და ქუჩური ფორმები. ზოგიერთი მათგანი ტაბუირებულია.

პარონიმები (< ბერძ. para -თან, ახლოს და onyma – სახელი) – გარეგნულად მსგავსი, მაგრამ მნიშვნელობით სრულიად განსხვავებული სიტყვები. არაიშვიათია შემთხვევა, როცა უცოდინრობის გამო პარონიმებს ერთმანეთში ურევენ; მაგ.: **დიალექტური – დიალექტიკური; კამპანია –კომპანია; ადრესატი – ადრესანტი; დიპლომატი – დიპლომანტი; მდივანი – დივანი; ორდენი – ორდერი; ღერი – ღერო; ცნება – მცნება; აღთქმა – აღქმა; სწავლა – სწავლება...**

პარონომაზიული გამოთქმები. პარონომაზია (< ბერძ. para – ახლოს და onomazo – ვასახელებ) ისეთი მოვლენაა, როდესაც ზმნა ორი განსხვავებული (პირიანი და უპირო ფორმით) არის წარმოდგენილი და ერთ ზმნურ მნიშვნელობას გამოხატავს. პარონომაზიის შემთხვევები ხშირია ბიბლიის თარგმანებში, მხატვრულ ლიტერატურაში (**„ჰამით** ისინი ვერას **ჰამენ, სმით** ისინი ვერას **სმენ"** („კაცია, ადამიანი!?"), ასევე – სასაუბრო მეტყველებაში, მაგ.: **კითხვით** ვერ **კითხულობს, ცხოვრებით** დედასთან **ცხოვრობს** და სხვ.

ევფემიზმები და დისფემიზმები, ტაბუდადებული სიტყვები, ვულგარიზმები, პარონიმები და პარონომაზიული გამოთქმები სტილისტიკურ ხერხებს წარმოადგენენ, რომელთაც აქტიურად იყენებენ მწერლობაში სათანადო მხატვრული სახის შესაქმნელად.

სავარჯიშოები

18.16.1. იპოვეთ და გაასწორეთ პარონიმული შეცდომები.

1) ამ სვეტის სიმაღლე დანარჩენებისაზე მეტრი იყო.
2) დრო მჭირდება იმისთვის, რომ წავიკითხო დიდკანიანი წიგნები.
3) თუ არ იქნება ორგანო, რომელიც იზრუნებს სახელმწიფო ენის დაცვაზე, მაშინ არა თუ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები ვერ შეისწავლიან ქართულს, არამედ ეთიკურ ქართველებსაც დაავიწყდებათ მშობლიური ენა.
4) ბრინჯაოს ქანდაკება კვერცხებზე იდგა.
5) გაგა ისეთი ბიჭი იყო, თავში რომ ჩაგვარდნოდა, ხელს არ ამოისვამდი.
6) დედოფალი მიჩნეული იყო აყვავებულ ტყეებსა და მთებს.
7) დიალექტების ლექსიკა საიმედო წყაროა სამეცნიერო ტექნოლოგიასა და თარგმანის სფეროში არსებული ხარვეზის შესავსებად.
8) მცენარის დაკოჟრილი ღერები მალე მუქმწვანე ფოთლებმა დაფარა.
9) პერსონაჟის მეტყველება ხიბლს მატებს მოთხოვნას თუ რომანს.
10) ნესვის და აქლემის ქურდი ორივე ქურდიაო.
11) მას უჭირდა ცხოვრება ცეცხლსა და უტყეო ბაბილონში.

18.16.2. ხაზი გაუსვით პარონიმულ შეცდომებს, აღადგინეთ სწორი ფორმები.

1) სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნის კონა“ პირველი ქართული გამარტივებული ლექსიკონია.
2) ქეთის არ უყვარს კრემლიანი ნამცხვრები.
3) ქუჩაში ისეთებიც შემხვედრია, სახეზე ხელმოფერებული რომ მათხოვრობენ.
4) იმ ავად სახსენებელ წლებში ქვეყნად ყოველგვარი უმანკოება მძვინვარებდა.
5) I-III საუკუნეებით დათარიღებული ეპიგრაფიკული ძეგლია ეკლესიის მონასტრის წარწერები, რომლებიც აღმოაჩინეს 2002-2003 წლებში კახეთში, ყვარლის რნ-ში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს.
6) რუქას ავი ენით წონასწორობადაკარგული მეფე ფინაჩი დასჯას უპირებს ლეონს.
7) ჩემმა შვილთაშვილმა წელს ოურდოურიაზე ჩააბარა.
8) პანორამული სიტყვები მხოლოდ გარეგნულად ჰგავს ერთმანეთს, მათი მნიშვნელობები სრულიად განსხვავებულია.
9) მეგობრებმა აგვისტოს ომი მოიხსენიეს.
10) უკვე დაიწყო გადაცემა, ეს მეორე პირდაპირი ჩასვლაა.
11) ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში დიდი წვრილი შეიტანა ცნობილმა პიროვნებამ.

18.16.3. შეცვალეთ უხეში ფრაზები; დახვეწეთ წინადადებები.

1) მომხსენებელი აუდიტორიაზე ზემოქმედებს იმით, თუ რა უყრია თავში.
2) ჯერ კიდევ შიდაპარტიული საქმეები გვაქვს მოსაგვარებელი და ამ დროს ახალი პრობლემა შემოგვიგდეს ოპოზიციონერებმა.
3) აზერბაიჯანმა მწვანე არ აუნთო ზოგ მუსლიმანურ სექტას.
4) საზოგადოებას უკვე ქვეცნობიერში აქვს გამჯდარი ენობრივად გაუმართავი ფორმები.
5) ყველა მამაკაცს ერთი და იგივე აქვს ჩახვეული, „ქალები ჩვენი ერთი ნეკნისგან ხართ შექმნილიო“.
6) ეს სტატია ერთი-ერთში ასახავს რეალობას.
7) ტელეეკრანიდან, რადიოდან და პრესის ფურცლებიდან ჟურნალისტები მუდმივად უჭედავენ ყურებს მოსახლეობას დაბინძურებული ქართულით.
8) რა არის სიკეთე, თუ მას ყველას სახეზე ააფარებ და საზღაურს მოითხოვ?!
9) კრიტიკულ მომენტში ქალი იმდენს ვერ მოტვინავს, რომ თავი დაიზღვიოს უსიამოვნებისაგან.
10) მამაკაცისა და ქალის თანასწორობა ჩვეული მოვლენაა; ამაზე პრობლემა არავის აქვს თანამედროვე მსოფლიოში.
11) თქვენ ბრალს გვესვრით აბსურდული არგუმენტებით.
12) ავტორი იმ ფაქტებს იმოწმებს, რომლებიც, წესით, უფრო მეტად უნდა ჩარჩეს ტვინში მკითხველს.

18.16.4. შეცვალეთ დიალოგი თავაზიანი სიტყვებითა და გამოთქმებით.
– ქალო, ეე!.. შენ გეუბნები!
– რა იყო?
– რა და, აქეთაც გამოიხედე.
– ნუ შეჭამე ტვინი!.. ხომ ხედავ, არ მცალია.
– მე ჩემი მომეცი და მერე თავში ქვა გიხლია!.
– მაგარი ხისთავიანი ხარ!.. ჰა, აიღე!
– მოკეტე, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

18.17.ლექსიკურ-სტილისტური ხარვეზები

ტექსტზე მუშაობა უწყვეტი პროცესია; იშვიათი შემთხვევაა, რომ ნაწერი ხელმეორედ წაკითხვისას შესწორებას არ საჭიროებდეს. განსაკუთრებით თვალში საცემია სალიტერატურო მეტყველებაში შემჩნეული სტილისტური ხარვეზები, რომელთა გამომწვევიც შეიძლება იყოს:

- სიტყვის არასწორად შერჩევა ფრაზაში; შდრ.:

– ტელევიზიაში სამუშაოდ ენის მცოდნე მსახიობები და ხელოვანები უნდა დავპატიჟოთ;
– ტელევიზიაში სამუშაოდ ენის მცოდნე მსახიობები და ხელოვანები უნდა მოვიწვიოთ.

პირველ წინადადებაში შეცდომით არის გამოყენებული სიტყვა დავპატიჟოთ: სამუშაოდ პატიჟებენ კი არა: იწვევენ. სხვა შემთხვევაში, მაგ., კომბინაციაში სიტყვასთან: სტუმრად მისაღები იქნებოდა ორივე სინონიმური ფორმა: დაპატიჟეს / მიიწვიეს.

- მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამების აღრევა; შდრ.:

– ადამიანის ჩამოყალიბებაში საზოგადოებას მნიშვნელოვანი როლი უკავია;
– პიროვნების ჩამოყალიბებაში საზოგადოებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ან (საზოგადოება) მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

- ჭარბსიტყვაობა / პლეონაზმი (ბერძ. Pleonasmos ზედმეტობა, სიჭარბე); შდრ.:

– ჩვენ უკვე კარგი წარმატებები გვაქვს ამ მიმართულებით.
– ჩვენ უკვე წარმატებები გვაქვს ამ მიმართულებით.

- ტავტოლოგია [ბერძ. tautologia] – ერთი და იმავე განსაზღვრების, მსჯელობის გამეორება სხვა, აზრობრივად ახლო მდგომი სიტყვებით; აქ შეიძლება გამოიყოს ორგვარი შეცდომა, კერძოდ:

➢ ლექსიკური / ფრაზეოლოგიური ტავტოლოგია; შდრ.:

უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ ჩვენმა დაუფიქრებელმა გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, უარესი შედეგი გამოიწვიოს;
უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ ჩვენმა ნაჩქარევმა გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, უარესი შედეგი გამოიწვიოს.

➢ აზრობრივი ტავტოლოგია; შდრ.:

– ამ ხარვეზების ძირფესვიანად აღმოფხვრისა და აღმოფხვრისათვის ხანგრძლივი დროა საჭირო;
– ამ ხარვეზების აღმოფხვრისათვის ხანგრძლივი დროა საჭირო.

- კალკირებული, ხელოვნური კონსტრუქციები; შდრ.:

– ბოროტმოქმედმა გასროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან მოახდინა;

– ბოროტმოქმედმა **გაისროლა** ცეცხლსასროლი იარაღიდან.

- **ატროფია** – სიტყვის არაზუსტი მნიშვნელობით გამოყენება; შდრ.:

– ჯობია იშრომო, იწვალო, მაგრამ შეინარჩუნო **პატივმოყვარეობა**;
– ჯობია იშრომო, იწვალო, მაგრამ შეინარჩუნო **თავმოყვარეობა**.

- **პარონიმული შეცდომები**; შდრ.:

– მსგავსი შემთხვევები ცხოვრებაში არც თუ ისე იშვიათად **ხვდება**;
– მსგავსი შემთხვევები ცხოვრებაში არც თუ ისე იშვიათად **ხდება**.

- **ბარბარიზმები**; შდრ.:

– ძალიან კარგი **ექშენია**, მაყურებელიც კმაყოფილია;
– ძალიან კარგი **მოქმედებაა**, მაყურებელიც კმაყოფილია.

- **დიალექტიზმები**; შდრ.:

– ასეთი ტიპის ექსპერიმენტებიდან **არაფელი** გამოდის;
– ასეთი ტიპის ექსპერიმენტებიდან **არაფერი** გამოდის.

- **ჟარგონი**; შდრ.:

– ბატონო კახა, საზოგადოებას აინტერესებს, ამ თანამდებობაზე როგორ **გაიჩითეთ**;
ბატონო კახა, საზოგადოებას აინტერესებს, ამ თანამდებობაზე როგორ **აღმოჩნდით**... და სხვ.

სავარჯიშოები

18.17.1. გაასწორეთ ტავტოლოგიური შეცდომები.

1) ჩვენ უკვე ცხადად განვაცხადეთ მომხდარის შესახებ.
2) თქვენი ნიშანი უკვე აღნიშნული მაქვს ჩემს წიგნაკში.
3) მომხსენებელი არ აკონკრეტებს კონკრეტულად, რა იქნება მთავარი თემა.
4) მეგობრებთან საუბარში მან ისაუბრა თავის არჩევანზე.
5) ამ პიროვნების ნამდვილი სახე უკვე აშკარად გამოაშკარავდა.
6) ავტორი ცდილობს ყველას უთხრას ეს ყველაფერი, რაც რეალურად გადახდა თავს.
7) ყველაფერს ვარდისფერ ფერში არ უნდა ვხედავდეთ.
8) ოპერაციის შემდეგ დათოს მეგობარი დიეტური საკვებით იკვებება.
9) სტუდენტმა ვერ გაარკვია გარკვევით, რომელი პოზიცია გაიზიაროს.
10) წითელი ჯვრის საშუალებით მათ აქვთ საშუალება, მოინახულონ ტყვეები.
11) ერეკლე მეფის მეფობის პერიოდში აღიკვეთა ლეკიანობა კახეთში.
12) დიდი მადლიერებით მადლობას გიხდით თანადგომისათვის.

18.17.2. აირჩიეთ სწორი ვარიანტები; დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

1) უცხოელი მკვლევრის ნაშრომებში აშკარად იგრძნობა ჩვენი ისტორიის მიჩქმალვა.
2) უცხოელი მკვლევრის ნაშრომებში აშკარად იგრძნობა ჩვენი ისტორიის მიჩქმალვა და გაქრობა.

3) დაზარალებულს ფიზიკური დაზიანების ნიშნები არ აღენიშნებოდა.
4) დაზარალებულს ფიზიკური დაზიანების ნიშნები არ ჰქონდა.

5) ეს არის სამწუხარო რეალობა.
6) ეს არის სამწუხარო რეალობა და სინამდვილე.

7) საქმე ისაა, რომ ახალგაზრდებიც არ იცავენ ენის სიწმინდეს და სწორად მეტყველებას.
8) საქმე ისაა, რომ ახალგაზრდებიც არ იცავენ ენის სიწმინდეს.

9) ჩვენს გადაცემას ესწრებიან, აგრეთვე, სტუდენტები და მათ აგრეთვე მივესალმები.
10) ჩვენს გადაცემას ესწრებიან, აგრეთვე, სტუდენტები და მათაც მივესალმები.

11) თუ სკოლის მერხიდან შევაყვარებთ ბავშვს ენას, ეს მას მთელი ცხოვრება გაჰყვება.
12) თუ სკოლის მერხიდან შევაყვარებთ ბავშვს ენის სიყვარულს, ეს მას მთელი ცხოვრება გაჰყვება.

13) საჭიროა ხელისუფლების ხელის შეწყობა.
14) საჭიროა ხელისუფლების თანადგომა.

15) სურვილის შემთხვევაში, ყველას მოგეცემათ ცეკვის შესაძლებლობა.
16) თუ გსურთ იცეკვოთ, ყველას მოგეცემათ ცეკვის შესაძლებლობა.

17) მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, მათ მაინც არ გამოუვათ ჩვენი დამცირება და დეგრადირება.
18) მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, მათ მაინც არ გამოუვათ ჩვენი დამცირება.
19) გაითვალისწინეთ, რომ სპეციალისტთან გაქვთ საქმე.
20) გაითვალისწინეთ, რომ მცოდნე სპეციალისტთან გაქვთ საქმე.

21) უნდა შევინარჩუნოთ ის სიწმინდე, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა შემოგვინახეს და გადმოგვცეს.
22) უნდა შევინარჩუნოთ ის სიწმინდე, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა შემოგვინახეს.

18.17.3. გამართეთ ფრაზები.
1) დეპუტატმა თავისი დანაპირები სისრულეში მოაქცია.
2) პრეზიდენტის განცხადებით, ის პოსტიდან გადავა.
3) სამაგიეროს მოხდა ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, უადგილოა.
4) ავტორი კრიტიკოსის უფლებების შებოჭვას ცდილობს.
5) დახმარების ხელი მას ყველა ქვეყანამ უნდა გაუწიოს.
6) შვილმა თავისი წარმატებით დედას სიამოვნება მიაყენა.
7) მინდა ბოდიში გადაგიხადოთ დაგვიანებისთვის.
8) დროა, ჩვენ ამ საკითხს გვერდი ავუხვიოთ.
9) ნასვამმა მოქალაქემ შეურაცხყოფა მიანიჭა პოლიციის თანამშრომელს.
10) გამოცემამდე მათ კიდევ ერთხელ გადაავლეს თვალ-ყური საგაზეთო მასალას.

18.17.4. გამართეთ ფრაზები; ისარგებლეთ სიტყვათა ჩამონათვალით:
დაამბინჯა; გაგიძლიეროთ; წვლილი; ლაპარაკობენ; ძარღვებში; გამოიცა; როგორი; გადაბრა; ძლიერ; დაწინაურებულ; ღრმა; ჰყავს; იმედით.
1) ქალბატონ ქეთევანს, საბედნიეროდ, ბევრი დედ-მამიშვილი გააჩნია და ისინი დაეხმარებიან.
2) ჩვენ ქართველი ერი ვართ, ვენებში ცოტნეს, დავითის, თამარის სისხლი გვიჩქეფს!
3) საქართველო მუდამ დახმარების ხედვით შეჰყურებდა ევროპულ სამყაროს.
4) ბჟირფასო კოლეგებო, დამსწრე საზოგადოება, შევეცდები ეს საზეიმო განწყობა კიდევ უფრო გაგიმძაფროთ.
5) მან თავის შეფასებაში სინამდვილე დაასახიჩრა.
6) როგორ უძლებდა ეს ხალხი მასზე ბევრად მაღალ ქვეყნებთან კონკურენციას?!
7) ნოე ხომერიკი ემიგრანტი იყო, რომელმაც მაგრად განიცადა სამშობლოს ტკივილი.
8) ჩემი მაღალი რწმენით, საქმე არც ისე მარტივადაა.
9) აღნიშნული ტელეარხის ჟურნალისტები მხოლოდ სიცრუეს აშუქებენ.
10) არ უნდა დავუშვათ ჩაჩოჩება ჩვენი კურსიდან.
11) 1975 წელს გამოიშვა პოემის ახალი თარგმანი.
12) წიგნში მოთხრობილია, თუ რამხელა ევოლუცია განიცადეს ამ არსებებმა.

18.17.5. იპოვეთ არაზუსტად შერჩეული სიტყვა ან აგებული ფრაზა; გაასწორეთ გაუმართავი ადგილები.
1) მივესალმები ყველას, ვინც ამ დარბაზში მდებარეობს!
2) არ ვიცით, ამ შემთხვევაში როგორ ნაბიჯზე დადგება ხელისუფლება.
3) აქ მთავარი თემაა უცხო სიტყვების გავლენა სალიტერატურო მეტყველებაზე, რაც ასე ნათლად გვიმახინჯებს ენას.

4) მათ თავი შესწირეს სამშობლოს და საპატიო ადგილი დატოვეს ქვეყნის ისტორიაში.
5) მიწათმფლობელებს დღეს რაიონის გამგეობის წარმომადგენელი შეხვდა.
6) მას წარუშლელი ბოროტება აიძულებს, შური იძიოს ავტორზე.
7) ჩვენთვის მვირფასია ენა, რომლის სისუფთავის საკითხიც თავის დროზე დასვა დიდმა ილიამ...
8) აბზაცების საშუალებით გამოვყოფთ თემის ე.წ. კრიტერიუმებს, როგორებიცაა, მაგალითად: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.
9) ახალბედა ორგანიზატორთა საქმიანობას ნათელი კვალი დააჩნია უცოდინრობამ.
10)ადამიანი რთული კონსტრუქციაა, რომელსაც სჭირდება საკუთარ თავში დარწმუნება.
11)ილია და ვაჟა ქართული მწერლობის თვალსაჩინო პიროვნებები არიან.
12) ჩვენთან სტუმრადაა უმშვენიერესი დავით მებურიშვილი.

18.17.6. შეარჩიეთ სიტყვები აზრის უკეთ გადმოცემისათვის.

1) ადვილი შესაძლებელია, რეცენზენტი თავადაც აღმოჩნდეს ასეთი კრიტიკის *პერსონაჟი /ობიექტი.*
2) სპორტული კომენტატორები *უხვად /ბევრად* უშვებენ შეცდომას.
3) ყველას დაუფასდება ცხოვრების განმავლობაში *გაწეული / მოქმედებული* შრომა.
4) ამ წამონყების სულის *ჩამწერავი / შთამბერავი* ჩვენი ახალგაზრდობაა.
5) *ბლომად / ბევრი* უნდა იყოს ისეთი არხები, როგორიცაა საპატრიარქოს ტელევიზია.
6) გადავიდეთ ამ კითხვაზე და *აქვე / მანდვე* დავამატებ.
7) ამ არხისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა მნიშვნელოვანი ინფორმაციის *გაყალბება / გაბმაურება.*
8) კარგია, როცა ცუდის *დამშვება / ჩადენა* არ გინდა, მაგრამ არაფრისგან ხარ დაზღვეული.
9) ავტორი მკაფიოდ *იჭერს / იცავს* თავის მოსაზრებას ამ საკითხზე.
10) ამ დიდ საქმეში მნიშვნელოვანი *როლი / წვლილი* შეიტანა სოფლის ინტელიგენციამ.
11) დიდი ხანია, მათი ურთიერთობა *ნგრევას / რღვევას* განიცდის.
12) ენის დაბინძურებაში *წვლილი / ბრალი* მიუძღვით ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებს.

18.17.7. გადახაზეთ ჭარბი სიტყვები; დახვეწეთ ფრაზები.

1) როგორც ჩანს, სოფელი ცივი ავდრების გამო დაცარიელდა.
2) ის ცდილობს თავი დაირწმუნოს იმაში, თუ რამდენად მეტისთვის შეეძლო მიეღწია.
3) ვაკო დიდხანს ფიქრობდა ამ არჩევანის შესახებ.
4) უნდა აღინიშნოს ის, რომ ქალი თავისი ბუნებით ძლიერია.
5) ამ ღონისძიებაში ჩვენც უნდა მივიღოთ ფართო აქტიური მონაწილეობა.
6) მას დაკარგული აქვს წიგნის გადახედვის და გაცნობის სურვილი.
7) უღრმესად დიდი მადლობა მობრძანებისათვის!..
8) მან მეორედ კიდევ გაიმეორა ეს დანაშაული.
9) ის ვერ გაექცა ტაშის ოვაციის გავლენას და წამიერად თავი მწვერვალზე წარმოიდგინა.
10) ცდილობენ ამ ორ მოვლენას შორის დაადგინონ შუა ზღვარი, რომელიც საშუალი იქნება.

18.17.8. იპოვეთ სტილისტური გაუმართაობის მიზეზი და გაასწორეთ ხარვეზები.

1) მეზობელი ტომების ბელადებმა ერთმანეთს კოალიტაცია შესთავაზეს.
2) ნინო მასწავლებელმა ზაფხულში განსასვენებლად კოჯრის აგარაკი ირჩია.
3) მონადირეთუხუცესმა დეფექტი შენიშნა ბაზიერის აღჭურვილობაში.
4) ეგვიპტის ფარაონმა თანამეგობრობის კონვენცია მალევე დაარღვია.
5) ვაზირთუხუცესმა და ეზოსმოძღვარმა დიდხანს ითათბირეს უთანხმოების სალიკვიდაციოდ.
6) კოხტასთავთან დისკუსია გამართეს მონღოლთა წინააღმდეგ შეთქმულმა დიდებულებმა.
7) თანამედროვე მკითხველისათვის მნიშვნელოვანია პროფ. ივ. ბერიტაშვილის დაკვირვებები ქცევათ-მეცნიერებაში.
8) სამდივანმწიგნობროს თანამშრომლები სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ „მგზავრების" კონცერტზე დასასწრებად.
9) ჩემი უბნელებიდან მხოლოდ ერთი მეგობარი დამშთა.
10) ხულიგნებმა მგზავრს ისე მოულოდნელად წარსტაცეს ჩანთა, რომ დაყვირებაც ვერ მოასწრო.

ტესტი N 18.11. – 18. 16

- სიტყვა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა, დავიწროება და გაფართოება
- სიტყვათა მყარი შეხამებანი
- სინონიმები
- ანტონიმები
- ომონიმია
- ევფემიზმები და დისფემიზმები. ტაბუდადებული სიტყვები. ვულგარიზმები. პარონიმები და პარონომაზიული გამოთქმები

1. რომელია სწორი პასუხი?
სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება განსაკუთრებით დამახასიათებელია:
ა) მხატვრული ენისათვის;
ბ) სამეცნიერო ენისათვის.
2. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების მაგალითებია.
ა) რვეული, ქვეყანა, უდაბნო;
ბ) სოფელი, კეცი, მეცნიერი.
3. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ცხოველი და საყდარი:
ა) მნიშვნელობადავიწროებული სიტყვებია;
ბ) ისტორიულად მნიშვნელობაცვლილი სიტყვებია.
4. რომელია სწორი პასუხი?
იდიომი:
ა) დაუშლელი სიტყვათშეხამებაა;
ბ) სიტყვათშეხამებაა, რომლის მნიშვნელობაც უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს.
5. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც იდიომებია.
ა) ავგგიას თავლა, პანდორას ყუთი;
ბ) მემამულის თავლა, ნაგვის ყუთი.
6. რომელია მცდარი?
მამა აბრამის ბატკანი და მშვიდობის მტრედი
ა) ბიბლიური წარმომავლობის იდიომებია;
ბ) მითოლოგიური წარმომავლობის იდიომებია.
7. რომელია მცდარი პასუხი?
სინონიმებში, ძირითადად, იგულისხმება:
ა) სალიტერატურო ენაში გავრცელებული პარალელური ვარიანტები;
ბ) საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვები და მათი ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტები.
8. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
სინონიმია შეიძლება გამოიხატოს:
ა) ლექსიკურად;
ბ) სიტყვაწარმოებით;
გ) კომპოზიციით;
დ) მარტივი წინადადებით;
ე) ფრაზეოლოგიური კონსტრუქციით.
9. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
პაპა – ბაბუა, დიდედა – ბებია, გოგრა –კვახი
ა) სრული სინონიმებია;
ბ) ნაწილობრივი სინონიმები.
10. რომელია სწორი პასუხი?
სინონიმთა სემანტიკური ფუნქცია ვლინდება:
ა) მნიშვნელობის დაზუსტებასა და ჩანაცვლებაში;
ბ) აღსანიშნის დადებით ან უარყოფით შეფასებასა და ამ შეფასების ემოციურ გამოხატვაში.
11. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც სემანტიკურ-სტილისტური სინონიმებია.
ა) სახე – სიფათი; საუბარი – ბაზარი;

ბ) საღარი – გასაშტერებელი; მიდის – მილასლასებს.

12. რომელია სწორი პასუხი?

სწორი – მართებული – დასაბუთებული

ა) სემანტიკური სინონიმებია;

ბ) სტილისტური სინონიმებია

13. შემოხაზეთ ნორმატიული ვარიანტი.

ა) წმინდა მოგება, წმინდა გრძნობა;

ბ) სუფთა მოგება, სუფთა გრძნობა.

14. აირჩიეთ სწორი პასუხი.

სინონიმური პარალელიზმის მაგალითია:

ა) **შეჭამა და შეახრამუნა;**

ბ) **შეჭამა და დაიძინა.**

15. შემოხაზეთ ლექსიკური ანტონიმები.

ა) სწორი – არასწორი; ზუსტი – არაზუსტი; ყოფნა – არყოფნა;

ბ) გრძელი – მოკლე; შავი – თეთრი; ნათელი – ბნელი.

16. რომელია მცდარი პასუხი?

ა) სიტყვაწარმოებით ყოველთვის ვერ მიიღწევა რეალური ანტონიმია;

ბ) სიტყვაწარმოებით ყოველთვის მიიღწევა რეალური ანტონიმია.

17. რომელია ორი სწორი პასუხი?

ანტონიმური სიტყვაწარმოება აქტიური საშუალებაა:

ა) საერთო ენის ლექსიკური ფონდის გასამდიდრებლად;

ბ) სამეცნიერო დარგის განსავითარებლად;

გ) სპეციალური ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილის შესაქმნელად.

18. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ცოცხალი ლეში და მწარე სიტკბოება სტილისტიკური ხერხის:

ა) დაპირისპირების მაგალითებია;

ბ) ოქსიმორონის მაგალითებია.

19. რომელია მცდარი პასუხი?

ასული (ძვ. **აღსული** „ვინც ავიდა“) და – **ასული** („ქალიშვილი“)

ა) სიტყვებში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მიღებული ომონიმებია;

ბ) სხვადასხვა ენიდან შემოსული ნასესხობების შედეგად მიღებული ომონიმებია.

20. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც ქართული და უცხო ლექსემებით მიღებული ომონიმებია.

ა) ბარი, დოლი;

ბ) ბლოკი, მეტრი.

21. რომელია სწორი პასუხი?

მკლავს (სახელი: „მკლავს მომტეხს“) – **მკლავს** (ზმნა: „მკლავს ის მე“):

ა) სრული ომონიმებია;

ბ) ნაწილობრივი ომონიმებია.

22. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ცისარტყელას ვხედავ (მიც.) – **ცისარტყელას** ფერები (წათ.):

ა) გრამატიკული ომონიმიის მაგალითებია;

ბ) სტილისტური ომონიმიის მაგალითებია.

23. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ჰომოფონები ისეთი სიტყვებია, რომლებიც:

ა) განსხვავებულად იწერება და ერთნაირად იკითხება;

ბ) განსხვავებულად იკითხება და ერთნაირად იწერება.

24. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ომონიმების შემთხვევაში საუბარია:

ა) ერთმანეთისაგან განსხვავებულ სიტყვებზე;

ბ) ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობაზე.

25. რომელია სწორი?

ევფემიზმები:

ა) თავაზიანი სიტყვები და გამოთქმებია;

ბ) უტაქტო სიტყვები და გამოთქმებია.

26. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც დისფემიზმებია.

ა) მოგჭამა ჭირი, სამსახურიდან გააგდეს;

ბ) გარდაიცვალა; სამსახურიდან გაათავისუფლეს.

27. რომელია სწორი განმარტება?

ტაბუ ნიშნავს:

ა) აკრძალვას;

ბ) უცენზურო სიტყვებს.

28. რომელია მცდარი ვარიანტი?

გველი:

ა) ვულგარიზმია;

ბ) ტაბუდადებული სიტყვაა.

29. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

პარონიმები:

ა) გარეგნულად მსგავსი, მაგრამ მნიშვნელობით სრულიად განსხვავებული სიტყვებია;

ბ) მნიშვნელობით მსგავსი, მაგრამ გარეგნულად სრულიად განსხვავებული სიტყვებია.

30. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც პარონიმებია.

ა) **მასხა რა – მასხარა;** (ძირს ნუ) **ვარდები – (აქ არ არის ია და) ვარდები;**

ბ) **დიპლომატი – დიპლომანტი; მდივანი – დივანი.**

31. რომელია სწორი?

წინადადებებში: **კითხვით** ვერ **კითხულობს, ცხოვრებით** დედასთან **ცხოვრობს** არის:

ა) პარონომაზიის მაგალითები;

ბ) პარონიმიის მაგალითები.

ქართული ენის სტილისტიკა

19. სტილისტიკა და სტილი

19.1. სტილის რაობა. სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინა; მისი შესწავლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ზოგადად, სტილი დღეს მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სფეროში რაიმე თავისებურებათა ერთობლიობის აღსანიშნავად, მაგ.: ცხოვრების / ჩაცმის / ვარცხნილობის / ცურვის... სტილი, ახალი და ძველი სტილი წელთაღრიცხვის სისტემაში (გრიგორიანული და იულიუსის კალენდრების მიხედვით) და სხვ., მაგრამ სტილის თავდაპირველი მნიშვნელობა წერის ტექნიკას უკავშირდება. ძველ საბერძნეთში სტილს უწოდებდნენ ერთი მხრიდან – წაწვეტებულ, ხოლო მეორე მხრიდან – ბლაგვბოლოიან პატარა ჯოხს, რომლითაც შესაძლებელი იყო გასანთლულ ფირფიტაზე ტექსტის დაწერა და ჩასწორება; ეს უკანასკნელი ნაწერის დახვეწის – შინაარსის (აზრის) უკეთ გამოხატვის საჭიროებით იყო გამოწვეული.

თანამედროვე ფილოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილი განმარტებით, **სტილი** არის „ენობრივი საშუალებების გამოყენების ხერხთა ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ მწერალს, ან ლიტერატურულ ნაწარმოებს, რაიმე მიმართულებას, ჟანრს; სიტყვიერი გადმოცემის მანერა“ (ჭაბაშვილი 1989, გვ. 480). შესაბამისად, **სტილისტიკა** (ფრანგ. stylistique < style – სტილი), როგორც ფილოლოგიური დისციპლინა, შეისწავლის სტილის რაობას, მის სახესხვაობებს, ენის გამომსახველობით საშუალებებსა და მათ სწორად შერჩევა-გამოყენებას სათქმელის ზუსტად და ექსპრესიულად გადმოცემისათვის. ეს ტერმინი ზოგჯერ გამოიყენება სტილის სინონიმური მნიშვნელობითაც რომელიმე ნაწარმოების მხატვრულ თავისებურებათა აღსანიშნავად; მაგ.: „გ. ლეონიძის მოთხრობის სტილისტიკა“ (ქართული ენა /ენციკლოპედია / 2008, გვ. 445).

სტილისტიკას, როგორც ენათმეცნიერულ დისციპლინას, სათავე დაუდო ფრანგმა მეცნიერმა შ. ბალიმ თავისი ნაშრომით: „ტრაქტატი ფრანგული ენის სტილისტიკის შესახებ“ (1909). აღნიშნული დარგის განვითარებაში შემდეგ დიდი წვლილი შეიტანეს ჩეხმა, რუსმა და სხვა ენათმეცნიერებმა, რომელთა კვლევის შედეგებიც არაერთი ნაშრომის საფუძვლად იქცა (ქართული ენა /ენციკლოპედია/ 2008, გვ. 446).

ენათმეცნიერული სტილისტიკის სფეროა **სინამდვილის ფაქტის** – გადმოსაცემი შინაარსის (სათქმელის) და **ენობრივი ფაქტის** – გადმომცემი ენობრივი საშუალების (ნათქვამის) ურთიერთობა, რომელსაც **მოლაპარაკე** (მთქმელი) წარმართავს. სინამდვილის ფაქტი ანუ ობიექტური ვითარება ერთია, მაგრამ მისი ენობრივი გამოხატვის ხერხები – სხვადასხვა; ამაში იოლად დავრწმუნდებით, თუ დავაკვირდებით ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებს:

– წყვილებში: **პატარა – ციცქნა; მოხუცი – მიხრწნილი; გამხდარი – გაძვალტყავებული** შეპირისპირებული სიტყვები ერთსა და იმავე შინაარსს გადმოსცემენ, თუმცა – განსხვავებული კუთხით; სხვადასხვაობის მიზეზი ის არის, რომ წყვილის პირველ წევრთათვის (პატარა, მოხუცი, გამხდარი) ამოსავალია თვით ობიექტური რეალობა, წყვილის მეორე წევრებისთვის კი (ციცქნა, მიხრწნილი, გაძვალტყავებული) – მოლაპარაკის სუბიექტური დამოკიდებულება ობიექტური რეალობისადმი. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ამოუწურავია ადამიანის ენობრივი შესაძლებლობები. როგორც შენიშნულია, „არა თუ ორი მწერლის სტილი არ არის ერთი და იგივე“, მეცნიერების ერთი და იმავე დარგის ორი წარმომადგენლის „ენაც“ განსხვავებულია და „ყოველდღიურ მეტყველებაშიც ცალკე პირთა სტილი ისევე განირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც სიარული, ხმის ტემბრი და ნაწერის ხელი“ (ჩიქობავა, 1952, გვ. 317);

– ყველასათვის ნაცნობი შემთხვევაა, როდესაც ექიმი პაციენტს ამ უკანასკნელისთვის „გასაგებ ენაზე“ უხსნის ჯანმრთელობის მდგომარეობას, თუმცა ამავე ინფორმაციას მედიკოსთათვის სავალდებულო სამედიცინო ტერმინოლოგიით წარმოადგენს ავადმყოფობის ისტორიაში;
– საკამათო არ არის, რომ მოსაუბრე (თუნდაც თითოეული ჩვენგანი) განსხვავებული ფორმებით მეტყველებს შინაურ გარემოში და ოფიციალურ პირებთან ურთიერთობის დროს; შდრ.: **ჭამე – მიირთვით; რომელი გინდა? – რომელს ინებებთ? ვერ გავაკეთე – არ მომეცა შესაძლებლობა...** და სხვ.

აშკარაა, რომ ენობრივი გამოხატვის საშუალებებს შორის არჩევანი შესაძლებელია გაკეთდეს მოსაუბრის დამოკიდებულებისა თუ გარკვეული გარემოს – ენობრივ-ექსპრესიული ველის (სიტუაციის) შესაბამისად. ტრადიციული სტილისტიკაც სწორედ ენის **სინონიმური რესურსების** შესწავლას ითვალისწინებს ყოველდღიური სასაუბრო, ოფიციალური თუ სამეცნიერო-პროფესიული სტილების მიხედვით. სინონიმურ რესურსებში, ძირითადად, მოიაზრება: **ლექსიკა** (დამოუკიდებელი და დამხმარე სიტყვები); **გრამატიკული ფორმები** (უმთავრესად მაწარმოებელი აფიქსები); **სინტაქსური კონსტრუქციები** (სიტყვათა განლაგება წინადადებაში; წინადადებათა სახეები შინაარსისა და აგებულების მიხედვით...) და სხვ. აღნიშნული თვალსაზრისით, გამოიყოფა:

- ფონეტიკური სტილისტიკა; შდრ.: **თბილი – ტფილი; რძალი – სძალი, რძე – სძე...**
- ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სტილისტიკა; შდრ.: **პერანგი – კვართი; კანცელარია – სამდივანმწიგნობრო; რექტორის მოადგილე – რექტორის ამხანაგი...**
- მორფოლოგიური სტილისტიკა; შდრ.: **მთები – მთანი; სარკმლის – სარკმელის, შოთას – შოთაის...**
- სიტყვაწარმოებითი სტილისტიკა; შდრ.: **ქრისტიანი – ქრისტეანე; მოწინავე – მეწინავე, სამეგობრო – მეგობრული...** ისტორიკოსი – **მეისტორიე...**
- სინტაქსური სტილისტიკა, შდრ.: **ჩემი სამშობლო – სამშობლო ჩემი; ქალაქშია – ქალაქს არის; თავისი შვილით – თავისი შვილითურთ – თავის შვილთან ერთად** და სხვ.

სტილისტიკისათვის მნიშვნელოვანია ნათქვამის **სიზუსტე** და **მკაფიოობა**, რასაც ითვალისწინებს **სტილისტიკური მინიმუმი**. სტილისტიკური მინიმუმის დარღვევად განისაზღვრება ისეთი შემთხვევები, როდესაც, მაგ.:

ა) ფრაზის შემადგენელი სიტყვები მნიშვნელობით არ შეესაბამება ერთმანეთს; შდრ.:
სიხარული მომცა – **სიხარული მომანიჭა;**
კურსიდან ჩაჩოჩება – **კურსიდან გადახრა / გადახვევა;**
თვალ-ყური გადაავლო – **თვალი გადაავლო;**
ჩუმად დაიღრიალა – **დაიღრიალა;**
ხმამაღლა დაიჩურჩულა – **დაიჩურჩულა...**

ბ) დამხმარე სიტყვები არასწორადაა გამოყენებული; შდრ.:
შენიშნა შვიდი ანუ რვა ცხენოსანი – **შენიშნა შვიდი თუ რვა ცხენოსანი;**
სუფრაზე იჯდა – **სუფრასთან იჯდა;**
დაბადების დღეში ვნახე – **დაბადების დღეზე ვნახე**
მაგისტრატურაზე სწავლობს – **მაგისტრატურაში სწავლობს...**

გ) აზრი გაბუნდოვანებულია რთული წინადადების შეცდომით აგების გამო; შდრ.:
– ბიჭი სულმოუთქმელად შევარდა სახლში, რომელიც მდევარს ემალებოდა;
ბიჭი, რომელიც მდევარს ემალებოდა, სულმოუთქმელად შევარდა სახლში.
– ეს არის დარჩიაშვილის ინიციატივა, რომელიც არის უმცირესობის წარმომადგენელი;
ეს ინიციატივა დარჩიაშვილისაა, რომელიც არის უმცირესობის წარმომადგენელი... და სხვ.

ცხადია, სტილისტიკური მინიმუმის დასაცავად აუცილებელია **სწორი გრამატიკული ფორმები**, მაგრამ უშუალოდ სტილისტიკის საგანია ის, თუ გრამატიკულად სწორი ფორმებიდან რომელია **უკეთესი** აზრის ცხადად და ექსპრესიულად გადმოცემისათვის.

მეცნიერები მიუთითებენ სტილისტიკის შესწავლის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. თეორიული კუთხით, არსებითია იმის გარკვევა, თუ რა არის სტილი, რა კავშირი აქვს ენათმეცნიერების სხვა დარგებთან; რა საფუძველი აქვს მეტყველების სტილებად კლასიფიკაციას, რა მნიშვნელობა აქვს სიტყვათა შერჩევას, სტილის ბუნებრიობის შენარჩუნებას და სხვ. (ბასილაია, 1991, გვ. 21-22).

პრაქტიკული თვალსაზრისით, სტილისტიკას აქვს გამოყენებითი მნიშვნელობა, კერძოდ: როგორ იქნეს დაცული ენის აზრობრივ-გრამატიკული სისწორე და სიზუსტე, შთამბეჭდაობა, სინონიმური შესაძლებლობებიდან რომელი შეირჩეს აზრის გადმოცემისათვის, ასევე – თავიდან იქნეს არიდებული სტილისტიკური შეცდომები და სხვ.

19.2. სტილისტიკის კავშირი სხვა დისციპლინებთან. სტილისტიკური კვლევის ძირითადი მიმართულებები

სტილისტიკა მჭიდრო კავშირშია ენათმეცნიერების დარგებთან, იყენებს რა მათი კვლევის შედეგებს; ეს დარგებია:

ლექსიკოლოგია – შეისწავლის ენაში არსებულ სიტყვათა მარაგს, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობის მასალაა სტილისტიკისთვის;

სემასიოლოგია – მოძღვრება სიტყვის მნიშვნელობის შესახებ; შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობას და მის ცვლას, რაც ასევე არსებითია სიტყვების სტილურად შერჩევის თვალსაზრისით;

ფონეტიკა – შეისწავლის ენაში არსებულ სამეტყველო ბგერათა სისტემასა და მასთან დაკავშირებულ პროცესებს. ფონეტიკიდან სტილისტიკას უმეტესად აინტერესებს მეტყველების კეთილხმოვანების (ევფონიის) საკითხი, რომელიც უფრო პოეზიის ენისთვის არის დამახასიათებელი;

გრამატიკა – შეისწავლის ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ მექანიზმს, რომელიც მოიცავს სიტყვების აგებულება-ფორმაცვალებისა და შეკავშირების საკითხებს;

სალიტერატურო ენის ისტორია – გვეხმარება სტილისტიკის განვითარების საფეხურების გარკვევასა და ამა თუ იმ პერიოდის ენობრივი სტილის ნიშნების შედარებით შესწავლაში.

ენობრივი გამოხატვის შესაძლებლობების თვალსაზრისით, სტილისტიკა იკვლევს მხატვრულ ნაწარმოებთა ენასაც – ტროპული მეტყველების სახეებს (მეტაფორა, ეპითეტი, შედარება...), რომელთაც მწერალი ქმნის ან ირჩევს ტექსტის შინაარსის გარკვევით და შთამბეჭდავად გადმოცემისათვის. ამდენად, სტილისტიკის საკითხები განიხილება **პოეტიკასა** და **ლიტერატურის თეორიასთან** – მხატვრულ-ენობრივ საშუალებათა შემსწავლელ მიმართულებასთან კავშირშიც. ფაქტობრივად, სტილისტიკა ფართო საკვლევი ველის მქონე დისციპლინაა, რომელშიც ერთიანდება ენათმეცნიერული სტილისტიკისა და პოეტიკური სტილისტიკის საკითხები.

გარკვეულწილად, სტილისტიკა კავშირშია ისეთ დარგებთანაც, როგორიცაა: **ლოგიკა, ეთიკა, ესთეტიკა** და **ფსიქოლოგია**. აღნიშნული დისციპლინები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მეტყველების დროს სიტყვებისა და გამოთქმების შერჩევას ყურადღება ექცევა აზრის სიზუსტის, თავაზიანობის გამოხატვის, განწყობილების შთამბეჭდავად გადმოცემისა და სილამაზის თვალსაზრისითაც (ბასილაია, 1991, გვ. 25).

სტილისტიკური კვლევის მიმართულებებიდან ცნობილია:

შიდაენობრივი და გარეენობრივი, ანუ შეპირისპირებითი სტილისტიკა; შიდაენობრივი სტილისტიკა სწავლობს ერთი კონკრეტული ენის ექსპრესიულ შესაძლებლობებს, შეპირისპირებითი სტილისტიკა კი ემყარება ორი ან მეტი ენის სტილისტურ-გამომსახველობით საშუალებათა შესწავლასა და შედარებით ანალიზს. როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, ეს მეთოდი საუკეთესო საშუალებაა შესადარებელი ენების როგორც საერთო, ისე სპეციფიკურ სტილისტიკურ ნიშანთა გამოსავლენად; ასევე, ამ გზით მიღებულ შედეგებს აქვს როგორც ზოგადთეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა (მაგ., თარგმანის სფეროში);

პრაქტიკული სტილისტიკა – გამოყენებითი ხასიათის დისციპლინა, რომელიც იძლევა მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს ენობრივ-სტილისტიკურ ნორმებზე სხვადასხვა სფეროში. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სიწმინდის დაცვასა და მეტყველების კულტურის ამაღლებაში;

ისტორიული სტილისტიკა – შეისწავლის ენობრივ-გამომსახველობითი ნორმებისა და ენის სტილისტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება-განვითარებას, დროთა განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს (ქართული ენა /ენციკლოპედია/ 2008, გვ. 447).

ბუნებრივია, რაც უფრო ხანგრძლივი ისტორიისა და ტრადიციების მქონეა სალიტერატურო ენა, მით უფრო დახვეწილია და ნაირსახოვანი მისი სტილური ვარიანტები. ამის თვალსაჩინო მაგალითია ქართული სამწიგნობრო ენა.

19.3. სტილისტიკის ისტორიიდან; „სამი სტილის“ თეორია ქართულ მწერლობაში

სტილისტიკის საკითხებით დაინტერესდნენ ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდელი პერიოდის სწავლულები, კერძოდ, ინდური გრამატიკის შემდგენლები (ძვ. წ. V ს.) და ბერძენი გრამატიკოსები (ძვ. წ. II ს.). ანტიკურ პერიოდში დამუშავდა სტილისტიკის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: პოეტური და სასაუბრო მეტყველების განსხვავება, მეტყველების ღირსებათა დახასიათება, პოეტური ფიგურების შერჩევა და ზომიერად გამოყენება, სამი სტილის აღიარება და სხვ. სტილის შედარებით გამართული თეორია არისტოტელემ ჩამოაყალიბა თავის ორ ტრაქტატში: „პოეტიკა“ და „რიტორიკა“; პირველში ის მსჯელობს პოეტიკის შესწავლის საგანზე – მხატვრული შემოქმედების ენასა და მის თავისებურებებზე, ხოლო მეორეში – პრაქტიკული დანიშნულების საერთო-სახალხო ენაზე, რომელიც რიტორიკის (მჭევრმეტყველების ხელოვნების) სფეროს განეკუთვნებოდა. ქვემოთ წარმოდგენილია არისტოტელეს ცნობილი დაკვირვებები სტილზე:

- „თვით სტილი არაფერს ჰმატებს აზრის ჭეშმარიტებას, ის მხოლოდ უფრო მისაწვდომად ხდის აზრს“;
- „მეტყველებამ რომ საჭირო შთაბეჭდილება მოახდინოს, არ არის საკმარისი მხოლოდ იმის ცოდნა, რა უნდა ითქვას, არამედ აუცილებელია, ეს სათანადოდ ითქვას“;
- „სტილი უნდა შეეფერებოდეს მეტყველების საგანს, მის ბუნებას“[69];
- „ხელოვნურობა ცუდია“, სტილი უნდა იყოს „ნათელი, გასაგები, ბუნებრივი...ზომიერი“;
- „კარგი სტილისტი ის აღმოჩნდება, ვისი მეტყველებაც პრეტენზიულობისგან იქნება თავისუფალი... ვინც თავის სიტყვას ყოველდღიური სასაუბრო მეტყველებიდან აღებულ გამოთქმათაგან ადგენს“;
- „სტილს მაშინ აქვს საჭირო თვისებანი, როდესაც იგი გრძნობებითაა სავსე, როდესაც საგანი ნამდვილად განცდილია, როდესაც მეტყველი მნიშვნელოვან საგანზე არ ლაპარაკობს ზერელედ და წვრილმანებზე კი – ამაღლებულად და საზეიმო სიტყვებით“;
- საგნის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად, საჭიროა გამოთქმების შერჩევა, რომლებიც საგანს „მისი მოქმედების პროცესში გამოხატავენ“ (კიკნაძე, 1999, გვ. 9-12).

---

[69] ამის საწინააღმდეგო მაგალითად არისტოტელეს მოჰყავს ისეთი შემთხვევა, როცა მოხუცს ჭაბუკივით აცვია.

საყურადღებოა, რომ არისტოტელე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას მხატვრულ ხერხებზე (შედარება, მეტაფორა...), მათი გამოყენების მნიშვნელობაზე, მაგრამ, ამავე დროს, ზომიერების დაცვას მოითხოვს, რომ სათქმელი „ნათელი იყოს და არა ტლანქი“: „თუ სათქმელი შედგება მხოლოდ მეტაფორებისაგან, იგი გამოცანაა; თუ იგი შედგება უცხო სიტყვებისაგან, – ბარბარიზმია“; მაშასადამე, საჭიროა, რომ ეს სიტყვები სათქმელში "მოხდენილად", სწორად – "სათანადოდ" და მსმენელისათვის გასაგებად იყოს შერჩეული (არისტოტელე, 1981, გვ. 170, 185-186, 189-191). არანაკლებ მნიშვნელოვანია არისტოტელეს მითითება ზეპირ და წერილობით სტილებს შორის განსხვავებაზე, რომ წერილობითი სტილი ზუსტია, ხოლო პოლემიკური (ზეპირი) – ყველაზე აქტიორული. დეკლამატორები აქ გამეორების ხერხს ხშირად მიმართავენ, რაც წერის დროს მიუღებელია და სხვ. (კიკნაძე 1999, 15).

ანტიკურ ეპოქაში წარმართულ კვლევებს სტილისტიკის საკითხებზე პრაქტიკულ-ნორმატიული ხასიათი ჰქონდა – ძირითადად, ადგენდნენ, რა ტიპის ლექსიკა-ფრაზეოლოგია თუ მხატვრული სახეები „შეშვენის“ სიტყვიერების სხვადასხვა სახეს (გ. კვარაცხელია); ამავე პერიოდში ყალიბდება მწერლობის ნიმუშთა **სტილებად გამიჯვნის** ტრადიციაც იმ დებულების თანახმად, რომ: „მეტყველების ფორმა უნდა შეესაბამებოდეს მსჯელობის საგანს“. ამ კუთხით, საყურადღებოა ლიტერატურის ისტორიკოსთა შენიშვნაც, რომ ამაღლებულ თემებზე შექმნილი ნაწარმოებების, მაგ., ტრაგედიების ენა ლექსიკითა და სინტაქსური კონსტრუქციებით საგრძნობლად განსხვავდება საყოფაცხოვრებო ხასიათის პიესების – კომედიების ენისაგან.

ანტიკური ტრადიციის საფუძველზე შემუშავებულმა მოძღვრებამ ე.წ. „სამი სტილის“ შესახებ შემდეგში გავლენა იქონია კლასიციზმის ხანის (XVII–XVIII სს.) მწერლობაზე, რაც ნათლად აისახა ფრანგი პოეტისა და ლიტერატურის თეორეტიკოსის – ნიკოლა ბუალოს (1636-1711) „პოეტურ ხელოვნებაში“, ასევე – რუსი მეცნიერისა და განმანათლებლის – მ. ლომონოსოვის (1711-1765) შრომებში და სხვ.

ზემოაღნიშნულმა მოვლენამ, შესაბამისად, თავისებური გამოძახილი ჰპოვა ქართულ სინამდვილეშიც: სტილური განსხვავება საგრძნობი იყო თვით ერთი ავტორის მიერ შექმნილ სხვადასხვა ხასიათის ნაშრომებშიც; მაგ., შევადაროთ ერთმანეთს ნაწყვეტები XVII-XVIII სს. მწერლის – სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურული ჟანრის ნაწარმოებიდან: „მოგზაურობა ევროპაში“ და მისივე დიდაქტიკური ხასიათის თხზულებიდან: „სწავლანი“:

"...ავი ქარი ქროდა, სხვაგან წასვლა აღარ იქნებოდა. ის ღამე, მეორე დღე, ერთი იანვარი სულ დღე და ღამე ძლიერი ღელვა იყო. ავდარი, ნისლიანი. ასეთი ღელვა იყო, ღუზაჩაგდებული ხომალდი დიდს ადგილს დაძრა. ათს იანვარამდი ხან ცოტად დაწყნარდის ზღვა და უფროსი ერთს სრულებით ღელვა იყო. ათს იანვარს ცოტა რამ ჩვენი ქარი ამოვიდა. ვიარეთ სრუტისკენ და შევედით, ღვთის ძალითა, პირველს დარდანელს ციხეთა, რომელ არს გაღმა-გამოღმა."

„მოგზაურობა ევროპაში“ (ქართული მწერლობა, 1989, გვ. 283-284).

"...ნუ ჰგონებთ, თუ გეტყოდე არა ჩაცმასა, არცა დახურვასა, არა კეთილთა შემოსვასა, გინა შიშვლოებითა ვლასა უპატიურად, არამედ გეტყვი ჩაცმასა უცოდველად, დახურვასა არა ვალითა, მოკაზმასა არა ნატაცებითა, შემოსვასა არა ქვრივთა და ობოლთა გაძარცვითა, სამკაულთა შესხმასა არა ანგარებითა, არამედ ყოვლითა სამართლითა და მადლობითა ღვთისაითა; და რა-იგი მოეცეს ღმერთსა, კმა-იყოფდეთ, და გული ითქმიდესთ სამოსლისათვის ზეციერთა, რომელი უბრწყინვალეს არს მნათობთასა, ვითარცა იტყვის მათე სახარებასა შინა: „მრავალნი გამობრწყინდნენ ვითარცა მზენი."

„სწავლანი“ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 2004, გვ. 346).

ანალოგიურად, განსხვავებულია შუა საუკუნეებში მოღვაწე ანტონ კათალიკოსის (1720-1788) საკანცელარიო დოკუმენტებისა და საღვთისმეტყველო ნაშრომების ენა. ანტონ

კათალიკოსმა, რომელიც ისტორიაში ქართული სალიტერატურო ენის სისტემატიზატორის სახელით არის ცნობილი, სამწერლობო ტრადიციის თანახმად, „დაბალ“, „საშუალო“ და „მაღალ“ სტილებად დაყო ნაწარმოებები: „დაბალ“ სტილს მიაკუთვნა ხალხისათვის ადვილად გასაგები მოთხრობები; „საშუალო“ სტილს – სასწავლო-დიდაქტიკური ლიტერატურა (მაგ., წმინდანთა წერილების განმარტებები, რომელთა ენაც, „დაბალი“ სტილის თხზულებებისაგან განსხვავებით, უფრო რთული იყო და არა – ყველასთვის გასაგები), ხოლო „მაღალ“ სტილს – მხოლოდ სწავლულთათვის ხელმისაწვდომი სამეცნიერო (საღვთისმეტყველო) თხზულებები. „საშუალო“ და, განსაკუთრებით, „დაბალი“ სტილი ანტონისთვის არსებობდა თეორიულად; პრაქტიკულად, ის წერდა X-XI-XII საუკუნეებისთვის დამახასიათებელი მწიგნობრული სტილით (ე. ბაბუნაშვილი).

ანტონისეულ ნორმებს ემორჩილებოდნენ მომდევნო პერიოდის გრამატიკოსები და მწერლები, თუმცა 1850 წელს გ. ერისთავის კომედია „გაყრის“ გამოქვეყნების შემდეგ საზოგადოებაში აშკარად იჩინა თავი დაპირისპირებამ ენისა და სტილის საკითხებზე. ჟურნალ „ცისკრის“ 1859, 1860 და 1861 წლების ნომრებში დაბეჭდილი მასალებიდან (იხ. ლ. არდაზიანის, ალ. ორბელიანის, დ. ბაქრაძის და სხვათა წერილები) ჩანს, რომ XIX ს-ის შუა წლებიდან საზოგადოებაში უკვე მომწიფდა აზრი სხვადასხვა სტილით წერის შეუძლებლობაზე. ფაქტობრივად, საკითხი ეხებოდა მაღალ – „საღმთო წიგნურ“ და დაბალ – ხალხისთვის გასაგებ სტილებს შორის არჩევანს, რომლის გადაუწყვეტლობაც აფერხებდა სალიტერატურო ენის ბუნებრივ განვითარებას.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრა ი. ჭავჭავაძის დამსახურებაა. „მამათა“ თაობის წარმომადგენლებთან გამართული პოლემიკის დროს ილიამ დაასაბუთა ენის „ნაირსტილოვანი“ თეორიის უსაფუძვლობა; მან ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება „ხალხის სიტყვის გამოთქმას“, „ხალხის ენაში მონახულ... ფაქტებს“ და ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას მიანიჭა **ერთიანი სამწიგნობრო ენის საორიენტაციო სტილის** სტატუსი. ძველი თაობის წარმომადგენელთა ბრალდება, თითქოს „უშვერი“, მდაბიო სიტყვებით ამძიმებდა „ქართულ სიტყვიერებას“, ილიამ მეცნიერული სიზუსტით გააბათილა, რომ „უკადრისი სიტყვები ქვეყანაზედ არ არიან, მხოლოდ აზრი იქნება უკადრისად გამოთქმული სიტყვებთაგან. უვარგისი სიტყვაც არ არის ქვეყანაზედ. თუ ხალხი ხმარობს, მაშასადამე ვარგისიანია“ (ვაშაკიძე, 2009, გვ. 52-60).

XIX ს-ის 60-იანი წლებიდან გატარებული კურსის შედეგად, მაქსიმალურად შემცირდა განსხვავება მწიგნობრულ და სასაუბრო მეტყველებას შორის; სალიტერატურო ენაში გზა გაეხსნა ზეპირი მეტყველებიდან მომდინარე ლექსიკას, როგორც მწიგნობრული ენის გამდიდრებისა და სხვადასხვა ფუნქციით გააქტიურების წყაროს. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა უმაღლესი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრის – თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, როცა ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით დაიწყო ორგანიზებული მუშაობა საერთო-სახალხო ენაში დაუნჯებული დარგობრივი ლექსიკის შესაგროვებლად.

19.4. ენა და მეტყველება. მეტყველების ფორმა

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი შეხედულებით, ენა არის ბგერით ნიშანთა სისტემა, ობიექტურად არსებული სოციალური მოვლენა, რომელიც წარმოადგენს საკომუნიკაციო, აზროვნებისა და გაგებინების საშუალებას, მეტყველება კი ენის ინდივიდუალური, სუბიექტური გამოყენების კონკრეტული ფორმაა, ანუ ენა – მოქმედებაში. თუ შევიცარიელი ენათმეცნიერის – ფ. დე სოსიურის სიტყვებს გამოვიყენებთ, მეტყველება არის ენის რეალიზაცია კომუნიკაციის პროცესში. ენა და მეტყველება ერთი მთლიანი მონაცემის – სამეტყველო მოქმედების – ორ განუყრელ მხარეს წარმოადგენს (შარაძენიძე, 1974, გვ. 5).

მეტყველების ფორმა ორგვარია: **ზეპირი და წერითი**. ზეპირი მეტყველების საკითხებს შეისწავლის **ორთოეპია** (< ბერძ. orthos – სწორი და epos მეტყველება) – **მართლმეტყველება**, ხოლო წერითი მეტყველებისას – **ორთოგრაფია** (< ბერძ. orthos – სწორი და grafho ვწერ) – **მართლწერა**

ზეპირ და წერით მეტყველებას შორის განსხვავებაა, კერძოდ:

- ზეპირი მეტყველება ქრონოლოგიურად უსწრებს წერით მეტყველებას, ის სათავეს დამწერლობამდელი პერიოდიდან იღებს;
- ზეპირი მეტყველება ახლანდელ დროში მიმდინარეობს და შეიძლება სიტუაციის მიხედვით შეიცვალოს მისი თავისებურებები, რაც ართულებს მეტყველების ამ სახეობის ზოგადი რაობის განსაზღვრას; წერითი მეტყველება ნაკლებადაა დამოკიდებული შემთხვევით გარემოებებზე;
- ზეპირ მეტყველებაში ერთგვარი **შემავსებელი მომენტის** როლს ასრულებს სხვადასხვა არასიტყვიერი საშუალება (ჟესტიკულაცია, მიმიკა, მეტყველების ტონი); ამდენად, ზეპირი მეტყველება არ წარმოადგენს წმინდა ენობრივ მონაცემს;
- ზეპირი მეტყველებისაგან განსხვავებით, წერითი მეტყველება ფიქსირებულია, მასზე დაკვირვება ყოველთვის შეიძლება და სხვ. (კიკნაძე, 1999, გვ. 41-43).

მიუხედავად განსხვავებებისა, ზეპირ და წერით მეტყველებას შორის მჭიდრო კავშირია, კერძოდ: ზეპირი მეტყველება, რომელიც (ფონეტიკური კანონების გავლენით) მიისწრაფვის თავისუფალი ბგერათკომპლექსების შექმნისაკენ, გარკვეულ ცვლილებებს იწვევს წერით მეტყველებაში – მოქმედებს წიგნურ ნორმებზე (მაგ., შდრ.: **ათრვამეტი > თრვამეტი > თვრამეტი; სლვა > სვლა...**), წერითი მეტყველება კი ორთოგრაფიულ ნორმებს ემორჩილება და, თავის მხრივ, გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს ზეპირ მეტყველებას: არაერთია შემთხვევა, როცა ორთოგრაფიული წესების გავლენით, თავადვე „ვასწორებთ“ საუბრის დროს უნებურად წამოცდენილ არანორმატიულ ფორმებს. ზეპირ და წერით მეტყველებას შორის საერთოა სალიტერატურო ენის ბაზა – ენის ფონეტიკური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური შესაძლებლობანი, რომელთა შორის არჩევანიც სტილური მრავალფეროვნების ერთ-ერთი წინაპირობაა.

19.5. მეტყველების სტილები. თანამედროვე სტილური ნაირსახეობები და მათი კლასიფიკაცია

გარჩეულია სასაუბრო და მწიგნობრული სტილები.

სასაუბრო სტილი ზეპირი მეტყველების ენობრივ თავისებურებებს მოიცავს; კერძოდ:

- არაოფიციალურია;
- დაუგეგმავია, სტიქიურად ვითარდება;
- ბუნებრიობითა და ექსპრესიულობით ხასიათდება, რაც მოჭარბებული ემოციის გამომხატველ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში ვლინდება; შდრ.: **ნერვები აეშალა** –

მოთმინება დაკარგა; **ღვინით გაითბლიშა** – უზომოდ დათვრა; **გააფრინა / აფრები აუშვა / გადაეკეტა** – წონასწორობა დაკარგა...

- არ არის რეგლამენტირებული;
- ძირითადად, აქვს ყოფითი შინაარსი;
- სპეციფიკურია ლექსიკური ფონდის შერჩევის თვალსაზრისით, კერძოდ, შეუზღუდავად იყენებს: დიალექტიზმებს, პროფესიონალიზმებს, ჟარგონს; ბარბარიზმებს, ვულგარულ – არაეთიკურ ფორმებს (ასეთია, მაგ., გინებისა და წყევლის ფორმულები), შედარებით ნაკლებად – სამეცნიერო ტერმინებს, წიგნურ ფორმებს; შდრ.: **მორწყვა – მელიორაცია; მოკვეთა – ამპუტაცია; ექიმთან მისვლა – ექიმთან ვიზიტი; ვერ გაქაჩა – ვერ შეძლო...**
- ძირითადად, მთავარ აზრზეა ორიენტირებული;
- დიალოგური ან პოლილოგური ფორმისაა;
- ახასიათებს:

– დაუსრულებელი სიტყვები: **მა!** (მამა!), **ბე!** (ბებია!) **შვილო!** (შვილიკო!), **გალ!** (გალაკტიონ!), **იპო!** (იპოლიტე!), **ოუ!** (იური!);

– კნინობითი და ალერსობითი ფორმები: **ჯამუკა, ბოთლა... მარიკუნა! ათოლიკო! იკაკო!**

– შეკვეცილი, გამარტივებული სინტაქსური კონსტრუქციები, შდრ.:

ხუთსართულიანში ცხოვრობს – ხუთსართულიან სახლში ცხოვრობს;

მომეცით ერთი აგური, ორი ქვა! – მომეცით ერთი აგურის ფორმის, ორი ქვაზე გამომცხვარი პური;

– კითხვითი სიტყვებისა და მიგებითი ნაწილაკების გამოყენება წინადადების მნიშვნელობით:

– წამოხვალ შეხვედრაზე?
– კი!
– როდის აპირებ?
– **ჯერ არა...**

- მკაცრად არ იცავს სალიტერატურო ნორმებს.

მწიგნობრული სტილი განსხვავდება სასაუბრო მეტყველებისაგან, კერძოდ, ის მოიცავს წერითი მეტყველებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს:

- ოფიციალურია;
- წინასწარ დაგეგმილია;
- რეგლამენტირებულია;
- მხოლოდ გარკვეულ პირობებში იყენებს ჟარგონის გამომხატველ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას; ასეთია, მაგ., მწერლობაში – პერსონაჟის მეტყველება, მხატვრული სახეებით აზროვნება; იურიდიულ დოკუმენტაციაში – თვითმხილველების, მოწმისა თუ ბრალდებულის ჩვენება და სხვ.;
- აქტიურად სარგებლობს მწიგნობრული ფორმებითა და ტერმინებით (დიალექტიზმების, ბარბარიზმებისა და არაეთიკური ლექსიკის ნაცვლად);
- მეტად იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს;
- ახასიათებს: აბსტრაქტული არსებითი სახელები, ნარ-თანიანი მრავლობითი, სავრცობიანი ფორმები, მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული რიგი, რთული სინტაქსური კონსტრუქციები;
- ძირითადად, მონოლოგური ხასიათისაა, თუმცა იყენებს დიალოგის ფორმასაც; ასეთებია, მაგ.: პლატონის „დიალოგები“, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ („ხუმარსწავლა“), რომლებშიც სამეცნიერო-შემეცნებითი მსჯელობა კითხვა-პასუხის რეჟიმშია წარმოდგენილი და სხვ.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ასახულია მწიგნობრული სტილის დიფერენცირების საინტერესო სურათი, კერძოდ: ძველი მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა კულტურული ტრადიციების ანალოგიურად, თავიდანვე გაიმიჯნა ორი მიმართულება:

– **პრაქტიკული დანიშნულების ენა**, რეალიზებული სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებში, როგორიცაა, მაგ.: ძირითადი ინფორმაციის შემცველი წარწერები, ოფიციალური ურთიერთობის ამსახველი სიგელ-გუჯრები, ნასყიდობისა და გირავნობის ფურცლები, საკანონმდებლო ძეგლები (მაგ., ვახტანგ მეფის „სამართლის წიგნი“) და სხვ.;

– **მხატვრული სტილი**, გამორჩეული თავისი იდეურ-შემეცნებითი და ესთეტიკური ინდივიდუალობით.

მხატვრულ სტილს თავდაპირველად იყენებს სასულიერო მწერლობა, რომლის წიაღშიც ვითარდება საერო მწერლობის ჩანასახი. ამაზე მიუთითებს, მაგ.: დედოფალ შუშანიკის ტკივილიანი განცდა ამქვეყნიური სიცოცხლის ნაადრევად მოსწრაფების გამო („შუშანიკის წამება“), ასევე – აშოტ და ადარნერსე კურაპალატების სამიჯნურო თავგადასავლები („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) და სხვ. მოგვიანებით, კერძოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის აღმავლობის პერიოდში (X-XI-XII სს.), როდესაც განვითარების მწვერვალს აღწევს საერო მწერლობა („ვეფხისტყაოსანი“), სასულიერო-საღვთისმეტყველო ლიტერატურის საფუძველზე ყალიბდება **ფილოსოფიური სტილი**. მის შემუშავებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ძველ ქართველ მწიგნობრებს.

ფილოსოფია ძველ საქართველოში, ზოგადად, მრავალდარგოვანი მეცნიერების აღმნიშვნელი ტერმინია; ფილოსოფიური სტილით იწერებოდა სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო თხზულებები, რომელთა ენაც სასულიერო მწერლობის ნორმებს ემორჩილებოდა.

XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან „საქართველოს გაზეთის“ გამოცემით (1819) იწყება **პუბლიცისტური სტილის** განვითარება, რომელსაც კიდევ უფრო ფართო გასაქანი მიეცა ჟურნალ ცისკრისა“ (1857) და, მოგვიანებით, სხვადასხვა პერიოდული ორგანოს („ივერია“, „საქართველოს მოამბე“, „სასოფლო გაზეთი“, „დროება“, „მეურნე“, „კვალი“...) დაარსების შემდეგ.

თანამედროვე სტილური ნაირსახეობებიდან, ძირითადად, გავრცელებულია შემდეგი:

- სასაუბრო;
- მხატვრული;
- სამეცნიერო;
- პუბლიცისტური;
- ოფიციალურ-საქმიანი.

ყველა სტილისთვის საერთო მახასიათებლებია: აზრის სიცხადე, ბუნებრიობა, მსჯელობის საგანზე ორიენტირებულობა და სხვ.

რაც შეეხება განსხვავებას:

მხატვრული სტილი, ძირითადად, ენის **შემოქმედებით მხარეს** ასახავს და, ამდენად, არაერთგვაროვანია; მასში მოიაზრება როგორც ცალკეული მწერლის ინდივიდუალური „სახე“ (მხატვრულ-ენობრივი თავისებურებანი), ისე – სათანადო ეპოქის ლიტერატურულ მიმდინარეობათა გამომსახველობითი შესაძლებლობები. მხატვრული სტილისაგან განსხვავებით, სასაუბრო, სამეცნიერო, პუბლიცისტური და ოფიციალურ-საქმიანი სტილები ასახავს სალიტერატურო ენის **პრაქტიკულ-გამოყენებით სფეროებს**. მათ სხვანაირად **ფუნქციურ სტილებს** უწოდებენ. ფუნქციური სტილების გამოკვეთისას ყურადღება ექცევა არალინგვისტურ ფაქტორებსაც, როგორიცაა: გარემო პირობები, სიტუაცია და სხვ.

19.6. მხატვრული სტილის სპეციფიკა. ტროპული მეტყველების ძირითადი სახეები

მხატვრული სტილისათვის, მწიგნობრული სტილის დანარჩენი ნაირსახეობებისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია სინამდვილის მხატვრული ასახვა. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სტილისტიკურ ხერხებს – ტროპული მეტყველების სახეებს (ბერძ. tropos – შექცევა, შებრუნება), ასევე – ლექსიკურ რესურსებს (არქაიზმებს, ნეოლოგიზმებს, დიალექტიზმებს...), წინადადების წყობას, რიტმს და სხვა ენობრივ საშუალებებს, რომელთაც გარკვეული პრინციპის საფუძველზე იყენებს ავტორი. მხატვრული სტილის თავისებურებას განსაზღვრავს: ავტორის პროფესიონალიზმი, შემოქმედებითი უნარი, ესთეტიკური იდეალი, ის მხატვრულ-ისტორიული ეპოქა, რომელშიც ავტორი მოღვაწეობს და სხვ. (ჭილაია და ჭილაია, 1984, გვ. 218).

აღნიშნული საკითხი საკმაოდ ვრცელია და მრავალმიმართულებიანი; ამჯერად შემოვიფარგლებით მხატვრული სტილისათვის სპეციფიკური ტროპული მეტყველების ძირითად სახეთა მითითებით; მაგ.:

შედარება – საგანთა და მოვლენათა შედარების ან შეპირისპირების საფუძველზე განვითარებული სტილისტიკური ხერხი; მაგ.:

„ყმამან სახლი განაშათლა, ვით სამყარო მზისა შუქმან“ (რუსთ.);

„მამამან შენმან წმინდანნი შემოიხუნა სახიდ თჳისა, ხოლო შენ დევნი შემოიხუენ“ (იაკობ ხუცესი);

მეტაფორა (ბერძ. metaphora – გადატანა) – სიტყვათა გადატანით მნიშვნელობაზე აგებული სტილისტიკური ხერხი, მაგ.:

„ცრემლსა **ვარდი** [სახე] დაეთრთვილა“(რუსთ.);

ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ **ბროლი** [კბილი] გამომჭვირალი“ (რუსთ.);

გაპიროვნება – საგნებისა და მოვლენებისათვის ადამიანური თვისებების მიწერა, მაგ.:

„მთები... დგანან და ელიან“ (ვაჟა);

„ქვები ალაპარაკდნენ“ (ჩარკვ.);

ეპითეტი (ბერძ. epithetos) – მხატვრული განსაზღვრება; საგნისა და მოვლენის თვისების ემოციური წარმოსახვა, უპირატესად, ზედსართავი სახელით. ეპითეტი განსხვავდება ჩვეულებრივი განსაზღვრებისაგან, რომელიც საგნის ან მოვლენის ლოგიკურ და ობიექტურ დახასიათებას წარმოადგენს, მაგ., შდრ.:

იისფერი თოვლი, მოდუდუნე მტკვარი – დიდი სასტუმრო; პატარა მინდორი

ჰიპერბოლა (ბერძ. hyperbole – გადამეტება, გადაჭარბება) – მხატვრული გაზვიადება; მაგ.:

„აქეთ გორას წიხლსა ვკრავ,/იქით გორას ძვრას ვუზამ...“ (ხალხ.);

„ცოტა კაცია ამირან, / ცოტა სმა-ჭამა ეყოფა: / სადილად ბუღა კამეჩი, / ვახშმად არც სამი ეყოფა“ (ხალხ.);

მეტონიმია (ბერძ. metonimia – გადარქმევა, სახელის შეცვლა) – ერთი სიტყვის შენაცვლება მასთან ლოგიკურად დაკავშირებული სიტყვით, მაგ.:

თერგდალეულები დაუპირისპირდნენ **ძველი თაობის წარმომადგენლებს**...

შვილები ბრალს სდებდნენ **მამებს** მშობლიური ენის გაუფრთხილებლობაში...

სინეკდოქე (ბერძ. synecdoche – თანაფარდობა, შეფარდება) – რაოდენობითი დამოკიდებულების საფუძველზე ერთი ცნების მეორით შეცვლა; საერთო ნიშანია რაოდენობრივი საზღვრის გაფართოება. სინეკდოქეს შინაარსს ქმნის, მაგ.:

– ნაწილის ხმარება მთელის ნაცვლად:

„**მოხუცი** თუ **ახალგაზრდა**, / **ერისკაცი** თუ **სამღვდელო** / **ყველა** ერთმხრივ მიიწევდა,/ ერთი ჰქონდა ყველას ლელო“ (წერ.);

– მრავლობითის გამოყენება მხოლოობითის ნაცვლად:

„მათ უსწავლელთა, ცრუ **რუსთაველთა**, სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი“ (ორბ.);

„**აკაკიები, ბაკაკიები**, მესხი-მეველე, **მელიქ-ადები**“ (ორბ.) და სხვ.;

ლიტოტესი (ბერძ. litotes – უბრალოება, სიმცირე) – საგნის ან მოვლენის განსაზღვრა მისი საპირისპირო ცნების უარყოფით, მაგ.:

„თუმცა სამხიარულო არა მჭირდა რა, მაინც გამეცინა“;

„მშვიდობით, მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა, მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა!...“ (ჭავ.).

ლიტოტესის საზღვრებში მოიაზრება შებრუნებული ჰიპერბოლაც, მაგ.:

„სუტკნეინა ისე მოიკუნტა, რომ მუშტისოდენა გახდა“ (ჭავ.).

სიმბოლო (ბერძ. symbolon – ნიშანი, მაუწყებელი) – პირობითი ნიშანი; ნამდვილისა და შესაძლებლის მისანიშნებლად ნახმარი სიტყვა, ფრაზა ან წინადადება (წინადადებები), მაგ., ა. წერეთლის პოეზიის მიხედვით, XIX საუკუნის საქართველოს სიმბოლურ სახეებს წარმოადგენს: **მიჯაჭვული ამირანი, ავადმყოფი, სატრფო** და სხვ.

ალეგორია (ბერძ. allegoria – გადაკრულად თქმა) – გადაკრულად ნათქვამი სიტყვა თუ სიტყვათა რიგი, რომელშიც განყენებული აზრის, მოვლენისა თუ ცნების შინაარსი კონკრეტული სახითაა გადმოცემული; ალეგორიულია, მაგ.: ანდაზა, გამოცანა, იგავ-არაკი; ა. წერეთლის „სულიკო“, ვაჟა ფშაველას „არწივი“ და სხვ.;

ირონია (ბერძ. eironeia – მოჩვენებითობა, თვალთმაქცობა) – თავაზიანობით შენიღბული დაცინვა, დამცინავი გადაკვრით ნათქვამი; ირონიის მაგალითია ი. ჭავჭავაძის მოთხრობის: „კაცია-ადამიანის“ პერსონაჟების – ლუარსაბისა და დარეჯანის „მეოჯახეობის“ ამსახველი ეპიზოდები; თანამედროვე მაგალითებიდან შეგვიძლია დავასახელოთ ვ. ოდიშვილისა და ვ. ჯავახიშვილის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ თემებზე შექმნილი ტექსტები, რომლებიც ტელეეთერიდან მიეწოდება საზოგადოებას. ირონიული ზეპირი მეტყველების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ინტონაციის სწორად დაცვას.

დაცინვის შედარებით მსუბუქი ფორმაა **იუმორი** (ინგ. humour – ხასიათი, ზნე < ლათ. humor – სითხე), ხოლო მძიმე, გამანადგურებელი დაცინვაა **სატირა** (ლათ. satira < ლათ. satura, სიტყვასიტყვით – ნარევი).

პერიფრაზი – პერიფრაზი (< ბერძ. periphrasis – ხელახლა თხრობა) – იგივეა, რაც სხვისი ნათქვამის გადმოცემა. მისი, როგორც სტილისტიკური ხერხის გამოყენება, ძირითადად, ხდება მეტონიმიის პრინციპით; შესაძლებელია, შენარჩუნებული იყოს ავტორის სტილი, ნაწარმოების ფორმა და გარკვეული რაოდენობით – ლექსიკა-ფრაზეოლოგიაც; ასეთია, მაგ., ნაწყვეტი ი. ჭავჭავაძის ლექსიდან: „პასუხის პასუხი“, რომელიც „მამათა“ თაობის წარმომადგენლებს ეხება:

„ვინა ყრიხართო, ვირები ხართო, –
მაგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება?
მაგრამ მოთამ ჰსთქვა: **რაც კოკაში სდგა,**
იგივე თურმე წარმოსდინდება!..“

ტროპულ მეტყველებას, როგორც სტილისტიკურ საშუალებას, მწერალი აქტიურად იყენებს შთამბეჭდავი მხატვრულ-ემოციური სახეების შესაქმნელად. ამავე დროს, მხატვრული ენის გავლენით, არაიშვიათია ტროპულ ნაირსახეობათა სასაუბრო ენაში დამკვიდრების შემთხვევებიც; მათ განაპირობებს კონკრეტულ ნაწარმოებთა (ლექსის, მოთხრობის, პიესის...) თემის აქტუალობა, გავრცელებულობა, ავტორის ცნობადობა და სხვა ფაქტორები.

ტროპის ფორმებს, გარკვეული ასპექტით, იყენებს სამეცნიერო ენაც; ამ შემთხვევაში ისინი დაცლილია ემოციური შინაარსისაგან: წინა პლანზე წამოწეულია სპეციფიკური –

ტერმინოლოგიური მნიშვნელობა. ასეთია, მაგ.: **ქართა ვარდი** (გეოგრ.), **მგლისხახიანი ბავშვი** (მედიც.)... **ქუდის გატეხა / ცის გახსნა** (მევენახეობა-მეღვინეობის ლექსიკა) და სხვ.

ზემოაღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს მხატვრულ და ფუნქციურ სტილთა შორის შინაგან კავშირს, კერძოდ, ერთი საფუძვლიდან – სამწერლობო ენიდან მომდინარეობასა და ერთიმეორისგან „სესხებით“ საკუთარი სპეციფიკური ენობრივი შესაძლებლობების გამდიდრებას; ადვილი შესაძლებელია, ერთი ენობრივი სტილის ნიშნები მეორე ენობრივ სტილში განმეორდეს, თუმცა ამ შემთხვევაში მათი ფუნქცია განსხვავებული იქნება.

სავარჯიშოები

19.6. 1. წაიკითხეთ ტექსტი; იპოვეთ და ამოწერეთ ტროპული მეტყველების სახეები.

შატილის ცასავით

შატილის ცასავით ლურჯი გაქვს თვალები,
მშვენებით მოჰგევხარ სალი კლდის ავაზას.
მაგ სილამაზისთვის გწყევლიან ქალები,
ვაჟები ჰკოცნიან შენს სავალ შარაგზას.
რამდენჯერ ვევედრე ლაშარს და კოპალას,
კვლავ დამიბრუნებდნენ აპრილებს გაფრენილს.
შორს გაგიტაცებდი ცელქსა და ლურჯთვალას,
შენს დალალს ვნახავდი ჩემს მკლავზე დაფენილს.
კვლავ ნუღარ შემხვდები, მერიდე, მზექალო,
კაცი არ მაცდუნო მაგ თვალთა მშვენებით.
შევცდები, შეგტაცებ პერანგის საყელოს,
მთებს გადაგატარებ ლურჯაის ჭენებით.
და როგორც ყაჩაღი, არწივთა საბუდარს
მივალ და გავხდები სალი კლდის ხიზანი,
შურთხებთან დაგმალავ საცოლეს ნაქურდალს,
უშენოდ სიცოცხლეს არა აქვს მიზანი.

ე. უძილაური[70]

19.6.2. წაიკითხეთ ნაწყვეტი ა. მორჩილაძის რომანიდან: „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ და შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

ა) გამოყავით ტროპული მეტყველების სახეები;

ბ) განსაზღვრეთ და დაახასიათეთ პერსონაჟის მეტყველების სტილი, მოიძიეთ შესაბამისი მაგალითები: არასალიტერატურო ფორმები, ლექსიკა (ჟარგონი, ვულგარიზმი, ნეოლოგიზმი, საერთაშორისო სიტყვები).

უკვე გარეთ ვარ. გაქუცული და მოფარღალავებული მრგვალი ბაღის კიდეზე ვდგავარ. ადრე აქ ტაქსისტების ბირჟა იყო. ჩაჯექი, სამმანეთიანი დაუგდე და იარე. ავოეეეე... ახლა კი ფეხით უნდა დავაწვე რედაქციამდე, სხვა გზა არ არის. მეტრო და რაღაც სიგიჟეები ისე მიჭირს, თითქოს კუჭი მქონდეს შეკრული. მივდივარ და ვფიქრობ: „კოტე ამერიკაშია, ჯავახა ესპანეთში, ცქვიტა ჰოლანდიაში, თუშმალა პარიზში, შეშიკა ლონდონში, სხვები ან მოსკოვში, ან სადმე სხვაგან.“ სხვა რომ არაფერი იყოს, უბრალოდ, ისე, ადამიანურად მოგენატრება ვინმე. მე შენ გეტყვი და დარეკავ.

იმ დღეს სახლში ვიყავი და... ეგრე, საღამო იყო, ცხრა საათი, გააბა და გააბა ტელეფონმა. მეთქი რაიონია. რაიონიდან ვინ უნდა დამირეკოს? მაგრამ ხომ იცი, ერევათ ხოლმე. ავიღე. ისეთი რაიონი გამოდგა, კინაღამ ყურმილი გამივარდა ხელიდან. ალიკა იყო კანზას-სიტიდან. ექვსი თვეა არაფერი და უცებ რეკავს. მეგონა გვერდით მიზის და ფეხბურთზე ვლაპარაკობთ, ავტომატიდან ვრეკავო. მოკლედ, ვიყვირეთ მე აქედან და იმან იქიდან. იქ გოგო ჰყოლია, ლესლი... კანზას-სიტი თურმე ორია, ეს უფრო კარგ კანზას-სიტიში მოხვედრილა და მთელი ამბავი. ისე, ერთი ჩუმი ლესლი მეც არ მაწყენდა. ოღონდ ჩუმი და... მინიმალური იმით, რა ჰქვია, თბილისში რომ არის გავრცელებული. ჰო, სწორედ. აი, ეგ

---

[70] https://www.facebook.com/174250646022750/photos/a.216119758502505.48114.174250646022750/257183044396176/?type=1&theater
მოძიებულია: 2.09.2019.

მკლავს, როგორც ღამეულ პიკეტიდან გამოსროლილმა ტყვიამ მოკლა ის ამერიკელი ნატახტარის გზაზე. მაქვავებს ადგილზე, როგორც იმ ამერიკელს – ბენზინის გულისთვის შუბლგახვრეტილ რემბოს. ნახე, რა მძლავრად ვთქვი?

რა, არის ჩემში რაღაც მსხვერპლშეწირულის, არის რაღაც პუბლიცისტური. ტყუილად კი არ დავხურე ხუთი ჰუმანიტარული კურსი. აი, ეს სნობიზმი მაგიჟებს. თუ მოსწონთ, ისეთი რამეები მოსწონთ, რომ... არ ვიცი, რა. თან რაც ყველაზე მთავარია უცებ ჩაკლანდნენ. ხელოვანთა კლანები, ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით. თუ რომელიმეში მოხვდი, კაცი ხარ, აქეთ მარლბოროს ყიდი, იქით წიგნებს წერ. იდეალებს არ ივიწყებ, მოკლედ. ხე-ლო-ვან-თა კლა-ნე-ბი. წარმოიდგინეთ, მაგათი ხელოვნება. აი, ადრე რომ იყვნენ „ცისფერყანწელები" და ვიღაც-ვიღაცეები, ორდენები და მთელი ამბავი, ახლა კლანებია, ამ ორდენების მაგივრად. ძირითადად ასეა. ვთქვათ, კომპანია „ჯყტ": ჯემალა-ყარამანა-ტრისტანა ფიქჩერზ. კინოს გარდა ყველაფერს იღებენ: სნიკერსს, კრედიტს და წამალსაც კი. მერე მსჯელობენ. მიდი რა მიახვიე, შენც მყავხარ ჟორჟ სადული, თუ ვიღაც კიდევ – ისა, რა ჰქვია? გასტონ ბაშლიარ...[71]

19.6.3. ლიტერატურული ნაწყვეტიდან მოიძიეთ მასალა თემისათვის: *პერსონაჟის მეტყველების თავისებურებანი.*

რევაზ ინანიშვილი, „ანდერძი დავით გონჯილაშვილს"

ამას, რასაც მე ეხლა ვწერ, თქვენთვის არა ვწერ, ჩემო შვილებო. თქვენა, ვერც ბიჭებსა და ვერც ქალებს, ცოცხალმა კაცმა ვერ შეგასმინეთ, რაც მე გულისგულით მინდოდა, და ამ ფარატინა ქაღალდზე დაწერილი რას შეგასმენთ. ამას ვწერ ჩემი შვილთაშვილებისა და იმათი შვილებისათვის. იცოდნენ ესა, რაც მე უნდა დავწერო, და თუ გამოადგებათ რამეში, ხომ კარგი, თუ არადა, ანდერძს კაცი არც მოუკლავს, არც დაუნგრევიაო, არც მე დამაკლებს ამის დაწერა რამეს, – არც მე, არც თქვენა, არავისა, – იყოს, ხარჯს არ მოგთხოვთ და ბაჟს, ისე კი, ერთი პატარა სათხოვარი მაქვს და ეს მაინც უნდა ამისრულოთ: ნუ მიაგდებთ ამ ჩემს დაწერილს ნაგვის გასაყოლებლად, შეინახეთ, აი, თუნდაც სინათლის გადასახადის ქვითრებს რომ ინახავთ ხოლმე, იქა, ან სინათლის ქვითრებთან, ან არადა, ყმაწვილების ნიშნების ფურცლებთან. სხვა თუ არაფერი, მადლია, კაცს რომ სურვილს აუსრულებთ და თანაც – იქნებ ღმერთიც არის, რა ვიცით, იმასთან მისვლისასაც ხომ ყველას გვჭირდება ცოტაოდენი რამ ხელის ტვირთად.

დავიწყებ იმის მოთხრობით, რომ ქართველი ვარ, ფშაველი, ქართველები მყავდა დედაცა და მამაც, მამა – გოჯელაშვილი, დედა – ფოთოლაშვილი. მამაჩემის მამა, იმედათ გამიხარდი, ვაჟა-ფშაველას ეძმაკაცებოდა თურმე. მამაჩემი მეუბნებოდა ხოლმე, ვაჟა შენც უნდა გახსოვდეს, რანაირად არ გახსოვს, ბალღო, ჩვენი სახლის უკან ხთისოს წიფელთან რო ნიშანი დავსვით, ჩვენ დაწოლილები ვისროდით, მე, მამაჩემი და ჩემი დედის ძმა, ვაჟამ კიდევ ეგრევე ჯდომელამ რომ გაუშვირა თოფი და აიღო ის ნიშანიო! პატარაობისას ვიძახდი, როგორ არა, სულ წვრილად მახსოვს-მეთქი, მაგრამ ეხლა გამოგიტყდებით, ეს დღე არ მახსოვს. ეგ ყველაფერი მამაჩემისა და ჩემი ბიძების ნათქვამებიდანა მაქვს დამახსოვრებული. მე მარტო რა მახსოვს ნამდვილად: ვაჟა-ფშაველა რომ მოკვდა, მაშინ უკვე ხუთი წლისაზე ცოტა მეტისა ვიყავი და აგე, ეხლა ახალი გომური რომ ჩადგეს ჩვენებმა, მანდ საბძელი გვქონდა; მამაჩემი იმ საბძლიდან ცოტა მოშორებით იდგა, ეტყობა, იმან მოიტანა ის ამბავი, პაპა კიდევ საბძლიდან გამოდიოდა, კევრი გამოჰქონდა. რომ აიღო და დაახეთქა ის კევრი ვაჟა-ფშაველას სიკვდილის გაგონებაზე, კევრი შუაზე გადაიპო, კაკუები აქეთ-იქით გაცვივდა...

19.6.4. გაეცანით ფოლკლორულ მასალას; გამოყავით დიალექტიზმები და შეცვალეთ სალიტერატურო ფორმებით; იმსჯელეთ ლექსების პრობლემატიკაზე, პარალელი გაავლეთ ამავე თემებზე შექმნილ სხვა ფოლკლორულ თუ ლიტერატურულ ნიმუშებთან.[72]

***

...იმათ სიცოცხლეს რა ჰქვია,
ვისაც არაში სთვლიანო,
თავის ჭკვით იჭოცებიან,

---

[71] https://www.facebook.com/morchiladzeaka/photos/a.1513905825570165/1518387735121974/?type=1&theater მოძიებული: 2.09.2019

[72] ტექსტები ამოღებულია წიგნიდან: *ბათირა არაბული – მითებში შობილთა მემკვიდრე*, თბილისი: „ლომისი" (პროფ. ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქციით), 2015 წ., გვ.: 68; 105–106.

მკვდრები სამზეოს დიანო.
არცხვინიან დედულ-მამულსა,
სიცოცხლე არ სწადიანო.

ჯიხვო

ჯიხვო, ცროლის წვერ წაქცეულო,
ხელმიუხლებო მამკლავთაო,
საყინულეში შანახულო,
გამახიზნულო ყვარანთაო.
შენ ცოდო ხქონდას შენ მამკლავთაო,
ჯიხვო, ჯიხვთ ვინაც გაგყარაო,
წვერის ძირშია ნაყუდებსაო,
ტყვია ჭალათით დაგახალაო.
ღამემ მაასწვრა სანგალშიაო,
ფეხზე ჯღან-წრიაპნ შამახყინნაო,
ვეღარ დიოდეს გვერდალშიაო,
იმით გაგწირეს, ცროლის წვერაო,
თორე ჩაგთრიდეს ჭალაშიაო.

ჩამწერი: ნანული ალუდაური

19.7. სამეცნიერო სტილი

სამეცნიერო ნაშრომების მიზანია საკითხის ობიექტური შესწავლა-გააწალიზება და ლოგიკურად სწორი პოზიციის შემუშავება. სამეცნიერო ენის თავისებურებას განაპირობებს:

- ტერმინებისა და სპეციალური სიტყვების გამოყენება; მათი რაოდენობა განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა დანიშნულებისაა სამეცნიერო ნაშრომი, კერძოდ, ვისთვის არის განკუთვნილი: მხოლოდ სპეციალისტებისათვის, მკითხველთა ფართო წრისა თუ დარგის შემსწავლელთათვის. ამის მიხედვით, განსხვავდება სამეცნიერო ნაშრომთა სამი ძირითადი ჯგუფი:

– **საკუთრივ სამეცნიერო** ანუ ვიწრო სპეციალურ ნაშრომები, მაგ.: სამეცნიერო სტატიები, მოხსენებები;
– **სამეცნიერო-პოპულარული** (მაგ.: ლ. სანიკიძის „დედა-ისტორია", „უქარქაშო ხმლები" და სხვ.;
– **სახელმძღვანელოები.**

სახელმძღვანელოები და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები შედარებით მარტივი ენითაა დაწერილი, რასაც მოწმობს ტერმინების უფრო ზომიერი რაოდენობით გამოყენება; ვიწრო სპეციალური ნაშრომები კი რიგითი მკითხველისათვის, შესაძლოა, გაუგებარიც იყოს სამეცნიერო ტერმინების სიჭარბის გამო.

- ცნებითი აზროვნება - ცალკეულ მაგალითებზე დაკვირვების გზით ზოგადი დასკვნების შემუშავება;
- მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრობა და მტკიცებითი ხასიათი, რაც სათანადო არგუმენტაციის მოძიება-სისტემატიზებასა და ანალიზთანაა დაკავშირებული;
- ობიექტურობა და ნეიტრალურობა – ნაკლები ემოცია, საკითხისადმი არასუბიექტური დამოკიდებულება;
- მხატვრული სახეების ნაკლებობა;
- მეტაფორიზებული სიტყვათშეხამებების განსაზღვრული ტიპი, როგორიცაა, მაგ.: **ჩრდილოეთის ციალი, ქართა ვარდი, დიდი დათვის თანავარსკვლავედი, სამომხმარებლო კალათა, დეპოზიტების პორტფელი...**
- მოქმედების გამომხატველი ზმნების სიმცირე და პასიური კონსტრუქციების სიჭარბე; შდრ.: **შეისწავლეს – შესწავლილ იქნა, გამოიჯნა – გაიმიჯნა, გამოყოფენ – გამოიყოფა...**
- რთული ქვეწყობილი კონსტრუქციები;

- განზოგადებულპირიანი წინადადებები: **სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია; აჩქარებას უწოდებენ; როგორც აღნიშნავენ; სავარაუდოა...**
- პირველი პირის მრავლობითის ფორმით მსჯელობა: **ჩვენი მოსაზრების თანახმად; მიგვაჩნია; ვფიქრობთ, რომ** და სხვ.

სამეცნიერო ნაშრომთა გავრცელებული ფორმებია: რეფერატი, სტატია, ანოტაცია, რეზიუმე, რეცენზია, სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომები, მონოგრაფია, ლექსიკონები, ენციკლოპედიები და სხვ.

სავარჯიშოები

19.7.1. გაეცანით ამონარიდებს სამეცნიერო ლიტერატურიდან; მოძებნეთ სამეცნიერო სტილის ენობრივი მახასიათებლები.

ა)

...ჩვენი ქვეყნისათვის მეტად მძიმე და ტრაგიკულმა წლებმა განაპირობეს პოლიტიკური იდეალებისა და ვნებათა ღელვის უკიდურესად მძაფრი გადატანა კულტურის სფეროში. ქართული კულტურის ევროპეიზაციაც მაშინ შესაბამისი შემოქმედებითი ავანგარდიზმითა და მსოფლგანცდით აღინიშნა. ორივე ქართველმა შემოქმედმა – კონსტანტინე გამსახურდიამ და გრიგოლ რობაქიძემ – ღრმად გაითავისეს ნიცშეს ფილოსოფია, რომელმაც ჩამოაყალიბა და განსაზღვრა ექსპრესიონიზმის ესთეტიკა. მათ ქართულ ნიადაგზე გადმოიტანეს, დაამკვიდრეს, გააქართულეს იგი... რომ არა 30-იანი წლებიდან დაწყებული გამყინვარება, ვინ იცის, რა სიმაღლეებს მიაღწევდა ქართველი ერის სულიერი შესაძლებლობები...

- ლია ბიბილეიშვილი – „ტრაგიკული პარალელები კ. გამსახურდიასა და გრ. რობაქიძის პროზაში"[73].

ბ)

1400 წლის გაზაფხულზე თემურ-ლენგი უზარმაზარი ლაშქრით მეექვსედ შემოიჭრა საქართველოში. გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს მთელი მოსახლეობის გათათრება ან პირწმინდად გაჟლეტა. ქართველები გიორგი VII-ის მეთაურობით მამაცურად შეებრძოლნენ მტერს მდ. საგიმის პირას, ქვემო ქართლში, მაგრამ იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. თემურ-ლენგი კვალდაკვალ დაედევნა მათ, სასტიკად მოაოხრა ქვემო ქართლი, თბილისი, მუხრანის ველის მიდამოები, ქსნისა და ლეხურის ხეობები და გარს შემოერტყა გორის ციხეს, სადაც გიორგი VII იყო გამაგრებული. გიორგიმ გაარღვია მტრის ალყა და გამაგრდა ძამის ციხეში, სადაც შვიდი დღე-ღამის განმავლობაში მამაცურად იგერიებდა მტრის გააფთრებულ იერიშებს. ძამის ციხის დაცემის შემდეგ საქართველოს მეფე გამაგრდა სავანეთის ციხეში. მტერმა ეს ციხეც აიღო. გიორგი VII გადავიდა დასავლეთ საქართველოში. თემურლენგმა ვერ გაბედა ტყიანსა და უგზო ქვეყანაში მეფის დადევნება და ჯავრი სამცხეზე იყარა. შემდეგ გადავიდა თრიალეთში, იქიდან თეძმის ხეობით – მცხეთაში და დალაშქრა არაგვის ხეობა, შემდეგ აოხრა ტაო. ლაშქრობა გაგრძელდა მთელ გაზაფხულ-ზაფხულს. მტერმა მოაოხრა მთელი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, დალეწა ციხე-კოშკები, გაძარცვა და დაანგრია ეკლესია-მონასტრები, გაკაფა ბაღ-ვენახები, დაწვა და გაანადგურა სოფლები და დაბა-ქალაქები, გაჟლიტა უამრავი ხალხი. ამ ლაშქრობიდან თემურ-ლენგმა 60 ათასზე მეტი ტყვე წაიყვანა[74].

19.7.2. გაეცანით ქვემოთ წარმოდგენილ სამეცნიერო ტექსტს; გამოყავით ტერმინები და განზოგადებულპირიანი წინადადებები.

ტ. ფუტკარაძე. ქართველ- ფუძის ისტორია[75]

...ქართველ-/ქართველ- ფუძის ისტორიისა და ეტიმოლოგიის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგვარი მოსაზრება გამოითქვა[76]:

---

[73] https://burusi.wordpress.com/2011/05/05/bibileishvili/ მოძიებული: 2.09.2019

[74] https://worldhistory188.wordpress.com/2017/05/17 მოძიებული: 2.09.2019

[75] ტექსტი ამოღებულია ტ. ფუტკარაძის წიგნიდან: *ქართველოლოგიის შესავალი*, თბ., 2014 წ., გვ. 34-35.

[76] სამეცნიერო ლიტერატურისა და მსჯელობისათვის იხ., ფუტკარაძე, *ქართველები* (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები), 2005 წ.

ილია ჭავჭავაძე ფიქრობდა, რომ **ქალდი** ფორმისგან წარმოიქმნა ქართველთა ეთნარქის სახელი: **ქალდი > ქალდისი > ქართლოსი.**

ნ. მარი **ქართ-/ქართლ-/ქართველ-** ფუძეებს უკავშირებდა **ქასდ-** ეთნონიმს: **ქასდივ- > ქართივ- > ქართივ-ელ-ი > ქართველი.** ნ. მარის აზრით, **ქასდ-** ფორმისგანაა მიღებული **ქალდ-/ხალდი-ც.**

ივ. ჯავახიშვილი ერთმანეთთან აკავშირებდა **ქართუ/კარდუსა** და **ქართველს;** კერძოდ, მისი აზრით, სიტყვა **ქართველის** პირველი ნაწილი **ქართუ** ჩვენი ქვეყნის სახელი უნდა იყოს, რომელიც ქართველთა თავდაპირველ საცხოვრისს ერქვა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს თავდაპირველი საცხოვრისი იყო ურარტუ. ურარტუს ხალხი თავისთავს **ქალდის** ანუ **ხალდის** ეძახდა. საფიქრებელია, რომ ეს ქალდები ქართველების ღვიძლი ძმები ყოფილიყვნენ[77].

ქალდეასაგან ქართველის მომდინარეობა პოპულარული გახდა XX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე მწერლებისათვის, განსაკუთრებით აღსანიშნავია გრიგოლ რობაქიძის რემინისცენციები (რომელსაც, ფაქტობრივად, ლინგვისტური არგუმენტების თვალსაზრისით, ვერ გასცილდა ბევრი მკვლევარი); XX საუკუნის დასასრულს კი ამგვარი მიდგომა კვლავ გააქტუალურა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც, იმოწმებდა რა ნიკო მარის მოსაზრებას, ქართველთა სახელსა და საცხოვრისს მთა **კარდუს** სახელთან (ამჟამინდელ არარატთან) და ღვთაება **კარდუსთან** აკავშირებდა.

ქართველ- და **ქართლ-** ფუძეების ეტიმოლოგიისა თუ ისტორიის შესახებ არსებობს სხვა, ასევე, საუკუნის წინ შექმნილი თვალსაზრისი, რომელსაც დღესაც იზიარებს მეცნიერთა ერთი ნაწილი; მაგ., სარგის კაკაბაძის აზრით, **ქართლი** (არმაზის ძველი სახელი) დაკავშირებულია **ქართა** (ბაგა), **ქორი, ქორედი, ქარდაგი** და სვან. "ქვილთხი" (მაღალი) სიტყვებთან. იხ., ასევე, გიორგი მელიქიშვილის მოსაზრება: ეთნონიმი **ქართველი** მომდინარეობს ინდოევროპული **ქართა** ("ზღუდე", "ციხესიმაგრე", "კოშკი"... შდრ., სომხ. **კერტ,** რუს. **გოროდ** და სხვ.) ფუძიდან: **ქართა-ელი > ქართა-ვ-ელ-ი > ქართველი.**

ამ ვარაუდს დამაჯერებელი არგუმენტაცია არ ახლავს.

ა. შანიძე თვლიდა, რომ თავდაპირველად **ქართლი** აღნიშნავდა ერს, რომელმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში დაიპყრო მცხეთა და მიმდგომი ქვეყნები... დაპყრობილი ხალხი ალბათ იყო მესხები, რომელთაც ასიმილაცია მოუხდინეს დამპყრობელ ქართლს (ერს) და მიიღეს მათი სახელი. ა. შანიძის ვარაუდითვე, დამპყრობელი ხალხი – **ქარ-თლი** იგივე **პართნი** ანუ **პართიელები** არიან; შესაბამისად: **პართნი > ქართლი** (მოხდა **პ > ქ** პროცესი და **ნ/ლ** სუბსტიტუცია); მისივე აზრით, სიტყვა ქართველი მიღებულია **პართაველი** ფორმისგან: **პართაველი > ქართველი.**

ამ მოსაზრებაში საკამათოა როგორც ლინგვისტური არგუმენტაცია, ასევე, მოსაზრება მესხების ე.წ. გაქართველების შესახებ: "მესხები" ოდითგანვე ქართველები იყვნენ.

დავით მუსხელიშვილი იმეორებს მოსაზრებას, რომ **ქართველი** მო-მდინარეობს სიტყვა **ქართუ**-სგან, რომელიც, "ადვილი შესაძლებელია, პუნქტსაც და ქვეყანასაც ეწოდებოდა"; ის ნიკო ბერძენიშვილის კვალად თვლის, რომ არსებობდა **ქართი/ქართუ** ტომი, რომელმაც შემდგომ მოახდინა სხვა ქართველურ ტომთა კონსოლიდაცია-ასიმილაცია.

ისტორიულ წყაროში არ დასტურდება **ქართის** სახელით ცნობილი ტომი. გარდა ამისა, დაუსაბუთებელია მოსაზრება, რომ ერთმა ქართველურმა ტომმა მოახდინა სხვა ტომების ასიმილაცია.

როგორც წესი, ეთნონიმისგან ეთნონიმის წარმოება არ ხდება; თუკი **ქართუ** ერქვა ტომს, შეუძლებელია დავუშვათ, რომ მასზე **-ელ** სუფიქსის დართვით წარმოიქმნა ახალი ეთნონიმი: **ქართუ > ქართუ-ელ-ი;** შდრ., მოსალოდნელი არ არის ასეთი წარმოება: **სვანი > *სვან-ელ-ი;** დასაშვებია **-ეთ-** და **-ელ-** სუფიქსების მონაცვლეობა: **კახ-ეთი –კახ-ელ-ი, იმერ-ეთ-ი – იმერ-ელ-ი...**

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, წარმომავლობის **-ელ-** სუფიქსის შემცველი ეთნონიმის – **ქართუ-ელ-ი** – საყრდენი ფუძე **ქართუ-** უნდა იყოს, რომელიც შეიძლება იყოს ქრონიმი /ადგილის სახელი/ ან ღვთაების სახელი; ვფიქრობ, მეტი არგუმენტი ეძებნება მოსაზრებას, რომ ეთნონიმი "ქართველი" მომდინარეობს ურარტულ-კავკასიური წარმართული ღვთაების – **ხალდის/ქართის/ქართუს** – სახელისგან: **ქართუ > ქართუ-ელ-ი.**

---

[77] ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია,* ტფ., 1960, გვ. 411

19.8. პუბლიცისტური სტილი

პუბლიცისტური ტექსტების ძირითადი მიზანია თანამედროვეობის აქტუალური საკითხების წინ წამოწევა და მათზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. პუბლიცისტური სტილი მოიცავს პრესის, რადიოს, ტელევიზიის, საინტერნეტო ქსელის, ასევე, საჯარო გამოსვლების ენობრივ თავისებურებებს. მისთვის დამახასიათებელია:

- სტილური არაერთგვაროვნება: ერთი მხრივ, საერთო აქვს ოფიციალური დოკუმენტაციის ენასთან დროით-სივრცითი შეზღუდვის გამო – ახასიათებს კლიშეები:[78] **სამარცხვინო ლაჟი, პოლიტიკური გვამი, საზოგადოების ხორცმეტი, ისტორიის სანაგვე**... და აბრევიატურული გამოთქმები (იხ. ზემოთ); ამავე დროს, უახლოვდება მხატვრულ სტილს, რასაც განაპირობებს პუბლიკაციის ავტორის ექსპრესიულ-გამომსახველობითი შესაძლებლობები;
- მაქსიმალური სიახლოვე სასაუბრო სტილთან: გასაგებია საზოგადოების ყველა ფენისათვის;
- ფუნქციური ნაირგვარობა; გამოიყოფა საინფორმაციო, ზემოქმედებისა და გართობის ფუნქციები.

  საინფორმაციო ფუნქცია ნიშნავს მკითხველისათვის ახალი ამბის სხარტად და ამომწურავად მიწოდებას რაც შეიძლება მოკლე დროში (რაც უფრო ახალია ინფორმაცია, მით უფრო ღირებულია);
  ზემოქმედების ფუნქციაში იგულისხმება გავლენა მკითხველის ცნობიერებაზე, მაგ.: პოლიტიკური და სოციალური თემების აგიტაცია-პროპაგანდა, ასევე – მხატვრული შთაბეჭდილების გაძლიერება, რეკლამირება...
  გართობის ფუნქცია მკითხველის მიზიდვის საუკეთესო საშუალებაა (კროსვორდები, ფსიქოლოგიური ტესტი, სატელევიზიო პროგრამის ანონსი; ანეგდოტები...).
- ჟანრული მრავალფეროვნება; გამოიყოფა საინფორმაციო, ანალიტიკური და მხატვრული ჟანრები.

  საინფორმაციო ჟანრის ძირითადი კომპოზიციური ფორმაა **შეტყობინება**, რომელიც ხორციელდება: მოკლე ინფორმაციული განაცხადით, საინფორმაციო სტატიის, რეპორტაჟის, ინტერვიუს, ანგარიშის, ქრონიკის სახით. ეს ჟანრი რეგლამენტირებულია დროში;
  ანალიტიკური ჟანრისათვის წამყვანი კომპოზიციური ფორმაა **მსჯელობა**, რომელსაც შეიცავს: სარედაქციო წერილი, მიმოხილვა, რეცენზია, კორესპონდენცია. ის არ არის დროში რეგლამენტირებული;
  მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრის მთავარი კომპოზიციური ფორმაა **აღწერა**, რომელიც წარმოდგენილია: ფელეტონში, პამფლეტში, ნარკვევში, ჩანახატში... ეს ჟანრი ხასიათდება სტილისტური ხერხების სიმრავლით.
- ახალი ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის შემოტანა:

  – გარკვეული სიტყვების გადააზრიანებით, მაგ.: **ბაბუ, კარვის ქალები, ვარდების რევოლუცია, ნარინჯისფერი რევოლუცია, ჩარეცხილები, ქართული ოცნება, სირცხვილის დერეფანი**... გარკვეული პერიოდის შემდეგ ასეთ ნეოლოგიზმებს აქტიურად აღარ იყენებს პრესა (მაგ., „ბაბუ“ / ასლან აბაშიძე), თუ ისევ არ გააქტიურდა შესაბამისი თემა;
  – სესხების გზით, მაგ.: **რაშენ-ფართი, ბეიბი ბუმი, სკანდირება, ივენთი, ივენთკლუბი, პლეიოფი, ბოიფრენდი, გელფრენდი**... ასეთი ტიპის სესხება ხშირად ენის სიწმინდის დამცველთა უკურეაქციას იწვევს, რაც ლოგიკურია, კერძოდ: სახიფათო ზღვარი გადის ბარბარიზმებზე (იხ. ზემოთ, 18.6. ბარბარიზმები);
- პრიორიტეტული თემების არჩევანი; მაგ., პუბლიცისტური ლექსიკა ოფიციალური და ნეიტრალურია პოლიტიკური და სოციალური თემების შემთხვევაში, მაგრამ არაოფიციალური და ექსპრესიულია სკანდალურ-კრიმინალურ-ელიტარული ამბების წარმოჩენისას (ასეთ დროს ხშირია სახელებითა და მეტსახელებით მიმართვაც);

---

[78] კლიშე [ფრანგ.cliche] – სურათის, ნახატის, ნახაზისა და მისთ. პირი, რომელიც რელიეფურადაა გამოყვანილი ლითონის, ხის ან სხვა მასალის ფირფიტაზე (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 234).

• სიტყვათა ხშირი მეტაფორიზაცია: **შეხვედრის ფორმატი, მოლაპარაკების რაუნდი, საკითხის ფოკუსირება, ეკონომიკური სივრცე, მდგომარეობის ესკალაცია...**

• კალკების გააქტიურება: **ადგილი აქვს, გაკვრით შეეხო, ზემდგომი ორგანოები, მხედველობაში მიიღო, პარალელშია, ვიზუალშია...**

• ეფექტური, ინტერესის აღმძვრელი სათაურები და მათი გაფორმება მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოსაყოფად თუ სათანადო განწყობის შესაქმნელად. გასაფორმებლად იყენებენ ისეთ ვიზუალურ საშუალებებს, როგორიცაა: ტიპოგრაფიის სხვადასხვა სახე, ფერადი და შავ-თეთრი ფოტოები, ასევე მიღებულია შრიფტით მანიპულირება და სხვ.

სავარჯიშოები

19.8.1. განსაზღვრეთ პუბლიცისტური წერილის ჟანრი და მოიძიეთ ენობრივ-სტილური მახასიათებლები; არანორმატიული ფორმები შეცვალეთ სალიტერატუროთი; იმსჯელეთ ნაშრომის პრობლემატიკაზე.

არჩილ ჯორჯაძე – Archil Jorjadze (1872-1913), **ეროვნული პრობლემა საქართველოში**

კიდევ ეროვნება და ეროვნების შესახებ ლაპარაკი! – იფიქრებს მკითხველი.

წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში ამ საგნის გარშემო ტრიალებდა ქართველი ინტელიგენციის აზრი. ბევრი წერილი დაწერილა, ბევრი სჯა-ბაასი გამართულა ამ პრობლემის შესახებ. გადავდგით ფეხი მეოცე საუკუნეში და ისევ აგვეტუზა თვალწინ ისევ იგივე საგანი, ისევ აგვალაპარაკა, ისევ ჩაგვაფიქრა და გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩაგვაგდო.

და უნდა ვსთქვათ, რომ წინად ეროვნების შესახებ ლაპარაკი ქართველ პუბლიცისტიკისთვის ერთგვარი გულის მოსაფხანი საშვალება იყო. ეხლა ამ ლაპარაკს საქმიანობის ელფერი დაეტყო. პუბლიცისტი აღარ ჰგოდებს, აღარ იმსჭვალვება სევდით, იგი ეძებს პრაქტიკულ გზას, პრაქტიკულ პირობებს, რომელშიაც მას სწადია ეროვნული ცხოვრების ჩაყენება.

დღეს ეროვნული პრობლემა არა მარტო თეორიულ და რომანტიულ ინტერესს წარმოადგენს, არამედ სამკვდრო-სასიცოცხლო საგანს, იმისთანა რამ საგანს, რომელიც ყოფს ქართველ ინტელიგენციას ორ დიდ ბანაკად, მაშინ როდესაც ამ საგანს ორ პროგრესულ პარტიათა შორის ქიშპობა და მძულვარება კი არ უნდა გამოეწვია, არამედ შეთანხმებული და ერთი აზრით გამსჭვალული მოქმედება.

დღეს ჩვენს საზოგადოებაში სხვადასხვა კლასიფიკაციის საფუძვლად ეროვნული პრობლემა გახდა. არავინ დაეძებს, თუ რა მსოფლმხედველობის პატრონი ხართ საზოგადოდ, რა თვალით უყურებთ შრომის ორგანიზაციის საქმეს, რა გიყვართ ხელოვნებაში და რას ეძებთ, რას ესწრაფვით სიცოცხლეში. ყოველივე ეს დღეს საინტერესო არ არი. საინტერესოა მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ, ის, თუ როგორ გესმით ეროვნული პრობლემა. ავტომონომისტი ხართ თუ ავტონომიის მოწინაღმდეგე. ამაყად ატარებთ ქართველი კაცის სახელს, თუ სირცხვილით იწვით, რომ განგებამ ქართველად გშობა და ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანად გაგაჩინა.

თუ აშკარაა და ნათელი ამ საგნის შესახებ თქვენი აზრი, დანარჩენი ყველაფერი ნათლით იფინება, თუ თქვენ იმდენად გულუბრყვილო ბრძანდებით, რომ ქართველობა არ გეთაკილებად, არც გეზიზღებათ, იცოდეთ შავრაზმელთა ჯგუფში უნდა ჩაირიცხოთ, ნაციონალისტის სამარცხვინო სახელი უნდა ატაროთ და წყდიადი და ბნელეთია მაშინ თქვენი ხვედრი და თუ გამოხვედით მოედანზე და შესძახეთ გულში ხელის ჩარტყმევით: ამხანაგებო, წარსული მძულს და აწყმო მეზიზღება-თქო, იცოდეთ, რომ თქვენი მომავალი უზრუნველყოფილია, შარავანდედით შეიმკობა თქვენი კოსმოპოლიტიკური გვამი და ქუჩაში გავლისას თქვენზე თითით მიანიშნებენ და იტყვიან: აი, ჩვენი მხსნელი, აი, თავისუფლების მოციქული და შავრაზმელ ნაციონალისტთა ამომგდებიო[79].

19.8.2. წაიკითხეთ ნაწყვეტი ინტერვიუდან; გამოხატეთ თქვენი პოზიცია *ჟურნალისტისა და რესპონდენტის* სასაუბრო თემაზე; ტექსტიდან მოიძიეთ პუბლიცისტური სტილისათვის სპეციფიკური ენობრივი მახასიათებლები.

– დღეს ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ, რომ ოდესღაც წიგნიერი ერი ვიყავით და ახლა უწიგნურებად ვიქცეითო. თუმცა საპირისპირო აზრიც არსებობს: ჩვენს ბალბს წიგნი ჯერ კიდევ აინტერესებს და ძალიანაც დასაფასებელია, ამ დროში კითხვისთვის საერთოდ რომ იცლის კაცი. ორივე ნათქვამშია სიმართლის მარცვალი. როგორ ფიქრობთ, რა არის ადამიანის და, შესაბამისად, ერის წიგნიერების განმსაზღვრელი?..

– ჩემი დაკვირვებით, თუკი ქვეყნად, ვთქვათ, ასი ათასი ნამდვილი წიგნი არსებობს, აქედან ნებისმიერი ათიოდეს წაკითხვა საკმარისია, რომ წიგნიერ ადამიანად ჩავითვალოთ. ეს იმის გამო ხდება, რომ ყოველი ნამდვილი წიგნი უამრავ მასზე ადრინდელ წიგნს შეიცავს, ისევე, როგორც ყოველი ადამიანი შეიცავს ყველა თავის წინაპარს.

---

[79] https://burusi.wordpress.com/2010/03/23/archil-jorjadze-4/ მოძიებული: 2.09.2019

ახლა ისიც ვთქვათ, რას ნიშნავს *წაკითხვა*. ჯობს ერთი წიგნი წავიკითხოთ ხუთჯერ, ვიდრე ხუთი წიგნი – თითოჯერ. ადამიანების უმრავლესობას ორი წიგნის წაკითხვაც უჭირს... კითხვის პროცესს სმენისა და ცქერის პროცესი ურჩევნიათ. სმენა და ცქერა კი ადამიანის გონებრივ განვითარებაზე ისეთ ზეგავლენას ვერ ახდენს, როგორსაც კითხვა. ამიტომ წიგნიერნი ყოველთვის ცოტანი არიან. უწიგნურობას ვერაფერი გაამართლებს – ვერც ხელმოკლეობა, ვერც ბნელბედობა, ვერც მოუცლელობა, ვერც მაღალი პროფესიონალიზმი ნებისმიერ დარგში. წიგნი კულტურის ყველაზე ხელმისაწვდომი, ყველაზე დემოკრატიული პროდუქტია.

– "ადამიანი სულის შესანიშნავ ცოდნას ამჟღავნებს", – ირონიულად იმეორებს "ულიხეს" გმირი შექსპიროლოგთა პათეტიკურ სენტენციას. ხომ ვერ გაიხსენებდით ქართული ლიტერატურის (ან თუნდაც ერთი რომელიმე მწერლის) მკვლევართა, კრიტიკოსთა მსგავს ფრაზას, რომელიც დღეს უკვე შაბლონადაა ქცეული?

– კი, მაგონდება ასეთი სტერეოტიპული ფრაზა ჩვენებური რეცენზიებიდან: *"მოთხრობა (ან რომანი, ან წიგნი) ძარღვიანი ქართულითაა დაწერილი (ან თარგმნილი)"*. – ეს, თითქოს მრავლისმეტყველი, არსებითად კი არაფრისმთქმელი შაბლონური ფრაზა ჯერ ნოდარ დუმბაძემ გაამასხარავა ფელეტონში, რომლის სათაურია "ერთი საინტერესო წიგნის გარშემო" (იქ ვკითხულობთ: "მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებებისა, წიგნი მკითხველის დიდ ყურადღებას იმსახურებს, იგი ძარღვიანი ქართულითაა დაწერილი, ადვილად იკითხება, კარგადაა შეკრული და კარგ ყდაშია ჩასმული"), ხოლო შემდეგ დალი ფანჯიკიძემ აიგდო საცინლად თარგმანის მეცნიერული შეფასებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში...[80]

19.8.3. გაეცანით ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ორ დოკუმენტს საინფორმაციო პორტალიდან: AMBEBI.GE. მათი სათაურებისა და პრობლემატიკის მიხედვით იმსჯელეთ, რამდენად შეძლებდნენ ავტორები მკითხველის მიზიდვას; რას დაამატებდით? მოიძიეთ რესპონდენტთა მეტყველების სტილური მახასიათებლები.

N 1

13:11 / 01-02-2016. ქართული ჩაცმულობის გოიმური ტენდენციები - "საქართველოში საპანაშვიდე მოდა მძლავრობს"

საქართველოში ზამთრის სეზონზე, სუსხიან ამინდში, ბეწვეულისგან დამზადებული სამოსის გამოყენება აქტუალური და მოდური. დღეს ბეწვის სამოსი აცვია არა მხოლოდ ჩვენს ბებიებს, არამედ ახალგაზრდებს და ბავშვებსაც კი. ჟურჭები რომ საქართველოში ძალიან უყვართ, ოპერის გახსნის ცერემონიალზეც გამოჩნდა. სოციალურ ქსელში ორი დღეა აქტიურად განიხილავენ ღონისძიებაზე მიწვეულთა ჩაცმულობას...



მართალია, მოდური და ლამაზი ბეწვი სიცივისგანაც გვიცავს, თუმცა არის ერთი პრობლემა – საბრალო ცხოველები, რომლებიც ადამიანების გაზრდილ მოთხოვნილებებს ეწირებიან. თბილისის მაღაზიებში ნატურალური ბეწვისგან შექმნილი სამოსი მრავლადაა და მომხმარებელიც ბევრი ჰყავს. **ამ საკითხზე ცხოველთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, თინათინ ჭავჭანიძეს ვესაუბრეთ:**

– ნატურალური ბეწვისგან შეკერილი სამოსის პოპულარობა ქვეყნის ჩამორჩენილობის მანიშნებელია. ჩვენს კლიმატურ პირობებში არანაირი აუცილებლობა არ არის, ნატურალური ბეწვი გვეცვას. მით უმეტეს, როცა არსებობს ხარისხიანი ხელოვნური ბეწვი. 21-ე საუკუნეში ნატურალური ბეწვის ჩაცმა ცუდ ტონად მიიჩნევა. წარმოიდგინეთ, მხოლოდ იმისთვის, რომ შენ კარგად გამოიყურებოდე, ცოცხალი არსება უნდა მოკლა, გაატყავო და ჩაიცვა, არადა, მე პირიქით მგონია. ადამიანის სხეულზე მორგებული მელიისთავიანი ბეწვი ცუდი გემოვნების ნიშანია. ზნეობა უკვე ცალკე თემაა – როდესაც თავს უფლებას აძლევ, ცოცხალი არსება შესწირო შენს ვითომ კარგ გარეგნობას. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში 60-იანი წლების საპანაშვიდე მოდა მძლავრობს. მსოფლიოში თუკი ვინმეს შერჩა ასეთი მენტალობა, დასცინიან და სალებავებს ასხამენ, იმიტომ, რომ ეს არის უზნეობა.

- ბეწვეული ოდითგანვე პოპულარული იყო, თანაც ის ადამიანები ხომ არ კლავენ ცხოველებს, ვისაც ეს აცვია?

- ჩვენს ბებიებს არჩევანი არ ჰქონდათ, მას შემდეგ კი ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. ადრე თუ ბეწვი გეცვა, ეს სიმდიდრის მაჩვენებელი იყო. მგონია, რომ ეს ტენდენცია ცოტა მოძველდა. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაიცნობიეროს, რომ ამ ბეწვის მიღმა ცოცხალი არსება იყო და ეს ბეწვი მასზე მეტად სჭირდებოდა. თუკი ვინმეს აინტერესებს, როგორ ატყავებენ ცხოველებს, ყველგან დევს ასეთი სახის ვიდეომასალა და შეუძლიათ ნახონ. ამას მთელი მსოფლიო გმობს. ეგება რამეში მაინც ავუწყოთ ფეხი დაწარჩენ სამყაროს? არ შეიძლება ხეებს ჭრიდე, ცხოველს ატყავებდე და გეგონოს, რომ ევროპისკენ მიდიხარ. პირიქით, მიდიხარ პირველყოფილი საზოგადოებისკენ.

---

[80] http://old.press.tsu.ge/GEO/mimdinare%20kartuli/interviu%20mcerlebtan/mkitxvelebi/mkitxvelebi/lewan%20bregadze/2.html
მოძიებული: 2.09.2019

საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ საკითხზე ჩვენი თანამოქალაქეები:

ნინო, 42 წლის:

- ბეწვის ქურქი ვიზუალურად ლამაზია, თანაც ზამთარში მისი გამოყენება ძალიან პრაქტიკულია. მე პირადად ბევრად ღირებული ქურქის შეძენის საშუალება არა მაქვს, ბეწვის ქუდებს კი სიამოვნებით ვიყენებ. მართალია, ამ ყველაფერს ცხოველები ეწირებიან, მაგრამ ამ ლოგიკას თუ მივყვებით, მაშინ არც მათი ხორცი უნდა მივირთვათ. ცხოველთა დამცველები ერთსა და იმავეს გაიძახიან და ამ დროს ხორცს მშვენივრად მიირთმევენ. თანაც ეს ჩვენ არ გამოგვიგონია, ბეწვისგან შეკერილ ქურქებს დიდი ხანია იყენებენ, ასე რომ, ამაზე ლაპარაკი ცოტა უაზრობად მეჩვენება.

წათია, 35 წლის:

- მე ჩემს შვილსაც ვუყიდე ბეწვის ქურქი, რადგან ნატურალური ბეწვი ბევრად ხარისხიანი და თბილია. როცა ყინვა და სიცივეა, რატომაც არ უნდა ჩავიცვათ? ცხოველები კი მეცოდებიან, მაგრამ ჩვენც გვჭირდება ხარისხიანი სამოსი.

თემო, 27 წლის:

- საშინელებაა, გოგონები მხარზე მოგდებული მელიის თავებით რომ დადიან ქუჩაში. ცხოველს რომ თავი დაევანებოთ, დიდი გოიმობაა 21-ე საუკუნეში ახალგაზრდა ქალი ბებიის ბეწვით რომ დადის. მარაზმია, ასე რომ ექცევიან ცხოველებს თავიანთი "სვეცკობის" გამო.

ქეთი საგინაშვილი[81].

N 2

17:21 / 31-01-2016

"ძლივს გაჩნდა შანსი. ამოეღოთ კარადიდან, შემოეხვიათ მკვდარი ცხოველი" - ოპერის გახსნაზე მისული საზოგადოება გააკრიტიკეს

გუშინ, 30 იანვარს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი საზეიმოდ გაიხსნა. თუმცა, "ფეისბუქ" საზოგადოების ყურადღება გამართული პრემიერის ნაცვლად, გახსნაზე მისული საზოგადოების ტანისამოსმა მიიპყრო. გთავაზობთ რამდენიმე პოსტს თემასთან დაკავშირებით:

ზაალ ანდრონიკაშვილი (პუბლიცისტი):



– კარგია, რომ ეთიკური დისკუსია გაიმართა იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა და თუ კი რა პირობებში ცხოველების მოკვლა. საერთოდ, ეთიკა ისეთი რამეა, რასაც აქამდე საქართველოში დიდი გავრცელება არ ჰქონია და რომ გაჩნდა ამაზე მოთხოვნილება, კარგია - აზრი: შუბის ტარება და ხორცის ჭამა ერთი და იგივეა, არასწორია. ადამიანი ხორცის მჭამელი ცხოველია, არასწორია, საქმელი და ფუფუნების საგანი ერთმანეთთან გააიგივო. შუბის გასაკეთებლად სპეციალურად იკვლება ათასობით ცხოველი, რომელსაც ადამიანი საქმელად არ მოიხმარს. ეს არის სისასტიკე, რომელსაც თავისუფლად შეიძლება თავი აარიდო. ზედმეტ (და ჩემთვის უჩვეულო) მორალიზმში რომ არ გადავვარდე, ყველა ადამიანმა თავისთვის უნდა გადაწყვიტოს, უღირს თუ არა ცოცხალი არსებების მიმართ უაზრო სისტატიკე იმად, რომ ერთი საღამო ვინმეს "თვალი მოსჭრას".

ეკა ხოფერია (ჟურნალისტი):

– ვისურვებდი, მეტი წამეკითხა სცენოგრაფიაზე, თავად განახლებულ ოპერაზე, ივერზე, ათანელზე, გუგუშვილზე, სუხიშვილების სამაიაზე... ვკითხულობ ძირითადად ქურქებზე, მოპატიჟებულთა სიაზე და აიფონით განათებულ დარბაზზე. ქურქებზე ოკ, ვინც ეწინააღმდეგება და ეს მისი გულწრფელი პოზიციაა ცხოვრებაში, გასაგებია, თუმცა, ბევრი ვყოფილვართ სხვა ქვეყნებში სხვადასხვა პრეზენტაციაზე თუ მიღებაზე და ბევრი გვინახავს სტუმარი ქურქში გამოწყობილი; დაპატიჟებულთა სია ეს უკვე ქართული ტრადიციაა ყველა მთავრობის დროს ყველა თავის სიას აპროტესტებს; აიფონით გადაღება ნაცვლად იმისა, რომ უყურო და უსმინო? შეიძლება არ მოგეწონოს, შენ ასე არასდროს გააკეთებდი (არასდროს არაფერი გადაგიღია და აღშფოთებული ხარ ამ უმსგავსობით) და აკრიტიკებ. დასკვნა ამ ყველაფრის რა არის?

წანუკა ჟორჟოლიანი (ჟურნალისტი):

– ვერ ვხვდები რატომ გაგვიკვირდა წითელი ხალიჩა?!.. შერონი თუ იმსახურებდა, ოპერა არ იმსახურებს?!:) ასე იყო ადრეც, ვიღაც გადიოდა იმ ხალიჩაზე, ვიღაც ვერა. ასე იყო ღონისძიებებზე, ვიღაც ხვდებოდა, ვიღაც ვერა. საინტერესოა ის ხალხი, წინა წლებშიც რომ იღებდნენ მოსაწვევებს და ახლაც რომ მიიღეს, მაგრამ ეს სხვა თემაა. ღმერთმა შეარგოს ყველას მოსაწვევიც და წითელი ხალიჩაც:) ადრეც და ახლაც.

ირაკლი გაფრინდაშვილი (ჯახი კალამის პრესმდივანი):

–ახლა უშუბობის სისვეცკემ უნდა მამკლას ?!

---

[81] http://www.ambebi.ge/sazogadoeba/95032-qarthuli-chacmulobis-goimuri-tendenciebi-qsaqarthveloshi-sapanashvide-moda-mdzlavrobsq.html მობიებული: 2.09,2019

არჩილ გამზარდია (ჟურნალისტი):
– გასავრცელებული სტატისტიკის თანახმად, ოპერის ამბებზე პროტესტის გამომთქმელთა 85%-მა პირველად გაიგო ოპერის არსებობა, ხოლო დარჩენილი პროცენტის 2/3 ოპერაში არც ყოფილა ნამყოფი.
მერსი სულხანიშვილი (ტელეწამყვანი):
– ამა წლის 30 იანვარს საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ახალ დღესასწაულს და გამოცხადებულ იქნა, როგორც "ნაფტალინიდან შუბის ამოღების დღედ".
გოგა ხაჩიძე ("გირჩი"):
– უკვე დიდი ხანია, ჩემი ჩაცმულობის და კვების გამო ცხოველი არ კვდება. პ.ს. არც ფრინველი.
თამარა ჩერგოლეიშვილი ("ტაბულას" რედაქტორი):
– თავად ციროზიანი იხვის ღვიძლს ვჭამდე, ტყავის ფეხსაცმელი მეცვას და სხვებს ქურქებზე მორალს ვუკითხავდე ცხოველების დაცვის მოტივით, არასწორი მგონია. მე ქურქები უბრალოდ არ მომწონს. ისე, ახლა ვფიქრობდი, სადმე თუ მინახავს LIVE-ში ამდენი ქურქი. მაგრამ მგონი არასოდეს, არაფრის გახსნაზე არ ვყოფილვარ - არც ერთი მთავრობის დროს. ქუთაისში წავედი პარლამენტის გახსნაზე და მაშინაც სხვაგან მოვხვდი.
გოგი გვახარია (კინომცოდნე):
– რა მიკვირს იცით? ნუ, ეს საბჭოთა ბებოები გასაგებია - არ იციან, არ გაუგიათ, რაცხა ლევად იშოვეს კომუნისტების დროს, ის ნორკები შეინახეს და ძლივს გაჩნდა შანსი ამოეღოთ კარადიდან, შემოეხვიათ მკვდარი ცხოველი... მაგრამ ანანიაშვილი ნინო რომ გქვია, მთელი მსოფლიო რომ მოვლილი გაქვს, იცი, როგორ დასცინის ყველა ამ კუპეჩესკი სტილს, ჟიზელი რომ გიცეკვია და აგიტირებია დარბაზები, ხო უნდა გესმოდეს, რომ ამ გაღლეტილ ქვეყანაში მაინც უხერხულია ეს კარნავალი... ვისაც რა უნდა ის ჩაიცვას... კი, ბატონო... და ვისაც როგორ უნდა ისე გაგაშაყიროთ მაშინ...[82]

19.9. ოფიციალურ-საქმიანი სტილი. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაცია: განცხადება, პატაკი, ახსნა-განმარტება, მოხსენებითი ბარათი, სამოტივაციო წერილი, ავტობიოგრაფიული მონაცემები (CV)

ოფიციალურ-საქმიანი სტილი ასახავს სახელმწიფო, სამოქალაქო და სამართლებრივ ურთიერთობებს. ის, პირითადად, **წერილობითი სახით** ფუნქციონირებს და რეალიზებულია სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებში. ზოგ დოკუმენტს, მაგ.: პასპორტს, ქორწინების მოწმობას, ჯანმრთელობის ცნობას... აქვს წინასწარ შემუშავებული სტანდარტული ფორმა, ზოგს კი, მაგ.: ხელშეკრულებას, დადგენილებას, ოქმს... ადგენენ გარკვეული ნიმუშის მიხედვით.

ოფიციალური შეხვედრების დროს საქმიანი სტილი შეიძლება გამოვლინდეს **ზეპირი ფორმითაც**, რაც ითვალისწინებს **ორთოეპიის** – ზეპირი მეტყველების – მოთხოვნების დაცვას (სწორად წარმოთქმა, სუნთქვისა და პაუზის რეგულირება, ინტონაციის შერჩევა და სხვ.).

ოფიციალურ-საქმიანი სტილის ძირითადი ფუნქციებია **შეტყობინება** და **ზემოქმედება**. ფუნქციონირების სფეროების მიხედვით, გამოიყოფა დოკუმენტების 3 ძირითადი ჯგუფი:
– **დიპლომატიური:** ნოტა, მემორანდუმი, კონვენცია, საერთაშორისო შეთანხმება...
-- **კანონშემოქმედებითი:** კანონები, კონსტიტუცია, ბრძანებები, წესდებები, სამოქალაქო და სისხლის სამართლის აქტები...
– **ადმინისტრაციულ-საკანცელარიო:** განცხადება, ავტობიოგრაფია, დახასიათება, მიმართვა და დასტური (მოსწავლის ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადაყვანისათვის საბუთების მოსაგვარებელი ფორმები) და სხვ.

ოფიციალურ-საქმიან სტილში განირჩევა ოფიციალურ-დოკუმენტური და ყოველდღიურ-საქმიანი ჟანრები. პირველს მიეკუთვნება დიპლომატიური და კანონშემოქმედებითი სფერო, ხოლო მეორეს – ადმინისტრაციულ-საკანცელარიო.

---

[82] http://www.ambebi.ge/faceambebi/154061-qdzlivs-gachnda-shansi-amoeghoth-karadidan-shemoekhviathmkvdari-ckhoveliq-operis-gakhsnaze-misuli-sazogadoeba-gaakritikes.html მოძიებული: 2.09.2019.

ოფიციალურ-საქმიანი სტილისთვის დამახასიათებელია:

- სალიტერატურო ნორმების მკაცრი დაცვა;
- დოკუმენტის განსაზღვრული მოცულობა, რაც განაპირობებს ინფორმაციის ლაკონურად და მშრალად ასახვას;
- მხატვრული სახეების გამორიცხვა, ნეიტრალური ლექსიკა, არაემოციური თხრობა;
- თემატიკის შესაბამისი დარგობრივი ტერმინოლოგია;
- ოფიციალური ტექსტის კონსტრუირებისათვის მიღებული კლიშეები და კალკები: მიმდინარე წელს, ცნობა ეძლევა, მდგომარეობს შემდეგში, დანიშნულების ადგილზე, რეკომენდაციას უწევს, რაზედაც ხელს ვაწერ, არსებული მონაცემების თანახმად, მიღებული დადგენილების საფუძველზე, სტრუქტურის რეორგანიზაციის მიზნით, მხედველობაში მიიღო რა, სხვა თანამდებობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, აზრი გამოთქვეს, დაადგინეს...
- სხვადასხვა ტიპის სიტყვათა შემოკლებები, აბრევიატურული გამოთქმები:
  - ტექნიკური ხასიათის: ზომის, წონის, მანძილის... საზომი ერთეულების აღმნიშვნელი: **კმ** (კილომეტრი), **ლ** (ლიტრი), **ჰა** (ჰექტარი), **კვ.მ** (კვადრატული მეტრი)...
  - სტილური: **ე.ი.** (ესე იგი), **ა.წ.** (ამა წლის), **ა.შ.** (ასე შემდეგ), **და სხვ.** (და სხვა)...
  - ორგანიზაციების, ფირმების, დაწესებულებების სახელები: **დსთ** (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა), **შპს** (შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო), **შსს** (შინაგან საქმეთა სამინისტრო)...
  - ქვეყნების სახელები: **აშშ, სსრ კავშირი**...
- განუსაზღვრელი ნაცვალსახელების: **ვიღაც, რაღაც, როგორმე, სადმე**... გამორიცხვა;
- ზმნის მესამე პირის პასიური კონსტრუქციები: დაურიგდათ საარჩევნო ბიულეტენები, განემარტათ კანონი, ჩამოერთვათ უფლება, აღუდგა წყალმომარაგება...
- დოკუმენტის ხელმოწერა, დათარიღება, რეგისტრაცია და სხვ.

მოქალაქეთა ყოველდღიური ოფიციალურ-საქმიანი ურთიერთობის მნიშვნელოვანი მხარეა ადმინისტრაციულ-საკანცელარიო დოკუმენტაციის მოწესრიგება. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება, ერთი მხრივ – დოკუმენტების სტანდარტული ფორმა, ხოლო მეორე მხრივ – სალიტერატურო ენის ნორმები. **სტანდარტული ფორმა** ითვალისწინებს ოფიციალური დოკუმენტის შემადგენელ კომპონენტთა ადეკვატურად და ზუსტი თანმიმდევრობით წარმოდგენას, ხოლო **სალიტერატურო ნორმები** – სახელმწიფო ენის გრამატიკული კანონების ცოდნას. დოკუმენტების ძირითად ტექსტზე მუშაობისას მნიშვნელოვანია, რომ:

– აზრი ჩამოვაყალიბოთ სხარტად და ლაკონიურად; მაგ., სამსახურებრივ თუ სხვა ოფიციალურ სფეროში ვერავის დავავალდებულებთ, დრო დაკარგოს ჩვენი ვრცელი „არზის“ კითხვაში, როცა შესაძლებელია, გაცილებით მარტივად – სულ რამდენიმე წინადადებით მივაწოდოთ საჭირო ინფორმაცია;

– მოვერიდოთ პირის ნაცვალსახელთა ჭარბად გამოყენებას ერთი წინადადების ფარგლებში, ასევე – ზერთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს, მაქვემდებარებელ კავშირთა უსასრულო ჯაჭვით: „როცა... რომ... რადგან... რისთვისაც... რაზედაც...“ და სხვ.

ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე ოფიციალურ დოკუმენტს; ესენია:

- განცხადების ორი ფორმა – ინდივიდუალური და საინფორმაციო განცხადებები;
- პატაკი;
- ახსნა-განმარტება;
- მოხსენებითი ბარათი;
- სამოტივაციო წერილი;
- ავტობიოგრაფიული მონაცემები (CV).

ინდივიდუალური განცხადება

ინდივიდუალური განცხადება იწერება კონკრეტული პირის ან პიროვნებათა ჯგუფის მიერ დაწესებულების ან მისი ხელმძღვანელის სახელზე და შეიცავს რაიმე თხოვნას, საჩივარსა თუ შეტყობინებას. ინდივიდუალური განცხადების სტრუქტურაში მოიაზრება ხუთი თანმიმდევრული ბლოკი; მათგან ერთიც რომ აკლდეს, დოკუმენტი არასრულყოფილი იქნება. ეს ბლოკებია:

I.ინფორმაცია ადრესატის შესახებ – თანამდებობა / სტატუსი, სახელი და გვარი; წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვის ფორმით და იწერება ფურცლის მარჯვენა ზედა კუთხეში;

II. ინფორმაცია ადრესანტის შესახებ – თანამდებობა / სტატუსი, სახელი და გვარი; წარმოდგენილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით და იწერება ადრესატის ბლოკის ქვეშ;

III. დოკუმენტის სახელწოდება – იწერება ადრესანტის ბლოკის ქვედა ველში, ცენტრალურ მონაკვეთში. მისი წარმოდგენა შესაძლებელია როგორც მიჯრით (განცხადება), ისე გაშლილად (გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა). მხოლოდ – სასვენი ნიშნის გარეშე;

IV. საკუთრივ, დოკუმენტის ძირითადი ტექსტი – იწერება დოკუმენტის სახელწოდების ქვეშ;

V. ადრესანტის ხელმოწერა და თარიღი – იწერება დოკუმენტის ძირითადი ტექსტის ქვეშ.

ზოგადი მითითებები განცხადების ფორმაზე მუშაობისას:

• ბლოკები ერთმანეთისაგან დაშორებული უნდა იყოს **ინტერვალებით**, რაც გააადვილებს ძირითადი მონაცემების აღქმას; გვერდი, რომელზეც დოკუმენტს ვადგენთ, სიმეტრიულად უნდა განაწილდეს შესაბამისი ბლოკების მიხედვით. ყველაზე მოზრდილი ინტერვალი არის ადრესანტის ბლოკსა და დოკუმენტის სახელწოდებას შორის; დანარჩენ ბლოკებს შორის ინტერვალი, დაახლოებით, თანაბარია.

• ადრესატის, ადრესანტისა და, საკუთრივ, დოკუმენტის ძირითადი ტექსტები **ერთი და იმავე ტიპის აბზაცებით** უნდა იყოს აგებული; შდრ.: ცნობილია აბზაცის ორი ძირითადი სახე: ქართული და ევროპული; ქართული აბზაცის პირველი სტრიქონი რამდენიმე ინტერვალით არის შეწეული, ხოლო ევროპული აბზაცის ყველა სტრიქონი თანაბარია; შესაბამისად, ევროპული აბზაცების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად (განსხვავებით ქართული აბზაცებისაგან) თითოსტრიქონიანი ინტერვალია საჭირო. მნიშვნელობა არა აქვს, აღნიშნული ორი სახეობიდან რომელს აირჩევს დოკუმენტის შემდგენელი, მაგრამ მთავარია, მთელ ტექსტში აბზაცის აგების ერთი პრინციპი იყოს გატარებული.

• დოკუმენტის სახელწოდება იწერება **ბრჭყალებისა** და ყოველგვარი სასვენი ნიშნის (ორწერტილი, ძახილის ნიშანი...) გარეშე;

• საკუთრივ, განცხადების ტექსტი უნდა იყოს სხარტად და გარკვევით ჩამოყალიბებული. ტექსტის სრულყოფილებას განსაზღვრავს მისი **სტრუქტურა და შემადგენელი კომპონენტების დაზუსტებული თანმიმდევრობა**. ცნობილია განცხადების ტექსტის ორგვარი სტრუქტურა:

ა) სამკომპონენტიანი – მიზეზი, დასაბუთება და შედეგი;

ბ) ორკომპონენტიანი – მიზეზი და შედეგი; შდრ.:

–**ავადმყოფობის გამო** (მიზეზი) **მჭირდება ექიმთან ვიზიტი** (დასაბუთება). **გთხოვთ გამათავისუფლოთ ა.წ. 20 ოქტომბრის ლექციებიდან** (შედეგი).

–**ავადმყოფობის გამო** (მიზეზი), **გთხოვთ გამათავისუფლოთ ა.წ. 20 ოქტომბრის ლექციებიდან** (შედეგი).

არჩევანი აღნიშნულ ვარიანტებს შორის დოკუმენტის შემდგენის გადასაწყვეტია, მთავარია, დაცული იყოს კომპონენტთა თანმიმდევრობა; მაგ., გაუმართავია ასეთი ნიმუშები:

– მჭირდება ექიმთან ვიზიტი. გთხოვთ ა.წ. 20 ოქტომბრის ლექციებიდან გამათავისუფლოთ ავადმყოფობის გამო;

– გთხოვთ ავადმყოფობის გამო გამათავისუფლოთ ა.წ. 20 ოქტომბრის ლექციებიდან.

- დოკუმენტის დათარიღება და ხელმოწერა შესაძლებელია ორგვარად:
  ა) ფურცლის მარცხენა მხარეს – თარიღი და იმავე სტრიქონზე, მარჯვნივ – ხელმოწერა;
  ბ) ფურცლის შუაში ან მარჯვენა ნახევარში ერთ სტრიქონზე – ხელმოწერა და მის ქვეშ მომდევნო სტრიქონზე – თარიღი.

ნიმუში N 1:

ქ. თბილისის N 114-ე საჯარო
სკოლის დირექტორს, ბ-ნ ილია შენგელიას
ამავე სკოლის პედაგოგის – ნაირა ქარსიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ოჯახური მდგომარეობის გამო მიწევს რაიონში წასვლა. გთხოვთ გამათავისუფლოთ გაკვეთილებიდან ა.წ. 30 აპრილიდან 3 მაისამდე.

29.05.2016. ნ. ქარსიძე

საინფორმაციო განცხადება

საინფორმაციო (კედლის) განცხადება იწერება ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ დანარჩენი თანამშრომლებისა თუ მსმენელებისათვის გასაცნობად. ეს დოკუმენტი სტრუქტურულად განსხვავდება ინდივიდუალური განცხადებისაგან. მისი ძირითადი კომპონენტებია:

I. სახელწოდება – იწერება დოკუმენტის შესადგენად განკუთვნილი გვერდის ზედა ნახევარში მიჯრით (განცხადება) ან გაშლილად (გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა), პუნქტუაციური ნიშნების გარეშე;

II. საკუთრივ, განცხადების ტექსტი – ორიენტირებული მოსალოდნელ ფაქტზე / მოვლენაზე; ტექსტი აგებულია შემდეგი თანმიმდევრული კომპონენტების გათვალისწინებით:

1. დრო (როდის?);
2. ადგილი (სად?);
3. ფაქტი / მოვლენა (რა?);
4. იმ თანამშრომელთა / მსმენელთა... დამოკიდებულების განსაზღვრა, რომელთათვისაც ეს დოკუმენტია განკუთვნილი.

პირველი სამი კომპონენტი ერთ აბზაცშია წარმოდგენილი, ხოლო მეოთხე კომპონენტი – ცალკე სტრიქონზე.

III. ადრესანტი – რომელიმე ადმინისტრაციული განყოფილების (ან მისი წარმომადგენლის) სტატუსი (ან სტატუსი და ხელმოწერა); იწერება განცხადების ტექსტის ქვეშ, გვერდის მარჯვენა ნახევარში.

ნიმუში N 2:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ა.წ. 2 ივნისს, 14:00 სთ-ზე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (ჭავჭავაძის გამზირი, N 1) პროფ. ლევან დავითულიანი წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე:
ძველი ქართული მწერლობის კერები
დასწრება თავისუფალია.

სტუდენტთა საორგანიზაციო კომიტეტი

პატაკი

განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, პატაკი არის: 1. (სამხ.) სამსახურებრივი განცხადება, მოხსენება უმცროსი სამხედრო მეთაურისა უფროსისადმი; 2. მოხსენება ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ.

პატაკი სამხედრო და ნახევრად გასამხედროებულ სისტემაში მოქმედი დოკუმენტია; თავისი სტრუქტურითა და დანიშნულებით, ის უტოლდება ინდივიდუალურ განცხადებას ან ახსნა-განმარტებით ბარათს (იხ. ქვემოთ). იმ შემთხვევაში, თუ პატაკი წარმოადგენს მოხსენებას ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ, უნდა დაიწყოს ფრაზით: „მოგახსენებთ, რომ" ან „გაცნობებთ, რომ".

ნიმუში N 3:

ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გლდან-ნაძალადევის
განყოფილების უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკ დავით იაძეს

ამავე სამმართველოს უბნის ინსპექტორთა განყოფილების
ინსპექტორ-გამომძიებელ გიორგი ქიმერიძის

პ ა ტ ა კ ი

მოგახსენებთ, რომ ა.წ. 3 დეკემბერს, 17:30 სთ-ზე ვიმყოფებოდი უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ ზურაბ დარსაძესთან ერთად მეტრო „ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორიაზე. პატრულირების დროს მომმართა მოქალაქემ და განმიცხადა, რომ უცნობმა პიროვნებამ გასტაცა მობილური ტელეფონი.

გ. ქიმერიძე
4.12.2012.

ახსნა-განმარტება

ახსნა-განმარტებითი ბარათი იწერება სასწავლებლის ხელმძღვანელის ან სამსახურის უფროსის სახელზე. მისი შემდგენელი ცდილობს აღწეროს მომხდარი ფაქტი და თავისი კავშირი ამ ფაქტთან. აღნიშნული დოკუმენტი სტრუქტურულად იგივეა, რაც ინდივიდუალური განცხადება, იწყება ფრაზით: „მოგახსენებთ, რომ" ან „გაცნობებთ, რომ".

ნიმუში N 4

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დეკანს, ბ-ნ გიორგი ჯანაშიას
ამავე ფაკულტეტის II კურსის სტუდენტის – ირაკლი ნინიძის

ა ხ ს ნ ა - გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ ა.წ. 20 ოქტომბერს უნივერსიტეტის ეზოში მომხდარი ჩხუბის შედეგად დაიჭრა ჩემი ჯგუფელი თემურ ლომსაძე. მე აღნიშნულ ინციდენტს არ შევსწრებივარ, რადგან ამ დროს ბიბლიოთეკაში ვიყავი.

ი. ნინიძე

22.10.2016.

მოხსენებითი ბარათი

მოხსენებითი ბარათი იწერება სამსახურის უფროსის სახელზე. მისი შემდგენელი არის სამსახურის თანამშრომელი, რომელსაც სურს, ერთი მხრივ, გამოხატოს თავისი პოზიტიური ხედვა მომხდარ, მიმდინარე თუ მოსალოდნელ ფაქტთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ – დაარწმუნოს კოლეგები თავისი პოზიციის მართებულობაში.

მოხსენებითი ბარათი სტრუქტურულად ინდივიდუალური განცხადების ანალოგიურია, მაგრამ განსხვავებულია მისი ძირითადი ტექსტის სტრუქტურა, კერძოდ, გამოიყოფა შემდეგი ნაწილები:

I. კონკრეტული ფაქტის აღწერა;

II. პოზიტიური ხედვა – პუნქტებად ჩამოყალიბებული მოსაზრებები;

III. შეჯამება და თვითშეფასება – დადებით შედეგებზე ორიენტირება, რაც ხელს შეუწყობს კოლეგების დარწმუნებას.

მოხსენებითი ბარათიც, ისევე როგორც ახსნა-განმარტებითი ბარათი, იწყება ფრაზით: „მოგახსენებთ, რომ“ ან „გაცნობებთ, რომ“.

ნიმუში N 5

ქ. თბილისის N 180-ე საჯარო სკოლის
დირექტორს, ბ-ნ მინდია თურმანიძეს

ამავე სკოლის მე-10² კლასის
ხელმძღვანელის ნინო ვარშანიძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოგახსენებთ, რომ ა.წ. 23 მარტს ჩვენი სკოლის უფროსკლასელები აპირებენ, მონაწილეობა მიიღონ საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაგეგმილ გამწვანების აქციაში. ღონისძიების უკეთ ორგანიზებისათვის საჭიროდ მიმაჩნია:

1. აქციის თითოეული მონაწილისათვის განისაზღვროს ნერგების რაოდენობა;
2. ყველაზე წარმატებული მონაწილეები დაჯილდოვდნენ ქების სიგელით;
3. მომზადდეს აქციის მონაწილეთა საქმიანობის ამსახველი ფოტომასალა და სასკოლო კედლის გაზეთი.

ვფიქრობ, ზემოაღნიშნული პუნქტების გათვალისწინება სასარგებლო შედეგს გამოიღებს, კერძოდ: მოსწავლეები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან სამუშაოს და ინტერესიც ექნებათ, წარმატებას მიაღწიონ; გარდა ამისა, კედლის გაზეთში ასახული ინფორმაციით მათ მთელი სკოლა გაიცნობს: ეს კი სტიმულს მისცემს არა მარტო უფროსკლასელებს, არამედ დანარჩენ მოსწავლეებსაც, რომ სასარგებლო ღონისძიებებში გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.

ნ. ვარშანიძე
15.03.2016.

სამოტივაციო წერილი

სამოტივაციო წერილი ის აუცილებელი დოკუმენტია, რომელსაც ავტობიოგრაფიულ მონაცემებთან (CV) ერთად ითხოვენ სამსახურში მიღებისას. მის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ, პირველ რიგში, სწორედ მოტივაციას კითხულობენ, სანამ აპლიკანტის დანარჩენ დოკუმენტებს განიხილავენ. სამოტივაციო წერილმა უნდა დაარწმუნოს დამსაქმებელი, რომ არამარტო სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო უნარები გაქვთ, არამედ ხართ შემოქმედებითი, საინტერესო ადამიანი, რომელსაც მოვალეობებისა და პასუხისმგებლობისათვის თავის გართმევა შეუძლია.

სამოტივაციო წერილის შედგენილობაში გამოიყოფა 6 ბლოკი:

I. თარიღი;

II. ადრესანტის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია – მისამართი, მობ. ტელეფონი, ელფოსტა;

III. ადრესატის სახელი, გვარი და მისამართი (თუ არ ვიცით, კონკრეტულად ვინ წაიკითხავს ჩვენს სამოტივაციო წერილს, შეგვიძლია, ეს საფეხური გამოვტოვოთ);

IV. მისალმება;

V. **სამოტივაციო წერილის ტექსტი** – ტექსტი ერთ გვერდს არ უნდა აღემატებოდეს; ის, ჩვეულებრივ, სამი აბზაცისგან შედგება: **პირველი აბზაცი** (შესავალი) – წარადგინეთ თქვენი თავი; მოკლედ აღნიშნეთ, რა სამსახურისთვის აგზავნით აპლიკაციას, საიდან შეიტყვეთ ამ პოზიციის შესახებ და რატომ ხართ დაინტერესებული; **მეორე აბზაცი** (ძირითადი ნაწილი) – დაასაბუთეთ, კერძოდ, პუნქტებად ჩამოაყალიბეთ, რატომ იქნებოდით კარგი კანდიდატი ამ პოზიციისათვის; ისაუბრეთ თქვენი კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ და მიუთითეთ, რატომ არის ეს მნიშვნელოვანი აღნიშნული სამსახურისთვის; **მესამე აბზაცი** (შეჯამება) – მიუთითეთ, რა გსურთ, რომ მოხდეს მას შემდეგ, რაც ადრესატი თქვენს წერილს წაიკითხავს: გამოხატეთ გასაუბრების სურვილი, რომ უფრო დეტალურად განიხილოთ თქვენი შესაძლებლობები; გამოთქვით მზაობა დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად; მადლობა გადაუხადეთ, რომ გამონახეს დრო თქვენი წერილის წასაკითხად.

VI. **ადრესანტის ხელმოწერა.**

ნიმუში N 6

27. 05. 2016

მარიამ ირემაშვილი

თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N 7

მობ.: 587 11 00 11

ელფოსტა: mariamirem@gmail.com

ქალბატონ ელენე მიქაბერიძეს

თბილისი, კოსტავას ქ. N 123

მოგესალმებით,

დავინტერესდი, როდესაც **Jobs.ge** –ზე სუპერმარკეტის მენეჯერის ვაკანსია აღმოვაჩინე „კარფურში". თქვენს კომპანიასთან მჭიდრო კავშირი მაქვს, რადგან როგორც მომხმარებელს, ყოველდღიურად მიწევს „კარფურის" ერთ-ერთ სუპერმარკეტში სტუმრობა. ყოველთვის მომწონდა თქვენი პროდუქციის ხარისხი და მომსახურების დონე, ახლა კი მეც მეძლევა შანსი თვითონ გავხდე კომპანიის გუნდის წევრი.

რადგანაც „კარფური" ყველაზე სწრაფად მზარდი ჰიპერმარკეტების ქსელია საქართველოში, ხოლო მისი ცნობადობა, ფაქტობრივად, არის 100 %. მესმის, რომ კომპეტენტური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე თანამშრომელი აუცილებლობას წარმოადგენს. ვთვლი, რომ ზუსტად ვაკმაყოფილებ ამ მოთხოვნებს, ამიტომ გთხოვთ, დამითმოთ დრო და თვალი გადაავლოთ ჩემს ძლიერ მხარეებს:

– ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი შავი ზღვის უნივერსიტეტიდან;
– მაღაზიის მენეჯერად მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება;
– საოფისე პროგრამების სრული პაკეტი;
– სამი უცხო ენა (ინგლისური, ფრანგული, თურქული);
– კომუნიკაბელურობა და აქტიურობა;
– ორგანიზებულობა და დეტალებზე ორიენტირებულობა.

მოხარული ვიქნებოდი, თუ გასაუბრებაზე დამიბარებდით და მომცემდით შანსს უკეთ ამეხსნა, თუ რა წვლილის შეტანა შემიძლია „კარფურის" განვითარებაში.

მეტი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დამირეკოთ ნომერზე: **587 11 00 11**. გმადლობთ, რომ დრო გამონახეთ ჩემი წერილის წასაკითხად.

პატივისცემით, მარიამ ირემაშვილი.

ავტობიოგრაფიული მონაცემები – (CV)

ავტობიოგრაფიული მონაცემების აღსანიშნავად ქართულ სინამდვილეში გამოიყენება აბრევიატურული გამოთქმა – **CV**, რომელიც მომდინარეობს ლათინური ფრაზიდან: **Curriculum Vitae** – „ცხოვრების გზა". **CV** წარმოადგენს სპეციალური დანიშნულების დოკუმენტს, რომელსაც პირველ რიგში ითხოვენ დამსაქმებლები კანდიდატის ამა თუ იმ პოზიციაზე დანიშვნამდე. აღნიშნული დოკუმენტი ძირითადად აკადემიურ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პოზიციებზე განაცხადის გაკეთებისას გამოიყენება, სადაც აუცილებელია პუბლიკაციების, სამეცნიერო-კვლევით სფეროში მუშაობის გამოცდილების, კონფერენციებში მონაწილეობისა და ჯილდოების მითითება.

სპეციფიკურია **CV**-ის სტრუქტურა: მასში თარიღებისა და ფაქტების სახით არის თავმოყრილი ძირითადი ინფორმაცია პიროვნების შესახებ. არ არსებობს **CV**-ის ერთი სტანდარტული ფორმა, მაგრამ ყველა ვარიანტისათვის საერთოა ქვემოთ წარმოდგენილი პუნქტების ჩამონათვალი:

• **პერსონალური (პირადი) ინფორმაცია:** სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელფოსტა. შესაძლებელია სურათიც, მხოლოდ – საბუთებისთვის განკუთვნილი;

• **განათლება და პროფესიული ტრენინგები** – სწავლის პერიოდი, სასწავლებელი, ფაკულტეტი, საუნივერსიტეტო ხარისხი, კვალიფიკაცია, ტრენინგები – სფერო, მიმართულება;

• **სამუშაო გამოცდილება:** მუშაობის პერიოდი – თვე, წელი, ორგანიზაციის დასახელება, მისამართი, თანამდებობა, ძირითადი ფუნქციები, მიღწევები;

• **სიმპოზიუმები, კონფერენციები და სემინარები** – ღონისძიების თემა, ჩატარების თარიღი, ადგილი, ორგანიზატორი, მოხსენების სათაური (თუ ვართ მომხსენებელები ან თანამომხსენებლები);

• **პუბლიკაციები** – პუბლიკაციის გამოცემის თარიღი, სათაური, ჟურნალის / წიგნის / სამეცნიერო კრებულის / გაზეთის სათაური, გამომცემლობა, გამოცემის ადგილი;

• **დამატებითი უნარ-ჩვევები და კომპეტენციები:** უცხო ენის / ენების ცოდნა – დონის მითითებით; კომპიუტერული პროგრამების ცოდნა – კონკრეტული პროგრამების მითითებით და სხვ.

• **ჰობი** – ინტერესების სფერო: სპორტი, მოგზაურობა, მუსიკა, ცეკვა და ა.შ.

• **სხვა აქტივობები და წევრობა** – გულისხმობს ინტელექტუალურ, შემოქმედებით, საზოგადოებრივ აქტივობებს.

CV-ს ზოგჯერ რეზიუმესაც უწოდებენ, თუმცა როგორც ერთ-ერთ წყაროში მიუთითებენ, CV-ისა და რეზიუმეს გაიგივება არ შეიძლება:

- რეზიუმე უნარების, გამოცდილებისა და განათლების მოკლე, ერთ- ან ორგვერდიანი აღწერაა, ხოლო CV – უფრო ვრცელი და დეტალური.
- CV ასახავს არა მხოლოდ ადამიანის აკადემიურ წარსულსა და განათლებას, არამედ მის გამოცდილებას კვლევით და საგანმანათლებლო სფეროებში, გამოცემებს, პრეზენტაციებს, ჯილდოებს, სამეცნიერო საზოგადოებების წევრობას და ა.შ.[83]

---

[83] https://staffge.wordpress.com/2011/08/13/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9F%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90/ მოძიებული: 2. 09.2019.

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება CV-ის შედგენის დროს:

- საკონტაქტო მონაცემებსა და დეტალებზე წინ CV-ის სათაურად თქვენი სახელი და გვარი უნდა ეწეროს მსხვილი, მკაფიო შრიფტით;
- უნდა გავითვალისწინოთ პოტენციური დამსაქმებლის ინტერესები და მისთვის მნიშვნელოვან ასპექტებზე გავამახვილოთ ყურადღება;
- დავწეროთ მხოლოდ სიმართლე: არ მივუთითოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც არ გვახასიათებს, მაგრამ არც ჩვენი მიღწევები მივჩქმალოთ, რომ დამსაქმებელს სრული წარმოდგენა შევუქმნათ ჩვენს საქმიანობასა და უნარებზე;
- კომპაქტურად წარმოვადგინოთ ინფორმაცია – CV-ის გაცნობა დიდ დროს არ უნდა მოითხოვდეს; მისი მოცულობა სამ გვერდს არ უნდა აღემატებოდეს;
- ვწეროთ ლაკონიური, არათხრობითი სტილით; არ გადავტვირთოთ ზმნებით; შდრ., ქვემოთ წარმოდგენილი ორი მაგალითიდან მისაღებია ა) ვარიანტი:

  ა) 2003 – 2007 წწ. – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი; სპეციალობა – საინჟინრო ფიზიკა, ბაკალავრიატი.

  ბ) 2003 – 2007 წწ. – ვსწავლობდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე საინჟინრო ფიზიკის სპეციალობით. ავიღე ბაკალავრის დიპლომი.
- ბიოგრაფიის შევსებისას მონაცემები შევიტანოთ დაღმავალი თარიღების მიხედვით: ქრონოლოგიური წყობა შებრუნებული უნდა იყოს, რამდენადაც დამსაქმებლისათვის ბევრად მნიშვნელოვანია ბოლოდროინდელი, უახლესი ინფორმაცია ჩვენ შესახებ, მაგ.: **2015 წლის იანვარი – 2016 წლის მარტი: ბიზნეს კონსულტანტი X კომპანიისთვის; 2014 წლის აპრილი – 2015 წლის დეკემბერი: დამოუკიდებელი ექსპერტი.**
- მუქი შრიფტით გამოვყოთ ძირითადი პუნქტები;
- საჭიროა CV-ის მუდმივი განახლება – მასში თანმიმდევრულად უნდა აისახოს ახალი ინფორმაცია ჩვენს საქმიანობაზე, მიღწევებზე და სხვ.

ნიმუში N 7

ელენე კასრაძე
(CV)

პერსონალური მონაცემები

დაბადების თარიღი (დღე / თვე / წელი)	17.11.1963
დაბადების ადგილი	თბილისი
მოქალაქეობა	საქართველო
მისამართი	ბუაჩიძის ქ. N 12, ბინა N 10
პირადობის მოწმობისმონაცემები	ა) ნომერი: 60192578 ბ) პირადი N 01013032275 გ) გაცემის თარიღი 27.08. 1998 დ) მოქმედების ვადა 27.08.2018 ე) გაცემულია გლდან-ნაძალადევის რ-წის შსს ქვეგანყოფილების მიერ
ელ ფოსტა	elenekasradze@gmail.com
სახლის ტელეფონი მობ. ტელეფონი	2 61 05 74 593 98 62 02

განათლება

წელი	
1980 – 1985 წწ.	თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, სპეციალობა: ქართული ენა

სამუშაო გამოცდილება

წელი	
2013-იდან	ქართული უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
2012-იდან	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
2011 -2012	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი
2009 - 2010	საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
2008 - 2009	ჰუმანიტარულ–ტექნიკურ გიმნაზია „ოქროს აკვანის" ქართული ენის კათედრის გამგე
2007	თსუ ქართული ენის ინსტიტუტის პროფესორი (საათობრივი მოწვევის წესით)
1995 - 2006	თსუ ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტი
1992-1995	თსუ ახალი ქართული ენის კათედრის უფროსი მასწავლებელი
1988 - 1992	თსუ ახალი ქართული ენის კათედრის ლაბორანტი

აკადემიური ხარისხი

წელი	
1991 წ.	საკანდიდატო დისერტაცია: „ილია ჭავჭავაძე და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის პრობლემები (ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების ფონზე)" ფილ. მეც. კანდიდატი; კდ № 049578

პუბლიკაციები (2012-2014)

წელი	
2014	კრიტიკა და პოეტის ინოვაციური ლექსიკის რამდენიმე მაგალითი, *ძეგმანი*, XVIII, თბილისი, (სტატია)
2013	ზოგიერთი ქიმიური ტერმინის განმარტებისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, N 4 , (სტატია)
2012	ილია ჭავჭავაძის ენობრივი კონცეფციის ძირითადი ასპექტები; ქართველური მემკვიდრეობა, XVI, ქუთაისი, თანაავტორი: ქ. მიქელაძე (სტატია)

კონფერენციებში მონაწილეობა (ბოლო სამი წლის განმავლობაში)

საქართველოს ფარგლებში

2014	რუსეთის საცავებში არსებული ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების საქართველოსთვის გადმოცემის საკითხი (1922 წ) და ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის დაპირისპირება; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია; თბილისი, 14-15 აპრილი, (თეზისები)
2013	დავით კლდიაშვილის ენობრივი ხედვა და ენობრივი სტილის თავისებურებანი; დავით კლდიაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, თანაავტორი: ქ. მიქელაძე (თეზისები)
2012	ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის ერთი პოლემიკის შესახებ (ქართული უნივერსიტეტი – ეროვნული და ანტიეროვნულ ძალთა დაპირისპირების მთავარი თემა); დიდი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, (თეზისები)

ტრენინგი (მიუთითეთ რა ტრენინგის კურსი გაქვთ გავლილი)

ტრენინგი (საკითხები)	ორგანიზატორი	თარიღი (წელი), ხანგრძლივობა
ეფექტური პრეზენტაცია, მოტივაცია და ჩართულობა; სწავლება დიდ და მცირერიცხოვან კლასებში	ჩრდ. ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორი - ჯეფერსონ ჯორჯი	29 აპრილი - 1 მაისი, 2014 წელი; თსუ მაღლივი კორპ., 206-ე აუდიტორია
ინსტრუქტორთა მომზადების მოკლე კურსი სწავლების მეთოდოლოგიაში (ტრენერთა ტრენინგი)	შსს აკადემია	07.02 – 10.02. 2017

ენები

№	ენა	სრულყოფილად	კარგად	საშუალოდ	ცუდად
1.	ქართული	+			
2.	რუსული		+		
2.	ინგლისური			+	

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა

პროგრამა	სრულყოფილად	კარგად	საშუალოდ	ცუდად
Microsoft Office Word	+			

Microsoft Office PowerPoint		+		
Microsoft Office Excel		+		

თარიღი: 13.12. 2014 ხელმოწერა: /ე. კასრაძე

სავარჯიშოები

19.9.1. წაიკითხეთ ოფიციალურ-საქმიანი ტექსტები და დაადგინეთ მათი ენობრივ-სტილური თავისებურებები; იმსჯელეთ განსხვავებაზე, მოიძიეთ შესაბამისი მაგალითები.

ა)

ილია მეუნარგიას სიტყვა ილიას დასაფლავებაზე

დაუვიწყარო მამულისშვილო ილიავ! შენი ჭირისუფალი განა მარტო ეს, აქ მოზღვავებული საზოგადოებაა, რომელიც სამი დღეა, შენს ცხედარს გარს ახვევია?!

არა, შენი ჭირისუფალი მთელი შენი სატრფო ქვეყანაა, სამშობლო - კახეთიდამ დაწყებული შავ ზღვამდის. ამ ქვეყანაში ყველას უგემნია შენი ნაწერების სიტკბოება და ყველა სასოებით და სიამაყით იხსენებს შენს სახელს; ოჯახი სად დარჩა ამ ქვეყანაში, საცა ბავშვს შენი „აყვავებულა მდელო" არ ეკითხოს და მოზრდილს „მკრთალი ნათელი" და „ჩემო კარგო ქვეყანავ" არ ემღეროს?

შენის ქმნილებით დამტკბარმა, შენის მოკვლით გულ-ჩამწარებულმა საქართველოს შორეულმა ქალაქმა ფოთმა დაფნითა და ყვავილით შეამკო ცხედარი შენი და უკანასკნელი სალამი გიძღვნა შენ, დაუვიწყარო ილიავ, შენ, რომლის მარჯვენისა ქმნილებამ აღზარდა რაზმი საქართველოს მოზარდთა თაობათა და მწერალთა, შენ, რომელმაცა „კაცია-ადამიანი" სთქვი, „გლახის ნაამბობი" გვიამბე, თავდადებული შეგვაყვარე და „ნაოჭის მსგავსად შეკრული" შუბლი განდეგილისა დაგვიხატე ხელოვნურად.

შენ რომ ფეხი შემოდგი მწერლობაში, სთქვი, „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდებიო" და მთელი შენი სიცოცხლე ამ მამულის აყვავებას ამსახურე და მამულის შვილების გულში აღაგზნე ყოველგვარი კეთილი აზრი და გრძნობა.

დღეს ყოველი ქართველი, თვით შენი მტერიც, შენი შეგირდია. ნეტავ გაგაგონა ის ძლიერი ღაღადი ჩვენის მწერლობისა, რომელიც შენმა მკვლელობამ ასტეხა, რომ დამტკბარიყავ იმ აზრით, რომ სამწერლო მემკვიდრეობა, შენგან დატოვებული, არც ისე მჩატეა, როგორც მტერსა ჰგონია.

შენ არ გვასწავლე ქართული ენა? შენ არ შეჰქმენ უკანასკნელად „სულთა სწრაფვა", „თვალთახედვის ისარი"? შენ შეგვაყვარე მამული და გვაჩვენე, როგორ უნდა სამშობლოს მტერთან ბრძოლა. „დიდ მუხასთან პატარა ია რომ ყვაოდეს, ვის რა უნდაო", გააგონე შენს მამულის მტრებს. სამეგრელოს ჩამოშორება რომ მოინდომეს საქართველოდამ, შენ სამეგრელოში მოდი, იქაურობა ნახე და სთქვი: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო" და მედგრად გამოესარჩლე დაჩაგრულ სამეგრელოს.

და აწ შენ დაგვშორდი, დაგვტოვე იმ დროს, როცა თვით მამულის წმიდათა-წმიდას შეეხო განუსჯელი თაობა და როცა შენს წინასწარმეტყველურ სიტყვას შეეძლო ეს თაობა გონს მოეყვანა.

ვინ იცის, ეგებ შეიძლებოდეს კაცს კაცობრიობა უყვარდეს მამულზე უფრო, მაგრამ მამული რომ არ უყვარდეს კაცს, სამშობლოს ენა არა სწამდეს, ამის სმენაც კი ეზოთირება ჩვენს ყურს, რომელშიაც შენ 40 წელიწადი სულ ჩაგვძახოდი: ჩიტს თავისი ბუდე უყვარს, ნადირს თავისი კლდე და სორო, მთელ განათლებულ ქვეყანას თავისი მხარე და ენა და მხოლოდ ჩვენში გამოჰტყვრა პირველად ეს დაუჯერებელი: „ენა რა არის, მამული რას მიქვიანო".

ვიმედოვნებ, მოძღვარო, რომ ეს შეცდომა წარმავალია, რომ ჩვენნი ძმანნი და შვილნი, ვითარცა უძღებნი შვილნი, დაუბრუნდებიან სამშობლოს და მამული კვლავ დარჩება ყველათათვის საუკუნოდ თაყვანსაცემად ისე, როგორც საუკუნო არის იდეალები სიმართლისა, სიკეთისა და მშვენიერებისა, რომელთაც შენ მსახურებდი.

მშვიდობით, ჩვენო ენის კანონმდებელო, დიდო მამულისშვილო!

1907 წლის 9 სექტემბერი[84].

ბ)

გერმანიის ელჩის მისასალმებელი სიტყვა

ჩვენი ინტერნეტგვერდის ბვირფასო სტუმრებო,

მოგესალმებით გერმანიის ელჩი საქართველოში!

თბილისში გერმანიის საელჩოსა და მისი თანამშრომლების სურვილია, რომ ჩვენი ვებგვერდის სტუმრებს გაუადვილონ საქართველოს, მისი სტუმართმოყვარე ხალხისა და ქვეყნის კულტურული სიმდიდრის გაცნობა. საქართველო არის ხიდი დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებს შორის. იგი

[84] http://presa.ge/new/?m=lit&AID=16027 მოძიებული: 2. 09.2019.

წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ქვეყანას ევროპაში, რომელიც დღეს თავის მომავალს ძველი ისტორიის საძირკველზე აშენებს.
გერმანია იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც 1992 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და საელჩო გახსნა თბილისში. ამით ჩვენ შევძელით გაგვეღრმავებინა ის კონტაქტები, რომლებიც საქართველოს სამეფოს დროიდან გერმანიასთან არსებობდა და ხელი შევუწყვეთ კულტურისა და მეცნიერების სფეროებში არსებული მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებასა და განვითარებას. ...დავამყარეთ ახალი პოლიტიკური კონტაქტები და დავიწყეთ ინტენსიური ეკონომიკური თანამშრომლობა ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოსთან.
გერმანიის თანადგომა ნათლად გამოჩნდა ასევე რუსეთთან 2008 წლის ომის შემდგომ გაწეულ ჰუმანიტარულ დახმარებაში. გერმანია საქართველოს უდიდეს დახმარებას უწევს განვითარების სფეროში თანამშრომლობის კუთხით. ჩვენს პარტნიორებთან, ევროკავშირთან და ნატოსთან ერთად მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ჩართული ვართ მრავალ ერთობლივ პროექტში, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიული რეფორმების პროცესის გაძლიერებასა და საქართველოს დაახლოებას ევროპულ სტრუქტურებთან.
ჩვენს ვებგვერდზე წარმოგიდგენთ იმ გერმანულ-ქართული ურთიერთობების მრავალფეროვნებას, რომელიც სცილდება პოლიტიკურ სიბრტყეს და გამსჭვალულია დიდი ძალისხმევით კერძო ინიციატივებისა და სამოქალაქო საზოგადოების ყველა მონაწილის მხრიდან.
მოხარული ვარ, რომ დაინტერესდით თბილისში გერმანიის საელჩოს მუშაობით და საელჩოს მიერ შემოთავაზებული მომსახურებით.
ორთვინ ჰენიგი.

19.9.2. წაიკითხეთ ტექსტი და დაადგინეთ, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება; გაასწორეთ ლექსიკურ-სტილისტური და პუნქტუაციური ხარვეზები.
რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2002წ. 10 ოქტომბრის N 1684 –I ს დადგენილებით

ნიცის შეთანხმება

ნიშნების რეგისტრაციისათვის განკუთვნილი საქონლისა
და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ

1957 წლის 15 ივნისი

გადასინჯული სტოკჰოლმში 1967 წლის 14 ივლისს, და ჟენევაში
1977 წლის 13 მაისს და შესწორებული ჟენევაში 1979 წლის 28 სექტემბერს

მუხლი 8
შესწორებების შეტანა მუხლებში 5-8

(1) წინადადებები მე-5, მე-6, მე-7 და ამ მუხლში შესწორებების შეტანის შესახებ შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ასამბლეის წევრი ნებისმიერი ქვეყნის ან გენერალური დირექტორის მიერ. ასეთ წინადადებას გენერალური დირექტორი უგზავნის ასამბლეის წევრ ქვეყნებს ასამბლეაზე განხილვამდე სულ მცირე 6 თვით ადრე.

(2) ამ მუხლის (1) პუნქტში მოხსენიებულ მუხლებში შესწორებებს ღებულობს ასამბლეა. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების სამი მეოთხედი. ამასთან, მე-5 მუხლსა და ამ პუნქტში ნებისმიერი შესწორების მისაღებად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების ოთხი მეხუთედი.

(3) ამ მუხლის (1) პუნქტში მოხსენიებული მუხლების ნებისმიერი შესწორება ძალაში შედის ერთი თვის შემდეგ თარიღიდან, როდესაც გენერალურ დირექტორს ჩაბარდება ამ თარიღისათვის ასამბლეის წევრი ქვეყნების რაოდენობის 3/4-ის წერილობითი შეტყობინებები თითოეული ქვეყნის კონსტიტუციით დადგენილი პროცედურის შესაბამისად ზემოხსენებული შესწორებების მიღების შესახებ. ზემოხსენებულ მუხლებში ასეთი წესით მიღებული ნებისმიერი შესწორება სავალდებულოა ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელიც შესწორების ძალაში შესვლის თარიღისათვის არის ასამბლეის წევრი ან რომელიც წევრი გახდა ამ თარიღის შემდეგ. ამასთან, ნებისმიერი შესწორება, რომელიც ზრდის სპეციალური კავშირის ქვეყნების ფინანსურ ვალდებულებებს, სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც განაცხადეს ასეთი შესწორების მიღების შესახებ.

19.9.3. გაეცანით საქართველოს შსს აკადემიის ადმინისტრაციულ-საკანცელარიო დოკუმენტაციის ნიმუშებს; დაადგინეთ დოკუმენტების ენობრივი თავისებურებები; იპოვეთ პუნქტუაციური შეცდომები და გაასწორეთ.

N1



N2



გ ა ხ ს ნ ი ს ა ნ ი

ა.წ. 20 ივლისს, 12:00 საათზე, შსს აკადემიის 206-ე აუდიტორიაში დანიშნულია უმცროსი ოფიცრების მოსამზადებელი კურსის მსმენელთა საერთო კრება.

ყველა მსმენელის დასწრება სავალდებულოა.

შსს აკადემიის სამეცნიერო კომიტეტი

N3



ბრძანება

ითხოვს განმცხადებლის უფლების შეზღუდვას მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

ხელმოწერა:

ნ. ტატიშვილი
10.12.12.

N 4



N 5



19.9.4. გაეცანით სამოტივაციო წერილს, იპოვეთ ხარვეზები და იმსჯელეთ, როგორ გაასწორებდით.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო წ ე რ ი ლ ი

თბილისის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის
უფროსს, ქალბატონ ელენე დავითაშვილს
მოგესალმებით, ქალბატონო ელენე,
მე ვარ მაია ადამაშვილი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის ფონდებისა და კატალოგების ორგანიზებისა და დაცვის განყოფილების სპეციალისტის ვაკანტური პოზიცია, რომლის შესახებაც ინტერნეტით შევიტყვე.
ეროვნული ბიბლიოთეკის ბოლოდროინდელი საინტერესო პროექტები და განვითარების აქტიური ტემპი ჩემთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ვფიქრობ, ეს არის დაწესებულება, რომელშიც მუდმივი პროფესიული ზრდისთვის შესაბამისი და სტაბილური გარემოა, თანაც ჩემი – ფილოლოგის – პროფესია ძალიან ახლოს არის საბიბლიოთეკო საქმიანობასთან. ეფექტური და სწრაფი მომსახურება, საბიბლიოთეკო რესურსების საუკეთესოდ ორგანიზებული ფონდები და კატალოგები ყველა მაღალი დონის ბიბლიოთეკის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი სავიზიტო ბარათია. მისასალმებელია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გაციფრების პროექტები, რომლებიც მკითხველს უსაზღვრო შესაძლებლობებს სთავაზობს შინიდან გაუსვლელად.

აღნიშნულ ვაკანტურ პოზიციაზე საკუთარი თავის წარმოდგენის საშუალებას მაძლევს რეზიუმეში აღნიშნული სამუშაო გამოცდილება, რამაც გუნდური და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მუშაობის უნარი ჩამომიყალიბა, თანამშრომლობითი ეთიკისა და კეთილგანწყობილი სამუშაო გარემოს შექმნის უნარი, რაც აუცილებელი და მნიშვნელოვანია ნებისმიერი დაწესებულებისა თუ კომპანიისთვის.

მოხარული ვიქნები, თუკი მომეცემა საშუალება საკუთარი მოკრძალებული წვლილი შევიტანო დიდ ეროვნულ საქმეში და გავხდე იმ სასიკეთო ცვლილებების თანამონაწილე, რომლებიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს და რომლის მიზანიც მომსახურების დახვეწილ, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოვებაა. ვფიქრობ, გასაუბრების შემთხვევაში უფრო მომეცემოდა საშუალება, უკეთ წარმომეჩინა ჩემი შესაძლებლობები; მზად ვარ, მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია; გმადლობთ ყურადღებისათვის.

პატივისცემით, მაია ადამაშვილი

18. 04. 2016.

ტესტი N 19

სტილისტიკა და სტილი

- სტილის რაობა. სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინა. მისი შესწავლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა
- სტილისტიკის კავშირი სხვა დისციპლინებთან. სტილისტიკური კვლევის ძირითადი მიმართულებები
- სტილისტიკის ისტორიიდან; „სამი სტილის“ თეორია ქართულ მწერლობაში
- ენა და მეტყველება. მეტყველების ფორმა
- მეტყველების სტილები. თანამედროვე სტილური ნაირსახეობები და მათი კლასიფიკაცია
- მხატვრული სტილის სპეციფიკა. ტროპული მეტყველების ძირითადი სახეები
- სამეცნიერო სტილი
- პუბლიცისტური სტილი
- ოფიციალურ-საქმიანი სტილი

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

სტილის თავდაპირველი მნიშვნელობა უკავშირდება

ა) ლიტერატურას;

ბ) წერის ტექნიკას.

2. რომელია სწორი?

სტილი არის:

ა) ენობრივი საშუალებების გამოყენების ხერხთა ერთობლიობა;

ბ) სალიტერატურო ნორმების ერთობლიობა.

3. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ენათმეცნიერული სტილისტიკის სფეროს განსაზღვრავს ის, რომ:

ა) სინამდვილის ფაქტი ერთია, მისი ენობრივი გამოხატვის ხერხები კი – სხვადასხვა;

ბ) სინამდვილის ფაქტი სხვადასხვა, მათი ენობრივი გამოხატვის ხერხები კი – ერთი.

4. რომელია სწორი პასუხი?

ენობრივი გამოხატვის საშუალებებს შორის არჩევანი შესაძლებელია გაკეთდეს:

ა) მოსაუბრის სუბიექტური დამოკიდებულების შესაბამისად;

ბ) გარკვეული გარემოს – ენობრივ-ექსპრესიული ველის (სიტუაციის) შესაბამისად;

გ) მოსაუბრის სუბიექტური დამოკიდებულებისა და გარკვეული გარემოს – ენობრივ-ექსპრესიული ველის (სიტუაციის) შესაბამისად.

5. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც არის მორფოლოგიურ სტილისტიკაზე მაორიენტირებელი მაგალითები.

ა) თბილი – ტფილი; რბალი – სძალი, რძე – სძე;

ბ) მთები – მთანი; სარკმლის – სარკმელის, შოთას – შოთაის.

6. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

სტილისტიკური მინიმუმისათვის მნიშვნელოვანია:

ა) ნათქვამის სიზუსტე და მკაფიოობა;

ბ) გრამატიკულად სწორი ფორმებიდან რომელია უკეთესი აზრის ცხადად და ექსპრესიულად გადმოცემისათვის.

7. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

პრაქტიკული თვალსაზრისით, სტილისტიკა იკვლევს:

ა) რა საფუძველი აქვს მეტყველების სტილებად კლასიფიკაციას;

ბ) თავიდან როგორ იქნეს არიდებული სტილისტიკური შეცდომები.

8. რომელია სწორი პასუხი?

რამდენადაც სიტყვების შერჩევას ყურადღება ექცევა აზრის სიზუსტის, თავაზიანობის, განწყობილების გადმოცემისა და სილამაზის თვალსაზრისით, აშკარაა სტილისტიკის კავშირი:

ა) ენათმეცნიერების დარგებთან;

ბ) ლოგიკასთან, ეთიკასთან, ესთეტიკასა და ფსიქოლოგიასთან.

9. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

შიდაენობრივი სტილისტიკა ითვალისწინებს:

ა) ერთი კონკრეტული ენის ექსპრესიული შესაძლებლობების შესწავლას;
ბ) ორი ან მეტი ენის ექსპრესიული შესაძლებლობების შესწავლასა და შედარებით ანალიზს.

10. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს ენობრივ-სტილისტიკურ ნორმებზე იძლევა:
ა) პრაქტიკული სტილისტიკა;
ბ) ისტორიული სტილისტიკა.

11. რომელია სწორი პასუხი?

სტილისტიკის საკითხებით დაინტერესება იწყება:
ა) ჩვ. წ. აღ-ის პერიოდიდან;
ბ) ჩვ. წ. აღ-მდელი პერიოდიდან.

12. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

„ხელოვნურობა ცუდია... [სტილი უნდა იყოს] ნათელი, გასაგები, ბუნებრივი...ზომიერი“ – ეს სიტყვები ეკუთვნის:
ა) არისტოტელეს;
ბ) პლატონს.

13. რომელია მცდარი პასუხი?

მწერლობის ნიმუშთა სტილებად გამიჯვნის ტრადიცია ყალიბდება:
ა) ანტიკურ ეპოქაში;
ბ) შუა საუკუნეებში.

14. აირჩიეთ სწორი პასუხი.

ანტონ კათალიკოსის (1720-1788) საკანცელარიო დოკუმენტებისა და საღვთისმეტყველო ნაშრომების ენა
ა) განსხვავებულია;
ბ) ერთი და იგივეა.

15. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

სამი სტილის თეორიის დამკვიდრება ქართულ მწერლობაში მიეწერება:
ა) ილია ჭავჭავაძეს;
ბ) ანტონ კათალიკოსს.

16. რომელია შეცდომა?

ქართველ საზოგადოებაში დაპირისპირება ენისა და სტილის საკითხებზე პირველად თავს იჩენს:
ა) XIX ს-ის 50-იანი წლების ბოლოს;
ბ) „მამათა“ და „შვილთა“ პოლემიკის დროს.

17. რომელია სწორი?

XIX ს-ის 60-იანი წლებიდან გატარებული კურსის შედეგად, მაქსიმალურად შემცირდა განსხვავება:
ა) მწიგნობრულ და სასაუბრო მეტყველებას შორის;
ბ) მწიგნობრულ და დიალექტურ მეტყველებას შორის.

18. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ა) მეტყველების ფორმა სამგვარია: ზეპირი, წერითი და თეატრალური;
ბ) მეტყველების ფორმა ორგვარია: ზეპირი და წერითი.

19. რომელია სწორი?

ორთოგრაფია შეისწავლის:
ა) მართლწერას;
ბ) ზეპირ მეტყველებას.

20. რომელია მცდარი პასუხი?

ა) ზეპირი მეტყველება ქრონოლოგიურად უსწრებს წერით მეტყველებას;
ბ) წერითი მეტყველება ქრონოლოგიურად უსწრებს ზეპირ მეტყველებას.

21. რომელია სწორი?

წმინდა ენობრივი მონაცემია:
ა) ზეპირი მეტყველება;
ბ) წერითი მეტყველება.

22. შემოხაზეთ ორი მცდარი პასუხი.

სასაუბრო სტილი არის:
ა) ბუნებრივი და ექსპრესიული;
ბ) ოფიციალური;
გ) დაუგეგმავი, სტიქიური;

დ) რეგლამენტირებული.

23. რომელია სწორი პასუხი?

დიალექტიზმები, ბარბარიზმები და არაეთიკური ლექსიკა ახასიათებს:

ა) მწიგნობრულ სტილს;

ბ) სასაუბრო სტილს.

24. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

სასაუბრო სტილი ძირითადად

ა) მონოლოგური ხასიათისაა;

ბ) დიალოგური ხასიათისაა.

25. რომელია სწორი?

ფილოსოფია ძველ საქართველოში

ა) ზოგადად მრავალდარგოვანი მეცნიერების აღმნიშვნელი ტერმინია;

ბ) ვიწრო სამეცნიერო დარგის აღმნიშვნელი ტერმინია.

26. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

საერო მწერლობა განვითარებას იწყებს:

ა) სასულიერო მწერლობის წიაღში;

ბ) სასულიერო-საღვთისმეტყველო მწერლობის წიაღში..

27. რომელი ვარიანტია მცდარი?

თანამედროვე სტილური ნაირსახეობებიდან, ძირითადად, გავრცელებულია შემდეგი:

ა) სასაუბრო;

ბ) მხატვრული;

გ) სამეცნიერო;

დ) პუბლიცისტური;

ე) საურთიერთო;

ვ) ოფიციალურ-საქმიანი.

28. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ფუნქციური სტილები, ძირითადად, ასახავს:

ა) ენის შემოქმედებით მხარეს;

ბ) ენის პრაქტიკულ-გამოყენებით სფეროებს.

29. რომელი ვარიანტია მცდარი?

მხატვრული სტილისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

ა) ტროპული მეტყველების სახეები;

ბ) განწყობა;

გ) ლექსიკურ რესურსები;

დ) წინადადების რიტმი...

30. რომელია სწორი პასუხი?

მეტაფორა არის:

ა) საგანთა და მოვლენათა შედარება-შეპირისპირების საფუძველზე განვითარებული სტილისტიკური ხერხი;

ბ) სიტყვათა გადატანით მნიშვნელობაზე აგებული სტილისტიკური ხერხი.

31. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ეპითეტი არის:

ა) მხატვრული განსაზღვრება;

ბ) ერთი სიტყვის შენაცვლება მასთან ლოგიკურად დაკავშირებული სიტყვით.

32. შემოხაზეთ ორი მცდარი პასუხი.

წინადადება: „აქეთ გორას წიხლსა ვკრავ,/იქით გორას ძვრას ვუზამ...“ არის:

ა) ალეგორიის მაგალითი;

ბ) ირონიის მაგალითი;

გ) ჰიპერბოლის მაგალითი.

33. აირჩიეთ სწორი პასუხი.

პერიფრაზი იგივეა, რაც:

ა) სხვისი ნათქვამის გადმოცემა;

ბ) სხვისი ნათქვამის სიტყვასიტყვით გამეორება;

34. რომელია მცდარი?

ტროპული მეტყველება, როგორც სტილისტიკური საშუალება, აქტიურად გამოიყენება:
ა) მხატვრულ-ემოციური სახეების შესაქმნელად;
ბ) ტერმინთა დასახასიათებლად.

35. აირჩიეთ სწორი პასუხი.

ენობრივი სტილის ნიშანს მეორე ენობრივ სტილში გამოყენებისას:
ა) განსხვავებული ფუნქცია ენიჭება;
ბ) იგივე ფუნქცია აქვს.

36. რომელია მცდარი პასუხი?

სამეცნიერო ენის თავისებურებას განაპირობებს:
ა) ტერმინებისა და სპეციალური სიტყვების გამოყენება;
ბ) ცნებითი აზროვნება;
გ) სახელდებითი წინადადებები.

37. შემოხაზეთ სამი სწორი პასუხი.

სამეცნიერო ნაშრომის გავრცელებული ფორმებია:
ა) რეფერატი;
ბ) ნოველა;
გ) სტატია;
დ) რეცენზია;
ე) მოთხრობა.

38. აირჩიეთ სწორი პასუხი.

სამეცნიერო ტექსტების ძირითადი მიზანია:
ა) თანამედროვეობის აქტუალური საკითხების წინ წამოწევა და მათზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირება;
ბ) საკითხის ობიექტური შესწავლა-გაანალიზება და ლოგიკურად სწორი პოზიციის შემუშავება.

39. რომელია მცდარი?

სტილური არაერთგვაროვნება და მაქსიმალური სიახლოვე სასაუბრო სტილთან დამახასიათებელია:
ა) სამეცნიერო სტილისათვის;
ბ) პუბლიცისტური სტილისათვის.

40. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

პუბლიცისტური სტილის შემთხვევაში, ზემოქმედების ფუნქცია ნიშნავს:
ა) მკითხველისათვის ახალი ამბის სხარტად და ამომწურავად მიწოდებას რაც შეიძლება მოკლე დროში;
ბ) გავლენას მკითხველის ცნობიერებაზე,

41. რომელია სწორი?

საინფორმაციო ჟანრის ძირითადი კომპოზიციური ფორმაა:
ა) შეტყობინება;
ბ) მსჯელობა.

42. აირჩიეთ სწორი პასუხი.

მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრი წარმოდგენილია:
ა) რეპორტაჟის, ინტერვიუს სახით;
ბ) ნარკვევის, ჩანახატის სახით.

43. რომელია მცდარი პასუხი?

ისეთი ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის შემოტანა, როგორიცაა: **სკანდირება, ივენთი, ბოიფრენდი...** ახასიათებს:
ა) სამეცნიერო სტილს;
ბ) პუბლიცისტურ სტილს.

44. რომელია სწორი პასუხი?

ფრაზები: **შეხვედრის ფორმატი, მოლაპარაკების რაუნდი** ბუნებრივია:
ა) პუბლიცისტური სტილისათვის;
ბ) მხატვრული სტილისათვის.

45. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ოფიციალურ-საქმიანი სტილი ასახავს:
ა) სახელმწიფო, სამოქალაქო და სამართლებრივ ურთიერთობებს;
ბ) მხატვრულ სინამდვილეს.

46. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.

ოფიციალურ-საქმიანი სტილის ძირითადი ფუნქციებია:
ა) შეტყობინება და ზემოქმედება;
ბ) შეტყობინება, ზემოქმედება და გართობა.

47. შემოხაზეთ ის ვარიანტი, რომელშიც არის კანონშემოქმედებითი დოკუმენტები.

ა) ნოტა, მემორანდუმი, კონვენცია;
ბ) კანონები, კონსტიტუცია, ბრძანებები;
გ) განცხადება, ავტობიოგრაფია, დახასიათება.

48. რომელია სწორი?

ოფიციალურ-საქმიან სტილში განირჩევა:
ა) ოფიციალურ-დოკუმენტური და ყოველდღიურ-საქმიანი ჟანრები;
ბ) ოფიციალურ-დოკუმენტური, ოფიციალურ-საკანონმდებლო და ყოველდღიურ-საქმიანი ჟანრები.

49. რომელია მცდარი?

მხატვრული სახეების გამორიცხვა და ნეიტრალური ლექსიკა დამახასიათებელია:
ა) მხატვრულ-ემოციური სტილისათვის;
ბ) ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის.

50. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ადმინისტრაციულ-საკანცელარიო დოკუმენტაციის მოწესრიგება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება:
ა) დოკუმენტების სტანდარტული ფორმა და სალიტერატურო ენის ნორმები;
ბ) დოკუმენტების სტანდარტული ფორმა, სალიტერატურო ენის ნორმები და მოქალაქის სტატუსი.

აკადემიური წერის საკითხები

20. აკადემიური ტექსტის სტრუქტურა

20.1. აკადემიური ტექსტის ზოგადი დახასიათება

როგორც ცნობილია, **ტექსტი** ლათინური სიტყვიდან [textum – კავშირი] მომდინარე ტერმინია, ნიშნავს რისამე შინაარსს, რომელიც ჩამოყალიბებულია წერილობითი ფორმით. საყურადღებოა, რომ გამოთქმა: „რა ტექსტებით მელაპარაკები?!“ გულისხმობს წინასწარ დაგეგმილ და არა შემთხვევით სიტყვიერ ურთიერთობას მოსაუბრესთან.

აკადემიური ტექსტი ინფორმაციის ზუსტად და თანმიმდევრულად გადაცემის, ასევე, დამახსოვრების საუკეთესო საშუალებაა. ტექსტი, ფართო გაგებით, მოიცავს ვერბალურ ნაწილსა და საილუსტრაციო ფონს, რომელთა სპეციფიკაც განპირობებულია, ერთი მხრივ – თემატიკით, მეორე მხრივ – მკითხველის არაერთგვაროვნებით. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა საილუსტრაციო ფონის შერჩევისას, რომელიც, კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება იყოს: ნახატი, ნახაზი, გრაფიკი, სკალა, მარშრუტი, რუკა და სხვ.; მაგ., შევადაროთ სხვადასხვა თაობის მკითხველები:

უმცროსკლასელთა უმრავლესობა, პირველ რიგში, წიგნში ჩართული ნახატების დათვალიერება-გაცნობით ცდილობს, შექმნას მისთვის ჯერ კიდევ უცნობი შინაარსის „საკუთარი“ ვერსია (აქეთკენ უბიძგებს ნახატის საგანგებოდ შერჩეული ფერები თუ კომპოზიცია). ხშირია შემთხვევა, როცა პატარებს ნახატები უღვივებს მოთხრობის ან წიგნის ბოლომდე წაკითხვის სურვილს; ასევე, არც თუ უსაფუძვლოდ, მათთვის განკუთვნილი ჟურნალის ტექსტში წინასწარ არის დაგეგმილი, რომ წაკითხული გვერდის შესაბამისად უნდა გააფერადონ – „აამეტყველონ“ ტექსტის გრაფიკულად წარმოდგენილი პერსონაჟები. მიზანი ნათელია – ტექსტთან პატარა მკითხველის მეტი სიახლოვის უზრუნველყოფა. ამავე თემასთან მჭიდრო კავშირშია ანბანის აკროფონიული პრინციპით სწავლებაც, როცა დაწყებითი კლასის მოსწავლეთა შემეცნების განვითარებაში აქტიურად არის ჩართული ვიზუალური ასპექტები.

ზემოაღნიშნულის მსგავსი რამ გამორიცხულია ზრდასრული მკითხველისათვის განკუთვნილ ტექსტში; აქ მინიმუმამდეა შემცირებული ნახატების რაოდენობა ან, შეიძლება, სულაც არ იყოს, რადგან გათვალისწინებულია მკითხველის წინასწარი მზაობა კონკრეტული ინფორმაციის წაკითხვისა და გააზრებისათვის.

ტექსტი, რა მოცულობისაც არ უნდა იყოს, წარმოადგენს **კომპოზიციურად შეკრულ მთლიანობას**. მისი მთავარი მახასიათებლებია:

- გამართული შინაარსი – ერთ მთავარ თემაზე ორიენტირებული დასაწყისი, გაგრძელება-განვითარება და დასასრული;
- სტრუქტურული ერთიანობა – ტექსტის ძირითად შემადგენელ კომპონენტებს შორის ლოგიკური კავშირი; ეს გამოიხატება ტექსტის შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილების გარკვეული გეგმითა და თანმიმდევრობით ორგანიზებაში, კერძოდ, ავტორი:
  - ✓ **შესავალში** წარმოაჩენს სამსჯელო საკითხსა და მის აქტუალურობას, შემდეგ – თავის **თეზისს**[85];
  - ✓ **ძირითად ნაწილში** განავითარებს მსჯელობას: სათანადო **არგუმენტაციის**[86] საფუძველზე, ცდილობს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს თეზისს და გააბათილოს საწინააღმდეგო პოზიცია / პოზიციები;
  - ✓ **დასკვნაში** კვლავ უბრუნდება პრობლემურ საკითხს, აჯამებს თავისი კვლევის (დაკვირვების) შედეგებს და მკითხველს სთავაზობს პრობლემის გადაჭრის გარკვეულ პერსპექტივას (ვრცლად იხ. ქვემოთ).

---

[85] **თეზისი** [< ბერძ. thesis] აღნიშნავს დებულებას, რომლის ჭეშმარიტებაც უნდა დამტკიცდეს (ჭაბაშვილი, 1989, გვ.182).

[86] **არგუმენტი** [< ლათ. argumentum – მტკიცება] ლოგიკიდან შემოტანილი ტერმინია და აღნიშნავს საბუთს, რომელიც მოჰყავთ რისამე დასამტკიცებლად (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 50).

20.2. იდეების „რუკა“

სწავლების პროცესში თემის გარშემო იდეების თავმოსაყრელად საჭიროა აზროვნების სტიმულირება; საამისოდ აპრობირებულია სწავლების სხვადასხვა სტრატეგია:

ა) გონებრივი იერიში – ვიწყებთ გარკვეული სიტყვით ან ფრაზით და განსაზღვრული დროის ფარგლებში თავისუფლად წარმოვადგენთ იდეებს, რომლებიც ამ სიტყვასა თუ ფრაზასთან დაკავშირებით გვახსენდება (ეს პროცესი თითქოს წააგავს ე.წ. „ქალაქობანას“ თამაშს, როდესაც დროის რაც შეიძლება მცირე მონაკვეთში – სანამ სხვა მოგვასწრებს – უნდა მოვიფიქროთ ანბანის ერთ-ერთ ასოზე დაწყებული სხვადასხვა სახელწოდება: ქალაქის, სოფლის, ფილმის, გამოჩენილი ადამიანის და სხვ.). დროის ამოწურვის შემდეგ გადავხედავთ ჩამონათვალს და დავაკვირდებით, რამდენად შესაძლებელია წარმოდგენილი იდეების ლოგიკურად დაკავშირება-დაჯგუფება. ამ გზით მოვიპოვებთ მასალას შერჩეული თემისათვის არგუმენტებისა თუ მათი მხარდაჭერის განსავითარებლად;

ბ) თავისუფალი წერა – წერა შესვენების გარეშე, როცა შეუჩერებლად მივყვებით იდეათა ლოგიკურ განვითარებას (განსხვავებით წინა – განყენებულ იდეათა თავმოყრის მეთოდისგან); თავისუფალი წერის მიზანია ჩვენი გონების დაცლა ემოციებისაგან. დანიშნული დროისა და გვერდების ლიმიტის ამოწურვის შემდეგ გადავხედავთ ნაწერს და მოვძებნით საჭირო იდეებს ჩვენი თემისათვის;

გ) ლუპირება – ეს მეთოდი გვეხმარება, რამდენიმე იდეიდან ძირითადზე შევძლოთ ორიენტირება: ამ მიმართულებით ვწერთ 5–10 წუთის განმავლობაში, შემდეგ წავიკითხავთ ნაწერს და ერთი წინადადებით ვაჯამებთ; ახლა ეს შეჯამებული წინადადებაა ჩვენი ძირითადი იდეა და 5–10 წუთის განმავლობაში მას ვავითარებთ „ლუპირების“ მეორე ეტაპზე; ნაწერს კვლავ ვაჯამებთ თითო წინადადებით და გადავდივართ „ლუპირების“ მომდევნო ეტაპზე;

დ) კითხვების დასმის ტექნიკა – ამ მეთოდით აქტიურად სარგებლობენ ჟურნალისტები და სოციოლოგები; კითხვებით: **„რა?“, „ვინ?“, „სად?“, „როდის?“, „რატომ?“, „როგორ?“...** შესაძლებელია განსახილველი თემის სხვადასხვა მხარე ვიკვლიოთ.

და სხვ.

იდეების ვიზუალური გამოსახვისათვის საუკეთესო ტექნიკაა **კლასტერის – ასოციაციური კავშირების რუკის** შედგენა. კლასტერი გვათავისუფლებს იდეების სწორხაზოვანი მიმდევრობისაგან და გვიბიძგებს უფრო შემოქმედებითი აზროვნებისაკენ. მისი აგების პრინციპი ასეთია: გვერდის ცენტრალურ ადგილას წრეში მოვათავსებთ ძირითად საკითხს და მასთან ხაზებით დავაკავშირებთ იდეებს, შემდეგ კავშირს დავადგენთ იდეებს შორის და კატეგორიებად (კლასტერებად) დავაჯგუფებთ.

აზროვნების სტიმულირების გზით თავმოყრილი იდეები ლოგიკურად უნდა განაწილდეს აბზაცის /აბზაცების სტრუქტურაში.

სავარჯიშოები

20.2.1. წარმოდგენილი ჩამონათვალიდან შეარჩიეთ რამდენიმე თემა და თითოეულისათვის ააგეთ ასოციაციური კავშირების რუკა; შემდეგ დაჯგუფეთ იდეები.

- ჩემი პატარა და;
- თავისუფალი დრო;
- სახელის გატეხა;
- ცხელი ზაფხულის ოთხი დღე – ერთიანი ეროვნული გამოცდები;
- პირველი ლექცია უნივერსიტეტში;
- ქრისტეშობა;
- კონკურსი „ნიჭიერი“;

– საკუთარ აგარაკზე დასვენება;
– მიტინგი რუსთაველის გამზირზე;
– მეტროთი მგზავრობა.

20.2.2. მოცემული ჩამონათვალიდან გამოყავით და დააჯგუფეთ იდეები შემდეგი თემებისათვის:
ა) მეგობრის დაბადების დღე;
ბ) ძველი უბანი.
ბინების ყიდვა-გაყიდვა, საჩუქარი, სამაუწყებლო კომპანია, შეპირისპირებითი დახასიათება, რესტავრაცია, ბაზრობა, რეჟისორი, მეგობრების წრე, საერთო აივანი, ფილმის პერსონაჟი, იურისტი, ცეკვა, იყიდება, ეკონომიკა, ინდკერვა, სილამაზის სალონი, ინვესტორი, ტრადიციული სუფრა, ხალიჩების რეცხვა, სადღეგრძელოები, რევიზორ-ბუღალტერი, ნარდი და ლუდი, მიტინგი, მოდულის შენობა, ნესტი, საჯარო გამოსვლა, გიტარა, დაზიანებული სახურავი, 30 %-იანი ფასდაკლება, ძველებური ჭიშკარი, ახალი ურთიერთობები, ნივთმტკიცება, დაჯილდოება, ბზარი, საპარლამენტო უმრავლესობა, თბილისი ღამით, დაცვის მხარე, ნაცნობი მემაწვნე, მომხსენებელი, ჩაკეტილი ეზო, სასიამოვნო დაღლილობა, სასამართლო პროცესი.

20.3. აბზაცი. აბზაცის შედგენილობა და ტიპები

აბზაცი არის ის ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეული, რომლითაც ტექსტი იგება. საკუთრივ, აბზაცი წარმოადგენს საერთო თემით დაკავშირებულ წინადადებათა ერთობლიობას. აბზაცში გამოიყოფა სამი განსხვავებული ფუნქციის მქონე წინადადება:

- თემატური (მთავარი);
- ამხსნელ-დამზუსტებელი (მხარდამჭერი);
- შემაჯამებელი.

თემატური წინადადება აბზაცის მთავარ აზრს გამოხატავს. ის ძირითადი ბირთვია აბზაცში შემავალი დანარჩენი წინადადებებისათვის. თემატური წინადადება ორი ნაწილისაგან შედგება:

თემა – მთავარი საკითხი, რაზეც იქნება საუბარი აბზაცში;

განმავითარებელი აზრი (იგივეა, რაც მაკონტროლებელი იდეა) – ავტორის გარკვეული დამოკიდებულება, შეხედულება ან მოსაზრება თემაზე; მაგ.:

ჩემს პატარა დას (თემა) **საერთოდ არა აქვს დროის შეგრძნება** (განმავითარებელი აზრი);
სახელის გატეხას (თემა) **თავის გატეხა ჯობიაო** (განმავითარებელი აზრი);
ქრისტეშობა (თემა) **გამორჩეულია საეკლესიო დღესასწაულთა შორის** (განმავითარებელი აზრი);
საკუთარ აგარაკზე დასვენებას (თემა) **საზრუნავიც ახლავს** (განმავითარებელი აზრი)...

ამხსნელ-დამზუსტებელი წინადადების (წინადადებების) ფუნქციაა თემატურ წინადადებაში გამოხატული აზრის დასაბუთება სხვადასხვა მონაცემის საფუძველზე. მაგ., წარმოვადგენთ ამხსნელ-დამზუსტებელი წინადადებების შემცველ აბზაცს ზემოთ მოყვანილი პირველი თემატური წინადადების გათვალისწინებით:

ჩემს პატარა დას საერთოდ არა აქვს დროის შეგრძნება. დილით ვერავინ გაუბედავს ძილის მყუდროების დარღვევას; მერე საათობით აბაზანის პროცედურა გრძელდება; ტელეფონზე ჭორაობასაც ხომ, სულ ცოტა, ორი საათი უნდა!.. ბოლოს, რა თქმა უნდა, ყველაზე ყველაფერი დაგვიანებულია!..

მთავარ და ამხსნელ-დამზუსტებელ წინადადებებს შორის ადგილი თავისუფლად ნაწილდება; შესაძლებელია, მთავარი წინადადება წინ უსწრებდეს ან პირიქით – მოსდევდეს ამხსნელ-დამზუსტებელ წინადადებებს. აკადემიური ტექსტისათვის ორივე თანმიმდევრობა მისაღებია: პირველ შემთხვევაში მოქმედებს მსჯელობის განვითარების **დედუქციური** მეთოდი (< ლათ. deductio – ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის გამოყვანა), ხოლო მეორე

შემთხვევაში – **ინდუქციური** მეთოდი (< ლათ. inductio – კერძო ფაქტებიდან, ცალკეული დებულებებიდან ზოგადი დასკვნის გამოყვანა), რომელიც მკითხველში მოლოდინის განცდას აძლიერებს (თუ როგორ დასკვნაზე ორიენტირდება მსჯელობა). ზემოთ წარმოდგენილი მაგალითი დედუქციური მსჯელობის ნიმუშია.

შემაჯამებელი წინადადება, ფაქტობრივად, პერიფრაზირებული მთავარი წინადადებაა; ის განსხვავებული ენობრივი საშუალებებით იმეორებს მთავარი (თემატური) წინადადების შინაარსს და, ამავე დროს, მიუთითებს აბზაცის დასასრულზე. არის შემთხვევები, როცა შემაჯამებელი წინადადება მიანიშნებს **მომდევნო თემაზეც,** ე.ი. ხდება მონაცემთა ორი ჯგუფის ჯაჭვური გადაბმა შედარება-შეპირისპირების ან მიზეზ-შედეგობრივი კავშირის საფუძველზე. ასეთ ვითარებაში შემაჯამებელი წინადადება შეიძენს თემატური წინადადების ფუნქციას შემდგომი მსჯელობისათვის; მაგ., შდრ.:

(1) ...ასე დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს. ჩემმა დამ უნდა გააცნობიეროს, რომ დრო ძვირფასია.

(2) ...ასე დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს. ჩემმა დამ უნდა გააცნობიეროს, რომ დრო ძვირფასია და **ცოტა სხვებისგანაც ისწავლოს:** ნინო დილიდან საღამომდე მარტოა, მაგრამ თავის საქმეს მშვენივრად ართმევს თავს; არც იმდენი ჯკუის დამრიგებელი ჰყავს, რამდენიც – ჩემს დას...

თუ აბზაცი დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს, ის აუცილებლად შემაჯამებელი წინადადებით უნდა დასრულდეს; თუ ვრცელი ტექსტის ნაწილია, მაშინ არ არის სავალდებულო, ჰქონდეს შემაჯამებელი წინადადება. აქედან გამომდინარე, განიხილება აბზაცის ორგვარი სტრუქტურა:

- **სამკომპონენტიანი** – თემატური, ამხსნელ-დამზუსტებელი და შემაჯამებელი წინადადებებით;
- **ორკომპონენტიანი** – თემატური და ამხსნელ-დამზუსტებელი წინადადებებით.

ზოგადად, აბზაცი მინიატიურული ტექსტია, თავისი **შინაარსობრივი მთლიანობითა** და **ლოგიკური თანმიმდევრულობით;** მისი ყველა წინადადება:

ა) აზრობრივად მართულია თემატური წინადადებისგან – მთავარი თემის განვითარებას ან შეჯამებას ემსახურება;

ბ) ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და, შესაბამისად, გარკვეული მიმდევრობით არის დალაგებული.

აბზაცები ერთმანეთისაგან განსხვავდება, ძირითადად, დანიშნულებითა და ინფორმაციის ორგანიზებით.

დანიშნულების მიხედვით, გამოიყოფა დამოუკიდებელი და დამხმარე აბზაცები. **დამოუკიდებელი აბზაცი** ერთი დასრულებული მთლიანობაა; ის, ცალკე აღებული, ყოველთვის ინარჩუნებს შინაარსობრივ თავისთავადობას, რაც არა აქვს დამხმარე აბზაცს.

დამხმარე აბზაცის თავისებურება არის მთავარი წინადადების არქონა; მასში მოცემულია ან წინამავალი ტექსტის რომელიმე ფრაგმენტის შეჯამება, ან, შეჯამებასთან ერთად, არის მითითებაც მომდევნო აბზაცის თემაზე (თუ რაზე იქნება საუბარი / მსჯელობა). პირველ შემთხვევაში, დამხმარე აბზაცი იქნება ერთმიმართულებიანი, ხოლო მეორე შემთხვევაში – ორმიმართულებიანი. მაგ., შდრ.:

ერთმიმართულებიანი დამხმარე აბზაცი:

„ზემოაღნიშნული ფაქტები ფარდას ხდის ისტორიულ სინამდვილეს; მკითხველისთვის ცხადი ხდება, რა მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოს დამპყრობელთა პოლიტიკამ".

ორმიმართულებიანი დამხმარე აბზაცი:

„ზემოაღნიშნული ფაქტები ფარდას ხდის ისტორიულ სინამდვილეს; მკითხველისთვის ცხადი ხდება, რა მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოს დამპყრობელთა პოლიტიკამ. ამ ფონზე ასევე იკვეთება დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ზნეობრივი გმირობა, რომელიც მომავალი თაობებისათვის იქცა მისაბაძ მაგალითად.

ღირსეულ მამულიშვილთა შორისაა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი მარო მაყაშვილი; ის მოწყალების დად ჩაეწერა წითელ ჯვარში და 1921 წლის 19 თებერვალს დაიღუპა კოჯორთან საბჭოთა რუსეთის ჯარებთან ბრძოლაში...“

ინფორმაციის ორგანიზების მიხედვით, აბზაცი შეიძლება იყოს: ნარატიული (თხრობითი), აღწერითი და ახსნითი.

ნარატიულ აბზაცში დაცულია მოვლენებისა და ფაქტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა; ასეთია, მაგ., ბიოგრაფიული ჟანრის თხზულებები, როგორიცაა: ა. წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“, სერიული გამოცემა – „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“, ასევე – მოთხრობები, რომლებშიც გადმოცემულია: რაიმე ამბავი (მაგ., როგორ განვითარდა სიცოცხლე დედამიწაზე), წეს-ინსტრუქცია (როგორ დავიცვათ სამკურნალო რეჟიმი ან მოვამზადოთ კერძი) და სხვ.

აღწერით აბზაცში მთავარი თემაა ობიექტების აღწერა მათი სივრცეში განლაგება-მდებარეობის, ანუ, სიახლოვე-სიშორის მიხედვით; მაგ.: ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარის ან ბეთლემის მონასტრის აღწერა ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებიდან („კაცია, ადამიანი?!“, „განდეგილი“), რომელიმე ორგანიზაციის ან შემთხვევის ადგილის აღწერა და სხვ.

ახსნით აბზაცში ყურადღება გამახვილებულია ზოგადი ინფორმაციის შემცველ მთავარ დებულებასა და მის მხარდამჭერ სპეციფიკურ დეტალებზე (დაცულია მიმართულება: ზოგადიდან კერძოსკენ). ასეთია, უმეტესად, სამეცნიერო ხასიათის თხზულებები.

სავარჯიშოები

20.3.1. ტექსტში დარღვეულია აბზაცების ლოგიკური თანმიმდევრობა. ისე დანომრეთ აბზაცები, რომ გასწორდეს ხარვეზი.

ვანის უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენა

აღმოჩენილია ელინისტური ეპოქის (ძვ.წ. II-I სს.) იშვიათი მხატვრული ღირებულების სარიტუალო ბრინჯაოს ნივთები – სასაკმევლე და ჭრაქები, შემკული სხვადასხვა მითოლოგიური პერსონაჟებისა და ცხოველების გამოსახულებებით, რკინის ორი კანდელაბრი და ორასამდე რკინის შუბისპირი. ეს, სავარაუდოდ, ტაძრის გადამალული ინვენტარია. კიდევ ერთხელ დასტურდება მოსაზრება, რომლის თანახმად, ძველი ვანი სატაძრო ქალაქს წარმოადგენდა.

ვანის ახალი აღმოჩენა უნიკალურია არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ ისტორიული თვალსაზრისით, რადგან კიდევ ერთხელ დასტურდება უძველესი ქართული ცივილიზაციის ახლო კავშირი ევროპულ სამყაროსთან.

ვანის ნაქალაქარზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ უნიკალურ განძს მიაკვლია.

ვანში პროფესიონალ ხელოსანთა ძლიერი სკოლა არსებობდა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით უნიკალური კოლხური სტილის ოქრომჭედლობის უბრწყინვალეს ნიმუშებს ქმნიდა. ეროვნულ მუზეუმში დღეს ვანში აღმოჩენილი ათეულ ათასობით ოქროს ნივთია დაცული, რომელთა დიდი ნაწილი ამჟამად მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებში მოგზაურობს.

ახალი აღმოჩენის შედეგად კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ გამოიკვეთა კოლხური ცივილიზაციის უმაღლესი დონე და კოლხეთის ინტენსიური კავშირები ანტიკურ სამყაროსთან. კოლხეთის სამეფო ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებისათვის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენდა.

ვანის არქეოლოგიური გათხრების შედეგად ყველაზე უფრო თავალნათლივ ძველი კოლხეთის კულტურა წარმოჩინდა.[87]

20.3.2. დაყავით ტექსტი აბზაცებად; ხაზი გაუსვით თემატურ წინადადებებს.

დედამიწის მოსახლეობის ენათა რაოდენობა ზუსტად არ არის დადგენილი; ასახელებენ 4000-დან 7000-მდე ენას. ასეთ დიდ სხვაობას იწვევს არა ენობრივ ერთეულთა რიცხვის დაუდგენლობა, არამედ მათი სტატუსის სხვადასხვაგვარი განსაზღვრა (მოცემული ლინგვისტური მონაცემი ენაა, დიალექტი თუ კილოკავი?). რთულია უმწერლობო ენისა და დიალექტის გამიჯვნა. ვფიქრობთ, ლოგიკურია, რომ უმწერლობო ენად ჩაითვალოს იმ ხალხის ენა, ვისაც დედაენაზე სამწიგნობრო კულტურა არა აქვს, ხოლო დიალექტია ის მეტყველება, რომელიც ენათესავება საერთოეროვნულ ენას. ბუნებრივია, ადამიანს ოდითგანვე აინტერესებს თავისი დედაენის მონათესავე ენების დადგენა, ვინაიდან, როგორც წესი, ენათა ნათესაობით განისაზღვრება ეთნოსთა ნათესაობა. მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით ძირითადად დადგენილია მსგავსი სტრუქტურისა და ურთიერთმონათესავე ენათა ოჯახები. გავრცელებული შეხედულებით, მსოფლიოში გამოიყოფა: ინდოევროპულ, სემიტურ, ფინურ-უნგრულ, თურქულ, იბერიულ-კავკასიურ, სამოდიურ, მონგოლურ, ტუნგუსურ-მანჯურულ, ჩინურ-ტიბეტურ, დრავიდულ, მუნდა, მალაიურ-პოლინეზიურ, პალეოაზიურ, ავსტრალიის, პაპუა, აფრიკულ, პალეოაფრიკულ, ჩრდილოეთ ამერიკულ, ცენტრალურ ამერიკულ, სამხრეთ ამერიკულ ენათა ოჯახები; ცალკეა: იაპონური, კორეული, აინუური და ბასკური ენები (სპეციალისტთა ერთ ნაწილს ბასკური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შეაქვს).დიდი ხნის ისტორია აქვს ქართული ენის ძირეული კავშირების ძიებას წინა აზიის უძველეს ენებთან - ხურიტულთან, ხეთურთან, შუმერულთან. ფ.ბოპიდან მოყოლებული დღემდე არაერთხელ გამხდარა კვლევის საგანი ქართული ენისა და ინდოევროპული ენების ნათესაობის საკითხიც, მაგრამ ამ მიმართულებით დამაჯერებელი არგუმენტები ჯერჯერობით არ ჩანს. თ.გამყრელიძის, ვ.ივანოვისა და სხვათა მიხედვით, ინდოევროპულ-ქართველური ტიპოლოგიური შეხვედრები კვლევის საინტერესო სფეროა. გ.დეეტერსის აზრით, ქართველურში თანაარსებობს ინდოევროპული და იბერიულ-კავკასიური ფენები (ამ მოსაზრებას იზიარებს გ.მაჭავარიანიც). ყველაზე გავრცელებული თეორიით, ქართული ენა ენათესავება აფხაზურ-ჩერქეზულ, ჩეჩნურ-ინგუშურ (ნახურ) და დაღესტნურ ენებს. ამ თეორიის ფუძემდებლები არიან ივ. ჯავახიშვილი და არნ. ჩიქობავა. XX საუკუნის მეორე ნახევარში არნ. ჩიქობავამ ჩამოაყალიბა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სკოლა, რომლის წარმომადგენლები ათწლეულების მანძილზე წარმატებით იკვლევენ ქართველური და ჩრდილოკავკასიური ენების ნათესაობას; შედეგად გამოვლენილია მრავალი მსგავსი ენობრივი მოვლენა და ლექსიკური პარალელი; კერძოდ, ქართველურსა და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებს საერთო წარმო-მავლობისა აქვთ ძირითადი ლექსიკური ფონდის შემდეგი სიტყვები (ვასახელებთ ერთ ნაწილს): დედა, მამა, ცოლი, ობოლი... თვე, დღე, მზე, ყინავს, ცა, ზაფხული, სამხარი... ბარკალი, ბაყვი, გული, იდაყვი, მარჯვენა, მკერდი, მხარი, პირი, ტუჩუ, წამწამი, წვერი, ჭიპი, ტვინი, ფილტვი, ფხა, ხელი, ძვალი, მუხლი... გუგული, მგელი, ღორი, ყვავი, თაგვი, ციყვი, ქათამი, მატლი, მწერი, კალია, პეპელა, ჭიანჭველა, ტუ, ხვადი, ბერწი, ღუღუნი, ხვიხვინი... დიკა, მახა, სელი, ყანა, ვაშლი, მსხალი, ლეღვი, კაკალი, სოკო, ჭინჭარი, ანწლი, ტეძვი... ვინ, მან, შენი, თქუენი... სამი, ხუთი, ათი, ასი, ცალი, ტყუპი... დიდი, მრგვალი, რბილი, თეთრი, ყვითელი, თხელი, ძველი, მსხვილი... კედელი, ყველი, ძმარი, ცელი, ჯაჭვი... სუნი/სული, სელი, სერი (ღამე), ნემსი, სუელი/შრატი, სოფელი, ნესტო, ასული, უსუარი (ვაჟი), მზე, შეშა, ვაშლი, უშვერი, მშვენიერი, სთუელი, ძაღლი, ტეძვი, ტუალი, ტუ, ხუეზი, ცალი, ფარცხი, ფრჩხილი, ციცი(ნათელა), ჩხართვი, ბერწი, წყალი, ნერწყვი, მწიფე, წუეთი, წოდება, წვევა, წუერი... შეაზანზარებს, ეშინია, წოვს, წვავს, ჭამს, სვამს, სუსხავს, უსტვენს, ფუვდება, დგას, იცინის, ლოკავს, გორავს, ურტყამს, აბამს, ქსოვს, თესავს, ჭედს... სტვენა, წასმა, მოსვა, ქსოვა, ვსება... ენათმეცნიერული კვლევის ამ ეტაპზე მეტი არგუმენტები აქვს საერთოქართველური, საერთონახურ-დაღესტნური და საერთოაფხაზურ-ადიღეური ძირითადი ლექსიკური ფონდისა და ენობრივი სტრუქტურების სისტემური ერთგვაროვნების მტკიცებას. საყურადღებოა ისიც, რომ მუსიკათმცოდნეთა დასკვნით, ქართველთა, აბაზა-აფხაზთა, ვაინახთა (ჩეჩენ-ინგუშთა) და დაღესტნელთა მუსიკალური ენები მომდინარეობენ საერთოკავკასიურ-წინააზიური მუსიკალური ფუძეენიდან... (ფუტკარაძე, 2006, გვ. 21-220.

---

[87] მასალისათვის იხ.: http:/vani777.blogspot.com/p/blog-page_30.html მოძიებული: 2.09.2019.

20.3.3. შეადგინეთ თემატური წინადადებები შემდეგი თემებისათვის:

- ჩემი სალექციო განრიგი
- ქუჩის ოპოზიცია
- საინფორმაციო გადაცემები
- სამეგობრო სუფრა
- პროფესიად ქცეული მათხოვრობა
- შემოდგომა
- ქალაქგარეთ გასეირნება
- რ. ჭეიშვილის „ბიძია“
- კონკურსი „ნიჭიერი“ / „საქართველოს ვარსკვლავი“ / "X-ფაქტორი"
- მარტოობა
- ბიძის ინსტიტუტი
- ჩემი სასკოლო / საუნივერსიტეტო რეჟიმი
- მუდმივი საინფორმაციო ველი
- ქართული ტელესერიალები
- კომპიუტერული თამაშები
- ქუჩის სახელების გადარქმევა
- ერთიანი ეროვნული გამოცდები
- სტიქიით გამოწვეული შედეგები

- წარსულის გაკვეთილები
- ბველი ფოტოალბომი
- სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა
- უცხოეთის საუნივერსიტეტო დიპლომი
- პარლამენტართა უმრავლესობა
- მრავალპარტიული არჩევნები
- ისტორიის გაყალბება

20.3.4. წინა სავარჯიშოში შემუშავებული თემატური წინადადებებიდან აირჩიეთ ორი და შეადგინეთ ტექსტები დამოუკიდებელი და დამხმარე აბზაცების გამოყენებით; თითოეულ ტექსტში სიტყვათა რაოდენობა 100-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

20.4. ტრანზიტულ-მაკავშირებელი სიტყვები და წინადადებათა გადაბმის ხერხები აბზაცში / აბზაცებს შორის

წინადადებათა შორის აზრობრივი კავშირის დასამყარებლად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ტრანზიტულ-მაკავშირებელი სიტყვები. მათი მეშვეობით შეგვიძლია მივუთითოთ გარკვეული ნიუანსები, მაგ.:

- დროში მიმართება: მას შემდეგ, ადრე, მოგვიანებით, მაშინ, მაშინ როცა, ჯერ კიდევ მანამდეც, სანამ... მანამ...
- სივრცეში ურთიერთკავშირი: მის წინ, მისკენ, გვერდით, მოშორებით, სიახლოვეში, შორიახლო, ქვემოთ, ზევიდან...
- დამატებითი აზრი: პირველ რიგში, ჯერ ერთი... მეორეც, შემდეგ, მერე კიდევ, და კიდევ, ასევე, ბოლოს, საბოლოოდ...
- საილუსტრაციოდ გამოყენებული მასალა: მაგალითად, როგორც დაკვირვებიდან ჩანს, ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან აშკარაა / ნათელია...
- შეპირისპირება: მაგრამ, ხოლო...
- მონაცვლეობა: ან... ან კიდევ; ხან... ხან კიდევ...
- იგივეობა: ანუ, ესე იგი, მაშასადამე...
- სხვადასხვა ტიპის დაქვემდებარება: რომ; თუკი, ვინაიდან, რადგან... და სხვ.

წინადადებათა დაკავშირების რამდენიმე ხერხია ცნობილი, კერძოდ:

– **პარალელური გადაბმა** – გულისხმობს სხვადასხვა, მაგრამ თანაბარმნიშვნელობიანი წინადადებების კავშირს. გადაბმის ამ სახეობისათვის დამახასიათებელია სიტყვათა ერთნაირი რიგი, ასევე – ერთნაირი გრამატიკული ფორმები; ზოგჯერ ერთი წევრი აერთებს რამდენიმე წინადადებას; წინადადებების პარალელური გადაბმა ერთგვარი ხერხია მსმენელისა და მკითხველის ემოციაზე ზემოქმედებისათვის; გამოიყენება მწერლობაში, პუბლიცისტიკაში; მაგ.:

...მაინც კიდევ მარტოა, მაინც ვერავის მიჰკარებია ამ სავსე და ვრცელ სოფელში...“ (ნ. ბარათ.);
...ლხინში არავინ გაგიხსენებს, ჭირში არავინ მოგხედავს, ქუჩაში არავინ გაგიჩერდება...

– **ჯაჭვური გადაბმა;** ამ შემთხვევაში ყოველი მომდევნო წინადადება წინას ხსნის, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია სამეცნიერო ნაშრომებისათვის, მაგ.:

„...ანტისაუნივერსიტეტო კამპანიის ორგანიზატორებმა, თანახმად თავიანთი დევიზისა: „ისტორიას, მეცნიერულ ისტორიას ერის ისტორია არ აინტერესებს“ უარყვეს საქართველოს პოლიტიკური წარსულისა და ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრების ზუსტი ცოდნა, ან, უკეთეს შემთხვევაში, დააკნინეს მათი მნიშვნელობა. ამას ცხადყოფს „კლასთა ბრძოლის თეორიამომარჯვებულ“ საბჭოთა ისტორიკოსთაგან ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებისა და კვლევის მეთოდოლოგიის კრიტიკა. ამ შემთხვევაშიც, ისინი ხელმძღვანელობდნენ ნ. მარისეული „დაკვირვებით“, რომ ივ. ჯავახიშვილს ძიების „საკუთარი“, პოლიტიკური კურსისაგან განსხვავებული მეთოდი ჰქონდა...“

– **ნარევი გადაბმა;** ეს სახეობა აერთიანებს გადაბმის ორივე ზემოთ წარმოდგენილ ტიპს. ასეთი ხერხი შედარებით იშვიათია, რამდენადაც სტილურ არაერთგვაროვნებას იწვევს.

სავარჯიშოები

20.4.1. წაიკითხეთ ტექსტი; გამოყავით ტრაწზიტულ-მაკავშირებელი სიტყვები და სცადეთ შეანაცვლოთ სინონიმური ვარიანტებით.

ძველი წყაროების მიხედვით, ტაოს ნაწილი, ამჟამინდელი იუსუფელის რაიონი, ქართველ თავადთა – კავკასიძეთა – სამფლობელოდ ითვლებოდა. დღეს ისტორიული ტაო შედის თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ილში. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში თურქეთის ხელისუფლებამ სახელები გადაარქვა ქართულ სოფლებს. ქართული რუკებისგან განსხვავებით, ოფიციალურ თურქულ რუკებზე სრულიად გამქრალია სოფლების ტრადიციული სახელები – ძველი ქართული ტოპონიმია. საბედნიეროდ, ტაო-კლარჯეთის (ართვინის მხარის) ქართულენოვან და თურქულენოვან სოფელთა მცხოვრებნი სოფელთა სახელებად დღემდე სწორედ ტრადიციულ ქართულ ტოპონიმიას იყენებენ.

ისტორიულ ტაოში ქართველი მეცნიერები და სტუდენტები ბოლო დრომდე ვერ შედიოდნენ. ტაოს სოფლების დათვალიერება და აქ მეცნიერული ექსპედიციები ამჟამინდელი თურქეთის ხელისუფლების მიერ არ იზღუდება. ტაოს მკვიდრ ავტოქთონ ქართველთაგან ერთი ნაწილი ინარჩუნებს ენობრივ-ეთნიკურ მეობას, დიდ ნაწილს კი უკვე დავიწყებული აქვს ისტორიული დედაენა და ენობრივ-ეთნიკურადაც თურქად მიიჩნევს თავს. საკუთარი წარსულის შესახებ აკადემიური ინფორმაციების მოსმენის შემდეგ იცვლება ტაოელ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმა; ისინი ითხოვენ მეტ ინფორმაციას თავიანთი ისტორიის შესახებ /და მათ უფლება აქვთ, ჰქონდეთ ეს ინფორმაცია/.

ობიექტური ისტორიული ცნობები ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს; კერძოდ, ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს საკუთარი ეთნიკური, ენობრივი თუ ეროვნული წარსული. თანამედროვე დინამიურ სამყაროში, როგორც არასდროს, აუცილებელია, რომ ჩვენ, განსაკუთრებით, მეზობელი ქვეყნების ენათმეცნიერებმა, ისტორიკოსებმა, ეთნოლოგებმა... შევძლოთ ერთობლივი არაპოლიტიზებული კვლევების განხორციელება.

120.4.2. გამოყავით აბზაცების სტრუქტურული კომპონენტები; განსაზღვრეთ წინადადებათა გადაბმის სახე.

1930-1936 წლების ანტისაუნივერსიტეტო კამპანიის ორგანიზატორებმა გაცილებით ფართო მასშტაბით გააგრძელეს ქართველ პროფესორთა საჯაროდ დაგმობა. ამ თვალსაზრისით საინტერესო დოკუმენტური

(საარქივო) მასალაა თავმოყრილი მ. ვაჩნაძისა და ვ. გურულის წიგნში: „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე“. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტის ახალმა ხელმძღვანელებმა დაუნდობლად „ამხილეს“ ივ. ჯავახიშვილი და მისი „დაჯგუფება“ – ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალების ერთგული პროფესორები; მათი მტკიცებით, ქართველი მეცნიერები ახდენდნენ „ძველი საქართველოს იდეალიზაციას“.

ზემოხსენებული კამპანიის ორგანიზატორთა პოზიცია მკაფიოდ ჩამოაყალიბა საბჭოთა ისტორიკოსმა – ფილიპე მახარაძემ ჯერ კიდევ 1926 წელს გამოსულ თხზულებათა V ტომში; ფ. მახარაძის მტკიცებით, საქართველოს ისტორიაში აღსანუსხავი არაფერი იყო – „ბურჟუაზიულ და შოვინისტურ ისტორიკოსების“ მიერ დაწერილი ისტორია „არ წარმოადგენდა ნამდვილ ისტორიას“. ივ. ჯავახიშვილის – საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი მეცნიერის – საპირისპიროდ, ანტისაუნივერსიტეტო კამპანიის ორგანიზატორებმა წინა პლანზე წამოსწიეს ბოლშევიკურ პლატფორმაზე მდგარი ნ. მარი.

20.5. რჩევები აბზაცის სწორად აგებისათვის. აბზაცის გამოყოფის ტექნიკა

აბზაცის სწორად ორგანიზებისათვის, კერძოდ, მის სტრუქტურულ-სემანტიკურ კომპონენტებს შორის ლოგიკური კავშირის უზრუნველსაყოფად სასარგებლოა შემდეგი რჩევების გათვალისწინება:

1) მაქსიმალურად ამოვწუროთ მთავარი სათქმელი – მსჯელობის დროს არ გამოგვრჩეს ძირითადი და აუცილებელი დეტალები, რომ მომდევნო საკითხზე გადასულებს ისევ უკან არ მოგვიწიოს დაბრუნება; მაგ., დავაკვირდეთ ქვემოთ წარმოდგენილ ტექსტს:

„...თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამ გამოააშკარავა პროიმპერიული ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევდა ეროვნული მეცნიერების განვითარება, ამიტომ აქტიურად დაუპირისპირდნენ ქართული უნივერსიტეტის იდეას. ანტიქართული გამოსვლების მოთავედ წარმოჩნდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია. მისმა წარმომადგენელმა, წარმოშობით ქართველმა მეცნიერმა – ნიკო მარმა პოლიტიკური დაპირისპირების თემად აქცია წმინდა მეცნიერული საკითხები; ნ. მარმა თავისი ოფიციალური გამოსვლებით ნიადაგი მოამზადა ქართველ მეცნიერთა წინააღმდეგ მიმართული ბოლშევიკური რეპრესიებისათვის. ესენი იყო: **საკუთრივ, ქართული უნივერსიტეტის დაარსება; რუსეთის საცავებში არსებული ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების საქართველოსთვის გადმოცემა და ამერიკელ არქეოლოგთა ექსპედიცია მცხეთასა და ნაქალაქევში.** ანტისაუნივერსიტეტო კამპანიის ორგანიზატორებმა გამოიყენეს მისი ავტორიტეტი და თანდათან გააფართოვეს ბრძოლა ქართული მეცნიერების წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა, ჯერ – ივანე ჯავახიშვილის რექტორობიდან გადაყენება, ხოლო მოგვიანებით – უნივერსიტეტის დაშლა“.

აშკარაა, რომ გამუქებული წინადადება ამოვარდნილია კონტექსტიდან, მაგრამ მაგრამ თუ ერთი წინადადებით წინ გადავიტანთ, ბევრად მნიშვნელოვანი აღმოჩნდება საკითხის დეტალიზაციისათვის და, ამავე დროს – თხრობის ბუნებრიობის შესანარჩუნებლად. შდრ.:

„...თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამ გამოააშკარავა პროიმპერიული ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევდა ეროვნული მეცნიერების განვითარება, ამიტომ აქტიურად დაუპირისპირდნენ ქართული უნივერსიტეტის იდეას. ანტიქართული გამოსვლების მოთავედ წარმოჩნდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია. მისმა წარმომადგენელმა, წარმოშობით ქართველმა მეცნიერმა – ნიკო მარმა პოლიტიკური დაპირისპირების თემად აქცია წმინდა მეცნიერული საკითხები; ესენი იყო: **საკუთრივ, ქართული უნივერსიტეტის დაარსება; რუსეთის საცავებში არსებული ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების საქართველოსთვის გადმოცემა და ამერიკელ არქეოლოგთა ექსპედიცია მცხეთასა და ნაქალაქევში.** ნ. მარმა თავისი ოფიციალური გამოსვლებით ნიადაგი მოამზადა ქართველ მეცნიერთა წინააღმდეგ მიმართული ბოლშევიკური რეპრესიებისათვის. ანტისაუნივერსიტეტო კამპანიის ორგანიზატორებმა გამოიყენეს მისი ავტორიტეტი და თანდათან გააფართოვეს ბრძოლა ქართული მეცნიერების წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა, ჯერ – ივანე ჯავახიშვილის რექტორობიდან გადაყენება, ხოლო მოგვიანებით – უნივერსიტეტის დაშლა“.

2) მსჯელობიდან ამოვიღოთ სხვა თემაზე მაორიენტირებელი წინადადება, რომელიც მთავარი თემიდან ყურადღებას გადაგვატანინებს კონკრეტული საკითხისათვის არაარსებით დეტალებზე; მაგ., დავაკვირდეთ ქვემოთ წარმოდგენილ აბზაცს:

„1917 წლიდან განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, მეფის რუსეთის პოლიტიკური სისტემის ნგრევამ საქართველოში ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას. დაჩქარდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართული პროცესები. მოწინავე ქართველი საზოგადოების წინაშე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად დაისახა უმაღლესი ეროვნული სკოლის – უნივერსიტეტის – დაარსება. ეს საპასუხისმგებლო საქმე იტვირთა ივანე ჯავახიშვილმა – ქართული ისტორიოგრაფიული სკოლის ფუძემდებელმა, რომელიც სამართლიანად ითვლება XIX საუკუნის II ნახევრიდან განვითარებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და 60-იანელთა იდეური წინამძღოლის – ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად. **ყველასათვის ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძეს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ენის დემოკრატიზაციის საქმეში.** ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით წარმატებით განხორციელდა ქართველი საზოგადოების დიდი ხნის ჩანაფიქრი...“

უდავოდ, გამუქებული წინადადება ზედმეტია მოცემული კონტექსტისათვის, რადგან შეიცავს მთავარი თემისათვის ჭარბ ინფორმაციას.

არათანმიმდევრული მსჯელობის თვალსაჩინო მაგალითია ეპიზოდი ნ. მჭედლიძის ფილმ „იმერული ესკიზებიდან“: მეზობლის (პოლიკარპეს) გარდაცვალებით დამწუხრებული ბებია დატირების პროცესში შიგადაშიგ ეკითხება შვილიშვილს, თუ აჭამა ღორებს საჭმელი, საქათმის კარი შემთხვევით ღია ხომ არ დარჩა და სხვ.

ქართულ მწიგნობრულ პრაქტიკაში **აბზაცის ტექნიკური ნიშანი** არის 3-4 ინტერვალით შეწეული სტრიქონი. ამავე დროს, გაზიარებულია აბზაცის გამოყოფის ევროპული გამოცდილებაც, როცა აბზაცები ერთი და იმავე სიგრძის სტრიქონებისაგან შედგება და ერთმანეთისგან ერთი სტრიქონის ინტერვალით არის გამოყოფილი. ბუნებრივია, ორივე ფორმა მისაღებია, მთავარია, არ მოხდეს აღრევა და ერთი აკადემიური ტექსტის ფარგლებში აბზაცის გამოყოფის ერთი სისტემა იყოს ბოლომდე დაცული.

ტესტი N 20

აკადემიური ტექსტის სტრუქტურა

- აკადემიური ტექსტის ზოგადი დახასიათება
- აბზაცი – ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური ელემენტი
- აბზაცის შედგენილობა და ტიპები
- ტრანზიტულ-მაკავშირებელი სიტყვები და წინადადებათა გადაბმის ხერხები აბზაცში / აბზაცებს შორის
- რჩევები აბზაცის სწორად აგებისათვის. აბზაცის გამოყოფის ტექნიკა

1. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ტექსტი ლათინურიდან მომდინარე ტერმინია, ნიშნავს რისამე შინაარსს, რომელიც ჩამოყალიბებულია:

ა) წერილობითი ფორმით;

ბ) ზეპირი ფორმით.

2. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ტექსტის სპეციფიკას განაპირობებს:

ა) თემატიკა;

ბ) პრობლემის არსი;

გ) მკითხველის არაერთგვაროვნება.

3. რომელია სწორი?

შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილების ორგანიზება მეტყველებს ტექსტის

ა) სტრუქტურულ ერთიანობაზე;

ბ) გამართულ შინაარსზე.

4. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ტექსტის ძირითად ნაწილში

ა) წარმოჩენილია პრობლემური საკითხი და ავტორის თეზისი;

ბ) განვითარებულია მსჯელობა სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე.

5. რომელია სწორი პასუხი?

დასკვნაში ავტორი

ა) უბრუნდება შესავალში წამოჭრილ პრობლემურ საკითხს;

ბ) უბრუნდება შესავალში წამოჭრილ პრობლემურ საკითხს და აჯამებს კვლევის შედეგებს.

6. აირჩიეთ სწორი პასუხი.

აბზაცი წარმოადგენს:

ა) საერთო თემით დაკავშირებულ წინადადებათა ერთობლიობას;

ბ) არაერთგვაროვანი თემებით დაკავშირებულ წინადადებათა ერთობლიობას.

7. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

თავისუფალი წერა ნიშნავს:

ა) იმ იდეების თავმოყრას, რომლებიც გარკვეულ სიტყვასთან / ფრაზასთან დაკავშირებით გვახსენდება;

ბ) წერას შესვენების გარეშე, როცა შეუჩერებლად მივყვებით იდეათა ლოგიკურ განვითარებას.

8. რომელია სწორი პასუხი?

ლუპირება

ა) იგივე კითხვების დასმის ტექნიკაა;

ბ) აზროვნების სტიმულირებისათვის აპრობირებული ერთ-ერთი მეთოდია.

9. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

კლასტერი არის ასოციაციური კავშირების რუკა, რომელიც გვიბიძგებს:

ა) იდეების სწორხაზოვანი მიმდევრობისაკენ;

ბ) შემოქმედებითი აზროვნებისაკენ.

10. აირჩიეთ სწორი პასუხი.

თემატური წინადადება შედგება:

ა) ორი ნაწილისაგან: **თემა და განმავითარებელი აზრი;**

ბ) სამი ნაწილისაგან: **თემა, განმავითარებელი აზრი და დასკვნითი ნაწილი.**

11. რომელია მცდარი?

ამხსნელ-დამზუსტებელი წინადადებების ფუნქციაა:

ა) თემატურ წინადადებაში გამოხატული აზრის დასაბუთება სხვადასხვა მონაცემის საფუძველზე;

ბ) თემის წარდგენა.

12. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

კერძო ფაქტებიდან, ცალკეული დებულებებიდან ზოგადი დასკვნის გამოყვანას ითვალისწინებს:

ა) ინდუქციური მეთოდი;

ბ) დედუქციური მეთოდი.

13. რომელია სწორი?

შემაჯამებელი წინადადება, ფაქტობრივად, არის:

ა) პერიფრაზირებული მთავარი წინადადება;

ბ) პერიფრაზირებული ამხსნელ-დამზუსტებელი წინადადება.

14. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

დანიშნულების მიხედვით, გამოიყოფა:

ა) დამოუკიდებელი და დამხმარე აბზაცები;

ბ) დამოუკიდებელი, დამხმარე და განკერძოებული აბზაცები.

15. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ერთმიმართულებიანი დამხმარე აბზაცი

ა) აჯამებს წინამავალ ტექსტს;

ბ) აჯამებს წინამავალ ტექსტს და მიანიშნებს, რაზე იქნება საუბარი მომდევნო აბზაცში.

16. აირჩიეთ სწორი პასუხი.

ნარატიული აბზაცის მთავარი თემაა:

ა) ობიექტების აღწერა მათი სივრცეში განლაგება-მდებარეობის, ანუ, სიახლოვე-სიშორის მიხედვით;

ბ) მოვლენებისა და ფაქტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემა.

17. რომელია სწორი?

ახსნითი აბზაცები დამახასიათებელია უმეტესად:

ა) სამეცნიერო თხზულებებისათვის;

ბ) მხატვრული ნაწარმოებებისათვის.

18. რომელია მცდარი?

წინადადებათა შორის აზრობრივი კავშირის დასამყარებლად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის:

ა) ტრანზიტულ-მაკავშირებელი სიტყვები;

ბ) კომპოზიტები.

19. რომელია სწორი?

წინადადებათა შორის დროში მიმართების დასამყარებლად გამოიყენება ისეთი სიტყვები, როგორიცაა:

ა) მის წინ, მისკენ, გვერდით, მოშორებით;

ბ) მას შემდეგ, ადრე, მოგვიანებით, მაშინ;

20. აირჩიეთ სწორი პასუხი.

სხვადასხვა ტიპის დაქვემდებარებისათვის გამოიყენება:

ა) რომ; თუკი, ვინაიდან, რადგან;

ბ) ან... ან კიდევ; ხან... ხან კიდევ.

21. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

წინადადებების პარალელური გადაბმა გულისხმობს:

ა) ისეთ შემთხვევებს, როცა ყოველი მომდევნო წინადადება წინას ხსნის;

ბ) თანაბარმნიშვნელობიანი წინადადებების კავშირს.

22. რომელია სწორი?

აბზაცის სწორად ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანია:

ა) სხვა თემებზე მაორიენტირებელი წინადადებებისაგან განტვირთვა;

ბ) სხვა საინტერესო თემებით შევსება.

23. რომელია მცდარი?

3-4 ინტერვალით შეწეული სტრიქონი არის:

ა) ქართულ მწიგნობრულ პრაქტიკაში მიღებული აბზაცის ტექნიკური ნიშანი;

ბ) ევროპულ მწიგნობრულ პრაქტიკაში მიღებული აბზაცის ტექნიკური ნიშანი.

21. არგუმენტირებული ესე. თვალსაზრისის დასაბუთების კულტურა

21.1. ესეს ზოგადი ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება. არგუმენტირების სისტემა

ესე აკადემიური ნაშრომის ფართოდ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს. როგორც ლიტერატურულ ჟანრს, XVI საუკუნის ცნობილმა ფრანგმა მწერალმა, საზოგადო მოღვაწემ და მოაზროვნემ – მიშელ მონტენმა დაუდო სათავე, თუმცა მას შემდეგ ესეისტური ჟანრი დიდად განვითარდა და თანდათან თემატურ-სტილისტური მრავალფეროვნება შეიძინა. ტერმინი მომდინარეობს ფრანგული სიტყვისაგან (< [essai] – „ცდა“, „ნარკვევი“] და აღნიშნავს თავისუფალი ფორმის ნარკვევს, რომელშიც განხილულია რაიმე პრობლემური საკითხი.

ესეს სპეციფიკურობას განსაზღვრავს **ავტორის ინდივიდუალური ხედვა** – პიროვნული დამოკიდებულება სამყაროსთან და შემოქმედებითი თავისუფლება. ესეს ტიპის ტექსტებს ახასიათებს **საუბრის ფორმა, ზოგჯერ – პოლემიკური ხასიათის თხრობა.** ქართველ კლასიკოს მწერალთა შორის ასეთი ნაშრომები აქვთ შექმნილი: ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, გ. ლეონიძეს, კ. გამსახურდიას და სხვ.

თემატიკის მიხედვით, ესე შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: ისტორიული, ლიტერატურული, პუბლიცისტური, ბიოგრაფიული, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და სხვ.

დანიშნულების მიხედვით, ცნობილია ორი ტიპის ესე: ინფორმაციული და არგუმენტირებული.

ინფორმაციული ესეს ფუნქციაა რაიმე მოვლენის ან ფაქტის აღწერა – საკითხის შესახებ ინფორმაციის – **ზოგადი ცოდნის მიცემა** მკითხველისათვის. სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ ინფორმაციული ესეს სახეობებს, რომელთა საორიენტაციო ველიც არაერთგვაროვანია; კერძოდ, თითოეულ მათგანში ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა ნიუანსზე (ასევე შესაძლებელია, რომ ერთი ესეს ფარგლებში, მეტნაკლებად, ყველა ნიუანსი მოიაზრებოდეს), მაგ.:

– **აღწერითი ესე**: აღწერილია რაიმე ფაქტი ან მოვლენა;

– **განმარტებითი ესე**: წარმოჩენილია რაიმე მოვლენის გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები სხვა ფაქტებისა თუ მოსაზრებების მაგალითზე;

– **ილუსტრირებული ესე**; მიმოხილულია საკითხთან დაკავშირებული ყველა მოსაზრება, ავტორის პოზიციის გვერდის ავლით;

– **ანალიტიკური ესე**; მოცემულია რაიმე საკითხის მეცნიერული ანალიზი.

არგუმენტირებულ ესეში, ინფორმაციული ესესაგან განსხვავებით, ავტორი მსჯელობისა და ლოგიკური დასაბუთების გზით აყალიბებს **საკუთარ პოზიციას** კონკრეტულ საკითხზე, თავისი თვალთახედვით აფასებს ფაქტებსა და მოვლენებს, ცდილობს დაადგინოს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, მეტი დამაჯერებლობა შესძინოს მიღებულ დასკვნებს და სხვ. არგუმენტირებული ესეს სახეობებად გამოყოფილია:

– **განსაზღვრებითი**, იგივე, **სამეცნიერო ესე**, რომელშიც მოცემულია საკითხზე არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა ანალიზი და შეფასება;

– **ევოლუციური ესე**; მსჯელობა ვითარდება მარტივიდან რთულისკენ, ცნობილი ფაქტებიდან – გარკვეული კანონზომიერების დადგენისკენ;

– **ინტერპრეტაციული ესე**; ავტორი წარმოადგენს თავის ინდივიდუალურ ხედვას რომელიმე მწერლის შემოქმედებაზე.

არგუმენტირებული ესეს სპეციფიკური ნიშანია **არგუმენტირება / არგუმენტაცია**; ეს არის მთელი სისტემა, რომელიც აგებულია არგუმენტის, ქვეარგუმენტისა და კონტრარგუმენტის ურთიერთობაზე.

არგუმენტი [< ლათ. **argumentum** – მტკიცება], როგორც ზემოთ მივუთითეთ, ლოგიკიდან შემოტანილი ტერმინია და აღნიშნავს საბუთს, რომელიც მოჰყავთ რისამე დასამტკიცებლად (ჭაბაშვილი, 1989, გვ. 50). არგუმენტირების თანამედროვე თეორია ბერძნულ-რომაული ტრადიციებიდან იღებს სათავეს. ბერძენი და რომაელი მოპაექრეებისათვის არგუმენტი იყო ჭეშმარიტების დადგენის გზა („კამათში იბადება ჭეშმარიტება").

ქვეარგუმენტი უშუალო დაქვემდებარებაშია არგუმენტთან – ხსნის და აზუსტებს, ან მის დამამტკიცებელ ინფორმაციას (მასალას) წარმოადგენს, როგორიც არის, მაგ.: ფაქტები, ციტირება, ექსპერტთა შეფასებები, სტატისტიკური მონაცემები და სხვ. აბზაცის სტრუქტურის მიხედვით (იხ. ზემოთ), ეს იგივეა, რაც თემატური და მისი მხარდამჭერი წინადადებების ურთიერთობა.

კონტრარგუმენტი არგუმენტის საპირისპირო საბუთია, რომლის არსებობაც ავტორს ბიძგს აძლევს, იყოს მობილიზებული, თავი შეიკავოს ნაჩქარევი გადაწყვეტილებისაგან, ობიქტურად შეაფასოს ფაქტი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, არგუმენტაცია გვეხმარება: იდეების ლოგიკურად განვითარებასა და ორგანიზებაში; მსჯელობის თანმიმდევრულობის დაცვასა და აზრის ნათლად გამოხატვაში, ასევე – განსხვავებული შეხედულებების აკადემიურად შეფასებაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, არგუმენტაცია საუკეთესო საშუალებაა, უკეთ შევისწავლოთ როგორც საკუთარი, ისე სხვისი იდეები, შევძლოთ მათი შედარებითი ანალიზი. არგუმენტირების უნარის გამომუშავება ავტორს დაბრკოლებას უხსნის სხვადასხვა ტიპის ნაშრომების შექნაში.

21.2. ესეს სტრუქტურა. შესავალი ნაწილის სპეციფიკა

ნებისმიერი ტიპის ესე შედგება სამი ნაწილისაგან: შესავალი; ძირითადი ნაწილი და დასკვნა. თითოეულ ამ ნაწილს თავისი მკაცრად განსაზღვრული ფუნქციები აქვს.

ესეს შესავალი იწერება შედარებით **სადა სტილით**, რომ მკითხველი განეწყოს ტექსტის ძირითად ნაწილზე გადასასვლელად. ძნელად აღსაქმელმა შესავალმა, შესაძლოა, მას ტექსტის წაკითხვის ინტერესი გაუნელოს. ეს რომ არ მოხდეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თავიდან ავირიდოთ:

– **შაბლონური, პათეტიკური ფრაზები**; ამ მხრივ, უხვ მასალას იძლევა აბიტურიენტთა ნაშრომები, მაგ.:

„ბარათაშვილმა **კუდიან კომეტასავით გაიელვა** ქართული პოეზიის ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე";

„გალაკტიონი... **ვინ არის ეს ბიჭია?!..**"

„ვაჟა-ფშაველამ **ხარირემივით შემოაბღავლა** სამწერლო ასპარეზზე";

„ვეფხისტყაოსანი" – **ბალიშქვეშ ამოსადები წიგნი**";

„**ჩვენი გენიალური შოთა**... ეს სახელი რომ მახსენდება..."

აღნიშნული თვალსაზრისით, არანაკლებ „შთამბეჭდავია" საბჭოთა ენობრივი მემკვიდრეობაც: „**დიდმა ბელადმა** თავის **უშესანიშნავეს ნაშრომში ბრწყინვალედ გააშუქა**..." და სხვ.;

– **ტერმინების სიჭარბე**; შესავალში დასაშვებია სპეციალური ლექსიკის მხოლოდ ზომიერი რაოდენობით გამოყენება.

დადგენილი ნორმების თანახმად, ესეს შესავალი სამ მთავარ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს:

ა) „კაუჭის“ ფუნქცია – შესავალმა უნდა დააინტერესოს, მიიზიდოს მკითხველი, რომ ტექსტის ბოლომდე გაცნობის სურვილი გაუღვივდეს. ეფექტური დასაწყისისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ:

– ცნობილი გამონათქვამი;
– ციტირება;
– შეკითხვა:
– ფაქტები და სტატისტიკა;
– რაიმე ცნობილი ისტორია ან პირადი გამოცდილება და სხვ.;

ბ) ესეს შექმნის მიზანი; ავტორმა შესავალშივე უნდა განუმარტოს მკითხველს, რა არის პრობლემური საკითხი, რამ განაპირობა მისი აქტუალურობა და რის გარკვევას ცდილობს მასზე მსჯელობით;

გ) თეზისის წარდგენა; ავტორი, თეზისის სახით, მკითხველს აცნობს საკუთარ პოზიციას სამსჯელო საკითხზე. **თეზისი** [< ბერძ. thesis], როგორც ზემოთ უკვე განვმარტეთ, აღნიშნავს დებულებას, რომლის ჭეშმარიტებაც უნდა დამტკიცდეს. როგორც წესი, თეზისი ამთავრებს ესეს შესავალ ნაწილს; ის წარმოადგენს ესეს მთავარ იდეას და, ფაქტობრივად, წინასწარ მოკლე შეჯამებასაც (სათქმელის თავი და ბოლო აზრობრივად ერთი და იგივე უნდა იყოს). ჩვეულებრივ, თეზისი ერთი ან ორი წინადადებისაგან შედგება. აქვე, ავტორი ინფორმაციას აწვდის მკითხველს, თუ რის საფუძველზე აპირებს თავისი თეზისის დასაბუთებას.

სავარჯიშოები

21.2.1. დაწერეთ შესავალი ნაწილი მოცემული ნაწყვეტისათვის; ამოწერეთ და განმარტეთ ტერმინები.

ნ. ფუტკარაძე, ინკლუზიური სწავლება და ჩვენი შვილები

...აუტისტ ბავშვთა სოციალიზაციის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი ჟ. ა. ბროჰარტი სტიგმატიზაციაზე საუბრობს: "როგორც წესი, როცა გაიგებენ, რომ კონკრეტული პირი აუტისტია, შეიცხადებენ: "ოჰ", "საწყალი!", "უბედური!" და ა.შ. თავის მხრივ, აუტისტებიც გრძნობენ და შიშობენ, მათი მდგომარეობა ნეგატიურად არ იქნეს აღქმულ-შეფასებული: "ყოველთვის მოიძებნება ირგვლივ ვიღაც, ვისაც დისკომფორტს უქმნის აუტიზმი, მაგრამ ჩემი პიროვნების საწინააღმდეგო არაფერი აქვს. ეს ნიშნავს იმას, რომ აწუხებს მისგან განსხვავებული ჩემი არსების გარკვეული ნაწილი; არ განიხილავს მას ჩემთან ერთად. მსგავსი დამოკიდებულების შედეგად თავს მარტო და გაუცხოებულად ვგრძნობ" (დ. ა.).

იტყვით, ალბათ, რომ საზოგადოების ინფორმირება სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს. ასეც არის, მაგრამ სანამ მსგავსი პროგრამები ამოქმედდება, იქნებ თავად გადავცეთ ერთმანეთს თუნდაც ასე მომრავლებული სოციალური საინფორმაციო საშუალებებით, რომ ინკლუზიური სწავლება არ უშლის ხელს ჩვენი შვილების განვითარებას, პირიქით, ისინი ისწავლიან ზრუნვას, მხარში დგომას, თანაგანცდას. კეთილგანწყობილ გარემოში სსსმ პირები ხომ ძალიან მიმნდობები, ალალები, თბილები არიან! კარგი იქნება, თუ ჯანმრთელი მოსწავლეებისა და მშობლებისგან შედგება დამხმარე ჯგუფები სსსმ პირთა დასახმარებლად, როგორც ეს იტალიაშია დანერგილი. არ უნდა გამოვხატოთ განსაკუთრებული სიბრალული ასეთი ბავშვისადმი, არ უნდა მივმალოთ ისინი სპეციალური განათლების დაწესებულებებში – ეს არა მხოლოდ იზოლაციაში მოაქცევს, არამედ ღირსებასაც შეულახავს მათ.[88]

[88] http://mastsavlebeli.ge/?p=2426 მოძიებული: 2.09.2019

21.2.2. წაიკითხეთ ნაწყვეტები და მონიშნეთ თეზისად გამოსადეგი მონაკვეთები. იპოვეთ და გაასწორეთ ენობრივი შეცდომები.

ა)

....მე მახსენდებიან ქალბატონები, რომლებიც ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიზე ისხდნენ და ყიდდნენ ქაფშიას. ხელზე ჩამოცმული ჰქონდათ ცელოფნის პარკები და როდესაც მყიდველი მოდიოდა, ამ პარკებით მეორე პარკში ყრიდნენ თევზს. აკეთებდნენ ამას ძალიან სწრაფად და ოსტატურად, რადგან მყიდველი თითქოს ჩანდა. ხოლო თავისუფალ დროს კითხულობდნენ გაზეთში დაბეჭდილ რაღაც დიალოგს დიეგოსა და მარიას შორის. თურმე არსებობს ასეთი გაზეთები, სადაც წინა დღით ნაჩვენები ლათინურ ამერიკული სერიალები იბეჭდება. მოკლედ, ამ ქალებს კასრზე ედოთ გაზეთი და ქაფშიას გაყიდვისგან თავისუფალ დროს, ხან ერთი კითხულობდა მას, ხან მეორე. რა თქმა უნდა, ასეთი მკითხველისთვის ჩემი ნაწარმოებები არ არის. ასეთი ადამიანები არიან საქართველოშიც და არიან, დავუშვათ, ბრაზილიაშიც, მაგრამ იგივე საქართველოშიც და ბრაზილიაშიც არიან სერიოზული მკითხველები და ვფიქრობ რომ ჩემი ნაწარმოებები სწორედ სერიოზული მკითხველისთვისაა განკუთვნილი და არა ქაფშიას გამყიდველი ქალებისთვის".[89]

ბ)

მონყალების გაღება საყოველთაოდ აღიარებულია კეთილშობილურ ქმედებად, თქვენი შრომით ნაშოვნი ფულის ქველმოქმედებაში გაშვება ნამდვილად იმსახურებს აპლოდისმენტებს. თუმცა როდესაც კენტის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ქველმოქმედების მოტივის დადგენა გადაწყვიტეს, შედეგი გასაოცარი აღმოჩნდა. ადამიანთა უმეტესობა ქველმოქმედების სახეს ირჩევს გემოვნებისა და შეხედულებების მიხედვით და არა დასახმარებელთა მდგომარეობის შესაბამისად. მაგალითად, ერთი პიროვნება მუდმივად ეხმარებოდა ძაღლების თავშესაფარს, რადგან ვერ იტანდა კატებს. ბევრი კი გადაუდებელ საქმეში დახმარებაზე ამბობდა უარს, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა მათ პირად შეხედულებებს, რომლებიც ხშირად ინფორმაციის ნაკლებობის შედეგი იყო. კერძოდ, კვლევის ერთმა მონაწილემ უარი თქვა შრი-ლანკაში ცუნამის მსხვერპლთა დახმარებაზე, რადგან მისი აზრით, ფული მუგაბესა და მის მსგავს ხალხს ჩაუვარდებოდა ხელში[90].

21.2.3. შეიმუშავეთ თეზისები ტექსტებისათვის.

ა)

გ. ალხაზიშვილი, გადაუდებელი საქმე

...[განმარტებითი ლექსიკონის] გაშლა და დახურვა ძალიან ხშირად მიწევს და იქ ჩაბეჭდილ საჭირო სიტყვებს რომ ვეძებ და ზოგჯერ ვპოულობ კიდეც, ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თითქოს სრულიად ახალი სამყარო აღმოვაჩინე, ჩემამდე რომ არსებობდა და ჩემი სტუმრობა რომ გაუხარდა...

სახელმწიფო თავის პრიორიტეტად უნდა თვლიდეს საცნობარო ლიტერატურის შედგენა-გამოცემის წახალისებას და ხელშეწყობას, სხვადასხვა დარგებში ტერმინოლოგიის შექმნასა და ქართული ვერსიების დამკვიდრებას, რათა სახელმწიფო ენა უფრო გამდიდრდეს და შენარჩუნდეს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესში. თუ ამ პრობლემის მოსაგვარებლად დროზე არ ვიზრუნეთ, უახლოეს მომავალში, თუ უკვე ამჟამად არა, შეუძლებელი იქნება უმაღლეს სასწავლებლებში და ასევე სკოლის მაღალ კლასებშიც არაერთი საგნის შესწავლა, შესაბამისი ტერმინოლოგიის უქონლობის გამო.[91]

ბ)

გ. ალხაზიშვილი, ჰერმეტიზმი და სწორად წაკითხვის ალბათობა

...ჰერმეტული პოეზია დამკვიდრდა იტალიაში ორმოციან წლებში. ასე წერდა ეუჯენიო მონტალე ფაშისტების ბატონობისას და მისი თანამოძმენიც იგავურად ცდილობდნენ ეთქვათ ის, რაც შეუძლებელი

---

[89] http://24blog.ge/weekend/story/12340-saqartveloshi-mtserlebs-raghats-skhva-sashualebebit-itsnoben-da-ara-tavianti-mtserlobit მოძიებული: 2.09.2019

[90] http://message.ge/2019/06/06/მეცნიერული-კვლევები-და-ფ/ მოძიებული: 2.09.2019

[91] http://24blog.ge/weekend/story/21004-chanatserebi მოძიებული: 2.09.2019

იყო არსებული რეჟიმის პირობებში. ზოგიერთი ტექსტის გაშიფრვა მოხერხდა მომავალში, რეჟიმის შეცვლის შემდეგ, ავტორთა დახმარებით.

მსგავსი იგავურობა, ჰერმეტიზმი აუცილებლად იჩენდა თავს ტოტალიტალური რეჟიმის ქვეყნებში და ასე იყო საბჭოეთშიც.

დახშულობის პოეტიკა, გაუმხელელზე სიმბოლური მინიშნებები – თავისთავში ატარებს რაღაც საიდუმლოს, თუნდაც მცირედს, რომლის პირდაპირ თქმასაც ერიდება ავტორი ეთიკური ან პოლიტიკური ცენზურის ან იქნებ თვითცენზურის გამო.

ზოგჯერ საინტერესოა ერთ ლექსზე ასეთი განსჯა, მეტადრე მაშინ, ავტორს თუ საერთოდ არ უფიქრია იმაზე, რაზეც მიმომხილველი საუბრობს. ასეთი რამ მეც მომსვლია, როგორც ავტორს და შესაძლოა ისევე ვცდები, როგორც ჩემი კრიტიკოსები ცდებოდნენ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ლიტერატურა გამუდმებული ინტერპრეტაციაა და ადვილი დასაშვებია, რომ ავტორს სრული წარმოდგენა არც კი ჰქონდეს, თვითონ რა დაწერა, რისი დაწერა სურდა, ან რა გამოუვიდა.[92]

21.3. ესეს ძირითადი ნაწილი: ავტორის შეხედულების დასაბუთება; საწინააღმდეგო პოზიციების გაბათილება

ესეს ძირითად ნაწილში წარმოდგენილია თეზისზე ორიენტირებული მსჯელობა – დასაბუთება / არგუმენტაცია. ისმის კითხვა: **რატომ უნდა დავიწყოთ მსჯელობა თეზისით?** პასუხი ნათელია: იმიტომ, რომ თეზისის თავიდანვე წარდგენა, ერთი მხრივ, ავტორს ეხმარება მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრობის შენარჩუნებაში (მუშაობის პროცესში ზოგჯერ ავტორსაც სჭირდება ხოლმე, საკუთარ თავს შეახსენოს: „ხო, რას ვამბობდი?..“), ხოლო მეორე მხრივ – მკითხველს უადვილებს ავტორის შეხედულებათა სისტემაში გარკვევას.

ესეს ძირითად ნაწილში ავტორი იყენებს არგუმენტაციის სისტემას, რომელსაც ორმაგი დატვირთვა აქვს:

ა) ავტორის შეხედულების დასაბუთება;

ბ) საწინააღმდეგო პოზიციის / პოზიციების გაბათილება.

ავტორის შეხედულების დასაბუთება. ავტორის პოზიციის სიმყარე დიდად არის დამოკიდებული, არგუმენტი რამდენად **მკაფიო, კონკრეტული, ნათელი** და **დამაჯერებელია.** გავრცელებული აზრის თანახმად, არგუმენტად არ გამოდგება მონაცემი, თუ:

– მის მართებულობაში ჩვენ თავად ეჭვი გვეპარება (ბოლომდე არ ვართ დარწმუნებული);

– ობიექტური სინამდვილეა ან გემოვნების საკითხი; მაგ., ვერ ვიკამათებთ იმაზე, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდის ან ნინოს ბებიას ბრაზილიური სერიალები მოსწონს (გემოვნებაზე არ დაობენ) და სხვ.

სპეციალისტები მიუთითებენ, რომ თეზისის დასასაბუთებლად საკმარისია 3-4 არგუმენტი; ამაზე ნაკლები არადამაჯერებელია, ხოლო მეტი, გარდა იმისა, რომ ავტორის ფანტაზია იწურება, მკითხველისთვისაც დამღლელია.

ბუნებრივია, ყველა არგუმენტი თანაბარი დატვირთვის ვერ იქნება. სამეცნიერო პრაქტიკაში მიღებულია **ძლიერი** და **ნაკლებად ძლიერი არგუმენტების** შედარებით ეფექტური, თუმცა არაერთადერთი თანმიმდევრობა:

- სიძლიერით მეორე ადგილზე მდგომი არგუმენტი;
- ნაკლებად ძლიერი არგუმენტი;
- ნაკლებად ძლიერი არგუმენტი;
- ყველაზე ძლიერი არგუმენტი.

---

[92] http://www.lib.ac.ge/index.php?option=com_djcatalog2&view=item&id=6956&cid=300&Itemid=487&prod=1#.XW1G6SgzbDc მოძიებული: 2.09.2019

შესაძლებელია, ასევე, დავიცვათ თანმიმდევრობა: ყველაზე ძლიერიდან – ნაკლებად ძლიერისკენ ან პირიქით (არჩევანი ინდივიდუალურია და ავტორის „ათვლის სისტემიდან" გამომდინარეობს).

არგუმენტების მოფიქრებისას რეკომენდებულია **მომხრე-მოწინააღმდეგის**, ანუ **არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების** სქემის შედგენა. ამ სქემის საფუძველზე შესაძლებელია, მოვიძიოთ ორივე პოზიციის მხარდამჭერი არგუმენტები, დავალაგოთ ისინი სიძლიერის მიხედვით და საბოლოოდ გადავწყვიტოთ, რომელი პოზიციისკენ ვიხრებით და რატომ; ასეთი მეთოდი დაგვეხმარება:

- ობიექტურად შევაფასოთ ჩვენი თეზისი, თავადვე გავერკვეთ მის ძლიერ და სუსტ მხარეებში;
- განვსაზღვროთ ოპონენტთა სავარაუდო არგუმენტებიც და მზად ვიყოთ მათზე პასუხის გასაცემად.

ამგვარად, აღნიშნული სქემა ავტორისათვის ერთგვარ „დამცავ" საშუალებას წარმოადგენს (ანალოგიურია, მაგ., აცრა სამკურნალო პრაქტიკაში) მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასარიდებლად; არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების თანაფარდობისათვის მნიშვნელოვანია, გამოვიყენოთ მათი შეპირისპირების მექანიზმი ისე, რომ არ დაირღვეს ერთხელ არჩეული მიმდევრობა, მაგ.:

„მეგობრებთან გართობა სასიამოვნოა, **მაგრამ** საქმეც თავისას ითხოვს";

„კომპიუტერი ინფორმაციის საუკეთესო საშუალებაა, **თუმცა** მასთან მუდმივად მყოფი, შესაძლებელია, რეალობას მოსწყდეს";

„დასვენება კარგია, **მაგრამ არა** – სამუშაო დროის ხარჯზე" და სხვ.

საწინააღმდეგო პოზიციის / პოზიციების გაბათილება. არგუმენტირებული ესეს ავტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ყოველთვის იქნება საპირისპირო აზრი და მისი წაყრუება არ შეიძლება (სირაქლემას სინდრომი, ანუ „არ ვიცი, არ დამინახავს, არ გამიგონია"); აუდიტორიაზე უარყოფითად მოქმედებს მხოლოდ საკუთარი იდეებითა და მოსაზრებებით „აღჭურვილი" მომხსენებელი, რომელიც არ ფლობს განსხვავებულ პოზიციას ან შეგნებულად არიდებს თავს; ამით საეჭვო ხდება მისი, როგორც სპეციალისტის კომპეტენტურობა და პოზიციის სიმყარე – იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ავტორს არ შესწევს უნარი, „შეეჭიდოს" ოპონენტებს.

არგუმენტირების მნიშვნელოვანი მხარეა **კონტრარგუმენტის განხილვა და უკუგდება.** ავტორმა ოპონენტების ყველაზე ძლიერი არგუმენტის უკუგდება უნდა სცადოს, რაც ერთხელ კიდევ დაარწმუნებს მკითხველს მისი პოზიციის დამაჯერებლობაში. ყველაზე ძლიერი კონტრარგუმენტის განსაზღვრაში კი ავტორს სწორედ მომხრე-მოწინააღმდეგის სქემა დაეხმარება, რომელშიც თითოეულ არგუმენტთან სათანადო კონტრარგუმენტი უნდა იყოს გათვალისწინებული.

სპეციალისტთა მიერ შემუშავებულია კითხვათა ჩამონათვალი, რომელიც ავტორს ეხმარება, იყოს კრიტიკული და ობიექტურად შეაფასოს საწინააღმდეგო არგუმენტები:

- რამდენად ძლიერია ჩემი ოპონენტების არგუმენტები?
- მისაღებია ჩემთვის რომელიმე მათგანი, თუნდაც ნაწილობრივ?
- რამდენად ახლოს იდგება მკითხველი ჩემი ოპონენტების პოზიციასთან?
- ხომ არ არის რაიმე ლოგიკური სისუსტე ჩემი ოპონენტების პოზიციაში?
- ნამდვილად მივყავართ ფაქტებს იმ დასკვნებამდე, რომელთაც ოპონენტები გვთავაზობენ?
- ყველა ფაქტი აქვთ გათვალისწინებული თუ მხოლოდ მათთვის ხელსაყრელი ფაქტები?
- ხომ არ არის ოპონენტთა დასკვნები გამოტანილი საკამათო განზოგადებების საფუძველზე?

• ხომ არ არის ოპონენტთა არგუმენტები მიმართული მკითხველის ემოციებზე?

• ხომ არ გვთავაზობენ ოპონენტები, რომ ესა თუ ის იდეა თუ მოქმედების ტაქტიკა კარგია მხოლოდ იმიტომ, რომ გარკვეული ინდივიდები / ჯგუფები იზიარებენ მას ან იქცევიან ასე? (წულაძე, 2006, გვ. 20)

როგორ გავაბათილოთ საწინააღმდეგო პოზიცია? მაგალითად ხომ არ გამოგვადგება ფილმ „იმერულ ესკიზებში“ ფეხბურთელთა დამარცხებული გუნდის გულშემატკივართა დამოკიდებულება გამარჯვებული გუნდის მიმართ, ან ის გამოცდილება, რის გამოც აიკრძალა ჩვენს პარლამენტში შუშის ბოთლიანი მინერალური წყალი? რა თქმა უნდა, არა. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, კონტრარგუმენტების გაბათილების ყველაზე აკადემიური საშუალებაა **კომპრომისული დამოკიდებულება ოპონენტების პოზიციის მიმართ**, რაც უნდა განხორციელდეს **ეთიკური ნორმების დაცვით**. ასეთ შემთხვევაში, მსჯელობა უნდა წარიმართოს შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

- მოკლე და ობიექტური თეზისი, რომელიც პრობლემის ზოგად განსაზღვრებას იძლევა;
- ოპონენტთა პოზიციის ღრმა, ამავე დროს, ნეიტრალური ანალიზი, რაც იმის გამომხატველია, რომ გაგებით ვეკიდებით საპირისპირო პოზიციას;
- საკუთარი პოზიციის ღრმა და ნეიტრალური ანალიზი ისე, რომ არ ვასაბუთებთ მის უპირატესობას და არ ვცდილობთ, ვინმეს თავზე მოვახვიოთ ჩვენი დებულებები;
- იმის გაანალიზება, თუ რა არის საერთო საპირისპირო პოზიციებს შორის;
- პრობლემის გადაჭრის გზის შეთავაზება, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს ითვალისწინებს.

სავარჯიშოები

21.3.1. წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

ა) გამოყავით თეზისი; იმსჯელეთ, რამდენად ლოგიკურია ავტორის დასაბუთება: იპოვეთ კონტრარგუმენტი და შეაფასეთ მისი გაბათილების ტექნიკა;

ბ) მოიძიეთ ავტორის ენისთვის დამახასიათებელი არასალიტერატურო ფორმები; რით შეიძლება აიხსნას ავტორისაგან მათი გამოყენება?

მ. ჯავახიშვილი, ქართული ენა

დღევანდელი ჩვენი მწერლობის კარგ დამკვირვებელს შემჩნეული ექნება ის სიტყვათა სიცოტავე, რომელიც საშინელ დაღს ასვამს ყოველი მწერლის შემოქმედებას. ხოლო, რაც უარესია, ეს პატარა საუნჯეც დაუდევრად იხმარება, რის მიზეზადაც ცოდნის ნაკლებობა მიგვაჩნია. ქართველმა მწერალმა არ იცის ქართული ენა. იგი იოლად მიდის იმ „ცოდნით“, რომელიც გამოაყოლა თავისმა პროვინციამ და მისი სტილიც ამ პროვინციით განისაზღვრება. არავინ არ დაგიდევთ, შეიძლება თუ არა იმ „გრამატიკის“ ხმარება, რომელიც თავში აქვს ჩაჭედილი ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელს, და ამის გამო გაირყვნა ენა, გაირყვნა ისე, რომ სულ ადვილად შეიძლება ნაწერის მიხედვით გამოარკვიოთ ავტორის დაბადების ადგილი.

და ჩვენდა სამწუხაროდ ეს ახასიათებს ჩვენ თანამედროვე მწერალთა დიდ უმრავლესობას. ყველა თავისი ჟარგონით სწერს. და ამ ველურ ღრიანცელში იკარგება ის ენა, "რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა". საერთო სალიტერატურო ენა მუზეუმში დარჩა და ცოცხალ მოქალაქის ძოწით დადის მხატვრულ თვისებებს მოკლებული სიტყვა, რომელიც ყოვლად მიუღებელია სრულიად საქართველოსთვის.

ამა გადაავლეთ თვალი ძველ მწერლობას და ნახავთ, რომ იყო ერთი სამწერლო ენა. რაღაც ორმოცი წლის შემდეგ კი ისე გავერანდა ჩვენი მწერლობის მოედანი, რომ ყველა თავისი "სტილით" მოდის და პოეზიის მაღალ ფირმის ქვეშ ასაღებს ყოვლად დაბალ ლექსიკონს.

ჩვენ წინააღმდეგნი კი არა ვართ ამა თუ იმ პროვინციიდან მოტანილ სიტყვისა, პირიქით, ბევრი კარგი რამ შეიძებნება ჩვენს განაპირა ადგილებში, მაგრამ ეს შენაკადები უნდა ჰხვდებოდეს მთავარ მდინარესთან, რომელსაც სამწერლო ენა ჰქვიან, და რომელიც მეტროპოლიაში არის განმტკიცებული. იქნებ ვინმემ თავი იმართლოს ვაჟა-ფშაველას და ყაზბეგის მაგალითებით? – ეს თავის მართლება არ გამოადგებათ, რადგან ვაჟაც და ყაზბეგიც მთის ენით ლაპარაკობდნენ. მთას ელაპარაკებიან და მთის გარეშეც არსად მიდიან. მათიას, ელგუჯას თუ გოგოლაურს რომ ლიტერატურული ელაპარაკნათ, ეს დაუშვებელიც იქნებოდა და სიყალბეც, ისევე. როგორც ნაძალადევი იქნებოდა დ. კლდიაშვილის გმირების სალიტერატურო ენა.

პროვინციალ კილოს ხმარება თემის საკითხია, და თუ ეს უკანასკნელი საერთო არის, ენაც ასეთი უნდა ჰქონდეს. და კურიოზია, მაშ რა არის, როდესაც ჩვენი ინტელიგენტი მწერლები რადიუმზე და ეინშტეინზე სწერენ იმავ „სტილით“, რა სტილითაც იწერებოდნენ „პროვინციული სცენები“. განა ასეთივე კურიოზი არ იქნებოდა, რომ ბლოელ აფშინას და შიოლა ღუდუშაურის დიალექტით გვეწერნა „ესთეტიკური ტრაქტატები“ ან პოემები „ასტრალურ“ ან „ურბანულ“ ქვეყანათა შესახებ? დიახ, იქნებოდა კურიოზი, ამას ადვილადაც შევამჩნევდით, მაგრამ, რომ უკვე განმტკიცებულია კურიოზი, მეორე მხრივ, ამას ვერ ვამჩნევთ და განვაგრძნობთ ჩვენი ლიტერატურის მონაგვიანებას. ეს მტკივნეული ადგილი ყველამ უნდა დაინახოს, რომ შეჰზარდეს საკუთარი ნაწერი და ენის განწმენდისათვის მომართოს თავისი ძალა და უნარი.

ჩვენ ბევრს ვყვიროდით მაღალ და მაგარ საკითხების შესახებ. რადგან ერთი ანდაზისა არ იყვეს "არც კალა მიგვდის და არც ნიშადური". პირიქით, ვიძენთ კიდეც, რადგან ვაოცებთ და ვაფიქრებთ მიამიტ ხალხს, მაგრამ გვგონია, რომ ყვირილსაც დაეკარგა მჭრელობა. ჩვენი კულტურა კი მთლიანად უკვე გადადგა საქმიანობის სტადიაში. აქ კი უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა. და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყვეს. ხოლო ამ უკანასკნელს რომ შეეძლოს სხვათა მხილება, ჯერ თვით უნდა განიკურნოს. ეს მეტად ადვილი საქმეა, მხოლოდ ერთი პირობაა საჭირო: აკადემიური მუშაობა რამდენიმე ხნის განმავლობაში, რაც, ალბად, მიუღებლად მოეჩვენებათ „ჩოხიან დადაისტებს“, მაგრამ მისაღები უნდა იყვეს იმათთვის, ვისაც სწამს მწერლობა, როგორც ღვაწლი და უდიდესი პასუხისმგებლობა ერის წინაშე.

1924 წ., 20 მაისი.

21.3.2. წაიკითხეთ ნაწყვეტი ბერ გაბრიელის (ურგებაძის) ქადაგებიდან; დაადგინეთ ავტორის თეზისი და ძირითადი არგუმენტები.

პავლე მოციქული ბრძანებს: „შემთხვევით ერთი ღერი თმა არ ჩამოვარდება თავიდან“. ე.ი. ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს. მით უმეტეს, უნდა ვიცოდეთ, რომ ღვთის ნების გარეშე არ არსებობს მდიდარი და ღარიბი, ღატაკი და მათხოვარი. ყველაფერში ღვთის განგება და წყალობა უნდა დავინახოთ. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თითქოს მათხოვრები ღვთისაგან დაჩაგრულნი და განწირულნი არიან. ისინი ჩვენი ცხონების საკითხს ემსახურებიან და ხშირად ჩვენი განკითხვისა და სულის ცხონების მიზეზნიც არიან. ამდენად, ამქვეყნად ტანჯვა-ვაების სანაცვლოდ, მარადიულ სამყოფელში ჩვენზე გაცილებით დიდ ნეტარებაში იქნებიან.

უფალი ბრძანებს: „რაც ერთ ადამიანს უყავ კეთილი, ის მე მიყავი“. არსებობს ასეთი ხატი, გზად დავრდომილ მათხოვარს მოწყალე მდიდარი ხელში ქისას უდებს და იგივე ქისა ხელში უჭირავს ციდან გამოწვდილ მაცხოვრის ხელს. ხშირ შემთხვევაში კი ჩვენ არ ვიცით, თუ ფიზიკურადაც ვინ დგას ჩვენ წინ მათხოვრის სახით. წმიდა წერილებში მრავალი მაგალითია მოყვანილი, როცა მათხოვრისა და გზაზე დავარდნილის სახით, თვით უფალი იესო ქრისტე ითხოვდა გამვლელთაგან შველასა და დახმარებას. მაგალითად, ბერი მარტინი ერთხელ თავის მონასტრიდან სხვა მონასტერში მიდიოდა ტაძრის დღესასწაულზე მოლოცვის მიზნით. გზად ნახა დავრდომილი მათხოვარი. მან მარტინს დღესასწაულზე წყვანა სთხოვა. მიუხედავად სიძნელისა, კეთილმა ბერმა დავრდომილი ზურგზე შეისვა და ასე წვალებით მიუახლოვდა მონასტრის კარებს. კარებთან ახლოს კარის გაღების მიზნით მათხოვარი დაბლა დასვა. ამ დროს კარები მონასტრის ყველა წევრმა ერთდროულად გააღო. თურმე წინამძღვარს გამოცხადება ჰქონია: „ჩქარა კარები გააღეთ, უფალი მობრძანდებაო“. ბერი მარტინი და მონასტრის წევრები ერთმანეთს გაკვირვებულნი უყურებდნენ, დავრდომილი მათხოვარი კი არსად ჩანდა, ადგილიდან გამქრალიყო. ცოტა ხანში ციდან გაისმა უფლის ექოსავით ხმა: „მარტინი, როგორც შენ არ მიმატოვე მიწაზე დავრდომილი, ასევე მე არ მიგატოვებ ზეცაში განკითხვის დღესო“.

მსგავსი შემთხვევების მრავალი მაგალითი არსებობს. ამდენად შესაძლოა, რომ ხშირად ჩვენივე სულის ცხონების მიზნით თვით უფალი, ანგელოზი ან რომელიმე წმინდანიც მოგვევლინოს გაჭირვებულის, მშიერის, დავრდომილის, მათხოვრის ან თუნდაც მგზავრის სახით და ჩვენ ჩვენივე ნებით ვიღებთ ან უარვყოფთ ღვთის ასეთ დიდ მაცხოვნებელ წყალობას.

მათხოვრები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან. მაგრამ დღევანდელი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობით მათი რიცხვი ძალიან გაიზარდა. თითოეულ მათგანს დღეში ასობით და შესაძლოა ათასობით ადამიანმა ჩაუაროს გვერდზე და მხოლოდ მცირე ნაწილმა გაიღოს მოწყალება. იქნებ თანხა არა გაქვს, შესაძლოა ერთი ვაშლი მიაწოდო, პური მოუტეხო ან რითაც შეგიძლია, იმით დაეხმარო. თუ არაფერი გაქვს, შეგიძლია. გულით თქვი: ღმერთო შენ უშველე ყველა გაჭირვებულსო და ესეც შენგან გაღებული მოწყალება იქნება.

მიუხედავად აღნიშნულისა, ხშირად ნაწილი ადამიანებისა ამრეზილნი უყურებენ ქუჩაში დავარდნილ მათხოვრებს. თითქოს ადამიანებადაც არ თვლიან, მით უმეტეს, თუ შარვალში შარდგადენილი

მათხოვარი გდია სადმე. ასეთ გულქვა ადამიანებს შევახსენებ: ერთი, რომ არ იცი, ვინ არის მოვლენილი იმ დროს მისი სახით და მეორეც – რომც იცოდე, ვინ არის, ღვთის გაჩენილი ხომ არის. უფალი კი გვეუბნება: რაც ერთ ადამიანს გაუკეთე, ის მე გამიკეთეო. ამდენად, როცა მსგავს სიტუაციაში, დახმარების ნაცვლად, დასცინე ან ზიზღით შეხედე მათხოვარს, იმავდროულად ნებით თუ უნებლიედ დასცინე და ზიზღით შეხედე თვით უფალ იესო ქრისტეს.

ასეთი ადამიანები ხშირად ამბობენ, რომ დავეხმაროთ კიდევ, დალევენ, დათვრებიან და დავარდებიანო. ეს მცდარი მოსაზრება საკუთარი სიძუნწის გამართლებაა. ჩვენ არსად არ გვეუბნება უფალი ასეთს ან ისეთს დაეხმარე, ან მხოლოდ ასეთებს დაეხმარებითო, არამედ ამბობს: „ითხოვდით და მოგეცემათო". ჩვენც ყველა მთხოვნელს რითაც შეგვიძლია, უნდა დავეხმაროთ.

ხშირად უსახლკაროდ დარჩენილი მათხოვრების დიდი ნაწილი, ზამთარშიც კი, ღამეს მინაზე დაწოლილი ათენებს. ასეთები სწორედ რომ სპირტის ან მსგავსი სასმელების თუნდაც ჭარბი მიღებით უძლებენ სიცივისგან გაყინვას და დღისით სამათხოვრო ადგილამდე ძლივს მისულებს არა განკითხვა, არამედ ჩვენგან ადამიანობა, სითბო და დახმარება სჭირდებათ.

უნდა დავიმახსოვროთ, რომ ჩვენი საქმე არ არის, ვინ რისთვის მათხოვრობს; არის თუ არა ბეიბარი; შეუძლია თუ არა მუშაობით თავის რჩენა და სხვა. რადგან მათხოვრობამდე მივიდა, ჩვენ თუ შეგვიძლია, მხოლოდ დახმარება გვმართებს და არა განკითხვა. მით უმეტეს – დაცინვა.

ჩვენ უნდა გვწამდეს, რომ ღვთის განგებით მათხოვრებს განსაკუთრებული მისია აკისრიათ და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ღვთის მართლმსაჯულების აღსრულებაში, თუ ვინ დადგინდეს განკითხვის დღეს უფლის მარჯვნივ სამუდამო ლხინებისათვის და ვინ მარცხნივ – \სამუდამო ტანჯვისათვის გამზადებული.

უფალმა მოგვმადლოს განცდა, რომ სხვათა შეწყალებით ჩვენც შეწყალებულ ვიქმნეთ[93].

21.3.3. გაეცანით მოცემულ ნაწყვეტს და ჩამოაყალიბეთ ავტორის თეზისი; ეთანხმებით თუ არა ავტორს? მოიძიეთ საჭირო მასალები, შეადგინეთ არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების სქემა.

...არსებობს ორი გიორგი სააკაძე:

ერთი – XVII საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწე, ისტორიული პიროვნება თავისი ღირსებითა და ნაკლით, გამორჩეული როგორც სასახელო საქმეებით, ისე დანაშაულებრივი ქმედებებით თავისი სამშობლოს წინაშე და მეორე – საბჭოთა მითოსის პერსონაჟი, ვისი პორტრეტიც დამუშავდა, პირადად, იოსებ სტალინის შეხედულებათა მიხედვით და ყალბი ისტორიისა და არანაკლებ ყალბი კინემატოგრაფის წყალობით წარმოდგა უდიდეს გმირად და საქართველოს გამთლიანებისა და სახელმწიფოებრივი ძლიერების სიმბოლოდ.

პირადად, საბჭოთა იმპერატორის მითითებათა გამო ამოიშალა გიორგი სააკაძის ბიოგრაფიიდან სათაკილო ეპიზოდები – ირანელთა 1616 წლის სამხედრო ექსპედიციის ხელმძღვანელობაც, მონაწილეობაც წმინდანად შერაცხილი მეფე ლუარსაბ მეორის სიკვდილით დასჯაშიც, მარტყოფის აჯანყების წინარე ხანს შაჰ-აბასის მსტოვრის ხელში ჩაგდებაც და იმ საიდუმლო ბარათის მოპოვებაც, თბილისის აღების შემდეგ გიორგი სააკაძეს სიკვდილი რომ ემუქრებოდა, და ამიტომაც გახდა იძულებული დაკავშირებოდა მეფე თეიმურაზ პირველს და მასთან ერთად მოეხდინა აჯანყება, ბაზალეთის ძმათამკვლელი ომის წამოწყებაც...

გიორგი სააკაძის ბიოგრაფია შესანიშნავი სატყუარა გახლდათ იმ ყოვლად წარმოუდგენელი აზრის რეალურობის სამტკიცებლად, თითქოს შესაძლებელი იყოს ისე აღზევება შენი სამშობლოსადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს იერარქიულ კიბეზე, რომ გარეგნულად აკეთო შენი ქვეყნის დამაქცევარი საქმეები, ფარულად კი – სასიკეთო. ამის მთქმელი თავსაც იტყუებს და სხვათა მოტყუებასაც ცდილობს.[94]

21.3.4. შეადგინეთ არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების სქემები ქვემოთ წარმოდგენილი თემებისათვის; შეიმუშავეთ თეზისები; დაწერეთ არგუმენტირებული ესეების შესავალი და ძირითადი ნაწილები.

სიტყვათა საერთო რაოდენობა: 110-120.

ა) ამართლებს თუ არა მანდატურების ინსტიტუტი საჯარო სკოლაში?

ბ)იწვევს თუ არა ტექნიკური პროგრესი ადამიანური ურთიერთობების დეფიციტს?

---

[93] http://www.orthodoxy.ge/tsodva_satnoeba/gabrieli_matkhvorebze.htm მოძიებული: 2.09.2019

[94] http://putkaradze1.blogspot.com/2016/04/blog-post.html მოძიებული: 2.09.2019

21.3.5. წაიკითხეთ ტექსტი; დაადგინეთ ავტორის თეზისი და არგუმენტაცია. მოიფიქრეთ საწინააღმდეგო აგუმენტები და დაწერეთ თქვენი პოზიცია.

ლ. ბრეგაძე. უძნელესი პროფესია

სულხან-საბა ორბელიანის 150-ზე მეტი იგავიდან და ანეკდოტიდან ზოგი ტრადიციულად უფრო პოპულარულია, მათ ხშირად იხსენებენ, ხშირად იმოწმებენ, შეაქვთ სასწავლო პროგრამებში; მეორე, უფრო დიდი, ნაწილი კი, ცოტა არ იყოს, მივიწყებულია, ჩემი აზრით, სრულიად უმართებულოდ.

დრო შეიცვალა, ცხოვრება სხვანაირი გახდა და საბას ზოგი არაკი, რომელიც გუშინ ნაკლებად იქცევდა ჩვენს ყურადღებას, დღეს სხვა თვალით იკითხება. მათი პრობლემატიკა ცოტა ხნის წინ ჩვენთვის, საბას დღევანდელი მკითხველებისთვის, ნაკლებ გულთან მისატანი, შეიძლება ითქვას, ცოტა აბსტრაქტულიც კი ჩანდა, ახლა კი ფრიად აქტუალური გახდა. მინდა საბას ერთი ასეთი არაკი გავიხსენო, მაგრამ მანამდე ერთ ციტატას მოვიყვან წოდარ დუმბაძის მოთხრობის „დედას“ პერსონაჟებს შორის გამართული დიალოგიდან:

„ეგ მსოფლიოში ყველაზე ძნელი პროფესია – მათხოვრობა რომ აგირჩევია, წადი რა, ან კაცი მოკალი, ან ბანკი გატეხე, ან იჯიბგირე“.

ამას წინათ ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას ქ-ნმა სოფიკო ჭიაურელმა ასეთი რამ მოგვითხრო:

ახლობლის გასვენებაში ვიყავით. სასაფლაოსთან მანქანაში ვიჯექი და ჩვენებს ველოდი. მანქანას უცნობი ზორბა ტანის ახალგაზრდა კაცი მოუახლოვდა, გაღებულ ფანჯარასთან დაიხარა და მითხრა: „მომე რა ფული!“ „რა-მეთქი?“ – ვკითხე. „მომე რა ფული!“ – გაიმეორა. ვთხოვე ცოტა უკან დაეხია. მოსცილდა ფანჯარას. შევათვალიერე. ორი ჯანმრთელი ფეხი, ორი ჯანმრთელი ხელი... მაინც მათხოვრობს. „არა გრცხვენია-მეთქი“ – ვუთხარი. „კარგი რა, კარგი რა!“ – ჩაიბურდღუნა და წავიდა.

ახლა წავიკითხოთ საბას არაკი:

„ერთი გლახაკი კაცი გამდიდრებულიყო და მისი შვილისათვის ერთის მდიდრის ქალი ითხოვა. მან მდიდარმან თქვა: უარი ვუთხრა, დამემტერება, და მივსცე, არ იქმნების; ამასაც ვეცადო, მიზეზით მოვრჩეო. უთხრა: თუცა ეგ შენი შვილი ერთს წელს სიგლახაკეს იწყებს და კარდაკარ მავალი და მათხოვარი შეიქმნება, მივსცემო. რა ძემან მისმან მოისმინა, იწყო წლამდის მავლობა და თხოვა. რა წელიწადი გასრულდა, კიდევ სთხოვა.მერმე უთხრა: თუცა ახლა მავლობას და თხოვნას მოიკვეთს, მივსცემ, თვარა მავალს როგორ მივსცეო?

რა მას მავალს ესმა, შორს დაიჭირა: ერთს წელიწადს ძლივ ვისწავლეო, როგორღა მოვიკვეთოო? იმან მავლობა არ გაუშვა და მან ქალი აღარა მისცა“.

ეს ტექსტი ზედმიწევნით აკმაყოფილებს ყველა პირობას, რასაც იგავ-არაკის ან ანეკდოტის პოეტიკა მოითხოვს. რა პირობები, ანუ რა თავისებურებებია ეს? უპირველეს ყოვლისა ლაკონიზმი. გავიხსენებ ცნობილი მკვლევარის ალექსეი ჯიველეგოვის სიტყვებს, რომლითაც იგი შუა საუკუნეების იტალიელი მწერლის, მინიატურული პროზის (ანეკდოტების) დიდოსტატის პოჯო ბრაჩოლინის (1380-1459) სტილის თავისებურებებს ახასიათებს: „პოჯომ ნოველა სიტყვაბუნწ, ზოგჯერ თითქმის აფორიზმისებურ მინიატურამდე დაიყვანა. მან იქიდან გამობერტყა რომანტიზმი, მოშალა ფერები და ფერთა შეხამებანი, დატოვა მხოლოდ სიუჟეტის დინამიკური შენადედი“, მასთან „სიუჟეტი ელვისებურად ვითარდება... მის მონათხრობში არის სიუჟეტის განვითარებისთვის მხოლოდ ყველაზე აუცილებელი მომენტები“.

რასაც აქ ა. ჯიველეგოვი ბრაჩოლინიზე ამბობს, უცვლელად მიესადაგება საბასაც.

მეორე თავისებურება ამ ჟანრის ნაწარმოებისა მჭიდროდ უკავშირდება პირველს (ლაკონიურობის პრინციპს) და ეს გახლავთ პორტრეტზე, პეიზაჟზე და ე. წ. პოეტურ სამკაულებზე (მეტაფორებზე, მხატვრულ შედარებებზე და სხვა თვალში საცემ ტროპულ ხერხებზე) მაქსიმალურად უარის თქმა. აქ უნდა გავიხსენო სახელგანთქმული იგავთმწერლის და ამ ჟანრის თეორეტიკოსის, ლესინგის ნათქვამი ლაფონტენზე: „მან იცოდა, რომ იგავის სული და გული მის სიმოკლეშია; იგი აღიარებდა, რომ უკეთილშობილესი სამკაული იგავისთვის უსამკაულობაა“.ზუსტად ასევეა ეს საბასთანაც.

ს.ს. ორბელიანის სტილის ეს თავისებურება ასე დაახასიათა გიორგი ლეონიძემ: „...ლაპიდარული, ნათელი სიტყვა, უაღრესად ეკონომიური ფრაზა დეპეშის მკვეთელობით“.

მათხოვრობის თემაზე ბევრი მაღალმხატვრული ნაწარმოები შექმნილა (ორს დავასახელებ: პაოლო იაშვილის „ფერადი ბუშტები“ და ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“, პიესა, რომელშიც მათხოვრობის ინდუსტრიის საიდუმლოებანია „გამხელილი“). მაგრამ არ მეგულება სხვა ტექსტი, მით უმეტეს ესოდენ მცირე მოცულობისა, რომელშიც ასე საუცხოოდ იყოს წარმოჩენილი მათხოვრობის არსისთვის ნიშანდობლივი რამდენიმე მომენტი, “შეუიარაღებელი თვალისთვის“ ღრმად დაფარული.

საბას კარგად ესმის ის, რაც უმეტესობამ დღემდე არ იცის, ან რაც უმეტესობას დღემდე არ სურს დაიჯეროს: მათხოვრობა პროფესიაა. მაშასადამე, მცდარია აზრი, თითქოს ადამიანები უკიდურესი

გაჭირვების გამო მათხოვრობენ, ანუ იმიტომ მათხოვრობენ, რომ სხვა გზით თავის რჩენა არ შეუძლიათ. ვინც მათხოვრობით ირჩენს თავს, ის სხვა საშუალებითაც მოახერხებს თავის რჩენას, და პირუკუ: ვისაც სხვა საშუალებით თავის რჩენა არ შეუძლია, ის ვერც მათხოვრობით ირჩენს თავს.
ამავე დროს ეს უძნელესი პროფესიაა. უმთავრესი სიძნელე აქ ის არის, რომ თავმოყვარეობაზე ხელის აღებაა საჭირო. ხატოვნად რომ ვთქვათ, მათხოვარი თავის თავმოყვარეობას ყიდის და ამით არსებობს.
ნუ მოვიტყუებთ თავს. თითქოს მათხოვარს იმიტომ ვაძლევთ ფულს, რომ გაჭირვებულია და ვეხმარებით: ჩვენ ხომ სინამდვილეში არ ვიცით, მართლა გაჭირვებულია ის, თუ გაჭირვებულის როლს თამაშობს. საბას მათხოვარი, მაგალითად, სულაც არ არის გაჭირვებული – შეძლებული ოჯახის შვილია. ისიც გავიხსენოთ – როცა დანამდვილებით ვიცით, რომ მოყვასს უჭირს, როგორი სიფრთხილით ვთავაზობთ მას მატერიალურ დახმარებას, ვშიშობთ არ ითაკილოს,თავმოყვარეობა არ შეელახოს.
თუ გულახდილნი ვიქნებით, უნდა გამოვუტყდეთ საკუთარ თავს, რომ როცა მათხოვარს ფულს ვაძლევთ, სულაც არ გვაინტერესებს, მართლა გაჭირვებულია თუ გაჭირვებულად გვაჩვენებს თავს. ჩვენ მას ფულს იმისთვის ვუხდით, სამათხოვროდ ხელის გამოწვდა საქვეყნოდ რომ იკადრა, სავსებით რომ აიღო ხელი თავმოყვარეობაზე, რის გამოც უცნაურ, ჩვენგან განსხვავებულ, თითქოსდა ეგზოტიკურ არსებად იქცა.
და ბოლოს უმთავრესი, რისთვისაც დაიწერა საბას ეს არაკი.
რამდენადაც ძნელია მათხოვრობის დაწყება, იმდენადვე ძნელია მერე მისთვის თავის დანებება. გატკბობა იცის. მათხოვრობის ამ იდუმალი თვისების ცოდნას ემყარება არაკის პერსონაჟის მახვილგონივრული მიგნება, რითაც მან შეძლო უარის უთქმელად დაეღწია თავი არასასურველი სასიძოსათვის.
მათხოვრობის არსში ჩაბუდებულ ამ საფრთხეს მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას საბას ეს არაკი. ხოლო ეს საფრთხე დღეს მარტო ცალკეულ ინდივიდებს კი არა, მთელ ერებსა და სახელმწიფოებსაც ემუქრება. მხედველობაში მაქვს ამჟამად ესოდენ გავრცელებული, თავისთავად ფრიად კეთილშობილი პრაქტიკა საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა, რაც ზოგჯერ კოლექტიური მათხოვრობის სახეს იღებს.

გაზ. „ალტერნატივა“, 1999, #25 (39)

21.4. ესეს დასკვნა. ესეს შემოწმება

დასკვნა ესეს მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელშიც გათვალისწინებულია სამი მომენტი, კერძოდ, ავტორი:

– **აჯამებს თავის არგუმენტებს;**

– **იმეორებს თეზისს** – ძირითად დებულებას, ოღონდ სხვა სიტყვებით, ტავტოლოგიის თავიდან ასარიდებლად; გამეორება აუცილებელია, რომ მკითხველს ერთხელ კიდევ შეახსენოს თავისი პოზიცია სამსჯელო საკითხზე;

– **შესთავაზებს მკითხველს საკითხის გადაწყვეტის გარკვეულ პერსპექტივას;** ეს არის უფრო ვარაუდი, რჩევები, რეკომენდაცია და არა კატეგორიული მითითება, რაც მიუღებლად ითვლება აკადემიური ნაშრომის სტანდარტისათვის.

დასკვნაში არ შეიძლება მოვაქციოთ რაიმე საკითხი, რომელიც ძირითად ნაწილში არ განგვიხილავს ან უნებურად გამოგვრჩა. ასეთ შემთხვევაში, კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ძირითად ნაწილს და იქ ჩავრთოთ სათანადო მსჯელობა; ეს ცვლილება, მეტნაკლებად, აისახება დასკვნაშიც.

აშკარაა ესეს შემადგენელი კომპონენტების ლოგიკური კავშირი, კერძოდ: ძირითადი ნაწილი მართულია შესავლისგან – წარმოადგენს ავტორის თეზისის არგუმენტირებულ მტკიცებას, ხოლო დასკვნა მართულია როგორც შესავლისაგან (ძირითად დებულებას იმეორებს), ისე – ძირითადი ნაწილისაგან (არგუმენტებს აჯამებს). სამივე ნაწილი ავტორის პოზიციის (თეზისის) დემონსტრირებაა სხვადასხვა კუთხით: **წარდგენა, დასაბუთება, შეჯამება.** ესეს სტრუქტურულ ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის დარღვევა, ბუნებრივია, საზიანოდ იმოქმედებს ავტორის პოზიციის სიცხადესა და თანმიმდევრულობაზე.

ქვემოთ წარმოდგენილია სპეციალისტთა მიერ შემუშავებული კითხვები, რომლებიც ავტორს დაეხმარება არგუმენტირებული ესეს შემოწმებაში:

• იპყრობს შესავალი მკითხველის ყურადღებას?

• რა არის ესეს თეზისი?
• არის თეზისი ნათელი და საკმარისად დაკონკრეტებული?
• გაქვთ რაიმე რჩევა შესავალთან ან თეზისთან დაკავშირებით?
• რა პრინციპითაა ესე ორგანიზებული? არის მისი სტრუქტურა ეფექტური?
• არის ესე ლოგიკური და შეკრული?
• ყველა პარაგრაფი (აბზაცი) განამტკიცებს თეზისს?
• გაქვთ რაიმე რჩევა პარაგრაფებთან (აბზაცებთან) დაკავშირებით?
• არის არგუმენტები საკმარისად განმტკიცებული მხარდაჭერით? გაქვთ რაიმე რჩევა მხარდაჭერასთან დაკავშირებით?
• არის საჭირო ესესთვის რაიმეს დამატება ან რაიმეს ამოღება?
• არის დასკვნა ლოგიკური? არის ის საინტერესო? გაქვთ რაიმე რჩევა დასკვნასთან დაკავშირებით?
• რომელია ესეს საუკეთესო ნაწილი? რომელ ნაწილს სჭირდება გაუმჯობესება? (წულაძე, 2006, გვ. 22).

სავარჯიშოები

21.4.1. შეადარეთ სავარჯიშო 21.3.1-ში წარმოდგენილი წერილის შესავალი და დასკვნითი ნაწილები; გამოყავით ის სპეციფიკური ენობრივი ფორმები, რომლებიც გამოყენებულია მათში საერთო აზრის გადმოსაცემად.

21.4.2. დაწერეთ დასკვნითი ნაწილი მოცემული ნაწყვეტისათვის.
მარიო ვარგას ლიოსა, კითხვისა და წერის სადიდებელი (გ. ჯოხაძის თარგმანი)
ლიტერატურა ცხოვრების ყალბად ასახვაა, თუმც სწორედ მისი დახმარებით შეიძლება ცხოვრების უკეთ გაგება, იმ ლაბირინთში ორიენტირება, რომელშიც ვიბადებით... და ვკვდებით. ლიტერატურა ანაზღაურებს იმ ღალატსა და იმედგაცრუებას, რეალური ცხოვრება რომ გვატეხს თავს.
ლიტერატურა მეტია, ვიდრე გართობა, ვიდრე ინტელექტუალური სავარჯიშოები, რომლებიც მავანს მგრძნობელობას უმახვილებს და კრიტიკულ სულისკვეთებას უღვიძებს.
...ლიტერატურამ გაამრავლა ადამიანური გამოცდილება, დაგვიცვა ლეთარგიისაგან, თვითშთანთქმისაგან, მორჩილებისაგან. მისი მეშვეობით ადამიანი პერმანენტულად კითხვებს უსვამს სინამდვილეს.
ნამდვილი ჯადოსნობაა, როცა ლიტერატურა გვთავაზობს იმედს, მანამდე რომ არ გვქონდა, იმად გვქმნის, რაც ადრე არ ვყოფილვართ, იმ უჩვეულო არსებობას გვანიჭებს, რომელშიც წარმართულ ღვთაებათა მსგავსად, ერთდროულად მოკვდავებიც ვართ და უკვდავებიც, სულში ნონკონფორმიზმსა და ამბოხს გვინერგავს, რომლებიც ყოველგვარი გმირობის საფუძველია, რომლებიც ხელს უწყობს სისასტიკის შემცირებასა და ადამიანური ურთიერთკავშირის გაცხოველებას. სისასტიკის დამცრობა მის დასრულებას არ ნიშნავს იმიტომ, რომ ჩვენი ამბავი, საბედნიეროდ, ყოველთვის დაუსრულებელი იქნება...[95]

21.4.3. დაწერეთ სავარჯიშო 21.3.4.-ში დაწყებული ესეების დასკვნითი ნაწილები.

21.4.4. დაწერეთ არგუმენტირებული ესე: მთავარი ფულის შოვნაა თუ ცხოვრების აზრის ძიება?

21.4.5. წაიკითხეთ მეოცე საუკუნის გამოჩენილი პიროვნების, ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის – ვიქტორ ფრანკლის 1972 წელს წაკითხული ლექცია მოტივაციასა და ცხოვრების აზრზე; მონიშნეთ ავტორის თეზისი და გამობატეთ თქვენი პოზიცია – დაწერეთ არგუმენტირებული ესე.

...ევროპაში ნებისმიერ ამერიკელ სტუდენტს, მით უფრო ზრდასრულ ამერიკელს, უყურებენ, როგორც ადამიანს, რომელსაც სურს იშოვოს დიდი ფული.სინამდვილეში კი სტუდენტების მხოლოდ 16% მიიჩნევს მთავარ პრობლემად და ცხოვრების ამოცანად მაღალ ანაზღაურებას,,სიტყვასიტყვით რომ

[95] http:/www.bu.org.ge/x1257?lang=geo მოძიებული: 2.09.2019

გავიმეორო, ცოტა ფულის შოვნას.. მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვან კატეგორიას იცით რა სურს?... ამერიკელი სტუდენტების 78 %-ს აწუხებს , როგორც თვითონ აღნიშნეს, იპოვონ ცხოვრების აზრი და მიზანი. და ეს არის რეალისტური შეხედულება კაცობრიობაზე.

იცით, თქვენ ახლა არ დამიჯერებთ, არ დამიჯერებთ, რომ მე, მიუხედავად ჩემი ჭაღარისა და ასაკისა, ახლახან დავიწყე თვითმფრინავის პილოტირების გაკვეთილებზე სიარული.იცით, რა მითხრა ჩემმა ინსტრუქტორმა? თუ თქვენ გამოფრინდით აქედან და გინდათ მიაღწიოთ აქ, ამ წერტილს, აღმოსავლეთში, მაგრამ უბერავს გვერდითი ჩრდილოეთის ქარი, ის გადაგახვევინებთ და თქვენ დაფრინდებით სხვაგან, ამიტომ არსებობს პილოტებში გამოთქმა ფრენა დაქანებით. კურსი უნდა აიღოთ სასურველი აეროდრომიდან ჩრდილოეთით და იფრინოთ,თითქოს თქვენი მიზანია იმ მიმართულებით ფრენა. თუ თქვენ ასე მოიქცევით, სასურველ აეროდრომს მიაღწევთ, მაგრამ თუ აეროდრომის მიმართულებით გაფრინდებით, დაეშვებით მისგან სამხრეთით.

ეს ადამიანებზეც ვრცელდება. თუ ჩვენ ადამიანს შევაფასებთ ისეთად, როგორიცაა სინამდვილეში, ჩვენ მას მხოლოდ უარესს ვხდით. მაგრამ თუ გადაჭარბებულად შევაფასებთ... თუ ჩვენ ვიქნებით იდეალისტები და გადავაჭარბებთ, მივცემთ მაღალ შეფასებას ადამიანს და შევხედავთ მას სხვა ადგილიდან, საიდანაც ჩანს უკეთესი, ვიდრე სინამდვილეშია, იცით რა ხდება? ჩვენ ხელს ვუწყობთ გახდეს ის ისეთი,როგორიც მართლა შეიძლება იყოს. ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ ცოტათი იდეალისტები, რათა საბოლოოდ ნამდვილი რეალისტები გავხდეთ. რადგან **თუ ჩვენ ადამიანს გაწვიხილავთ ისეთად, როგორიც ვალდებულია იყოს, ვუსპობთ შესაძლებლობას გახდეს ისეთი, როგორიც შეიძლება გამხდარიყო.** ეს არ უთქვამს ჩემი პილოტირების ინსტრუქტორს და არც ჩემი სიტყვებია, ეს თქვა დიდმა გოეთემ, ეს მან გამოთქვა ასე. ახლა თქვენ ხვდებით, თუ ჩემს ერთ -ერთ ნაშრომში რატომ დავწერე, რომ ეს ყველაზე მორგებული მაქსიმა და მოტივია ნებისმიერი ფსიქოთერაპევტული მოღვაწეობისთვის.

ამგვარად, თუ თქვენ ვერ დაინახავთ ახალგაზრდაში საზრისს, მისი საზრისის ძიებას, მას მხოლოდ უარესს, მოსაწყენს, იმედგაცრუებულს ხდით და თანდათან უფრო მძაფრდება ეს იმედგაცრუება. მაგრამ თუ ამ ადამიანში, პატიმარში ან არასრულწლოვან დამნაშავეში ან ნარკომანში დაინახავთ თუნდაც ნაპერწკალს მის მიერ საზრისისაკენ სწრაფვისა, მოდით, ხელი შეუწყვეთ, დაუშვით მისი არსებობა. მაშინ თქვენ გამოიწვევთ ამას მასში და თქვენ აიძულებთ მას გახდეს ისეთი, როგორიც, პრინციპში, შეუძლია რომ იყოს.[96]

[96] http://iteacher2014.blogspot.com/ მოძიებული: 2.09.2019

ტესტი N 21

არგუმენტირებული ესე. თვალსაზრისის დასაბუთების კულტურა

- ესეს ზოგადი ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება. არგუმენტირების სისტემა
- ესეს სტრუქტურა. შესავალი ნაწილის სპეციფიკა
- ესეს ძირითადი ნაწილი: ავტორის შეხედულების დასაბუთება; საწინააღმდეგო პოზიციის / პოზიციების გაბათილება
- ესეს დასკვნა. ესეს შემოწმება

1. რომელია სწორი პასუხი?
ესეს, როგორც ლიტერატურულ ჟანრს, საფუძველი ჩაეყარა:
ა) ანტიკურ ხანაში;
ბ) შუა საუკუნეებში.

2. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ესეს სპეციფიკურობას განსაზღვრავს:
ა) ავტორის ინდივიდუალური ხედვა;
ბ) საზოგადოების შეფასება.

3. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
დანიშნულების მიხედვით, ცნობილია:
ა) ორი ტიპის ესე: ინფორმაციული და არგუმენტირებული;
ბ) სამი ტიპის ესე: ინფორმაციული, ანალიტიკური და არგუმენტირებული.

4. რომელია სწორი?
არგუმენტირებულ ესეში ავტორი:
ა) მსჯელობისა და ლოგიკური დასაბუთების გზით აყალიბებს საკუთარ პოზიციას კონკრეტულ საკითხზე;
ბ) კონკრეტულ საკითხზე ინფორმაციას – ზოგადი ცოდნას – აძლევს მკითხველს.

5. რომელია მცდარი?
აღწერითი, განმარტებითი, ილუსტრირებული და ანალიტიკური ესეები
ა) არგუმენტირებული ესეს სახეობებია;
ბ) ინფორმაციული ესეს სახეობებია.

6. შემოხაზეთ სწორი პასუხი.
ინტერპრეტაციულ ესეში წარმოდგენილია
ა) კონკრეტულ საკითხზე არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა ავტორისეული ანალიზი და შეფასება;
ბ) ავტორის ინდივიდუალური ხედვა რომელიმე მწერლის შემოქმედებაზე;

7. აირჩიეთ სწორი პასუხი.
არგუმენტის საპირისპირო საბუთია
ა) ქვეარგუმენტი;
ბ) კონტრარგუმენტი.

8. შემოხაზეთ მცდარი ვარიანტი.
არგუმენტირების სისტემა გვეხმარება ისეთი საკითხების მოგვარებაში, როგორიცაა:
ა) ავტორის შეხედულების დასაბუთება;
ბ) განსხვავებული შეხედულებების აკადემიურად შეფასება;
გ) სტატისტიკური მონაცემების მოძიება.

9. რომელია სწორი?
არგუმენტირებული ესეს შესავალი იწერება:
ა) შედარებით სადა სტილით;
ბ) შაბლონური, პათეტიკური ფრაზებით.

10. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.
ეფექტური დასაწყისისთვის გამოსადეგია:
ა) ცნობილი გამონათქვამი;
ბ) ციტირება;
გ) მსჯელობაში გამოსაყენებელ ტერმინთა განმარტება;
დ) ფაქტები და სტატისტიკა.

11. რომელია მცდარი?

პრობლემური საკითხის წამოჭრა და კვლევის მიზნის განსაზღვრა არის ესეს

ა) შესავალი ნაწილის ერთ-ერთი მოთხოვნა;

ბ) ძირითადი ნაწილის ერთ-ერთი მოთხოვნა.

12. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

თეზისი წარმოადგენს:

ა) ავტორის ძირითად დებულებას, რომელიც მან თავისი კვლევით უნდა დაამტკიცოს.

ბ) სხვათა დებულებას, რომელიც ავტორმა თავისი კვლევით უნდა გააბათილოს.

13. რომელია სწორი?

ავტორის შეხედულებათა სისტემაში გარკვევისათვის მნიშვნელოვანია:

ა) თეზისის შესავალ ნაწილში წარდგენა;

ბ) თეზისის დასკვნით ნაწილში წარდგენა.

14. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

ავტორს თავისი თეზისის ძლიერი და სუსტი მხარეების ობიექტურად შეფასებაში ეხმარება

ა) საწინააღმდეგო პოზიციის გაცნობა;

ბ) არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების სქემის შედგენა.

15. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

ძლიერი და ნაკლებად ძლიერი არგუმენტების თანმიმდევრობას

ა) ზოგადად დადგენილი წესი არეგულირებს;

ბ) ავტორი წყვეტს.

16. რომელია სწორი?

კონტრარგუმენტის განხილვა და უკუგდება

ა) არგუმენტირების მნიშვნელოვანი მხარეა;

ბ) არგუმენტირების არაარსებითი მხარეა.

17. აირჩიეთ სწორი პასუხი.

კონტრარგუმენტების გაბათილების აკადემიური საშუალებაა:

ა) კომპრომისული დამოკიდებულება ოპონენტების პოზიციის მიმართ;

ბ) ოპონენტების პოზიციის უგულებელყოფა.

18. შემოხაზეთ მცდარი პასუხი.

იმის გაანალიზება, თუ რა არის საერთო საპირისპირო პოზიციებს შორის, არის:

ა) კომპრომისული დამოკიდებულების ერთ-ერთი გამოხატულება;

ბ) საკუთარ პოზიციაზე უარის თქმა.

19. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

არგუმენტების შეჯამება ხდება

ა) ესეს დასკვნით ნაწილში;

ბ) ესეს ძირითადი ნაწილის დასაწყისში.

20. რომელია სწორი?

დასკვნით ნაწილში თეზისის გამეორება (სხვა სიტყვებით)

ა) ჭარბია, უსარგებლოა;

ბ) აუცილებელია მკითხველის კვლავ სამსჯელო საკითხზე ორიენტირებისათვის.

21. აირჩიეთ მცდარი პასუხი.

ავტორისაგან პრობლემური საკითხის გადაწყვეტა მკითხველისათვის არის

ა) რჩევა, რეკომენდაცია;

ბ) კატეგორიული მითითება.

22. შემოხაზეთ სწორი პასუხი.

სპეციალისტთა მიერ შემუშავებული კითხვები ავტორს ეხმარება

ა) ესეს ლოგიკური და სტრუქტურული მთლიანობის შემოწმებაში;

ბ) საკუთარი თავის პოვნაში.

ბიბლიოგრაფია

ავალიანი და დადიანი, 2014 – ლ. ავალიანი და ე. დადიანი, არაბული წარმოშობის ლექსიკა ქართულ ჟარგონულ მეტყველებაში, *ქართველური მემკვიდრეობა*, XVIII ტომი, ქუთაისი

„ალტერნატივა", 1999, N 25(39)

ანდრონიკაშვილი, 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, თბილისი

არაბული, 2004 – ა. არაბული, *ქართული მეტყველების კულტურა*, თბილისი: "უნივერსალი"

არაბული, 2015 – ა. არაბული, ბ. არაბული, ტ. ფუტკარაძე (სარედაქციო საბჭო), *ბათირა არაბული – მითებში შობილთა მემკვიდრე*, თბილისი: „ლომისი"

არდაზიანი, 1859 – ლ. არდაზიანი, Беглый обзор 12 книжек журнала „Заря" с января по декабря 1858 г. ნ. ბერძენოვისა, *„ცისკარი"*, 1859 წ., N 9

აფრიდონიძე, 2009 – შ. აფრიდონიძე, *ჩვენი ენა ქართული*, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

აფრიდონიძე, 1986 – შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბილისი: „მეცნიერება"

აბვლედიანი, 1999 – გ. აბვლედიანი, *ზოგადი ფონეტიკის შესავალი*, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა

არისტოტელე, 1981 – არისტოტელე, *რიტორიკა* (ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო თამარ კუკავამ); ა. ურუშაძე (რედ.), თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ბაბუნაშვილი, 1963 – ე. ბაბუნაშვილი, სამი სტილის თეორია ქართულ მწერლობაში, *თსუ შრომები*, ტ. 96

ბაბუნაშვილი, 1970 – ე. ბაბუნაშვილი, *ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები*, თბილისი

ბასილაია, 1991 – ნ. ბასილაია, *ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა*, თბილისი: "განათლება"

ბაქრაძე, 1860 – დ. ბაქრაძე, „წიგნი მიწერილი თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართული უბნობისა ანუ წერისა", *„ცისკარი"*, 1860, N 8

ბრეგაძე, 1999 – ლ. ბრეგაძე, უძნელესი პროფესია, გაზ. *„ალტერნატივა"*, 1999, N 25 (39)

გამსახურდია, 1985 – კ. გამსახურდია, *თბზულებათა ათტომეული*, ტ. VIII, თბილისი: "საბჭოთა საქართველო"

გამყრელიძე, 1990 – თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა, თბილისი

გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელია, 2008 – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, *თეორიული ენათმეცნიერების კურსი* (მეორე გამოცემა), თბილისი: "თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა"

„განათლება", 1914, N 4; N 6

გელენიძე, 1981 – ლ. გელენიძე, ტერმინოლოგიისა და საერთო-სახალხო ენის მიმართებისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით, *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წიგნი მეოთხე, თბილისი: "მეცნიერება"

გვანცელაძე, 2000 – თ. გვანცელაძე, ენათა ფუნქციონირება პოლიეთნიკურ რეგიონში მართვადი ენობრივი პოლიტიკის პირობებში, ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი

გოგოლაშვილი, 2006 – თ. გოგოლაშვილი, *სახის ლინგვისტური რეალიზაცია საგაზეთო კომუნიკაციაში (ბრიტანული და ქართული პრესის მასალაზე)*, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბილისი http:/www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000133/Disertacia.pdf

მოძიებულია 25. 06. 2013

გოჩიტაშვილი, შაბაშვილი, შარაშენიძე, 2008 – ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი, ნ. შარაშენიძე, *აკადემიური წერა*, პირველი გამოცემა, თბილისი: „საიმედო"

„გუთნისდედა", 1862, N 2; 1864, N 12, N 15; 1873, N 16; 1875, N 7; 1878, N 12

„დროება", *1880, N 212*

დუნდუა და შავთვალაძე, 2009 – შ. დუნდუა და ნ. შავთვალაძე, *აკადემიური წერა*, თბილისი

ვაჟა-ფშაველა, 1979 – ვაჟა-ფშაველა, *თხზულებანი ორ ტომად*, ტ.1, ლექსები, პოემები, თბილისი: "საბჭოთა საქართველო"

ვაშაკიძე, 2009 – ი. ვაშაკიძე, *ტერმინთმშემოქმედების პრინციპები XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში*, კავკასიოლოგიური სერია, VIII, თბილისი: "უნივერსალი"

ვაშაკიძე, 2010 – ი. ვაშაკიძე, "უცხოს" მნიშვნელობის ცვლისათვის რუსულ იმპერიულ სივრცეში, *ქართველური მემკვიდრეობა*, XIV, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ვაშაკიძე, 2013 – ი. ვაშაკიძე, აკადემიური წერა ქართული განათლების სისტემაში, *ქართველური მემკვიდრეობა*, ტ. XVII, ქუთაისი, 2013 წ.

ვაშაკიძე, 2016 – ი. ვაშაკიძე, *ქართული ენის პრაქტიკული კურსი და აკადემიური წერის საფუძვლები*, თბილისი: „უნივერსალი"

ზექალაშვილი, 2004 – რ. ზექალაშვილი, *ქართული მართლწერის საკითხები*, თბილისი

ზექალაშვილი, 2000 – რ. ზექალაშვილი, *ქართული ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხები*, თბილისი

ზექალაშვილი, 2012 – რ. ზექალაშვილი, *ქართული დიალოგური მეტყველება*, თბილისი: „უნივერსალი"

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია - სალიტერატურო ენა, გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, მ. სუხიშვილი, მ. მანჯგალაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე (ავტორთა ჯგუფი), თბილისი: „მერიდიანი", 2011

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, 1970, თბილისი: "მეცნიერება"

თვალთვაძე და გაფრინდაშვილი, 2005 – დ. თვალთვაძე და ნ. გაფრინდაშვილი, *რიტორიკის შესავალი*, თბილისი: "ნეკერი"

თოფურია, 1972 – ვ. თოფურია, წმინდა თუ სუფთა? *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წიგნი პირველი, თბილისი: "მეცნიერება"

თოფურია, 2002 – ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში, შრომები, II, თბილისი: "ქართული ენა"

თოფურია და გიგინეიშვილი, 1998 – ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი, *ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი*, თბილისი: „განათლება"

"ივერია", 1886, N 12, 1902, N 13; 1903, N4

კიკნაძე, 1999 – გრ. კიკნაძე, *თხზულებანი*, III, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

კიკნაძე, 2005 – ი. კიკნაძე, *მე-19 საუკუნის ქართული დრამატურგიის ენა (1838-1870)*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

კვარაცხელია, 1990 – გ. კვარაცხელია, *ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა*, თბილისი

კოშორიძე, 2005 – ე. კოშორიძე, *მწერლის ენისა და სტილის საკითხები*, თბილისი: „მერიდიანი"

ლემონჯავა, 1981 – ნ. ლემონჯავა, *კონსტანტინე გამსახურდიას ენისა და სტილის საკითხები*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ლეჟავა, 1988 – ლ. ლეჟავა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მერვე, თბილისი: "მეცნიერება"

მელიქიშვილი, 1975 – დ. მელიქიშვილი, *იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი*, თბილისი

მელიქიშვილი, 1983 – დ. მელიქიშვილი, ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები, *„მნათობი"*, 1983, N 1

მელიქიშვილი, 1988 – დ. მელიქიშვილი, *"გელათის სალიტერატურო სკოლა (XI-XIIსს.) და ქართული ფილოსოფიური ენის ჩამოყალიბების გზები"*, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი

მელიქიშვილი, 2009 – დ. მელიქიშვილი, სიტყვაწარმოების საერთო საშუალებანი იოანე პეტრიწისა და ეფრემ მცირის ენაში, *ფილოლოგიური ძიებანი* (სტატიების კრებული), თბილისი: ლოგოსი

ონიანი, 1966 – ალ. ონიანი, *ქართული იდიომები*, თბილისი

ორბელიანი, 1857 – ალ. ორბელიანი, "წერილი რედაკტორთან", *„ცისკარი"*, 1857, N 6
ორბელიანი, 1860 – ალ. ორბელიანი, „ქართული უბნობა ანუ წერა", *„ცისკარი"*, 1860 წ., N 6
ორბელიანი, 1966 – ს.ს. ორბელიანი, *თხზულებანი*, ტ. IV-2, თბილისი: "საბჭოთა საქართველო"
ორბელიანი, 1991 – ს.ს. ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 1991, თბილისი: "მერანი"
ბატარიძე, 1980 – რ. პატარიძე, *ქართული ასომთავრული*, თბილისი: "ნაკადული"
ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, 2002, თბილისი: "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
რუსთაველი, 2009 – შ. რუსთაველი, *„ვეფხისტყაოსანი"*, სასკოლო გამოცემა, თბილისი
რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983, თბილისი: „საბჭოთა საქართველო"
სანიკიძე, 1988 – ლ. სანიკიძე, *გიორგი სააკაძე*, თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა"
სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 2011 წელი
„სასოფლო გაზეთი" 1869, N 22; 1870, N 4, 11, 13
საღინაძე, 1995 – რ. საღინაძე, *ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები*, ქუთაისი
საღინაძე, 2008 – რ. საღინაძე, *ძველი ქართული ენა (V-XI საუკუნეები)*, თბილისი
საღინაძე, 2013 – რ. საღინაძე, *სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები*, თბილისი, „საქართველოს მაცნე"
სახოკია, 1979 – თ. სახოკია, *ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი*, თბილისი: „მერანი"
ტაბიძე, 2007 – მ. ტაბიძე, კომპოზიტების მართლწერისათვის, *ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა*, პირველი კრებული, თბილისი
ფასმერი, 1987 – М. Фасмер, *Этимологический словарь русского языка*, т. III, М.
ფეიქრიშვილი, 1992 – ჟ. ფეიქრიშვილი, *ქართული ენის მორფოლოგია*, სალექციო კურსი, ქუთაისი: „სარანგი"
ფეიქრიშვილი, 1996 – ჟ. ფეიქრიშვილი, *ქართული ენის სინტაქსი*, სალექციო კურსი, ქუთაისი: ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება "სტამბის" საგამომცემლო ცენტრი
ფეიქრიშვილი, 2006 – ჟ. ფეიქრიშვილი, უძველესი წერილობითი ძეგლები (ეპიგრაფიკული წარწერები, ხელნაწერები, ძველი ქართული თხზულებები), *ქართული ენის ისტორია* (რედ. ტ. ფუტკარაძე), ქუთაისი: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 85-94
ფენრიხი და სარჯველაძე, 2000 – ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე, *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, თბილისი
ფუტკარაძე, 2005 – ტ. ფუტკარაძე, *ქართველები* (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები)
ფუტკარაძე, 2006 – ტ. ფუტკარაძე (რედ.), *ქართული ენის ისტორია*, ქუთაისი: „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"
ფუტკარაძე და ვაშაკიძე, 2011 – ტ. ფუტკარაძე, ი. ვაშაკიძე, *ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში*, თბილისი
ფუტკარაძე, 2013 – ტ. ფუტკარაძე, ქართული ენის ტექნოლოგიზება: პირველი რიგის გადაუდებელი ამოცანები, *ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები*, II
ფუტკარაძე, 2014 – ტ. ფუტკარაძე, *ქართველოლოგიის შესავალი*, თბილისი
ფუტკარაძე, 2015-ა – ტ. ფუტკარაძე, განათლება და ქართველთა ეთნიკური (ეროვნული) თვითაღქმა ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში (აჭარა, ლაზეთი, ტაო-კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი), *საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შრომები*, ტ. II, თბილისი, 2015, გვ. 82–92.
ფუტკარაძე, 2015-ბ – Т. Руткарадзе, К соотношению общекартвельского и стандартного грузинского языков (фонематическая структура); *Евразиийский вестник гуманитарных исследований*, Пермский институт экономики и финансов, 2015 №2, Пермь
ფუტკარაძე, 2019 – ტ. ფუტკარაძე, *ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები*, თბ., „უნივერსალი"

ფოჩხუა, 1974 – ბ. ფოჩხუა, *ქართული ენის ლექსიკოლოგია*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქართული ენა /ენციკლოპედია/, 2008, თბილისი: "ეროვნული მწერლობა"

ქართული მწერლობა, ტომი პირველი,1987, თბილისი: "ნაკადული"

ქართული მწერლობა, ტომი მეშვიდე, 1989, თბილისი:"ნაკადული"

ქაროსანიძე, 2016 – ლ. ქაროსანიძე (რედ.), *ტერმინოლოგიის საკითხები*, II (ეძღვნება რ. ღამბაშიძის ხსოვნას), თბილისი

ქსკს – *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წიგნი პირველი – მეათე, თბილისი: მეცნიერება, 1972–1993 წწ.

ქაცარავა და ვაშაკიძე, 2002 – მ. ქაცარავა, და ი. ვაშაკიძე, *ქართული ენის პრაქტიკული კურსი*, ქუთაისი: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქაჯაია, 2001 – ო. ქაჯაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, ტ. I, თბილისი: "ნეკერი"

ქეგლ-ი – *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I–VIII, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950-1964 წწ.

ღამბაშიძე, 1986 – რ. ღამბაშიძე, *ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის პრინციპები*, თბილისი: „მეცნიერება"

ღვინჯილია, 1983 – ჯ. ღვინჯილია, *გიორგი საკაძის პიროვნება*, მე-2 გამოცემა, თბ., 1983

ღლონტი, 1988 – ალ ღლონტი, *ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები*, თბილისი: „განათლება"

შანიძე, 1980 – ა. შანიძე, *თბზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. III, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

შანიძე, 1981 – უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, *თბზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II, თბილისი: მეცნიერება"

შარაძენიძე, 1974 – *ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა*, თბილისი: "მეცნიერება"

ჩიქობავა, 1952 – არნ. ჩიქობავა, *ენათმეცნიერების შესავალი*, თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ჩიქობავა, 1968 – არნ. ჩიქობავა, *მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში*, I, თბილისი

ჩიქობავა, 1979 – სალიტერატურო ენა და ნორმა, *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წიგნი მეორე, თბილისი: "მეცნიერება"

ჩუბინაშვილი ,1961 – ნ. ჩუბინაშვილი, *ქართული ლექსიკონი*, თბილისი: "საბჭოთა საქართველო"

ჩუბინაშვილი, 1984 – დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, თბილისი: „საბჭოთა საქართველო"

ჩუხუა, 2000-2003 – მ. ჩუხუა, *ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი*, თბილისი

ჩხეიძე, 1997 – რ. ჩხეიძე, *მზის ამოსვლის წინ*, თბ.: „ლომისი"

ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, IX კლასი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2004, თბილისი: "საქართველოს მაცნე"

ძიძიგური, 1957 – შ. ძიძიგური, *მწერლის ენა*, თბილისი

ძიძიგური, 1982 – შ. ძიძიგური, *საენათმეცნიერო საუბრები*, თბილისი: "ნაკადული"

წერეთელი, 1990 – ა. წერეთელი, „შავი ფიქრები გიორგი საკაძეზე", *რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად*, ტომი V, თბ.: „საქართველო"

წერეთელი, 1960 – გ. წერეთელი, *უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან*, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

წულაძე, 2006 – ლ. წულაძე, აკადემიური წერა, ინტენსიური სემინარი სოციალური მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის, 2006, თბილისი (ელვერსია) http:/ucss.ge/geo/publication/publications_detail. მოძიებული 24. 07. 2013

ჭაბაშვილი, 1989 – მ. ჭაბაშვილი (შემდგ.), *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*, მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი: "განათლება"

ჭავჭავაძე, 1953 – ი. ჭავჭავაძე, *თბზულებათა სრული კრებული ათ ტომად*, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტომი III, თბილისი: სახელგამი

ჭავჭავაძე, 1955 – ი. ჭავჭავაძე, *თბზულებათა სრული კრებული ათ ტომად*, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტომი IV, თბილისი: სახელგამი

ჭავჭავაძე, 1955-ა – ი. ჭავჭავაძე, *თბზულებათა სრული კრებული ათ ტომად*, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტომი V, თბილისი: სახელგამი

ჭავჭავაძე, 1956 – ი. ჭავჭავაძე, *თბზულებათა სრული კრებული ათ ტომად*, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტომი VI, თბილისი: სახელგამი

ჭავჭავაძე, 1957 – ი. ჭავჭავაძე, *თბზულებათა სრული კრებული ათ ტომად*, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტომი VIII, თბილისი: სახელგამი

ჭავჭავაძე, 1986 – ი. ჭავჭავაძე, *რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად*, ტომი III, თბილისი: "საბჭოთა საქართველო"

ჭილაია და ჭილაია, 1984 – ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ხუნდაძე, 1886 – ს. ხუნდაძე, გაზეთი „ივერია" და მისი ენა, *თეატრი*, 1886, N 13

ჯაგოდნიშვილი, ჯაგოდნიშვილი, ვარდიაშვილი, 2008 – თ. ჯაგოდნიშვილი, ივ. ჯაგოდნიშვილი, მ. ვარდიაშვილი, *აკადემიური წერა – კვლევისა და წერის სახელმძღვანელო*, თბილისი: „უნივერსალი"

ჯავახიშვილი, 1960 – ი. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, ტფილისი

ჯავახიშვილი, 1980 – მ. ჯავახიშვილი, ქართული ენა, *თბზულებანი*, ტ. მეექვსე, თბილისი: „საბჭოთა საქართველო"

ჯორბენაძე, 1989 – ბ. ჯორბენაძე, *ქართული დიალექტოლოგია*, I, თბილისი: „მეცნიერება"

ინტერნეტმასალა

http:/galaktion.ge/?page=Diaries&year=1951&p=1&id=4573 მოძიებული: 2.09.2019.

https:/ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90 მოძიებული: 2. 09. 2019

http:/www.dzeglebi.ge/statiebi/etnografia/qartuli_xalxuri_dgesascaulebi.html მოძიებული: 2.09.2019

http:/www.dzeglebi.ge/statiebi/etnografia/yeenoba.html მოძიებული: 2. 09. 2019

https:/www.facebook.com/174250646022750/photos/a.216119758502505.48114.174250646022750/257183044396176/?type=1&theater მოძიებული: 2.09.2019

https://www.facebook.com/morchiladzeaka/photos/a.151390582557016 5/1518387735121974/?type=1&theater მოძიებული: 2.09.2019

https:/burusi.wordpress.com/2011/05/05/bibileishvili/ მოძიებული: 2. 09. 2019

https://worldhistory188.wordpress.com/2017/05/17 მოძიებული: 2.09.2019

https:/burusi.wordpress.com/2010/03/23/archil-jorjadze-4/ მოძიებული: 2.09.2019

http://old.press.tsu.ge/GEO/mimdinare%20kartuli/interviu%20mcerlebtan/mkitxvelebi/mkitxvelebi/lewan%20bregadze/2.html მოძიებული: 2.09.2019

http://www.ambebi.ge/sazogadoeba/95032-qarthuli-chacmulobis-goimuri-tendenciebi-qsaqarthveloshi-sapanashvide-moda-mdzlavrobsq.html მოძიებული: 2.09,2019

https://www.ambebi.ge/article/154061-zlivs-gachnda-shansi-amoegot-karadidan-shemoexviat-mkvdari-cxoveli-operis-gaxsnaze-misuli-sazogadoeba-gaakritikes/ მოძიებული: 2.09.2019

https://staffge.wordpress.com/2011/08/13/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90/ მოძიებული: 2.09.2019.

http:/presa.ge/new/?m=lit&AID=16027 მოძიებული: 2. 09.2019

http:/vani777.blogspot.com/p/blog-page_30.html მოძიებული: 2.09.2019.
http://mastsavlebeli.ge/?p=2426 მოძიებული: 2.09.2019
http://24blog.ge/weekend/story/12340-saqartveloshi-mtserlebs-raghats-skhva-sashualebebit-itsnoben-da-ara-tavianti-mtserlobit მოძიებული: 2.09.2019
http://message.ge/2019/06/06/მეცნიერული-კვლევები-და-ფ/ მოძიებული: 2.09.2019
http://24blog.ge/weekend/story/21004-chanatserebi მოძიებული: 2.09.2019
http://www.lib.ac.ge/index.php?option=com_djcatalog2&view=item&id=6956&cid=300&Itemid=487&prod=1#.XW1G6SgzbDc მოძიებული: 2.09.2019
http://www.orthodoxy.ge/tsodva_satnoeba/gabrieli_matkhvorebze.htm მოძიებული: 2.09. 2019
http://putkaradze1.blogspot.com/2016/04/blog-post.html მოძიებული: 2.09.2019
http:/www.bu.org.ge/x1257?lang=geo მოძიებული: 2.09.2019
http://iteacher2014.blogspot.com/ მოძიებული: 2.09.2019
http:/online.tsu.edu.ge/ge/science/9960/?p=9 მოძიებული: 2.09.2019
https:/ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%94 მოძიებული: 2.09.2019
http:/iliauni.edu.ge/uploads/other/2/2526.pdf მოძიებული: 2.09.2019
https:/ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94 მოძიებული: 2.09.2019.
http://archives.gov.ge/ge/page/polievktos-karbelashvilis-piradi-fondi მოძიებული: 3.09.2019.
https://burusi.wordpress.com/2010/03/23/otar-chiladze-19/ მოძიებული: 3.09.2019
https://atsu.edu.ge/EJournal/Kartvelology/issues/XVIII/AvalianiLela.pdfმოძიებული: 3.09.2019
https://for.ge/view/18110/ras-gulisxmobs-saxelmwifos-marTvis-efeqturi-meqanizmi.html მოძიებული: 3.09.2019
https://mkurnali.ge/kosmetologia/2161.htmlმოძიებული: 3.09.2019
https://old.civil.ge/geo/article.php?id=10823 მოძიებული: 3.09.2019.

შემოკლებათა განმარტება

აბაშ. – ი. აბაშიძე
ამაღლ. – რ. ამაღლობელი
არაბ. – გ. არაბული
ბარათ. – ნ. ბარათაშვილი
გამ. – კ. გამსახურდია
გელოვ. – მ. გელოვანი
გრიშ. – ი. გრიშაშვილი
გურ. – დ. გურამიშვილი
დეის. – ი. დეისაძე
დოჩ. – გ. დოჩანაშვილი
ვაჟა – ვაჟა-ფშაველა
ზუბ. – გ.ზუბიტაშვილი
კალან. – ა. კალანდაძე
კახ. – მ. კახიძე
ლებ. – მ. ლებანიძე
ლეონ. – გ.ლეონიძე
მაჭ. – მ. მაჭავარიანი
მერჩ. – გ. მერჩულე
მღვიმ.– შ. მღვიმელი
ნიშნ.– შ. ნიშნიანიძე
ნონ. – ი. ნონეშვილი
ორბ. – გ. ორბელიანი
პეტრ. – ვ. პეტრიაშვილი
რუსთ. – რუსთაველი
საბა - ს.ს. ორბელიანი
საბან. – ი. საბანისძე
სამად. – ნ. სამადაშვილი
სახ. – სახარება
სულაკ. – ა. სულაკაური
ტაბ. – გ. ტაბიძე
ტ. ტაბ. – ტ. ტაბიძე
უძილ. – ე. უძილაური
ფერ. – ი. ფერაძე
ფოცხ. – მ. ფოცხიშვილი
ფუტკ. – ტ. ფუტკარაძე
ყაზ. – ა. ყაზბეგი
ჩარკვ. – ჯ. ჩარკვიანი
ჩაჩ. – ნ. ჩაჩავა
წერ. – ა. წერეთელი
ალ. ჭავ.– ალ. ჭავჭავაძე
ჭავ. – ი. ჭავჭავაძე
ხალხ. – ხალხური ლექსი
ხარხ. – ტ. ხარხელაური
ჯავახ. – ვ. ჯავახაძე
ჯუღ. – ი. ჯუღაშვილი

ტესტების პასუხები

ტესტი N 1

სამეტყველო ბგერა და მარცვალი

1. ბ)
2. ა)
3. ბ)
4. ა)
5. ბ)
6. ა)
7. ა)
8. ა)
9. ბ)
10. ა)
11. ბ)
12. ბ)
13. ა)
14. ა)
15. ბ)
16. ბ)
17. ბ)
18. ბ)
19. ა)
20. ა)
21. ა)
22. ა)
23. ა)
24. ბ)

ტესტი N 2

ზეპირი მეტყველების გავლენით წერაში დაშვებული შეცდომები

1. ბ)
2. ა)
3. ბ)
4. ა)
5. ბ)
6. ა)
7. ბ)
8. ა)
9. ა)
10. ა)
11. ა)
12. ბ)
13. ბ)
14. ა)
15. ა)
16. ბ)
17. ა)
18. ბ)
19. ა)
20. ბ)

ტესტი N 3

უცხო ენების გავლენით შეპირობებული დარღვევები.
უცხო ბგერებისა და ბგერათკომპლექსების ქართულად გადმოცემა

1. ა)
2. ბ)
3. ა)
4. ბ)
5. ბ)
6. ა)
7. ბ)
8. ა)
9. ა)
10. ა)
11. ა)
12. ა)
13. ა)
14. ბ)
15. ბ)
16. ა)
17. ბ)
18. ა)
19. ბ)
20. ბ)
21. ა)

ტესტი N 4

ვ ბგერის დაკარგვის, შენარჩუნებისა და განვითარების შემთხვევები

1. ბ)
2. ბ)
3. ბ)
4. ბ)
5. ა)
6. ბ)
7. ა)
8. ა)
9. ა)
10. ა)
11. ბ)
12. ბ)
13. ა)
14. ა)
15. ა)
16. ბ)
17. ა)
18. ბ)
19. ა)
20. ბ)

ტესტი N 5.1- 5.4

არსებითი სახელი

- არსებითი სახელის რაობა და ჯგუფები
- სახელის ფუძე; სიტყვამაწარმოებელი და ფორმამაწარმოებელი აფიქსები
- ქართული ენის ბრუნვათა სისტემა
- ფონეტიკური ცვლილებები მარტივ ბრუნვებში. სახელის რიცხვის ფორმები

1. ბ)
2. ბ)
3. ა)
4. ბ)
5. ა)
6. ბ)
7. ბ)
8. ა)
9. ა)
10. ა)
11. ბ)
12. ა)
13. ბ)
14. ა)
15. გ)
16. ა)
17. გ)
18. ა)
19. ა), გ)
20. ბ)
21. ბ)
22. გ)
23. ბ)
24. ა)
25. ა)
26. ა)

ტესტი N 5.5.1.

საზოგადო სახელთა ბრუნება:

- კუმშვადი და უკუმშველი სახელები
- კვეცადი, კუმშვად-კვეცადი და უკვეცელი სახელები
- საზოგადო სახელთა ბრუნების თავისებურებანი
- რთული ბრუნვის ფორმები
- ბრუნვები ცალკე მდგომი თანდებულებით

1. ბ)
2. ა)
3. ა)
4. ა)
5. ა)
6. ბ)
7. ბ)
8. ბ)
9. ა)
10. ბ)
11. ა)
12. ა)
13. ბ)
14. ბ)
15. ა)
16. ბ)
17. ბ)
18. ა)
19. ა)
20. ა)
21. ა)
22. ა)
23. ბ)
24. ა)
25. ბ)
26. ა)
27. ა)
28. ბ)
29. ა)
30. ბ)
31. გ)
32. ა), ბ)
33. ა)
34. გ)
35. ბ)
36. ა)
37. ბ)
38. ა)
39. ბ)
40. ა)
41. ბ)
42. ბ)
43. ა)

ტესტი N 5.5.2.

საკუთარ სახელთა ბრუნება:

- პირთა სახელები
- გვარები
- სახელისა და გვარის / ზედწოდების ერთად ბრუნება
- პროფესიის აღმნიშვნელი სახელის პირის სახელთან /გვართან ერთად ბრუნება
- სათაურები და სახელწოდებები
- გეოგრაფიული სახელები

1. ა)
2. გ)
3. ა), გ)
4. ა)
5. გ)
6. გ)
7. ა)
8. გ)
9. ა)
10. გ)
11. გ)
12. ა)
13. გ)
14. ა), გ)
15. გ)
16. ა)
17. ა), გ)
18. გ)
19. გ)
20. გ)
21. გ)
22. ა)
23. ა)
24. გ)
25. ა)
26. ა)
27. გ)
28. ა)
29. გ)
30. ა)
31. ა)
32. ა)
33. ა)
34. ა)
35. გ)
36. ა)
37. ა)
38. გ)
39. გ)
40. გ)
41. გ)
42. ა)
43. ა)

ტესტი N 5.6.

არსებით სახელთა წარმოება

- -ება და -ირ+ება აფიქსებით ნაწარმოები სახელები
- მრავლობითის -ებ სუფიქსით ნაწარმოები სახელები

1. ა)
2. გ)
3. ა)
4. ა)
5. გ)
6. ა)
7. გ)
8. გ)
9. ა)
10. გ)
11. გ)

ტესტი N 6

ზედსართავი სახელი

- ზედსართავი სახელის რაობა და ჯგუფები
- ზედსართავი სახელის ბრუნება
- ზედსართავ სახელთა წარმოება: -ურ-სუფიქსიანი სახელები; ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმები

1. გ)
2. ა)
3. ა)
4. გ)
5. ა)
6. გ)
7. გ)
8. ა)
9. გ)
10. ა)
11. ა)
12. ა)
13. გ)
14. ა)
15. ა)

16. ბ)
17. ბ)
18. ა)
19. ბ)
20. ბ)
21. ა)
22. ა)
23. ბ)
24. ბ)
25. ა)
26. ბ)
27. ბ)
28. ა)
29. ბ)
30. ა)
31. ბ)
32. ბ)

ტესტი N 7

რიცხვითი სახელი

- რიცხვითი სახელის რაობა და ჯგუფები
- რიცხვით სახელთა წარმოება
- რიცხვითი სახელების ბრუნება

1. ბ)
2. ბ)
3. ბ)
4. ა)
5. ბ)
6. გ)
7. ა), გ)
8. ა)
9. ბ)
10. ა), გ)
11. ა)
12. ა)
13. ბ)
14. ა)
15. ა)
16. ბ)
17. ა)
18. ა)
19. ბ)
20. ა)
21. ბ)
22. ბ)
23. ა)
24. გ)
25. ბ)
26. ა)
27. ბ)
28. ა)
29. ბ)
30. ა), დ)
31. ბ)
32. ა)
33. ბ)
34. ა)
35. ა), გ)
36. ა)
37. ა)

ტესტი N 8.1 – 8.2.6.

ნაცვალსახელი

- ნაცვალსახელის რაობა და ჯგუფები
- ნაცვალსახელთა წარმოება და ბრუნება: I და II პირის ნაცვალსახელები; ნაცვალსახელები: ეს, ეგ, ის/იგი; კითხვითი ნაცვალსახელები: ვინ? რა? კუთვნილებითი ნაცვალსახელები; კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები; მიმართებითი ნაცვალსახელები

1. ა)
2. ბ)
3. ა)
4. ა)
5. ბ)
6. ბ)
7. ა)
8. ბ)
9. ა)
10. ბ)
11. ა)
12. ბ)
13. ა)
14. ა), გ)
15. ა)
16. ბ)
17. ა)
18. ბ)
19. ა)
20. ბ)
21. ა)
22. ბ)
23. ა)
24. ბ)
25. ა)
26. ბ)
27. ა), გ)
28. ა)
29. ბ)
30. ა)
31. ბ)
32. ბ)
33. ა)
34. ბ)
35. ა)
36. ბ)
37. ა)
38. ბ)
39. ა)

ტესტი 8.2.7. – 8.2.12.

ნაცვალსახელი

– ნაცვალსახელთა წარმოება და ბრუნება: ურთიერთობითი ნაცვალსახელები; უარყოფითი ნაცვალსახელები; განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები; განსაზღვრებითი ნაცვალსახელები ნაცვალსახელთა რთული ბრუნვის ფორმები; ნაწილაკიანი ნაცვალსახელები

1. ა)
2. ბ)
3. ა)
4. ბ)
5. ბ)
6. ა)
7. ბ)
8. ბ)
9. ა)
10. ა)
11. ა)
12. გ)
13. ა)
14. ბ)
15. ა)
16. ბ)
17. ა)
18. ბ)
19. ა)
20. ბ)
21. ა)
22. ბ)
23. ა), გ)
24. ბ)
25. ა)
26. ა), დ)
27. ბ)
28. ა)
29. ბ)
30. ა)
31. ა)
32. ბ), გ)
33. ა)
34. ბ)
35. ა)
36. ბ)
37. ა)
38. ბ)
39. ბ)
40. გ)

ტესტი N 9

ზმნიზედა

– ზმნიზედის რაობა და ჯგუფები
– ზმნიზედის წარმოება

1. ა)
2. ბ)
3. ა)
4. ბ)
5. ა)
6. ა)
7. ბ), დ)
8. ბ)
9. ა)
10. ა)
11. ბ)
12. ა)
13. ბ)
14. ბ) -დ)
15. ა)
16. გ)
17. ა)
18. ა)
19. ბ)
20. ა)
21. ბ)
22. გ)
23. ბ)
24. ა)
25. ბ)
26. ბ)
27. ა)
28. ბ)
29. ა)
30. ბ)
31. ბ)

ტესტი N 10.1– 10.2.1.

ზმნა

– ზმნის რაობა და ძირითადი კატეგორიები
– პირისა და რიცხვის ფორმები

პირის დახასიათება. პირთა ძირითადი კომბინაციები. ობიექტური პირების გარჩევა

1. ბ)
2. ა)
3. ბ)
4. ა)
5. ბ)
6. ბ)
7. ა)
8. ბ)
9. ა)
10. ა)
11. ბ)
12. ა)
13. ბ)
14. ა)
15. ბ)
16. ბ)
17. ა)
18. ა)
19. ა),გ)
20. გ)
21. ა)
22. ბ)
23. ბ)
24. ბ)
25. ა)

ტესტი N 10.2.2. – 10.2.3.

ზმნა

- ზმნის რიცხვი. პირისა და რიცხვის ნიშანთა ცხრილი
- პირის ნიშნები მარტივფუძიან ზმნურ ფორმებში

1. ა)
2. ბ)
3. ა)
4. ბ)
5. ბ)
6. ა)
7. ა)
8. ბ)
9. დ)
10. ა)
11. ბ)
12. ა)
13. ა)
14. ბ), დ)
15. ა)
16. ბ)
17. ბ)
18. ბ)
19. ა)
20. ა)
21. ბ)
22. ა)
23. ბ)
24. ა)
25. ბ)
26. ა)
27. ბ)
28. ა)
29. ბ), გ)
30. ა)
31. ა)

ტესტი N 10.2.4.– 10.3.

ზმნა

პირის ნიშნები რთულფუძიან ზმნურ ფორმებში

რიცხვში მონაცვლე ზმნები

1. ბ), გ)
2. ა)
3. ბ)
4. ა)
5. ა)
6. ბ)
7. ა), გ)
8. ბ)
9. ა)
10. ბ)
11. ა)
12. ბ)

ტესტი N 10.4.

ზმნისწინი

- ზმნისწინის რაობა და ჯგუფები
- ზმნისწინიან ფორმათა მართლწერა

1. ა)
2. ბ)
3. ა)
4. ბ)
5. ა)
6. ა)
7. ბ)
8. ა)
9. ბ)
10. ა)
11. ბ)
12. ა)
13. გ)
14. ა)
15. ა)
16. ბ)
17. ა)
18. ბ)
19. ა)
20. ა)
21. ბ)
22. ა)

ტესტი 8.2.7. – 8.2.12.

ნაცვალსახელი

– ნაცვალსახელთა წარმოება და ბრუნება: ურთიერთობითი ნაცვალსახელები; უარყოფითი ნაცვალსახელები; განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები; განსაზღვრებითი ნაცვალსახელები ნაცვალსახელთა რთული ბრუნვის ფორმები; ნაწილაკიანი ნაცვალსახელები

1. ა)
2. გ)
3. ა)
4. გ)
5. გ)
6. ა)
7. გ)
8. გ)
9. ა)
10. ა)
11. ა)
12. გ)
13. ა)
14. ბ)
15. ა)
16. ბ)
17. ა)
18. ბ)
19. ა)
20. ბ)
21. ა)
22. ბ)
23. ა), გ)
24. ბ)
25. ა)
26. ა), დ)
27. ბ)
28. ა)
29. ბ)
30. ა)
31. ა)
32. ბ), გ)
33. ა)
34. ბ)
35. ა)
36. ბ)
37. ა)
38. ბ)
39. ბ)
40. გ)

ტესტი N 9

ზმნიზედა

- ზმნიზედის რაობა და ჯგუფები
- ზმნიზედის წარმოება

1. ა)
2. ბ)
3. ა)
4. ბ)
5. ა)
6. ა)
7. ბ), დ)
8. ბ)
9. ა)
10. ა)
11. ბ)
12. ა)
13. ბ)
14. ბ) -დ)
15. ა)
16. გ)
17. ა)
18. ა)
19. ბ)
20. ა)
21. ბ)
22. გ)
23. ბ)
24. ა)
25. ბ)
26. ბ)
27. ა)
28. ბ)
29. ა)
30. ბ)
31. ბ)

ტესტი N 10.1– 10.2.1.

ზმნა

- ზმნის რაობა და ძირითადი კატეგორიები
- პირისა და რიცხვის ფორმები

პირის დახასიათება. პირთა ძირითადი კომბინაციები. ობიექტური პირების გარჩევა

1. ბ)
2. ა)
3. ბ)
4. ა)
5. ბ)
6. ბ)
7. ა)
8. ბ)
9. ა)
10. ა)
11. ბ)
12. ა)
13. ბ)
14. ა)
15. ბ)
16. ბ)
17. ა)
18. ა)
19. ა),გ)
20. გ)
21. ა)
22. ბ)
23. ბ)
24. ბ)
25. ა)

ტესტი N 10.2.2. – 10.2.3.

ზმნა

- ზმნის რიცხვი. პირისა და რიცხვის ნიშანთა ცხრილი
- პირის ნიშნები მარტივფუძიან ზმნურ ფორმებში

1. ა)
2. გ)
3. ა)
4. გ)
5. გ)
6. ა)
7. ა)
8. გ)
9. დ)
10. ა)
11. გ)
12. ა)
13. ა)
14. გ), დ)
15. ა)
16. გ)
17. გ)
18. გ)
19. ა)
20. ა)
21. გ)
22. ა)
23. გ)
24. ა)
25. გ)
26. ა)
27. გ)
28. ა)
29. გ), გ)
30. ა)
31. ა)

ტესტი N 10.2.4.– 10.3.

ზმნა

პირის ნიშნები რთულფუძიან ზმნურ ფორმებში

რიცხვში მონაცვლე ზმნები

1. გ), გ)
2. ა)
3. გ)
4. ა)
5. ა)
6. გ)
7. ა), გ)
8. გ)
9. ა)
10. გ)
11. ა)
12. გ)

ტესტი N 10.4.

ზმნისწინი

- ზმნისწინის რაობა და ჯგუფები
- ზმნისწინიან ფორმათა მართლწერა

1. ა)
2. გ)
3. ა)
4. გ)
5. ა)
6. ა)
7. გ)
8. ა)
9. გ)
10. ა)
11. გ)
12. ა)
13. გ)
14. ა)
15. ა)
16. გ)
17. ა)
18. გ)
19. ა)
20. ა)
21. გ)
22. ა)

ტესტი N 10.5.

ზმნის მწკრივის ფორმები

- მწკრივის რაობა. მწკრივთა წარმოება; მწკრივის კომპონენტები: დრო, კილო, ასპექტი, გზისობა
- მწკრივის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსები (თემის ნიშნები)

1. ა)
2. გ)
3. ა)
4. გ)
5. გ)
6. გ)
7. ა)
8. გ)
9. ა)
10. გ)
11. გ)
12. ა)
13. ა)
14. გ)
15. ა)
16. გ)
17. გ)
18. ა)
19. გ)
20. ა)
21. გ)
22. ა)
23. გ)
24. გ)
25. ა)
26. ა)
27. გ)
28. გ)

ტესტი N 10. 6

ზმნური ყალიბები და მათი წარმოება

- კაუზატივის (შუალობითი კონტაქტის) ფორმები
- "დავბადებულვარ" და "დავბადებიყავ" ტიპის ფორმები
- "გაკეთებულ იქნა" ტიპის ფორმები

1. ა)
2. გ)
3. ა)
4. ა)
5. გ)
6. ა)
7. ა)
8. ა)
9. გ)
10. ა)
11. ა)
12. ა)
13. გ)
14. ა)
15. გ)
16. ა)
17. გ)
18. ა)
19. გ)
20. ა)
21. გ)

ტესტი N 11

ზმნისაგან ნაწარმოები სახელები (საწყისი და მიმღეობა)

- საწყისის წარმოება და მართლწერა
- მიმღეობის წარმოება და მართლწერა

1. ა)
2. გ)
3. გ)
4. ა)
5. გ)
6. გ)
7. ა)
8. გ)
9. გ)
10. ა)
11. ა), გ)
12. გ)
13. გ)
14. ა)
15. გ)
16. ა)
17. ა)
18. გ)
19. გ)
20. გ)
21. გ)
22. გ)
23. გ)
24. გ)
25. ა)
26. ა)
27. გ)
28. ა)
29. გ)
30. ა)
31. გ)
32. ა)
33. გ)
34. ა)
35. ა)
36. გ)
37. ა)
38. გ)
39. ა)

40. ბ)
41. ბ)
42. ა)
43. ა)
44. ბ)
45. ა)
46. ა)
47. ბ)

ტესტი N 12

კომპოზიცია

- კომპოზიტის რაობა და ჯგუფები
- კომპოზიტების წარმოება და მართლწერა

1. ა)
2. ბ)
3. ა)
4. ბ)
5. ბ)
6. ა)
7. ბ)
8. გ)
9. ბ)
10. ა)
11. ა)
12. ბ)
13. ა)
14. ბ)
15. ბ)
16. ბ), დ)
17. ა)
18. ბ)
19. ბ), დ)
20. ა)
21. ა)
22. ბ)
23. ბ)

ტესტი N 13

სიტყვათშემოკლება და აბრევიატურა

- სიტყვათშემოკლებათა მართლწერა
- აბრევიატურის მართლწერა

1. ა)
2. ბ)
3. ა)
4. ა)
5. ბ)
6. გ)
7. ა)
8. ბ)
9. ა)
10. ბ)
11. გ)
12. ა)
13. ა)
14. გ)
15. ა)
16. ბ)
17. ა)
18. ბ)
19. ა)
20. ა)
21. ბ)
22. ა)
23. ა)
24. ა)
25. ბ)

ტესტ N 14

- სინტაგმა
- სინტაქსური კავშირის სახეები: მსაზღვრელი და საზღვრული; შეთანხმებული მსაზღვრელი; მართული მსაზღვრელი; რამდენიმემსაზღვრელიანი შესიტყვება
- ქვემდებარესა და დამატებასთან ზმნის რიცხვში შეთანხმება

1. ა)
2. ა)
3. ბ)
4. დ)
5. ბ)
6. ბ)
7. ბ)
8. ა)
9. ბ)
10. ა)
11. ა)
12. ბ)
13. ა)
14. ბ)
15. ა)
16. ბ)
17. გ)
18. ა)
19. ბ)
20. ბ)
21. ბ), გ)
22. ბ), დ)
23. ა)
24. ა), გ)

25. ა)
26. ბ)
27. ბ)
28. ა)
29. ბ)

ტესტი N 15

წინადადება

- ზმნური კონსტრუქციების ცვლილება
- კორელატის (მისათითებელი სიტყვისა) და წევრ-კავშირის ზოგიერთი კონსტრუქცია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში
- მისამართი სიტყვისა და "რომელ" წევრ-კავშირის ადგილის განსაზღვრა და რიცხვში შეთანხმება
- მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებების აღრევა
- სინტაქსური ასიმილაცია
- .რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და პირიქით
- ორმაგი უარყოფა

1. ა)
2. გ)
3. ა)
4. ა)
5. ბ)
6. ა) გ)
7. ბ), გ)
8. ა)
9. ა) გ)
10. გ)
11. ა)
12. ა)
13. ბ)
14. ა) გ)
15. ბ)
16. ა)
17. ა) დ)
18. ბ)
19. ბ)
20. ბ)
21. ბ)
22. ა)
23. ბ)
24. ა)
25. ა)
26. გ)
27. ბ)
28. ბ)
29. ა), დ)
30. ბ). დ)

ტესტი N 16

პუნქტუაცია

1. გ)
2. ა)
3. ბ)
4. ბ)
5. ბ)
6. ა)
7. ბ)
8. ა)
9. ბ)
10. ბ)
11. ა)
12. ა), გ)
13. ბ)
14. ა), გ)
15. ბ)
16. ა)
17. ა)
18. ა)
19. ა), ბ)
20. ბ)
21. ბ)
22. ბ)
23. ა)
24. ბ)
25. გ)
26. ბ)
27. ა)
28. ა)
29. ბ)
30. გ)
31. ა),გ)

ტესტი N 17

პირდაპირი და ირიბი ნათქვამის გადმოცემა

1. ბ)
2. ა)
3. ბ)
4. ა), ვ)
5. ბ)
6. ა)
7. ბ)
8. ა)
9. ა)
10. ბ)

ტესტი N 18.1 –18.10.

სიტყვების ისტორია; ტერმინოლოგია

- საერთოქართველური სიტყვები
- საყოველთაოდ გავრცელებული და დიალექტური ლექსიკა
- ნასესხები სიტყვები
- საერთაშორისო სიტყვები
- კალკი
- ბარბარიზმები
- პირეული, წარმოქმნილი და რთული სიტყვები. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები
- ტერმინები
- ნეოლოგიზმები
- არქაიზმები და ისტორიზმები

1. ა)
2. ბ)
3. ა)
4. ბ)
5. ბ)
6. ბ)
7. ა)
8. გ)
9. ბ)
10. ბ)
11. ბ)
12. ა)
13. ბ)
14. ბ)
15. ა)
16. ა)
17. ბ)
18. ბ)
19. ა)
20. ბ)
21. ა)
22. ა)
23. ა)
24. ბ)
25. ა)
26. ა)
27. ბ)
28. გ)
29. ა)
30. ბ)
31. ბ)
32. გ)
33. ბ)
34. ა)
35. ბ)
36. ბ)
37. ბ)

ტესტი N 18.11. – 18. 16

- სიტყვა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა, დავიწროება და გაფართოება; სიტყვათა მყარი შეხამებანი;
- სინონიმები
- ანტონიმები
- ომონიმია
- ევფემიზმები და დისფემიზმები. ტაბუდადებული სიტყვები. ვულგარიზმები. პარონიმები და პარონომაზიული გამოთქმები

1. ა)
2. ა)
3. ბ)
4. ა)
5. ა)
6. ბ)
7. ბ)
8. დ)
9. ა)
10. ა)
11. ბ)
12. ა)
13. ა)
14. ა)
15. ბ)
16. ბ)
17. ა), გ)
18. ბ)
19. ბ)
20. ა)
21. ბ)
22. ა)
23. ბ)
24. ა)
25. ა)
26. ა)
27. ა)
28. ა)
29. ა)
30. ბ)
31. ა)

ტესტი N 19

სტილისტიკა და სტილი

- სტილის რაობა. სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინა. მისი შესწავლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა
- სტილისტიკის კავშირი სხვა დისციპლინებთან. სტილისტიკური კვლევის ძირითადი მიმართულებები
- სტილისტიკის ისტორიიდან; „სამი სტილის" თეორია ქართულ მწერლობაში
- ენა და მეტყველება. მეტყველების ფორმა
- მეტყველების სტილები. თანამედროვე სტილური ნაირსახეობები და მათი კლასიფიკაცია
- მხატვრული სტილის სპეციფიკა. ტროპული მეტყველების ძირითადი სახეები
- სამეცნიერო სტილი
- პუბლიცისტური სტილი
- ოფიციალურ-საქმიანი სტილი

1. ბ)
2. ა)
3. ბ)
4. გ)
5. ბ)
6. ა)
7. ა)
8. ბ)
9. ბ)
10. ა)
11. ბ)
12. ა)
13. ბ)
14. ა)
15. ბ)
16. ბ)
17. ა)
18. ბ)
19. ა)
20. ბ)
21. ბ)
22. ბ), დ)
23. ბ)
24. ა)
25. ა)
26. ა)
27. ე)
28. ბ)
29. ბ)
30. ბ)
31. ა)
32. ა), ბ)
33. ა)
34. ბ)
35. ა)
36. გ)
37. ა), გ), დ)
38. ბ)
39. ა)
40. ბ)
41. ა)
42. ბ)
43. ა)
44. ა)
45. ა)
46. ბ)
47. ბ)
48. ა)
49. ა)
50. ბ)

ტესტი N 20

აკადემიური ტექსტის სტრუქტურა

- აკადემიური ტექსტის ზოგადი დახასიათება
- აბზაცი – ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური ელემენტი
- აბზაცი. აბზაცის შედგენილობა და ტიპები
- .ტრანზიტულ-მაკავშირებელი სიტყვები და წინადადებათა გადაბმის ხერხები აბზაცში / აბზაცებს შორის

1. ა)
2. ბ)
3. ა)
4. ა)
5. ბ)
6. ა)
7. ა)
8. ბ)
9. ბ)
10. ა)
11. ბ)
12. ა)
13. ა)
14. ბ)
15. ა)
16. ბ)
17. ა)
18. ბ)
19. ბ)
20. ა)
21. ბ)
22. ა)
23. ბ)

ტესტი N 21

არგუმენტირებული ესე. თვალსაზრისის დასაბუთების კულტურა

- ესეს ზოგადი ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება. არგუმენტირების სისტემა
- ესეს სტრუქტურა. შესავალი ნაწილის სპეციფიკა
- ესეს ძირითადი ნაწილი: ავტორის შეხედულების დასაბუთება; საწინააღმდეგო პოზიციის / პოზიციების გაბათილება
- ესეს დასკვნა. ესეს შემოწმება

1. ბ)
2. ა)
3. ბ)
4. ა)
5. ა)
6. ბ)
7. ბ)
8. გ)
9. ა)
10. გ)
11. ბ)
12. ა)
13. ა)
14. ა)
15. ბ)
16. ა)
17. ა)
18. ბ)
19. ა)
20. ბ)
21. ბ)
22. ა)

ISBN 978-9941-9650-6-7